ზოთა მალაშხია

კონფლიქტების ანატომია

გამომცემლობა სტამბა
„ფორმა“

თბილისი 2011

წინამდებარე წიგნში დეტალურად არის გაანალიზებული 2008 წლის აგვისტოს საომარი აგრესიის გამომწვევი მიზეზები, შედეგები, სამართლებრივი ასპექტები და დეოკუპაციის პერსპექტივასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის ძირითად პრობლემათა განხილვას და წარმოჩენილია საქართველოს ისტორიული ფუნქცია რეგიონში.

გარდა ამისა, წიგნში განხილულია ევრაზიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კონფლიქტი (ყარაბაღის, დნესტრისპირეთის, ყოფილი იუგოსლავიის /ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო/, პალესტინის, ქაშმირის, კვიპროსის, ჩრდ. ირლანდიის, სამხრეთ ტიროლის, შრი-ლანკის, ტიბეტის, ტაივანის) და ისტორიულ-საშართლებრივი კუთხით განსაზღვრულია მათი მიმართება საქართველოს კონფლიქტებთან. ამ კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია ეთნიკური იდენტობის პრობლემაზე და მის სიღრმისეულ კავშირზე გარკვეულ კონფლიქტთა მოგვარების პროცესთან.

წიგნი განკუთვნილია როგორც პოლიტოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, ისტორიის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, ასევე სტუდენტებისა და ზემოალნიშნული საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

წიგნზე მუშაობა დასრულდა 2011 წლის იანვარში.

რეცენზენტები:

ლევან ალექსიძე - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

მალხაზ მაცაბერიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

Reviewers:

Aleksidze Levan – Doctor of Juridical Science, Academician;

Matsaberidze Malkhaz – Doctor of Political Sciences, Professor;

Papasqiri Teimuraz – Doctor of Historical Sciences, Professor.

ISBN 978-9941-0-3384-1

საქართველოს პარლამენტი

სარჩევი

შესავალი	5
Introduction (შესავალი ინგლისურ ენაზე)	7
Вступление (შესავალი რუსულ ენაზე)	9
2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია	
აგრესიის წინა პერიოდი და მისი გამომწვევი მიზეზები	11
სამხედრო აგრესია და შემდგომი პერიოდი	22
საქართველო და კავკასია	48
აფხაზეთი (საქართველო)	59
ცხინვალის რეგიონი (საქართველო)	133
მთიანი ყარაბაღი (აზერბაიჯანი)	162
დნესტრისპირეთი (მოლდოვა/მოლდაველთი)	228
ბოსნია და ჰერცეგოვინა	271
კოსოვო (ყოფილი იუგოსლავია)	323
პალესტინა	369
ქაშმირი (ინდოეთი)	432
კვიპროსი	489
ჩრდ. ირლანდია (დიდი ბრიტანეთი)	524
სამხრეთი ტიროლი (იტალია)	551
გდრ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)	571
შრი-ლანკა	582
ტიბეტი (ტიბეტის ავტონომიური რაიონი, ჩინეთი)	587
ტაივანი (ჩინეთი)	603
ჰონგ კონგი (ჩინეთი)	613
ევროპის "ჯუჯა" სახელმწიფოები	617
დასკვნის მაგიერ	626
Instead of a conclusion („დასკვნის მაგიერ" ინგლისურ ენაზე)	715
Вместо заключения („დასკვნის მაგიერ" რუსულ ენაზე)	777
ლიტერატურა	851

შესავალი

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის კონფლიქტების თემა. სხვადასხვა კონფლიქტის შესწავლა (განურჩევლად იმისა, იქნება ეს ამჟამად მიმდინარე, „გაყინული" ან უკვე მოგვარების სტადიაში მყოფი კონფლიქტი) და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება აუცილებელია, რათა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის უმწვავესი პრობლემის გადასაჭრელად ოპტიმალური გეზის არჩევა და ამ მიმართულებით თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა.

წინამდებარე წიგნში ევრაზიის კონფლიქტებით შემოვიფარგლეთ და შევეცადეთ გაგვერკვია საქართველოს კონფლიქტების მიმართება თითოეულ მათგანთან. ამ კონფლიქტების დიდი ნაწილი „ეთნოკონფლიქტებს" განეკუთვნება. აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს სულ უფრო სკეპტიკურად უყურებენ „ეთნოკონფლიქტის" კონცეფციას (იხ. მაგალითად, ვ.ფ. განიონის ცნობილი ნაშრომი: „ეთნიკური ომის მითი, სერბეთი და ხორვატია 1990-იანებში").[1]

საერთოდ, როგორც ცნობილია, კონფლიქტების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია არსებობს, ხოლო „ეთნოკონფლიქტი" ერთგვარ იოლად გამოსაყენებელ „იარლიყად" იქცა, რომელსაც გარკვეული ძალები თავიანთი პოლიტიკური ხრიკების შესანიღბად იყენებენ. კონფლიქტთა გამომწვევი რეალური მიზეზების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ, ხშირად, გარე ძალა გადამწყვეტ გავლენას ახდენს კონფლიქტის პროვოცირებასა და მიმდინარეობაზე. მეორე მხრივ, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში არსებული ეთნიკური დაპირისპირების ფაქტორი, ზოგ შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტზე და დაბრკოლებებს უქმნის მის მშვიდობიან მოგვარებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უპირველესად, გაეროს, აგრეთვე, სხვა ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნებამ და საერთაშორისო სამართლის უმთავრეს დოკუმენტთა მიღება-ამოქმედებამ, სულ უფრო გაზარდა კონფლიქტების სამართლებრივ სიბრტყეზე „გადატანისა" და მათ მოსაგვარებლად საერთაშორისო სამართლის ნორმათა ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობა. კონფლიქტთა მოგვარების საერთაშორისო მექანიზმების შემუშავება სწორედ ამ

1. V.P. Gagnon Jr., The Myth of Ethnic War, Serbia and Croatia in the 1990s, Cornell University Press, 2004

უნივერსალურ ნორმათა საფუძველზე ხდება. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ხანგრძლივი ისტორიული დაპირისპირების ინერცია მეტისმეტად ძლიერია, ვითარება რთულდება, რადგან ისტორიული ფაქტორი და მასთან დაკავშირებული „ისტორიული სამართლიანობის" მომენტი, სამშვიდობო გეგმის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან, გასათვალისწინებელ ელემენტად გვევლინება (მით უფრო, როცა კონფლიქტი მასშტაბური და „ჩახლართული" ისტორიულ-პოლიტიკური ძერების ნაწილია). სწორედ ამგვარი, „რთული" კონფლიქტების ფონზე მკაფიოდ ჩანს საქართველოს კონფლიქტთა არსობრივი სიმარტივე, რადგან აქ აშკარაა, რომ კონფლიქტი გარე ძალის მიერ არის პროვოცირებული და, ფაქტობრივად, მთლიანად კრემლის სამხედრო ძალას, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ჯარებს ეყრდნობა. აშკარაა, რომ როგორც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, ასევე ისტორიული ფაქტები, „ისტორიული სამართლიანობა" საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უჭერს მხარს, რადგან შეუძლებელია რაიმე სახის სამართლიანობისთვის მისაღები იყოს ეთნიკური წმენდა — დანაშაული კაცობრიობის წინაშე — ეთნიკური ნიშნით, ასეულობით ათასი ადამიანის განდევნა მათი საცხოვრებელი ადგილიდან და შემდეგ ამ ტერიტორიის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" გამოცხადება (ამგვარი ქმედება, შესაძლოა, სტალინს ან ჰიტლერს გაემართლებინოთ, თუმცა, მათაც კი, ასეთი რამ არ ჩაუდენიათ).

ამ წიგნის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი სწორედ იმ ფაქტის მკაფიოდ წარმოჩენა და ხაზგასმაა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ანუ საქართველოს დეოკუპაცია, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა კი არ არის, არამედ ეს არის კავკასიის რეგიონისა და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის პრობლემა; რადგან ამ პრობლემის გადაჭრა ეთნოწმენდის მსხვერპლთა უფლებების დაცვას, გაეროსა და ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვას, ფუნდამენტურ ადამიანურ, სამართლებრივ თუ ისტორიულ ღირებულებათა და პრინციპთა დაცვას ნიშნავს.

INTRODUCTION

After the military aggression in 2008, it became even more obvious how important are conflict issues for Georgia. Studying various conflicts (let them be present-day, "frozen" or almost resolved ones) and regarding the international experience in this field is necessary for choosing the optimal course towards solving the acutest problem of our state and for taking consistent steps in this direction.

This collection only includes Eurasian conflicts. We have tried to find the relation between each of them and confrontations in Georgia. Majority of them are "ethnic conflicts". It should be mentioned hereby that the conception of ethnic conflicts has been receiving more and more skeptical reaction recently.[1]

Speaking generally, different kinds of conflicts classification exist. "Ethnic conflict" has thus become an easy-to-use label which some certain forces use to cover their political tricks. The analysis of the actual confrontation-causing reasons has brought us to the conclusion, according to which it very often happens, that an external force plays a decisive role in provoking and leading the conflict. On the other hand, in some cases, a long-term ethnical conflict may also aggravate the problem and prevent its peaceful resolution.

After the World War the Second, the establishment of the UN and other principal international organizations, combined with the adoption and operation of the basic documents of the International Law, raised the chance of bringing the issues of different confrontations out on the legal "surface" and solving them effectively using the norms of the International Law. These universal norms are the fundament on which the global conflict-solving mechanism is built. Though, in case the inertia of the long-term historical opposition is too strong, the question becomes complicated, because the factor of the past and the related phenomenon of "historical justice" together form a more-or-less significant, considerable side of a peace plan (especially if the conflict is large-scale and a part of complex historical and political upheavals). In comparison to a knotty case like this, we can see distinctly the simplicity of confrontations in Georgia, as it is obvious that the disagreement was provoked by an external power and is completely based on the Armed Forces of the Kremlin, the Russian troops which oc-

1. For example, take a look at V.P. Gagnon Jr., The Myth of Ethnic War, Serbia and Croatia in the 1990s, Cornell University Press, 2004

cupy Georgian territory. It is evident that the basic principles of the International Law, historical facts and the "historical justice" altogether support the restoration of Georgia's territorial integrity. None of any possibly existing kinds of justice can accept ethnic cleansing, the crime against the mankind, which means turning hundreds of people out of their homes and declaring the territory "a sovereign state" (Stalin or Hitler might have justified this behavior, but even they did not commit such offence).

One of the main targets of this book is to show and emphasize the fact that the restoration of Georgia's territorial integrity, or de-occupation of its territory, is a huge problem not only for our state, but for the Caucasian region and the International Community, too. Because resolving it means defending the rights of the victims of ethnic cleansing, protecting the sovereignty of the UN and CoE member state with its internationally recognized borders, and also defending the fundamental human, legal and historical values and principles.[2]

2. The brief review of the main themes and conclusions of the book in English, see p. 715

ВСТУПЛЕНИЕ

После военной агрессии в августе 2008 года значимость темы конфликтов в Грузии возросла еще больше. Изучение разных конфликтов (вне зависимости от того текущие это конфликты, «замороженные» или находящиеся на стадии разрешения), равно как и международного опыта в этой сфере, необходимо для того, чтобы мы смогли выбрать оптимальный путь решения острейшей проблемы, которая стоит перед государством, и предпринять своевременные шаги в этом направлении.

В данной книге мы ограничились рассмотрением конфликтов в Евразии и постарались выяснить, как конфликты в Грузии соотносятся с каждым из них. Следует отметить, что большинство этих конфликтов считаются «этноконфликтами», хотя в последнее время к концепции «этноконфликта» относятся все более скептически (см. к примеру, известную работу В.Ф. Ганьона «Миф этнической войны, Сербия и Хорватия в 1990-ые»).[1]

Как известно, существует разнообразная классификация конфликтов, но именно «этноконфликт» превратился в легко приклеиваемый «ярлык», который используется определенными силами для маскировки своих политических уловок. Анализ реальных причин, вызывающих конфликты, привел нас к выводу, что часто решающую роль в провоцировании и ходе конфликта играет внешняя сила. С другой стороны, в некоторых случаях фактор этнического противостояния, которое тянется на протяжении длительного исторического периода, имеет значительное влияние на конфликт и создает преграду для мирного урегулирования.

После второй мировой войны были созданы различные международные организации и, в первую очередь, Организация Объединенных Наций. Тогда же были приняты и задействованы важнейшие документы международного права. Это значительно повысило шанс перевода конфликтов в правовую плоскость и эффективного использования норм международного права для их урегулирования. Разработка международных механизмов для разрешения конфликтов происходит именно на основе этих универсальных норм. Однако в том случае, когда инерция длительной исторической конфронтации слишком сильна, ситуация осложняется,

1. V.P. Gagnon Jr., The Myth of Ethnic War, Serbia and Croatia in the 1990s, Cornell University Press, 2004

поскольку исторический фактор и связанный с ним момент «исторической справедливости» превращаются, в определенной степени, в важный элемент миротворческого плана (тем более, когда конфликт является результатом масштабных и «запутанных» исторических и политических действий). Это обязательно надо учитывать. Именно на фоне подобного «сложного» конфликта проявляется простота сущности конфликтов в Грузии, так как очевидно, что эти конфликты провоцированы внешней силой, и, фактически, полностью опираются на военную силу Кремля - российские войска, расположенные на оккупированной территории Грузии. Основные принципы международного права так же, как исторические факты и «историческая справедливость», поддерживают восстановление территориальной целостности Грузии, поскольку этническая чистка — изгнание сотен тысяч людей из их домов по этническому принципу - является преступлением против человечества. Незаконно и последующее провозглашение этой территории «независимым государством» (это могли бы оправдать лишь Сталин или Гитлер, однако, даже они не совершили ничего подобного).

Одна из главных целей этой книги - показать и подчеркнуть, что восстановление территориальной целостности Грузии, то есть «деоккупация», - это не только наша проблема. Это также проблема всего кавказского региона и всего мирового сообщества, поскольку решение этой проблемы означает защиту прав жертв этнической чистки, защиту суверенитета и всемирно признанных границ государств, которые являются членами ООН и Евросоюза, защиту фундаментальных человеческих, правовых и исторических ценностей.[2]

---

2. Краткое изложение основных тем и заключений книги на русском языке, см. стр. 777

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის წინა პერიოდი და აგრესიის გამომწვევი მიზეზები

2004 წლიდან პრეზიდენტი სააკაშვილი, ფაქტობრივად, ყოველწლიურად გამოდიოდა ახალ-ახალი სამშვიდობო ინიციატივებით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად (ვრცლად ამ ინიციატივათა შესახებ იხ. გვ. 105-106, 159). საერთაშორისო საზოგადოება მოწონებით ხვდებოდა ამ ინიციატივებს, მაგრამ ყოველგვარი ძალისხმევა მათი თუნდაც მცირე ნაწილის განხორციელებისკენ, კრემლის კატეგორიულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. კრემლის მიზანი სტატუს კვოს შენარჩუნება იყო და სწორედ კრემლის დესტრუქციული პოზიციის გამო, წლების განმავლობაში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებები, რეალურად, ფორმალურ შეხვედრებად იქცა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ, ცნობილი ექსპერტები ღიად აფიქსირებენ თავიანთ კრიტიკულ შეფასებებს რუსეთის აგრესიამდე საქართველოში მიმდინარე სამშვიდობო პროცესის შესახებ. მაგალითად, რონალდ ასმუსის თქმით: "სამშვიდობო ინიციატივებისა და გეგმების მრავალწლიანი გადაღეჭვის მიუხედავად, ორივე მხარე წრეზე დადიოდა და არც ერთ ინიციატივას არავითარი გაგრძელება არ მოჰყოლია... ვითარება მართლაც ჩიხში შევიდა და სააკაშვილიც ერთთავად ამ ჩიხიდან გამოსავლის ძიებაში იყო... სამშვიდობო ღონისძიებები აქ იმთავითვე განწირული იყო, რადგან სეფე-სიტყვა რუსეთს ეთქმოდა, ის კი, თავის მხრივ, კონფლიქტში მონაწილე მხარე გახლდათ. მოსკოვს ხელს არ აძლევდა და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კიდეც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას".[1]

რ. ასმუსი განმარტავს, რომ "აშშ-საც და ევროპასაც უფრო მიზანმიმართულად უნდა ეცადათ კონფლიქტთა მოგვარების მართვის პროცესის სრულმასშტაბიანი ინტერნაციონალიზაცია გაეროს ეგიდით, როგორც ეს იმაჟე კოსოვოში მოხდა 10 წლის წინ".[2]

2007 წელს, სწორედ სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გამოიკვეთა საერთაშორისო საზოგადოების მზარდი მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისადმი. 15 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 1781, 2007), რომელშიც ცალსახად არის აღიარებული, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შინ დაბრუნების უფლება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გაჟღენას დევნილის ინდივიდუალური სა-

1. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 86-108
2. იქვე, გვ. 97

კუთრების უფლებაზე (იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება, რომელიც მას კონფლიქტამდე ეკუთვნოდა (პუნქტი 15)).

იგივე საკითხი კიდევ უფრო მკაფიოდ და ხაზგასმით არის აღნიშნული გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 15 აპრილის (S/RES/1808) და გენერალური ასამბლეის 2008 წლის 15 მაისის რეზოლუციებში (A/RES/62/249). უშიშროების საბჭო 15 აპრილის რეზოლუციით (მე-7 პუნქტი) ორივე მხარეს მოუწოდებს: "დაუყოვნებლივ დაასრულონ მუშაობა შეთანხმებაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ და შეთანხმებაზე დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ". გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში კი აფხაზეთის კონფლიქტის დროს უმეტესად ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნოწმენდა და მისი უმძიმესი შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობა უმნიშვნელოვანეს, ყველაზე აქტუალურ პრობლემად არის დასახელებული.

გენერალური ასამბლეა, ეფუძნება რა ეუთოს ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბულის (1999) სამიტების რეზოლუციებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზული ფაქტები აფხაზეთში (მათ შორის, "ეთნიკური წმენდა - ასეულობით ათასი ადამიანის განდევნა რეგიონის ტერიტორიიდან, რამაც გამოიწვია კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული ვითარების შეცვლა"), კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა დევნილისა და მათ მემკვიდრეთა უფლებას შინ დაბრუნების შესახებ და მათ მიმართ აღიარებს საკუთრების უფლებას; მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს არ დაუშვან მათი მოქალაქეების მიერ რაიმე ქონების შეძენა აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილთა უფლებების დარღვევით. გენერალური ასამბლეა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "აუცილებელია ოპერატიული გრაფიკის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სწრაფ, ნებაყოფლობით დაბრუნებას საკუთარ სახლში, აფხაზეთში". იქვე გენერალური ასამბლეა "სთხოვს გენერალურ მდივანს 63-ე სესიაზე წარმოადგინოს ყოვლისმომცველი მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ".

გაეროს ამ ორი რეზოლუციის მიღებას კრემლმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რადგან სამართლებრივი სიბრტყე მას ამის საშუალებას არ აძლევდა. დასავლეთის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი, ევროკავშირის სულ უფრო მზარდი ინტერესი საქართველოს კონფლიქტებისადმი და ბრიუსელის მზადყოფნა, აქტიურად ჩართულიყო მათი მოგვარების პროცესში, სულ უფრო საგანგაშო ხდებოდა მოს-

კოვისთვის. საქართველოს ხელისუფლება, დასავლელ პარტნიორებთან ერთად, უკვე ემზადებოდა საბოლოო, პრინციპული ნაბიჯების გადადგმისთვის, რათა კონფლიქტის ზონებში რუსეთის "სამშვიდობო" ჯარები ინტერნაციონალური კონტინგენტით ჩანაცვლებულიყო, რაც კონფლიქტების რეალური მოგვარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო. მაგრამ კონფლიქტების მოგვარება საქართველოში კრემლის იმპერიული პოლიტიკისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს. სწორედ ამიტომ მოსკოვმა დაიწყო კონფლიქტების ესკალაციისკენ მიმართული პროვოკაციული ქმედებების განხორციელება; უპირველესად კი, მისი "შემბოჭველი" სამართლებრივი ჩარჩოებიდან თანმიმდევრული გამოსვლა. კრემლი გეგმაზომიერად დგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომელთა ლოგიკური შედეგი სწორედ აშკარა აგრესია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეუნიღბავი ხელყოფა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რატომ შეარჩიეს შეტევისთვის მაინცდამაინც ზაფხული და, სახელდობრ, აგვისტო? ამგვარი გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორით აიხსნება.

როგორც ცნობილია, სექტემბრიდან იგეგმებოდა აქტიური მუშაობის დაწყება გაეროს ზემოხსენებულ რეზოლუციათა შესრულების მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა კი, ეს ეხება დევნილთა დაბრუნების გრაფიკის შემუშავებას, რასაც, ცხადია, პარალელურად მოჰყვებოდა მათი უსაფრთხოების ანუ "სამშვიდობოების" საკითხი. დევნილების დაბრუნებაზე, მათ კუთვნილ ქონებასა და უსაფრთხოებაზე, ნეიტრალურ საერთაშორისო მშვიდობისმყოფელებზე რეალური მოლაპარაკებების, შესაბამისი მექანიზმებისა და გეგმების განხილვის დაწყებაც კი უმძიმეს პერსპექტივას უქადდა (და უქადის) კრემლის დანაშაულებრივ პოლიტიკას საქართველოში. ამიტომ რუსეთის არმიას სექტემბრამდე უნდა დაემთავრებინა ყველაფერი.

რასაკვირველია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეკონომიკური ფაქტორიც. ივლისში ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს — 147 დოლარს მიაღწია. "გაზპრომის" მმართველი ალექსეი მილერი ივნისის ბოლოს ვარაუდობდა, რომ ბარელი ნავთობის ფასი ახლო მომავალში 250 დოლარს მიაღწევდა, რის შედეგად ბუნებრივი აირიც გაძვირდებოდა და ათასი კუბური მეტრი 1000 დოლარი ეღირებოდა (შედარებისთვის, 2008 წლის რუსეთის ბიუჯეტი, თავდაპირველად, გათვლილი იყო 55-60 დოლარზე (ასეთი იყო რუსული "ურალის" ტიპის ნავთობის საექსპორტო საშუალო ფასი), თუმცა, მოგვიანებით, ეს მაჩვენებელი ბიუჯეტში 115 დოლარამდე გაიზარდა, შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური

კრიზისის გამო, ისევ შეიცვალა და 90 დოლარი გახდა, საბოლოოდ კი 2008 წლის IV კვარტალში რუსული ნავთობის საშუალო ფასი 40 დოლარამდე დაეცა).

2008 წლის პირველ ნახევარში ნავთობზე ფასის ასეთმა სწრაფმა ზრდამ, ბუნებრივია, გაამხელაობა შემატა რუსეთის ხელისუფლებას, რომელმაც ძიიჩნია, რომ აგვისტოში დაგეგმილი სამხედრო აგრესიისა და მოსალოდნელი გართულებებისთვის ეკონომიკურადაც მზად იყო.

როცა ეკონომიკურ ფაქტორზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტი. 2008 წლის გაზაფხულზე დასავლურ მედიაში ისევ გაჩნდა ინფორმაცია ამ პროექტის შესახებ, რომელიც 1990-იან წლებში შემუშავდა და კავკასიის გავლით კასპიის აუზში არსებული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. დასავლური მედია აღნიშნავდა, რომ "ნაბუკოს" იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით შემოდგომაზე იგეგმებოდა მნიშვნელოვანი შეხვედრები ევრო-ამერიკულ ენერგოკომპანიათა და ევროკავშირის ენერგეტიკული სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობით (რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც). კრემლი ამ პროექტს შიშით უყურებდა (და უყურებს), რადგან "ნაბუკოს" მეშვეობით ევროპას, რუსეთის გვერდის ავლით, აიროვანი ენერგორესურსის მიღების მნიშვნელოვანი ალტერნატიული წყარო გაუჩნდება (2009 წლის იანვარში, როცა "გაზპრომმა" ევროპის ქვეყნებს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა წლის ყველაზე ცივ პერიოდში, რამაც ათეულობით ადამიანის დაღუპვა გამოიწვია, მთელმა მსოფლიომ გაიგო რას ნიშნავს კრემლის მონოპოლია ევროპისთვის). პრეზიდენტ სააკაშვილის დამხობისა და საქართველოს ხელისუფლების სათავეში პრორუსული ძალის მოყვანით მოსკოვი "ნაბუკოსაც" იოლად დაასამარებდა. ამ მხრივაც, აგვისტოში "ყველაფრის დამთავრება" ძალზე მნიშვნელოვანი იყო კრემლისთვის.

აგვისტო (საერთოდ, ზაფხული) სამხედრო თვალსაზრისითაც საუკეთესო დროა იმიერკავკასიიდან საქართველოზე შეტევისთვის. საქართველოს ხელისუფლებას რომ ცხინვალში შეჭრა დაგეგმილი ჰქონოდა, იგი ამას გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში განახორციელებდა, როცა რუსეთის არმიის მოძველებული ტექნიკისთვის, კლიმატური პირობების გამო, შედარებით რთული იქნებოდა კავკასიონს აქეთ გადმოსვლა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ 8 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადა იწყებოდა და პოლიტიკურ მოვლენათა მიმართ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება, ბუნებრივია, მოდუნებული იქნებოდა. ეს კი ხელსაყრელ ფონს შეუქმნიდა რუსულ მედიას „საინფორმაციო ომისთვის".

ყოველივე ზემოთქმული ასახავს იმ ძირითად მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. კრემლი კარგა ხანს ემზადებოდა ამ ომისთვის და შეტევის დროც (აგვისტო) სრულიად შეგნებულად იქნა შერჩეული. ზოგიერთი ქართველი ექსპერტისა თუ პოლიტიკოსისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი რუსი ექსპერტებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ კრემლის საომარ გეგმებს, მიზანმიმართულ პროვოკაციებს და ამ კონტექსტში საქართველოს ხელისუფლების იძულებით ჩართვას საომარ მოქმედებებში. მაგალითად, პაველ ფენგელპაუერის დასკვნით, „რუსეთის დიდი სამხედრო კონტინგენტის შეჭრის სისწრაფე საქართველოში, საზღვაო-სადესანტო ძალების მეყსეული გადასხმა შავი ზღვიდან, თავისთავად მრავალრიცხოვანი შენაერთების შეყვანა აფხაზეთში, სადაც ქართველების შეტევა საერთოდ არ ყოფილა — ეს ყველაფერი მიანიშნებს კარგად დამუშავებული საბრძოლო გეგმის არსებობაზე...“[3]

ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე „ვიკილიქსის“ მიერ გაერცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი ჯერ კიდევ 2007 წლის აგვისტოში ატყობინებდა ვაშინგტონს, რომ კრემლი „აგრესიულ გეგმას ამზადებდა“, რომლის მიზანი იყო „სააკაშვილის ჩამოშორება ხელისუფლებისგან“ და ამ გზით საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ორიენტაციის შეცვლა.[4]

იმავე წყაროს მიხედვით, სწორედ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის (და ასევე 2007 წელს ესტონეთის წინააღმდეგ განხორციელებული „კიბერშეტევის“) საფუძველზე, ნატოს უმაღლესმა მეთაურმა ევროპაში, ამერიკელმა ადმირალმა ჯეიმს სტავრიდისმა 2010 წელს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს წარუდგინა წინადადებები ბალტიის ქვეყნების დაცვის სპეციალური გეგმის შესამუშავებლად.[5]

ასეთი ინფორმაციის, ასეთი მასშტაბური გეოპოლიტიკური საფრთხის კონტექსტში (თუნდაც ის ნაკლებრეალური იყოს), ბუნებრივია, არასერიოზულიც კი ხდება 2008 წლის სამხედრო აგრესიის შესახებ საუბრისას ყურადღების გამახვილება “პირველი გასროლის” ფაქტორზე. როგორც ფელგენჰაუერი აღნიშნავს: „ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის შეჭრა საქართველოში წინასწარ იყო დაგეგმილი, თანაც, სავარაუდოდ, კრემლს ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება სწორედ აგვისტოში ომის დაწყების შესახებ...

3. Pavel Felgenhauer, “The Russian-Georgian War Was Preplanned In Moscow,” Eurasia Daily Monitor (The Jamestown Foundation), August 14, 2008, vol.5:156 http://www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews[tt_news]=33888&tx_ttnews[backPid]=166&no_cache=1

4. http://www.guardian.co.uk/world/2010/dec/01/wikileaks-cables-russia-georgian-separatists

5. http://www.guardian.co.uk/world/2010/dec/06/wikileaks-cables-nato-russia-baltics

და ქართველების ნებისმიერი პასუხი — ხისტი თუ „რბილი“ — ოსების გამიზნულ პროვაკაციებზე, გამოყენებული იქნებოდა, როგორც საბაბი თავდასხმისთვის. როცა ომი დაგეგმილია, საბაბი ყოველთვის მოიძებნება“).[6]

ჯერ კიდევ 2007 წლიდან რუსეთი თანმიმდევრულად ამზადებდა ნიადაგს სამხედრო აგრესიისთვის, რასაც მკაფიოდ ადასტურებს 2008 წლის აგვისტომდე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენათა განვითარების ლოგიკა. გთავაზობთ ამ მოვლენათა ქრონოლოგიას:

1) 2007 წლის 14 იულისს პუტინმა შეაჩერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე;

2) აფხაზეთის ე.წ. "პარლამენტმა" – სახალხო კრებამ 2008 წლის 4 მარტს მიიღო განცხადება, რომელშიც მოუწოდა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს კოდორის ხეობის ზემო ნაწილში აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციის აღდგენისა და აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ყველა აუცილებელი ზომის მიღებისკენ;

3) 13, 19 და 21 მარტს რუსეთის სახელმწიფო დუმაში გაიმართა დახურული საპარლამენტო მოსმენა, რომელზეც განხილულ იქნა მიმართვები აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. გამოხატა რა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ამავე დროს დუმამ დააფიქსირა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გაცხადების შემდეგ რუსეთის ფედერაციის წინაშე წამოიჭრა ამ საკითხებისადმი მიდგომის კორექტირების აუცილებლობა. დუმამ მოუწოდა მთავრობას აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისადმი დახმარებისა და მათი დაცვის მიმართულებით ძალისხმევის გააქტიურებისკენ, განსაკუთრებით, საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ მისწრაფების გათვალისწინებით. მან ასევე შესთავაზა მთავრობას განეხილა აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში ძალზე აქტუალური იყო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ბუქარესტის სამიტი (გაიმართა 2-4 აპრილს), რომელზეც, აშშ-ისა და აღმოსავლეთი ევროპის მხარდაჭერის მიუხედავად, ნატოში ერთსულოვნება ვერ იქნა მიღწეული, რის გამოც, საქართველომ და უკრაინამ "მაპ"-ი (წევრობის სამოქმედო გეგმა) ვერ მიიღეს, თუმცა, სამიტის დეკლარაციის თანახმად, ალიანსის ყველა წევრი შეთანხმდა, რომ ორივე ქვეყანა "ნატოს წევრი გახდება".[7]

6 http://www.novayagazeta.ru/data/2008/59/04.html

7. http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

აქეე უნდა ითქვას, რომ ბუქარესტის სამიტის ასეთ კომპრომისულ გადაწყვეტილებას ექსპერტთა ნაწილი დასავლეთის შეცდომად მიიჩნევს. რ. ასმუსის აზრით: "მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ ეს განცხადება დაამშვიდებდა კიევსა და თბილისს და არც რუსეთსა და პუტინს გააღიზიანებდა, ვისაც ამ ქვეყნებისთვის "მაპ"-ის მიცემა-არმიცემის საკითხი ლამის პირადი ღირსების პრობლემად მიაჩნდა. მაგრამ იმან, რაც თეორიულად გონიერულად ჩანდა... მოსკოვში დიამეტრულად საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. საქართველოს შესაჩერებლად მოსკოვმა სწრაფი მოქმედება ამჯობინა, ვიდრე ეს პროცესი (საქართველოს ნატოში გაწევრიანება) აზვირთდებოდა და შეუქცევადი გახდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კომპრომისმა რუსეთის შეკავების ნაცვლად, მისი წაქეზება გამოიწვია!".[8]

4) 16 აპრილს პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების (დაწესდა 1996 წლის 19 იანვარს დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებით) რეჟიმიდან რუსეთის ცალმხრივი გამოსვლისა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების თაობაზე;

5) 2008 წლის 20 აპრილს რუსეთის ფედერაციის თვითმფრინავ მიგ-29-ის მიერ ჩამოგდებულ იქნა ქართული უპილოტო საფრენი აპარატი;

6) 2008 წლის 23 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, აშშ-მ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელშიც მოუწოდეს რუსეთს შეცვალოს ან არ შეასრულოს თავისი გადაწყვეტილება არაღიარებულ აფხაზეთისა და „სამხრეთი ოსეთის" რესპუბლიკებთან დაახლოების თაობაზე;

7) 2008 წლის 19 მაისს ეუთოსა და შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო დამკვირვებლებმა დაადასტურეს ქართულ სოფლებზე: ერგნეთსა და ქვემო ნიქოზზე ავტომატური იარაღითა და ყუმბარმტყორცნებით განხორციელებული თავდასხმის ფაქტი ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან;

8) ამავე პერიოდიდან ორივე კონფლიქტურ რეგიონში და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაიწყო ვითარების სერიოზული ესკალაცია, აფეთქებები, ტერაქტები, რომელთა უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ. ზუგდიდის რაიონში ქართველი ძალოვნების მიერ დაკავებულ იქნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების მოსამსახურეები, რომელთაც ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის იარაღი და სარაკეტო ჭურვები;

8. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც შეარყია მსოფლიო წესრიგი, თბ. 2010, გვ. 98

9) 2008 წლის მაის-ივნისში ოჩამჩირეში შემოყვანილ იქნა რუსეთის საღესანტო ჯარების ნაწილები;

10) 2008 წლის 1 ივნისს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ინფრასტუქტურის აღსადგენად შემოყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს სარკინიგზო ჯარების ბატალიონი. როგორც 2 ივნისს ქართველ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა რფ-ის ელჩმა საქართველოში ბატონმა ვ. კოვალენკომ, "აფხაზეთის რეგიონში სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის და კონფლიქტის მოწესრიგებას" (სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა სწრაფ ტემპში, აგვისტოს პირველი რიცხვებისთვის დასრულდა და სწორედ მისი მეშვეობით, აფხაზეთში 22-ე მოტომსროლელი დივიზია გადმოისროლეს; 10 აგვისტოს კი, აფხაზეთიდან მეზობელ რეგიონში — სამეგრელოში — 10-ათასკაციანი სამხედრო კონტინგენტი შემოიყვანეს თავისი მძიმე ტექნიკით);

11) 2008 წლის 5 ივლისს რუსეთის ფედრაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში კონფლიქტის ძალისმიერი მოწესრიგებისკენ აიღო კურსი;

12) 2008 წლის 7 ივლისს აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც დააფიქსირა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება აღქმულ უნდა იქნეს, როგორც აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის წახალისება, ხოლო ორივე კონფლიქტურ რეგიონში ვითარების სერიოზული, სინქრონული ესკალაცია რუსეთის სპეცსამსახურებს უკავშირდება. კომისიამ აღნიშნა, რომ ყოველივე ამის საბოლოო მიზანია რეგიონში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება და საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა. კომისიამ გაეროსა და ევროსტრუქტურებს მოუწოდა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისა და პრევენციული ზომების მიღებისკენ, რათა ვითარების შემდგომი ესკალაციით დაინტერესებულ ძალებს არ მისცემოდათ თავიანთი შორსმიმავალი ზრახვების განხორციელების საშუალება;

13) 2008 წლის ივლისში ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს, გაიმართა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გრანდიოზული სამხედრო წვრთნა "კავკა-

სია-2008" (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიისა და სხვა ნაწილების მონაწილეობით), რომელიც 2 აგვისტოს დასრულდა. წვრთნის დროს ჯარისკაცებისთვის არ იყო დაფარული, რომ მათი საბრძოლო მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო საქართველო (ეს ის ფორმირებებია, რომლებმაც შემდგომში უშუალო მონაწილეობა მიიღეს ცხინვალის რეგიონსა და გორის რაიონში ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში). ამ ფონზე განსაკუთრებით აგრესიული ხდება კრემლის მარიონეტის, თვითგამოცხადებული "სამხრეთი ოსეთის" "პრეზიდენტის", ე. კოკოითის განცხადებები, რომელიც იმუქრებოდა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული ოფიციალური ფორმირებების სრული განადგურებით. იმავე პერიოდში განხორციელდა ტერორისტული აქტი ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე (დ. სანაკოევი გადარჩა, თუმცა დაიღუპა და დაშავდა მისი დაცვის რამდენიმე წევრი);

14) პირველ აგვისტოს ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე ორი დისტანციური მართვის ფეთქებადი მოწყობილობის აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა 5 ქართველი პოლიციელი;

15) 2 აგვისტოს ღამით ექვსი სამოქალაქო პირი და ერთი პოლიციელი დაიჭრა კონფლიქტის ზონაში ქართული სოფლების დაბომბვის შედეგად. ოსმა სეპარატისტებმა მსხვილკალიბიანი ნაღმმტყორცნებიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს: ზემო ნიქოზს, ქვემო ნიქოზს, ნულს, ავნევს, ერედვსა და ერგნეთს. ქართველი სამართალდამცველები იძულებულნი გახდნენ ხანმოკლე საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. საქართველოს ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა არ აჰყოლოდა პროვოკაციებს და არ დაეშვა კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია;

16) 3 აგვისტოს კოკოითის სეპარატისტულმა "მთავრობამ" განაცხადა 500-ზე მეტი ადამიანის, მათ შორის 400 ბავშვის ევაკუაციის შესახებ. თუმცა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ერმაკ ძანსოლოვმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქს"-ს განუცხადა, რომ ეს არ იყო ევაკუაცია. როგორც მან განმარტა, ჩრდილოეთ ოსეთში ბავშვების გაგზავნის მიზეზი იყო მათი მონაწილეობა საზაფხულო ბანაკში, რაც წინასწარ იყო დაგეგმილი. რუსულმა მედიამ საქართველოს წინააღმდეგ აქტიური პროპაგანდისტული კამპანია დაიწყო. გავრცელდა ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიაში მოხალისეთა მობილიზაციის შესახებ;

17) 6 აგვისტოს სეპარატისტებმა განაახლეს ნაღმმტყორცნებიდან

ქართველებით დასახლებული სოფლების დაბომბვა (ერედვი, ფრისი, ავნევი, ღვანი და ნული). მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით, საქართველოს სამთავრობო ძალებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ორმხრივი ცეცხლი მთელი ღამე გაგრძელდა; შედეგად, შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ორი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის განცხადებით, რამდენიმე ადამიანი მათი მხრიდანაც დაშავდა. ქართულ სოფლებზე, ასევე ქართულ პოლიციასა და სამშვიდობო ძალებზე მიზანმიმართული თავდასხმების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, არ ეპასუხა მასირებული ცეცხლით, რათა არ დაშავებულიყო მშვიდობიანი მოსახლეობა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია იყო მხოლოდ პირდაპირი დიალოგის გამართვა ცხინვალთან, რაც განმუხტავდა დაძაბულობას;

18) 7 აგვისტოს ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "პრეზიდენტმა" რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებს დილის ინტერვიუში განუცხადა, რომ თუ საქართველოს ხელისფლება არ გაიყვანდა თავის შეიარაღებულ ძალებს რეგიონიდან, დაიწებდა "მათ წმენდას". დილითვე, ადგილობრივი თვითმხილველების თქმით, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაახლოებით 3-5 ბომბი ჩამოაგდო სოფელ შავშვების მახლობლად, ქართული სამხედრო რადარიდან 300-500 მეტრის მოშორებით. 7 აგვისტოს დილით თემურ იაკობაშვილი ცხინვალში შეხვდა შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს, ხოლო ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა უარი თქვეს მასთან მოლაპარაკებაზე. 16 საათისთვის სეპარატისტებმა განაახლეს ქართული სოფლების ნულის და ავნევის დაბომბვა. სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა სოფ. ავნევში ქართული სამშვიდობო ბატალიონის კუთვნილი ქვეითთა საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად. საპასუხოდ ქართულმა პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა სეპარატისტების შეიარაღებულ დაჯგუფებას სოფ. ხეთაგუროვოში, რის შედეგადაც ორი სეპარატისტი მილიციელი დაიღუპა და კიდევ ორი დაიჭრა. მოგვიანებით, ავნევში ქართველი სამშვიდობოების საკონტროლო პუნქტი დაიბომბა, რის შედეგადაც რამდენიმე ქართველი სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 19 საათზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ მან უკვე გასცა ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდა სეპარატისტებს. მიუხედავად ქართული მხარის გადაწყვეტილებისა,

არ გაეხსნა საპასუხო ცეცხლი, სეპარატისტებმა განაახლეს სოფ. ავნევის დაბომბვა და, ფაქტობრივად, მთლიანად გაანადგურეს სოფელი.

სწორედ იმ დროს, როდესაც ქართული შენაერთები ასრულებდნენ პრეზიდენტის ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რუსეთის საჰაერო ქვედანაყოფებმა (ჯავშანტექნიკამ, ათასობით ჯარისკაცით დატვირთულმა მანქანებმა) როკის გვირაბი გამოიარეს და ცხინვალისკენ აიღეს გეზი;

19) რუსეთის ფედერაციის 58-ე არმიის შემოჭრით დასრულდა საქართველოს ოკუპაციის "მოსამზადებელი ეტაპი", რომელსაც კრემლი თვეების განმავლობაში თანმიმდევრულად ახორციელებდა.

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია და შემდგომი პერიოდი

2008 წლის აგვისტოში კრემლმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. ინტერვენციაში მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო შენაერთები (რუსეთის ავიაციამ 8-12 აგვისტოს 400-ზე მეტი სამხედრო გაფრენა შეასრულა, აქედან მხოლოდ 9 აგვისტოს — 120, როცა ერთდროულად 28 რუსული მოიერიშე უტევდა საქართველოს არმიის პოზიციებს). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რუსეთის საავიაციო დარტყმების ობიექტები ხშირად ცხინვალიდან 200-300კმ.-ის მოშორებით მდებარეობდნენ.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ, 8 აგვისტოს დილით, საქართველოს სამხედრო შენაერთებმა ცხინვალის დიდი ნაწილი შუნობების დაუზიანებლად დაიკავეს, რაც ქართული ტელევიზიის მიერ გადაღებულ იმ მასალებშიც მკაფიოდ ჩანს, რომლებზეც საქართველოს ჯარების ქალაქში შესვლაა ასახული (7-8 აგვისტოს ღამიდან, რუსეთის არმიის ცხინვალთან მოახლოებამდე, ქალაქში რომ დიდი ნგრევა არ მომხდარა, ეს დასტურდება გაეროს კვლევითაც, რომელიც სატელიტიდან გადაღებულ ფოტომასალას ემყარება).[1]

10 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაეროში ზალმაი ჰალილზადმა დააფიქსირა, რომ მოსკოვის საბოლოო მიზანი აგვისტოს აგრესიის დროს იყო თბილისის აღება და საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა. მოგვიანებით, აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმაც ღიად განაცხადა: "ვაპირებ ყველას ვუთხრა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული ომი საქართველოს ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნად!"[2] ფაქტობრივად, იგივე თქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბერნარ კუშნერმაც: "ჩვენ მოგვიწია წითელი არმიის შეჩერება და ჩვენი უმთავრესი და ერთადერთი მიზანიც ის იყო, რუსებისთვის საქართველოს დედაქალაქის აღების საშუალება არ მიგვეცა".[3]

სწორედ საქართველოს ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნად კრემლი მანამდეც, როცა თითქმის ორი წლის განმავლობაში ეკონომი-

1. http://unosat.web.cern.ch/unosat/asp/prod_free.asp?id=111&ALL=on
2. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა, თბ. 2010, გვ. 200
3. იქვე, გვ. 222

კური ემბარგო დააწესა საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წლის იანვარში შეგვიწყვიტა ბუნებრივი აირის მოწოდება და, პერიოდულად, სხვადასხვა სახის პროვოკაციებს აწყობდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე (ტერაქტები, დივერსიები, მცირე მასშტაბის საავიაციო დაბომბვები). ამგვარ დესტრუქციულ ქმედებათა ერთიანი სურათის შემადგენელი ნაწილი იყო, აგრეთვე, 2007 წლის ნოემბრის მოვლენები.

ხაზგასასმელია, რომ 2007 წლის 27 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთში მოქმედი გაეროს სამშვიდობო მისიის ფორმატის შეცვლის აუცილებლობაზე (კერძოდ, რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებაზე საერთაშორისო, მაგალითად, ევროკავშირის სპეციალური კონტინგენტით). ამის პასუხად, სწორედ იმ დღეს საქართველოში ტელეკომპანია "იმედის" პირდაპირ ეთერში გამოიყვანეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც სკანდალური, პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი ცილისწამებები გააერცელა (ოქრუაშვილი შემდეგ დიდ კორუფციულ გარიგებათა ორგანიზებაში ამხილეს). ტელეკომპანია "იმედის" მაშინდელი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი არ მალავდა თავის ამბიციებს და აცხადებდა: "ბოლო ხანებში პრეზიდენტი მიხვეილ სააკაშვილი სულ უფრო და უფრო შორდება ჩემეულ იდეალებს ... ზუსტად ამის გამო განვითარდა კონფლიქტი ჩემსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის".[4] 2007 წლის 7 ნოემბერს კი, პატარკაციშვილმა, 2004 წელს, 96%-ით არჩეულ პრეზიდენტ სააკაშვილის შესახებ განაცხადა: "დღეს მთელი საქართველოს წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე მან ლეგიტიმურობა დაკარგა ... არავის შეეპაროს ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალისხმევა, მთელი ჩემი ფინანსური რესურსები, ბოლო თეთრის ჩათვლით, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად იქნება გამოყენებული"[5] (შედარებისთვის, ცნობილი ოლიგარქის ქონება 12 მლრდ. დოლარამდეა შეფასებული, საქართველოს 2007 წლის ბიუჯეტი კი 3,2 მლრდ. დოლარს არ აღემატებოდა).

იმ დღეებში მოსკოვთან დაკავშირებული ძალები შეეცადნენ მასშტაბური არეულობის მოწყობას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მაშინ საქართველომ, საბედნიეროდ, მოახერხა რთული ვითარების განმუხტვა. სწორედ იმ პერიოდში მიხვეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ გასულ წელს პრეზიდენტმა პუტინმა მოლაპარაკების დროს, აფხაზეთთან დაკავშირებით, მოვლენათა კვიპროსის სცენარით განვითარება "ივარაუდა". შეგახ-

4. http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=7922&lang=geo
5. www.newsgeorgia.ge/politics/20071107/42091335.html

სენებთ, რომ 1974 წელს კვიპროსში მომხდარი ხანმოკლე სახელმწიფო გადატრიალების დროს, კვიპროსის თურქი მოსახლეობის დაცვის საბაბით, თურქეთმა თავისი ჯარები გადასხა და კუნძულის ერთი მესამედის ოკუპაცია განახორციელა (კვიპროსის კონფლიქტისა და საქართველოს რეალობის ურთიერთმიმართების ვრცელი განხილვა იხ. 508-ე გვ.-ზე). პუტინის მიერ, აფხაზეთთან მიმართებაში, კვიპროსის პრეცედენტის წამოწევა ადასტურებს, რომ მას საქართველოს მიმართ სწორედ ანალოგიური სცენარი ჰქონდა მომზადებული, როცა 2007 წლის ნოემბერში, მასობრივი არეულობების პროვოცირებით, შეეცადა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება "შიგნიდან", სახელმწიფო გადატრიალების გზით დაემხო, და ამის შემდეგ გეგმავდა, "ქართული საფრთხისაგან" რუსეთის მოქალაქეთა დაცვის საბაბით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შემოჭრილიყო (აფხაზეთში მცხოვრები "რუსეთის მოქალაქეების" დაცვის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმის "აუცილებლობა" საგანგებოდ არის ხაზგასმული რუსეთის დუმის 2008 წლის 24 მარტის განცხადებაშიც). მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა, ამავდროულად, საერთაშორისო არენაზე სულ უფრო აშკარავდებოდა მოსკოვის დესტრუქციული როლი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესში; ამიტომ კრემლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის შესანარჩუნებლად ღია აგრესიის გარდა სხვა გზა, ფაქტობრივად, აღარ რჩებოდა. შესაბამისად, მან გადაწყვიტა, ერთი მხრივ, თანდათან დაერღვია საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობით შექმნილი და კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე ორიენტირებული სამართლებრივი ბაზა და, მეორე მხრივ, რაკი ნოემბერში სახელმწიფო გადატრიალების სცენარი "ჩავარდა", შეეცადა გაეთამაშებინა ჯერ "საქართველოს აგრესია სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ" და თითქოსდა ამის საპასუხოდ დაეწყო ე.წ. "იძულებითი მშვიდობის დამყარების ოპერაცია".

სამხედრო აგრესიის საწყის ეტაპზე, რუსეთის მედიის მეშვეობით, კრემლმა მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ მოგვიანებით სიმართლე მთელმა მსოფლიომ შეიტყო: ქართული ჯარების შესვლა ცხინვალში მიზნად ისახავდა როკის გვირაბის გაელით ჩვენს ტერიტორიაზე უკვე შემოჭრილი რუსეთის 58-ე არმიის შეჩერებას; და ამ არმიის რეალური მიზანი იყო არა ცხინვალის მოსახლეობის დაცვა ქართველი "აგრესორებისგან", არამედ თბილისის, მთელი საქართველოს ოკუპაცია, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა და მისი შეცვლა კრემლის ერთგული მარიონეტული რეჟიმით; პუტინ-მედვე-

დევს მთლიანად ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია სურდათ და არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, თუ არ ჩავთვლით ფინეთს 1939-1940წწ.-ში, როცა კრემლმა ვერ შეძლო თავისი გეგმის ბოლომდე განხორციელება და ნახევარდოკუპირებული, თითქოს უკვე განწირული ქვეყნის ხელისუფლების დამხობა (კრემლის დღევანდელი ბინადრები მენტალურადაც ხომ სსრკ-ის მემკვიდრეები არიან და სსრკ-ის დაშლას "ისტორიულ კატასტროფად" აღიქვამენ). ამ კონტექსტში გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლებას, არსებითად, არჩევანი არ ჰქონდა: თუ იგი ქართული სოფლების დაცვის მიზნით საპასუხო საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებდა, მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ხოლო თუ არ უპასუხებდა, მაშინ კოკოითის ბანდები (ცხადია, რუსეთის ჯარების დახმარებით) გამოდევნიდნენ ქართველ მოსახლეობას რეგიონიდან, კრემლი "მიუკერძოებელ პოზიციას" შეინარჩუნებდა და "ძლევამოსილ გამარჯვებას" მთლიანად "კოკოითის მთავრობას" მიაწერდა. ანუ, ერთი მხრივ, შედეგი იქნებოდა იგივე, რაც დღეს გვაქვს: "გამარჯვებული" კოკოითი ცხინვალის რეგიონში და "გამარჯვებული" ბაღაფში — აფხაზეთში (ზემო აფხაზეთის ჩათვლით), ოღონდ, ამ შემთხვევაში, პუტინი იტყოდა, რომ რუსეთი არაფერ შუაშია, უბრალოდ, ქართველებმა კონფლიქტი განაახლეს და ოსებმა და აფხაზებმა ისინი დაამარცხესო. მაგრამ ჩვენი მებრძოლების თავგანწირვამ სწორედ ასეთი "მანევრის" საშუალება არ მისცა კრემლს. საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალში არსებული საცეცხლე წერტილების (საიდანაც ქართული სოფლები იბომბებოდა) სრული ნეიტრალიზაციის შემდეგ, რუსეთის არმია იძულებული გახდა ღიად ემოქმედა — უშუალოდ რუსეთის ჯარებმა განახორციელეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია; აქედან გამომდინარე, გამოაშკარავდა ე.წ. "ქართულ-ოსური" და "ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტების" რეალური არსი და პრობლემამ ყალბი სიბრტყიდან ("ეთნოკონფლიქტების" სიბრტყიდან) რეალურ სიბრტყეზე (პოლიტიკურ-სამართლებრივ სიბრტყეზე) გადაინაცვლა. პრობლემის ნამდვილი მიზეზი საქვეყნოდ გამოაშკარავდა და სწორედ ამიტომ, პრობლემის რეალურად გადაჭრის მიზნით, კოკოითს ან ბაღაფშს კი აღარ ვესაუბრებით "ნეიტრალური" და "შეიდობისმყოფელი" რუსეთის შუამავლობით, არამედ უშუალოდ კრემლს, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარეს, შუამავლებად კი მოლაპარაკების პროცესში აქტიურად არიან ჩართული გაერო, ევროკავშირი, ეუთო და აშშ. ამრიგად, თუ ომამდე ბევრს არ სჯეროდა რომ კონფლიქტის

მონაწილე მხარეები საქართველო და რუსეთი იყო, ახლა ეს ფაქტი მთელი მსოფლიოსთვის თვალსაჩინოა. ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე რუსეთის, ფაქტობრივად, საოკუპაციო ჯარები საქართველოს ორივე ოკუპირებულ რეგიონში "სამშვიდობოთა" სტატუსით იმყოფებოდნენ; აფხაზეთში დსთ-ის ეგიდით, ხოლო ცხინვალის რეგიონში — რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით და, ორივე შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციათა: გაეროსა და ეუთოს სანქციით (ასეთი ვითარება წინა, უნიათო ხელისუფლების მიერ დადებული ხელშეკრულებების წყალობით შეიქმნა). დღეს კი რუსეთის ჯარები, უკვე ოფიციალურად, ოკუპანტებად იწოდებიან და ენგურს აქეთ, ფაქტობრივად, მათ მიერ კონტროლირებადი, 24-კილომეტრიანი (12+12) ზოლიც გაუქმებულია (ცხინვალის რეგიონში ანალოგიური ზონა 15+7-კილომეტრიანი იყო).

თავდაპირველად, დასავლეთის არაერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს პრეზიდენტის "შეცდომაზე" და ეარაუდობდა, რომ ის პროვოკაციაზე "წამოეგო"; მაგრამ, თანდათანობით, მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული მრავალი ფაქტი გამოაშკარავდა, ობიექტური ანალიტიკოსებისთვის ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის რთული გადაწყვეტილება რუსეთის უზარმაზარ სამხედრო მანქანასთან დაპირისპირების შესახებ, "არც ერთპიროვნული იყო და არც ნაუცბათევი", რომ მისი "ქმედება სასოწარკვეთილი პასუხი იყო იმ გარდაუვალ საფრთხეზე, რაც საქართველოს ათობით ათასი მოქალაქის ეთნიკურ წშენდას, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ერთხელ და სამუდამოდ დაკარგვასა და რუსების თავად თბილისში შემოჭრის ალბათობასაც გულისხმობდა... სააკაშვილს ისღა დარჩენოდა ან სამუდამოდ დაეკარგა სეპარატისტული რეგიონები, ან იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საკუთარი სამშვიდობო კონტინგენტის დასაცავად, იმთავითვე უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულიყო, ოღონდ იმ იმედით, რომ საპასუხო სამხედრო ძალის გამოყენება რუსებს გეგმაზე ხელს ააღებინებდა... მაგრამ ეს განწირულის არჩევანი გახლდათ. რუსეთს, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ომში შეეძლო საქართველოს განადგურება, მაგრამ... სააკაშვილის ანგარიშით, მას დრო უნდა მოეგო, რათა საერთაშორისო თანამეგობრობა, უპირველესად, აშშ და ევროპა, გამოფხიზლებულიყვნენ და მისი ქვეყნის დასაცავად დარაზმულიყვნენ".[6]

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტმა მართებული ნაბიჯი გადადგა, როცა საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ რუსეთის არმიას თბილისში არ დაელოდა და ცხინვალისკენ მო-

6. რობერტ დ. ასმუსი. ცივი ომი. რომელსაც შეიძლებოდა შეწყვეტოდა. თბ. 2010. გვ. 34. გვ. 42

მავალ გზაზე შეეცადა მის შეჩერებას. სწორედ იმ 4-5 დღეში გაწეულმა სამხედრო წინააღმდეგობამ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ერთიანობამ, საქართველოს ხელისუფლების (პრეზიდენტის) პრინციპულმა პოზიციამ და საქართველოს მეგობარი ქვეყნების აქტიურმა პროტესტმა (აღმოსავლეთი ევროპის 5 ქვეყნის ლიდერი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, 12 აგვისტოს თბილისში ჩამოფრინდა) კრემლს საშუალება არ მისცა სრულად განეხორციელებინა თავისი გეგმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სრულ ოკუპაციასა და არჩეული ხელისუფლების დამხობას ითვალისწინებდა. ცხადია, ამ გეგმის ჩაშლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თეთრი სახლის მკაფიო და მკვეთრმა პოზიციამ. როგორც სტივ ჰედლიმ (ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მაშინდელმა მრჩეველმა) განაცხადა: "გვინდოდა რუსებისთვის გვეთქვა — საქმე ის არ არის, რომ ამერიკა და მისი მეგობრები თქვენს დასჯას იწყებენ. ეს, უბრალოდ, 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემის პასუხია, რომ მე-19 საუკუნის წესები დღეს უკვე სრულიად გამოუსადეგარია".[7]

სწორედ ეს ფაქტორია საგანგებოდ აღსანიშნავი — 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიამ არა მხოლოდ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ნგრევა გამოიწვია, არამედ რეალური საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო უსაფრთხოების მთელ სისტემას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი ძალისხმევით შეიქმნა. ამ სისტემის დანგრევა კი ისევ დაუსჯელი ძალადობის, ისევ ჰიტლერისა და სტალინის მსოფლიოში დაგვაბრუნებს, რადგან თუ საერთაშორისო თანამეგობრობა შეეგუება ეთნიკურ წმენდას, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპთა ფეხქვეშ გათელვას, მაშინ ასეთი პრეცედენტი სხვა მსგავს ძალადობებს დაუდებს სათაეს. ეს საფრთხე კარგად აქვს გაცნობიერებული საერთაშორისო საზოგადოებას, რაც ხელს უწყობს 2008 წლის აგრესიასთან დაკავშირებით კრემლის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მიმართ მართებული ხედვის ჩამოყალიბებას. ამ კონტექსტს უშუალოდ ეხმიანება რ. ასმუსი განმარტება, რომლის თანახმად, "ბევრი ალბათ საქართველოს შეცდომებს მოიმიზეზებს ან მისი პრეზიდენტის ზედმეტად ფეთქებად ხასიათს... შესაძლოა ეს მიზეზები არც მთლად უსაფუძვლო იყოს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პარიზის ქარტიის ძირეული პრინციპები — თანაბარი უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ალიანსში ნებაყოფლობითი გაწევრიანების უფლება — ახალი, ციცი

7. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა, თბ. 2010, გვ. 34, გვ. 196

ომის შემდგომი წესრიგის ქვაკუთხედად უნდა ქცეულიყო. ამ პრინციპების დაცვა-დაუცველობა არ შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ პრეზიდენტის პიროვნული თვისებებით ან ქვეყნის წარმატების ნიშნულით საშინაო რეფორმებისა თუ საგარეო პოლიტიკაში. იმთავითვე მათი დანერგვა სწორედაც რომ მცირე სახელმწიფოების უფრო ძლიერთა მტაცებლური მიდრეკილებებისაგან დაცვას გულისხმობდა — მათი ხელშეუხებლობა აუცილებელი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი გამოწვევის შემთხვევაში, თუკი გვსურდა, რომ ცივი ომის შემდგომი წესრიგი ცარიელ სიტყვებად არ დარჩენილიყო". [8]

საერთაშორისო საზოგადოებისთვის, საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისთვის 2008 წლის სამხედრო აგრესია განსაკუთრებით საშიში პრეცედენტია იმ მხრივაც, რომ ამ დროს მოხდა სრულიად აშკარა ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი "მემორიალი" თავის ანგარიშში, რომელიც 2008 წლის 11 სექტემბერს გამოქვეყნდა, წერს: "ამჟამად, ეთნიკურად ქართული სოფლები, რომლებშიც ჩვენ ვიყავით კეხვი, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, ერედვი, ვანათი, ავნევი), პრაქტიკულად მთლიანად გადამწვარია. დღესაც, საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ბოლო გადარჩენილ სახლებს წვავენ ყოველდღიურად. ჩვენ ამ სოფლებში ახალ-ახალი ცეცხლის გაჩენის მოწმენი ვხდებით". [9]

ქართული სოფლების ეთნოწმენდის ფაქტები "ჰუმან რაითს ვოჩს" დოკუმენტურად აქვს დაფიქსირებული, მათ შორის, სატელიტური ფოტოების სახით.[10] ("ჰუმან რაითს ვოჩის" მოხსენებაში დადასტურებულია ასევე კლასტერული ("კასეტური") ჭურვების გამოყენება რუსულ და ქართულ მხარეთა მიერ. ნაპოვნია უტყუარი სამხილები ამ ტიპის ჭურვების განურჩეველი გამოყენებისა დასახლებულ ადგილებში, რაც საერთაშორისო ნორმათა დარღვევაა. ხაზგასასმელია, რომ, მოხსენების თანახმად, ქართული მხარე თავიდანვე დათანხმდა ამ საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებაზე, რუსეთის ფედერაციამ კი კატეგორიულად უარყო ასეთი წინადადება). [11]

---

8 რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა, თბ. 2010, გვ. 15

9 Memorial Human Rights Center, "A Month after the War, Violations of Human Rights and Nopms of Humanitarian Law in the Conflict Zone in South Ossetia", September 11, 2008.

10. Up in Flames, Humanitarian Law Violationa and Civilian Victims in the conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 2009, p. 131. http://www.hrw.org/en/news/2008/08/27/georgia- satellite-images-show-destruction-ethnic-attacks

11. Human Rights Watch, Georgia: More Cluster Bomb Damage Than Reported, November, 2008

ევროსაბჭოს მომხსენებელმა ლუკ ვან დენ ბრანდემ 2008 წლის სექტემბერში დააფიქსირა, რომ "ზოგან, მთლიანად სოფლებს ბულდოზერი გადაატარეს და თითქოს წაშალეს". [12]

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური წმენდის მოწყობაშიც კი კრემლის მიერ ღია მხარდაჭერით გათამამებული კოკოითი გამომწვევად აცხადებდა: "ჩვენ სასტიკი ქმედება ჩავიდინეთ, ვიცი. მაგრამ ქართველები აქ აღარ დაბრუნდებიან. ჩვენ გადავწვით მათი ყველა სახლი ანკლაევების ტერიტორიაზე". [13]

27 აგვისტოს, ცხინვალის რეგიონში მყოფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბ. კუშნერმა ევრონიუსისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: "აქ არის სამხრეთი ოსეთის რუკა და ეს არის ქალაქი, რომელსაც ახალგორი ჰქვია. მე მეუბნებიან, რომ ამ ღამით რუსეთის სამხედრო ძალები მის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან და ქართველებს იქიდან საზღვრის მიღმა ერეკებიან. ეს არის ეთნიკური წმენდა, ჰომოგენური სამხრეთი ოსეთის შესაქმნელად. ეს მიუღებელია. ყველაფრის პატიება შეუძლებელია". [14]

ცხინვალის რეგიონში მომხდარ ეთნოწმენდის ფაქტებზე ყურადღება გამახვილებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებში ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთი ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება"; "ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში ისევე როგორც რუსეთისა და დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არაღკვეთას და დამნაშავეების არდასჯას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს"). [15] სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, საქართველო ითხოვდა და ახლაც ითხოვს საერთაშორისო სასამართლო სტრუქტურათა აქტიურ ჩართვას კონფლიქტების დროს ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების პროცესში და დამნაშავეთა სათანადოდ დასჯას მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად (2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ მართლმ-

12. Memorandum: The situation on the ground in Russia and Georgia in the context of the war between these countries, ad hoc committee of the Bureau of the Assembly, prepared by Mr. Luc Van den Brande (Belgium, EPP/CD), 29 September 2008. Doc. 11720 Addandum II

13. "Комсомольская Правда", 22 აგვისტო, 2008.

14. http://www.euronews/2008/08/27/koushner-claims-ethnic-cleansing-in-georgia/

15. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები: 1633, 02.10.2008, 1647, 28 01.2009

საჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ კრემლის მიერ 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის გამო).

2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 412 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის, 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი. უგზო-უკელოდ დაკარგულად ითვლება 24 ადამიანი. დაიჭრა საქართველოს 1747 მოქალაქე; მათგან 973 სამხედრო მოსამსახურე, 547 მშვიდობიანი მოქალაქე და 227 პოლიციელი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა 3 და დაიჭრა 4 ჟურნალისტი (დაღუპულთაგან 1 უცხოელია და 2 ქართველი).[16]

ომის შედეგად 133 ათასმა ქართველმა დატოვა თავისი სახლ-კარი (უშუალოდ ცხინვალის რეგიონიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან და მათგან დაახლოებით 25 000 უკან ვერ ბრუნდება).

2008 წლის აგვისტოში კრემლმა ჯერ სრულმასშტაბიანი აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ კი — 26 აგვისტოს ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებლობა". ამ ქმედებებით მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, სრულიად უგულებელყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით (N 243) საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ყველა შეიარაღებული ქვედანაყოფი, მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ძალები, "საოკუპაციო საჯარისო შენაერთად" გამოაცხადა, ხოლო აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად.

აგვისტოს აგრესიის დროს და შემდგომ პერიოდში კრემლმა, ფაქტობრივად, ყველა ძირითადი სამართლებრივი ნორმა დაარღვია.

დავიწყოთ ომის წარმოების ძირითადი პრინციპებით. საერთაშორისო სამართალი ომის შემთხვევისთვის (casus beli) სამართლებრივი პრინციპების ორ ჯგუფს გამოყოფს: ომის წინა, ანუ ომის დაწყების სამართლებრივი პრინციპები – jus ad belum და ომის წარმოების სამართალი – jus in belo.

ომის დაწყების სამართალი 6 პრინციპს ეფუძნება. ესენია:

1) სამართლიანი საქმე, რაც გულისხმობს თავდაცვას აგრესორისგან, რისი უფლებაც ყველა ქვეყანას გააჩნია, ან მოკავშირე ქვეყნის

16. საქართველოს მთავრობის ანგარიში, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბ. 2009, გვ. 70

დაცვას, რომელიც აგრესიის მსხვერპლი გახდა მესამე სახელმწიფოს მხრიდან (კოლექტიური თავდაცვის უფლება).

2) ლეგიტიმური ხელისუფლება: საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, ანუ უმაღლეს მთავარსარდალს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, ხოლო თუ ომი არის შეტევითი და არა თავდაცვითი, მაშინ ამისათვის აუცილებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქცია.

3) კეთილი ნება: არცერთმა სახელმწიფომ, სამართლიანი ომის შემთხვევაშიც კი არ უნდა გამოიყენოს სამხედრო წარმატება მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაციისა და ანექსიისთვის.

4) წარმატების ალბათობის პრინციპი: თუ წარმატების შანსი მინიმალურია, ან გამარჯვებით მიღებული სარგებლობა საგრძნობლად ჩამორჩება მოყენებულ ზარალს (პოლიტიკურს, მატერიალურს თუ მორალურს) სახელმწიფომ ომის დაწყებისგან თავი უნდა შეიკავოს.

5) თანაფარდობის პრინციპი: სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებისა და დიდი ძალების გამოყენებისაგან, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად მცირე სამხედრო ოპერაციაც საკმარისია. ასევე უნდა გაითვალისწინოს თანაფარდობის პრინციპი სახელმწიფომ, რომელსაც გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან აქვს საქმე.

6) უკიდურესი ზომის პრინციპი: არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა დაიწყოს საომარი მოქმედებები მანამ, ვიდრე მთლიანად ამოწურული არ იქნება ზემოქმედების ყველა მშვიდობიანი საშუალება (დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური, მორალური), ანუ როდესაც ომის დაწყების გარდა სხვა არჩევანი აღარ არსებობს.

რაც შეეხება ომის წარმოების სამართალს, იგი ორ პრინციპს ეფუძნება:

1) თანაფარდობის პრინციპი საომარ მოქმედებათა პროცესში: კონკრეტული მიზნის მისაღწევად არ უნდა იქნეს გამოყენებული საჭიროზე აღმატებული ძალები.

2) გარჩევითობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მშვიდობიანი მოსახლეობის და არაკომბატანტური პერსონალის, საცხოვრებელი რაიონების, სამედიცინო, სასწავლო, საკულტო და კულტურულ დანიშნულებათა ხელშეუხებლობას; გარდა ამისა მასობრივი განადგურების იარაღისა (ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქოტრონული) და, სამხედრო ტყვეთა მიმართ, ჟენევის კონვენციით აკრძალულ ქმედებათა გამოუყენებლობას (კონვენცია კრძალავს ძალადობას, წამებას, ნების-

მაერი ფორმის იძულებით ზემოქმედებასა და ადამიანისთვის შეუფერებელი პირობების შექმნას).

ახლა შეიძლება შევაფასოთ, თუ რამდენად დაიცვა რუსეთმა ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის დროს.

jus ad belum:

სამართლიანი საქმის პრინციპი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს საკუთარი ქვეყნის ან მოკავშირის დაცვას აგრესიისგან. რუსეთი რომ ამ შემთხვევაში თავს არ იცავდა ყველასათვის ცხადია; რაც შეეხება მოკავშირის დაცვას მესამე ქვეყნის აგრესიისაგან, ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" არათუ რუსეთის მოკავშირე სახელმწიფო არ არის, იგი საერთოდ სახელმწიფოს – საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენს და ვერც აგრესორ "მესამე" ქვეყანაზე ვიმსჯელებთ იმ მარტივი მიზეზით, რომ საქართველო ცხინვალის რეგიონისთვის "მესამე ქვეყანა" არ გახლავთ, ეს სეპარატისტული რეგიონი დე იურე საქართველოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო პასუხი გაეცა სეპარატისტების უწყვეტი ცეცხლისთვის ქართული სოფლების მიმართ, რომელიც 1-დან 7 აგვისტომდე გრძელდებოდა, რათა დაეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა და რაც მთავარია, 7 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმია შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე; ქართული ჯარის მიერ 8 აგვისტოს ცხინვალის დაკავება საპასუხო რეაქცია იყო სწორედ ამ აგრესიაზე და რუსული არმიის შეჩერებას ისახავდა მიზნად. აქედან გამომდინარე, სამხედრო ინტერვენციის გამართლების მიზნით კრემლის მიერ დასახელებული მოტივი — თავისი მოქალაქეების დაცვა — აშკარა სიცრუეა. ამრიგად, რუსეთის მიერ უხეშად არის დარღვეული ომის დაწყების სამართლის პირველი პრინციპი – სამართლიანი საქმე.

დარღვეულია ლეგიტიმური ხელისუფლების პრინციპი. კრემლს საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი ომის დაწყების წინ საომარი მდგომარეობა არ გამოუცხადებია და არც გაეროსთვის მიუმართავს სანქციის მისაღებად, ისე დაიწყო საბრძოლო მოქმედებები.

სრულიად უგულებელყოფილ იქნა კეთილი ნების პრინციპი, როდესაც რუსეთმა საშხედრო წარმატება სწორედ აგრესიის მსხვერპლი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის (გორი, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი) და ფაქტობრივი ანექსიისთვის (აფხაზეთი და ე.წ. "სამხრეთი ოსეთი") გამოიყენა.

არ იქნა დაცული თანაფარდობის პრინციპი, როდესაც რუსეთმა

თითქოსდა მთავარი მიზნის მისაღწევად — ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობის "დასაცავად" საკმარისზე ბევრად აღმატებული ძალები და საშუალებები გამოიყენა; აგრეთვე, განახორციელა იმ ტერიტორიების ოკუპაცია, რომლებიც რამდენიმე ათეული კილომეტრით შორს არის კონფლიქტის ზონიდან.

იგნორირებულ იქნა უკიდურესი ზომის პრინციპი. რუსეთმა არათუ ყველა მშვიდობიანი საშუალება არ ამოწურა, არამედ შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე ბევრად ადრე თქვა უარი კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე.

Jus in belo:

რუსეთმა დარღვია ომის წარმოების სამართლის პირველი — თანაფარდობის პრინციპი, როდესაც მან აეიაციით დაბომბა კონფლიქტის ზონიდან შორს მყოფი რაიონები და გამოიყენა შეუსაბამოდ დიდი ძალები ამ ტერიტორიების ოკუპაციისთვის.

რუსეთმა უხეშად დაარღვია გარჩევითობის პრინციპი, როდესაც ბომბავდა საცხოვრებელ უბნებს გორში და სხვა ქალაქებში, არასამხედრო დაწესებულებებს, ანადგურებდა ბავშვთა დასასვენებელ ბანაკს სოფელ განმუხურში, ესროდა ექიმებს და აწამებდა სამხედრო ტყვეებს.

ასე რომ, ომისთვის განკუთვნილი საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებიდან კრემლმა თითქმის ყველა უგულებელყო.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრთი ოსეთის" დამოუკიდებლობა ცნო, რითაც დაარღვია გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალი რეზოლუცია, რომელიც მის მიერვეა ხელმოწერილი. მაგალითად, 2008 წლის 15 აპრილის რეზოლუციის თანახმად, უშიშროების საბჭოს წევრი-სახელმწიფოები (მათ შორის რუსეთიც) ადასტურებენ 'საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში", მხარს უჭერენ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას "მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით", მოუწოდებენ მხარეებს "დაუყოვნებლივ დაასრულონ მუშაობა დევნილთა დაბრუნების დოკუმენტზე", კიდევ ერთხელ ადასტურებენ "დევნილთა საკუთრების უფლებას აფხაზეთში არსებულ ქონებაზე" და "ყველა დევნილის უფლებას" დაბრუნდეს თავის სახლ-კარში.

2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ევროკავშირის შუამავლობით შექმნილ 6-პუნქტიან შეთანხმებას, რომლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს "საერთაშორისო დისკუსიების დაწყებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის

პირობების შესახებ". თუმცა დოკუმენტის ხელმოწერიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ პრეზიდენტმა მედვედევმა დაარღვია 12 აგვისტოს შეთანხმება და ცალმხრივად ცნო ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 26 აგვისტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ბრძანებულებები გამომდინარეობს გაეროს წესდებიდან, 1970 წლის დეკლარაციიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ეუთოს 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებიდან.

აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარება ეწინააღმდეგება ყველა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტში, უპირველესად კი, სწორედ ზემოდასახელებულ დოკუმენტებში განმტკიცებულ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს: სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, საზღვრების ურღვევობის, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ გაეროს 1970 წლის დეკლარაცია მკაფიოდ განსაზღვრავს იმ ელემენტებს, რომლებსაც მოიცავს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის ცნება — სახელმწიფოების იურიდიული თანასწორობა; სრული სუვერენიტეტისთვის დამახასიათებელი უფლებების მინიჭება ყოველი სახელმწიფოსთვის; სახელმწიფოების ვალდებულება, პატივი სცენ სხვა სახელმწიფოთა სამართალსუბიექტურობას; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა; ყოველი სახელმწიფოს უფლება თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები; ყოველი სახელმწიფოს ვალდებულება სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები და იცხოვროს მშვიდობიანად სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას განამტკიცებს აგრეთვე ჰელსინკის დასკვნითი აქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას, თავისუფლებასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვი-

დობიანი გზით და მოლაპარაკების საფუძველზე.

ორივე ეს დოკუმენტი კრძალავს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებას და ძალით დამუქრებას ნებისმიერი სახელმწიფოს, როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ჰელსინკის აქტი განამტკიცებს როგორც მონაწილე-სახელმწიფოების, ისე ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის პრინციპს და ავალდებულებს მათ, თავი შეიკავონ ნებისმიერი მოთხოვნის ან ქმედებისგან, რომელიც მიმართულია ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორიის ან მისი ნაწილის უზურპაციის ან მიტაცებისკენ.

ძალზე მნიშვნელოვანია ჰელსინკის აქტის IV პრინციპიც, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის აუცილებლობას და ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ერთიანობის წინააღმდეგ. სახელმწიფოებს ეკრძალებათ ერთმანეთის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის ობიექტად გადაქცევა.

ორივე დოკუმენტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოთა საშინაო თუ საგარეო საქმეებში ნებისმიერი სახით ჩარევის დაუშვებლობას. მათ თავი უნდა შეიკავონ მეორე მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ჩარევის ნებისმიერი ფორმისაგან.

აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით ზემოჩამოთვლილ პრინციპებთან ერთად დაირღვა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი. იგი განმტკიცებულია გაეროს წესდებაში (პირველი და 55-ე მუხლები), გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის დეკლარაციაში კოლონიური სახელმწიფოებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, 1966 წლის საერთაშორისო პაქტებში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომლებშიც თვითგამორკვევის უფლება გულისხმობს ხალხის უფლებას, თავისუფლად დააწესოს თავისი პოლიტიკური სტატუსი და თავისუფლად უზრუნველყოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. მსგავს დებულებას შეიცავს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ. იგი აკონკრეტებს, რომ ამ უფლების განხორციელება ხალხს შეუძლია „გარედან ჩარევის გარეშე“. აღსანიშნავია, რომ

თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია არ ნიშნავს სახელმწიფოდან გამოყოფის დასაშვებობას, თუ ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს აქვს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და თავისი პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობა. ამას ადასტურებს სწორედ ის დოკუმენტები, რომლებიც ხალხის თვითგამორკვევის უფლებას ითვალისწინებს. კოლონიური სახელმწიფოებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გენერალური ასამბლეის 1960 წლის დეკლარაცია თვითგამორკვევის უფლების დეკლარირებასთან ერთად ადგენს, რომ „ქვეყნის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივ ან მთლიანი განადგურებისკენ მიმართული ნებისმიერი მცდელობა შეუსაბამოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებთან“. გაეროს წესდებაში კი, მის ამოცანებსა და პრინციპებს შორის ხაზგასმულია ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებობის წინააღმდეგ (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი).

დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თვითგამორკვევის უფლების აღიარება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც სანქციის მიმცემი ან წამახალისებელი მოქმედება, რომელიც გამოიწვევს იმ სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური ერთიანობის ნაწილობრივ თუ მთლიან დარღვევას, რომლებიც იცავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და რომლებსაც ჰყავთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი ხალხის წარმომადგენელი მთავრობები.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებული თვითგამორკვევის უფლება ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და პოლიტიკური ნების გამოხატვის შესაძლებლობას და არ გულისხმობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და სახელმწიფოდან გამოყოფას. შესაბამისად, აფხაზეთისა და ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” დამოუკიდებლობის აღიარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, მის მოთხოვნებსა და ძირითად პრინციპებს.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებში აღნიშნულია, რომ ”აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის” ცნობა მოხდა ”აფხაზი და ოსი” ხალხის ნების გამოვლენის საფუძველზე. უნდა ითქვას, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის

ტერიტორიაზე ლეგიტიმური რეფერენდუმი მხოლოდ ერთხელ, 1991 წლის 31 მარტს გაიმართა (აფხაზების გარკვეული ნაწილის მიერ რეფერენდუმის ბოიკოტირების მიუხედავად, აფხაზეთის მოსახლეობის საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა, და არა რეფერენდუმზე მისულთა, 59,8 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული სწორედ ამ რეფერენდუმის საფუძველზე აღდგა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს. რაც შეეხება სეპარატისტთა ე.წ. "რეფერენდუმებს", მათ ლეგიტიმურობაზე საუბარიც კი ზედმეტია. მაგალითად, აფხაზეთში ასეთი "დამოუკიდებლობის რეფერენდუმი" 1999 წელს ჩატარდა, როცა 1992-1993 წწ. ეთნიკური წმენდის შედეგად მოსახლეობის 2/3 უკვე კარგა ხნის გამოდევნილი იყო. აქედან გამომდინარე, 1999 წლის და სხვა მსგავსი ფსევდორეფერენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ, ცხადია, უკანონოდ იქნა ცნობილი.

სწორედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი ამომრჩევლების საერთო-სახალხო გამოკითხვა — პლებისციტი მოეწყო 1996 წლის 23 ნოემბერს საქართველოსა და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი). პლებისციტი ჩატარდა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. საპარლამენტო არჩევნების საპირისპიროდ და მასში მონაწილეობა მიიღო 223 ათასზე მეტმა ადამიანმა, რაც აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე მცხოვრები ამომრჩევლების დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს. გამოკითხულებმა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, პრაქტიკულად ერთხმად დაგმეს აფხაზ სეპარატისტთა მიერ დანიშნული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები და უკანონოდ ცნეს იგი.

ამ პლებისციტმა დაადასტურა აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული არჩევნების არალეგიტიმურობა, ვინაიდან მოეწყო აფხაზეთის კანონიერი ამომრჩევლის უმრავლესობის — აფხაზეთიდან დევნილთა ნების უგულებელყოფით. ანალოგიური ვითარება იყო ყველა სხვა არჩევნებისა თუ ე.წ. "დამოუკიდებლობის რეფერენდუმის" ჩატარების დროს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ არალეგიტიმურობას.

რაც შეეხება კრემლის მცდელობას, პარალელი გაავლოს კოსოვოსა და საქართველოს რეგიონებს შორის, უნდა ითქვას, რომ ეს მცდელობა სრულიად უსაფუძვლოა. მათი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ კოსოვოში განხორციელდა იქაური ალბანელების გენოციდი

და ეთნიკური წმენდა მილოშევიჩის რეჟიმის მიერ, რაც გახდა კიდევ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების წინაპირობა. დიამეტრულად განსხვავებული მდგომარეობაა აფხაზეთში, სადაც ეთნიკური წმენდა ქართველების მიმართ განხორციელდა. აღნიშნული ფაქტი არაერთხელ დააფიქსირეს ეუთოს შეხვედრებზე მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებმაც გამოთქვეს ღრმა შეშფოთება ძირითადად ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელ-ებული "ეთნიკური წმენდის" გამო (ეუთოს ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუცია — 1994 წლის 6 დეკემბერი; ეუთოს ლისაბონის დეკლარაცია — 1996 წლის 2-3 დეკემბერი; ეუთოს სტამბოლის დეკლარაცია — 1999 წლის 19 ნოემბერი).

ასე რომ, კრემლის პოზიცია, თითქოს აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, მიუღებელია, რასაც საერთაშორისო საზოგადოების რეაქციაც მკაფიოდ ადასტურებს.

მოსკოვის ქმედებები ერთსულოვნად, მკაცრად დაგმო დასავლეთმა (შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა, ნატომ, ევროსაბჭომ). რუსეთის პრეზიდენტის აქტიური მცდელობების მიუხედავად, კრემლის პოზიცია არ გაიზიარა არც "აღმოსავლეთმა". შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის 28 აგვისტოს დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ დუშანბეს სამიტის მონაწილენი "ხაზს უსვამენ სახელმწიფოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის აუცილებლობას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად". შეგახსენებთ, რომ შანხაის ორგანიზაციას პროდასავლურ ორგანიზაციად არ მოიაზრებენ და დუშანბეს დეკლარაციას, რუსეთის პრეზიდენტთან ერთად, ხელი მოაწერეს ჩინეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ლიდერებმა. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის უპირველესი დებულებებს დასავლური დემოკრატიებიც იზიარებენ და აღმოსავლური ავტოკრატიებიც, ანუ ის, რაც ჩვენთვის ჩვენი სამშობლოს მთლიანობაა, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ერთ-ერთი უპირველესი სამართლებრივი ღირებულებაა.

ღღეისათვის რთული რეალობიდან გამომდინარე, ხშირად პოლიტოლოგთა მიერ უკვე ასე დაისმის საკითხი: არსებობს კი საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ღირებულებები, საერთაშორისო მორალი? საქართველოს მიმართ მსოფლიოს ერთსულოვანმა მხარდაჭერამ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს მიეკუთვნება, რომლებიც მთელ საერთაშორისო საზოგადოებას აერთიანებს. საკმარისია

ითქვას, რომ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა მიუღებელი აღმოჩნდა როგორც სერბეთის, ასევე კოსოვოს მთავრობებისთვის. კრემლის დანაშაულებრივი, საერთაშორისო სამართლის უგულებელმყოფი პოლიტიკა მისაღებია მხოლოდ, მაგალითად, დანიელ ორტეგას ან უგო ჩაესის მარგინალური რეჟიმებისთვის.

საერთაშორისო ღირებულებები და სამართალი ნამდვილად არსებობს, მაგრამ არაერთი საერთაშორისო კონფლიქტის ისტორია ადასტურებს, რომ არ არსებობს ეფექტიანი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც დაიცავს ამ ღირებულებებსა და სამართალს. 1998-99 წწ. კოსოვოში მიმდინარე ეთნოწმენდის შესაჩერებლად გაეროს რეზოლუცია კი მიიღო, მაგრამ ამ რეზოლუციის მოთხოვნათა რეალურად შესრულება მხოლოდ ნატოს სამხედრო ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დროს გაეროს უშიშროების საბჭო რამდენჯერმე შეიკრიბა, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილება დღემდე ვერ მიიღო. საქართველოსთან დაკავშირებით აუცილებელია საერთაშორისო სტრუქტურების გააქტიურება, უპირველესად, გაეროს გენერალური ასამბლეის იმ რეზოლუციების შესრულების მიმართულებით, რომლებიც დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას ითვალისწინებს.

ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარია, რატომ დაუპირისპირდა კრემლი ასე ერთბაშად, ღიად საერთაშორისო სამართალსა და მსოფლიო საზოგადოებას, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს არ იყო სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება. იმპერიული რუსეთისთვის დემოკრატიული საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისკენ ნიშნავს კონტროლის დაკარგვას საქართველოზე, და პერსპექტივაში, მთელ კავკასიაზე. კრემლს "უღირდა" საერთაშორისო სამართლის თუნდაც ასეთი აშკარა უგულებელყოფა, ოღონდ კი მიზნისთვის მიეღწია და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობით, ფაქტობრივად, დაეშალა საქართველო.

დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მიზანმიმართულად მოამზადა და განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, საერთაშორისო სამართლის სრული უგულებელყოფით, აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პროცესი დაასრულა. ამის შემდეგ ყველასათვის აშკარა გახდა, რომ "რეალურად, ცალკეულ დეტალებს ალბათ იმთავითვე არ ჰქონდა არანაირი მნიშვნელობა — მოსკოვის ჭეშმარიტი მიზნები არანაირად არ ითვალისწინებდა არც ისტორიას, არც ზნეობრივ მოსაზრებებს და არც საერთაშორისო სამარ-

თლის პრინციპებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ქველაფერს სწორედ ამგვარი ცნებებით ნიღბავდა".[17]

აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარების შემდეგ კრემლმა გააფორმა ხელშეკრულებები ბაღაფშთან და კოკოითისთან, როგორც "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრეზიდენტებთან". საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ან ეკონომიკური აქტიორობის გამართლების მიზნით, ამ ქვეყნის ოფიციალური პირები ხშირად საუბრობენ ზემოხსენებული "საერთაშორისო ხელშეკრულებებით" ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ასეც რომ იყოს და კრემლს ბაღაფშთან და კოკოითისთან მართლაც საერთაშორისო ხელშეკრულებები დაედო, მისი ქმედებები მაინც უკანონო იქნებოდა, რადგან გაეროს წესდების 103-ე მუხლის თანახმად, "როცა გაეროს წევრის ვალდებულებები, რომლებიც გაეროს წესდებით არის გათვალისწინებული, ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის მიერ ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულულებებს, ასეთ შემთხვევაში უპირატესი ძალა აქვს გაეროს წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს." ანუ, როცა კრემლი ბაღაფშთან და კოკოითისთან გაფორმებულ "საერთაშორისო ხელშეკრულებებს" იშველიებს, ეს სრულიად უუჯი მცდელობაა, რადგან მისი დანაშაულებრივი ქმედებები ეწინააღმდეგება გაეროს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც გაეროს წევრი სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, აგრესიის დაუშვებლობას ეხება.

აქვე ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ტალიავინის კომისიის მოხსენებაზე, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ეს იყო „ფაქტების დამდგენი, დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით". მოხსენებაში, ფაქტობრივად, უარყოფილია კრემლის ქველა ბრალდება საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ოფიციალური მოსკოვი საქართველოში ინტერვენციას ამართლებდა იმით, რომ თითქოს: 1) საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობის გენოციდს ახორციელებდნენ, 2) ქართული ჯარი საფრთხეს უქმნიდა ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ათასობით "რუსეთის მოქალაქის" სიცოცხლეს, 3) საქართველოს არმია თავს დაესხა რუსეთის "სამშვიდობოებს".

მოხსენების თანახმად, გენოციდის ბრალდებასთან დაკავშირებით, კომისიამ "შესაბამისი სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, საგულდაგულოდ შეისწავლა ფაქტები" და დაასკვნა, რომ

17. რიჩარდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც შეცვალა ისტორია, თბ. 2010, გვ. 112

ვერ აღმოაჩინა "ვერც სამართლებრივი და ვერც ფაქტობრივი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ქართული მხარის მიერ გენოციდის განხორციელებას".[18] კომისიის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ რუსულოსური წყაროები თავდაპირველად აერცელებდნენ ინფორმაციას ცხინვალის რეგიონში 2000 სამოქალაქო პირის დაღუპვის შესახებ, რათა გენოციდის ბრალდება დაესაბუთებინათ, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, დაღუპულთა რიცხვი მხოლოდ 162 იყო.[19]

უფრო მეტიც, კომისიამ ცხინვალის რეგიონში დაადგინა "იძულებითი ადგილნაცვალობის ფაქტები იმ ეთნიკური ქართველებისა, რომლებსაც არ დაუტოვებიათ თავიანთი სახლები საომარი მოქმედებების დროს. გარდა ამისა, დადასტურებულია სისტემატური მოროდიორობა და საცხოვრებლის განადგურება სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართულ სოფლებში". აქედან გამომდინარე, კომისია აფიქსირებს, რომ "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც".[20]

ტალიავინის კომისიამ ასევე საფუძვლიანად შეისწავლა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები "რუსეთის მოქალაქეების" ანუ კრემლის მიერ აქაური მოსახლეობის მასობრივი "პასპორტიზაციის" საკითხი. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთში 2002 წლიდან ამოქმედდა ახალი კანონი, რომელმაც საშუალება მისცა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობას გამარტივებული წესით მიეღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა და პასპორტი, მაგრამ "საერთაშორისო სამართლის ნორმათა თანახმად, იმისათვის, რომ სხვა სახელმწიფომ ცნოს ასე მინიჭებული მოქალაქეობა, ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა არის შესაბამისი ფაქტობრივი კავშირის არსებობა აპლიკანტსა და მიმღებ ქვეყანას — ამ შემთხვევაში რუსეთს — შორის და ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური კავშირები, სამოთავრობო ან სამხედრო სამსახურში ყოფნა, დიდი ხნით ცხოვრება ამ ტერიტორიაზე. ამასთანავე, საჭიროა მშობლიური ქვეყნის არაორაზროვანი თანხმობაც. საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა არ არის საკმარისი საფუძველი, რადგან ეს სტატუსი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დროიდან გარდაიქმნა საქართველოს მოქალაქეობად. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით,

18. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. Report 2009. Vol. I. The Conflict in Georgia in August 2008. P. 27
19. იქვე. Vol. I. P.17
20. იქვე. P. 27

ასე მანიჭებული მოქალაქეობის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა შეიძლება ჩათვალოს კანონიერად... არც საქართველო და არც რომელიმე მესამე სახელმწიფო არ არის ვალდებული ცნოს ასეთი "რუსეთის მოქალაქეობა". შესაბამისად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები გახდნენ, ინარჩუნებენ ამ სტატუსს, განურჩევლად "პასპორტიზაციის" პოლიტიკისა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ისინი 2008 წლის კონფლიქტის დროს იყვნენ და ახლაც რჩებიან საქართველოს მოქალაქეებად, სანამ კანონიერი გზით არ იტყვიან უარს ამ სტატუსზე. რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოს მთავრობის დაუკითხავად, საქართველოს ტერიტორიაზე, განლაგებული პროვინციების ჩათვლით, პასპორტების მასობრივი შეტანა, ეწინააღმდეგება კეთილმეზობლობის პრინციპებს, ღია გამოწვევას უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს და წარმოადგენს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას".[21]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს, რომ კრემლმა სრულიად შეგნებულად გაამარტივა რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მასობრივად შემოიტანა რუსეთის პასპორტები, ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისში შემოიყვანა თავისი ჯარებისა და დაქირავებული შეიარაღებული ბანდების ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე, აგვისტოს პირველივე რიცხვებში დაიწყო ქართული მხარის პროვოცირება, ქართული სოფლების დაბომბვა ნალმსატყორცნებით, და შემდეგ, როცა საქართველოს ხელისუფლებას, თავისი მოსახლეობის დასაცავად (8 აგვისტომდე უკვე იყვნენ დაღუპულები და თხუთმეტზე მეტი დაჭრილი) სხვა გზა აღარ დარჩა, თუ არა საპასუხო დარტყმები განეხორციელებინა, რუსეთმა ღია, ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. აშკარაა, რომ "რუსეთის მოქალაქეების" დაცვა მხოლოდ ერთ-ერთი საბაბი იყო ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შემოჭრისთვის (ხაზგასასმელია, რომ აფხაზეთში ქართული მხრიდან საერთოდ არანაირი აქტიურობა არ ყოფილა, სოხუმზე "შეტევაზე" რომ არაფერი ვთქვათ). შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარლ ბილდტმა იმ პერიოდში ოფიციალურად დააფიქსირა, რომ, რუსეთის პასპორტის მქონე პირთა დაცვის მოტივით, რუსეთის ჯარების შემოჭრამ საქართველოში მას გაახსენა ცნობილი "დოქტრინა", რომელსაც, მაგალითად, ჰილერიც იყენებდნენ მეზობელი ქვეყნების

21 Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. I, The Conflict in Georgia in August 2008, P. 12

ტერიტორიათა დაპყრობის შესანიღბად.[22]

რაც შეეხება რუსეთის "სამშვიდობოებზე" თავდასხმას; მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, კრემლის განცხადებით, 8 აგვისტოს დილით საქართველოს ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის "სამშვიდობოებს", რის შედეგადაც, 2 მშვიდობისმყოფელი დაიღუპა და 5 დაიჭრა. იქვე მოტანილია მომხდარის ქართული ვერსია, რომ "სამშვიდობოებზე" გამიზნული თავდასხმა არ ყოფილა და რომ ქართული სამხედრო ქვედანაყოფი იძულებული გახდა ცეცხლითვე ეპასუხა "სამშვიდობოების" განლაგების ადგილიდან გახსნილი ცეცხლისთვის. მოხსენების თანახმად, ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიას "არ მოეპოვება დამოუკიდებელი წყაროს ანგარიში, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა რომელიმე მხარის პოზიციას". თუმცა, კომისია დასძენს, რომ "მაშინდელი სახიფათო პირობების გათვალისწინებით, დანაკარგი რუს სამშვიდობოთა შორის მართლაც სავარაუდოა" და ქართული ჯარის მიერ რუსეთის "სამშვიდობოების" მიმართ "ძალის გამოყენება გაუმართლებელი იყო".[23]

კომისია განმარტავს, რომ თავისი "სამშვიდობო" ბატალიონის დაცვის მიზნით, რუსეთს ჰქონდა უფლება სწრაფი რეაგირება მოეხდინა თავდასხმაზე, მაგრამ "ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია საქართველოს ერცელ ტერიტორიაზე, კოდორის ხეობის დაბომბვა, შეიარაღებული შენაერთების განლაგება ძირითადი ქართული ქალაქების ახლოს, საგზაო მაგისტრალებზე კონტროლის დამყარება და რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის განლაგება საქართველოს სანაპიროსთან, ყოველივე ეს, თუნდაც ძალზე პირობითად, შეუძლებელია დავაკავშიროთ სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების საფრთხესთან. მით უმეტეს, ვერანაირი გარემოებით ვერ გამართლდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაგრძელებული ნგრევა-განადგურება" (ნაწილი I, პუნქტი 21).

აუცილებელია ითქვას, რომ თვით რუსულ მედიაწყაროებში არაერთხელ არის დაფიქსირებული, თუ როგორ იკრიბებოდნენ საბრძოლო მოქმედებების დროს კოკოითის მარიონეტული რეჟიმის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები "სამშვიდობოების" შტაბში და ამ ტერიტორიიდან ხდებოდა თავდასხმა საქართველოს სამხედრო შენაერთებზე.[24] ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, "სამშვიდობოთა" მთავარი შტაბი, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც, კანონიერ სამიზნედ იქცა ქართული ჯარისთვის. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი დამკვირვებლისთვის ცხადია, რომ როცა "რუსი სამშ-

22. http //www.sweden.gov.se/sb/d/587/a/109203

23. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol I, The Conflict in Georgia in August 2008, P. 27

24. http://www.osradio.ru/news/genocide/eid/14326.html http://kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1089120

ვიდობოები ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად დანარჩენ რუსულ და სამხრეთ ოსურ ძალებთან გაერთიანდნენ, განსხვავება სამშვიდობოებსა და არასამშვიდობოებს შორის რეგიონში სრულიად წაიშალა... რეალობა ისაა, რომ ხსენებულ სამშვიდობო ძალებს უკვე კარგა ხანია ნეიტრალური აღარ ეთქმოდა და ვერც მშვიდობისმყოფელებად ჩაითვლებოდნენ — ამ ცნების საყოველთაო გაგებით... ხშირ შემთხვევაში ისინი არათუ უმოქმედობას იჩენდნენ, არამედ საკუთარ პოზიციებსაც კი უთმობდნენ ოსებს ცეცხლის გასახსნელად. ისინი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილად იქცნენ და ერთგვარად დაუპირისპირდნენ კიდეც საერთაშორისო თანამეგობრობას, რომლის ეგიდითაც, წესით, უნდა ემოქმედათ". [25]

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რუსეთის "სამშვიდობოებზე" თავდასხმა ან "ცხინვალის მოსახლეობის გენოციდი" მხოლოდ კრემლის მიერ ინტერვენციის შესანიღბად გამოგონილი "ლეგენდა" იყო და რომ რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს ხელისუფლების დამხობას და ქვეყნის სრულ ოკუპაციას ისახავდა მიზნად. ამიტომ, პოლემიკა იმის შესახებ, თუ 7/8 აგვისტოს ვინ გაისროლა პირველად და რა იარაღიდან, ნაკლებად სერიოზულია. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ტალიავინის კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, ერთი მხრივ, "მისია არ მიიჩნევს საკმარისად დასაბუთებულად ქართულ ბრალდებას სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შეჭრის შესახებ 2008 წლის 8 აგვისტომდე" (კრემლის ოფიციალური ვერსიით, ეს დაიწყო 8 აგვისტოს 14.30 საათზე), მაგრამ, მეორე მხრივ, იქვე დაფიქსირებულია, რომ "როგორც ჩანს, რუსეთის ტერიტორიიდან, როკის გვირაბისა და კავკასიონის უღელტეხილების გავლით, სამხრეთ ოსეთში მოხალისეთა და დაქირავებულთა შემოდინება აგვისტოს პირველ რიცხვებში მოხდა, ისევე როგორც რუსეთის გარკვეული ჯარები, სამშვიდობო ბატალიონის გარდა, 8 აგვისტოს 14.30 საათამდე შევიდნენ სამხრეთ ოსეთში.... ასევე, როგორც ჩანს, რუსეთის სამხედრო ავიაციამ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების დაბომბვა, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ, 8 აგვისტოს დილით დაიწყო ანუ იმ დრომდე, რომელიც აღნიშნულია რუსეთის ოფიციალურ ინფორმაციაში" (ნაწილი I, პუნქტი 16).

აქვე დავაზუსტებთ, რომ "ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისია" 2008 წლის 2 დეკემბერს შეიქმნა და თავისი მოხსენება 2009 წლის 31 იელისს უნდა წარმოედგინა, თუმცა დოკუმენტი მხოლოდ 30 სექტემ-

25 რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი. რომელმაც შეარყია ევროპა. თბ. 2010. გვ. 47, 49

ბერს იყო შზად. რეაწეერიან მისიაში ჰაიდი ტალიავინის ორ დიპლომატ მოადგილესა და ორ სამხედრო ექსპერტთან ერთად სამი ექსპერტი სამართლებრივ სფეროს წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ ამ სამიდან ორს, კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ჰქონდა დადგენილი და გარკვეული ყველაფერი და რაიმე მტკიცებულების გარეშე აღანაშაულებდა საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის ესკალაციაში (იხ. ქრისტოფერ ლენგტონის სტატია "საქართველოს ოცნება გაცამტვერდა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს"[26] და ოტო ლუხტერჰანდტის "ქართული ომის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები" /2008, სექტემბერი/).[27] იმავე ოტო ლუხტერჰანდტმა, კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში[28] დაიწუნა ევროპული სახელმწიფოების პოზიცია აფხაზეთის არცნობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მათ მიერ აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" ცნობა "ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შესუსტებას". [29]

არადა, ეს დამოუკიდებელი ექსპერტი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია და მისთვის თუნდაც კომისიის დასკვნიდან უნდა იყოს ცნობილი, რომ აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდის შედეგად (ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეთნოწმენდის ფაქტი დადასტურებულია ეუთოს სამი სამიტის რეზოლუციაში) 300 ათასზე მეტი ადამიანი დევნილად იქცა. ლუხტერჰანდტს ხელი აქვს მოწერილი დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ "სამხრეთ ოსეთი არ უნდა იქნეს აღიარებული... ისევე, როგორც აფხაზეთი. მართალია, ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის ნიშნებს, მაგრამ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი არსებითად არალეგიტიმურია, რადგან აფხაზეთს არასოდეს ჰქონია სეცესიის უფლება. უფრო მეტიც, ადამიანის (და ეთნიკური უმცირესობის) უფლებათა დაცვის თვალსაზრისით აფხაზეთი არ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, განსაკუთრებით, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის მხრივ".[30]

საბედნიეროდ, კრემლმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო სიცრუის თავს მოხვევა საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ამას ადასტურებს 2008 წლის შემდეგ, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები (A/RES/63/307, 09/09/2009, A/RES/64/296, 07.09.2010), რომელთა თანახმად, გენერალური ასამბლეა:

26 Financial Times, 08.13.2008.

27. http://www.fesmos.ru/netcat_files/180/74/h_7041cd24d5b6e17627addf39e318dbd1

28. Der Standard, 10 05 2009

29 http://derstandard.at/1254310467832/derStandardat-Interview-Anerkennung-Abchasiens-wuerde-zur-Entspannung-beitragen

30. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. II, 3.1. Comment

1) აღიარებს ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და მისი შთამომავლის უფლებას (განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა) დაბრუნდეს თავის სახლში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ჩათვლით;

2) ყურადღებას ამახვილებს იმ აუცილებლობაზე, რომ პატივცემულ იქნეს საქართველოში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებები და რომ მოქალაქეებმა თავი შეიკავონ ამ უფლებათა დარღვევით საკუთრების შეძენისგან;

3) აღასტურებს ძალის გამოყენებით დემოგრაფიულ ცვლილებათა მიუღებლობას;

4) ხაზგასმით აღნიშნავს საჭიროებას იმისა, რომ შემუშავდეს გრაფიკი საქართველოს კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და დაუბრკოლებელი დაბრუნებისთვის".

ამრიგად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საბოლოოდ გამოაშკარაედა, რომ კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია და აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" "დამოუკიდებლობის" აღიარება არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და ეთნოწმენდის შედეგების დაკანონების მცდელობა ანუ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის წახალისება.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ბუნებრივია, საერთაშორისო თანამეგობრობას გარკვეული დრო დასჭირდა იმისათვის, რომ სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი რეალობისთვის ზედმიწევნით შესატყვისი, მკაფიო შეფასებები მიეცა. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, მაგალითად, საქართველოს პრობლემისადმი თუნდაც მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა შორის ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების სირთულე, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა კრემლი ყოველნაირად ცდილობდა მინიმუმამდე შეემცირებინა საერთაშორისო მხარდაჭერა საქართველოსადმი; მაგრამ, მიუხედავად კრემლის წინააღმდეგობისა, 2010 წელს თანდათანობით გაჩნდა დასავლეთის ცალკეულ სახელმწიფოთა ოფიციალური განცხადებები საქართველოს ტერიტორიათა "უკანონო ოკუპაციის" შესახებ; ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 382-ე (16.11.2010) რეზოლუციამ კი ნათელყო, რომ კრემლის ორწლიანი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა. რეზოლუციის თანახმად:

1) საქართველოს ტერიტორიები: აფხაზეთი და ე.წ. "სამხრეთი ოს-

ეთი" არის ოკუპირებული;

2) ასამბლეა კიდევ ერთხელ აღასტურებს მხარდაჭერას საქარველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ;

3) რუსეთი არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს, ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, სახელდობრ, არ გაჰყავს თავისი ჯარები საქართველოდან კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე;

4) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხდა ეთნიკური წმენდა და იძულებით გადაადგილებულ პირებს არ ეძლევათ თავიანთ სახლებში დაბრუნების საშუალება;

5) რუსეთის პოზიციის გამო, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ვერ ხორციელდება;

6) ჟენევის ფორმატი არის ერთადერთი საერთაშორისო ფორმატი, რომელშიც კონფლიქტის ყველა მხარეა წარმოდგენილი და ის სრულად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა სრულად შესრულდეს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის ეს პუნქტები ზუსტად ასახავს იმ რეალობას, რომელიც არსებობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით და სრულად შეესაბამება იმ პოზიციას, რომლის დამკვიდრებასაც უკვე 2 წელიწადზე მეტი ხანია ცდილობს საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში, საერთაშორისო დოკუმენტებში.

ცხადია, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მსგავსი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთ რეზოლუციებს ოკუპაციისა და ეთნოწმენდის მსხვერპლის "გულის მოსაგებად" არ იღებენ. ამას მოჰყვება საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერის კიდევ უფრო გაფართოება და გაღრმავება და საქართველოს დეოკუპაციის საერთაშორისო მექანიზმების შემუშავება. საბოლოოდ, ეს ყველაფერი კრემლს აიძულებს უკან დაიხიოს, ანუ დაიწყება საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესი, აგრეთვე, საერთაშორისო სასამართლო სტრუქტურათა მიერ კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულთა (უპირველესად კი, ეთნოწმენდის ფაქტთა) გამოძიება და დამნაშავეთა გასამართლება, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

საქართველო და კავკასია

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ ღრმა კვალი დააჩნია მისი განვითარების ისტორიას და მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ფუნქცია კავკასიაში.

გაძლიერებისა და იმპერიად გადაქცევის სურვილის გაჩენისთანავე, ვერც ერთი მეზობელი სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა კავკასიას. თუ ამ სახელმწიფოს მართლაც სურდა იმპერიად ჩამოყალიბება, მას უნდა განემტკიცებინა თავისი საზღვრები კავკასიაში, ან უფრო წინ წასულიყო, ოღონდ კავკასიის გავლით. რაღა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, მას ურთიერთობა უნდა გაერკვია საქართველოსთან, როგორც კავკასიის საკვანძო ქვეყანასთან.

უკანასკნელი დამპყრობელი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შემოვიდა კავკასიაში, რუსეთის იმპერია იყო. მის მიერ კავკასიის დაპყრობის მცდელობას ორსაუკუნენახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ეს გეგმა სრულიად თანმიმდევრულად ხორციელდებოდა.

ძირითადი სტრატეგიული ხაზი შემდეგ ფაქტორებს ეყრდნობოდა:

1. შიდა ფაქტორი – რეგიონის ეთნო-რელიგიური სიჭრელე და, აქედან გამომდინარე, შინაგანი წინააღმდეგობანი;

2. გარე ფაქტორი – ირან-ოსმალეთის უმწვავესი დაპირისპირება კავკასიის საკითხში და საუკუნეების მანძილზე მათ შორის ბრძოლა ამ რეგიონისთვის, რამაც საბოლოოდ, შიდა მიზეზებთან ერთად, საგრძნობლად დაასუსტა ორივე სახელმწიფო და დიდი ხნით ჩამოაშორა დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებს;

3. რუსეთის მიერ საქართველოს „კავკასიის ჭანღარმად“ გადაქცევის სურვილი, რაც ძირშივე ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ როლს;

4. დემოგრაფიული ექსპანსია.

ეს სტრატეგიული ხაზი, ტაქტიკური თვალსაზრისით, შემდეგნაირად განხორციელდა: რუსეთმა კავკასიაში აღმოსავლეთი საზღვრის გამაგრება პეტრე I-ის დროს დაიწყო. 1723 წელს ბაქოში გადმოსხეს დესანტი და რუსეთის სასაზღვრო ზოლი რეშთსა და ასტრახანამდე გაფართოვდა, მაგრამ რუსეთი იმ დროს მოერიდა ახალ ომს ირანსა და ოსმალეთთან და იძულებული გახდა 1735 წელს დაეთმო განჯის ხელშეკრულების თანახმად მიერთებული ტერიტორიები.

1803-1805 წლებში რუსეთმა შეიერთა ყარაბაღის, შაქისა და შირვანის სახანოები. შემდგომი ტერიტორიების სამხედრო ძალით აღებისას

(1804 წელს – განჯის სახანო, 1826-28 წლებში – ნახჭევანი და ორდაბადე) რუსეთი აზერბაიჯანის გაერთიანების მოტივით სარგებლობდა.

თუ რუსეთი მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს დარიალის ხეობაში, მაშინ ჩრდილო კავკასია ორად გაიყოფოდა, რაც რუსული პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. ამის მისაღწევად იმპერია სამხედრო-დიპლომატიური გზების გარდა სადაზვერვო-სამისიონერო ხერხებსაც იყენებდა. ერთ-ერთი ტიპური და ნიშანდობლივი შემთხვევაა 1744 წელს რუსეთის მთავრობის მიერ ოსეთის სასულიერო კომისიის შექმნა, რომელიც ქართველი სასულიერო პირებით იქნა შეუსებული. ეს უკანასკნელნი, იმავდროულად ქართულ საქმესაც აკეთებდნენ – ოსთაგან გამოისყიდეს ქართველი ტყვეები, აერცელებდნენ ქართულ მწიგნობრობას და ოსურ დამწერლობას ქართული ანბანი დაუდეს საფუძვლად.

რუსეთ-ოსმალეთის (1768-1774) ომის დროს, 1771 წელს მთავრობამ ამ კომისიის შემადგენლობა რუსებით შეცვალა, რადგან ამ ომით რუსეთის იმპერიის პოზიციები თანდათანობით იმდენად გაძლიერდა, რომ მას ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად ქართველები უკვე აღარ სჭირდებოდა. 1792 წელს კომისიამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა. მაგრამ 1815 წელს იგი კვლავ აღადგინეს და სათავეში ისევ ქართველი სასულიერო პირი დოსითეოს ფიცხელაური ჩაუყენეს. ეს დანიშნა, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ საქართველოს უკვე აღარავითარი სუვერენიტეტი აღარ გააჩნდა, შეუძლებელი იყო ქართულ კულტურას რაიმე კონკურენცია გაეწია ჩრდილო კავკასიაში რუსულისთვის, ამიტომაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რა ეროვნების ადამიანი შეასრულებდა რუსეთის მთავრობის დავალებებს (მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, დოსითეოსი მაინც გადააყენეს). კომისიამ 1861 წლამდე იარსება. 1863 წლიდან კი მუშაობას შეუდგა მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება კავკასიაში.

კავკასიის მთიელ ხალხთა ანტიკოლონიური ბრძოლა, რომელიც ისლამური დროშის ქვეშ, რუსეთისთვის ყველაზე მომგებიანი, უკიდურესად ფანატიკური ფორმით გაჩაღდა. 1829 წლიდან დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ცენტრალიზებული თეოკრატიული (ისლამური) სახელმწიფო – იმამატი, რომელსაც სათავეში ედგა სასულიერო და სამხედრო ლიდერი – იმამი (მიურიდიზმი თეოკრატიული ბელადის – იმამისადმი სრულ მორჩილებასა და „ურჯულოთა" წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა). უნდა ითქვას, რომ კავკასიელ მთიელთა ეს ბრძოლა თავიდანვე განწირული იყო, რადგან იმამატს მოკავშირედ უშუალო მეზობელი არ ჰყავდა. მას სამხრეთიდან ქართველები ესაზღვრე-

ბოლნუს, რომელთა ისტორიული მეხსიერებიდან ადვილად ვერ წაიშლებოდა ლეკიანობის ავადმოსაგონარი, არცთუ შორეული წლები. შამილს ერთადერთი პერსპექტივა ჰქონდა – ოსმალეთთან დაკავშირება, რომლის რეალური დახმარების იმედი მხოლოდ ოსმალთა მიერ საქართველოს ოკუპაციის შემთხვევაში თუ გაჩნდებოდა. ოსმალეთის გარდა კავკასიის ხალხები დასავლეთის ქვეყნებსაც იმედის თვალით უყურებდნენ; როგორც რუსი მეცნიერი პოკროვსკი წერდა, XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩერქეზები სიამოვნებით ულებდნენ კარს ინგლისელებს (ურკვარტისა და ლონგუორთის მისიები), რომლებიც პპირდებოდნენ საერთო ჩერქეზული სახელმწიფოს შექმნაში ქმედითი დახმარების გაწევას („დიდი ჩერქეზეთის" შექმნის იდეა ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ნაციონალისტურ წრეებში დღესაც კი დიდ აღფრთოვანებასა და ენთუზიაზმს იწვევს).

კავკასიის საბოლოო დამორჩილების თარიღად 1864 წლის 21 მაისი ითვლება, როცა რუსებმა მდინარე შხიმთის სათავეში მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა გბაადბა დაიკავეს (შამილი უფრო ადრე, 1859 წელს დანებდა რუსებს). ასე დამთავრდა 1817-1864 წლებში, ისლამური დროშით მიმდინარე კავკასიელ მთიელთა ანტიკოლონიური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ (საგულისხმოა, რომ იმპერიამ „შემოერთებული" დაღესტნის გენერალ-გუბერნატორად ქართველი ნიკოლოზ ჭავჭავაძე დაინიშნა).

რუსეთი გასაბჭოების წლებშიც აქტიურად იყენებდა ქართველებს თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად ჩრდილოეთ კავკასიაში. თერგის ხალხთა II ყრილობაზე, სადაც რსფსრ-ის შემადგენლობაში თერგის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა, მის თავმჯდომარედ ქართველი ს. ბუაჩიძე გაამწესეს, თუმცა ეს რესპუბლიკა უდღეური აღმოჩნდა. 1918 წელს ბაქოს სახკომსაბჭომ დაღესტნის ოლქის საგანგებო კომისრად ე. ნანეიშვილი დანიშნა; ჩრდილო კავკასიაში „კონტრრევოლუციის" წინააღმდეგ ბრძოლას ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა; ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდნენ 1920 წლის 13 ნოემბერს თემირ-ხან-შურაში გამართულ დაღესტნის ხალხთა საგანგებო ყრილობას, რომელზეც გამოცხადდა რუსეთის მთავრობის დეკლარაცია დაღესტანში საბჭოთა ავტონომიის შექმნის შესახებ.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ადასტურებს რუსეთის იმპერიის მცდელობას, ქართველები და საქართველო წარმოეჩინა, როგორც კავკასიის ჟანდარმი. ამავდროულად, რუსეთი კარგად ხედავდა ქართველთა ხელაღებით გაჟანდარმების პრობლემებსაც და მათ თავის საიმედო დასაყრდენად მაინც არ თელიდა, ამიტომ კავკასიაში საკუთარი პოლიტიკური

კურსის, სახელდობრ, დემოგრაფიული ექსპანსიის განსახორციელებლად მძლავრად აამოქმედა სომხური ფაქტორი. იმპერია ქართველთა ერთმორწმუნეობას ანგარიშს არ უწევდა და მათ მოსათოკად მონოფიზიტ სომხებს ეყრდნობოდა. რუსეთის ქმედებებს თავისი მიზანი გააჩნდა – საჭირო იყო ქართველებისათვის რუსეთის მორჩილი ძალის ჩაყენება ზურგში, რადგანაც ქართველების საბოლოო „გახელება“ რთული საქმე იყო და ხელსაყრელ პირობებში ქვეყანა ადვილად წამოიწვედა კავკასიის რეგიონულ ლიდერად. ამას ხელს შეუწყობდა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ძველი ერის მტკიცე კულტურული ტრადიციები, რაც გააადვილებდა ქართული კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში (სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ზოგადი, საერთოკავკასიური მენტალიტეტის არსებობა). ეს ფენომენი განსაკუთრებით მძლავრად მოქმედებდა ქართველურ და ადიღეურ ტომებში. დაღესტანთან მიმართებით საქმე უფრო რთულად იყო. XVII-XVIII საუკუნეებში, ქართულ მიწა-წყალზე ლეკთა ხშირი თარეშის გამო, მოსახლეობაში ძლიერი იყო ანტიდაღესტნური განწყობა, თანაც მძიმე ისტორიული წარსულის მიუხედავად, ქართველებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორია ბევრად უფრო დიდი ჰქონდათ, ვიდრე სომხებს და, ბუნებრივია, მათი ფსიქიკაც ნაკლებად მართვადი იყო. ამიტომაც, როცა ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ მუსლიმანმა ქართველებმა რუსეთს თხოვნით მიმართეს შეენარჩუნებინა მათთვის წოდებრივ-ქონებრივი პრივილეგიები ქრისტიანობის მიღების შემთხვევაში, ნიკოლოზ I-მა მათ გაქრისტიანებაზე უარი განაცხადა, რაც მიუთითებს, რომ რუსეთი რეალურად არ იყო დაინტერესებული კავკასიაში ისლამის აღმოფხვრითა და ქრისტიანობის დამკვიდრებით. სულ მალე, სწორედ ქართველთა მაჰმადიანობა დაედო საბაბად ახალციხე-ახალქალაქიდან 30 ათასი კაცის აყრასა და იქ, გრიბოედოვის რეკომენდაციით, სომხების ჩასახლებას. „თურქ-მესხთა“ პრობლემაც გამოძახილია ნიკოლოზ I-ის უარისა გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალთა თხოვნაზე, წოდებრივ-ქონებრივი პრივილეგიების შენარჩუნებით, ყმა-გლეხებიანად მიბრუნებოდნენ ქრისტიანობას.

რუსეთმა მაჰმადიანობა დაუდო ასევე საფუძვლად ისტორიული ქართული მხარეების შემოერთების შემდეგ (1878 წ.) ამ მიწებიდან 150 ათასი ქართველის აყრას (აფხაზეთშიც სომხური ახალშენები „მუჰაჯირობის“ დროს გაჩნდა).

საკუთარ მიწა-წყალზე ოსმალოთაგან შეცოფებული და დეცინცლი სომხები უცხო მიწაზე ჩასახლებისას უეღმიეად საჭიროებდნენ ძლიერ

მყარველს. ამითაც აიხსნება სომეხთა მტკიცე პრორუსული ორიენტაცია. რუსეთმა სომხეთის ორგვარი მისია დააკისრა: 1. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სომხეთი, როგორც რუსეთის საიმედო საყრდენი, „ჩურგში ჩაუყენა" საქართველოს; 2. საქართველოში კომპაქტური სომხური ახალშენების შექმნამ წარმოქმნა „ეთნოკონფლიქტთა" ნაღადაგი და ჩასახლებულია მიერ უფლებათა გაფართოების მოთხოვნის პერიოდული საშიშროება; თანაც, სომხების ისტორიაში არის შემთხვევა, როცა მიგრირებულმა მოსახლეობამ მათთვის არაისტორიულ მიწა-წყალზე სახელმწიფო შექმნა (ამის მაგალითია 1080-1375 წლებში კილიკიაში სომხური სამეფოს არსებობა).

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლის 11 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მოიცავდა ყოფილი თერგის ოლქის, დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრ. ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ნაწილობრივ სტავროპოლის მხარის ტერიტორიებს. ფართობი: 70.000 კვ.კმ., მოსახლეობა – დაახლოებით 1 მილიონი, დედაქალაქი – თემირ-ხან-შურა. კონსტიტუციად მიღებულ იქნა იმამ შამილის „ნიზამი" (1847 წლის კანონმდებლობა). რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებლები და მეთაურები იყვნენ საიდ შამილი (დიდი შამილის შვილიშვილი), რომელმაც მოგვიანებით, 1924 წელს გერმანიაში დააარსა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი" და ტოპა ჩერმოევი – ვაინახი თავადი და მეცენატი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი. რესპუბლიკა დე ფაქტო და დე იურე აღიარებულ იქნა ოსმანთა იმპერიის, გერმანიის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ყუბანის სახალხო რესპუბლიკის მიერ.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის დიდი დახმარება, რომელსაც საქართველო უწევდა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა რესპუბლიკას მისი არსებობის მანძილზე. ჩრდილოკავკასიელ მთიელებს საქართველო საიმედო მოკავშირედ ეგულებოდათ და ხშირად მიმართავდნენ მას დახმარებისთვის, რადგან იგი რუსეთის მხრიდან ორმაგი (თეთრგვარდიული და ბოლშევიკური) დარტყმის ქვეშ იმყოფებოდა; დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მთიელებს (როგორც ფინანსური, ისე სამხედრო-პოლიტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით). პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია იხსენებს ერთ ეპიზოდს, რომელიც მთიელთა რესპუბლიკისთვის წარუმატებელ სამხედრო დახმარებას ეხება: „მთიელთა რესპუბლიკას შეესია ბოლშევიკები, გვთხოვეს დახმარება, ჩვენც გა-

ვაგზავნეთ ჯარის ნაწილი ბაქოს გზით, ხოლო ბაქოს მთავრობამ ის განაიარაღა, საქმეზე არ გაუშვა, ხოლო იარაღი თავისად გამოაცხადა. შეიქმნა დიდი მიწერ-მოწერა, მუქარა, ძლივს ჩვენი ხალხი უკან მივიღეთ, ბევრი უიარაღოთ."

საქართველო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წლებში შესანიშნავად ასრულებდა თავის ისტორიულ-კულტურულ მოვალეობას და იგი კავკასიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამ დროს მართლმადიდებლობა სახელმწიფოთა ურთიერთობის რანგში კი არ ფუნქციონირებდა, არამედ ერის გამთლიანებასა და შიდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გამაგრებას ემსახურებოდა, რაც საწინდარი გახდა შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ძალდაუტანებელი გავრცელებისა.

ზურაბ ავალიშვილი ქართველ მეფეთა კავკასიურ პოლიტიკაში შენიშნავს სამ მიმართულებას, რომლებიც დღესაც გასათვალისწინებელია მათი ისტორიული მემკვიდრეების მიერ:

1. მტკიცე კავშირი კასპიისპირა შირვანთან;

2. პროტექტორატი სომეხთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ სომეხი მწერალი მათე ედესელი დავით აღმაშენებელს უწოდებდა სომეხთა წინამძღოლს, მეგობარსა და მფარველს, რომლის გარშემო თავს იყრიდა სომხობა. ნათელია, რომ რუსი მფარველის ჩამოშორების შემთხვევაში, მოიხსნება „სომხური ზურგის" პრობლემა. სომხობა ბუნებრივად უკავშირდება ერთადერთ უშუალო ქრისტიან მეზობელს – საქართველოს. ისტორიულ ურთიერთობასაც რომ დავანებოთ თავი, ამისკენ სომხებს უბიძგებს გეოპოლიტიკური ვითარება – ზღვაზე გასასვლელის არარსებობა და მაჰმადიანური გარემოცვა. თავისუფალი კავკასიის პირობებში სომხებს ამ ჩიხიდან მხოლოდ საქართველოსთან კავშირი თუ გამოიყვანს;

3. ქართველ მეფეთა კავკასიური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი ჩრდილო კავკასიელებთან დაახლოება, მეგობრობა და მათი სამსახურში მიღება იყო. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღთა ჯარის მოშველიებით გააკონტროლა დარიალის კარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მესვეურებს, მართალია, შედარებით ნაკლებად ესმოდათ ეროვნული ამოცანები და საქართველოს ისტორიული მისია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟორდანიას მთავრობა მაინც ცდილობდა ჩრდილო კავკასიასთან საიმედო კავშირის დამყარებას. თუმცა, ეს კავშირი მყიფე იყო, რადგან მენშევიკები რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს იმთავითვე არაადეკვატურად აღიქვამდნენ (ეროვნულ-დემოკრატთა და ფედერალისტთა ნაწილის წინააღმდეგობა და თურქეთის

მკაცრი პოზიცია რომ არა, მენშევიკური მთავრობა მზად იყო საქართველო განახლებული რუსეთის შემადგენლობაში დაეტოვებინა).

ძალიან საინტერესოა იმავე პერიოდში დაღესტნელთა მიერ საქართველოში სახელმწიფოებრივი ინტეგრირების მცდელობის მომენტი: საგარეო საფრთხემ აიძულა დაღესტნის ყველაზე დიდი მხარის ავარიის (ხუნძახი) მმართველი ყაითმაზ ალიხანოვი, რომ საქართველოს შემადგენლობაში ავარიის მიღება ეთხოვა („ავტონომიურ საწყისებზე").

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, აგრეთვე, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ჩეჩნური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ა. მითაევის ურთიერთთანადგომა და თანამშრომლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების (1924წ.) მოშზადების დროს.

1924 წლის ნოემბერში სტამბულში დაფუძნდა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი"; 1933 წლის მაისში კომიტეტმა გამოაქვეყნა „კავკასიის კონფედერაციის პაქტის" პროექტი და მიმართვა კავკასიელი ხალხებისადმი კავკასიის დამოუკიდებლობის 15 წლისთავთან დაკავშირებით. 1934 წლის იენისში ბრიუსელში აღნიშნულ აქტს ხელი მოაწერეს ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა, აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ე. რასულ-ზადემ, რესპუბლიკის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ალიმარდინ თოფჩიბაშმა, ჩრდილოკავკასიელებმა მემედ გირეი სუნმა, იბრაჰიმ ჩულიკმა და თაუსულთან შაკმანმა. „კავკასიის კონფედერაციის პაქტში" ჩამოყალიბებული იყო კონფედერაციის ძირითადი საფუძვლები, იგი ემყარებოდა თანასწორობის პრინციპს, საგანგებოდ არჩეულ კავკასიურ საბჭოს და იმ პრეზიდიუმს, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის. პაქტში ხაზგასმულია, რომ ერთა ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი სრული დამოუკიდებლობის პირობებში და რომ ამის მიღწევა მეტისმეტად რთულია, თუ ვერ მოხერხდა „კავკასიის ყველა ძალის გაერთიანება საერთო საზღვრების ფარგლებში."

1991 წლიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიამ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა ჩრდილოკავკასიელებთან დაახლოების და, უფრო მეტიც, „საერთო კავკასიური სახლის" შექმნის მიმართულებით (ცნობილია, მის მიერ მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობის დამყარება ჩეჩნეთის პირველ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევთან), თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოში ინსპირირებული 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ეს მოძრაობა, ცხადია, შეწყდა.

კრემლმა, გარკვეულწილად, მოახერხა „საერთო კავკასიური სახლის" აღშენებლობისთვის დახარჯული ენერგიის უარყოფითად დამუხტვა, როცა ჩრდილოკავკასიელთა ნაწილი აფხაზეთის ხელოვნურად გაღვივებულ კონფლიქტში ჩაითრია.

აღსანიშნავია, რომ გარდა გეოპოლიტიკური ინტერესებისა, აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოკავკასიელების ჩაბმა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მიზანსაც ისახავდა, სახელდობრ – საკუთარი პრობლემებიდან ჩრდილოკავკასიელთა ყურადღების გადატანას საქართველოზე.

ცნობილია, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, ჩრდილო კავკასიაში, ეროვნული თვითშეგნებისა და რელიგიური ცნობიერების ზრდის ფონზე, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უმუშევრობის მაღალი დონე ახალგაზრდებს შორის, სოციალურ ნიადაგზე მწიფდებოდა ეთნიკური დაპირისპირებები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის (90-იან წლებში რუსეთის ფედერაციაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე ინგუშეთში დაფიქსირდა, 1995 წელს — 20,2%). არსებული მდგომარეობით უკმაყოფილებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ვითარების სერიოზული დაძაბვა და, საბოლოოდ, იმპერიულ ცენტრთან დაპირისპირება. ასეთ ვითარებაში, იქაური პრობლემების მიჩქმალვისა და მათგან თავის დასაღწევად, რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ჩრდილოეთ კავკასიაში დაგროვილი უარყოფითი ენერგიის საქართველოზე გადმოტანა.

კავკასიური ერთობის იდეა ისევ აქტუალური გახდა აფხაზეთის ომისა და I ჩეჩნური ომის შემდეგ (პირველი ომის დროს ჩეჩნებს ჩრდილოკავკასიის არც ერთმა ხალხმა არ გაუწია არსებითი დახმარება, ინგუშთა მორალურ მხარდაჭერას თუ არ ჩავთვლით).

1996 წლის 3 ივნისს კისლოვოდსკში აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელებთან ერთად ხელი მოაწერეს კავკასიაში ეროვნებათაშორის თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის დეკლარაციას; მასში აღიარებულია რომ კავკასია არის „ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი, გეოპოლიტიკური რეალობა" და ხელი უნდა შეეწყოს საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის აღდგენას. იმ პერიოდში კრემლის მიერ კავკასიის „ერთიან ორგანიზმად" აღიარება ხელსაყრელი იყო, რადგან, ის რეალურად, ჩრდილო კავკასიასთან ერთად, ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას აკონტროლებდა; ისეთ ვითარებაში, როცა მთელი რეგიონი მას ექვემდებარებოდა, კავკასიელთა

ფორმალური ერთიანობის დეკლარირება გულისხმობდა რუსეთის პოზიციის მთლიანად კავკასიაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა თუნდაც ამ დეკლარირებული ერთიანობის მინიმალურ, „ოპერიულ" დონეზე რეალიზაცია (სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული კავკასიური იდეა სათანადოდ არასოდეს გაშუქებულა და თანამედროვე რეალობასთან ადაპტირებულ, კონკრეტულ კონცეფციად დღემდე ვერ ჩამოყალიბდა).

ჩეჩნეთის „მეორე ომში" გამარჯვების შემდეგ კრემლმა მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები კავკასიაში, მაგრამ უკუპროცესი დაიწყო 2003 წელს, როცა საქართველოს სათავეში დღევანდელი ხელისუფლება მოვიდა. აჭარიდან ასლან აბაშიძის აშკარად პრორუსული რეჟიმის გაძევებამ, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანამ, ჩვენი ქვეყნის მტკიცე სწრაფვამ ჩრდილო ატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისკენ შექმნა ძლიერი იმპულსი, რომელიც კრემლის გაელენას სწრაფად ასუსტებს საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მთლიანად კავკასიაში. ამ ტენდენციას კიდევ უფრო აძლიერებს უკვე მოქმედი თუ განხორციელების სტადიაზე მყოფი მნიშვნელოვანი ენერგოსადენები და სარკინიგზო-სატრანზიტო მაგისტრალები (ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნაეთობსადენი, „შაჰ-დენიზის" გაზსადენი, „ნაბუკო", „თეთრი ნაკადი", ჩინეთ-ევროპის დამაკავშირებელი რკინიგზა).

საქართველოს შეუძლია და იგი ვალდებულია კიდეც პერსპექტივაში თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯან-სომხეთის წინააღმდეგობათა მოგვარების პროცესში. დღეს ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დეოკუპაცია, რუსეთის საოკუპაციო ჯარების სრული გაყვანა. ამ მიმართულებით წინსვლა, არა მხოლოდ ჩვენი და ჩვენი დასაველელი მოკავშირეების წარმატება იქნება, არამედ მთლიანად კავკასიის. რეგიონისთვის ეს იქნება სრულიად მკაფიო ნიშანი იმისა, რომ კრემლი იძულებულია დათმოს კავკასია. საქართველოს დეოკუპაციის შემთხვევაში ეს ცხადი გახდება ნებისმიერი საღად მოაზროვნე კავკასიელისთვის.

გეოპოლიტიკური რეალობის ძირითადი პრინციპების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მისი გარკვეული სახეცვლილება მუდმივად ხდება, მაგრამ არსი, ფაქტობრივად, არ იცვლება. კავკასია არის რეგიონი, რომელშიც საქართველოს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ფუნქცია აკისრია. თავისი ისტორიის ოქროს ხანაში ჩვენი ქვეყანა იყო ქრისტიანული სამყაროს ფორპოსტი რეგიონში, დღეს კი ის არის თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმანი კავკასიაში.

საქართველოს დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჩვენთვის, უპირველესად, ჩვენი სამშობლოს სრული გათავისუფლება და გამთლიანებაა, საერთაშორისო სახოგადოებისთვის ეს ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპთა, უმნიშვნელოვანეს საერთო საკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას კავკასიის საკვანძო ქვეყანაში. კავკასიელთათვის კი ეს აშკარად დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეგიონში რუსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობა დასასრულს უახლოვდება. სწორედ ამიტომ, როგორც რონალდ ასმუსი, თავის ცნობილ წიგნში („მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა") აღნიშნავს: „რუსეთი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა საქართველოს მცდელობას, მისი ისტორიული გაელენის სფეროდან გამოსულიყო. საქართველოს პროდასავლური, დემოკრატიული ექსპერიმენტის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, ამგვარი ვითარება უკვე მთელ ამიერკავკასიაზე და, საბარაუდოდ, რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიაზეც აისახებოდა".[1]

კრემლის გაელენის შესუსტების პარალელურად, თანდათანობით კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს გაელენა კავკასიაში. ეს გარდაუვალი პროცესია და ჩვენ სათანადოდ უნდა მოვეწყობოთ ამისთვის. ის ღირებულებები, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები, რომლებსაც ჩვენ ვამკვიდრებთ, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საზღვრებით ვერ შემოიფარგლება და ვრცელდება მთლიანად რეგიონში. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონის თავისუფლების პირობებში.

სწორედ ამ ტენდენციის გამოხატულებაა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე (23.09.2010) კავკასიის ფაქტორის ხაზგასმა. საქართველოს პრეზიდენტმა მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოაყალიბა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ხედვა კავკასიის, როგორც „თავისუფალი, სტაბილური და ერთიანი" რეგიონის შესახებ. მან აღნიშნა, რომ „ჩვენ შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფოს შვილები, სხვადასხვა ეთნიკური წარმომაელობის ვიყოთ, და ვცხოვრობდეთ მთების სხვადასხვა მხარეს, მაგრამ ადამიანებისა და კულტურების გათვალისწინებით, არ არსებობს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია. არის მხოლოდ ერთი კავკასია, რომელიც ეკუთვნის მსოფლიო ცივილიზაციას და ეკუთვნის ევროპას". როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, კავკასიაში „ხალხი და კულტურა ღრმად შეჭიდულებლური" იყო და არის, მაგრამ სხვადასხვა მთავრობები (იმპერი-

1. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 10

ული ძალები და მათი მარიონეტები) მუდმივად ქმნიდნენ „ხელოვნურ გამყოფებს" ხალხების შორის; და სწორედ „ეს დრო წარსულს ბარდება და ერთობასა და მშვიდობას გზა ეხსნება".

პრეზიდენტმა საკაშვილმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრობლემები წარმოაჩინა, ერთი მხრივ, კავკასიის დღევანდელი და სამომავლო პერსპექტივის კონტექსტში. ამავდროულად, მან ყურადღება გაამახვილა ქართულ-კავკასიური პრობლემატიკის უშუალო კავშირზე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან. ხაზგასასმელია, რომ სწორედ ეს კავშირი განსაზღვრავს კეთილი ნების ადამიანთა ერთიანი ძალისხმევის, საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობის აუცილებლობას კავკასიის კონფლიქტთა მოგვარების პროცესში. პრეზიდენტმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ „საქართველოს გამყოფ კედლებს ბომბები ვერ დაანგრევს, მას დაანგრევს მოქალაქეების თავდადება, მათი სურვილი ააშენონ თავისუფალი, ერთიანი ქვეყანა და მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა, გააძლიეროს საერთაშორისო სამართალი და გაეროს პრინციპები. აღნიშნული თავდადება გამოიხატება იმით, რომ თითქმის მთელი მსოფლიო უარყოფს რუსეთის ოკუპაციის ლეგიტიმაციას, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობას, საქართველოს ტერიტორიის დე ფაქტო ანექსიის გამოცხადებას რუსეთის ფედერაციის მიერ... საგულისხმოა, რომ მოსკოვის მხრიდან უხარისხარი ზემოქმედების და მრავალჯერადი მუქარის მიუხედავად, ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთმა ქვეყანამ არ ცნო საქართველოს დანაწევრება. ეს გვიჩვენებს, რომ ძველი დრო ნამდვილად დამთავრდა... ყველას აინტერესებს სტრატეგიული რეგიონი, ცივილიზაციების გზაჯვარედინი უფრო სტაბილური, წარმატებული და გახსნილი იყოს. ღრმად მწამს, რომ საერთო ბაზარი, საზიარო ინტერესები, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ერთ დღეს გაერთიანებულ კავკასიას დაუდებს საფუძველს. ჩვენი რეგიონი ვერ იქნება ნამდვილად თავისუფალი, თუკი ის არ იქნება ერთიანი".

კავკასიის ერთიანობის სამომავლო მოდელად საქართველოს პრეზიდენტმა ევროკავშირი დასახა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღევანდელი ხელისუფლება შეძლებს რუსეთის ორსაუკუნოვანი იმპერიული პოლიტიკის შედეგად დაგროვილ პრობლემათა გადაჭრას, როგორც საქართველოსთვის, ასევე კავკასიისთვის.

აფხაზეთი (საქართველო)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ფართობი — 8,7 ათასი კმ² (მთლიანად საქართველოს ფართობია 69,7 ათასი კმ²).

მოსახლეობა — ახლანდელი რაოდენობის შესახებ ზუსტი მაჩვენებლები არ არსებობს. ჩვენი მონაცემებით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან მომხდარი ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღის შემდეგ რუსეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში დღეს ცხოვრობს, დაახლოებით, 150-160 ათასი ადამიანი (მთლიანად საქართველოში ცხოვრობს, დაახლოებით, 4,5 მილიონი). საოკუპაციო რეჟიმი აფიქსირებს 216 972 ადამიანს (2003), რაც აშკარად გაზვიადებული მაჩვენებელია, თუმცა ეს რიცხვიც ნათლად მეტყველებს აქ მომხდარი ეთნოწმენდის მასშტაბზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1989 წლის აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობა იყო 525 061 ანუ კონფლიქტის დაწყების დროს (1992) იქ, სულ მცირე, აღნიშნული რაოდენობა ცხოვრობდა.

ეთნიკური შემადგენლობა — ამჟამად 4 ძირითადი ეთნიკური ჯგუფია: აფხაზები (30%-მდე), ქართველები (სულ მცირე 30%), სომხები (30%) და რუსები (10%).

ქართველები, ფაქტობრივად, მხოლოდ გალის რაიონში დარჩნენ და ისინი ფიზიკური განადგურების, დაპატიმრების, ძალადობისა და შეურაცხყოფის მუდმივი საფრთხის ქვეშ, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებიან; არანაირი საერთაშორისო სტრუქტურა მათ თუნდაც ფორმალურ დაცვას არ უზრუნველყოფს.

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთიდან სამხრეთით, პონტოს მთების აღმოსავლეთი ნაწილის კალთების ჩათვლით, უძველესი დროიდან დასახლებული იყო ავტოქთონური, ძირითადად, დასავლურქართული — კოლხური ტომებით. ამ ერცელი "რკალის" ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და კიდევ უფრო ზემოთ, აზოვის ზღვამდე ცხოვრობდნენ ასევე ავტოქთონური, ქართველ-კოლხების მონათესავე, ჩერქეზულ-ადიღეური ჯგუფის დასავლეთკავკასიელი ტომები. ამას ადასტურებს როგორც ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ასევე ტოპონიმიკა და ანტიკური ეპოქის ცნობილი ავტორები: ფსევდოსქილაქს კარიანდელი (ძვ.წ. V ს.), ჰეკატეოს მილეთელი (ძვ.წ. V ს.), სტრაბონი (I ს.), პლინიუსი (I ს.), ფლავიუს არიანე (II ს.) და სხვა.

VI ს. ძვ. წ. — კოლხებმა დააფუძნეს სამეფო, რომელსაც ძველბერძნულ წყაროებში კოლხიდას უწოდებენ. კოლხები დასავლეთქართული ტომების მაშინდელი გამაერთიანებელი სახელია. ბერძნულ-რომაული წყაროების თანახმად კოლხიდის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ: ჰენიოხები, ლაზები, მისიმიანები, მესხები, სანიგები (იგივე სოანები ანუ სვანები ან ზანები/მეგრელ-ჭანები). კოლხიდის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი თანამედროვე ტუაფსემდე (ნიკოფსიამდე) აღწევდა. შედარებით მოგვიანებით, ზემოხსენებულ ქართულ ტომებთან ერთად, ამ ტერიტორიაზე ანუ კოლხიდის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოიხსენიებიან ასევე მონათესავე აფხაზური ტომები (აბაზგები და აფსილები, რომლებსაც მეცნიერთა ნაწილი ქართველებს მიაკუთვნებს). კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან ცხოვრობდნენ ზიხები (ხიქები, ჯიქები), სინდები და კერკეტები, რომელთაც, ჩვეულებრივ, ჩერქეზებთან აიგივებენ.

II ს. ახ. წ. — ამ დროიდან ანტიკურ წყაროებში კოლხიდის ნაცვლად ლაზიკა ფიგურირებს, რაც კოლხების მმართველ ფენაში ლაზების ღაწინაურებით აიხსნება, თუმცა, ეთნიკური თვალსაზრისით, აქ რაიმე ცვლილება არ მომხდარა, რასაც ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ ბიზანტიელი ავტორები: "კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიან" (პროკოპი კესარიელი, VI ს.), [1] "ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას" აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.),[2] ქართულ და სომხურ წყაროებში ლაზიკის სამეფო ეგრისის/ეგერის სახელწოდებით გვხვდება.

IV ს. — ლაზიკა (ეგრისი), ფაქტობრივად, მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს. ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ, სხვა მონაცემებთან ერთად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის I-II საუკუნეების ავტორების: ფლავიუს არიანესა და კლავდიუს პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული ტოპონიმი "ძველი ლაზიკა" (Vetus Lazica), რომელიც ნიკოფსიის მახლობლად მდებარეობდა.

ლაზიკა ჯერ რომაელების, შემდეგ კი ბიზანტიის ვასალი იყო.

VI-VII სს. — ირან-ბიზანტიის ომებმა ლაზიკის დასუსტება გამოიწვია. ბიზანტიამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოიპოვა აფხაზეთის სამთავროზე ("აბაზგია"), რომელიც ლაზიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა (ნიკოფსიიდან მდ. კელასურამდე); უფრო

1. გეორგიკა. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1965, გვ. 120
2 გეორგიკა. III. ტფ. 1936, გვ 27

სამხრეთით, მდ. ეგრისწყლამდე/ღალიძგამდე იმ პერიოდში აფშილეთი მოიხსენიება, სადაც, მოქვის მახლობლად, ლაზიკის პატრიკიოსის ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა.

VI საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის სამთავრო უშუალოდ ბიზანტიამ დაიქვემდებარა და აფხაზეთის მთავრები (არქონტები) ბიზანტიის იმპერატორის ვასალები გახდნენ, ისევე როგორც გაუქმებული ლაზიკის სამეფოს მმართველები — პატრიკიოსები.

VI საუკუნეშივე აფხაზეთში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა და აფხაზეთის არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლიდან ინიშნებოდა. არაბთა შემოსევების დროს, მჭიდრო კავშირი დამყარდა აფხაზეთის მთავარ ლეონ I-სა და ქართლის ერისმთავარ არჩილს შორის. როცა მურვანყრუს ლაშქარმა, ქართლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოც ააოხრა, გადაწვა ციხე-გოჯი და ცხუმი (სოხუმი, სებასტოპოლისი), არჩილმა, მისმა ძმამ მირმა და ლეონმა ბიზანტიელთა აშენებულ ანაკოფიის ციხეს შეაფარეს თავი (ახალ ათონთან ღღემდე შემორჩენილია ამ ციხის ნანგრევები). ბიზანტიის იმპერატორმა ლაზიკის მმართველად ძირი დაადგინა (ქართლში არჩილი იყო, აფხაზეთის სამთავროში კი ლეონ I). მოგვიანებით, არჩილმა, თავისი გარდაცვლილი ძმის ქალიშვილი ლეონს მიათხოვა (ქართულ-აფხაზური ქორწინებების ათასწლოვანი ტრადიცია დღემდე გრძელდება; ვრცლად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გვ. 123). სწორედ ამ ქორწინებამ აფხაზეთის მთავარს ლეგიტიმური უფლება მისცა მთლიანად ეგრისის მმართველი გამხდარიყო, შესაბამისად, ისტორიულ წყაროებში იწყება სახელწოდება ეგრისის ჩანაცვლება აფხაზეთით.

VIII ს. — დასავლეთ საქართველოდან არაბთა განდევნის შემდეგ, ლეონ I-ის ძმისწულმა ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით, დაუპირისპირდა აფხაზი არქონტების ტრადიციულ მფარველ ბიზანტიას და დაახლოებით 780 წელს თავი „აფხაზთა" მეფედ გამოაცხადა. თავდაპირველად, დედაქალაქი ანაკოფიაში იყო, თუმცა მალე სამეფო ტახტი ლეონ II-მ ქუთაისში გადმოიტანა. ამრიგად, VIII საუკუნის დასასრულს „აფხაზთა" სამეფო, ფაქტობრივად, მთელ ყოფილ ეგრისს (ლაზიკას) ანუ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ დროიდან „აფხაზთა" მეფემ დასავლეთ საქართველოს მეფის, ხოლო აფხაზეთმა მთელი დასავლეთი საქართველოს მნიშვნელობა შეიძინა.

IX ს. — „აფხაზმა" მეფეებმა დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოს დაუქვემდებარეს (მანამდე იგი კონსტანტი-

ნიკოლის პატრიარქის იურისდიქციას განეკუთვნებოდა) ანუ უშუალოდ აფხაზეთის ეკლესიებშიც ღვთისმსახურების ენა, ბერძნულის ნაცვლად, ქართული გახდა. ამ დროიდან იწყება ბერძნული საეკლესიო კათედრების გაუქმება (მაგ. ფოთის, გუდავის და სხვა) და მათ მაგიერ ქართული საეპისკოპოსოების დაარსება დასავლეთ საქართველოში (მაგ. ჭყონდიდსა /Xს./ და ბედიაში /X-XIსს./). საეპისკოპოსოები იმ პერიოდში, რელიგიურთან ერთად, ძირითად კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ და მათი დაფუძნება-გაძლიერება ქართული ენის, ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის არეალის გაერცელების უტყუარი ნიშანია.

X ს. — ქართლის ერისთავ იოანე მარუშისძისა და დავით III კურაპალატის (მაშინდელ ქართულ ლიდერთაგან ყველაზე ძლიერის — იმიერტაოს ხელმწიფის) აქტიური გამაერთიანებელი მოღვაწეობის შედეგად ქართლის მმართველი გახდა დავით კურაპალატის შვილობილი ბაგრატ III. ბაგრატის მამა, გურგენ ბაგრატიონი, ტაოელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის მეფე იყო, დედამისი კი — გურანდუხტი — თეოდოს „აფხაზთა" მეფის და.

978 — ბაგრატ III-მ დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა") სამეფო ტახტზე ბიძამისი, ბრმა თეოდოსი შეცვალა. ამრიგად, ბაგრატ III-მ დაიწყო ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოში თავმოყრის დასკვნითი ეტაპი, რომელიც 1010-1011 წლებში კახეთ-ჰერეთის შემოერთებით დასრულდა.

XI-XII სს. — გაერთიანებულ საქართველოში აფხაზეთს საერისთაოს სტატუსი ჰქონდა და მას შერვაშიძეების (შარვაშიძეების) გვარი ედგა სათავეში (მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ გვარის ფუძემდებელი იყო შირვანშაჰთა (შარვანშაჰთა) ის წარმომადგენელი, რომელიც დავით აღმაშენებელმა აფხაზეთში გადაიყვანა მმართველად).

ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. „პრეზიდენტის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ აფხაზეთის ისტორიაში, დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოზე საუბრისას სიამაყით არის აღნიშნული, რომ შირვანისა და ანისის შემოერთების შემდეგ „აფხაზთა და ქართველთა სამეფო" გადაიქცა „შუა საუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიაში უდიდეს ქრისტიანულ მრავალენოვან, ფედერალურ პოლიტიკურ წარმონაქმნად".[3] ამ ისტორიის ავტორები მუდმივად აფიქსირებენ, რომ ეს იყო „აფხაზთა და ქართველთა სამეფო", ანუ მათი მტკიცებით, უპირველესად, აფხაზთა სამეფო. სინამდვილეში, ცხადია, „აფხაზთა და

3 http://www.abkhaziagov.org/ru/state/history/php

ქართველთა" ან „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა სამეფო", უპირველესად, ქართული სამეფო იყო, რასაც ადასტურებს ყველა უცხოური წყარო, ქართულენოვანი წარწერები საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ იმდროინდელ ეკლესიებზე, მაშინდელი სახელმწიფოებრივი დოკუმენტები თუ სასულიერო-ლიტერატურული წერილობითი ძეგლები. ზემოთ უკვე ითქვა, რომ VIII საუკუნის დასასრულიდან "აფხაზეთს" და "აფხაზთას" მთელი დასავლეთ საქართველოს, დასავლეთქართველთა მნიშვნელობა ჰქონდა და არა საკუთრივ აფხაზეთისა და აფხაზთა ტომის. თუმცა, უცხოურ წყაროებში, ზოგჯერ "აფხაზი" და "აფხაზეთი" არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ან დასავლეთქართველის, არამედ მთლიანად საქართველოს ან ზოგადად "ქართველის" მნიშვნელობით გვხვდება (მაგ., ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე (XI ს.) ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი I-ს (1014-1027) აფხაზეთის არქონტს უწოდებს, ხოლო გიორგის ვაჟს — მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072) — იბერიის არქონტს; სრულ ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა (XI-XII სს.) იმავე ბაგრატ IV-ს "აბასგიის" არქონტად მოიხსენიებს).[4]

XIII-XIV სს. — ჯალალ ად-დინის (ჯელალედინის), მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევებმა ერთიანი საქართველოს დაშლა გამოიწვია.

XV ს. — არაერთი მცდელობის მიუხედავად, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება მაინც ვერ მოხერხდა და მე-15 საუკუნის ბოლოს, საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე, ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოები, ასევე სამცხის სამთავრო (ეს უკანასკნელი მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მისი დიდი ნაწილი ამჟამად თურქეთს ეკუთვნის). იმ დროს აფხაზეთს სამთავროს სტატუსი ჰქონდა და ის ხან იმერეთის სამეფოს, ხან კი საბედიანო-ოდიშის შემადგენლობაში იყო (საბედიანო-ოდიშის მთავრები, დადიანები, მაშინდელ ევროპულ წყაროებში ხშირად სამეგრელო-აფხაზეთის მეფეებად მოიხსენიებიან; XV საუკუნის იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან, სოხუმის მახლობლად, აღნიშნულია "მეგრელთა პორტი").[5]

მე-15 საუკუნიდანვე გამოცალკევდა აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო, თუმცა იერარქიულად აფხაზეთის კათალიკოსი საქართველოს (მცხეთის) პატრიარქს ვერ უტოლდებოდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს საკათედრო ტაძარი მე-16

4. ი. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ. 1990
5. იქვე

საუკუნის 80-იან წლებამდე ბიჭვინთაში მდებარე ანდრია მოციქულის საყდარი იყო. თუმცა, ოსმალეთისა და მაჰმადიან მთიელთა თავდასხმების გამო, 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს (ორი საუკუნის შემდეგ კი, 1795 წელს აფხაზ-იმერთა საკათალიკოსო გაუქმდა და მისი უფლებები, დროებით, ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაეკისრა).

1454 — ოსმალებმა მცირე ხნით სოხუმი დაიპყრეს, რასაც ქალაქის გაძარცვა და გადაწვა მოჰყვა (მას შემდეგ, რაც 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, ფაქტობრივად, დაიწყო შავ ზღვაზე მათი ბატონობის ხანა).

XVI-XVII სს. — ოსმალეთსა და სპარსეთს შორის გაუთავებელი ომების ასპარეზი ხდება მთელი ამიერკავკასია. ამავე დროს, ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდანაც თანდათან აეწროებდა შავი ზღვის ქართულ სანაპიროს. სულთნის მიზანი იყო თავისი კონტროლი დაემყარებინა შავი ზღვის ყველა პორტზე და ამ პროცესში აქტიურად იყენებდა გამაჰმადიანებულ ჩერქეზ-ადიღეურ ხალხებს.

ოსმალეთმა ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში დაიპყრო ყირიმის სახანო და ჩრდილო-დასავლეთ კავკასია და იქ ისლამი დაამკვიდრა. ამ დროიდან სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რელიგიური ფაქტორი, რომელიც ჩრდილოკავკასიელთა დიდ ნაწილში ეთნიკურ-კავკასიურ ფაქტორს უკანა პლანზე გადაწევს და მათი თვითშეგნების, თვითიდენტობის საფუძველი ხდება ისლამი (ჩრდილოკავკასიელთათვის, და ზოგადად კავკასიელთათვის, ეს ძალზე სახიფათო პროცესი ხელსაყრელი იყო როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთის იმპერიისთვისაც, რადგან, მოგვიანებით, სწორედ მაჰმადიანური ფაქტორის გამოყენებით "გაწმინდა" რუსეთმა ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილი იქაური მკვიდრი მოსახლეობისგან და კაზაკები ჩაასახლა). თანდათან იზრდება დაპირისპირება გამაჰმადიანებულ ჩრდილოკავკასიელებსა და ქრისტიან ქართველ-აფხაზებს შორის. ეს დაპირისპირება აქტუალური ხდება საკუთრივ აფხაზებს შორის, რაც, მოგვიანებით, უშუალოდ შარავაშიძეთა საგვარეულოს შიგნით, ოჯახის წევრთა ურთიერთმტრობაშიც გამოვლინდა. მაჰმადიანობის მიღება, პოლიტიკურად, ოსმალურ ორიენტაციაზე გადასვლას და უკვე გამაჰმადიანებულ, მონათესავე ჩერქეზ-ადიღეელებთან სულ უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას ნიშნავდა, ქრისტიანობისადმი ერთგულება კი — ასევე მონათესავე ქართველებთან ერთად დგომას ანუ ქართულ ორიენტაციას.

მე-17 ს.-ის ბოლოს, ოსმალებმა და გამაჰმადიანებულმა ჩერქეზ-ადი-

ღეელებმა, აფხაზთა საწილის დახმარებით, ენგურამდე შეაკუწროვეს სამეგრელოს სამთავრო (მღ. კოდორამდე არსებული ტერიტორიის დაბრუნება დადიანებმა რამდენჯერმე სცადეს, თუმცა, უშედეგოდ). ამგვარი ვითარების მიუხედავად, აფხაზეთის სამთავრო მაინც ითვლებოდა იმერეთის სამეფოს ნაწილად (რაც, მოგვიანებით, ხრესილის ბრძოლაში ხუტუნია შარვაშიძის მონაწილეობითაც დადასტურდა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელ გეოგრაფ-კარტოგრაფთა მიერ XV-XVIII სს. შედგენილი რუკებისა თუ გლობუსების თანახმად, მაშინდელი საქართველო (Georgia, Georgie, Iberi-Georgica) მოიცავს აფხაზეთსაც და მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი თანამედროვე ტუაფსემდე აღწევდა. ამ რუკებიდან შეიძლება დასახელდეს, მაგალითად, შავი ზღვის რუკა (1563), რომლის ავტორია პორტუგალიის მეფის კარტოგრაფის ვაჟი, დიეგო ომემა, გენუელი ჯაკომო დე მაჯოლოს რუკა (1563), იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკა (1635-1653), საფრანგეთის სამეფო კარის კარტოგრაფების: ნიკოლას და გიიომ სანსონების რუკა „აზია" (1674), ვენეციელი გეოგრაფის ვინჩენცო კორონელლის მსოფლიო გლობუსი (1688, 1693), გენსელიუსის რუკა „Asia Polyglotta" — მრავალენოვანი აზია (1710), ფრანგი გეოგრაფების ჟან კოვენსისა და კორნელი მორტიეს მიერ, იმპერატორ პეტრე პირველის დაკვეთით შედგენილი რუსეთის იმპერიის რუკა (1725). (რუსულ ენაზე)[6]

XVIII ს. — აფხაზეთის ძირითად საზღვაო ქალაქებში ოსმალეთის ჯარი იდგა და აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთს ექვემდებარებოდა (ოსმალების გარნიზონი იყო ფოთშიც).

1723 — ოსმალებმა ენგურს აქეთ, ანაკლიაში, ციხე-სიმაგრე ააშენეს და იქაც თავისი ჯარი განალაგეს.

1733 — ოსმალების ლაშქარმა ილორის ეკლესია გაძარცვა და გადაწვა. იმავე წელს მათ აიძულეს აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე და მისი გარემოცვა ისლამი მიეღო. იმ დროს სამთავრო დაშლილი იყო რამდენიმე ფეოდალურ სამფლობელოდ, რომელთა მმართველები თავიანთი მამულებისა და გაელენის გაფართოებისთვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში, ადგილობრიეებთან ერთად, სხვადასხვა მხარეს მონაწილეობდნენ როგორც ოსმალები და ჩრდილო-დასავლეთიდან ჩამოსახლებული მაჰმადიანი მთიელები, ასევე დადიანები თავიანთი ქრისტიანულ-ქართული ლაშქრით.

1757 — 14 დეკემბერს, ოსმალების წინააღმდეგ გამართულ, ცნობილ ხრესილის ბრძოლაში, იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, დადიანთან ერთად, გვერდით ედგა სამურზაყანოს (აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავ-

6. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия - историческая область Грузии, Тб.1997, ст. 831-843

ლეთი ნაწილის) მფლობელი — ხუტუნია შარვაშიძე. ამ "ურჩობისთვის" საშაგიეროს გადახდის მიზნით, ოსმალებმა გაულენიანი ფეოდალი ძიაფშიფა აუჯანეყს შარვაშიძეების გვარს (ძიაფშიფების წარმოშობას უბიზებს უკავშირებენ). სამი ძმა: მანუჩარი (მაშინდელი მთავარი), შირვანი და ზურაბი იძულებული გახდნენ ოსმალეთში ჩასულიყვნენ და ისლამი მიეღოთ (ამ დროს მათი სამფლობელოს ნაწილი ძიაფშიფამ დაიკავა). ბოლოს სულთანმა ზურაბ შარვაშიძე აფხაზეთის მმართველად დანიშნა, თუმცა მისი ძალაუფლება სუსტი იყო და მორიგი აჯანყების შიშით, იძულებული გახდა თავისი ძმისშვილი ქელეშბეი შარვაშიძე ძიაფშიფების გვარის წარმომადგენელზე დაექორწინებინა.

1780-იანი წლები — აფხაზეთის სამთავროში დროებით დასრულდა აქტიური ფეოდალური დაპირისპირების პერიოდი და, ოსმალეთის გადაწყვეტილებით, ქელეშბეი შარვაშიძე აფხაზეთის მთავარი გახდა. ის, ერთი მხრივ, ოსმალეთს ემორჩილებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ქრისტიანულ-ქართულ ორიენტაციასაც არ ივიწყებდა. ქელეშბეიმ უფროს ვაჟს, მაჰმადიან ასლანბეის (ასლანბეგს), რომელიც ოსმალეთის აქტიური მომხრე იყო, ცოლად შერთო ჯიქეთის მთავრის ასული, ხოლო მეორე ვაჟი — სეფერბეი ფარულად მონათლა, გიორგი დაარქვა და სამეგრელოს მთავრის ასულზე, თამარ დადიანზე დააქორწინა.

1801 — ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ანექსიის შემდეგ, დანარჩენი საქართველოს ოკუპაცია-ანექსია, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საკითხი იყო.

1803 — სამეგრელოს მთავარმა, გრიგოლ დადიანმა, მფარველობის თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს. დადიანის თხოვნაში ის "ოდიშის (სამეგრელოს), სვანეთის, ლეჩხუმისა და აფხაზეთის კანონიერ მფლობელად" მოიხსენიება. 1805 წელს სამურზაყანოც (ტერიტორია ენგურიდან ღალიძგამდე), სამეგრელოს სამთავროსთან ერთად, რუსეთის "მფარველობის" ქვეშ მოექცა.

1806 — ქელეშბეი შარვაშიძემაც, მთავრის სტატუსის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის იმპერატორს სთხოვა მფარველობა.

1808 — ოსმალეთის "რჩევით" ქელეშბეის უფროსმა ვაჟმა, ასლანბეიმ მოკლა მამამისი და ორი წლით დაიკავა მისი ადგილი. ქელეშბეის მეორე ვაჟმა, ქრისტიანმა გიორგიმ (საფარბეიმ), რომელიც დადიანის სიძე იყო, დადიანისეე რჩევით, ქართულ ენაზე შეადგინა მფარველობის თხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი. გარდაცვლილი გრიგოლ დადიანის მეუღლე ნინომ (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილმა), თავის მხრივ, სთხოვა იმპერატორს, რომ მას დაეკმაყო-

ფილებინა გიორგი შარვაშიძის თხოვნა, როგორც "დადიანთა სახლის წევრის" თხოვნა.[7]

1810 — იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააკმაყოფილა გიორგი შარვაშიძის თხოვნა, თუმცა შესაბამისი დოკუმენტი გიორგიმ მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც 10 ივნისს რუსეთის ჯარებმა სოხუმიდან ოსმალები განდევნეს. სოხუმისა და სამურზაყანოს გარდა, აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ეითარებას ჯერ კიდევ ოსმალეთი აკონტროლებდა და აფხაზი ფეოდალების უმრავლესობა, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა გიორგის და, შესაბამისად, რუსეთის იმპერიას. ამიტომ გიორგი ხან სოხუმის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა, ხან სამეგრელოში.

1813 — რუსეთის იმპერიამ სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნა (ამგვარად, იმპერიამ წაახალისა ერთგული დადიანები და, პირიქით, დასაჯა ურჩი აფხაზები).

1821 — გარდაიცვალა გიორგი შარვაშიძე და მცირე დროით აფხაზეთში ისევ ასლანბეი დაბრუნდა. იმავე წელს აფხაზეთის მთავრის სტატუსით, ლევან დადიანთან ერთად, სოხუმში ჩაიცვა გიორგის ვაჟი დიმიტრი.

1822 — დიმიტრი შარვაშიძე დაიღუპა და მის ნაცვლად აფხაზეთის სამთავროს მფლობელად დაამტკიცეს გიორგი შარვაშიძის მეორე ვაჟი, არასრულწლოვანი მიხეილი. ამ დროიდან 30-იანი წლების დამლევამდე აფხაზეთის მმართველად გიორგის მეუღლე თამარ დადიანი ითვლებოდა.

1830-იანი წლები — იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა გრაფ პასკევიჩის გეგმა — „აფხაზეთის ექსპედიცია", რომელიც გულისხმობდა აფხაზეთის დარჩენილი ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიების არა თანმიმდევრულად, თანდათანობით დაკავებას, არამედ სწრაფი სამხედრო "ექსპედიციების" განხორციელებას საზღვაო დესანტის გამოყენებით და ცალკეული საყრდენი პლაცდარმების შექმნას შემდგომი წინსვლისთვის. ასეთი ტაქტიკით რუსეთის ჯარები გამაგრდნენ ბიჭვინთაში, გაგრასა და ბომბორაში. გაგრის ციხეზე (რომელსაც პასკევიჩი "კავკასიის თერმოპილეს გასასვლელს" უწოდებდა) კონტროლის დამყარების შემდეგ, ოსმალთა და მაჰმადიან აფხაზ-მთიელთა ჯარები შუაზე აღმოჩნდნენ გაყოფილი. მიხეილ შარვაშიძე აქტიურად მონაწილეობდა ამ სამხედრო ოპერაციებში, თუმცა, რუსები მაინც არ ენდობოდნენ მას.

1840 — სამურზაყანოში იმპერიამ "პრისტავის" ანუ სამხედრო მმართველობა შემოიღო და უშუალოდ დაიქვემდებარა ეს ტერიტორია (მანამდე, 1837 წელს "საპრისტავო" შეიქმნა წებელდაშიც, რომელიც

7. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тб.1997, ст. 291

უცრო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს). სამურზაყანოს სანაცვლოდ დადიანმა 25 ათასი რუბლი მიიღო. რამდენიმე წელიწადში, 1846 წელს სამურზაყანო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა, მთლიანად ოდიშის სამთავრო კი — 1867 წელს (თუმცა, სამეგრელოს სამთავრო, ფაქტობრივად, 1857 წლიდან აღარ არსებობდა).

1853-1856 — ყირიმის ომის დროს ოსმალების დესანტმა, ომარ ფაშას მეთაურობით, სოხუმი აიღო და ფაქტობრივად გამოდევნა რუსეთის ჯარები აფხაზეთიდან. ოსმალები სამეგრელოშიც შემოიჭრნენ, სადაც მათ ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა, ეკატერინე დადიანის მეთაურობით. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ ოსმალებმა დატოვეს სოხუმი და 1857 წელს აფხაზეთის სამთავრო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის "მთავარი ზედამხედველობის" ქვეშ მოექცა (იმ დროისთვის სამურზაყანო და წებელდა უკვე ქუთაისის გუბერნიის ნაწილი იყო).

ზემოხსენებული ფაქტები და 1810 წლის შემდეგ რუსი მაღალჩინოსანი სამხედროების მიმოწერის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ შარვაშიძის ძალაუფლება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე ხორციელდებოდა, სადაც რუსეთის ჯარი იდგა და მათი გასვლის დროს ქრისტიანი შარვაშიძეები ხელისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენ. ასე იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ უშუალოდ აფხაზების უმრავლესობა არ აღიარებდა მათ, არამედ იმიტომ, რომ იმ ეპოქაში აფხაზეთის რუსეთისგან უკონტროლო ტერიტორიას, რეალურად, ოსმალები და XVII-XVIII სს.-ში აქ ჩამოსახლებული მაჰმადიანი და წარმართი მთიელები განაგებდნენ. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ სამურზაყანოსა და წებელდის კუთვნილებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს (ოდიშის სამთავრო, "საპრისტაო", ქუთაისის გუბერნია), სრულიად აშკარა გახდება, რომ აფხაზეთის სამთავრო მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და მის შესახებ, როგორც გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე საუბარი მხოლოდ ღიმილის მომგვრელია (არაფერს ვამბობთ სამთავროს სახელმწიფოებრივ-სტრუქტურულ "ავტონომიაზე").

1864 — 21 მაისს ჩერქეზ-ადიღეელთა ერთ-ერთ ყოფილ ცენტრალურ დასახლება გბაადბაში (თანამედროვე „კრასნაია პოლიანა", სადაც 2014 წელს ზამთრის ოლიმპიადის გამართვაა დაგეგმილი), მას შემდეგ, რაც მთელი მიმდებარე რეგიონი თითქმის სრულად „გაიწმინდა" ადგილობრივი მოსახლეობისგან, ოფიციალურად გამოცხადდა კავკასიის ომის დასრულება.

იესისი — აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა და მის ნაცვლად სოხუმის სამხედრო განყოფილება დაარსდა, რომელიც 1883 წელს სოხუმის

სამხედრო ოლქად გადაკეთდა და ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა.

კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკების ჩასახლებას უკავშირებდა. სამხედრო მინისტრ მილიუტინისადმი გაგზავნილ ზემოხსენებულ წერილს თან ერთვის მეფისნაცვლის ერთგვარი ანალიტიკური დასკვნა "აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და იქ კაზაკების ჩასახლების აუცილებლობის შესახებ", რომელშიც მეფისნაცვალი განმარტავს, რომ აფხაზებმა ვერ გაამართლეს იმპერიის ნდობა — აფხაზების საჩით, რუსეთმა "მადლიერი მოკაკშირე კი არა, ურჩი და ვერაგი მონა შეიძინა, რომელიც ხელგაშლილი შეხვდება ნებისმიერ ჩვენს მტერს, რომელიც მის ნაპირებს მიადგება".[8] დიდი მთავარის შეფასებით, აფხაზი ხალხი, რომელსაც "კავკასიის საუკეთესო ტერიტორია უკავია, უკიდურესი სიღარიბისა და ეკლურობის ღირებულ დაეცა, მისმა ერთმა ნახევარმა ისლამი მიიღო, მეორემ კი თითქმის მთლიანად დაკარგა წარმოდგენა რელიგიის შესახებ".[9] მეფისნაცვალი იქვე ჩამოთვლის მიხეილ შარვაშიძის "კომპრომატებს" და დაასკვნის, რომ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, "აფხაზეთი ყოველთვის იქნება გამზადებული პლაცდარმი მოწინააღმდეგის თავდასხმისთვის"; შესაბამისად, აუცილებელია აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და "მდ. ბზიფიდან მდ. ენგურამდე არსებულ თავისუფალ მიწებზე კაზაკების დასახლებათა შექმნა".[10]

მიხეილ შარვაშიძის „კომპრომატებიდან" განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ-ერთი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ უბიხების განადგურებას უკავშირდება; კავკასიის მეფისნაცვალი იმპერიის სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ ლიხნში დასახლებული მიხეილ შარვაშიძე, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ დ. სვიატოპოლკ-მირსკის „არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მაინც განაგრძობს ახლო ურთიერთობას უბიხებთან... აიმედებს მათ" და აფხაზებს „უფლებას აძლევს სურსათით მოამარაგონ ჩვენ მიერ შიმშილობამდე მიყვანილი უბიხები".[11] მეფისნაცვლის ეს ფრაზა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი ასახავს ჩერქეზ-აფხაზების მონათესავე უბიხი ეთნოსის გენოციდს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (საკუთაროდ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია რუსეთის იმპერიის მიერ უბიხების ხოცვა-ჟლეტით, შიმშილობითა და გადასახლებით განადგურების ფაქტი).

მიხეილ შარვაშიძისადმი იმპერიის უნდობლობას სხვა "კომპრო-

8. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тб.1997, ст. 330
9. იქვე
10. იქვე, ст. 333
11. იქვე, ст. 707

მატებაც" აშკარებდა, მაგ., მილიუტინისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მიხეილ შარვაშიძემ "აფხაზებს აუკრძალა ბავშვების აღზრდა რუსულ სასწავლებლებში".[12] გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიხეილ შარვაშიძის ძმა კონსტანტინე შარვაშიძე უშუალოდ მონაწილეობდა 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად.

ნოემბერში აფხაზეთის ყოფილი მთავარი მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

1866 — აფხაზეთში დაიწყო აჯანყება, რომლის პირველივე დღეებში მოკლეს სოხუმის სამხედრო ოლქის უფროსი და ათეულობით რუსი ჯარისკაცი. აჯანყებულებმა თავიანთ ლიდერად და აფხაზეთის მთავრად გარდაცვლილი მიხეილ შარვაშიძის ვაჟი, ოცი წლის გიორგი გამოაცხადეს. იმპერიამ აჯანყება სისხლში ჩაახშო და მომდევნო წელს, ოფიციალური მონაცემებით, 19 342 ადამიანი თურქეთში გადაასახლა (მაშინ აფხაზეთში დაახლოებით 65-70 ათასი მცხოვრები იყო).[13] „მუჰაჯირობა" (გადასახლება), ბუნებრივია, უპირველესად, აფხაზეთის მოსახლეობის იმ ნაწილს შეეხო, რომელიც განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდა რუსეთის მიმართ — რადიკალურად განწყობილ მაჰმადიან აფხაზებსა და XVII-XVIII სს.-ში ჩამოსახლებულ მაჰმადიან მთიელებს. ამ ხალხის რადიკალიზმი სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის, ჩერქეზ-ადიღეელ-უბიხთა სამშობლოს დაპყრობას, მათ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, შიმშილობამდე მიყვანას და გადასახლებას (მხოლოდ 1858-1866 წწ.-ში კავკასიიდან თურქეთში გადაასახლეს 493 194 მთიელი, აქედან 356 868 — ჩერქეზი და დაახლოებით 45 ათასი უბიხი (ანუ, ფაქტობრივად, ხოცვა-ჟლეტასა და შიმშილობას გადარჩენილი ყველა უბიხი). რასაკვირველია, ქრისტიანი აფხაზები, რომლებიც, შარვაშიძეთა გვარის ქრისტიან წარმომადგენლებს უჭერდნენ მხარს და აფხაზეთის ქართველობასთან ერთად ებრძოდნენ ოსმალებს, გადასახლებულთა შორის არ იქნებოდნენ (ისევე როგორც, ნაკლებად რადიკალი მაჰმადიანები და წარმართები). თუმცა, მეორე მხრივ, იმპერიის მიერ ჩადენილი მხეცობები, ცხადია, ვერც აფხაზებში და ვერც ქართველებში რუსეთისადმი სიმპათიას ვერ აღძრავდა. აქედან გამომდინარე, საუკუნის წლების ბოლოს აფხაზეთში დარჩენილი აფხაზების უმრავლესობა ან ქრისტიანი ან ნაკლებად რადიკალი მუსლიმი

12. Д.Гамахария. Б Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тб.1997. ст. 331

13 Сборник статистических сведений на Кавказе. Тифлис, 1869, отд. II, ст. 39

და წარმართი იყო, ხოლო ამ ხალხის ერთადერთი მოკავშირე — უახლოესი ნათესავები, საუკუნეების მანძილზე თანმიზრდილი ქართველობა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებასა და განმტკიცებას. "მუჰაჯირობის" იმ კრიტიკულ პერიოდში (რომელსაც "კრემლის ისტორიკოსებიც" კი "ეთნიკურ კატასტროფას" უწოდებენ).[14] აფხაზი ეთნოსი, სწორედ ამ უმრავლესობამ და, უპირველესად, აფხაზთა ქრისტიანულმა ნაწილმა გადაარჩინა, რომელსაც გვერდით სწორედ ქართველი საზოგადოება, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ედგნენ (ილია ჭავჭავაძისა და სხვა "სამოციანელთა" მეთაურობით). მაშინ იმპერიისგან შერისხულ აფხაზებს ვერც ოსმალები და ვეღარც ჩრდილოკავკასიელი მთიელები ვერ დაეხმარებოდნენ და მათ, რეალურად, უბიწების ხვედრი ელოდათ, რომ არა როგორც აფხაზეთის ქართველობის, იქაური ქართველი სამღვდელოების, ასევე მთელი ქართველი საზოგადოების აქტიური მატერიალურ-სულიერი მხარდაჭერა. ამ ფაქტს კარგად ხედავდნენ იმპერიის შესაბამისი სტრუქტურები. ქუთაისის გუბერნიის უფროსობა არაორაზროვნად აღნიშნავდა: "ოლქის რუსულ კოლონიზაციას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს... აფხაზები, როგორც კულტურული, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისით, უკიდურესად განუვითარებელი ხალხია... ქართული მოძრაობა სოხუმის ოლქში ამუხრუჭებს მხარის გარუსებას".[15]

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლების დამდეგს ცნობილმა ქართველმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ) შუამდგომლობით მიმართა "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებას", რათა სასულიერო სემინარიაში აფხაზური ენის მცოდნე მქადაგებელები მოემზადებინათ, მაგრამ ამ შუამდგომლობაზე უარი მიიღო, იმ მოტივით, რომ აფხაზურ ენაზე, ფაქტობრივად, არ არსებობდა არანაირი სასწავლო წიგნი (თუ არ ჩავთვლით აღმოსაყლეთმცოდნე პ. უსლარის შედგენილ "აფხაზურ ანბანს"). თუმცა, უარის რეალური მიზეზი, ცხადია, ის იყო, რომ ორგანიზაცია, რომელიც 1860 წელს, კავკასიის "დამმორჩილებლის", მეფისნაცვალ ბარიატინსკის წარდგინებით დაარსდა და რომლის ნამდვილი მიზანი კავკასიელთა გარუსების დაჩქარება იყო, ხელს ვერ შეუწყობდა აფხაზური ენის შენარჩუნებასა და განვითარებას.

1870 — აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობამ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა დ. სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც ჯერ

14 http://www.abkhaziagov.org/ru/state/history/php

15. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тб.1997, ст. 61

ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი, შემდეგ კი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე იყო. მოხსენებითი ბარათის შინაარსი ნათლად ასახავს იმ აფხაზების სულისკვეთებას, რომლებმაც უმძიმეს წლებში შეძლეს თავიანთი ეთნოსის და ეთნო-კულტურული იდენტობის შენარჩუნება. ბარათში ვკითხულობთ: "უძველესი დროიდან აფხაზეთი იყო საქართველოს სამეფოს ნაწილი... ბიჭვინთის ძველი ტაძარი საუკუნეების მანძილზე აფხაზი და ქართველი კათალიკოსების საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა. ახლო წარსულში აფხაზეთში ყვაოდა დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები... აფხაზეთისა და სამურზაყანოს ხალხს, თითქმის ბოლო დრომდე საერთო რელიგია, საერთო ადათი და საერთო კანონები ჰქონდა საქართველოსთან, სამეგრელოსა და იმერეთთან ერთად. თუ აფხაზეთში ქრისტიანული რწმენა, მუსლიმანური უღლისა და სხვა გარემოებათა გამო, მნიშვნელოვნად შესუსტდა, მისი კვალი ნამდვილად შენარჩუნებულია აფხაზ ხალხში, რომელსაც მაჰმადიანურ ან წარმართულ რიტუალთა შესრულების მიუხედავად, მაინც არ შეუწყვეტია ძირითადი ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა... ქართველ მეფეებს არასოდეს გაურიყავთ აფხაზეთი ერთიანი ქართული ოჯახიდან და როგორც მთლიანი სამეფოს გაყოფამდე, ასევე შემდეგაც, ისინი ქართლის, აფხაზეთის, იმერეთისა და კახეთის მეფეებად იწოდებოდნენ... თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს იმასაც, რომ როგორც ძველ დროში, ასევე ახლაც, აფხაზეთში საცხოვრებელი, ტანსაცმელი, საკვები, მიწათმოქმედების იარაღები თუ სოფლის მეურნეობის წარმოების ხერხები, ზუსტად ისეთივეა, როგორიც სამეგრელოში. ტოპონიმების უმრავლესობაც ქართულია. მცხოვრებთა დიდი ნაწილი აღიარებს თავის მეგრულ ან ქართულ წარმომავლობას და შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ქართული და მეგრული გვარები. მხოლოდ ერთი რამ არის, რამაც შესაძლოა აფხაზეთი გამოაცალკევოს საქართველოსგან — ეს არის ენა, თუმცა აქაც სიტყვების ნახევარი მეგრული და ქართულია, მართალია, ხშირად სახეშეცვლილი, მაგრამ რთული არ არის თავდაპირველი მეგრული ან ქართული ძირის დანახვა... აფხაზეთი და სამურზაყანო, სამეგრელოსთან ერთად, თითქმის ყოველთვის ერთ მთლიანობას ქმნიდა და ბოლო დრომდე აფხაზეთისა და სამეგრელოს მამულები ერთსა და იმავე სამოქალაქო თუ ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ... იმედი გვაქვს, აფხაზეთისა და სამურზაყანოს მიმართ საგლეხო რეფორმის განხორციელებისას, ჩვენ არ ვიქნებით გამოყოფილი ქართველური ხალხების საერთო ოჯახიდან, რომელსაც უძველესი დროიდან მიეკუთვნებით".[16] მოხსენებით ბარათს

16 Д.Гамахария, Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб.1997. ст. 336-339

ხელს აწერენ აფხაზური თავადაზნაურობის ძირითადი გვარების წარმომადგენლები: ტ. მარღანია, კ. ინალიფა, ბ. ემუხვარი და შ. მარშანია.

1877 — რუსეთის იმპერიამ, რუსეთ-თურქეთის ომში ოსმალეთის მხარდაჭერისთვის, მთელი აფხაზი ხალხი "დამნაშავე მოსახლეობად" გამოაცხადა (1907 წლამდე). იმპერიის ასეთი ნაბიჯი ადასტურებდა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ სამხედრო მინისტრ მილიუტინისადმი გაგზავნილ ზემოხსენებულ წერილში განსაზღვრულ კურსს აფხაზეთში კაზაკების ჩასახლებისა და იქაური ქართულ-აფხაზური მოსახლეობის თანმიმდევრული რუსიფიკაციის შესახებ (თუმცა, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის იმპერიის ანტიაფხაზური ტენდენცია იცვლება).

1892 — ქართველმა პედაგოგმა კ. მაჭავარიანმა და 18 წლის დ. გულიამ (რომელიც შემდეგ აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი გახდა), გამოაქვეყნეს "აფხაზური ანბანი", რომელიც ქართული გრაფიკის საფუძველზე იყო შექმნილი. აქვე ვიტყვით, რომ პირველი წიგნი აფხაზურ ენაზე — დ. გულიას ლექსების კრებული — თბილისში გამოიცა 1912 წელს.

1902 — კავკასიის მეფისნაცვალი გოლიცინი და საქართველოს ეგზარქოსი ალექსეი შუამდგომლობით მიმართავენ რუსეთის უწმინდეს სინოდს, რათა სოხუმის ეპარქია ყუბანის ეპარქიას მიუერთდეს. ისინი განმარტავენ, რომ საჭიროა სოხუმის აფხაზური და რუსული მოსახლეობა "გავაცალკეოთ უკიდურესად არასასურველი ქართული გავლენისგან" და ამ მიზნით "სასარგებლო იქნება" სოხუმის ეპარქიის ყუბანის მხარესთან მიერთება, სადაც, ჩერქეზ-ადიღეელების გასახლების შემდეგ, იმ დროისთვის უკვე "1 716 245 სული წმინდა რუსული" მოსახლეობა იყო. მეფისნაცვალი და ეგზარქოსი თავიანთ წერილში დაასკვნიან, რომ ყუბანის მხარის ამ რუსულ "მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100 000 მრავალენიანი მოსახლეობა".[17]

1904 — გაგრის ხონა სოხუმის ოლქს "ჩამოაჭრეს" და შავი ზღვის გუბერნიას მიაკუთვნეს.

1907 — იმპერიის პრემიერის, პ. სტოლიპინის ინიციატივითა და ნიკოლოზ II-ის სპეციალური ბრძანებულებით, ნიკოლოზ II-მ აფხაზებს "დამნაშავე მოსახლეობის" სტატუსი მოუხსნა. იმავე წელს რუსულად გამოიცა ლ. ვორონოვის 36-გვერდიანი ბროშურა "აფხაზეთი საქართველო არ არის", რომლის "მეცნიერული პოსტულატები" აფხაზეთთან დაკავშირებით შემდგომ პერიოდში გაჩაღებული ანტიქართული პროპაგანდის ძირითად საყრდენად იქცა (ამ "პოსტულატებს" შორისაა მაგ.,

17. ო. სახოკია. კრებული. თბ., 1969. გვ. 65

შუა საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოსა და ეკლესიის არაქართულად აღიარება, ასევე "საბურხაყანოელების" ეთნიკურ აფხაზებად ანუ არამეგრელებად/არაქართველებად გამოცხადება). ჯორჯინაძის ამ ბროშურის გამოცემა და ფართოდ გავრცელება აშკარა დადასტურება იყო იმპერიის პოლიტიკის შეცვლისა, რაც აფხაზების განადგურებისკენ სწრაფვის ნაცვლად, მათ გარუსებასა და დაწინაურებას და ქართველებისადმი დაპირისპირებას გულისხმობდა.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ იმპერიამ აფხაზების სრული ფიზიკური განადგურება-გადასახლების (უბიხების მსგავსად) და მათ ადგილას ერთბაშად კაზაკების ჩამოსახლების გეგმა შეცვალა (ასეთი რადიკალური ქმედებების საჭიროება აღარ იყო, ჩერქეზ-ადიღეელების გადასახლების შემდეგ მცირერიცხოვანი აფხაზები არანაირ საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ, სამაგიეროდ, "სათანადოდ დაშუშაების" შემდეგ, მათი გამოყენება შეიძლებოდა ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე "პრობლემებს ქმნიდნენ" — ევროპისკენ იყურებოდნენ და ავტონომიას მოითხოვდნენ). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზემოხსენებული რადიკალური გეგმა ძალაში დარჩა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიმართ (ამ ტერიტორიებზე მასობრივად ასახლებდნენ კაზაკებს და შემდეგ შავი ზღვის ოლქს უერთებდნენ), უფრო სამხრეთით კი დაიწყო აფხაზებისადმი "დათბობის" პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მათ "გარუსებას" (სულიერ-კულტურული თვალსაზრისით) და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგო ბერკეტად გამოყენებას.

1916 — წარჩინებულ, დიდგვაროვან აფხაზთა დელეგაცია (გ. შარვაშიძე, მ. ემუხვარი, შ. ინალიფა, პ. ანჩაბაძე, ბ. ეზუხბაია და ა. ჩუკბარი) საგანგებოდ ესტუმრა თბილისს. აფხაზები ეახლნენ მეფისნაცვალს, საქართველოს ეგზარქოსს, სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს და მთელი აფხაზეთის სახელით წარუდგინეს თხოვნა, რომლის არსი იყო აფხაზეთისა და აფხაზების ქართულ სახელმწიფოებრივ-ენობრივ-რელიგიურ ფარგლებში დარჩენა (თხოვნის ტექსტის ავტორი იყო გიორგი შერვაშიძე). აფხაზთა დელეგაცია ითხოვდა სკოლებში სწავლებას შვიობლიურ — ქართულ და აფხაზურ ენებზე და სოხუმის ეპარქიის, როგორც საქართველოს ეკლესიის სისხლხორცეული ნაწილის დარჩენას საქართველოს საეგზარქოსოში. ამასთანავე, აფხაზები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, რომ სოხუმის ოლქი შავი ზღვის გუბერნიას შეერთებოდა, ისინი ქუთაისის გუბერნიასთან (ანუ დასავლეთ საქართველოსთან) ერთიანობას უჭერდნენ მხარს (შავი ზღვის გუბერნია

მოიცავდა სოჭის, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის ოლქებს, ისტორიულად საქართველოსა და ჩერქეზულ-ადიღეური ტომების კუთვნილ მიწებს, საიდანაც იმ დროისთვის, ფაქტობრივად, სრულად იყო გასახლებული მკვიდრი კავკასიელი მოსახლეობა და უკვე რუსი კოლონისტები ცხოვრობდნენ).

აფხაზთა ეს თხოვნა ნათელყოფს იმ პროცესს, რომელიც „მუჰაჯირობის“ შემდეგ განვითარდა აფხაზ საზოგადოებაში. აფხაზთა ერთი ნაწილი თურქეთში გადაასახლეს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან გათურქდა, აფხაზეთში დარჩენილებიდან ზოგი იოლად დაექვემდებარა გარუსების ძლიერ წნეხს, მეორე ნაწილი კი ყოველმხრივ ცდილობდა ქართველებთან, ქართულ გარემოსთან კავშირი არ დაეკარგა, რადგან კარგად ესმოდა, რომ აფხაზური ეთნოსის, ენის, კულტურის, აფხაზური იდენტობის შენარჩუნების გარანტი სწორედ ქართული სახელმწიფოებრივ-კულტურული სხეული იყო. აფხაზთა პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაცია მკაფიოდ გამოჩნდა.

1917 — რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა. იმავე წელს, რუსეთის სეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სოხუმის ეპარქიის ყველა ქართული (50-ზე მეტი) ეკლესია საქართველოს კათალიკოსის დაქვემდებარებაში გადმოვიდა, შავი ზღვის ყოფილი ოლქის რუსული ეკლესიები კი, რომლებიც სოხუმის ეპისკოპოსს ემორჩილებოდნენ, ახალშექმნილი ნოვოროსიისკი-შავი ზღვის ეპარქიას გადაეცა. მაგრამ საქართველოს საკათალიკოსოს და 1918 წლიდან საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების ნაწილი (მათ შორის, 30 აფხაზური, 11 ბერძნული და 6 რუსული), საეკლესიო კანონების დარღვევით, სოხუმის ეპისკოპოს სერგის გამგებლობაში დარჩა (ეს უკანასკნელი არ ცნობდა საქართველოს რესპუბლიკას და დენიკინ-კოლჩაკის ჯარების აქტიური მხარდამჭერი იყო). სწორედ ამ 50-მდე ეკლესიის საფუძველზე, აფხაზეთის სასულიერო პირთა ნაწილმა, ეპისკოპოს სერგის ჩათვლით, მაისში “აფხაზეთის ეკლესიის” “დამოუკიდებლობა” გამოაცხადა (ასეთი გაურკვევლობა შენარჩუნდა 1919 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე).

1 მაისი (1917) — ვლადიკავკაზში გაიმართა კავკასიის მთიელთა I ყრილობა, რომელიც საერთოკავკასიურ მუსლიმურ კავშირში გაერთიანდა (ეს უკანასკნელი დაფუძნდა 15 აპრილს ბაქოში და ოსმალეთზე ორიენტირებულ ორგანიზაციად ითვლებოდა). სექტემბერში ჩატარდა მთიელთა II ყრილობა და ჩამოყალიბდა მთიელთა ცენტრალური

კომიტეტი, რომელიც თავის თავს მთავრობას უწოდებდა. ორიეე ყრილობას ესწრებოდნენ აფხაზებიც და მთიელთა მთავრობაში მათი წარმომადგენელიც შეიყვანეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული კავშირი და აფხაზების მასში გაერთიანება არ ნიშნავდა აფხაზეთის ტერიტორიის გამოყოფას საქართველოსგან და მის "მიერთებას" მთიელთა კავშირთან, როგორც ამას ამტკიცებენ "კრემლის ისტორიკოსები" (მაშინ რუსეთში ჯერ კიდევ არსებობდა კერენსკის დროებითი მთავრობა).

ნოემბერში ჩატარდა "აფხაზი ხალხის ყრილობა", რომელმაც დაადასტურა კავკასიის მთიელთა კავშირში აფხაზების გაერთიანება და აირჩია "აფხაზთა სახალხო საბჭო", თუმცა, ბოლშევიკური გადატრიალების (რევოლუციის) შემდეგ, ვითარება სწრაფად შეიცვალა მთელ იმპერიაში, მათ შორის, ჩრდილო კავკასიაშიც და დეკემბერში კავკასიელ მთიელთა კავშირი, ფაქტობრივად, დაიშალა.

11 ნოემბერი — შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი (მთავრობა), რომელიც აკონტროლებდა ვითარებას მთლიანად ამიერკავკასიაში და, სახელდობრ, აფხაზეთში.

1918 — 9 თებერვალს თბილისში, ორი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის (აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს ეროვნული საბჭოს) წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად:

1) უნდა აღდგენილიყო ერთიანი აფხაზეთი მდ. ენგურიდან მდ. მზიმთამდე (ქ. ადლერამდე);

2) ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მმართველობის ფორმა, თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე, უნდა შეემუშავებინა დემოკრატიულად არჩეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას;

3) თუ აფხაზეთი ან საქართველო გადაწყვეტენ სხვა ერთან ან სახელმწიფოსთან პოლიტიკურ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებას, ისინი ურთიერთვალდებულებას იღებენ ამ საკითხზე ერთმანეთთან წინასწარი მოლაპარაკება გამართონ.[18]

ამ შეთანხმების პირველ პუნქტთან დაკავშირებით აუცილებელია განიმარტოს, რომ 1904 წლის შემდეგ გაგრის ზონა და მის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ტერიტორია შავი ზღვის გუბერნიის ნაწილად ითვლებოდა. ამასთანავე, კავკასიელ მთიელებთან აფხაზების დაახლოებამ პროტესტი გამოიწვია სამურზაყანოში, რომელიც, ერთმნიშვნელოვნად, თბილისის ეროვნულ საბჭოზე იყო ორიენტირებული.

18 Д.Гамахария. Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб.1997. ст. 402

რაც შეეხება ხელშეკრულების მესამე პუნქტს, იგი ნათლად ადასტურებს, რომ იმ მომენტისთვის აფხაზეთს არ ჰქონდა გაფორმებული რაიმე შეთანხმება მიერთების შესახებ მთიელთა კავშირთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ან ერთან.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, ეს არ იყო სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმება, რომლის ტექსტში მოხსენიებულ "საქართველოს" იმ დროს ჯერ კიდევ დეკლარირებულიც კი არ ჰქონდა თავისი დამოუკიდებლობა (მით უფრო, არაფერს ვამბობთ აფხაზეთზე). იმ პერიოდში აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ამიერკავკასიის მთავრობის (კომისარიატის) იურისდიქცია ვრცელდებოდა.

1 მარტი — ბოლშევიკური წითელი არმია სოჭის მხრიდან შემოიჭრა აფხაზეთში და 8 აპრილს სოხუმი დაიკავა. ძალაუფლება ხელში აიღო ბოლშევიკთა რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა) ეფრემ ეშბას მეთაურობით. აფხაზთა სახალხო საბჭო დაითხოვეს, მისი წევრების ნაწილი კი დააპატიმრეს.

17 მაისი — ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გვარდიამ, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა თხოვნის საფუძველზე, სოხუმელი ე. ჯუღელის მეთაურობით, გაგრამდე განდევნა ბოლშევიკები. ამის გამო სოხუმის საქალაქო მმართველობამ ოფიციალური მადლობა გადაუხადა ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობას.[19]

11-26 მაისი — ბათუმში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელშიც გერმანია, ოსმალეთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკა და ჩრდილოკავკასიელები მონაწილეობდნენ, გამოცხადდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაფუძნების შესახებ. ეს რესპუბლიკა მოიცავდა ყოფილი რუსეთის იმპერიის დაღესტნის, თერგის, სტავროპოლის, ყუბანისა და შავი ზღვის ოლქების ტერიტორიას. აფხაზთა საბჭოს ცალკეული წევრები (ოსმალური ორიენტაციის ალექსანდრე შარვაშიძე და ტატაშ მარშანია) ცდილობდნენ აფხაზეთიც მიეერთებინათ მთიელთა რესპუბლიკისთვის, თუმცა, უშედეგოდ. აღნიშნული ჯგუფის მცდელობებიც ადასტურებს, რომ 1917 წელს „აფხაზთა სახალხო საბჭოს" დაკავშირება მთიელებთან არ ნიშნავდა აფხაზეთის ტერიტორიულ გაერთიანებას მთიელთა რომელიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან (ასეთი რამ უკვე მომხდარი რომ ყოფილიყო, შარვაშიძე-მარშანია, ცხადია, აფხაზეთის მთიელთა რესპუბლიკასთან "განმეორებით" მიერთებას არ მოითხოვდნენ).

19. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тб.1997, ст. 412

2 ივნისი — მას შემდეგ, რაც 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, „აფხაზთა სახალხო საბჭომ" თავი, ფაქტობრივად, აფხაზეთის მთავრობად გამოაცხადა, თუმცა ის არჩეული იყო მხოლოდ ეთნიკური აფხაზების მიერ და, ცხადია, არ გამოხატავდა აფხაზეთის სხვა ეროვნებათა ანუ მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

11 ივნისი — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და „აფხაზთა სახალხო საბჭოს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობასთან, აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ინიშნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი. აფხაზეთში შინამმართველობასა და თვითმმართველობას ახორციელებდა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც ამისათვის საჭირო თანხებს საქართველოს მთავრობისგან იღებდა. ამავდროულად, წესრიგის დამყარებაში აფხაზთა სახალხო საბჭოს დაეხმარებოდა საქართველოს მთავრობის გვარდია. აფხაზეთში იქმნებოდა ასევე აფხაზთა სახალხო საბჭოს დაქვემდებარებული ინტერნაციონალური რაზმი, რისთვისაც საჭირო თანხასა და აღჭურვილობას საქართველოს მთავრობა გამოყოფდა.

14-15 ივნისი — ბოლშევიკები ისევ შემოიჭრნენ გაგრის მხრიდან და ახალი ათონი დაიკავეს. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრებმა დახმარება საქართველოს მთავრობას სთხოვეს.

19 ივნისი — საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთის გენერალგუბერნატორად დანიშნული გიორგი მაზნიაშვილი სოხუმში ჩაიდა და მალე შეტევა წამოიწყო. ქართული გვარდია, აფხაზურ 300 კაციან კავალერიასთან ერთად, მე-10 დღეს გაგრაში შევიდა.

24 ივნისი — აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავების შესახებ.

26 ივლისი — გენერალ მაზნიაშვილის ჯარმა თავისი კონტროლი დაამყარა ტუაფსეზე.

ზაფხულშივე, ოსმალებმა ორჯერ გადმოსხეს დაახლოებით 1000-კაციანი დესანტი კოდორის მიმართულებით, მაგრამ საქართველოს მთავრობის გვარდიამ მოახერხა ამ პროვოკაციის აღკვეთა. ამის შემდეგ, ოსმალების მხარდამჭერი აფხაზი თავადები: ალ. შარვაშიძე, ივ. მარღანია და საქართველოს მთავრობასთან აფხაზეთის საქმეთა მინისტრი, პოლკოვნიკი რ. ჩხოტუა იმ დროისათვის მომძლავრებულ თეთრგვარდიელ რუს გენერლებს: დენიკინსა და ალექსეევს დაუკავშირდნენ და მათი დახმარების იმედით აფხაზეთში ძალაუფლების ხელში აღება სცადეს.

9 ოქტომბერი — ჩხოტუა და მარღანია, შეიარაღებული ჯგუფის თანხლებით, სახალხო საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს შენობაში შეიჭრნენ და საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადადგომა მოითხოვეს, თუმცა, საქართველოს მთავრობის გვარდიის სწრაფი მოქმედების შედეგად, აფხაზთა სახალხო საბჭოს შენობა მალევე გათავისუფლდა მომხდურებისგან (ჩხოტუა და მარღანია კი დააპატიმრეს).

10 ოქტომბერი — აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრების ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ მიიღო თხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ვითარების შემდგომი გართულებისა და დენიკინ-ალექსეევის მორიგი სისხლიანი აგანტიურის თავიდან ასაცილებლად, დროებით, სანამ აფხაზეთში ახალი სახალხო საბჭოს დემოკრატიული, საყოველთაო არჩევნები გაიმართებოდა, საქართველოს მთავრობას დაეთხოვა არსებული სახალხო საბჭო.

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

1919 — 13 თებერვალს გაიმართა აფხაზეთის (და არა მხოლოდ აფხაზთა) სახალხო საბჭოს პირველი, საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნები. 40-ადგილიან სახალხო საბჭოში 27 ადგილი მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, თუმცა, ეს არ იყო ეთნიკურად "ქართული" დეპუტატია, როგორც სურთ წარმოაჩინონ "კრემლის ისტორიკოსებმა"; პირიქით, მათგან მხოლოდ 10 იყო ეთნიკურად ქართველი, 12 — აფხაზი, ხოლო 5 — სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.[20] სოციალ-დემოკრატების გარდა აფხაზეთის სახალხო საბჭოში აირჩიეს ასევე დამოუკიდებელი სოციალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ესერები. მთლიანად, საბჭოს 40 დეპუტატიდან 18 აფხაზი იყო, 16 ქართველი და 6 სხვა ეთნიკური ჯგუფიდან, ასე რომ ნებისმიერი ბრალდება ამ არჩევნების არადემოკრატიულობის შესახებ სრული სიცრუეა. ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ არჩევნებამდე გაათავისუფლა დაპატიმრებული ჩხოტუა და მარღანია და საშუალება მისცა მათ სახალხო საბჭოს წევრები გამხდარიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო საბჭოს არჩევნების პარალელურად, აფხაზეთში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებიც და ამ რეგიონიდან საქართველოს პარლამენტში არჩეულ იქნა 5 დეპუტატი, რომლებმაც 12 მარტს ხელი მოაწერეს დამფუძნებელი კრების მიერ თავის პირველ სხდომაზე დადასტურებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. აუცილებელია ითქვას, რომ ამ 5 დეპუტატიდან

20. ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. II. თბ. 2007. გვ. 32-33

3 აფხაზი იყო, 1 — რუსი და 1 — ბერძენი, რაც ერთმნიშვნელოვნად ამხელს "კრემლის ისტორიკოსების" მიერ გავრცელებულ სიყალბეს დაძოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობის "შოვინისტურ-ნაციონალისტური" პოლიტიკის შესახებ.

27 თებერვალი — დ. გულიას რედაქტორობით, სოხუმში დაიწყო პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის "აფსნი" ("აფხაზეთი") გამოცემა. გაზეთისათვის აუცილებელი აფხაზური შრიფტი თბილისში დამზადდა ("აფსნი" 1921 წლამდე გამოიცემოდა და დიდი როლი შეასრულა აფხაზური სალიტერატურო ენის განვითარებაში).

თებერვალი-მარტი — დენიკინის თეთრგვარდიელები შემოიჭრნენ სოჭში, შემდეგ გაგრაშიც და მოითხოვდნენ საქართველოს მთავრობის გვარდიის გასელას მთელი აფხაზეთიდან. აღსანიშნავია, რომ დენიკინი ბრიტანეთის ჯარების (რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განლაგდნენ ამიერკავკასიაში) სარდლობასთან შეხვედრისას აცხადებდა, რომ მისი ქმედებები და მოთხოვნები განპირობებული იყო ქართველების მიერ "ჩაგრული" აფხაზებისა და ასევე სომხების თხოვნით. გარკვეული ჯგუფების მიერ დაწერილი მსგავსი "თხოვნები" მართლაც არსებობდა, მაგრამ არც აფხაზეთის სახალხო საბჭოს და არც აფხაზეთის სომეხთა სახალხო საბჭოს დენიკინისთვის არანაირი თხოვნა არ გაუგზავნიათ (პირიქით, ცხადია, ორიენტ დაგმო დენიკინის შემოჭრა საქართველოში).

20 მარტი — აფხაზეთის ახალარჩეულმა სახალხო საბჭომ მიიღო აქტი "აფხაზეთის ავტონომიის შესახებ", რომლის თანახმად, "აფხაზეთის პირველი სახალხო საბჭო, რომელიც არჩეულია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო ხმის უფლების საფუძველზე, 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე აღგენს:

1) აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული; ეს ეცნობის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას".[21] ავტონომიის აქტის მეორე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის შესამუშავებლად, ასევე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიას შორის ურთიერთობათა განსაზღვრისთვის საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებისგან აირჩეოდა შერეული კომისია.

იუნისი (1919) — ბალტიის სამივე ქვეყნის, პოლონეთის, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებმა

21. Д.Гамахария, Б.Гогия. Абхазия историческая область Грузии. Тб.1997. ст. 435

საპროტესტო ნოტით მიმართეს "ანტანტის" სახელმწიფოებს, რათა მათ აღეკვეთათ დენიკინის აგრესიული ქმედებები საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების წინააღმდეგ (თუმცა, "ანტანტის" ჩარევამდე, იმავე წელს დენიკინის არმია ბოლშევიკებმა გაანადგურეს).

7 ოქტომბერი — გაიმართა აფხაზეთის მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი (ეპისკოპოსი სერგი იმდროისათვის უკვე რუსეთში იყო წასული). ყრილობის გადაწყვეტილებით საქართველოს საკათალიკოსოს ფარგლებში აღდგა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია.

1920 — თებერვალში გაიმართა აფხაზი ინტელიგენციის ყრილობა, რომელმაც საქართველოს მთავრობის წინაშე აფხაზ „მუჰაჯირთა" სამშობლოში დაბრუნების საკითხი წამოჭრა. თებერვალშივე საქართველოს მთავრობამ მიიღო თურქეთში მცხოვრები აფხაზი „მუჰაჯირების" თხოვნა დაბრუნების შესახებ. რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთიდან და აჭარიდან გადასახლებული "მუჰაჯირები" იმ დროს ოსმალეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებულ საკითხებს კი მაშინ "ანტანტა" და ლამის მთელი მსოფლიო პარიზის საზაფო კონფერენციაზე (1919) განიხილავდა. პარიზის კონფერანციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ აპრილში ოფიციალური წერილით მიმართა ანტანტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და საქართველოდან გადასახლებული "მუჰაჯირების" დაბრუნების საკითხის განხილვა სთხოვა. ეს იყო მაქსიმუმი რაც იმ დროს (ურთულეს ეპოქაში, როცა რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის დამარცხებულ იმპერიათა დაშლის პროცესი მიმდინარეობდა) საქართველოს მთავრობას შეეძლო გაეკეთებინა "მუჰაჯირთა" დაბრუნებისთვის საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად (საქართველოს დელეგაციის თხოვნას პარიზის კონფერენციის მხრიდან რაიმე რეაგირება არ მოპყოლია, 1921 წლის თებერვალ-მარტში კი საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო).

7 მაისი — საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კრემლმა ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამავე ხელშეკრულებით დადგინდა საზღვარი მდინარე ფსოუზე და რუსეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს (აფხაზეთის) მიერ გაგრის დაბრუნება, რომელიც 1904 წლიდან იმპერიამ აფხაზეთს "ჩამოაჭრა" და შავი ზღვის გუბერნიას მიაკუთვნა. ხელშეკრულების IV მუხლში კი რუსეთი "უსიტყვოდ

აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებად" ყოფილი რუსეთის იმპერიის ტფილისის, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების მაზრებს, "ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს".[22]

16 ოქტომბერი — აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც შემდეგ უნდა განეხილა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებისგან შემდგარ შერეულ კომისიას. ამ პროექტის თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებად განსაზღვრული იყო: ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, სამხედრო სფერო, ზღვა ღონის სასამართლო სისტემა, საზღვაო პორტები, რკინიგზა, ფოსტა-ტელეგრაფი, საბაჟო და საფინანსო სისტემა. სხვა სფეროები, აღგილობრივი ბიუჯეტი და თვითმმართველობის საკითხები ავტონომიის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა.

1921 — 21 თებერვალს დაშოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მეთერთმეტე თავში გამოცხადებულია ავტონომიური მმართველობა „აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოში (ბათომის მხარე) და ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი)", რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებადაა აღიარებული (მუხლი 107). იმავე დღეს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა "დებულება აფხაზეთის ავტონომიის მმართველობის შესახებ", რომელსაც დროებით, ავტონომიის კონსტიტუციის მიღებამდე, უნდა შეესრულებინა ამ უკანასკნელის ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი, ძირითადად, სწორედ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ზემოხსენებულ პროექტს ეფუძნებოდა.

25 თებერვალი — საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ, თბილისის მისადგომებთან მიმდინარე ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, საქართველოს დედაქალაქი დაიკავა; ჩრდილო-დასავლეთიდან შემოჭრილმა მე-9 არმიამ კი 4 მარტს — სოხუმი. მარტშივე დასრულდა მთელი საქართველოს ოკუპაცია.

6 მარტი — აფხაზეთში ძალაუფლება ხელთ იგდო საბჭოთა რუსეთის მმართველმა ორგანომ — რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კაეკასიის ბიუროს მიერ დანიშნულმა აფხაზეთის "რევოლუციურმა კომიტეტმა" (რევკომი) ე. ეშბას, ნ. ლაკობასა და ნ. აქირთაეას მეთაურობით.

31 მარტი — აფხაზეთის რევკომმა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. მსგავსი "საბჭოთა რესპუბ-

22. საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკუმენტები და მასალები. თბ. 1990. გვ. 76

ლიკები" მანამდე მრავალად იქმნებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (მაგალითად, სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკა — 1918, ოდესის საბჭოთა რესპუბლიკა — 1918, ნახჭევანის სსრ — 1920, ტავრიდის სსრ ყირიმში — 1918, ბუხარის სახალხო სრ — 1920). ეს იყო კრემლის ერთგვარი მეთოდი, რომელიც დაპყრობილი ტერიტორიის შენარჩუნებისთვის გარკვეულ დამატებით ბერკეტს ქმნიდა. მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ 1921 წელს, მაგალითად, ყაზახეთს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მისცეს, ჩრდილო კავკასიელების უმრავლესობა: ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, ყველანი ერთ, მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკაში გააერთიანეს და ზოგიერთ მათგანს ავტონომიური ოლქის სტატუსი "უწყალობეს", აფხაზეთი კი ერთბაშად სსრ-დ გამოაცხადეს.

ამ "გაუგებრობის" მიზეზთა გასარკვევად საყურადღებოა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში რსფსრ-ის ყოფილი საბჭოელთა ატაშეს, გენერალ პ. სიტინის მოხსენება საბჭოთა მთავრობისადმი (22.04.1921). მოხსენება "ქართული შოვინიზმის საფრთხის ლოკალიზაციას" ეხება და საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში დაუყოვნებლად არის დასახელებული აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" გამოცხადების ძირითადი მიზეზები. სიტინი საუბრობს ქემალისტური თურქეთისადმი ანტანტის მხარდ კეთილგანწყობაზე, რისი შედეგიც შესაძლოა გამხდარიყო კავკასიაში და, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიაზე ვითარების გამწვავება. ამიტომ გენერალ სიტინის პირველი რჩევა არის "რსფსრ-ის წითელი არმიის საკმაოდ ძლიერი დანაყოფების დატოვება საქართველოს ფარგლებში, განსაკუთრებით თურქეთის საზღვართან". აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას კრემლთან კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და იმ დროს პარიზში, დეენილობაში იმყოფებოდა. სწორედ ამიტომ, "ქართული შოვინიზმის, როგორც ტერიტორიულად, ასევე მატერიალურად დამასუსტებელ ღონისძიებად" სიტინი კრემლს სთავაზობს "აფხაზეთის გამოყოფას" (იმავე მოხსენებაში ის კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ "აფხაზეთის შემდეგ ყურადღება უნდა მიექციოთ სამეგრელოსო").[23] სიტინის მოხსენება ნათლად აღასტურებს კრემლის ძირითად მიზანს, რომლითაც მან აფხაზეთის სსრ შექმნა — თუ დანარჩენი საქართველო "პრობლემებს შექმნიდა" და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას განაახლებდა, ამ პროცესში კრემლს თბილისზე კონტროლი რომც დაეკარგა, აფხაზეთის "დამოუკიდებელი სსრ" მის ხელში დარჩებოდა და საქართველოს ცალკე ბრძოლა მოუწევდა აფხაზეთის

23. Д.Гамахария, Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб.1997. ст. 471-472

დასაბრუნებლად (იმ წლებში "ქართულმა შოვინიზმმა" ასეთი საფრთხე კრემლს ვერ შეუქმნა და ამიტომაც აფხაზეთის სსრ მალე ისევ საქართველოში შემავალ ავტონომიად იქცა, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოვლენები სწორედ ამ სქემით განვითარდა, რისი "დაგვირგვინებაც" იყო 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია და კრემლის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობის" ცნობა).

21 მაისი — საქართველოს რევკომმა ცნო აფხაზეთის სსრ და იქვე განმარტა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს ურთიერთობის შესახებ მიიღებს ამ რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობები.

რუსეთის კომპარტიის ცკ-ის ერთ-ერთი სტრუქტურის — კავკასიის ბიუროს მიერ დანიშნული საქართველოსა და აფხაზეთის რევკომები, ცხადია, შეუძლებელია რაიმე ფორმით კანონიერ ორგანოებად ჩაითვალოს. ამ კონტექსტში წარმოუდგენელია ვისაუბროთ ერის, ხალხის ნების გამოხატვაზე, თვითგამორკვევის უფლებაზე, სუვერენიტეტზე ან მსგავს "მაღალ მატერიებზე". ნებისმიერი საღი გონების ადამიანისთვის ცხადია, რომ არანაირი "დამოუკიდებლობა" აფხაზეთს მაშინ არ მიუღია, პირიქით, მან სრულად დაკარგა ის ავტონომია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს დროს ჰქონდა და მთლიანად კრემლის კონტროლს დაექვემდებარა.

სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის სსრ კრემლმა, უპირველესად, საქართველოს დასამორჩილებელი საიმედო ბერკეტის ფუნქციით და ასევე აფხაზებში სეპარატიზმის, ანტიქართული განწობილების გასაღვივებლად ანუ თავისი კონკრეტული მიზნების გამო შექმნა და აფხაზეთისთვის რეალური დამოუკიდებლობის მიცემაზე არც კი უფიქრია (არაფერს ვამბობთ კრემლის მიერ აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაზე, თუმცა, რასაკვირველია, მთელი იმპერიის მასშტაბით "დამოუკიდებელი რესპუბლიკების" შექმნა-გაუქმება, საზღვრების გადაწევ-გადმოწევა, რეპრესიები და მსგავსი "რევოლუციური ქმედებები" სწორედ მოსახლეობისა და "მშრომელთა" სახელით კეთდებოდა).

ზემოთქმულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთისა და საქართველოს რევკომების 31 მარტისა და 21 მაისის გადაწყვეტილებათა მიუხედავად, აფხაზეთის დამოუკიდებელი სსრ არსად ფიგურირებს მაშინდელ საბჭოურ დოკუმენტებშიც კი. მაგ., 1921 წლის აგვისტოში შეიქმნა კავკასიის ეკონომიკური კავშირი, რომლის წევრები გახდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და რსფსრ-ის ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკები. თუკი აფხაზეთი რომელიმე საბჭოთა ორგანოს აფხაზეთის სსრ-ად

უნდა ჩაეთვალა, ეს სწორედ კავბიურო იყო, მაგრამ კავკასიის ეკონომიკური კავშირის სიაში ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკასთან ერთად დასახელებულია ნახჭევანი და ცალ-ცალკე ჩამოთვლილია რსფსრ-ის შემადგენლობაში მყოფი დაღესტანი, მთის რესპუბლიკა და ყაბარდო, აფხაზეთის სსრ კი ნახსენები არ არის. აფხაზეთის სსრ არ არის არც იმ პერიოდში კავბიუროს მიერ შექმნილ კავკასიის ეკონომიკურ ბიუროშიც კი ანუ ორივე ამ ეკონომიკურ ორგანიზაციაში აფხაზეთი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში იგულისხმებოდა. თვით კავბიუროს პლენუმის სხდომებზე აფხაზეთის წარმომადგენლებს, სხვა ავტონომიების მსგავსად, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდათ. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ აფხაზეთის სსრ-ის ასეთი "დისკრიმინაცია" კავბიუროში ეთნიკურად ქართველი ბოლშევიკების გაელენას უკავშირდებოდა, მაგრამ აფხაზეთის სსრ არ არის ნახსენები არც რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტში, რომელიც უშუალოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას ეხება და რომელიც თვით ლენინის მიერ არის შემუშავებული 1921 წლის 28 ნოემბერს.[24]

21 ოქტომბერი — კავბიურომ შექმნა კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

14 ნოემბერი — ე. ენუქიძემ კავბიუროს მიმართა წინადადებით, რათა აფხაზეთი უშუალოდ გამხდარიყო მომავალი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის (შეიქმნა 1922 წ.) წევრი, მაგრამ კავბიურომ 16 ნოემბერს თავის პასუხში ენუქიძეს შესთავაზა კავბიუროსთვის წარედგინა თავისი დასკვნა აფხაზეთის შესვლასთან დაკავშირებით ან საქართველოს ფედერაციაში ან ავტონომიური ოლქის („область") სტატუსით — რსფსრ-ში.

16 დეკემბერი — საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის გაფორმდა სამხედრო, პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელმაც მეტ-ნაკლებად დააფიქსირა რეალობა — აფხაზეთის დამოკიდებულება საქართველოს სსრ-ზე.

1922 — საქართველოს სსრ 28 თებერვლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე მის შემადგენლობაში არის აფხაზეთის სსრ (აფხაზეთის სსრ რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში იყო, ამას არცთუ შორეულ წარსულში ზოგიერთი აფხაზი "კრემლის ისტორიკოსიც" ადასტურებდა, მაგ., ბ. სალარია).[25]

12 მარტი — თბილისში, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხ-

24. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии. Тб.1997, ст. 118

25. ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. II, თბ. 2007, გვ. 95-96.

ეთის სსრ-თა შორის გაფორმდა შეთანხმება ამიერკავკასიის სსრ-ების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. იმავე წლის 13 დეკემბერს ეს ფედერაციული კავშირი გადაკეთდა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად (ასფსრ), რომელიც 30 დეკემბერს გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი სუბიექტი. როგორც ასფსრ-ს, ასევე საბჭოთა კავშირს აფხაზეთი (ფორმალურად აფხაზეთის სსრ) არა „დამოუკიდებელი სსრ-ის“, არამედ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მყოფი წარმონაქმნის სახით მიუერთდა. ეს ფაქტი არაორაზროვნად არის დაფიქსირებული სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციაში, რომლის მეორე ნაწილში საბჭოთა კავშირის — "ერთიან სამოკავშირეო სახელმწიფოს" შემქმნელ ერთ-ერთ სუბიექტად დასახელებულია ამიერკავკასიის სფსრ და იქვე ჩამოთვლილია ამ ფედერაციის შემადგენელი საბჭოთა რესპუბლიკები: აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ (ანუ აფხაზეთის სსრ, ერთმნიშვნელოვნად, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში იგულისხმება). იმავე კონსტიტუციის მე-4 თავში მოცემულია საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) ფორმირების წესი და მე-15 მუხლში გარკვევით არის აღნიშნული, რომ სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკები და ავტონომიური სსრ-ები ცაკ-ის ეროვნებათა საბჭოში აგზავნიან 5-5 წარმომადგენელს, რუსეთის სფსრ-ის ავტონომიური ოლქების წარმომადგენლები კი თითო-თითოს. მე-15 მუხლშივე შენიშვნის სახით დაზუსტებულია, რომ ამიერკავკასიის ავტონომიური ოლქები და "ავტონომიური რესპუბლიკები: აჭარა და აფხაზეთი" თითო-თითო წარმომადგენელს აგზავნიან ეროვნებათა საბჭოში.

1925 — 1 აპრილს "აფხაზეთის საბჭოთა III ყრილობამ", "რეკომის" მემკვიდრე ასევე სრულიად უკანონო ორგანომ, რომელიც მხოლოდ კრემლის ნების ბუტაფორიულ "გაფორმებას" განასახიერებდა, მიიღო აფხაზეთის სსრ-ის "კონსტიტუცია", რომლის ცალკეული პუნქტები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, ასევე საქართველოს სსრ-ის, ამიერკავკასიის სფსრ-ისა და სსრკ-ის ზემოგანხილულ 1924 წლის კონსტიტუციას, ანუ საერთოდ ამოვარდნილი იყო თვით საბჭოური სამართლებრივი სისტემიდანაც კი. ამ "კონსტიტუციის" მე-5 მუხლის თანახმად, „აფხაზეთის სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე ახორციელებს თვითონ, რომელიმე სხვა ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. ამიერკავკასიის სფსრ-ში და სსრ კავშირში ნებაყოფლობითი შესვლის გამო აფხაზეთის სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ იმ ფარგლებში და იმ სფეროებში, რომ-

ლებიც მითითებულია ამ კავშირების კონსტიტუციებში... აფხაზეთის სსრ იტოვებს თავისუფალი გასვლის უფლებას როგორც ამიერკავკასიის სფსრ-ის შემადგენლობიდან, ასევე სსრკ-დან..." (თავი II, მუხლი 5) აქ სრულიად აშკარად ჩანს შეუსაბამობა საქართველოს სსრ-თან დადებულ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებასთან, საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციასთან, ამიერკავკასიის სფსრ-ისა და სსრკ-ის კონსტიტუციებთან. ამიერკავკასიის სფსრ-ისა და სსრკ-ის შემადგენლობაში აფხაზეთი შევიდა არა დამოუკიდებლად, არამედ "საქართველოს სსრ-ის მეშვეობით" (რაც სიტყვა-სიტყვით არის დაფიქსირებული ამავე "კონსტიტუციის" მე-4 მუხლში); აქედან გამომდინარე, აფხაზეთის სსრ-ს, ცხადია, ვერ ექნებოდა ამიერკავკასიის სფსრ-სა და სსრკ-დან თავისუფლად გასვლის უფლება.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს "კონსტიტუცია" არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, ძალაში არ შესულა; მოგვიანებით, 1926 წლის 27 ოქტომბერს, გამოქვეყნდა მისი შესწორებული ვარიანტი, რომელიც საკვანძო საკითხებში საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის დებულებებს იმეორებდა და, ფაქტობრივად, აფიქსირებდა აფხაზეთის სსრ-ს, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. ეს ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს კონსტიტუციის იმ ნაწილიდან რომელიც ბიუჯეტს ეხება: "აფხაზეთის სსრ არის საქართველოს სსრ-ის საერთოსახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი და მტკიცდება საერთოქართული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, როგორც საქართველოს სსრ-ის საერთოსახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი" (თავი IV, მუხლი 92).

აქვე აღვნიშნავთ, რომ თითქოს აფხაზეთის სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პათოსით გაჟღენთილ "კონსტიტუციაში" ვკითხულობთ: "აფხაზეთის სსრ-ის სახელმწიფო დაწესებულებების ენად აღიარებულია რუსული ენა" (თავი II, მუხლი 6).

ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის სსრ-ის "საბჭოების ყრილობის" 1925 წლის "კონსტიტუციის" მიღება ადგილობრივი სეპარატისტების "თვითშემოქმედება" იყო, რომლებმაც გულუბრყვილოდ დაიჯერეს, რომ კრემლმა მათ დამოუკიდებლობა უბოძა. ამ ვერსიას თითქოს ადასტურებს აფხაზი კომუნისტების ცნობილი ბელადის ნ. ლაკობას სიტყვები, რომელი მან 1925 წ. 26 ნოემბერს აფხაზეთის კომუნისტების პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქვა: „აქ ჩვენ კონსტიტუცია ძალზე სულელურად დავწერეთ";[26] მაგრამ, მეორე მხრივ, არც ასე მარტივად უნდა ყოფილიყო საქმე. ზეცენტრალიზებულ

26. Д.Гамахария, Б.Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тб.1997, ст. 491

საბჭოთა იმპერიაში ასეთი "თვითშემოქმედების" უფლება მხოლოდ კრემლს ჰქონდა, მხოლოდ კრემლში წყდებოდა კონსტიტუციებისა თუ საზღვრების გადაკეთებ-გადმოკეთების საკითხები. შეუძლებელია, რომ კრემლში არ სცოდნოდათ აფხაზეთის იმ "კონსტიტუციის" შინაარსი, რომელიც 1925 წელს მიიღეს "საბჭოებმა". ნიშანდობლივია, რომ მაშინ ის არც კი გამოქვეყნებულა, იმ პერიოდში ეს სრულიად ზედმეტ დაძაბულობას გამოიწვევდა საქართველოში. ისევე, როგორც "დამოუკიდებელი" აფხაზეთის სსრ-ის შექმნა, ასევე 1925 წლის "კონსტიტუციის" მიღებაც გათვლილი იყო არა იმ კონკრეტული მომენტისთვის, როცა ეს მოხდა, არამედ იმ დროისთვის, როცა ეს "საჭირო გახდებოდა", იმ შემთხვევისთვის, თუ/როცა საქართველო "ურჩობას" დაიწყებდა და კრემლი მის დასჯას გადაწყვეტდა. აფხაზეთის სსრ-ისა და 1925 წლის "კონსტიტუციის" შექმნით კრემლმა სათანადოდ "დაიზღვია" თავი, სათანადოდ "ჩადო" ის "ნაღმი", რომელსაც, როცა დასჭირდებოდა მაშინ გამოიყენებდა (თუმცა, "უკეთაც" შეეძლო ამის გაკეთება, 1925 წლის "კონსტიტუცია" რომ გამოექვეყნებინა, მაგრამ იმ მომენტში, როგორც ჩანს, გართულებებს მოერიდა). სანამ საქართველო "წესიერად იქცეოდა", ამის აუცილებლობა, ცხადია, არ იყო, შესაბამისად, ეს უბრალო შეცდომად ან "სისულელედ" გასაღდა და ფართო საზოგადოებისთვის მიიჩქმალა, მაგრამ როცა შესაფერისი დრო დადგა, 1990-იან წლებში, კრემლმა ათწლეულების წინ გადანახული იარაღი აამოქმედა.

1931 — 11 თებერვალს "აფხაზეთის საბჭოების" VI ყრილობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის სსრ გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-დ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (იმავე წლის 15-19 თებერვალს შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში "საქართველოს საბჭოების" VI ყრილობამაც).

1936 — ამიერკავკასიის სფსრ გაუქმდა და ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა მოკავშირე სსრ-ის სტატუსით დანარჩენ 12 მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად უშუალოდ გაერთიანდა საბჭოთა კავშირში. აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა დაფიქსირებულ იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ-ის 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ-ის 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ-ის 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციებში (საბჭოთა წლებში, კრემლის მონდომების შედეგად, აფხაზურმა სეპარატიზმმა თანდათან ორგანიზებული ხასიათი შეიძინა. რაც 1978 წლის კონსტიტუციის მიღებისას გამოვლინდა).

1985 — სსრკ-ში დაიწყო „პერესტროიკად" წოდებული პროცესი, რომლის მსვლელობისას ქართველ ერს საშუალება მიეცა თანდათან გაეაქტიურებინა მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

1988 — დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბური ეტაპი, როცა რეპრესიების შიშის მიუხედავად, მიტინგებზე ათეულობით ათასი ადამიანი გამოდიოდა. საპასუხოდ, კრემლის მითითებით, აფხაზეთში გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები, რომელთა პირველი სერიოზული გამოვლინება იყო ე.წ. „აფხაზური წერილი", როცა 1988 წლის ივნისში, აფხაზი სახოგადოების წარმომადგენელთა ნაწილმა, წერილით მიმართა სსრკ-ის XIX პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმს და მოითხოვა აფხაზეთის გასვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. წერილის ავტორები აცხადებდნენ, რომ აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს უნდა დაუბრუნდეს სსრ-ის სტატუსი, რომელიც მას ჰქონდა 1921-1931 წწ.-ში („აფხაზური წერილი" გამოქვეყნდა გუდაუთის პარტიულ გაზეთ „ბზიფში", 1989 წელს).

იმავე წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელშეწყობით შეიქმნა აფხაზეთის სახალხო ყორუმი „აიდგილარა" („ერთობა").

1989 — იანვარში საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. აფხაზეთის მკვიდრთა აღწერის დროს იყო მცდელობა ქართული მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურად შემცირებისა, თუმცა, მიჩნეულია, რომ აღწერა, ძირითადად, ობიექტურად ჩატარდა.

იმავე წლის დასაწყისში გაძლიერდა აფიოტაჟი აფხაზეთის ტოპონიმიკის შესახებ და ამ საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომისია.

18 მარტი — სეპარატისტული მისწრაფებების კულმინაციად იქცა აფხაზი მოსახლეობის თაყვრილობა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში და იქ საკავშირო ხელისუფლებისადმი მიმართვის ტექსტის მიღება, რომელიც თავიდან ბოლომდე ანტიქართული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ამ მიმართვის საპასუხოდ, იმავე წლის 25 მარტს სოხუმში, გალის რაიონულ ცენტრსა და თბილისში გაიმართა ქართული მოსახლეობის მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები.

1 აპრილი — დაბა ლესელიძეში ჩატარებული ე.წ. ანტი-იმპერიული მიტინგის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დაარბია აფხაზთა ეგზალტირებულმა მასამ. იყვნენ დაჭრილებიც. ამ ვანდალურ აქციას მოჰყვა 2 აპრილს სოხუმში ქართული მოსახლეობის საპროტესტო აქციები და სიტუაციის უკიდურესად დაძაბება. აშკარა იყო, რომ კრემლი ყოველნაი-

რად ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირებას. ამიტომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მაზანშეწონილად მიიჩნიეს ფართომასშტაბიანი აქციების სოხუმიდან თბილისში გადმოტანა.

4 აპრილი — თბილისში დაიწყო აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი საპროტესტო გამოსვლები და თბილისში მთავრობის სასახლესთან დაწყებული აქცია მძლავრ ანტისაბჭოურ მიტინგში გადაიზარდა, რომლის უპირველეს მოთხოვნად იქცა საქართველოს დამოუკიდებლობა. 4-დან 9-აპრილამდე ყოველდღიურად ასეულობით ათასი ადამიანი მონაწილეობდა მშვიდობიან ანტისაბჭოურ მიტინგებსა და დემონსტრაციებში.

9 აპრილი — ღამით, 4 საათზე, თბილისში, სსრკ-ის სამხედრო ქვედანაყოფების მიერ, გენერალ როდიონოვის მეთაურობით, უმოწყალოდ, სასანგრე ნიჩბებით დარბეულ იქნა მშვიდობიანი მოშიმშილეები და მომიტინგეები, დაახლოებით, 8 ათასი ადამიანი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. სასანგრე ნიჩბებთან ერთად, სამხედროებმა გამოიყენეს ასევე დღემდე უცნობი მხუთავი გაზი. ფიზიკური ტრავმებისა და გაზით მოწამვლის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა, აქედან უმრავლესობა ქალები. სსრკ-ის ხელისუფლებამ, თავდაპირველად, საბჭოური ტრადიციისამებრ, სცადა ამ ტრაგედიის მიჩქმალვა, მაგრამ მიტინგები თბილისში მეორე დღესაც გაიმართა, შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, კომენდანტის საათი და ამ ყველაფრის დამალვა „პერესტროიკის" პერიოდში უკვე შეუძლებელი იყო. 9 აპრილის ტრაგედიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში (ეს ფაქტი 2008 წელს თბილისში ვიზიტისას გაიხსენა პოლონეთის აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმაც). ამ დროიდან დაიწყო მასობრივი მიტინგების ხანა. საბჭოთა რესპუბლიკებისა და ვარშავის ხელშეკრულების წევრი სოციალისტური ქვეყნების ხელისუფლებები ვეღარ ბედავდნენ დემონსტრანტების დარბევას და ამ პროცესს 1989 წლის შემოდგომაზე უკვე „ხავერდოვანი" რევოლუციები მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპაში. 9 აპრილის ტრაგედიამ დიდი გარდატეხა გამოიწვია საქართველოში, რის შედეგადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დისიდენტურ-სტუდენტური საფეხურიდან საერთოეროვნულ მასშტაბამდე აძაღლდა. კრემლისთვის აშკარა გახდა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილზე კონტროლს კარგავდა და „ეთნოკონფლიქტების" პროვოცირების „მექანიზმები" აქტიურად აამუშავა. აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობაში განხეთქილების შეტანისა და

ქართული მოსახლეობისადმი დაპირისპირების მიზნით შეიქმნა ანტიქართული ორგანიზაციები: „სლაეიანსკი დომი“, „კრუნკი“, „ალანი“, რომლებიც გახდნენ აფხაზური „აიდგილარას“ მოკავშირეები.

14 მაისი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ # 343 განკარგულებით დააკმაყოფილა ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თხოვნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული სექტორის გამოყოფისა და ქ. სოხუმში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ. ამ უმაღლესი სასწავლებლის გახსნა კრემლთან დაკავშირებული სეპარატისტული ძალების მიერ გამოყენებულ იქნა საბაბად 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანი შეტაკებების პროვოცირებისათვის, რასაც ოცი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ივლისის მოვლენებმა უკიდურესად აღაშფოთა მთელი ქვეყანა, ათეულ ათასობით ადამიანი გაემგზავრა აფხაზეთში, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა აქტიურობით მოხერხდა ვითარების სტაბილიზაცია. მიუხედავად ამისა, დაძაბულობა მომდევნო პერიოდშიც შენარჩუნდა.

1990 — 3 აპრილს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან დაკავშირებით. ამ კანონის მესამე მუხლის თანახმად, თუ მოკავშირე რესპუბლიკა გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას, აღნიშნული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თითოეული ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ცალკე უნდა ჩატარებულიყო, ანუ „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრკ-ში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე — თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება”. პარალელურად კრემლი სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის ხელმოწერის უფლებასაც ავტონომიური წარმონაქმნებიც იღებდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ ნაბიჯებს ავალდებულებდა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა და, შესაბამისად, ვითარების შემდგომ გამწვავებას ემსახურებოდა.

ივლისი — უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლეს საბჭოში, რომელიც, ფაქტობრივად, ორად გაიხლიჩა. ამავე პერიოდში მოსკოვის მიერ ინსპირირებულ იქნა ე. წ. „თურქი-

მესხების" პრობლემა და საქართველოში მათი დაბრუნების მცდელობა აფხაზეთის ტერიტორიის გაელით.

25 აგვისტო (1990) — აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესმა საბჭომ, აფხაზ დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით, სესიის ჩატარების საკონსტიტუციო წესების უხეში დარღვევითა და დეპუტატთა უმრავლესობის ახრის გაუთვალისწინებლად, მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ" და დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ". მეორე დღესვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა ავტონომიური ორგანოს ზემოაღნიშნული დადგენილება და დეკლარაცია.

31 აგვისტო — აფხაზეთის სსრ-ის უმაღლესი საბჭოს ქართველ დეპუტატთა ინიციატივით გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელმაც ამხილა აფხაზეთში კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობა და გააფრთხილა საზოგადოება მოვლენათა შემდგომი ესკალაციის განუჯერეტელი შედეგების თაობაზე, მოუწოდა ერთიანობის, სიფრთხილისა და წინდახედულობისაკენ.

28 ოქტომბერი (1990) — ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები (ეს იყო სსრ-ის ტერიტორიაზე პირველი, ოფიციალურად მრავალპარტიული არჩევნები). კომუნისტები დამარცხდნენ და 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია.

4 დეკემბერი — საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრკ-ის სახალხო დეპუტატი, ბლოკ „სოიუზის" ერთ-ერთი ლიდერი ელადისლავ არძინბა.

1991 — საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მიუხედავად, აფხაზური ენას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა (ქართულ ენასთან ერთად).

29 იანვარი — საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა "აღგილობრივი საბჭოები", მაგრამ არძინბა აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. ოფიციალურ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობების გაუარესება დაიწყო.

28 თებერვალი — საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე 1991 წლის 17

მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმის ბოიკოტირების შესახებ (სანაცელოდ, 31 მარტს საქართველოში დაინიშნა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი). მიუხედავად ამისა, იმავე ღღეს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება დაადგინა (17 მარტსვე დაინიშნა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნები #669-ე სოხუმის ტერიტორიულ საოლქო საარჩევნო ოლქში). 16 მარტი — საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საარჩევნო კანონის მოთხოვნათა დარღვევების გამო (მაგ. ქ. გაგრის 44 საარჩევნო უბნიდან 37-ში საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაზე არ არსებობდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო გუდაუთის რაიონისთვის გაცემული ბიულეტენების რაოდენობა საჭიროზე 14 ათასით მეტი აღმოჩნდა) გააუქმა სოხუმის ტერიტორიული საოლქო საარჩევნო კომისია და ახალი საარჩევნო კომისიის ფორმირებამდე, სსრკ-ის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე დასვა საკითხი სოხუმის საარჩევნო ოლქში 17 მარტს დანიშნული სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნების გადატანის შესახებ (ამრიგად, 17 მარტის საკავშირო „რეფერენდუმი" და სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნები აფხაზეთში არალეგიტიმურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა).

17 მარტი — სსრკ-ის შენარჩუნების რეფერენდუმს, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, გაყალბების მიუხედავად, სოხუმის უკანონო საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებითაც კი, 17 მარტს რეფერენდუმზე მივიდა მხოლოდ 52,3% და სსრკ-ის შენარჩუნებას ხმა მისცა 51,6%-მა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კომისიამ განგებ შეამცირა საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა რაოდენობა, სსრკ-ის შენარჩუნების მომხრეთა რაოდენობა 47,97%-მდე ჩამოდის (ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ქვემოთ, 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შესახებ საუბრისას, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, 22 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ბათილად ცნო აფხაზეთში საკავშირო „რეფერენდუმის" შედეგები).

31 მარტი — საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ (რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლის 90%-მა (3 302 572) და მონაწილეთა 99,78%-მა (3 295 493) საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა). აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ 31 მარტის რეფერენდუმის ბოიკოტირების მიუხედაეად, მთლიანად, ავტონომი-

ური რესპუბლიკის საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა (და არა რეფერენდუმზე მისულთა) 59,8 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას (აქ გასათვალისწინებელია, რომ 1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ქართველები მოსახლეობის 45,7% შეადგენდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აფხაზეთის ეთნიკურად არაქართული მოსახლეობაც ეშხრობოდა). 31 მარტის რეფერენდუმის ოფიციალური მონაცემების თანახმად, აფხაზეთში დაფიქსირდა 347 175 ამომრჩეველი. მათგან რეფერენდუმზე მივიდა 61,27% და ამ ადამიანთა 97,73% ანუ მთლიანად აფხაზეთის ელექტორატის 59,8% საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 17 მარტის "რეფერენდუმის" გამართვისას სოხუმის უკანონო საოლქო საარჩევნო კომისიამ ხელოვნურად შეამცირა აფხაზეთის ელექტორატის რაოდენობა (რათა კრემლიდან დაკვეთილი „რეფერენდუმი" ჩატარებულად გამოეცხადებინა) და 347 175 ამომრჩევლის ნაცვლად მხოლოდ 318 317 მოქალაქე დააფიქსირა; ამგვარად სიიდან „გააქრო" 28 858 ადამიანი, რაც შემცირებული სიით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 9%-ია, ხოლო რეალური, სრული სიით — 8,3%. ზედმეტ ბიულეტენებსა და სხვა დარღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, არალეგიტიმური საარჩევნო კომისიის ცნობით, 17 მარტს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 166 544-მა მოქალაქემ, რაც სრული სიის მხოლოდ 47,97%-ია, ხოლო შემცირებული სიის 52,3% (სსრკ-ის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა 164 231-მა ადამიანმა, რაც სრული სიის 47,3%-ია).

9 აპრილი (1991) — საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა (უფრო ადრე, 1990 წლის 11 მარტს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, გამოაცხადა ლიტვამ). ამან კიდევ უფრო გააძლიერა კრემლის აგრესია. ამ აგრესიის მეტ-ნაკლებად შეკავების მიზნით, ქართული მხარე მნიშვნელოვან დათმობას დათანხმდა: 1991 წლის 9 იელისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო ეთნიკურ უმცირესობას: მოსახლეობის 17,8 პროცენტი (აფხაზები) პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ 28 დეპუტატით, ხოლო 45,7 პროცენტი (ქართველები) — მხოლოდ 26 დეპუტა-

ტით. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი (სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი) — 11 დეპუტატით;

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი) უნდა ყოფილიყო ეთნიკურად აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი.

ამ დათმობების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელობა უამრავ უკანონო ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები (აღსანიშნავია, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, კრემლმა ვერ შეძლო მნიშვნელოვანი შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობა აფხაზეთში იმ დრომდე, სანამ თვით საქართველოს ცენტრში არ მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება და საქართველოს ხელისუფლების სათავეში ძალადობის გზით არ მოიყვანა კიტოვანი-იოსელიანის „სამხელრო საბჭო").

15 სექტემბერი (1991) — საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სსრკ-ის ჯარებს „საოკუპაციო ჯარის" სტატუსი მიენიჭა.

8 დეკემბერი — რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „ბელოვეჟსკის შეთანხმებას" (10-12 დეკემბერს რატიფიცირებულ იქნა სამივე სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ), რითაც, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" (დსთ) დაფუძნდა. აუცილებელია ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებით, სსრკ-ის 15 მოკავშირე რესპუბლიკის გარდაქმნას 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მათი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით, თვით რუსეთის ფედერაციამაც კი დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ „პერესტროიკის" პერიოდში კრემლი ცდილობდა ახალი საკავშირეო ხელშეკრულების დადებით შეენარჩუნებინა საბჭოთა იმპერია და მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლებისკენ სწრაფვის შესაჩერებლად აქტიურად იყენებდა ავტონომიური წარმონაქმნების „ბერკეტს", თუმცა, ჩეჩნეთში, თათარსტანსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებში დაწყებულმა ცენტრიდანულმა პროცესებმა თვით რსფსრ-ის დაშლის საფრთხე რეალური გახადა და კრემლის

ახალ „სამოკავშირეო" გეგმების წერტილი დაუსვა, რაც ოფიციალურად სსრკ-ის პრეზიდენტ გორბაჩოვის გადადგომით დასრულდა 1991 წლის 25 დეკემბერს. ამრიგად, 1991 წლის დასასრულს, სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანას ისეთივე სასტარტო პოზიცია ჰქონდა, როგორიც, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს; მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივ დონეზე, აქ მიმდინარე პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენდა კრემლი, რისთვისაც აქტიურად იყენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ თავის სამხედრო ბაზებს. მას შემდეგ, რაც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ სსრკ-ის ჯარებს „საოკუპაციო ჯარის" სტატუსი მიანიჭა და უარი თქვა დსთ-ში (ანუ კრემლის გავლენის სფეროში) შესვლაზე, 21 დეკემბერს საქართველოში დაიწყო კრემლის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტ გამსახურდიასა და საქართველოს ყველა არჩევითი ორგანოს — უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — დამხობა-გაუქმებით დასრულდა (ეს იყო კრემლის ძლიერი დარტყმა მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობაზე).

1992 — იანვრის პირველ რიცხვებში, კრემლისა და ე.წ. „ზაკეოს" (ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბის) უშუალო დახმარებითა და მონაწილეობით, საქართველოში ძალაუფლება ხელთ იგდო თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის „სამხედრო საბჭომ" (აღსანიშნავია, რომ კიტოვანი დღესაც თავის შფარველებთან, მოსკოვში იმყოფება). ამის შემდეგ, კრემლმა აქტიურად აამუშავა ყველა შემონახული ბერკეტი და „ნაღმი" საქართველოში „ეთნოკონფლიქტების" გასაჩაღებლად, რასაც საბოლოო მიზანი — საქართველოს დაშლა უნდა მოპყოლოდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აფხაზეთის ასსრ-ისა და საქართველოს კონსტიტუციის დარღვევით, თვითნებურად იღებდა გადაწყვეტილებებს და, ფაქტობრივად, ხელისუფლების უზურპაციას ახორციელებდა, რასაც აღიარებენ ობიექტური რუსი პოლიტოლოგებიც, მაგ., სვეტლანა ჩერვონაია (ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ზ. პაპასქირის ზემოხსენებულ წიგნში).[27]

„ეთნოკონფლიქტების" პროვოცირებაში ძირითად როლს ასრულებდნენ, ერთი მხრივ, კრემლის მიერ ზურგგამაგრებული სეპარატისტ-კრიმინალების შეიარაღებული ბანდები და, მეორე მხრივ, კიტოვანი-იოსელიანის შეიარაღებული დაჯგუფებები (ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს აწ განსვენებული ღირსეული აფხაზი და მთელი

27. ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან II, თბ. 2007, გვ. 328-329

საქართველოს ღირსეული პატრიოტი ლორიკ მარშანია)[28] ყველა ეს ჯგუფი შეიარაღებას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ბაზებიდან იღებდა (მაგალითად, 1992 წლის აგვისტოში კიტოვანის დაჯგუფებას აფხაზეთში შესასვლელად მძიმე შეიარაღება ახალციხეში მდებარე რუსული სამხედრო ბაზიდან გადაეცა), აფხაზეთში კი, ანტიქართულ ბანდებს გუდაუთის ასევე რუსული ბაზა აიარაღებდა. ანუ, მას შემდეგ, რაც საქართველოში არჩეული ხელისუფლება დაამხო და ქვეყანა „მართვად ქაოსში", ანუ შინაქართული „სამოქალაქო ომის" ალში გახვია, კრემლს ხელ-ფეხი გაეხსნა ქართულ-აფხაზური „ეთნოკონფლიქტის" გასაჩაღებლად (იმ პერიოდში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში ხშირად იმეორებდნენ თ.კიტოვანის ფრაზას: „აფხაზებს კულტურული ავტონომიაც ეყოფათ" და ასევე გ. ყარყარაშვილის სიტყვებს: „თუ თუნდაც ასი ათასი ქართველი დაიღუპება, მაშინ ყველა აფხაზი განადგურდება".[29] აქვე აუცილებელია ითქვას, რომ, მართალია, ქართული მხარის შეირაღებული დაჯგუფებების მიერ ომის დროს ჩადენილი იყო სხვადასხვა სახის დანაშაულობანი, მაგრამ, რუსეთის ჯარებისა და სეპარატისტული ბანდებისგან განსხვავებით, მათ ეთნიკური წმენდა არ განუხორციელებიათ და იმ საშინელი მუქარის შესრულება არც უცდიათ). ცხადია, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, არც ქართველებს და არც აფხაზებს, ომი არ სურდათ. სწორედ ამიტომ, ეითარების უკიდურესი ესკალაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კრემლის „სახელოვანი" წინამორბედების მიერ ჯერ კიდევ 20-იან წლებში მომზადებულ „ნაღმების" სათანადოდ „აფეთქებას" და შემდეგ პირველი შეიარაღებული, სისხლიანი შეტაკებების გაჩაღებას (ამჟამად სამხედრო ექსპერტი ვიქტორ ბარანეცი, რომელიც 1992 წელს რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იყო. აღასტურებს, რომ იმ პერიოდში კრემლი ორივე მხარეს აიარაღებდა რითაც „მართვადი კონფლიქტის" ვითარებას ქმნიდა).[30]

1992 წლის ზაფხულში ამ მიმართულებით ყველა „სამუშაო" დასრულდა და აფხაზეთში სისხლისღვრის პროვოცირებისთვის მხოლოდ „პაიკების დაძერაღა" რჩებოდა.

23 ივლისი — აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, რეგლამენტის სრული დარღვევით, კვორუმის არარსებობის პირობებში, მას შემდეგ, რაც ქართველმა დეპუტატებმა დატოვეს სხდომა, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შეწყდა აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მო-

28. Л. Маршания, Абхазия, Тб. 2006, ст. 142.
29. იქვე, ст. 140
30. http://www voinenet ru/voina/istoriya-voiny/844.html

ქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის „კონსტიტუცია". ზემოთ უკვე ითქვა, (იხ. გვ. 86-88) თავის დროზე ამ „კონსტიტუციის" მიღების მოტივაციის შესახებ. კრემლმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნული "კონსტიტუციის" (რომელიც 20-იან წლებში არ გამოქვეყნებულა და ძალაში არ შესულა) „გაცოცხლების" დრო დადგა, არძინბამ კი ეს დაკვეთა შეასრულა. რაც შეეხება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ 1978 წლის ასსრ-ის მოქმედების შეწყვეტის არგუმენტად „კონსტიტუციური ვაკუუმის" დასახელებას (მას შემდეგ, რაც „საქართველოს სამხედრო საბჭომ" 1921 წლის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენა გამოაცხადა), უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, „საქართველოს სამხედრო საბჭო" არავის აურჩევია, შესაბამისად, მის მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის დეკლარაციას სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ აქტად ვერ ჩაეთვლით, თანაც ამ დეკლარაციაშიც დაფიქსირებულია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობის აღიარება ხდება "დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით... საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად". [31]

რაც მთავარია, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის შემთხვევაშიც კი „კონსტიტუციური ვაკუუმი" არ იქმნებოდა, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ. გვ. 82), 1921 წლის კონსტიტუციაში (მუხლი 107) დაფიქსირებული იყო აფხაზეთის ავტონომია და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელ კრებას მიღებული ჰქონდა „დებულება აფხაზეთის ავტონომიის მმართველობის შესახებ", რომელიც ეფუძნებოდა 1919 წელს საყოველთაო, დემოკრატიული წესით არჩეული აფხაზეთის კანონიერი ორგანოს — აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებულ „აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის" პროექტს. მაგრამ კრემლს, ცხადია, რეალური სამართლებრივი სიბრტყე ნაკლებად აღელვებდა, მას მხოლოდ მცირე საბაბი ესაჭიროებოდა ძველი „ნაღმის" ასამოქმედებლად და სწორედ ამ მიზნით მიაღებინა „სამხედრო საბჭოს" 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის „დეკლარაცია". დეკლარაციის კონკრეტული ფრაზები კრემლისთვის დაბრკოლებას ვერ შექმნიდა, მისთვის საჭირო იყო მხოლოდ მცირე, თუნდაც სრულიად ფორმალური სამართლებრივი რყევა „პაიკების დასაძრავად" და „სამხედრო საბჭოს დეკლარაციამ" სწორედ ეს ფუნქცია შეასრულა.

აგვისტო — აფხაზეთში დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები ქართულ

31 რუსთაველი კონფლიქტები საქართველოში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების კრებული. თბ. 2005. გვ. 63

და აფხაზურ ჯგუფებს შორის ანუ კრემლმა თავისი გეგმა „ეთნოკონფლიქტის" გაჩაღების შესახებ წარმატებით განახორციელა. საომარ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები, რომლებიც, ცხადია, „სუსტ აფხაზებს" ეხმარებოდნენ, თუმცა, ზედმეტად არა, რათა სისხლისღვრა მაქსიმალურად გახანგრძლივებულიყო და ცალკეული ჯგუფების დაპირისპირება მასშტაბურ, მართლაც ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტში გადაზრდილიყო. ხაზგასასმელია, რომ კრემლმა ამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია (არსებობს კონფლიქტის დროინდელი დოკუმენტური ვიდეოფირი, რომელზეც დაფიქსირებულია როგორ ლანძღავს სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა აფხაზებს, იმის გამო რომ ისინი არ იბრძვიან, და გაბრაზებული ამბობს: რუსები გვეუბნებიან, ერთი სრული ბატალიონი მაინც შექმენითო). აფხაზეთის ომში, ისევ და ისევ კრემლის უშუალო ორგანიზებით, მონაწილეობდნენ ასევე ჩრდილოკავკასიელებიც (მათ შორის, მოგვიანებით ფართოდ ცნობილი შამილ ბასაევი), რაც, ზოგადად, კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირების ძველი იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება იყო.

1993 — 27 ივლისს, სოჭში, კრემლის შუამავლობით, ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის შემუშავების შესახებ", რომლის თანახმად, მეორე დღეს მხარეებს ცეცხლი უნდა შეეწყვიტათ და თანდათანობით უნდა დაწყებულიყო დემილიტარიზაციის პროცესი. ქართულმა მხარემ ამ ხელშეკრულების პირობები შეასრულა და მძიმე ტექნიკა გამოიყვანა აფხაზეთიდან, მეორე მხარემ კი (რომელსაც რეალურად კრემლი წარმოადგენდა), როგორც მოსალოდნელი იყო, ცეცხლის შეწყვეტის პერიოდი მხოლოდ შესვენებისა და სოხუმზე გადამწყვეტი შეტევისთვის გამოიყენა. 16 სექტემბერს განახლდა სოხუმის დაბომბვა. ვითარებას რომ მთლიანად კრემლი აკონტროლებდა, ნათლად ჩანს 17 სექტემბერს, ადლერში სახელმწიფო მეთაურ ე. შევარდნაძისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრ პ. გრაჩოვს შორის გამართული შეხვედრიდანაც, როცა გრაჩოვმა მოითხოვა რუსეთის 2 დივიზიის განლაგება სოხუმში. შევარდნაძემ ამ წინადადებაზე, საბოლოოდ, უარი თქვა (24 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა განდევნილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია და იმ დღეებში შევარდნაძის ხელისუფლებას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა).

27 სექტემბერი — ქალაქის დამცველი მებრძოლებისა და აღგილობრივი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის არმიის რეგულარულმა ნაწილებმა (ავიაციისა და მძიმე არტილერიის გამოყენებით), სეპარატისტულ და ჩრდილოკავკასიურ ჯგუფებთან

ერთად, სოხუმი აიღეს. ამის შემდგომ პერიოდში, სოხუმიდან მდინარე ენგურამდე რუსულმა და სეპარატისტულმა შეიარაღებებმა განახორციელეს მასშტაბური ეთნოწმენდა. მანამდე ეთნიკური წმენდა, ძირითადად, სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებში ხდებოდა, სოხუმის დაცემის შემდეგ კი ეს პროცესი განსაკუთრებით მასშტაბური გახდა; აფხაზეთიდან გამოდევნილ იქნა სხვადასხვა ეროვნების, დაახლოებით, 350 ათასი ადამიანი (აქედან 240 ათასამდე ქართველი), ანუ მთელი მოსახლეობის თითქმის 70% პროცენტი.

ეუთოს შეხვედრების მონაწილე სახელმწიფოებმა არაერთხელ გამოთქვეს თავისი ღრმა შეშფოთება აფხაზეთში განხორციელებული „ეთნიკური წმენდის“ — „მოსახლეობის, უპირატესად, ქართველთა თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო” (ეუთოს 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუცია; 1996 წლის 3 დეკემბრის ლისაბონისა და 1999 წლის 17-18 ნოემბრის სტამბულის შეხვედრების დეკლარაციები).

8 ოქტომბერი — კრემლმა მიაღწია თავის მიზანს და საქართველო ღსთ-ის უკანასკნელი წევრი გახდა.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 10 ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო კიდევ ერთი ამდენი დაიჭრა და დასახიჩრდა. დაიწვა, გაიძარცვა და განადგურდა 25 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მრავალი სკოლა, ბაგა-ბაღი, კულტურის ცენტრი, ეკლესია, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლი, საავადმყოფოები, საწარმოები და ა.შ.

1 დეკემბერი — ჟენევაში გაეროს ეგიდით გაიმართა ქართულ და აფხაზურ მხარეთა პირველი დიალოგი. მიღებულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი „ცეცხლის შეწყვეტისა და პუმანიტარული სახის ღონისძიებებთან დაკავშირებით“. მხარეებმა აიღეს ვალდებულება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის სასწრაფოდ გადაწყვეტისა და აფხაზეთის ყველა რაიონში დევნილთა ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ დაბრუნებისთვის პირობების შექმნის შესახებ. მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ ყველა დაბრუნებულ დევნილს გადაეცემოდა მისი კუთვნილი ბინა, სახლი, მიწის ნაკვეთი და სხვა ქონება.[32]

1994 — 11-13 იანვარს ჟენევაში გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა და დევნილთა საკითხებში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის

32. ე. ქოლბაია, რ. გვალანტია, დ. ლაცუზბაია, თ. Qიკბარაძე, აფხაზეთის ლაბირინთი — შემდგენლები და სარედაქციო კოლეგია, აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები 1989-1999 წწ., I. თბ., 2000

წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაიმართა ქართულ და აფხაზურ მხარეთა მოლაპარაკების მეორე რაუნდი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების თაობაზე. მიღებულ კომუნიკეში აისახა მხარეების მზადყოფნა კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო ოპერაციის დაწყების შესახებ. კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა აფხაზეთში, პირველ ეტაპზე გალის რაიონში დაბრუნების პროცესის 1994 წლის 10 თებერვლიდან დაწყების თაობაზე. მოლაპარაკების მეორე რაუნდის მსვლელობისას მხარეებმა კვლავ დაადასტურეს დაკისრებული ვალდებულებები ძალის გამოუყენებლობის შესახებ. მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, მხარეებმა დაღეს პირობა კონფლიქტის ზონაში უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სამშვიდობო ძალების განწესების შემდეგ, ხუთი დღის ვადაში მძ. ენგურიდან და აქტიური დაპირისპირების სხვა შესაძლო ზღუდეებიდან ქვეყლა შეიარაღებული ფორმირებისა და საბრძოლო ტექნიკის გაყვანის თაობაზე.

თებერვალი — სეპარატისტების შეირაღებულმა ჯგუფებმა გადაწვეს გალის რაიონის ქართული სოფლები, დახოცეს ასობით ადამიანი და ისევ დევნილად აქციეს იქ დაბრუნებული მოსახლეობა, რითაც უხეშად დაარღვიეს 1994 წლის 13 იანვრის ჟენევის კომუნიკეში განსაზღვრული ვალდებულებები.

4 აპრილი — ქ. მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ოთხმხრივი ხელშეკრულება „აფხაზეთიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ“, ასევე — განცხადება „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე“.

14 მაისი (1994) — რუსეთის ფედერაციის შუამავლობით ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“. სამშვიდობო შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით რუსეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებას, უსაფრთხოების ზონისა და შეზღუდული შეიარაღების ზონის შექმნას, განისაზღვრა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატი, მათი განლაგების პრინციპები. 1994 წლის 24 ივნისს კონფლიქტის ზონაში დსთ-ის (რეალურად, რუსეთის) კოლექტიური სამშვიდობო ძალები შევიდნენ (1600-მდე სამხედრო მოსამსახურე).

გაეროს უშიშროების საბჭომ თავის 937-ე (1994) რეზოლუციაში მოიწონა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი

ქვეყნების ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო აფხაზეთში (საქართველო) ცეცხლის შეწყვეტის შესარჩუნებისკენ. უშიშროების საბჭომ რუსეთის ფედერაციის მიერ უკვე დაწყებული სამშვიდობო ოპერაცია პოსტ-ფაქტუმ დაამტკიცა, როგორც რეგიონული სამშვიდობო ოპერაცია და საკუთარი მანდატის ქვეშ მოაქცია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა ზოგიერთმა ქვეყანამ (ახალი ზელანდია, პაკისტანი, ჩეხეთი) ღიად გამოხატა თავისი შეშფოთება იმ ტენდენციის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, რომელიც მშვიდობისმყოფელობის ფუნქციებს ანიჭებს კონფლიქტის ზონასთან უშუალო სიახლოვეს მყოფ ქვეყნებს. გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ხსენებული ქვეყნები განსაკუთრებით შეშფოთია იმ გარემოებამ, რომ მეზობელ ქვეყნებს გააჩნდათ აშკარად გამოხატული პოლიტიკური ინტერესები კონფლიქტის ზონაში. ისინი მიუთითებდნენ, რომ რეგიონული სამშვიდობო ოპერაციები უნდა პასუხობდეს ევროთათბირის წევრი ქვეყნების პელსინკის 1992 წლის უმაღლესი დონის შეხვედრის (ასევე ევროთათბირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების რომის 1993 წლის 30 ნოემბრის — 1 დეკემბრის შეხვედრის დოკუმენტების) უმნიშვნელოვანეს დებულებებსა და პრინციპებს, რაც გულისხმობს:

- ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას;
- შხარეთა თანხმობასა და მათ მისწრაფებას კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებისადმი;
- მიუკერძოებლობას;
- სამშვიდობო ძალების შემადგენლობის მრავალეროვნულობას;
- გამჭვირვალობას;
- სამშვიდობო ოპერაციისა და მანდატის მკაფიო ხასიათს;
- კავშირს კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესთან.

აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის შემდგომმა მსვლელობამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოხატულ შეშფოთებას რეალური საფუძველი გააჩნდა.

24 ნოემბერი (1994) — აფხაზურმა მხარემ მიიღო ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია", რომელშიც აფხაზეთი გამოცხადებულია „სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად". აფხაზეთში დარჩენილი უმაღლესი საბჭოს ნაწილის მიერ არჩეულ იქნა ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი". აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ცალმხრივმა მოქმედებებმა საერთაშორისო თანამეგო-

ბრობის მკვეთრად უარყოფითი შეფასება მიიღო. ის, როგორც უკანონო, დაგმობილ იქნა გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ორგანიზაციის მიერ.

6 დეკემბერი (1994) — ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრა. მასზე მიღებულ იქნა დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია შეშფოთება „აფხაზეთში ეთნიკური წმენდის, მოსახლეობის, უპირატესად ქართველების, მშობლიური საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი გამოდევნისა და უღანაშაულო ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით" (ხაზგასასმელია, რომ ეუთოს წევრია რუსეთიც, ანუ ეთნოწმენდის ფაქტები იმდენად აშკარა იყო, რომ კრემლმაც კი ვერ დამალა და ვერ უარყო ისინი).

1996 — 19 იანვარს დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა მოსკოვის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ". აღნიშნულ დოკუმენტში დაგმობილია სეპარატისტების დესტრუქციული პოზიცია, რის გამოც გაჭიანურდა პრობლემის პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტა და დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება მშობლიურ ადგილებში; დსთ-ის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვებდნენ აფხაზეთში იარაღისა და სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობის შეტანას, მათი საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებას, სამხედრო სპეციალისტების მომზადებას, სამხედრო კონსულტაციებს ან დახმარების გაწევას კადრების მომზადებაში, მათი ქვეყნების მოქალაქეების გაგზავნას აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებებში; მათ აგრეთვე იკისრეს ვალდებულება უკანონო ფორმირებებში მყოფი მოქალაქეების დაბრუნების უზრუნველყოფის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით აიკრძალა ყოველგვარი ოფიციალური კონტაქტი სეპარატისტულ რეჟიმთან, ასევე — წარმომადგენლობათა გახსნა დსთ-ის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. მოცემული გადაწყვეტილება შეიცავდა იმის გარანტიასაც, რომ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისთვის საჭირო პუმანიტარული, ეკონომიკური და სხვა სახის დახმარება განხორციელებულიყო საქართველოს ხელისუფლების მეშვეობით.

3 დეკემბერი (1996) — ლისაბონში გამართულმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა სამიტმა კვლავ დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და

დაგმო აფხაზეთში ეთნიკური წმენდა, რასაც მოჰყვა, ძირითადად, ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა.

1997 — ნოემბერში, ქართულ და აფხაზურ მხარეთა ჟენევის შეხვედრის დასკვნითი განცხადების საფუძველზე, შეიქმნა კონფლიქტის მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. საკოორდინაციო საბჭოში, ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლებთან ერთად, შეიდნენ გაეროსა და ეუთოს, რუსეთის ფედერაციის, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია) სახელმწიფოთა წარმომადგენლები და ჩამოყალიბდა ე.წ. ჟენევის ფორმატი. საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენდა მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც პერიოდულად იკრიბებოდა თავის სესიებზე სამუშაო პროგრამის შესაბამისად ან მხარეთა ინიციატივით.

1998 — მაისში, გალის რაიონში, უშუალოდ უსაფრთხოების იმ ზონაში, სადაც რუსეთის „სამშვიდობოები" იდგნენ, სეპარატისტულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა ქართველი მოსახლეობის მასშტაბური ღარბევა და განმეორებითი ეთნიკური წმენდა მოაწყვეს. ათასობით ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლ-კარი და ენგურს აქეთ გადმოსულიყო.

16-18 ოქტომბერს ქ. ათენში გაეროს ეგიდითა და ჟენევის საკოორდინაციო საბჭოს ჩარჩოებში ჩატარდა ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრა. მხარეებმა შეხვედრაზე კვლავ დაადასტურეს ადრე აღებული ვალდებულება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.

1999 — 17-19 ნოემბერს სტამბულში ეუთოს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე მიღწეულ იქნა რუსეთ-საქართველოს შეთანხმება საქართველოდან ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების 2001 წლის ივლისამდე გაყვანისა და სხვა ბაზების შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო კონფლიქტის მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის ძიებისთვის. სტამბოლის სამიტზე ეუთოს ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა სამიტმა კვლავ დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ხაზი გაუსვა, რომ კონფლიქტები ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთში უნდა გადაწყდეს საქართველოს შემადგენლობაში ამ რეგიონების სტატუსის განსაზღვრით. სამიტმა ბუდაპეშტისა და ლისა-

ბონის შეხვედრებზე მიღებულ ფორმულირებათა საფუძველზე დაგმო ეთნიკური წმენდა აფხაზეთში. იმ დროისთვის, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ და აფხაზეთში განლაგებული რუსეთის „სამშვიდობო" მისიის მიუხედავად, დაღუპული იყო თითქმის 1700 ადამიანი, ხოლო 650 დაკარგულად ითვლებოდა.

2002 — 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1393-ე (2002) რეზოლუცია. რეზოლუციაში მოწონებულ იქნა საქართველოში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ". გაეროს მცდელობების მიუხედავად, რაც არაერთგზის არის დაფიქსირებული უშიშროების საბჭოს მომდევნო რეზოლუციებში, სეპარატისტული რეჟიმი (ცხადია, კრემლის ინსტრუქციის შესაბამისად) კვლავ ჯიუტად ეწინააღმდეგება აღნიშნული დოკუმენტის არა თუ განხილვას, არამედ მის ოფიციალურად გადაცემასაც კი.

2003 — 20 თებერვალს ჟენევაში გაიმართა გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. აღნიშნულმა შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა მოლაპარაკებათა ახალ ფორმატს (ჟენევის განახლებული ფორმატი), სადაც გამოიკვეთა გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების როლი კონფლიქტის მოწესრიგებაში.

ნოემბერი — საქართველოში მოხდა „ვარდების რევოლუცია", პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა, 2004 წლის 4 იანვარს საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი. ამ დროიდან საქართველო იწყებს ძირეულ დემოკრატიულ რეფორმებს და ახალ ეტაპს კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. ამ პროცესში მას სულ უფრო აქტიურად უჭერს მხარს დასავლეთი, უპირველესად კი — აშშ.

2006 — 23 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და გაეროს შესაბამის რეზოლუციებზე დაფუძნებული პოზიცია კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით.[33]

2007 — 15 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 1781), რომელშიც ცალსახად არის აღიარებული, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შინ დაბრუნების უფლება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას დევნილის

33 [http://www.president.gov.ge/?l=G&m=0&sm=3&st=20&id=2027]

ინდივიდუალური საკუთრების უფლებაზე (იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება, რომელიც მას კონფლიქტამდე ეკუთვნოდა (პუნქტი 15)).

2008 — 4 მარტს აფხაზეთის ე.წ. „სახალხო კრებამ" მიიღო განცხადება, რომლითაც მოუწოდა აფხაზეთის „პრეზიდენტს" ს. ბაღაფშს, რათა მას „ყველა აუცილებელი ზომა მიეღო" კოდორის ხეობის ზემო ნაწილში აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციის აღდგენისა და აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

13, 19, 21 მარტი — რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში (დუმა) გაიმართა საპარლამენტო მოსმენა, განხილულ იქნა მიმართვები აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" დამოუკიდებლობის შესახებ. გამოხატა რა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ამავე დროს რუსეთის სახელმწიფო დუმამ განაცხადა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადების შემდეგ რუსეთის ფედერაციის წინაშე წამოიჭრა ამ საკითხისადმი პოლიტიკური მიდგომის კორექტირების აუცილებლობა. დუმამ მოუწოდა მთავრობას აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისადმი დახმარებისა და მათი დაცვის მიმართულებით ძალისხმევის გააქტიურებისკენ, განსაკუთრებით, საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების მისწრაფების გათვალისწინებით. მან ასევე შესთავაზა მთავრობას განეხილა აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის დაჩქარების საკითხი.

28 მარტი — საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულ წინადადებებს, სახელდობრ, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

15 აპრილი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 1808), რომელშიც ხაზგასმულია იძულებით გადაადგილებულ

პირთა ყველა ის უფლება, რომელიც მოცემულია 2007 წლის 15 ოქტომბრის რეზოლუციაში.

16 აპრილი — პრეზიდენტ პუტინის მიერ ხელმოწერილ იქნა განკარგულება აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების (დაწესდა 1996 წლის 19 იანვარს დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებით) რეჟიმიდან რუსეთის ცალმხრივი გამოსვლისა და აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" სეპარატისტულ რეგიონებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების თაობაზე.

20 აპრილი — აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, რუსეთის ფედერაციის თვითმფრინავ მიგ-29-ის მიერ ჩამოგდებულ იქნა ქართული უპილოტო საფრენი აპარატი.

23 აპრილი — გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, აშშ-მ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელშიც მოუწოდეს რუსეთს შეცვალოს ან არ შეასრულოს თავისი გადაწყვეტილება არაღიარებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან დაახლოების თაობაზე.

15 მაისი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო რეზოლუცია (A/RES 62/249), რომელშიც აღნიშნულია, რომ გენერალური ასამბლეა, ეფუძნება რა ეუთოს ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბულის (1999) სამიტების რეზოლუციებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზული ფაქტები აფხაზეთში (მათ შორის, „ეთნიკური წმენდა — ასეულობით ათასი ადამიანის განდევნა რეგიონის ტერიტორიიდან, რამაც გამოიწვია კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული ვითარების შეცვლა"), კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა დევნილისა და მათ მემკვიდრეთა უფლებას შინ დაბრუნების შესახებ და მათ მიმართ აღიარებს საკუთრების უფლებას;

რაც მთავარია, გენერალურმა ასამბლეამ ამ რეზოლუციაში ხაზგასმით დააფიქსირა, რომ „აუცილებელია ოპერატიული გრაფიკის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სწრაფ, ნებაყოფლობით დაბრუნებას საკუთარ სახლში, აფხაზეთში". ამ მიზნით გენერალურმა ასამბლეამ სთხოვა გენერალურ მდივანს 63-ე სესიაზე (ანუ 2008 წლის შემოდგომაზეე) წარმოედგინა "ყოვლისმომცველი მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ".

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მზარდი მხარდაჭერის პირობებში სულ უფრო წარმატებული ხდებოდა საქართველოს ხელისუ-

ფლების აქტიურობა კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის „სამშვიდობოების" ნეიტრალური, ინტერნაციონალური ძალებით ჩანაცვლების მიმართულებით. კრემლისთვის ეს ფაქტორი და აფხაზეთში დეენილების გრაფიკზე რეალური საუბრის დაწყება საგანგაშო სიგნალად იქცა და საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისთვის მზადება კიდევ უფრო დაჩქარდა.

ზუგდიდის რაიონში ქართველი ძალოვნების მიერ დაკავებულ იქნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების მოსამსახურეები, რომელთაც ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის იარაღი და სარაკეტო ჯურვები.

მაის-ივნისი — ოჩამჩირეში შემოყვანილ იქნა რუსეთის სადესანტო ჯარების ნაწილები.

1 ივნისი — საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სარკინიგზო ინფრასტუქტურის აღსადგენად შემოყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს სარკინიგზო ჯარების ბატალიონი.

5 ივლისი — რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტისკენ აიღო კურსი.

7 ივლისი — საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც დააფიქსირა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება აღქმულ უნდა იქნეს, როგორც აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის წახალისება, ხოლო კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების სერიოზული სინქრონული ესკალაციის უკან დგანან რუსეთის სპეცსამსახურები. კომისიამ აღნიშნა, რომ ყოველივე ამის საბოლოო მიზანია რეგიონში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება და ამ გზით საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა. კომისიამ გაეროსა და ევროსტრუქტურებს მოუწოდა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისა და პრევენციული ზომების განხორციელებისკენ, რათა ვითარების შემდგომი ესკალაციით დაინტერესებულ ძალებს არ მისცემოდათ თავიანთი შორსმიმავალი ზრახვების აღსრულების შესაძლებლობა.

ივლისშივე, ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს გაიმართა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გრანდიოზული სამხედრო წვრთნა „კავკასია-2008" — რუსე-

თის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიისა და სხვა ნაწილების მონაწილეობით. წერთნის დროს ჯარისკაცებისთვის არ იყო დაყარული, რომ მათი საბარაუდო მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო საქართველო.

აგვისტო — კრემლმა ჯერ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ კი — 26 აგვისტოს ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა. ამ ქმედებებით მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, სრულიად უგულებელყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიის დროს რუსეთის ჯარებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ ჩაიდინეს ეთნიკური წმენდა (ამჯერად, ზემო აფხაზეთში — კოდორის ხეობაში). ხეობიდან გამოდევნეს 2 000-მდე ქართველი, დაანგრიეს და გაძარცვეს ამ ტერიტორიაზე მდებარე ახალაშენებული სკოლა, ელექტროსადგური, გამგეობის შენობა, საცხოვრებელი სახლები. აგვისტოშივე, რუსეთის არმიის ქვედანაყოფებმა (ე.წ. „სამშვიდობოებმა" და დამატებით შემოყვანილმა სხვა ნაწილებმა) გადაწვეს განმუხურში მდებარე „პატრიოტთა ბანაკი" (სკოლის მოსწავლეთა ბანაკი). მათვე გაძარცვეს და ააფეთქეს კონფლიქტის ზონიდან ათეულობით კილომეტრით დაშორებული სხვადასხვა სამოქალაქო თუ სამხედრო ობიექტი.

2008 წლის სამხედრო აგრესიის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება და შემდგომი მოვლენების განხილვა მოცემულია წიგნის პირველ თავში.

ისტორიული მასალის ანალიზი და შემაჯამებელი დასკვნები

ზემოთ მოტანილი საკმაოდ ვრცელი ისტორიული მასალა უმჯობესია სამი მიმართულებით დავაჯგუფოთ და გავაანალიზოთ: 1) საქართველოს ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიის — აფხაზეთის რომელიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისადმი ისტორიული კუთვნილების საკითხი, 2) ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა და პროცენტული თანაფარდობა, 3) რეგიონის ძირითადი კულტურულ-რელიგიურ-ენობრივი შტრიხების მიმართებათა განსაზღვრა.

ანტიკური წყაროები და არქეოლოგიური მასალა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ პირველი სახელმწიფო, რომელსაც მიეკუთვნებოდა ღღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, იყო კოლხეთის (კოლხიდის) სამეფო, რომელიც მოიცავდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთიდან სამხრეთით, პონტოს მიების აღმოსავლეთი ნაწილის კალთების ჩათვლით (აღმოსავლეთით კოლხიდა ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა, ანუ კოლხიდის ძირითადი ნაწილი არის ახლანდელი დასავლეთი საქართველო). კოლხიდა შემდეგ ლაზიკამ შეცვალა. აფხაზეთის ტერიტორიის ლაზიკის საზღვრებში არსებობაზე ნათლად მეტყველებს ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმი „ძველი ლაზიკა" (Vetus Lazica), რომელიც თანამედროვე ტუაფსესთან მდებარეობდა. VI საუკუნეში აფხაზეთის სამთავრო (და არა სამეფო), ლაზიკის ნაცვლად, უშუალოდ ბიზანტიას დაექვემდებარა. VIII საუკუნეში აფხაზეთი და ლაზიკა (ეგრისი) ისევ გაერთიანდა, ოღონდ, ამჯერად, აფხაზური დინასტიის პრიორიტეტით და ამავე საუკუნის ბოლოდან ხელახლა გაერთიანებულ ლაზიკას „აფხაზთა" სამეფოს ან ეგრისს უწოდებენ. X საუკუნეში აფხაზეთის (დასავლეთი საქართველოს), ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს შეფე ხდება ბაგრატ III (დედის ხაზით — „აფხაზური" დინასტიის გამგრძელებელი) ანუ საქართველო ერთიანდება სამხრეთ-დასავლეთ ქართული დინასტიის — ბაგრატიონთა — პრიორიტეტით. XV საუკუნის ბოლო პერიოდამდე აფხაზეთის საერისთავო ერთიანი ქართული სამეფოს ნაწილია. XV საუკუნის დასასრულს, საქართველოს დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საერისთავო, იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია, თუმცა, რეალურად, ის უფრო დადიანს ექვემდებარება, რადგან თანამედროვე აფხაზეთის ძირითადი, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ფარგლებშია

(იმდროინდელ ევროპულ რუკებზე, სოხუმთან, დაფიქსირებულია „მეგრელთა პორტი"). XVII საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდან თანდათან იკავებს აფხაზეთს და ამ საუკუნის ბოლოს ენგურამდე აფართოებს სამთავროს საზღვრებს. ძირითადად, ოსმალეთის დაქვემდებარებული აფხაზეთის სამთავრო ასეთ მდგომარეობაში იყო XIX საუკუნის დასაწყისამდე (თუმცა, იმერეთის სამეფოსა და დადიანებს აფხაზეთის სამთავროს ფლობის პრეტენზიაზე უარი არ განუცხადებიათ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე არსებით გავლენასაც ინარჩუნებდნენ). XIX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა, თუმცა, ფაქტობრივად, 1880 წლამდე აფხაზეთი იყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლის ასპარეზი და აქ სამთავრო, როგორც ერთიანი ტერიტორიული ან, მით უფრო, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეული რეალურად არ არსებობდა. 1864 წელს ფაქტობრივად არარსებული აფხაზეთის სამთავრო ფორმალურადაც გაუქმდა და მისი დიდი ნაწილი ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა). 1917 წლის შემოდგომიდან (რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ), 1918 წლის 26 მაისამდე, აფხაზეთის ტერიტორია იმყოფებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის (მთავრობის) იურისდიქციის ქვეშ. 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის თებერვალ-მარტამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია (1920 წლიდან ავტონომიის სტატუსით). 1921 წლის მარტიდან 1991 წლის 25 დეკემბრამდე, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, ოკუპირებული და ფაქტობრივად ანექსირებულია საბჭოთა რუსეთის მიერ (საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საბჭოთა სამართლით, მაგ. სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციითაც, აფხაზეთის სსრ და 1931 წლიდან ასსრ იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი). სსრკ-ის დაშლის შემდეგ დე იურე არის დაბოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა, ფაქტობრივად კი, ოკუპირებული და ანექსირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მთლიანად თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ყოველთვის იყო ერთიანი საქართველოს ან რომელიმე ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენლობაში. მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის (სამთავროს) სახით აფხაზეთი არსებობდა მხოლოდ VI-VII საუკუნეებში, ბიზანტიის ვასალის სახით, მაგრამ ამ

დროს აფხაზეთის სამთავრო თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა (მდ. კელასურამდე). აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სამთავრო გაერთიანდა შემდეგ სრულიად უძტკიენეულოდ დანარჩენ ეგრის-ლაზიკასთან. მოგეხსენებით, XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სამთავროზე, მართალია, საქართველოს (უფრო ზუსტად, იმერეთის სამეფოს) იურისდიქცია, ფაქტობრივ დონეზე, მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთი, თუნდაც მხოლოდ დე ფაქტო, დამოუკიდებელი გახდა, რადგან აქ ეითარების რეალური ბატონ-პატრონი იმ პერიოდში ოსმალეთის იმპერია იყო და არა აფხაზები. რაც შეეხება „კრემლის ისტორიკოსების" მსჯელობას აფხაზეთის სამთავროს (ან აფხაზეთის სსრ-ის) „ავტონომიურ სახელმწიფოებრიობასთან" დაკავშირებით (ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების „მფარველობის" დროს ან საბჭოთა პერიოდში), ეს შეიძლება დაიჯეროს მხოლოდ იმ ადამიანმა, რომელმაც არ იცის იმ ეპოქათა ისტორიული ფაქტები ან იცის, მაგრამ მაინც კრემლის ინსტრუქციის შესაბამისად „ხედავს" ისტორიას.

მეორე საკითხი, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების გარკვევა, შედარებით უფრო რთულია, მაგრამ არც იმდენად, რომ სერიოზულ პოლემიკის საგნად იქცეს. ანტიკური წყაროების, არქეოლოგიური მასალისა და ტოპონიმიკის შესწავლა ნათელყოფს, რომ ამ ტერიტორიაზე ავტოქთონურ მოსახლეობას წარმოადგენენ ერთმანეთის მონათესავე კავკასიელი ხალხები, ქართველები (ძირითადად, მეგრელ-ლაზები და სვანები) და აფხაზები. ეს სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ უძველესი დროიდანვე სწორედ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე მიწებს მოიცავდა ის „სასაზღვრო ზონა", რომელიც ქართული (კოლხური) და ჩერქეზ-ადიღეური ტომების სამფლობელოებს შორის მდებარეობდა. სწორედ ერთმანეთის მონათესავე ეს ტომები ქმნიდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობას.

ეს უდავო ფაქტია ამ სფეროში კომპეტენტური და მეტ-ნაკლებად ობიექტური ისტორიკოსებისთვის. ზოგიერთი მათგანი საკამათოდ მიიჩნევს კონკრეტულ საკითხებს, მაგ. ჰენიოხების ერთმნიშვნელოვნად კოლხებისადმი მიკუთვნებას (ანტიკურ წყაროებში ჰენიოხებს კამარიტებადაც მოიხსენიებენ, რადგან ისინი თავიანთ დიდ რკალისებურ ნავებს "კამარას" უწოდებდნენ, სვანურად კი კოშკში შესასვლელი კარის თაღს, რომელსაც რკალის ფორმა აქვს, სწორედ „კამარა"

ჰქვია), მაგრამ ეს სამეცნიერო პოლემიკის ფარგლებს არ სცილდება. სულ სხვაა ის, რასაც „კრემლის ისტორიკოსები" ამტკიცებენ, რომ მხოლოდ აფხაზები არიან ჰენიოხების უშუალო შთამომაელები, ხოლო კოლხები — „გვიან მოსულები", რომ სანიგები (იგივე სოანები) და მისიმიელებიც აფხაზური და არა სვანური ტომებია, რომ ტოპონიმი „მიუსერა" აფხაზების აბისინიურ წარმოშობას ადასტურებს (არადა, სვანურად „მიუსერა" თოვლიანს ნიშნავს). ასეთი აბსურდული „ჰიპოთეზებით" ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ლაზიკის მოსახლეობის უმრავლესობასაც აფხაზები ქმნიდნენ და ლეონ II-მ სატახტო ქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში მხოლოდ იმიტომ გადმოიტანა, რომ დედა ხაზარი ჰყავდა, "ხოლო უმოკლესი გზა ხაზარეთამდე სწორედ ქუთაისზე გადიოდა". ასეთივე "უტყუარია" მათი ის დასკვნა, რომლის თანახმად, "VIII-X საუკუნეებში აფხაზური ადმინისტრაციული სტრუქტურის ექსპანსიამ არა მხოლოდ დააკონსერვა მთლიანად აფხაზური (აბაზგ-აფსილური) ეთნიკური ელემენტი ენგურამდე ტერიტორიაზე, არამედ ხელი შეუწყო მის ფართოდ გაერცელებას მთელ კოლხიდაში, ასევე ქართლსა და მესხეთში".[34]

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასე იყო და მცირერიცხოვანმა "აფხაზურმა ეთნიკურმა ელემენტმა" "წალეკა" მთელი საქართველო (თანაც ისე, რომ ამის შესახებ ვერც ქართველებმა და ვერც უცხოელებმა ვერაფერი გაიგეს და არსად არ ახსენეს); მაგრამ, ასეთი მტკიცებით „კრემლის ისტორიკოსები" ხომ, ფაქტობრივად, გეეთანხმებიან და ადასტურებენ, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთის უახლოესი ნათესავები ვართ (ან იქნებ შემდეგ რუსეთის იმპერიაც უფრო მეტად „წალეკა" „აფხაზურმა ეთნიკურმა ელემენტმა" და რუსებთან უფრო დიდი ნათესაობა აკავშირებთ?). ასეთი „აღმოჩენები" მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ როგორმე დაამტკიცონ — ერთიანი საქართველოს, „აფხაზთა და ქართველთა" სამეფოს სახელწოდებაში „აფხაზთა" ნიშნავს არა დასავლეთქართველთას, არამედ ეთნიკურად აფხაზურს, ანუ ერთიანი საქართველო, ძირითადად, აფხაზური სახელმწიფო იყოო (გასაგებია, რომ ეს "ჯეშმარიტება" საბჭოთა ხალხს ქართველმა სტალინმა დაუმალა, მაგრამ, საკითხავია, ყველა იმდროინდელი უცხოური წყარო სულ ქართულ სამეფოს რატომ ახსენებს? პასუხი მარტივია, როგორც ჩანს, „დასავლეთი" მაშინაც ქართველებს ეხმარებოდა).

გაერთიანებული საქართველოს ეთნიკურად აფხაზურ სამეფოდ წარმოდგენის მცდელობაზე სერიოზული საუბარი, ბუნებრივია, არ ღირს, ხოლო ლეონ II-ის „აფხაზთა" სამეფოსთან დაკავშირებით, მიზანშეწონი-

34. http://www.abkhaziagov.org/ru/state/history/

ლად მიგვაჩნია ორი ამონარიდის დამოწმება. აფხაზი ისტორიკოსების: ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარიას დასკვნა ასეთია: "აფხაზეთის სამეფოში ქართული ელემენტი მოსახლეობის მნიშვნელოვან უმრავლესობას შეადგენდა და ტერიტორიის მხრივაც სამეფოს ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. აქიტომ ქართული ენა აფხაზეთის სამეფოს ძირითადი ენა გახდა... აფხაზეთის შეფეების საერთოქართული პოლიტიკის გამოხატულება იყო ლეონ II-ის მიერ სამეფოს დედაქალაქის გადატანა ქუთაისში".[35]

ანალოგიურია აკაკი ბაქრაძის პოზიციაც. იგი განმარტავს, რომ „აფხაზთა" სამეფო, „თავისი წეს-წყობილებით, ენით, ეკლესიით, განათლებით, სამეფო კარით, ქართული სახელმწიფოა. ამას ადასტურებს ყველა ისტორიული წყარო და დოკუმენტი. საწინააღმდეგო საბუთს ვერავინ წარმოადგენს... აფხაზთა სამეფო რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოა, ამას მოწმობს:

ა) დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების ქართული წარწერები;

ბ) აფხაზი ფეოდალების ქართული ფორმით წარმოდგენილი გვარები (შარვაშიძე, ანჩაბაძე, ემუხვარი, მარშანია);

გ) ბიჭვინთაში კათალიკოსის რეზიდენციის არსებობა. უმრეველოდ ეკლესია არ არსებობს, უწიგნოდ და უდამწერლობოდ კი — ქრისტიანული რელიგია... აფხაზურ ენაზე არ არსებობს არც ძველი და არც ახალი აღთქმის თარგმანი.

დ) ყველა საეკლესიო და კულტურული ცენტრის ქართული სახელი — ბიჭვინთა, ცხუმი, მოქვი, ბედია, ილორი და ა.შ.

ე) აფხაზეთის მთავრების — შარვაშიძეთა სახლის ტრადიციული ერთგულება ქართული ენის, ქართული ეკლესიის, ქართული სახელმწიფოებრიობისადმი მაშინაც კი, როცა რომელიმე შარვაშიძე იძულებული იყო მაჰმადიანობა მიეღო.

ვ) აფხაზები თავისთავს ეძახიან "აფსუას", აფხაზეთს — აფსნის". ამ სახელით მათ არაეინ იცნობს. მთელი მსოფლიოსთვის ისინი ცნობილი არიან იმ სახელით, რაც მათ ქართველებმა დაარქვეს, მაშასადამე, გარე სამყაროს აფხაზეთი უკავშირდებოდა, როგორც საქართველოს ნაწილი". [36]

ეთნიკურ თემას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეთმობა ზემოხსენებულ „აფხაზურ წერილში" (იხ. გვ. 89), რომლის თანახმად, „1970 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზების რაოდენობა შემცირდა თითქმის 27 ათასი კაცით, 1916 წლის მონაცემებთან შედარებით, რომელიც „კავკაზსკი კალენდარში" განისაზღვრებოდა როგორც 111 780 სული", აქედან

35 Анчабадзе З., Дзидзария Г., Дружба извечная, нерушимая, Сухуми, 1972,ст.18

36. ა.ბაქრაძე. აფხაზეთისთვის, თბ. 2002. გვ.49-50

გამომდინარე, „აფხაზური წერილის" ავტორები ქართველებს გვკითხებიან:

1) როგორ მოხდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზების რიცხვი რევოლუციამდელი პერიოდის რაოდენობასთან შედარებით თითქმის მესამედით შემცირდა?

2) შეიძლება კი, რომ ამგვარი ვითარება განვიხილოთ, როგორც აფხაზი ერის „აყვავება"?.[37]

დავუშვათ „აფხაზურ წერილში" მოტანილი რიცხვი ზუსტია და 1916 წელს 111 780 აფხაზი ცხოვრობდა სოხუმის ოლქში (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაგრამდე). 1926 წელს ჩატარებული აღწერის ოფიციალური მონაცემებით კი აფხაზეთის ტერიტორიაზე 55 900 ეთნიკური აფხაზი ცხოვრობდა. ამ რიცხვების მიხედვით, 1916 წლიდან 1926 წლამდე აფხაზების რაოდენობა განახევრებულა, და ეს მაშინ, როცა 1921 წლიდან, მათივე თქმით, აფხაზეთს საოცნებო სსრ-ის სტატუსი ჰქონდა და 1925 წელს „დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციაც" მიუღია. დავუშვათ, ეს განახევრება მართლაც მოხდა და ის მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდს ეხება, მაგრამ მოსახლეობის ასეთი მასშტაბური კლება (დაახლოებით 55 ათასი ადამიანი) რომ მომხდარიყო, ცხადია, ამის შესახებ რაღაც ინფორმაცია მაინც დაფიქსირდებოდა (გადასახლება, ომი, შიმშილობა, ეპიდემია) და ამის შესახებ 1921 წლიდან მაინც გახდებოდა ცნობილი, მაგრამ ასეთი ინფორმაცია, ცხადია, არ არსებობს, რადგან ეს მხოლოდ გამოგონილი „ეთნიკური კატასტროფაა", რომლითაც, ცდილობენ „გადაფარონ" ის ნამდვილი „ეთნიკური კატასტროფა", რომელიც XIX საუკუნეში მოუწყო რუსეთის იმპერიამ აფხაზ ეთნოსს. ამის გარკვევა და დამტკიცება რთული ნამდვილად არ არის, თუ სხვა მონაცემებსაც ვნახავთ. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის თანახმად, აფხაზების რაოდენობა იყო 58 697[38] (თუმცა ეს რიცხვიც ხელოვნურად არის „გაბერილი", რასაც მოგვიანებით დავაკონკრეტებთ, იხ. გვ 119). თუ დავუშვებთ, რომ აფხაზების რაოდენობა 1916 წელს მართლაც 111 780 იყო, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ 1897 წლიდან 1916 წლამდე ანუ 19 წლის განმავლობაში ეთნიკური აფხაზების რაოდენობა თითქმის გაორმაგებულა (ნამატი 53 ათასს აღწევს), რაც, ან კაცობრიობის ისტორიაში შობადობის ზრდის უპრეცედენტო ფენომენს უნდა დაუკავშიროთ, ან საბჭოური პროპაგანდისთვის ჩვეულებრივ მოვლენას — ისტორიული

37. საქართველოს მკვიდრებია აფხაზები. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დასახასიათებლად. თბ. 1991. გვ 40-41

38 http://www.ethno-kavkaz.narod.ru/tnabkhazia.html

ფაქტებისა თუ მონაცემების გაყალბებას. საქმე ის არის, რომ „კავკაზსკი ვესტნიკის“ მონაცემებში (საიდანაც „აფხაზური წერილის“ ავტორებმა „დაადგინეს“ რიცხვი 111 780) არსად არის ნახსენები „აფხაზი“. აქ სოხუმის ოლქის მოსახლეობა, ძირითადად, რელიგიური პრინციპითაა დაყოფილი (ამ ფაქტიდანაც ჩანს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა მაშინდელ აფხაზეთში); ქრისტიანებს შორის ცალკეა გამოყოფილი რუსების, ქართველებისა და სომხების რიცხოვნობა. დასახელებულია ასევე სოხუმის ოლქში მცხოვრებ „კავკასიელი მთიელებისა“ (51 281) და „სხვადასხვა ახალი ხალხების“ (60 499) რაოდენობა. სწორედ ამ ორი მაჩვენებლის გაერთიანებით არის მიღებული ის მითიური რიცხვი — 111 780. ასეთი „ლოგიკით“ შეეძლოთ მთელი აფხაზეთის მოსახლეობა აფხაზად გამოეცხადებინათ. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ 1921 წლის ნოემბერში აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის ორგბიურომ კავკასიის რეალურ ხელისუფლებას — რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კაბიუროს) წარუდგინა 1914 წლის ოფიციალური მონაცემები, რომელთა თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობა არის 181 382 ადამიანი, რომელთაგან ქართველები შეადგენდნენ 38,5%-ს (70 114), ხოლო აფხაზები და მთიელები 25%-ს (45 705) (რუსები — 9,9% (18 097), სომხები — 7,6% (13 784)[39]

ერთ-ერთი აფხაზი „მეცნიერ-კომუნისტი“ და სეპარატისტთა იდეოლოგი ს. ბასარია 1923 წელს წერდა (ეს ვერსია შემდეგ სეპარატისტების „ოფიციალურ“ ვერსიად ჩამოყალიბდა), რომ 1914 წელს საშურზაყანოში ცხოვრობდა 35 638 აფხაზი და 3 915 ქართველი და რომ აქაური აფხაზების ასიმილაციას ქართველების მიერ 1917-18 წწ.-ში დაიწყო.[40] კი მაგრამ, თუ უზარმაზარმა რუსეთის იმპერიამ სულ მცირე 40 წლის მანძილზე, „შუპაჯირობის“, „დამნაშაეე მოსახლეობად“ გამოცხადებისა თუ სხვა დისკრიმინაციული ბერკეტების ამოქმედების მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო აფხაზების გარუსება, მაშინ გაუგებარია რა “სასწაული” ჩაიდინა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ სულ რაღაც 3 წელიწადში (1918-1921 წწ.), რომ 1926 წლის აღწერის დროს გალის მოსახლეობის 75% მეგრულ-ქართველად ჩაეწერა და არა აფხაზად. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 1926 წლის აღწერასთან დაკავშირებით საპირისპირო ვერსიას გვთავაზობს თვით ნესტორ ლაკობა, აფხაზი კომუნისტების ბელადი. მისი დაკვირვებით: „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“.[41]

39 Д.Гамахария, Б.Гогия. Абхазия историческая область Грузии, Тб.1997, ст.790

40. (С.Басария, Абхазия в географическом , этнографическом и экономическом отношении, Сухуми, 1923, ст. 38)

41. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ. 1991, გვ 44

ეს ტენდენცია, საეარაუდოდ, შემდგომშიც გაგრძელდა და ამასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტი, რომ 1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზების დაახლოებით 70%-ს ქართული, ძირითადად, მეგრული გვარი აქვს, თუმცა, ცხადია, ეთნიკური კუთვნილების საკითხი თითოეული პიროვნების გადასაწყვეტია.

აქვე აუცილებელია გავითვალისწინოთ „კრემლის ისტორიკოსების" მტკიცება იმის შესახებ, რომ 1921 წლიდან 1931 წლამდე აფხაზეთი „დამოუკიდებელი სსრ" იყო, ასე რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება რაიმე იძულებას გალის მოსახლეობის „გაქართველების" მიმართულებით 1926 წლის აღწერამდე ვერ განახორციელებდა.

ამგვარ 3-წლიან „სასწაულზე" დაფუძნებული „კრემლის ისტორიკოსთა" ვერსიის ალტერნატივაა მარტივი ისტორიული ფაქტები, რომელთა თანახმად, მთელი დასავლეთი საქართველოს, სახელდობრ, აფხაზეთის, უფრო კონკრეტულად კი, სამურზაყანოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან ცხოვრობენ კოლხები და მათი შთამომავალი მეგრელები/ქართველები, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ეს ტერიტორია XV-XVII სს.-ში სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში იყო და მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს შეუერთეს ოსმალებმა და მაჰმადიანმა მთიელებმა მათ მიერ იმ დროისთვის, ფაქტობრივად, უკვე დაპყრობილ დანარჩენ აფხაზეთს. ამ შეერთების მიუხედავად, ბუნებრივია, აქაური მეგრულ-ქართული მოსახლეობა არ „აორთქლდებოდა" და მან, როცა ამის საშუალება მიეცა, ანუ 1926 წელს (მანამდე რუსეთის იმპერია, სრულიად შეგნებულად, მათ არა მეგრელ/ქართველად, არამედ „სამურზაყანოელად" აფიქსირებდა) თქვა, რომ ის მიეკუთვნება მეგრულ/ქართულ ეთნოსს. ასეთია ისტორიულ ფაქტებზე დაფუძნებული ლოგიკური დასკვნა. „სასწაულების" მოყვარულებს კი აქვე შეგვიძლია შევთავაზოთ ასევე დემოგრაფიასთან დაკავშირებული სხვა „სასწაული".

„კრემლის ისტორიკოსების" თანახმად, "მუჰაჯირობის" შედეგად, აფხაზეთის „ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ლტოლვილად იქცა თურქეთში".[42] იმავე წყაროს ცნობით, 1886 წელს ეთნიკური აფხაზები მოსახლეობის 85,7%-ს შეადგენდნენ. ეს რიცხვი მიღებულია 1886 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე. ამ აღწერის თანახმად, მაშინ აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობა (ქ. სოხუმის, გუდაუთისა და ოჩამჩირეს გამოკლებით) იყო 67 846, აქედან აფხაზი 28 318, "სამურზაყანოელი" — 30 640, "მეგრელი" — 3 474, "ქართველი" — 62. აფხაზისა და "სამურზაყანოელის" რაოდენობის შეჯამებით ვიღებთ თითქმის 59 ათასს ანუ მთლიანი რაოდენობის 85,7%-ს. დაეუშვათ, "სამურზაყა-

42. http //www abkhazia gov org/ru/state/history/

ნიელები" მართლაც აფხაზები იყვნენ. ამ შემთხვევაში, თუ ნახევარზე მეტი გადაასახლეს 1860-70-იან წლებში და დარჩენილი აფხაზი მოსახლეობა 1886 წელს იყო თითქმის 60 ათასი (28 ათასი აფხაზი და 30 000 — "სამურზაყანიელი"), უნდა დავასკვნათ, რომ 1860-იანი წლების დასაწყისში, წინა ხანგრძლივი პერიოდის გაუთავებელი ომების შემდეგაც კი, აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 120 ათასი მაინც ყოფილა (ლოგიკა ასეთია: "ეთნიკურად ერთგვაროვანი" 120 000-დან სულ მცირე ნახევარი გადაასახლეს და დარჩენილი 60 000, სავარაუდო ბუნებრივი ნამატის გათვალისწინებით, 1886 წელს 68 000 გამხდარა); უნდა ითქვას, რომ იმ ეპოქის ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, 1860-იანი წლების აფხაზეთისთვის ასეთი რაოდენობის მოსახლეობა სრული აბსურდია (1897 წელს 106 ათასი იყო). მაგრამ, დავუშვათ დავიჯერეთ ეს აბსურდი და 1886 წელს აფხაზები, მართლაც, 60 ათასამდე იყო. ამავე დროს, არსებობს ოფიციალური მონაცემი იმის შესახებ, რომ 1867 წელს გადაასახლეს 19 342 ადამიანი. თუ ეს იყო ნახევარზე მეტი, მაშინ იმ დროისთვის აფხაზების მაქსიმალური რაოდენობა ყოფილა 40 000. ანუ 1860-იანი წლების ბოლოს დარჩენილი 20 000 აფხაზი 1886 წელს თითქმის 60 ათასი გამხდარა ე.ი. გასამმაგებულა. დავუშვათ, იმპერიამ შეამცირა გადასახლებულთა რაოდენობა და ბევრად მეტი გადაასახლა, ვთქვათ, 30 000; ამ შემთხვევაში კი გამოდის, რომ დარჩენილი 30 000 აფხაზის რაოდენობა, სულ რაღაც 19 წელიწადში გაორმაგებულა (და ეს მაშინ, როცა ისინი 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდნენ და ამის გამო „დაძნაშავე მოსახლეობად" შერაცხილებს, მათივე თქმით, იმპერია და ქართველებიც ყოველმხრივ ავიწროებდნენ). ცხადია, საღ გონებას ასეთი „დემოგრაფიული სასწაულების" მიმართ, სულ მცირე, ეჭვი მაინც უნდა შეეპაროს, მაგრამ თუკი ფინიკიელებს ანბანი ძველაფხაზმა მონებმა შეუქმნეს (როგორც ლენინგრადელი პროფესორი მ. ტურჩანინოვი ამტკიცებდა),[43] მაშინ რატომ არ შეიძლება მოსახლეობის ასეთი ზრდაც მოხდეს? ოღონდ, ეს უკვე სხვა კატეგორიის რეალობებს უკავშირდება და ამგვარი მოვლენები ისტორიულ ან დემოგრაფიულ შესწავლას ნაკლებად ექვემდებარება, ეს უფრო სამედიცინო-ფსიქიატრიული პროფილის მეცნიერებათა პრეროგატივაა.

არადა, საკმარისია „დემოგრაფიულ სასწაულებსა" და მაშინდელი სამურზაყანოს მეგრულ/ქართული მოსახლეობის აფხაზად გასაღებას თავი დავანებოთ და ყველაფერი მარტივად ირკვევა: 20 ათასამდე გადასახლებული აფხაზი თუ დაახლოებით ნახევარი იყო, მაშინ დარჩენილი 20 000 აფხაზი, შემდგომი 19 წლის განმავლობაში, ნამდვილად

43. გაზეთი „აფხაზეთის უნივერსიტეტი". 1989. 17.02.

შესაძლებელია 28 318 გამხდარიყო ანუ ის რაოდენობა, რაც არის დაფიქსირებული აფხაზების გრაფაში 1886 წლის აღწერის მონაცემებში. აუცილებელია ითქვას, რომ დიდი სანდოობით არც შეყვის რუსეთის ოფიციალური მონაცემები გამოირჩევა. მაგ., როგორც აღინიშნა, 1886 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზების რაოდენობა მაშინ 28 318 იყო, 1897 წელს კი — 58 697; ე.ი. სულ რაღაც 11 წელიწადში მათი რაოდენობა გაორმაგებულა (კიდევ ერთი „დემოგრაფიული სასწაული"). „კრემლის ისტორიკოსები" აცხადებენ, რომ 1886 წლიდან 1897 წლამდე აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (დაახლოებით, 75 ათასიდან 106 ათასამდე), მაგრამ აფხაზების რაოდენობა იგივე დარჩა ანუ, პროცენტულად, 85,7%-დან 55,3%-მდე შემცირდაო და ამას, ცხადია, ისევ ქართველების „ექსპანსიით" ხსნიან. ზემოთ უკვე ვნახეთ, თუ როგორ არის მიღებული ეს „მითიური" რიცხვი — 85,7% და დავრწმუნდით, რომ 1886 წელს აფხაზების რაოდენობა 28-30 ათასი იყო. 11 წელიწადში ეს რაოდენობა ნამდვილად ვერ გახდებოდა თითქმის 59 ათასი, რაც დაფიქსირებულია 1897 წლის აღწერის მონაცემებში. აფხაზების ასეთი მატება არა „დემოგრაფიული სასწაულით", არამედ იმპერიის ჩინოვნიკების მარტივი მანიპულაციით აიხსნება — 1886 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, 1897 წლის ცხრილში გრაფა „სამურზაყანოელი" საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, 1886 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, აფხაზებზე კიდევ უფრო მკვეთრად არის გაზრდილი მეგრელების/ქართველების რაოდენობა (3,5 ათასიდან 23,8 ათასამდე). სრულიად აშკარაა, რომ აფხაზებისა და მეგრელების/ქართველების რაოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა "სამურზაყანოელების" "გადანაწილების" შედეგია. 1886 წელს დაფიქსირებულია 30,6 ათასი "სამურზაყანოელი", 1897 წლისთვის მათი რაოდენობა, საკარაუდოდ, 40 ათასამდე გაიზრდებოდა და სწორედ ამ რაოდენობის ნახევარ-ნახევარი (20-20 ათასი) დაამატეს აფხაზებსა და მეგრელებს/ქართველებს. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას, ერთი მხრივ, მეგრელების/ქართველების და აფხაზების „დემოგრაფიული აფეთქება" და, მეორე მხრივ, „სამურზაყანოელების" საერთოდ „გაქრობა". საყურადღებოა ასევე, რომ 1926 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზების რაოდენობა არის 55 918 ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე 1897 წელს (58 697). ესეც, რასაკვირველია, კიდევ ერთი „არგუმენტია", რომელიც „ამყარებს" 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიმართ აფხაზეთის „დაპყრობისა" და „აფხაზების გენოციდის" ბრალდებებს. სინამდვილეში, ცხადია, არანაირი დაპყრობა და „აფხაზების გენოციდი" არ ყოფილა (ისევე როგორც

არ მომხდარა „ოსების გენოციდი" 2008 წლის აგვისტოში); საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1886 წელს აფხაზი იყო 28 318 (და არა 58 000), გავიხსენოთ ასევე, რომ 1897 წელს დაფიქსირებული 58 697 აფხაზიდან 20 000. რეალურად, მონაცემებიდან "გამქრალი" "სამურზაყანოელი" ანუ სამურზაყანოს ტერიტორიაზე მცხოვრები მეგრელ/ქართველია, რაც ნიშნავს, რომ 1897 წელს აფხაზეთში დაახლოებით 38 000 აფხაზი ცხოვრობდა და ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ 1926 წელს აფხაზების რაოდენობამ 55 918-ს მიაღწია. ამრიგად, 1886 წელს აფხაზების რაოდენობა იყო დაახლოებით 30 000, 1897 წელს — 38 000 და 1926 წელს — 55 918. ამ რიცხვებს სრულად შეესაბამება ქართულ წყაროებში, სავარაუდოდ, 1919 წლის თებერვლის არჩევნების მონაცემთა საფუძველზე არსებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, 1919 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 41 376 აფხაზი და 60 930 ქართველი; სამურზაყანოს მოსახლეობა იყო 38 441, აქედან, აფხაზი — 2 000, ქართველი — 36 441 (95%), სოხუმში: აფხაზი — 3 000-მდე, ქართველი — 25 000-ზე ოღნავ მეტი.[44] რაღა თქმა უნდა, იმპერიას რომ თავიდანვე, 1886 წელს არ გამოეგონებინა ფსევდოეთნოსი „სამურზაყანოელი" და თავიდანვე დაეფიქსირებინა, დაახლოებით, 30-35 ათასი ქართველი (მეგრელების, „სამურზაყანოელებისა" და სვანების ჩათვლით), მაშინ გაუგებრობები აღარ იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნიადაგი გამოეცლებოდა მითების მთელ წყებას ქართველების მიერ აფხაზეთის XIX-XX საუკუნეებში „დაპყრობისა" და „განადგურების" შესახებ. „დამპყრობელი ქართველების" მითის შექმნა-დამკვიდრება კი მაშინ ისევე აუცილებელი იყო მეფის იმპერიისთვის, როგორც კრემლისთვის — 1921 და 1992-1993 წლებში ან 2008 წლის აგვისტოში.

აქვე შევეხებით 1930-დან 1953 წლამდე აფხაზეთში ქართველების ჩასახლების ყბადაღებულ თემას. საგულისხმოა, რომ თვით „კრემლის ისტორიკოსებიც" კი ვერ ახერხებენ საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში ჩასახლებული ქართველების რაოდენობის მეტისმეტ გაზვიადებას (მოსახლეობის აღწერის საბჭოური მონაცემები არ იძლევა ამის საშუალებას) და მხოლოდ „ათეულობით ათას"[45] ჩასახლებულ ქართველზე საუბრობენ, თუმცა „ეფექტის გასაძლიერებლად" იქვე დასძენენ, რომ ამის შედეგად ქართველების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდაო და 1886 წელს თუ მათი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში მხოლოდ 6% იყოო, 1989 წელს 45,7% გახდაო. ზემოთ უკვე საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ 1886 წლის მონაცემების შესახებ. რაც შეეხება 1989 წლის მაჩვენებელს,

44. გაზეთი "სოციალისტ-ყაზერალისტი". 1921. 26.07.
45 http://www.apsny.ru/history/history.php

შემთხვევითი არ არის, რომ „კრემლის ისტორიკოსები" რიცხვს არ ასახელებენ და მხოლოდ პროცენტულ მაჩვენებელს იმოწმებენ. 1989 წლის აღწერის თანახმად, აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობა ნახევარ მილიონზე მეტი იყო (525 061), აქედან ქართველი — 239 872, ხოლო აფხაზი — 93 267. აშკარაა, რომ აქ 10 ან თუნდაც 20 ათასი ქართველის ჩასახლება არსებულ თანაფარდობას პრინციპულად ვერ შეცვლიდა.

„კრემლის ისტორიკოსები" განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას 1937-1953 წლებზე და ცდილობენ შექმნან მითი ბერიას მიერ ჩასახლებულ „ათეულობით ათას ქართველზე". სინამდვილეში, საკმარისია ვნახოთ იმ წლების აღწერის მონაცემები, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ამ ფსევდოისტორიკოსთა სიცრუეში.

1926 წელს აფხაზეთის მთელი მოსახლეობა იყო 201 ათასი, აქედან აფხაზი თითქმის 56 ათასი, ქართველი კი — 67,5 ათასი. 1939 წელი: მთლიანად — 312 ათასი, აფხაზი — 56,197, ქართველი — 91 967 (ანუ, თუ თითქმის 70 ათასმა ქართველმა 13 წლის განმავლობაში 24 ათასით (36 %-ით) მოიმატა, ეს მხოლოდ ჩასახლებით უნდა აიხსნას (თუმცა, საკარაუდო ბუნებრივი ნამატი 10 ათასი მაინც იქნებოდა), ხოლო როცა 20-30 ათასი აფხაზის რაოდენობა ომის და ნახევრადშიმშილობის 19 წლიან პერიოდში უცვლელ ორმაგდება ან სამმაგდება, ან 58 ათასი აფხაზი 11 წელიწადში გაორმაგდება — აქ საეჭვო არაფერია). ბარემ შემდგომი აღწერის რიცხვებსაც მოვიტანთ, რომ ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული იყოს. 1959 წელი: მთლიანად — 404 738, აფხაზი — 61 193, ქართველი — 158 221, 1979 წელი: მთლიანად — 486 082, აფხაზი — 83 097, ქართველი — 213 322 (20 წელიწადში მატება 33%-ით). როგორც ვხედავთ, ჩასახლება აქ არაფერ შუაშია (1953 წლიდან მაინც რომ ასეთი რამ არ ყოფილა, ამას თვითონაც აღიარებენ), უბრალოდ, ქართულ მოსახლეობას, აფხაზებთან შედარებით, გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, რასაც ადასტურებს ყველა აღწერის შედეგები. 1937-1953 წლებში, ჭაობების დაშრობის კამპანიის პერიოდში, ჩასახლება რომ იყო ამას არავინ უარყოფს, მაგრამ აქ უნდა გავიმეოროთ, რომ 10 ან 20 ათასი ქართველის ჩასახლება-არჩასახლება საერთო დემოგრაფიულ სურათს ვერ შეცვლიდა. ამ ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, რომ „კრემლის ისტორიკოსები" საერთოდ არაფერს ამბობენ მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში მომხდარ იმ ეთნიკურ წმენდაზე, რომლის შედეგად სულ მცირე 350 ათასი ადამიანი, მათ შორის, დაახლოებით, 240 ათასი ქართველი, იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და მათი უმრავლესობა დღემდე დევნილია. აქვე უნდა ითქვას.

რომ როცა დღეს „კრემლის ისტორიკოსები" XIX-XX საუკუნეების ქართულ (მეგრულ) „ექსპანსიაზე" საუბრობენ, რატომღაც არაფერს ამბობენ მოსახლეობის აღწერათა მონაცემებში დაფიქსირებულ იმ მაჩვენებლებზე, რომელთა მიხედვით, ერთი საუკუნის განმავლობაში — 1886 წლიდან 1989 წლამდე — არამკვიდრი მოსახლეობის — რუსების რაოდენობა აფხაზეთში 971-დან 74 914-მდე ანუ 77-ჯერ გაიზარდა, ხოლო სომხების — თითქმის 74-ჯერ, 1037-დან 76 541-მდე (შედარებისთვის, ამავე პერიოდში აფხაზეთის აქტოქთონი ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა მომატებულია, შესაბამისად, მხოლოდ 7-ჯერ და 3,3-ჯერ). საყურადღებოა ასევე, რომ 1897 წელს ქ. სოხუმის მოსახლეობის 31% ქართველი იყო, 21,1% — რუსი, 13,5% — სომეხი, 2,7% — უკრაინელი და 1,8% — აფხაზი, 1926 წელს კი, 1921 წლის „გასაბჭოებიდან" მხოლოდ 5 წლის შემდეგ: 23,7% — რუსი, 23,4% — ქართველი, 10,4% — უკრაინელი, 9,4% — სომეხი და 3,1% — აფხაზი ანუ, როგორც აფხაზეთის დედაქალაქში, ასევე მთლიანად აფხაზეთში მკვეთრად იზრდებოდა არამკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა და ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის აღწერა აფხაზეთში არ ჩატარებულა, მაგრამ საისტორიო არქივში ინახება XIX ს.-ის 30-იანი წლების აფხაზეთის რამდენიმე თემის მცხოვრებთა გვარების სრული სია, რომლის მიხედვით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდშიც ქართულ-მეგრული გვარები ბევრად მეტია, ვიდრე აფხაზური, მაგალითად, ლიხნის თემის მცხოვრებთა 130 გვარეულობიდან 85 (65%) არის ქართული, 35 (26,9%) — აფხაზური. ანალოგიური ვითარებაა კვიტოულის, ტამიშის, ღურიფშის, კანდლის თემებში, რომლებიც აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში მდებარეობენ, ისტორიული სამურძაყანოს ჩრდილო-დასავლეთით (ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე კი, ტრადიციულად, დღემდე 90-95% ქართველ-მეგრელები ცხოვრობენ). [4]

ზემოთ განხილული მონაცემებისა და მათი ანალიზის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1992-1993 წლების კონფლიქტის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარ ეთნიკურ წმენდამდე ქართველები ყოველთვის აღგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ანთროპოლოგთა დასკვნები, რომელთა თანახმად, უდავოა, რომ, ერთი მხრივ, ჩერქეზები, ადიღები, ყაბარდოელები და აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები კავკასიის

---

[4] ი. ვ. ქოლბაია, რ. გელასტია, დ. ლაკუბაია, თ. ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, თბ. 2000, გვ. 12-15

ავტოქთონური, მონათესავე ტომების შთამომავლები ვართ;[47]

უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მართალია, აფხაზები, ლინგვისტური თვალსაზრისით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ ანთროპოლოგიურად დასავლელქართველებთან (მეგრელ-ლაზებთან) უფრო ახლოს არიან. [48]

ეს არც არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ, რომ მონათესავე მეგრელ/ქართველები და აფხაზები უკვე ათასწლეულების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და თანამედროვე აფხაზების 70%-ს ქართული (მეგრულ-ლაზური) გვარი აქვს. აფხაზეთში არ არსებობდა ქართული ოჯახი, რომელსაც აფხაზი ნათესავი არ ჰყავდა და პირიქით. აღსანიშნავია, რომ რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც ქართველებისა და აფხაზების ურთიერთგადამტერებას ისახავდა მიზნად (ცარიზმის შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა დაიწყო მას შემდეგ, რაც იმპერიამ "დამნაშავე მოსახლეობის" სტატუსი მოუხსნა აფხაზებს), 1990-იანი წლების კონფლიქტამდე აფხაზეთში ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო.

ახლა მოკლედ განვიხილოთ ენობრივ-რელიგიურ-კულტურული სფეროს საკითხები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია გავარკვიოთ აფხაზეთის სულიერ-კულტურული მიმართება დანარჩენ საქართველოსთან.

ხუროთმოძღვრების ძეგლებთან დაკავშირებით, რეალურად, საკამათო არაფერია. IX საუკუნიდან აფხაზეთში არსებული ეკლესია-მონასტრები, თუ სხვა ისტორიული ძეგლები ქართული წარწერებით, ორნამენტებითა და ფრესკებით ფორმდებოდა (მანამდე ბერძნული ჭარბობდა). როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, "შუასაუკუნოვან ქართულ არქიტექტურაში არსებულ სკოლებს: დასავლურქართულს (აფხაზურს), კახურს, ქართლურს, ტაო-კლარჯულს, ჰერულს განსხვავებულ, ლოკალურ თავისებურებებთან ერთად, ზოგადქართული ხასიათი აქვთ, ყველა ესენი საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან. ხაზგასასმელია, ის გარემოება, რომ ეს თვისებები საქართველოს ერთიანი შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნამდე ელინდება, პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ აფხაზთა (დასავლურ ქართულ), ქართველთა (ტაო-კლარჯეთი), კახეთის და სხვა სახელმწიფოებში, რაც სწორედ უძველეს ისტორიულ ძირებზე, მათ საერთო ზოგადქართულ კულტურაზე მიუთითებს". [49]

47. Алексеев В П Происхождение народов Кавказа. Краниологические исследования, М. 1974 M G. Abdushelishvili The genesis of the aboriginal population of the Caucasus in the light of anthropological data (a monograph). Tokyo, 1968 (in English)

48. გ. ჯაბერიძე, აფხაზების ურთიერთდამოკიდებულება ქართველურ და ადიღეურ ეთნიკურ ჯგუფებთან ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე. თბ. 1963, Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. Краниологические исследования, М. 1974, ст.194.

49. ი. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ. 1990

აფხაზეთის სამეფოს მატერიალური კულტურის ძეგლები საერთო ქართული კულტურის ორგანული ნაწილია და მათში საერთო ქართულისგან არსებითად განსხვავებული, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ელემენტი არ არსებობს.

აფხაზეთის წერილობით ძეგლთა შესახებ თვით აფხაზი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ "სალიტერატურო ენად გამოიყენებოდა: ბერძნული (IXს.-მდე), ქართული (IX-XIXსს.) და ნაწილობრივ თურქული (XVIIIს.-დან)".[50]

აქვე უნდა ითქვას, რომ „აფხაზთა" სამეფო კარზე, ქართულ ენაზე შეიქმნა (X-XI) აფხაზ მთავართა და მეფეთა ქრონიკა (ე.წ. „აფხაზ მეფეთა დივანი").

აქედან გამომდინარე, საკითხავია, თუ ქართველები მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში „ექსპანსიისა" და „ოკუპაციის" შედეგად ჩასახლდნენ აფხაზეთში, მთელი 10 საუკუნის განმავლობაში ქართულ ენა რატომ იყო ერთადერთი სახელმწიფო-საეკლესიო ენა აფხაზეთში? ან, თუ მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ, რა აიძულებდათ ქართული ენა შეენარჩუნებინათ, თავის დროზე ბერძნული ხომ ქართულით შეცვალეს და ახლაც შეეცვალათ თურქულით, თუ ქართული მტრების, „ოკუპანტების" ენა იყო მათთვის?

როგორც ცნობილია, იმ ეპოქაში ეკლესია არა მარტო რელიგიურ, არამედ უმიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. როცა სწორედ „აფხაზი" მეფეების დროს დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაქვემდებარებიდან გამოვიდა და მცხეთის საკათალიკოსოს შეუერთდა, ეს არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სახელმწიფოებრივ-კულტურული ნაბიჯი იყო. ბერძნულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ენაცვლებოდა ქართული, ბერძნულ ენას ცვლიდა ქართული (როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო დონეზე), შენდებოდა ქართული ტაძრები, ქართული წარწერებით, უქმდებოდა ბერძნული საეპისკოპოსო ფოთსა და გუდავაში და ფუძნდებოდა ქართული საეკლესიო ცენტრები: მარტვილში (ჭყონდიდი), მოქვსა და ბედიაში.

აქ კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ „აფხაზური წერილი" და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, თუ როგორ ეხერხებათ მის ავტორებს ისტორიული ფაქტების გაყალბება. ისინი ამტკიცებენ, რომ თითქოს XIX საუკუნეში ქართველი სასულიერო პირები თავს ახვევდნენ ქართულ ენას აფხაზებს, რომლებიც ცდილობდნენ "დარჩენილიყვნენ რუსული მარ-

50. Бгажба Х.С. Труды т.1. Тб. 1959. ст.16

თლმადიდებული ეკლესიის შემადგენლობაში".[51] არადა სრულიად უდავო ისტორიული ფაქტია, რომ აფხაზეთის ეკლესია არასოდეს ყოფილა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მასში „დარჩენა" აფხაზების მიზანი ვერ იქნებოდა. როგორც ზემოთ ითქვა (იხ. გვ. 74) 1916 წელს დაწერილ „აფხაზთა თხოვნაში" საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ „სოხუმის ეპარქია, ვინაიდან ის მთელი თავისი წარსულითა და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არასგზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსგან"[52] (1900 წელს სოხუმის ოლქის 80 მღვდელმსახურიდან 64 ქართველი იყო, 10 — ბერძენი, 4 — რუსი და მხოლოდ 2 აფხაზი).[53]

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 1870-იან წლებში სასულიერო სემინარიაში აფხაზური ენის მცოდნე მქადაგებელთა მომზადების საკითხი სწორედ ქართველმა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ წამოჭრა "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების" წინაშე, მაგრამ მეფისნაცვლის ინიციატივითა და რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაარსებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან უარი მიიღო. რაც შეეხება ქართველების მიერ, ზოგადად, აფხაზური ენისა და კულტურის შეზღუდვას, ამის შესახებ ამომწურავად ამბობს ლორიკ მარშანია: "სწორედ საქართველოსთან კავშირით შეინარჩუნა აფხაზეთმა ეთნოისტორიული სივრცე, თავისი სახე. არც ერთ ყოფილ საბჭოთა ავტონომიას არ ჰქონდა ისეთ დონეზე განვითარებული ეროვნული ეკონომიკა, სოციალური სფერო, ენა, ლიტერატურა, მეცნიერება, კულტურა, კადრების მომზადება, როგორიც აფხაზეთს. აფხაზეთი იყო ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა ყოფილ სსრკ-ში, რომლის კონსტიტუცია შეიცავდა მუხლს სახელმწიფო ენის — აფხაზურის შესახებ".[54]

ბუნებრივია, ნებისმიერი ობიექტური ადამიანი (აქ ნამდვილად არ არის აუცილებელი არც ისტორიკოსობა და არც ლინგვისტობა) დაგვეთანხმება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ენობრივ-კულტურულ და რელიგიურ-საეკლესიო ფაქტების ფონზე, უხერხულიც კია საუბარი აფხაზეთში ქართველების "ექსპანსია-ოკუპაციის" შესახებ.

ყველა ამ ისტორიული ფაქტის შეჯამებასა და მთლიანობაში გააზრებას, ერთ დასკვნამდე მივყავართ: საუკუნეების მანძილზე აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთმიმართებაში მკაფიოდ ჩანს ტენდენცია — ამა თუ იმ ფორმით აფხაზეთის დისტანცირება და-

51. საქართველოს მწყემსმთავრობა აცხადებს, ქრონიკა-აფხაზური ურთიერთობის დასაბამიდან გარს. ის. 1991. გვ. 47
52. იქვე. გვ. 47
53. Ф. Гершельман, причины неурядиц на Кавказе. СПБ. 1908, ст 24-26
54. Л. Маршания, Абхазия, Тб. 2006, ст. 108

ნარჩენი საქართველოსგან ყოველთვის გარე ძალას უკავშირდება, ეს არის არა აფხაზეთის მოსახლეობის (ან თუნდაც მხოლოდ აფხაზების) უმრავლესობის შინაგანი მისწრაფების გამოხატულება, არამედ გარედან ინსპირირებული, მთლიანად გარე ფაქტორის ზემოქმედების ინტენსივობაზე დამოკიდებული პროცესი. ასე იყო VI-VII სს.-ში, როცა ბიზანტიის გავლენით აფხაზეთის სამთავრო სულ უფრო დამოუკიდებელი გახდა ეგრისისგან (ლაზიკისგან) და ბოლოს ბიზანტიამ ის უშუალოდ დაიქვემდებარა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ როგორც კი გარე ძალის — ბიზანტიის ზემოქმედება შესუსტდა, აფხაზეთის სამთავროს აფხაზმა მმართველებმა ისევე ლაზიკასთან (ეგრისთან) დაახლოება დაიწყეს, რაც, საბოლოოდ, მათი გაერთიანებით დასრულდა (ამ პროცესის უმტკივნეულოდ განვითარება აშკარად ადასტურებს, რომ ის აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებასაც შეესაბამებოდა). ხაზგასასმელია ასევე, რომ ეს მოხდა აფხაზი მმართველების დომინირებით და ამას ეგრისში რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ანუ აშკარაა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ძალზე მჭიდრო ნათესაური კავშირები არსებობდა, სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ასეთი სწრაფი, უპრობლემო და სრული გაერთიანება. გარე ძალის მიერ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან ჩამოშორებისა და ამ ძალის შესუსტების შემდეგ აფხაზეთის ისევე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების ეს ზოგადი სქემა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების შემთხვევაშიც განმეორდა. ოსმალეთის და მასთან დაკავშირებული მაჰმადიანი ჩრდილოკავკასიელების გავლენა, ცხადია, გაცილებით უფრო ძლიერი და მძიმე იყო, ვიდრე ბიზანტიის.

ზემოთ საგანგებოდ აღინიშნა რელიგიური ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აფხაზთა შორის ისლამის გავრცელებამ და აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის მიერ გეგმაზომიერად შევიწროებულ-გამოდევნილი მაჰმადიანი და წარმართი ჩერქეზ-ადიღეელთა ნაწილის ჩამოსახლებამ, რასაკვირველია, აფხაზებსა და ქართველებს შორის არსებული ისტორიულ-ნათესაური მჭიდრო კავშირები, გარკვეულწილად, შეასუსტა. ეს დასტურდება იმ ლაშქრობებითაც, რომლებსაც აწყობდნენ, ერთი მხრივ, ოსმალები, ჩრდილოკავკასიელები და მაჰმადიან-წარმართი აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები და ქრისტიანი აფხაზები ერთმანეთის წინააღმდეგ. ცხადია, შუა საუკუნეებში შინაფეოდალური ლაშქრობები ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ხშირად ხდებოდა მთლიანად ქართველებით დასახლებულ სამთავროთა შორისაც, მაგრამ XVIII ს.-ში აფხაზეთის ან მის მოსაზ-

ღვრე ტერიტორიაზე გამართულ შეტაკებებს „ხელმძღ" სიმწვავეს გარე ძალა — ოსმალეთი და მასთან დაკავშირებული რელიგიურ-პოლიტიკური ფაქტორი სძენდა (იმ დროისათვის ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს არაერთ კუთხეში). XIX საუკუნიდან თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო და, სახელდობრ, აფხაზეთიც, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ერთ-ერთ საბრძოლო არენად იქცა. აფხაზეთის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ოსმალეთში გადასახლებით რუსეთმა, არსებითად, გაანეიტრალა ოსმალური ფაქტორი აფხაზეთში და როგორც კი ოსმალეთის ძლიერი ზემოქმედება შეწყდა, აფხაზების ქართული ორიენტაცია ისევ გამოიკვეთა და დაიწყო შესუსტებული ქართულ-აფხაზური კავშირების ინტენსიური განახლება (ეს სულისკვეთება მკაფიოდ არის დაფიქსირებული აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის 1870 წლის მოხსენებით ბარათში, იხ. გვ. 72). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში დარჩენილ ქრისტიან ან ნაკლებად რადიკალ მაჰმადიან და წარმართ აფხაზებს შეეძლოთ ქართული ორიენტაცია რუსულით შეეცვალათ, მაგრამ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, დედით ქართველი მიხეილ შარვაშიძისა და მისი ვაჟის, დედით ასევე ქართველის, გიორგი შარვაშიძის ცხოვრების გზა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი „პერსონიფიცირებული" დადასტურებაა „მუპაჟირობის" შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციისა (გიორგი შარვაშიძის პოლიტიკური მრწამსი მკაფიოდ ჩანს მის ქართულ ლექსებში, რომელთაგან ერთ-ერთში („მამულს") ვკითხულობთ: „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, / ჰოი, მამულო, სინათლეს გვისპობს...".[55] გიორგი შარვაშიძისთვის აფხაზეთი და საქართველო განუყოფელი ცნებები იყო, იგი XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის) მხარდამხარ იდგა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიჭაბუკის წლებში თვით იმპერიის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესთან (ალექსანდრე III) დაახლოებულმა გიორგიმ დემონსტრაციულად უარი თქვა ფლიგელ-ადიუტანტობაზე — უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, რომელიც იმპერატორისგან ჰქონდა მიღებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ „მუჰაჯირობის" — „ეთნიკური კატასტროფის" შემდეგ, აფხაზების სწორედ ამ თაობამ გადაარჩინა თავისი ეთნოსი ფიზიკური განადგურებისგან და უახლოესი ნათესაების — ქართველების აქტიური თანადგომით შეინარჩუნა ეთნიკური იდენტობა, ენა და კულტურა. აფხაზეთში რუსეთის მომძლავრების შემდეგ, ბუნებრივია, თრდე-

55. გ. შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ქუთაისი, 2006 გვ. 109

ბოლა იმის შესაძლებლობა, რომ აფხაზების, განსაკუთრებით, ქრისტიანი აფხაზების ქართული ორიენტაცია რუსულით ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც, უპირველესად, აიხსნება მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური მჭიდრო ურთიერთკავშირებით და ასევე „მუჰაჯირობით“. ეს ტრაგედია, ცხადია, დიდ როლს ასრულებდა რუსეთისადმი აფხაზების აშკარად მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. იმპერიას კარგად მოეხსენებოდა ეს ფაქტი, ამიტომაც არ უხსნიდა 30 წლის განმავლობაში აფხაზებს „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსს და კაზაკების ჩასახლებით აფხაზების „რუსულ მასაში გათქვეფას“ გეგმავდა. თუმცა, მეოცე საუკუნიდან იმპერიამ გადაწყვიტა აფხაზების გამოყენება თანდათან მომძლავრებული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ახალი ტენდენციის გამოხატულება იყო აფხაზებისთვის „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსის მოხსნა და ასევე ლ. ეორონოვის ანტიქართული ბროშურის („აფხაზეთი საქართველო არ არის“, 1907) გამოცემა-გავრცელება აფხაზეთში. ცხადია, კაზაკების ჩასახლება ისევ გაგრძელდა, მაგრამ აფხაზების შევიწროების ნაცვლად იწყება მათ მიმართ „ლმობიერი“ და „წამახალისებელი“ პოლიტიკის განხორციელება. მიზანი ბანალურია — „დაყავი და იბატონე“, ანუ აფხაზების არა ფიზიკურად განადგურება (განსხვავებით ჩერქეზ-უბიხებისგან), არამედ მათი გარუსება და ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად გამოყენება დამოუკიდებლობისკენ ქართველთა სწრაფვის წინააღმდეგ (ქართველებს უნდა „შეგვეგნო“, რომ თუ თავისუფლებისთვის ბრძოლას არ შევწყვეტდით, აფხაზეთს საერთოდ დაეკარგავდით). რუსეთის იმპერიის ასეთმა „მანევრმა“ არ გაამართლა, რაც ცხადად დადასტურდა 1916 წელს „აფხაზთა თხოვნით“ (იხ. გვ. 74) და 1919 წელს აფხაზეთში გამართული პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგებით. აშკარა გახდა, რომ რუსეთის იმპერიამ ვერ შეძლო აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციის შეცვლა. ეს ფაქტი, რასაკვირველია, კარგად დაინახეს ბოლშევიკ-კომუნისტებმა და 1921 წლის დასაწყისიდანვე, საქართველოს დაპყრობისთანავე დაიწყეს „ურჩი“ საქართველოს დასჯა და მისი დამოუკიდებლობის შესაძლო აღდგენის საწინააღმდეგოდ „ნაღმების“ მოშხადება. სწორედ კრემლის ამ „მუშაობის“ შედეგი იყო 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთს „დამოუკიდებელი“ სსრ-ისა და 1922 წელს „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომუნისტების მიერ ორგანიზებული უსასტიკესი რეპრესიების მიუხედავად (განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყებისას და 30-იან წლებში), მათ აფხაზეთში ქართველების ეთნი-

კური წმენდა არ მოუწყვიათ და ამის შემდეგ არ გამოუცხადებიათ ეს ტერიტორია „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" (ასეთი რამ — ჯერ ეთნიკური წმენდა და შემდეგ ამ ტერიტორიის „დამოუკიდებლობის" გამოცხადება — არც ჰიტლერს გაუკეთებია, ასე რომ, ამ მხრივ, კრემლის ღღეანდელმა მობინადრეებმა თავიანთ მენტალურ წინაპრებსაც კი აჯობეს).

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში კრემლს არც იმის საშუალება ჰქონდა, რომ ერთიანად გაეჟლიტა ქართველები და არც მათი მეტისმეტი გაღიზიანება აძლევდა ხელს (ამიტომაც არ გამოქვეყნდა მაშინ 1925 წლის აფხაზეთის ე.წ. „კონსტიტუცია"). უფრო მეტიც, 30-იანი წლებისთვის, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ, იმპერიის მასშტაბით, უკვე საიმედო, სტაბილური კონტროლი დაამყარა და კავკასიაში თურქეთთან დაპირისპირების საფრთხეც მოიხსნა, კრემლმა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების დაპყრობისთვის დაიწყო მზადება. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო სიმშვიდე კავკასიაში, სადაც მდებარეობდა საბჭოთა კავშირისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ბაქოს ნავთობი. ამდენად, საჭირო იყო საქართველოს, როგორც კავკასიის საკვანძო რესპუბლიკის მხარდაჭერაც. ამას უკავშირდება აფხაზეთის სსრ-ის ისევ საქართველოს ავტონომიად გაფორმება, ასევე გარკვეული დათმობები ქართული კულტურის მიმართულებით (მაგ. შესაძლებელი გახდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დაბეჭდვა, მაშინ როცა მანამდე, ილიას ხსენებაც კი სახიფათო იყო).

„კრემლის ისტორიკოსები" აცხადებენ რომ აფხაზეთის სსრ-ის ავტონომიად გადაკეთება სტალინის მოთხოვნის გამო მოხდა. რასაკვირველია, ეს, რეალურად, კრემლის ინსტრუქცია იყო, ისევე როგორც სწორედ კრემლის ინსტრუქციის (და არა აფხაზეთის მოსახლეობის ნების) შესაბამისად, „აფხაზეთის რევკომის" მიერ 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის „დამოუკიდებელი" სსრ-ის შექმნა-გამოცხადება. იგივე უნდა ითქვას „აფხაზეთის საბჭოების" II ყრილობის მიერ 1925 წლის „კონსტიტუციის" მიღების შესახებაც.

ცხადია, არასერიოზულობა იქნება, თუ ამ ფაქტებს სტალინის ეთნიკურ წარმომავლობას დაუკავშირებთ, როგორც ამას „კრემლის ისტორიკოსები" დაუღალავად იმეორებენ. ასეთ პრიმიტიულ ლოგიკას სრულ აბსურდამდე მიეყავართ — გამოდის რომ 1921 წელს სტალინს „დააკიწყდა", რომ ეთნიკურად ქართველი იყო და თავისი ეთნიკური სამშობლოს დაქუცმაცება დაიწყო: ჯერ „დამოუკიდებელი" აფხაზეთის სსრ შექმნა, შემდეგ კი — საქართველოს შუაგულში ე.წ. „სამხრეთი ოსეთი" და მის დედაქალაქად ცხინვალი დაადგინა, სადაც მაშინ ოსებზე ბევრად უფრო მეტნი იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ ებრაელებიც და სომხებიც

(1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი); თავისი წარმოშობა სტალინს არც მაშინ გახსენებია, როცა 20-30-იან წლებში ქართველ თავადაზნაურობასა და ინტელიგენციას ანადგურებდა, მაგრამ ზუსტად 1931 წელს უცებ „გაახსენდა" თავისი ქართველობა და აფხაზეთი ისევე საქართველოს ავტონომიად აქცია, როგორც ეს დამოუკიდებელი საქართველოს დროს იყო (მაგრამ, როგორც ჩანს 1921 წელს საქართველოსთვის „ჩამოჭრილი" სხვა ტერიტორიების დაბრუნება მაინც დააიწყდა). ასე თუ ვიმსჯელეთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთი ბოლშევიკი ბელადების მიზანი, როგორებიც იყვნენ მაგ., წარმოშობით ებრაელი ლევ ტროცკი ან პოლონელი ფელიქს ძერჟინსკი საბჭოთა იმპერიის გაძლიერება კი არ იყო, არამედ ებრაელებზე ან პოლონელებზე ზრუნვა. ვისაც ასეთი ახსნა მაინცდამაინც დამაჯერებლად არ მოეჩვენება, შევახსენებთ, რომ სწორედ 20-იან წლებში, სწორედ კრემლისა და პირადად სტალინის პოზიცია არაერთხელ შეიცვალა მთიანი ყარაბაღის, ნახჭევანისა და ზანგეზურის კუთვნილების, სტატუსისა თუ საზღვრების საკითხთან დაკავშირებით (იხ. გვ. 181-184, 200-201); უდავოა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღებოდა არა სტალინის ან რომელიმე სხვა ბოლშევიკ-კომუნისტის ეთნიკური სენტიმენტების საფუძველზე, არამედ იმპერიული ინტერესებიდან, საბჭოთა იმპერიის (და არა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის) ინტერესებიდან გამომდინარე.

დიახ, ეთნიკურად ქართველი იყო სტალინი და მან გადაასახლა ქართველების მონათესავე ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) მეორე მსოფლიო ომის დროს შუა აზიაში; ეთნიკურად გერმანული წარმოშობის იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II (პოლშტაინ-გოტორფი), რომელმაც ჩერქეზები, ადიღეელები, უბიხები და აფხაზები, გადაასახლა, ეთნიკურად ასევე გერმანელი იყო რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II (სოფია აუგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი), რომელმაც XVIII საუკუნის დასასრულს აყარა მშობლიური ადგილებიდან ზაპოროჟიელი კაზაკები და ყუბანში ჩაასახლა (ამ დროს დაარსდა ეკატერინოდარი ანუ ღღეანდელი კრასნოდარი), რითაც დაიწყო ჩრდილოეთიდან ჩერქეზ-ადიღეელთა შევიწროების პროცესი; ამ მოვლენების, ბელადებისა თუ იმპერატორების შესახებ საუბრისას მთავარი მათი ეთნიკური წარმომავლობა კი არ არის, არამედ ის, რომ ეს ადამიანები, განურჩევლად მათი ეროვნებისა, იმპერიას, რუსეთის (საბჭოთა) იმპერიას ემსახურებოდნენ და სწორედ იმპერიული მიზნების შესაბამისად მოქმედებდნენ.

მართალია, აფხაზეთის სსრ ავტონომიურ სსრ-დ გადაკეთდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ კრემლმა აფხაზი სეპარატისტები გაწირა

ან დაიეიწყა. იდეოლოგიზაციის მოყვარულმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა დაიწყეს ანტიქართული იდეოლოგიის „მეცნიერული“ დამუშავება და შემდეგ გავრცელება აფხაზებს შორის. მათი მიზანი იყო აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციის შეცვლა საბჭოურ-რუსული ორიენტაციით ანუ აფხაზების გეგმაზომიერი რუსიფიკაცია ძლიერი ანტიქართული აქცენტით. ამ პროცესში კი აუცილებელი იყო რეალური ისტორიის გაყალბება-დამახინჯება. ასე გაჩნდა „მეცნიერული თეორიები“ მაგ. ფინიკური დამწერლობის „აფხაზური ფესვების“ შესახებ (არადა, აფხაზური ანბანის შექმნის მცდელობები, რუსული და ქართული გრაფიკის გამოყენებით, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება), „აღმოაჩინეს“, რომ შუა საუკუნეების ამიერკავკასიის უდიდესი სახელმწიფო ქართული სამეფო კი არ ყოფილა, არამედ აფხაზური, რომ აფხაზების მთავარი მტრები ქართველები ყოფილან, რადგან სწორედ მათ წაართვეს აფხაზებს სახელმწიფო, ძველი დიდება, მიწა, ენა — ყველაფერი. ამ აბსურდული „თეორიებისა“ თუ მითების დამკვიდრებისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა „მუჰაჯირობის“ ტრაგედიის უკანა პლანზე გადაწევას და მის ნაცვლად უფრო გვიანდელი, ახალი და, რაც მთავარია, ქართველების მიერ მოწყობილი აფხაზების „ეთნიკური კატასტროფის“ გამოგონებასა და გავრცელებას. ჩანაცვლების სქემა მარტივია: „მუჰაჯირობა“ ცარიზმმა, მეფის რუსეთმა ჩაიდინა, ჩვენ, ბოლშევიკ-კომუნისტებმა კი ცარიზმი დავამხეთ, ჩვენ ახალ, საბჭოთა ქვეყანას ვაშენებთ; „მუჰაჯირობის“ შემდეგ აფხაზები ისევ მრავალრიცხოვანი გახდით (111 780), მაგრამ 1918-1921 წლებში თქვენი ისტორიული მტრების — ქართველების „სოციალური რეჟიმმა“ ახალი „ეთნიკური კატასტროფა“ მოგიწყოთ. ჩვენ, ბოლშევიკ-კომუნისტებმა დავამხეთ დამოუკიდებელი საქართველო, თქვენ გაგათავისუფლეთ და აფხაზეთის სსრ შეგიქმნით, დამოუკიდებლობა მოგანიჭეთ. სტალინის „პიროვნების კულტის“ მხილების შემდეგ მითის გაგრძელებაც შეითხზა: აფხაზეთის ასსრ-დ გადაკეთება თქვენი მფარველი კრემლის ბრალი კი არ იყო, არამედ ისევ და ისევ ქართველების, თქვენ ქართველმა სტალინმა გიღალატათ და ქართველმა ბერიამ ჩაგოგისახლათ „ათეულობით ათასი“ ქართველი, თორემ კრემლი ისევ თქვენს გვერდითაა და თუ „კარგად მოიქცევით“ ჩვენი დახმარებით ქართველებს აფხაზეთიდან გაყრით და დამოუკიდებლობასაც მიიღებთ. სწორედ ამ მითის საბოლოო, „მეცნიერულად დასაბუთებული“ ვერსია იყო 1988 წლის ცნობილი „აფხაზური წერილი“, რომლის ანტიქართული პათოსი დიამეტრულად უპირისპირდებოდა აფხაზეთისა და საქართველოს თავადაზნაურობის 1870 წლის მოხსენებითი ბარათისა და 1916 წლის „აფხაზთა თხოვნის“

სულისკვეთებას. ანუ კრემლმა 70 წლიან საბჭოურ პერიოდში მოახერხა აფხაზების ნაწილში „ანტიქართული ბირთვის“ შექმნა (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „იდეოლოგიურ დამუშავებას“ თან ერთვოდა აფხაზების სამსახურებრივი დაწინაურება და მატერიალური ხელშეწყობა ეთნიკური ნიშნით, რის გამოც აფხაზობა პრივილეგიასთან გაიგივდა). თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად, კრემლმა მაინც ვერ მიაღწია მიზანს, ვერ შეძლო ქართულ-აფხაზური ნათესაურ-ისტორიული კავშირების განადგურება, აფხაზების უმრავლესობის სეპარატისტებად გადაქცევა და მათი ჩაბმა ანტიქართულ ბრძოლაში (ამას ადასტურებს 1991 წლის რეფერენდუმის შედეგები და აფხაზების ძალზე პასიური მონაწილეობა კონფლიქტში). სწორედ ამიტომ, 1992-1993 წლებში კრემლმა ჩრდილოკავკასიელების ფაქტორი „ჩართო“ და მათ მონაწილეობას მაქსიმალურად ფართოდ აშუქებდა მასმედიის საშუალებით, რათა მიჩქმალულიყო „მთავარი გმირის“ — რუსეთის ჯარების გადამწყვეტი როლი საომარ მოქმედებებში.

ისტორიული მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე, დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ქართველებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-ნათესაური უახლოესი კავშირები ყოველთვის უძლებდა გარე ძალის ზემოქმედებას (ბიზანტია, ოსმალეთი, ცარიზმი, სსრკ) და როგორც კი გარე ძალის უარყოფითი გავლენა სუსტდებოდა, მაშინვე სწრაფად ვითარდებოდა კავშირების აღდგენა-განმტკიცების პროცესი და პრობლემები უმტკივნეულოდ გვარდებოდა. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ათასწლეულოვან ერთობას და გამოცდილებას ნეოკომუნისტურ-ფაშისტური რეციდივი ბევრს ვერაფერს დააკლებს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის ჯარების მიერ არის ერთადერთი გადამწყვეტი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ისტორიულ სიბრტყესთან შედარებით, გაცილებით უფრო მარტივად მივალთ იმავე დასკვნამდე, თუ აფხაზეთის კონფლიქტს სამართლებრივ სიბრტყეზე განვიხილავთ (იხ. გვ. 40-46, 628-645).

დასასრულ უნდა ითქვას, რომ გარკვეული პასაჟები წიგნის ამ და მომდევნო თავიდან („აფხაზეთი“ და „ცხინვალის რეგიონი“), შემდგომში ზოგან მეორდება, რადგან ევრაზიის კონფლიქტებთან საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართების განხილვისას, კონკრეტული საკითხების გვერდიგვერდ ჩვენება ალბათ უფრო მოსახერხებელია მკითხველისთვის.

ცხინვალის რეგიონი (საქართველო)

ცხინვალის რეგიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალური პროვინციის — ქართლის შუაგულში, ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში. მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) 1921 წლის თებერვალ-მარტში ოკუპირებული და ფაქტობრივად ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, 1922 წელს კრემლის მიერ შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი".

ფართობი — 3 900 (მთლიანი საქართველოს ფართობი — 69,7 კმ²).

მოსახლეობა — 2008 წელს რუსეთის ჯარებისა და კოკოითის მარიონეტული ბანდების მიერ ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიებზე მოწყობილი ეთნიკური წმენდის შემდეგ მეტ-ნაკლებად ზუსტი ინფორმაცია რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის შესახებ არ არსებობს (სავარაუდოდ, რეგიონში 20 ათასი მცხოვრები დარჩა, ეთნოწმენდის შედეგად 100 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი გაჩნდა, რომელთაგან დაახლოებით 32 ათასი ადამიანი, მათ შორის, 13 260 ქართველი უშუალოდ ცხინვალის რეგიონიდან, ახლაც დევნილია). სხვადასხვა მონაცემით, 2008 წლის აგვისტოსთვის მთლიანად ცხინვალის რეგიონში, დაახლოებით, 25-30 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

1990-იანი წლების კონფლიქტამდე, 1989 წ. აღწერის მონაცემებით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთლიანი მოსახლეობა იყო 98 400, აქედან 66,2% — ოსი და 29,44% — ქართველი, დანარჩენი 4% — რუსები, სომხები და ებრაელები). 164 000 ოსი ცხოვრობდა მთლიანად საქართველოში (მთელი მოსახლეობის 3%), აქედან მხოლოდ 65 200 (39,7%) სამხრეთ ოსეთში.

1989 წ. ცხინვალში ცხოვრობდა 74% ოსი, 16% ქართველი და 9% სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი (ერთი საუკუნის წინ კი — 1886 წელს, მაშინდელი აღწერის თანახმად, ცხინვალში არც ერთი ოსი არ არის დაფიქსირებული, ხოლო 1833 წელს მთლიანად საქართველოში 19 324 ოსი ცხოვრობდა).

1990-იანი წლების კონფლიქტის შედეგად საქართველოში რეგისტრირებული იყო 12 496 დევნილი ცხინვალის რეგიონიდან.

თანამედროვე ცხინვალის რეგიონის ტერიტორია უძველესი დროიდან საქართველოს ცენტრალურ პროვინციას — შიდა ქართლს წარმოადგენდა და იგი ძირითადად დასახლებული იყო ქართველებით. ეს დასტურდება როგორც წერილობითი ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური

მასალით, ასევე აქ არსებული ისტორიულ-რელიგიური ძეგლებითა და ტოპონიმებით. ეს იმდენად აშკარა ისტორიული ფაქტია, რომ ამ თემაზე სერიოზული კამათი, უბრალოდ, უაზრობაა. შიდა ქართლი სამი მხრიდან საქართველოს სხვა რეგიონებით არის გარშემორტყმული, ჩრდილოეთიდან კი — კავკასიონის მთავარი ქედით, ამიტომ ის არასოდეს ყოფილა სადავო ტერიტორია, განსხვავებით, ისტორიული საქართველოს განაპირა მხარეებისგან. მიუხედავად ამისა, ცხადია, არსებობენ „კრემლის ისტორიკოსები", რომელთათვისაც მთავარია არა ისტორიული ფაქტები, არამედ კრემლის დაკვეთა, შესაბამისად, მათი სპეციალიზაცია, რეალურად, ისტორიის გაყალბება და მითების შეთხზვაა.

სწორედ კრემლის დაკვეთიდან გამომდინარე, რუსი და ოსი ისტორიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ ოსები ან მათი წინაპარი ალანები უძველესი დროიდან ცხოვრობენ ამიერკავკასიაში, სახელდობრ, ცხინვალის რეგიონში და რომ ისტორიულად ეს „ოსური მიწაა". ამ „თეორიის" ისტორიული ღირებულება ისეთივეა, როგორიც, მაგ., ვ. ალაბონოვის 1991 წლის „აღმოჩენის", რომლის თანახმად, „ვეფხისტყაოსანი", შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ეპოსი, დაწერილი ყოფილა; ამაზე რიგს მიეკუთვნება ვინმე გოლდშტეინის „აღმოჩენა" იმის შესახებ, რომ „აზია" — კონტინენტის სახელწოდება — თურმე ალანების სახელწოდებისგან წარმოიშვა, რაკი ალანები თავიანთ თავს „ასებს" უწოდებდნენ.[1]

ოსებს ნამდვილად შეიძლება ალანების შთამომავლები ვუწოდოთ. ოსების წინაპრებად ისტორიკოსები ალანებსა და სარმატებს მიიჩნევენ (თვით ოსები თავიანთ წინაპრებად სკვითებსაც მოიხსენიებენ). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თანამედროვე ოსი ეთნოსი, ძირითადად, ამიერკავკასიაში დასახლებული ალანებისა და ავტოქთონი ჩრდილოკავკასიელების ურთიერთშერევის შედეგად ჩამოყალიბდა. აქ მოკლედ უნდა შევეხოთ ალან-ოსების წარმომავლობისა და ისტორიის საკითხებს. ალანები პირველად ძვ.წ. II ს.-ში მოიხსენიებიან ჩინურ ისტორიულ წყაროებში, რომელთა თქმითაც, დასავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს არ სცილდებოდა. ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ჩრდილოირანულენოვანი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია იყო. დაახლოებით პირველ საუკუნეში ისინი მდ. ვოლგის დასავლეთით გადმოვიდნენ და ვოლგასა და აზოვის ზღვას შორის მდებარე სტეპებზე მომთაბარეობდნენ. კატალონიელმა მეცნიერმა,

1. რ. თოფურიძელი. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. თბ 2009. გვ. 82

აგუსტი ალემანმა ღრმად შეისწავლა ალანების ისტორია და დაასკვნა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ალანები (ოსები) საქართველოს ტერიტორიაზე კი არა, მის ახლოსაც კი არ ცხოვრობდნენ. იმ პერიოდში მათი მომთაბარეობის არეალი მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე სიერცეს მოიცავდა.[2] IV საუკუნეში ალანები ჰუნების თავდასხმათა მსხვერპლი გახდნენ. მათი ნაწილი განადგურდა, ნაწილი ჰუნებს გაჰყვა ევროპაში, ნაწილმა კი სამხრეთით, იმიერკავკასიის დაბლობზე გადმოინაცვლა. V-VI საუკუნეებში ალანებმა ცენტრალური იმიერკავკასიის დაბლობის ნაწილზე ადრეკლასობრივი სახელმწიფო დააარსეს, რომელმაც XIII ს.-მდე იარსება (ალან-ოსების სწორედ ამ სახელმწიფოსთან საქართველოს სამეფოს კონტაქტებით იწყება საუკუნოვანი ქართულ-ოსური ურთიერთობები). XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევების შედეგად ალანები იძულებული გახდნენ კიდევ უფრო სამხრეთით, ჩრდილო კავკასიის მთებისთვის შეეფარებინათ თავი. ისინი, ძირითადად, 4 ხეობაში დასახლდნენ (დიგორი, ქურთათი, ალაგირი და თაგაური). ახალმოსული ალანებისა და ავტოქთონი ჩრდილოკავკასიელების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ის ეთნოსი, რომელიც თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ. შემდგომ პერიოდში ჯერ თემურლენგის შემოსევებმა, შემდეგ კი ყაბარდოელებმა არ მისცეს ოსებს საშუალება ამ ხეობებიდან ისევ იმიერკავკასიის დაბლობზე დასახლებულიყვნენ.

XV ს. — დაიწყო ოსების გადმოსელა ცენტრალურ ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიას შორის მდებარე დვალეთში (ეს მცირე რეგიონი, რომლის ფართობი 3 581 კმ2-ია, XIX ს.-ში, ნარის რაიონის სახელით, რუსეთის იმპერიამ მიითვისა). დვალეთი უძველესი დროიდან საქართველოს ეკუთვნოდა და ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ XVI ს.-ის დასასრულს ამ რეგიონში დარჩენილი ქართული მოსახლეობა ეთნიკურად, ძირითადად, ასიმილირებულ იქნა ჩამოსახლებულთა მიერ, თუმცა, მეორე მხრივ, აქაური ოსები ქართულ საზოგადოებაში იყვნენ ინტეგრირებული, მათ იცოდნენ ქართული ენა და დვალეთი XIX ს.-ის მეორე ნახევრამდე რჩებოდა ქართული სამეფოს (და თბილისის გუბერნიის) შემადგენლობაში.

XVII ს. — დვალეთის გაელით დაიწყო ოსების თანდათანობითი ჩამოსახლება საქართველოს უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე.

XVIII ს. — ამ საუკუნის დასასრულს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსები ცხოვრობდნენ მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო ნაწილში (დაახლოებით 15 ათასი სული).

1801 — ქართლ-კახეთის სამეფო (რომლის ერთ-ერთი პროვინცია იყო

2. Агустин Алеманъ, Аланы в древних и средневековых источниках, М.2003 ст 31

შიდა ქართლი), რუსეთის იმპერატორის მანიფესტით გაუქმდა. შიდა ქართლი და მისი ჩრდილო ნაწილი, რომელსაც მოგვიანებით ცხინვალის რეგიონი ეწოდა, თბილისის გუბერნიის გორის მაზრას მიეკუთვნა.

1830 — ამ დროიდან რუსულ პრესაში პირველად გაჩნდა ტერმინი „სამხრეთი ოსეთი", თუმცა, მაგალითად, 1840-იან წლებში ის მხოლოდ ორჯერ გამოიყენეს და რუსულ დოკუმენტებში მეტ-ნაკლებად ხშირად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იხმარება.

1843 — იმპერიამ თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ტერიტორიაზე შექმნა „სამხედრო-ოსური ოლქი", რომელიც მოიცავდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის რაიონების ტერიტორიას (ნარის რაიონი იგივე ისტორიული დვალეთია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ორ რაიონს, მათ მასშტაბზე ნათლად მეტყველების ის ფაქტი, რომ ორივეს ჯამური ფართობი მხოლოდ მესამედია 1922 წელს შექმნილი „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიისა /3 900 კმ2/).

მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლები — ოსებმა მოაწყვეს აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიამ სასტიკად ჩაახშო. ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგუროვი მე-20 საუკუნეში გამოქვეყნებულ თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევებში წერდა: „ამჟამად ნარის ქვაბულში (დვალეთში) და მთლიანად ოსეთშიც, აღარ არის არც ერთი მთლიანი კოშკი. რუსეთის მთავრობის ბრძანებით, გასული საუკუნის 40 და 50-იან წლებში ყველა კოშკი დაანგრიეს"[3]

აქვე უნდა ითქვას, რომ, ისევე როგორც აფხაზების შემთხვევაში, მე-19 საუკუნის ქართველი ინტელიგენცია აქტიურად ეხმარებოდა იმპერიის მიერ „ურჩობისთვის" დასჯილ ოსებს. ქართველი საზოგადო მოღვაწეები საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ ოსური ენისა და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას (საკმარისია დასახელდეს, მაგ., სოფრომ მგალობლიშვილის დაუღალავი მოღვაწეობა ამ მიმართულებით).

1858 — რუსეთის იმპერიამ დვალეთი — თანამედროვე ცხინვალის რეგიონის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე, ისტორიულად ყოველთვის საქართველოს კუთვნილი ტერიტორია, თბილისის გუბერნიის გორის მაზრას „ჩამოაჭრა" და ჩრდილოკავკასიურ თერგის ოლქს მიაკუთვნა. ამგვარად, იმპერიამ უშუალოდ მიითვისა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, წინა ათწლეულებში ოსების დასჯა-დამორჩილების შემდეგ, იმპერია თანდათან სულ უფრო მეტ „მზრუნველობას" იჩენდა ოსების მიმართ, რაც ავტოქთონური ჩრდილოკავკასიელი ხალხების: ვაინახებისა (ჩეჩენ-ინგუშებისა) და ჩერქეზების და

3. www.osetins.com

ასევე ქართველების წინააღმდეგ მათ გამოყენებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე „ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიის" დედაქალაქი ვლადიკავკაზი ყოფილი ინგუშური სოფლის ხაურეგის (ხაუროვო) ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო იმავე ჩრდილო ოსეთის მეორე დიდი ქალაქი მოზდოკი — ჩერქეზ-ყაბარდოელების ტერიტორიაზე (თუმცა, ამჟამად მოზდოკის 40 ათასიანი მოსახლეობიდან ყაბარდოელები მხოლოდ 3,16%-ია, ოსები — 7,66%, რუსები კი — 62,73%).

1918-1921 — საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში საბჭოთა რუსეთი მუდმივად ცდილობდა დაძაბულობის კერები შეექმნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიზნით ქმნიდნენ „რევოლუციურ კომიტეტებს", შემოჰქონდათ იარაღი, აწყობდნენ „სახალხო აჯანყებებს" და ლოკალურ ტერიტორიებზე აცხადებდნენ „საბჭოთა ხელისუფლების" დამყარებას. ეს იყო არა „ეთნოკონფლიქტები" ან ამბოხებულთა მხრიდან „დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა", არამედ რუსეთის კომპარტიის ცკ-ის სტრუქტურის — კავკასიის ბიუროს (კავბიუროს) აქტივისტთა ერთი და იმავე ჯგუფის მიერ ორგანიზებული არეულობები, რომელშიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის შეიარაღებული ბანდები მონაწილეობდნენ და რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება. ასეთი „სახალხო აჯანყებები" მოხდა, მაგალითად, აფხაზეთში, შორაპნის მაზრაში, სამეგრელოში, ღუშეთში და შიდა ქართლში. ყველა ამ ამბოხებაში ძირითადი ბირთვის ფუნქციას ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ: ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, ფ. მახარაძე, ა. გეგეჭკორი (მსგავსი „სახალხო-რევოლუციური ამბოხება" მოხდა 1921 წელსაც, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ე.წ. „შულავერის კომიტეტის" მეთაურობით დაწყებული „ამბოხება" 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დამხობით ანუ „გასაბჭოებით" დასრულდა, რადგან „ამბოხება", ამჯერად, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის აშკარა ინტერვენციაში გადაიზარდა).

სწორედ ამ ზოგადი პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი იყო ის „სახალხო ამბოხება", რომელიც იმ წლებში შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა და მოგვიანებით „კრემლის ისტორიკოსების" მიერ „პირველ ქართულ-ოსურ ეთნოკონფლიქტად" და „ოსების პირველ გენოციდად" მოინათლა.

„სამხრეთი ოსეთის ამბოხების" ქრონოლოგიაც ნათლად ადასტურებს, რომ ეს იყო კრემლის (კავბიუროს) მიერ ორგანიზებული კონფლიქტი:

1919 — 12 იანვრის ჯავაში შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონ-

ფერენცია და დაფუძნდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) „სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი". 1920 წლის 28 მარტს შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი". მაისში რევკომის შეიარაღებულმა ჯგუფებმა დაიკავეს ჯავისა და მიმდებარე ტერიტორიები და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. იმავე წლის 8 ივნისს „რევოლუციურმა კომიტეტმა" ასეთი ბრძანება გამოსცა: „ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან ღუშეთამდე ... მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს ... ეცნობოს რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება".[4] ამ ბრძანების შინაარსი სრულიად ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ეს იყო კრემლის პროვოკაცია დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ და, ბუნებრივია, „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილები" კრემლში ყველაზე ნაკლებად აღელვებდათ. ეს პროვოკაცია მიზნად ისახავდა, მაქსიმუმ, შიდა ქართლის ტერიტორიის „ჩამოჭრას" საქართველოსთვის (ტერიტორიების მითვისების ასეთ „მეთოდს" საბჭოთა რუსეთი მაშინ ფართოდ იყენებდა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ), ან მინიმუმ, — სერიოზულ დესტაბილიზაციას ჩვენს ქვეყანაში (თანაც, ეს კონფლიქტი ეთნიკური, ქართულ-ოსური „ომის" იარლიყით „გაფორმდა" საბჭოთა პროპაგანდის მიერ). ცხადია, კრემლის ასეთ აგრესიულ ქმედებებს საქართველოს მაშინდელი მთავრობა უპასუხოდ ვერ დატოვებდა, ამიტომ შიდა ქართლში სახალხო გვარდიის ქვედანაყოფები გაიგზავნა და წესრიგი მოკლე დროში აღდგა.

1920 — 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები, ანუ აღიარა, რომ აფხაზეთისა და ასევე შიდა ქართლის ტერიტორია (სადაც ორი წლის შემდეგ კრემლმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" შეიქმნა) დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენელი ნაწილია.

1921 — 31 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა იმავე წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია განახორციელა, კავბიურომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის უფლებათა" მინიჭების შესახებ და საქართველოს რევკომისგან ოლქის საზღვრების საკითხის გარკვევა მოითხოვა.

1922 — 20 აპრილს, საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით (#2), ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე

4. А. Мепхешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. krebulSi "Осетинский вопрос ". Тб. 1994, ст. 282-283

შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და მის ცენტრად ქ. ცხინვალი გამოცხადდა. ეს იყო ტიპური საბჭოური გადაწყვეტილება, რომელიც, რეალურად, ცხადია, კრემლში მიიღეს და ხალხისთვის, მაგ., ცხინვალის მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავთ (ამ მხრივ მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ იმ დროს ქალაქ ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი).[5] კრემლის ამ გადაწყვეტილების რეალური მიზანი მოგვიანებით, სსრკ-ის დაშლისას გამოჩნდა, როცა ავტონომიური წარმონაქმნებით მანიპულირებამ და მათთან დაკავშირებულმა „ეთნოკონფლიქტებმა" კრემლის მთავარი ბერკეტის როლი შეასრულა თავისუფლებისთვის მებრძოლი „ურჩი" საქართველოს სამაგალითოდ დასჯა-დამორჩილების პროცესში (იგივე მეთოდი გამოიყენა კრემლმა სომხეთ-აზერბაიჯანისა და მოლდავეთის მიმართაც).

1925 — რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში მყოფმა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან გაერთიანება მოითხოვა. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოებმაც და ხაზგასასმელია, რომ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების თანახმად, გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს შემადგენლობაში. 1927 წელს სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოებმა კიდევ ერთხელ წამოჭრეს ეს საკითხი, თუმცა, უშედეგოდ.

1980-იანი წლები — სსრკ-ში 1985 წელს დაწყებულმა ე.წ. „პერესტროიკის" პროცესმა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საშუალება მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა აქტუალურ საერთო-სახალხო მოთხოვნად ექცია.

1989 — 9 აპრილს, ღამის 4 საათზე, თბილისში, სსრკ-ის სამხედრო ქვედანაყოფების მიერ, გენერალ როდიონოვის მეთაურობით, უმოწყალოდ, სასანგრე ნიჩბებით დარბეულ იქნა მშვიდობიანი მოშიმშილეები და მომიტინგეები, დაახლოებით, 8 ათასი ადამიანი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. სასანგრე ნიჩბებთან ერთად, სამხედროებმა გამოიყენეს ასევე დღემდე უცნობი მხუთავი გაზი. ფიზიკური ტრამვებისა და გაზით მოწამვლის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა, აქედან უმრავლესობა ქალები. 9 აპრილის შემდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დისიდენტურ-სტუდენტური საფეხურიდან საერთოეროვნულ მასშტაბამდე ამაღლდა. კრემლისთვის აშკარა გახდა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძირი-

5. Итоги переписи населения городов Грузии от 30 ноября 1922 года, часть I, выпуск 2, Тб. 1923, с. 36

თად ნაწილზე კონტროლს კარგავდა და „ეთნოკონფლიქტების" პროვოცირების „მექანიზმები" აქტიურად აამუშავა, როგორც აფხაზეთში, ასევე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც", სადაც გამოჩნდნენ კრემლის მიერ შექმნილ-მართული ოსური სეპარატისტული ჯგუფები.

15 აგვისტო (1989) — გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. პროგრამით განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, მისი როგორც სახელმწიფო ენის გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ; საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში ქართული ენის საყოველთაო გამოყენების უზრუნველყოფა. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება გახდა საბაბი ოსური არაფორმალური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის" მიერ ცხინვალში პირველი მიტინგის გამართვისთვის.

4 სექტემბერი — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე.

26 სექტემბერი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ-ის მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენა არის ოსური ენა".

10 ნოემბერი (1989) — ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-12 საგანგებო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება: ა) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების, ბ) სამხრეთ ოსეთის სტატუსის აძაღლებისა და გ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ; სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ-ისა და სსრკ-ის უმაღლეს საბჭოებს, რათა განეხილათ სამხრეთ

ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი. სესიამ აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“, რომლითაც ოსური ენა აღიარებულ იქნა სახელმწიფო ენად. 16 ნოემბერს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებები, როგორც კანონთან შეუსაბამო (უხეშად იქნა დარღვეული სესიის მოწვევისა და ჩატარების წესი და მასზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, რომლებიც აღემატებოდა საოლქო საბჭოს უფლებამოსილებას).

23 ნოემბერი — დაახლოებით 20 ათასი ადამიანი, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების წინამძღოლობით, დაიძრა ცხინვალისკენ, რათა იქ გაემართა მშვიდობიანი მიტინგი. ავტონომიური ოლქის მცირერიცხოვანი სეპარატისტული ჯგუფები ლენინის გამოსახულებიანი საბჭოთა დროშებით და სსრკ-ის სამხედრო ნაწილები ქალაქის შესასვლელთან დახვდნენ თბილისიდან ჩასულ კოლონას. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა თავი აარიდეს დაპირისპირებას და, საბოლოოდ, ყველაფერი ცხინვალის შესასვლელთან გამართული ხანმოკლე მიტინგით დასრულდა.

1990 წლიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი პარტიული ნომენკლატურისა და არაფორმალური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ პოზიციები ერთიანდება და სულ უფრო რადიკალური ხდება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ორივე კრემლიდან იმართებოდა და ორივე სტრუქტურის ფუნქცია საქართველოში დაძაბულობის მაქსიმალური ესკალაცია იყო (ასეთ ფონს „ბუნებრივი ნიადაგი“ უნდა შეექმნა დაგეგმილი ქართულ-ოსური „ეთნოკონფლიქტისთვის“).

3 აპრილი (1990) — სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან დაკავშირებით, რითაც გამოაშკარავდა, თუ ვინ ცდილობდა ქართულ-ოსური ურთიერთობის დაძაბვას და საიდან გამოგზავნილ ინსტრუქციებს ასრულებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭო, როცა 1989 წლის სექტემბრისა და ნოემბრის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს იღებდა. 3 აპრილს, ფაქტობრივად, კრემლის მიერ მიღებული ახალი კანონის მესამე მუხლის თანახმად, „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური „ოკრუგები“, რეფერენდუმები ეწყობა ცალ-ცალკე თითოეულ ავტონომი-

აში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ფორმირებათა ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან კავშირიდან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში დარჩენის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება, აგრეთვე თავის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება". პარალელურად კრემლი სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის ხელმოწერის უფლებასაც ავტონომიური წარმონაქმნებიც იღებდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ განწყობებს ავალდებულებდა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა და, შესაბამისად, ვითარების შემდგომ გამწვავებას ემსახურებოდა.

20 სექტემბერი (1990) — სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-20 მოწვევის მე-14 სესიამ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ", რომლითაც ცალმხრივად (არ ჰქონდა რა სათანადო კომპეტენცია სსრკ-ის კონსტიტუციის ფარგლებში) მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივი გასვლის შესახებ. დეკლარაციაში დაფიქსირებულია, რომ ოსი ხალხის „შემდგომი განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სრული დამოუკიდებლობა", შესაბამისად, „სამხრეთ ოსეთი ცხადდება საერთაშორისო სამართლისა და საკავშირო ხელშეკრულების სუბიექტად". სესიამ დაადგინა: „ა) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთი ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად; ბ) ეთხოვოს სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს სამხრეთი ოსეთის მიღება სსრკ-ის ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად; გ) ეთხოვოს სსრკ-ის რესპუბლიკებს სამხრეთ ოსეთთან მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმება". სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 20 სექტემბრის დადგენილება მეორე დღესვე გააუქმა საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. მაგრამ „კანონთა ომი" ამით არ დასრულებულა.

16 ოქტომბერი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებები, შექმნა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი" და იმავე წლის 9 დეკემბრისთვის დანიშნა „რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

28 ოქტომბერი (1990) — სსრკ-ის ტერიტორიაზე პირველი მრავალ-

პარტიული არჩევნებით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 16 ოქტომბრის დადგენილებები. საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიმართა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს, მიეცათ სწორი შეფასება სეპარატისტთა სახიფათო მოქმედებებისათვის, რომელთაც შეიძლება მოჰყოლოდა საერთო დესტაბილიზაცია და მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

28 ნოემბერი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო მრავალისმეტყველი გადაწყვეტილება: „რესპუბლიკის“ სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა დემოკრატიული და „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ სახელით მან ოფიციალურად მიმართა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყრილობას, რათა ამ უკანასკნელს „ეცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად“ და „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის უშუალო მონაწილედაც“ გამოეცხადებინა.

9 დეკემბერი (1990) — ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გაიმართა სეპარატისტული სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ დანიშნული უკანონო არჩევნები (აირჩიეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო“).

11 დეკემბერი (1990) — საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მასთან ერთად გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. გარდა ამისა, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

ამ კანონში დასახელებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების მიზეზები:

1. 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნებისა და საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ;

2. ოს ხალხს აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა სსრკ-ის სხვა მოკავშირე რესპუბლიკის — რსფსრ-ის ტერიტორიაზე;

3. სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს მთლიანად საქართველოში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებულ მოვლენათა ქრონოლოგიიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს

ცენტრალური ხელისუფლება (როგორც კომუნისტური, ასევე დემოკრატიულად არჩეული) თავს არიდებდა ავტონომიურ ოლქთან დაპირისპირებას და მის გადაწყვეტილებათა სამართლებრივი გაუქმებით კმაყოფილდებოდა, სანამ ეს სტრუქტურა ასე თუ ისე ითვალისწინებდა რეალობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვითარება შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალური საფრთხე გაჩნდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" თხოვნას და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ოლქის ტერიტორიას ფედერაციის სუბიექტად ცნობდა. ამ შემთხვევაში „საბჭოთა ფედერაცია" ანუ კრემლი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების „ლეგიტიმურ საფუძველზე" „ჩამოაჭრიდა" საქართველოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, მასთან გაფორმებული „ურთიერთდახმარების" შეთანხმების საფუძველზე იქ განალაგებდა თავისი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს და საქართველოს ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან სსრკ-ის ჯარებთან დაპირისპირების რესურსები საქართველოს, ცხადია, არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ერთადერთი მექანიზმი საქართველოსთვის სამართლებრივი ბერკეტი იყო (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც 1991 წლის 9 აპრილს მოხდა). სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, სხვა გზა აღარ ჰქონდა და უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებით გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", და შესაბამისად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოც.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილებები მიიღო, „არჩეული" იყო საბჭოთა ეპოქაში (1985 წელს), ერთპარტიული სისტემის პირობებში, როცა თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა და ამ საბჭოების დეპუტატები კრემლიდან, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინიშნებოდნენ; ანუ ეს გადაწყვეტილებები კრემლის დაკვეთას წარმოადგენდა და არა ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

12 დეკემბერი (1991) — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო წესები და შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი.

1991 — 7 იანვარს გამოიცა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხ-

ეილ გორბაჩოვის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ. ბრძანებულებაში საბჭოთა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული როგორც ცხინვალის, ისე თბილისის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსის ამაღლებისა თუ ოლქის სრული გაუქმების შესახებ მიღებული დადგენილებები. უკანონოდ იქნა აგრეთვე მიჩნეული საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალსა და ჯავის რაიონში საგანგებო წესების გამოცხადება და მათ შესასრულებლად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების ნაწილთა, ისევე, როგორც სსრკ-ის შინაგანი ჯარის მოხმობა. ბრძანებულების თანახმად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან სამ დღეში გაყვანილი უნდა ყოფილიყო ყველა შეიარაღებული ფორმირება სსრკ-ის შინაგანი ჯარების გარდა; საქართველოს ხელისუფლებას 5 დღის ვადაში უნდა ეცნობებინა სსრკ-ის პრეზიდენტისთვის ვითარების ნორმალიზაციისთვის მიღებულ ზომათა შესახებ.

9 იანვარი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ". დადგენილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული უარყოფა არ შეუძლია საბჭოთა კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას, რომლის ძალითაც რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილება განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ნებისმიერმა ორგანომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებს ეროვნებათა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით, მაგრამ დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლებათა გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო სამართალიც მათ ანიჭებს მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველა სფეროში (ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერ-

თაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ეთნოსის წარმომადგენლისთვის. იმავე დადგენილებით იურიდიულად და მორალურად უსაფუძვლოდ გამოცხადდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება და მისი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, რეგიონიდან გამოყვანილ უნდა ყოფილიყო ყოველგვარი შეიარაღებული ფორმირება — გარდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარისა.

23 მარტი (1991) — ღაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პირველი პირების (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების): ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინის შეხვედრა, რომელიც დასრულდა მათ მიერ მოლაპარაკების ოქმის ხელმოწერით. ოქმის მესამე პუნქტში ვკითხულობთ: „რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას".[6] ანუ ამ დოკუმენტით რუსეთმა რეალურად აღიარა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ" და საქართველოს ხელისუფლებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენა სთხოვა.

1 აპრილი — სსრკ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მდგომარეობის შესახებ". დადგენილებაში აღინიშნა, რომ ბოლო დღეებში ვითარებამ ოლქში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, იქ მყოფი სსრკ-ის შსს შინაგანი ჯარის კონტინგენტს უკვე აღარ შეუძლია უზრუნველყოს სსრკ-ის კონსტიტუციის დაცვა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კვლავ დაეკისრა სსრკ-ის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესრულება.

9 აპრილი (1991) — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, ერთხმად მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრიეი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ამომრჩეველის 90%-მა (3 302 572) და მონაწილეთა 88%-მა (3 295 493) საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა).

---

6. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში, პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. 2005, გვ. 68)

ივნისი — რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, რუსლან ხასბულატოვმა ქართული ძალების ქმედებები ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეაფასა, როგორც „გენოციდი", რამაც შეიძლება „აიძულოს" რუსეთი განიხილოს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" თხოვნა რუსეთთან მიერთების შესახებ (როგორც ვხედავთ, ოსების „გენოციდში" ქართველების დადანაშაულება კრემლის ნაცადი „მეთოდია", რომელიც მან სრული ძალით „აიუშავა" 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განსამართლებლად).

15 სექტემბერი (1991) — საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სსრკ-ის ჯარებს „okკუპაციო ჯარის" სტატუსი მიენიჭა.

8 დეკემბერი — რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „ბელოვეჟის შეთანხმებას" (10-12 დეკემბერს რატიფიცირებულ იქნა სამივე სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანთა მიერ), რითაც, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" (დსთ) დაფუძნდა. აუცილებელია ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებით, სსრკ-ის 15 მოკავშირე რესპუბლიკის გარდაქმნას 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მათი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით, თვით რუსეთის ფედერაციამაც კი დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ „პერესტროიკის" პერიოდში კრემლი ცდილობდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით შეენარჩუნებინა საბჭოთა იმპერია და მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლებისკენ სწრაფვის შესაჩერებლად აქტიურად იყენებდა ავტონომიური წარმონაქმნების „ბერკეტს", თუმცა, ჩეჩნეთში, თათარსტანსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებში დაწყებულმა ცენტრიდანულმა პროცესებმა თვით რსფსრ-ის დაშლის საფრთხე რეალური გახადა და კრემლის ახალ „სამოკავშირეო" გეგმებს წერტილი დაუსვა, რაც ოფიციალურად სსრკ-ის პრეზიდენტ გორბაჩოვის გადადგომით დასრულდა 1991 წლის 25 დეკემბერს. ამრიგად, 1991 წლის დასასრულს, საერთაშორისო თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანას ისეთივე სასტარტო პოზიცია ჰქონდა, როგორიც, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს; მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივ დონეზე, აქ მიმდინარე პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენდა კრემლი, რისთვისაც აქტიურად იყენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ თავის სამხედრო ბაზებს და ჯერ კიდევ 20-იან წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს okკუპაცია-ანექსიის შემდეგ „ჩაღებულ

ნაღმებს". მას შემდეგ, რაც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ სსრკ-ის ჯარებს „საოკუპაციო ჯარის" სტატუსი მიანიჭა და უარი თქვა ღსთ-ში (ანუ კრემლის გაელენის სფეროში) შესვლაზე, 21 დეკემბერს საქართველოში დაიწყო კრემლის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს არა მხოლოდ პრეზიდენტ გამსახურდიას, არამედ ასევე საქართველოს ყველა არჩევითი ორგანოს — უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — დამხობა-გაუქმებით დასრულდა (ეს იყო კრემლის ძლიერი დარტყმა მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობაზე).

1992 — იანვრის პირველ რიცხვებში, კრემლისა და ე.წ. „ზაკვოს" (ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბის) უშუალო დახმარებითა და მონაწილეობით, საქართველოში ძალაუფლება ხელთ იგდო თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის „სამხედრო საბჭომ" (აღსანიშნავია, რომ კიტოვანი დღესაც თავის მფარველებთან, მოსკოვში იმყოფება). ამის შემდეგ, კრემლმა აქტიურად აამუშავა ყველა შემონახული ბერკეტი და „ნაღმი" საქართველოში „ეთნოკონფლიქტების" გასაჩაღებლად, რასაც საბოლოო მიზანი — საქართველოს დაშლა უნდა მოჰყოლოდა.

ცხინვალის რეგიონში იმ დროს მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებათა დახასიათებისას მაშინდელი უცხოელი მიმომხილველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ორივე მხარის ჯარებს ერთიანი ხელმძღვანელობა არ ჰყავდათ, არ ჰქონდათ არც მომარაგების სისტემა.[7] ასეთ ვითარებაში მებრძოლები თვითონ „შოულობდნენ" საკვებს, რაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევის ფორმით ხდებოდა. ეს კი სწორედ ის იყო, რაც კრემლს სურდა — ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დაძაბვა, რაც ხელსაყრელ ფონს შეუქმნიდა რუსეთის არმიას აქტიური ქმედებებისთვის (აღნიშნული სქემა სრული მასშტაბითა და ფორმით 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის დროს განხორციელდა).

აპრილი — ყოფილი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები გავიდნენ ცხინვალიდან, თავიანთი შეიარაღება კი ოსურ მარიონეტულ რეჟიმს დაუტოვეს.

20 მაისი (1992) — ცხინვალის მახლობლად სერიოზული სამწუხარო ინციდენტი მოხდა — დაიღუპა 36 ადამიანი (სატრანსპორტო საშუალების აფეთქებისას), მათ შორის, ქალები და ბავშვები. საპასუხოდ, რუსულმა შეიულმფრენებმა დაბომბეს ქართული სოფლები.

29 მაისი (1992) — ცხინვალში ხელი მოეწერა ე.წ. „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის" „დამოუკიდებლობის" გამოცხადების აქტს.

10 ივნისი — დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის

7 http //www.caucasus.dk/chapter4 htm

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის შეხვედრა. ხელმოწერილ ოქმში მხარეები მორიგდნენ შემდეგ საკითხებზე: ა) კონფლიქტის ზონაში ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის მიღწევა; ბ) 1992 წლის 12 ივნისამდე მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფის შექმნა კონფლიქტში ჩაბმული შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

24 ივნისი — დაგომისში (სოჭი) ბ. ელცინმა და ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოგვარების პრინციპთა შესახებ".

4 ივლისი — ვლადიკავკაზში შედგა მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრა. ხელმოწერილ იქნა ოქმი კონფლიქტის მოგვარების პრინციპთა შესახებ შეთანხმების შესასრულებლად.

1. თუ დაგომისის შეთანხმების მიხედვით, მხარეებად გამოდიოდნენ რუსეთი და საქართველო, ამ ოქმში, ფაქტობრივად, დასახელების გარეშე ჩნდება ოთხი სუბიექტი და შერეული საკონტროლო კომისიაც მათგან კომპლექტდება (რუსეთი, საქართველო, ჩრდილო ოსეთი და ე.წ. „სამხრეთი ოსეთი"/ცხინვალის რეგიონი).

ამავე ოქმის თანახმად, შერეული ძალების მანდატის, ფორმატის, რაოდენობის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები განსაზღვრულია არა რომელიმე ხელშეკრულებით, არამედ მთლიანად მისდობილია შსკ-თვის. არც ერთი ადრე მიღებული ხელშეკრულება, არც სხვა რაიმე დოკუმენტი არ აწესრიგებს, თუ რა ფორმატით და პროცედურით ხდება მხარეთა შეთანხმება შერეულ ძალებთან დაკავშირებით, რომელი მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, აქვს თუ არა მხარეს ვეტოს უფლება და ა.შ. ყველივე ეს კი მიუთითებს, რომ შერეული ძალების საკითხი დაგომისში მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა და მას სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

31 ოქტომბერი — ქ. ვლადიკავკაზში გამართულ შერეული საკონტროლო კომისიის პირველ სხდომაზე შერეული ძალების რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრა 1500 კაცის ოდენობით, ხოლო რეზერვისტთა რაოდენობა 900 კაცით (500 კაცი საქართველოს რესპუბლიკისგან, 500 — რუსეთისგან და 500 — ოსური მხარისგან, ანალოგიურად, თითოეული მხარის 300 კაცი — რეზერვში);

1993 — 1 მარტს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების შემორანდუმს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიასა და კონფლიქტის მხარეებს შორის. მასში ასახულია ევროთათბირის მისიის

უფლებამოსილება და სამუშაო არეალი.

6 მარტი — ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ". ნაცვლად იმისა, რომ განეცხადებინა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღიარების უკანონობის შესახებ, რუსეთის უმაღლესმა საბჭომ დაგეგმა ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" აღიარების საკითხის განხილვა.

14 სექტემბერი — რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შესახებ. საქართველომ თავის თავზე აიღო ხარჯების 2/3.

2 ნოემბერი — მიღებულ იქნა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომლის თანახმადაც, ე.წ. „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა" გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, სახელმწიფო ენად კი — ოსური. კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად, ჩრდილოეთ ოსეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს" შორის საზღვარი ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს არ უნდა უშლიდეს ოსი ხალხის ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ერთიანობას.

1994 — 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში, ევროთათბირის მისიის მონაწილეობით, მხარეებს შორის (საქართველო, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი", რუსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი), გაფორმდა შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ:

ა) დაგომისის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების შესასრულებლად შექმნილმა შერეულმა საკონტროლო კომისიამ, ძირითადად, შეასრულა თავისი ფუნქცია ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შეიარაღებულ ფორმირებათა განაყვანად და უსაფრთხოების რეჟიმის დასაცავად, რითაც სათავე დაუდო პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს;

ბ) მშვიდობის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ მშვიდობის დამცავი შერეული ძალები, რომლებიც შექმნილია შსკ-თან 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების შესაბამისად;

გ) შსკ უნდა გარდაიქმნას მუდმივმოქმედ მექანიზმად, რათა გეგმაზომიერად და კოორდინირებულად მონაწილეობდეს მოწესრიგების სხვადასხვანაირი — პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო), ეკონომიკური, პუმანიტარული და სხვა საკითხთა გადაწყვეტაში.

მხარეებმა მიიღეს დებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწ-

ესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ....დებულებაში აღნიშნულია, რომ შერეული საკონტროლო კომისია შეიქმნა და მოქმედებს 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში რუსეთსა და საქართველოს შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპთა შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად. შსკ არის კონფლიქტის მოწესრიგებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე ოთხი მხარის მუდმივმოქმედი ორგანო. მის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისია. შსკ მუდმივ კავშირშია კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებთან და გადაწყვეტილებებს იღებს მათი შემდგომი გამოყენების თაობაზე. შსკ-ის ფუნქციები მოიცავდა:

ა) კონფლიქტის მოგვარებაში ჩართულ მხარეთა შეთანხმებების შესრულების კონტროლი, წინადადებათა შემუშავება და მათი რეალიზაციისთვის მიზანმიმართულ ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო), სამართალდაცვითი, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვა სახის პრობლემათა გადასაჭრელად;

გ) დიალოგის შემდგომი განვითარებისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ხელშეწყობა;

დ) ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რაიონების ეკონომიკური აღდგენის საკითხთა განხილვა და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა;

ე) კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლის ორგანიზება.

1995 — 30 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში ხელმოწერილ იქნა ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების ოქმი საქართველოს, ე.წ. „სამხრეთი ოსეთის", რუსეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის მხარეთა და ეუთოს მონაწილეობით.

1996 — 9 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩრდილოეთ ოსეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს" შორის სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ეს შეთანხმება პოლიტიკური არ იყო და საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო მისი სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე როკის გვირაბის მეშვეობით გზა გაეხსნა კონტრაბანდული ტვირთის შემოტანას საქართველოში. აღნიშნული დოკუმენტი აღმოჩნდა "მწვანე შუქი" ერგნეთის ბაზრობის გასახსნელად (კონტროლის სისუსტემ, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების აქტიურობამ ცხინვალის

რეგიონი კრიმინალურ ცენტრად აქცია. მაგალითად, მეთილის სპირტის უკანონო ვაჭრობამ 2,5 მლნ. დოლარს მიაღწია).

2000 — 13 ივლისს მხარეთა ექსპერტების მიერ ბადენში (ავსტრია) პარაფირებულ იქნა შუალედური დოკუმენტი, რომელსაც საბოლოო განხილვისა და პარაფირების ადგილის მიხედვით „ბადენის დოკუმენტი" ეწოდა. ექსპერტთა აზრით, ბადენის დოკუმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წლების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებათა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან შედეგად, რომელიც გარკვეული ურთიერთკომპრომისების შემთხვევაში, საშუალებას იძლეოდა პოზიციათა არსებითი შეჯერებისთვის. თუმცა, ასეთი ოპტიმისტური შეფასება ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან არ მოხერხდა შეთანხმება ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა: ტერიტორიული მთლიანობისა და თვითგამორკვევის უფლების ურთიერთშეთავსება, საქართველოს შემადგენლობაში ყოფილი ოლქის სამართლებრივი სტატუსი და ცხინვალის რეგიონის ავტონომიურობის ატრიბუტები. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაო დოკუმენტში გამოხატული იყო ერთობლივი მზაობა კონფლიქტის მიზეზების გამოკვლევის, სამართალდამცველ სტრუქტურათა ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების, დევნილთა ნებაყოფლობითი და ორგანიზებული დაბრუნების და ამ უკანასკნელთა საკუთრების რესტიტუციისა და კომპენსაციის საკითხთა შესახებ. ამასთან, დოკუმენტში ხაზგასმული იყო ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების, ინვესტიციების მოზიდვისა და განვითარების აუცილებლობა, თუმცა არ იყო გამოკვეთილი შემდგომ მოლაპარაკებათა დინამიკა.

2001 — 18 იანვარს მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუცია ეხება დევნილების დაბრუნების საკითხს. აღიარებულია, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთი" (და აფხაზეთი) დე-ფაქტო აღმოჩნდნენ საქართველოს იურისდიქციის გარეთ. ამ დოკუმენტში პირველად არის დაფიქსირებული რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ. ეჭქვეშ არის დაყენებული კონფლიქტის ზონაში რუსეთის მიუკერძოებლობა საშუამავლო ფუნქციის განხორციელებისას. რეზოლუციაში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ საეზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი საეზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების — ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქმება. რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მთავრობას მოუწოდებს გაღასინჯოს ეს გეგმები და გაითვალისწინოს მათი შესაძლებელი აღქმა საქართველოს უდაო ტერიტო-

რიების დე-ფაქტო ანექსიად.

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია მიიჩნევს, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ აღნიშნული დოკუმენტი, ისევე როგორც ეუთოს სხვა დოკუმენტები არ იქნა სათანადოდ გამოყენებული, რათა რუსეთის აგრესიული ქმედებანი საერთაშორისო განსჯის საგნად ქცეულიყო.

2001 — 8 აპრილს მიღებულ იქნა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია". ამ კონსტიტუციის მიხედვით, ე. წ. „სამხრეთი ოსეთი" გამოცხადებულია სუვერენულ სახელმწიფოდ, სახელმწიფო ენად — ოსური, ხოლო ქართველი ეროვნების მოქალაქეთა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში ქართული ენაც აღიარებულია ოფიციალურ ენად სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში.

კონსტიტუციის მიხედვით, ე. წ. „სამხრეთ ოსეთს" მინიჭებული აქვს უფლება შეუერთდეს სხვა სახელმწიფოს განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპერტთა აზრით, ამ დოკუმენტში არ არის საუბარი სახელმწიფო მართვის ფორმებზე, სახელმწიფო სტრუქტურებზე და აქედან გამომდინარე, მას დეკლარაციის სახე უფრო აქვს, ვიდრე კონსტიტუციის. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ სხვა სახელმწიფოსთან შეერთების შესაძლებლობის კონსტიტუციაში დაფიქსირებით ოსურმა მხარემ ერთგვარი „სარკმელი" დაიტოვა საქართველოსთან შესაძლო კომპრომისისთვის.

22-23 აპრილი — ქ. ვლადიკავკაზში გამართულ მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების მე-5 შეხვედრაზე ბადენის დოკუმენტი ნახსენებიც კი არ არის..„შუალედური დოკუმენტის" შემდეგ, რომელიც კონკრეტულ პოზიციებს შეიცავდა კონკრეტული პოლიტიკური საკითხების მიმართ, წინა პლანზე ისევ შერეული საკონტროლო კომისიაა წამოწეული.

დეკემბერი (2001) — ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" „საპრეზიდენტო არჩევნებში" (რომელიც, ცხადია, არ ცნო საქართველომ და არც საერთაშორისო ორგანიზაციებმა) 53%-ით გაიმარჯვა პუტინის ფავორიტმა ედუარდ კოკოითიმ. უცხოელ ექსპერტთა დაკვირვებით, „2001 წელს ხელისუფლების ცელამ ბოლო მოუღო ცხინვალში ყოველგვარ საუბარს საქართველოსთან შესაძლო მშვიდობის ძიებასთან დაკავშირებით: ისინი, ვინც მოლაპარაკების სურვილს გამოთქვამდნენ, მაშინვე ჩამოაშორეს სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელ თანამდებობებს".[8]

2003 — 2 მარტს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ახალარჩეულმა „პრეზიდენტმა" განაცხადა, რომ მისი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

8. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 79

მოცემულ ეტაპზე გაუმართლებელია, რადგანაც, მისი აზრით, სწორედ შეუარდნაძეა დამნაშავე „ოსი ხალხის გენოციდში". კოკოითის მტკიცებით, ლ. ჩიბიროვი თანხმლებოდა რა საქართველოს მხარესთან და საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობაზე, ღალატობდა ოსი ხალხის ინტერესებს.

2004 — „ვარდების რევოლუციისა" და აჭარიდან აბაშიძის გაძევების შემდეგ, ქართველი საზოგადოება ე.წ. „სამხრეთ ოსეთშიც" ანალოგიურ პროცესებს მოელოდა, ვინაიდან საყოფაცხოვრებო დონეზე კონფლიქტი თითქოსდა ამოწურული ჩანდა. კონფლიქტის ზონაში შესაძლებელი იყო შეუფერხებელი გადაადგილება, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა ვაჭრობა ქართველებსა და ოსებს შორის და ა.შ. (ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ კოკოითის რეჟიმი, ძირითადად, კონტრაბანდით საზრდოობდა, ხოლო ერგნეთის ბაზრობაზე კონტრაბანდული საქონლის მიმოქცევა თანდათანობით საქართველოს ეკონომიკისთვის საშიშ ფორმებს იღებდა).

სეპარატისტული რეჟიმის ძირითადი მასაზრდოებელი წყაროს — ერგნეთის ბაზრობის დახურვითა და „პუმანიტარული შტურმის" განხორციელებით საქართველოს ხელისუფლება შეეცადა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა ცხინვალის რეგიონის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზაზე. საპასუხოდ, კოკოითის კრიმინალურმა რეჟიმმა, რუსეთის ფაქტორთან ერთად, შეიარაღებული პროვოკაციები მოაწყო, რასაც 2004 წლის ზაფხულის შეტაკებები მოჰყვა.

10 ივლისი (2004) — რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო განცხადება, რომლის თანახმად, „ოსეთი ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში 1774 წელს, როგორც ერთიანი ოსეთი და არა როგორც სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი. ეს ერთიანი ხალხია".[9] სახელმწიფო დუმის ეს ფრაზა არის ისტორიის გაყალბების კლასიკური ნიმუში. ისტორიული ფაქტები სრულიად სხვა რეალობას წარმოგვიდგენს. 1774 წლის 10 ივლისს, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის შემდეგ, ამ იმპერიებს შორის დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, რომელშიც „ოსეთი" საერთოდ არ არის ნახსენები და ვერც იქნებოდა, რადგან მაშინ ასეთი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, უბრალოდ, არ არსებობდა. ამ შეთანხმების 21-ე მუხლი მხოლოდ ყაბარდოს ეხება (ორივე, დიდ და პატარა ყაბარდოს, რომლებიც ჩრდილო კავკასიის შუა და დასავლეთ ნაწილს მოიცავდა) და მას ფორმალურად რუსეთის იმპერიას უქვემდებარებდა. იმ დროს ოსებს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონდათ, მათ არც შეუქმნიათ და არც მთავარი არ ჰყავდათ; ისინი ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის 4 ხეობაში და სწორედ ყაბარდოს ემორჩილებოდნენ.

9 რეზოლუცია დამოკიდებულების საქართველოში, პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. 2005, გვ.467

აქედან გამომდინარე, ყაბარდოს მეშვეობით, ოსებიც რუსეთის გაყლეწინის ქვეშ მოექცნენ. იმავე წელს ოსების დელეგაციამ იმპერიის ასტრახანის გუბერნატორს მფარველობა სთხოვა და ზემოხსენებული 4 ხეობიდან სამი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ოსებით დასახლებული მეოთხე, დასავლეთით მდებარე დიგორის ხეობა მაშინ რუსეთს არ შეუერთდა, რადგან აქ მცხოვრები ოსები მაჰმადიანები იყვნენ (დიგორი, მოგვიანებით დაიკავა რუსეთის იმპერიამ). რაც შეეხება დღევანდელი ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" და ასევე დვალეთის ტერიტორიას, ორივე, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ცენტრალური პროვინციის, შიდა ქართლის ნაწილი, 1801 წელს, იმპერიის მიერ ამ ქართული სამეფოს ანექსიის შემდეგ მოექცა რუსეთის ფარგლებში. ამიტომ რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ ოსეთის მიერთების (1774 წელს) ისე წარმოჩენა, თითქოს მაშინდელი ოსეთი დღევანდელ ცხინვალის რეგიონს მოიცავდა, არის ისტორიული ფაქტების აშკარა გაყალბება და პროვოკაცია. მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს სწორედ ასეთი განცხადებები აგულიანებდა და აგულიანებს სეპარატისტულ ძალებს ცხინვალის რეგიონში, რათა მფარველის კვალდაკვალ მათაც ასევე ურცხვად გააყალბონ ისტორია, შეთხზან მითები „ფაშისტი ქართველების" მიერ „ოსების გენოციდის" შესახებ და ა.შ.

1 სექტემბერი — ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანში ტერორისტებმა საშუალო სკოლის შენობა დაიკავეს და ათასზე მეტი ადამიანი მძევლად აიყვანეს (მათ შორის, 780 ბავშვი, ძირითადად, ეთნიკური ოსები). მესამე დღეს რუსეთის ჯარებმა შტურმით, მძიმე სამხედრო შეიარაღების გამოყენებით აიღეს სკოლის შენობა. 186 ბავშვი დაიღუპა, ასეულობით კი დაიჭრა და დასახიჩრდა. ბესლანის ტრაგედია უშუალოდ პუტინის სახელს უკავშირდება, უშუალოდ ის ხელმძღვანელობდა მაშინ პროცესებს. ეს იყო უკანასკნელი აშკარა დემონსტრირება იმისა, თუ რაოდენ „ძვირფასია" პუტინისთვის ეთნიკური ოსების (თანაც, ბავშვების) სიცოცხლე.

სექტემბერი (2004) — გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიის სხდომაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტის თანმიმდევრული გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი დასვა.

2005 — 26 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ.

ივლისი — საქართველოს მთავრობისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე ბათუმში

კონცეფციათა დონეზე განიხილეს აღნიშნული ინიციატივები. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისი მზად არის ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“ მისცეს ყველაზე ფართო ავტონომია, უზრუნველყოს ის თვითმმართველობის მეტად მაღალი ხარისხით, პრივილეგირებული საგადასახადო და ეკონომიკური რეჟიმით.

ბათუმის კონფერენციაზე საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული კონფლიქტის მოგვარების ე. წ. „საგზაო რუკა“ (სტრატეგიული დოკუმენტი). ეს დოკუმენტი ითვალისწინებს კონკრეტულ წინადადებებს კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მიმართულებით:

1. უსაფრთხოება (დემილიტარიზაცია, ერთობლივი საპოლიციო მოქმედებები, მცირე შეიარაღების ამოღება და ა.შ.);

2. ეკონომიკური რეაბილიტაცია (გორი-ცხინვალის სარკინიგზო კომუნიკაციის აღდგენა, ხელშემწყობი ეკონომიკური ზონის შექმნა, მცირე საწარმოთა ფინანსური დახმარება და სხვა);

3. ნდობის აღდგენა (კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის კანონის მიღება, ფინანსური დავალიანებისა და პენსიების გაცემა, სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფა და სხვა);

4. პოლიტიკური მიმართულებით (ქართული და ე.წ. „სამხრეთ ოსური“ მხარეების თანამშრომლობა ვენეციის კომისიასთან, ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკურ სტატუსზე მუშაობა).

დეკემბერი — საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის უფრო ვრცელი და კონკრეტული ვარიანტი წარმოდგენილ იქნა დეკემბერში ეუთოს ლიუბლიანის მინისტერიალზე. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სამ ძირითად ეტაპს:

1. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია;

2. სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია;

3. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბოლოო სტატუსის განსაზღვრა.

ეუთომ მოიწონა საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივები. აღსანიშნავია, რომ ეუთოში გადაწყვეტილებები კონსენსუსის წესით მიიღება, ასე რომ რუსეთმაც კი ვერ „დაიწუნა“ ქართული სამშვიდობო წინადადებები (2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ და ერთი წლის შემდეგ ეუთოს მისიის გაუქმებამ, რუსეთის ვეტოს გამო, სამშვიდობო პროცესი არსებითად შეაჩერა).

2006 დეკემბერში მიღებულ იქნა კანონი ქონებრივი რესტიტუცი-

ის შესახებ. კანონის მიზანია ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში „კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია". კანონი ადასტურებს „თითოეული ადამიანის უფლებას საკუთრებასა და ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებზე, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა, რელიგიისა, მრწამსისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა და იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989–1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა".

2007 — საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია-განვითარების კონკრეტული პროექტი — „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან", რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობასა და ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ბაზრის სპეციალური სეგმენტის შექმნას. პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო ამ სახელწოდების („პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან") ერთგვარ „საერთაშორისო ბრენდად" გადაქცევა, რაც ხელს შეუწყობდა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარებაში.

პროექტში დეტალურად არის გაწერილი მისი მიზნები, ამოცანები და იმპლემენტაციის სტრატეგია. მიმართულებების მიხედვით განხილულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად (1. სამართლებრივი; 2. ეკონომიკური; 3. ფინანსური; 4. სტრუქტურული; 5. საინფორმაციო-სარეკლამო; 6. უსაფრთხოება).

პროექტი ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის იყო გამიზნული, სადაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია იწყებოდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე (და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდამდე) ამ რეგიონში აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ხოლო ქართული და ოსური

სოფლების გეერდიგეერდ არსებობა მოსახლეობის სრული რეინტეგრაციის საშუალებას იძლეოდა, ეკონომიკური თანამშრომლობის გზით.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი 6 პუნქტიანი („სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის") შეთანხმების მთლიანად შესრულება და რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაეცლენ საქართველოს ტერიტორიიდან (მათ შორის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან"), მას შემდეგ, რაც აქ განლაგდებიან ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და დაიწყება დევნილთა დაბრუნება თავიანთ სახლებში, ისევე შეიქმნება რეალური პირობები რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

10 მაისი — საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით" შეიქმნა დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია. ამ დროებითი ორგანოს აქტიური მუშაობის შედეგად რეგიონში დაიწყო მშვიდობიანი აღმშენებლობის პროცესი: განახლდა ან თავიდან აშენდა სკოლები, წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების სისტემები, საავჭრო ცენტრები და ა.შ. უნდა ითქვას, რომ დროებითი ადმინისტრაციის საკვანძო თანამდებობებზე დანიშნულ პიროვნებათაგან დიდი ნაწილი 1990-იან წლებში აქტიური სეპარატისტი იყო და იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ (რამდენიმე მათგანს კოკოითის ე.წ. „მთავრობაში" პრემიერისა და მინისტრის თანამდებობებიც ეკავა). განვლილმა წლებმა (ჩეჩნეთში მომხდარმა გენოციდმა, ბესლანის ტრაგედიამ თუ სხვა მოვლენებმა) მათ დაანახა, როგორ „ზრუნავს" მოსკოვი მცირერიცხოვან ერებზე, ისინი დარწმუნდნენ, რომ ოსური კულტურის, თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი. მშვიდობიანი აღმშენებლობის პროცესის სწრაფმა წინსვლამ მინიმუმამდე შეამცირა კოკოითის გავლენა თვით ოს მოსახლეობაში და კრემლი იძულებული გახდა უშუალოდ მოსკოვიდან გამოგზავნილი კადრებით დაეკომპლექტებინა კოკოითის „მთავრობა". სრულიად აშკარა გახდა, რომ კოკოითის კრიმინალური ჯგუფის დასასრული მოახლოებული იყო. კრემლს ერთადერთი გზა რჩებოდა: შეიარაღებული პროვოკაციები, ფართომასშტაბიანი აგრესია და, როგორც საბოლოო შედეგი, რეგიონის ღია ოკუპაცია-ანექსია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, თუ

ვის აძლევდა ხელს ვითარების ესკალაცია ცხინვალის რეგიონში. საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ინტერნაციონალურ მშვიდობისმყოფელთა ძალისხმევაზე დაფუძნებული სამშვიდობო პროცესი კრემლის იმპერიულ პოლიტიკას საბოლოოდ დაუსამარებდა საქართველოს ამ რეგიონებში (2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია განხილულია წიგნის პირველ თავში).

24 ივნისი — სტამბულში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალური შეხვედრა. თბილისმა ახალი სამშვიდობო ინიციატივა შესთავაზა მოსკოვს. იგი მოიცავდა როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებს, რომელთა არსი იყო მნიშვნელოვანი ურთიერთდათმობების გზით ცხინვალის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება. თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მაქსიმალურად კონსტრუქციულ და მოქნილ მიდგომას კრემლმა ისევ ხისტი პოზიციით უპასუხა.[10]

ზემოთ მოტანილი ისტორიული მასალა სპეციალურ ანალიზს არც კი საჭიროებს, იმდენად აშკარაა, რომ ცხინვალის რეგიონი ყოველთვის საქართველოს ცენტრალური პროვინციის (ქართლის) ნაწილი იყო და ამ ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფები მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება, ისიც უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში (თუმცა, ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა, ურთიერთთანამშრომლობა საუკუნეებს ითვლის). 1833 წელს მთლიანად საქართველოში 19 324 ოსი ცხოვრობდა.[11] რაც შეეხება ცხინვალს, 1886 წლის აღწერის თანახმად, ამ ქალაქში არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა (მონაცემებში დაფიქსირებულია ცხინვალში მცხოვრებთა ოჯახები თავიანთი გვარ-სახელებით). „კრემლის ისტორიკოსებისგან" განსხვავებით, საბედნიეროდ, რუსეთშიც არიან ობიექტური მეცნიერები, რომელთათვისაც კრემლის დანაშაულებრივი პოლიტიკის დანახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლ.მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი სერგეი არუთუნოვი ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ ამბობს: „ახლა რუკას შეხედეთ. ინგუშეთი. ის პურის ნაჭერივითაა და თითქოს მას ნახევარწრეზე, კბილებით მოაგლიჯეს ნაწილი. იგივე ითქმის საქართველოზე... მასაც თითქოს კბილებით მოაგლიჯეს

10 რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო შეხედულება, თბ. 2010. გვ. 90

11. რ. თოფჩიშვილი, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ. 2009. გვ. 75

სამხრეთი ოსეთი. ეს თავის დროზე ორჯონიკიძემ გააკეთა, როცა ხელოვნურად შექმნა სამხრეთი ოსეთი. შემდეგ ის ოსეთი გაზდა. თავდაპირველად კი არანაირი ოსეთი ეს არ იყო. ეს იყო, უბრალოდ, შიდა ქართლი, სამაჩაბლო. ეს იყო შიდა საქართველო".[12]

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ისტორიულ-სამართლებრივი უსამართლობა კარგად ესმის ცნობილ ოს მეცნიერ ვასილ აბაევსაც: „კავკასიონის მთავარი ქედი არის ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის და მისი შეცვლისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას მოჰყვება კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის... უპირველესად, უნდა შეწყდეს ყოველგვარი საუბარი საქართველოსგან სამხრეთი ოსეთის ჩამოშორების შესახებ. საქართველოს არც ერთი მთავრობა ასეთ რამეს არ დათანხმდება და მართალიც იქნება, რადგან ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას".[13]

ვ. აბაევის პოზიცია არის ოსი ხალხის ნამდვილი პატრიოტის პოზიცია, რომლისთვისაც ცხადია, რომ ოსური იდენტობის, ენის და კულტურის შენარჩუნებაში საქართველომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და კვლავაც უნდა შეასრულოს, რუსეთში კი ოსებს თავიანთი ეროვნული იერსახის დაკარგვა და სრული რუსიფიკაცია ემუქრება. უცხოელებიც აფიქსირებენ, რომ „სხვადასხვა თვალსაზრისით, სამხრეთი ოსეთი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდა ჩრდილო ოსეთს ეთნიკური იდენტურობის აქცენტირების მხრივ. ეს დასტურდება როგორც ოსური ენის, ასევე ოსური საშყეროვანი დროშის გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც პირველად სწორედ სამხრეთ ოსეთში გამოჩნდა".[14]

ამ კონტექსტში ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1988 წლამდე ჩრ. ოსეთში ოსური სკოლა არ იყო, საქართველოში კი 97 სკოლაში სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1988 წელს, საკავშირო გაზეთ „პრავდაში" წერდა ჩრდილო ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ა. გალაზოვი: „მე გულწრფელად მეცოდება ჩემი ეროვნების ახალგაზრდები... როცა ისინი თავიანთ სახლშივე უხერხულად გრძნობენ თავს ოსური კულტურის ელემენტარული უცოდინრობის გამო. მაგალითად, ეროვნული ახალგაზრდობა მოწყვეტილია მშობლიურ ენას. გასულ წლამდე ჩრდილო ოსეთში არ არსებობდა არც ერთი სკოლა, სადაც სწავლება ოსურ ენაზე იქნებოდა".[15]

12. «Эхо Москвы», 2008. 09.12.
13. «Независимая Газета», 1992.22.01
14. http://www.caucasus.dk/chapter4.htm
15. «Правда», 1988.11.11

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მითს ქართველების „ფაშისტობის" შესახებ, — თითქოს 1990-იანი წლებში საქართველოში მცხოვრები ოსების რაოდენობის შემცირება ქართველების მხრიდან იძულებასთან იყო დაკავშირებული. ბუნებრივია, კონფლიქტის დროს მსგავსი იძულების ცალკეული შემთხვევები გამორიცხული არ არის, მაგრამ ათეულობით ათასი ეთნიკური ოსის მიერ საქართველოს დატოვების რეალური მიზეზი იყო არა ეთნიკური ფაქტორით განპირობებული იძულება, არამედ მთელ ქვეყანაში გამეფებული არეულობა და რაც მთავარია უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა. ხაზგასასმელია, რომ კრემლის მიერ ორგანიზებული 1991-1992 წწ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაწყებულმა „მართვადმა ქაოსმა" და „ეთნოკონფლიქტებმა" საქართველოს ეკონომიკის უპრეცედენტო ვარდნა გამოიწვია (საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1990-იანი წლების I ნახევარში 75%-ით შემცირდა; პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ასეთი კატასტროფული მაჩვენებელი მხოლოდ ტაჯიკეთს ჰქონდა). სწორედ საერთო არეულობა და ამგვარი ეკონომიკური ვითარება გახდა იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის მკვეთრი ზრდის მიზეზი. საკმარისია ითქვას, რომ სხვადასხვა მონაცემით, 1990-1997 წწ.-ში საქართველოდან წასულ ადამიანთა რაოდენობა 820 ათასიდან მილიონ 100 ათასამდე მერყეობს.[16] თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანთაგან ეთნიკური ოსი მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი იყო, გასაგები გახდება, რომ არანაირი ანტიოსური ან რაიმე მსგავსი ქსენოფობიური კამპანია საქართველოში არ ყოფილა და იმ უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე მოსახლეობის გარე მიგრაციის მაინცდამაინც ეთნიკურ იძულებასთან დაკავშირება კრემლის მიერ ქართველების „ფაშისტობის" „დასასაბუთებლად" გამოგონილი ტიპური საბჭოური პროპაგანდისტული ხრიკია.

დასასრულ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" „დამოუკიდებლობის" აღიარებით (2008.26.08.) კრემლმა დაარღვია როგორც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, ასევე ისტორიული სამართლიანობა. აქ მომხდარი ეთნიკური წმენდის შემდეგ ასეთი ნაბიჯის გადადგმით კრემლის ამჟამინდელმა ბინადრებმა ჰიტლერსა და სტალინსაც კი გადააჭარბეს, რადგან ასეთი რამ მათაც კი არ გაუკეთებიათ.

16. დემოგრაფია, საინფორმაციო ჟურნალი, თბ. 1999, #1, გვ. 77

მთიანი ყარაბაღი (აზერბაიჯანი)

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1923 წელს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სომხეთის საზღვართან. 1922 წლიდან აზერბაიჯანი, თავის მხრივ, სსრკ-ის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო (1936 წლამდე, ამიერკავკასიის სსფრ-ის შემადგენლობაში). ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც 1920-1921 წწ. საბჭოთა რუსეთმა განახორციელა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ამჟამად აღნიშნული ოლქის ადგილას არსებობს თვითგამოცხადებული "მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა/არცახის რესპუბლიკა" (Nagorno-Karabakh), რომლის ტერიტორია მოიცავს ასევე 1988-1994 წწ. კონფლიქტის შედეგად სომხური შენაერთების მიერ ოკუპირებულ, ოლქის მოსაზღვრე 7 რაიონს, სადაც ომამდე, ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობდა.

ფართობი – 11 500 კმ²; საბჭოთა კავშირის დროს არსებული ავტონომიური ოლქის ტერიტორია მხოლოდ 4 400 კმ² იყო. (შედარებისთვის, სომხეთის ტერიტორია: 29,743 კმ², აზერბაიჯანის — 86,600 კმ²).

მოსახლეობა — 141 400 (1989 წელს — 192 ათასი).

ეთნიკური შემადგენლობა — 2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 95% სომეხია, დანარჩენ 5 პროცენტს კი, ძირითადად, რუსები, ბერძნები და ქურთები შეადგენენ.[1] 1989 წელს, კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 144 ათასი სომეხი (75%) და 43 ათასი აზერბაიჯანელი (23%). იმ დროისთვის ავტონომიური ოლქის შემადგენელი 5 რაიონიდან აზერბაიჯანელები მხოლოდ შუშის რაიონში ქმნიდნენ უმრავლესობას (ტერიტორიით ამ ყველაზე მცირე რაიონის დაახლოებით 23-ათასკაციანი მოსახლეობიდან თითქმის 92%-ს). 1923 წელსაც ახალშექმნილი ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა სომეხი იყო (94,4%).

რელიგია — თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 95% სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) ქრისტიანობის მიმდევარია. არიან აგრეთვე მართლმადიდებლური ქრისტიანობის წარმომადგენლებიც.

ვალუტა — სომხური დრამი.

მთიანი ყარაბაღი არის გუიან შუა საუკუნეებში დაარსებული ყარაბაღის სახანოს მთავრიანი ნაწილი (ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში მას სივნიეთს უწოდებენ). გეოგრაფიულად ეს მაღლობი მდე-

1. http://www.president.nkr.am/en/nkr/statePower/

ბარეობს მდინარეებს: არაქსსა და მტკვარს შორის, მცირე კავკასიონის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ყარაბაღს მოიცავს ტერიტორია, სადაც არსებობდა ერთ-ერთი უძველესი მტკვარ-არაქსის ცივილიზაცია (ძვ.წ. IV-III ათასწლეულები; აღსანიშნავია, რომ აქვე, აზოხის/აზიხის გამოქვაბულში აღმოჩენილია ქვის ხანის ადამიანის ნაშთები).

მტკვარ-არაქსის განვითარებული კულტურის შემქმნელი ხალხის წარმომავლობა დღემდე საკამათო თემად რჩება. საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ავტოქთონური მოსახლეობა, 1956 წელს საბჭოთა კავშირში გამოცემული "მსოფლიო ისტორიის" თანახმად, კავკასიური ტომების ერთ-ერთ განშტოებას უნდა მივაკუთვნოთ.[2]

უფრო გვიანდელი პერიოდის ამერიკელი მეცნიერის რობერტ ჰიუსენის დასკვნითაც, აქაური მოსახლეობა "ნამდვილად არ იყო სომხური წარმომავლობის", უფრო მეტიც, "მართალია, აქ ირანელები აუცილებლად იქნებოდნენ, სპარსეთისა და მიდიის ხანგრძლივი ბატონობიდან გამომდინარე, მაგრამ ადგილობრივთა უმრავლესობა ინდოევროპელიც კი არ იყო".[3]

ამ კონტექსტში უნდა ითქვას, რომ სომხები, ძირითადად, ინდოევროპელი არმენების შთამომავლები არიან და თავდაპირველად ისინი ურარტუს სამეფოს დაკნინების პერიოდში ამ უკანასკნელის დასავლეთ პერიფერიაზე, მდინარე ევფრატის სათავის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ (ანუ თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). შემდეგ მათ თანდათან ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაინაცვლეს, არარატის მთისა და მდინარე არაქსის მახლობლად და ამიერკავკასიის სამხრეთ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ურარტუელთა მიერ დაარსებული ქალაქების საფუძველზე თავიანთი სამეფო შექმნეს.

II ს. ძვ.წ. — თანამედროვე მთიანი ყარაბაღის ტერიტორია "დიდი სომხეთის" ერთ-ერთი პროვინციის — არცახის ანუ ძველ ბერძნულ ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებში ნახსენები "ორხისტენას" ნაწილი გახდა. "დიდი სომხეთი" ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს დაფუძნებული აირარატის სამეფოს გაფართოების შედეგად ჩამოყალიბდა და თანდათან, ტერიტორიული თვალსაზრისით, ურარტუს ჩაენაცვლა, თუმცა მანამდეც, ძვ.წ. VI საუკუნეში სპარსულ წყაროებში ურარტუს ნაცვლად უკვე გვხვდება ტერმინი "არმინია".[4]

მოგვიანებით, ძვ.წ. I საუკუნეში, ტიგრან II-მ "დიდი სომხეთი" და მის დასავლეთით მდებარე "პატარა სომხეთი" გააერთიანა, დაიპყრო

2. http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000017/map01.shtml
3. Robert H. Hewsen. "Ethno-History and the Armenian Influence upon the Caucasian Albanians," in: Samuelian, Thomas J. (Hg.). Classical Armenian Culture. Influences and Creativity, Chicago: 1982, 27–40.
4. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988, გვ. 359

ასევე მნიშვნელოვანი მოსაზღვრე ტერიტორიები და თავისი სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს იმპერიად აქცია, რომლის ახალი ცენტრი — ტიგრანაკერტი ვანის ტბის დასავლეთით გადაიტანა (მანამდე "დიდი სომხეთის" დედაქალაქი თანამედროვე ერევანთან ახლოს, მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე მდებარე არტაშატი იყო — იგივე ყოფილი აირარატის სამეფოს დედაქალაქი).

ტიგრან II-ის იმპერიას გასასვლელი ჰქონდა, როგორც კასპიის, ასევე შავ და ხმელთაშუა ზღვაზე და მოიცავდა თანამედროვე ამიერკავკასიის, თურქეთის, ირანის, ერაყისა და სირიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით და კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. თუმცა, ამ იმპერიამ მხოლოდ 6-7 ათწლეული იარსება.

I ს. — ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, რომთან დამარცხების შემდეგ, "დიდი სომხეთის" დამაარსებელი არტაშესიდების დინასტია შეწყდა და მათი ადგილი რომიდან დანიშნულმა მმართველებმა დაიკავეს. ამასთანავე, დაიკარგა ტიგრან II-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილიც, თუმცა ყარაბაღი კიდევ თითქმის 4 საუკუნის მანძილზე ისევ სომხეთის შემადგენლობაში დარჩა (იმ დროიდან სომხეთი ხან რომს, ხან კი სპარსეთს ემორჩილებოდა).

66 წ. — სომხეთის მეფე გახდა სპარსული სამეფო დინასტიის — არშაკიდების წარმომადგენელი თრდატ I.

314 — თრდატ III-მ ქრისტიანობა სომხეთის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. IV საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობა მიიღო ასევე კავკასიის ალბანეთის მეფე ურნაირმა, რომელიც სომხეთში მოინათლა.

აქ მოკლედ უნდა შევეხოთ კავკასიელ ალბანელებს (მათ ზოგჯერ ალვანებსაც უწოდებენ) და მათ სამეფოს, რადგან ამ ეთნოსის განსახლების საკითხი დღემდე ისტორიკოსთა პოლემიკის საგანია და ყარაბაღის ისტორიულ კუთვნილებაზე საუბრისას ხშირად ფიგურირებს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სადავო პრობლემა.

კავკასიელი ალბანელები პირველად ალექსანდრე მაკედონელსა და სპარსელებს შორის გამართული გავგამელის ბრძოლის (331 წ. ძვ.წ.) მონაწილეთა შორის მოიხსენიებიან, როგორც მიდიის სატრაპის მოლაშქრეები. ალბანურ ტომთა შორის ასახელებენ: უდინებს (უდები/უტები), ლეკებს, გარგარებს, გელებს, კასპებს და სხვა კავკასიურ ხალხებს. ისინი კავკასიური ოჯახის ნახურ-დაღესტნური შტოს სხვადასხვა ენა-დიალექტზე ლაპარაკობდნენ. მათი თავდაპირველი განსახლების სამხრეთი საზღვარი დღემდე საკამათოა, თუმცა, საყარაულოდ, ისი-

ნი მტკვრის არა მხოლოდ მარცხენა (ჩრდილო), არამედ მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირზეც სახლობდნენ და მდინარე არაქსამდე აღწევდნენ. [5]

აღსანიშნავია, რომ იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული ტერიტორია (რომლის სამხრეთი ნაწილი მე-20 საუკუნეში მთიანი ყარაბაღის ოლქს მიეკუთვნა) ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში "ოტენად", ხოლო სომხურში "უტიკად" მოიხსენიება, რაც აშკარად ამ მიწის, სავარაუდოდ, ავტოქთონური მოსახლეობის — უტების/უდების/უდინების სახელიდან მომდინარეობს (აქვე იყო მათი ძველი დედაქალაქები კაბალა/კაბალაკი და პარტავი, იგივე თანამედროვე ბარდა). უნდა ითქვას, რომ სწორედ უდინები შეადგენდნენ ალბანური ერთობის ძირითად ბირთვს და მოგვიანებით საერთოალბანურ ენასა და დამწერლობასაც საფუძვლად სწორედ მათი ენა დაედო (ესაა ნახურ-დაღესტნური ენების ჯგუფის ლეკური ქვეჯგუფის ენა). ალბანელებმა თავიანთი სამეფო — აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ავტოქთონური ტომების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანება — ძვ.წ. I საუკუნეში ჩამოაყალიბეს. იგი მოიცავდა იბერიის აღმოსავლეთით და მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას. იმ პერიოდში (ახ.წ. 387 წლამდე) იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია "დიდი სომხეთის" შემადგენლობაში იყო; თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ეს ფაქტი, გვიანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ყარაბაღის სახანოს დაბლობი და მთიანი (შესაბამისად, ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი) ნაწილების მოსახლეობის უძველეს ეთნიკურ შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვის.

387 — რომმა და სასანიდების ირანმა სომხეთის ტერიტორია გაიყვეს, რასაც მალე მოჰყვა ორიენ ეასალურ, სომხურ სახელმწიფოში საშეფო ტახტის გაუქმება. ამ დროიდან, ირანის გადაწყვეტილებით, "დიდ სომხეთს" ჩამოშორდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ყარაბაღის ჩათვლით, მდინარე არაქსამდე) და ალბანეთის სამეფოს შეუერთდა.

V ს. — 50-იანი წლების დასაწყისში ირანი შეეცადა აეძულებინა ალბანეთი, სომხეთი და აღმოსავლეთი საქართველო უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და მიეღოთ მაზდეანობა (ზოროასტრიზმი). ამას მოჰყვა ძლიერი ანტიირანული აჯანყება ამიერკავკასიაში. საპასუხოდ, სასანიდებმა, სომხეთის მსგავსად, ალბანეთის სამეფოც გააუქმეს და მის ადგილას სამარზპანო შექმნეს, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა

5. http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000017/map01.shtml. http://www.iranica.com/articles/albania-iranian-aran-ann

არა მხოლოდ ალბანეთის სამეფოს ტერიტორია (ყარაბაღის ჩათვლით), არამედ თითქმის მთელი დასავლეთი კასპიისპირეთი ანუ თანამედროვე აზერბაიჯანისა და აგრეთვე დაღესტნის დიდი ნაწილი (ქართულ ისტორიულ წყაროებში ამ რეგიონს "რანი" ეწოდება, სპარსულში კი კავკასიის ალბანეთი "არანის" სახელით არის ცნობილი).

VI ს. — ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა. 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მასალების თანახმად, ალბანეთის ეკლესიის ოფიციალური ენა იმ დროს ალბანური იყო (სომხეთის პატრიარქი ბაბქენი თავის სპარსელ თანამორწმუნეებს სწერდა: "ჩვენ ასეთი რწმენა გვაქვს, როგორც ადრე გწერდით, ქართველებთან და ალბანელებთან შეთანხმებით, თითოეულს ჩვენს-ჩვენს ენაზე").[6] იმ დროისთვის და შემდგომშიც, დაახლოებით, VIII-IX საუკუნეებამდე ალბანური დამწერლობაც აქტიურად გამოიყენებოდა; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ალბანურმა ენამ და დამწერლობამ ვერ შეასრულა ერის გამაერთიანებელ-ჩამომყალიბებელი ფაქტორის როლი ალბანეთში, როგორც ეს მოხდა სომხეთსა და საქართველოში. სავარაუდოდ, ეს გამოწვეული იყო ყოფილი ალბანეთის სამეფოს მოსახლეობის მეტისმეტი არაერთგვაროვნებით (ეთნიკურ-ლინგვისტურ-რელიგიური თვალსაზრისით).

VII ს. დასაწყისი — ირან-ბიზანტიას შორის ახალი ომის გაჩაღების პარალელურად გაძლიერდა დაპირისპირება ამიერკავკასიის ქრისტიანებს: დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის. რაკი დიოფიზიტობის ბურჯი ბიზანტია იყო, ირანი მონოფიზიტებს უჭერდა მხარს. სომხეთმა მონოფიზიტობა აღიარა, საქართველოს ეკლესიამ — დიოფიზიტობა, ხოლო ალბანეთის ეკლესიაში შინადაპირისპირება იყო. საბოლოოდ, VII საუკუნის დასასრულს, არაბების შემოსევის შემდეგ და მათი მხარდაჭერით, სომხეთის პატრიარქმა ელია I-მა მოახერხა ალბანეთის ეკლესიის დიოფიზიტი კათალიკოსის ნერსეს ბაკურის გადაყენება. ამ დროიდან ალბანეთის მონოფიზიტურ ეკლესიაზე სომხური ეკლესიის გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა, XI საუკუნიდან კი იგი, ფაქტობრივად, მთლიანად სომხურ ეკლესიას ემორჩილებოდა (თუმცა, ფორმალურად, ალბანეთის საპატრიარქო მხოლოდ 1815 წელს გააუქმა რუსეთის იმპერატორმა და არცახ-შუშისა და შემახა-შირვანის ეპარქიები უშუალოდ ეჩმიაძინის პატრიარქს დაუქვემდებარა; იმავე პერიოდში (1811-1814 წწ.) გააუქმა რუსეთმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიაც).

VI-VII სს. — ამ საუკუნეთა განმავლობაში ალბანეთის სამეფო ხან სამარზპანო იყო, ხან რამდენიმე მცირე სამთავროდ იშლებოდა, ხან

6. http://www.pravenc.ru/text/64030.html

ისევ ერთიანდებოდა. VII საუკუნეში ხშირად ხდებოდა ხაზართა შემოსევებიც იმიერკავკასიიდან.

სომხური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ამ დროიდან არცახუტიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სომხური სახელმწიფოებრიული წარმონაქმნის, ამჯერად, ფეოდალური სამთავროს, ჩამოყალიბების (აღდგენის) პროცესი. ერთ-ერთ არგუმენტად სახელდება VII-VIII საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტაძრების აშენება ყარაბაღის ტერიტორიაზე.

აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა აზრით კი, მე-4 საუკუნიდან მე-8 საუკუნემდე ანუ არაბების მიერ ალბანეთის სამეფოს საბოლოო ლიკვიდაციამდე, ყარაბაღის ტერიტორია იყო ალბანეთის (არანის) ნაწილი და მას ალბანელი (და არა სომეხი) მმართველები ჰყავდა. ამასთანავე, ისინი შენიშნავენ, რომ სომეხთა მსგავსად, ალბანელებიც ქრისტიანები იყვნენ, შესაბამისად, იმ პერიოდში ქრისტიანული ტაძრების აშენებლობა (მხოლოდ ეს ფაქტი) სომხური მოსახლეობის დომინირებას და სომხური სამთავროს არსებობას არ ნიშნავს.

642 — ნეხაევნდის ბრძოლაში სპარსეთის დამარცხების შემდეგ არაბებმა ამიერკავკასიაც დაიპყრეს და დერბენდამდე მიაღწიეს. არაბების შემოჭრას მოჰყვა ისლამის თანდათანობითი დამკვიდრება ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. XI საუკუნეში კასპიისპირა კავკასია უკვე ისლამიზებული იყო, თუმცა, ყოფილი ალბანეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის, მთიანი რაიონების მოსახლეობა, ძირითადად, ქრისტიანობას ინარჩუნებდა.

705 — ამიერკავკასიაში ხალიფის წარმომადგენელმა სომეხი ნახარარები (ერისთავები), მათ ოჯახებთან ერთად, ნახჭევანისა და ხარძის ეკლესიებში შეიტყუა და ცოცხლად დაწვა. ალბანელი მთავარი კი დაატუსაღეს და საბოლოოდ მან დამასკოში დაასრულა სიცოცხლე. არაბები მსგავსად მოქმედებდნენ იბერიაშიც. ყოველივე ამან თანდათანობით ძლიერი უკურეაქცია გამოიწვია მთლიანად ამიერკავკასიაში, რასაც აჯანყებები მოჰყვა.

816-838 — ჩრდილო ირანსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა ანტიარაბული აჯანყება, რომელსაც წარმოშობით ირანელი ბაბექ (ბაბაქ) ხურამი მეთაურობდა და რომელსაც ირანის მაზდეანური წრეებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს. აჯანყების ცენტრი იყო თანამედროვე აზერბაიჯან-ირანის საზღვართან მდებარე, მიუდგომელი ციხესიმაგრე ბაზი. თავდაპირველად ხალიფატმა, ბიზანტიასთან ომის გამო, ვერ შეძლო დიდი ძალების გაგზავნა აღმოსავლეთ პროვინციებში,

რამაც ხელი შეუწყო აჯანყებულთა წარმატებულ წინსვლას ირანის ცენტრისკენ, მაგრამ 833 წელს ბიზანტიასთან ომი დასრულდა და ბაბექი იძულებული გახდა უკან დაეხია. ბოლოს მან ყარაბაღის მთებს შეაფარა თავი, თუმცა იქაურმა სომეხმა მთავარმა სახლ სმბატიანმა (რომელიც, სომხური ვერსიით, 820 წლიდან ხაჩენის სომხურ სამთავროს განაგებდა) გასცა ბაბექი და არაბებმა იგი სიკვდილით დასაჯეს. ამჟამად ბაბექი აზერბაიჯანის ეროვნულ გმირად არის აღიარებული.

IX-XI სს. — აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებობდა რამდენიმე ფეოდალური სამთავრო, რომელთაგან ყველაზე ძლიერი არანი და შირვანი იყო. აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის თანახმად, ყველა ამ სამთავროს მუსლიმანური დინასტიების წარმომადგენლები მართავდნენ. სომეხი ისტორიკოსები კი ამტკიცებენ, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისიდან უკვე არსებობდა ხაჩენის სომხური სამთავრო, რომელსაც სომეხი არანშაჰების შთამომავლები განაგებდნენ (არანშაჰი არანის ანუ ალბანეთის გამგებლის სპარსული ტიტულია). სომეხ არანშაჰებს (არანშაპიკებს) შორის იყო ზემოხსენებული სახლ სმბატიანიც, რომელმაც 820 წელს მოკლა არანშაჰი ვარაზ-თრდატ II, მიჰრანიდების დინასტიის წარმომადგენელი და არანის ნაწილზე (ხაჩენში) სომხური დინასტიის მმართველობა აღადგინა. მიჰრანიდები მე-6 საუკუნიდან განაგებდნენ არანს. ამ დინასტიას სპარსული ფესვები აქვს, თუმცა აზერბაიჯანელები ალბანურად მიიჩნევენ და ყარაბაღის ყველაზე სახელოვან მმართველს ჰასან ჯალალსაც (მე-13 ს.) სწორედ ამ საგვარეულოს მიაკუთვნებენ.[7]

XI ს. — შუა აზიიდან შემოჭრილმა თურქმანებმა ანუ ოღუზებმა (ოგუზებმა) — ოღუზის ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე თურქულმა მომთაბარე ტომებმა — 1038 წელს, სელჩუკების მეთაურობით, ირანი და ამიერკავკასიის დიდი ნაწილი დაიპყრეს (1071 წელს სელჩუკების თურქულმა გაერთიანებამ მანაზკერტთან ბიზანტიის იმპერატორი რომან დიოგენე დაამარცხა, რითაც ბიზანტიამ საბოლოოდ დაკარგა ამიერკავკასია და აღმოსავლეთი ანატოლია).

ამ დროიდან დაიწყო თანამედროვე აზერბაიჯანის აღმოსავლეთი და ცენტრალური, დაბლობი ადგილების ირანულენოვანი მოსახლეობის ასიმილაცია ოღუზების მიერ (თუმცა, აზერბაიჯანელი ისტორიკოსების თვალსაზრისით, თურქული ეთნიკური ელემენტი, ოღონდ, არაოღუზური, აზერბაიჯანში ჯერ კიდევ VII საუკუნიდან ძლიერდებოდა და X-XI საუკუნეებში უკვე გაბატონებული პოზიცია ეკავა). რაც შეეხება ჩრდილო და დასავლეთ, მთიან პროვინციებს, ასიმილაციის აღნიშნული

7 http://www.regnum.ru/news/1240643.html

პროცესი აქ ბევრად უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

XIII ს. — 20-იანი წლებიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მონღოლები გამოჩნდნენ და 1239 წელს დერბენდის აღებით მათ დაასრულეს აზერბაიჯანის დაპყრობა. თუმცა, ხაჩენის მაშინდელმა მთავარმა (მელიქმა) ჰასან ჯალალმა/ჯალალიანმა მოახერხა მონღოლების შემოსევისგან თავისი სამთავროს გადარჩენა და რეგიონის ყველაზე ცნობილი — განძასარის მონასტერიც დააფუძნა, რომელიც თანდათან სომხების ერთ-ერთ ძირითად რელიგიურ-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა. 1261 წელს, ანტიმონღოლურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, ჰასან ჯალალი სიკვდილით დასაჯეს. შემდგომ ეპოქაში მისმა შთამომავლებმა ხაჩენის უმაღლესი პოლიტიკური მმართველობიდან სასულიერო ელიტაში გადაინაცვლეს და ალბანეთის ეკლესიის პატრიარქები იყვნენ.

სომხური ისტორიოგრაფია ყარაბაღის ისტორიის ამ გამორჩეულ ფიგურას ერთმნიშვნელოვნად სომხურ ეთნოსს მიაკუთვნებს.

აზერბაიჯანელები კი ყურადღებას ამახვილებენ განძასარის ეკლესიის ფასადზე არსებულ სომხურ წარწერაზე: "მე, ჰასან ჯალალმა, ავაგე ეს ტაძარი აგვანკის ჩემი ხალხისთვის". აგვანკი ალბანეთის ერთერთი ძველი სახელწოდებაა; აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აცხადებენ, რომ მელიქი ჰასან ჯალალი, მართალია, სომხურად წერდა, მაგრამ ის ეთნიკურად ალბანელი იყო. სომხები წარწერის ასეთ ინტერპრეტაციას კატეგორიულად არ ეთანხმებიან და განმარტავენ, რომ აგვანკი/ალბანეთი IX-X საუკუნიდან მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენებოდა და XIII საუკუნეში მას უკვე არანაირი ეთნიკური დატვირთვა აღარ ჰქონდა.

ამერიკელი მეცნიერის რობერტ პუსუნის აზრით, საერთოდ, კავკასიელ ალბანელთა შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს, ამიტომ რთულია გაარკვიო და მიაყვე მათ ისტორიულ ნაკვალევს: "ალბანელთა გაერთიანება 26 ტომისგან შედგებოდა, მათი სახელმწიფოს დაშლა არაბების შემოსევის დროს დაიწყო და მე-10 საუკუნეში საბოლოოდ დასრულდა; ალბანური ეთნოსი კი, შესაძლოა, კვლავ აგრძელებდა არსებობას, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცით".[8]

ჰასან ჯალალთან დაკავშირებით პუსუნი აღნიშნავს, რომ სომეხი მეცნიერების პოზიცია უფრო სარწმუნოა, რადგან ჯალალის გენეალოგია სომხურ სამეფო გვარებს უკავშირდება. ამასთანავე, XIII საუკუნეში მართლაც თუ იყო შემორჩენილი "ალბანეთი", ეს მხოლოდ სომხური ეკლესიის განშტოება თუ იქნებოდა (ცენტრით განძასარში, ყარაბაღის

8 Thomas de Waal, "Black Garden: Armenia and Azerbaijan through Peace and War (NYU Press, New Ed edition, 2004, chapter 10

ტერიტორიაზე). ჰიუსენის დასკვნით, მან ვერ აღმოაჩინა "მცირედი მტკიცებულებაც კი იმისა, რომ მელიქები თავიანთ თავს სხვაგვარად მოიხსენიებდნენ თუ არა სომხებად, მიუხედავად იმისა, რომ სომხური ეკლესიის ალბანურ შტოს წარმოადგენდნენ".[9]

XIV ს. — ისტორიულ ქრონიკებში პირველად ჩნდება გეოგრაფიული ტერმინი "ყარაბაღი" (თურქულ-სპარსულად "შაეი ბაღი"). 1387 წელს თემურლენგმა დაარბია ამიერკავკასია და ყარაბაღის დიდი ნაწილი.

XV ს. — ყარაბაღი არის ოღუზ-სელჩუკების მიერ აღმოსაველეთი ანატოლიისა და ირანის ტერიტორიაზე დაარსებული სახელმწიფოების ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს ნაწილი. სომხური ისტორიული წყაროები მხოლოდ ამ დროიდან აღიარებენ ყარაბაღის დაბლობი რაიონების თურქმანიზაციასა და ისლამიზაციას. აქაური თურქული ტომებიდან ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს ჯევანშირები ქმნიდნენ.

XIV-XV სს. — დასრულდა აზერბაიჯანის მოსახლეობის "თურქმანიზაცია" და ჩამოყალიბდა თანამედროვე აზერბაიჯანული ეთნოსი და მისი არაერთგვაროვანი კულტურა, რომელშიც ძირითადად გაერთიანდა კავკასიურ-ალბანური, ირანული და ოგუზურ-თურქული ეთნოკულტურული საწყისები. დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრა ოგუზურ-თურქულმა ენამ, თუმცა, როგორც აზერბაიჯანულ ენაზე, ასევე მთლიანად კულტურაზე, უდიდეს გავლენას ინარჩუნებდა ირანული სამყარო და შიიტური ისლამი. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ჯგუფთა თვითიდენტიფიკაციისთვის ეთნიკურ ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანი იყო რელიგიური ფაქტორი, რაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა მთიან რეგიონებში (უპირველესად, ყარაბაღში). მოსახლეობა იყოფოდა მუსლიმანად და ქრისტიანად, ხოლო რაკი იქ მხოლოდ მონოფიზიტური ქრისტიანობა არსებობდა (რომელიც იმ დროისთვის უკვე, ფაქტობრივად, "სომხურ ქრისტიანობას" წარმოადგენდა), შესაბამისად, ის ალბანელებიც, რომლებმაც ქრისტიანობა შეინარჩუნეს, რელიგიურ-კულტურულ არმენიზაციას განიცდიდნენ; მით უფრო, რომ დაახლოებით მე-10 საუკუნიდან ალბანური ეკლესია, როგორც ენის, დამწერლობისა და სასულიერო ლიტერატურის, ასევე ადმინისტრირების მხრივაც, ფაქტობრივად, სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა.

XVI-XVII სს. — ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის მიმდინარეობდა აქტიური ბრძოლა ამიერკავკასიისა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიისთვის.

9 Thomas de Waal, "Black Garden. Armenia and Azerbaijan through Peace and War (NYU Press, New Ed edition, 2004, chapter 10.

XVII-XVIII სს. — მე-16 საუკუნიდან სეფევიდების ირანის შემადგენლობაში არსებულმა ხუთმა სომხურმა სამთავრომ (სამელიქომ), რომლებიც განჯის საბეგლარბეგოს (გუბერნიას) ეკუთვნოდნენ, მე-17 საუკუნის დასასრულს ერთგვარი კონფედერაციული გაერთიანება — ხამსი/ხამსა (არაბულად "ხუთეულს" ნიშნავს) შექმნეს, რომელიც მთიანი ყარაბაღის ტერიტორიასაც მოიცავდა. ეს სამელიქოები იყო: გიულისტანი/თალიში, ჯრაბერდი, ხაჩენი, ვარანდა და დიზაკი. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ამ სამთავროების გამგებელთა ტიტულზე "მელიქ", რომელსაც ალბანურს უკავშირებენ და მკვეთრად განასხვავებენ უდავოდ სომხური ტიტულებისგან "იშხან" და "ტერ".

1722 — ისპაჰანი ავღანელებმა აიღეს და სეფევიდების დინასტია დაემხო, რასაც ირანში არეულობის პერიოდი მოჰყვა. ამით ისარგებლეს რუსეთმა და ოსმალეთმა. 1723 წელს რუსეთმა საზღვაო დესანტი გადასხა ბაქოში და ქალაქის მიმდებარე სანაპირო ზოლის რამდენიმე ქალაქი დაიპყრო. ოსმალები კი აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანში შემოიჭრნენ (ყარაბაღის ჩათვლით), რომლებიც მანამდე ირანის გავლენის სფეროს მიეკუთვნებოდნენ.

1724 — ოსმალეთმა და რუსეთმა, სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) შეთანხმებით, გაიყვეს აზერბაიჯანი: რუსეთს ერგო ბაქო, დერბენდი და სანაპირო ზოლი ლენქორანის ჩათვლით, ხოლო ოსმალეთს — დანარჩენი მიწები.

1734 — ირანელებმა შეძლეს ოსმალების გამოდევნა განჯიდან.

1735 — ირანსა და რუსეთს შორის გაფორმდა განჯის შეთანხმება და, ოსმალეთთან ომის გამო, რუსეთმა მთლიანად დათმო აზერბაიჯანში მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.

1747 — ირანში მოკლეს ნადირ-შაჰი, რასაც მოჰყვა ირანის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახანოების წარმოქმნა (შირვანის, შაქის, ბაქოს, განჯის, ყუბის, თალიშის ანუ გიულისტანის, ნახჭევანის, ერევნისა და ყარაბაღის).

ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ყარაბაღში დაბრუნდა მის მიერ დევნილი ფანაჰ ალი-ხანი, რომელიც ზემოხსენებული ჯევანშირების წინამძღოლი იყო და თავი ყარაბაღის ხანად გამოაცხადა. ფანაჰ ხანმა მელიქებიც დაიმორჩილა და მთლიანი ყარაბაღის რეალური მმართველი გახდა. 1751 წელს მან დაიწყო შუშის ციხე-სიმაგრის მშენებლობა, რომელიც ყარაბაღის სახანოს დედაქალაქად იქცა. ფანაჰ ხანმა ზანგეზურიც (იგივე სიუნიკი — ტერიტორია ყარაბაღსა და ნახჭევანს შორის) ყარაბაღს შეუერთა და შემდეგ შეძლო განჯის, ნახჭევანის, ერევნისა და

არდებილის სახანოთა დაქვემდებარებაც. ამგვარად, ყარაბაღის ხანის ძალაუფლება იმ პერიოდში მთლიანად მოიცავდა მდინარეებს მტკვარსა და არაქსს შორის არსებული ტერიტორიის შუა და აღმოსავლეთ ნაწილს.

1779 და 1783 წწ. — ფანაჰ ხანის ვაჟმა, ყარაბაღის ახალმა მმართველმა იბრაჰიმ ხალილ ხანმა, მეზობელ სახანოთა და ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხის გამო, რუსეთს სთხოვა მფარველობა.

1795 — 85-ათასკაციანი ლაშქრით აღა-მაჰმად ხანმა ალყა შემოარტყა შუშას, მაგრამ კარგად გამაგრებული ქალაქის აღება ვერ შეძლო და ერთი თვის შემდეგ თბილისისკენ დაიძრა.

1797 — შაჰ ჯირის გავრცელებამ ყარაბაღის დაუძლურება გამოიწვია, რითაც ისარგებლა აღა-მაჰმად ხანმა და შუშა დაიპყრო, თუმცა მალე თავისივე მსახურებმა მოკლეს და დაღესტანში გაქცეული იბრაჰიმ ხანი შუშაში დაბრუნდა.

1803 — მას შემდეგ, რაც 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო უკანონოდ, ძალადობრივად გააუქმა და მისი ანექსია განახორციელა, რუსეთის ჯარების გენერალმა ციციანოვმა, რომელიც წარმოშობით ქართველი თავადი ციციშვილი იყო, განჯა აიღო და ბაქოსკენ წინსვლა განაგრძო (1804-1813 წწ. — რუსეთ-ირანის ომის დროს რუსეთის ჯარები შევიდნენ ყუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოებში, ხოლო ყარაბაღის სახანო რუსეთმა მშვიდობიანად დაიკავა).

1805 — ქიურექჩაის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოაწერეს იბრაჰიმ ხანმა და ციციანოვმა, რუსეთი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას დაეცვა სახანოს ტერიტორია და იბრაჰიმ ხანის შთამომავლობის მმართველობა ყარაბაღში. თუმცა, 1806 წელს იბრაჰიმ ხანი რუსმა ოფიცერმა მოკლა. ამის შემდეგ, მართალია, იბრაჰიმ ხანის ადგილას რუსეთმა მისი ვაჟი მეჰთი ხანი დანიშნა, მაგრამ მხოლოდ დროებით.

1822 — მეჰთი ხანის ირანში გაქცევის შემდეგ რუსეთმა ყარაბაღის სახანო გააუქმა და შირვანის, შექისა და თალიშის ყოფილ სახანოებთან ერთად, დიდ „მუსლიმანურ ოლქში“ გააერთიანა (ამ ოლქის ცენტრი შუშაში მდებარეობდა). აღსანიშნავია, რომ 1813 წლის რუსეთ-ირანის გიულისტანის ხელშეკრულება ადასტურებს ყარაბაღის სახანოს გადასვლას რუსეთის იურისდიქციის ქვეშ ანუ ამ დრომდე ყარაბაღი ირანის გავლენის სფეროდ ითვლებოდა.

1826-1828 წწ. — რუსეთ-სპარსეთის ომის დროს მეჰთი ხანი სპარსულ ლაშქართან ერთად დაბრუნდა ყარაბაღში, თუმცა შუშის რუსულ-სომხური გარნიზონის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. საბოლოოდ, თურქმანჩაის სამშვიდობო

შეთანხმებით, რუსეთს შეუერთდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოებიც და, იმპერატორის ბრძანებით, ისინი სამხრეთ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ "სომხურ რეგიონში" ("область") გაერთიანდნენ (მოგვიანებით ამ რეგიონს "ერევნის გუბერნია" ეწოდა). რუსეთ-ირანის ახალი საზღვარი მდინარე არაქსი გახდა. ამის შემდეგ, 30-იან წლებში ოსმალეთიდან, ძირითადად, ერევნისა და თბილისის გუბერნიებში ასეულობით ათასი სომეხი გადმოასახლეს, და პირიქით, ოსმალეთში გადაასახლეს ამ ტერიტორიების მაჰმადიანი მოსახლეობა, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველები (მესხები).

აქ მოკლედ უნდა შეეხოთ ზემოხსენებულ ნახჭევანს და მის წინაისტორიას.

ქალაქი ნახჭევანი (ნაქსუანა), პტოლემეოსის გეოგრაფიის მიხედვით, ძვ.წ. მე-5 ათასწლეულში დაფუძნდა. უძველეს ეპოქაში იგი ურარტუსა და მიდიის შემადგენლობაში იყო. ძვ.წ. II ს.-დან ახ.წ. V ს.-მდე, ნახჭევანი "დიდი სომხეთის" ნაწილია და სომხური წყაროების მტკიცებით, აქ მოსახლეობაც სომხური იყო, აზერბაიჯანული წყაროების თანახმად კი ამ ტერიტორიაზე კავკასიელი ალბანელები ცხოვრობდნენ. V-VI სს. — ნახჭევანი სპარსეთმა დაიპყრო. VII-VIII სს. — სპარსელები არაბებმა შეცვალეს. IX-X სს. — სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით, ნახჭევანი ანისისა და სიუნიკის სომხურ სამეფოსა და სამთაუროს ეკუთვნის, ხოლო აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აფიქსირებენ, რომ ის სხვადასხვა ირანულ-მაჰმადიანურ გაერთიანებათა შემადგენლობაშია. XI ს. — ნახჭევანი სელჩუკებმა დაიპყრეს. ამ დროიდან თურქულენოვანი მოსახლეობა სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. XII ს. — ქალაქი ნახჭევანი აზერბაიჯანის საათაბაგოს დედაქალაქად ცხადდება და აქ შენდება ცნობილი მაგზოლეუმები. XIII-XIV სს. — ნახჭევანი ჯერ მონღოლებმა, შემდეგ კი თემურ-ლენგმა აოხრა. XV ს. — მთელი რეგიონი აზერბაიჯანულ-თურქული სახელმწიფოების: ყარა-ოიუნლუსა და აყ-ოიუნლუს შემადგენლობაშია. XV-XVI სს. ოსმალეთ-ირანის ომების დროს ნახჭევანს ხან ერთი იპყრობდა, ხან მეორე; იმ პერიოდში ქრისტიანი სომხები შედარებით უკეთეს დღეში იყვნენ, რადგან სუნიტი ოსმალები ნახჭევანის შიიტ მოსახლეობას ჟლეტდნენ, ირანელები კი — სუნიტებს. XVII ს. — შაჰ აბას I-მა ოსმალეთთან ომში "გადამწვარი მიწის" ტაქტიკას მიმართა და ნახჭევანის რეგიონიდან, სომხური წყაროების თანახმად, 400 ათასი სომეხი ირანში გადაასახლა. იგივე ბედი ეწია აქ მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობასაც, რომელსაც, მოგვიანებით, შაჰ აბას II-მ უფლება მისცა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებულიყო. სწორედ ამ მოსახლე-

ობის (ქენგერლის გვარის) წარმომადგენლებმა ნაღირ შაპის სიკვდილის შემდეგ — 1747 წ. ნახჭევანის სახანო შექმნეს და 1828 წ.-მდე მართავდნენ მას, ანუ ირანსა და რუსეთს შორის თურქმენჩაის ხელშეკრულების დადებამდე, როცა ნახჭევანისა და ერევნის სახანოები რუსეთის იმპერიამ დაისაკუთრა. იმ დროისათვის ნახჭევანის სომხური მოსახლეობა 20%-ს არ აღემატებოდა, დანარჩენები კი მუსლიმები, ძირითადად, აზერბაიჯანელები იყვნენ. ამ რეგიონში სომხური მოსახლეობის რაოდენობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსეთმა დაიწყო ირანში მცხოვრები სომხების აქტიური გადმოსახლება.

1846 — შუშის მაზრად გარდაქმნილი შუშის ოლქი შემახას გუბერნიის ნაწილი გახდა (1859 წლიდან ამ გუბერნიას ბაქოს, ხოლო 1867 წლიდან — ელისავეტპოლის ანუ განჯის გუბერნია ეწოდებოდა). ამრიგად, მთიანი ყარაბაღი ელისავეტპოლის გუბერნიის შემადგენლობაში იყო, ისევე როგორც ზანგეზური (იგივე სიუნიკი), რომელიც ყარაბაღსა და ნახჭევანს შორის მდებარეობს. 1897 წლის აღწერის მონაცემებით, ელისავეტპოლის გუბერნიის ტერიტორიაზე სომხები მხოლოდ შუშის მაზრაში (ანუ მთიანი ყარაბაღის ძირითად ტერიტორიაზე) იყვნენ უმრავლესობაში: 53,3% — სომეხი, 45,3% — აზერბაიჯანელი. ზანგეზურის მაზრაში აზერბაიჯანელები ჭარბობდნენ: 46,1% — სომეხი, 51,6% — აზერბაიჯანელი. აღსანიშნავია, რომ ერევნის გუბერნიის სამ მაზრაში აზერბაიჯანელები უმრავლესობას ქმნიდნენ; კერძოდ, ერევნის მაზრაში: 38,5% — სომეხი, 51,4% — აზერბაიჯანელი; ნახჭევანის მაზრაში: 34,4% — სომეხი, 63,7% — აზერბაიჯანელი და შარურო-დარალაგეზის მაზრაში: 38,5% —სომეხი, 51,4% — აზერბაიჯანელი. ნახჭევანის, ზანგეზურისა და მთიანი ყარაბაღის რეგიონები ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. სომხებს სამივეზე ჰქონდათ პრეტენზია, თუმცა, რაოდენობრივად მხოლოდ ყარაბაღში ჭარბობდნენ აზერბაიჯანელებს. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერევნის გუბერნიას (პირობითად, სომხეთს) ეკუთვნოდა ნახჭევანი, სადაც 65%-მდე აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, ელისავეტპოლის გუბერნიას კი (პირობითად, დასავლეთ აზერბაიჯანს) — ზანგეზური და ყარაბაღი. ამ უკანასკნელში 8%-ით მეტი სომეხი ცხოვრობდა.

1848-1849 — მსოფლიოში პირველი ნავთობჭაბურღილი ამუშავდა ბაქოს სამხრეთით.

1915 — აპრილში, I-ლი მსოფლიო ომის მსვლელობისას, თურქეთის სომხური თემების ასეულობით ხელმძღვანელი დააპატიმრეს და შემდეგ

მოკლეს. სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მესოპოტამიის უდაბნოში "გადაასახლეს", რაც, რეალურად, უმრავლესობისთვის შიმშილითა და გამოფიტვით სიკვდილის ტოლფასი აღმოჩნდა. სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, მსხვერპლის რაოდენობა 1,5 მილიონს აღწევდა (იმ დროს ოსმალეთში 2,5 მილიონი სომეხი ცხოვრობდა) და ამ ტრაგედიას გენოციდს უწოდებენ. თურქული მხარე კი ამ რიცხვს გაზვიადებულად მიიჩნევს და განმარტავს, რომ ეს იყო მსოფლიო და სამოქალაქო ომის უმძიმესი წლები, როცა 3 მილიონამდე თურქი დაიღუპა.

1917 — 31 ოქტომბერს (13 ნოემბერს), რუსეთის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ, ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელიც ბოლშევიკებისა და ესერებისგან შედგებოდა, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა (საბჭოს ეთნიკურად სომეხი სტეფანე შაუმიანი მეთაურობდა, რომელიც მალე მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა).

15 ნოემბერი — თბილისში დაფუძნდა ამიერკავკასიის კომისარიატი — ამიერკავკასიის მთავრობა, რომელშიც ამიერკავკასიის ძირითადი პარტიების წარმომადგენლები გაერთიანდნენ (აზერბაიჯანელი მუსავატები, სომეხი დაშნაკები და ქართველი მენშევიკები). ამ ანტიბოლშევიკური გაერთიანების იურისდიქცია ბაქოზე ვერ ვრცელდებოდა.

1918 — თებერვალში ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი), რომელმაც აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მარტი — ბაქოს ბოლშევიკ-ესერთა საბჭოს ჯარებსა და ბაქოში დაკრძალვაზე ჩამოსულ "მუსლიმანთა ეროვნული კომიტეტის" ლენქორანის დივიზიონის ოფიცრებს შორის დაწყებული შეტაკება დიდ სისხლისღვრაში გადაიზარდა. დაიღუპა 3-დან 12 ათასამდე ადამიანი, ძირითადად, მაჰმადიანები, დაიწვა და გაიძარცვა მთელი კვარტლები. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების შეფასებით, "მარტის დღეები" იყო ბაქოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის დარბევა-გაჟლეტა საბჭოს ჯარების მიერ, რომელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ეთნიკური სომხები (რაც, სავარაუდოდ, 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი ხოცვის გამოძახილიც იყო).

25 აპრილი — ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ ჩამოაყალიბა სახალხო კომისართა საბჭო (ე.წ. ბაქოს კომუნა) 26 კომისრის შემადგენლობითა და შაუმიანის მეთაურობით. კომუნის ჯარებმა დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების გაფართოება ბაქოს გარშემო და ერთ თვე-

ში დაიკავეს ლენქორანის, ყუბისა და ჯავადის მაზრები (იმ პერიოდში ბაქოში აქტიურად მოქმედებდა სომხური პარტია "დაშნაკცუთუნი", რომელსაც ალიანსი ჰქონდა "ესერებთან").

25 მაისი — ოსმალეთის არმიის მე-5 კავკასიის დივიზიის ქვედანაყოფები განჯაში შევიდნენ (28 მაისს სწორედ განჯა გამოცხადდა აზერბაიჯანის დედაქალაქად).

26 მაისი — ამიერკავკასიის ფედერაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

28 მაისი (1918) — გამოცხადდა აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკების დაფუძნება. სომხეთის ტერიტორიად, ძირითადად, ყოფილი ერევნის გუბერნია მოიაზრებოდა, აზერბაიჯანის ტერიტორიად კი — ყოფილი ბაქოსა და ელისავეტოპოლის/განჯის გუბერნიები. .

ივნისი — ოსმალეთის არმიამ ნახჭევანი დაიკავა, ხოლო ბაქოს კომუნის ჯარებმა განჯაზე შეტევა წამოიწყეს. ივლისის ბოლოს, კონტრშეტევის შედეგად, თურქულ-აზერბაიჯანული ჯარები ბაქოს მიუახლოვდნენ და 15 სექტემბერს აიღეს კიდეც ქალაქი, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში (აზერბაიჯანელები ამას "მარტის დღეების" გამო შურისძიებით ხსნიან).

31 ოქტომბერი — თურქეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა პირველ მსოფლიო ომში და შეწყვიტა საომარი მოქმედებები. მალე ირანიდან ბაქოში ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ.

ნოემბერი — ნახჭევანშიც ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ. იმავე თვეში ნახჭევანის ტერიტორიაზე "არაზის (არაქსის) რესპუბლიკა" შეიქმნა, რომელიც ბრიტანელებმა არ ცნეს, რადგან რუსეთის იმპერიის დროინდელი შიდა საზღვრების შეცვლას ერიდებოდნენ (ნახჭევანი ერევნის გუბერნიას ეკუთვნოდა).

7 დეკემბერი — ბაქოში გაიხსნა აზერბაიჯანის პარლამენტის სხდომა.

1919 — 15 იანვარს, ბრიტანეთის მთავრობამ, საკამათო საკითხთა საბოლოო გადაწყვეტამდე, ყარაბაღის (ზანგეზურის ჩათვლით, ელისავეტოპოლის გუბერნიის საზღვრების შესაბამისად) გენერალ-გუბერნატორად დაამტკიცა აზერბაიჯანის მიერ ამ პოსტზე დანიშნული ხოსროე-ბეგ სულთანოვი.

10 თებერვალი — სულთანოვი შუშაში ჩაიყვანეს და ქალაქის თავთან, ჩინოვნიკებსა და ეპისკოპოსთან შეხვედრა მოითხოვა, თუმცა იმავე დღეს გამართულ ყარაბაღელ სომეხთა მეოთხე ყრილობამ ყველას აუკრძალა სულთანოვთან შეხვედრა და მისი ძალაუფლების აღიარება.

მაისი — სომხეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და იენისში, ბრიტანელთა დახმარებით, ნახჭევანი აიღეს ("არაზის რესპუბლიკა" გაუქმდა). თუმცა, ერთთვიანი ბრძოლების შემდეგ ნახჭევანი ისევ აზერბაიჯანელთა ხელში გადავიდა და 10 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა. 15 მაისს საბერძნეთის ჯარები, ანტანტის ესკადრის დახმარებით, ოსმალეთის საზღვაო ქალაქ იზმირის (ისტორიული სმირნის) ტერიტორიაზე გადავიდნენ, რითაც დაიწყო თურქეთ-საბერძნეთის მეორე ომი (1919-1922), რომლის მსვლელობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზეც.

12 აგვისტო — ყარაბაღელ სომეხთა მეშვიდე ყრილობა ისევ უარს აცხადებდა ეცნო სულთანოვის და, შესაბამისად, აზერბაიჯანის იურისდიქცია. ამ უკანასკნელმა ისარგებლა ქალაქ შუშიდან ბრიტანული ჯარების გასვლით და 48-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა ყრილობას. სომხები იძულებული გახდნენ დაეთმოთ და 22 აგვისტოს მთიანი ყარაბაღის სომეხთა ყრილობამ "დროებით აღიარა" აზერბაიჯანის რესპუბლიკის იურისდიქცია (პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე). შეთანხმების თანახმად, გუბერნატორს დაენიშნა სომეხი თანაშემწე და 6 მრჩეველი: 3 სომეხი და სამი მუსლიმანი. სომხები ინარჩუნებდნენ თვითმმართველობას, აზერბაიჯანს კი უფლება ჰქონდა შუშასა და ხანკენდიში (სტეფანაკერტში) თავისი გარნიზონი განელაგებინა, ოღონდ, შეზღუდული, მშვიდობიანი დროის რიცხოვნობით და დამატებითი ძალების შეყვანისთვის აუცილებელი იყო სომხური საბჭოს თანხმობა. ამასთანავე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, შეჩერდა მოსახლეობის განიარაღების პროცესი.

28 აგვისტო — აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ შექმნილმა სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული იყო სომხური სახელმწიფოს აღდგენის მართებულობა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა, უპირველესად, სომხების უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკავშირდებოდა, რადგან თურქულ სახელმწიფოს არ გამოუმჟღავნებია სინანული 1915 წლის მოვლენების გამო, პირიქით, ის ცდილობდა გაემართლებინა თავისი ქმედებები და არაფერს აკეთებდა სომხების რეპატრიაციისა და მათთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კინგ-კრეინის კომისიის მოხსენების თანახმად, "აშკარაა რომ თურქების მხრიდან გრძელდება უკიდურესი მტრობა სომხების

მიმართ და ხოცვა-ჟლეტის მუდმივი მუქარა; საკმარისი მტკიცებულებები არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ ამ ორ რასას არ შეუძლია ერთად, მშვიდობიანად და კარგად ცხოვრება, ამიტომ ორივესთვის უმჯობესია ცალკე თავისი სახელმწიფო ჰქონდეს; არ შესრულდა 1878 წლის ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც სომხების დაცვას ეხებოდა; ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს, რომ თურქეთისგან გამოიყოს სახელმწიფო, სადაც სომხები შეძლებენ იცხოვრონ თურქული ძალაუფლებისგან თავისუფლად; სხვა ვერაფერი მისცემს სომხებს უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად საკმარის გარანტიას. სხვა ვერაფერი დააკმაყოფილებს მსოფლიოს სინდისს ამ საკითხთან დაკავშირებით... სომხებისა და თურქების სასიკეთოდ და ასევე მსოფლიოში მშვიდობის დამყარების მისწრაფებიდან გამომდინარე, აუცილებელია დაჟინებით მოვითხოვოთ ცალკე სომხური სახელმწიფოს შექმნა"[10] (აღსანიშნავია, რომ მსგავსი არგუმენტაცია დაედო საფუძვლად ასევე ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას 1947 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის 181-ე რეზოლუციის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მილიონობით ებრაელი შეიწირა ფაშიზმის აღზევებამ ევროპაში).

1920 — ნახჭევანსა და ყარაბაღში ისევ დაიწყო შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

23 აპრილი (1920) — მუსტაფა ქემალ ათათურქმა ქალაქ ანკარაში (იმ დროს ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ დედაქალაქად სტამბული რჩებოდა) თურქეთის დიდი ეროვნული კრება მოიწვია, რომელმაც ახალ, ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი და მუსტაფა ქემალი პარლამენტისა და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია. იმ პერიოდში ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება, მართალია, ჯერ კიდევ არსებობდა სტამბულში, მაგრამ მისი ჯარები, ძირითადად, უკვე ბრძოლისუუნარონი იყვნენ და ბერძნებს რეალურ წინააღმდეგობას სწორედ ათათურქის მომხრე ძალები უწევდნენ (1922 წლის 1 ნოემბერს, ომში გამარჯვების შემდეგ, ქემალმა ჯერ სულთანატი — სულთნის საერო ხელისუფლება — საერთოდ გააუქმა თურქეთში და ორ კვირაში ხალიფის ანუ სულიერი წინამძღოლის წოდებაც ჩამოართვა მეჰმეტ VII-ს).

საბერძნეთს ანტანტა უჭერდა მხარს, ოსმალეთი კი, გერმანიისა და ავსტრიის დამარცხების შემდეგ, მოკავშირის გარეშე დარჩა, ამიტომ ქემალის მთავრობამ საბჭოთა რუსეთთან დაიწყო აქტიური კავშირების გაბმა და ანკარა-მოსკოვმა, ფაქტობრივად, ანტანტის საპირისპირო ალიანსი შექმნეს. 1920 წლის დასაწყისში ამ ალიანსის სიძლიერე ჯერ კიდევ სათუო იყო (თურქებს ბერძნებთან გამკლავება უჭირდათ,

10 http://www.oukhtararat.com/grqer/6_04_1.php

ბოლშევიკებს კი — პოლონელებთან), მაგრამ, საბოლოოდ, სწორედ ამ ალიანსის არსებობამ განაპირობა ანტანტისა და ასევე ვილსონის გეგმების შეცვლა ანატოლიასა და ამიერკავკასიასთან დაკავშირებით, სადაც, თავდაპირველი სქემის თანახმად, ძირითად, საყრდენ სახელმწიფოდ "დიდი სომხეთის" საზღვრებში აღორძინებული სომხეთის რესპუბლიკა უნდა გამხდარიყო.

1 ივნისი — დემოკრატი ვილსონის ნების საპირისპიროდ, აშშ-ის სენატის რესპუბლიკურმა უმრავლესობამ უარყო სომხეთზე ამერიკის მანდატი. იმ მომენტისთვის წითელმა არმიამ უკვე ვარშავას მიაღწია და ცხადი იყო, რომ კრემლი მალე ამიერკავკასიისთვისაც მოიცლიდა (თუმცა, აგვისტოში პოლონელთა მოულოდნელმა, ძლიერმა კონტრშეტევამ სომხეთ-საქართველოს გასაბჭოება კიდევ რამდენიმე თვით გადაავადა). გარდა ამისა, აშშ-ს რესპუბლიკურ პარტიაზე მნიშვნელოვანი გაელენა ჰქონდათ დიდ ნავთობკომპანიებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბრიტანეთ-საფრანგეთის პოზიციით; ლონდონმა და პარიზმა ამერიკელებს, ფაქტობრივად, გზა ჩაუკეტა არაბული ქვეყნების ნავთობსაბადოებისკენ, სამაგიეროდ, "დიდსულოვნად" დაუთმო სომხეთის მანდატი, რესპუბლიკელებმა კი უარი თქვეს ასეთ "კომპენსაციაზე". ერთი მხრივ, ეს მანდატი "დიდი სომხეთის" მართლაც ერცელ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებისა და მნიშვნელოვან რეგიონში დამკვიდრების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სომხეთის მანდატის აღებისა და "დიდი სომხეთის" აღორძინების შემთხვევაში, აშშ-ს ქემალისტურ თურქეთსა და საბჭოთა რუსეთთან მოუწევდა დაპირისპირება (ამ საფრთხის მიუხედავად, ვაშინგტონს, შესაძლოა, მაინც აეღო სომხეთის მანდატი, ამერიკულ კომპანიებს ახლო აღმოსავლეთის ნავთობსაბადოების ნაწილი რომ რგებოდათ).

ივნისი — რუსეთის მე-11 არმიამ, აზერბაიჯანის ჯარებთან ერთად, ჩაახშო სომხური აჯანყების მთავარი კერა ყარაბაღში, ქალაქ შუშაში. ივლისში იგივე მოხდა ნახჭევანში და იქ ნახჭევანის საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. ამრიგად, სამი რეგიონიდან (ყარაბაღი, ზანგეზური და ნახჭევანი), რომლებზეც სომხეთს პრეტენზია ჰქონდა, 1920 წლის დასასრულამდე ანუ გასაბჭოებამდე ერევანმა კონტროლი მხოლოდ მაღალმთიან ზანგეზურზე შეინარჩუნა.

აგვისტო — სომხეთმა სცადა კონტროლის აღდგენა ნახჭევანში, თუმცა უშედეგოდ და 8 აგვისტოს ერევნის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო საშვიდობო შეთანხმება.

10 აგვისტო (1920) — პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოს-

ძალეთის იმპერიამ (სულთნის მთავრობამ) ანტანტის მიერ ოკუპირებულ სტამბოლში ხელი მოაწერა სევრის შეთანხმებას, რომელსაც, ანტანტასა და მის მოკავშირე ქვეყნებთან ერთად, ხელი მოაწერა სომხეთმაც. შეთანხმება ითვალისწინებდა წარსულში ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიათა გადანაწილებას მეზობელ სახელმწიფოთათვის: აღმოსავლეთ თრაკიასა და იონიას (დასავლეთ ანატოლიის ნაწილს) საბერძნეთი შეიერთებდა, სტამბოლი და ბოსფორ-დარდანელის ორივე სანაპირო ზოლი საერთაშორისო ძალების დაქვემდებარებაში გადადიოდა, ანტალიასა და მის მიმდებარე რაიონებზე იტალიის პროტექტორატი დამყარდებოდა, კილიკიასა და კაპადოკიის ნაწილზე — საფრანგეთის პროტექტორატი, ხოლო აღმოსავლეთი ანატოლია, ფაქტობრივად, ორად გაიყოფოდა: ჩრდილო ნაწილი — ტრაპიზონი-არხრუმი-ვანის ხაზის გარშემო მდებარე ვრცელი ტერიტორია სომხეთს გადაეცემოდა, ხოლო სამხრეთში, ქურთისტანის შექმნას ვარაუდობდნენ, რომლის ცენტრი ქალაქ დიარბაქირში იქნებოდა.

სევრის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ დროს თურქეთ-საბერძნეთის ომში ბერძნების მნიშვნელოვან უპირატესობას, მუსტაფა ქემალი თითქოს განწირული იყო, მაგრამ, სულთნის მთავრობისგან განსხვავებით, მან უარი თქვა სევრის შეთანხმების ხელმოწერაზე. ქემალის მთავრობამ შეძლო ხანმოკლე პერიოდში თურქეთის რეგულარული არმიის გამთლიანება-მობილიზება და ომის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა. ამას ხელი შეუწყო შინაბერძნულმა დაპირისპირებამ და 25 ოქტომბერს საბერძნეთის მეფე ალექსანდრეს გარდაცვალებამ, რასაც მოპყვა დეკემბერში გამართული რეფერენდუმით სამეფო ტახტზე კონსტანტინეს დამტკიცება. პირველ მსოფლიო ომის დროს პროგერმანული პოზიციის გამო, ანტანტა არ ენდობოდა კონსტანტინეს და მისი გამეფების შემდეგ დახმარება შეუწყვიტა საბერძნეთს. ეს ყველაფერი მალე აისახა თურქეთთან ომის მიმდინარეობაზე.

სექტემბერი — ერევანში ჩაიდა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია და სომხეთის მთავრობას მოსთხოვა: სევრის შეთანხმებაზე უარის თქმა, საბჭოთა ჯარებისთვის, სომხეთის გაელით, თურქეთისკენ გადაადგილების საშუალების მიცემა და მეზობელ ქვეყნებთან ტერიტორიული დავების გადაწყვეტა საბჭოთა რუსეთის მონაწილეობით. ამ მოთხოვნებიდან პირველი პუნქტი ერევნისთვის მიუღებელი იყო. თუმცა, საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს — ყარსი სომხეთს რჩებოდა. ცხადია, კრემლს ეს თანხმობა სომხეთის "ბურჟუაზიულ" მთავრობასთან, რომლის დღეები უკვე დათვლილი იყო, არაფრად უღირდა (თუმცა, არც

ნოემბერ-დეკემბერში შექმნილი საბჭოთა სომხეთისათვის ან აზერბაიჯანისა და საქართველოს კომუნისტური მთავრობისათვის უკითხავთ რამე, როცა 1921 წელს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საზღვრები, ფაქტობრივად, მოსკოვში, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებისას გადაწყდა).

ოქტომბერი (1920) — ქემალის მთავრობის ჯარებმა აიღეს არდაგანი, ყარსი და ალექსანდროპოლი (ღღევანდელი გიუმრი). 18 ნოემბერს სომხეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ცეცხლის შეწყვეტის მძიმე პირობებზე (2 დეკემბერს სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერა ალექსანდროპოლის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა სევრის ხელშეკრულების უარყოფას და სომხეთის ტერიტორიის განახევრებას, თუმცა, საბჭოთა სომხეთმა, ბუნებრივია, კრემლის მხარდაჭერით, ეს ხელშეკრულება არ ცნო).

29 ნოემბერი — სომეხი ბოლშევიკ-კომუნისტების რევოლუციური კომიტეტი, რუსეთის მე-11 არმიასთან ერთად, ქალაქ იჯევანში დაბანაკდა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა. 4 დეკემბერს მე-11 არმია ერევანში შევიდა.

30 ნოემბერი — აზერბაიჯანის რევოლუციურმა კომიტეტმა შეიმუშავა დეკლარაცია, რომლის თანახმად, საბჭოთა აზერბაიჯანსა და საბჭოთა სომხეთს შორის შეუძლებელია არსებობდეს ტერიტორიული დავა, აქედან გამომდინარე, ზანგეზურისა და ნახჭევანის რეგიონები საბჭოთა სომხეთს გადაეცემა, ხოლო მთიანი ყარაბაღის მშრომელებს ეძლევათ სრული თვითგამორკვევის უფლება (4 დეკემბერს ამ დეკლარაციაში აღნიშნული ტერიტორიული ცვლილებები გაზეთ "პრავდის" ფურცლებზე დაადასტურა სტალინმაც (სომხური წყაროები იმოწმებენ საბჭოთა გამოცემებს, სადაც დაფიქსირებულია ეს ინფორმაცია). აქვე უნდა ითქვას, რომ დეკემბერშიევე საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულება აღიარებს სომხეთის პრეტენზიას მხოლოდ ზანგეზურზე (ეს რეგიონი, საბოლოოდ, მართლაც სომხეთს დარჩა) და არა ყარაბაღსა და ნახჭევანზე.

ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ კრემლი მანიპულირებდა სომხების (და ასევე აზერბაიჯანელების) მისწრაფებებით. 1920 წლის შემოდგომაზე სომხეთისათვის ყარსის "დატოვება" ან საბჭოთა აზერბაიჯანის მიერ ნახჭევანისა და ყარაბაღის "ნებაყოფლობითი დათმობა" მხოლოდ კრემლის ხრიკები იყო. ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, როცა მე-11 არმია ერევნისკენ მიიწევდა, ყარაბაღისა და ნახჭევანის "ქაღალდზე" გადაცემის ფარსი,

ცხადია, საბჭოთა რუსეთისადმი სომხეთის მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გათამაშდა.

1921 — თებერვალ-მარტში მოსკოვში გაიმართა კონფერენცია და 16 მარტს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც დადგინდა თურქეთ-სომხეთს შორის საზღვარი. ამავე შეთანხმებით, ნახჭევანი მიეკუთვნა აზერბაიჯანს, ხოლო ზანგეზურის რაიონი — სომხეთს. საბოლოოდ, თურქეთსა და ამიერკავკასიის სამივე, უკვე საბჭოთა რესპუბლიკას შორის სადავო საკითხები გადაწყდა 13 ოქტომბერს დადებული ყარსის ხელშეკრულებით.

2 მაისი — საბჭოთა რუსეთის კომპარტიის (იგივე რსდპ (ბ)) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კიროვის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა დაედგინა საზღვრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

4 ივლისი — კომისიამ განიხილა მთიანი ყარაბაღის საკითხი და უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ რეგიონის სომხეთისთვის მიკუთვნებას, მაგრამ აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ნარიმანოვის პროტესტის გამო საკითხის განხილვა გადაიტანეს რკპ(ბ) ცკ-ში.

5 ივლისი (1921) — კავკასიის ბიურომ გააუქმა წინა დღეს მიღებული გადაწყვეტილება (ცხადია, კრემლთან წინასწარი შეთანხმებით) და საკითხის მოსკოვში გადაგზავნის გარეშე დაადგინა: "მუსლიმანებსა და სომხებს შორის ეროვნული მშვიდობის აუცილებლობიდან და ასევე ზემო ყარაბაღის მჭიდრო ეკონომიკური კავშირიდან გამომდინარე ქვემო ყარაბაღსა და აზერბაიჯანთან, მთიანი ყარაბაღი დარჩეს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში და მას მიენიჭოს ფართო საოლქო ავტონომია, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ შუშაში". [11]

16 ივლისი — სომხეთის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა ყარაბაღის საკითხზე კავბიუროს გადაწყვეტილებას. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერები შემდგომშიც ცდილობდნენ მთიანი ყარაბაღის კუთვნილების საკითხის წამოჭრას კრემლის წინაშე და, მართალია, ამას უშუალოდ ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით რაიმე ცვლილება არ მოჰყოლია, მაგრამ აზერბაიჯანელთა აზრით, სწორედ ასეთი პოლიტიკის არაპირდაპირი შედეგი იყო 1947 წელს, კრემლის ბრძანებით, დაახლოებით 100 ათასი აზერბაიჯანელის გამოდევნა სომხეთიდან და მათი მტკვარ-არაქსის დაბლობზე დასახლება.

1923 — 7 ივლისს მთიანი ყარაბაღის სომხებით დასახლებული ნაწილის ტერიტორიაზე შეიქმნა ავტონომიური ოლქი, რომლის ცენ-

11 К ИСТОРИИ ОБРАЗОВАНИЯ НАГОРНО – КАРАБАХСКОЙ АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ ССР 1918– 1925 ДОКУМЕНТЫ И МАТЕРИАЛЫ.АЗЕРБАЙДЖАНСКОЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО. Баку — 1989. ISBN 5 – 552 - 00683 – 6 ББК 9 (С 42)

ტრი იყო ხანკენდი (მოგვიანებით დაერქვა სტეფანაკერტი). იმ დროისთვის რეგიონში მცხოვრები დაახლოებით 131 500 ადამიანიდან 94.4 % სომეხი იყო.[12] აქვე უნდა ითქვას, რომ 1926 წლის დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რუკის მიხედვით, ყარაბაღის ოლქი ლაჭინის დერეფნით უშუალოდ ესაზღვრება სომხეთს. 1930 წლის იმავე გამოცემის რუკაზე კი სომხეთთან დამაკავშირებელი ეს ტერიტორია ოლქს აღარ ეკუთვნის; ანუ ის საკითხები რაც ასწლეულების მანძილზე ომებისა და სისხლისღვრის შედეგად წყდებოდა, მოგვიანებით კი, საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად (მათ შორის, ლეგიტიმური რეფერენდუმების გზით წყდება), საბჭოთა იმპერიის დროს "მარტივად", კრემლში, სხვადასხვა ფარსის გათამაშებითა თუ რუკების გადაკეთება-გადმოკეთებით "გვარდებოდა".

1924 — 9 თებერვალს შეიქმნა "ნახჭევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", აზერბაიჯანის სსრ-ის ექსკლავი, რომელიც ესაზღვრებოდა სომხეთს, ირანსა და თურქეთს (ნახჭევანის ასსრ-ის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1926 წელს). თავდაპირველად ამ ავტონომიის ტერიტორია 5 988 კმ^2 იყო, მაგრამ შემდგომ წლებში, კრემლის მიერ საზღვრების მორიგი "შესწორების" შედეგად, მისი ფართობი 5 300 კმ^2-მდე შემცირდა. ამრიგად, თუ მეფის რუსეთმა მის მიერ პრივილეგირებულ სომხებს (ერევნის გუბერნიას) ყარაბაღის, ზანგეზურისა და ნახჭევანის რეგიონებიდან ყველაზე ნაყოფიერი — ნახჭევანი მიაკუთვნა (მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის უმრაველესობა აზერბაიჯანელი იყო), კომუნისტებმა, ქემალისტურ თურქეთთან "ძმობისა და მეგობრობის" გათვალისწინებით, სომხეთს ნახჭევანი "ჩამოაჭრეს" და სამაგიეროდ ზანგეზური "დაუთმეს". სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ, თუ არა გარკვეული გამიზნული ჩანაფიქრი სამომავლო "ეთნოკონფლიქტებისთვის" "ნაღმების ჩადებისა", შეუძლებელია აიხსნას, მაგალითად, რატომ მიენიჭა მთიან ყარაბაღს მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსი, ნახჭევანს კი — ავტონომიური რესპუბლიკის.[13]

თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის საბჭოურ-კომუნისტური იდეალებიდან გამომდინარეც, ასეთი დიფერენცირება აშკარად არაბუნებრივად ჩანს. ამ კონტექსტში საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი; სსრკ-ის ტერიტორიაზე იმ ხალხებს, რომლებსაც ჰქონდათ თაეიანთი "ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი" (ტერიტორია, რომელსაც ამ ეთნოსის მიხედვით ერქვა სახელი, მაგ. სომხეთის სსრ,

12. http://www globalsecurity org/military/world/war/nagorno-karabakh-1 htm

13. Svante E. Cornell, The Nagorno-Karabakh Conflict, Department of East European Studies Report no. 46, Department of East European Studies, Uppsala University, 1999.

უკრაინის სსრ, ბაშკირეთის ასსრ და ა.შ.), ჩვეულებრივ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფოებრივ ავტონომიურ წარმონაქმნს არ ანიჭებდნენ. მაგალითად, ავტონომია არ ჰქონდათ აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრებ რუსებს, ან უზბეკეთში მცხოვრებ ტაჯიკებს და ტაჯიკეთში მცხოვრებ უზბეკებს, ან მოლდოვაში (დნესტრისპირეთში) მცხოვრებ უკრაინელებსა და რუსებს და სხვა. ამ წესიდან გამონაკლისი იყო ყარაბაღი, ნახჭევანი და ე.წ. "სამხრეთი ოსეთი".

1936 — ახალი სამოკავშირეო კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბოლოო საზღვრებითა და სახელით ჩამოყალიბდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი.

1988 — 20 თებერვალს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (მყაო-ს) უმაღლესმა საბჭომ სსრკ-ის, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოებს მიმართა თხოვნით, რათა მთიანი ყარაბაღი გამოეყოთ აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობიდან და სომხეთის სსრ-ისთვის მიეერთებინათ. საპასუხოდ, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს მიერ 1988 წლის 21 თებერვალს მიღებულ დადგენილებაში მთიანი ყარაბაღის სომხეთთან მიერთების მოთხოვნა ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების მიერ პროვოცირებულ ქმედებად შეფასდა. ამას მოჰყვა მასშტაბური დემონსტრაციები ერევანში და არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანება "ყარაბაღის კომიტეტის" დაფუძნება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლევონ ტერ-პეტროსიანი და ვაზგენ მანუკიანი.

24 თებერვალი — მყაო-ის ტერიტორიაზე, ასკერანთან ახლოს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. 50 სომეხი დაშავდა და 2 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა (16 და 23 წლის) მოკლულ იქნა ადგილობრივი, ეთნიკურად სომეხი მილიციელის მიერ.

27 თებერვალი — ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილემ მოკლულთა ეთნიკური კუთვნილება ახსენა. რამდენიმე საათის შემდეგ ბაქოსგან 25 კმ.-ით დაშორებულ ქალაქ სუმგაითში დაიწყო სომეხი მცხოვრებლების დარბევა, რომელიც კიდევ ორი დღე გრძელდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 26 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი. კრემლმა სუმგაითის მოვლენები "ხულიგნობად" შეაფასა. მაისში კი გადადგნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიის პირველი მდივნები: ბაგიროვი და დემირჭიანი (ცხადია, კრემლის ბრძანებით).

15 ივნისი — სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა მყაო-ის თხოვნა და თავის მხრივ ასევე მიმართა სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს, რათა ამ უკანასკნელსაც დაეკმაყოფილებინა ავტონომიური

ოლქის თხოვნა.

4 ივლისი — ერევანში დემონსტრანტებმა სცადეს ზვარტნოცის აეროპორტის პიკეტირება, რასაც მოჰყვა მანიფესტაციის სასტიკი დარბევა საბჭოთა გენერალ ალბერტ მაკაშოვის მეთაურობით. ამ დროს დაიღუპა სტუდენტი, რომელიც ცდილობდა ვიდეოფირზე დაეფიქსირებინა დარბევის ფაქტები.

22 ნოემბერი — ერევანში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

24-25 ნოემბერი — ბაქოში საბჭოთა ჯარები შეიღნენ და აქაც დროებით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

5 დეკემბერი — ბაქოში, ძალის გამოყენებით, დაშალეს მიტინგი, რასაც მომდევნო დღეებში მასობრივი გაფიცვები მოჰყვა.

7 დეკემბერი — სომხეთში (სპიტაკში) ძლიერი მიწისძვრა მოხდა და 25 000-მდე ადამიანი დაიღუპა.

დეკემბერი — "ყარაბაღის კომიტეტის" წევრები დააპატიმრეს და ნახევარი წელიწადი ისინი მოსკოვის ციხეში იმყოფებოდნენ.

1989 — 12 იანვარს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა "მთიანი ყარაბაღის მართვის განსაკუთრებული კომიტეტი" და "ძალადობის ესკალაციის შესაჩერებლად" ოლქის ტერიტორიაზე ცენტრის პირდაპირი მმართველობა შემოიღო (რაც ნოემბერში გაუქმდა).

იენის-ივლისი — ბაქოში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით; ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი, რომლის ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი გახდა.

აგვისტო — აზერბაიჯანმა სარკინიგზო ბლოკადა დააწესა სომხეთისა და მყაო-ის მიმართ.

28 ნოემბერი — სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ყარაბაღის საკითხზე და რეგიონი დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამის შემდეგ ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ შეიარაღებული კონფრონტაციის ზღვარს მიაღწია.

1 დეკემბერი (1989) — სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ და მთიანი ყარაბაღის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ერთობლივი რეზოლუცია "მთიანი ყარაბაღის სომხეთთან ხელახალი გაერთიანების შესახებ". საპასუხოდ, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 10 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, სომხეთის სსრ-ის უმაღლეს საბჭოს მიეცა წინადადება შეეცვალა რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები სსრკ-ის კონსტიტუციის შესაბამისად, ანუ გაეუქმებინა მთიანი ყარაბაღის მიერთების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას სომხურმა მხარემ დეკლარაციული და

გამაღიზიანებელი უწოდა.

1990 — 15 იანვარს კრემლმა, აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოსთან შეუთანხმებლად, რასაც შესაბამისი კანონი მოითხოვდა, საგანგებო მდგომარეობა შემოიღო მყაო-ში. იანვარშივე ბაქოში გახშირდა სომეხი მოსახლეობის დარბევის ფაქტები (ძირითადად, სომხეთიდან დევნილი აზერბაიჯანელების მიერ). კრემლის ბრძანებით, ადგილობრივ მილიციას იარაღი ჩამოართვეს, რაც კიდევ უფრო ართულებდა წესრიგის შენარჩუნებას (მოგვიანებით გაირკვა, ამ განიარაღების რეალური მიზეზი).

19-20 იანვრის ღამეს, ისევ აზერბაიჯანის ხელისუფლების თანხმობის გარეშე, ბაქოსა და აზერბაიჯანის კიდევ რამდენიმე ქალაქსა და რაიონში საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები შეიდნენ და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ბაქოში საბჭოთა ჯარების შეჭრის შედეგად დაიღუპა 168 და დაიჭრა 715 მშვიდობიანი მოქალაქე (მათ შორის, ქალები და ბავშვებიც კი). აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის 11 თებერვლის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბაქოს "აღების" ოპერაციაში მონაწილეობდნენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო-სადესანტო ჯარების მსხვილი შენაერთები, ასევე უშიშროების სამსახურის (КГБ-ს) სპეცნაწილები. ამ ჯარების მიერ გახსნილი ცეცხლი მიმართული იყო საცხოვრებელი სახლებისკენ, ტანკებით ისრისებოდა მსუბუქი მანქანები. 19-20 იანვრის მოვლენები აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში "შავი იანვრის" სახელწოდებით შევიდა.

კომისიის ზემოხსენებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სსრკ-ის ცენტრალური ხელისუფლების ქმედებები არაადეკვატური იყო იმ პროცესის მიმართ, რომელიც მთიანი ყარაბაღის გარშემო ვითარდებოდა. მხოლოდ 1989 წლის აგვისტო-დეკემბერში სომხეთის ტერიტორიიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოჭრილი შეიარაღებული ჯგუფების მიერ მოკლულ იქნა 52 და დაიჭრა 166 ადამიანი. ამავე დროს, ხელოვნურად ხდებოდა მთიანი ყარაბაღის საკითხის გაჭიანურება. სომხეთიდან ძალით გამოდევნილი 215 ათასი დევნილიდან (იმ მომენტისთვის), ბაქოში იმყოფებოდა 80 ათასი, რომლებიც საცხოვრებლისა და სამუშაოს გარეშე იყვნენ დარჩენილები.

საბჭოთა ჯარების მიერ 19-20 იანვარს დახოცილ აზერბაიჯანელთა დაკრძალვას ასეულობით ათასი ადამიანი დაესწრო. იმ დღეს ათეულობით ათასმა აზერბაიჯანელმა კომუნისტმა დაწვა თავისი პარტბილეთი.

1991 — 17 მარტს აზერბაიჯანმა საკავშირო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა სსრკ-ის შენარჩუნებას, სომხეთმა კი, საქართველოს მს-

გაესად, ბოიკოტი გამოუცხადა ამ რეფერენდუმს (აქვე უნდა ითქვას, რომ 17 მარტის საბჭოთა რეფერენდუმი არ ჩატარებულა ნახჭევანის ტერიტორიაზე).

მაის-ივნისში საბჭოთა არმიისა და აზერბაიჯანის სამხედრო შენაერთებმა მყაო-ის ჩრდილოეთის 26 სოფლიდან 10 ათასზე მეტ ეთნიკურ სომეხს დაატოვებინეს სახლ-კარი და აიძულეს სომხეთში გადასულიყვნენ (სომხური წყაროების ცნობით, ამ ოპერაციამ 150 მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა).

19-21 აგვისტო — მოსკოვში წარუმატებლად დასრულდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც კრემლის მაღალჩინოსანთაგან შემდგარი თვითგამოცხადებული ორგანოს — "საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის" (ე.წ. "გეკაჩეპეს") მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად ისახავდა პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენებას, ასევე 20 აგვისტოს დაგეგმილი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის ჩაშლას. ამის შემდეგ აშკარა გახდა, რომ სსრკ განწირული იყო.

1991 — 30 აგვისტოს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ".

2 სექტემბერი (1991) — მთიანი ყარაბაღის უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის ნაცვლად "მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა" დააფუძნა.

3 სექტემბერი — ჰეიდარ ალიევი ნახჭევანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს (მისი ინიციატივით, ნოემბერში ავტონომიის სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვები "საბჭოთა" და "სოციალისტური").

21 სექტემბერი — სომხეთში გაიმართა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და 23 სექტემბერს სომხეთის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

23 ნოემბერი (1991) — აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ უკანონოდ ცნო ბაქოს ეს გადაწყვეტილება.

10 დეკემბერი — მყაო-ის ტერიტორიაზე გაიმართა "დამოუკიდებლობის რეფერენდუმი", რომლის საფუძველზე 1992 წლის 6 იანვარს "მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პარლამენტმა" დამოუკიდებლობა გამოაცხადა (არც ამ რეფერენდუმს და არც დამოუკიდებლობას საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს).

25 დეკემბერი — სსრკ-ის დამფუძნებლებს: რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსს შორის ახალი — ბელოვეჟსკის ხელშეკრულების გაფორ-

შების შემდეგ (8 დეკემბერი), პრეზიდენტი გორბაჩოვი გადადგა და საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. ამ დროიდან კრემლის ქმედებები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბევრად უფრო "უცერემონიო" გახდა, რადგან ყოველგვარი ფორმალური შეზღუდვებისგან თავისუფალი იყო. ამიერკავკასიაში მისი ყველა სამხედრო ბაზა ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა და სწორედ მათი აქტიური გამოყენებით კრემლმა დაიწყო იმ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი მიზნის — სამივე რესპუბლიკის დსთ-ში (ანუ თავისი გავლენის სფეროში) შეყვანისთვის გადამწყვეტი ბრძოლა. ჯერ კიდევ 21 დეკემბერს საქართველოში დაიწყო მის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობითა და საქართველოს ხელისუფლებაში კრიმინალების: კიტოვანი-იოსელიანის "სამხედრო საბჭოს" მოსვლით დასრულდა. პარალელურად, 1992 წლიდან სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა და მასშტაბური ომის სახე მიიღო, რაც, უპირველესად, სწორედ კრემლისა და მისი სამხედრო ბაზების "დამსახურება" იყო.

1992 — 27 თებერვალს სომხური შენაერთები და რუსეთის ჯარები (ყოფილი საბჭოთა 366-ე მოტომსროლელი დივიზიის ნაწილები) აზერბაიჯანულ ქალაქ ხოჯალიში შეიჭრნენ და შემდეგ აქ ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო პირველი საკვანძო გამარჯვება სომხური ძალებისთვის; მართალია, ხოჯალი პატარა ქალაქი იყო, სულ 7 ათასი მცხოვრებით, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის აგდამ-სტეფანაკერტის/ხანკენდის მაგისტრალზე მდებარეობის გამო მისი დაკარგვა აზერბაიჯანელთათვის დიდი წარუმატებლობა იყო. სხვადასხვა წყაროს ცნობით, სულ მცირე 600-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა ხოჯალის აღების შემდეგ, როცა აზერბაიჯანელი სამხედროები უკვე გასული იყვნენ ქალაქიდან.[14]

(მოგვიანებით ხოჯალის სასაკლაოს ფაქტი დაადასტურა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია "მემორიალის" სპეციალურმა მისიამაც).[15]

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მათთვის გასაკვირი არ იყო რუსეთის ტანკებისა და არტილერიის მონაწილეობა სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში, მაგრამ მოულოდნელი იყო რუსეთის ჯარისკაცების მონაწილეობა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში. უცხოელთა დაკვირვებით, ეს შემთხვევითი არ იყო და ამ ქმედების მიზანს სწორედ ის წარმოადგენდა, რაც ხოჯალის სასაკლაოს მოჰყვა, ანუ ეთ-

14. http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm
15 http://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/ch0102.htm

ნიკური სომხების მიმართ აზერბაიჯანელი მოსახლეობის სიძულვილის მაქსიმალური გამძაფრება. ხოჯალიდან ლევნილები ბაქოს მიაწყდნენ, სადაც ვითარება უკიდურესად დაიძაბა, დაიწყო ქაოსური პროცესები. მოსახლეობის ფართო ფენები ჩაებნენ კონფლიქტში, ეთნიკურ დაპირისპირებაში. ანალიტიკოსები შენიშნავენ, რომ ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად 366-ე დივიზიამ "ხელსაყრელი შანსი" მართლაც "დროულად" გამოიყენა; ასეთი შესაძლებლობა მას შემდეგ აღარ მიეცემოდა, რადგან, წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, კრემლმა ქვედანაყოფი მარტში გაიყვანა აზერბაიჯანიდან.[16]

6 მარტი — პრეზიდენტი მუტალიბოვი გადადგა და დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა, მოგვიანებით, მუტალიბოვმა სცადა პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნება.

24 მარტი — ეუთომ 11 ქვეყნის მონაწილეობით შექმნა მინსკის საკონტაქტო ჯგუფი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

14 მაისი — აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა მუტალიბოვის თხოვნა მისი თანამდებობაზე აღდგენისა და დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმების შესახებ. საპასუხოდ, 15 მაისს, დილით, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა დაიწყო მიტინგი და ულტიმატუმი წაუყენა მუტალიბოვს — დღის 3 საათამდე გადამდგარიყო. ვადის გასვლის შემდეგ მომიტინგეებმა მსუბუქი წინააღმდეგობის გადალახვით დაიკავეს უმაღლესი საბჭოსა და პრეზიდენტის სასახლე, მუტალიბოვი კი რუსეთში გაიქცა.

16 მაისი (1992) — სომხეთი დსთ-ის წევრი გახდა. აზერბაიჯანი და საქართველო, მოგვიანებით, კრემლის მიერ უკვე "სამაგალითოდ დასჯილები" გახდნენ დსთ-ის წევრები (შესაბამისად, 1993 წლის 24 სექტემბერსა და 8 ოქტომბერს).

18 მაისი — ანალიტიკოსები სწორედ დსთ-ში გაწევრიანებას უკავშირებენ მაისის შუა რიცხვებში სომხური ძალების მთავარ წარმატებას, რომელიც დაიწყო ყარაბაღელ აზერბაიჯანელთა მთავარი ქალაქის — შუშის აღებით და 18 მაისს სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელი ლაჭინის რაიონის (ცნობილი "ლაჭინის დერეფნის") დაკავებით დასრულდა.

21 მაისი — ხელმოწერილ იქნა შეთანხმება რუსეთის სამხედრო ბაზების სომხეთის ტერიტორიაზე დარჩენის შესახებ, რის შემდეგაც სომხურმა ჯარებმა კიდევ ერთ საკვანძო წარმატებას მიაღწიეს (1997 წელს გამოქვეყნდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, გენერალ ლევ როხლინის მოხ-

16. Svante E. Cornell, The Nagorno-Karabakh Conflict, Report no. 46, Department of East European Studies, Upsala University, 1999, p. 55. www.silkroadstudies.org/new/.../1999_NK_Book.pdf

სენება, რომელშიც დადასტურებულია რუსეთის სამხედრო ბაზებიდან სომხური მხარისთვის იარაღის არალეგალური მიწოდების ფაქტები).

მაისში ვითარება დაიძაბა ასევე ნახჭევანში. თურქეთი დაემუქრა სომხეთს, რომ ამ რეგიონში შესვლა თურქეთთან ომის დაწყებას ნიშნავდა. საპასუხოდ, ერევანში ჩაფრინდნენ რუსეთის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი გენადი ბურბულისი და თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. თურქეთის "დამშვიდებაში" თავისი წვლილი შეიტანა თეთრმა სახლმაც და კონფლიქტის კიდევ უფრო დიდი ესკალაცია თავიდან იქნა აცილებული.

7 ივნისი (1992) — აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში სახალხო ფრონტის ლიდერმა, აბულფაზ ელჩიბეიმ (ალიევმა) გაიმარჯვა. ელჩიბეის ნამდვილი გვარი იყო ალიევი და ჰეიდარ ალიევის მსგავსად ისიც ნახჭევანში დაიბადა. ელჩიბეის გვარით ის 1980-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა ("ელჩიბეი" აზერბაიჯანულად "ხალხის წარმომადგენელს" ნიშნავს).

4 ივლისი — აზერბაიჯანელმა პოლკოვნიკმა სურეთ ჰუსეინოვმა ლამის ეროვნული გმირის მანტია მოისხა, როცა აზერბაიჯანელთა წარმატებული ზაფხულის შეტევის შედეგად ჯერ მთიანი ყარაბაღის ჩრდილო ნაწილის მთავარი ქალაქი — მარდაკერტი აიღო, შემდეგ კი, 26 აგვისტოს, სტრატეგიული მარდაკერ-ქელბაჯარის მაგისტრალიც დაიკავა. ობიექტურ უცხოურ წყაროებში დაფიქსირებულია, რომ ჰუსეინოვს არც სამხედრო განათლება ჰქონდა, არც გამოცდილება და მისი "გმირობის" რეალური მიზეზი განჯაში განლაგებული რუსეთის (ყოფილი საბჭოთა 104-ე საჰაერო-სადესანტო) დივიზიის აქტიური მხარდაჭერა იყო.

ამ შემთხვევაში კრემლი აზერბაიჯანს დაეხმარა იმ იმედით, რომ ელჩიბეი დათანხმდებოდა დსთ-ში შესვლაზე, მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტისგან, საბოლოოდ, მაინც უარი მიიღო. ამას მოჰყვა ეთნიკური დაძაბულობის კიდევ ორი ახალი კერის გაჩენა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — ჩრდილოეთით გააქტიურდა ლეზგების ორგანიზაცია "სადვალი", სამხრეთით კი, ლენქორანის რაიონში, თალიშთა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (თალიშები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობის — კასპების შთამომავლებად ითვლებიან; თუმცა დღევანდელი თალიშური ენა ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება და თურქულენოვანი ოგუზ-სელჩუკების გამოჩენამდე ფართოდ იყო გავრცელებული აზერბაიჯანის ტერიტორიის ძირითად ნაწილზე).

ნოემბერი — ჰეიდარ ალიევმა ნახჭევანში დააარსა პოლიტიკური გაერთიანება "იენი აზერბაიჯან" (ახალი აზერბაიჯანი), რომელიც მოგვიანებით ამ ქვეყნის მმართველი პარტია გახდა.

1993 — თებერვალში ჰუსეინოვმა თავისი ჯარები გამოიყვანა მარდაკერტიდან. სომხებმა მაშინვე დაიკავეს ქალაქი და მათ გზა გაეხსნათ ქელბაჯარისკენ. ელჩიბეიმ აზერბაიჯანის არმიიდან დაითხოვა ჰუსეინოვი და მოგვიანებით მის დაპატიმრებასაც აპირებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. აზერბაიჯანის არმიიდან გაძევებული ჰუსეინოვი, რომელიც, რეალურად, არც მანამდე ექვემდებარებოდა ერთიან სარდლობას, თავისი ჯარით განჯაში დაბანაკდა.

28 მაისი — წინასწარ შეთანხმებულ ვადაზე ადრე განჯიდან გაიყვანენ ყოფილი საბჭოთა 104-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის უკანასკნელი ქვედანაყოფები და შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ჰუსეინოვს დაუტოვეს. ელჩიბეის სამთავრობო ძალებმა სცადეს განჯაში შესვლა და ჰუსეინოვის დაპატიმრება, მაგრამ უშედეგოდ. ჰუსეინოვის დასაპატიმრებლად განჯაში ჩასულმა გენერალურმა პროკურორმა იხთიარ შირინოვმა, პირიქით, ელჩიბეის დაპატიმრების ორდერი გასცა. ჰუსეინოვის ჯარები ბაქოსკენ დაიძრნენ.

9 ივნისი — ელჩიბეის მიწვევით ბაქოში ჩაიდა ჰეიდარ ალიევი, რომელიც 15 ივნისს აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 18 ივნისს ელჩიბეი ნახჭევანში, მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და, ფაქტობრივად, ძალაუფლება ალიევს გადასცა, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა აშბოხებულ ჰუსეინოვთან (ამერიკული რეპორტიორი თომას გოლტცი შენიშნავს, რომ ელჩიბეის ოთხი დათანხმება გადადგომაზე საქართველოს პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობის პრეცედენტითაც იყო განპირობებული). სურეთ ჰუსეინოვი კი აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრობას დასჯერდა (მას პრეზიდენტობა სურდა ან ამ პოსტზე მუტალიბოვის დაბრუნება).

21 ივნისი — აზერბაიჯანის არმიის პოლკოვნიკმა, ეთნიკურად თალიშმა, ალიკრამ გუმატოვმა "თალიშ-მუღანის ავტონომიური რესპუბლიკის" შექმნა გამოაცხადა. მანვე, 2-3 აგვისტოს აზერბაიჯანის პრემიერ ჰუსეინოვთან შეხვედრის შემდეგ, იმ მომენტისთვის აზერბაიჯანის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ჰეიდარ ალიევის გადადგომა და აიაზ მუტალიბოვის დაბრუნება მოითხოვა. ლენქორანში გამართული მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად, დაარსებიდან ორი თვეში, 23 აგვისტოს, "თალიშ-მუღანის ავტონომიურმა რესპუბლიკამ" არსებობა შეწყვიტა; გაქცეული გუმატოვი მოგვიანებით დააპატიმრეს

და საკვდილი მიუსაჯეს, თუმცა, ევროსაბჭოს აქტიური ჩარევის შედეგად, 2004 წელს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა იგი შეიწყალა და ამჟამად პოლანდიაში ცხოვრობს.

იულის-აგვისტო — სომხურმა ძალებმა დაიკავეს აგდამის, ქუბათლისა და ფიზულის რაიონები. ალიევმა შეაჩერა ხელშეკრულების გაფორმება დასავლურ ნავთობკომპანიებთან აზერბაიჯანის ნავთობსაბადოების განვითარებასთან დაკავშირებით (ამ ხელშეკრულებას სრული მხარდაჭერა პქონდა ელჩიბეის მხრიდან და მის ხელმოწერას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კრემლი).

სექტემბერი — ბრძოლები დროებით შეწყდა. ალიევისა და ელჩიბეის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის საზღვარზე ირან-თურქეთთან რუსეთის ჯარები ჩაღგებოდნენ, თუმცა, მოგვიანებით, ალიევმა შეცვალა პოზიცია და კრემლს აზერბაიჯანში ჯარების შეყვანაზე უარი უთხრა.

3 ოქტომბერი (1993) — პეიდარ ალიევი აზერბაიჯანის პრეზიდენტად აირჩიეს. იმავე პერიოდში ბრძოლები განახლდა და სომხებმა აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ზანგელანის რაიონი დაიკავეს.

12 ნოემბერი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია (# 844), რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურა "აზერბაიჯანისა და რეგიონის სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტისადმი პატივისცემა და მათი ტერიტორიული მთლიანობა", ასევე "საერთაშორისო საზღვრების ურღვევობა და ძალის გამოყენებით ტერიტორიათა მითვისების დაუშვებლობა" და კიდევ ერთხელ მოითხოვა "საბრძოლო მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა", ასევე "საოკუპაციო ძალების გაყვანა აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიებიდან". ეს რეზოლუცია იყო რიგით მეოთხე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ 1993 წელს მიიღო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. თუმცა, ამ რეზოლუციის მოთხოვნებიც, მისი წინამორბედების მსგავსად (# 822, # 853, # 874), შეუსრულებელი დარჩა.

1993-1994 — დეკემბერ-იანვარში აზერბაიჯანის ჯარებმა ახალი შეტევა წამოიწყეს, მაგრამ მხოლოდ დროებით წარმატებებს აღწევდნენ და მოკლე დროში ისევ კარგავდნენ ცოტა ხნის წინ მოპოვებულ ტერიტორიებს.

აპრილი — სომხებმა კონტრშეტევა წამოიწყეს მდინარე მტკვრის მიმართულებით და სცადეს ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანის მოწყვეტა დანარჩენი აზერბაიჯანისგან, მაგრამ მათი მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

მაისი — აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის წარმომადგენელთა მონაწილეობითა და დსთ-ის (ანუ, რეალურად, კრემლის)

შუამავლობით, ყირგიზეთში გაფორმდა ე.წ. ბიშკეკის პროტოკოლი და 12 მაისს ცეცხლი შეწყდა. იმ დროიდან დღემდე მთიან ყარაბაღს თითქმის მთლიანად სეპარატისტები აკონტროლებენ, ხოლო რეგიონის გარშემო მდებარე აზერბაიჯანის 7 რაიონი ოკუპირებულია სომხური ძალების მიერ. ეს რაიონებია: აგდამი, ზანგელანი, ლაჭინი, ქელბაჯარი, ქუბათლი, ფიზული და ჯაბრაილი.

შეთანხმების მიხედვით, 24 მაისიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, კონფლიქტის ზონაში, რუსეთის "სამშვიდობო" ჯარები უნდა განლაგებულიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ აზერბაიჯანის მთავრობამ ამჯერადაც არ დაუშვა რუსეთის ჯარების შესვლა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე.

20 სექტემბერი — ალიევმა, დასავლეთის ნავთობკომპანიებთან ერთად, ხელი მოაწერა "აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობკონსორციუმის" შექმნის შეთანხმებას, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ ელჩიბეის დროს მზადდებოდა და რომლის საფუძველზეც შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი განხორციელდა (ნავთობსადენი ზოგ ადგილას მხოლოდ 10-20 კმ-ით არის დაშორებული სომხეთის საზღვარს და ასევე აზერბაიჯანის დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიებს).

30 სექტემბერი (1994) — აზერბაიჯანის პარლამენტის ვიცე-სპიკერისა და პრეზიდენტის დაცვის უფროსის მკვლელობის გამო პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის სამი წევრი დააკავეს. მეორე დღეს სპეცრაზმის ყოფილმა მეთაურმა და იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ რაეშან ჯავადოვმა შტურმით აიღო პროკურატურის შენობა და სამივე დაკავებული გაათავისუფლა. ალიევმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აჯანყებულმა სამხედრო ჯგუფებმა განჯაში საკვანძო შენობები დაიკავეს, თუმცა, ალიევმა მოლაპარაკების გზით მოახერხა სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილება. ამის შემდეგ პრემიერი ჰუსეინოვი რუსეთში გაიქცა (მისი ექსტრადიცია სამი წლის შემდეგ მოხდა და, სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, თუმცა 2004 წელს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შეიწყალა და ამჟამად თავისუფალია).

დეკემბერი — ბუქარესტის სამიტზე ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებად რუსეთი და შვედეთი დაამტკიცეს (1995 წელს ეს უკანასკნელი ფინეთმა შეცვალა).

22 დეკემბერი — მთიანი ყარაბაღის პარლამენტმა რობერტ ქოჩარიანი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია (1996 წლის ნოემბერში ის რეგიონის მოსახლეობის მიერ იქნა არჩეული პრეზიდენტად).

1997 — იანვარ-თებერვალში, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები გახდნენ აშშ და საფრანგეთი, რომელმაც ფინეთი შეცვალა (რუსეთი 1992 წლიდან იყო ამ ჯგუფის თანათავმჯდომარე).

მარტი — ქოჩარიანი სომხეთის პრემიერად დაინიშნა.

ივნის-ივლისი — კონფლიქტის მოგვარების მინსკის ჯგუფის მიერ მოშზადებულ წინადადებათა "მთლიანი პაკეტი" აშშ-ში განიხილეს პრეზიდენტებმა ბილ კლინტონმა და ჰეიდარ ალიევმა. მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობამ უარყო "მთლიანი პაკეტით" გათვალისწინებული გეგმა. სექტემბერში მინსკის ჯგუფმა, სამშვიდობო გეგმის "მთლიანი პაკეტის" ნაცვლად, კონფლიქტის მოგვარების ფრაგმენტირებული, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად განსახორციელებელი, ე.წ. „ნაბიჯ-ნაბიჯ წინადადებები" შეიმუშავა.

ოქტომბერ-ნოემბერი — ეუთოს სამშვიდობო პროექტების შესახებ მთიანი ყარაბაღის "პრეზიდენტმა" გუკასიანმა განაცხადა, რომ შესაძლებელია მთიანი ყარაბაღის "კონფედერაციული ურთიერთობა" აზერბაიჯანთან, მაგრამ არა მისი დაქვემდებარება ბაქოსადმი. პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანმა საჯაროდ აღიარა კომპრომისის აუცილებლობა, რასაც ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

1998 — იანვარში გამართულ სომხეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაჟღენიანმა პირებმა: რობერტ ქოჩარიანმა, ვაზგენ სარგსიანმა და სერჟ სარგსიანმა მხარი არ დაუჭირეს მინსკის ჯგუფის წინადადებებს და იმ კომპრომისს, რომელზეც ტერ-პეტროსიანი თანახმა იყო.

3 თებერვალი — პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი გადადგა.

მარტი — ქოჩარიანმა გაიმარჯვა სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში.

მაისი — სომხეთის საპარლამენტო არჩევნები მოიგო ახალმა საარჩევნო გაერთიანებამ ვაზგენ მანუკიანისა (რესპუბლიკური პარტია) და კარენ დემირჭიანის (სახალხო პარტია) მეთაურობით.

11 ივნისი — ვაზგენ სარგსიანი პრემიერი გახდა, დემირჭიანი კი პარლამენტის სპიკერად აირჩიეს.

ოქტომბერი — პრეზიდენტები: ალიევი და ქოჩარიანი სომხეთ-ნახჭევანის საზღვარზე ერთმანეთს შეხვდნენ და "ტერიტორიების გაცვლის" გეგმა განიხილეს. ამას მოჰყვა რამდენიმე მაღალჩინოსნის დემონსტრაციული გადადგომა ალიევის გარემოცვიდან.

27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში შეიჭრა შეიარაღებული ჯგუფი და სხდომათა დარბაზში ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც მოკლულ იქნა ახალი პოლიტიკური გაერთიანების 8 ლიდერი, მათ შო-

რის, პრემიერი სარგსიანი და სპიკერი დემირჭიანი.

29 ოქტომბერი — თურქეთში, მასპინძელი ქვეყნის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და უზბეკეთის ლიდერებმა, ასევე აშშ-ის ენერგეტიკის მდივანმა, ხელი მოაწერეს "ანკარის დეკლარაციას", რომელიც ნავთობ-ენერგეტიკულ სფეროში, უპირველესად კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით თანამშრომლობას ეხებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც 1997 წლის ზაფხულში ნეჩმეთინ ერბაქანის ისლამისტური მთავრობა გადადგა, თურქეთი ბევრად უფრო აქტიურად ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დასავლური პროექტის დამტკიცებისა და განხორციელებისთვის, რაც ამიერკავკასიაში (რუსეთის "გავლენის ზონაში") მის "შემოჭრასაც" გულისხმობდა (ამ პროექტთან დაკავშირებით საბოლოო საძთავრობათშორისო ხელშეკრულება 1999 წელს გაფორმდა და ნავთობსადენი 2005 წლიდან ფუნქციონირებს).

2000 — მარტში ყარაბაღის პრეზიდენტ გუკასიანზე განხორციელდა თავდასხმა და ის მძიმედ დაიჭრა. ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბაბაიანი დააპატიმრეს.

2001 — იანვარ-მარტში აზერბაიჯანი და სომხეთი ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ.

რუსეთის ინიციატივით, სომხურ-აზერბაიჯანულ მხარეებს შესთავაზეს "საერთო სახელმწიფოს" კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა "მსუბუქი" კონფედერაციული ხელშეკრულების გაფორმებას მთიან ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის. ბაქომ უარყო ეს პროექტი იმ მოტივით, რომ იგი, ფაქტობრივად, არსებული სტატუს კვოს დაკანონებას გულისხმობდა.[17]

ანალიტიკოსთა აზრით, "საერთო სახელმწიფოს" პროექტის შეთავაზება კრემლის მიერ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მოლაპარაკებათა პროცესის იმიტაციას და შექმნილი ჩიხური ვითარების გახანგრძლივებას ისახავდა მიზნად (მსგავსი პროექტები შემოთავაზებული იყო საქართველოსა და მოლდოვაში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლადაც).

2002 — მარტში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააუქმა "შშაღობის მხარდამჭერი აქტის" 907-ე შესწორება, რომელიც 1992 წელს იყო მიღებული და კრძალავდა აზერბაიჯანის მიმართ ამერიკის ნებისმიერ დახმარებას, ჰუმანიტარულის გარდა.

2003 — იანვარში ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა ღიად გააკრიტიკა პრეზიდენტი ქოჩარიანი, რომელმაც განაცხადა, რომ სომხებისა და აზერბაიჯანელების "ეთნიკური შეუთავსე-

17 http://www.caciranalyst.org/?q=node/242

ბლობის" გამო, მათი ერთ სახელმწიფოში ცხოერება შეუძლებელიაო.

თებერვალი-მარტი — სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ქოჩარიანმა ხმათა 60% მიიღო, თუმცა მანამდე ოპოზიციის დემონსტრაციებისას, 250-მდე აქტივისტი დააკავეს.

4 აგვისტო — აზერბაიჯანის პარლამენტმა ჰეიდარ ალიევის ვაჟი პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა. იმავე წლის ოქტომბერში ილჰამ ალიევი აზერბაიჯანის პრეზიდენტად აირჩიეს, დეკემბერში კი ჰეიდარ ალიევი გარდაიცვალა.

2005 — 25 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (#1416), რომელშიც წუხილი გამოხატა, იმის გამო, რომ "ასეულობით ათასი ადამიანი ისევ დევნილია და უმძიმეს პირობებში ცხოვრობს", რომ "სომხური ძალების მიერ ისევ ოკუპირებულია აზერბაიჯანის ტერიტორიები". იქვე აღნიშნულია, რომ სამხედრო შეტაკებებსა და ეთნიკურ მტრობას მივყავართ "ეთნიკური ჯგუფის ფართომასშტაბიანი გამოდევნისკენ და მონოეთნიკურ არეთა წარმოქმნისკენ, რაც ეთნიკური წმენდის საშინელ კონცეფციას ემსგავსება". რეზოლუციაში ასამბლეა "ადასტურებს, რომ სახელმწიფოსგან რეგიონის ტერიტორიის სეცესია და მის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი და მშვიდობიანი პროცესის მეშვეობით (რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ ტერიტორიის მცხოვრებთა დემოკრატიულ მხარდაჭერას) და არა შეიარაღებული კონფლიქტის გზით, რასაც მოჰყვება ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა გაძევება და სხვა სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიის ფაქტობრივი ანექსია. ასამბლეა კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია წევრი სახელმწიფოს მიერ არის ამ უკანასკნელის მხრიდან თავისი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებათა უხეში დარღვევა". [18]

იმ დღეებშივე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში აზერბაიჯანის დელეგაციამ გაავრცელა დოკუმენტი „ოკუპაციის შედეგად აზერბაიჯანისთვის მიყენებული ზარალის გამო სომხეთის რესპუბლიკისთვის დასაკისრებელი პასუხისმგებლობა და სომხეთის მიერ გადასახდელი კონტრიბუცია". [19]

დოკუმენტის თანახმად, უკვე 15 წელია სომხეთის მიერ ოკუპირებულია აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% და აზერბაიჯანული მხარე სომხეთის აგრესიას 60 მლრდ. დოლარად აფასებს.

2006 — იელისში ოფიციალურად გაიხსნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის

18 http://assembly.coe.int/documents/adoptedtext/ta05/eres1416.htm

19http://www.demaz.org/cgi-bin/e-cins/vis/vis.pl?s=001&p=0038&n=000590&g

ნავთობსადენი და კასპიის ნავთობი, რუსეთის გეერდის აცლით, ხმელთაშუა ზღვის პორტიდან ევროპას მიეწოდება.

7 სექტემბერი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (A/RES/60/285), რომელშიც გამოხატულია შეშფოთება "აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე" ეპიზოდური მცირე შეტაკებების გამო.

2007 — ნოემბერში გაიმართა ეუთოს მინსკის ჯგუფისა და სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც შემუშავებულ იქნა კონფლიქტის მოგვარების ე.წ. მადრიდის პრინციპები:

1) მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული ტერიტორიების დაბრუნება აზერბაიჯანის კონტროლქვეშ.

2) მთიანი ყარაბაღისთვის დროებითი სტატუსის მინიჭება, რაც უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებასა და თვითმმართველობას.

3) დერეფანი, რომელიც სომხეთს დააკავშირებს მთიან ყარაბაღთან.

4) მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსის განსაზღვრა ხალხის ნების გამოხატვით, რასაც საეალდებულო სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

5) ყველა იძულებით გადაადგილებული პირის უფლება დაბრუნდეს თავის სახლ-კარში.

6) უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები, რაც მოიცავს სამშვიდობო მისიათა განხორციელებასაც.

სომხეთისა და აზერბაიჯანის მასმედიაში განსაკუთრებით დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მე-4 პუნქტმა, რომელშიც, საკარაუელოდ, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე რეფერენდუმის გამართვა იგულისხმება.

2008 — მარტში აზერბაიჯანულ და სომხურ შენაერთებს შორის მცირე შეტაკებები მოხდა. ორივე მხარე ერიმანეთის ადანაშაულებდა შეტაკებათა პროვოცირებაში.

ოქტომბერი — ილჰამ ალიევი მეორე ვადით აირჩიეს აზერბაიჯანის პრეზიდენტად.

2 ნოემბერი — მოსკოვთან ახლოს, მაიენდორფში, რუსეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას „მადრიდის პრინციპებს" საფუძველზე.

2009 — 22 ნოემბერს მიუნხენში დაიწყო სამიტი, რომელზეც ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხებს განიხილავდნენ. მოგვიანებით, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სომხეთი დათანხმდა საწყის ეტაპზე თავისი ჯარები გაეყვანა აზერბაიჯანის 5 რაიონიდან, შემდეგ კი

დანარჩუნი ორი: ლაჭინისა და ქელბაჯარის რაიონიდანაც.

2010 — 15 მარტს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამადიაროვმა ჟურნალისტებს გააცნო ზოგადი სქემა, რომელიც მადრიდის პრინციპებს ემყარება და რომლის მიღებასაც სთავაზობს მინსკის ჯგუფი სომხურ მხარეს. ეს სქემა, არსებითად, ემთხვევა 2009 წელს მასმედიაში გაჟრცელებულ ვარიანტს — აზერბაიჯანს თავდაპირველად დაუბრუნდება აგდაშის, ფიზულის, ჯაბრაილის, ზანგელანისა და ქუბათლის რაიონები, ასევე ლაჭინის 13 სოფლის ტერიტორია და შემდეგ აქ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები განლაგდებიან. სწორედ მათ დაეკისრებათ ამ რაიონებში დაბრუნებულ აზერბაიჯანელ ლევნილთა უსაფრთხოების დაცვა.

23 ივნისი — ირანის ელჩმა სომხეთში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა წინააღმდეგია ამერიკელების მონაწილეობისა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში, რომელიც შესაძლოა დაიწყოს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ფარგლებში. ელჩის თქმით, აშშ დაინტერესებულია თავისი ჯარები განალაგოს ფიზულის რაიონში, რომელიც ირანს ესაზღვრება (არაერთი ექსპერტი სკეპტიკურად აფასებს ირანის ელჩის ვარაუდს და მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაცია ნამდვილად არ უნდა იყოს მოწადინებული, თავისი ჯარები მსოფლიოს კიდევ ერთ "ცხელ წერტილში" განალაგოს).

26 ივნისი — გამოქვეყნდა აშშ-ის, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მათ მიერ შემუშავებული ძირითადი პრინციპები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად. ეს პრინციპები, ფაქტობრივად, იმეორებს მადრიდის პრინციპებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ნახსენები არ არის სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელი "დერეფანი".

საქართველოსთან მიმართება

1980-იანი წლების დასასრულს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ "პერესტროიკა" კრემლის მიერ მონიშნულ ჩარჩოებს გასცდა და წინასწარ დაგეგმილი გეზით აღარ ვითარდებოდა. მოკავშირე რესპუბლიკებში ცენტრიდანული ტენდენციის გაძლიერება საბჭოთა იმპერიას დაშლით ემუქრებოდა, ამიტომ კრემლმა ყველა შესაძლო ბერკეტი აამუშავა რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ანტიცენტრისტული მიმართულების შესაცელელად და შოვინიზმ-ნა-

ციონალიზმის, შეუწყნარებლობისა და ურთიერთმტრობის "რელსებზე" გადასაყვანად. ეს, საბოლოოდ, სამოქალაქო დაპირისპირებამდე და "ეთნოკონფლიქტებამდე" მიიყვანდა ამ რესპუბლიკებს; ამ შემთხვევაში კი კრემლს, უპირველესად, სამხედრო ბაზების მეშვეობით, საშუალება მიეცემოდა თავისი სურვილისდა მიხედვით ემართა "ეთნიკური" თუ "სამოქალაქო ომები" და მორჩილი ძალები მოეყვანა რესპუბლიკათა ხელისუფლების სათაეში.

სსრკ-ის ტერიტორიაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები განსაკუთრებით ძლიერი იყო ბალტიის ქვეყნებსა და ამიერკავკასიაში. ეთნიკურ ნიადაგზე ბალტიის ქვეყნების ურთიერთგადამტერება ან მათ შიგნით ეთნოკონფლიქტების გაჩაღება, სხვადასხვა ფაქტორის გამო, კრემლმა ვერ მოახერხა და ძირითადი აქცენტი ეკონომიკურ ბლოკადაზე გადაიტანა. სულ სხვა ვითარება იყო ამიერკავკასიაში, რომლის ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნება და რთული ისტორიული წარსული "საუკეთესო ნიადაგს" ქმნიდა "ეთნოკონფლიქტების" პროვოცირებისთვის; მით უფრო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის დამფუძნებელთა მიერ აქ ჩაიდო "შენელებული მოქმედების ნაღმები", "საჭიროების შემთხვევაში", ამიერკავკასიის "ასაფეთქებლად". სწორედ ეს მოხდა 1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში — კრემლმა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა "ეთნოკონფლიქტებისა" თუ "სამოქალაქო ომების" ხანძარში გახვია.

საბჭოთა პერიოდში და სსრკ-ის დაშლის შემდეგაც, კრემლის პროპაგანდისტული მანქანა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ცეცხლში გახვეული ამიერკავკასიის შესახებ მსოფლიოს დაეჯერებინა კრემლის მიერვე შეთხზული მითი, რომლის თანახმად, საერთოდ, კავკასიელები ველურები არიან და ოდითგან ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დაკავებული; დაიშალა რუსეთის იმპერია და ისინი ისევ დაერიენენ ერთმანეთს, დაიშალა საბჭოთა კავშირი და იგივე მეორდება, ანუ ამ ხალხების "მოვლა-დაწყნარება" მხოლოდ კრემლს შეუძლია და თქვენ — საერთაშორისო საზოგადოებას, განსაკუთრებით, ცივილიზებულ დასავლეთს, ამ "ველურებთან" არაფერი გესაქმებათ.

ამიერკავკასიაში მომხდარ იმდროინდელ მოვლენებს ერთმანეთთან ამსგავსებს და აკავშირებს, უწინარესად, სწორედ ეს — კრემლის ფაქტორი, "კრემლის ხელი", რომელიც ყველგან შუღლს აღვივებდა და რომლის კვალი დღეს უკვე ნამდვილად აშკარად ჩანს. სომხურ-აზერბაიჯანული ომის ერთ-ერთი თვითმხილველი, ამერიკელი რეპორტიორი თომას გოლტცი, კრემლის კვალთან დაკავშირებით, თავის "აზერბაი-

ჯანულ დღიურში" ფიგურალურად ამბობს, რომ, მართალია, კრემლის (რუსული) "ავტომატის პოვნა, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდის, რთულია, მაგრამ აქ ყველგან მასრებია მიმოფანტული".[20]

ამ "მასრებს" თვითმხილველები, კავკასიელთა დიდი ნაწილი და ასეთ საკითხებში ჩახედული სპეციალისტები თავიდანვე ხედავდნენ, მაგრამ კრემლის საინფორმაციო საშუალებებთან და ტერორთან ბრძოლა იოლი არ არის (გავიხსენოთ, რამდენი დამოუკიდებელი ჟურნალისტის მკვლელობა ან რამდენი ტელეარხისა და გაზეთის დახურვა-"მოთვინიერება" ედება ბრალად კრემლს); მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთის ყურადღება, უპირველესად, ყოფილი იუგოსლავიისა და ქუვეით-ერაყში მიმდინარე მოვლენებზე იყო კონცენტრირებული.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც, დასავლეთმა ამიერკავკასია, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთს დაუთმო და კრემლმა ამ რესპუბლიკების გასაბჭოება-დამორჩილება თუ მათი საზღვრების გადაკეთა-გადმოკეთება მისთვის ჩვეული ცინიზმითა და დამთრგუნველი სისასტიკით განახორციელა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუ როგორ ხდებოდა ყარაბაღისა და ნახჭევანის ავტონომიურ წარმონაქმნთა "ქაღალდზე" გადაცემა-გადმოცემა ან საზღვრების "შესწორება". მსგავს მეთოდებს იყენებდა კრემლი საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც, დაწყებული მოლდოვადან და დამთავრებული შუა აზიით. მოლდოვას წაართვეს ბუჯაკის რეგიონი, გასასვლელი შავ ზღვაზე, სამაგიეროდ, მისცეს ტრანსტრისპირეთი, რომელიც უკრაინას "ჩამოაჭრეს", ჩრდილო კავკასიაში ცალ-ცალკე შექმნეს ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკები (არადა, ერთი მხრივ, ჩერქეზები და ყაბარდოელები და, მეორე მხრივ, ყარაჩაელები და ბალყარები უახლოესი ნათესავები არიან). იმავე მზაკვრული სქემით "დადგინდა" საზღვრები შუა აზიის რესპუბლიკებს შორის. სწორედ ანალოგიური მეთოდებით შეიქმნა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქიც საქართველოს ტერიტორიაზე (საკმარისია ითქვას, რომ ამ ოლქის დედაქალაქად გამოცხადებულ ცხინვალში მაშინ ოსზე ბევრად უფრო მეტი არა მხოლოდ ქართველი, არამედ ებრაელი და სომეხი ცხოვრობდა: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი). მაგრამ კრემლის მიზანი მაშინაც და შემდეგაც იყო არა პრობლემათა მოგვარება, არა "ისტორიული სამართლიანობის" პრინციპის ან ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების რეალური დაცვა, არამედ, პირიქით, ტერიტორიების გადაცემა-გადმოცემითა თუ ეთნიკური ჯგუფების

20. Thomas Goltz, Azerbaijan Diary: A Rogue Reporter's Adventures in an Oil-rich, War-torn Post-Soviet Republic. New York: ME Sharpe, 1998.

გადასახლება-გადმოსახლებით ნიადაგის მომზადება კონფლიქტისთვის ანუ "საიმედო ბერკეტის" შექმნა იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე რესპუბლიკა ან ეთნოსი გაბედავდა და კრემლის მიმართ "ურჩობას" განიზრახავდა. უზარმაზარი რუსეთის იმპერია ჩომ სწორედ ბოლშევიკ-კომუნისტთა თვალწინ დაიშალა, მათ ნახეს იავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ ხალხთა სწრაფვის ძალა და სწორედ ამიტომ იმპერიის აღდგენა-განახლებისას ისინი შეეცადნენ ბევრად უფრო მეტი და ძლიერი "ნაღმი" ჩაედოთ საბჭოთა იმპერიის სხეადასხეა, პოტენციურად "ურჩ" რეგიონში, უპირველესად კი, ამიერკავკასიაში. ამ "ნაღმების" აფეთქება იყო აუცილებელი კომპონენტი კრემლის გეგმაში, რომელიც სისხლისღერისა და "მართვადი ქაოსის" პროვოცირების შემდეგ, "ეთნოკონფლიქტის" ტერიტორიაზე საბჭოთა (რუსეთის) ჯარების აქტიური მოქმედებითა და სასურველი შედეგის მიღწევით, ანუ "ურჩი" ძალის სამაგალითო დასჯით "გეირგეინდებოდა" (ასეთია ის მენტალიტეტი, რომლითაც შეიქმნა საბჭოთა იმპერია, ის მენტალიტეტი, რომელიც "დიადი საბჭოთა კავშირის" დაშლას "ისტორიულ კატასტროფად" აღიქვამს და ცდილობს XXI საუკუნეში ისევ იმავე მეთოდებით, ისევ ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევის გზით აღადგინოს "ბოროტების იმპერია").

ათეულობით ათასი დაღუპული, ასეულობით ათასი დაჭრილი და დასახიჩრებული, 1,5 მილიონამდე დევნილი, დატერორებული, გაძარცვული, ეთნიკური თუ სამოქალაქო დაპირისპირებებით გახლეჩილი მოსახლეობა, გადამწვარი, დანგრეული ქალაქები და სოფლები, გაჩანაგებული ეკონომიკა (1988-1994 წწ. სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 60%-ით შემცირდა, აზერბაიჯანის — 70%-ით, საქართველოსი — 75%-ით) — ეს არის შედეგი, რომელიც კრემლის დანაშაულებრივმა, სწორედ შეიარაღებული კონფლიქტების პროვოცირებისა და გაღვივებისკენ მიმართულმა პოლიტიკამ მოიტანა ამიერკავკასიაში და რომლის ერთ-ერთი კონკრეტული მიზანი იყო სამივე რესპუბლიკის დსთ-ში გაწევრიანება ანუ მათზე კონტროლის აღდგენა. სუმგაითი, 9 აპრილი (თბილისში), "შაეი იანვარი" (ბაქოში), ხოჯალი, მარდაკერტი, შუშა, სოხუმი, ცხინვალი, მუტალიბოვი, პატიაშვილი, ტერ-პეტროსიანი, გამსახურდია, ელჩიბეი, შევარდნაძე, ალიევი, დემირჭიანი, სარგსიანი, ჰუსეინოვი, ჯაფაროვი, იოსელიანი, კიტოვანი — ყველა ეს მოვლენა თუ პოლიტიკური ფიგურა, მათი დროებითი აღმასვლა ან დაცემა 1990-იან წლებში უშუალოდ იყო დაკავშირებული კრემლის მიზნებთან, მის სპეცსამსახურებთან და, რაღა თქმა უნდა, საჰხედრო ბაზებთან. ამ პოლიტიკოსთაგან ზოგი ებრძოდა კრემლს, ზოგი პირიქით — ემსახურე-

ბოლა, ზოგს უამრავი მხარდამჭერი პყავდა, ზოგს — ნაკლები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამივე რესპუბლიკაში, სხვადასხვა მანიპულაციით, კრემლმა მოახერხა პოლიტიკური პროცესის ისე წარმართვა, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა საქმე. სწორედ შეიარაღებული კონფლიქტი, არეულობა იყო ის გარემო, რომელშიც მას თავისუფლად შეეძლო მანევრირება თავისი მთავარი ბერკეტის — სამხედრო ბაზების, სამხედრო ძალის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება (მაშინ მთელი ამიერკავკასია მოფენილი იყო სხვადასხვა მასშტაბის ყოფილი საბჭოთა სამხედრო ობიექტებით). შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებისთვის აუცილებელი იყო პოლიტიკურ ან ეთნოპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ვითარების უკიდურესი დაძაბვა და შემდეგ "საჭირო მომენტში", "საჭირო ჯგუფისთვის" იარაღის მიწოდება ან, თუ აუცილებელი გახდებოდა, სამხედრო ქვედანაყოფის "მიხმარებაც" (მაგ., 366-ე ან 104-ე ყოფილი საბჭოთა დივიზიები).

ამიერკავკასიის "ეთნოკონფლიქტების" ამ ზოგად მსგავსებებთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე არსებით განმასხვავებელ ფაქტორზე:

1) სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებაზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის მთლიანი ისტორიული პროცესი, რომელიც აქტიურად ვითარდებოდა ამიერკავკასიაში 1917-1922 წლებში და რომლის გარკვეული ეტაპის ფიქსაცია მოხდა აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნით. 1988 წელს დაწყებული კონფლიქტის ესკალაცია კრემლმა, არსებითად, სწორედ ამ პროცესის "გაღვივებით" მოახერხა.

მე-11 საუკუნის შემდეგ სომეხ ერს, რეალურად, თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ჰქონდა. სომხური ეთნოსის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობდნენ ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე რეგიონსა და ამიერკავკასიაში (ზოგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფარგლებში) და მათი გამაერთიანებელი ძალის ფუნქციას სომხური ეკლესია, ენა და დამწერლობა ასრულებდა. XX საუკუნის დასაწყისში ისინი, ძირითადად, ყოფილი ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ტერიტორიაზე სახლობდნენ. 1917-1918 წლებში სწორედ ამ ორი უზარმაზარი იმპერიის ნგრევის პროცესი დაიწყო და თან ეს მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომის ფონზე. აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ სულ რაღაც 2-3 წლით ადრე, 1915 წელს მოხდა ის მოვლენა, რომელიც მოგვიანებით, რიგი სახელმწიფოების მიერ, შეფასდა როგორც სომეხთა გენოციდი. ან-

ტანტისა და ამერიკის აქტიური მხარდაჭერა სომხური სახელმწიფოს აღდგენისადმი, ძირითადად, ამ მომენტით იყო განპირობებული. პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის თაოსნობით შექმნილი კომისიის ერთ-ერთი პროექტით, ახალშექმნილი სომხეთის სახელმწიფო გასასელელს იღებდა სამ ზღვაზე (კასპიის, შავ და ხმელთაშუა ზღვებზე). ბუნებრივია, აშშ-ისა და ანტანტის პროექტები სომხურ მოსახლეობაში შესაბამის მოლოდინს აჩენდა. მეორე მხრივ, სომხეთის ახალი სახელმწიფოს დაფუძნება-გაფართოება უნდა მომხდარიყო თურქულენოვანი მოსახლეობის, მათ შორის, აზერბაიჯანელთა შეეიწროების ხარჯზე. იმ წლებს აზერბაიჯანელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეთნიკურად ისინი თურქულ-ირანულ-კაეკასიურ "ნაზავს" წარმოადგენდნენ, თურქულენოვანი იყვნენ და თავიანთ უახლოეს ნათესავებად სწორედ თურქებს მიიჩნევდნენ, მაგრამ ოსმალეთის იმპერია დამარცხებული იყო. აზერბაიჯანელები კულტურულ-რელიგიურად ირანთანაც ძალზე ახლოს იყვნენ, მაგრამ იმდროინდელ ირანს მათი დახმარება ნამდვილად არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში ვილსონის "დიდი სომხეთის" გეგმებს, ცხადია, ისინი შიშით უყურებდნენ. ამას ემატებოდა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა, რომელშიც ეთნიკურად სომხები დომინირებდნენ. მათ მიერ ამ შიშის კონკრეტულ დადასტურებად აღიქმებოდა ბაქოს მოვლენები (1918). ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ პერიოდში რუსეთშიც და თურქეთშიც გამოიკვეთა ორი ქმედითი ძალა, ბოლშევიკები და მუსტაფა ქემალი, რომლებიც ორივე იმპერიის ნანგრევებზე ახალი, მძლავრი სახელმწიფების ჩამოყალიბებას გეგმავდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოვლენები მიმდინარეობდა მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და დასავლეთის ძირითად სახელმწიფოთა მიერ საპროტექტორო მანდატების გადანაწილებისა და, რაც მთავარია, ახალი სახელმწიფოების ფორმირების ურთულესი პროცესის პარალელურად (ამ დროს განისაზღვრა, მაგალითად, სირიის, ერაყის, პალესტინის, არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების, ეგვიპტის მანდატები). თავდაპირველად, თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ აღორძინებული "დიდი სომხეთის" მანდატს ამერიკა მიიღებდა. ბრიტანეთი და საფრანგეთი კონკურენციას არ უწევდნენ აშშ-ს, რადგან თანდათან სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ პროექტის განხორციელება გამოიწვევდა საბჭოთა რუსეთსა და ქემალის თურქეთთან უმძიმეს დაპირისპირებას (საკმარისია ითქვას, რომ მაშინ საბჭოთა რუსეთისთვის ბაქოს საბადოები ნავთობის ძირითადი წყარო იყო და, თუნდაც მხოლოდ ამის გამო, ამიერკავკასიის დაკარგვა კრემლისთვის უდიდესი მარცხი იქნე-

ბოლდა). ამერიკის სენატის მიერ 1920 წლის 1 ივნისს სომხეთის მანდატის მიღებაზე ვილსონის წინადადების უარყოფა, უწინარესად, სწორედ ამ ძალზე პრობლემური პერსპექტივის სათანადოდ აწონ-დაწონასა და გააზრებას ეფუძნებოდა. ამერიკის მიერ სომხეთის მანდატზე უარის თქმა, ფაქტობრივად, "მწვანე შუქი" აღმოჩნდა ბოლშევიკებისა და ქემალისტებისთვის და მათ ეს ხელსაყრელი ვითარება მაქსიმალურად გამოიყენეს (მოგვიანებით გაირკვა, რომ მათი შეთანხმებით ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს ერგო). ანუ 1915 წელს, რუსეთის წაქეზებით, ოსმალეთის წინააღმდეგ სომხების აქტიურობას საშინელი შედეგი მოჰყვა, შემდეგ თურქეთი და რუსეთი მოკავშირეები გახდნენ, ანტანტა და ამერიკა კი განზე გადგნენ და სომხეთს ვერაფრით დაეხმარნენ (მსგავს ვითარებაში საქართველოც არაერთხელ აღმოჩენილა).

მე-20 საუკუნის დასაწყისში სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება სწორედ ამ მასშტაბური, ჩახლართული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანელები და თურქეთის ჯარები გვერდიგვერდ იბრძოდნენ სომხების წინააღმდეგ და რომ, ჯერ თურქეთის, შემდეგ კი რუსეთის დახმარებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიის საბოლოო კონფიგურაციაზე. ფაქტობრივად ისე მოხდა, რომ სომხები, რომლებსაც უდიდესი იმედი ჩაუსახა ოსმალეთის იმპერიის მარცხმა და ვილსონ-ანტანტის პროექტებმა, საბოლოოდ, მარტო აღმოჩნდა და კრემლის "მოწყალებას" უნდა დასჯერებოდა.

საბჭოთა სტატუს კვოს პირობებში მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, მაგრამ 1980-იანი წლების ბოლოს, როცა ამ სტატუს კვოს რღვევა დაიწყო, სომხებს ისევ გაუჩნდათ თუნდაც მხოლოდ აღმოსავლეთით მდებარე ყოფილი "დიდი სომხეთის" ტერიტორიათა შემოერთების იმედი. ანუ მე-20 საუკუნის დასასრულს ისევ გაჩნდა იმ პროცესის "გაცოცხლების" შესაძლებლობა, რომელიც საუკუნის დასაწყისში ბობოქრობდა. ზოგადად, ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი და, ალბათ, გარდაუვალიც იყო, მაგრამ მეორე საკითხია, თუ როგორი ფორმებით გამოვლინდებოდა, როგორ კალაპოტში მოექცეოდა იგი, რომ არა კრემლის მიზანდასახული ქმედებები, რომლებიც სადავო საკითხთა არა მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით გადაწყვეტისკენ, არამედ ეთნოკონფლიქტის, სისხლისღვრის პროვოცირებისკენ იყო მიმართული; სხვა შემთხვევაში ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ბალტიის ქვეყნების მსგავსად, არც დსთ-ში შევიდოდნენ და არც რუსეთის სამხედრო ბაზებს შეეგუებოდნენ თავიანთ ტერიტორიაზე. ასეთ პერსპექტივას კრემლი, დღესაც კი, კა-

ვკასიაში თავისი პოლიტიკის სრულ კატასტროფად აღიქვამს.

1990-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით შეუძლებელია დასახელდეს ისტორიული პრობლემა, რომელიც მანამდე არსებობდა და თავისი სირთულითა და სიღრმით თუნდაც ოდნავ მაინც შეედრება ზემოხსენებულ პრობლემათა და პროცესთა უზარმაზარ "გორგალს".

2) სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების დროს მოხდა ორივე ეთნოსის წარმომადგენელთა მასობრივი იძულებითი გადაადგილება: ეთნიკური აზერბაიჯანელები გამოდევნეს სომხეთიდან, ხოლო ეთნიკური სომხები აზერბაიჯანის იმ ტერიტორიებიდან, რომელსაც დღეს ბაქო აკონტროლებს. ევროპის საბჭოს ინფორმაციით, 1988-1994 წლებში, დაახლოებით, 300 ათასმა სომეხმა დატოვა აზერბაიჯანი და მათგან მხოლოდ 30 ათასი დაბრუნდა მთიანი ყარაბაღისა და ლაჭინის რაიონის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანელი დევნილების რიცხვი 800 ათასს აღწევს. აქედან 200 ათასი სომხეთიდან გადმოიხვეწა, ხოლო 600 ათასი — კონფლიქტის ზონიდან, რომელთაგან 50 ათასი მთიანი ყარაბაღიდანაა.

ევროსაბჭოს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მოქალაქეების ეს იძულებითი გადაადგილება "ეთნიკური წმენდის საშინელ კონცეფციას ემსგავსება" (რეზოლუცია #1416, 2005).

მართალია, აზერბაიჯანელ და სომეხ დევნილთა რაოდენობას შორის სხვაობა ნახევარ მილიონ ადამიანს აღწევს, მაგრამ, ფაქტია, რომ ორივე ქვეყანაში მოხდა ეთნიკური ნიშნით მოქალაქეთა გამოდევნა, ანუ ეს იყო ორმხრივი პროცესი.

საქართველოს შემთხვევაში სხვა ვითარებაა. აქ ადამიანთა მასობრივი იძულებითი გადაადგილება პირდაპირ არის შეფასებული როგორც "ეთნიკური წმენდა" და, რაც მთავარია, ეს იყო ცალმხრივი და არა ორმხრივი პროცესი. აფხაზეთიდან გამოდევნილ იქნა 350 ათასამდე ადამიანი, მათ შორის, 240 ათასამდე ქართველი, ცხინვალის რეგიონიდან და მიმდებარე რაიონებიდან — 100 ათასზე მეტი და ამ უკანასკნელთაგან 31 ათასი დღემდე დევნილია (იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია #1633, 2008). აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეთნოწმენდა განხორციელდა არა აფხაზებისა და ოსების, არამედ ქართველების მიმართ. ეს ფაქტი დაფიქსირებულია ეუთოს 1994, 1996 და 1999 წწ. სამიტების რეზოლუციებში. ბუდაპეშტის 1994 წლის რეზოლუციაში ეუთოს მონაწილე ქვეყნები გამოხატავენ "ღრმა შეშფოთებას "ეთნიკური წმენდის", უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივი გამოდევნისა და უდანაშაულო მშვიდობიან

მოქალაქეთა შორის დიდი მსხვერპლის გამო" (ხაზგასასმელია, რომ ეუთოს წევრია რუსეთიც, ანუ ეთნოწმენდის ფაქტები იმდენად აშკარა იყო, რომ კრემლმაც კი ვერ დამალა და ვერ უარყო ისინი).[21]

ლისაბონის სამიტის 1996 წლის დოკუმენტშიც ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ ისინი "გმობენ "ეთნიკურ წმენდას", რომლის შედეგად ადგილი აქვს უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და იძულებით გამოდევნას აფხაზეთიდან. ასევე სეპარატისტების დესტრუქციულ ქმედებებს, რაც ხელს უშლის ღვინილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას".[22]

სტამბოლის სამიტის 1999 წლის რეზოლუცია, ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტს ეფუძნება.

ეთნოწმენდაზე ყურადღება გამახვილებულია ასევე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციასა და ევროკავშირის კომისიის მოხსენებაში ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება" (ევროსაბჭოს რეზოლუცია 1633, 02.10.2008). "ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს" (მათიას იორშის განცხადებიდან).[23] "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც".[24]

3) სამწუხაროდ, ისტორიულ გარემოებათა გამო, დამოუკიდებელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობა, უპირველესად, ომთან არის დაკავშირებული. ასე იყო მეოცე საუკუნის დასაწყისშიც (1918-1920 წწ.) და დასასრულსაც (1988-1994 წწ.). უცხოელი ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ "ისტორია მნიშვნელოვანი ფაქტორია და ორივე ერისთვის მტკივნეული ისტორიული მოვლენები ფართოდ გამოიყენება ეთნიკური სიძულვილის, ძალადობისა და ტერიტორიებზე პრეტენზიის გასამართლებლად". [25]

ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის განსხვავებული ისტორიული ტრადიცია არსებობს. ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებ-

---

21 http://www.osce.org/documents/mcs/1994/12/4050_en.pdf

22 http://www.osce.org/documents/mcs/1996/12/4049_en.pdf

23 http://for-ua.com/news_print.php?news=305384)

24 "ტალიავინის კომისიის მოხსენებიდან, ნაწილი I, პუნქტი 27

25 http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm

სა და ოსებს შორის ისტორიულ წარსულში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. პირიქით, მაგალითად, აფხაზური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება სწორედ ქართულ გარემოში მოხდა. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, "მუჰაჯირობის" შედეგად, მეფის რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, ფაქტობრივად, მთლიანად გაასახლა ჩერქეზები, უბიხები, ასევე აფხაზების ნაწილი (იმ პერიოდში მაჰმადიანი ქართველებიც გაასახლეს აჭარიდან) და მათ ადგილას დღევანდელი კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეთა ტერიტორიაზე რუსები ჩამოასახლეს. იმ დროს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ქართველი საზოგადო მოღვაწეები გამოექომაგნენ კავკასიელ თანამოძმეებს და როგორც კი შეეძლოთ ეხმარებოდნენ აფხაზებს (აფხაზეთი მაშინ სოხუმის ოლქის სახით ქუთაისის გუბერნიის ანუ დასავლეთი საქართველოს ნაწილი იყო). იგივე უნდა ითქვას ცხინვალის რეგიონის ოსების შესახებაც. სწორედ ქართულ გარემოში მათ ბევრად უკეთ შეინარჩუნეს ოსური ენა და ტრადიციები, ვიდრე ჩრდილოკავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსიფიკაციის პროცესი (ახლა რუსიფიკაცია ორივეგან განსაკუთრებით გაძლიერებულია).

კრემლის პროპაგანდისტული საშუალებები, მათ შორის, ფსევდომეცნიერული "ნაშრომები" საგანგებოდ აზვიადებენ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში (1918-1921 წწ.) აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებებში აფხაზებისა და ოსების მონაწილეობის მასშტაბებს. ცნობილია, რომ მაშინდელი საქართველოს სამხედრო ძალები სიძლიერით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ, რადგან მენშევიკური მთავრობა მინიმალურად ზრუნავდა მათზე; მიუხედავად ამისა, ამ სუსტი შენაერთებითაც კი, საქართველოს ხელისუფლებამ იოლად შეძლო, როგორც დენიკინის თეთრგვარდიელების, ასევე საბჭოთა რუსეთისა და მათი მომხრე ძალების მიერ ორგანიზებული ამბოხებების ლიკვიდაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მაშინ ბოლშევიკები საქართველოს სხვა კუთხეებშიც აწყობდნენ მსგავს პროვოკაციებს (მაგალითად, დუშეთში, სამეგრელოს რაიონებში), ასე რომ ეს იყო არა "ეთნოკონფლიქტები" ან ამბოხებულთა მხრიდან "დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა", არამედ კრემლის მიერ, სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფის გამოყენებით, დამოუკიდებელ საქართველოში არეულობის მოწყობისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის მცდელობები. მსგავსი "სახალხო-რევოლუციური ამბოხება" მოხდა 1921 წელსაც. სამხრეთ-აღმოსავლეთ

საქართველოში, ე.წ. "შულავერის კომიტეტის" მეთაურობით დაწყებული "ამბოხება" 25 იანვრისთვის დამოუკიდებელი საქართველოს დამხობით ანუ "გასაბჭოებით" დასრულდა. ამჯერად "ამბოხება" "წარმატებული" აღმოჩნდა, რადგან, რეალურად, ეს იყო საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ინტერვენცია საქართველოში.

სრულიად აშკარაა, რომ ასეთ "ამბოხებებს" რეალური საფუძველი არ ჰქონდა აფხაზებისა და ოსების უდიდეს უმრავლესობაში და სანამ უშუალოდ რუსეთის არმია არ შემოიჭრა, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა მცირე ჯგუფების წაქეზებით კრემლმა თავის მთავარ მიზანს ვერ მიაღწია, ვერ დაამხო დამოუკიდებელი საქართველო (ხაზგასასმელია, რომ 2008 წლის აგვისტოშიც კრემლმა მსგავსი სქემა გამოიყენა, ვითარება "შეამზადა" და სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, მაგრამ ამჯერად საქართველოს დამორჩილება მაინც ვერ მოახერხა, რაც საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების და ასევე საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევის შედეგია).

1921 წელსაც და 2008 წელსაც კრემლი იძულებული გახდა თავისი არმიით ღიად შეჭრილიყო საქართველოში, რადგან მხოლოდ ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირებითა და გაღვივებით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებები ვერ დაამხო (2008 წელს, საბოლოოდ, ვერც ამან უშველა). კრემლის ორსაუკუნოვანი მცდელობების მიუხედავად, ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის არ არსებობს დაპირისპირების ის ტრადიცია და ის მუხტი, რომელიც მეტ-ნაკლებად სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ტერიტორიულ მთლიანობას (რუსეთის მასმედია ათასგვარ ლეგენდებს თხზავს "ქართულ ფაშიზმზე", მაგრამ თვითონ კრემლმა კარგად უწყის, რომ ეს მხოლოდ ლეგენდებია, აფხაზებსა და ოსებს ოდნავადაც არ ენდობა და ამიტომაც აშენებს ერთბაშად ამდენ სამხედრო ბაზას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში).

საქართველოს ისტორიის თუნდაც ზედაპირული, მაგრამ ობიექტური შესწავლა საკმარისია იმის დასანახად, რომ ამ ქვეყანას ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. შორეულ წარსულსა და ეთნიკური ებრაელებისადმი გულითად, მეგობრულ დამოკიდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ (არადა, ებრაელთა დარბევები ჩვეულებრივი რამ იყო ქრისტიანულ სახელმწყოთა უმრავლესობაში), საკმარისია გავიხსენოთ შესაბამისი სფეროს ის ძირითადი კანონები, რომელთა მიღება მოასწრო საქართველომ მე-20 საუკუნეში, დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდებში.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა განსაზღვრული იყო 1921 წლის კონსტიტუციით (მუხლი 107). იმ დროს სრულიად არაბუნებრივი იქნებოდა ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ავტონომიის შექმნა, მით უფრო, ცენტრით ქალაქ ცხინვალში, სადაც არათუ ქართველები, ებრაელები და სომხებიც კი უფრო მეტნი ცხოვრობდნენ, ვიდრე ოსები (სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ 1922 წელს კრემლის მიერ ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ავტონომიური ოლქის დაფუძნება იყო სრულიად ხელოვნური და მიზნად ისახავდა არა ოსების თვითმყოფადობაზე ზრუნვას, არამედ საქართველოზე დამატებითი, ტერიტორიული ბერკეტის შექმნას).

1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ევროპული მასშტაბით, შეუძლებელია მოიძებნოს მსგავსი თანაფარდობა ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობასა და ავტონომიის სახელისუფლო ორგანოში მის წარმომადგენლობას შორის. სწორედ იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი ქართველი დაინიშნებოდა. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქართულ ენასთან ერთად, სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა (ისტორიულ წარსულშიც, მე-19 საუკუნემდე ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე, აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო). აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრი, აფხაზურ-რუსული ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

სწორედ ეს ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008

წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დარწმუნებული ვართ, რომ არა კრემლის დესტრუქციული, უშუალო მმართველობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ინიციატივები მისაღები გახდებოდა აფხაზებისა და ოსების უმრავლესობისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობით სამშვიდობო პროცესი აქტიურად განვითარდებოდა.

4) აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებული ეთნიკური განსხვავება საშუალებას იძლევა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი განხილულ იქნეს მეტისმეტად ფართო ისტორიულ კონტექსტში, რაც ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას. ამ მხრივ საყურადღებოა ევროსაბჭოს 2004 წლის მოხსენება რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს უკავშირდება. მოხსენების თანახმად, "ზოგი ექსპერტი ფიქრობს, რომ, საერთოდ, ამიერკავკასიაში ეთნიკურობის დეფინიცია და კავშირი ეთნიკურობასა და ტერიტორიას შორის ალბათ არ არის ისეთი მტკიცე, როგორც სხვაგან... სომხები არ ენდობიან ზოგადად თურქულენოვან მუსლიმანებს და მათ ყველას "თურქს" უწოდებენ. აზერბაიჯანელებისა და სომხების უმრავლესობას სჯერა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის არა ორ მთავრობას შორის, არამედ ორ ხალხს შორის დაპირისპირება".[26]

თურქებისა და აზერბაიჯანელების ერთ ეთნოსად აღქმა ერთგვარ "ეთნიკურ იმუნიტეტს" უკავშირდება, რომელიც მძიმე ისტორიული ეპოქების შედეგად გამომუშავდა. მთლიანად გაუქმებული ან "დაქსაქსული სახელმწიფოებრიობის" პირობებში ასეთი "ეთნიკური იმუნიტეტი" (ან ეთნიკურ-რელიგიური) ეხმარებოდა მცირერიცხოვანი ეთნოსის აღამიანებს თავიანთი ეთნიკური იდენტობა შეენარჩუნებინათ და

26. http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm

თავი დაეცვათ "ასიმილაციური ტალღებისგან". ამგვარი "ეთნიკური იმუნიტეტი" უდავოდ ძლიერ აქვთ განვითარებული სომხური ეთნოსის წარმომადგენლებს, რომლებსაც, ისტორიული გარემოებების გამო, ეს "იმუნიტეტი" ყველაზე ძლიერად სწორედ თურქ-ოსმალების, ოსმალეთის იმპერიის ასიმილაციური წნეხის მიმართ გამოუმუშავებიათ, რაც, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ექსპანსიის შემდეგ, უწინარესად, რელიგიურ-ენობრივ ძალდატანებაში ვლინდებოდა. შესაბამისად, "მტრის" მთავარ ატრიბუტად ისლამი და თურქულენოვნება იქცა. სწორედ ამიტომ უწოდებენ ისინი ყველა თურქულენოვან მუსლიმანს "თურქს" და სწორედ ამიტომ "არ ენდობიან" მათ (ცხადია, გასათვალისწინებელია 1915 წელს ოსმალეთში და 1918 წელს ბაქოში მომხდარი ცნობილი მოვლენები). ამის გამოხატულება იყო ის ფაქტიც, რომ ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთინტეგრაცია რთულად ხდებოდა სსრკ-ის ფარგლებშიც. მართალია, არაერთ ქალაქში ისინი ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, მაგრამ სომხური და აზერბაიჯანული თემები, გარკვეულწილად, მაინც იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისაგან. ცნობილია, რომ 1988-1994 წწ. კონფლიქტამდე, ბაქოში რაოდენობრივად უფრო მეტი ეთნიკური სომეხი ცხოვრობდა, ვიდრე მთიან ყარაბაღში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაქოს სომხური და აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს შორის ინტეგრაციის დონე მაინც დაბალი იყო (ვგულისხმობთ, მაგ., შერეული ქორწინებების მაჩვენებელს).

აქვე უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და პოლიტოლოგები ხშირად იმოწმებენ თანამედროვე გენეტიკური კვლევების შედეგებს, რომელთა მიხედვით, თურქულენოვანი აზერბაიჯანელები, არა მარტო ოგუზ-თურქების, არამედ ასევე კავკასიელი ალბანელებისა და ირანელების შთამომავლებიც არიან ანუ, გენეტიკური თვალსაზრისით, ისინი სამივე ამ ეთნიკურ ელემენტს აერთიანებენ; უფრო მეტიც, "ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე სომხები და თურქულენოვანი აზერბაიჯანელები გენეტიკურად უფრო ახლოს არიან თავიანთ გეოგრაფიულ მეზობლებთან კავკასიაში, ვიდრე თავიანთ ნებისმიერ "ლინგვისტურ მეზობელთან".[27]

ასეთი თანამედროვე კვლევების შედეგები ხელს უწყობს ისტორიულ ინერციაზე დამყარებული ძველი შიდგომებისა და სტერეოტიპების გადახედვას, მაგრამ, რეალურად, მაინც რთულია "ეთნიკური იმუნიტეტის" წინააღმდეგობის გადალახვა.

27. Where West Meets East: The Complex mtDNA Landscape of the Southwest and Central Asian Corridor -- American Journal of Human Genetics, 74.827-845, 2004 (retrieved 9 June 2006)

ზემოაღნიშნული 2004 წლის მოხსენებიდან გამომდინარე, ამჟამად სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეთა უმრავლესობა, ან თუნდაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს საუკუნეების მანძილზე მიმდინარე სომხურ-თურქული დაპირისპირების ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნევს. ეს კი ხელს უშლის სამართლებრივი ხელების დამკვიდრებას და კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული იმ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც, უპირველესად, სწორედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს უნდა ეფუძნებოდეს.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ბუნებრივია, სადავო არ უნდა იყოს ამ მხრივ არსებული განსხვავება მთიანი ყარაბაღის პრობლემასა და საქართველოს კონფლიქტებს შორის. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. ასწლეულების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ებრძოდნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ჯარებს. XIX საუკუნეში, "მუჰაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ ქართველები დაუდგნენ გვერდით თავიანთ კავკასიელ თანამოძმეებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სწორედ ქართველი საზოგადო მოღვაწეები იმაღლებდნენ ხმას ამ ბარბაროსული ძალადობის წინააღმდეგ.

აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში.

ქართველების, აფხაზებისა და ოსების ნათესაობაში დასარწმუნებლად არანაირი გენეტიკური კვლევების ჩატარება არ არის საჭირო.

კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ასევე ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წ. აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ცალკე დასახლებებში კი არ ცხოვრობენ, ქართველებისგან იზოლირებულად, არამედ ქართველებთან ერთად და მათD მიმართ ეთნიკურ ნიადაგზე შეიწროების ან ჩაგვრის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი ოპტიმიზმი, როცა მუდმივად

ვაფიქსირებთ საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანად, ურთიერთკომპრომისების გზით მოგვარების რეალურ პერსპექტივას. ერთადერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს ამ მიმართულებით წინსვლას, არის კრემლის ჯარების მიერ საქართველოს ორი რეგიონის: აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ოკუპაცია.

5) სომხები და აზერბაიჯანელები განსხვავდებიან არა მარტო ეთნიკურად, არამედ მათ შორის არცთუ იოლად დასაძლევი რელიგიურ-კულტურულ-ლინგვისტური ბარიერებიც არსებობს. საუკუნეების მანძილზე სომხებს თავიანთი მონოფიზიტური ქრისტიანობის დაცვა, უპირველესად, სწორედ მაჰმადიანებისგან უწევდათ. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ სომხების ძირითადი გამაერთიანებელი ძალა სწორედ სარწმუნოება იყო. უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ამიერკავკასიაში ქრისტიანობის მთავარი მტრები იყვნენ მაჰმადიანები: სუნიტური ოსმალეთი და შიიტური ირანი. აზერბაიჯანელების უმრავლესობა შიიტია და თანაც თურქულენოვანი. გასული საუკუნის დასასრულს გაჩაღებულმა კონფლიქტმა, ცხადია, ამ ბარიერების სწრაფი "აქტივაცია" გამოიწვია.

საქართველოში აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის რელიგიურ-კულტურულ ბარიერზე საუბარი სრულიად უსაფუძვლოა. რაც შეეხება ენობრივ განსხვავებას, ეს ვერ ჩაითვლება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ბარიერად, რადგან აფხაზთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის ქართული ან მეგრული (საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მკვიდრ ქართველთა ენა-დიალექტი). საუკუნეების მანძილზე აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს უამრავი დოკუმენტი და ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე. კიდევ უფრო მარტივად არის ენობრივი საკითხი ცხინვალის რეგიონში, რადგან აქაური ოსების უდიდესი ნაწილი ქართულად კარგად ლაპარაკობს.

6) 1989 წლის აგვისტოში აზერბაიჯანმა სარკინიგზო ბლოკადა დაუწესა სომხეთსა და მთიან ყარაბაღს. ეს ბლოკადა ახლაც მოქმედებს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიზანია აფხაზეთის ან ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" არა იზოლაცია, არამედ პირიქით, მათი გამოყვანა კრემლის იზოლაციური მარწუხებისგან და მათთან დაკავშირებულ პრობლემათა მაქსიმალური ინტერნაციონალიზაცია. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან წინააღმდეგობა არ შექმნია მოქალაქეების ან ტვირთის მოძრაობას აფხაზეთის ან ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" მიმართულებით (ცხადია, აქ იგულისხმება ლეგალური ტვირთი და არა კონტრაბანდა). აქვე

აღვნიშნავთ, რომ ელექტროენერგიით ორივე რეგიონი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიიდან მარაგდება. 2008 წლის აგვისტოს ომის მიუხედავად, ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" ბუნებრივ აირს საქართველოს დანარჩენი ნაწილიდან იღებდა. საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოახერხონ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა, მაგრამ სწორედ კრემლი ეწინააღმდეგება ამ პროცესს, სწორედ კრემლის მიზანია აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" იზოლაცია, რათა ეს რეგიონები ვერ განვითარდნენ და მუდმივად მოსკოვის "წყალობაზე" იყვნენ დამოკიდებული, რათა იქ მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისთვის დაფარული დარჩეს სიმართლე, კრემლის რეალური ზრახვები, მათთვის უცნობი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების "პროქართული" შეფასებების სამართლებრივი არგუმენტები თუ საფუძვლები (რომ, მაგალითად, დაუშვებელია ეთნიკური წმენდა, რადგან ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინააშე). მეორე მხრივ, ოკუპირებული რეგიონების იზოლაცია კრემლს საშუალებას აძლევს საერთაშორისო საზოგადოების ფართო ფენებს კვლავაც დაუმალოს აღნიშნულ რეგიონებში მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტები, დაუმალოს, რომ რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაცია-ანექსია და აქ გაჩაღებული "აღმშენებლობა" აქაურ ეკოსისტემას კატასტროფით ემუქრება, ხოლო მოსახლეობას — ეთნიკურ-კულტურული იდენტობის დაკარგვითა და სრული რუსიფიკაციით.

საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს მიუმართავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბლოკადისთვის. რაც შეეხება 90-იან წლებში დსთ-ის სამიტებზე მიღებულ სანქციებს აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მიმართ, ეს დაკავშირებული იყო ამ რეჟიმის მიერ განხორციელებულ ეთნოწმენდასთან და მისი შედეგების დაკანონების მუდმივ მცდელობასთან, უპირველეს ყოვლისა, დევნილთა დაბრუნების შესახებ გაეროსა და დსთ-ის შესაბამისი დადგენილებების შეუსრულებლობასთან.

7) ცალკე უნდა გამოიყოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტი. საკმარისია ითქვას რამდენიმე ფაქტი, რომ ცხადი გახდეს ეს სირთულე; თურქები და აზერბაიჯანელები ერთმანეთის მონათესავე ხალხებია და სწორედ მათთან არის დაკავშირებული სომეხი ერის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენები. სომხეთი დასავლეთიდან თურქეთს ესაზღვრება, აღმოსავლეთით კი — აზერბაიჯანს. სომხეთის დღევანდელი საზღვრის მიღმა არსებული ტერიტორიები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვადით (ძირითადად, შორეულ წარსულში) სომხურ სამეფოებს ან სხვა სომხურ სახელმ-

წიფოებრივ წარმონაქმნებს ეკუთვნოდა. თურქეთი არის ნატოს წევრი სახელმწიფო. სომხეთში არის რუსეთის ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა ამიერკავკასიაში და სხვადასხვა მონაცემებით, ამ რესპუბლიკამ რუსეთისგან დაახლოებით მილიარდი დოლარის შეიარაღება მიიღო. აზერბაიჯანში რუსეთის ჯარები აღარ იმყოფებიან (საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ბაზები მხოლოდ ორ ოკუპირებულ რეგიონში შემორჩნენ). აზერბაიჯანი მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოებით. აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და "შაჰ-დენიზის" გაზსადენი (იგეგმება ასევე "ნაბუკოს" გაზსადენი), რომელთა საშუალებით კასპიის ენერგორესურსები რუსეთის გვერდის ავლით მიეწოდება ევროპას. ამიერკავკასიით ტრადიციულად დაინტერესებულია ირანი, რომელსაც წარსულში დიდი შეტაკებები ჰქონდა თურქეთთან და რუსეთთან. ირანის ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები, ძირითადად, აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. თურქულენოვანი აზერბაიჯანელების უმრავლესობა, ირანელთა მსგავსად, შიიტური ისლამის მიმდევარია. ენერგორესურსებით მდიდარი კასპიის აუზის საბადოების გადანაწილების საკითხი თითქმის 20 წელიწადია ვერ გადაწყდა (მონაწილეობს 5 სახელმწიფო: აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, ყაზახეთი და თურქმენეთი). აზერბაიჯანული საბადოების ათვისებასა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირებაში ძირითად როლს დასავლური ენერგოგიგანტები ასრულებენ.

თუნდაც მხოლოდ ამ მოკლე და ზედაპირული ინფორმაციიდან გამომდინარე, ალბათ გასაგებია, რომ ამდენ რთულ პრობლემასა და ასეთ გაელენიან ძალთა ურთიერთჩახლართულ ინტერესებს ვერანაირად ვერ დაუკავშირებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, სადაც პრინციპული თვალსაზრისით, არსებობს ერთადერთი პრობლემა — დეოკუპაცია; რუსეთს 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული აქვს საქართველოს ამ ორი რეგიონის ტერიტორია და დღემდე არ ასრულებს რუსეთის პრეზიდენტის მიერვე ხელმოწერილ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. საერთაშორისო საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და კრემლისგან თანმიმდევრულად მოითხოვს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების პირობათა შესრულებას.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიულ-პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ აუცილებელია საგანგებოდ განვიხილოთ კონფლიქტის სამართლებრივი მხარე

და ამ კუთხითაც წარმოვაჩინოთ თუ რა მსგავსება-განსხვავება არსებობს საქართველოს კონფლიქტებთან.

ამიერკავკასიის კონფლიქტთა შორის, სამართლებრივი მოგვარების თვალსაზრისით, უდავო მსგავსება არსებობს, რაც მკაფიოდ ჩანს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2003 წლის 24 იანვრის რეზოლუციაში (# 1334). ასამბლეა აღნიშნავს, რომ ევროპაში სხვადასხვა ინტენსიობის დაძაბულობის კერების არსებობა უპირატესად უკავშირდება მოუგვარებელ შინასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს და რომ ევროპის ქვეყნების ავტონომიური რეგიონების წარმატებული გამოცდილება შესაძლოა იქცეს ერთგვარ მოდელად ამ პრობლემათა გადასაწყვეტად (აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები რომ 2008 წლამდე მოგვარებულიყო, ბუნებრივია, კრემლს საბაბიც აღარ დარჩებოდა სამხედრო აგრესიისთვის, მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ, როგორც კი საერთაშორისო საზოგადოება ამ მიმართულებით გააქტიურდა, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის 15 მაისს მიიღო რეზოლუცია (A/RES/62/249) აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების კონკრეტული გრაფიკის შედგენის შესახებ და დაიწყო გგმების განხილვა საქართველოში რუსეთის "სამშვიდობო ჯარების" საერთაშორისო კონტინგენტით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, კრემლმა მაშინვე აგვისტოს სამხედრო აგრესია წამოიწყო).

ევროსაბჭოს ზემოხსენებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ "ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუცია არ აღიარებს რეგიონის ცალმხრივად გამოყოფის უფლებას".[28]

უნდა ითქვას, რომ ეს რეზოლუცია მიღებულია ანდრეას გროსის 49-გვერდიანი მოხსენების საფუძველზე (დოკუმენტი # 9824, 03.06.2003), რომელშიც ერცლად არის განხილული ავტონომიურობის სამართლებრივი მექანიზმი, ევროპის წარმატებული ავტონომიური რეგიონების მაგალითები და ასევე რეგიონული კონფლიქტები (ამიერკავკასიის კონფლიქტების ჩათვლით). გროსის მოხსენების თანახმად: "თანამედროვე კონფლიქტების სამართლებრივი წყარო ხშირად ხდება დიქოტომია, რომელიც არსებობს სახელმწიფოს ურღვევობის პრინციპსა და იდენტობის პრინციპს შორის... ავტონომია საშუალებას იძლევა სახელმწიფოში არსებულმა უმცირესობის ჯგუფმა დაიცვას თავისი უფლებები, ამასთანავე, შეიქმნას მკაფიო გარანტიები სახელმწიფოს მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად". [29]

იქვე განმარტებულია, რომ "თვითგამორკვევა არ არის სეცესიის სინონიმი და მისი რეალიზაცია შესაძლებელია სახელმწიფოს ფარგლებში

28 http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta03/ERES1334.htm

29 http://assembly.coe.int/Main.asp?link=http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc03/EDOC9824.htm

ავტონომიის სტატუსით ან მსგავსი შეთანხმებით. გარდა ამისა, სეცესია მოითხოვს ორივე მხარის თანხმობას და თანაც, სეპარატისტთა მხრიდან, უნდა ასახავდეს მთლიანი მოსახლეობის და არა მხოლოდ ერთი ჯგუფის ნებას". აქვე დაძენთ, რომ სეცესიის შესახებ ასეთი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულია, რაც, კონკრეტულად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით მკაფიოდ არის დაფიქსირებული პაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც (იხ. ევროკავშირის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენება საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით, ტ. II, თავი 3). [30]

ამიერკავკასიის კონფლიქტებს შორის აშკარა მსგავსება არსებობს საერთაშორისო სასამართლოების გამოყენების თვალსაზრისითაც. ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით ამ საერთაშორისო ინსტიტუციათა ჩართვის კონკრეტული ვარიანტები განხილულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის 29 ნოემბრის მოხსენებაში. ავტორი, დეივიდ ატკინსონი აღნიშნავს, რომ თუ მინსკის ჯგუფის შუამავლობით მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ შესაძლოა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა იყოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის (გაეროს სასამართლოსთვის) მიმართვა. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს; გაეროს წესდების 36-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოთა შორის სადავო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში. სომხეთი და აზერბაიჯანი, როგორც გაეროს წევრი სახელმწიფოები ipso facto მიერთებული არიან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტს (გაეროს წესდება, მუხლი 9).

თავის მოხსენებაში ატკინსონი კიდევ ერთ საამართლებრივ მექანიზმს გვთავაზობს, რომლის ამოქმედება ხელს შეუწყობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესს. იგი განმარტავს, რომ კონფლიქტის შედეგად ასეულობით ათასი ეთნიკური აზერბაიჯანელი იძულებული გახდა დაეტოვებინა სომხეთი და ასევე აზერბაიჯანის ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიები. ამაუე დროს, კონფლიქტის გამო 200 ათასამდე ეთნიკური სომეხი გადაიხვეწა აზერბაიჯანიდან. ყველა ამ იძულებით გადაადგილებულ პირსა და ლტოლვილს აქვს უფლება დაბრუნდეს თავის სახლ-კარში და ისარგებლოს თავისი საკუთრებით ან მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია (ეს უფლება აღიარებულია ალა-

30. საბჭოთა პერიოდში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შექმნილ ავტონომიებსა ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტების შესახებ საინტერესო დასკვნებია მოცემული სვანტე კორნელის ნაშრომში „ავტონომია, როგორც კონფლიქტის წყარო" (იხ. Svante E. Cornell. Autonomy as a Source of Conflict /Caucasian Conflicts in Theoretical Perspective http://www.caucanalyst.org/Publications/020401wp.htm)

მიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი პროტოკოლის I მუხლით და გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციებით).

ატკინსონი ასახელებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგის სასამართლოში) განხილულ პრეცედენტულ საქმეს — "ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ" (კვიპროსის მოქალაქე ტიტინა ლოიზიდუ 1974 წელს კვიპროსში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დეენილად იქცა და ვერ ბრუნდებოდა თავის სახლში, რომელიც ჩრდილოეთ კვიპროსზე მდებარეობს; კვიპროსის ამ ნაწილს 1974 წლის აგვისტოდან თურქეთი აკონტროლებს და, აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ სწორედ თურქეთს დააკისრა მნიშვნელოვანი კომპენსაციის გადახდა ლოიზიდუსთვის). ლოიზიდუს პრეცედენტი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებიც აღარ აპირებენ იქ დაბრუნებას, სადაც კონფლიქტამდე ცხოვრობდნენ. ატკინსონი დასძენს, რომ "აშკარა პარალელი" არსებობს ლოიზიდუსა და ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ დეენილთა შორის.

როცა კონფლიქტის მოგვარების სამართლებრივ ბერკეტებზე ვსაუბრობთ, კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს კრემლის წამქეზებლურ-დესტრუქციული ქმედებების დამანგრეველი შედეგები. რასაკვირველია, რომ არა კრემლის მიერ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის სრულიად მიზანმიმართული ესკალაცია და მისი გადაზრდა სრულმასშტაბიან ომში (რამაც მხარეთა შორის დიალოგი უკიდურესად გაართულა), საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუციების გამოყენება ბევრად უფრო ადრე მოხდებოდა და მყარ სამართლებრივ საფუძველზე სამშვიდობო პროცესიც უფრო დინამიურად განვითარდებოდა.

დევიდ ატკინსონის მიერ განხილული ორივე სამართლებრივი მექანიზმი, ცხადია, გამოსადეგია საქართველოს კონფლიქტების შემთხვევაშიც. აქვე უნდა ითქვას, რომ 2001-2002 წწ. ჩვენ მივმართეთ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას ინიციატივით, რომლის ორი ძირითადი კომპონენტი იყო: ა) სწორედ ზემოხსენებული საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუციების გამოყენება საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პროცესში და ბ) იმ დროისთვის საქართველოში განლაგებული რუსეთის "სამშვიდობო ჯარების" ჩანაცვლება საერთაშორისო, უპირველესად, ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებით. სამწუხაროდ, მაშინ ამ ინიციატივას მთავრობის მხრიდან რაიმე გააქტიურება არ მოჰყოლია. მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამ მიმართულებით ვითარება თანდათან გაუმჯობესდა. მუშაობა

დაიწყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიამ, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ კონფლიქტების სამართლებრივ მხარეთა აქცენტირებაა. ლოიზიდუს საქმესთან (განაჩენი — 1996 წ.) ერთად, შეისწავლეთ ასევე სხვა მნიშვნელოვანი პრეცედენტული საქმეები: "კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ" (განაჩენი — 2001 წ.), "ილაშკუ და სხვები მოლდაველთისა და რუსეთის წინააღმდეგ" (განაჩენი — 2004 წ.), "ხაშიევი და აკაევა რუსეთის წინააღმდეგ" (განაჩენი — 2005 წ.). ეს მასალები გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე გამოცემულ ჩვენს წიგნში (კონფლიქტები, პროგნოზირება, საერთაშორისო სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები, თბ., 2007).

ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების გააქტიურება სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო საზოგადოების ხედვასა და რეკომენდაციებთან. მაგალითად, 2008 წლის 2 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში (#1633, საქართველო — რუსეთის ომის შედეგები) აღნიშნულია: "სრულად უნდა მოხდეს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ყველა საშუალების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოყენება, რათა გადაიჭრას კონფლიქტური ვითარების გამომწვევი ძირითადი პრობლემები."[31]

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ კრემლის მიერ 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის გამო.[32]

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სამართლებრივ ასპექტებზე საუბრისას აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ დაპირისპირებულ მხარეთა სამართლებრივი არგუმენტები.

აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეთა პოზიციების შეჯამებისას ორორ ძირითად მომენტს გამოყოფენ;

აზერბაიჯანული მხარის პოზიცია:

ა) სომხეთი არის აგრესორი;

ბ) საერთაშორისო საზოგადოებამ შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს კონფლიქტს.

სომხური მხარის პოზიცია:

ა) აზერბაიჯანმა თვალი უნდა გაუსწოროს რეალობას — ბაქომ ომი წააგო;

31 http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta08/eres1633.htm

32. ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. გვ. 631-645

ბ) აზერბაიჯანის სამართლებრივი პრეტენზია მთიან ყარაბაღზე უსაფუძვლოა. მთიანი ყარაბაღი არასოდეს ყოფილა/არასოდეს იქნება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილი.

აზერბაიჯანული მხარის არგუმენტები, უპირველეს ყოვლისა, სომხეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება.

1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა საბჭოებმა მიიღეს ერთობლივი რეზოლუცია "მთიანი ყარაბაღის სომხეთთან ხელახალი გაერთიანების შესახებ". ეს რეზოლუცია შემდეგ არც ერთ მათგანს არ გაუუქმებია და არც რაიმე ფორმით შეუცვლია.

1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ვკითხულობთ: "აცნობიერებს რა ისტორიულ პასუხისმგებლობას სომეხი ხალხის დანიშნულების წინაშე და მონაწილეობს რა ყველა სომეხის მისწრაფების რეალიზაციასა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენაში, სომხეთის სსრ-ის უმაღლესი საბჭოსა და არცახის ეროვნული საბჭოს მიერ 1989 წლის 1 დეკემბერს მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე...". ამ ფრაზიდან გამომდინარე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელი დევიდ ატკინსონი დაასკვნის: "სომეხი დამფუძნებელი მამებისთვის სომხეთის დამოუკიდებლობა განუყოფელია ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და სომხეთ-ყარაბაღის გაერთიანებისგან".[33]

ეს დასკვნა მით უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის მოქმედი, 1995 წლის 5 ივლისს მიღებული კონსტიტუციაც ადასტურებს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ხაზგასმულ მისწრაფებას: "აღიარებს რა სომხეთის სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ პრინციპებსა და სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღნიშნულ ეროვნულ მისწრაფებებს...".

აზერბაიჯანული მხარის მტკიცებით, სომხეთის სახელმწიფოს ამ ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ "დიდი სომხეთის" აღდგენისკენ სწრაფვა არის სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპი. აქედან გამომდინარე, რეალურად სომხეთს არასოდეს უთქვამს უარი ორი მეზობელი თურქულენოვანი სახელმწიფოსადმი ტერიტორიულ პრეტენზიაზე.

ყოველივე ზემოთქმული და ასევე კონფლიქტში სომხეთის მონაწილეობის უდავო ფაქტები (მაგ. ლაჭინის დერეფნის "გახსნა" ორმხრივი შეტევით) აზერბაიჯანულ მხარეს, ბუნებრივია, გარკვეულ საფუძველს

33 http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm

აძლევს ამგვარი დასკვნა გამოიტანოს და სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიაზე ისაუბროს. ასეთი დასკვნა მით უფრო ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის რეზოლუციას (# 1416), რომელშიც დაფიქსირებულია, რომ "სომხური ძალების მიერ ისევ ოკუპირებულია აზერბაიჯანის ტერიტორიები" და რომ "სახელმწიფოსგან რეგიონის ტერიტორიის სეცესია და მის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი და მშვიდობიანი პროცესის მეშვეობით (რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ ტერიტორიის მცხოვრებთა დემოკრატიულ მხარდაჭერას) და არა შეიარაღებული კონფლიქტის გზით, რასაც მოჰყვება ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა გაძევება და სხვა სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიის ფაქტობრივი ანექსია. ასამბლეა კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია წევრი სახელმწიფოს მიერ არის ამ უკანასკნელის მხრიდან თავისი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებათა უხეში დარღვევა".[34]

მართალია, რეზოლუციაში უშუალოდ სომხეთი არ არის ნახსენები, მაგრამ ამ კონტექსტში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, შეუძლებელია ევროსაბჭოს წევრი რომელიმე სხვა სახელმწიფო ვიგულისხმოთ.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სომხურ ძალებს, ცხადია, არანაირი უფლება არა აქვთ აზერბაიჯანის 7 რაიონის ოკუპაცია განახორციელონ და ამ ტერიტორიებიდან გამოდევნილ მოსახლეობას თავის სახლ-კარში დაბრუნების საშუალება არ მისცენ. სომხური მხარის ერთადერთი შესაძლო არგუმენტი ამ შემთხვევაშიც "ისტორიულ სამართლიანობას" თუ დაუკავშირდება — ეს ტერიტორია წარსულში "დიდი სომხეთის" შემადგენლობაში იყო და შემდგომ პერიოდშიც აქ, ძირითადად, სომხები ცხოვრობდნენ. დღეს რთული სათქმელია ყარაბაღსა და მის შემოგარენში რა რაოდენობით სომეხი ცხოვრობდა ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში, ან იყო თუ არა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არმენიზებული ალბანელი (როგორც აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აღნიშნავენ); მაგრამ უდავოა, რომ ეს რეგიონი შორეულ წარსულში მართლაც ეკუთვნოდა "დიდ სომხეთს" და შუა საუკუნეებშიც აქაურ სამთავროებში სომხური ეკლესია, ენა და დამწერლობა ფიგურირებდა. აღნიშნული ისტორიული ფაქტები, ამ ტერიტორიათა ამჟამინდელი ოკუპაცია და "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა ხშირად ერთ კონტექსტში განიხილება, მაგრამ სულ სხვა ვითარებაა საქართველოს კონფლიქტების

34. http://assembly.coe.int/documents/adoptedtext/ta05/eres1416.htm

შემთხვევაში, სადაც რაიმე კავშირის დანახვა ისტორიულ ფაქტებსა და ღღევანდელ რეალობას შორის შეუძლებელია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისტორიულად, აფხაზეთშიც და, მით უფრო, ქართლის შუაგულში მდებარე ცხინვალის რეგიონში ქართველები ყოველთვის უმრავლესობაში იყვნენ და ორივე რეგიონი ყოველთვის ამა თუ იმ ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის (სამეფოს, გუბერნიისა თუ რესპუბლიკის) შემადგენლობაში იმყოფებოდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენაზე საუბარიც კი უადგილოა, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო სამართალზე.

ცალკე უნდა განვიხილოთ სომხური მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ მთიანი ყარაბაღი არასოდეს ყოფილა (და არ იქნება) დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. სომეხი იურისტები აქ გულისხმობენ რეგიონის საერთაშორისო აღიარებას დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილად. მათი აზრით, როცა 1991 წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ", ამით, სამართლებრივად, სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი აზერბაიჯანის სსრ და მისი საზღვრებიც "გაუქმდა" და "აღდგა" აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1920 წწ.), რომლის შემადგენლობაშიც მთიანი ყარაბაღი საერთაშორისოდ არ ყოფილა აღიარებული. გარდა ამისა, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე 1991 წლის 10 დეკემბერს "დამოუკიდებლობის რეფერენდუმი" ჩატარდა სსრკ-ის მაშინდელი კანონმდებლობის ფარგლებში და მთიანმა ყარაბაღმა 1992 წლის 6 იანვარს დამოუკიდებლობა ამ რეფერენდუმის საფუძველზე გამოაცხადა. შესაბამისად, სომხური მხარის დასკვნით, აზერბაიჯანის პრეტენზია მთიან ყარაბაღზე სამართლებრივად უსაფუძვლოა.

აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად აზერბაიჯანის სსრ-ის საზღვრების "გაუქმება" არადამაჯერებელი არგუმენტია. არსებობს გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს რეზოლუციები, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული მხარდაჭერა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისადმი, რომელიც სწორედ ყოფილი აზერბაიჯანის სსრ-ის საზღვრებს ეფუძნება (მთიანი ყარაბაღის ჩათვლით).

რაც შეეხება მთიან ყარაბაღში გამართულ რეფერენდუმს, ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის მოხსენებაში ასეთ განმარტებას ეკითხულობთ: "სსრკ-ის 1990 წლის 3 აპრილის კანონის თანახმად, მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდა, ან დარჩენილიყო აზერბაიჯანის შემად-

გენლობაში, ან სსრკ-ში. მის დამოუკიდებლობას ეს კანონი არ ითვალისწინებდა. გარდა ამისა, სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია "არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორია შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთთანხმობით, რაც უნდა დადასტურდეს სსრკ-ის მიერ".

მოკავშირე რესპუბლიკისგან განსხვავებით ავტონომიურ წარმონაქმნს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლება არ ჰქონდა".[35]

თუ ამ საკითხებს, საქართველოს კონფლიქტებს მივუსადაგებთ, ანალოგიებს მკაფიოდ დავინახავთ, თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, თვითონ საბჭოთა რუსეთმა ცნო 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა და მისი საზღვრები (აფხაზეთისა და 1922 წელს შექმნილი ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ტერიტორიათა ჩათვლით). განსხვავებაა "დამოუკიდებლობის რეფერენდუმებთან" დაკავშირებითაც. მთიან ყარაბაღისგან განსხვავებით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ასეთი "რეფერენდუმები" ძირითად საომარ მოქმედებათა და მათ პარალელურად მომხდარი მასშტაბური ეთნიკური წმენდის დასრულების შემდეგ ჩატარდა და არა მანამდე. მაგალითად, აფხაზეთში ასეთი "დამოუკიდებლობის რეფერენდუმი" 1999 წელს ჩატარდა, როცა 1992-1993 წწ. ეთნიკური წმენდის შედეგად მოსახლეობის 2/3 უკვე კარგა ხნის გამოდევნილი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი "რეფერენდუმების" ლეგიტიმურობაზე საუბარიც კი ზედმეტია. ბოლო 20 წლის მანძილზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ლეგიტიმური რეფერენდუმი მხოლოდ ერთხელ, 1991 წლის 31 მარტს გაიმართა (აფხაზების გარკვეული ნაწილის მიერ რეფერენდუმის ბოიკოტირების მიუხედავად, აფხაზეთის მოსახლეობის საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა 58-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული სწორედ ამ რეფერენდუმის საფუძველზე აღდგა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს.

აქვე საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტორზე. დევიდ ატკინსონი დარწმუნებულია, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სრულად და საფუძვლიანად მოგვარებისთვის "საკითხის მხოლოდ სამართლებრივი გადაწყვეტა საკმარისი არ არის", რადგან პრობლემას "მეორე განზომილებაც აქვს: კონფლიქტი სამართალსა და რეალობას შორის". ატკინსონის განმარტებით: "მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უმრავლესობას ახლაც და კონფლიქტამდეც სომხები შეადგენდნენ. ბერბაიჯან-

35. http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm

ელები აქ უმცირესობაში იყვნენ და სავარაუდოდ მომავალშიც ასე იქნება. ამასთანავე, არსებობს ღრმად ფესვგადგმული უნდობლობა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ამ რეალობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს განაჩენი საკმარისი ვერ იქნება. კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს დემოკრატიულ დილემასაც, ანუ ორივე ქვეყნის ხელისუფლებათა კომპრომისული გადაწყვეტილებები არ უნდა უპირისპირდებოდეს საზოგადოებრივ აზრს. ამჟამად არსებული საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს მზად საკვანძო საკითხებზე კომპრომისისთვის" (ატკინსონის მოხსენება 2004 წლით თარიღდება).[36]

ეს საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს. სამართლებრივი პოზიციიდან, მნიშვნელობა არა აქვს მთიანი ყარაბაღის სომხურ მოსახლეობას შეიარაღებული ძალებით სომხეთი მიეხმარებოდა, თუ ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, მაგრამ, მეორე მხრივ, ეთნიკური ერთიანობისა და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ სომხეთი მონაწილეობდა ამ კონფლიქტში. სომხეთში მცხოვრები სომხებისთვის ეს იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე "პოლიტიკური მიზანშეწონილობა" ან "შეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპაცია".

ამ მხრივაც აშკარაა განსხვავება საქართველოში არსებულ ვითარებასთან, სადაც აფხაზებისა და ოსების ნაწილს კრემლი თავისი "პოლიტიკური თამაშებისთვის" იყენებს. სომხეთის მოქალაქე სომეხისთვის მთიანი ყარაბაღი სომხური მიწაა, ყარაბაღის მკვიდრი სომეხი მისი ნათესავია, მას ნამდვილად შესტკივა გული ყარაბაღელი თანამოძმისთვის და მის მხარდამხარ ბრძოლას თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნევს. ამ მოვალეობასთან შედარებით, საერთაშორისო სამართლის ნორმები მისთვის უფრო აბსტრაქტული კატეგორიებია.

ყველასათვის ცხადია, რომ აბსოლუტურად სხვა მოტივაცია ამოძრავებს კრემლს, როცა ის, აფხაზებისა და ოსების "მფარველის" ნიღაბს ამოფარებული, რეალურად, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია-ანექსიას ახორციელებს. თუ ვინმეს კიდევ სჯერა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ამ რეგიონების "მცოცავი ანექსია" მართლაც თანამემამულეებისადმი ან მცირერიცხოვანი ერებისადმი კეთილშობილური "მფარველობის" სურვილით არის ნასაზრდოები, შეეახსენებთ, რომ ჰიტლერის "მფარველობა" სუდეტელი და სილეზიელი გერმანელებისადმი, საბოლოოდ, მაშინდელი ჩეხოსლოვაკიისა და პო-

36. http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm

ლონეთის ოკუპაციით დასრულდა. შევახსენებთ ასევე, რომ ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი სწორედ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხის მიმართ უსასტიკესი "მეორე ომის" წყალობით გახდა, უფრო ზუსტად კი, ამ ომის, მართლაც, კომუნისტურ-ფაშისტური მეთოდებით განახლებისა და ჩეჩნების გენოციდის წყალობით (1994 წელს დაწყებული ჩეჩნეთის ომის შედეგად 200 ათასამდე ჩეჩენი დაიღუპა ანუ რესპუბლიკის ჩეჩენი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი). უშუალოდ პუტინის სახელს უკავშირდება ასევე "ნორდოსტისა" და ბესლანის ტრაგედიები. ეს უკანასკნელი აშკარა დემონსტრირებაა იმისა, თუ რაოდენ ძვირფასია პუტინისთვის ეთნიკური ოსების (თანაც, ბავშვების) სიცოცხლე. როცა 2004 წელს რუსეთის ჯარებმა ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანში შტურმით, მძიმე სამხედრო შეიარაღების გამოყენებით, აიღეს ტერორისტთა ჯგუფის მიერ დაკავებული საშუალო სკოლის შენობა, იქ დაახლოებით 780 ბავშვი იმყოფებოდა, ეთნიკურად, ძირითადად, ოსები; მათგან 186 დაიღუპა, ასეულობით კი დაიჭრა და დასახიჩრდა. თანამემამულეებზე პუტინის "მზრუნველობის" ნიმუშია ასევე სამხედრო წყალქვეშა ნავ "კურსკის" დაღუპვასთან დაკავშირებული ტრაგედია. მაშინ დასავლეთის ქვეყნებმა "კურსკის" ეკიპაჟის გადასარჩენად დახმარება შესთავაზეს პუტინს, მაგრამ მან "სამხედრო საიდუმლოს" შენახვის მოტივით უარი თქვა ამ დახმარებაზე, რითაც გაწირა მთელი ეკიპაჟი.

ეს ყველაფერი არის საბჭოთა უშიშროების სამსახურის მენტალიტეტის გამოხატულება, იმ მენტალიტეტის, რომელიც ტოტალიტარული იმპერიის დაშლას "ისტორიულ კატასტროფად" აღიქვამს. ეს არის მენტალიტეტი, რომელიც ორიენტირებულია არა ცივილიზებული სამყაროს ღირებულებებზე, არამედ ძალადობაზე, "ჯუნგლის კანონებზე". სწორედ ამიტომ აღიზიანებს მას დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს წარმატებები, სწორედ ამიტომ ეძებდა და ეძებს საბაბს საქართველოს სრული ოკუპაციისთვის, რომ ბოლო მოუღოს ამ პატარა ქვეყანას, და მისი სახით, თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმანს კრემლის "ახლო საზღვარგარეთში".

უნდა ითქვას, რომ პუტინი "ღირსეულად" აგრძელებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროინდელი "მზრუნველობის" ტრადიციებს მცირერიცხოვანი, თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ერების მიმართ. საკმარისია აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში თითქმის მთელი ჩერქეზი ხალხი (აფხაზების უახლოესი ნათესავები), ასეულობით ათასი ადამიანი გაასახლეს დასავლეთ იმიერკავკასიიდან, ნაწილი კი გაანადგურეს (შემდეგ ამ ტერიტორიაზე რუსი კოლონისტები ჩამოასახლეს). დღეს

ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ სოჭთან, ჩერქეზების ხოცვა-ჟლეტის ადგილას, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი მშენებლობა მიმდინარეობს (რასაც აპროტესტებენ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ჩერქეზთა სათვისტომოები).

საქართველოს მიმართ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს კრემლი არღვევდა და არღვევს არა თუნდაც "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენის, ან თანამოძმეებისა თუ მცირერიცხოვანი ერებისადმი დახმარების სურვილით, არამედ მისი ერთადერთი მოტივაცია არის "ურჩი" საქართველოს დამორჩილება, რაც საშუალებას მისცემს ისევ დააბრუნოს მთლიანად ამიერკავკასია თავისი "იმპერიული ჩექმის" ქვეშ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთ განსხვავებას უკავშირდება ამიერკავკასიაში არსებულ კონფლიქტთა სრულად, საბოლოოდ მოგვარების სხვადასხვანაირი პერსპექტივა. ერთი მხრივ, ცხადია, სომხეთის დაყოლიება კომპრომისზე უფრო იოლია, ვიდრე უზარმაზარი რუსეთის, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის პოზიციის აშკარა უსაფუძვლობა და საქართველოს კონფლიქტთა ზედაპირული, კრემლის მიერ ხელოვნურად "გამოზრდილი" ფესვები იძლევა იმის წინაპირობას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაცვისა და 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში, ანუ კრემლის დესტრუქციული ფაქტორის განეიტრალების შემთხვევაში, აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები სრულად, შემდგომი გართულებების გარეშე, საკმაოდ იოლად მოგვარდება.

რაც შეეხება სომხური მხარის ზემოთ ნახსენებ არგუმენტებს, ალბათ, მათგან ყველაზე არაცივილიზებული არის ომის შედეგზე აპელირება, რომ აზერბაიჯანელებმა ომი წააგეს და ამიტომ ისინი უნდა შეეგუონ ომისშემდგომ ახალ რეალობას. ასეთ მიდგომას ნაკლებად აქვს რაიმე საერთო, თუნდაც, ისტორიულ სამართლიანობასთან. საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ევროსაბჭო, ეუთო) სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ მსოფლიომ თავი დააღწიოს ძალადობის ბორკილებს და ზოგადადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული სამართლის უზენაესობას მიაღწიოს. ომის მოგება-წაგებაზე და ომის შედეგად წარმოქმნილ ახალ რეალობაზე ორიენტირება, ფაქტობრივად, ძალადობაზე ორიენტირებას ნიშნავს (ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება თავდაცვითი ომი ან, ვთქვათ, გაეროს სანქციით განხორციელებული სამხედრო ოპერაცია). საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური დოკუმენტებისა და ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნამდე, სწორედ სამხედრო ძალა, "ჯუნგლის კანონი"

ბატონობდა, მაგრამ ორი მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიო დარწმუნდა, რომ ძალადობის, ძალის უზენაესობის პრინციპი იგივე ომის პრინციპია, რომელიც კაცობრიობას განადგურებას უქადის.

1988-1994 წწ. კონფლიქტში სომხებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ხომ შეიძლება მომავალში კონფლიქტი ისევ განახლდეს და, შეცვლილი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, იგივე კრემლი ამჯერად აზერბაიჯანს დაეხმაროს, რასაც სომხების დამარცხება მოჰყვება? შემდეგ შესაძლოა მათ ისევ გაიმარჯვონ ან დამარცხდნენ და ა.შ. ამ დაუსრულებელი მტრობისა და სისხლისღერის ალტერნატივა არის კონფლიქტის მოგვარება საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაცვით, საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, რაც სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც და, შესაბამისად, მთელ ამიერკავკასიას საშუალებას მისცემს მშვიდობიანად, ურთიერთთანამშრომლობის გზით განვითარდეს და საბოლოოდ წარმატებულ რეგიონულ გაერთიანებად ჩამოყალიბდეს (დღეს ეს თითქოს უტოპიად ჩანს, მაგრამ ზუსტად ორი უსასტიკესი მსოფლიო ომის შემდეგ, ალბათ, კიდევ უფრო დიდ უტოპიად ჩანდა დღევანდელი ევროკავშირის შექმნის პერსპექტივა, მაგალითად, ომისშემდგომ გერმანიაში ან საფრანგეთში).

სწორედ ძალის უზენაესობის პრინციპის აღიარება აახლოებს სომხური მხარის ზემოხსენებულ პოზიციას რუსეთის ხელისუფლების პოზიციასთან, რომელიც კრემლს გააჩნია საქართველოს მიმართ. 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ კრემლიც მუდამ ომისშემდგომ "ახალ რეალობაზე" საუბრობს და სურს მსოფლიო შეაგუოს სამხედრო აგრესიისა და ეთნიკური წმენდის შედეგებს.

საერთოდ, სამხედრო აგრესიისა და ძალადობის გზით "ახალი პოლიტიკური რეალობის" შექმნა კრემლს ნამდვილად არ ესწავლება და ამ მხრივ მას პიტლერის ფაშისტური რეჟიმიც კი ვერ შეედრებოდა. ცნობილია ამ სფეროში მათი "თანამშრომლობის" შედეგიც; ძალადობით "ახალი პოლიტიკური რეალობის" დამკვიდრების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრე ქვეყნების გაყოფა-გადანაწილება 1939 წელს კომუნისტურ და ფაშისტურ იმპერიათა მიერ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შედეგად. დარწმუნებული ვართ, თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო ინსტიტუციები არ დაუშვებენ უდიდესი სისხლისღერის, ტანჯვისა და შრომის ფასად მოპოვებულის სამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფას, სამართლებრივი სისტემის მოშლას და სახელმწიფოთა შორის ისევ "ჯუნგლის კანონებზე" დაფუძნებულ ურთიერთობათა აღორძინებას.

დნესტრისპირეთი (მოლდოვა/მოლდავეთი)

დნესტრისპირეთი (ტრანსნისტრია), ანუ თვითგამოცხადებული „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა" (დმრ) მდებარეობს მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირზე, მდინარის გასწვრივ. დასავლეთით, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკა მხოლოდ ქალაქ ბენდერის (ტიგინას) და რამდენიმე სოფელს აკონტროლებს, მოლდავეთის რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორიაა. აღმოსავლეთით დნესტრისპირეთი (მოლდავეთი) უკრაინას ესაზღვრება.

ფართობი – 4 163 კმ²; მოლდავეთის (დმრ-ის ჩათვლით) — 33 846 კმ².

მოსახლეობა — 521 400 (2010); მოლდავეთის (დმრ-ის ჩათვლით) — 4 078 000 (2009).

ეთნიკური შემადგენლობა (2004): მოლდაველი — 31,9%, რუსი — 30,4%, უკრაინელი — 28,85, ბულგარელი — 2,5%, ებრაელი — 1,8%, ასევე გაგაუზები, ბოშები, პოლონელები და სხვა. კონფლიქტამდე, 1989 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით, დმრ-ის 679 ათასი მცხოვრებიდან 39,9% მოლდაველი იყო, 25,5% — რუსი, 28,3% — უკრაინელი. კონფლიქტის შედეგად აშკარაა მოლდაველების რაოდენობის შემცირება და რუსების მაჩვენებლის ზრდა; ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ გავითვალისწინებთ, რომ 1926 წელს დნესტრისპირეთში 44% მოლდაველი ცხოვრობდა, რუსი კი მხოლოდ 13,7% (უკრაინელი — 27,2%).

მოლდავეთის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური შემადგენლობა (2004, დმრ-ის ჩათვლით): მოლდაველი — 69,6%, უკრაინელი — 11,2%, რუსი — 9,39%, გაგაუზი — 3,85%, ბულგარელი — 2%.

რელიგია — როგორც დმრ-ში, ასევე მთლიანად მოლდავეთში ძირითადი რელიგია არის მართლმადიდებლური ქრისტიანობა — 91-93%.

ოფიციალური ენები: რუსული, მოლდავური, უკრაინული. მოლდავეთის სახელმწიფო ენა მოლდავურია, ცალკეულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სტატუსი აქვთ ასევე გაგაუზურს, რუსულს, უკრაინულსა და ბულგარულს.

ცენტრალური ქალაქი — ტირასპოლი (მოლდავეთის დედაქალაქია კიშინიოვი).

დმრ აწარმოებს მოლდავეთის ელექტროენერიის 90%-ს და ინდუსტრიული პროდუქციის 1/3-ს.

დმრ-ის ვალუტა — დნესტრისპირული რუბლი. მოლდავეთის ვალუტაა "ლევ"-ი (Lეუ).

თანამედროვე მოლდავეთის ტერიტორიაზე ადამიანი ქვის ხანიდან ცხოვრობს (გეოგრაფიულად ესაა მდინარეებს: პრუტსა და დნესტრს შორის არსებული არე, რომელსაც დნესტრის მარცხენა ნაპირიც ემატება).

I ათასწლეული ძვ.წ. — მოლდავეთის ტერიტორიაზე თრაკიელთა (ჩრდილო-აღმოსავლეთ ბალკანეთში მცხოვრებ ინდოევროპელთა) ტომები: გეტები და დაკები სახლდებიან და თავიანთ სამეფოს აარსებენ.

I ს. ძვ.აღ.-ით — II ს. ახ.წ.აღ.-ით — რომაელები თანდათან იკავებენ შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს და მიმდებარე ტერიტორიებს, მათ შორის გეტ-დაკებით დასახლებულ მიწებს და აქ დაკიის პროვინციას ქმნიან. ამ დროს დაიწყო აქაური მოსახლეობის რომანიზაცია. მართალია, დაკიის პროვინცია უშუალოდ არ მოიცავდა თანამედროვე მოლდავეთის ტერიტორიას, მაგრამ რომაულ პროვინციას აქაც დიდი პოლიტიკურ-კულტურულ-ლინგვისტური გავლენა ჰქონდა.

271 წ. — გერმანული ტომების ხშირი შეტევების შედეგად რომაელებმა დატოვეს დუნაის მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორიები, მათ შორის, დაკია. აქ მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი რომაელებს გაჰყვა, დარჩენილებმა კი ვალახების (ვოლოხების) ეთნოსს დაუდეს სათავე. სწორედ ეს ეთნოსი ითვლება თანამედროვე რუმინელებისა და მოლდაველების წინაპრად ("ვალახი", "ვალხა" ეგზოეთნონიმია, რომელსაც გერმანული ტომები თავდაპირველად გალიის რომანიზებულ კელტებს უწოდებდნენ, საბოლოოდ კი, გერმანელების მსგავსად, უნგრელები და სლავებიც ამ ტერმინით დაკიის მოსახლეობას აღნიშნავდნენ).

IV-VI სს. — „ხალხთა დიდი გადასახლების" ეპოქაში თანამედროვე მოლდაველთის მიწაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ჰუნების, ავარების, გოთების, სარმატების და სლავების შემოსევები.

IX ს. — უნგრელებმა დაიკავეს ვალახებით დასახლებული ტრანსილვანია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ზოგადად ვალახების ენასა და კულტურაზე.

XIII ს. — მონღოლთა „ოქროს ურდოს" ლაშქარი დასავლეთით მდინარე პრუტს გასცდა და კარპატებამდე მიაღწია. მონღოლები აქ მე-14 საუკუნის მეორე ნახევრამდე დარჩნენ.

XIV ს. დასაწყისი — ბასარაბ I "დამფუძნებელი" ვალახიის მმართველი გახდა (ვალახია სამხრეთი რუმინეთის ისტორიული სახელწოდებაა). თავდაპირველად ბოგდან I უნგრეთის მეფის ვასალად აღიარებდა თავს, მაგრამ მოგვიანებით, 1330 წლის 12 ნოემბერს პოსადესთან ბრძოლაში დაამარცხა უნგრეთის ჯარები და პირველი დამოუკიდებელი რუმინული სახელმწიფო შექმნა.

1351 — უნგრელმა ფეოდალმა დრაგოშ ვოდემ დასუსტებული „ოქროს ურდოს" ჯარები განდევნა ვალახიის ჩრდილო-დასავლეთით და ტრანსილვანიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიიდან. ვალახებით დასახლებული ეს მიწები უნგრეთის სამეფოს ფარგლებში მოექცა. ფაქტობრივად, ამ დროიდან იწყება ტრანსილვანიის (გეოგრაფიულად, კარპატების) აღმოსავლეთით მოლდოვას სამთავროს ჩამოყალიბება. სამთავროს სახელწოდება უკავშირდება მდინარე მოლდოვას, რომელიც არის მდინარე სირეტის (სირეტის) მარჯვენა შენაკადი. სირეტი მდინარე პრუტის დასავლეთით, მის პარალელურად ჩამოედინება და მოლდოვის სამთავრო, არსებითად, სწორედ ამ ორი დიდი მდინარის აუზს მოიცავდა. აღმოსავლეთით იგი მდინარე პრუტის მთელ მარცხენა ნაპირზე ვრცელდებოდა და მდინარე დნესტრით შემოისაზღვრებოდა (ახლანდელი რუმინეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია — მოლდავა — ყოფილი მოლდოვის სამთავროს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილზე მდებარეობს და მოლდოვის რესპუბლიკისგან მდინარე პრუტი ყოფს). აღსანიშნავია, რომ მოლდოვას სამთავროს შუა საუკუნეებში „მცირე ვალახიასაც" უწოდებდნენ. ამრიგად, იმ პერიოდში ვალახებს სამი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჰქონდათ: ტრანსილვანია, ვალახია და მოლდოვა (სხვადასხვა დროს მათ ვოევოდინად, სამთავროდ და სამეფოდ მოიხსენიებდნენ).

1359 — მოლდოვას სამთავროს გამგებლობა მოიპოვა ვალახმა დიდგვაროვანმა ბოგდან I-მა, რომელიც უნგრეთის მეფეს დაუპირისპირდა და პირველი მოლდავური სახელმწიფო ჩამოაყალიბა, რომლის დამოუკიდებლობა 1365 წელს ცნო უნგრეთმა.

1387 — მოლდოვას სამთავრო პოლონეთის ვასალი გახდა. მე-14 საუკუნის დასასრულს მოლდოვამ შეძლო აღმოსავლეთი პროვინციის — ბესარაბიის (ტერიტორია მდინარეებს პრუტსა და დნესტრს შორის) სამხრეთით მდებარე ბუჯაკის რეგიონის დაკავება და შავ ზღვამდე გაფართოება. 1388 წლიდან 1565 წლამდე სამთავროს დედაქალაქი იყო სუჩავა, რომელიც მდინარე სირეტის ახლოს, მის დასავლეთით მდებარეობს (ამჟამად რუმინეთის შემადგენლობაშია).

1400 — სამთავროს სათავეში მოვიდა ალექსანდრე I კეთილი, რომლის მმართველობა აყვავების ხანად ითვლება მოლდოვის ისტორიაში. ალექსანდრემ მჭიდრო კავშირი დაამყარა ვალახიასთან, თუმცა, კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა ასევე პოლონეთთან და ლიტვასთანაც, რამაც საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა გართულებები უნგრეთთან და მოეგერიებინა ოსმალების შეტევა. ალექსანდრე კეთილის

გარდაცვალების შემდეგ სამთავროში შინააშლილობა დაიწყო და 1456 წელს მოლდოვა ოსმალეთის ვასალი გახდა.

1457 — ვალახიის მეფის დახმარებით, მოლდოვის ტახტზე ავიდა შტეფან III დიდი, რომლის მეფობის დროს მოლდოვამ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. შტეფან დიდს მოუწია ერთმანეთის მიყოლებით გამკლავებოდა როგორც შინამტრებს, ასევე პოლონეთს, უნგრეთს და ოსმალეთს. შედარებით მცირერიცხოვანი ლაშქრით, მან შეძლო რამდენჯერმე დაემარცხებინა ოსმალეთის იმპერიის არმია, რომელიც ჯერ 120, შემდეგ კი 150 ათასი ჯარისკაცისგან შედგებოდა. 1473 წელს მოლდაველებმა, შტეფან დიდის მეთაურობით, თურქების მიერ დაპყრობილი ვალახიის დედაქალაქ ბუქარესტის გათავისუფლებაც კი მოახერხეს (თუმცა დროებით). სხვადასხვა მხრიდან ხშირი შემოსევების მიუხედავად, მოლდოვა ეკონომიკურ სიძლიერესაც ინარჩუნებდა — იმ პერიოდში მოლდაური ხომალდები გენუასა და ვენეციასთან ვაჭრობდნენ. მოლდოვის ხელმწიფემ ააშენა ცნობილი ეკლესია-მონასტრები თავის სამეფოში (ყოველი გამარჯვების შემდეგ ტაძარს აშენებდა); იგი მფარველობდა ასევე ათონის მთის მონასტრებსაც. 1992 წელს რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ შტეფან დიდი წმინდანად შერაცხა.

XVI ს. — შტეფან დიდის წარმატებების მიუხედავად, მე-16 საუკუნის დასაწყისში მოლდოვა მაინც ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა მნიშვნელოვან ავტონომიურობას ინარჩუნებდა. მართალია, იგი ხარკს უხდიდა ოსმალეთს და მოლდოვის მეფეებს სულთანი ნიშნავდა, მაგრამ ოსმალეთი არ ერეოდა სამთავროს საშინაო საქმეებში და არც რელიგიურ ექსპანსიას ახორციელებდა (იმ პერიოდში მოლდოვაზე დიდი გავლენა ჰქონდა ასევე პოლონეთს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა მას).

1593 — ვალახიის მეფე გახდა მიხაი მამაცი, რომელმაც შეძლო ვალახების სამივე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის: ვალახიის, ტრანსილვანიისა და მოლდოვის გაერთიანება (თუმცა, მხოლოდ ნახევარი წლით). ვალახიის ტახტზე ასვლის შემდეგ მან განდევნა ოსმალები, 1599 წელს დაამარცხა ტრანსილვანიის უნგრელი თავადაზნაურობა და ამ სამთავროს შემოერთების შემდეგ, 1600 წელს მოლდოვაც დაიკავა (აქაური პრინცი პოლონეთში გაიქცა). იმავე წლის 9 აგვისტოს მიხაი მამაცი ავსტრიის არმიის გენერლის, ბასტას ბრძანებით მოკლეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვალახების გაერთიანებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ძლიერი მეზობლები: ოსმალეთი, უნგრეთი და პოლონეთი და მიხაი მამაცს მხოლოდ ეპიზოდურად, კონიუნქტურის შე-

საბაბისად, ეხმარებოდა ავსტრიის იმპერატორი რუდოლფ II, მან მაინც მიაღწია იმას, რომ შექმნა ვალახების თუნდაც ხანმოკლე გაერთიანების პრეცედენტი (მიხაი მამაცის შემდგომ პერიოდში მოლდოვა ისევ ოსმალეთის ვასალი გახდა).

1683-1697 — ავსტრია-ოსმალეთის ომში ამ უკანასკნელის დამარცხებით თანდათან დაიწყო თურქული იმპერიის უკუსვლის პროცესი ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიმართულებით.

1712-1769 — ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოლდოვისა და ვალახიის სამთავროებს ერთი მმართველი ჰყავდა (ბერძნული წარმოშობის ნიკოლაე მავროკორდატი და შემდეგ მისი ვაჟი).

1739 — სექტემბერში, 1735-1739 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ხელმოწერილ იქნა ბელგრადის სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც რუსეთმა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში დადო და ვერ მოახერხა შავ ზღვასა და დუნაის მისადგომებთან ფეხის მოკიდება (მისი მოკავშირე ავსტრიის იმპერია იძულებული გახდა შეეწყვიტა ომი ოსმალეთთან).

1774 — რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის შედეგები გაფორმდა იელისში დადებული ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებით, რომლითაც ეკატერინე II-მ, ფაქტობრივად, დაატოვებინა ოსმალეთს შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო და მოიპოვა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით სარგებლობის უფლება. შეთანხმება ითვალისწინებდა ასევე რუსეთის მფარველობას მოლდოვის სამთავროზე.

1783 — ეკატერინე II-მ, სპეციალური მანიფესტით, გააუქმა ყირიმის სახანო და ყირიმის ნახევარკუნძული, ტამანთან და ყუბანთან ერთად, რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

1791 — რუსეთ-თურქეთის 1787-91 წწ. ომის შედეგები გაფორმდა იასის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, რუსეთის საზღვარი ყირიმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მდინარე სამხრეთ ბუგიდან, დასავლეთით, მდინარე დნესტრზე გადაიწია.

რუსული წყაროების მიხედვით, ძირითადად, ამ დროს გადასახლდა მართლმადიდებელი მოლდაველების ნაწილი (ოსმალების მხრიდან შურისძიების შიშით) მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირიდან, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში, მარცხენა ნაპირზე, რომელსაც რუსეთის იმპერია დაესაკუთრა. რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ დნესტრის მარცხენა ნაპირზე ისტორიულად სლაველები სახლობდნენ და მოლდაველები აქ მხოლოდ XVII-XVIII საუკუნიდან ჩნდებიან. არადა ფაქტია, რომ ეს ტერიტორია რამდენიმე საუკუნის მანძილზე ოსმალეთს და მასთან დაკავშირებულ ყირიმის სახა-

ნოს ეკუთვნოდა და მის სამხრეთ ნაწილში მაინც, უდავოდ, ყირიმელი თათრები მრავლად ცხოვრობდნენ. თუ ვიტყვით, რომ მართლმადიდებელი მოლდაველები მაპმადიანი თათრების შიშით არ გადმოდიოდნენ დნესტრის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე, მაშინ გაუგებარი რჩება, როგორ ცხოვრობდნენ აქ მართლმადიდებელი რუსები, მით უფრო, რომ სწორედ რუსეთის იმპერია ებრძოდა ყირიმის სახანოს და საბოლოოდ მოსპო კიდეც იგი. აქვე უნდა ითქვას, რომ დნესტრისპირეთის დღევანდელი დედაქალაქი ტირასპოლი რეგიონის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და ის სწორედ 1787-1791 წლების ომის შემდეგ დაარსდა, როგორც „დნესტრის სასაზღვრო ხაზის" ცენზ-სიმაგრე (ქალაქის სტატუსი 1795 წელს მიენიჭა).

მაშინდელი დნესტრისპირეთის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი გრიგორიოპოლი 1792 წელს დააარსეს იზმაილიდან გამოქცეულმა სომხებმა და ერთხანს იგი ადგილობრივ სავაჭრო ცენტრადაც იქცა. ანუ, როგორც ჩანს, დნესტრისპირეთში ამჟამად მცხოვრები არამოლდაველების დიდი ნაწილი "საუკუნეთა მანძილზე" აქ მცხოვრები მოსახლეობის შთამომავალი კი არ არის, არამედ რუსეთის იმპერიის ახალი საზღვრების „გამაგრების" მიზნით ჩასახლებული კოლონისტების შემკვიდრეები (მანამდე ამ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ყირიმელი თათრები და მოლდაველები ცხოვრობდნენ). ასეთი პრაქტიკა რუსეთის იმპერიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო; XVIII-XIX საუკუნეებში ასე მოხდა, მაგალითად, ავტოქთონი ჩერქეზებისა და მათი მონათესავე ჩრდილოკავკასიელი ხალხების განადგურება-გასახლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, მდინარე ყუბანის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებიდან და მათ ნაცვლად ეთნიკურად რუსი კოლონისტების ჩამოსახლება. დღეს აქ კრასნოდარის, ყოფილი ეკატერინოდარის და სტავროპოლის რეგიონებია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური რუსები შეადგენენ; მრავლად არიან ასევე სომხებიც (მეფის რუსეთისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ექსპანსიის პოლიტიკა გააგრძელა საბჭოთა იმპერიამაც, რასაც მოჰყვა ასეულობით ათასი აღამიანის დეპორტაცია ბალტიის ქვეყნებიდან, კავკასიიდან, მოლდაველთიდან).

1812 — 16 მაისს, რუსეთში ნაპოლეონის შეჭრამდე ერთი თვით ადრე, ბუქარესტში დაიდო შეთანხმება, რომელმაც ოსმალეთის იმპერია „გამოთიშა" ნაპოლეონ-რუსეთის დაპირისპირებისგან და დააფიქსირა რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წწ. ომის შედეგები. შეთანხმების მეექვსე პუნქტის თანახმად, პორტამ რუსეთს დაუთმო მოლდოვის სამთავროს აღმოსავლეთი ნაწილი — ბესარაბია და ამის შემდეგ რუსეთ-ოსმალე-

თის საზღვარი მდინარე დნესტრის ნაცვლად მდინარე პრუტი გახდა. თავდაპირველად, ახალშემოერთებულ ტერიტორიას ფართო ავტონომია ჰქონდა და ცალკე „მოლდოვისა და ბესარაბიის რეგიონად («область»)" მოიხსენიებოდა, თუმცა, 1818 წლიდან, ფაქტობრივად (1873 წლიდან ოფიციალურადაც), ბესარაბიის გუბერნიად გადაკეთდა და რუსიფიკაციის პროცესი აქტიურად დაიწყო. 1817 წლის აღწერით, მოსახლეობის 86% (დაახლოებით, 482 ათასი) მოლდაველი იყო, ხოლო რუსი და უკრაინელი მხოლოდ 6,5%; 1897 წელს კი მოლდაველი 56% იყო, რუსი და უკრაინელი კი — 18,9%. სხვა წყაროს მონაცემებით, 1897 წელს მოლდაველი მხოლოდ 47,6% იყო, უკრაინელი კი 19,6% (აღსანიშნავია, რომ მაგალითად, ბენდერის მაზრაში 1897 წელსაც კი მოსახლეობის უმრავლესობა — 45% მოლდაველი იყო, 10,8% — უკრაინელი, 9,5% — რუსი, 8,5% — ებრაელი და 7,6% — ბულგარელი; მე-20 საუკუნის დასასრულისთვის ბენდერიში ეთნიკურად მოლდაველთა რაოდენობა უკვე მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, ხოლო 1992 წლის კონფლიქტის შემდეგ დაახლოებით 20%-მდე დავიდა).

1829 — 1828-1829 წლების ომში რუსეთთან დამარცხების შემდეგ, ადრიანოპოლის სამშვიდობო შეთანხმებით, ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო დუნაის დელტა და მიმდებარე ბუჯაკის რეგიონი, რომელიც ბესარაბიის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი გახდა და გუბერნიამ შავ ზღვაზე გასასვლელი მიიღო (მართალია, 1856 წელს ოსმალეთმა დაიბრუნა დუნაის დელტა, მაგრამ 1878 წელს საბოლოოდ დაკარგა ეს ტერიტორია, რომელიც ამჟამად რუმინეთის ეკუთვნის, ხოლო ბუჯაკი — უკრაინას).

1848 — საფრანგეთში დაწყებულმა რევოლუციურმა ტალღამ თითქმის მთელი ევროპა მოიცვა. რევოლუცია მოხდა ვალახიის სამთავროშიც. ამბოხებულები მიზნად ისახავდნენ რუმინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ოსმალეთისა და რუსეთის ჯარების შესვლის შედეგად ვალახიის რევოლუცია, მართალია, დამარცხდა, მაგრამ ამ მოძრაობამ დიდი წვლილი შეიტანა ვალახების სამივე სამთავროს მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნების გაღვივებაში.

1859 — ოსმალეთის ორი ვასალური სამთავრო: ვალახია და მოლდოვა, უფრო ზუსტად კი, მოლდოვას დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი (აღმოსავლეთი ტერიტორია, ბესარაბიის გუბერნიის სახით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო) გაერთიანდა რუმინეთის სამთავროდ და მის პრინცად ("დომნიტორად") მოლდოვაში დაბადებული რუმინელი დიდგვაროვანი, 1848 წლის რევოლუციის მონაწილე, ალექსანდრუ იონ კუზა აირჩიეს.

1866 — კუზას ნაცვლად, რუმინეთის "პრინც კაროლი" ჰოჰენცოლერნების დინასტიის წარმომადგენელი კარლ ეიტელ ფრიდრიხი გახდა.

1878 — მას შემდეგ, რაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუმინეთის ჯარებმა, რუსეთის არმიის დახმარებით, განდევნეს ოსმალები, „დიდმა იმპერიებმა" ბერლინის შეთანხმებით, რუმინეთი დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარეს.

1917 — 2 დეკემბერს ახალარჩეულმა ეროვნულმა საბჭომ — სფატულ ცერიმ — ბესარაბიის გუბერნიის ტერიტორიაზე მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის (მდრ) დაფუძნება გამოაცხადა. 150-კაციან საბჭოში 105 ადგილი მოლდაველებმა მოიპოვეს, 15 — უკრაინელებმა, 13 — ებრაელებმა, 6 — რუსებმა, დანარჩენი მანდატები ბულგარელებს, გაგაუზებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ერგოთ. მაშინ იქ დაახლოებით 2 700 000 ადამიანი ცხოვრობდა, უმრავლესობა მოლდაველი, თუმცა, სამხრეთ რეგიონში, ბუჯაკში, მოლდაველები მოსახლეობის 25-27% შეადგენდნენ (1897 წლის აღწერის მონაცემებით, ბესარაბიის გუბერნიის მოსახლეობის 47,6% მოლდაველი იყო, 19,6% — უკრაინელი, 11% — ებრაელი, 8% — რუსი, 5% — ბულგარელი). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბესარაბიაში აქტიურად მიმდინარეობდა დემოგრაფიული ექსპანსია, რაც მიზნად ისახავდა საკვანძო ტერიტორიებზე მოლდაველების შევიწროებას და რუსულ-უკრაინული უმრავლესობის შექმნას. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვის დნესტრის მარცხენა ნაპირზე მოსახლეობის დაახლოებით 50% მოლდაველი იყო.

ახალშექმნილი რესპუბლიკის სამხრეთი საზღვარი დუნაისა და შავ ზღვაზე გადიოდა, აღმოსავლეთი — მდინარე დნესტრზე, დასავლეთი — მდინარე პრუტზე. მდრ-ის ჩრდილოეთით უნგრეთის ბუკოვინა მდებარეობდა.

მოლდოვას დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებამ უკმაყოფილება გამოიწვია რესპუბლიკის იმ რეგიონებში, სადაც რუსულ-უკრაინული მოსახლეობა მრავლად იყო და თანაც რუსეთის იმპერიის ყოფილი არმიის ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. ასეთ ტერიტორიებზე იქმნებოდა სხვადასხვაგვარი „რევოლუციური კომიტეტები", „რევოლუციური საბჭოები", რომელთა ძირითადი საქმიანობა ძარცვა და მდრის სამთავრობო სტრუქტურებისთვის წინააღმდეგობის გაწევა იყო.

28 დეკემბერი — სფატულ ცერიმ, ძარცვა-რბევისა და ანარქიული პროცესის შესაჩერებლად, ხმათა უმრავლესობით, მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუმინეთის ჯარების შესვლას, რაც იანვრის პირველივე რიცხვებიდან დაიწყო.

1918 — 13 იანვარს რუმინულმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს კი-

შინიოვი, მას შემდეგ, რაც ქალაქის „რევოლუციურმა შტაბმა" დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მათ.

22 იანვარი — ერთდღიანი ბრძოლის შემდეგ რუმინულ-მოლდავურმა ძალებმა კონტროლი დაამყარეს ქალაქ იზმაილზე, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიის დუნაის ფლოტილიის ბაზა იყო.

2 თებერვალი — რუმინულ-მოლდავური ჯარები ბენდერიში შევიდნენ, თუმცა, დნესტრის მარცხენა ნაპირიდან გადმოსული რუსული შეიარაღებული ჯგუფების შეტევის გამო მათ უკან დაიხიეს. საბოლოოდ, ბენდერი 7 თებერვალს მაინც გადავიდა რუმინულ-მოლდავური ძალების ხელში (მსგავსი ვითარება შეიქმნა 1992 წლის კონფლიქტის დროსაც, როცა დნესტრის მარცხენა ნაპირიდან ქალაქში შეიჭრნენ ყოფილი საბჭოთა მე-14 არმიის ნაწილები და ბენდერიდან მოლდოვის პოლიციის ქვეღანაყოფები გამოდევნეს; ამჯერად მოლდავეთის ძალებმა ვეღარ შეძლეს ქალაქში დაბრუნება და მას შემდეგ დღემდე ბენდერი ტირასპოლის დაქვემდებარებაშია).

მარტი (1918) — თითქმის ერთთვიანი ბრძოლების შედეგად რუმინულ-მოლდავურმა ჯარებმა წითელი არმიისგან გაათავისუფლეს სამხრეთი ბესარაბიის ცენტრალური ქალაქი — ბელგოროდ-დნესტროვსკი (ყოფილი აკერმანი).

27 მარტი — სფატულ ცერიმ მიიღო ისტორიულ გადაწყვეტილება მდრ-ის რუმინეთთან გაერთიანების შესახებ ავტონომიის სტატუსით (მომხრე — 86, წინააღმდეგი — 3, თავი შეიკავა — 36-მა).

26 ნოემბერი — სფატულ ცერის ახალი გადაწყვეტილებით, ბესარაბიის ავტონომია გაუქმდა და იგი რუმინეთის ჩვეულებრივი პროვინცია გახდა (კრემლმა არ ცნო რუმინეთისა და ბესარაბიის გაერთიანება).

1924 — 12 ოქტომბერს უკრაინის სსრ-ის შემადგენლობაში, ძირითადად, ახლანდელი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე შეიქმნა „მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".

1940 — 2 აგვისტოს შეიქმნა მოლდავეთის სსრ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 1939 წელს ხელმოწერილი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საფუძველზე (რომლითაც ფაშისტურმა და კომუნისტურმა იმპერიებმა „გაიყვეს" აღმოსავლეთი ევროპა), 1940 წლის 28 ივნისს საბჭოთა კავშირმა რუმინეთის აღმოსავლეთი პროვინციის — ბესარაბიის — ოკუპაცია-ანექსია განახორციელა.

ნოემბერი — შეიცვალა ახალშექმნილი მოლდავეთის სსრ-ის საზღვრები: ოკუპირებული ტერიტორის ძირითადი ნაწილი მოლდავეთის სსრ-ს დარჩა, მაგრამ სამხრეთი ნაწილი უკრაინის სსრ-ს გადაეცა (იმ

პერიოდში აქედან 100 ათასამდე გერმანელი გადასახლდა თავის ისტორიულ სამშობლოში და მათ ნაცვლად უკრაინელები ჩაასახლეს). ამავე დროს, უკრაინას „ჩამოეჭრა" "მოლდავეთის ავტონომიური სსრ" და ახალშექმნილ მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკას მიუერთდა. ასეთი გადანაწილების არგუმენტად დასახელდა ამ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობის ეთნიკური კუთვნილება (აქედანაც ჩანს, რომ მაშინ დნესტრისპირეთში მოლდაველები უმრავლესობას ქმნიდნენ). ამ ცვლილებების შედეგად ბესარაბიამ დაკარგა 10 ათასი კმ^2 ტერიტორია. იმავე წელს განხორციელებულ რეპრესიებს 8 ათასი მოლდაველის დეპორტაცია მოჰყვა, მოგვიანებით კი დეპორტირებულთა რიცხვმა 200 ათასს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 1926 წელს დნესტრისპირეთში ცხოვრობდა 44,1% მოლდაველი, 13,7% რუსი და 27,2% უკრაინელი; 1989 წელს კი, კრემლის მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად, მოლდაველების პროცენტული მაჩვენებელი 39,9%-მდე შემცირდა, რუსების კი 25,5%-მდე გაიზარდა, მაშინ როცა უკრაინელების დაახლოებით იგივე დარჩა — 27-28%.

1941 — რუმინეთის პროფაშისტურმა რეჟიმმა, სსრკ-ის უკანდახევის პერიოდში დაიბრუნა ბესარაბია.

1944 — საბჭოთა ჯარების წარმატებული შეტევის შედეგად 1940 წლის სტატუს კვო აღდგა, ანუ მოლდავეთის სსრ ისევ საბჭოთა იმპერიის საზღვრებში მოექცა.

1980-იანი წლები — მოლდავეთის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგიური თავისებურება იყო მის მიერ მოლდავურ და რუმინულ ენათა იდენტურობის გამოცხადება და რუმინეთთან გაერთიანებისკენ სწრაფვა.

1988 — გამოქვეყნდა მოლდაველ ლიტერატორთა „წერილი 66", რომელშიც ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო ენად მხოლოდ მოლდავური ენის გამოცხადებას, თანაც ლათინური (და არა რუსული) გრაფიკით. მოგვიანებით, 1991 წლიდან რესპუბლიკის ორმა ცენტრალურმა გაზეთმა ეპიგრაფად ასეთი სიტყვები აირჩია: „ჩვენ რუმინელები ვართ — ამით ყველაფერი ნათქვამია!".

1989 — 30 მარტს გამოქვეყნდა კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ", რომელიც სახელმწიფო ენად მოლდავურის გამოცხადებას ითვალისწინებდა. ამას მოჰყვა საპროტესტო აქციები დნესტრისპირეთში.

მაისი — ჩამოყალიბდა „მოლდავეთის სახალხო ფრონტი". ახალი კანონპროექტის რეალური ინიციატორი სწორედ ეს ორგანიზაცია იყო. იმავე პერიოდში ტირასპოლის ქალაქის საბჭომ რესპუბლიკის უმაღ-

ლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა მოწოდებით, რათა მოლდავეთში ორი სახელმწიფო ენა დაწესებულიყო: მოლდავური და რუსული.

11 აგვისტო — ტირასპოლში შეიქმნა „მშრომელ კოლექტივთა გაერთიანებული საბჭო" (მკგს), რომელიც ზემოხსენებულ კანონპროექტს დისკრიმინაციულს უწოდებდა.

16 აგვისტო — მკგს-მ გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყო და მოითხოვა 29 აგვისტოს დანიშნული უმაღლესი საბჭოს სესიის გადადება, რომელზეც უნდა განეხილათ კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ. გაფიცვის მიუხედვად, სესია მაინც არ გადაიდო.

21 აგვისტო — მოლდავეთის დიდ ქალაქებში დაიწყო მკგს-ს მიერ ორგანიზებული მასშტაბური გაფიცვა, რომელშიც 150-ზე მეტი საწარმო მონაწილეობდა და რომელიც მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეწყდა. მკგს-ს აქტიურობას სახალხო ფრონტმა კიშინიოვში გამართული გრანდიოზული მიტინგით უპასუხა. მიტინგს ასეულობით ათასი ადამიანი დაესწრო.

31 აგვისტო — უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმად, მოლდავურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა.

1990 — 25 თებერვალს ჩატარდა მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. დნესტრისპირეთის წარმომადგენლობა, მისი მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, საკანონმდებლო პროცესზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენდა. ამიტომ, „ფსიქოლოგიური წნეხის" მომიზეზებით, დნესტრისპირელებმა დატოვეს სესია.

23 ივნისი — მოლდავეთის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სპეციალური კომისიის დასკვნა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შესახებ. დასკვნიდან გამომდინარე, მოლდავეთის სსრ-ის შექმნა უკანონოდ გამოცხადდა, ხოლო ბესარაბიისა და ჩრდილო ბუკოვინის დაკავება სსრკ-ის ჯარების მიერ 1940 წელს — რუმინეთის ტერიტორიების ოკუპაციად. სახალხო ფრონტმა მოითხოვა მოლდავეთის ოფიციალური სახელწოდებად დამკვიდრებულიყო „რუმინული რესპუბლიკა მოლდოვა". ყოველივე ამას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა დნესტრის მარცხენა ნაპირსა და გაგაუზიაში.

31 იულისი — გამოქვეყნდა ტირასპოლის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ, თუკი მოლდავეთის სსრ-ის შექმნა უკანონოდ მოხდა, მაშინ დნესტრის მარცხენა ნაპირის მიერთებაც ამ რესპუბლიკისადმი ასევე უკანონო იყო და ამიტომ ტირასპოლის საქალაქო საბჭო აღარ მიიჩნევს თავს რაიმე თვალსაზრისით ვალდებულად მსსრ-ის ხელმძღვანელობის წინაშე.

იმავე პერიოდში დნესტრისპირეთისა და გაგაუზიის ადგილობრივმა

ორგანოებმა დაიწყეს „რეფერენდუმების" გამართვა ენის საკითხთან დაკავშირებით და მათი შედეგების საფუძველზე დნესტრისპირეთში ოფიციალურ ენად მოლდავური, რუსული და უკრაინული გამოაცხადეს, გაგაუზიაში კი: მოლდავური, გაგაუზური და რუსული.

19 აგვისტო — გაგაუზიაში არალეგიტიმური „გაგაუზიის რესპუბლიკის" შექმნა გამოცხადდა.

გაგაუზები მოლდავეთის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობაა. გაგაუზური ენა თურქულის ოღუზურ შტოს მიეკუთვნება, თუმცა ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ბოლო წლებში ჩატარებული გენეტიკური გამოკვლევების მიხედვით, მათი წარმოშობა ბალკანეთის ნახევარკუნძულს უკავშირდება.

2 სექტემბერი (1990) — დნესტრისპირეთის ყველა დონის დეპუტატთა II საგანგებო ყრილობამ „დნესტრისპირეთის მოლდავური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" დაფუძნება გამოაცხადა. არჩეულ იქნა "დროებითი უმაღლესი საბჭო" იგორ სმირნოვის მეთაურობით.

25 ოქტომბერი — მოლდავეთის მაშინდელი პრემიერის მირჩა დრუკის გადაწყვეტილებით, გაგაუზიის ცენტრალურ ქალაქ კომრატში გაიგზავნა პოლიციის დამატებითი ძალები, რათა აღკვეთილიყო ადგილობრივი ორგანოების მიერ დანიშნული ე.წ. არჩევნები (უნდა აერჩიათ არალეგიტიმურ ორგანო — „გაგაუზიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო"). ამის პარალელურად, დნესტრისპირეთიდან, „გაგაუზიის რესპუბლიკის" „დასაცავად", რადენიმე ათეული ავტობუსით, „დრუჟინნიკები" გაემგზავრნენ. მოლაპარაკებების შედეგად, ამ ორი კოლონის წარმომადგენლებს შორის შეტაკება არ მოხდა, თუმცა, „სისხლისღერის თაყვიდან ასაცილებლად" დაპირისპირების ზონაში საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები განლაგდნენ.

გაგაუზიის მსგავსად, ვითარება იძაბებოდა დნესტრისპირეთშიც.

2 ნოემბერი — დნესტრისპირეთის ქალაქ დუბოსარში გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა დნესტრის მარჯვენა ნაპირთან დამაკავშირებელი ხიდი გადაკეტეს. საპასუხოდ, მოლდავეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა იონ კოსტაშმა გასცა ბრძანება დუბოსარის ხიდზე მოძრაობის გახსნისა და ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის შესახებ. საღამოს 5 საათზე პოლიციის სპეცრაზმმა სცადა მინისტრის ბრძანების შესრულება, რასაც მომიტინგეთა აქტიური წინააღმდეგობა მოპყვა. პოლიციამ ჯერ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენა (დაიღუპა 3 ადამიანი). ტირასპოლის მკგს-ს გადაწყვეტილებით, დუბოსარის ხიდის მსგავსად, გადაიკეტა ამ ქალაქში შემავალი ყველა გზა.

ამ დღეებშივე ქალაქ ბენდერიში შეიქმნა „თავდაცვის შტაბი", დაიწყო მოხალისეთა მობილიზაცია და ამ ქალაქისკენ მიმავალი გზებიც ჩაიხერგა. დნესტრის მარცხენა ნაპირის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო "რეფერენდუმების" გამართვა 2 სექტემბერს დაფუძნებული „დნესტრისპირეთის მოლდავური სსრ-ის" მხარდასაჭერად.

დეკემბერი — მიხეილ გორბაჩოვმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც მოუწოდა მოლდავეთის უმაღლეს საბჭოს შეესწორებინა რესპუბლიკის „ეროვნებით არამოლდაველი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების შემლახავი" ახალმიღებული საკანონმდებლო აქტები, სახელდობ, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის ცალკეული პუნქტები. იმავე ბრძანებულებით, გაგაუზიისა და დნესტრისპირეთის „რესპუბლიკათა" შექმნის გადაწყვეტილებები იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა.

1991 — 17 მარტს გამართულ საკავშირო რეფერენდუმს, სსრკ-ის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მოლდავეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ბოიკოტი გამოუცხადა, თუმცა, დნესტრისპირეთსა და ქალაქ ბენდერიში „რეფერენდუმი" მაინც ჩატარდა.

19-21 აგვისტო — დნესტრისპირეთის მკგს-მ, ოფიციალური განცხადებით, მხარი დაუჭირა ე.წ. „გკაჩეპეს" (საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს), ანუ სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

23 აგვისტო — „გკაჩეპეს" დამარცხების შემდეგ, მოლდავეთის კომპარტია გაუქმდა.

25 აგვისტო — ტირასპოლში „დნესტრისპირეთის მოლდავური სსრ"-ის „დამოუკიდებლობა" გამოცხადდა.

27 აგვისტო (1991) — რუსეთისა და უკრაინის მსგავსად, მოლდავეთის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.

29 აგვისტო — კიევში მოლდავეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის „უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე" იგორ სმირნოვი და გაგაუზიის ლიდერი სტეპან ტოპოლი.

1 სექტემბერი — ტირასპოლში გამართულ მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვის ანუ დანარჩენი მოლდავეთს ტერიტორიის ბლოკადის შესახებ. დაიწყო გასამხედროებული შენაერთის — „დნესტრისპირეთის გვარდიის" ჩამოყალიბება.

25 სექტემბერი — მოლდავეთის პოლიციის ძალები ღუბოსარში შეიჭრნენ.

1 ოქტომბერი — მოლდავეთის პოლიციის სპეცრაზმებმა ღუბოსარი

დატოვეს; იმავე დღეს გაათავისუფლეს იგორ სმირნოვი.

5 ნოემბერი (1991) — დმსსრ-ს სახელი გადაერქვა და „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა“ ეწოდა.

13 დეკემბერი — მას შემდეგ, რაც 12 დეკემბერს რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ რატიფიცირებულ იქნა ბელოვეჟის შეთანხმება, მოლდავეთის პოლიციის ძალებმა ისევ სცადეს დუბოსარში შესვლა, თუმცა ამჯერად შეიარაღებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. შეტაკებები მეორე დღესაც გაგრძელდა. დმრ-ში რუსეთიდან კაზაკების რაზმები ჩავიდნენ.

15 დეკემბერი — კიშინიოვში ერთმანეთს შეხვდნენ მირჩა სნეგური და იგორ სმირნოვი. შეიქმნა „შეთანხმების კომისია“ და შეიარაღებული კონფლიქტი დროებით შეწყდა.

18 დეკემბერი (1991) — რუსეთმა ცნო მოლდავეთის დამოუკიდებლობა.

21 დეკემბერი — პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა ხელი მოაწერა მოლდავეთის დსთ-ში შესვლის ხელშეკრულებას.

1992 — 2 მარტს, ღამით, დუბოსარში ხანმოკლე შეიარაღებულ შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა. იმავე დღეს ქალაქში მყოფმა დნესტრისპირელმა კაზაკებმა ალყა შემოარტყეს პოლიციის შენობას და მოლდაველ პოლიციელთა განიარაღება მოითხოვეს. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, განიარაღებული პოლიციელები დაატყვევეს (სამი კვირის შემდეგ ისინი ყოფილი საბჭოთა მე-14 არმიის მეთაურ, გენერალ იაკოვლევზე გაცვალეს, რომელიც 16 მარტს ოდესის რაიონში დააკავეს მოლდავეთის სპეცსამსახურებმა და კიშინიოვში გადაიყვანეს).

1 აპრილი — ქალაქ ბენდერიში მოლდავეთის პოლიციის დანაყოფები შევიდნენ. დაიწყო შეტაკებები მათსა და ადგილობრივ „გვარდიელებს“ შორის. მსხვერპლის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მთელ დნესტრისპირეთში მობილიზაცია გამოცხადდა და 14 ათას ადამიანზე იარაღი გაიცა. ააფეთქეს მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირთან დამაკავშირებელი ორი ხიდი. შეიარაღებული ჯგუფები გაიგზავნა დუბოსარის ელექტროსადგურის კაშხალზე კონტროლის დასამყარებლად.

19 ივნისი — მოლდავეთის პოლიციამ შეძლო ქალაქ ბენდერის სიღრმეში შეღწევა და მეორე დღეს უკვე დნესტრზე გამავალი ხიდიც დაიკავა. ადგილობრივი „გვარდიის“ ძალები ქალაქის ყოფილი აღმასკომის შენობაში აღმოჩნდნენ ალყაშემორტყმული. ამ კრიტიკულ მომენტში საბრძოლო მოქმედებებში ღიად ჩაებნენ დნესტრისპირეთში განლაგებული რუსეთის მე-14 არმიის ქვედანაყოფები. ისინი ხიდის საშუალებით შეიჭრნენ ქალაქში და მოლდავეთის პოლიცია იძულებული გახდა დაეტოვებინა ბენდერი.

7 ივლისი — კიშინიოვში ჩავიდნენ რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლები. იმ დღეებშივე გადადგა მოლდაველთის პრემიერი (ვალერი მურაევსკი) და თავდაცვის მინისტრი (იონ კოსტაში).

21 ივლისი — მოსკოვში რუსეთისა და მოლდაველთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითად პრინციპთა შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე დნესტრის ორივე მხარეს რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარები განლაგდნენ (სამშვიდობო კონტინგენტში კიშინიოვსა და ტირაპოლს დაქვემდებარებული ქვედანაყოფებიც არიან, თუმცა, რუსეთის ჯარებთან შედარებით მათი გავლენა მინიმალურია).

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 1500 ადამიანი (აქედან თითქმის ნახევარი მშვიდობიანი მცხოვრები). დაჭრილთა რიცხვმა 4 ათასს მიაღწია. 100 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი.

1993 — კონფლიქტის მოგვარების პროცესში შუამავლის როლი, რუსეთთან ერთად, ეუთომ იკისრა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა შუამავალთა ჯგუფი — „ეუთო-5“, რუსეთის, უკრაინის, აშშ-ის, ეუთოსა და ევროკავშირის მონაწილეობით (ამ ხუთეულისა და კიშინიოვ-ტირასპოლის წარმომადგენელთა მოლაპარაკებებს 5+2 საერთაშორისო ფორმატს უწოდებენ).

1994 — მოლდაველთის გაგაუზებით დასახლებულ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გაგაუზიის ავტონომიური რეგიონის შექმნას მოლდაველთის რესპუბლიკის ფარგლებში (გაგაუზიაში დაახლოებით 156 ათასი ადამიანი ცხოვრობს, აქედან 82% — გაგაუზი, და 7,8% — მოლდაველი; არიან ასევე ბულგარელები, უკრაინელები და რუსები).

1996, 1997 წლებში მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადებები, მემორანდუმები, მაგრამ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, რეალური ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით არ გადადგმულა.

1999 — ეუთოს სტამბოლის სამიტზე ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია, რომლის თანახმად, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რუსეთის ჯარებს სრულად უნდა დაეტოვებინათ მოლდაველთის ტერიტორია 2002 წლის ბოლომდე. დნესტრისპირეთში განლაგებული ყოფილი მე-14 არმიის შეიარაღება და ტყვია-წამალი დაახლოებით 42 ათას ტონას იწონიდა. აქედან 2001 წელს რუსეთმა თავის ტერიტორიაზე გადაიტანა 3%, 2002 წელს — 6% და 2003 წელს — 39%.[1]

1 http://politicom.moldova.org/news/russian-troops-in-transnistria-a-threat-to-the-security-of-the-republic-of-moldova-20998-eng.html

2001 — თებერვალში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კომპარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია — პარლამენტის 101 აღგილიდან 71 მოიპოვა და 4 აპრილს კომუნისტთა ლიდერი ვლადიმერ ვორონინი პარლამენტმა მოლდავეთის პრეზიდენტად აირჩია.

დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ შეაჩერა რუსეთის ჯარების გაყვანა რეგიონიდან.

2002 — იანვარში ახალი ხელისუფლების პოზიციამ, რომ შესაძლოა რუსული მეორე სახელმწიფო ენად და სკოლებში სავალდებულო საგნად გამოცხადებულიყო, მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია კიშინიოვში.

იელისში ეუთომ, რუსეთმა და უკრაინამ ვორონინსა და სმირნოვს წარუდგინეს კონფლიქტის მოგვარების საშუშაო გეგმა (ე.წ. კიევის დოკუმენტი), რომელიც მოლდავეთის ასიმეტრიულ ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაქმნას ითვალისწინებდა, დნესტრისპირეთის რესპუბლიკა კი მისი შემადგენელი ერთ-ერთი სუბიექტი იქნებოდა.

დეკემბერი — ეუთომ ერთი წლით გადაავადა მოლდავეთიდან რუსეთის ჯარებისა და შეიარაღების გატანის საბოლოო თარიღი.

2003 — იანვრიდან ეუთოს თავმჯდომარე გახდა ნიდერლანდები, ამ ქვეყნის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის იაპ დე ჰოოფ სხეფერის სახით (მოგვიანებით ის ნატოს გენერალური მდივანიც იყო).

თებერვალი — პრეზიდენტი ვორონინი გამოვიდა ინიციატივით, რომ ტირასპოლთან მჭიდრო თანამშრომლობით, 1 წლის განმავლობაში შექმნილიყო ახალი ფედერალური კონსტიტუცია, რომელსაც 2004 წლის 1 თებერვალს რეფერენდუმზე გაიტანდნენ დასამტკიცებლად. დადებითი შედეგების შემთხვევაში, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, 12 თვის ვადაში, მთელი მოლდავეთის ტერიტორიაზე (დნესტრისპირეთის ჩათვლით) უნდა ჩაეტარებინათ ახალი საპარლამენტო არჩევნები. ტირასპოლმა უარყო ვორონინის ინიციატივა. სმირნოვის განცხადებით, დნესტრისპირეთისთვის მისაღები იყო მხოლოდ კონფედერაციული მოდელი, ანუ ორ „თანასწორ სახელმწიფოს“ — მოლდავეთსა და დნესტრისპირეთს, შესაბამისი ხელშეკრულებით, უნდა შეექმნათ კონფედერაცია.

27 თებერვალი — ევროკავშირმა და აშშ-მა ერთობლივი განცხადებით საავიზო ბოიკოტი გამოუცხადეს ტრანსნისტრიის ხელმძღვანელობის 17 წევრს, სმირნოვისა და მისი შვილების ჩათვლით. ასეთი ნაბიჯის მიზეზად დასახელდა მოლაპარაკებათა პროცესში „ობსტრუქციონიზმის გაგრძელება“. ამ ნაბიჯს გარკვეული შედეგი მაშინვე მოჰყვა — დნესტრისპირეთიდან სამხედრო აღჭურვილობის ნაწილი გაიტანეს და ზაფ-

ხულამდე მოლაპარაკებები მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობდა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება ხელს შეუწყობდა პრობლემის მოგვარებას. პაუელის წინადადებას დადებითად გამოეხმაურა პრეზიდენტი ვორონინი, რომელმაც მანამდე უარყო მოსკოვის შეთავაზება დნესტრისპირეთში რუსეთის ჯარების 2020 წლამდე დატოვებასთან დაკავშირებით.

ივნისი — ეუთოს პოლანდიელი ხელმძღვანელობის ინიციატივით, ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადაეცათ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა არაფორმალური პაკეტი, რომლის მთავარი კომპონენტი იყო კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარების ჩანაცვლება ეუთოს ეგიდით მოქმედი ევროკავშირის მრავალეროვნული ძალებით. დოკუმენტში დაფიქსირებული იყო, რომ ევროკავშირი ისურვებდა ეს გაერთიანებული სამშვიდობო მისია „სხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით“ განეხორციელებინა. ასეთი შეთავაზების მიუხედავად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ უარყოფითად გამოეხმაურა ნიდერლანდების წინადადებას. ეუთოს ინიციატივის საპასუხოდ, კრემლმა საჭიროდ ჩათვალა გააქტიურებულიყო.

ზაფხული (2003) — რუსეთის პრეზიდენტის მაშინდელი მაღალჩინოსანი დიმიტრი კოზაკი (პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე) რამდენჯერმე ეწვია კიშინიოვსა და ტირასპოლს, თუმცა ეუთო ამის შესახებ ინფორმირებულიც კი არ ყოფილა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა მონაწილე დიპლომატებმა კოზაკის ვიზიტების ამბავი მხოლოდ სექტემბერში შეიტყვეს. ოქტომბრის დასაწყისში კი კოზაკმა განაცხადა, რომ მისი მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

28 ოქტომბერი — ეუთოს ხელმძღვანელობამ, რუსეთმა და უკრაინამ შეიმუშავეს წინადადებათა ახალი ერთობლივი პაკეტი, რომელიც ვორონინისა და სმირნოვისთვის უნდა წარედგინათ.

14 ნოემბერი — სულ თვენახევარი რჩებოდა იმ ვადის ამოწურვამდე, რომელიც ეუთომ დაუწესა რუსეთის მოლდავეთიდან ჯარების სრულად გასაყვანად. მოლდავეთში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი უილიამ პილი კიშინიოვში რუსეთის საელჩოს ესტუმრა, რათა რუსეთის მხარეს ხელი მოეწერა 28 ოქტომბერს შეთანხმებულ დოკუმენტზე; თუმცა, ხელმოწერის ნაცვლად პილს გადასცეს "მემორანდუმი გაერთიანებული სახელმწიფო სტრუქტურის ძირითადი პრინციპების შესახებ". ეს იყო ე.წ. კოზაკის მემორანდუმი, რომელიც მეორე დღეს ოფიციალურად წარედგ-

ინა სამშვიდობო პროცესის მონაწილე ყველა მხარეს. ითქვა, რომ მემორანდუმის ხელმოწერა ეორონინისა და სმირნოვის მიერ გაიმართებოდა 25 ნოემბერს პრეზიდენტ პუტინის თანდასწრებით.

კოზაკის მემორანდუმის თანახმად, „მოლდავეთის ფედერაციული რესუბლიკის“ სუბიექტები უნდა ყოფილიყვნენ "დნესტრის მოლდაეური რესპუბლიკა“ და გაგაუზია (თითოეული თავისი პარლამენტით, მთავრობითა და სასამართლო სისტემით), დანარჩენი მოლდოვა კი „ფედერალურ ტერიტორიად“ ცხადდებოდა. ფედერაციის 26 ადგილიან სენატში „ფედერალურ ტერიტორიას“ ექნებოდა 13 ადგილი, დნესტრისპირეთს — 9, გაგაუზიას კი — 4. 2015 წლამდე ნებისმიერი ორგანული კანონის მისაღებად, რომელიც ერთობლივ კომპეტენციას შეეხებოდა, აუცილებელი იქნებოდა ფედერაციის სენატის 75% (20 ხმა) ანუ დნესტრის რესპუბლიკა თავისი 9 ხმით, ფაქტობრივად, ვეტოს უფლებას იძენდა. სენატის წევრები უნდა არჩეულიყვნენ „სუბიექტების“ პარლამენტთა და „ფედერალური ტერიტორიის“ პალატის მიერ. თუმცა, 2020 წლამდე 71-ადგილიანი ფედერალური პალატის არჩევა ისეთი სქემით მოხდებოდა, რომ „სუბიექტებს“ აქაც ეყოლებოდათ თავიანთი წარმომადგენლები. „კოზაკის მემორანდუმით“, მოლდავეთი ცხადდებოდა „ნეიტრალურ, დემილიტარიზებულ სახელმწიფოდ“, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა გზით მოხდებოდა ამ მდგომარეობის მიღწევა. ამასთანავე, ახალი, ფედერალური კონსტიტუციის სრულად ამოქმედება მხოლოდ 2020 წლისთვის იგეგმებოდა. საერთოდ, მემორანდუმის ძირითადი პირობები კიშინიოვისთვის აშკარად წამგებიანი იყო.

მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ სმირნოვმა 30 წლის ვადით მოითხოვა რუსეთის ჯარების დატოვება დნესტრისპირეთში.

21 ნოემბერი — რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი გამოეხმაურა სმირნოვს და განაცხადა, რომ კრემლი თანახმაა თავისი ჯარები, მომავალი ფედერალური მოლდავეთის გარანტორის სახით, კიდევ 20 წლით დატოვოს დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. ასეთი „გარანტორის“ არსებობა დაფიქსირებული იყო კოზაკის მემორანდუმის საიდუმლო ვარიანტში, რომელიც პარაფირებულ იქნა პრეზიდენტ ეორონინის მიერ (იმ დღეებში, როგორც მსოფლიო მედიის, ასევე ევროპული სტრუქტურებისა და კრემლის ყურადღება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე იყო კონცენტრირებული).

23 ნოემბერი — ეუთოს პოლანდიელმა ხელმძღვანელობამ უარყო კოზაკის მემორანდუმი. პრეზიდენტ ეორონინს ესტუმრა აშშ-ის ელჩი და ურჩია უარი ეთქვა კოზაკის მემორანდუმის ხელმოწერაზე. ანალო-

გაური რჩევა მიიღო ეორონინმა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანასგანაც. პარალელურად, კიშინიოვის ცენტრში მიმდინარეობდა მასშტაბური მიტინგი ეორონინის გადადგომის მოთხოვნით (როგორც ცნობილია, იმავე დღეს პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში).

24 ნოემბერი — კიშინიოვში ჩაფრინდა პუტინის დაცვის სამსახურის ჯგუფი, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის 25 ნოემბრის ვიზიტთან დაკავშირებული საბოლოო დეტალები უნდა დაეზუსტებინა.

25 ნოემბერი — პრეზიდენტმა ეორონინმა მიიღო გადაწყვეტილება და მოსკოვს სთხოვა გაეუქმებინა პუტინის ვიზიტი. უკვე პარაფირებული „კოზაკის მემორანდუმის“ ხელმოწერა ჩაიშალა. ერთი კვირის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასტრიხტში გამართულ შეხვედრაზე ნიდერლანდებს, აშშ-სა და ევროკავშირს ბრალი დასდო, რომ ისინი ცდილობენ ეუთო თავიანთი მიზნების მისაღწევ „ინსტრუმენტად“ გადააქციონ.

2004 — მაისში ტრანსტრისპირეთის ხელისუფლებამ დახურა 6 სკოლა, სადაც სწავლება მოლდავურ/რუმინულ ენაზე, ლათინური შრიფტის გამოყენებით მიმდინარეობდა. სკოლების დახურვის ფაქტი ეუთოს მიერ შეფასდა, როგორც „ლინგვისტური წმენდა“.[2]

ტირასპოლის ასეთ ქმედებას მოლდავეთის ხელისუფლებამ ეკონომიკური სანქციებით უპასუხა.

8 ივლისი — ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოლდავეთის მოქალაქე ი. ილაშკუსა და მისი თანამებრძოლების მიმართ („ილაშკუსა და სხვების საქმე მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ“). მოლდავეთში პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტისას დაირღვა ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთა თითქმის ყველა ასპექტი. ტრანსტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლების უკანონო სასამართლომ ილაშკუ ტერორისტად აღიარა და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, ხოლო დანარჩენებს მრავალწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ისინი იმყოფებოდნენ რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე და საპყრობილეში განიცდიდნენ არაადამიანურ მოპყრობას. ილაშკუმ და მისმა ჯგუფმა საერთაშორისო თანამეგობრობისა და ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს მეშვეობით მიაღწიეს თავისუფლებას და მიიღეს სოლიდური კომპენსაცია, რომლის გადახდა, ძირითადად, რუსეთის მთავრობას დაეკისრა (ილაშკუმ მიიღო 180 ათასი ევრო, დანარჩენებმა — 120 ათასი).

ხაზგასასმელია, რომ რუსეთის ფედერაცია ცდილობდა თავი აერიდე-

2. http://www.alertnet.org/printable.htm?URL=/db/crisisprofiles/MJ_DNE.htm

ბინა პასუხისმგებლობისგან ორი მოტივით:

1) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია რუსეთისთვის ძალაში შევიდა მხოლოდ 1998 წლის 5 მაისს და სწორედ ამ მომენტიდან აქვს სასამართლოს ratione temporis იურისდიქცია. ილაშკუსა და მისი თანამებრძოლების მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები კი მანამდე მოხდა;

2) რუსეთი არ ახორციელებდა იურისდიქციას დნესტრისპირეთში და არ მოუხდენია მოლდავეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპირება. რუსეთის მე-14 არმიის ნაწილები არ მონაწილეობდნენ მოლდავეთსა და დნესტრისპირეთს შორის მომხდარ კონფლიქტში. ისინი ასრულებდნენ სამშვიდობო მისიას. რუსეთის მხარის მტკიცებით, დნესტრისპირეთში რუსეთის ჯარების ყოფნა არ შეიძლება გაუთანაბრდეს ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთის ჯარების ყოფნას, როგორც ეს იყო საქმეში „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ" და „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ". ძირითადი განსხვავება ჯარების რაოდენობაშია — რუსული კონტინგენტი ითვლის 2 ათას ჯარისკაცს, ხოლო თურქული – 30 ათასს. რუსეთის მხარე აცხადებდა, რომ მოლდავეთში, ამ ქვეყნის მთავრობის თანხმობით, რუსეთის ჯარების ყოფნა და სამშვიდობო ფუნქციების შესრულება არ იწვევს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას, კონვენციის პირველი მუხლის დარღვევის თვალსაზრისით.

რუსეთის მხარის პირველ არგუმენტთან დაკავშირებით სასამართლო დაეთანხმა მოლდავეთის მთავრობისა და განმცხადებელთა პოზიციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული დარღვევები თავისი არსით განგრძობადია და სასამართლოს მათი განხილვის იურისდიქცია აქვს. რუსეთის ფედერაციის მიერ 1998 წლის 5 მაისს კონვენციის რატიფიცირების მომდევნო პერიოდთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ რუსეთის არმია ისევ იმყოფებოდა მოლდავეთის ტერიტორიაზე, უგულებელყოფდა რა ამით რუსეთის ფედერაციის მიერ 1999 და 2001 წლების ეუთოს სამიტებზე ნაკისრ ვალდებულებებს.

სასამართლომ უარყო რუსეთის მხარის მეორე არგუმენტიც, რადგან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების „იურისდიქცია", კონვენციის I მუხლის შესაბამისად, არ შემოიფარგლება ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიით და ვრცელდება ისეთ ტერიტორიაზეც, სადაც მოცემულ სახელმწიფოს ამა თუ იმ გზით შეუძლია ეფექტიანი კონტროლის განხორციელება. ასეთ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება

კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს. სწორედ ამ ლოგიკით დნესტრისპირეთში ჩადენილ დანაშაულობებზე (ილაშკუს საქმე) პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრა, რაკი იქ ვითარებას რუსეთის მე-14 არმია აკონტროლებდა (იმავე პრინციპით, ჩრდილო კვიპროსში მომხდარ დარღვევებზე პასუხისმგებლობა დაეკისრა თურქეთს). სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რუსეთის ფედერაციის მიერ დნესტრისპირეთის ფინანსური მხარდაჭერის ფაქტს, რაც დასტურდება მათი შეთანხმებებით (რუსეთის ფედერაციასა და დნესტრისპირეთს შორის სამხედრო აღჭურვილობის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების განაწილების შესახებ, რუსეთის ფედერაციის მიმართ დნესტრისპირეთის ვალის 100 მლნ. დოლარით შემცირების შესახებ, დნესტრისპირეთისთვის, მოლდავეთთან შედარებით, რუსეთის ბუნებრივი აირის უფრო ხელსაყრელი პირობებით მიწოდების შესახებ).

აქვე უნდა ითქვას, რომ სასამართლომ გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა მოლდავეთის მთავრობასაც, რადგან მან არ მიიღო საკმარისი ზომები ილაშკუსა და მისი თანამებრძოლების უფლებათა დასაცავად. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის რატიფიცირებამდე მოლდავეთის ხელისუფლება იღებდა გარკვეულ იურიდიულ, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ზომებს (მაგ., მოლდავეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებელთა მიმართ გამოტანილ განაჩენთა გაუქმების შესახებ; დნესტრისპირეთის მოსამართლეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა; 1995 წლის 4 აგვისტოს მოლდავეთის პრეზიდენტის მიერ ამნისტიის გამოცხადება; განმცხადებელთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა), მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ 2001 წლის 6 ივლისის მოსმენაზე მოლდავეთის მთავრობამ თავი შეიკავა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებელობაზე საუბრისაგან, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მოლდავეთმა, თავის მხრივ, აღიარა როგორი გავლენა აქვს რუსეთის ხელისუფლებას დნესტრისპირეთის რეჟიმზე. თუ 1992-94 წწ. მოლდავეთის ხელისუფლება რუსეთთან მოლაპარაკებებისას განმცხადებელთა გათავისუფლების საკითხს სვამდა, 1994 წლის შემდეგ ეს მცდელობები შეწყდა. მოლაპარაკება დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, რომელშიც რუსეთი გამოდიოდა გარანტად, განმცხადებელთა ყოველგვარი ხსენების გარეშე მიმდინარეობდა და მოლდავეთის სახელმწიფოს მხრიდან არ დაფიქსირდა მათი უფლებების დასაცავად განხორციელებული რაიმე ზომები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლდავეთმა პასუხი

უნდა აგოს კონვენციის დარღვევისთვის, რადგან 2001 წლის მაისის შემდგომი მოვლენების მიმართ მან არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები. სასამართლომ სწორედ მოლდაველთის მთავრობას დააკისრა ივანტოშის, ლეშკოსა და პეტროვ-პოპასთვის 60 ათასი ევროს (თითოეულისთვის) გადახდა მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ.

6-7 (2004) დეკემბერს სოფიაში გამართულ ეუთოს მინისტერიალზე მოლდაველთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი სტრატანმა განაცხადა: „რუსეთის ჯარების ყოფნა მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწინააღმდეგება მოლდოვის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს. ეს ფაქტი მოლდოვის ხელისუფლების მიერ შეფასებულია, როგორც საჩელმწიფოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაცია უცხო სამხედრო ძალის მიერ“.

ასეთი ბრალდების პასუხად, კრემლი აცხადებს, რომ მან უკვე შეასრულა 1999 წლის სტამბოლის სამიტის დეკლარაციის პირობები და გამოიყვანა თავისი ჯარები მოლდაველთიდან. დარჩენილი „შეზღუდული კონტინგენტი“, კრემლის თქმით, მხოლოდ დარაჯობს დნესტრისპირეთში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ტყვია-წამლის მარაგს. რაც შეეხება რუსეთის „სამშვიდობო“ ძალებს, ისინი კონფლიქტის ზონაში 1992 წელს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად იმყოფებიან.

2005 — აპრილში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ისევ კომუნისტებმა გაიმარჯვეს და პარლამენტმა მეორე ვადით აირჩია ვორონინი მოლდაველთის პრეზიდენტად.

ივლისში დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაარეგისტრირა 4 მოლდაურ/რუმინულენოვანი სკოლა.

2006 — იანვარში რუსულმა „გაზპრომმა“ ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა მოლდოვას, როცა ამ უკანასკნელმა გაორმაგებული ტარიფის გადახდაზე უარი განაცხადა (საბოლოოდ, მხარეებმა დროებით კომპრომისს მიაღწიეს).

მარტში უკრაინამ და მოლდაველთმა გამოაცხადეს ერთობლივი ანტიკონტრაბანდული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, დნესტრისპირეთიდან უკრაინაში ტრანსპორტირებულ ნებისმიერ ტვირთზე უნდა ყოფილიყო მოლდაველთის საბაჟოს შტამპი. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ევროკავშირმა და აშშ-მა. ტირასპოლისა და მოსკოვის მიერ კი იუშენკო-ვორონინის ასეთი ნაბიჯი დნესტრისპირეთის „ეკონომიკურ ბლოკადად“ შეფასდა. იმავე პერიოდში კრემლმა შეაჩერა მოლდაური

(ასევე ქართული) ღვინის იმპორტი რუსეთში, თითქოსდა ამ პროდუქციის უხარისხობის გამო, თუმცა, რეალური, პოლიტიკური მოტივაცია სრულიად აშკარა იყო.

14 სექტემბერს დმრ-ში გაიმართა კიდევ ერთი არალეგიტიმური „დამოუკიდებლობის რეფერენდუმი“, რომლის დროსაც ამომრჩეველს ორ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი:

1) მხარს უჭერთ თუ არა დმრ-ის დამოუკიდებლობის კურსს, რუსეთის ფედერაციასთან შემდგომი თავისუფალი მიერთების პერსპექტივით? (მომხრე — 97%).

2) შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა დმრ-ის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა მოლდაველთის რესპუბლიკასთან შემდგომი გაერთიანების პერსპექტივით? (მომხრე — 3,4%).

2007 — იანვრიდან რუმინეთი ევროკავშირის წევრი გახდა. მოლდაველებს, რომლებიც რუმინეთის მოქალაქეობას მიიღებენ, უფლება ეძლეათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროპაში. ამჟამად ყოველმა მეხუთე მოლდაველმა (დაახლოებით 800 ათასმა ადამიანმა) ან უკვე მიიღო რუმინეთის მოქალაქეობა, ან მიმართა საელჩოს ასეთი თხოვნით.

2009 — იანვარში „გაზპრომმა“, კრემლის მთავარმა „ენერგეტიკულმა იარაღმა“, თითქმის ერთი თვის განმავლობაში ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა მთელ აღმოსავლეთ ევროპას, მათ შორის, მოლდოვას (კრემლი ამ გზით შეეცადა ჩაეშალა ევროპელთა მხარდაჭერა „ნაბუკოს“ გაზსადენის პროექტისადმი, რომელიც ითვალისწინებს კასპიის აუზიდან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ამიერკავკასიისა და თურქეთის გაყოლით, რაც ბოლოს მოუღებს რუსეთის მონოპოლიას და მის მიერ აღმოსავლეთ ევროპის შანტაჟირებას გაზის გადაკეტვით).

აპრილი — როცა გამოცხადდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ისევ კომუნისტები ლიდერობენ, კიშინიოვში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციების მძლავრი ტალღა. პროტესტანტები ვორონინის ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ. საბოლოოდ, მომიტინგეები პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ და ხელისუფლება აიძულეს ხელახალი არჩევნები დანიშნა. 29 ივლისის არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ. აგვისტოს ბოლოს პარლამენტის სპიკერად ოთხი პარტიისგან შემდგარი კოალიციის („ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის“) ლიდერი მიხაი გიმპუ აირჩიეს.

სექტემბერში ვორონინი პრეზიდენტობიდან გადადგა და ამ დროიდან პრეზიდენტის მოვალეობას გიმპუ ასრულებს.

2010 — იანვარში მოლდავეთის დედაქალაქში იმყოფებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, რომელსაც მინისტრის მრჩევლის რანგში ახლდა გენერალი მარატ კულახმეტოვი (რუსეთის "სამშვიდობო" ჯარების ყოფილი მეთაური ცხინვალის რეგიონში). კარასინის ვიზიტისას აშკარად გამოიკვეთა, რომ კრემლი არ აპირებს თავისი ხისტი პოზიციის "შერბილებას". უფრო პირიქით, კარასინის განცხადებით, რუსეთისთვის მისაღები იქნება კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დნესტრისპირეთის "განსაკუთრებულ სტატუსსა" და მოლდავეთის ტერიტორიულ მთლიანობასთან ერთად წარმოდგენილი იქნება მოლდავეთის ნეიტრალიტეტის გარანტიები. ასეთი წინაპირობა კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით რუსეთს არ მოუთხოვია მაშინ, როცა მოლდოვას ხელისუფლებაში კომუნისტები იყვნენ (2001-დან 2009 წლის აგვისტომდე). გარდა ამისა, კარასინმა დააფიქსირა, რომ დნესტრისპირეთიდან „რუსეთი თავის სამხედრო კონტინგენტს გაიყვანს მხოლოდ კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარების შემდეგ".[3] ესეც გარკვეული სიახლეა, რადგან მანამდე კრემლი ტრადიციულად მოითხოვდა პოლიტიკური მოგვარებისა და ჯარების გაყვანის პროცესის "სინქრონიზაციას".

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ყურადღებას ამახვილებს მოლაპარაკების ორმხრივი (კიშინიოვი-ტირასპოლი) ფორმატის "უპირატესობაზე" საერთაშორისო 5+2 ფორმატთან შედარებით. კარასინის განმარტებით, "მხარეების თანასწორუფლებიანობის" ხაზგასასმელად საუკეთესო საშუალება სწორედ ორმხრივი ფორმატია. რეალურად, „მხარეთა თანასწორუფლებიანობის" კრემლისეული ინტერპრეტაცია გულისხმობს ტირასპოლის ისეთი პოლიტიკური სტატუსის აღიარებას, რომელიც არღვევს მოლდავეთის ტერიტორიულ მთლიანობას და ტირასპოლს უფლებას ანიჭებს ვეტო დაადოს მოლაპარაკების ნებისმიერ საკითხს.

კარასინის განცხადებებთან დაკავშირებით მოლდავეთის მოქმედმა პრეზიდენტმა მიხაი გიმპუმ, ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის საფუძველზე მოითხოვა რუსეთის ჯარების უპირობო გაყვანა მოლდავეთის დნესტრისპირეთის რეგიონიდან. მან აღნიშნა, რომ პარლამენტი არ აპირებს კონსტიტუციის მე-11 მუხლის შეცვლას, რომლითაც მოლდავეთის ნეიტრალიტეტია აღიარებული („მოლდოვის რესპუბლიკა აცხადებს პერმანენტულ ნეიტრალიტეტს. მოლდოვის რესპუბლიკა არ დაუშვებს მის ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხოური ჯარების განლაგებას"), მაგრამ რუსეთის ჯარების ყოფნა დნესტრისპირეთში შეუთავსებელია კონსტიტუციით აღიარებულ ნეიტრალიტეტ-

3 http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews[tt_news]=35950&tx

თან. გიმპუმ მოითხოვა ასევე რუსეთის „სამშვიდობოების“ ჩანაცვლება საერთაშორისო კონტინგენტით, რომელშიც შესაძლოა რუსეთის ქვედანაყოფების მონაწილეობაც.

2010 — 14 იანვარს მიხაი გიმპუს ბრძანებულებით შეიქმნა „კომუნისტური რეჟიმის მიერ მიყენებული ზარალის შემსწავლელი მოლდავეთის სახელმწიფო კომისია“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასეთი კომისიის დაფუძნება გამომდინარეობს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციებიდან (# 1096 /1996/ „ყოფილი ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმების მემკვიდრეობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ და # 1481 /2006/ „საერთაშორისო საზოგადოების მიერ ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმების დანაშაულთა დაგმობის აუცილებლობის შესახებ“). აპრილში გამართულ პრესკონფერენციაზე, კომისიის წარმომადგენელმა, ვიაჩესლავ სტეველემ განაცხადა, რომ საბჭოთა ოკუპაციისას მიყენებული ზარალი 28 მლრდ დოლარს აღწევს. სტეველეს განმარტებით, ეს თანხა მოლდავეთს საშუალებას მისცემდა 85 წლის განმავლობაში უფასოდ მიეღო რუსეთისგან ბუნებრივი აირი. [4]

28 ივნისი — საბჭოთა ჯარების მიერ 1940 წელს ბესარაბიის ოკუპაციის 70-ე წლისთავზე, მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მიხაი გიმპუმ ეს დღე “საბჭოთა ოკუპაციის დღედ” გამოაცხადა. მის მიერ ხელმოწერილი დეკრეტის თანახმად, “მთავრობის სასახლის წინ აღიმართება საბჭოთა ოკუპაციისა და ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა მონუმენტი”.[5]

4 http://www.newsru.com/world/23apr2010/moldavia.html

5 http://en.rian.ru/world/20100628/159611359.html

საქართველოსთან მიმართება

რუსეთ-მოლდავეთისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შორის გარკვეული მსგავსება ნამდვილად თვალშისაცემია. პარალელები ფიქსირდება როგორც ისტორიულ წარსულში, ასევე თანამედროვე ეპოქაში.

დავიწყოთ ისტორიით:

1) მოლდოვას მართლმადიდებელ სამთაროს საუკუნეების განმავლობაში უწევდა ბრძოლა, ერთი მხრივ, კათოლიკურ პოლონეთსა და ავსტრიის იმპერიასთან და, მეორე მხრივ, მაჰმადიან ოსმალეთსა და ყირიმელ თათრებთან (თუმცა, უნდა ითქვას, რომ რელიგიური წნეხი მოლდაველთა მიმართ არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც საქართველოში და მთლიანად კავკასიაში). ასეთი გარემოცვიდან გამომდინარე, მოლდაველები, ცხადია, იმედით შეხვდნენ მართლმადიდებლური რუსეთის მიერ ოსმალეთისგან მათი მიწის „გათავისუფლებას". მოლდოვა უშუალოდ ოსმალეთის პროვინცია არასოდეს ყოფილა, მას ვასალური სამთაროს სტატუსი ჰქონდა და, ბუნებრივია, ელოდა, რომ მართლმადიდებელი „განმათავისუფლებელი", სულ მცირე, ანალოგიურ სტატუსს მიანიჭებდა. თავდაპირველად, მოლდოვა (ბესარაბია) თითქოს მართლაც განსაკუთებულ რეგიონად («область») გამოაცხადეს, მაგრამ მალე რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიას გაუთანაბრეს და იმპერიის დასავლეთი საზღვრის „გასამაგრებლად" რუსი კოლონისტებიც მრავლად ჩამოასახლეს; დაიწყო აქტიური რუსიფიკაცია, როგორც დემოგრაფიული ექსპანსიის, ასევე კულტურულ-ლინგვისტური თვალსაზრისით.

მოლდოვასთან შედარებით ცოტათი უფრო ადრე ანალოგიურად განვითარდა მოვლენები საქართველოშიც. მაჰმადიანი ოსმალეთისა და ირანის დაუსრულებული შემოსევებით დაღლილი ქართველი მეფეები დიდ ხანს სთხოვდნენ დახმარებას ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს, საიდანაც მხოლოდ უხვი დაპირებები მოდიოდა (ეს არც არის გასაკვირი, თუ გაეითვალისწინებთ, მეფის რუსეთის იმ იმპერიალისტურ მეთოდებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია პეტრე დიდის პოლიტიკურ ანდერძში). სწორედ "იმპერიალისტური მეთოდოლოგიის" შესაბამისად, ეკატერინე II ელოდებოდა საქართველოს მაქსიმალურ დასუსტებას, რომ შემდეგ უპრობლემოდ დაეპყრო იგი. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა (აღმოსავლეთ საქართველო) და რუსეთის იმპერიას შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმად, შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი, რომელსაც საგარეო პოლიტიკის საკითხები რუსეთთან უნდა შეეთანხმებინა. სამაგიეროდ,

ეს უკანასკნელი ორ ბატალიონს განალაგებდა თბილისში, ანუ თავის თავზე იღებდა ქართული სამეფოს მფარველობას. ამ ხელშეკრულების დადებიდან 12 წლის შემდეგ, 1795 წელს ირანის შაჰი, სწორედ რუსეთის წაქეზებით, საქართველოში შემოიჭრა და თბილისი გადაწვა. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული ლაშქარი მიეშველა, რუსეთის ჯარი კი არსად ჩანდა. 1801 წელს კი რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო საერთოდ გააუქმა და გუბერნიად გადააკეთა (რუსეთის იმპერატორის მანიფესტში ვკითხულობთ: „გაღვიძებული იმედი თქვენი არ იქნება მოტყუებული... არა ნივთთათვის, არა განვრცობისათვის საზღვართა ისედაც უკვე ვრცელი იმპერიისა, ვიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება და კაცთმოყვარეობა გვაკისრებს ჩვენ ამ საღმრთო ვალს“).

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას აჯანყებები მოჰყვა, რომლებიც ცარიზმმა სისხლში ჩაახშო. ერეკლე II-ის მემკვიდრეთა უმრავლესობა გადაასახლეს. აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილების შემდეგ რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით „გადასანსლა“ იმერეთის სამეფო და დასავლეთი საქართველოს სამთავროები (მათ შორის, აფხაზეთის სამთავრო; ე.წ. „სამხრეთი ოსეთი“ კი, კრემლის გადაწყვეტილებით, 1922 წელს შეიქმნა საქართველოს ცენტრალური პროვინციის შუაგულში, ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე და, ბუნებრივია, მაშინ არსად მოიხსენიებოდა). 1811-1814 წლებში ერთმორწმუნე იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ვინც ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა, ან მოკლეს, ან გადაასახლეს. მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესია რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს, წირვა-ლოცვა რუსულად შემოიღეს, ტაძრებიდან უამრავი ძვირფასი ნივთი რუსეთში გაიტანეს, ქართული ფრესკები თეთრად გადაღებეს, თანდათან გააძლიერეს დემოგრაფიული ექსპანსია და ქართული ენის მიზანმიმართული გამოდევნა საგანმანათლებლო სისტემიდან (ბოლოს სიტყვა საქართველოს ხსენებაც კი აიკრძალა).

2) 1917 წელს, ცარიზმის დამხობის შემდეგ, მსგავსი ვითარება შეიქმნა მოლდოვასა და საქართველოში. ორიეგან საბჭოთა რუსეთი ცდილობდა ხელი შეეშალა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოთა მშენებლობისთვის. ამისათვის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს აერთიანებდა „რევოლუციურ კომიტეტებში“ და შემდეგ მათ იყენებდა შეიარაღებულ ამბოხთა მოსაწყობად. საბოლოოდ, საბჭოთა რუსეთმა ორივე რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია განახორციელა (საქართველოსი — 1921 წ., მოლდოვასი — 1940 წ.).

3) აშკარა მსგავსებაა ასევე 90-იანი წლების კონფლიქტთა ძირითადი

სქემის მხრივაც. იმდროინდელ მოლდაველთა და საქართველოში მოვლენათა განვითარება მკაცრად მიჰყვებოდა კრემლის გეგმას, რომელიც ჯერ აგრესიული სეპარატისტული ჯგუფების შექმნას, შემდეგ დაპირისპირების მზარდ ესკალაციას და შეიარაღებულ შეტაკებათა პროვოცირებას ითვალისწინებდა. ასეთი ფონი ყოფილი საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს საშუალებას აძლევდა, ფაქტობრივად, ღიად ჩაბმულიყვნენ საბრძოლო მოქმედებებში და ომის საბოლოო შედეგი განესაზღვრათ. შემდეგ იგივე ჯარები, ოღონდ ამჯერად "მშვიდობისმყოფელის" სტატუსით, კონფლიქტის ზონებში რჩებიან, იცავენ საოკუპაციო რეჟიმებს, ანუ ინარჩუნებენ სტატუს-კვოს, რომელიც "ღია ჭრილობის" მსგავსად, გართულების მუდმივი საფრთხის სახით არსებობს და მშვიდობიანი, სტაბილური განვითარების საშუალებას არ აძლევს ქვეყანას (ამ შემთხვევაში, მოლდოვასა და საქართველოს). ასეთი საფრთხის რეალური შინაარსი ყველაზე მკაფიოდ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისას გამოჩნდა. 2007 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ, ეუთოსთან დაიწყო ცხინვალის რეგიონში ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლება, ეკონომიკური და სოციალური პროექტების განხორციელება, რომლებშიც ერთობლივად მონაწილეობდა ადგილობრივი ქართულ-ოსური მოსახლეობა. განახლდა და აშენდა სკოლები, გზები, საავადმყოფო ობიექტები, გასართობი და სპორტული ცენტრები. ასეთმა მშვიდობიანმა აქტიურობამ მცირე დროში კონფლიქტის მოგვარების რეალური ნიადაგი მოამზადა. პარალელურად გააქტიურდა საერთაშორისო სახოგადოება, მაგალითად, გაერო აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების მიმართულებით (2008 წლის 15 აპრილის და 15 მაისის რეზოლუციები). ეს კი კრემლისთვის ნატოში გაწევრიანების მოსურნე „ურჩ" საქართველოზე ზეწოლების ყველაზე მტკივნეული ბერკეტების დაკარგვას ნიშნავდა. შესაბამისად, კრემლმა მისთვის ჩვეული, ტიპური რეაქცია გამოაცხინა — სამხედრო აგრესია, რომელმაც გაანადგურა არა მხოლოდ რეგიონში განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროექტთა შედეგი, არამედ საფრთხე შეუქმნა საქართველოს სუვერენიტეტს; იმ დღეებში სრულიად რეალური იყო მთლიანად ქვეყნის ოკუპაცია და არჩეული ხელისუფლების დამხობა. სწორედ ასეთი კატასტროფული საფრთხის მომასწავებელია რუსეთის საოკუპაციო ჯარების არსებობა საქართველოს ან მოლდაველთის ტერიტორიაზე.

4) კოზაკის მემორანდუმმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს ის პროექტები, რომლებიც ხან უშუალოდ კრემლის, ხან კი მასთან დაკავშირებული რომელიმე ქართული პოლიტიკური პარტიის მიერ იყო შემოთავაზებული აფხაზეთის კონფლიქტის "მოსაგვარებლად" (მსგავსი

პროექტი მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადასაჭრელადაც იყო წარმოდგენილი). სრულიად აშკარაა, რომ „თანასწორ სახელმწიფოებს“ შორის ახალი, “კონფედერაციულ-ფედერაციული” ხელშეკრულების დადების იდეა კრემლიდან მოდის და მიზნად ისახავს მოლდავეთისა და საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის სამართლებრივ გაფორმებას, ანუ ამ ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის დაკანონებას (საქართველოს შემთხვევაში ეს ეთნიკური წმენდის შედეგთა დაკანონებასაც ნიშნავს).

აქვე უნდა ითქვას, რომ კოზაკის მემორანდუმი კრემლმა 2003 წელს შესთავაზა მოლდოვას, მას შემდეგ, რაც 2001 წელს იქ ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ (მოლდოვაში არ არსებობს სხვა გავლენიანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც კრემლისადმი უფრო მეტი კეთილგანწყობა ჰქონდეს, თუმცა პუტინის ზღვარგადასული „მადის“ დაკმაყოფილება მათთვისაც კი მიუღებელი აღმოჩნდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს ცნობილ განცხადებებს პუტინ-მედვედევის წინააღმდეგ). პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრების შედეგად პუტინი დარწმუნდა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ამგვარ „თანასწორ სახელმწიფოთა“ შეთანხმებას ხელს არ მოაწერდა და ამის შემდეგ კრემლმა დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების მომზადება საქართველოში. 2007 წლის ნოემბრის და ასევე 2009 წლის აპრილ-მაისის მოვლენები, არსებითად, სწორედ კრემლში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობები იყო (აქ არ შევჩერდებით 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიაზე, როცა კრემლის ზრახვები მთელი მსოფლიოსთვის ისედაც ცხადი გახდა). კრემლის მიზანია საქართველოს ხელისუფლებაში ნებისმიერი გზით მოიყვანოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც კოზაკის მემორანდუმის ანალოგიურ დოკუმენტს ხელს მოაწერს და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიათა ოკუპაცია-ანექსიას დე იურე „გაამართლებს“ (სწორედ ამას უკავშირდება ზოგიერთი მარგინალი ქართველი პოლიტიკოსის მოწოდება კრემლთან ურთიერთობის “სუფთა ფურცლით” დაწყების შესახებ).

5) მოლდავეთისა და საქართველოს კონფლიქტები, თავისი არსით, „მარტივი“ კონფლიქტებია, რადგან მათ მოგვარებას, არსებითად, ხელს უშლის ერთადერთი ფაქტორი — რუსეთის საოკუპაციო ჯარები. საკმარისია კრემლმა შეასრულოს საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი სამხედრო შენაერთები მოლდავეთიდან (დნესტრისპირეთიდან) და საქართველოდან (აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან) და საერთაშორისო საზოგადოების მონაწილე-

ობით ეს კონფლიქტები მშვიდობიანად, გართულებების გარეშე მოგვარდება. სხვა საკითხია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნეოკომუნისტურ-ფაშისტურ რეჟიმთან, რომლის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმათა პატივისცემა და თვით რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმების პირობათა შესრულება (ვგულისხმობთ 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიან ხელშეკრულებას) მთელი მსოფლიო თანამეგობრობის აქტიურ, მიზანმიმართულ ძალისხმევას მოითხოვს.

6) ცალკე საკითხად უნდა გამოიყოს პრეცედენტი, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში მოლდავეთის მოქალაქე ილაშკუს საქმის განხილვისას („ილაშკუსა და სხვების საქმე მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ“). ამ საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (მოკლე მიმოხილვა იხ. გვ. 246) ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სასამართლომ ძირითადი პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა, მიუხედავად იმისა, რომ ილაშკუსა და მისი თანამებრძოლების მიმართ დანაშაულებრივი ფაქტები მოლდავეთის (დნესტრისპირეთის) ტერიტორიაზე მოხდა და არა რუსეთში, თანაც, 1998 წლის 5 მაისამდე, ანუ რუსეთის პარლამენტის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიკაციამდე (რუსეთის მხარე წარუმატებლად შეეცადა, ამ ორი ფაქტიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა).

ამ კონტექსტში მკაფიოდ ჩანს ანალოგია საქართველოს კონფლიქტებთან. აქაც საქმე გვაქვს ადამიანის უფლებათა განგრძობად დარღვევებთან და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც რეალურად ყველაფერს დღემდე რუსეთი აკონტროლებს. ამიტომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობა რუსეთს უნდა დაეკისროს (მით უმეტეს, დღევანდელი ოკუპაციის პირობებში). ამას ადასტურებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუცია, რომლის მე-12 პუნქტის თანახმად სწორედ “რუსეთს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის იმ დარღვევებზე, რომლებიც ხდება ფაქტობრივად რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე” (“საქართველო-რუსეთის ომის შედეგები”, რეზოლუცია #1633, 2008).

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში (გაეროს საერთაშორისო სასამართლოში) შეიტანა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

კრემლის მიერ 1991 წლიდან დღემდე საქართველოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის გამო. სარჩელი შეტანილია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე. საქართველოც და რუსეთის ფედერაციაც ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები არიან (სარჩელის დაფუძნება შესაძლებელი იყო აგრეთვე „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციაზე).

7) ზემოთ აღინიშნა, რომ მოლდაველთის სახელმწიფო კომისიამ, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის დადგენაზე მუშაობს, ზარალის ოდენობა 28 მლრდ დოლარად შეაფასა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური კომისია არსებობს ასევე ბალტიის სამივე ქვეყანაში და მათი გაანგარიშებით, საბჭოთა რეჟიმის მიერ ამ რესპუბლიკებისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა 20 მლრდ დოლარიდან 50 მლრდ-მდე მერყეობს.

საინტერესოა, რომ ავღანეთის ხელისუფლებაც განიხილავს რუსეთისაგან კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას ქვეყნის ათწლიანი ოკუპაციის გამო, რომელიც 1979 წლის 27 დეკემბერს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრით დაიწყო.

აქ სრულიად აშკარად ჩანს პარალელები საქართველოს რეალობასთან. საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 17 მარტს მიიღო დადგენილება „კონფლიქტებთან (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნა.

საქართველოს პარლამენტმა იმავე დღეს მიღებული მეორე დადგენილებით პრეზიდენტს სთხოვა „დაავალოს საქართველოს მთავრობას ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საქმეების მომზადების მიზნით იურიდიული ფირმის შესარჩევად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება“. აღნიშნული დადგენილებების მიღების ინიციატორი იყო პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია.

საპარლამენტო კომისია მიიჩნევს, რომ მიყენებულ მატერიალურ ზარალზე პასუხისმგებლობა იმ ქვეყანას ეკისრება, რომელიც ფაქტო-

ბრივად აკონტროლებს საქართველოს ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებს. ამას ადასტურებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის ზემოთ ნახსენები რეზოლუცია.

კომისიის თვალსაზრისით, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთისგან აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიყენებული ზარალისთვის სულ მცირე 35 მილიარდი აშშ დოლარი უნდა მოითხოვოს (ეს თანხა საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტს დაახლოებით 10-ჯერ აღემატება). აღნიშნული თანხა მოიცავს როგორც პირდაპირ მატერიალურ და ეკოლოგიურ ზარალს (მაგალითად, აფხაზეთიდან ათასობით ტონა ინერტული მასალის გატანას, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთლიანად შავი ზღვის ეკოსისტემას), ასევე იმ შემოსავალს, რომელიც საქართველოს უნდა მიეღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობიდან, რასაც ამჟამად რუსული კომპანიები სრულიად უკონტროლოდ ახორციელებენ.

ზარალის დაანგარიშება უმჯობესია დავიწყოთ ცალკეული დარგების მიხედვით და როცა სათანადოდ დასაბუთებული სარჩელი მზად იქნება, არ უნდა გადავდოთ მისი წარდგენა შესაბამის საერთაშორისო სასამართლოში. მაგალითად, 2005 წლის ნოემბრიდან ჩვენმა საპარლამენტო კომისიამ აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს კონფლიქტურ ზონებში რუსეთის საბანკო სექტორისა და ასევე ფიქტური კომპანიების უკანონო ფუნქციონირების წინააღმდეგ (რადგან საბანკო და საკომუნიკაციო არალეგალური ქსელის შექმნა ამ ზონებში ხელ-ფეხს უხსნიდა დანაშაულებრივი ბიზნესის განვითარებას). ამ მიმართულებით დღემდე წარმატებით ვთანამშრომლობთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობასთან.

რუსეთის ფიქტურ კომპანიათა უკანონო ქმედებების გამო საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად 8-9 მილიონ დოლარს კარგავს. კომისიის აქტიურობას მოჰყვა გამოხმაურება არა მარტო ფიქტურ კომპანიათა, არამედ რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც და ამ საკითხმა მასმედიის ყურადღება მიიპყრო. ყოველივე ამის შემდეგ, იმ პერიოდში, აღნიშნულმა კომპანიებმა უარი თქვეს კონფლიქტის ზონებში მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაზე (საუბარი იყო დაახლოებით 40-50 მილიონ დოლარზე). ამ პროცესებს მოჰყვა ის, რომ რუსული კომპანია "ბილაინი" ლეგალურად შემოვიდა საქართველოს საკომუნიკაციო სივრცეში.

ანალოგიური ვითარებაა რუსეთის ფედერაციის კომერციულ ბანკებთან დაკავშირებითაც. ამჟამად აფხაზურ ბანკებთან საკორესპონდენციო ურთიერთობა გააჩნია რუსეთის 11 ბანკს, ხოლო აფხაზეთის ოფიციალ-

ური და კომერციული სტრუქტურები სარგებლობენ 33 რუსული ბანკის მომსახურებით. მათი უკანონო საქმიანობა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებიდან, კერძოდ, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ნორმებიდან გამომდინარე, უნდა განიხილებოდეს, როგორც არალეგალურ სტრუქტურებთან ურთიერთობა. აშკარაა, რომ საბანკო სისტემის უკონტროლო საქმიანობა ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ფინანსურ მაქინაციებს, მათ შორის, "ფულის გათეთრებას", უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას, ექსტრემისტული და ტერორისტული ფორმირებების დაფინანსებას და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არ უნდა შეწყვიტოს თავისი ძალისხმევა იმ დრომდე, ვიდრე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF-ი), ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების ლეგალიზების საწინააღმდეგო ევრაზიული ჯგუფი(EAG), აშშ-ის დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია არ მოახდენენ შესაბამის რეაგირებას და არ დააფიქსირებენ თავის პოზიციას კონფლიქტურ ზონებში რუსული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებით.

აუცილებელია შესაბამისი მიმართვების გაგზავნა უცხოეთის ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებსა და აღიარებულ საფინანსო ცენტრებში (შვეიცარიის, ლიხტენშტაინის, ავსტრიის და ა.შ.), რათა ამ ორგანიზაციათა მიერ გაკონტროლდეს მათი ზედამხედველობის სფეროში მყოფ საბანკო დაწესებულებათა საკორესპონდენციო ურთიერთობები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ ბანკებთან.

შესაბამისი შეტყობინებითა და თხოვნით უნდა მივმართოთ "სვიფტისა" და საერთაშორისო გადარიცხვების სხვა სისტემების (მაგ. "ტელექსის", "ვიზა ინტერნეიშენალის", "მასტერ ქარდის") სათავო ოფისებს, რომ მათ არ ჩართონ თავიანთ ქსელსა და ცნობარებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ბანკები, როგორც არალეგალური სტრუქტურები.

უნდა შეეცადოთ, აგრეთვე, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე რუსეთის ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები შეტანილ იქნენ იმ საკრედიტო ორგანიზაციათა საერთაშორისო "შავ სიაში", რომელთაც აკრძალული აქვთ აშშ-ისა და ევროკავშირის ყველა წამყვან ბანკთან თანამშრომლობა.

საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს კიდევ უფრო აქტიური მუშაობა მართებთ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისა და

პარლამენტის მიერ "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ (23.10.2008). ამჟამად არსებობს საკმარისი სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ მოვითხოვოთ კონფლიქტურ ზონებში უკანონოდ მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საშართლებრივი დევნა და ამ მიზნით დავიწყოთ საერთაშორისო სასამართლოებისადმი მიმართვა. ეს საშუალებას მოგვცემს, სულ მცირე, შევზღუდოთ არალეგალურად მოქმედ პირთა გადაადგილება, მათ მიერ საბანკო ანგარიშების გამოყენება, ანუ ხელი შევუშალოთ მათი უკანონო ბიზნესის განვითარებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ჩვენ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რათა კრემლთან დაპირისპირება ბრძოლის ველიდან სამართლებრივ სიბრტყეზე გადავიტანოთ.

2006 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია გამოვიდა ინიციატივით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც მუშაობა უნდა წარმართოს ბალტიის ქვეყნებთან, უკრაინასთან, პოლონეთთან და თურქეთთან, როგორც მეზობელ ქვეყანასთან და სხვა სახელმწიფოებთან, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის აღიარების მიზნით.

ბალტიელებთან მუშაობის სურვილი განპირობებულია მათი აქტიური ბრძოლით მეოცე საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ამ ქვეყნების ოკუპაციის აღიარებისთვის.

უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს მიერ 2008 წელი "გოლოდომორის" წლად გამოცხადდა. 2007 წელს მან მოუწოდა, უპირველესად, დასავლეთის ქვეყნებსა და გაეროს აღიარონ საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკრაინაში 1932-1933 წლებში ორგანიზებული შიმშილობა და რეპრესიები უკრაინელი ხალხის გენოციდად. უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ იანუკოვიჩის არჩევის შემდეგ, საყარაულოდ, უკრაინის პოზიცია შესუსტდება, მაგრამ, საბედნიეროდ, შოლდავეთის ახალი ხელისუფლება აქტიურობს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება პოლონეთს, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მან მოითხოვა ინტერნირებულ პოლონელ ოფიცერთა კატინის ტყეში დახვრეტის ოფიციალური ვერსიის გადასინჯვა. 2005 წლის 16 აპრილს პოლონეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ მოუწოდა რუსეთს 1940 წელს პოლონელთა მასობრივი მკვლელობების კატეგორიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად აღიარებისკენ.

ყველა ამ ქვეყანას აერთიანებს საშართლიანობის დადგენის სურვილი და შესაბამისი საერთაშორისო სანქციების მოთხოვნა, რასაც

კრემლი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ყოველნაირად ეწინააღმდეგება. ხაზგასასმელია, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრეტენზიები უშუალოდ რუსეთს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარ მოვლენებს უკავშირდება.

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ უფრო დიდი აქტუალობა შესძინა აღნიშნულ საკითხს და ზემოხსენებულ ქვეყნებთან ამ სფეროშიც უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მოითხოვა.

8) 2004 წელს ღნესტრისპირეთში მოლდავურ/რუმინულენოვანი 6 სკოლის დახურვასა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართულ სკოლათა მდგომარეობას შორის, ცხადია, პირდაპირი პარალელი არსებობს. აფხაზეთში, სახელდობრ, გალის რაიონის სკოლებში (ამ რაიონის მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართულია) ქართული ენის სწავლება, ფაქტობრივად, დაპატიმრების ან სიკვდილის რისკთან არის დაკავშირებული. წლების მანძილზე გრძელდება თავდასხმები ქართველ პედაგოგებზე, მათი ფიზიკური შეურაცხყოფა, დაკავება და ა.შ. ყოველივე ამას მხოლოდ ერთი სახელი აქვს — "ლინგვისტური წმენდა".

კიდევ უფრო უდავოა "ლინგვისტური წმენდის" ფაქტი ცხინვალის რეგიონში, სადაც ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციის მიერ ახალგარემონტებული სკოლები 2008 წლის სამხედრო აგრესიის დროს გადაწვეს ან ააფეთქეს. ამ სკოლებიდან ორი, ქურთისა და ავნევის საჯარო სკოლები 2007 წლის აგვისტოში შეუერთდა იუნესკოს ასოცირებულ სკოლათა რიცხვს.

9) მოლდავეთისა და საქართველოს მიმართ დაწესებული „ღვინის ემბარგოც" აშკარა მსგავსებას ადასტურებს. კრემლმა ორივე ქვეყნის მიმართ აბსოლუტურად იდენტური „იძულების ეკონომიკური მექანიზმი" გამოიყენა. რუსეთის სანიტარული სამსახურის მონაცემებს თუ დავუჯერებთ, მოლდავურ და ქართულ ღვინოებში (და ასევე ბელორუსიის რძის პროდუქტებში) „მომწამვლელ ნივთიერებათა შემცველობა" ამ ქვეყნების პოლიტიკურ კურსზე ყოფილა დამოკიდებული.

ზემოჩამოთვლილ მსგავსებებთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს მოლდავეთისა და საქართველოს კონფლიქტებს შორის:

1) უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ღნესტრისპირეთში არ განხორციელებულა ეთნიკური წმენდა, თუმცა, კონფლიქტის შედეგად ეთნიკურ მოლდაველთა რიცხვი 39,9%-დან 31,9%-მდე შემცირდა (საუბარია 90-იანი წლების კონფლიქტზე და არა ცარიზმის დროინდელ ან საბჭოთა

ოკუპაციასთან დაკავშირებულ ძალადობრივ დემოგრაფიულ პროცესებზე).

მოლდავეთისგან განსხვავებით, საქართველოს ორივე ოკუპირებულ რეგიონში ეთნოწმენდა განხორციელდა და ეს მოხდა „უპირატესად" ქართველების მიმართ, რაც დადასტურებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში. აფხაზეთიდან გამოდევნილ იქნა დაახლოებით 354 ათასი ადამიანი, აქედან 240 ათასამდე ქართველი, ცხინვალის რეგიონიდან და მიმდებარე რაიონებიდან — 100 ათასზე მეტი და ამ უკანასკნელთაგან 31 ათასი დღემდე დევნილია (იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია # 1633, 2008). აფხაზეთში ქართველების მიმართ ეთნოწმენდის განხორციელება დაფიქსირებულია ეუთოს 1994, 1996 და 1999 წწ. სამიტების რეზოლუციებში. ბუდაპეშტის 1994 წლის რეზოლუციაში ეუთოს მონაწილე ქვეყნები გამოხატავენ "ღრმა შეშფოთებას "ეთნიკური წმენდის", უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივი გამოდევნისა და უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეთა შორის დიდი მსხვერპლის გამო" (ხაზგასასმელია, რომ ეუთო-ის წევრია რუსეთიც, ანუ ეთნოწმენდის ფაქტები იმდენად აშკარა იყო, რომ კრემლმაც კი ვერ დამალა და ვერ უარყო ისინი).[6] ლისაბონის სამიტის 1996 წლის დოკუმენტშიც ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ ისინი "გმობენ "ეთნიკურ წმენდას", რომლის შედეგად ადგილი აქვს უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და იძულებით გამოდევნას აფხაზეთიდან. ასევე სეპარატისტების დესტრუქციულ ქმედებებს, რაც ხელს უშლის დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას".[7]

სტამბოლის სამიტის 1999 წლის რეზოლუცია, ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტს ეფუძნება.

ცხინვალის რეგიონში მომხდარ ეთნოწმენდის ფაქტებზე ყურადღება გამახვილებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებსა და ასევე ევროკავშირის ეგიდით შექმნილი ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენებაში ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება"; "ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში ისევე, როგორც რუსეთის და დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არაღკვეთას და დამნაშავეების არდასჯას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის

6. http //www.osce.org/documents/mcs/1994/12/4050_en.pdf
7. http://www.osce.org/documents/mcs/1996/12/4049_en.pdf

ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს...” (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები: 1633, 02.10.2008, 1647, 28.01.2009). ”ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს” (მ. იორშის განცხადებიდან[8]). ”სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც”.[9]

2) ისტორიული თვალსაზრისით, დიდი ხანი არ არის, რაც დნესტრისპირეთი მოლდოვას შემადგენლობაში მოექცა. ეს 1940 წელს, კრემლის გადაწყვეტილებით მოხდა (თუმცა, აუცილებელია ითქვას, რომ მაშინ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობას მოლდაველები შეადგენდნენ და დნესტრისპირეთის მიერთება იყო ერთგვარი კომპენსაცია სამხრეთით მდებარე იმ ტერიტორიის /ბუჯაკის/ სანაცვლოდ, რომელიც ბესარაბიას /მოლდავეთს/ ჩამოაჭრეს და უკრაინას მიუერთეს). 1940 წლამდე, თუნდაც შტეფან დიდის ან მიხაი მამაცის მმართველობის დროს, მოლდოვას სამთავროს საზღვარი მდინარე დნესტრზე გადიოდა. მარცხენა ნაპირზე ან სლავური (რუსულ-უკრაინული ან პოლონურ-ლიტვური) სამთავროები იყო, ან ეს მიწა ”ოქროს ურდოს”, ყირიმელი თათრების თუ ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოდ ითვლებოდა. ამ ფაქტს კრემლის პროპაგანდისტული ძალები აქტიურად იყენებენ, რათა საერთაშორისო სამართლის საპირისპიროდ, ყურადღება გაამახვილონ ”ისტორიულ სამართლიანობაზე” და ამ გზით დნესტრისპირეთში მცხოვრებ ეთნიკურად არამოლდაველ მოსახლეობაში შესაბამისი მხარდაჭერა მოიპოვონ.

საქართველოს შემთხვევაში, ვერანაირი ”ისტორიული სამართლიანობით” ვერ გამართლდება აფხაზეთისა და, მით უფრო, ცხინვალის რეგიონის ჩამოშორება ჩვენი ქვეყნისგან. პირიქით, ეს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმათა აშკარა დარღვევა იქნება, არამედ ”ისტორიული სამართლიანობის” უარყოფაც, რადგან მთლიანად ღღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოქთონური მოსახლეობა ვართ ქართველები, ხოლო აფხაზეთში ავტოქთონები არიან ასევე აფხაზებიც. იმაევს ვერ ვიტყვით ცხინვალის რეგიონის ოსებზე, რომელთა დიდი ნაწილი მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, საბჭოთა

8 http://for-ua.com/news_print.php?news=305384

9 Iz tatianins komisiis moxsenebidan, nawili I, punqti 27

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამკვიდრდა ამ რეგიონში. შეუძლებელია დასახელდეს ისტორიული პერიოდი, როცა, მაგალითად, აფხაზეთში ქართველები უმცირესობაში იყვნენ. რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთს" ეს იყო მთლიანად რუსულ-საბჭოური "პროექტი" და აქ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსების ინტენსიური ჩამოსახლება რუსეთიდან სრულიად მიზანდასახულად ხორციელდებოდა, "ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე თანდათანობით ოსური უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად.

ხაზგასასმელია, რომ იმ ტერიტორიას, რომელსაც დღეგანდელი აფხაზეთი მოიცავს, მეტ-ნაკლებად მთლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით არასოდეს უარსებია და ის ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი და ამ ტერიტორიაზე ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამ ფაქტის მისაჩქმალად, რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში, აფხაზეთის მოსახლეობის აღწერისას, ცალკე "ეთნოსიც" კი გამოიგონა — "სამურზაყანოელი". ცხადია, ასევე ცალკე აღნუსხავდნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველებს — მეგრელებს (რეალურად, სამურზაყანოელები იგივე მეგრელები არიან, ოღონდ ისტორიულ სამურზაყანოში ანუ გალის რაიონში ცხოვრობენ). ეს მანიპულაციები მეყის რუსეთს სჭირდებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთში ქართველების უმრავლესობა არ დაფიქსირებულიყო.

ე.წ. "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ ეს სტრუქტურა მხოლოდ 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა და საზღვრები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით). ბუნებრივია, ყველა მეტ-ნაკლებად ობიექტური ისტორიკოსისთვის აშკარაა, რომ საქართველოს შუაგულში, დედაქალაქიდან 30-40 კმ-ის დაშორებით, ხელოვნურად შექმნილი ოლქის ტერიტორიაზე "ისტორიული სამხრეთი ოსეთი" ვერანაირად ვერ იარსებებდა. ცხინვალის რეგიონი ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან ჩვენი ქვეყნის ცენტრალური პროვინციის — ქართლის შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ 1922 წელს შექმნილი ავტონომიური ოლქის მთავარ ქალაქ ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი (დემოგრაფი-

ული სურათის მკვეთრი შეცვლა აქ 1922 წლის შემდეგ დაიწყო).

3) დნესტრისპირეთში მცხოვრებ ეთნიკურად სლავ მოსახლეობასა და მოლდაველთის დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ მოლდაველებს შორის გარკვეული კულტურულ-ენობრივი ბარიერი არსებობს. სლავი მოსახლეობა ორიენტირებულია რუსეთზე, მისთვის მშობლიურ (ან ახლობელ) რუსულ ენასა და კულტურაზე, ხოლო ეთნიკური მოლდაველები რუსულ-სლავურისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ რუმინულ-მოლდაურ ენასა და კულტურაზე.

საქართველოში არსებული რეალობა ამ მხრივაც განსხვავებულია. აფხაზები, ოსები და ქართველები მენტალიტეტით კავკასიელები ვართ და ჩვენ ერთმანეთთან ბევრად უფრო მეტი გვაქვს საერთო, ვიდრე რუსებთან. მრავალსაუკუნოვანი საერთოკავკასიური კულტურა და მენტალიტეტი რეალობაა. აფხაზური და ქართული მონათესავე კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების უმრავლესობამ კარგად იცის ქართული, და პირიქით, იქ მცხოვრებმა ქართველებმაც იციან ოსური. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წლის აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში და მათ მიმართ შეცვიწროების ან ჩაგვრის ფაქტები არ დაფიქსირებულა. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზების მიმართაც. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში.

ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. ასწლეულების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ებრძოდნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ჯარებს. XIX საუკუნეში, "შუპაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ ქართველები დაუდგნენ გვერდით თავიანთ კავკასიელ თანამოძმეებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სწორედ ქართველი საზოგადო მოღვაწეები იმაღლებდნენ ხმას ამ ბარბაროსული ძალადობის წინააღმდეგ.

4) დნესტრისპირეთის პრობლემას უშუალოდ უკავშირდება რუმინეთის ფაქტორი. 1918 წლის იანვარში, დემოკრატიული რესპუბლიკის

პარლამენტის თხოვნით, მოლდოვაში სწორედ რუმინეთის ჯარები შეიჭრნენ და მათ წინააღმდეგობას, ძირითადად, საბჭოთა რუსეთის მომხრე რუსულ-უკრაინული შეიარაღებული ჯგუფები უწევდნენ (თუმცა, მაშინ დნესტრისპირეთი მოლდოვის შემადგენლობაში არ იყო). იმავე წლის მარტში კი მოლდოვა და რუმინეთი გაერთიანდნენ. დნესტრისპირელ რუსებსა და უკრაინელებს, ყველაზე მეტად მოლდავეთის რუმინეთთან გაერთიანების პერსპექტივა აშფოთებდათ ამის საპირისპიროდ მათ რუსეთთან გაერთიანება სურთ, რაზეც მეტყველებს 2006 წლის არალეგიტიმური "რეფერენდუმის" შედეგები (რუსეთთან გაერთიანების მომხრე — 97%). ამ "რეფერენდუმთან" დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როცა დნესტრისპირეთის "რუსეთთან თავისუფალი გაერთიანების პერსპექტივაზეა" საუბარი, გაურკვეველია კონკრეტულად რას გულისხმობენ: ამ რეგიონის კალინინგრადის მსგავს ექსკლავად გარდაქმნას, თუ ჯერ ყირიმის "თავისუფალ მიერთებას" რუსეთთან და შემდეგ უკვე დნესტრისპირეთის — ყირიმთან. გაურკვეველია ასევე რატომ ითხოვენ ასე ერთხმად დნესტრისპირელი უკრაინელებიც რუსეთთან და არა მეზობელ უკრაინასთან გაერთიანებას; როგორც პრაქტიკული, ასევე "ისტორიული სამართლიანობის" თვალსაზრისით, ასეთი მოთხოვნის არგუმენტირება, ცხადია, შედარებით უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ აქედანაც აშკარად ჩანს, რომ მთელი ამ მოვლენების "სცენარი" ("რეფერენდუმის" ჩათვლით) კრემლში დაიწერა და დნესტრისპირეთის მოსახლეობას მხოლოდ "პაიკის" ფუნქცია აკისრია. დნესტრისპირელ რუსებსა და უკრაინელებს აშინებენ, რომ რუმინეთთან გაერთიანების შედეგად ისინი თავიანთ ეთნიკურ იდენტობას დაკარგავენ (ეს პროპაგანდა, ბუნებრივია, გარკვეულწილად მიზანს აღწევს, თუმცა, მას შემდეგ, რაც 2007 წელს რუმინეთი ევროკავშირის წევრი გახდა, ამ ქვეყნისადმი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი მიმართება იცვლება).

საქართველოსთან დაკავშირებით არც აფხაზებს და არც ოსებს (არც რომელიმე სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს) მსგავსი შიშისა თუ შეშფოთების არანაირი საფუძველი არ აქვთ. ჩვენი მიზანი დამოუკიდებელი საქართველოს შენარჩუნება და განვითარებაა (მომავალში საქართველო შესაძლოა გახდეს კავკასიური კონფედერაციის ან/და ევროკავშირის წევრი სახელმწიფო; ასეთი პერსპექტივა კი შეუძლებელია რაიმე საფრთხეს უქმნიდეს აფხაზების ან ოსების თვითმყოფადობას).

აღსანიშნავია, რომ 1918-1921 წწ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, მოლდოვის 1918 წლის ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ დასჭირებია სხვა ქვეყნის დახმარება კრემლის მიერ ინსპირირებული

შეიარაღებული პროვოკაციების ნეიტრალიზაციისა და ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად; და ეს მაშინ, როცა ცნობილია, რომ მაშინდელი საქართველოს სამხედრო ძალები სიძლიერით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ, რადგან მენშევიკური მთავრობა მინიმალურად ზრუნავდა მათზე.

დამოუკიდებელ საქართველოს ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. შორეულ წარსულსა და ეთნიკურ ებრაელებთან გულითად, მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ (არადა, ებრაელთა დარბევები ჩვეულებრივი რამ იყო ქრისტიანულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში), საკმარისია გავიხსენოთ შესაბამისი სფეროს ის ძირითადი კანონები, რომელთა მიღება მოასწრო საქართველომ მე-20 საუკუნეში, დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდებში. მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა განსაზღვრული იყო 1921 წლის კონსტიტუციით (მუხლი 107). იმ დროს სრულიად არაბუნებრივი იქნებოდა ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ავტონომიის შექმნა, მით უფრო, ცენტრით ქალაქ ცხინვალში, სადაც, არათუ ქართველები, ებრაელები და სომხებიც კი უფრო მეტნი ცხოვრობდნენ, ვიდრე ოსები (სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ 1922 წელს კრემლის მიერ ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ავტონომიური ოლქის დაფუძნება იყო სრულიად ხელოვნური და მიზნად ისახავდა არა ოსების თვითმყოფადობაზე ზრუნვას, არამედ საქართველოზე დამატებითი, ტერიტორიული ბერკეტის შექმნას).

1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო: 28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %); 26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%); 11 ადგილი - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. ევროპული მასშტაბით, არ არსებობს მსგავსი თანაფარდობა ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობასა და ავტონომიის სახელისუფლო ორგანოში მის წარმომადგენლობას შორის. სწორედ იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი ქართველი დაინიშნებოდა. იმავე 1991 წლიდან, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოცხადდა (მე-19 საუკუნემდე ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე, აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო). აფხაზეთში ყოველგვარი

წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრი, აფხაზურ-რუსული ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

სწორედ ეს ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დარწმუნებული ვართ, რომ არა კრემლის დესტრუქციული, უშუალო მმართველობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ინიციატივები მისაღები გახდებოდა აფხაზებისა და ასევე ცხინვალის რეგიონის ოსების უმრავლესობისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობით სამშვიდობო პროცესი აქტიურად განვითარდებოდა.

5) დნესტრისპირეთის (მოლდოვას) კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის ფართო ინტერნაციონალიზაცია თავიდანვე მოხდა და 1993 წელს შეიქმნა მოლაპარაკებათა 5+2 საერთაშორისო ფორმატი (რუსეთის, უკრაინის, აშშ-ის, ეუთოს, ევროკავშირისა და კიშინიოვ-ტირასპოლის წარმომადგენელთა მონაწილეობით). თუმცა, უნდა ითქვას, რომ, კრემლის წინააღმდეგობის გამო, ვერ მოხერხდა კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია და იქ დღემდე რუსეთის ჯარები დგანან, რაც პრობლემის მოგვარების გზაზე უმთავრეს დაბრკოლებად რჩება.

საქართველოს შემთხვევაში, სამწუხაროდ, სამშვიდობო პროცესს,

ფაქტობრივად, მთლიანად კრემლი წარმართავდა და მოლაპარაკებათა ფორმატის რეალური შეცვლა მხოლოდ 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ მოხერხდა.

აფხაზეთთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, 1994 წლიდან 1997 წლამდე, ქართულ-აფხაზურ მხარეებთან ერთად მონაწილეობდნენ რუსეთი, ეუთო და დევნილთა საკითხებში გაეროს წარმომადგენელი. 1997 წლის ნოემბრიდან შეიქმნა კონფლიქტის მოგვარების საკოორდინაციო საბჭო, ანუ მოლაპარაკებათა ე.წ. ჟენევის ფორმატი: გაეროს, ეუთოს, რუსეთის და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა ფორმატის შემადგენლობის მხრივ. 1992 წლის დაგომისის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი (მნიშვნელოვანი საკითხები დაკონკრეტდა ასევე 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებაში) ე.წ. ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისია შედგებოდა: რუსეთის, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის (რუსეთის ფედერაციის სუბიექტის), ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" და საქართველოს წარმომადგენლებისგან. 1993 წლის მარტიდან ამ კომისიის მუშაობაში ჩაერთო ეუთოც ("ოთხმხრივ კომისიაში" საქართველო, ფაქტობრივად, მარტო იყო, რადგან ვლადიკავკაზი და ცხინვალი კრემლის მარიონეტები იყვნენ, ეუთოს წევრი კი რუსეთიცაა და ამ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები კონსენსუსის წესით მიიღება).

ამჟამად ჟენევის ფორმატში მონაწილეობენ: საქართველო, რუსეთი, აშშ, გაერო, ევროკავშირი და ეუთო. ეს არის მოლაპარაკებათა ოპტიმალური ფორმატი, რომელიც აფიქსირებს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისას აშკარად გამომჟღავნებულ რეალობას — დაპირისპირებული მხარეები არიან საქართველო და კრემლი (და არა თბილისი-სოხუმი ან თბილისი-ცხინვალი) და ამ კონფლიქტის მოგვარებაში აუცილებელია აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო საზოგადოების ის ძალები, რომელთაც ნამდვილად შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

ფართობი — 51 129 კმ²;

მოსახლეობა — 4 613 414 (2009), ომის დაწყებისას, 1991 წელს — 4 377 053;

ეთნიკური შემადგენლობა — ბოშნიაკები (ბოსნიაკები) — 48%, სერბები — 37%, ხორვატები — 14%. უნდა ითქვას, რომ ბოშნიაკები, არსებითად, ცალკე რელიგიური ჯგუფია და არა ეთნიკური, რადგან ხორვატებისა და სერბებისგან მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის აღმსარებლობა.

რელიგია — ბოშნიაკები მუსლიმანები არიან, სერბები, ძირითადად, მართლმადიდებლები, ხორვატები და სლოვენები კი — კათოლიკეები. როგორც ეთნიკური, ასევე ლინგვისტური თვალსაზრისითაც, ბოშნიაკები, სერბებისა და ხორვატებისგან თითქმის არ განსხვავდებიან და სერბულ-ხორვატული ენის დიალექტზე ლაპარაკობენ; სამიევე ამ ჯგუფის წარმომადგენლებს თავისუფლად ესმით ერთმანეთის (ეთნიკური და ეროვნული იდენტობის საკითხი ვრცლად განხილულია ქაშმირის კონფლიქტის კონტექსტში, იხ. გვ. 476). ხორვატიაში, სლოვენიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში ლათინური ანბანი გამოიყენება, სერბეთში — კირილიცა, თუმცა აქაც სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ლათინური შრიფტი.

ბოსნია და ჰერცეგოვინა ამჟამად ფედერაციულ-კონფედერაციული სახელმწიფოა, რომლის შემადგენელი სუბიექტებია: "ბოსნია და ჰერცეგოვინის ფედერაცია" და "რეპუბლიკა სრპსკა" — სერბთა რესპუბლიკა. სახელწოდება "ბოსნია და ჰერცეგოვინა" უკავშირდება, ერთი მხრივ, მდინარე ბოსნას და, მეორე მხრივ, გერმანულ ტიტულ "ჰერცოგს", რომელიც XV საუკუნეში მიუნიჭა ამ ტერიტორიის მმართველს.

ბოსნია და ჰერცეგოვინა გაეროს წევრია 1992 წლის 22 მაისიდან.

დღევანდელი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორია ანტიკურ ხანაში ილირიელებითა და ბერძნებით იყო დასახლებული.

VI-VII სს. — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი სამხრეთ სლავებმა დაიკავეს.

ხორვატებმა თავიანთი სამეფო მე-10 საუკუნეში შექმნეს, რომელიც XII-XVI საუკუნეებში უნგრეთის სამეფოსთან ერთად უნგრეთ-ხორვატიის უნიას ქმნიდა, XVI საუკუნის ბოლოს კი ოსმალეთის შემოტევების გამო ხორვატიამ ავსტრიას სთხოვა მფარველობა და შემდგომი 4 საუკუნე ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

სერბების მცირე სამთავროებისა და სამეფოების ჩამოყალიბების პროცესი X-XII საუკუნეებში მიმდინარეობდა და ისინი ჩვეულებრივ ბიზანტიის ვასალები იყვნენ. სერბეთის ერთიანი დამოუკიდებელი სამეფო XII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, ხოლო მისი „ოქროს ხანა“ მე-14 საუკუნის შუა პერიოდს ემთხვევა (თუმცა, ამ დროსაც კი, ხორვატია და სლოვენია ვერ შეიერთა). შემდეგ ის თანდათან დაიშალა და მე-15 საუკუნეში მთლიანად დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ. XVII-XVIII საუკუნეებში, იძულებითი ისლამიზაციის გამო, სერბთა პატრიარქებმა ორჯერ მოუწოდეს მრევლს დუნაის ჩრდილოეთით, ავსტრიის იმპერიის მაშინდელი საზღვრის იქით გადასულიყვნენ. სერბების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ამ დროს დატოვა სამხრეთ სერბიის (“ძველი სერბიის”) ტერიტორია, რომელზეც შემდეგ მაჰმადიანი ალბანელები დასახლდნენ, მაგ. კოსოვოში (აქვე უნდა ითქვას, რომ კოსოველი ალბანელების ვერსიით, ეს მიწა მათი ისტორიული სამშობლოა, რადგან ალბანელები თავიანთ წარმოშობას ილირიელებს, ბალკანეთის სლავებამდელ მოსახლეობას უკავშირებენ, რაც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და დღემდე მეცნიერული პოლემიკის საგანია).

სერბებმა ორი აჯანყების ფასად 1830 წელს ავტონომია მოიპოვეს ოსმალეთის შემადგენლობაში, 1878 წელს კი, რუსეთ-ოსმალეთის ომისა და ბერლინის კონგრესის შემდეგ, სტამბოლი იძულებული გახდა ეცნო სერბეთის დამოუკიდებლობა.

სლოვენური სამეფოები და სამთავროები VIII-IX საუკუნიდანვე ავსტრიელთა და ბავარიელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. შემდეგ ზღვისპირა სლოვენია ვენეციის ვასალი გახდა. უნდა ითქვას, რომ სლოვენიას, როგორც დამოუკიდებელ, ერთიან სახელმწიფოს, მეტნაკლებად ხანგრძლივი ვადით, ფაქტობრივად, არც კი უარსებია. 1809 წელს ნაპოლეონმა სლოვენიის დიდი ნაწილი წაართვა ავსტრიას, რამაც სლოვენებს საშუალება მისცა რამდენიმე წლის განმავლობაში თავისუფლად განევითარებინათ თავიანთი ეროვნული კულტურა. მართალია, 1815 წელს ავსტრიამ დაიბრუნა სლოვენია, მაგრამ ეროვნული თვითშეგნების აღმავლობის შეჩერება ვერ შეძლო, რასაც 1848 წლის სლოვენური რევოლუცია მოჰყვა სლოვენიის სამეფოს აღდგენის მოთხოვნით. მოგვიანებით, 1866 წლიდან, იტალია-ავსტრიის ომის შემდეგ, სლოვენიის დასავლეთი ნაწილი — „ვენეციის სლოვენია“ ისევ იტალიის საზღვრებში მოექცა, დანარჩენი სლოვენია კი 1868 წლიდან ხორვატიასთან გაერთიანდა (ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში 1918 წლამდე არსებობდა სლოვენია-ხორვატიის სამეფო).

XIV ს. — შეიქმნა ბოსნიის სამეფო (XII საუკუნიდან ბოსნიის სამ-

თაერო არსებობდა).

1482 — ოსმალეთის იმპერიამ სრულად დაიპყრო დღევანდელი ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორია. აქვე უნდა ითქვას, რომ სერბეთი, რომელსაც მანამდე, 1389 წელს კოსოვოს ველზე გამართულ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ოსმალეთის ვასალის სტატუსი ჰქონდა, 1459 წლიდან უკვე ოსმალეთის პროვინციად იყო გადაქცეული. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ოსმალეთმა ვერ მოიკიდა ფეხი ხორვატიასა და სლოვენიაში, რადგან ეს უკანასკნელნი ავსტრიისა და ვენეციის შემადგენლობაში იყვნენ და ოსმალებმა საბოლოოდ ვერ შეძლეს მათი ერთიანი წინააღმდეგობის დაძლევა;

1875 — ბოსნია-ჰერცეგოვინაში დაიწყო აჯანყება ოსმალეთის წინააღმდეგ. აჯანყების პირველი ტალღა გადასახადების გაზრდას მოჰყვა, თუმცა მალე ის პოლიტიკური მიზნების მქონე დიდ შეიარაღებულ მოძრაობაში გადაიზარდა და 3 წელი გაგრძელდა. ოსმალეთის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის დაწყების შემდეგ.

1878 — ოსმალეთი იძულებული გახდა დაეთმო ბოსნია-ჰერცეგოვინა და ივნისში აქ ავსტრია-უნგრეთის ჯარები განლაგდნენ. აღსანიშნავია, რომ მანამდე, 3 მარტს, რუსეთ-თურქეთს შორის დაიდო სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინისთვის ავტონომიის მინიჭებას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუმცა იმავე წლის ივნისში, ბერლინის კონგრესზე სან-სტეფანოს ხელშეკრულების შედეგები გადაიხედა და ავსტრიამ ბოსნია-ჰერცეგოვინის 30-წლიანი ოკუპაციის უფლება მოიპოვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, აღიარებულ იქნა ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა (ჩერნოგორია მე-11 საუკუნეში გახდა დამოუკიდებელი სამეფო, XII-XIV საუკუნეებში — სერბეთის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი ვენეციის ვასალი იყო, სანამ 1496 წელს ოსმალეთი დაიპყრობდა. XVII საუკუნის შუა წლებიდან, ფაქტობრივად, ისევ დამოუკიდებელი გახდა და ასე თუ ისე ინარჩუნებდა ამ სტატუსს ოსმალეთთან პერიოდული დაპირისპირების პროცესში).

1908 — 5 ოქტომბერს ბოსნია-ჰერცეგოვინა ანექსირებულ იქნა ავსტრია-უნგრეთის მიერ, რასაც "ბოსნიის კრიზისი" მოჰყვა (თურქეთის სულთანმა ბოსნიისთვის 2,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი მიიღო; გარიგების დადებაში დიდი როლი ითამაშა გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II-მ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სულთანზე). 1873 წლიდან, "სამი იმპერატორის კავშირის" არსებობის პერიოდში (ავსტრია-

უნგრეთი, გერმანია და რუსეთი), ბისმარკის დაჟინებით, ბოსნია-ჰერცეგოვინის საკითხი "გაყინული" იყო, მაგრამ მოგვიანებით ავსტრიასა და რუსეთს შორის ღია მეტოქეობა დაიწყო ბალკანეთზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ოსმალეთისგან 1878 წელს გათავისუფლებული სერბები რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს სთხოვდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინა როგორმე სერბეთთან გაეერთიანებინა და ამ გზით ბალკანეთზე ძლიერი სლავური დასაყრდენი დაეფუძნებინა, მაგრამ ალექსანდრე II ბოსნიის ანექსიას არ შეეწინააღმდეგა, რადგან ავსტრია 1908 წლის სექტემბერში გამართული არაფორმალური მოლაპარაკებისას დათანხმდა, რომ ბოსნიის ანექსიის სანაცვლოდ, აღიარებდა რუსეთის სამხედრო გემების უფლებას ესარგებლათ დარდანელის სრუტით და ასევე ბულგარეთის უფლებას, შეეწყვიტა ოსმალეთისადმი ვასალური დამოკიდებულება. შედეგად, ბოსნიის ანექსია მხოლოდ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გააპროტესტა, თუმცა მათ პროტესტს რაიმე ქმედება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, სერბეთისა და ჩერნოგორიის მთავრობებმა მობილიზაცია გამოაცხადეს. ავსტრიის იმპერატორმა გერმანიის დახმარების გარანტია მიიღო, სერბეთმა კი — რუსეთის, თუმცა, ომის რეალური საფრთხის შიშით, 1909 წლის 2 მარტს რუსეთი ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას მიემხრო და სერბეთს მოუწოდა ეცნო ბოსნიის ანექსიის ფაქტი. 10 მარტს სერბეთმა მაინც უარი თქვა ელიარებინა ავსტრიის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის შეერთება. 17 მარტს რუსეთის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ გერმანიასა და ავსტრიასთან ომი, უპერსპექტივო იყო (ბრიტანეთ-საფრანგეთის აქტიური მხარდაჭერის გარეშე). ამის შემდეგ სერბეთიც იძულებული გახდა დროებით შეგუებოდა რეალობას.

1912 — დაიწყო პირველი ბალკანეთის ომი ოსმალეთის იმპერიასა და "ბალკანეთის კავშირის" ქვეყნებს შორის (ბულგარეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, საბერძნეთი). ოთხივე ამ სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა ოსმალეთის მიმართ. მაშინდელი საზღვრების პირობებში, თურქების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდა რამდენიმე მილიონი ბულგარელი, მილიონამდე სერბი და ნახევარი მილიონი ბერძენი, გარდა ამისა, დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ ალბანელები.

1913 — 30 მაისს, ლონდონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა პირველი ბალკანეთის ომი. ოსმალეთმა თითქმის მთლიანად დაკარგა ბალკანეთი და გათავისუფლებული ტერიტორია, ძირითადად, საბერძნეთმა, სერბეთმა და ბულგარეთმა გადაინაწილეს, ხოლო ალბანეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა, სულ მალე რუსეთის მიერ შთაგონებული მართლმადიდებლურ სახელმწიფოთა "ბალკანეთის კავ-

შირი" შინაუთანხმოების, ასევე დიდი ევროპული ქვეყნების აქტიურობის შედეგად დაიშალა და იმავე წლის 29 ივნისს დაიწყო ერთთვიანი მეორე ბალკანეთის ომი. ამჯერად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთი მხრივ, ბულგარეთი და, მეორე მხრივ, მისი სამივე ყოფილი მოკავშირე რუმინეთთან და ოსმალეთთან ერთად. ბულგარეთი დამარცხდა და პირველი ომის დროს მის მიერ დაკავებული ტერიტორია გაიმარჯვებულებმა გადაინაწილეს (ბალკანეთის ომების შედეგად დაიბრუნა სერბეთმა 5 საუკუნის წინ დაკარგული კოსოვო).

1914 — 28 ივნისს ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში მომხდარ პოლიტიკურ მკვლელობას პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა. იმ დღეს სარაევოში მყოფ ერცჰერცოგ (ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე) ფრანც ფერდინანდზე ორჯერ მოხდა თავდასხმა: ჩაბრინოვიჩის ნასროლმა ხელყუმბარამ ესკორტის სხვა მანქანა დააზიანა, თუმცა, მოგვიანებით, გავრილო პრინციპმა მოახერხა მიახლოებოდა ერცჰერცოგის მანქანას და ფრანც ფერდინანდი, მეუღლესთან ერთად, რევოლვერით მოკლა. ჩაბრინოვიჩიც და პრინციპიც ტერორისტული დაჯგუფების წევრები იყვნენ და სერბეთის საიდუმლო ორგანიზაცია "შავი ხელის" დავალებას ასრულებდნენ (ამ ორგანიზაციის მეორე სახელწოდება იყო "გაერთიანება ან სიკვდილი" და რეალურად მას სერბეთის კონტრდაზვერვის უფროსი დრაგუტინ დმიტრიევიჩი მეთაურობდა). "შავი ხელი" "დიდი სერბეთის" აღდგენას ისახავდა მიზნად და ფრანც ფერდინანდს უპირველეს მტრად მიიჩნევდა, რადგან იმპერატორის მემკვიდრე ტრიალიზმის მომხრე იყო (ტრიალიზმი გულისხმობდა ორსუბიექტიანი იმპერიის გარდაქმნას სამსუბიექტიან ავსტრია-უნგრეთ-სლავურ იმპერიად). ეს იდეა პოპულარული იყო ხორვატია-სლოვენიის სამეფოში და ბოსნია-ჰერცეგოვინის მაჰმადიან მოსახლეობაში, რასაც ვერ ვიტყვით ბოსნია-ჰერცეგოვინის მართლმადიდებლებზე (სერბებზე), რომლებიც არც მაშინ შეადგენდნენ ამ ტერიტორიის უმრავლესობას.

როგორც კი ერცჰერცოგის მკვლელობა გახმაურდა, სარაევოში მართლმადიდებელი სერბების რამდენიმესაათიანი დარბევა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 19 წლის გავრილო პრინციპმა, ბოსნიელმა მართლმადიდებელმა სერბმა, რომელიც იმ დროისთვის განუკურნებელი სენით, ტუბერკულოზით იყო დაავადებული, ტერაქტის განხორციელებისთანავე სცადა თვითმკვლელობა, მაგრამ იქვე მყოფმა ხალხმა არ მისცა ამის საშუალება და ისე სასტიკად სცემა, რომ ციხის საავადმყოფოში ხელის ამპუტაცია დასჭირდა. მოგვიანებით, როცა ფრანც ფერდინანდის მკვლელობის გამოძიებამ დაადასტურა სერბეთის მონაწილეობა ამ დანაშაულ-

ში, ავსტრია-უნგრეთმა ჯერ "იულისის ულტიმატუმი" წაუყენა სერბეთს (ულტიმატუმს, ფაქტობრივად, მხოლოდ საბაბის, ცასუს ბელლი-ს ფუნქცია ეკისრებოდა ომის დასაწყებად), 28 იულისს კი ომი გამოუცხადა მას, რაც აგვისტოში, გერმანიის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჩაბმის შემდეგ, პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა.

1915 — ლონდონში დაფუძნდა იუგოსლავური კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა სამხრეთ სლავების, ფაქტობრივად, ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელს. კომიტეტის იდეოლოგიური საყრდენი გახდა "იუგოსლავიზმი", რომლის მთავარი პრინციპი იყო სამხრეთ სლავების ეთნიკურ-ლინგვისტური ერთიანობის გარდაქმნა სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ერთიანობად (ამ კონცეფციის მიმდევრები აღიარებდნენ იუგოსლავების მხოლოდ სამ განსხვავებულ ჯგუფს: სლოვენებს, ხორვატებსა და სერბებს, ხოლო ბოსნია-ჰერცეგოვინის მაჰმადიან მოსახლეობას ცალსახად სერბებსა და ხორვატებს მიაკუთვნებდნენ). "იუგოსლავიზმის" სერბული ინტერპრეტაცია ითვალისწინებდა უნიტარული იუგოსლავიის ჩამოყალიბებას, ხორვატულ-სლოვენური ინტერპრეტაცია კი უფრო ფედერალურ მოდელს უჭერდა მხარს.[1]

1917 — კუნძულ კორფუზე იუგოსლავური კომიტეტისა და სერბეთის დევნილი მთავრობის მიერ (ეს უკანასკნელი, დევნილი მთავრობის სტატუსით, 1915 წლის შემოდგომიდან ამ კუნძულზე იმყოფებოდა) ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა სერბეთის, ჩერნოგორიის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი სამხრეთ სლავური ტერიტორიების გაერთიანებას ერთ კონსტიტუციურ მონარქიად, ყარაგეორგიევიჩების (სერბული სამეფო დინასტიის) მმართველობისა და სამი ერის: სერბების, ხორვატებისა და სლოვენების თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

1918 — 29 ოქტომბერს ხორვატიის დედაქალაქში, ზაგრებში, გამოცხადდა სლოვენების, ხორვატებისა და სერბების სახელმწიფოს შექმნის შესახებ. დაფუძნდა ეროვნული საბჭო, რომლის პრეზიდენტი სლოვენიის წარმომადგენელი გახდა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად სერბი და ხორვატი აირჩიეს. ზაგრებში დეკლარირებულ სახელმწიფოს სულ მალე, პირველი მსოფლიო ომის დასრულების (11 ნოემბრის) შემდეგ, კიდევ რამდენიმე მცირე რეგიონი შეუერთდა და პირველ დეკემბერს "სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო" (კონსტიტუციური მონარქია) დაფუძნდა, რომლის ხელმწიფე გახდა პეტრე I ყარაგეორ-

1 Клименко З.В. ЭЛЕМЕНТЫ ТРАНСФОРМАЦИИ КОНФЛИКТНОГО ПОВЕДЕНИЯ В ПЕРИОД КРИЗИСА ФЕДЕРАЦИИ В ЮГОСЛАВИИ. МЕЖДУНАРОДНЫЕ И ВНУТРЕННИЕ АСПЕКТЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ПОЛИТИЧЕСКИХ И СОЦИАЛЬНЫХ КОНФЛИКТОВ В РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ. Сборник научных работ. Москва 1999. ст. 27

გიევიჩი. ახალშექმნილი სახელმწიფოს ტერიტორია თითქმის ნახევარ ბალკანეთზე იყო გადაჭიმული. 1921 წლის აღწერის მიხედვით, 12-მილიონიანი მოსახლეობის ძირითად ეთნიკურ-რელიგიურ ჯგუფთა თანაფარდობა ასეთი იყო: სერბი — 39%, ხორვატი — 29,9%, სლოვენი — 8,5%, აქედან მართლმადიდებელი იყო 46,67%, კათოლიკე — 39,29%, მაჰმადიანი — 11,22%.[2]

1920-21 — პეტრე I ყარაგეორგევიჩის გადაწყვეტილებით, მისმა სამეფომ რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ერთად შექმნა "მცირე ანტანტა" (ეს გაერთიანება საფრანგეთისა და ბრიტანეთის ინიციატივით ჩამოყალიბდა და მისი უპირველესი დანიშნულება იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიის აღდგენისკენ მიმართული პროცესის პრევენცია).

1921 — მიღებულ იქნა ვიდოვდანის კონსტიტუცია, რომლის უნიტარისტული კონცეფციის შესაბამისად, 1922 წლიდან შეიცვალა "სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს" ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ყოფილი სამეფოების საფუძველზე შექმნილი მსხვილი რეგიონების ნაცვლად ქვეყანა დაიყო 33 რაიონად, რათა თანდათან წაშლილიყო ტრადიციული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საზღვრები და ხსოვნა და მათი ადგილი ერთიან სახელმწიფოს დაეკავებინა.

1929 — ალექსანდრე I-მა ყარაგეორგიევიჩმა, რომელიც 1921 წლიდან ახალშექმნილ სამეფოს განაგებდა, პარტიათა შორის შუღმიეი დაპირისპირების აღსაკვეთად და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ფაქტობრივად, "ხაევრლოვანი" სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა. მან გააუქმა კონსტიტუცია, შეცვალა ქვეყნის სახელწოდება ("იუგოსლავიის სამეფო" ამ დროიდან დამკვიდრდა), დაითხოვა პარლამენტი, შეაჩერა ეთნიკურ-რელიგიური პრინციპით შექმნილი პარტიების საქმიანობა და მთელი ძალაუფლება სამეფო ვერტიკალს დაუქვემდებარა. ამასთანავე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მხრივ ალექსანდრე I ისევ რეგიონულ მოდელს დაუბრუნდა და იუგოსლავია 11 ბანოვინად დაყო. თითოეული მათგანი მანამდე არსებულ რამდენიმე რაიონს აერთიანებდა, თუმცა, ბანოვინების შექმნა ისე მოხდა, რომ ძველი, ეთნიკურ-რელიგიურ-ლინგვისტურ განსხვავებაზე დაფუძნებული საზღვრები უგულებელყოფილი იყო, რაც მიზნად ისახავდა თვით ამ განსხვავებათა მოშლას და ამ გზით ერთიანი იუგოსლავიური ერის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ბანოვინების სახელწოდებებიც კი ახალი იყო და მათ ტერიტორიაზე გაშავალი ძირითადი მდინარეების სახელწოდებებისგან შეიქმნა (ბოსნია-ჰერცეგოვინის მნიშვნელოვანი ტერიტორია "ვრბასის" ბანოვინაში მოექცა).

2. http://www.hrono.ru/prockty/slavyane/dimich0610.php

1931 — ალექსანდრე I-ის მიერ ოქტროირებულ (ბოძებულ) იქნა იუგოსლავიის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც 1921 წლის კონსტიტუციასთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი მონარქის უფლებები.

1934 — ალექსანდრე I მარსელში მოკლეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად. მკვლელები მაკედონელი ნაციონალისტები იყვნენ, თუმცა რეალურად მათ ხორვატი "უსტაშები" მართავდნენ. "უსტაშების" მოძრაობა ნაციონალისტმა ხორვატმა ანტე პაველიჩმა 1929 წელს ჩამოაყალიბა, მას შემდეგ, რაც 1929 წელს ალექსანდრე I-მა ვიდოვდანის კონსტიტუცია გააუქმა ("უსტაში" ხორვატულ ენაზე "მეამბოხეს" ნიშნავს, "უსტაშების" მთავარი მიზანი იყო არ დაეშვათ იუგოსლავიის სათავეში სერბების დომინირება; ანტე პაველიჩს მუსოლინი მფარველობდა და მეორე მსოფლიო ომის დროს "უსტაშები" ფაშისტებთან ერთად იბრძოდნენ). ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ შინასახელმწიფოებრივი სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად რეგენტთა საბჭომ, პრინც პაველს მეთაურობით და მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ, მილან სტოიადინოვიჩმა თანდათან შეცვალეს ალექსანდრეს კურსი. დაუშვეს ეთნიკური ნიშნის მქონე პოლიტიკური პარტიები, მთავრობაში შეიყვანეს ბოსნიელი მუსლიმების წარმომადგენლები. საშინაო კურსთან ერთად, შეიცვალა ასევე საგარეო ორიენტაციაც — ფაშისტური გერმანიის გააქტიურების ფონზე საფრანგეთთან კავშირი შესუსტდა და იუგოსლავია ცდილობდა გერმანიას, ინგლისსა და სსრკ-ს შორის გარკვეული ბალანსი დაეცვა (მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ბელგრადმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, 1940 წელს კი სსრკ ცნო და კრემლთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, უკანასკნელმა ევროპის ქვეყნებიდან).

1939 — იუგოსლავიის პრემიერსა და ხორვატების პოლიტიკურ ლიდერს შორის გაფორმდა შეთანხმება (ცვეტკოვიჩ-მაჩეკის შეთანხმება), რომლის თანახმად, საავისა და პრიმორსკის ბანოვინათა გაერთიანებით ხორვატიის ავტონომიური ბანოვინა შეიქმნა, რომელსაც ფართო უფლებები გადაეცა. ამ შეთანხმებით სერბებმა და ხორვატებმა, ფაქტობრივად, ერთმანეთში გადაინაწილეს ბოსნია-ჰერცეგოვინის დიდი ნაწილი.

1941 — 25 მარტს გერმანიის მოთხოვნით, იუგოსლავია ბერლინის პაქტს შეუერთდა (ე. წ. "ღერძის ქვეყნების": გერმანიის, იტალიისა და იაპონიის 1940 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებას იმ დროისთვის უკვე მიერთებული იყვნენ უნგრეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და ბულგარეთი). იუგოსლავიამ პაქტს ხელი მოაწერა, ოღონდ: 1) მის ტერიტორიაზე არ უნდა განლაგებულიყვნენ "ღერძის ქვეყნების" ჯარები და აქ

არ მოხდებოდა მათი სამხედრო ტვირთის გადაადგილება, 2) ბელგრადი არ გაუწევდა სამხედრო დახმარებას მეომარ მხარეებს და 3) დაცული იქნებოდა იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა (ამ სამი პირობით ბელგრადი, ფაქტობრივად, ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს).

27 მარტი (1941) — რადიკალურად განწყობილმა სერბმა გენერლებმა სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს, რეგენტ პრინც პავლეს "პროგერმანული" მთავრობა დაამხეს და 17 წლის პეტრე ყარაგეორგიევიჩი მეფედ გამოაცხადეს. ამის შემდეგ 5 აპრილს სასწრაფოდ გაფორმდა მეგობრობის ხელშეკრულება მოსკოვთან.

6 აპრილი — იუგოსლავიაში გერმანიისა და იტალიის ჯარები შეიჭრნენ. მათ წინააღმდეგობას, ძირითადად, მხოლოდ სერბები უწევდნენ, რის გამოც იუგოსლავიის სრული ოკუპაცია და დაშლა 11 დღეში დასრულდა (გერმანიის არმიის დანაკარგი: 150 დაღუპული და 392 დაჭრილი). ღღევანდელი სლოვენიის ტერიტორია იტალიამ შეიერთა, უნგრეთს გადაეცა ბაჩკას რაიონი (ვოევოდინა), ბულგარეთს — ვარდარის მაკედონია და სერბეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ალბანეთს — კოსოვო, დანარჩენ ტერიტორიაზე კი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა: სერბეთი და ხორვატია; ბოსნია-ჰერცეგოვინა ხორვატიას მიაკუთვნეს. ამას მოჰყვა აქ მცხოვრები სერბების შეეიწროება. მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად პროფაშისტური ხორვატიის საკონცენტრაციო ბანაკებში, უპირველესად კი იასენოვაცში, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა; ძირითადად, სერბები, ებრაელები და ბოშები (მათ შორის, 300 ათასზე მეტი სერბი). საპასუხოდ, აქ თანდათან გაძლიერდნენ "ჩეტნიკები" (სერბი ნაციონალისტ-როიალისტების შეიარაღებული ჯგუფები), რომლებსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი დრაგოლუბ მიხაილოვიჩი. "ჩეტნიკები" თავდაპირველად მხოლოდ გერმანელ ოკუპანტებსა და "უსტაშებს" (ხორვატების გასამხედროებულ ფორმირებებს) ებრძოდნენ და ცდილობდნენ კომუნისტებს არ დაპირისპირებოდნენ, თუმცა მალე მათ შორისაც დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები.

1942 — მიხაილოვიჩის მეთაურობით "ჩეტნიკებმა" იუგოსლავიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე დაამყარეს კონტროლი. ემიგრაციაში მყოფმა იუგოსლავიის მთავრობამ მიხაილოვიჩი იუგოსლავიის არმიის სარდლად გამოაცხადა.

1943 — მიხაილოვიჩის განადგურებლად გერმანელთა მიერ ორგანიზებული რამდენიმე მასშტაბური ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა (მისი თავი 100 ათას ოქროს მარკად იყო შეფასებული და იუგოსლავიის ტერიტორიაზე კონტროლის შესანარჩუნებლად 700 ათასი

გერმანელი ჯარისკაცი იყო მობილიზებული).

თებერვალი — ფრანგული წინააღმდეგობის ლიდერმა, შარლ დე გოლმა მიხაილოვიჩი სამხედრო ჯვრით დააჯილდოვა, თუმცა, თანდათანობით, საბჭოთა ჯარების იუგოსლავიასთან მიახლოების პარალელურად, დასავლეთის დახმარება, მიხაილოვიჩის ნაცვლად, ტიტოსკენ ინაცვლებდა.

25 ნოემბერი — დასავლეთ ბოსნიაში დაფუძნდა "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ხალხთა განთავისუფლების ანტიფაშისტური საბჭო," რომელმაც მიიღო ბროზ ტიტოს მიერ წარმოდგენილი ომისშემდგომი იუგოსლავიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გეგმა. ეს პროექტი ითვალისწინებდა 6 რესპუბლიკისგან შემდგარი იუგოსლავიის ფედერაციის ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი ამ რესპუბლიკათაგანი უნდა ყოფილიყო ბოსნია-ჰერცეგოვინა (რის გამოც 1943 წლის 25 ნოემბერი ბოსნია-ჰერცეგოვინის სახელმწიფოებრიობის დღედ ითვლება).

1944 — 1 სექტემბერს მიხაილოვიჩმა საყოველთაო მობილიზაციაც გამოაცხადა, რათა არ დაეშვა კომუნისტების მოსვლა იუგოსლავიის ხელისუფლების სათავეში, თუმცა ოქტომბერში წითელმა არმიამ თითქმის მთლიანად დაიკავა იუგოსლავია და "ჩეტნიკების" გადარჩენილი ნაწილები იძულებული გახდნენ ავსტრიასა და იტალიაში გადასულიყვნენ. მიხაილოვიჩმა არ დატოვა იუგოსლავია და საბოლოოდ იგი კომუნისტებმა შეიპყრეს.

1945 — 7 მარტს ბელგრადში შეიქმნა "დემოკრატიული ფედერაციული იუგოსლავიის" მთავრობა ბროზ ტიტოს მეთაურობით. ტიტოს მთავრობა ცნო მოსკოვმაც, ლონდონმაც და ვაშინგტონმაც. ნოემბერში ჩატარდა დამფუძნებელი სკუპშჩინის არჩევნები. 29 ნოემბერს დამფუძნებელმა სკუპშჩინამ გააუქმა მონარქია და იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკა გამოაცხადა.

1946 — ტიტო (ბროზ ტიტო იოსიპ ბროზის პარტიული ფსევდონიმია, იგი მამით ხორვატი იყო, დედით კი — სლოვენი) ცდილობდა შეექმნა „ბალკანეთის ფედერაცია" იუგოსლავიის 6 რესპუბლიკის, ალბანეთისა და ბულგარეთის შემადგენლობით. თავიდან ამ იდეას ბულგარეთის კომუნისტი ლიდერი გ. დიმიტროვიც მხარს უჭერდა, მაგრამ სსრკ-ის წინააღმდეგობის გამო ეს გეგმა ჩაიშალა. ორი წლის შემდეგ სტალინმა იუგოსლავიის ხელმძღვანელობა მარქსიზმის რევიზიაში, შინაპარტიულ დიქტატსა და ანტისოვეტიზმში დაადანაშაულა. ამის შემდეგ ტიტო მუდამ ინარჩუნებდა დისტანციას საბჭოთა კავშირის მიმართ — ის არ შეუერთდა ვარშავის ხელშეკრულებას (კრემლის მიერ შექმნილ

სამხედრო ბლოკს), არ იყო ეკონომიკური დახმარების საბჭოს წევრი, სამაგიეროდ, მიუმხრობელი ქვეყნების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

10 ივნისიდან 15 ივლისამდე (1946) მიმდინარეობდა გენერალ მიხაილოვიჩის სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედებოდა გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობა, ასევე ნაციონალისტური მოტივაციით ჩადენილი დანაშაულობანი ხორვატი და მაჰმადიანი მოსახლეობის წინაშე. სასამართლომ უარი თქვა მოესმინა იმ ინგლისელი და ამერიკელი მფრინაველების ჩვენებები, რომლებიც ფაშისტებმა იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს და შემდეგ მიხაილოვიჩის ჯარებმა გადაარჩინეს (ამათი რაოდენობა ხუთასს აღწევდა). სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მიხაილოვიჩი 17 ივლისს დახვრიტეს. 1948 წელს ამერიკის პრეზიდენტმა გარი ტრუმენმა მიხაილოვიჩი "ღირსების ლეგიონის" მეღლით დააჯილდოვა და ეს მედალი 2001 წელს გადაეცა გენერლის ქალიშვილს.

31 იანვარი — მიღებულ იქნა იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის თანახმად, ფედერაციის სუბიექტებად გამოცხადდა 6 რესპუბლიკა: ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბია, სლოვენია, ჩერნოგორია და ხორვატია (სერბიის შემადგენლობაში გამოყოფილი იყო ორი ავტონომიური მხარე: კოსოვო-მეტოხია და ვოევოდინა). თითოეულ რესპუბლიკას ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, ასევე ირჩევდა კუპშჩინას (საკანონმდებლო ორგანოს) და ჰყავდა თავისი მთავრობა. ფედერაციის უმაღლესი ორგანო იყო ორპალატიანი ფედერალური კუპშჩინა.[3]

1954 — ცნობილ სერბ და ხორვატ ლინგვისტთა და ლიტერატორთა სამდღიანი თათბირი დასრულდა მათ მიერ "ნოვისადის შეთანხმების" ხელმოწერით, რომელშიც დაფიქსირდა, რომ სერბები, ხორვატები და ჩერნოგორიელები ერთ სახალხო ენაზე ლაპარაკობენ და რომ ორი კულტურული ცენტრის (ბელგრადისა და ზაგრების) გარშემო ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენა, რომლის წარმოთქმის ორი ვარიანტი არსებობს: ეკავური და იეკავური. აღნიშნული სალიტერატურო ენის ოფიციალურ სახელწოდებად დადგინდა "სერბულხორვატული/ხორვატულსერბული". შეთანხმებით განისაზღვრა ასევე კირილიცისა და ლათინური ანბანის თანასწორუფლებიანობა.

1963 — მიღებულ იქნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად დაფიქსირდა, რომ იუგოსლავიის სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველი არის მისი

3 http://www.sovetika.ru/sfrj/konstst.htm

ხალხების "თვითგამორკვევის უფლება, სეცესიის უფლების ჩათვლით".[4]

საყურადღებოა, რომ ახალი კონსტიტუციით, ფედერალურ ხელისუფლებას აღარ ჰქონდა უფლება შეეცვალა შემადგენელი რესპუბლიკების საზღვრები. ამასთანავე, 131-ე მუხლში ჩაიწერა: "ფედერალური კანონები და ფედერალური ორგანოების სხვა საერთო აქტები ქვეყნდება ფედერაციის ოფიციალურ გაზეთში იუგოსლავიის ხალხთა ენებზე: სერბულხორვატულზე/ხორვატულსერბულზე, სლოვენურსა და მაკედონურზე."

1967 — დაიწყო ე.წ. "ხორვატული გაზაფხული" — მოვლენები, რომლებმაც შეაჩერეს სერბულ-ხორვატული ენის ორი ვარიანტის უნიფიკაციის პროცესი. 16 მარტს ხორვატმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია ხორვატული სალიტერატურო ენის შესახებ, რომელშიც მოითხოვდნენ ხორვატული ენის სტატუსის გათანაბრებას სერბულ, სლოვენურსა და მაკედონურთან და მის გამოყენებას ხორვატიის რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ორგანოში. ბელგრადი თავიდან ამ მოთხოვნების წინააღმდეგი იყო, თუმცა, საბოლოოდ, (1974 წლიდან) შუალედური გზა გამოიძებნა: ხორვატიის რესპუბლიკაში ხორვატული გამოიყენებოდა სახელწოდებით "ხორვატული ანუ სერბული," სერბეთში კი ამ ენას ისევ "სერბულხორვატულს" უწოდებდნენ.

1974 — მიღებულ იქნა იუგოსლავიის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ფედერაციის სუბიექტებად 6 თანასწორ რესპუბლიკასთან ერთად აღიარებულ იქნა სერბეთის 2 ავტონომიური მხარე (ვოევოდინა და კოსოვო-მეტოხია); მათი სტატუსი თითქმის გაუთანაბრდა რესპუბლიკების სტატუსს (თუ არ ჩავთვლით, ფედერაციიდან გამოყოფის უფლებას). ავტონომიებმა მიიღეს უფლება ჰქონოდათ თავიანთი კონსტიტუცია და პარლამენტი. ფედერალური სკუპშჩინა ისევ ორპალატიანი გახდა და მას მიენიჭა უფლება განუსაზღვრელი ვადით აერჩია ტიტო ქვეყნის პრეზიდენტად. ამასთანავე, ტიტოს სიკვდილის შემდეგ უმაღლესი ძალაუფლება ფედერაციის პრეზიდიუმს გადაეცემოდა (ამ კოლექტიურ ორგანოს სახელმწიფო მეთაურის ფუნქციები ეკისრებოდა). პრეზიდიუმი შედგებოდა 6 რესპუბლიკისა და 2 ავტონომიური მხარის თითო-თითო წარმომადგენლისგან (მე-9 წევრი იყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელი, თუმცა, 1988 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების შედეგად პრეზიდიუმი რვაწევრიანი გახდა). 4 წლით არჩეული პრეზიდიუმის წევრები რიგრიგობით, 1 წლით თავმჯდომარეობდნენ პრეზიდიუმს.

უნდა ითქვას, რომ მოქნილი ეროვნული პოლიტიკით ტიტომ მოახერხა ეთნიკურ დაპირისპირებათა თავიდან აცილება. 4 მშვიდობიანი

4 www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1963.doc

ათწლეულის განმავლობაში ეთნიკურად შერეული ოჯახების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, თუმცა 80-იანი წლების შუა პერიოდისთვისაც კი იუგოსლავიის იმ მოქალაქეთა რაოდენობამ, რომლებიც თავის თავს ეთნიკურადაც იუგოსლავს (იუგოსლოვენს) უწოდებდა 5 პროცენტს ვერ გადააჭარბა.

1981 — ტიტოს სიკვდილის შემდეგ (გარდაიცვალა 1980 წელს) თანდათან დაიწყო დაძაბულობის ზრდა ეთნიკური დაპირისპირების ნიადაგზე.

11 მარტი — პრიშტინის (კოსოვო) უნივერსიტეტის სტუდენტების აქცია გაიმართა საერთო საცხოვრებელში პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. შემდგომ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე სულ უფრო მეტი ხალხი მონაწილეობდა და უკვე გამოჩნდა ეთნიკურ პრობლემათა აქტუალიზაციისკენ მიმართული ლოზუნგები: "კოსოვო — რესპუბლიკა", "ჩვენ ალბანელები ვართ და არა იუგოსლავები." იმ დროს ვითარების დროებითი ჩაწყნარება მოხერხდა სამხედრო, მათ შორის, სატანკო ნაწილების გამოჩენის შედეგად (80-იან წლებში კოსოვოში ოთხჯერ შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა). ცენტრიდანული ტენდენცია მთელ იუგოსლავიაში სულ უფრო ძლიერდებოდა და ბელგრადში მიიჩნიეს, რომ საუკეთესო გამოსავალი იყო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ ხისტი, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება.

1986 — სერბეთის კომუნისტთა კავშირის (სკკ) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სლობოდან მილოშევიჩი.

1987 — აპრილში კოსოვოს ველზე გამოსვლისას (1389 წლის ცნობილი ბრძოლიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას სერბებისთვის) მილოშევიჩმა ერთგვარი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა, რომ იუგოსლავიის ფედერაციაში სერბთა უფლებები უსამართლოდ ითრგუნებოდა. ამის შემდეგ მილოშევიჩმა ათეულობით ე.წ. "ჯემშარიტების მიტინგი" გამართა იუგოსლავიის სხვადასხვა ქალაქში. მიტინგებს ასეულობით ათასი ადამიანი ესწრებოდა და ხალხს საშუალება ეძლეოდა ღიად ესაუბრა მანამდე ტაბუირებულ ეთნიკურ პრობლემებზე. შედეგად, მილოშევიჩი სერბების ეროვნულ ლიდერად იქცა. ექსპერტთა შეფასებით, კომუნისტი მილოშევიჩის ულტრანაციონალისტად "გარდასახვა" განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მას სურდა ძალაუფლების შენარჩუნება, მაშინ კი ყველაზე მოდური იდეოლოგია სწორედ ნაციონალიზმი იყო და არა უკვე ყაყლაბასული კომუნიზმი, თანაც არა მხოლოდ იუგოსლავიაში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

1988 — დაიწყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის (იკკ) სამხარეო კომიტეტის შემადგენლობის შეცვლა, რამაც ეთნიკური ალბანელების უკმაყოფილება გამოიწვია.

1989 — თებერვალში იკკ-ის ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხეს ეთნიკურად ალბანელი პოპულარული ლიდერი აზემა ვლასი. ვლასის მხარდასაჭერად კოსოვოში დაიწყო მეშახტეთა გაფიცვა, რასაც ქვეყნის მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

23 მარტი — სერბეთის სკუპშჩინამ მიიღო შესწორებები რესპუბლიკის კონსტიტუციაში და ფედერალური დაქვემდებარების კოსოვოს ავტონომიური რეგიონი სერბეთის იურისდიქციაში მოაქცია (კოსოვოს მოსახლეობის 80% ეთნიკურად ალბანელი იყო). ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სახელმწიფო სამსახურში მყოფი დაახლოებით ასი ათასი კოსოველი ალბანელის მიერ თანამდებობის დატოვება (ნებაყოფლობით თუ იძულებით). დაიწყო არეულობები, რასაც ოცზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

28 ივნისს კოსოვოს ველზე ჩატარებულ მიტინგზე მილოშევიჩი კოსოველ სერბებს შეპპირდა, რომ "ვეღარავინ შეძლებდა მათ ცემას."

1990 — იანვრიდან კოსოველ ალბანელთა დემონსტრაციები სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა.

1 თებერვალი — დემონსტრანტებსა და მხარის ტერიტორიაზე შეყვანილ იუგოსლავიის ძალოვან სტრუქტურათა შენაერთებს შორის შეტაკება მოხდა.

აპრილში სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირდაპირი კონტროლი დააწესა კოსოვოს ტერიტორიაზე.

2 ივლისი — სლოვენიამ მიიღო "დეკლარაცია რესპუბლიკა სლოვენიის სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ" და სლოვენიის პოლიციის ნაწილებმა დატოვეს კოსოვო. იმავე დღეს კოსოვოს ავტონომიური მხარის სკუპშჩინამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა "საკონსტიტუციო დეკლარაცია", რომლითაც კოსოვო რესპუბლიკად გამოცხადდა ანუ კოსოვო "გამოეყო" სერბეთს, მაგრამ დარჩა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში.

28 სექტემბერი (1990) — ძალაში შევიდა სერბეთის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ავტონომიების უფლებები მაქსიმალურად შეზღუდული იყო. ამას მოჰყვა სამოქალაქო დაუმორჩილებლობა კოსოვოში, სახელმწიფო სტრუქტურების სრული ბოიკოტირება მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ალბანელების (კოსოვარების) მიერ. პედაგოგებმა უარი თქვეს ახალი პროგრამებით სწავლების

გაგრძელებაზე. საპასუხოდ, ბელგრადმა დაფინანსება შეუწყვიტა ალბანურენოვან სკოლებს, რომლებიც, ფაქტობრივად, არალეგალურად განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. ამ დროიდან მხარის ტერიტორიაზე კოსოვოს სკუპშჩინის მიერ შეიქმნა "პარალელური სამთავრობო სტრუქტურები". მალე მთლიანად კოსოვოს საზოგადოება, ახალჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიების ჩათვლით, ეთნიკური ნიშნით, ორ ნაწილად გაყო. ბელგრადის დანიშნულ არჩევნებს კოსოვოელი ალბანელები უცხადებდნენ ბოიკოტს, ხოლო "კოსოვოს რესპუბლიკის" პარლამენტის მიერ დანიშნულ რეფერენდუმსა და არჩევნებს — კოსოვოელი სერბები (1991 წლის სექტემბერში კოსოვარებმა ჩაატარეს რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო 1992 წელს — საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები).

ნოემბერი — ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვეს ეთნიკური ნიშნით შექმნილმა პარტიებმა; შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდიუმის (სპეციალური ორგანო — სახელმწიფოს კოლექტიური მეთაური) თავმჯდომარე გახდა ბოშნიაკი, პარლამენტის სპიკერი — სერბი, ხოლო პრემიერ-მინისტრი — ხორვატი (იმ დროისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის 43 პროცენტს ბოშნიაკები ანუ მაჰმადიანები შეადგენდნენ, 31%-ს — სერბები და 17%-ს — ხორვატები). აქვე უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის 122 რაიონიდან მხოლოდ 48 რაიონი (და 2 ქალაქი) იყო ისეთი, სადაც ერთ-ერთი ეთნო-რელიგიური ჯგუფი მოსახლეობის 66 პროცენტს აღემატებოდა (20 — "ბოშნიაკური", 20 — "სერბული" და 10 — "ხორვატული").

23 დეკემბერი (1990) — სლოვენიაში გაიმართა დამოუკიდებლობის პლებისციტი, რომელშიც ამომრჩეველთა 93,2%-მა მიიღო მონაწილეობა და მათგან 88,2 პროცენტმა დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. რეფერენდუმის საფუძველზე, 26 დეკემბერს სლოვენიის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც ძალაში შევიდოდა 6 თვის შემდეგ, თუ ფედერაციის სუბიექტთა შორის უთანხმოებები არ მოგვარდებოდა.

1991 — 25 მარტს, სერბეთის ქალაქ ყარაჯორჯეოში გაიმართა სერბეთისა და ხორვატიის პრეზიდენტთა შეხვედრა. მილოშევიჩისა და ტუჯმანის მოლაპარაკების საგანი იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიის გაყოფა-გადანაწილება ერთმანეთს შორის ისე, რომ ბოსნიელმა მუსლიმანებმა, ამ ტერიტორიის მოსახლეობის უმრავლესობამ, არაფერი იცოდა ამის შესახებ. მოგეიანებით, ტუჯმანი ასეთ გადაწყვეტილებას ისტორიული სამართლიანობით ხსნიდა და აღნიშნავდა, რომ მაჰმადი-

ანური ბოსნია ოსმალეთის ბატონობის შედეგი იყო, მანამდე კი ბოსნია ხორვატიის ნაწილი იყო. ანალოგიური პოზიცია ჰქონდათ სერბებსაც, ისინიც ამტკიცებდნენ, რომ ისტორიულად ბოსნიელები იგივე სერბები/ხორვატები არიან და ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობამდე ისინიც ქრისტიანები იყვნენ.

17 მარტი — სერბეთის ხელისუფლებამ შეაჩერა კოსოვოს კონსტიტუციის მოქმედება და მხარის ტერიტორიაზე პირდაპირი მმართველობა შემოიღო.

15 მაისს (1991) იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სკუპ-შჩინის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, კონსტიტუციის თანახმად, ერთწლიანი ვადით, ხორვატიის პრეზიდენტი ს. მესიჩი უნდა აერჩიათ, თუმცა, სერბეთისა და ჩერნოგორიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ჩაშალეს პროცედურა (მესიჩის უფლებამოსილება მხოლოდ 1 იელისს იქნა აღიარებული).

19 მაისი (1991) — ხორვატიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ამომრჩეველთა 93,94 პროცენტმა ხმა მისცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

25 ივნისი (1991) — სლოვენიისა და ხორვატიის პარლამენტთა გადაწყვეტილებით, ორივე რესპუბლიკამ ოფიციალურად გამოაცხადა ფედერაციიდან გასვლის შესახებ.

27 ივნისი — იუგოსლავიის (ძირითადად, სერბეთის) ჯარები სლოვენიაში შევიდნენ და დაიწყო ათდღიანი ომი, რომლის დასრულების შემდეგ იუგოსლავიის ჯარებმა დატოვეს სლოვენიის ტერიტორია.

7 იელისი (1991) — ხორვატიის კუნძულ ბრიონზე, ევროკავშირის შუამდგომლობით, სლოვენიის, ხორვატიისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ, ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შეწყდა სლოვენიის ომი, ამასთანავე, ხორვატია და სლოვენია დათანხმდნენ სამთვიან მორატორიუმზე 25 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით (თუმცა, სერბეთ-ხორვატიას შორის დაწყებული საომარი მოქმედებების შემდეგ, სამთვიანი ვადის გასვლისთანავე, 8 ოქტომბერს ორივე ქვეყნის პარლამენტმა გააუქმა იუგოსლავიასთან დამაკავშირებელი ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ხელშეკრულება).

19 იელისი — დაიწყო სერბების გასამხედროებული ჯგუფების შეტევა ხორვატიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქ ვუკოვარზე და 4 თვეში დაიკავეს კიდეც იგი.

8 სექტემბერი (1991) — მაკედონიაში გაიმართა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელზეც ამომრჩეველთა 95,26-მა პროცენტმა რე-

სპუბლიკის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი (მაკედონიამ დამოუკიდებლობა იმავე წლის 21 ნოემბერს გამოაცხადა).

25 სექტემბერი (1991) — გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციით (S/RES/713) სამხედრო ემბარგო დააწესა იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკის მიმართ (ამით ყველაზე მეტად ბოსნია დაზარალდა, რადგან სერბებსა და ხორვატებს ბევრად უკეთესი აღჭურვილობა ჰქონდათ).

ოქტომბრის დასაწყისი — იუგოსლავიის (სერბეთის) ავიაციის მიერ დუბროვნიკისა და ხორვატიის დედაქალაქ ზაგრების დაბომბვისას საპაერო დარტყმა საპრეზიდენტო სასახლეზეც განხორციელდა.

18 ნოემბერი (1991) — ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხრეთ ნაწილში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ხორვატები შეადგენდნენ, შეიქმნა თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ("ხორვატთა რესპუბლიკა ჰერცეგ-ბოსნია"), რომელმაც 1994 წლამდე იარსება. ამ რესპუბლიკის დაარსების მიზანი იყო ბოსნია-ჰერცეგოვინისგან გამოყოფა და შემდეგ ხორვატიასთან გაერთიანება. ხორვატი უმრავლესობის მიერ ამ ტერიტორიის "ხორვატიზაციას" (კათოლიციზმის გაძლიერების ჩათვლით), ბუნებრივია, უმცირესობაში მყოფი მართლმადიდებელი სერბები და მუსლიმანები ეწინააღმდეგებოდნენ, რაც საბოლოოდ საომარ შეტაკებებში გადაიზარდა.

27 ნოემბერი (1991) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES/721) იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისა და გაეროს დამკვირვებელთა განლაგების შესახებ.

ნოემბერ-დეკემბერი — კრაინელმა სერბებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ხორვატიის ტერიტორიის თითქმის 30% (1991 წლისთვის 581,6 ათასამდე სერბი ხორვატიის მოსახლეობის 12,2 პროცენტს შეადგენდა და მე-16 საუკუნიდან ხორვატიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კრაინას რეგიონის უმრავლესობას ქმნიდა). იუგოსლავიის არმიის დახმარებით, 1991 წლის ბოლოსთვის მათ რეგიონის ტერიტორიიდან, ფაქტობრივად, მთლიანად განდევნეს ხორვატები (1992 წლის იანვარში გაეროს სამშვიდობო ჯარების განლაგებით, ხორვატიაში სწორედ ეს სტატუს კვო დაფიქსირდა, რომელიც 1995 წლამდე, პრაქტიკულად, არ შეცვლილა).

1992 — 9 იანვარი — დაფუძნდა თვითგამოცხადებული "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სერბული რესპუბლიკა," რომელსაც აგვისტოში "რესპუბლიკა სრპსკა" ეწოდა.

21 თებერვალი — გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით (S/RES/743), ხორვატიაში დაფუძნდა გაეროს სამშვიდობო მისია — "გაეროს

დაცვითი ძალები" (UNPROFOR), რომლის სადამკვირვებლო-ჰუმანიტარულ მანდატში სამხედრო ელემენტი მეტისმეტად შეზღუდული იყო.

29 თებერვალი-1 მარტი (1992) — ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ჩერნოგორიაში გაიმართა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი. ბოსნიაში ის "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სოციალისტური რესპუბლიკის" პარლამენტის მიერ იყო დანიშნული. ამ პარლამენტის ლეგიტიმურობას, ერთიანი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციის საფუძველზე, ცნობდა საერთაშორისო საზოგადოება, შესაბამისად, ლეგიტიმურად ჩაითვალა რეფერენდუმიც, თუმცა, რეფერენდუმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სერბმა დეპუტატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს პარლამენტის სხდომა და სერბ მოსახლეობას ბოიკოტისკენ მოუწოდეს. რეფერენდუმზე მისულ ამომრჩეველთა 63,4 პროცენტიდან დამოუკიდებლობას ხმა მისცა 99,7-მა პროცენტმა.

ჩერნოგორიაში გამართულ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს იქ მცხოვრებმა უმცირესობებმა: ალბანელებმა, მუსლიმებმა და კათოლიკეებმა. მათი ბოიკოტის მიუხედავად, რეფერენდუმზე მოვიდა ამომრჩეველთა 66%, აქედან 95,9% სერბეთთან ერთად იუგოსლავიის ფედერაციაში დარჩენის მომხრე აღმოჩნდა.

5 მარტი (1992) — რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, პარლამენტმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

18 მარტი (1992) — ბოსნია-ჰერცეგოვინის სამივე ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელმა (ალია იზეთბეგოვიჩმა, რადოვან კარაჯიჩმა და მათე ბობანმა) ხელი მოაწერა კარინგტონ-კუტილეიროს გეგმას. ლორდ კარინგტონისა და პორტუგალიელი ელჩის კუტილეიროს გეგმა შეიქუშავებულ იქნა ლისაბონში გამართული კონფერენციის შედეგად (კონფერენცია ევროკავშირის ეგიდით ჩატარდა 1991 წლის სექტემბერში და მიზნად ისახავდა სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას). გეგმა ითვალისწინებდა ძალაუფლების გაზიარება-გადანაწილებას ძირითად სამ ეთნო-რელიგიურ ჯგუფს შორის ყველა ადმინისტრაციულ დონეზე და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ეთნიკური თემებისთვის ფართო უფლებამოსილების დეეოლუციას (გადაცემას), თუმცა 10 დღის შემდეგ ეს შეთანხმება ჩაიშალა.

27 მარტი (1992) — ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბულმა რესპუბლიკამ თავისი კონსტიტუცია მიიღო და ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბებით დასახლებული ტერიტორია იუგოსლავიის ნაწილად გამოაცხადა (ამ მოშენტისთვის იუგოსლავია აერთიანებდა მხოლოდ სერბეთ-ჩერნოგორიას).

2010 წლის 1 მარტს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე გამოსვლისას, ბოსნიის სერბული რესპუბლიკის ყოფილმა ლიდერმა, გენოციდსა და სხვა უმძიმეს დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულმა რადოვან კარაჯიჩმა, ბოსნიის ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას აღნიშნა: "სერბებს სურდათ ეცხოვრათ მუსლიმებთან ერთად, მაგრამ არასოდეს დათანხმდებიან იცხოვრონ მუსლიმთა ბატონობის ქვეშ".[5]

ბოსნია-ჰერცეგოვინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბოსნიელი სერბები აღარ ცნობდნენ და არ სურდათ დამორჩილებოდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც დატოვეს სერბების წარმომადგენლებმა. ბოსნიელ სერბთა მოთხოვნა იყო მათი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გაერთიანება იუგოსლავიის (იმ დროისთვის სერბეთ-ჩერნოგორიის) ფედერაციაში. ბოსნიის სერბული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მაჰმადიანები და ხორვატები კი, პირიქით, ბოსნიის სერბულ რესპუბლიკას არ ცნობდნენ და მისდამი დამორჩილება არ სურდათ. ეს ურთიერთდაპირისპირება, საბოლოოდ, მასშტაბურ სამოქალაქო ომსა და სისხლისღვრაში გადაიზარდა.

28 მარტი — ბოშნიაკების ლიდერმა ალია იზეთბეგოვიჩმა უკან გამოითხოვა თავისი ხელმოწერა კარინგტონ-კუტილეიროს გეგმაზე და განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ბოსნია-ჰერცეგოვინის ეთნიკური დაყოფისა (სერბული წყაროები ამტკიცებენ, რომ იზეთბეგოვიჩმა ეს ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, რაც იმ დღეს ის სარაევოში შეხვდა აშშ-ის მაშინდელ ელჩს იუგოსლავიაში უორენ სიმერმანს).

5 აპრილი — ბოსნიელი სერბებისა და იუგოსლავიის სამხედრო შენაერთებმა დაიწყეს სარაევოს ბლოკადა, რომელიც 1996 წლამდე, თითქმის 4 წელიწადი გაგრძელდა.

6 აპრილი (1992) — სარაევოში ბოშნიაკების მშვიდობიანი დემონსტრაციის მიმართ რამდენჯერმე გაისროლეს, რასაც ორი ახალგაზრდა ქალბატონის დაღუპვა მოჰყვა. სწორედ ისინი ითვლებიან ალყის პირველ მსხვერპლად და ბოშნიაკების ინტერპრეტაციით, არსებითად, სწორედ 6 აპრილიდან დაიწყო ომი ბოსნიაში (სერბების ინტერპრეტაციით, ბოსნიის სამოქალაქო ომი 1 მარტს, სარაევოში, ქორწილის დროს სერბი პატარძლის მამის მკვლელობით დაიწყო). ალყაშემორტყმული სარაევოს დაბომბვებს, საბოლოოდ, 10 ათასამდე ადამიანი შეეწირა, აქედან 1 500 ბავშვი, 56 ათასი დაიჭრა, მათ შორის, 14 ათასზე მეტი ბავშვი და ალყის შემდეგ ქალაქში ომამდელი მოსახლეობის მხოლოდ 64% დარჩა, დაახლოებით, 335 ათასი ადამიანი.

იმავე დღეს ევროკავშირმა ცნო ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდე-

5. http://www.rusk.ru/news_rl/2010/03/02/radovan_karadzhich_serby_borolis_za_spravedlivoe_i_svyatoe_delo

ბლობა (მეორე დღეს იგივე გააკეთა აშშ-მა).

8 აპრილი — იუგოსლავიის ავიაციამ დაიწყო ბოსნიის საკვანძო ობიექტების დაბომბვა.

27 აპრილს — ოფიციალურად გაფორმდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა სერბეთ-მონტენეგროს შემადგენლობით.

11 მაისი — პროტესტის ნიშნად ევროკავშირმა გაიწვია თავისი ელჩი ბელგრადიდან, რადგან სერბები სულ უფრო აძლიერებდნენ სარაევოს ალყას.

12 მაისი (1992) — დასრულდა იუგოსლავიის (სერბია-ჩერნოგორიის) ჯარების გაყვანა ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, თუმცა, ბოსნიის ძირითადი სამხედრო ინფრასტრუქტურა სერბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მისი შეიარაღების უდიდესი ნაწილიც ბოსნიელ სერბებს დარჩათ. აქედან გამომდინარე, ომის დასაწყისში მათ არ გასჭირვებიათ ბოსნია-ჰერცეგოვინის 65%-ზე მეტი ტერიტორიის დაკავება.

8 ივნისი — უშიშროების საბჭოს 758-ე რეზოლუციით, ხორვატიაში დაფუძნებული გაეროს დაცვითი მისიის (UNPROFOR) მანდატი სარაევოს აეროპორტზეც გავრცელდა.

20 ივნისი — ბოსნია-ჰერცეგოვინის მთავრობამ საომარი მდგომარეობა და საერთო მობილიზაცია გამოაცხადა.

3 ივლისი — საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად ისევ გაიხსნა სარაევოს აეროპორტი, რომლითაც ალყაშემორტყმულ ქალაქს მიეწოდებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება.

6 ოქტომბერი (1992) — უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ბოსნიაში მიმდინარე ომის დროს მომხდარ სამხედრო დანაშაულთა შესწავლის მიზნით ექსპერტთა კომისიის შექმნას (S/RES/780).

9 ოქტომბერი — უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES/781), რომლის თანახმად, რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცე სამხედრო ავიაციისთვის აკრძალულ ზონად გამოცხადდა. ამ რეზოლუციის საფუძველზე, გაეროს ეგიდით, 16 ოქტომბრიდან ნატომ დაიწყო ბოსნიის საჰაერო სივრცის მონიტორინგი.

18 დეკემბერი (1992) — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (A/RES/47/121), რომელშიც აღნიშნულია, რომ გაერო:

"1. მხარს უჭერს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს სამართლიან ბრძოლაში თავისი სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად.

2. გმობს სერბეთის, ჩერნოგორიისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვი-

ნის სერბული ძალების ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და არღვევს გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს არსებულ რეზოლუციებს".

3. მოითხოვს, რათა სერბიამ და ჩერნოგორიამ, ასევე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის სერბულმა ძალებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ თავიანთი აგრესიული და მტრული მოქმედებები და სრულად, უსიტყვოდ შეასრულონ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, სახელდობრ, რეზოლუციები: 752 (1992, 15.05.), 757 (1992, 30.05.), 770, 771 (1992, 13.08.), 781 (1992, 09.10), 787 (16.11.), გენერალური ასამბლეის რეზოლუციები 46/242 და ლონდონის საშეიდობო შეთანხმება, აგვისტო 1992წ.

6. მხარს უჭერს უშიშროების საბჭომ განიხილოს საკითხი, რათა დაუყოვნებლივ შესრულდეს საბჭოს 781-ე (1992) რეზოლუცია, რომელიც კრძალავს სამხედრო ავიაციის გამოყენებას რესპუბლიკა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში."

18 დეკემბრის რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა "დაბეჯითებით მოუწოდებს" უშიშროების საბჭოს, ძალისხმევა არ დაიშუროს სერბების მიერ გაეროს შესაბამისი რეზოლუციების შესასრულებლად და აწესებს კონკრეტულ ვადას — 1993 წლის 15 იანვარს, რათა საბჭომ ამ დრომდე სასწრაფოდ განიხილოს, უპირველესად, ორი საკითხი:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სერბული და ჩერნოგორული ძალები სრულად არ შეასრულებენ უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს, გაეროს წესდების VII თავიდან გამომდინარე, უფლებამოსილება მიანიჭოს წევრ-სახელმწიფოებს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობასთან თანამშრომლობით, გამოიყენონ ყველა აუცილებელი საშუალება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად;

ბ) რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა გათავისუფლდეს სამხედრო ემბარგოსგან, რომელიც უშიშროების საბჭოს 713-ე (1991) რეზოლუციის თანახმად, მოქმედებს ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკათა მიმართ."

18 დეკემბრის (1992) რეზოლუციის მე-10 პუნქტში კი გენერალური ასამბლეა ისევ "დაბეჯითებით მოუწოდებს უშიშროების საბჭოს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით, განიხილოს საკითხი

სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნების შესახებ."

1993 — იანვარში გაეროს გენერალური მდივნისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა, საირუს ვენსმა და დევიდ ოუენმა, დაიწყეს მოლაპარაკების პროცესი დაპირისპირებულ მხარეებთან და მათ წარუდგინეს კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელიც ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმის სახელით არის ცნობილი. ეს პროექტი ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინის დაყოფას 10 ნახევრად დამოუკიდებელ, შვეიცარული კანტონების მსგავს რეგიონად. კანტონების სისტემა შემოთავაზებული იყო, რათა თავიდან აეცილებინათ რომელიმე ეთნიკური ჯგუფის დომინირება (აღსანიშნავია, რომ ვენს-ოუენმა, საბოლოოდ, შეძლეს მილოშევიჩისა და კარაჯიჩის დათანხმება ამ გეგმაზე, თუმცა, მაისში ბოსნიელმა სერბებმა უარყვეს იგი და კონფლიქტის მოგვარების ეს შანსი დაიკარგა).

22 თებერვალი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES/808 (1993)) ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარ სამხედრო დანაშაულთა გამოსაძიებლად საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ.

31 მარტი (1993) — მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს 816-ე რეზოლუცია, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ-სახელმწიფოებს ეროვნულ ან ზეეროვნულ, "რეგიონული ორგანიზაციის" დონეზე, გაეროს გენმდივანსა და "დაცვით ძალებთან" (UNPROFOR) მჭიდრო კოორდინაციის პირობებში, გამოიყენოს "ყველა აუცილებელი საშუალება ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში", რათა შესრულდეს გაეროს გადაწყვეტილება ამ ზონაში სამხედრო ფრენის აკრძალვის შესახებ. სწორედ ასეთი რეგიონული ორგანიზაცია იყო ნატო, რომელმაც, რეზოლუციის შესაბამისად, 12 აპრილს სამხედრო ავიაციის გამოყენებით, დაიწყო ოპერაციის ("ფრენის აკრძალვა") განხორციელება.

16 აპრილი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 819-ე რეზოლუცია, რომლის თანახმად, აღმოსავლეთ ბოსნიის მაჰმადიანური ანკლავი სრებრენიცა და მისი შემოგარენი, გაეროს "უსაფრთხო ზონად" გამოცხადდა. რეზოლუციაში რამდენჯერმე არის ხაზგასმული და დაგმობილი "ეთნიკური წმენდის" გავრცელებული პრაქტიკა ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე. იქვე დაკონკრეტებულია, რომ გაეროს "უსაფრთხო ზონა", როგორც მოსახლეობის უსაფრთხო თავშესაფარი, "თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სამხედრო შეტევისა და საბრძოლო ქმედებისგან".

5 მაისი (1993) — მილოშევიჩისა და კარაჯიჩის თანხმობის მიუხედავად, ბოსნია-ჰერცეგოვინის თვითგამოცხადებული სერბული რესპუბლიკის (რესპუბლიკა სრპსკა) პარლამენტმა უარყო ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმა, რომელიც სერბებისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43 პროცენტს "დაკანონებას" ითვალისწინებდა (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იმ პერიოდში სერბები ბოსნიის 65 პროცენტს აკონტროლებდნენ). მართალია, ვენს-ოუენის პროექტიც გულისხმობდა ყოფილი იუგოსლავიის სხვადასხვა დასახლებული პუნქტიდან, ეთნიკური ნიშნით, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების "გაცვლას" ანუ გადასახლება-გაღმოსახლებას, მაგრამ ასეთი გადაადგილების მასშტაბი მეტ-ნაკლებად ზომიერ ჩარჩოებში თავსდებოდა და ეს იყო უკანასკნელი დოკუმენტი, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ეთნიკურად დაბალანსებული, "შერეული" რეგიონების შენარჩუნებას ითვალისწინებდა (ომის შედეგად შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, 1995 წლიდან ღირებულ, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში რაოდენობრივად დომინანტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი, რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 70 პროცენტია).

9 მაისი (1993) — ხორვატებმა დაიწყეს ჰერცეგოვინის (ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის) ისტორიულ ქალაქ მოსტარის დაბომბვა მძიმე არტილერიის გამოყენებით. იმ დროისთვის მათ უკვე ალყაში ჰქონდათ მოქცეული რეგიონის ეს ცენტრალური ქალაქი, რომლის დასავლეთ ნაწილში ხორვატები დომინირებდნენ, ხოლო აღმოსავლეთში — მაჰმადიანები. მოსტარის ალყა თითქმის 9 თვე გაგრძელდა და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით შეწყდა. ხორვატების რამდენიმე სამხედრო მეთაური, ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე იმ პერიოდში მაჰმადიანთა მიმართ ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა (მათ შორის, ეთნოწმენდის) გამო, საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგა და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა.

6 მაისი — გაეროს უშიშროების საბჭოს 824-ე რეზოლუციით, სრებრენიცას მსგავსად, გაეროს "უსაფრთხო ზონის" სტატუსი მიენიჭათ სარაევოს, ტუზლას, გორაჟდეს და ბიჰაჩს. იმ დროისთვის, სქემატურად რომ ვთქვათ, მუსლიმები აკონტროლებდნენ ზენიცა-ტუზლა-სარაევოს სამკუთხედს ცენტრალურ ბოსნიაში, ანკლავ ბიჰაჩს — დასავლეთ ნაწილში და სამ "ქალაქ-კუნძულს" (გორაჟდე, სრებრენიცა, ჟეპა-პლანინა) — აღმოსავლეთ ბოსნიაში.

4 ივნისი (1993) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 836-ე რეზო-

ლუცია და მნიშვნელოვნად გააფართოვა "გაეროს დაცვითი ძალების" (UNPROFOR) მანდატის სამხედრო ელემენტი. გაეროს ძალებს უფლება მიენიჭათ გაეროს "უსაფრთხო ზონების" დასაცავად გამოეყენებინათ "ყველა აუცილებელი საშუალება, მათ შორის, საავიაციო დარტყმები".

10 ივნისი — გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი მორიგი რეზოლუციით (შ/რეშ/838) ითხოვა წყერ-სახელმწიფოებს აუცილებელი "ახლო საჰაერო მხარდაჭერა" აღმოეჩინათ "გაეროს დაცვითი ძალებისთვის". სამხედრო ტერმინი "ახლო საჰაერო მხარდაჭერა" გულისხმობს ავიაციის გამოყენებას სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ. მანამდე, გაეროს მანდატით, რომლის თანახმადაც ნატო ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეს აკონტროლებდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავიაციას უფლება ჰქონდა მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ობიექტზე მიეტანა იერიში.

ივლის-აგვისტო (1993) — დევიდ ოუენმა და თორვალდ სტოლტენბერგმა (გაეროს გენმდივნის ახალდანიშნულმა სპეციალურმა წარმომადგენელმა) კონფლიქტის მხარეებს გააცნეს ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინის დაყოფას ეთნიკური ნიშნით, ფაქტობრივად, სამ მინისახელმწიფოდ. ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, ბოსნიელი სერბები მიიღებდნენ რესპუბლიკის მთლიანი ტერიტორიის 52%-ს, მუსლიმები — 30%-ს, ხოლო ხორვატები — 18%-ს. 29 აგვისტოს ბოშნიაკებმა საბოლოოდ უარყვეს ოუენ-სტოლტენბერგის გეგმა.

1993 წლის განმავლობაში ვითარება ბოსნია-ჰერცეგოვინაში ძალზე გართულდა. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში დაპირისპირებული და მოკავშირე ძალების სხვადასხვანაირი კომბინაცია ყალიბდებოდა, რომელიც დროდადრო ისევ იცვლებოდა. მაგალითად, რესპუბლიკის სამხრეთით (ჰერცეგოვინაში) მუსლიმები და ხორვატები ერთად ებრძოდნენ სერბებს. ცენტრალურ ბოსნიაში სერბებისა და ხორვატების ალიანსი უპირისპირდებოდა მაჰმადიანებს, აღმოსავლეთ რაიონებში კი სერბები, ფაქტობრივად, სრული განადგურებით ემუქრებოდნენ იქაურ ბოშნიაკებს, რომლებიც ეთნოწმენდის შედეგად, ძირითადად, სრებრენიცა-ჟეპა- გორაჟდეს "უსაფრთხო ზონებში" აღმოჩნდნენ გამომწყვდეულები (ბოსნიელი მაჰმადიანების გაწყვეტა-გაქრობას მაშინ არაერთხელ ახსენებდა ბოსნიელი სერბების ლიდერი რადოვან კარაჯიჩი).[6]

1994 — პუმანიტარული კატასტროფის შესაჩერებლად, საფრანგეთმა, რომელსაც გაეროს ეგიდით ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ჰყავდა ბოსნიაში, ნატოს მოუწოდა საჰაერო დარტყმების გამოყენებისკენ. ნატო ჯერ კიდევ 1992 წლიდან მონაწილეობდა გაეროს სამშვიდობო მის-

6. http://www.helsinki.org.yu/hcharter_t16a02.html

იებში, თუმცა, მისი როლი თანდათან გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც გაეროს სამშვიდობო ძალების მანდატი გაფართოვდა. გაეროს უშიშროების საბჭო შესაბამისი რეზოლუციებით მოუწოდებდა წევრ-სახელმწიფოებს, როგორც ეროვნულ, ასევე "რეგიონული ორგანიზაციის" დონეზე, აქტიურად ეთანამშრომლათ "გაეროს დაცვით ძალებთან" (UNPROFOR). გაეროს წევრი დასავლეთის ქვეყნები სწორედ "რეგიონული ორგანიზაციის" — ნატოს დონეზე ჩაებნენ გაეროს ოპერაციებში; სწორედ ამ გზით დაეკისრა ნატოს ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცის კონტროლი, მოგვიანებით კი "უსაფრთხო ზონების" დაცვა.

4 თებერვალი (1994) — ბოსნიელი სერბების მიერ ალყაშემორტყმული სარაევოს საარტილერიო დაბომბვის დროს ყუმბარა ბაზრის ტერიტორიაზე აფეთქდა, რის შედეგადაც 67 ადამიანი დაიღუპა და 200-მდე დაიჭრა.

9 თებერვალი — ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (ნატოს უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის მძიმე შეიარაღება, რომელიც არ იქნებოდა გატანილი სარაევოს გარშემო 20 კმ.-იანი ზონიდან, ნატოს საჰაერო დარტყმების ობიექტი გახდებოდა.

28 თებერვალი — ნატოს ავიაციამ ჩამოაგდო 4 სერბული სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც ბოსნიის აკრძალულ სივრცეში იმყოფებოდნენ.

18 მარტი (1994) — ბოსნია-ჰერცეგოვინის რესპუბლიკის მთავრობასა (საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ ტერიტორიაზე აღიარებულ ერთადერთ ხელისუფლებასა) და ბოსნია-ჰერცეგოვინის თვითგამოცხადებულ "ხორვატულ რესპუბლიკა ჰერცეგ-ბოსნიას" შორის, ვაშინგტონში, პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით, დაიდო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერა ასევე ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ხელშეკრულების თანახმად, ბოსნია-ჰერცეგოვინის ის ტერიტორია, რომელსაც ბოსნიელი ხორვატები და მუსლიმანები აკონტროლებდნენ, დაიყო 10 ავტონომიურ კანტონად და ამგვარად დაფუძნდა "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია".

11 აპრილი (1994) — ნატოს ორმა თვითმფრინავმა დაბომბა ბოსნიელ სერბთა სამხედრო შენაერთები, რომლებიც გორაჟდეში შეჭრას ცდილობდნენ. ეს ქალაქი ბოსნიის აღმოსავლეთ ნაწილში, სერბეთის საზღვართან მდებარეობს და აქ მოწყობილ "გაეროს უსაფრთხო ზონაში" 65 ათასამდე მაჰმადიანი ბოსნიელი აფარებდა თავს. ნატოს ისტორიაში ალიანსმა პირველად განახორციელა დაბომბვითი ოპერაცია და ბოსნიელი სერბების სახმელეთო ჯარი პირველად აღმოჩნდა საჰაერო დარტყმების ობიექტი. ნატოს საჰაერო შეტევის კომენტირებისას აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განმარტა: "ეს არის მკა-

ყიო სიგნალი სერბებისთვის, რომ გორაჟდედან უკან უნდა დაიხიონ და განაახლონ მოლაპარაკებები".[7]

26 აპრილი — სერბთა შენაერთები დათანხმდნენ ნატოს ულტიმატუმს და დაიწყეს გორაჟდეს მისადგომებიდან მძიმე ტექნიკის გაყვანა, რის შემდეგაც აქ გაეროს დამატებითი სამშვიდობო ძალები განლაგდნენ.

ოქტომბერი — წარმოდგენილ იქნა ბოსნიის კონფლიქტის მოგვარების ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც საკონტაქტო ჯგუფის (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია) მიერ იყო შემუშავებული.

ნოემბერი (1994) — ძალზე დაიძაბა ვითარება ბიჰაჩის მუსლიმანურ ანკლავში, სადაც მაჰმადიანთა ნაწილი, ფიქრეტ აბდიჩის მეთაურობით, სერბებს ემხრობოდა და მათთან ერთად დაუპირისპირდა სარაევოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ბოსნიის არმიის მე-5 კორპუსს. ბიჰაჩის ანკლავი უშუალოდ ესაზღვრება ხორვატიას, უფრო ზუსტად, ხორვატიის რეგიონ კრაინას, სადაც, უპირატესად, სერბები ცხოვრობდნენ და მაშინ არსებობდა "ხორვატიის სერბული რესპუბლიკა კრაინა". აქ იყო უბდინის აეროპორტი, რომელსაც სერბული სამხედრო თვითმფრინავები აქტიურად იყენებდნენ ბიჰაჩზე იერიშისთვის. ბოსნიელი სერბებისა და კრაინის სერბული ჯარების ორმხრივი გაერთიანებული შეტევა რეალურ საფრთხეს უქმნიდა ბიჰაჩს, რომელიც გაეროს მიერ "უსაფრთხო ზონად" იყო გამოცხადებული.

19 ნოემბერი (1994) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES/958), რომლის თანახმად, გაეროს ეგიდით მოქმედ ძალებს (მათ შორის, "რეგიონულ ორგანიზაციას" ანუ ნატოს) უფლება მიენიჭათ საჰაერო დარტყმები განეხორციელებინათ ხორვატიის ტერიტორიაზეც.

21 ნოემბერი — ნატოს 50-მდე თვითმფრინავმა განახორციელა ძლიერი შეტევა უბდინის აეროპორტზე. სანქცია გასცა "გაეროს დამცავი ძალების" ხელმძღვანელობამ, რათა ამ გზით შეეჩერებინათ სერბების შეტევა ბიჰაჩის მიმართულებით.

27 ნოემბერი — ნატოს ავიაციის მხარდაჭერა არასაკმარისი აღმოჩნდა და სერბებმა ბიჰაჩის ძირითადი ნაწილი აიღეს.

7 დეკემბერი — ბიჰაჩის "უსაფრთხოების ზონაში" განლაგებული გაეროს 1 200-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის ნახევარი, სერბული ბლოკადით გამოწვეული საკვებისა და საწვავის ნაკლებობის გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი.

25 დეკემბერი (1994) — ბოსნიელი სერბების "რესპუბლიკა სრპსკასა" და ხორვატიის "სერბულ რესპუბლიკა კრაინას" შორის გაფორმდა სამხედრო კავშირი. ამ ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის

7. http://www.nytimes.com/1994/04/11/world/conflict-balkans-nato

ფაქტობრივი გაერთიანებით სერბებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს. ბიჰაჩის დაკარგების შემდეგ, ბოსნიელი სერბების მთავარი სამიზნე გახდა ბოსნია-ჰერცეგოვინის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამი "მაჰმადიანური კუნძულის": სრებრენიცას, ჟეპასა და გორაჟდეს დაკარგება.

1995 — იანვარში ხორვატიის მთავრობამ თხოვნით მიმართა გაეროს, რათა ამ უკანასკნელს გაეუქმებინა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1992 წლიდან მოქმედი მისია და 31 მარტამდე გაეყვანა სამშვიდობოები (ხორვატები სერბთა მიერ ბიჰაჩის "უსაფრთხო ზონის" დაკარგებას გაეროს უნაყოფობით ხსნიდნენ). აქტიური საომარი მოქმედებები დროებით შეწყდა.

13 თებერვალს გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ 21 ბოსნიელ სერბ სამხედრო მეთაურს ბრალი დასდო გენოციდის — კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საერთაშორისო სასამართლომ ბოსნიელი სერბები ოფიციალურად დაადანაშაულა გენოციდში.

1 მაისი — ოთხთვიანი ხაფი საბოლოოდ დაიხურა, როცა ხორვატიის ჯარებმა სერბულ "რესპუბლიკა კრაინას" აქტიურად შეუტიეს. ამ ქვეყანამ 1991 წლის შემდეგ მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა ახალ შეიარაღებაზე და 1995 წლისთვის უკვე მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლისთვის. მაისის ბოლოს ხორვატები უკვე კრაინას მოხრდილ ნაწილს (320 კმ2) აკონტროლებდნენ, ანუ, ფაქტობრივად, დაიბრუნეს ის ტერიტორია, რომელიც 1991 წელს კრაინელმა სერბებმა წაართვეს.

25 მაისი — ნატოს ავიაციამ დაიწყო შეტევა სარაევოს გარშემო განლაგებულ სერბთა პოზიციებზე, რათა შეეჩერებინა ქალაქის დაბომბვა მათ მიერ.

26 მაისი — გორაჟდეს მახლობლად ბოსნიელმა სერბებმა მძევლად აიყვანეს გაეროს სამშვიდობოები (33 ბრიტანელი ჯარისკაცი).

31 მაისი — სერბებმა ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს გორაჟდეზე და 350 ბრიტანელი და 100 უკრაინელი მშვიდობისმყოფელი აიძულეს დაეტოვებინათ ქალაქი.

ივლისი — გაეროს ერთ-ერთ "უსაფრთხო ზონაში" — სრებრენიცაში მომხდარ მოვლენებს "სრებრენიცას სახაკლათ" უწოდეს და მოგვიანებით საერთაშორისო სასამართლოთა მიერ შეფასდა, როგორც გენოციდი (სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. [8]

სრებრენიცაში, მეზობელი დასახლებებიდან გამოქცეული დევნილების ჩათვლით, დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იმყოფებოდა (ძირითადად,

8. ICTY PROSECUTOR V RADISLAV KRSTIĆ. ICJ press release 2007/8 26 February 2007 http://search austlii.edu au/au/journals/MelbJIL/2004/16 html

ბოსნიელი მაჰმადიანები), რომლებსაც მსუბუქად შეიარაღებული 400 ჰოლანდიელი მშვიდობისმყოფელი იცავდა. აქეთ იყვნენ ბოსნია-ჰერცეგოვინიის 28-ე სამთო ბატალიონის გადარჩენილი ჯარისკაცები.

6-8 ივლისი — ბოსნიელი სერბების სამხედრო შენაერთებმა გენერალ რადკო მლადიჩის მეთაურობით, ალყაში მოაქციეს სრებრენიცა.

9 ივლისი — დაიწყო სერბების შეტევა ჰოლანდიელი სამშვიდობოების სამეთვალყურეო პოსტზე. სამშვიდობოთა მეთაური კამერმანსი არაერთხელ დაუკავშირდა სარაევოში მყოფ გაეროს ოფისს და საჰაერო მხარდაჭერა ითხოვა, რაზეც მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მიიღო თანხმობა.

10 ივლისი — კამერმანსმა გააფრთხილა სერბები, რომ თუ უკან არ დაიხევდნენ, მათ პოზიციებს ნატოს ავიაცია დაბომბავდა. სერბები ადგილიდან არ დაძრულან.

11 ივლისი — ჰოლანდიურმა სამხედრო თვითმფრინავმა ორი ბომბი ჩამოაგდო სერბების პოზიციებზე. რამდენიმე საათის შემდეგ სერბთა ჯარები სრებრენიცაში შეიჭრნენ. მაჰმადიანთა სამმა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა მოახერხა ალყის გარღვევა და დაიწყო სვლა მოშორებით მდებარე, ბოსნია-ჰერცეგოვინიის მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისკენ. ყველაზე დიდი ჯგუფი დაახლოებით 10 ათასი ადამიანისგან შედგებოდა და მათგან ნახევარმაც კი ვერ მიაღწია 4 დღის შემდეგ სრებრენიციდან 55 კმ-ით დაშორებულ ტუზლას. დანარჩენებიდან ნაწილი სერბებმა დაიჭირეს და დახვრიტეს, ნაწილი სერბთა მიერ კოლონის პერიოდულმა დაბომბვებმა იმსხვერპლა, ნაწილმა კი შიმშილს, დაქანცულობასა და სტრესს ვერ გაუძლო. სრებრენიცას ოკუპაციის შემდეგ, სერბებმა დატყვევებული მაჰმადიანი მამაკაცები (13-14 წლის მოზარდებიდან 65 წლამდე) გამოაცალკევეს და სატვირთო მანქანებით პერიოდულად გაჰყავდათ ქალაქიდან. რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ მათ სრებრენიცას შემოგარენში ხვრეტდნენ. მოგვიანებით საერთაშორისო სასამართლოების ეგიდით ჩატარებულმა გამოძიებამ მიაკვლია საერთო საფლაოებს, რომლებშიც ასეულობით დახვრეტილი ადამიანის ჩონჩხი იქნა აღმოჩენილი (ექსპუმაციისა და შესაბამისი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი რაოდენობა 7 ათასს აღწევდა).

სერბთა მაშინდელი ლიდერები დღემდე "დასავლურ-მაჰმადიანურ" ფალსიფიკაციას უწოდებენ ასეთ ფაქტებს, თუმცა, 2004 წელს რესპუბლიკა სრპსკას პრეზიდენტმა, დრაგან ჩავიჩმა აღიარა, რომ სერბულმა ძალებმა ათასობით საშოქალაქო პირი მოკლეს და რომ სრებრენიცა არის "შავი ფურცელი სერბების ისტორიაში". [9]

9 http://www.vreme.com/cms/view.php?id=384060

აღსანიშნავია, რომ "სრებრენიცას სასაკლაოსთან" დაკავშირებულ გარემოებათა გამოძიებისას განხილულ იქნა ბოსნიელი მაჰმადიანების (სამოქალაქო პირების) ბრალდებები ბოსნიის ოფიციალური შეიარაღებული ძალების მიმართ, იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არასაკმარისი ძალისხმევა გამოიჩინეს ამ ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. თუმცა გაეროს გენერალური მდივნის 1999 წლის ანგარიშში დაფიქსირდა, რომ ასეთ ბრალდებათა დამადასტურებელი სანდო მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.[10]

21 ივლისი — ლონდონში საკონტაქტო ჯგუფისა (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია) და კიდევ 11 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია ბოსნიის კონფლიქტთან დაკავშირებით. კონფერენციის მთავარ თემად იქცა სრებრენიცაში — "გაეროს უსაფრთხო ზონაში" მომხდარი ჰუმანიტარული კატასტროფა. ლონდონის კონფერენციის კონკრეტული შედეგი იყო ის, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ უფლება მიანიჭა ბოსნიაში გაეროს მისიის სამხედრო მეთაურს, გენერალ ბერნარ ჟანვიეს, გაეროს სამოქალაქო ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მიეღო გადაწყვეტილება ნატოს საჰაერო მხარდაჭერის შესახებ. აქვე შეთანხმდნენ, რომ მომავალში მსგავსი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, ნატო იღებდა უფლებამოსილებას ფართომასშტაბიანი საჰაერო დარტყმები განეხორციელებინა "გაეროს უსაფრთხო ზონების" დასაცავად.

25 ივლისი — ბოსნიელმა სერბებმა სრებრენიცის აღებიდან 2 კვირაში აიღეს აღმოსავლეთ ბოსნიის მეორე "უსაფრთხო ზონა" — ჟეპა (საბოლოოდ, ამ რეგიონში სერბების ეთნოწმენდას ერთადერთი "მაჰმადიანური კუნძული" — გორაჟდე გადაურჩა).

ივლისი (1995) — ხორვატიის რამდენიმე ათასკაციანმა სამხედრო შენაერთმა ბოსნიის სიღრმეში 80-კილომეტრიანი სწრაფი მანევრი განახორციელა და ბოსნიიდან ხორვატიის კრაინასკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალი დაიკავა, რითაც რეგიონს ბოსნიის სერბული ნაწილისგან დახმარების მიღების საშუალება მოუსპო. აგვისტოში კი ხორვატიის არმიამ დაიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა კრაინაზე (სერბული წყაროების ინფორმაციით, ხორვატების ოპერაცია "შტურმი" ნატოს სპეციალისტების მიერ დაიგეგმა და ნატოს ავიაციის მხარდაჭერითვე განხორციელდა).

1 აგვისტო — აშშ-ის კონგრესმა გააუქმა სამხედრო ემბარგო ბოსნია-ჰერცეგოვინის მიმართ (ემბარგო 1992 წლიდან მოქმედებდა).

10. "Report of the Secretary-General pursuant to General Assembly resolution 53/35—The Fall of Srebrenica". 15.11.1999

5 აგვისტო — ხორვატებმა კრაინის დედაქალაქი კნინი აიღეს. ერთ კვირაში მათ შეძლეს კრაინას ყველა გამაგრებული პუნქტის დაკავება და სრული კონტროლის დამყარება მთლიანად რეგიონის ტერიტორიაზე. ამის შედეგად კრაინაში მცხოვრები 200 ათასზე მეტი სერბი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლ-კარი და ბოსნიასა და სერბეთში გაქცეულიყო (მათგან 117 ათასი ლტოლვილის დაბრუნება ოფიციალურად იყო დადასტურებული 2005 წლისთვის). ამავე დროს მაჰმადიანებმა ისევ დაიბრუნეს კონტროლი ხორვატიის მოსაზღვრე ბოსნიის ბიჰაჩზე. სერბების ასეთმა მარცხმა მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო მილოშევიჩისა და კარაჯიჩის დათმობებზე დათანხმებას, რაც დეიტონის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა.

მოგვიანებით, პაატის საერთაშორისო ტრიბუნალმა დაიწყო ხორვატის არმიისა და ოპერაცია "შტურმის" მეთაურთა: ივან ჩერმაკის, მლადენ მარკაჩისა და ანტე გოტოვინას სამართლებრივი დევნა მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულთა გამო (საკვარაუდოდ, იგივე ბედი ელოდა პრეზიდენტ ტუჯმანს, მაგრამ ის გარდაიცვალა). გენერლები ჩერმაკი და მარკაჩი ხორვატიის ხელისუფლებამ ტრიბუნალს გადასცა, გოტოვინა კი გაიქცა, თუმცა 2005 წელს ესპანეთში დააკავეს და ისიც ტრიბუნალს გადასცეს.

28 აგვისტო (1995) — ალყაშემორტყმული სარაევოს ცენტრალურ რაიონ მარკალეში მდებარე სავაჭრო ცენტრის დაბომბვას 37 ადამიანის დაღუპვა და 90-ის დაშავება მოჰყვა (სერბული წყაროების ნაწილი დღემდე ამტკიცებს, რომ "მარკალეს სასაკლაო" იყო თვით მუსლიმანების მოწყობილი პროვოკაცია, რათა ამის შემდეგ გაეროსა და ნატოს უფრო აქტიურად ემოქმედათ).

30 აგვისტო — მას შემდეგ, რაც ბოსნიელმა სერბებმა ისევ უარი განაცხადეს გაეყვანათ მძიმე შეირაღება სარაევოს გარშემო 20 კმ-იანი ზონიდან, ნატომ დაიწყო ყველაზე მასშტაბური საჰაერო ოპერაცია სერბული ძალების წინააღმდეგ.

26 სექტემბერი — ნიუ-იორკში, პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით, ბოსნია-ჰერცეგოვინის სამივე ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე.

5 ოქტომბერი (1995) — ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, რიჩარდ ჰოლბრუკის მონაწილეობით მიმდინარე ერთკვირიანი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

21 ნოემბერი — აშშ-ში, დეიტონის სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე, 20-დღიანი მოლაპარაკების პროცესის შედეგად, პარაფირებულ იქნა ჩარჩოხელშეკრულება ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. დეიტონის შეთანხმება მომზადდა საკონტაქტო ჯგუფის მიერ (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია). იგი ითვალისწინებდა "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის" (ყოფილი ბოსნია-ჰერცეგოვინის სოციალისტური რესპუბლიკის) ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და ამ ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ორი, დაახლოებით თანაბარი ფართობის მქონე სუბიექტის კონფედერაციულ- ფედერაციულ კავშირს. ეს ორი სუბიექტია: "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია" (რომელიც 1994 წელს, ბოსნიელი მუსლიმანებისა და ხორვატების გაერთიანებით დაფუძნდა) და "რესპუბლიკა სრპსკა".

დეიტონის ხელშეკრულების თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ხელისუფლების ფუნქცია დაეკისრა სამწევრიან პრეზიდიუმს (სამი ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის მიერ არჩეული თითო წარმომადგენლით), ორპალატიან პარლამენტსა და ცენტრალურ მთავრობას. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ "ბოსნიისა და ჰერცეგოვინის" ტერიტორიაზე, ნატოს მეთაურობით, განლაგდებიან საერთაშორისო სამშვიდობო ძალები (IFOR – Implementation Force). მოგვიანებით, ამ ხელშეკრულებისა და გაეროს რეზოლუციათა შესაბამისად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მყოფი სამშვიდობოების ძირითად ნაწილს სწორედ ნატოს 60-ათასკაციანი კონტინგენტი შეადგენდა. ხელშეკრულების მიხედვით, აღიარებული იყო ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების უფლება თავიანთ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების ან სათანადო კომპანსაციის მოთხოვნის შესახებ (ამგვარ საკითხთა მოსაგვარებლად შეთანხმება ითვალისწინებდა "ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა კომისიის" შექმნას).

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, სამოქალაქო სფეროში, გაეროს მონაწილეობით განსახორციელებელ სამუშაოთა კოორდინაციისთვის, დეიტონის ხელშეკრულების თანახმად, უნდა დაფუძნებულიყო გაეროს უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი. უმაღლესი წარმომადგენელი უხელმძღვანელებდა "გაერთიანებულ სამოქალაქო კომისიას", რომლის წევრებიც იქნებოდნენ ქვეყნის სამივე ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის უმაღლესი პოლიტიკური ლიდერები და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები (უმაღლესი წარმომადგენელის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა IFOR-ზე).

დეიტონის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო ასევე "საერთაშორი-

სო საპოლიციო დავალებათა ძალების" (IPTF) ჩამოყალიბება, რომლის ხელმძღვანელს გაეროს გენერალური მდივანი დანიშნავდა.

14 დეკემბერი (1995) — დეიტონის ხელშეკრულება საბოლოოდ იქნა ხელმოწერილი პარიზში, როგორც იზეთბეგოვიჩის (მაჰმადიანთა წარმომადგენელის), მილოშევიჩისა და ტუჯმანის (ბოსნიელ სერბებსა და ხორვატებს მოლაპარაკებებზე სერბიისა და ხორვატიის პრეზიდენტები წარმოადგენდნენ), ასევე საკონტაქტო ჯგუფის სახელმწიფოთა ლიდერების მიერ.

15 და 21 დეკემბერი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო შესაბამისი რეზოლუციები (S/RES/1031, 1034,1035 (1995)), რომელთა ძალით, დეიტონის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაცია დაიწყო.

1996 — 29 თებერვალი, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მთლიანად აკონტროლებს სარაევოს შემოგარენს და ქალაქის ალყა ნამდვილად დასრულდა.

ჰაagაში მუშაობა დაიწყო სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიისთვის (დრაჟენ ერდემოვიჩი, ხორვატი, რომელიც სერბებთან ერთად მონაწილეობდა სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტაში, იყო პირველი დამნაშავე, რომლის მიმართაც ტრიბუნალმა განაჩენი გამოიტანა).

2004 — ნატოს ნაცვლად სამშვიდობო ფუნქციების შესრულება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ევროკავშირის სპეციალურ ჯარებს (EUFOR) დაევალათ (პარალელურად მოქმედებენ დაახლოებით ორიათასკაციანი საერთაშორისო საპოლიციო ძალები (IPTF)).

2006 — მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო "გენოციდის საქმის" განხილვა, რომელშიც ბოსნია და ჰერცეგოვინა გენოციდში სდებდა ბრალს იუგოსლავიის ფედერაციას (სერბია-ჩერნოგორიას).

2007 — მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ სრებრენიცაში მომხდარი მოვლენები უნდა შეფასდეს, როგორც გენოციდი, თუმცა, სერბია-ჩერნოგორიას ამ დანაშაულში პირდაპირი მონაწილეობა არ დაუმტკიცდა.

ამჟამად არსებული სხვადასხვა მონაცემის თანახმად, ბოსნია-ჰერცეგოვინის ომის დროს დაიღუპა, დაახლოებით, 200 ათასამდე ადამიანი, ხოლო 2 მილიონზე მეტი იძულებული გახდა თავისი სახლ-კარი დაეტოვებინა (ასეთი რიცხვებია დაფიქსირებული, მაგალითად, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 2005 წლის 199-ე რეზოლუციაში (27.06.05.)).[11] დაზუსტებული მონაცემებით, დაღუპულთაგან

11 http://chrissmith.house.gov/lawsandresolutions/hres199.htm

66% მუსლიმანი იყო, 25% — სერბი და 8% — ხორვატი. ამავე დროს, დაღუპულ სამოქალაქო პირთა 83% მუსლიმანი იყო (მათ შორის, დაახლოებით 30% ქალი ან ბავშვი), 10% — სერბი და 5% — ხორვატი. 2008 წლისთვის საერთაშორისო სასამართლოთა მიერ უმძიმეს საშხედრო დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულ იქნა 45 სერბი, 12 ხორვატი და 4 მაჰმადიანი. სერბები და ხორვატები ამხილეს ასეთ დანაშაულთა სისტემატურ, ორგანიზებულ ჩადენაში, ბოშნიაკები კი — ინდივიდუალურ შემთხვევებში. სერბებს ბრალი დასდეს გენოციდისა და ეთნიკური წმენდის განხორციელებაში, ხორვატებს — ეთნიკურ წმენდაში, ბოშნიაკებს — ჟენევის კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევაში.[12]

საქართველოსთან მიმართება

ყოფილი იუგოსლავიის ქრისტიან ხალხებსა და საქართველოს ისტორიას შორის ნამდვილად შესაძლებელია გარკვეული პარალელების გავლება: ეს ერები საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ ოსმალეთის მაჰმადიანურ იმპერიას თავისუფლებისთვის და თავიანთი რელიგიური მრწამსის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, XX საუკუნის 90-იან წლებში ორივეგან მოხდა დიდი სისხლისღვრა და განხორციელდა მასობრივი ეთნოწმენდა.

ამ ზოგად მსგავსებასთან ერთად, არსებობს ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავებები, როგორც ისტორიული და ეთნო-ფსიქოლოგიური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც ნათელყოფს ყოფილი იუგოსლავიის პრობლემათა გაცილებით უფრო დიდ სიღრმესა და სირთულეს, საქართველოს კონფლიქტებთან შედარებით.

ჩამოვთვლით ძირითად ფაქტორებს:

1) ეთნიკური და ენობრივი ნათესაობის მიუხედავად, იუგოსლავების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მხოლოდ 1918 წელს მოხდა, მანამდე ამ ხალხებს, ნებით თუ იძულებით, ერთ სახელმწიფოში არასოდეს უცხოვრიათ.

დიამეტრულად საპირისპირო ვითარებაა საქართველოს შემთხვევაში — აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებს ქართველების გარეშე არასოდეს უცხოვრიათ. საუკუნეების განმავლობაში ეს ხალხები ერთად, ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფარგლებში ცხოვრობდნენ.

იმ ტერიტორიას, რომელსაც დღევანდელი აფხაზეთი მოიცავს, შეკ-

12. Institute for War and Peace Reporting.Tribunal Update. Briefly Noted (TU No398, 18 March 2005)

ნაკლებად მთლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით რეალურად არასოდეს უარსებია. ის ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს, ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი და ამ ტერიტორიაზე ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამ ფაქტის მისაჩქმალად, რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში, აფხაზეთის მოსახლეობის აღწერისას, ცალკე "ეთნოსიც" კი გამოიგონა — "სამურძაკანოეც" ("სამურზაყანოელი"). ცხადია, ასევე ცალკე აღნუსხავდნენ დასაველეთ საქართველოს მკვიდრ ქართველებს — მეგრელებს (რეალურად, სამურზაყანოელები იგივე მეგრელები არიან, ოღონდ ისტორიულ სამურზაყანოში ანუ გალის რაიონში ცხოვრობენ). ეს მანიპულაციები მეფის რუსეთის სჭირდებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთში ქართველების უმრავლესობა არ დაფიქსირებულიყო.

რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთს", უნდა ითქვას, რომ ეს სტრუქტურა 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით). აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური პროვინციის შუაგულში, ცხინვალიდან 30-40 კმ-ის დაშორებით, ხელოვნურად შექმნილი ოლქის ტერიტორიაზე "ისტორიული სამხრეთ ოსეთი" ვერანაირად ვერ იარსებებდა. ცხინვალის რეგიონი ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 1922 წელს ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი (დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი შეცვლა აქ 1922 წლის შემდეგ დაიწყო).[13]

2) არსებითად, იუგოსლავების ერთიან ერად ჩამოყალიბების პროცესი XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ამ დროისთვის ისტორიულად ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი სამი ძირითადი ჯგუფის (სერბების, ხორვატებისა და სლოვენების) ეთნიკურ-ენობრივ-რელიგიური პროფილი, ფაქტობრივად, უკვე ფორმირებული იყო და, საერთო წარმოშობის მიუხედავად, მათი შერწყმა ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე იუგოსლავიზმის იდეოლოგებს წარმოედგინათ. ფაქტობრივად, იგივე შეიძლება ითქვას ბოშნიაკების მიმართაც, რომელთა ისლამიზაცია ოსმალეთის ბატონობის დროს მოხდა და სწორედ ამ რელიგიურმა ფაქტორმა და მასთან დაკავშირებულმა კულტურულმა მემკვიდრეობამ განსაზღვრა მათი იდენტობა (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 80-იანი

13. Итоги переписи населения городов Грузии от 30 ноября 1922 года, часть I, выпуск 2, Тбилиси, 1923, с. 36

წლების შუა პერიოდში მხოლოდ 5 პროცენტი იყო იუგოსლავიის იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც თავის თავს ეთნიკურადაც იუგოსლავს უწოდებდნენ). გაირკვა, რომ ამ ჯგუფებს შორის რელიგიის, კულტურის, ცხოვრების წესის მხრივ განსხვავებანი ხანგრძლივი ისტორიული ეპოქებით უკვე საკმაოდ გამყარდა და ამ ყველაფრის წაშლა, მით უფრო, ხანმოკლე პერიოდში და იძულებით, არარეალური იყო.

საქართველოს წარსული ამ შემთხვევაშიც განსხვავებულ სინამდვილეს წარმოგვიდგენს; ქართველებსა და აფხაზებს, ასევე ქართველებსა და ოსებს ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს.

არსებობს ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წლის აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზების მიმართაც. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. ფაქტია, რომ აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ენობრივი ან რელიგიურ-კულტურული ბარიერი. IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ანუ მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს ანექსიამდე) აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი დოკუმენტი და ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე.

ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულ წარსულში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. პირიქით, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა "შუპავჭირობის" შედეგად მეფის რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, რელიგიური მოტივაციით, ფაქტობრივად, მთლიანად გაასახლა ჩერქეზები, მათი მონათესავე აფხაზები და მათ ადგილას რუსები ჩამოასახლა, აფხაზური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება სწორედ ქართულ გარემოში მოხდა (აფხაზეთი მაშინ სოხუმის ოლქის სახით ქუთაისის გუბერნიის ანუ დასავლეთი საქართველოს ნაწილი იყო). იგივე ითქმის ოსურ ენასა და კულტურაზე, რომელიც გაცილებით უკეთ აქვთ შენარჩუნებული საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ვიდრე რუსეთში მდებარე "ჩრდილოეთ ოსეთის" მოსახლეობას.

სწორედ ასეთი ფაქტებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართ-

ველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტი, თავისი არსით, მარტივი კონფლიქტია, მით უფრო, ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტებთან შედარებით; აქ საკვანძო პრობლემა არის გარეშე ძალა — კრემლი და მისი საოკუპაციო ჯარები.

3) იუგოსლავიის "ოქროს ხანა", რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და 1980-იან წლებში დასრულდა, უკავშირდებოდა ბროზ ტიტოს მიერ შექმნილ, ერთი მხრივ, კომუნისტურ-დიქტატორულ ვერტიკალს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოქნილ ეროვნულ პოლიტიკას. 1946 წლის კონსტიტუციაში 6 რესპუბლიკა თანასწორუფლებიანად იქნა გამოცხადებული და ამ თანასწორმა რესპუბლიკებმა შექმნეს "ახალი იუგოსლავია" ანუ სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად თავიდანვე განისაზღვრა ფედერაციული და არა უნიტარული მოდელი. 1974 წლის კონსტიტუციით ტიტომ კიდევ უფრო მეტი თავისუფლება გაღასცა რეგიონებს, სერბიის ავტონომიური რესპუბლიკები, უფლებამოსილების მხრივ, თითქმის გაუთანაბრა მოკავშირე რესპუბლიკებს, რათა ეთნიკურ პრობლემეთა გამწვავება არ მომხდარიყო. სერბთა ნაწილმა ეს აღიქვა, როგორც მათი უფლებების შელახვა და როცა მილოშევიჩმა სერბების "უფლებების აღდგენისკენ" გადადგა ნაბიჯები, წონასწორობა დაირღვა, რასაც კატასტროფა მოჰყვა. 90-იან წლებში გამოჩნდა, რომ იუგოსლავიის "ოქროს ხანას" სწორედ ფედერაციული ბალანსი განსაზღვრავდა. იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენელი თითოეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები უფლებრივი უპირატესობა ჰქონდა იმ ეთნო-რელიგიურ ჯგუფს, რომლის წარმომადგენლებიც ამ რესპუბლიკაში უმრავლესობას ქმნიდნენ. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ბოსნიისა და ხორვატიის სერბებმა უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ ხორვატ და მაჰმადიან უმრავლესობათა ნებას (არსებითად, ბოსნია-ჰერცეგოვინაშიც იუგოსლავიის მთლიანობის დაშლის პრინციპი ამოქმედდა).

საქართველოში სხვა სურათი იყო. დამოუკიდებელი საქართველო არ შექმნილა დამოუკიდებელ სახელმწიფო-სუბიექტთა ფედერაციული ხელშეკრულებით (არც 1918-21 წლების და არც 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკა). რაც შეეხება 1921 წლის მარტში ე.წ. "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" გამოცხადებას და იმავე წლის დეკემბერში აფხაზეთისა და საქართველოს "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების" გაერთიანებას "განსაკუთრებული ხელშეკრულებით", ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაამხო დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება და "პროლეტარიატის დიქტატურა"

დაამყარა. 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა განახორციელა საქართველოს სრული ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია და ამის შემდეგ ძოძხდარ დაშლა-მიერთების "პროცედურებს", მაგალითად, 1922 წელს ე.წ. "ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის" შექმნას, მასში "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" შეყვანას (აფხაზეთის სსრ სწორედ საქართველოს სსრ-ის შემადგენელი რესპუბლიკის სტატუსით გაერთიანდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში), არსებითად, მხოლოდ ფორმალური დანიშნულება ჰქონდა. ეს ყველაფერი ბოლშევიკთა შინაპარტიული მოლაპარაკებების, რუსეთის იმპერიის საბჭოთა იმპერიად მოდერნიზების პროცესის გამოხატულება იყო და საერთო არაფერი ჰქონდა ხალხის, ამა თუ იმ ეთნოსის თავისუფლად გამოხატულ ნებასთან (ასეთი რამ საერთოდ წარმოუდგენელი იყო საბჭოთა კავშირში, მით უფრო, იმ პერიოდში).

კრემლის ერთგული აფხაზი თუ უცხოელი ფსევდოისტორიკოსები 1931 წელს "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" სტატუსის შეცვლას და მის გარდაქმნას "ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად" საქართველოს შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, უკავშირებენ სტალინის გაელენას და მის "პროქართულ" პოლიტიკას, თუმცა, რატომღაც არაფერს ამბობენ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქზე, რომელიც საქართველოს შუაგულში სრულიად ხელოვნურად სწორედ ეთნიკურად ქართველი ბოლშევიკების (უპირველესად, სტალინ-ორჯონიკიძის) მიერ "ჩაიდო" შენელებული მოქმედების "ნაღმის" სახით და ამ საბჭოთა ლიდერების მიზანდასახული "პროქართული" პოლიტიკის შედეგად, ცხინვალის ოლქში ქართველების რაოდენობის შემცირების პარალელურად თანმიმდევრულად იზრდებოდა ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსი მოსახლეობა. აქ არ შეეჩერდებით იმ ფაქტზე, რომ სწორედ სტალინის დროს ასეულობით ათასი ქართველი დახვრიტეს ან გადაასახლეს ციმბირში, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყნის თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სტალინის "პროქართული" პოლიტიკა, უბრალოდ, აბსურდია (საერთოდ, ბოლშევიკი ლიდერებისთვის უცხო იყო ეთნიკურ-ეროვნული "სენტიმენტები"; უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. გვ. 129). 1921 წელს საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ცალკე გამოყოფასთან დაკავშირებული კრემლის მცდელობა, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავდა აფხაზეთის შეერთებას რსფსრ-თან — საბჭოთა რუსეთთან, წარუმატებლად დასრულდა, რადგან კრემლში მალე დაინახეს რეალობა, სახელდობრ ის, რომ აფხა-

ზეთი, როგორც გეოგრაფიულად, ასევე ეკონომიკურად (ისტორიულად, დემოგრაფიულად და კულტურულადაც, თუმცა ბოლშევიკებს ეს ნაკლებად ანაღელებდათ) საქართველოს ნაწილია და ამიტომ, მართვის თვალსაზრისით, უმჯობესი იყო ის საბჭოთა საქართველოს ფარგლებში დარჩენილიყო. (ამასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. გვ. 83, 128). კრემლისთვის მაშინ ეს არანაირ საფრთხეს არ შეიცავდა, რადგან მთლიანად საქართველოს ის აკონტროლებდა. საფრთხე გაჩნდა მას შემდეგ, რაც 80-იანი წლების ბოლოს საქართველომ დამოუკიდებლობისთვის აქტიური მშვიდობიანი მოძრაობა დაიწყო. ამ დროიდან კრემლმა თანდათან "ააფეთქა" ყველა "ნაღმი", რომელიც ჯერ კიდევ ცარიზმისა თუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩაიდო საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის დასასუსტებლად და დასაშლელად.

ამავე კონტექსტში ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლებისთვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველები თითქმის სამჯერ მეტნი იყვნენ, ვიდრე აფხაზები, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1991 წელს, ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში მათ ქართველებზე მეტი ადგილი დაეთმოთ. რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, უფლებების მხრივ, აფხაზები შეზღუდული ნამდვილად არ იყვნენ (პირიქით, მათ ხომ კრემლი მფარველობდა). ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა პერიოდში ჩვეულებრივი რამ იყო ქართველების "გააფხაზება" ანუ ქართველების მიერ, სამსახურებრივი თუ სხვა სახის პრივილეგიების მიღების მიზნით, ოფიციალურ დოკუმენტებში თავიანთი თავის აფხაზად დაფიქსირება (საბჭოთა პასპორტებში არსებობდა სპეციალური გრაფა — "ეროვნება", რომელშიც იწერებოდა პასპორტის მფლობელის ეროვნება, ეთნიკური კუთვნილების და არა მოქალაქეობის გაგებით). აქვე უნდა ითქვას, რომ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსაც" საკმაოდ ფართო უფლებები ჰქონდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ოსური ენა და კულტურა გაცილებით უკეთ შენარჩუნდა ცხინვალის რეგიონში, ვიდრე რუსიფიცირებულ "ჩრდილო ოსეთში".

რაც შეეხება იუგოსლავიის ფედერალურ მოდელს, ამ კონტექსტში აღვნიშნავთ, რომ მთლიანად საქართველოს ფედერალიზაცია, ჩვენი ქვეყნის მასშტაბიდან გამომდინარე, თუნდაც მხოლოდ ზედმეტი ხარჯების გამო, გაუმართლებლად მიგვაჩნია, თუმცა საქართველოს ხელისუფლება თანახმაა, ავტონომიურ წარმონაქმნებს (რესპუბლიკებს) მიანიჭოს სხვადასხვა ფედერაციულ სახელმწიფოთა (მაგ. რუსეთის) სუბიექტებზე გაცილებით უფრო ფართო უფლებები.

4) 80-იან წლებში მილოშევიჩის მიერ იუგოსლავიაში დაწყებული

"პერესტროიკის" მთავარი ნიშანი იყო სერბული ნაციონალიზმი. ეთნიკური პრობლემების აქტუალიზაციას თვით ბელგრადი უკერდა მხარს, რადგან უსამართლოდ მიიჩნეულა 1974 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ "დამთმობ კურსს" ფედერაციის სუბიექტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. 1989 წლის მარტში სერბეთის სკუპშჩინის მიერ ფედერალური დაქვემდებარების კოსოვოს ავტონომიური რეგიონის "შეერთება" და მისი უფლებამოსილების შეზღუდვა (რასაც მოჰყვა, სულ მცირე, ათეულობით ათასი კოსოვოელი ალბანელის მიერ საქსახურის დაკარგვა იძულებით თუ პროტესტის ნიშნად) ერთგვარი "რევანშის" მცდელობა იყო, რომელმაც კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა კონფლიქტის გამწვავების პროცესში.

საქართველოში კრემლის მიერ "პერესტროიკის" გამოცხადებას სხვაგვარი გაგრძელება ჰქონდა, თუმცა კრემლი ყოველნაირად ცდილობდა საზოგადოების გააქტიურება სწორედ ეთნიკური ურთიერთდაპირისპირების კალაპოტში მოექცია. ამის გამოხატულება იყო აფხაზეთსა თუ მაშინდელ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" მოწყობილი პროვოკაციები. თუმცა, საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ მოახერხა ამ საფრთხეების გადალახვა, რადგან მისი ანტისაბჭოური, დემოკრატიული კურსი მიმართული იყო არა ეთნიკური უმცირესობების, არამედ კრემლის წინააღმდეგ. ეროვნული მოძრაობა ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა ეთნიკური დაპირისპირებისთვის. მაგალითად, 1989 წლის აპრილის ცნობილი აქციები თბილისში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დაიწყო, მაგრამ ორი დღის შემდეგ აქციის უპირველესი მოთხოვნა გახდა საქართველოს დამოუკიდებლობა (საბჭოთა კანონმდებლობითაც კი, ეს კონსტიტუციური მოთხოვნა იყო, რადგან სსრკ-ის კონსტიტუციის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკას ფორმალურად ჰქონდა კავშირიდან გასვლის უფლება).

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო კონსტრუქციული, დიალოგზე და ურთიერთთანხმობაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება ავტონომიათა მიმართ. დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა და არსებობს. 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა (მუხლი 107). 1991 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი - სრულიად ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ევროპული მასშტაბით, რთულია მოიძებნოს მსგავსი თანაფარდობა ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობასა და ავტონომიის სახელისუფლო ორგანოში მის წარმომადგენლობას შორის. იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტში, თეატრი, აფხაზურ-რუსული ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

სწორედ ასეთი ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვითარებას, რეალურად, არა აფხაზები ან ოსები, არამედ კრემლი აკონტროლებდა და აკონტროლებს, უპირველესად, თავისი სამხედრო დანაყოფების მეშვეობით, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგაც, ამა თუ იმ ფორმითა და სტატუსით, მუდმივად იქ არიან განლაგებული. ასე იყო 90-იან წლებში, ასე იყო 2008 წელს და ასეა ახლაც. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტრუქციული წინადადებები შესაბამის ეფექტს არ იძლევა, რადგან

კრემლის მიზანი არის არა მშვიდობა, არამედ საქართველოს დაშლა, თანხმობის არდაშვება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. სწორედ ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას, რის შემდეგაც რეალურ პერსპექტივას შეიძენს პირდაპირი დიალოგი სოხუმთან და ცხინვალთან და ყველა საკამათო საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

5) გაერთიანების ინიციატორი სერბიის პოლიტიკური ელიტა ხშირად იყენებდა იძულებით, მათ შორის, მილიტარისტულ მეთოდებს, რაც სხვა ჯგუფების მიერ დაპყრობად აღიქმებოდა. ასე იყო 30-იან წლებში და მით უფრო მილოშევიჩის დროს. სერბები (და ხორვატებიც), ჩვეულებრივ, ისტორიზმის პრინციპსა და წარსულის რეალობებს ეყრდნობოდნენ (მაგ., "კოსოვო ძველი სერბიის ცენტრი იყო", "ბოშნიაკები ოსმალეთის ბატონობამდე ქრისტიანი სერბები ან ხორვატები იყვნენ" და ა.შ.). უნდა ითქვას, რომ, თუნდაც ისტორიული სამართლიანობის მხრივ, მათი პოზიცია უზადო არგუმენტაციით არ გამოირჩევა, მაგრამ, ცხადია, XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (უნდა ჰქონდეს) რეალობის შეფასებას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და არა მხოლოდ წარსულის გადმოსახედიდან.

საქართველოს შემთხვევაში, ყოველთვის, როცა მოხდა ძალის გამოყენება სხვადასხვა ტერიტორიული პრეტენზიისა თუ "სახალხო აჯანყების" აღსაკვეთად (პირველი რესპუბლიკის დროსაც (1918-1921) და 90-იან წლებშიც), ფაქტობრივად, ეს იყო ბრძოლა არა აფხაზების ან ოსების (ან საქართველოს სხვა რეგიონის მოსახლეობის), არამედ კრემლის, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ცარისტული, ბოლშევიკური თუ ნეობოლშევიკურ-ნეოფაშისტური (ანუ პუტინ-მედვედევის) რუსეთი მხოლოდ აფხაზებისა და ოსების მცირე ჯგუფების წაქეზებას ახერხებდა პრეტენზიებისთვის და შემდეგ, ზოგჯერ უფრო ფარულად, ზოგჯერ კი აშკარად (როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში) ანგრევდა საქართველოს სახელმწიფოს, ერთმანეთს უპირისპირებდა და ანადგურებდა კავკასიელებს (იხ. გვ. 78-80, 137-138).

ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად ინფორმირებული და ობიექტური ისტორიკოსისთვის ცხადია, რომ ისტორიული სამართლიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს დაქუცმაცებას, მაგრამ მთავარი სხვა რამ არის — საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, უპირველესად, საერთაშორისო სამართალი იცავს. გაეროს, ევროსაბჭოს რეზოლუციებში, ევროკავშირის სპეციალური მისიის (ტალიავინის კომისიის) დასკვნაში ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ საერ-

ოაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებიდან გამომდინარე, "სამხრეთ ოსეთი არ უნდა იქნეს აღიარებული... ისევე, როგორც აფხაზეთი. მართალია, ეს უკანასკნელი აულენს სახელმწიფოებრიობის ნიშნებს, მაგრამ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი არსებითად არალეგიტიმურია, რადგან აფხაზეთს არასოდეს ჰქონია სეცესიის უფლება. უფრო მეტიც, ადამიანის (და ეთნიკური უმცირესობის) უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, აფხაზეთი არ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, განსაკუთრებით, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის მხრივ" (ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი II, ნაწილი 3.1., კომენტარი).

1. საერთაშორისო სამართლის თანახმად, რაც მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტთან დაკავშირებით გამართულ საერთაშორისო სასამართლოთა დასკვნებსა და გადაწყვეტილებებში, ეთნიკური წმენდა არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე და დაუშვებელია ეთნიკური წმენდის შედეგთა დაკანონება. პირიქით, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ ეთნიკური წმენდის შედეგები რამდენადაც შესაძლებელია დროულად აღმოიფხვრას და ამ დანაშაულის ჩამდენთა გასამართლება უნდა მოხდეს. აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარებით კი კრემლმა ეთნოწმენდის ორგანიზატორ-შემსრულებლები წაახალისა და ასეთი უმძიმესი დანაშაულისთვის, საერთაშორისო მასშტაბით, დაუსჯელობის პრეცედენტს ქმნის. კრემლი ცდილობს აღადგინოს სტალინ-ჰიტლერის პოლიტიკური "ანდერძი", XXI საუკუნეში დაამკვიდროს ფაშისტურ-ბოლშევიკური "ღირებულება": მთავარია გქონდეს ძალა და რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო საზოგადოებას, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, მათ არაფერი შეუძლიათ, შეთხზავ რაღაც მითს ან ლეგენდას (მაგ. "ისტორიული სამხრეთ ოსეთის" შესახებ), ამ მითის საფუძველზე ნებისმიერ დანაშაულს, მათ შორის, ეთნოწმენდასაც ჩაიდენ და ვერაინ დაგსჯის. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიასთან დაკავშირებით ირონიულად ახსენებენ ხოლმე "5-დღიან ომს". ამ კონტექსტში საყურადღებოა ჰიტლერის გერმანიის მიერ საქართველოზე თითქმის 4-ჯერ უფრო დიდი იუგოსლავიის (255,8 კმ² — 69,7 კმ²) სრული ოკუპაცია 11 დღეში (თანაც 60 წლის წინათ, მაშინდელი სამხედრო ტექნიკით). ეს შემთხვევითი ციფრები არაა, როგორც ფაშისტურ გერმანიას, ასევე ბოლშევიკურ რუსეთს კარგად ჰქონდათ "დამუშავებული" მცირე დროში სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია (მაგალითად,

ლიტვის ოკუპაციას სულ 1 დღე დასჭირდა, ლატვიას — 3, ესტონეთს — 4, ჩეხეთს — 2, უნგრეთს — 5). პუტინ-მედვედევის რუსეთიც სწორედ ასეთ "სახელოვან" ტრადიციას აგრძელებს.

6) იუგოსლავიაში სხვა ქვეყნის ჯარები არ იდგა, რაც ძალზე მნიშვნელოვნად ზღუდავდა სხვა სახელმწიფოთა ჩარევის არეალს კონფლიქტთა პროვოცირება-გაღვივებისთვის.

ეს არის კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი საქართველოსთან შედარებით, სადაც ოფიციალურად, საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რუსეთის სამხედრო ბაზები 2008 წლამდე არსებობდა (ცხადია, ფაქტობრივად, ეს იძულების შედეგი იყო, მაგრამ დღევანდელი სრულიად უკანონო ოკუპაციისგან განსხვავებით, ფორმალური მხარე მაინც დაცული იყო).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაფერს "ჩაკეთ" — ამიერკავკასიაში კრემლის სამხედრო შტაბი განაგებდა. მათ საქართველოში შექმნეს "მართვადი ქაოსი" და არეულობის დროს გამოუშვეს ქართველი, აფხაზი თუ ოსი კრიმინალები, მიაწოდეს იარაღი და საშუალება მისცეს გაეძარცვათ, დაერბიათ მშვიდობიანი მოსახლეობა. ასეთი "ფონის", ასეთი დამნაშავეების დაწინაურებისა და ხელისუფლების სათავეში მოყვანის გარეშე, ე.წ. "ქართულ-აფხაზური" ან "ქართულ-ოსური" "ეთნოკონფლიქტები" ვერ განხორციელდებოდა. ამგვარმა "კომუფლაჟმა" 90-იან წლებში კრემლს საშუალება მისცა "ნეიტრალური მშვიდობისმყოფლის" სტატუსით დარჩენილიყო საქართველოში.

2008 წლის აგვისტოს ომმა კი კრემლი ამ ნიღბის გარეშე დატოვა და მთელი მსოფლიოს დასანახად გამოააშკარავა ის, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, — რეალური კონფლიქტი არის არა ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს, არამედ საქართველოსა და კრემლს შორის.

7) ბოსნიელმა სერბებმა თავიანთ მაჰმადიან თანამოქალაქეებს, ანუ ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის უმრავლესობას, გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყეს. ამის გამო დაუპირისპირდა მილოშევიჩისა და კარაჯიჩის მომხრე სერბებს მთელი საერთაშორისო საზოგადოება და ნატოს მიერ მათი პოზიციების დაბომბვა, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით ხორციელდებოდა, გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლთა დაცვას და მსგავსი მოვლენების პრევენციას ისახავდა მიზნად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნატოს ოპერაციების ინიციატორი აშშ იყო და ძირითადი ფუნქციების შესრულება სწორედ

მან იტყვრთა. ეს ხდებოდა ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას, დემოკრატების ადმინისტრაციის დროს; ასე რომ, როცა აუცილებელია საერთაშორისო ჩარევა სერიოზული საფრთხისა და უმძიმეს დანაშაულთა აღსაკვეთად, ამერიკა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას არ ერიდება და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ვაშინგტონში რესპუბლიკელების ადმინისტრაციაა თუ დემოკრატების.

ბოსნია-ჰერცეგოვინის მსგავსად, ეთნოწმენდა აფხაზეთშიც მოსახლეობის უმრავლესობის მიმართ განხორციელდა ("უპირატესად, ქართველების მიმართ", როგორც აღნიშნულია ეუთოს სამი სამიტის რეზოლუციაში), მაგრამ, ნატოსგან განსხვავებით, კრემლმა ეთნოწმენდის მსხვერპლი კი არ დაიცვა, არამედ პირიქით, თვითონ მოაწყო ეთნოწმენდა, ქართველების ეთნოწმენდის ორგანიზატორ-შემსრულებელი, რეალურად, აფხაზები ან ოსები კი არ იყვნენ (ისინი ამას, უბრალოდ, ვერ შეძლებდნენ), არამედ კრემლი და მისი ჯარები, აფხაზი და ოსი დამნაშავეების მონაწილეობით.

2008 წელს კრემლი შეეცადა ქართველების მიერ "ოსების გენოციდის" "სპექტაკლი" გაეთამაშებინა და ისევე წარმოეჩინა თავი, თითქოს იგივე როლი შეასრულა საქართველოში, რაც ნატომ — ბოსნიაში (და კოსოვოში). მაგრამ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროკავშირის მისიამ (პეიდი ტალიავინის კომისიამ) ცალსახად უსაფუძვლოდ გამოაცხადა კრემლის ასეთი ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტიც, ორივე ევროპულმა სტრუქტურამ ცხინვალის რეგიონში ქართველების მიმართ ჩადენილი ეთნოწმენდის ფაქტები დაადასტურა ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქარიულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება" /ევროსაბჭოს რეზოლუცია # 1633, 03.10.2008/. "ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს" /მ. იორშის განცხადებიდან/.[14] "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც" /პ.ტალიავინის კომისიის მოხსენებიდან, ნაწილი I, პუნქტი 27/).

ის პირები, რომლებმაც ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო დანა-

14 http://for-ua.com/news_print.php?news=305384

შაულობანი ჩაიდინეს (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა), საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგნენ და დაისაჯნენ, ხოლო ის აფხაზები და ოსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს, უპირატესად, ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდაში, რუსეთის მფარველობით, ახლაც მარიონეტული რეჟიმების "ხელისუფლებაში" არიან და ერთგულად ემსახურებიან კრემლს (ეთნოწმენდის ორგანიზატორი და მონაწილე რუსი სამხედროები კი მედვედევ-პუტინის მიერ დაჯილდოვდნენ).

კრემლის აფხაზმა და ოსმა მარიონეტებმა იციან, რომ მე-19 საუკუნეში სწორედ რუსეთმა გადაასახლა კავკასიიდან აფხაზები და მათი მონათესავე ჩერქეზები, ხოლო უბიხები მთლიანად გაანადგურა. რუსეთის მოიმედეებს თვალწინ აქვთ ჩეჩნების გენოციდის ფაქტი, თუ როგორ ექცევა კრემლი მცირერიცხოვან, თავისუფლებისმოყვარე ხალხს, მათ თვალწინ აქვთ, ასევე, ბესლანის ტრაგედია, თუ როგორ "უფრთხილდება" პუტინი რუსეთის მოქალაქე ოსების, მით უფრო, ბავშვების სიცოცხლეს. სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კრემლს რეალურად მხარს უჭერს აფხაზებისა და ოსების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ თავისი პირადი კეთილდღეობა და პრივილეგიები აღელვებს და "დამოუკიდებლობა" რეალურად ამისთვის სჭირდება. ამ ჯგუფებს კრემლმა მისცა ძალაუფლება, ისინი უშუალოდ კრემლის სამხედრო ძალას, საოკუპაციო ჯარებს ეყრდნობიან და ფიზიკურად უსწორდებიან იმათ, ვინც გაბედავს და ქართველების მიმართ კეთილგანწყობას ღიად გამოხატავს.

2008 წლის აგვისტოში კრემლმა საქართველოს მიმართ სამხედრო აგრესია განახორციელა უნილატერალურად, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ყოველგვარი სანქციის გარეშე (ნატო კი 1992-95 წლებში 16 ქვეყანას აერთიანებდა და, რაც მთავარია, ის გაეროს სანქციით მოქმედებდა).

8) ბოსნიელი სერბები თავიანთი მაჰმადიანი თანამოძმეების იზოლაციას ცდილობდნენ. მათ ალყაში ჰყავდათ ბოსნიური ანკლავები და რომ არა აქტიური საერთაშორისო მხარდაჭერა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სურსათისა თუ მედიკამენტების მიწოდება ავიაციის მეშვეობით, ექვსიე "უსაფრთხო ზონაში" გამომწყვდეულ მუსლიმებს ისეთივე ბედი ელოდათ, რაც სრებრენიცაში თავმოყრილ მოსახლეობას.

საქართველოს ხელისუფლება, ქართველები, მხარს ვუჭერთ არა აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" იზოლაციას, არამედ პირიქით, ამ რეგიონებთან დაკავშირებულ პრობლემათა მაქსიმალურ ინტერნაციონალიზაციას. ელექტროენერგიით ვამარაგებთ აფხაზეთს, ასევე

ცხინვალის რეგიონს. 2008 წლის აგვისტოს ომის მიუხედავად, ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" ბუნებრივ აირს საქართველოს დანარჩენი ნაწილიდან იღებდა. საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოახერხონ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა, მაგრამ სწორედ კრემლი ეწინააღმდეგება ამ პროცესს, სწორედ კრემლის მიზანია აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" იზოლაცია, რათა ეს რეგიონები ვერ განვითარდნენ და მუდმივად მოსკოვის "წყალობაზე" იყვნენ დამოკიდებული, რათა იქ მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისთვის დაფარული დარჩეს სიმართლე, კრემლის რეალური ზრახვები, მათთვის უცნობი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების "პროქართული" შეფასებების სამართლებრივი არგუმენტები თუ საფუძვლები (რომ მაგალითად, დაუშვებელია ეთნიკური წმენდა, რადგან ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე). მეორე მხრივ, ოკუპირებული რეგიონების იზოლაცია კრემლს საშუალებას აძლევს საერთაშორისო საზოგადოების ფართო ფენებს კელავაც დაუმალოს აღნიშნულ რეგიონებში მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტები, დაუმალოს, რომ რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაცია-ანექსია და აქ გაჩაღებული "აღმშენებლობა" აქაურ ეკოსისტემას კატასტროფით ემუქრება, ხოლო მოსახლეობას — ეთნიკურ-კულტურული იდენტობის დაკარგვითა და სრული რუსიფიკაციით.

საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს მიუმართავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბლოკადისთვის. რაც შეეხება 90-იან წლებში დსთ-ის სამიტებზე მიღებულ სანქციებს აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მიმართ, ეს დაკავშირებული იყო ამ რეჟიმის მიერ განხორციელებულ ეთნოწმენდასთან და მისი შედეგების დაკანონების მუდმივ მცდელობასთან, უპირველეს ყოვლისა, დევნილთა დაბრუნების შესახებ გაეროსა და დსთ-ის შესაბამისი დადგენილებების შეუსრულებლობასთან.

9) 90-იან წლებში ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მიზეზებზე საუბრისას ანალიტიკოსები, ფაქტობრივად, არც კი ასახელებენ რომელმა მხარემ "გაისროლა პირველმა", სად ან როდის. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის გამომწვევ ფაქტორებს, ისტორიულ თუ სამართლებრივ წინაპირობებს, ძირითად მოქმედ ძალთა მიერ გადადგმულ იმ ნაბიჯებს, რომელთაც კონფლიქტის "მომწიფება" და შემდგომი ესკალაცია მოჰყვა; ხოლო რაც შეეხება "პირველ გასროლას" ან მის ინსცენირებას, ეს, არსებითად, მხოლოდ საბაბია. როცა კონფლიქტური ვითარება უკვე არსებობს და დაძაბულობა კრიტიკულ ზღვრამდეა მისული, დაინტერესებული ძალებს შეიარაღებული

დაპირისპირების პროვოცირება მარტივად შეუძლიათ.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის სამწლიანი, კატასტროფული სამოქალაქო ომის რეალური მიზეზი ვერ გახდებოდა თავისთავად ტრაგიკული ფაქტი 1992 წლის 1 მარტს სარაევოში, ქორწილში მომხდარი მკვლელობისა ან 6 აპრილს იმავე სარაევოში ორი მშვიდობიანი დემონსტრანტის დაღუპვისა (მილოშევიჩი და ტუჯმანი ხომ ჯერ კიდევ 1991 წლის 25 მარტს გეგმავდნენ ყარაჯორჯევოში ბოსნია-ჰერცეგოვინის გაყოფას სერბია-ხორვატიას შორის).

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემთხვევაში კი, რუსული პროპაგანდისტული მანქანის გაელვენით, საგანგებოდ მახვილდებოდა ყურადღება იმაზე, თითქოს "ომი საქართველომ დაიწყო" (ეს ტენდენცია მსოფლიო მედიაში განსაკუთრებით ძლიერი იყო საწყის ეტაპზე).

კრემლმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, დაიკავა საქართველოს პორტები, ცენტრალური მაგისტრალები, დაბომბა აეროპორტები (ეს ობიექტები ათეულობით კილომეტრით არის დაშორებული კონფლიქტის ზონებს) და ღამის ნახევარი საქართველოს ოკუპაციის მიზეზად ასახელებდა წინასწარ შეთხზულ "ბრალდებებს": ქართველების მიერ ოსების "გენოციდს", ცხინვალში მცხოვრები "რუსეთის მოქალაქეების" უსაფრთხოების "დაცვას" და ქართული ჯარის თავდასხმას რეგიონში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობოებზე.

მოგვიანებით, ამ ბრალდებათა უსაფუძვლობა ცალსახად დაადასტურა ევროკავშირის სპეციალურმა მისიამ (ტალიავინის კომისიამ). ამ კონტექსტში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რამდენიმე ფაქტი, რომელიც ნათელყოფს ქართველების მიერ "ომის დაწყების" "ლეგენდის" აბსურდულობას.

დავიწყოთ იმით, რომ კრემლმა ჯერ კიდევ 2007 წლის 14 იულისს შეაჩერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე; 2008 წლის 4 მარტს აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის პარლამენტმა – სახალხო კრებამ მიიღო განცხადება, რომელშიც მოუწოდა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს კოდორის ხეობის ზემო ნაწილში აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქციის აღდგენისა და აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ყველა აუცილებელი ზომის მიღებისკენ; 2008 წლის 13, 19 და 21 მარტს რუსეთის სახელმწიფო დუმაში გაიმართა საპარლამენტო მოსმენები, განხილულ იქნა მიმართვები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ; 16 აპრილს პრეზიდენტ პუტი-

ნის მიერ ხელმოწერილ იქნა განკარგულება აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების (დაწესდა 1996 წლის 19 იანვარს დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებით) რეჟიმიდან რუსეთის ცალმხრივი გამოსვლისა და აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთი ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების თაობაზე;

2008 წლის მაისიდან ორივე კონფლიქტურ რეგიონში და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაიწყო ვითარების სერიოზული ესკალაცია (იმდროინდელ მოვლენათა დეტალური ქრონოლოგია იხ. გვ. 16) ამ პროცესს მოჰყვა აგვისტოს სამხედრო აგრესია, რომელიც უნდა დასრულებულიყო საქართველოს სრული ოკუპაციითა და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობით; და ამ გეგმაში "ოსების გენოციდს", ცხადია, მხოლოდ საბაბის როლი ენიჭებოდა.

აქვე საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ცხინვალში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ჯარებზე თავდასხმის საკითხი. ამ კონტექსტში ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის დროს, იქ მყოფ გაეროს სამშვიდობოებზე სერბები პერიოდულად აწყობდნენ თავდასხმებს, მათ მიმართ ახორციელებდნენ სასურსათო ბლოკადას, მძევლად აჰყავდათ საერთაშორისო კონტინგენტის ჯარისკაცები და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასეთი შემთხვევების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ბოსნიელმა სერბებმა ძალით დაიკავეს გაეროს "უსაფრთხოების ზონები" (რასაც მაჰმადიანთა გენოციდი მოჰყვა), მას შემდეგ, რაც ამ საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელა გაეროს უშიშროების საბჭომ და მიიღო შესაბამისი დადგენილებები, მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ, ნატომ — მაშინ 16 სახელმწიფოს გაერთიანებამ დაიწყო საჰაერო დარტყმები ბოსნიელი სერბების წინააღმდეგ იქ, სადაც ისინი გაეროს "უსაფრთხოების ზონებს" ემუქრებოდნენ.

2008 წლის აგვისტოში კი კრემლმა, მას შემდეგ, რაც ერთპიროვნულად, სასწრაფოდ "დაადგინა", რომ რუსეთის სამშვიდობოებს ცხინვალში ქართულმა შენაერთებმა გაუხსნეს ცეცხლი, ასევე ერთპიროვნულად და სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება (რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან რაიმე კონსულტაციის გარეშე) და ყველა ძირითადი საერთაშორისო ნორმის დარღვევით სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ.

კრემლის ასეთი ქმედება კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კონფლიქტის ზონებში განლაგებუ-

ლი რუსეთის ე.წ. "სამშვიდობოები" წლების განმავლობაში არღვევდნენ მათი მანდატით გათვალისწინებულ ნორმებს, სახელდობრ, მონაწილეობდნენ კონტრაბანდულ გარიგებებში, კონტრაბანდული ტყვრთის, მათ შორის იარაღის გადაზიდვაში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი, სამხედრო ტექნიკით, გამოდიოდნენ კონფლიქტის ზონიდან და ატერორებდნენ, ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას (ასეთი ფაქტები მრავლადაა დაფიქსირებული საქართველოში მაშინ მოქმედ გაეროსა და ეუთოს მისიების მიერ).

10) ცალკე საკითხად უნდა გამოვყოთ დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. ბოსნია-ჰერცეგოვინის ომის დროს თითქმის 2,2 მილიონი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი. ამათგან დაახლოებით ნახევარი იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა თვით ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მეორე ნახევრიდან კი 580 ათასმა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნახა დროებითი თავშესაფარი, 635 ათასმა — ევროპაში.

1996-1997 წლებში 376 900 იძულებით გადაადგილებული პირი ანუ მთლიანი რაოდენობის 17,13% დაბრუნდა საკუთარ სახლში (პირველი ნახევრიდან 204 ათასი, ხოლო მეორე ნახევრიდან — 172 900). თუმცა, ეს არ იყო საკმარისი, რადგან, როგორც ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციაში, ასევე რესპუბლიკა სრპსკაში, თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი (თითოეულში) ისევ დევნილად რჩებოდა.

საყურადღებოა, რომ ომის დასრულების შემდეგ, მხოლოდ 1996 წელს, გაეროს მიერ შერჩეულ პრიორიტეტულ 22 მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ფონდების დაფინანსებით 23 800 საცხოვრებელი ობიექტი გარემონტდა, რაზეც 270 მლნ დოლარი დაიხარჯა (ამ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე კიდევ 66 ათას საცხოვრებელს ესაჭიროებოდა აღდგენა-შეკეთება).

საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ დაბრუნების პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა და დევნილები ერთსა და იმავე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. იმ დროისათვის დევნილთა მხოლოდ 35-მა ათასმა ანუ 9%-მა გაბედა დაბრუნება იქ, სადაც ისინი ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ.[15]

დევნილების დაბრუნების დინამიკა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მომდევნო წლებშიც შენარჩუნდა და 2002 წლის ოფიციალური მონაცემებით უკვე 900 ათასი ადამიანი იყო დაბრუნებული, რის გამოც გაეროს მაშინდელმა უმაღლესმა წარმომადგენელმა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

15 http //assembly coe int/documents/adopteditext/ta98/erec1357 htm#1

პელი ეშღოუმ განაცხადა: "აქ ჩვენ შევქმენით ადამიანის ახალი უფლება, ომის შემდეგ შინ დაბრუნების უფლება".[16]

სამწუხაროდ, საქართველოს, უპირველესად კი, აფხაზეთის შემთხვევაში დევნილთა დაბრუნების საკითხი ძალზე შორსაა ბოსნია-ჰერცეგოვინის დამაიმედებელი პრეცედენტისგან და აქ "ომის შემდეგ შინ დაბრუნების უფლება" ომიდან 17 წლის შემდეგაც კი არ არსებობს. აფხაზეთიდან დევნილი დაახლოებით 240 ათასი ქართველიდან ოფიციალურად, გაეროს ეგიდით, დაბრუნებული და რეგისტრირებულია მხოლოდ 312 ანუ მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 0,13% (არაოფიციალურად, აფხაზეთში რამდენიმე ათეული ათასი ქართველი იმყოფება, მაგრამ მათ უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნიათ, ისინი მოკვლის, დაპატიმრების, წაბების, გაძარცვის, შეურაცხყოფის მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და ასეთი ფაქტები უამრავია). ამ ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ, როცა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს მთლიანად რუსეთის ჯარები აკონტროლებენ.

ქართველი დევნილების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება აფხაზეთში არ არის დაკავშირებული რაიმე სახის ეთნიკური დაპირისპირების საფრთხესთან, რადგან, მაგალითად, გალისა და ოჩამჩირეს რაიონების უდიდესი ნაწილი, ისევე როგორც კოდორის ხეობა, მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული და ამჟამად, ფაქტობრივად, დაცარიელებულია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტმა ნათლად დაადასტურა ერთი რამ — გენოციდის ან ეთნიკური წმენდის მსგავს დანაშაულთა ჩადენისთვის აუცილებელ "ხელსაყრელ გარემოს" ქმნის საერთაშორისო საზოგადოების პასიურობა. რასაკვირველია, გაერო რომ უფრო აქტიური ყოფილიყო და ნატოსთვის უფრო ადრე მიენიჭებინა საჰაერო დარტყმების განხორციელების უფლება, ბოსნიელ სერბებს დაუსჯელობის განცდა არ გაუჩნდებოდათ და სრებრენიცის მსგავსი ტრაგედიები თავიდან იქნებოდა აცილებული.

საქართველოს ხელისუფლება მუდმივად მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო მეტი აქტიურობისკენ, რათა დააჩქაროს კონფლიქტთა მოგვარების პროცესის ინტერნაციონალიზაცია. საქართველოს ხელისუფლება მოითხოვდა და ახლაც მოითხოვს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩადენილ დანაშაულთა, უპირველესად, ეთნოწმენდის ფაქტების საერთაშორისო გამოძიებას და ამ მიმართულებით ერთ-ერთ შესაძლო ნაბიჯად, ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეცედენტის მსგავსად, სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას

16 http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?id=1473&l=1

მიიჩნევს (ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. გვ. 633). საქართველოს ხელისუფლება ასევე ყოველმხრივ მიესალმება საერთაშორისო (ევროკავშირის) სადამკვირვებლო მისიის ფუნქციათა გაფართოებას საქართველოს ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაშიც, ჩვენთვის მთლიანად მისაღებია, მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინაში უკვე აპრობირებული საერთაშორისო საპოლიციო ძალების (IPTF) მსგავსი მოდელის გამოტანა საქართველოში. თუმცა ყველა ეს კონსტრუქციული ინიციატივა დღემდე კატეგორიულ წინააღმდეგობას აწყდება კრემლის მხრიდან, რაც საერთაშორისო ორგანიზაციათა (მაგ. გაეროს) ქმედითობაზეც ახდენს გავლენას. ცხადია, ბოსნია-ჰერცეგოვინის ომის დროსაც გაეროს პასიურობას, უწინარესად, კრემლის ფაქტორი განსაზღვრავდა.

ხაზგასასმელია, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტში კრემლი მხოლოდ სერბების მომხრე იყო, საქართველოს შემთხვევაში კი ის უშუალოდ არის კონფლიქტის მონაწილე; ამავე დროს, 90-იან წლებში რუსეთის პრეზიდენტი ელცინი იყო, დღეს კი პუტინ-მედვედევის დუეტი, რომელიც ელცინზე გაცილებით უფრო ამბიციურ და აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს. საკმარისია ითქვას, რომ 2010 წლის 5 თებერვალს პრეზიდენტ მედვედევის მიერ დამტკიცებული რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებს, "რუსეთის მოქალაქეების ინტერესთა დაცვის მიზნით" რუსეთის შეიარაღებული ძალების "ოპერატიულ გამოყენებას რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ" (თანაც, ასეთ გადაწყვეტილებას რუსეთის პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს).[17] კრემლის მიერ შეიარაღებული ძალების "ოპერატიული გამოყენების" შესახებ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის ფლოტის მეთაურის, ვ. ვისოცკის სიტყვები, რომლებიც მან ფრანგულ სამხედრო ხომალდ "მისტრალის" შეძენასთან დაკავშირებით გამოთქვა: "ამ გემით ჩვენს ჯარებს საქართველოში 40 წუთში გადავსხამდით" (იგულისხმება 2008 წლის აგვისტოს ომი).[18]

უფრო მეტიც, 2009 წლის ოქტომბერში, რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის პროექტზე საუბრისას, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ პროექტის თანახმად: "ეროვნული უსაფრთხოების მხრივ კრიტიკულ ვითარებაში გამორიცხული არ არის გამაფრთხილებელი (პრევენტული) ბირთვული დარტყმის განხორციელება აგრესორის მიმართ".[19]

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ 2008 წლის აგვისტოში კრემლმა "აგრე-

17 http://news.kremlin.ru/ref_notes/461

18. http://n-europe.eu

19. http://www.izvestia.ru/politic/article3134180/

სორად" საქართველოს ხელისუფლება გამოაცხადა და ამ საბაბით დაიწყო სრულმასშტაბიანი ინტერვენცია საქართველოში.

პატრუშევის განცხადების პასუხად პილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ ამერიკის სამხედრო დოქტრინაში "ასეთი რამ არ არის" (იგულისხმება "პრეევენტული ბირთვული დარტყმა").[20]

ანალიტიკოსთა აზრით, სწორედ აშშ-ის მკვეთრი პოზიციის გამო, საბოლოოდ, კრემლმა ამოიღო "პრეევნციული ბირთვული დარტყმის" პუნქტი თავისი ახალი სამხედრო დოქტრინიდან, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ როგორც საპასუხო რეაქციას "ბირთვულ ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღით განხორციელებულ შეტევაზე" ან იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მიმართ "აგრესია ჩვეულებრივი შეიარაღებით ხდება", მაგრამ ეს "საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოს არსებობას".[21]

ბუნებრივია, ზემოხსენებული ფაქტორები კიდევ უფრო ართულებს კრემლის იძულებას, რომ ის დათმობებზე დათანხმდეს, და სწორედ ასეთ კონტექსტში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი, მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბება; როდესაც ეუთოსა და ევროსაბჭოს მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საერთაშორისო სასამართლოებიც დაადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოწმენდის ფაქტებს, გამოიძიებენ კონკრეტულ საქმეებს და ბრალს წაუყენებენ კონკრეტულ სამხედრო დამნაშავეებს (განურჩევლად მათი ეროვნებისა). ამასთან ერთად, როდესაც სრულად გამოაშკარავდება 2008 წლის სამხედრო აგრესიისა და სამხედრო დანაშაულთა დეტალები, როცა გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ოფიციალურად აღიარებენ, რომ 2008 წელს რუსეთმა სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და მიზანმიმართულად, აქტიურად დაიწყებენ საქართველოს დეოკუპაციის საკითხზე მუშაობას, კრემლი ვეღარ შეძლებს დიდხანს დაუპირისპირდეს საერთაშორისო საზოგადოების ერთსულოვან მოთხოვნას. იგი იძულებული გახდება შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების პირობები და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან; ასევე, ევროსაბჭოს რეზოლუციათა (1633 (2008), 1647, 1683 (2009)) მოთხოვნის შესაბამისად, უკან წაიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის "დამოუკიდებლობის" ცნობა ანუ გააუქმოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც "დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარა საქართველოს ორ რეგიონი, სადაც ეთნოწმენდა განხორციელდა.

20 http://echo.msk.ru/programs/beseda/626471-echo.phtml

21 http://news.kremlin.ru/ref_notes/461

კოსოვო (ყოფილი იუგოსლავია)

ფართობი — 10 887 კმ²;

მოსახლეობა — 1,9-2,2 მილიონი (2005);

ეთნიკური შემადგენლობა: ალბანელი — 92%, მართლმადიდებელი სერბი — 4%, მუსლიმანი სერბი — 2%, ბოშა — 1%, სხვა ეთნოსები — 1%.

ვალუტა — ევრო.

ბერძნები და რომაელები ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის — ილირიის (რომელიც დღევანდელი კოსოვოს ტერიტორიასაც მოიცავდა) უძველეს მოსახლეობას ილირიელებს უწოდებდნენ. ალბანელები ამტკიცებენ, რომ ისინი ილირიელების პირდაპირი შთამომავლები არიან. სერბი მეცნიერები კი ალბანელების წარმოშობას უკავშირებენ, ერთი მხრივ, მომთაბარე ტომებს და, მეორე მხრივ, არარომანიზებულ ილირიელ-დარდანელებს (მე-4 საუკუნეში, ახლანდელი კოსოვოს ტერიტორია რომაულ პროვინცია დარდანიის ნაწილი იყო).

VI-X სს. — სლავებმა გადაკვეთეს მდინარე დუნაი და თანდათან ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით დაიწყეს მოძრაობა, რასაც მოჰყვა ილირიელთა ნაწილის ასიმილაცია, ნაწილი კი იძულებული გახდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაენაცვლებინა (მოგვიანებით ამ ტერიტორიას „ძველი სერბია" ეწოდა და კოსოვო სწორედ მისი შემადგენელი ნაწილია). ილირიის დაკავების შემდეგ სლავებიც სამხრეთ-აღმოსავლეთით დაიძრნენ, რის გამოც ილირიელები კიდევ უფრო სამხრეთით, ნახევარკუნძულის მთიან რაიონებში, დღევანდელი ალბანეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ (საყარაულოდ, ასეთია ილირიელებისა და ალბანელების ნათესაური კავშირი).[1]

XI ს. — ბიზანტიურ წყაროებში ილირიული ენა უკვე ალბანურად მოიხსენიება და ალბანური კულტურა ბიზანტიურ-მართლმადიდებლური კულტურის ნაწილია. ამავე საუკუნის დასასრულს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია (კოსოვოს ჩათვლით), უკვე მთლიანად სლავების ხელშია.

1190 — კოსოვო გახდა ნემანიჩების დინასტიის ძლიერი სერბული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-კულტურულ-რელიგიური ცენტრი. აქ აშენდა ცნობილი სერბული მართლმადიდებლური ტაძრები.

1352 — ოსმალებმა გადმოკვეთეს დარდანელის სრუტე და აქტიურად დაიწყეს წინსვლა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასაპყრობად. ამ მიზნის მიღწევაში მათ დიდად დაეხმარა ბიზანტიური, ბულგარული და სერბული სამეფოებისა თუ სამთავროების შინაუთანხმოებები და

1. http://www.scribd.com/doc/17305296/Albanians-and-Serbs-in-Kosovo

ურთიერთდაპირისპირება.

1389 — 15 ივნისს კოსოვოს ველზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა სერბებსა და ოსმალებს შორის. სულთან მურადის 27-30-ათასკაციან არმიას ლაზარე ნემანიჩმა 15-20-ათასკაციანი ლაშქარი დაუპირისპირა, რომელშიც სერბებთან ერთად ბულგარელები, ალბანელები და უნგრელებიც იყვნენ. ორიენ მეთაური ბრძოლაში დაიღუპა. სერბები დამარცხდნენ, რაც, გარკვეულწილად, ისევ და ისევ შინაუთანხმოებით იყო გამოწვეული.

კოსოვოს ველზე დამარცხებას მოჰყვა ოსმალების თითქმის ხუთსაუკუნოვანი ბატონობა. აჯანყებებისა და დიდი სისხლისღერის ფასად სერბებმა მხოლოდ 1878 წელს შეძლეს სახელმწიფოებრიობის აღდგენა. სწორედ ასეთი ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე აქვს კოსოვოს მიწას განსაკუთრებული მნიშვნელობა მათთვის.

XV საუკუნე — დაიწყო ალბანელების მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფების დაბრუნება კოსოვოში (სიტყვა „დაბრუნება" გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ალბანელები მართლაც ილირიელთა შთამომავლები არიან). ამ დროს ალბანელების უდიდესი უმრავლესობა ჯერ კიდევ მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და სერბების გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდა.

XVII საუკუნე — რელიგიური მრწამსის შენარჩუნების მიზნით, სერბმა პატრიარქმა მოუწოდა თავის მრევლს დაეტოვებინა კოსოვო და ჩრდილოეთით, ბელგრადის შემოგარენში დასახლებულიყო. სერბების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პერიოდში გადასახლდა კოსოვოდან. ეს პროცესი „დიდი მიგრაციის" სახელით დამკვიდრდა სერბიის ისტორიაში. კოსოვოს გათავისუფლებული მიწების ათვისება სწრაფად დაიწყეს ალბანელებმა, რომელთაგან ბევრს უკვე მიღებული ჰქონდა ისლამი.

1871 — სამხრეთ კოსოვოს ქალაქ პრიზრენში გაიხსნა სერბული სასულიერო სემინარია, რითაც მკაფიოდ დადასტურდა ბალკანეთზე ოსმალეთის გავლენის დასასრულის მოახლოება და სერბების სწრაფვა კოსოვოში ძველი პოზიციების აღდგენისკენ.

1878 — რუსეთთან ომში დამარცხების შედეგად და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად, ოსმალეთი იძულებული გახდა ეცნო სერბიის დამოუკიდებლობა.

იმავე წელს კოსოვოს მაჰმადიანმა ალბანელებმა პრიზრენში დააფუძნეს „პრიზრენის ლიგა", რომელიც მიზნად ისახავდა კოსოვოს ავტონომიური სტატუსის მიღწევას და ალბანური ენისა და კულტურის შენარჩუნებას. სერბების ექსპანსიის შიშით და რელიგიური ორიენტაციიდან გამომდინარე, „პრიზრენის ლიგა" მხარს უჭერდა კოსოვოს

დარჩენას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. სერბული წყაროების ცნობით, შემდგომ ათწლეულებში ლიგა აიძულებდა კოსოვოელ სერბებს დამოუკიდებელ სერბიაში გადასახლებულიყვნენ.

1912 — დაიწყო ბალკანეთის პირველი ომი, რომელშიც მაჰმადიანი ალბანელები ოსმალების მოკავშირეები იყვნენ ქრისტიანი სერბების, ბულგარელების, ბერძნებისა და ჩერნოგორიელების წინააღმდეგ ბრძოლაში (ამ დროს კოსოვოში, ძირითადად, ალბანელები ცხოვრობდნენ). ოსმალეთი ამ ომში დამარცხდა, რასაც მოჰყვა კოსოვოს დაკაებება სერბების მიერ და, ალბანური წყაროების ინფორმაციით, დიდი მსხვერპლი კოსოვოს მოსახლეობაში.

1913 — 30 მაისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება, რითაც დასრულდა ბალკანეთის პირველი ომი და, სწორედ ამ შეთანხმების შედეგად, კოსოვო სერბეთს მიეკუთვნა. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო სერბების მასობრივად ჩასახლებას კოსოვოში (იმავე ლონდონის ხელშეკრულებით, ალბანეთი საერთაშორისოდ აღიარებული, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა).

1915 — პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, სერბიის არმია, რომელიც ანტანტა-რუსეთის მოკავშირე იყო, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის ჯარების ერთიანი შეტევის გამო, იძულებული გახდა, კოსოვოსა და ალბანეთის გაელით, უკან დაეხია და ბალკანეთის ნახევარკუნძული დაეტოვებინა ფრანგულ-ინგლისური ფლოტის მეშვეობით (უკან დახევისას არმიას თან გაჰყვა სერბული მოსახლეობის ნაწილი, ათეულობით ათასი ადამიანი; არმიის რეორგანიზაცია და მისი ბრძოლისუნარიანობის აღდგენა კი მოხდა ისევ მოკავშირეთა აქტიური დახმარებით 1916 წელს, ბერძნულ კუნძულ კორფუზე). სერბეთში გავრცელებულ ტიფის ეპიდემიასა და შემდეგ სერბული არმიის "დიდ უკან დახევას" 1915 წელს 200 ათასზე მეტი სერბის სიცოცხლე შეეწირა.

1918 — პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დამარცხების შედეგად, კოსოვოში ისევ სერბული არმია განლაგდა, რასაც კოსოვოელ ალბანელთა პარტიზანულ ჯგუფებთან შეტაკებების ხანგრძლივი პერიოდი მოჰყვა.

1 დეკემბერს, როცა გამოცხადდა „სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს" დაფუძნების შესახებ, 12 მილიონიანი მთლიანი მოსახლეობიდან დაახლოებით 400 ათასი ალბანელი იყო და ისინი კოსოვოს მოსახლეობის 64%-ს შეადგენდნენ (სერბული წყაროების თანახმად კი, პირიქით, მეორე მსოფლიო ომამდე კოსოვოში სერბული უმრავლესობა იყო, რომელიც 1929 წელს 61%-ს აღწევდა).[2] კოსოვოე-

2. http://www.fact-index.com/k/ko/kosovo_population_data_points.html

ლი ალბანელები ამტკიცებენ, რომ 1918-1941 წლებში, კოსოვოს ტერიტორიიდან, ფაქტობრივად, გაძეეებულ იქნა 200 ათასამდე მუსლიმანი ალბანელი (მათმა შთამომაელებმა მრავალრიცხოვანი დიასპორა შექმნეს თურქეთში).

1941 — მას შემდეგ, რაც იუგოსლავია ფაშისტური გერმანიისა და იტალიის მიერ იქნა ოკუპირებული და დანაწევრებული, კოსოვო ალბანეთს გადაეცა (ამ დროს ალბანეთიც უკვე იტალიას ჰქონდა დაკავებული) და მის დიდ ნაწილზე ალბანეთ-იტალიის ჯარები განლაგდნენ, თუმცა მცირე ტერიტორიას გერმანელები აკონტროლებდნენ. ამ პერიოდში კოსოველი სერბების მიმართ მრავალი მძიმე დანაშაული იქნა ჩადენილი ალბანურ-იტალიურ-გერმანული სამხედრო შენაერთების მიერ და განადგურებულ ან გაქცეულ სერბთა ნაცვლად ათეულობით ათასი ალბანელი ჩასახლდა კოსოვოში.

1945 — მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებისა და ასევე დასავლეთის დახმარებით, ბროზ ტიტოს კომუნისტურმა პარტიამ თავისი ძალაუფლება დაამყარა იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ტიტოს ჯარებმა კოსოვოში განახორციელეს ფართომასშტაბიანი ჩხრეკა და აქაურ მოსახლეობას იარაღი ჩამოართვეს (ომის დროს ალბანელები, ძირითადად, ფაშისტების მხარეს იბრძოდნენ და, აქედან გამომდინარე, ბელგრადი მათ არ ენდობოდა). ეს პროცესი კოსოველი ალბანელების — კოსოვარების შეიარაღებულ ჯგუფებთან შეტაკებებსა და ამ უკანასკნელთა აჯანყებაში გადაიზარდა. ალბანური წყაროები ამტკიცებენ, რომ აჯანყების ჩახშობასა და შემდგომ რეპრესიებს 45 ათასზე მეტი კოსოვარის სიცოცხლე შეეწირა.

1946 — ერთიანი იუგოსლავიის ფედერაციის კონსტიტუციით, 5 ეროვნება (ეთნოსის გაგებით) იქნა აღიარებული: სერბები, ხორვატები, სლოვენები, ჩერნოგორიელები და მაკედონიელები. ფედერაციის სუბიექტის სტატუსი მიენიჭა 6 რესპუბლიკას: სერბიას, ხორვატიას, სლოვენიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას, ჩერნოგორიასა და მაკედონიას. კოსოვო არ იქნა აღიარებული რესპუბლიკად და მისი სტატუსი განისაზღვრა, როგორც „ავტონომიური ოლქი" («округ») „სერბიის სახალხო რესპუბლიკის" შემადგენლობაში.

1948 — მას შემდეგ, რაც ტიტომ „სტალინის კურს" გადაუხვია და სსრკ-გან დისტანცირება დაიწყო (ხოლო ალბანეთი სტალინის ერთგული დარჩა), კოსოვოში დაიწყო ანტიალბანური რეპრესიების ახალი ტალღა „სტალინისტობის" ბრალდებით.

1963 — იუგოსლავიის ახალი კონსტიტუციით, კოსოვოს სტატუსი

ამაღლდა და სერბეთის მეორე ავტონომიის — ვოევოდინის მსგავსად, მასაც „ავტონომიური მხარე" („პოკრაინა") ეწოდა.

1967 — ტიტო პირველად ჩავიდა კოსოვოში. მან კოსოვოს მმართველობიდან გაათავისუფლა ალექსანდრე რანკოვიჩი, რომელიც სერბული „ცენტრალიზმის" აქტიურ მომხრედ და კოსოველ ალბანელთათვის ყველაზე საძულველ ფიგურად ითვლებოდა. ასეთმა ნაბიჯმა და ასევე განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებულმა „პროალბანურმა" ცვლილებებმა კოსოვარების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია (სწორედ ტიტოს ვიზიტის შემდეგ, 1970 წელს გაიხსნა პრიშტინის უნივერსიტეტი, რომელიც, მოგვიანებით, კოსოველ ალბანელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ერთ-ერთ უმთავრეს კერად იქცა).

1974 — მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმად, კოსოვოს (და ასევე მეორე ავტონომიის — ვოევოდინის) სტატუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა და, ფაქტობრივად, გაუთანაბრდა ფედერაციის შემადგენელი სუბიექტების — რესპუბლიკების სტატუსს (თუ არ ჩავთველით ფედერაციიდან გასვლის უფლებას). ამის შედეგად ექვსწევრიანი ფედერაცია, არსებითად, რვაწევრიანი გახდა.

კონსტიტუციის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შედგება: „სოციალისტური რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინის, სოციალისტური რესპუბლიკა მაკედონიის, სოციალისტური რესპუბლიკა სერბიის, ასევე სერბიის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სოციალისტური ავტონომიური მხარე ვოევოდინისა და სოციალისტური ავტონომიური მხარე კოსოვოსაგან, სოციალისტური რესპუბლიკა ხორვატიისა და სოციალისტური რესპუბლიკა ჩერნოგორიისაგან".[3]

როგორც ეხედავთ, ორივე ავტონომიური მხარე დასახელებულია რესპუბლიკების გვერდით; ისინი არა მხოლოდ სერბეთის, არამედ უშუალოდ ფედერაციის შემადგენელ ნაწილებად არიან მოხსენიებული, რაც, გარკვეულწილად, ნიშნავდა ავტონომიების ფედერალური დაქვემდებარების სუბიექტებად გარდაქმნას და ეს ცვლილება მათი რეალური უფლებამოსილების გაფართოების აშკარა გამოხატულება იყო. მათ მიიღეს თავიანთი კონსტიტუციები (1974 წლის კონსტიტუცია არის კოსოვოს პირველი კონსტიტუცია); მათი წარმომადგენლობა ფედერალურ ორგანოებში გაუთანაბრდა რესპუბლიკათა წარმომადგენლობებს. ფედერალურ პრეზიდიუმში მიიღეს საკონსტიტუციო ვეტოს უფლება ყველა სფეროში, გარდა ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და ფედერალ-

3 http://www.sovetika.ru/sfrj/konst01.htm

ური საკუთრებისა. ამავე დროს, მიიღეს სრული საკონსტიტუციო ვეტოს უფლება სერბიის კონსტიტუციის მიმართ ანუ სერბიის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ვერ მოხდებოდა ავტონომიების სკუპშჩინათა თანხმობის გარეშე. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, მათ შექმნეს თავიანთი უმაღლესი სასამართლო და ეროვნული ბანკი. სერბეთის ავტონომიურ მხარეებს გადაეცათ იმ ფინანსური ფონდების განკარგვის უფლებაც, რომლებიც მანამდე მხოლოდ ფედერალურ დაქვემდებარებაში იყოფებოდნენ. ალბანური ენა ერთ-ერთ ოფიციალურ ენად გამოცხადდა.

კოსოვოს უფლებამოსილების ზრდას თან ერთვოდა აქაურ მოსახლეობაში ალბანელების პროცენტული მაჩვენებლის განუხრელი ზრდა სერბებთან შედარებით (სერბები ტოვებდნენ პროვინციულ კოსოვოს და იუგოსლავიის ცენტრალურ ქალაქებში სახლდებოდნენ, გარდა ამისა, ალბანური მოსახლეობა მრავალშვილიანობით გამოირჩეოდა).

1981 წლისთვის 100 ათასამდე სერბი გადასახლდა კოსოვოდან, ალბანელთა რაოდენობა კი პირიქით — იზრდებოდა, რის შედეგადაც, ალბანელები უკვე კოსოვოს მოსახლეობის 77%-ს შეადგენდნენ (1961 წელს 67% იყო).

1980 — გარდაიცვალა ბროზ ტიტო (იოსიპ ბროზი). ალბანელებმა ტიტოს სიკვდილი აღიქვეს, როგორც მათი მფარველის დაკარგვა.

1981 — კოსოვოში სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციების ტალღა „აგორდა". აქციები პრიშტინას უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით დაიწყო. უნდა ითქვას, რომ იმ დროს კოსოვო ერთგვარ „სტუდენტურ ბუმს" განიცდიდა (მოსახლეობის დაახლოებით 28% სტუდენტი იყო), პრიშტინას გაღავსებული უნივერსიტეტი კი სწავლების პირობებისა თუ ხარისხის მხრივ, ბევრად ჩამორჩებოდა საერთო იუგოსლავურ დონეს. შესაბამისად, კოსოვოელ სტუდენტთა პრეტენზიები, უპირველესად, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. მიტინგებსა და დემონსტრაციებში სულ უფრო მეტი ხალხი მონაწილეობდა და უკვე გამოჩნდა ეთნიკურ პრობლემათა აქტუალიზაციისკენ მიმართული ლოზუნგები: „კოსოვო — რესპუბლიკა", „ჩვენ ალბანელები ვართ და არა იუგოსლავები".

სტუდენტთა დემონსტრაციებს მალე საერთო მღელვარება მოჰყვა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე სერბსა და ჩერნოგორიელს სცემეს, ხოლო მათი სახლები და მაღაზიები დაარბიეს, ავტონომიური რეგიონის ტერიტორიაზე ძალოვანი სტრუქტურების დამატებითი ძალები შეიყვანეს და ვითარების ჩაწყნარება მხოლოდ ამ გზით მოხერხდა (80-იან წლებში

კოსოვოში ოთხჯერ შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა). ამ მოვლენების შემდეგ კოსოვოში მცხოვრები სერბები, ჩერნოგორიელები და მაკედონიელები, გარკვეულწილად, მაინც შიშის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ, რამაც, გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ერთად, ხელი შეუწყო მათ მიგრაციას კოსოვოდან (ეთნიკური შემადგენლობის მხრივ, 1981 წლის მონაცემებით, რეგიონის თითქმის 1,6 მილიონიანი მოსახლეობიდან 1,23 მლნ. (77%) ალბანელი იყო, დაახლოებით 280 ათასი (12%) — სერბი). აქვე უნდა ითქვას, რომ კოსოვოს არასოდეს ჰქონია (თუნდაც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში) ისეთი ფართო ავტონომიური უფლებები, როგორც ეს იყო 1974 წლიდან თითქმის 80-იანი წლების ბოლომდე. მეორე მხრივ, იუგოსლავიის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა (იუგოსლავიის ვალი დასავლეთის ქვეყნებისადმი 1975 წელს 6 მლრდ. დოლარი იყო, 80-იანი წლების შუა პერიოდში კი ამ მაჩვენებელმა უკვე 19 მლრდ-ს მიაღწია). ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებული სლოვენია და ხორვატია იყო, რასაც დიდად უწყობდა ხელს ტურიზმის განვითარების მაღალი დონე ამ რესპუბლიკებში. პროვინციულ-აგრარული კოსოვოსთვის კი განსაკუთრებით მტკივნეული იყო სახელმწიფო დაფინანსების ყოველწლიური შემცირება, რაც, ცხადია, კოსოვოს მოსახლეობის განწყობაზეც აისახებოდა.

1986 — კოსოველი სერბების მხარდასაჭერად სპეციალური მემორანდუმი გამოაქვეყნეს სერბიის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა და კოსოვოს ავტონომიის გაუქმება მოითხოვეს. მეორე მხრივ, ამ დროისათვის „კოსოვოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" სახელით კოსოვოში უკვე მოქმედებდნენ აქაურ ალბანელთა ჯგუფები.

1987 — აპრილში მილოშევიჩი პირველად ჩაიდა კოსოვოში. იგი ამ დროს სერბეთის კომპარტიის ორთოდოქსულ ფრთას მეთაურობდა (მილოშევიჩი რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტის, ივან სტამბოლიჩის პროტეჟედ ითვლებოდა და, 1987 წლის ბოლოს, სწორედ მისგან „ჩაიბარა" ეს პოსტი).

1988 — ნოემბერში მეშახტეთა გაფიცვა დაიწყო, რომელსაც მთელ კოსოვოში მასობრივი, ხუთდღიანი დემონსტრაციები მოჰყვა (აქციებში 100 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა).

1989 — თებერვალში იუგოსლავიის ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხეს პოპულარული ლიდერი, ეთნიკურად ალბანელი, აზემა

ვლასი. ვლასის მხარდასაჭერად კოსოვოში ისევ დაიწყო მეშახტეთა გაფიცვა, რასაც ქვეყნის მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

3 მარტი — იუგოსლავიის პრეზიდიუმმა „საგანგებო ზომები" შემოიღო კოსოვოში, რის შედეგადაც, ავტონომიურ მხარეში წესრიგის უზრუნველყოფა შესაბამის ფედერალურ სტრუქტურებს დაეკისრათ (და არა სერბეთის მთავრობას).

23 მარტი — კოსოვოს ასამბლეამ (სკუპშჩინამ) განიხილა სერბეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული შესწორებები სერბეთის კონსტიტუციაში (ამ შესწორებების მიხედვით, კოსოვო კარგავდა ყველა იმ უფლებას, რომელიც მას 1974 წლის კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული). პროტესტის ნიშნად ასამბლეის წევრთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში და ცვლილებათა დასამტკიცებლად აუცილებელი ხმათა ორი მესამედი ვერ მოგროვდა. მიუხედავად ამისა, ასამბლეის სპიკერმა საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებულად გამოაცხადა.[4]

28 მარტი (1989) — სერბეთის სკუპშჩინამ დაამტკიცა ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებები და მთლიანად თავისი დაქვემდებარების ქვეშ მოაქცია კოსოვო, რომლის ავტონომიური უფლებები მაქსიმალურად შეიზღუდა. ამას მოჰყვა მილოშევიჩის მიერ გამოცხადებული ე.წ. „ანტიბიუროკრატული რევოლუცია" და ამ პროცესში სახელმწიფო სამსახურიდან დაახლოებით ასი ათასი კოსოველი ალბანელის გათავისუფლება (ზოგმა პროტესტის ნიშნად დატოვა თანამდებობა).

28 ივნისი — კოსოვოს ველზე გრანდიოზული მიტინგი გაიმართა, რომელიც 1389 წლის ცნობილი ბრძოლის 600 წლისთავს მიეძღვნა. მიტინგზე მილოშევიჩმა კოსოველ სერბებს მიმართა და განაცხადა, რომ „ამიერიდან ვეღარავინ შეძლებდა მათ ცემას". მრავალათასიანი მიტინგები გაიმართა მთელი სერბიის ტერიტორიაზე. ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ხდებოდა კონკრეტული ლოზუნგით: „ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს სერბიის გამთლიანება-უნიფიკაციას". ორი ავტონომიური რეგიონი, რომლებიც 1974 წლის კონსტიტუციით, ფაქტობრივად, ფედერალურ სტრუქტურებს წარმოადგენდა, „უნიფიკაციის" შედეგად სერბეთის მთავრობას დაექვემდებარა. ამ ფაქტმა მილოშევიჩს დიდი პოპულარობა მოუტანა. სერბებისთვის ის გახდა პირველი სერბი ლიდერი (ბროზ ტიტო მამით ხორვატი იყო, დედით კი სლოვენი), რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი აქცენტი სერბებისა და სერბიის (და არა იუგოსლავიის) ინტერესებზე გადაიტანა.

1990 — იანვრიდან კოსოველ ალბანელთა დემონსტრაციები სულ

4 http://www.icty.org/x/cases/slobodan_milosevic/ind/en/mil-2ai011029e.htm

უფრო მასშტაბური ხდებოდა. ისინი 1989 წლის 3 მარტს შემოღებულ „საგანგებო ზომების" გაუქმებას მოითხოვდნენ.

1 თებერვალი — დემონსტრანტებსა და მხარის ტერიტორიაზე შეყვანილ იუგოსლავიის ძალოვან სტრუქტურათა შენაერთებს შორის შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც 31 ადამიანი დაიღუპა და ასამდე დაშავდა.

აპრილში იუგოსლავიის ფედერაციის პრეზიდიუმმა გააუქმა „საგანგებო ზომები" და გაიყვანა ფედერალური ძალები კოსოვოდან. ამის შემდეგ სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააწესა პირდაპირი კონტროლი კოსოვოს ტერიტორიაზე.

2 ივლისი (1990) — სლოვენიამ მიიღო დეკლარაცია „რესპუბლიკა სლოვენიის სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ" და სლოვენიის პოლიციის ნაწილებმა დატოვეს კოსოვო. იმავე დღეს სერბეთის პოლიციამ კოსოვოს ავტონომიური მხარის სკუპშჩინის წევრების უმრავლესობა პარლამენტის შენობაში არ შეუშვა (ბელგრადის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის საფუძველზე). მიუხედავად ამისა, ალბანელი პარლამენტარები, რომლებიც არ ცნობდნენ მათი თანხმობის გარეშე კოსოვოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღებას, შენობის კიბეებზე შეიკრიბნენ და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს „საკონსტიტუციო დეკლარაცია", რომლითაც კოსოვო რესპუბლიკად გამოცხადდა ანუ კოსოვო „გამოეყო" სერბეთს, მაგრამ დარჩა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში.

5 ივლისი — სერბეთის სკუპშჩინამ ოფიციალურად დაითხოვა კოსოვოს ასამბლეა და იმ პერიოდში მის მიერ მიღებული დადგენილებები უკანონოდ ცნო. კოსოვოში სახელისუფლებო ფუნქციების შესრულება მთლიანად სერბეთის სკუპშჩინასა და მთავრობას დაეკისრა.

22 სექტემბერი — კოსოვოს ასამბლეის ალბანელი წევრები (ანუ წევრთა უმრავლესობა) ფარულად შეიკრიბნენ პრიშტინაში და „რესპუბლიკა კოსოვოს" დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მაშინ ეს რესპუბლიკა მხოლოდ ალბანეთმა ცნო.

28 სექტემბერი — ძალაში შევიდა სერბეთის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც, ფაქტობრივად, გააუქმა ავტონომიები სერბეთის რესპუბლიკაში, ხოლო კოსოვოს მართვა, საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, სერბეთის სკუპშინასა და მთავრობას დააკისრა. ამას მოჰყვა სრული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა კოსოვოში, სახელმწიფო სტრუქტურების ბოიკოტირება მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ალბანელების (კოსოვარების) მიერ. პედაგოგებმა უარი თქვეს ახალი პროგრამებით სწავლების გაგრძელებაზე. საპასუხოდ, ბელ-

გრაღმა დაფინანსება შეუწყვიტა ალბანურენოვან სკოლებს, რომლებიც, ფაქტობრივად, არალეგალურად განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. ამ დროიდან მხარის ტერიტორიაზე კოსოვოს სკუპშჩინის მიერ შეიქმნა „პარალელური სამთავრობო სტრუქტურები". მალე მთლიანად კოსოვოს საზოგადოება, ახალჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიების ჩათვლით, ეთნიკური ნიშნით, ორ ნაწილად გაყო. ბელგრადის დანიშნულ არჩევნებს კოსოველი ალბანელები უცხადებდნენ ბოიკოტს, ხოლო „კოსოვოს რესპუბლიკის" პარლამენტის მიერ დანიშნულ რეფერენდუმსა და არჩევნებს — კოსოველი სერბები.

1991 — სექტემბერში ალბანელმა კოსოვარებმა ჩაატარეს დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, ხოლო 1992 წელს — საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ალბანელთა მიერ პრეზიდენტად არჩეული მწერალი, იბრაჰიმ რუგოვა, ზომიერი ფრთის წარმომადგენელი იყო და ძალადობის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ თანდათან კოსოველ ალბანელთა შორის სულ უფრო იზრდებოდა რადიკალური „კოსოვოს განთავისუფლების არმიის" (კგა) მომხრეთა რიცხვი. 90-იანი წლებიდან, სსრკ-ისა და იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის პროცესის პარალელურად, კოსოვოს ალბანელ მოსახლეობაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა კოსოვოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ან ალბანეთთან გაერთიანებისა და „დიდი ალბანეთის" შექმნის იდეა (აღსანიშნავია, რომ მაკედონიის მოსახლეობის ერთი მეოთხედი ეთნიკურად ალბანელია). თუმცა, 1991-1992 და 1996-1997 წლებში ალბანეთში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური არეულობების შემდეგ, რასაც 1800-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ალბანეთთან გაერთიანების პერსპექტივას თავდაპირველი მიმზიდველობა დაეკარგა (1992 წელს კომუნისტური ერის დასრულების შემდეგ ალბანეთში სერიოზულ პრობლემად იქცა ასევე სისხლის აღების ტრადიცია, რომელმაც შემდგომ პერიოდში 9500 ადამიანი იმსხვერპლა).[5]

1996 — კოსოვოში განლაგებულ სერბეთის პოლიციის ქვედანაყოფებზე კგა-მ პირველი თავდასხმები განახორციელა.

1997 — ოქტომბერში სერბული პოლიციის მიერ აღკვეთილ (დარბეულ) იქნა კოსოველ სტუდენტთა დემონსტრაცია. კგა-მ ისევ განახორციელა საპასუხო თავდასხმა პოლიციაზე.

1998 — თებერვალ-მარტში სერბულმა პოლიციამ მოაწყო რეიდები კოსოვოს რეგიონ დრენიცაში, რის შედეგადაც დაიწვა სახლები, დაცარიელდა სოფლები და ათეულობით კოსოვარი იქნა მოკლული.

31 მარტი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1160,

5. http www nytimes com/2008/07/10/world/europe/10feuds html?_r=2

რომელშიც დაგმო „სერბული პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება სამოქალაქო პირთა და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ", ასევე კგა-ის ტერაქტები და იუგოსლავიის ფედერაციისთვის შეიარაღების მიწოდებაზე ემბარგო დააწესა.

აპრილი — სერბიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე მონაწილეთა 95% კოსოვოს პრობლემის მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციათა შუამავლობის წინააღმდეგი აღმოჩნდა.

ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი საკონტაქტო ჯგუფის წევრები (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია), ცხადია, რუსეთის გამოკლებით, დათანხმდნენ განეახლებინათ იუგოსლავიის მიმართ ბოსნიის ომის დროს მოქმედი სანქციების ნაწილი.

მაისი — პრეზიდენტ კლინტონის სპეციალური წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი ბელგრადში ჩავიდა და მისი აქტიურობის შედეგად გაიმართა მილოშევიჩისა და რუგოვას პირველი შეხვედრა. რამდენიმე დღის შემდეგ პრიშტინაში დაიწყო დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების მოლაპარაკებები, თუმცა ახალი შეიარაღებული შეტაკებების გამო ეს პროცესი ჩაიშალა.

16 ივნისი (1998) — პრეზიდენტი მილოშევიჩი მოსკოვში შეხვდა ელცინს და მათ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნა, რომ თანახმა არიან კოსოვოში მუშაობა დაიწყოს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ.

6 ივლისი — ამერიკისა და რუსეთის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით საქმიანობას შეუდგა „კოსოვოს დიპლომატიური სადამკვირვებლო მისია" (KDOM), რომლის ფუნქცია იყო კოსოვოს ტერიტორიაზე ჯავშანმანქანით პატრულირება და რეგიონში უსაფრთხოების პირობების, გადაადგილების თავისუფლების მეთვალყურეობა.

16 აგვისტო — კოსოვოს სოფელი იუნიკი დარბეულ იქნა სერბული საპოლიციო ძალების მიერ.

ზაფხულში დაახლოებით 250 000 ეთნიკური ალბანელი განდევნეს კოსოვოდან.

2 სექტემბერი — კლინტონ-ელცინის შეხვედრისას მადლენ ოლბრაიტისა და იგორ ივანოვის ერთობლივ განცხადებაში ბელგრადს მოუწოდეს შეეწყვიტა ძალადობა კოსოვოში, ხოლო ალბანელ კოსოვარებს — განეახლებინათ მოლაპარაკება სერბიის მთავრობასთან.

23 სექტემბერი (1998) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 1199, ჩინეთმა თავი შეიკავა), რომლის თანახმად, აღიარებული იყო იუგოსლავიის (სერბია-ჩერნოგორიის) სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ამასთანავე, იუგოსლავიის ხელისუ-

ფლებას უნდა შეესრულებინა საკონტაქტო ჯგუფის მიერ 12 იენისს შეთანხმებულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პირობები:

ა) უშიშროების ქვედანაყოფების მიერ კოსოვოს სამოქალაქო პირების მიმართ ყველა ქმედების შეწყვეტა და კოსოვოდან უშიშროების ძალების გაყვანა;

ბ) კოსოვოში ეფექტიანი და მუდმივი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;

გ) გაეროს უმაღლეს კომისარსა და „წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტთან თანამშრომლობა დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის, პუმანიტარული ორგანიზაციებისა და მათი ტვირთების დაუბრკოლებლად დაშვება კოსოვოს მთელ ტერიტორიაზე;

დ) კოსოველ ალბანელთა მხარესთან დიალოგის გზით, სწრაფი პროგრესის მიღწევა და შესაბამისი გრაფიკის შემუშავება გ) პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნათა შესასრულებლად;

რეზოლუციის ბოლოსწინა, მე-16 პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ ბელგრადისა და კოსოველი ალბანელების მიერ „არ იქნება მიღებული კონკრეტული ზომები ამ და 1160-ე რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად", უშიშროების საბჭო „განიხილავს შემდგომ ნაბიჯებსა და ზომებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად".[6]

24 სექტემბერი — ნატომ დაამტკიცა ორი სამოქმედო გეგმა მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტების შესაბამისად: პირველი იმ შემთხვევისთვის, თუ საომარი შეტაკებები შეწყდებოდა და ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი იქნებოდა საჭირო, ხოლო მეორე — თუ კონფლიქტი გაგრძელდებოდა და საჰაერო დარტყმები გახდებოდა აუცილებელი.

29 სექტემბერი (1998) — გაეროს უმაღლესმა კომისარმა ლტოლვილთა საკითხებში განაცხადა, რომ თებერვალში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის გამო კოსოვოში უკვე 200 ათასი იძულებით აღგილნაცვალი პირი იყო და მათგან 60 ათასი იმ მომენტისთვის ისევ ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ზამთრის მოახლოებიდან გამომდინარე, საგანგაშო ვითარებას ქმნიდა.

13 ოქტომბერი — მილოშევიჩთან გამართული ათდღიანი მოლაპარაკების შემდეგ პოლბრუკი ბრიუსელში ჩავიდა და ჩრდილოატლანტიკური საბჭო (ნატოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანო) დაარწმუნა, რომ საჭირო იყო წნეხის გაძლიერება მილოშევიჩზე. შესაბამისად, საბჭომ დაამტკიცა „აქტივაციის ბრძანება" (ACTORD), რომლის თანახმად, საჰაერო დარ-

6. http://www.un.org/peace/kosovo/98sc1199.htm

ტყმების განხორციელების უფლებამოსილება ნატოს გენმდივანს გადაეცა და ეს დარტყმები დაახლოებით 96 საათში დაიწყებოდა. ნატოს უპირველესი მოთხოვნა იყო გაეროს 1199-ე რეზოლუციის შესრულება.

16 ოქტომბერი — ხელმოწერილ იქნა ეუთოს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ვერიფიკაციის (დადასტურების) 2 ათასკაციანი მისიის განლაგებას კოსოვოში. ამავე დროს, ნატომ მილოშევიჩს 27 ოქტომბრამდე გაუხანგრძლივა გაეროს 1199-ე რეზოლუციის მოთხოვნათა შესრულების ვადა.

20 ოქტომბერი (1998) — ბელგრადში ჩავიდა და სერბეთის სამხედრო ხელმძღვანელობას შეხვდა ნატოს უმაღლესი სარდალი, გენერალი უესლი კლარკი.

27 ოქტომბერი — ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე, სერბეთის უშიშროების ძალების 4 ათასკაციანმა კონტინგენტმა კოსოვო დატოვა.

ნოემბერი — მუშაობა დაიწყო ეუთოს „კოსოვოს ვერიფიკაციის მისიამ" (კვმ), რომელიც თავის უშუალო ფუნქციასთან ერთად, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში მედიატორის როლის შესრულებასაც ცდილობდა.

1999 — 16 იანვარს 45 ეთნიკური ალბანელის ცხედარი (მათ შორის ქალებისა და ერთი ბავშვის) იქნა აღმოჩენილი კოსოვოს სოფელ რაცაკში, რასაც დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

18 იანვარი — კვმ-ის ხელმძღვანელმა, ამერიკელმა უილიამ უოკერმა „რაცაკის სასაკლაოს" გამო იუგოსლავიის უშიშროების ძალებისა და იუგოსლავიის არმიის ჯარისკაცები დაადანაშაულა (რომელთა ყოფნა რაცაკში 15 იანვარს დაფიქსირდა). საპასუხოდ, იუგოსლავიის მთავრობამ უოკერი პერსონა ნონ გრატა-დ გამოაცხადა და 48 საათიანი ვადა მისცა ქვეყნის ტერიტორიის დასატოვებლად, თუმცა, მოგვიანებით, ბელგრადმა ეს გადაწყვეტილება „შეაჩერა" და უოკერს საშუალება მისცა თავისი საქმიანობა განეგრძო.

21 იანვარი — გაეროს უმაღლესმა კომისარმა ლტოლვილთა საკითხებში განაცხადა, რომ მხოლოდ ბოლო 4 კვირის განმავლობაში დაახლოებით 200 ათასი ადამიანი იქცა დევნილად და მათგან 5 ათასი რაცაკის ზონიდან იყო.

29 იანვარი — საკონტაქტო ჯგუფის ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები ლონდონში შეიკრიბნენ და სერბებისა და კოსოვოელი ალბანელების ლიდერებს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენეს, რათა ისინი მოლაპარაკებათა მაგიდას მისხდომოდნენ.

2 თებერვალი — კოსოვოელი ალბანელების პოლიტიკურ ლიდერთა პარალელურად, „კოსოვოს განთავისუფლების არმიაც" დათანხმდა მონაწილეობა მიეღო საშვიდობო მოლაპარაკებებში.

6 თებერვალი (1999) — რამბუიეში (საფრანგეთი), საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თანათავმჯდომარეობითა და აშშ-რუსეთი-ევროკავშირის წარმომადგენელთა შუამავლობით დაიწყო ორკვირიანი მოლაპარაკებები. სერბები უარს აცხადებდნენ განეხილათ ნებისმიერი შეთანხმება, რომელშიც ნახსენები იქნებოდა ნატოს ჯარების განლაგება კოსოვოში, თუნდაც, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ეგიდით.

15 მარტი — მოლაპარაკებები პარიზში გაგრძელდა. ალბანელმა კოსოვარებმა ხელი მოაწერეს რამბუიეში შემუშავებულ შეთანხმებას.

18 მარტი — პარიზში მიმდინარე მოლაპარაკებები შეწყდა, რადგან სერბთა (იუგოსლავიის ფედერაციის) დელეგაციამ უარი თქვა ხელშეკრულების მიღებაზე. სერბები აცხადებდნენ, რომ შეთანხმების ტექსტი ხშირად იცვლებოდა ალბანური მხარის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე პერიოდში იუგოსლავიის არმიის მესამედი კოსოვოს ტერიტორიაზე და მის გარშემო იქნა გადასროლილი.

19 მარტი — კოსოვო დატოვა ეუთოს ვერიფიკაციის მისიამ.

20 მარტი — იუგოსლავიის არმიამ დაიწყო მასშტაბური შეტევა, რასაც დიდი მსხვერპლი, ათეულობით ათასი ეთნიკური ალბანელის მიერ საკუთარი სახლ-კარის მიტოვება, ალბანური სოფლების გადაწვა-განადგურება მოჰყვა.

23 მარტი — პოლბრუკი ბელგრადში შეხვდა მილოშევიჩს, რათა „საბოლოოდ გაეყრთხილებინა" იგი მოსალოდნელ, უმძიმეს შედეგებთან დაკავშირებით; თუმცა, პოლბრუკის ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა.

24 მარტი — ნატოს ავიაციამ დაიწყო საჰაერო დარტყმების განხორციელება იუგოსლავიის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების მიმართ.

25 მარტი — იუგოსლავიის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა აშშ-თან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიასთან.

29 მარტი — კოსოვოელ ალბანელ დევნილთა რიცხვი კატასტროფულად იზრდებოდა (უპირველესად, სერბთა მიერ განხორციელებული ეთნოწმენდისა და ასევე საჰაერო დაბომბვების გამო). მხოლოდ ალბანეთის საზღვარი ორი დღე-ღამის განმავლობაში 30 ათასმა ადამიანმა გადაკვეთა.

1 აპრილი — სერბეთის ტელევიზიით აჩვენეს სამი ნაცემი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც იუგოსლავია-მაკედონიის საზღვართან დაიჭირეს.

3 აპრილი — ნატოს თვითმფრინავებმა პირველად დაბომბეს ბელგრადი, სახელდობრ, იუგოსლავიის შინაგან საქმეთა სამინისტრო. მოგვიანებით დაიბომბა ასევე თავდაცვის სამინისტრო, ტელევიზია და მილოშევიჩის სოციალისტური პარტიის ოფისი (ამ უკანასკნელის დაბომბვასთან დაკავშირებით ჟურნალისტის შეკითხვაზე პრეზიდენტ კლინტონის პასუხი ასეთი იყო: „ტანკები და ჯარისკაცები იქ (კოსოვოში) არიან იმიტომ, რომ მათ იქ წასვლა უბრძანეს იმ ადამიანებმა, რომელთაც სჯერათ ეთნიკური წმენდის; და ამიტომ უსამართლობა იქნება ამ კონფლიქტში, მიზანში რომ არ იყოს ამოღებული სარდლობაც. სწორედ ამიტომ დაიბომბა, მაგალითად, სოციალისტური პარტიის ბელგრადის ოფისიც".).[7]

11 აპრილი — ბელგრადმა განაცხადა, რომ თანახმაა ცეცხლის შეწყვეტაზე, თუმცა ნატომ უარყო ეს შეთავაზება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამგვარი შემოთავაზება არარეალურია, სანამ მიღწეული არ იქნება წინასწარი შეთანხმება შესაბამის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე.

12 აპრილი — ბელგრადის სამხრეთით ნატოს დაბომბვების შემთხვევითი მსხვერპლი გახდა სამგზავრო მატარებლის 30 მგზავრი. იმ პერიოდში დევნილ ალბანელ კოსოვართა ნაკადი დღეში 20 ათას ადამიანამდე გაიზარდა (მათი საერთო რაოდენობა უკვე ნახევარ მილიონზე მეტი იყო).

22 აპრილი — ნატოს სამიტზე დამტკიცებულ იქნა ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შესრულების შემთხვევაში დაბომბვა შეწყდებოდა. ეს მოთხოვნები, არსებითად, გაეროს 1199-ე რეზოლუციის პირობებს იმეორებდა: 1) ცეცხლის შეწყვეტა; 2) კოსოვოდან ყველა შეიარაღებული ძალის გაყვანა; 3) საერთაშორისო სამშვიდობო (სამხედრო) ძალების განლაგება; 4) დევნილების უსაფრთხო დაბრუნება კოსოვოში და 5) კოსოვოს ფართო ავტონომიური უფლებებისა და დაბრუნებულ დევნილთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკური ხელშეკრულებების დადება.

25 აპრილი — იუგოსლავიის ვიცე-პრემიერმა, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ვუკ დრაშკოვიჩმა, სერბეთის ხელმძღვანელობას მოუწოდა ხალხისთვის ეთქვა სიმართლე, რომ რუსეთის სამხედრო დახმარების იმედი არარეალურია და რომ საჭიროა დათანხმება კოსოვოში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის განლაგებაზე (ამ განცხადების გამო

7. http://www.pbs.org/newshour/bb/europe/jan-june99/clinton_solana_4-22.html

მილოშევიჩმა დრაშკოვიჩი ვიცე-პრემიერობიდან გაათავისუფლა).

29 აპრილი (1999) — იუგოსლავიამ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ნატოს 10 ქვეყნის წინააღმდეგ და ისინი სერბების გენოციდში დაადანაშაულა.

1 მაისი — პრეზიდენტ კლინტონის გადაწყვეტილებით, კიდევ უფრო გამკაცრდა სანქციები იუგოსლავიისთვის ნავთობის მიყიდვის შესახებ და "გაყინა" ბელგრადის საბანკო ანგარიშები ამერიკის ბანკებში.

3 მაისი — ბულგარეთის პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილებით ამ ქვეყნის საჰაერო სივრცე გაუხსნა ნატოს ავიაციას.

7 მაისი (1999) — ნატოს საჰაერო დარტყმა, შეცდომით, ბელგრადში მდებარე ჩინეთის საელჩოს მოხვდა, რის შედეგადაც 3 ადამიანი დაიღუპა და 20 დაიჭრა. პეკინში ამერიკის საელჩოსთან მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო, რომლებიც 3 დღე გაგრძელდა. პრეზიდენტმა კლინტონმა სპეციალური წერილით ბოდიში მოუხადა ჩინეთის ლიდერ ძიან ძემინს.

11 მაისი — რუსეთის წარმომადგენელმა, ყოფილმა პრემიერმა ვ. ჩერნომირდინმა პეკინში ვიზიტისას საელჩოსთან დაკავშირებულ ინციდენტს „აგრესიის აქტი" უწოდა.

14 მაისი — დაახლოებით 87 კოსოველი ალბანელი იმსხვერპლა ნატოს დაბომბვამ სოფელ კორისაში. მოგვიანებით გაირკვა, რომ სოფელში მყოფმა სერბმა ჯარისკაცებმა ექვსასამდე დევნილი კოსოვარი ცოცხალ ფარად გამოიყენეს.

24 მაისი (1999) — გაეროს ფაქტების დამდგენი მისიის ხელმძღვანელმა სერჯიო ვიეირა დე მელომ განაცხადა, რომ კოსოვოში მან ნახა ეთნიკური წმენდის „შემაძრწუნებელი" ფაქტები.

3 ივნისი — ბელგრადმა განაცხადა, რომ ის თანახმაა სამშვიდობო შეთანხმებაზე, რომელიც იუგოსლავიაში ევროკავშირისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ჩაიტანეს. ნატოს ინფორმაციით, საჰაერო დარტყმების შედეგად იუგოსლავიის ძალოვანი სტრუქტურების დანაკარგი იყო დაახლოებით 5 ათასი დაღუპული და 10 ათასი დაჭრილი.

7 ივნისი — ნატოსა და იუგოსლავიის სამხედრო ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებები ისევ ჩაიშალა, რის შემდეგაც ნატოს დაბომბვები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა (ბელგრადი კატეგორიულად მოითხოვდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღებას და მხოლოდ ამის შემდეგ თანხმდებოდა კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგებაზე).

10 ივნისი (1999) — მას შემდეგ, რაც ბელგრადმა დაიწყო თავისი ჯარ-

ების გაყვანა კოსოვოდან, ნატოს გენერალური მდივნის გადაწყვეტილებით ავიადარტყმები შეწყდა. იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ახალი რეზოლუცია (S/RES 1244), რომელშიც, 1199-ე რეზოლუციის პირობებთან ერთად, დეტალურად არის გაწერილი კოსოვოში სტაბილური მშვიდობის მისაღწევად აუცილებელი ღონისძიებები (მაგ. დროებითი საერთაშორისო სამოქალაქო ადმინისტრაციის შექმნა იუგოსლავიის ფარგლებში კოსოვოს ფართო ავტონომიური თვითმმართველობის დასაფუძნებლად და ამისათვის შესაბამისი პოლიტიკური ხელშეკრულებების გაფორმება). წინამორბედი რეზოლუციების მსგავსად, ამ რეზოლუციაშიც დადასტურებულია მხარდაჭერა, როგორც სერბიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე კოსოვოს მნიშვნელოვანი, არსებითი ავტონომიური თვითმმართველობის მიმართ.

11 ივნისი — რუსეთის ჯარები ბოსნიიდან შეიჭრნენ კოსოვოში, თუმცა მანამდე კრემლი აცხადებდა, რომ ნატოს ჯარების შესვლაზე ადრე ეს არ მოხდებოდა.

12 ივნისი — რუსეთის ჯარებმა 3 საათით დაასწრეს ნატოს ჯარებს, პრიშტინას აეროპორტში განლაგდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში ნატოს თვითმფრინავებს დაშვების საშუალებას არ აძლევდნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, ეს „სამწუხარო შეცდომა" იყო. იმავე დღეს კოსოვოში ნატოს ეგიდით შეიჭრნენ აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარები.

15 ივნისი — ალბანეთიდან კოსოვოში დევნილთა პირველი მრავალრიცხოვანი (2 ათასკაციანი) ჯგუფი დაბრუნდა. ამის შემდეგ დაბრუნებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა და ორ კვირაში 415 900-ს მიაღწია. ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ინფორმაციით, ეთნიკური წმენდის შედეგად 850 ათასზე მეტმა კოსოველმა ალბანელმა დატოვა თავისი სახლ-კარი, თუმცა საერთაშორისო საზოგადოების აქტიური დახმარების შედეგად 1999 წლის აგვისტოსთვის ამ დევნილთა 90% უკვე დაბრუნებული იყო კოსოვოში. მეორე მხრივ, ომის დროს 150 ათასამდე სერბმა დატოვა კოსოვო და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება დღემდე პრობლემატურ საკითხად რჩება. 2006 წლის მონაცემებით, კოსოვოს მოსახლეობა 2 მილიონს აღწევს, აქედან 90% ეთნიკურად ალბანელია და 5,7% (115 ათასი) — სერბი (1990-იან წლებისთვის კოსოვოს სერბი მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასი იყო).

2000 — იუგოსლავიაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარ-

ჯგუფა „სერბიის დემოკრატიული ოპოზიციის" ლიდერმა ვოისლავ კოშტუნიცამ, თუმცა მილოშევიჩმა მეორე ტურის გამართვა მოითხოვა, რასაც მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები და 5 ოქტომბერს მილოშევიჩის რეჟიმის დამხობა მოჰყვა. მოგვიანებით, მილოშევიჩი დააპატიმრეს და 2001 წელს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცეს.

2002 — იბრაჰიმ რუგოვა არჩეულ იქნა კოსოვოს პრეზიდენტად.

2003 — ოქტომბერში გაიმართა 1999 წლის შემდეგ პირველი პირდაპირი მოლაპარაკებები სერბეთისა და კოსოვოს წარმომადგენლებს შორის.

2004 — კოსოვოს ქალაქ მიტროვიცაში, რომელიც, ფაქტობრივად, გაყოფილია კოსოვოელი სერბებისა და ალბანელების მიერ, ეთნიკურ დაპირისპირებას 19 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ოქტომბერი — გაეროს მეთვალყურეობით გაიმართა კოსოვოს საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც სერბებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. პრეზიდენტ რუგოვას დემოკრატიულმა ლიგამ კოსოვოს პარლამენტში 120-დან 47 ადგილი მოიპოვა.

დეკემბერი — პარლამენტმა პრეზიდენტად ისევ რუგოვა აირჩია, პრემიერი კი რამუშ ჰარადინაი გახდა (2005 წელს ჰააგაში მოქმედმა გაეროს სამხედრო დანაშაულთა ტრიბუნალმა ჰარადინაის ბრალდება წაუყენა და ის გადადგა პრემიერის პოსტიდან).

2006 — ივლისში, პირველად 1999 წლის შემდეგ, გაიმართა პირდაპირი მოლაპარაკებები სერბიისა და კოსოვოს პრეზიდენტებს შორის.

28-29 ოქტომბერი — სერბეთმა რეფერენდუმით მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელშიც კოსოვო სერბეთის შემადგენელ ნაწილად არის მოხსენიებული. ალბანელმა კოსოვარებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამ რეფერენდუმს.

2007 — თებერვალში გაეროს წარმომადგენელმა კოსოვოში, ფინეთის ყოფილმა პრემიერმა მარტი აჰტისაარიმ წარმოადგინა კოსოვოს მომავალი სტატუსის პროექტი, რომელიც, ფაქტობრივად, კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას გულისხმობდა და თავიდანვე უარყოფილ იქნა ბელგრადის მიერ.

17 ნოემბერი — გაიმართა კოსოვოს პარლამენტის არჩევნები. კონსტიტუციის შესაბამისად, ერთპალატიანი ასამბლეის 120 ადგილიდან 100 პირდაპირი კენჭისყრით არჩეულმა პარლამენტარებმა დაიკავეს, დანარჩენი 20-დან 10 ადგილი სერბებისთვის იყო გამოყოფილი (თუმცა მათმა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა ამ არჩევნებს), 4 — ბოშებისთვის, 3 — ბოშნიაკების, ჩერნოგორიელებისა და ხორვატებისთვის, 2 — თურქებისთვის და ერთი — „გორანებისთვის" (მცირე ეთნიკური ჯგუფია).

2008 — 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სერბეთმა ასეთ ნაბიჯს არაკონსტიტუციური უწოდა იმ მოტივით, რომ ის არღვევს სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. აშშ-მა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ ცნო კოსოვო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუმცა ნატოს ოთხმა ქვეყანამ: ესპანეთმა, საბერძნეთმა, სლოვაკეთმა და რუმინეთმა მხარი არ დაუჭირეს ასეთ გადაწყვეტილებას, ისევე როგორც რუსეთმა, ჩინეთმა და ინდოეთმა. საბოლოოდ, გაეროს წევრი 192 სახელმწიფოდან კოსოვოს დამოუკიდებლობა ცნო 65-მა ქვეყანამ.

მარტი — მიტროვიცაში მდებარე გაეროს ოფისს თავს დაესხნენ კოსოვოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე სერბები, რის შედეგადაც 100-მდე ადამიანი დაშავდა და გაეროს პოლიციის ერთი ოფიცერი დაიღუპა.

ივნისი — კოსოვოს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, გაეროს 9 წლიანი მმართველობის შემდეგ, კოსოვოში ხელისუფლება კოსოვოს პარლამენტსა და მთავრობას გადაეცა. საპასუხოდ, კოსოვოელმა სერბებმა მიტროვიცაში თავიანთი პარლამენტი გამოაცხადეს.

8 ოქტომბერი (2008) — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სერბეთის ინიციატივით, მიიღო რეზოლუცია (A/RES 63/3, მომხრე — 77, წინააღმდეგი — 6, 74-მა თავი შეიკავა), რომლითაც მიმართა გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შემდეგი საკითხის გასარკვევად: „შეესაბამება თუ არა კოსოვოს თვითმმართველობის დროებითი ინსტიტუციების მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება საერთაშორისო სამართლის ნორმებს?".

2009 წლის 1-10 დეკემბერს ამ საკითხთან დაკავშირებით გაეროს 28 წევრმა-სახელმწიფომ წარუდგინა თავისი პოზიცია აღნიშნულ სასამართლოს (მისი თხოვნის შესაბამისად). ამ ქვეყნებიდან დაახლოებით ნახევარმა დადებითად უპასუხა სასამართლოს შეკითხვას, ნახევარმა კი — უარყოფითად. მომხრეებს შორის იყვნენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბულგარეთი, ხორვატია, სკანდინავიის ქვეყნები (შვედეთის გარდა), ძირითადად, ევროპული ქვეყნები. მოწინააღმდეგეებიდან ორი: რუსეთი და ჩინეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია, ორი — ნატოს წევრი (ესპანეთი და რუმინეთი), აქვე არიან მაგ. ბრაზილია, არგენტინა, ვიეტნამი, კვიპროსი.

სასამართლოს წინაშე გამოსვლისას ალბანეთის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ, რომ 1999 წელს კოსოვოში განხორციელდა „ევროპაზე მასშტაბური ეთნიკური წმენდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ". აშშ-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარა-

ციის ლეგიტიმურობა ეყუძნება კოსოელი ალბანელების მიმართ განხორციელებულ ძალადობას, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაახლოებით მილიონი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნა 2010 წლის 22 ივლისს გამოაცხადა. სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ გააჩნია იურისდიქცია ამ საქმეზე, ცხრა ხმით ხუთის წინააღმდეგ გადაწყვიტა საკონსულტაციო დასკვნის გამოტანა, და ათი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია არ არღვევს საერთაშორისო სამართალს.

სასამართლომ უარი თქვა, განეხილა საკითხი თვითგამორკვევის უფლების ფარგლებსა და სეცესიის უფლების შესაძლებლობაზე, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე, რადგანაც ეს სცილდება მისთვის დასმული შეკითხვის ფარგლებს, და გადაწყვიტა, რომ ზოგადი საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

სასამართლოს აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია არ ეწინააღმდეგება აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სპეციალურ ნორმებს — გაეროს უშიშროების საბჭოს 1999 წლის 10 ივნისის #1244 რეზოლუციასა და UNMIK-ის კონსტიტუციურ ჩარჩოებს. #1244 რეზოლუციასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ უკრძალავდა დეკლარაციის ავტორებს მის გამოცემას, ხოლო რაც შეეხება კონსტიტუციურ ჩარჩოებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ დეკლარაცია არ მიულიათ კოსოვოს თვითმმართველობის დროებით ორგანოებს.

საქართველოსთან მიმართება

მას შემდეგ, რაც 2008 წლის თებერვალში კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა აშშ-მა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ, კრემლი ხშირად ავლებდა პირდაპირ პარალელს, ერთი მხრივ, კოსოვოსა და, მეორე მხრივ, აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთს" შორის. პუტინ-მედვედევის პროპაგანდისტული მანქანა ამ გზით ცდილობდა "ნიადაგი მოემზადებინა" 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისა და აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის "დამოუკიდებლობის" ცნობისთვის. საერ-

თაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანისთვის მომზადებულ იქნა მარტივი სქემა, რომელიც კოსოვოში მომხდარი მოვლენების ერთგვარ იმიტაციას ისახავდა მიზნად.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაადასტურეს კოსოვოში სერბების მიერ ალბანელების მიმართ ეთნოწმენდის მოწყობა, ამ დანაშაულის აღსაკვეთად და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის ნატო აქტიურად ჩაერთო კონფლიქტში, დაბომბა სერბეთი, რასაც მალე მილოშევიჩის რეჟიმის დამხობაც მოჰყვა. კრემლის მიზანი იყო ანალოგიური "ლეგენდის" შეთხზვა და განხორციელება საქართველოში. ეს სრულიად აშკარად ჩანს, თუ გავიხსენებთ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიას და მის "მოსამზადებელ ეტაპს".

აგვისტოს პირველივე რიცხვებში რუსეთის მედიით იქმნებოდა მითი "ფაშისტი" ქართველების მიერ ცხინვალელი ოსების (მათ შორის, "რუსეთის მოქალაქეების") "გენოციდის" შესახებ. ამ მითის თანახმად, ტრადიციულად, თავისუფლებისთვის მებრძოლი, მცირერიცხოვანი ერების (თუნდაც მხოლოდ ჩეჩნების ან ჩერქეზების დასახელებაც კმარა) "მფარველი" კრემლი, ცხადია, ვერ დაუშვებდა ასეთ საშინელებას და "ოსების გენოციდის შესაჩერებლად" საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოიწყო. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ რუსეთის არმიამ განაგრძო საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების ოკუპაცია, დაიკავა პორტები, ცენტრალური მაგისტრალები, დაბომბა სამხედრო და სამოქალაქო აეროპორტები, კონფლიქტის ზონებიდან ათეულობით კილომეტრით დაშორებული ქალაქები (ქვეტექსტი ასეთი იყო — ნატომაც ხომ დაბომბა ბელგრადი). კრემლის სცენარით, ეს ყველაფერი იმ დღეებშიეე უნდა "დაგვირგვინებულიყო" სააკაშვილის რეჟიმის დამხობით.

კრემლის გეგმას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ის გარემოება, რომ საერთაშორისო საზოგადოება ნაკლებად იყო ინფორმირებული საქართველოს კონფლიქტების შესახებ. მოგვიანებით, ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის (ჰაიდი ტალიავინის კომისიის) დასკვნამ დამაჯერებლად გააბათილა ზემოხსენებული მითი და კრემლის ბრალდებები საქართველოს წინაალმდეგ, მათ შორის, ოსების "გენოციდის" შესახებ.

კოსოვოსა და აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონს შორის პარალელებზე დღესაც ბევრს საუბრობენ. ამიტომ ჩვენი მიზანია მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ის ფუნდამენტური, არსებითი განსხვავებანი, რომლებიც არსებობს კოსოვოსა და საქართველოს, მისი რეგიონების დღევანდელ თუ ისტორიულ რეალობას შორის.

უმთავრესი, პრინციპული და ყველაზე აშკარა განსხვავება არის ის, რომ გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებით, სერბიის ავტონომიურ მხარეში, კოსოვოში, განხორციელდა აქაური მოსახლეობის უმრავლესობის — ალბანელი კოსოვარების გენოციდი და ეთნოწმენდა მილოშევიჩის რეჟიმის მიერ. აქედან გამომდინარე, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება სწორედ კოსოვოელი ალბანელების მიმართ განხორციელებულ ამ უმძიმეს დანაშაულებს უკავშირდება, ანუ გაეროს 65-მა წევრმა სახელმწიფომ მხარდაჭერა გამოუცხადა. გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დიამეტრულად საპირისპირო ვითარებაა, აქ ეთნოწმენდა განხორციელდა არა აფხაზებისა და ოსების, არამედ ქართველების მიმართ. ეს ფაქტი დაფიქსირებულია ეუთოს 1994, 1996 და 1999 წწ. სამიტების რეზოლუციებში, ასევე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციასა და ევროკავშირის კომისიის მოხსენებაში ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება" (ევროსაბჭოს რეზოლუცია 1633, 02.10.2008). "ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს" (მ. იორშის განცხადებიდან[8]). "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც".[9]

როცა კოსოვოსთან პარალელებზეა საუბარი, უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, კოსოვოსა და აფხაზეთს შორის პარალელი გამართლებული იქნებოდა, კოსოვოელი ალბანელები უმცირესობაში რომ ყოფილიყვნენ და რომელიმე მეზობელი ქვეყნის დახმარებით, მათ მოეწყოთ უმრავლესობაში მყოფი კოსოვოელი სერბების ეთნოწმენდა.

სრულიად აშკარაა, რომ ნატოს მიერ კოსოვოში განხორციელებული ოპერაციისგან განსხვავებით, კრემლმა, ფაქტობრივად, თვითონ განახორციელა ეთნოწმენდა აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" (ადგილობრივი აფხაზი და ოსი კრიმინალური ჯგუფების მონაწილეობით), ხოლო საქართველოს ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება არის ეთნოწმენდის აშკარა წახალისება და არა ეთნოწმენდის მსხვერპლთა მხარდაჭერა.

ახლა თანმიმდევრულად მივყვეთ სხვა ძირითად განმასხვავებელ

8 http://for-ua.com/news_print.php?news=305384

9. ა. ტალიავინის კომისიის მოხსენებიდან, ნაწილი I, პუნქტი 27

ფაქტორებს. დავიწყოთ ისტორიული მომენტებით:

1) 1980-იანი წლების ბოლოს, იმ პირობებში, როცა კოსოვოს მოსახლეობის თითქმის 90% ეთნიკურად ალბანელი იყო, სერბიის ხელისუფლების მიერ ამ ავტონომიური მხარის უფლებების შეზღუდვის ერთადერთი "არგუმენტი" მხოლოდ "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა შეიძლებოდა ყოფილიყო. სერბების "სიმართლე" ემყარებოდა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ კოსოვო იყო "ძველი სერბიის" ნაწილი და XII-XVIII საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობას ნამდვილად სერბები შეადგენდნენ (ეს ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დასასრულს).

მაგრამ ალბანელ კოსოვარებსაც ჰქონდათ თავიანთი "ისტორიული სიმართლე". ისინი აცხადებდნენ, რომ კოსოვოს მიწა ისტორიულად, სლავების მოსვლამდე, მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ და რომ სწორედ "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა იყო კოსოვოში მათი დაბრუნება-დამკვიდრება და სერბიისგან დამოუკიდებლობის მიღწევა.

საქართველოს შემთხვევაში ასეთი "გაორებული" "ისტორიული სიმართლისთვის" არანაირი საფუძველი არ არსებობს. ისტორიული წარსულიდან, საქართველოს მეზობლად აგრესიული იმპერიების არსებობის ფაქტიდან გამომდინარე, ისე მოხდა, რომ მე-20 საუკუნეში საქართველოს თავისი ისტორიული ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი შემორჩა (ისტორიზმის პრინციპს რომ ბრმად მივყვეთ, "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენის მოტივით, საქართველოს შეუძლია ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს ზოგიერთ მეზობელს, მაგალითად, რუსეთს). მთლიანად დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოქთონური მოსახლეობა ვართ ქართველები, ხოლო აფხაზეთში ავტოქთონები არიან ასევე აფხაზებიც. იმავეს ვერ ვიტყვით ცხინვალის რეგიონის ოსებზე, რომელთა ძირითადი ნაწილი მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამკვიდრდა ამ რეგიონში.

2) კოსოვოს რთული წარსულიდან გამომდინარე, იყო პერიოდები, როცა ამ მიწა-წყალზე ხან ალბანელები (და მათი საკარაულო წინაპარი ილირიელები) იყვნენ უმრავლესობაში, ხან კი — სერბები. თუნდაც მხოლოდ მე-20 საუკუნის მოვლენები რომ განვიხილოთ, პირველ და მეორე მსოფლიო ომში დაპირისპირებულ ძალთა წარმატება-წარუმატებლობიდან გამომდინარე (სერბები და ალბანელები, ძირითადად, სხვადასხვა მხარეს იბრძოდნენ), კოსოვოში არაერთხელ მოხდა ის, რასაც დღეს ეთნიკური წმენდის კვალიფიკაცია ეძლევა. შესაბამისად,

ძალადობრივი გზით იცვლებოდა დემოგრაფიული ვითარებაც.

საქართველოს, უფრო ზუსტად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიაში ასეთი ფაქტები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით 1990-იან წლებსა და 2008 წლის აგვისტოს აგრესიას. შეუძლებელია დასახელდეს ისტორიული პერიოდი, როცა აფხაზეთში ქართველები უმცირესობაში იყვნენ. რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთს", ეს იყო მთლიანად რუსულ-საბჭოური "პროექტი" და აქ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსების ინტენსიური ჩამოსახლება რუსეთიდან სრულიად მიზანდასახულად ხორციელდებოდა, ყოფილი „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე თანდათანობით ოსური უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად.

3) კოსოვოელი ალბანელები და სერბები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც ეთნიკურად, ასევე რელიგიურადაც; უკანასკნელი 4-5 საუკუნის განმავლობაში მათ, ფაქტობრივად, არ უცხოვრიათ ურთიერთთანადგომის, ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროში, პირიქით, როგორც წესი, სისხლისმღვრელ კონფლიქტებში ისინი დაპირისპირებულ ბანაკებში იყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ.

ფაქტია, რომ მე-20 საუკუნეში სერბებმა ორჯერ რუსეთის (მეფის რუსეთისა და სსრკ-ს) და ერთხელ ანტანტის დახმარებით დაიბრუნეს კოსოვო და იქაურ ალბანელებს სასტიკად გაუსწორდნენ. 1915 და 1941 წლებში, პირველი და მეორე მსოფლიო ომების დასაწყისში, პირიქით, კოსოვარებმა გამოიჩინეს სისასტიკე კოსოველი სერბების მიმართ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის მათი "ისტორიული უნდობლობა" ერთმანეთის მიმართ.

სერბებისა და ალბანელებისგან განსხვავებით, ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის ასეთი დაპირისპირება არასოდეს ყოფილა. ჩვენ ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. XIX საუკუნეში, "მუჰაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ ქართველები დაუდგნენ გვერდით თავიანთ კავკასიელ თანამოძმეებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სწორედ ქართველი საზოგადო მოღვაწეები იმაღლებდნენ ხმას ამ ბარბაროსული ძალადობის წინააღმდეგ. ქართველების მფარველობა აფხაზების მიმართ სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ნათესაობას და იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში ქართველები, ტრადიციულად, უფრო მრავალრიცხოვანი

იყვნენ და, თუნდაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, გარეშე მტერთან ბრძოლის ძირითადი სიმძიმის გადატანაც მათ უხდებოდათ (ასწლეულების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ებრძოდნენ ოსმალეთისა თუ რუსეთის იმპერიების ჯარებს).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წლის აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში და მათ მიმართ შეიწროების ან ჩაგვრის ფაქტები არ მომხდარა. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზების მიმართაც. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ენობრივი ან რელიგიურ-კულტურული ბარიერი. IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ანუ მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამდე) აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე.

4) კოსოვოს ისტორიულ წარსულში იყო პერიოდები, როცა ის ნამდვილად არ შედიოდა სერბეთის შემადგენლობაში.

იმ ტერიტორიას, რომელსაც დღევანდელი აფხაზეთი მოიცავს, მეტ-ნაკლებად მთლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით არასოდეს უარსებია და ის ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი და ამ ტერიტორიაზე ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამ ფაქტის მისაჩქმალად, რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში, აფხაზეთის მოსახლეობის აღწერისას, ცალკე "ეთნოსიც" კი გამოიგონა — "სამურზაყანოელი". ცხადია, ასევე ცალკე აღნუსხავდნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველებს — მეგრელებს (რეალურად, სამურზაყანოელები იგივე მეგრელები არიან, ოღონდ ისტორიულ სამურზაყანოში ანუ გალის რაიონში ცხოვრობენ). ეს მანიპულაციები მეფის რუსეთს სჭირდებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთში ქართველების უმრავლესობა არ დაფიქსირებულიყო.

რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთს", უნდა ითქვას, რომ ეს სტრუქტურა და თვით ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" 1922 წელს შეიქმნა, მას

შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით). აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური პროვინციის შუაგულში, დედაქალაქიდან 30-40 კმ-ის დაშორებით, ხელოვნურად შექმნილი ოლქის ტერიტორიაზე "ისტორიული სამხრეთ ოსეთი" ვერანაირად ვერ იარსებებდა. ცხინვალის რეგიონი ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ 1922 წელს შექმნილი ავტონომიური ოლქის ცენტრალურ ქალაქ ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი (დემოგრაფიული სურათის მკვეთრი შეცვლა აქ 1922 წლის შემდეგ დაიწყო). უნდა ითქვას, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, ოსები ჩრდილო კავკასიაში მდებარე "ჩრდილოეთი ოსეთის" ტერიტორიაზეც კი ვერ ჩაითვლებიან ავტოქთონურ მოსახლეობად, რადგან ისინი აქ მხოლოდ X საუკუნიდან დამკვიდრდნენ, მას შემდეგ, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომთაბარე ტომთა თავდასხმების გამო იძულებული გახდნენ იმიერკავკასიის ველებიდან თანდათანობით სამხრეთით, კავკასიონის ხეობებში გადმოსახლებულიყვნენ.

5) ბელგრადისა და კოსოვოელი ალბანელების ურთიერთდამოკიდებულებაში იმედისმომცემი პრეცედენტი შექმნა ბროზ ტიტომ, როცა 1974 წლის კონსტიტუციით კოსოვოს ფართო ავტონომიური უფლებები მიანიჭა, მაგრამ 1980-იანი წლების ბოლოს კოსოვარები დარწმუნდნენ, რომ ბელგრადი ისევ მათი დათრგუნვის გზას დაადგა. 80-იან წლებში მილოშევიჩის მიერ იუგოსლავიაში დაწყებული "პერესტროიკის" მთავარი ნიშანი იყო სერბული ნაციონალიზმი. ეთნიკური პრობლემების აქტუალიზაციას თვით ბელგრადი უჭერდა მხარს, რადგან "ისტორიულ უსამართლობად" მიიჩნევდა 1974 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ "დამთმობ კურსს" ფედერაციის სუბიექტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. 1989 წლის მარტში სერბეთის სკუპშჩინის მიერ, ფაქტობრივად, ფედერალური დაქვემდებარების კოსოვოს ავტონომიური რეგიონის "შეერთება" და მისი უფლებამოსილების შეზღუდვა (რასაც მოჰყვა, სულ მცირე, ათეულობით ათასი კოსოვოელი ალბანელის მიერ სამსახურის დაკარგვა) ერთგვარი "რევანშის" მცდელობა იყო, რომელმაც კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა კონფლიქტის გამწვაუების პროცესში.

90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ მილოშევიჩის რეჟიმს თანამშრომლობასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება არ შეეძლო არათუ ისტორიულად დაპირისპირებულ ალბანელებთან, არამედ ეთნიკურად უახლოეს თანამოძმეებთან: ბოსნიელ მუსლიმანებთან, ხორვატებთან, სლოვენებთან და ბოლოს, ჩერნოგორიელებთანაც კი. კოსოვოელმა ალბანელებმა ბოსნიის ომის მაგალითზე ნახეს, რომ დამოუკიდებელი სერბიის (სერბია-ჩერნოგორიის ფედერაციის) ხელისუფლება და შეიარაღებული შენაერთები მზად არიან სასაკლაო მოუწყონ თავიანთ უახლოეს ნათესავებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მაჰმადიანები არიან. ალბანეთში ამტყდარმა სამოქალაქო ომმა და ხშირმა შინადაპირისპირებამ, ბუნებრივია, შეასუსტა კოსოველ ალბანელთა სწრაფვა ალბანეთთან გაერთიანებისკენ, ეს იყო ერთგვარი შანსი ბელგრადისთვის, მაგრამ მილოშევიჩს მხოლოდ იძულების ბერკეტის გამოყენება ეხერხებოდა, მხოლოდ სამხედრო ძალით აპირებდა კოსოვოს შენარჩუნებას.

სრულიად სხვა ვითარება იყო საქართველოში.

1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო კონსტრუქციული, დიალოგზე და ურთიერთთანხმობაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება ავტონომიათა მიმართ. დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა და არსებობს. 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა (მუხლი 107). 1991 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ასეთი თანაფარდობა უპრეცედენტოა ეროვნული უმცირესობის რაოდენობასა და მის წარმომადგენლობას შორის. იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული. აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე

ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრი, აფხაზურ-რუსული ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სწორედ ასეთი ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვითარებას, რეალურად, არა აფხაზები ან ოსები, არამედ კრემლი აკონტროლებდა და აკონტროლებს, უპირველესად, თავისი სამხედრო დანაყოფების მეშვეობით, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგაც, ამა თუ იმ ფორმითა და სტატუსით, მუდმივად იქ არიან განლაგებული. ასე იყო 90-იან წლებში, ასე იყო 2008 წელს და ასეა ახლაც. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტრუქციული წინადადებები შესაბამის ეფექტს არ იძლევა, რადგან კრემლის მიზანი არის არა მშვიდობა, არამედ საქართველოს დაშლა, თანხმობის არდაშვება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. სწორედ ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას, რის შემდეგაც რეალურ პერსპექტივას შეიძენს პირდაპირი დიალოგი სოხუმთან და ცხინვალთან და ყველა საკამათო საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

6) 1990-იან წლებში მთელი ცივილიზებული მსოფლიო, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპა, ზეიმობდა საბჭოთა იმპერიის დაშლას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ყოველნაირად ცდილობდნენ კრემლისგან დისტანცირებას და ევროპულ თუ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. სრულიად საპირისპირო კურსი ჰქონდა

მილოშევიჩის რეჟიმს, რომელიც კრემლის დახმარების იმედით დაუპირისპირდა დასავლეთს, ნატოს და სწორედ კრემლის მფარველობის იმედით განახორციელა ფართომასშტაბიანი ეთნოწმენდა როგორც ბოსნიაში, ასევე კოსოვოში (1999 წელს რუსეთის ჯარების პრიმიტიული "თვითშემოქმედება" პრიშტინას აეროპორტში მხოლოდ სიძლიერის იმიტაცია იყო და "ზესახელმწიფოს იმიჯის" შენარჩუნებას ემსახურებოდა).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნები მხარს უჭერდნენ იუგოსლავიის (სერბია-ჩერნოგორიის ფედერაციის) სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას (1991 წლის 18 ოქტომბერს აშშ-მა, ევროკავშირმა და სსრკ-მა ერთობლივი განცხადებით დაადასტურეს ეუთოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, "ყველა ქვეყნები არასოდეს ცნობენ გარე ან შიდა საზღვრების ცვლილებას, რომელიც ძალის გამოყენებითაა მიღწეული"). მათი ასეთი პოზიცია მკაფიოდ არის დაფიქსირებული გაეროს შესაბამის რეზოლუციებში (S/RES 1199, S/RES 1244), მაგრამ მილოშევიჩის ხელისუფლებას მაინც იმთავითვე უკიდურესად ანტიდასავლური პოზიცია ჰქონდა.

კრემლის ღირებულებები და მეთოდები (რომლებიც იმ დროს უკვე მკაფიოდ ჩანდა მცირერიცხოვანი ჩეჩენი ერის გენოციდის ან აფხაზეთში მოწყობილი ეთნოწმენდის მაგალითზე) უფრო ახლობელი აღმოჩნდა მილოშევიჩისთვის, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ის ზოგადადამიანური ფასეულობები, რომელთაც ეფუძნება საერთაშორისო სამართლი და რომელთა თანახმად, გენოციდი და ეთნოწმენდა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეზიდენტმა კლინტონმა ასე დაასაბუთა ნატოს საჰაერო დარტყმები ბელგრადის მიმართ: "ტანკები და ჯარისკაცები იქ (კოსოვოში) არიან იმიტომ, რომ მათ იქ წასვლა უბრძანეს იმ ადამიანებმა, რომელთაც სჯერათ ეთნიკური წმენდის. და ამიტომ უსამართლობა იქნება ამ კონფლიქტში, მიზანში რომ არ იყოს აშოლებული სარდლობაც. სწორედ ამიტომ დაიბომბა, მაგალითად, სოციალისტური პარტიის ბელგრადის ოფისიც". სრულიად სხვაგვარია რუსეთის პრეზიდენტის დამოკიდებულება ეთნოწმენდისადმი. 2009 წლის 7 აგვისტოს, ცხინვალში მყოფმა მედვედევმა განაცხადა: "ჩვენ აბსოლუტურად ზუსტად ვიმოქმედეთ და ჩემ მიერ, როგორც მთავარსარდლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტიანი იყო... მე არ მრცხვენია იმ პერიოდის გამო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ჩვენ ეს არჩევანი გავაკეთეთ — ვიმოქმედეთ პატიოსნად, პასუხისმგებლობით... და სიამოვნებს ეს ვინმეს თუ არა, ჩვენ განვაცთარებთ სრულმასშტა-

ბიან ურთიერთობას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან". [10]

ხაზგასასმელია, რომ მედეველემა ეს განაცხადა მას შემდეგ, რაც 2008 წლის 2 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დააფიქსირა თავისი პოზიცია: "ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მოსახლარ ეთნიკურ წმენდას ეხება" (ევროსაბჭოს რეზოლუცია 1633, 03.10.2008), უფრო მეტიც, იმავე ასამბლეას 2009 წლის 28 იანვარს უკვე მიღებული ჰქონდა 1647-ე რეზოლუცია, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული 2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს ცხინვალის რეგიონში ქართველი მოსახლეობის მიმართ მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტი:

"7. ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში, ისევე, როგორც რუსეთის და დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არაღკვეთას და დამნაშავეების დაუსჯელობას. ასამბლეა აღასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს...

9.3. მოუწოდებს რუსეთს სრულად და უპირობოდ შეასრულოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, უკან გაიწვიოს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარება, შეასრულოს ევროპის კავშირის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელიც უფლებას აძლევს ეუთოსა და ევროპის კავშირის მონიტორებს შევიდნენ სამხრეთ ოსეთში, საქართველო და აფხაზეთში, საქართველო; და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით იმუშაონ ახალი სამშვიდობო ფორმატისა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბებაზე";[11]

აშკარაა, რომ როცა მედვედევი ცხინვალში გამომწვევად აცხადებდა, ჩემთვის სულერთია ვის ესიამოვნება და ვის არა, ჩვენ მაინც განვავითარებთ "დამოუკიდებელ" აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთთან" "სრულმასშტაბიან ურთიერთობასო", რუსეთის პრეზიდენტი, ცხადია, ევროსაბჭოსაც გულისხმობდა, ასევე, ფაქტობრივად, ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც არ მიბაძა კრემლს და არ ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა; ეს კი მთელი საერთაშორისო

10 http://www.kremlin.ru/news/5132

11 http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta09/eres1647.htm

საზოგადოებაა, თუ არ ჩავთვლით: დანიელ ორტეგას, უგო ჩავესს და ნაურუს ხელისუფლებას (აღსანიშნავია, რომ მათაც კი აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობა" გარკვეული თანხის სანაცვლოდ ცნეს).

ამ კონტექსტში სრულიად აშკარაა პრინციპული განსხვავება მილოშევიჩის იუგოსლავიასა და საქართველოს შორის. დამოუკიდებელი საქართველო, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობასთან ერთად, სწორედ ზემოხსენებულ ზოგადადამიანურ ღირებულებათა ერთგულია; მისი პოლიტიკური ორიენტაცია სწორედ ამ ფუნდამენტურ არჩევანს ემყარება და, ბუნებრივია, სწორედ აქედან გამომდინარე, დღემდე კომუნისტურ-ფაშისტური იდეოლოგიისა და მეთოდების მიმდევარი კრემლის მუდმივი სამიზნეა. 1990-იან წლებშიც და 2008 წლის აგვისტოშიც, კონკრეტულ პოლიტიკურ ამოცანებთან ერთად, კრემლის მიზანი იყო სამაგალითოდ დაესაჯა თავისუფლებისთვის, უნივერსალური ღირებულებისთვის მებრძოლი საქართველო. კრემლის ინტერპრეტაციით, საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ "საფრთხეს უქმნის რუსეთს", მაგრამ სინამდვილეში საქართველოს "ურჩობა" სახიფათო პრეცედენტს ქმნის არა რუსეთისთვის, არამედ პუტინ-მედვედევის რეჟიმისთვის. თავისუფლებისთვის, ზოგადადამიანური ღირებულებებისთვის ბრძოლის მაგალითი გადამდებია და, თანაც, ყველა კეთილი ნების ადამიანში მხარდაჭერის სურვილს აღძრავს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აგვისტოს ომის დროს, 12 აგვისტოს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, თბილისში ჩამოფრინდნენ პოლონეთის, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების პრეზიდენტები, აქ იყვნენ ასევე სხვა დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები და იმ კრიტიკულ ვითარებაში ყველანი ქართველი ხალხის, საქართველოს გვერდით დადგნენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მილოშევიჩის რეჟიმს მხოლოდ კრემლი უჭერდა მხარს და ბელგრადი, მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, სრულ იზოლაციაში მოექცა; საქართველოს გვერდით კი, პირიქით, მთელი საერთაშორისო საზოგადოება დგას, რადგან ჩვენი მოთხოვნები ეფუძნება, უპირველესად, ზოგადადამიანურ ღირებულებებსა და საერთაშორისო სამართალს.

7) 1980-იანი წლების დასასრულს კოსოვოს სტატუსის შეცვლის პრეცედენტი ბელგრადმა დაუშვა, ბელგრადმა გადადგა უკანონო ნაბიჯები, როცა კოსოვოს 1974 წლის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები შეუზღუდა და, ფაქტობრივად, ფედერალური დაქვემდებარების

ავტონომიური მხარე (რომელსაც ვეტოს უფლება ჰქონდა ფედერალურ დონეზეც კი) სერბიის რესპუბლიკის შემადგენლობაში "დააბრუნა", რისთვისაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულიად უკანონოდ, კოსოვოს ასამბლეის ყალბი "თანხმობაც" გამოიყენა.

საქართველოში პირიქით მოხდა. კრემლის მიერ მართულმა სახელისუფლებო ჯგუფებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ცალმხრივად, პროვოკაციულად შეცვალეს ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსი. ეს იყო არა აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის, ან თუნდაც ზემოხსენებული ჯგუფების გადაწყვეტილება, არამედ კრემლის "პასუხი" 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. აქ მოკლედ უნდა შევეხოთ იმ დროინდელ პროცესებს.

9 აპრილს, ღამით, 4 საათზე, თბილისში, სსრკ-ის სამხედრო ქვედანაყოფებმა, გენერალ როდიონოვის მეთაურობით, უმოწყალოდ, სასანგრე ნიჩბებით დაარბიეს მშვიდობიანი მოშიმშილეები და მომიტინგეები, დაახლოებით, 8 ათასი ადამიანი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. სასანგრე ნიჩბებთან ერთად, სამხედროებმა გამოიყენეს ასევე დღემდე უცნობი მხუთავი გაზი. ფიზიკური ტრამვებისა და გაზით მოწამვლის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა (უმრავლესობა ქალები). 9 აპრილის ტრაგედიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში (ეს ფაქტი 2008 წელს თბილისში ვიზიტისას გაიხსენა პოლონეთის აწ გარდაცვლილმა პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ). ამ დროიდან დაიწყო მასობრივი მიტინგების ხანა. საბჭოთა რესპუბლიკებისა და ვარშავის ხელშეკრულების წევრი სოციალისტური ქვეყნების ხელისუფლებები ვეღარ ბედავდნენ დემონსტრანტების დარბევას და ამ პროცესს 1989 წლის შემოდგომაზე უკვე "ხავერდოვანი" რევოლუციები მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპაში.

9 აპრილის ტრაგედიამ დიდი გარდატეხა გამოიწვია საქართველოში, რის შედეგადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დისიდენტურ-სტუდენტური საფეხურიდან საერთოეროვნულ მასშტაბამდე ამაღლდა. კრემლისთვის აშკარა გახდა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილზე კონტროლს კარგავდა და "ეთნოკონფლიქტების" პროვოცირების "მექანიზმები" აქტიურად აამუშავა. 1989 წლის ივლისში აფხაზეთში მოკლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი ელადიმერ ვეკუა, რასაც ამ რეგიონში ვითარების დაძაბვა მოჰყვა, თუმცა, ამ მოძრაობის ლიდერთა კონსტრუქციულმა აქტიურობამ ვითარება განმუხტა. აფხაზეთში

მდგომარეობის მეტ-ნაკლებად სტაბილიზაციის შემდეგ კრემლმა მეორე "ნაღმის" ამოქმედება დაიწყო — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1989 წლის 10 ნოემბერს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნისა" და ამ "რესპუბლიკის" ტერიტორიაზე "სახელმწიფო ენად ოსური ენის" გამოცხადების შესახებ. ეს გადაწყვეტილებები უკანონო იყო, რადგან ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლის უფლებამოსილება არ ჰქონდა (სწორედ "კანონთან შეუსაბამობის" საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 16 ნოემბერს გააუქმა ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 1990 წლის 3 აპრილს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან დაკავშირებით. ამ კანონის მესამე მუხლის თანახმად, თუ მოკავშირე რესპუბლიკა გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას, აღნიშნული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თითოეული ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ცალკე უნდა ჩატარებულიყო ანუ "ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრკ-ში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე — თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება". პარალელურად კრემლი სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის ხელმოწერის უფლებასაც ავტონომიური წარმონაქმნებიც იღებდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ ნაბიჯებს ავალდებულებდა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას უქმნიდა საფრთხეს და, შესაბამისად, ვითარების შემდგომ გამწვავებას ემსახურებოდა.

1990 წლის 20 სექტემბერს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ისევ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება, ოღონდ, ამჯერად ოლქის "საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და ამ "რესპუბლიკის" "სახელმწიფო სუვერენიტეტიც" გამოაცხადა. მანამდე, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომაც მსგავსი ნაბიჯი გადადგა: ავტონომიური რესპუბლიკა "საბჭოთა სოციალისტურ

რესპუბლიკად" "გარდაქმნა", მისი "სახელმწიფო სუვერენიტეტიც" გამოაცხადა და სსრკ-ის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობაზეც სრული მზადყოფნა გამოხატა, როგორც "სსრკ-ის ერთ-ერთმა დამაარსებელმა რესპუბლიკამ" (საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ცხადია, ეს უკანონო გადაწყვეტილებები ბათილად გამოაცხადა). მაგრამ "კანონთა ომი" ამით არ დასრულებულა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1990 წლის 16 ოქტომბერს დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებები, შექმნა "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი" და იმავე წლის 9 დეკემბრისთვის დანიშნა "რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1990 წლის 28 ოქტომბერს, სსრკ-ის ტერიტორიაზე პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებები. თუმცა, ყველაზე მრავლისმეტყველი და მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 28 ნოემბერის გადაწყვეტილებები: "რესპუბლიკის" სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა დემოკრატიული და "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" სახელით მან ოფიციალურად მიმართა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყრილობას, რათა ამ უკანასკნელს "ეცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად" და "ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის უშუალო მონაწილედაც" გამოეცხადებინა.

ამ ქრონოლოგიიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება (როგორც კომუნისტური, ასევე დემოკრატიულად არჩეული) თავს არიდებდა ავტონომიური სტრუქტურების წარმონაქმნებთან დაპირისპირებას და მათ გადაწყვეტილებათა სამართლებრიეი გაუქმებით კმაყოფილდებოდა, სანამ ეს სტრუქტურები ასე თუ ისე ითვალისწინებდნენ რეალობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვითარება შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალური საფრთხე გაჩნდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა "სამხრეთი ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" თხოვნას და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ოლქის ტერიტორიას ფედერაციის სუბიექტად ცნობდა. ამ შემთხვევაში "საბჭოთა ფედერაცია" ანუ კრემლი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების "ლეგიტიმურ საფუძველზე" "ჩამოაჭრიდა" საქართველოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, იქ განალაგებდა თავისი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს და

საქართველოს ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან სსრკ-ის ჯარებთან დაპირისპირების რესურსები საქართველოს, ცხადია, არ ჰქონდა, მით უფრო იმ დროს. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ერთადერთი მექანიზმი საქართველოსთვის სამართლებრივი ბერკეტი იყო (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც 1991 წლის 9 აპრილს მოხდა). სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, სხვა გზა აღარ ჰქონდა და უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებით გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", და შესაბამისად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოც.

აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პირველი პირების (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების): ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინის შეხვედრა, რომელიც დასრულდა მათ მიერ მოლაპარაკების ოქმის ხელმოწერით. ოქმის მესამე პუნქტში ვკითხულობთ: "რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას"[12]. ანუ ამ დოკუმენტით რუსეთმა რეალურად აღიარა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება "სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ" და საქართველოს ხელისუფლებას "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენა ითხოვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აფხაზეთის, ასევე ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ავტონომიურ სტრუქტურათა საკანონმდებლო ორგანოები, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილებები მიიღეს, "არჩეული" იყო საბჭოთა ეპოქაში (1985 წელს), ერთპარტიული სისტემის პირობებში, როცა თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარიც კი ზედმეტი იყო და ამ საბჭოების დეპუტატები კრემლიდან, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინიშნებოდნენ; ანუ ეს გადაწყვეტილებები კრემლის დაკვეთას წარმოადგენდა და არა ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის ნებას. მოგვიანებით, აფხაზეთში მიღებულ იქნა ახალი, კომპრომისული საარჩევნო კოდექსი და მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელშიც ყველაზე მეტი — 28 ადგილი დაეთმოთ აფხაზებს.

12. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზის კრებული. თბ. 2005. გვ. 68

აფხაზეთის მოსახლეობის 17 პროცენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები (მოსახლეობის 46%) უზენაეს საბჭოში მხოლოდ 26 ადგილს დასჯერდნენ, რაც ერთმნიშვნელოვნად აღასტურებს საქართველოს ხელისუფლებისა და ასევე აფხაზეთის ქართველი საზოგადოების კონსტრუქციულ პოზიციას, მათ მზადყოფნას თუნდაც ზედმეტად დამთმობი კომპრომისისთვის.

უდავოა, რომ იმავე პერიოდში ბელგრადის მიმართება კოსოვოელი ალბანელებისადმი და სერბეთის ლიდერთა მიერ გადადგმული ნაბიჯები დიამეტრულად საპირისპირო ხასიათის იყო და, შესაბამისად, პარალელების გავლება ამ მხრივაც უსაფუძვლოა.

8) სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, ერთი მხრივ, კოსოვოს და, მეორე მხრივ, აფხაზეთისა და ე.წ "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობის" აღიარების წინაპირობები და მოტივაცია.

გაეროს მონაცემებით, მილოშევიჩის რეჟიმის მიერ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის შედეგად მხოლოდ 1999 წლის დასაწყისში 850 000 კოსოველი ალბანელი გახდა იძულებული მიეტოვებინა სახლ-კარი და კოსოვოდან გადახვეწილიყო. იმავე წელს ნატოსა და გაეროს აქტიური ჩარევის შედეგად, კოსოვოში გენოციდი და ეთნოწმენდა შეჩერდა. მხარის ტერიტორიაზე დროებითი მმართველობის განხორციელება გაეროს იკისრა, ნატოს ჯარების მეშვეობით შეიქმნა უსაფრთხოების გარანტიები ალბანელი ლტოლვილების შინ დასაბრუნებლად (მხოლოდ ორ კვირაში 400 000 ლტოლვილი დაბრუნდა).

ხაზგასასმელია, რომ სწორედ ლტოლვილების უდიდესი უმრავლესობის დაბრუნების შემდეგ, 2004 წელს, გაეროს უშუალო მეთვალყურეობით, კოსოვოში ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და სწორედ ამ პარლამენტმა გამოაცხადა 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობა.

აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდის შედეგად კონფლიქტამდელი მოსახლეობის 47%, 240 000-მდე ქართველი დევნილად იქცა. აქედან ოფიციალურად, გაეროს ეგიდით დაბრუნებული და დარეგისტრირებულია მხოლოდ 312 ქართველი. 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა (აქედან 35 ათასი დღემდე დევნილად რჩება). ამ დევნილთა უმრავლესობა ქართველია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობისადმი სოლიდარობა ნიშნავს ეთნოწმენდის მსხვერპლთა (მათი უსაფრთხოების) მხარდაჭერას, ხოლო

აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის მომხრენი ეთნოწმენდის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს უცხადებენ მხარდაჭერას, მით უფრო, რომ ეს არის ფსევდოდამოუკიდებლობა, რეალურად კი კრემლი ახორციელებს საქართველოს ამ რეგიონების მიტაცებას.

9) კოსოვოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ავტონომიური მხარის უფლებამოსილების გაზრდა, რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯი იყო, მაგრამ ამ "შედალს" მეორე მხარეც აღმოაჩნდა — 80-იან წლებში, როცა ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო გაძლიერდა, ფედერალიზაცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, წამგებიანი აღმოჩნდა კოსოვოსთვის, რადგან ის ფედერალური ფონდები, რომელთა განკარგვის უფლება მან მიიღო, დაცარიელდა და "თვითდაფინანსების" პრობლემა მწვავედ დადგა მხარის ეკონომიკის წინაშე. იმ ფონზე, როცა იუგოსლავიის და სერბეთის საერთო ცხოვრების დონეს კოსოვო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, ამ ეკონომიკურმა სირთულეებმაც ეთნიკური ელფერი შეიძინა, რასაც ხელი შეუწყო ბელგრადის ისეთმა ქმედებებმა, როგორიც იყო, მაგალითად, "ანტიბიუროკრატული რევოლუციის" ეგიდით, ათეულობით ათასი ალბანელის გათავისუფლება სამსახურიდან.

საქართველოში ამ მხრივაც სხვა ვითარება იყო. საკამათო არ არის, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრების დონე ნამდვილად აღემატებოდა დანარჩენი საქართველოს ცხოვრების დონეს და არც ცხინვალის რეგიონი ჩამორჩებოდა საერთო მაჩვენებლებს. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ყოველმხრივ მხარს უჭერდა პირდაპირი ეკონომიკური კავშირების გაფართოებას აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან, მაგრამ 2008 წლის სამხედრო აგრესიამ და რუსეთის ჯარების მიერ ახალი "ბერლინის კედლის" აღმართვამ საქართველოს ტერიტორიაზე, ეს პროცესი შეაჩერა. 2007 წელს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტი "პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან", რომელიც ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის იყო გამიზნული, სადაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია იწყებოდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე (და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდამდე) ამ რეგიონში აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ხოლო ქართული და ოსური

სოფლების გვერდიგვერდ არსებობა, ეკონომიკური თანამშრომლობის გზით, მოსახლეობის სრული რეინტეგრაციის საშუალებას იძლეოდა.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი 6 პუნქტიანი ("სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის") შეთანხმების მთლიანად შესრულება და რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაელენ საქართველოს ტერიტორიიდან (მათ შორის, ე.წ. "სამხრეთ ოსეთიდან"), მას შემდეგ, რაც აქ განლაგდებიან ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და დაიწყება დევნილთა დაბრუნება თავიანთ სახლებში, ისევ შეიქმნება რეალური პირობები რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

10) სერბეთსა და რუსეთში საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად, დასავლეთის მიზანი იყო იუგოსლავიისა და სერბეთის დაშლა. ერთი წუთით რომ დავუშვათ კიდეც ასეთი "ჰიპოთეზის" რეალურობა, კრემლის მიერ საქართველოს პარალელი მაინც გაუმართლებელია. საქმე ის არის, რომ იუგოსლავიის ტერიტორია დაიშალა ისტორიულად არსებულ სახელმწიფოებად. თუ სერბეთიც დაიშლება, ანუ მას კოსოვო ჩამოშორდება, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება ან, შესაძლოა, მომავალში ალბანეთს შეუერთდეს, მაგრამ ის ვერ შეუერთდება აშშ-ს ან დიდ ბრიტანეთს, გერმანიას თუ საფრანგეთს (მილოშევიჩის ხელისუფლებამ სწორედ ამ ქვეყნებთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მას შემდეგ, რაც ნატომ სერბიის ობიექტების დაბომბვა დაიწყო).

ამ კონტექსტში აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით პრინციპულად სხვა სიტუაციაა, რადგან აქ, რეალურად, საქართველოს დაშლა კი არ ხდება, არამედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ფაქტობრივი მიტაცება რუსეთის მიერ. საქართველოს ამ ორი რეგიონის "მცოცავი ანექსია" 2008 წლის სამხედრო აგრესიამდეც მიმდინარეობდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ეს პროცესი დაჩქარდა, გაფართოვდა და თავხედურად, საერთაშორისო სამართლის ნორმათა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის სრული უგულებელყოფით მიმდინარეობს. არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც რაიმე ლეგიტიმაციას მიანიჭებდა რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიას. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის როგორც ადმინისტრაციული, ასევე ეკონომიკურ-ფინანსური სისტემა მთლიანად რუსეთზეა "მიბმული". არაფერს ვამბობთ ამ "დამოუკიდებელი სახელმწიფოების" გასამხ-

ელროებულ სტრუქტურებზე, რომლებიც რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან და მათ მოსკოვიდან გამოგზავნილი ჩინოვნიკები განაგებენ. აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე უშუალოდ რუსეთი აშენებს თავის სამხედრო ბაზებს და ამ "დამოუკიდებელი ქვეყნების" "საზღვრებსაც" უშუალოდ რუსეთის ჯარები აკონტროლებენ.

საერთაშორისო ორგანიზაცია "ინტერნეიშნალ ქრაიზის გრუპ"-ის 2010 წლის 7 ივნისის ანგარიშში ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" შესახებ აღნიშნულია: "მცირე, აგრარულ ტერიტორიას პოლიტიკის, ეკონომიკის ან უსაფრთხოების სფეროში ნამდვილი ავტონომიურობაც კი არ აქვს. მთავრობის ნახევარზე მეტი მოსკოვის მიერ არის დაკომპლექტებული. ბიუჯეტისა და უსაფრთხოების 99 პროცენტსაც მოსკოვი უზრუნველყოფს".[13]

ამ ფონზე, რასაკვირველია, უაღგილოა რაიმე პარალელის გავლება კოსოვოსთან, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატოს ჩარევის შემდეგ, კოსოვოში, გაეროს რეზოლუციის შესაბამისად, გაეროს დროებითი მმართველობა დამყარდა და არა, ვთქვათ, ვაშინგტონის ან ბერლინის.

11) სერბეთსა და კოსოვოში უცხო ქვეყნის ჯარები არ იდგნენ, რაც მნიშვნელოვნად ხელსაყრელი გარე ძალების გავლენას კონფლიქტზე. ასეთ ვითარებაში მასობრივი არეულობებისა და შეიარაღებულ დაჯგუფებათა შეტაკებების აღკვეთა მილოშევიჩის ხელისუფლებისთვის, ცხადია, უფრო გაადვილებული იყო, მით უფრო, რომ 1991 წლიდან, ბელგრადი, ფაქტობრივად, უშუალოდ მართავდა კოსოვოს. ასეთ პირობებში არსებობს შესაძლებლობა ექსტრემისტული, დესტრუქციული ძალების მარგინალიზაციისთვის და საზოგადოების ზომიერი, კონსტრუქციულად განწყობილი ნაწილის გააქტიურებისთვის, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გამოაშკარავდა, მილოშევიჩის ხელისუფლება თავად იყო მომხრე ყველაზე ექსტრემისტული და დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენებისა (გენოციდისა და ეთნოწმენდის), შესაბამისად, კოსოველი ალბანელებისა და სერბების ურთიერდამოკიდებულება უკიდურესი რადიკალიზაციის გზით წარიმართა, რამაც დიდი გასაქანი მისცა საზოგადოების იმ ძალებს, რომელთათვისაც, მაგალითად, ეთნოწმენდა მისაღები გზა იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში პრინციპულად განსხვავებული რეალობა არსებობდა. აქ კრემლს ჰქონდა 4 დიდი ბაზა და კიდევ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული ათეულობით მსხვილი სამხედრო ობიექტი. ასეთ ვითარებაში კრემლისთვის რთუ-

13 http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/205-south-ossetia-the-burden-of-recognition.aspx

ლი არ იყო ქართული პოლიტიკური სპექტრის ნაწილის გამოყენებით შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირება საქართველოში და ამ დაპირისპირების "სამოქალაქო ომად" წარმოჩენა. 1991 წელს, პრეზიდენტ გამსახურდიას დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების ყველაზე მეტი რაოდენობის დათმობა უმცირესობაში მყოფი აფხაზებისთვის აშკარად ადასტურებს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კონსტრუქციულ პოზიციას და ვითარების რადიკალიზაციისადმი წინააღმდეგობის ნებას. ასეთი ხელისუფლება, ცხადია, მისაღები ვერ იქნებოდა იმპერიული კრემლისთვის. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ე.წ. "თბილისის ომი" რეალურად იყო კრემლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მიზნად ისახავდა თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველოს სამაგალითოდ დასჯას, მის დანაწევრებას, და შესაბამისად, მისი სახელმწიფოებრიობის საერთოდ გაუქმებას.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაფერს "ზაკვო" — ამიერკავკასიაში კრემლის სამხედრო შტაბი განაგებდა. მათ საქართველოში შექმნეს "მართვადი ქაოსი" და არეულობის დროს ციხეებიდან გამოუშვეს ქართველი, აფხაზი, ოსი თუ სხვა ეროვნების კრიმინალები, მიაწოდეს იარაღი და საშუალება მისცეს გაეძარცვათ, დაერბიათ მშვიდობიანი მოსახლეობა, რამაც განუკითხაობის, სასტიკი ძალადობის, სისხლისღვრის "აგორებისთვის" აუცილებელი პრეცედენტები შექმნა. ასეთი "ფონის", ასეთი დამნაშავეების დაწინაურების, მათთვის რეალური ძალაუფლების გადაცემისა და ხელისუფლების სათავეში მოყვანის გარეშე, ე.წ. "ქართულ-აფხაზური" ან "ქართულ-ოსური" "ეთნოკონფლიქტები" ვერ განხორციელდებოდა. ამგვარმა "კოშუფლაჟმა" 90-იან წლებში კრემლს საშუალება მისცა "ნეიტრალური მშვიდობისმყოფლის" სტატუსით დარჩენილიყო საქართველოში.

2008 წლის აგვისტოს ომმა კი კრემლი ამ ნიღბის გარეშე დატოვა და მთელი მსოფლიოს დასანახად გამოააშკარავა ის, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, — რეალური კონფლიქტი არის არა ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს, არამედ საქართველოსა და კრემლს შორის.

12) რუსეთისადმი სერბების მეტისმეტმა ნდობამ მართლაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. საყურადღებოა, რომ 1998 წლის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, სერბების 95% წინააღმდეგი იყო საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობისა კოსოვოს პრობლემის

მოგვარებაში (სერბების გარკვეული ნაწილის განწყობა არც შემდეგ შეცვლილა, რაზეც მეტყველებს თუნდაც 2008 წელს, მიტროვიცელი სერბების თავდასხმა გაეროს ოფისზე, რაც კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა). საერთაშორისო საზოგადოებისადმი ასეთი უნდობლობა სწორედ რუსეთისადმი ნდობისა და ერთგულების გამოხატულება იყო. ოპოზიციურ ლიდერთა მნიშვნელოვან ნაწილსაც მსგავსი პოზიცია ჰქონდა (ვუკ დრაშკოვიჩი, მაგალითად, მხოლოდ მოგვიანებით დარწმუნდა, რომ რუსეთს არ შესწევდა ძალა საერთაშორისო საზოგადოებას დაპირისპირებოდა).

საქართველოს შემთხვევაში ამ მხრივაც განსხვავებული მდგომარეობაა. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებლობაზე მკაფიოდ მეტყველებს იმ ქართველი პოლიტიკოსების რეიტინგი, რომლებიც კრემლის მხარდაჭერით სარგებლობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისადმი სერბების მსგავსი ნდობა არც აფხაზებს და ოსებს აქვთ და ეს სრულიად ბუნებრიეია, თუ გავითვალისწინებთ ქართველებისა და აფხაზების ან ქართველებისა და ოსების მჭიდრო ნათესაურ კავშირებს და მრავალსაუკუნოვან წარსულს (ამას ადასტურებს 2004 წელს პუტინის მსუბუქი "სადამსჯელო ზომები" აფხაზების მიმართ, როცა მათ "საპრეზიდენტო არჩევნების" დროს არასაკმარისი მხარდაჭერა გამოხატეს ხაჯიმბასადმი — კრემლის გამოკვეთილი ფაეორიტისადმი). იგივე შეიძლება ითქვას ოსებზეც; საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას მხარს უჭერენ ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" მთავრობის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრები (დ. სანაკოევი და ჯ. ქარჭუსოვი), ასევე ცხინვალის "უმაღლესი სასამართლოს" ყოფილი თავმჯდომარე ა. პარასტაევი.

ცხადია, ფაქტობრივად, 20 წლიწადის განმავლობაში ინფორმაციულ იზოლაციაში მყოფ აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" არიან აფხაზები და ოსები, რომლებიც მართლაც მხარს უჭერენ კრემლს და დღემდე მისტირიან "საბჭოთა იმპერიას", კომუნისტურ-სტალინისტურ მეთოდებს (ასეთი მენტალიტეტის ადამიანები დანარჩენ საქართველოშიც არიან), მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კრემლი, უპირველესად, სამხედრო ძალას ეყრდნობა და აქ "პროქართული" განწყობილების გამოხატვა სასტიკად ისჯება. საკმარისია კრემლის სამხედრო და ინფორმაციული წნეხი შესუსტდეს და ვითარება შეიცვლება, ამ რეგიონების მცხოვრებთა რეალური განწყობილებები გამოვლინდება.

კოსოვოს კონფლიქტის დროს იმდენად დიდი იყო მილოშევიჩის ნდობა კრემლისადმი, რომ ბოსნიის ომის გამოცდილების მიუხედავად, ის მაინც არ მოერიდა ხელმეორედ დაპირისპირებოდა ნატოს. მსგავსი რამ აბსოლუტურად გამორიცხულია აფხაზეთის ან, მით უმეტეს, ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" მარიონეტული რეჟიმების მხრიდან. კოსოვოს კონფლიქტის დროს აუცილებელი გახდა ნატოს ძალების ჩართვა "მშვიდობის იძულებით დასამყარებლად", რაც ეტაპობრივად, დიდი სირთულეების გადალახვით მოხდა. საერთაშორისო საზოგადოება, ბუნებრივია, ცნობდა სერბიის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ნატოს საჰაერო დარტყმები მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც კოსოვოელი ალბანელების ეთნოწმენდამ შემაძრწუნებელი მასშტაბები მიიღო და ამ პროცესის შესაჩერებლად განხორციელებული ყველა მშვიდობიანი ქმედება, მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოსა და ევროკავშირის მკაცრი გაფრთხილებები უშედეგო აღმოჩნდა. მანამდე, კრემლისა და მილოშევიჩის წინააღმდეგობის გამო, საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა სამშვიდობო პროცესში გართულებული იყო. მილოშევიჩი ხელს არ აწერდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეთავაზებულ შეთანხმებას და ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას, ბუნებრივია, არც კი უცდია უნილატერალური გადაწყვეტილება მიეღო და სერბეთში შეჭრილიყო (განსხვავებით რუსეთისაგან, რომელმაც, ერთპიროვნულად, შეთითხნილი ბრალდებების საბაბით, 2008 წლის აგვისტოში სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს მიმართ).

სამართლებრივი თვალსაზრისით, იმ პრობლემასთან შედარებით, რომლის წინაშეც იდგა საერთაშორისო საზოგადოება კოსოვოს კონფლიქტის დროს, საქართველო-კრემლის დაპირისპირება გაცილებით მარტივი მოსაგვარებელია, რადგან საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება კრემლისგან, უპირველესად, მოითხოვს თვით პრეზიდენტ მედვედევის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების შესრულებას, ანუ რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. სხვა საქმეა, რომ ფაქტობრივი განხორციელების მხრივ ძალზე რთულია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა დაცვა და საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებების (მაგ. გაეროს, ევროსაბჭოს რეზოლუციათა) შესრულება აიძულო იმ ადამიანებს, რომლებიც 21-ე საუკუნეში ისევ კომუნისტურ-ფაშისტური მენტალიტეტისა და მეთოდების ერთგულნი არიან.

ცალკე უნდა გამოიყოს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისა

და ნატოს ოპერაციის განმასხვავებელი მომენტები. ნატოს სამხედრო ოპერაცია — "გაერთიანებული ძალა" დაიწყო 1999 წლის 24 მარტს და გრძელდებოდა 77 დღე, 10 ივნისამდე. ოპერაცია მიზნად ისახავდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1199-ე რეზოლუციის (23. 09. 1998) მოთხოვნათა შესრულებას. ნატოს ოპერაცია შემოიფარგლებოდა შეზღუდული საავიაციო დარტყმებით (სახმელეთო ჯარებს ამ ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ).

1999 წლის იანვრიდან ნატო აქტიურად მოითხოვდა პრეზიდენტ მილოშევიჩისგან კოსოვოელ ალბანელთა ეთნოწმენდის შეჩერებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, იანვარში გაეროს ჰუმანიტარული ჯგუფის მიერ აღმოჩენილ იქნა სოფელ რაცაკში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის მარტიდან 1999 წლის მარტამდე (ანუ იმ დრომდე, სანამ დაიწყებოდა ნატო-ს სამხედრო ოპერაცია) კოსოვოში მოკლეს 2000-ზე მეტი ადამიანი. ნატოს სამხედრო ოპერაციის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები რუსეთის 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისგან:

1. ნატოს ოპერაციის მოთხოვნა იყო ბელგრადის მიერ უშიშროების საბჭოს 1199-ე რეზოლუციის შესრულება ანუ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა (ოპერაცია დაიწყო რეზოლუციის მიღებიდან 6 თვის შემდეგ); ოპერაციის დაწყებამდე საერთაშორისო ორგანიზაციები თვეების განმავლობაში თხოვდნენ მილოშევიჩს შეესრულებინა გაეროს რეზოლუცია;

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების ინტერვენციას საქართველოს ტერიტორიაზე წინ არ უსწრებდა არანაირი საერთაშორისო დოკუმენტის მიღება, რომელიც კრემლს ასეთი ქმედებისთვის, თუნდაც სულ უმნიშვნელო საბაბს მისცემდა. პირიქით, გაეროს უშიშროების საბჭოს 2007 წლის 15 ოქტომბერის და 2008 წლის 15 აპრილის (S/RES 1781, S/RES/1808) რეზოლუციებში ცალსახად არის დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ქართული მხარისთვის მთლიანად მისაღები პოზიცია, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შინ დაბრუნების უფლება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას დევნილის ინდივიდუალური საკუთრების უფლებაზე (იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება, რომელიც მას კონფლიქტამდე ეკუთვნოდა). 15 აპრილის რეზოლუცია მოუწოდებს კონფლიქტის მხარეებს "დაუყოვნებლივ დაასრულონ მუშაობა შეთანხმებაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ და შეთანხმებაზე დევნილთა

და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ". უფრო მეტიც, გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის 15 მაისის რეზოლუციაში (A/RES/62/249) აღნიშნულია, რომ გენერალური ასამბლეა, ეფუძნება რა ეუთოს ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბულის (1999) სამიტების რეზოლუციებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზული ფაქტები აფხაზეთში (მათ შორის, "ეთნიკური წმენდა — ასეულობით ათასი ადამიანის განდევნა რეგიონის ტერიტორიიდან, რამაც გამოიწვია კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული ვითარების შეცვლა"), კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა დევნილისა და მათ მემკვიდრეთა უფლებას შინ დაბრუნების შესახებ და მათ მიმართ აღიარებს საკუთრების უფლებას; მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს არ დაუშვან მათი მოქალაქეების მიერ რაიმე ქონების შეძენა აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილთა უფლებების დარღვევით. გენერალური ასამბლეა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "აუცილებელია ოპერატიული გრაფიკის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სწრაფ, ნებაყოფლობით დაბრუნებას საკუთარ სახლში, აფხაზეთში".

აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ კრემლი არა თუ გაეროს რეზოლუციების შესრულებას სთხოვდა საქართველოს ხელისუფლებას, არამედ სწორედ გაეროს ამ რეზოლუციათა განხორციელების არდაშვება იყო მისი უპირველესი მიზანი, სწორედ გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში აღნიშნული დევნილთა დაბრუნების "ოპერატიული გრაფიკი" აშინებდა მას და ამიტომაც დაიწყო საქართველოზე შეტევა აგვისტოში, რადგან ზემოხსენებულ გრაფიკზე მუშაობა სექტემბერში უნდა დაწყებულიყო. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მილოშევიჩისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლება არავის გაუფრთხილებია საავიაციო ან სახმელეთო ინტერვენციის შესახებ.

2. მილოშევიჩმა უარყო ნეიტრალური საკონტაქტო ჯგუფის მიერ მომზადებული სამშვიდობო გეგმა და აგრძელებდა ეთნიკურ ალბანელთა ეთნოწმენდას;

ევროკავშირის ფაქტების დამდგენმა მისიამ (ჰ. ტალიავინის კომისიამ) დაადასტურა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში საქართველოს სამხედრო შენაერთებს ეთნიკური წმენდა არ განუხორციელებიათ (არაფერს ვამბობთ კრემლის პროპაგანდისტულ მითზე "ოსების გენოციდის შესახებ"). პირიქით, ტალიავინის კომისიის მოხსენებაში (ისევე რო-

გორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებში: #1633, 1647, 1683) დადასტურებულია, რომ 2008 წლის აგვისტოში ეთნიკური წმენდა ქართველების მიმართ განხორციელდა. მილოშევიჩისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის მიესალმებოდა და მიესალმება სამშვიდობო პროცესს და მის ინტერნაციონალიზაციას. მაგალითად, 2008 წლის 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზურ მხარეს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულ წინადადებებს, საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო ე. წ. "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილი და ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) მოწონებული სამშვიდობო გეგმა 2005 წლის დეკემბრიდან არსებობს.

3. გადაწყვეტილება საავიაციო დარტყმების შესახებ მიიღო არა რომელიმე ერთმა სახელმწიფომ, არამედ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, რომელიც იმ მომენტისთვის 19 წევრ-სახელმწიფოს აერთიანებდა;

ნატოსგან განსხვავებით, კრემლმა უნილატერალურად მიიღო საქართველოში ინტერვენციის გადაწყვეტილება და მოგვიანებით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მისი ასეთი ნებიჯი გააძარცლა მხოლოდ დანიელ ორტეგამ, უგო ჩავესმა და კუნძულ ნაურუს ხელისუფლებამ.

4. ნატოს ოპერაცია მოიცავდა მხოლოდ წერტილოვან საავიაციო დარტყმებს და მასში სახმელეთო ჯარები არ მონაწილეობდნენ;

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. საკმარისია ითქვას, რომ მაშინ კრემლმა თავისი 53-ე არმია შემოიყვანა საქართველოში. რუსეთის ჯარებმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დაბომბეს და დაიკავეს სამოქალაქო ობიექტები, მაგისტრალები, რომლებიც ათეულობით კილომეტრით იყო დაშორებული კონფლიქტის ზონებს. რუსეთის ოფიციალური სამხედრო დანაყოფები უშუალოდ მონაწილეობდნენ როგორც ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდაში, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-დარბევაში, საქართველოს სახელმწიფო ქონების დატაცება-განადგურებაში.

5. მას შემდეგ, რაც მილოშევიჩმა ხელი მოაწერა კოსოვოდან ჯარების გაყვანის შეთანხმებას, ნატოს ოპერაცია დაუყოვნებლივ შეწყდა.

სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა მოხდა 12 აგვისტოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის ჯარები ამის შემდეგ აგვისტოს ბოლომდე განაგრძობდნენ წინსვლას

და საქართველოს იმ ტერიტორიების ოკუპაციას, რომლებიც დიდი მანძილით არის დაშორებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ამ პერიოდში ისევ გრძელდებოდა ძარცვა და ძალადობა. მართალია, მოგვიანებით, აშშ-ის აქტიური ჩარევის შედეგად, რუსეთის ჯარების წინსვლა შეჩერდა და სექტემბრის შუა რიცხვებისთვის მათ დატოვეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილი, მაგრამ 12 აგვისტოს შეთანხმების ძირითადი პირობები, რომელთა თანახმად, რუსეთის სამხედრო შენაერთები უნდა დაბრუნებოდნენ 2008 წლის 7/8 აგვისტომდე არსებულ პოზიციებს (ანუ უნდა გასულიყვნენ საქართველოს ტერიტორიიდან) დღემდე არ სრულდება.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ყოფილი იუგოსლავიისგან განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე და მხოლოდ ზედაპირულად შეიძლება კოსოვოში, ე.წ. "სამხრეთ ოსეთსა" და აფხაზეთში არსებულ მდგომარეობათა ერთმანეთთან შედარება და მათი ერთ ჭრილში განხილვა.

ძირითად განსხვავებას კი მაინც შემდეგი გარემოება განაპირობებს — ჩვენთან არსებული კონფლიქტები არ ატარებდა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური დაპირისპირებების ხასიათს, განსხვავებით იუგოსლავიისგან, სადაც ადგილი ჰქონდა სერბულ-ალბანურ დაპირისპირებას. თუ საუბარია რომელიმე კონფლიქტის ანალოგიაზე კოსოვოს კონფლიქტთან, ეს, ალბათ, მაინც ჩეჩნეთია, სადაც დღემდე მიმდინარეობს ჩეჩენი ხალხის გენოციდი. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ეჯვეჭვეშ აყენებს სწორედ გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში. საქართველოს შემთხვევაში კი ეს არის არა ეთნოკონფლიქტი, არამედ ერთი სახელმწიფოს (რუსეთის) მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

პალესტინა

პალესტინის, როგორც რეგიონის საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ ის ყოველთვის მოიცავდა იმ ტერიტორიას, რომელზეც ამჟამად ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის ადმინისტრაციის იურისდიქცია ვრცელდება. გაეროს 1947 წლის რეზოლუციაშიც (#181) "პალესტინად" ეს ტერიტორია მოიხსენიება, ანუ ტერიტორია, რომელზეც პალესტინის სახელწოდების მქონე დიდი ბრიტანეთის მანდატი ერთი წლის განმავლობაში კიდევ მოქმედებდა, მას შემდეგ, რაც 1946 წელს იორდანია დამოუკიდებელი გახდა და ამ ქვეყნის ტერიტორიასა და ბრიტანეთის აღნიშნულ მანდატს შორის ფორმალური კავშირიც გაწყდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ყურადღების ცენტრში სწორედ ზემოხსენებულ ტერიტორიაზე მომხდარი მოვლენები იქნება.

პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაცია

ფართობი — 6 220 კმ²;
მოსახლეობა — 3, 702 212 (ძირითადად, პალესტინელი არაბები);
რელიგია — მაჰმადიანობა (უპირატესად, სუნიტური);
ვალუტა — ებრაული შეკელი;

პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაცია შეიქმნა 1994 წელს, როგორც დროებითი ავტონომიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლის იურისდიქცია მოიცავს ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირის მიმდებარე ტერიტორიას.

ისრაელი

ფართობი — 21 072 კმ²;
მოსახლეობა — 7 465 000, აქედან 75,4% ებრაელი და 20,6% პალესტინელი არაბი;
რელიგია — ძირითადად, იუდაიზმი და მაჰმადიანობა;
ვალუტა — შეკელი.

ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1948 წლის 14 მაისს და გაეროს წევრი გახდა 1949 წლის 11 მაისს.

ფართობი — 125 კმ²;

მოსახლეობა — 747 600, აქედან 64% ებრაელი, 32% არაბი და 2% ქრისტიანი;

გაეროს გენერალური ასამბლეის 181-ე რეზოლუციის (1947წ.) თანახმად, იერუსალიმს უნდა ჰქონოდა საერთაშორისო სტატუსი. მაგრამ, ფაქტობრივად, გაყოფილი იყო: დასავლეთ ნაწილს ისრაელი აკონტროლებდა, აღმოსავლეთს კი — არაბები. 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ ის მთლიანად ებრაელთა ხელში გადავიდა. ებრაელებიც და პალესტინელი არაბებიც იერუსალიმს თავიანთ დედაქალაქად აცხადებენ (1993 წლის ოსლოს შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ იერუსალიმის საბოლოო სტატუსი შემდგომი მოლაპარაკებებისას უნდა გადაწყდეს).

პალესტინა ფილისტიმელთა ენაზე "ფილისტიმელების ქვეყანას" ნიშნავს. ფილისტიმელებამდე ამ ტერიტორიაზე ქანაანელები ცხოვრობდნენ და ამ მიწას ქანაანს უწოდებდნენ. ფილისტიმელები აქ ძვ.წ.აღ.-ით XIII საუკუნიდან დომინირებდნენ და ორი საუკუნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელების დამკვიდრებას პალესტინაში.

XI ს. ძვ.წ.აღ.-ით — შეიქმნა ებრაელთა სამეფო, რომელიც შემდეგ გაიყო ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად ანუ, შესაბამისად, ისრაელად და იუდეად (ამ უკანასკნელის დედაქალაქია იერუსალიმი).

VIII ს. ძვ.წ.აღ.-ით — ისრაელი დაიპყრო ასურეთმა.

VI ს. ძვ.წ.აღ.-ით — იუდეა დაიპყრო ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ, რომელმაც აჯანყების პასუხად, იუდეის სამეფო კარი და დაახლოებით 10 000 ებრაელი ბაბილონში გადაასახლა. თუმცა, მალე ბაბილონის ახალმა მფლობელებმა — სპარსელებმა ისინი სამშობლოში დააბრუნეს.

IV ს. ძვ.წ.აღ.-ით — პალესტინა სელევკიდების ელინისტური იმპერიის ნაწილი გახდა (ეს ტერიტორია მაშინდელ ელინისტურ წყაროებში ხშირად მოიხსენიება "პალესტინის სირიად").

I ს. ძვ.წ.აღ.-ით — პომპეუსმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, პალესტინის ჩათვლით, რომის იმპერიას დაუქვემდებარა.

70 წ. – იუდეამ დაკარგა მეტ-ნაკლებად ავტონომიური ვასალის სტატუსი და რომის იმპერიის პროვინციად იქცა. ებრაელთა წინააღმდეგობა, რომელიც სახელმწიფოებრიობის დაკარგვით იყო გამოწვეული, 73 წელს "მასადას" ციხე-სიმაგრის დაცემით დასრულდა.

132 წ. — იუდეაში დაიწყო ბარ-კოხბის აჯანყება, რომელსაც ათეულ

ათასობით ადამიანი შეეწირა, ებრაელების მნიშვნელოვანი ნაწილი გაასახლეს იუდეიდან (ძირითადად, ჩრდილოეთით მდებარე გალილეაში). რომაელებმა დაიწყეს იერუსალიმის ხელახალი ელინიზაცია, აღადგინეს ელინისტური სახელწოდება „პალესტინის სირია", რათა საერთოდ წაეშალათ ებრაელთა არსებობის კვალი ამ მიწაზე.

395 — რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ, პალესტინა ბიზანტიის პროვინცია გახდა. უკვე არსებობს ძლიერი ქრისტიანული თემი და იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია. დიდი დევნის მიუხედავად, ამ დროისთვის ებრაელები გალილეაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ უმრავლესობას.

638 — იერუსალიმი და მთლიანად პალესტინა არაბებმა დაიპყრეს, რასაც მოჰყვა რეგიონის ისლამიზაცია.

1099 — ჯვაროსნებმა შტურმით აიღეს იერუსალიმი და გოტფრიდ ბულონელმა იერუსალიმის სამეფო დააფუძნა.

1291 — მამლუქებმა აიღეს ჯვაროსანთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე — აკრა და ამით დასრულდა ჯვაროსნების ხანა პალესტინაში.

1492 — პალესტინის ებრაული მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ესპანეთიდან დევნილთა ხარჯზე, რომლებმაც ქალაქ ცფატის ებრაული თემი დაარსეს.

1517 — პალესტინა ოსმალეთის იმპერიამ შეიერთა და 4 საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა მას. ქრისტიანებსა და იუდეველებს მინიჭებული ჰქონდათ "ზიმის" სტატუსი, რაც გულისხმობდა "მეორეხარისხოვანი ადამიანის" სტატუსს ანუ გარკვეულ სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, თუმცა ეკრძალებოდათ იარაღის ტარება, ცხენზე ამხედრება, არმიაში სამსახური და დაკისრებული ჰქონდათ სპეციალური გადასახადი.

1800 — მოსახლეობის აღწერის თანახმად, პალესტინის მთლიანი მოსახლეობა 300 ათასამდე იყო, აქედან დაახლოებით 270 ათასი — მაჰმადიანი (სუნიტები), 25 ათასი — ქრისტიანი და 5 ათასი იუდეველი.

1880 — პალესტინის მოსახლეობამ 450 ათასს მიაღწია, აქედან 24 ათასამდე გაიზარდა ებრაელთა რაოდენობა. ებრაელები, ძირითადად, 4 ქალაქში: იერუსალიმში, ცფატში, ხევრონსა და ტვერიაში ცხოვრობდნენ (იერუსალიმის 25 ათასიანი მოსახლეობიდან ნახევარზე მეტს ებრაელები შეადგენდნენ).

1881 — რუსეთის იმპერიაში მომხდარი მასობრივი დარბევის გამო, ებრაელების დიდი ტალღა გადასახლდა პალესტინაში, რასაც პირველ ალიას უწოდებენ. ამის შედეგად, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის პალ-

ესტატის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელთა რიცხვი გაორმაგდა (50 ათასი ებრაელი და 450 ათასი არაბი).

1904 — დაიწყო მეორე ალია, მას შემდეგ, რაც ისევ რუსეთის იმპერიაში (კიშინიოვში) დაიწყო ებრაელთა დარბევის ახალი, ხანგრძლივი ტალღა. იმ წლებში 40 ათასზე მეტი ებრაელი ჩასახლდა პალესტინაში.

1916 — ბრიტანეთის მხარდაჭერით, მექისა და ჰიჯაზის მმართველმა, ამირა ჰუსეინ ბენ ალი ალ ჰაშემიმ, რომელიც არაბულ სამყაროში ყველაზე პატივცემულ საგვარეულოს წარმოადგენდა (ჰაშემიტები წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირ შთამომავლებად ითვლებიან და X საუკუნიდან ისინი განაგებდნენ ისლამის უდიდეს სიწმინდეებს), არაბთა დიდი აჯანყება წამოიწყო ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მედინისა და დამასკოს გათავისუფლება არაბებმა სწორედ ამირა ჰუსეინის ვაჟის — ფეისალის სარდლობით შეძლეს (მოგვიანებით ის ერაყის მეფე გახდა, ხოლო მისი უმცროსი ძმის — აბდალას შთამომავლები ღღემდე იორდანიის მონარქები არიან).

იმავე წელს, 16 მაისს ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება (დოკუმენტის ბრიტანელი და ფრანგი ავტორების მიხედვით, მას საიქს-პიკოს შეთანხმებას უწოდებენ). ამ შეთანხმებით ორმა ქვეყანამ წინასწარ განსაზღვრა გავლენის სფეროები, თუ პირველ მსოფლიო ომში გაიმარჯვებდნენ; კერძოდ, ბრიტანეთი გააკონტროლებდა დღევანდელი იორდანიის, პალესტინის, სამხრეთ ერაყისა და ქალაქ ჰაიფას მიმდებარე ტერიტორიას, ხოლო საფრანგეთი — სირიას, ლიბანსა და ჩრდილო ერაყს.

1917 — 2 ნოემბერს ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა „ბალფურის დეკლარაცია" (ლორდი ა. ბალფური ბრიტანეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო). ამ დეკლარაციის თანახმად, ბრიტანეთის მთავრობა „კეთილგანწყობით აღიქვამს პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული სახლის დაფუძნებას და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ამ პროცესს".[1]

ამავე დროს, იქვე აღნიშნულია, რომ „დაუშვებელია პალესტინაში მცხოვრები არაებრაელი მოსახლეობის სამოქალაქო ან რელიგიური უფლებების დარღვევა". ლოიდ ჯორჯის განმარტებით, ცხადია, „ბალფურის დეკლარაცია არ არის გულმოწყალების აქტი; ესაა ერთგვარი გარიგება... იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც უნდა გაეწია მთელი მსოფლიოს ებრაელობას მოკავშირეებისადმი" (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომის დროს არსებული ანტანტის სამხედრო ბლოკი და

1 http://www.knesset.gov.il/lexicon/eng/BalfourDeclaration_eng.htm

მისი მოკავშირეები). დეკლარაციაში ნახსენები „ებრაული ეროვნული სახლი" მოგვიანებით პოლემიკის საგანი გახდა, იმ მოტივით, რომ ტექსტში დაფიქსირებულია „ეროვნული სახლი" და არა „სახელმწიფო", მაგრამ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ვერც საერთაშორისო ორგანიზაცია და ვერც სხვა სახელმწიფო ვერ აღიარებს სახელმწიფოს დამოუკიდებლად მის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ამიტომ ბალფურის დეკლარაციაში ებრაელთა „სახელმწიფო" ვერ ჩაიწერებოდა.

1918 — 1 ოქტომბერს არაბებმა, ბრიტანელების დახმარებით, დამასკო გაათავისუფლეს ოსმალებისაგან.

1919 — პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე „პალესტინად" განისაზღვრა ტერიტორია, რომელიც მოიცავს დღევანდელ ისრაელს (პალესტინის ავტონომიის ჩათვლით), იორდანიასა და საუღის არაბეთის ჩრდილო-დასავლეთის მცირე ნაწილს. ამავე კონფერენციის ფარგლებში დიდი არაბული აჯანყების მეთაურმა, ამირა ფეისალმა ხელი მოაწერა შეთანხმებას სიონისტთა ლიდერ ხაიმ ვეიცმანთან („ვეიცმან-ფეისალის შეთანხმება") და დაადასტურა არაბული მხარის პრინციპული თანხმობა შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო პალესტინის ტერიტორიაზე.

შეთანხმების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ არაბ და ებრაელ ხალხს „ერთმანეთთან აკავშირებს რასობრივი ნათესაობა და ისტორიული კავშირები". მე-2 პუნქტის თანახმად, „სამშვიდობო კონფერენციის დასრულებისთანავე, კომისია, რომელიც უფლებამოსილი იქნება ორივე მხარის მიერ, დაადგენს ზუსტ საზღვარს არაბულ სახელმწიფოსა და პალესტინას შორის"[2] (იმ პერიოდში არაბები ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არაბული პროვინციების ტერიტორიაზე ვარაუდობდნენ ხუმრობით „არაბული სახელმწიფოს", იმავე „დიდი სირიის" აღდგენას და მის სამხრეთით პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, თუმცა, ზოგან ისინი პალესტინასაც სირიის ნაწილად მოიხსენიებდნენ /იხ. ქვემოთ, ფეისალის წერილი ფ. ფრანკფურტერისადმი/).

შეთანხმებაში აღიარებულია „ბალფურის დეკლარაცია" და მე-4 პუნქტში დაკონკრეტებულია, რომ გადადგმული იქნება „ყველა აუცილებელი ნაბიჯი პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა იმიგრაციის მხარდასაჭერად, მისი მასშტაბისა და მიწების ათვისების პროცესის გასაფართოებლად. ამავე დროს, განხორციელდება ყველა ღონისძიება არაბი გლეხობის უფლებათა დაცვისა და მისი ეკონომიკური აღორძინებისთვის". შეთანხმებაში ხაზგასმულია რელიგიური ან

2.. http://domino.un.org/unispal.nsf/9a798adbf322aff38525617b006d88d7/5bff833964edb9bf85256ced00673d1f!OpenDocument&Highlight=2,faisal

პოლიტიკური უფლებების მხრივ დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

ტექსტს ერთვის ამირა ფეისალის განმარტება, რომლის მიხედვით, მისი ხელმოწერა გაუქმებულად ჩაითვლება, თუ ბრიტანეთი არ შეასრულებს 1919 წლის იანვრის არაბთა დამოუკიდებლობის მემორანდუმის მოთხოვნებს ანუ არ უზრუნველყოფს, უპირველესად, სირიის დამოუკიდებლობას. მემორანდუმშიც აშკარად ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეისალი ნათესაობის ფაქტორს: „ებრაელები სისხლით ძალიან ახლოს არიან არაბებთან, ამიტომ იქ (იგულისხმება პალესტინა) არ უნდა წარმოიშვას კონფლიქტი, როგორც ეს სხვადასხვა რასისთვის არის დამახასიათებელი. არსებითად, ჩვენ ერთნაირები ვართ". იგი იქვე აღიარებს, რომ საწყის ეტაპზე არაბები ვერ შეძლებენ გარკვეული ტერიტორიების, მაგ. მესოპოტამიის (ერაყის) დამოუკიდებლად მართვას, მაგრამ სირია სხვა შემთხვევაა და აქ მათ ევროპის დახმარება არ ესაჭიროებათ.

ჰაშემიტების დამოკიდებულება პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე კარგად ჩანს არაბთა სარდლის წერილში, რომელიც მან ამერიკელ სიონისტთა ლიდერ ფელიქს ფრანკფურტერს მარტში გაუგზავნა. ფეისალი ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს: „ებრაელ ხალხს ჩვენ გულით ვუსურვებთ სამშობლოში დაბრუნებას... სირიაში საკმარისი ადგილია ორივესთვის. ებრაული მოძრაობა ეროვნული მოძრაობაა და არა იმპერიალისტური".

ბრიტანელები ჰაშემიტებს მექა-პიჯაზის გარდა შეჰპირდნენ სირიისა და ერაყის გამგებლობას. ამ გზით ლონდონმა, ერთი მხრივ, მოიმადლიერა საუდიტები (ჰაშემიტების ძირითადი კონკურენტები არაბეთის ნახევარკუნძულზე გავლენისთვის ბრძოლაში), რადგან „არაბთა განმათავისუფლებელმა" ჰაშემიტებმა მთელი ძალები ჩრდილოეთით, სირია-ერაყისკენ მიმართეს და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მჭიდროდ დაიკავშირა ჰაშემიტები, რადგან ბრიტანეთის დახმარების გარეშე ისინი ვერ განახორციელებდნენ თავიანთ ამბიციურ გეგმებს.

აპრილში ამირა ფეისალი საფრანგეთის პრემიერს შეხვდა. კლემანსომ მას შესთავაზა ისეთივე მოდელი სირიისთვის, როგორიც იმ დროის უკვე მოქმედებდა ლიბანში, ანუ სირიაში ჩადგებოდა ფრანგული ჯარი და გუბერნატორებისა თუ მთავრობის ხელმძღვანელ პირთა დანიშვნის, ასევე სამართლებრივი უფლებამოსილების საკითხებიც პარიზს უნდა გადაეწყვიტა. ამირა ასეთ „დამოუკიდებლობას" არ მოელოდა და, ცხადია, ეს პირობები არ მიიღო, მით უფრო, რომ ბრიტანელებმაც უარის თქმა ურჩიეს.

1920 — მარტში სირიის საერთო სახალხო კონგრესმა გამოაცხადა „დიდი სირიის" დამოუკიდებლობა და მის მეფედ ფეისალ I პაშები დაადგინა.

არაბები 1919 წლის იანვრიდან ელოდნენ ბრიტანელების მიერ არაბთა მემორანდუმის პირობების შესრულებას; თავდაპირველად მათ არც კი იცოდნენ, რომ საიქს-პიკოს შეთანხმებით გაელენის სფეროები ჯერ კიდევ 4 წლის წინ გადანაწილდა და რომ სირია საფრანგეთს ერგო (ოსმალეთის იმპერიის დაშლა ოფიციალურად მხოლოდ 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულებით გაფორმდა).

25 აპრილი — სან-რემოში ერთა ლიგის კონფერენციაზე მოკავშირეებმა საფრანგეთს მიაკუთვნეს მანდატი სირიასა და ლიბანზე (საფრანგეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ლიბანის სანაპირო ზოლით და იქ მცხოვრები ქრისტიანი არაბული მოსახლეობით). ბრიტანეთმა კი ერაყისა და პალესტინის (დღეისათვის ეს ტერიტორია საკუთრივ პალესტინასთან ერთად იორდანიასაც მოიცავს) მანდატი მიიღო. იქვე „ბალფურის დეკლარაცია" დაამტკიცეს, როგორც პალესტინის პრობლემის ომისშემდგომი მოგვარების საბაზისო დოკუმენტი და ის დიდი ბრიტანეთის საპროტექტორო მანდატშიც შეიტანეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ 24 აპრილს ინგლისელ და ფრანგ მენავთობეთა შეთანხმება გაფორმდა, რომლის თანახმად, ერაყიდან სირიის გაელით ნავთობსადენის მშენებლობა გადაწყდა. ამ ფაქტმა, სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილებებთან ერთად, ფეისალის აღშფოთება გამოიწვია და მან გაუქმებულად გამოაცხადა ვეიცმანთან დადებული ხელშეკრულება. ამას მოჰყვა არეულობები სირიაში და 3 თვის შემდეგ, 24 ივლისს ფრანგული ჯარი, არაბთა მცირე წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, დამასკოში შევიდა, სადაც 1947 წლამდე დარჩა). ფეისალი იძულებული გახდა დაეთმო სირია, თუმცა იმავე წლის დეკემბერში ის, ბრიტანელების დაპირებისამებრ, შუამდინარეთის ტერიტორიაზე ახალშექმნილი სახელმწიფოს — ერაყის მონარქი გახდა (ბრიტანეთმა ვადაზე ადრე, 1932 წელს შეწყვიტა თავისი მანდატი ერაყში და ეს უკანასკნელი 1933 წელს ერთა ლიგის წევრი გახდა).

25 აპრილს ერთა ლიგის სან-რემოს კონფერენციაზე გადაწყდა პალესტინის მანდატის ბრიტანეთისთვის გადაცემის საკითხი (პალესტინის მანდატი 1919 წელს პარიზის კონფერენციაზე დადგენილ ტერიტორიას მოიცავდა).

იმავე წელს დაიწყო მესამე ალია (პალესტინის ებრაელი მოსახლეობა 90 ათასი გახდა). ჩამოსულებმა დააშრეს ისრაელისა და ხეფერის

ჭაობიანი ველები და იქ სოფლის მეურნეობა განავითარეს.

1921 — მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე დიდმა ბრიტანეთმა შექმნა ახალი, ტრანსიორდანიის სამეფო.

1922 — 24 ივლისს ერთა ლიგამ დიდ ბრიტანეთს ოფიციალურად მიანიჭა საპროტექტორო მანდატი, რათა პალესტინის ტერიტორიაზე „შეექმნა პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური პირობები ებრაული ეროვნული სახლის დასაარსებლად" (იმ დროისათვის პალესტინის მცხოვრებთა უმრავლესობას ისევ მაჰმადიანი არაბები შეადგენდნენ, თუმცა, იერუსალიმში მოსახლეობის ბალანსი უკვე ებრაელთა მხარეს იყო).

16 სექტემბერს, ბრიტანეთის თხოვნით, ერთა ლიგის საბჭომ მხარი დაუჭირა ტრანსიორდანიის (დღევანდელი იორდანიის) ცალკე გამოყოფას ანუ ამ დროიდან პალესტინის მანდატი, ფაქტობრივად, გულისხმობდა ორ მანდატს: ტრანსიორდანიის და იმ ტერიტორიის, რომელზეც, იორდანიის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ (1946.05.25.), დროებით შენარჩუნდა ბრიტანეთის მანდატი „პალესტინის" სახელწოდებით (1947 წელს გაერომ სწორედ ამ ტერიტორიაზე განსაზღვრა ებრაელთა და არაბთა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება).

ამავე წელს ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება („ჩერჩილის მემორანდუმი"), რომელშიც განმარტებული და დაკონკრეტებულია „ბალფურის დეკლარაციის" ძირითადი პრინციპი, კერძოდ, ერთი მხრივ, პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა „ეროვნული სახლის" დაფუძნება, ებრაელთა იმიგრაციის მხარდაჭერა და, მეორე მხრივ, არაბი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინება და დაცვა. 1922 წელს პალესტინაში ცხოვრობდა 660 ათასი არაბი (აქედან 71 ათასი ქრისტიანი) და 83 ათასი ებრაელი.

1922-1929 — მეოთხე ალიის პერიოდი, როცა პოლონეთსა და უნგრეთში ანტისემიტური გამოსვლების გამო, 82 ათასი ებრაელი ჩაიდა ისრაელში.

1929 — იერუსალიმში, „გოდების კედლის" გამო მომხდარი დავა ებრაელებსა და არაბებს შორის დიდ ძალადობაში გადაიზარდა: დაიღუპა 220 და დაშავდა 520 ადამიანი. შეტაკებების შესაჩერებლად ინგლისელთა სამხედრო ძალების ჩარევა გახდა აუცილებელი. აგვისტოს მოვლენები შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ყოფილი მთავარი მოსამართლე უოლტერ შოუ ხელმძღვანელობდა.

კომისიის დასკვნაში აღნიშნულია: „უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სამჯერ მოხდა არაბების სერიოზული თავდასხმა ებრაელებზე და ეს მაშინ, როცა მსგავსი ინციდენტები უკვე 80 წელიწადია არ დაფიქ-

სირებულა. აშკარაა, რომ ამ ორი ხალხის ურთიერთდამოკიდებულება არსებითად შეიცვალა... არაბები და ებრაელები ომამდეც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, მეგობრულ თუ არა, შემწყნარებლურ გარემოში მაინც; ახლა ასეთი გარემო პალესტინაში აღარ არსებობს".[3]

კომისიის დასკვნის თანახმად, პალესტინელი არაბების უკმაყოფილების საფუძველი იყო ის, რომ მათ „ვერ მიიღეს ის თვითმმართველობა, რომელსაც მოელოდნენ და ... დღეს ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან წარმომადგენლობითი მთავრობის მოთხოვნით".

1930 — ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა „პასფილდის თეთრი წიგნი", რომელშიც, „ჩერჩილის მემორანდუმისგან" განსხვავებით, აქცენტი ებრაელთა „ეროვნული სახლის" დაფუძნებიდან გადატანილია არაბთა მოთხოვნებზე და გარკვეულწილად აღიარებულია მათი უკმაყოფილების სამართლიანობა.

30-იანი წლების დასაწყისიდან გერმანიაში ნაცისტების მომძლავრების შემდეგ დაიწყო მეხუთე ალია. მეორე მსოფლიო ომამდე ევროპიდან პალესტინაში ემიგრირებულ ებრაელთა რიცხვმა თითქმის მეოთხედ მილიონს მიაღწია.

1931 — ლორდ პასფილდის „თეთრ წიგნს" დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ამის პასუხად ბრიტანეთის პრემიერმა, მაკდონალდმა წერილით მიმართა სიონისტთა ლიდერ ვეიცმანს და დაადასტურა, რომ ბრიტანეთის მთავრობის კურსი არ შეიცვლება და კვლავ დაეყრდნობა „ჩერჩილის მემორანდუმში" ჩამოყალიბებულ პოზიციას. მაკდონალდმა დროებით მართლაც შეაჩერა პასფილდის „პროარაბული" ტენდენცია და ძხოლოდ 1934-35 წლებში 102 ათას ებრაელ იმიგრანტს მიეცა საშუალება პალესტინაში ჩასულიყო (მოგვიანებით ვეიცმანმა განაცხადა, რომ ეს სწორედ „მაკდონალდის წერილის" დამსახურება იყო და ასეთ რიცხვებზე მანამდე ის ვერც კი იოცნებებდა").

1933 — პალესტინაში დაიწყო მორიგი მღელვარება, ოღონდ ამჯერად არაბთა პროტესტი, რომელიც, უპირველესად, ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. არაბებმა პირველად მოითხოვეს ღიად ბრიტანული მანდატის შეწყვეტა.

1936 — პალესტინაში ჩამოყალიბდა არაბულ პოლიტიკურ პარტიათა ახალი გაერთიანება — არაბთა უმაღლესი კომიტეტი, რომელმაც ლიდერად იერუსალიმის მუფთი აირჩია. სწორედ უმაღლესი კომიტეტის მოწოდებით დაიწყო დიდი გაფიცვა, რომლის მოთხოვნა იყო პალესტინის წარმომადგენლობითი ეროვნული მთავრობის შექმნა. გაფიცვასთან ერთად დაიწყო მცირე შეიარაღებული შეტაკებებიც. აქვე უნდა

3 http://www.un.org/russian/peace/palestine/book/02-1.shtml

ითქვას, რომ პალესტინელების ასეთი გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი იყო შეზობელ სირიაში მიმდინარე მოვლენები (ძლიერი ანტიფრანგული გამოსვლების გამო, 1936 წელს საფრანგეთი იძულებული გახდა გაეფორმებინა შეთანხმება, რომელიც სირიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას ითვალისწინებდა. მართალია, 1939 წელს პარიზმა უარი განაცხადა შეთანხმების რატიფიკაციაზე, მაგრამ 1941 წელს აღიარა სირიის დამოუკიდებლობა და ეს უკანასკნელი 1945 წელს გაეროს წევრი გახდა). გაფიცვის მასშტაბების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა შეიარაღებული შეტაკებების რიცხვიც. ბრიტანულმა ადმინისტრაციამ კომენდანტის საათი შემოიღო და დამატებითი ჯარები შეიყვანა. საბოლოოდ, ოქტომბერში ეგვიპტისა და რამდენიმე სხვა არაბული ქვეყნის შუამდგომლობით, გაფიცვა შეწყდა. ოფიციალური მონაცემებით, 1936 წლის აჯანყების დროს დაიღუპა 275 და დაიჭრა 1112 ადამიანი (სამეფო კომისიის მოხსენების მიხედვით, დაღუპულთა რიცხვი ათასს აღწევდა).

1937 — სამეფო კომისიამ, რომელსაც ინდოეთის საკითხთა ყოფილი მინისტრი რობერტ პილი ხელმძღვანელობდა და რომელიც სპეციალურად 1936 წლის მოვლენათა გამოძიების მიზნით შეიქმნა, გამოაქვეყნა 400-გვერდიანი მოხსენება. ეს დოკუმენტი პალესტინის პრობლემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოკვლევად ითვლება. მასში აღნიშნულია, რომ 1936 წლის მოვლენები რეალურად იყო პალესტინელი არაბების აჯანყება ბრიტანული მანდატის წინააღმდეგ და არაბთა მოტივაცია ახსნილია ორი ძირითადი მომენტით: ა) მათ სურთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და ბ) მათ არ სურთ ებრაელთა გავლენის ქვეშ მოქცევა, შესაბამისად, შიშით უყურებენ ებრაული სახელმწიფოს შექმნას, ეწინააღმდეგებიან ებრაელთა მზარდ იმიგრაციას პალესტინაში. მოხსენების თანახმად, „პატარა სახელმწიფოს ფარგლებში ორ ნაციონალურ თემს შორის გადაუჭრელი კონფლიქტი წარმოიშვა. მილიონზე მეტი არაბი, ღიად თუ ფარულად, ებრძვის 400 ათას ებრაელს. მათ შორის არაფერია საერთო; არაბული თემი ძირითადად აზიურია, ებრაული კი — ევროპული. ისინი განსხვავდებიან რელიგიითაც და ენითაც. მათი კულტურული, სოციალური ცხოვრება და აზროვნების წესი ისეთივე შეუთავსებელია, როგორც მათი ეროვნული მისწრაფებები. სწორედ ეს ქმნის ყველაზე დიდ დაბრკოლებას მშვიდობის დამყარების გზაზე".[4]

კომისია დარწმუნებულია, რომ ჩვეულებრივ პირობებში „სხვადასხვა არაბული ქვეყნის მთავრობა დათანხმდებოდა გარკვეულ ებრაულ იმიგრაციას, თუ ეს იქნებოდა მის მიერ კონტროლირებადი და მასთან შეთანხმებული პირობების დაცვით. მაგრამ ებრაელთა ეროვნუ-

4 http://www.un.org/russian/peace/palestine/book/02-1.shtml

ლი კერის შექმნა არ შეთანხმებულა პალესტინელ არაბებთან და მათ არ ჰქონდათ ამ პროცესის კონტროლის საშუალება. აღნიშნული კერა იქმნებოდა სწორედ მათი ნების წინააღმდეგ. და ეს მტკიცნეული ფაქტი, ბუნებრივია, გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის არაბულ მოსახლეობაზე". ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არაბები მოითხოვდნენ: ა) ებრაელთა „ეროვნულ სახლთან" დაკავშირებული „ექსპერიმენტების" შეწყვეტას, ბ) ებრაელთა იმიგრაციისა და მათთვის არაბული მიწების მიყიდვის შეჩერებას და გ) პალესტინის პრობლემის მოგვარებას ერაყის მოდელით ანუ მანდატის გაუქმებას და ორმხრივი ხელშეკრულების დადებას ბრიტანეთ-პალესტინას შორის, რის შემდეგაც დაფუძნდებოდა პალესტინის ეროვნული, დამოუკიდებელი მთავრობა.

პალესტინელ არაბებსა და იმიგრირებულ ებრაელებს შორის ზემოხსენებულ განსხვავებათა მიუხედავად, მოხსენების დასკვნით ნაწილში განმარტებულია, რომ „არსებითად, ეს კონფლიქტი არ არის რასობრივი კონფლიქტი, რომელიც შეიძლება აიხსნას არაბთა საუკუნოვანი, ინსტინქტური ანტიპათიით ებრაელების მიმართ. დანარჩენ არაბულ სამყაროში ამ ხალხებს შორის არ ან თითქმის არ არსებობდა დაპირისპირება, ვიდრე ეს არ მოხდა პალესტინაში. მსგავსი პოლიტიკური პროცესები, მღელვარებები, არეულობები, სისხლისღვრა ხდებოდა ერაყშიც, სირიაშიც და ეგვიპტეშიც, სადაც არანაირი „ეროვნული კერები" არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ პალესტინის პრობლემას პოლიტიკური ხასიათი აქვს". [5]

პილის კომისიის რეკომენდაცია ასეთია: მთლიანი პალესტინის მშვიდობიან მართვას ვერ განახორციელებენ ვერც ებრაელები და ვერც არაბები, ამიტომ, „აშკარაა, რომ გაყოფა, სულ მცირე, შესაძლებლობას მაინც შექმნის საბოლოო მშვიდობისთვის. ჩვენ ვერ ვხედავთ ასეთ შესაძლებლობას რომელიმე სხვა გეგმაში".

იმავე წელს ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი", რომელშიც, პილის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, პალესტინის პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზად ამ ტერიტორიის გაყოფა გამოაცხადა. ლონდონის თვალსაზრისით, პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებდა პალესტინელ არაბთა სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ და საბოლოოდ გააქარწყლებდა მათში ებრაელთა ბატონობის შიშს; მეორე მხრივ, ებრაელებს მიეცემოდათ საშუალება „ეროვნული კერა" გარდაექმნათ ეროვნულ სახელმწიფოდ, რაც ხელს შეუწყობდა მათაც დაეძლიათ არაბთა ექსპანსიისადმი შიში.

5. http://www.un org/russian/pence/palestine/book/02-1.shtml

ბრიტანეთის მთავრობამ პალესტინაში გაგზავნა ახალი კომისია („უდპედის კომისია"), რომელსაც დაევალა პალესტინის გაყოფის ტექნიკური საკითხების ადგილზე შესწავლა. ამ კომისიის დასკვნით, პილის კომისიის მიერ წარმოდგენილი გაყოფის გეგმა არარეალური იყო, რადგან ეს გამოიწვევდა პალესტინის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მასობრივ გადასახლებას.

პალესტინის გაყოფის იდეას არ დაეთანხმნენ არც არაბები და არც ებრაელები (თუმცა, სიონისტთა კონგრესზე ვეიცმანმა მხარი დაუჭირა გაყოფას). არაბები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბრიტანელების გასვლის შემთხვევაში, რიცხობრივი უპირატესობიდან გამომდინარე, პალესტინას თვითონ მოუვლიდნენ, ებრაელებს კი იმედი ჰქონდათ, რომ იმიგრაციის მზარდი ტემპის საშუალებით არაბებთან პროცენტულ თანაფარდობას გაუმჯობესებდნენ, რის შემდეგ პალესტინის მართვასაც შეძლებდნენ.

1938 — მოკლულ იქნა ბრიტანეთის ადმინისტრაციის რაიონული კომისარი. ამის პასუხად, უმაღლესმა კომისარმა აკრძალა არაბთა კომიტეტის საქმიანობა და მისი ლიდერების ნაწილი დააპატიმრა; თუმცა, იერუსალიმის მუფთიმ მოახერხა ლიბანში გაქცევა და იქიდან ხელმძღვანელობდა აჯანყების ახალ ტალღას. ადმინისტრაციამ სამხედრო ტრიბუნალები შემოიღო, რომლებზეც 58 მეამბოხეს მიუსაჯეს სიკვდილი. მთლიანად 1938 წლის აჯანყების დროს 3 700-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

1939 — ბრიტანეთის ინიციატივით ლონდონში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პალესტინის როგორც ებრაული, ასევე არაბული თემის წარმომადგენლები და ძირითადი არაბული სახელმწიფოების დელეგაციები. კონფერენციაზე რაიმე შეთანხმების ხელმოწერა ვერ მოხერხდა.

იმავე წელს ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა ახალი „თეთრი წიგნი" („მაკდონალდის თეთრი წიგნი") პალესტინასთან დაკავშირებით და მომდევნო 5 წლის ვადით ებრაელებს დაუწესა იმიგრაციის 75-ათასიანი კვოტა.

ამ დროისთვის პალესტინის ებრაული მოსახლეობა დაახლოებით ნახევარი მილიონი გახდა ანუ 20 წლის განმავლობაში თითქმის გასამმაგდა და მთლიანი რაოდენობის 30% შეადგინა. 1920 წელს ებრაელები ფლობდნენ პალესტინის ტერიტორიის დაახლოებით 2,5 პროცენტს, 20 წელიწადში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა.

პალესტინელ არაბთა შეშფოთების უპირველესი მიზეზი სწორედ

ებრაელთა მზარდი იმიგრაცია იყო. მოგვიანებით, 1947 წელს, როცა გაეროს სპეციალურმა კომისიამ სთხოვა არაბებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია, მათ განმარტეს, რომ ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხი „შეუძლებელია განხილულ იქნეს იმიგრაციისა და უცხოური სუბსიდიების პრობლემისგან განცალკევებით. ებრაულმა სახელმწიფომ შესაძლოა შეუზღუდავი იმიგრაცია დაუშვას, თუ უცხოური ფინანსური მხარდაჭერა მისცემს ამის საშუალებას... აქედან გამომდინარე, იმიგრანტთა რიცხვი ორ, სამ და ოთხ მილიონსაც მიაღწევს. მას შემდეგ, რაც ეს მაჩვენებელი გარკვეულ ზღვარს გადალახავს, ასეთი სახელმწიფო ებრაელთა თავშესაფრის ნაცვლად გადაიქცევა მოწინააღმდეგე ხაზად არაბულ სამყაროსთან დაპირისპირებაში. ჩვენი მიზანია, რომ ეს არ დავუშვათ... პალესტინის ბედი პალესტინელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს".[6]

1946 — ახალშექმნილმა გაერომ დაადასტურა ერთა ლიგის მიერ გაცემული ყველა მანდატი (გაეროს წესდება, მუხლი 80 (XII)), მათ შორის, ბრიტანეთის მანდატი პალესტინაზე და, შესაბამისად, „ბალფურის დეკლარაციაც".

ამავე წელს, ლონდონმა ცნო იორდანიის დამოუკიდებლობა და ამ ტერიტორიაზე ბრიტანეთის მანდატი გაუქმდა.

1947 — თებერვალში ბრიტანეთმა გაეროს გადასცა პალესტინის პრობლემის მოგვარება. ბრიტანეთის ასეთი გადაწყვეტილება განპირობებული იყო, როგორც არაბების, ასევე ებრაელთა წინააღმდეგობითაც, რომელთა უკმაყოფილებას იწვევდა ლონდონის მიერ იმიგრაციის მკვეთრი შეზღუდვა. ერთ-ერთმა ებრაულმა დაჯგუფებამ („ეცელი") პალესტინაში ბრიტანელების შტაბის განყოფილებაც კი აიფეთქა (ამ ჯგუფს მეთაურობდა ისრაელის მომავალი პრემიერი და ნობელის პრემიის ლაურეატი მენახემ ბეგინი).

გაერომ შექმნა პალესტინის საკითხთა სპეციალური კომისია, ხოლო 29 ნოემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (#181), რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის გაყოფას ორ: ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ.

რეზოლუციის თანახმად, პალესტინა უნდა დაყოფილიყო 8 ტერიტორიულ ერთეულად, რომელთაგან სამი გადაეცემოდა ებრაელებს, სამი — არაბებს, მეშვიდე (იაფას ერთეული) იქნებოდა არაბული ანკლავი ებრაულ ტერიტორიაზე, მერვე კი — იერუსალიმი მიიღებდა საერთაშორისო სტატუსს და იქ გაეროს მმართველობა დაწესდებოდა. გაყოფის დროს გაერო შეეცადა რაც შეიძლება ნაკლები ებრაელი მოხვე-

6. http://www.un.org/russian/peace/palestine/book/03-2.shtml

დრილიყო არაბულ ტერიტორიაზე და პირიქით. საბოლოო ვარიანტით, 10 000 ებრაელს უნდა ეცხოვრა არაბულ სახელმწიფოში 725 ათას არაბთან ერთად და 497 ათას პალესტინელ არაბს — ისრაელში 498 ათას ებრაელთან ერთად (იერუსალიმში ტრადიციული თანაფარდობა იყო: 100 ათასი ებრაელი და 105 ათასი არაბი). ებრაულ სახელმწიფოს გადაეცემოდა 14 100კმ2 ანუ პალესტინის მთლიანი ტერიტორიის 56%, ხოლო არაბულს — 11 100 კმ^2 ანუ 43%. იერუსალიმი დაიკავებდა 258 კმ^2-ს ანუ 1 პროცენტს. [7]

დაუშვებლად ცხადდებოდა ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ნიშნით დისკრიმინაცია და წმინდა ადგილებთან მისვლის შეზღუდვა.

გაყოფის გეგმის სრული სახელწოდებაა: „პალესტინის გაყოფის გეგმა ეკონომიკური კავშირის საფუძველზე", რადგან არაბული და ებრაული დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო პალესტინის ერთიანი ეკონომიკური სისტემის მეტ-ნაკლებად შენარჩუნების ფონზე. გაეროს კომისიის მიერ დანიშნულ არაბულ და ებრაულ დროებით საბჭოებს ხელი უნდა მოეწერათ შეთანხმებაზე, რომლითაც გარანტირებული იქნებოდა ეკონომიკური კავშირი და ეკონომიკური საბჭოს ფუნქციონირება. ამ უკანასკნელში სამ-სამი წარმომადგენელი ეყოლებოდა ორივე დროებით საბჭოს და გაეროს. სწორედ ეკონომიკური საბჭოს პრეროგატივა იქნებოდა ერთიანი ფულის ნიშნების ემისია. უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე რკინიგზის, ავტომაგისტრალების, პორტების, აეროპორტების, სარწყავი სისტემების, საფოსტო და სატელეფონო კავშირების ერთობლივი გამოყენება. ორ ახალშექმნილ სახელმწიფოს შორის იმოქმედებდა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი და ერთიანი საბაჟო ტარიფები. საბაჟო შემოსავალს ეკონომიკური საბჭო გადაანაწილებდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს 6 მილიონამდე ებრაელის დაღუპვამ, ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებაზე. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, როგორც რეკომენდაციას, ფორმალურად არ ჰქონდა სავალდებულო ძალა, თუმცა, ის საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციას გამოხატავდა და ამდენად ძალზე მნიშვნელოვანი იყო (მომხრე — 33 ქვეყანა, მათ შორის, აშშ, სსრკ და ევროპული ქვეყნების უმრავლესობა, წინააღმდეგი — 13, მათ შორის ყველა არაბული სახელმწიფო, ათმა კი თავი შეიკავა, მათ შორის, ბრიტანეთმა). არაბული ქვეყნების ლიგამ (დაფუძნდა 1945 წელს) და პალესტინის არაბთა უმაღლესმა საბჭომ უარყო პალესტინის გაყოფის გეგმა.

გაეროს მიერ 181-ე რეზოლუციის მიღების შემდეგ პალესტინაში

7 http news bbc co uk 2/shared/spl/hi/middle_east/03/v3_ip_timeline/html/default stm

გამწვავდა დაპირისპირება და დაიწყო მცირე შეტაკებები არაბულ და ებრაულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის. გაეროს უშიშროების საბჭომ 1948 წლის მარტის, აპრილისა და მაისის არაერთ რეზოლუციაში მოუწოდა პალესტინის ებრაელთა სააგენტოს და არაბთა უმაღლეს საბჭოს შეეწყვიტათ ძალადობა, მაგრამ უშედეგოდ.

1948 — 14 მაისს დავიდ ბენ-გურიონმა ისრაელის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

იმავე ღამით არაბული ქვეყნების ლიგის (ეგვიპტე, სირია, ლიბანი, საუდის არაბეთი, იორდანია, იემენი) ჯარებმა დაიწყეს შეტევა ისრაელის წინააღმდეგ.

15 მაისი — შეწყდა ბრიტანეთის მანდატი პალესტინაში. იმავე დღეს ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა გაეროს უშიშროების საბჭოს, რომ ეგვიპტის ჯარები შევიდნენ პალესტინაში „წესრიგის დასამყარებლად". გამოქვეყნდა ასევე არაბული ქვეყნების ლიგის დეკლარაცია, რომელშიც დასახელებულია ამ საომარი აქციის გამომწვევი მიზეზები. მაგალითად, დეკლარაციის თანახმად, ჯერ კიდევ 1947 წელს დაიწყო „სიონისტთა აგრესია, რის შედეგადაც, 250 ათასი არაბი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და შეხიბელ ქვეყნებში გადახვეწილიყო." დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ არაბული ქვეყნები „აღიარებენ პალესტინის დამოუკიდებლობას, რომელიც დათრგუნული იყო ბრიტანეთის მანდატით და რომელიც უკვე მომხდარი ფაქტია პალესტინის კანონიერ მცხოვრებთათვის... პალესტინის პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტა არის დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, რომლის ყველა მოქალაქე თანასწორი იქნება კანონის წინაშე და სადაც გარანტირებული იქნება უმცირესობათა უფლებები".

ომის დასაწყისში უპირატესობა არაბებს ჰქონდათ. არაბული ქვეყნებიდან მხოლოდ იორდანიას ჰყავდა თანამედროვე არმია, რომელსაც ინგლისელი გენერალი მეთაურობდა. ებრაელთა არმია შედარებით მცირერიცხოვანი იყო (30 ათასი 40 ათასის წინააღმდეგ), თუმცა, უკეთ აღჭურვილი და მომზადებული. იმ პერიოდში ისრაელს ეაშინგტონიც ეხმარებოდა და მოსკოვიც (ებრაულ არმიას ჩეხური იარაღი ჰქონდა). იელისში ინიციატივა ისრაელმა მოიპოვა და 10-დღიანი შეტევით არაბული არმიის თავდაპირველი წარმატების შედეგი განეიტრალებულ იქნა. ოქტომბერში კიდევ ერთი ძლიერი შეტევით კი ებრაელებმა, წლის ბოლოსთვის, უკვე პალესტინის უღიდეს ნაწილზე მოიპოვეს კონტროლი. ისრაელის ჯარების მიერ ოკუპირებული აღმოჩნდა არაბული

სახელმწიფოსიეის (გაეროს გეგმის მიხედვით) განკუთვნილი ტერიტორიის 6 700 კმ2, აგრეთვე, დასაელეთი იერუსალიმი. ეგვიპტის ჯარებმა შეინარჩუნეს ღაზის სექტორი, ხოლო იორდანიის არმიამ მდ. იორდანეს დასაელეთი ნაპირი და იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილი. ებრაელთა ოკუპაციის გამო, 850 ათასამდე არაბი დევნილად იქცა; ამავე დროს დაახლოებით ამდენივე ებრაელი იძულებული გახდა მეზობელი არაბული ქვეყნებიდან ისრაელში გაქცეულიყო.

მაისიდან მოყოლებული, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შუამავლად დანიშნული ფოლკე ბერნადოტის მცდელობები, სხვადასხვა მოდელის შეთავაზებით საბრძოლო მოქმედებების უვადო შეწყვეტაზე დაეთანხმებინა დაპირისპირებული მხარეები, უშედეგოდ დასრულდა.

29 ნოემბერი — ისრაელმა გაეროს მიმართა წევრად მიღების შესახებ, თუმცა, უარი მიიღო, რადგან არ ასრულებდა გაეროს რეზოლუციებს (ისრაელი გაეროს წევრი გახდა 1949 წლის 11 მაისს).

11 დეკემბერი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 194-ე რეზოლუცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აქ პირველად დაფიქსირდა დევნილთა (არა მხოლოდ პალესტინელ, არამედ ებრაელ, ქრისტიან და ა.შ.) უფლება დაბრუნების ან კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ. რეზოლუციის მე-11 პუნქტის თანახმად: „დევნილებს, რომლებსაც სურთ თავიანთ სახლებში მშვიდობიანი დაბრუნება, უახლოეს პერიოდში უნდა მიეცეთ ამის საშუალება, ხოლო ვინც არ ისურვებს დაბრუნებას, შესაბამისი მთავრობისგან უნდა მიიღოს კომპენსაცია საკუთრებისა და მიყენებული ზარალისთვის, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალის პრინციპები". აქვე უნდა ითქვას, რომ იმ დროს საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ არ იცნობდა "ეთნიკური წმენდის" ცნებას და ეს რეზოლუცია ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის მასობრივად გაძოდევნასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი პირველი, კონკრეტული რეაგირებაა.

1949 — იანვარში დაიწყო საზავო მოლაპარაკებები და ომი საბოლოოდ შეწყდა.

1952 — იანვარსა და თებერვალში ეგვიპტეში დაიწყო მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლები, ხოლო ივლისში — რევოლუცია, რომლის შედეგად პრობრიტანული მონარქია სამხედრო საბჭომ შეცვალა. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა სსრკ და აშშ. ეგვიპტის პირველი პრეზიდენტი გახდა გენერალი მოჰამედ ნაგიბი. 1954 წელს იგი გამალ აბდელ ნასერმა შეცვალა (ნასერი და შემდგომი პრეზიდენტი ანვარ სადათიც 1952 წლის რევოლუციის ლიდერები იყვნენ).

1954 — ეგვიპტეში "ჩავარდა" ისრაელის სადაზვერვო ჯგუფი, რომელიც, სავარაუდოდ, გეგმავდა დივერსიულ აქტებს ბრიტანელთა წინააღმდეგ, რათა ამ გზით ხელი შეეშალათ სუეცის არხის ზონიდან ბრიტანელების გასვლისთვის ("ლავონის საქმეს" მოჰყვა დიდი სკანდალი ისრაელში, რადგან თავდაცვის მინისტრი ლავონი და სამხედრო დაზვერვის უფროსი ჯიბლი ერთმანეთს აკისრებდნენ ოპერაციისთვის პასუხისმგებლობას).

1955 — ისრაელის "დაჯგუფება 101", მომავალი პრემიერის, არიელ შარონის მეთაურობით, ეგვიპტეში ახორციელებს შურისძიების ოპერაციას, რომელსაც 42 ეგვიპტელი ჯარისკაცი შეეწირა.

1956 — დაიწყო "სუეცის კრიზისი". ნასერი ცდილობდა ბრიტანული ჯარები გაეყვანა სუეცის არხის ზონიდან, რაც ლონდონის გაღიზიანებას იწვევდა. ამავე დროს, საფრანგეთს პრობლემები ჰქონდა არაბულ ალჟირსა და მაროკოში, სადაც ეგვიპტის ახალ ლიდერს იმედით შეჰყურებდნენ. ნასერის მოსკოვთან დაახლოებას ვაშინგტონის უკმაყოფილება მოჰყვა. შედეგად, დასავლეთმა უარი თქვა ასუანის კაშხლის მშენებლობის დაფინანსებაზე, ნასერმა კი — სუეცის არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი ეგვიპტეში შეჭრაზე შეთანხმდნენ. 30 ოქტომბერს ისრაელის ჯარები ეგვიპტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ, ხოლო მეორე დღეს ლონდონმა და პარიზმა მოითხოვა სუეცის არხიდან ეგვიპტის ჯარების 10 მილის მანძილზე დაშორება და არხთან ახლოს სამ საკვანძო პუნქტში ინგლისურ-ფრანგული ქვედანაყოფების დროებით განლაგება. ნასერმა უარი თქვა ამ პირობების შესრულებაზე. ინგლის-საფრანგეთმა ეგვიპტეში ერთობლივი დესანტი გადასხა, ისრაელმა კი 5 დღეში ღაზის სექტორთან ერთად, თითქმის მთელი სინაის ნახევარკუნძული დაიკავა და 5 ათასამდე ეგვიპტელი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანა. სწორედ ამ კრიტიკულ ვითარებაში გაირკვა, თუ ვისი იმედი ჰქონდა ნასერს, როცა ინგლისსა და საფრანგეთს ღიად დაუპირისპირდა. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტეს სსრკ და აშშ აგულიანებდნენ.

30 ოქტომბერი — ეგვიპტემ წერილით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელშიც მოითხოვდა მის წინააღმდეგ აგრესიის შეჩერებას. საბჭოში ამ საკითხზე კონკრეტული შეთანხმება ვერ მიიღეს და ამიტომ გადაწყდა, პირველად მოეწვიათ გაეროს საგანგებო, სპეციალური სესია.

2 ნოემბერი — გაეროს საგანგებო სპეციალურ სესიაზე გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (A/RES 997 (ES-I)), რომლის

თანახმად, ისრაელმა "დაარღვია 1949 წლის 24 თებერვლის შეთანხმება ეგვიპტესთან საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ". იქვე აღნიშნულია, რომ საფრანგეთისა და ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის ტერიტორიაზე განხორციელებულმა საომარმა ოპერაციამ გამოიწვია სუეცის არხით მოძრაობის შეწყვეტა, რაც "სერიოზულ ზიანს აყენებს ბევრ ქვეყანას". გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა მხარეებს სასწრაფოდ დაელოთ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და გადაწყვიტა გაეგრძელებინა სესია, სანამ რეზოლუცია არ შესრულდებოდა (სესია 10 ნოემბრამდე გაგრძელდა).

5 ნოემბერი — სსრკ-ის მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა ინგლისს, საფრანგეთს და უახლესი სარაკეტო იარაღის გამოყენებით დაემუქრა. ისრაელის მიმართ კრემლის მუქარა კი, საერთოდ, ამ სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნას ეხებოდა (აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ცნობილი მოვლენების გამო, ბუდაპეშტზე საბჭოთა ჯარების შეტევა 4 ნოემბერს დაიწყო).

6 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმაც მოითხოვა.

7 ნოემბერი — გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, საერთაშორისო ძალების ჩამოყალიბების შესახებ, რომელთაც მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ საბრძოლო მოქმედებათა შეჩერებასა და ჯარების დაშორიშორების პროცესზე.

15 ნოემბერი — სუეცის არხის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგდა გაეროს კონტინგენტის პირველი ქვედანაყოფები.

22 დეკემბერი — დასრულდა ინგლის-საფრანგეთის ჯარების გაყვანა ეგვიპტიდან. სამი თვის შემდეგ ისრაელმაც დატოვა 1956 წლის აგრესიის დროს ოკუპირებული ტერიტორიები (იმ დროს ისრაელის მოსახლეობა იყო 4 მლნ., აქედან 3,5 ებრაელი, ეგვიპტის მოსახლეობა — 47 მლნ., სირიის — 10 მლნ., იორდანიისა და ლიბანის — 2,5-2,5 მლნ.).

"სუეცის კრიზისმა" დაადასტურა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ბატონობა ახლო აღმოსავლეთში დასრულდა და რომ ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები უკვე ორი ზესახელმწიფოს გავლენას ექვემდებარებოდა.

1958 — ეგვიპტემ და სირიამ შექმნეს კონფედერაცია — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომლის პრეზიდენტი გახდა აბდელ ნასერი. 1961 წელს სირიამ დატოვა კონფედერაცია, მას შემდეგ, რაც სამხედროებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს (იმ პერიოდში, 4 წლის განმავლობაში, სირიაში 5-ჯერ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება; საბოლოოდ, 1966 წელს ძალაუფლება მოიპოვა "არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიამ", რომლის ლიდერი 1970 წლიდან სამი ათწლეულის მანძილზე ჰაფეს ასადი იყო).

1960 — ბაღდადში დაფუძნდა ოპეკი — ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, რომლის წევრებიც გახდნენ: ერაყი, ირანი, საუდის არაბეთი, კუვეიტი და ვენესუელა.

1966 — ეგვიპტის პრეზიდენტმა ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულება გააფორმა სირიასთან. 1967 წლის გაზაფხულზე კი იორდანიასა და ერაყთან.

1967 — მაისში პრეზიდენტ ნასერის მოთხოვნით სინაის ნახევარკუნძული დატოვეს გაეროს სამშვიდობო ჯარებმა. ამის შემდეგ ეგვიპტემ კონტროლი დააწესა ტირანის სრუტეზე (რომლითაც ისრაელი წითელ ზღვას უკავშირდება და რომლითაც სარგებლობის უფლება მას 1957 წელს გაეროში დაუდასტურა 17-მა საზღვაო ქვეყანამ). სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, სსრკ-ის ხელმძღვანელობა ნასერს არწმუნებდა, რომ ისრაელი სირიაზე თავდასხმას გეგმავდა (კრემლის მიზანი იყო ამერიკის, როგორც ისრაელის მფარველის, ჩათრევა კიდევ ერთ კონფლიქტში (ვიეტნამის ომის პარალელურად)).

30 მაისს იორდანიის მეფე ჰუსეინმა ნასერთან ერთად ხელი მოაწერა ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულებას (4 ივნისს ამ შეთანხმებას ერაყიც შეუერთდა).

ამ ფაქტებმა და არაბი ლიდერების რიტორიკამ ისრაელის მთავრობა დაარწმუნა, რომ მეზობელი არაბული ქვეყნები ომისთვის ემზადებოდნენ. ამიტომ ისრაელმა 5 ივნისს თვითონ დაიწყო საავიაციო შეტევა და იმავე დღეს, ეგვიპტის აეროდრომებზევე, ფაქტობრივად, მთლიანად გაანადგურა ამ ქვეყნის ავიაცია (416 თვითმფრინავი). ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა სირიის ავიაციაც. ამის შემდეგ "ცახალის" (ისრაელის არმიის) ჯარებს მხოლოდ 5 დღე დასჭირდა ღაზის სექტორის, სინაის ნახევარკუნძულის, მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპიროს, იერუსალიმის არაბული ნაწილისა და გოლანის მაღლობების დასაკავებლად.

არაბთა მარცხით უკიდურესად აღშფოთებული კრემლი ვაშინგტონს ახლო აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებით დაემუქრა. თეთრმა სახლმა კრემლი დარწმუნა, რომ ებრაელები თანახმა იყვნენ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე, თანაც მე-6 ფლოტი სირიის სანაპიროსკენ დაძრა. 11 ივნისისთვის საომარი მოქმედებები შეწყდა. ექვსდღიანი ომის შედეგად, პალესტინელი ლტოლვილი არაბების რიცხვი კიდევ 400 ათასით გაიზარდა.

1 სექტემბერი — სუდანში შეკრებილმა არაბთა ლიგის რვა ქვეყნამ (ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ერაყი, საუდის არაბეთი, სუდანი, იორდანია, იემენი) მიიღო "ხართუმის რეზოლუცია", რომელიც "სამი არას"

დეკლარაციის სახელითაც არის ცნობილი. დეკლარაციის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ისრაელთან დამოკიდებულებაში ისინი დაიცავენ სამ ძირითად პრინციპს: "არა ისრაელთან მშვიდობას, არა ისრაელის ცნობას, არა მასთან მოლაპარაკებას".

22 ნოემბერი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 242), რომელიც ითვალისწინებდა:

ა) ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანას ექვსდღიანი ომის დროს ოკუპირებული ტერიტორიებიდან;

ბ) ყველა პრეტენზიის ან საომარი მდგომარეობის შეწყვეტას და ამ რეგიონის თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას, თითოეული სახელმწიფოს უფლებას იცხოვროს მშვიდობიანად უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში, ისე, რომ არ განიცდიდეს მის მიმართ ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას".

ისრაელმა უარი განაცხადა შეესრულებინა უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია.

1968 — "პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის" (პგო) საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო; მასში გაწევრიანდნენ პარტიზანული დაჯგუფებები და მიიღეს განახლებული "პალესტინის ქარტია" (პგო შეიქმნა 1964 წელს, პალესტინელ არაბთა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ — პალესტინის ნაციონალური კონგრესის I სესიაზე). პგო ათამდე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ორგანიზაციას აერთიანებდა, რომელთაგან ყველაზე გავლენიანი იასერ არაფატის "ფათჰი" იყო.

"პალესტინის ქარტიაში" ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა, რომ პგო არ ცნობდა ისრაელის სახელმწიფოს ანუ გაეროს 1947 წლის რეზოლუციას (A/RES 181) და მისი მიზნების განხორციელება, ფაქტობრივად, საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის სრულ უგულებელყოფას გულისხმობდა:

"მუხლი 2. ბრიტანეთის მანდატით გათვალისწინებული პალესტინა არის განუყოფელი ტერიტორიული ერთეული;

მუხლი 3. პალესტინის არაბი ხალხი არის თავისი სამშობლოს ლეგიტიმური ბატონ-პატრონი და მისი გათავისუფლების შემდეგ თვითონ განსაზღვრავს თავის ბედს;

მუხლი 5. პალესტინელად ითვლებიან არაბი მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე 1947 წლამდე, მიუხედავად იმისა, ისინი გამოასახლეს პალესტინიდან თუ არა. პალესტინელად ითვლებიან აგრეთვე პალესტინაში ან მის გარეთ დაბადებული პალეს-

ტინელი მამის შვილები;

მუხლი 6. ებრაელები, რომლებიც სიონისტთა შემოჭრამდე ცხოვრობდნენ პალესტინაში, ასევე უნდა მიეიჩნიოთ პალესტინელებად;

მუხლი 9. შეიარაღებული ბრძოლა არის ერთადერთი გზა პალესტინის განთავისუფლებისთვის. ესაა ყოვლისმომცველი სტრატეგია და არა ტაქტიკური მომენტი;

მუხლი 10. შეიარაღებული ჯგუფების (კომანდო) აქციები არის პალესტინის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბირთვი;

მუხლი 19. პალესტინის გაყოფა 1947 წელს და ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნება სრულიად უკანონოა;

მუხლი 20. ბალფურის დეკლარაცია, მანდატი პალესტინაზე და ყველაფერი, რაც ამ დოკუმენტებს ეყრდნობა, უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ".

1970 — იორდანიაში "შავი სექტემბრის" მოვლენები მოხდა. ამ სახელით არის ცნობილი შეიარაღებული შეტაკებები იორდანიის სამეფო არმიასა და პგო-ის დაჯგუფებებს შორის. საქმე ის არის, რომ "ექვსდღიანი ომის" შემდეგ იორდანიაში პალესტინელ ლტოლვილთა რიცხვმა 200 ათასს მიაღწია. ამ ტერიტორიიდან ისრაელის წინააღმდეგ ხშირად ხორციელდებოდა დივერსიები, შესაბამისად, ისრაელის საპასუხო დაბომბვებით იორდანია მნიშვნელოვნად ზარალდებოდა. რაც მთავარია, იორდანიის მეფე არ იყო სსრკ-ის "მეგობარი", პგო კი მთლიანად სსრკ-ზე ორიენტირებული, მემარცხენე, რელიგიური ფაქტორის უგულებელმყოფი ორგანიზაცია იყო და უკვე აღარ მალავდა თავის გეგმებს იორდანიაში მონარქიის დამხობასთან დაკავშირებით. სექტემბერში დედაქალაქ ამანში დაწყებული მცირე შეტაკებები, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელშიც სოციალისტური სირიაც აქტიურად მონაწილეობდა. იორდანიის სამთავრობო ჯარებმა არტილერიით დაბომბეს ამანში მდებარე პალესტინელ დევნილთა ბანაკები. ეგვიპტის პრეზიდენტის ჩარევის შედეგად 27 სექტემბერს მეფე ჰუსეინსა და იასერ არაფატს შორის კაიროში დაიდო შეთანხმება და ბრძოლა შეწყდა (მეორე დღეს პრეზიდენტი ნასერი გულის შეტევით გარდაიცვალა).

"შავი სექტემბრის" მოვლენების დროს პგო-ის არმიამ 15 ათასი მებრძოლი დაკარგა, მთლიანად განადგურდა მისი ქსელი იორდანიის ტერიტორიაზე და ის იძულებული გახდა თავისი ახალი ბაზები სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე განელაგებინა. შურისძიების მიზნით, პგო-ში შეიქმნა ახალი დაჯგუფება — "შავი სექტემბერი", რომელმაც 1971

წელს იორდანიის პრემიერი ვასფი ტელი მოკლა. (ამავე დაჯგუფებამ მოაწყო ცნობილი ტერაქტი მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე, რასაც 9 ებრაელი სპორტსმენის სიცოცხლე შეეწირა).

1973 — 6 ოქტომბერს ეგვიპტემ და სირიამ დაიწყეს ერთობლივი შეტევა ისრაელზე, რომელიც ერთი თვე გაგრძელდა და იომ-კიპურის ომის სახელით არის ცნობილი ("იომ-კიპური" ანუ "ღვთის სამსჯავროს დღე" იუდეველთა რელიგიური დღესასწაულია). ამჯერად არაბული ქვეყნები უკეთ მოემზადნენ ომისთვის, რაშიც საბჭოთა ინსტრუქტორებმა და შეიარაღებამ დიდი როლი შეასრულა.

ხუთ დღეში ისრაელმა დაკარგა თავისი თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ნაწილი, თანაც ისე, რომ მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი ვერ მიაყენა. სწორედ ამის შემდეგ ებრაელთა მხარეს გამოჩნდნენ ამერიკული F-4-ები, რომლებიც, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში განლაგებული ამერიკის მე-6 ფლოტიდან მიიღო ისრაელმა (ებრაელები პრეზიდენტ ნიქსონს უმადლიან იმ კრიტიკულ მომენტში ფართომასშტაბიან სამხედრო დახმარებას). ისრაელის წარმატებული კონტრშეტევის შედეგად ეგვიპტის 25-ათასკაციანი მე-3 არმია ალყაში აღმოჩნდა (ებრაელთა ამ შეტევის საკვანძო მანევრი მომავალი პრემიერის — არიელ შარონის ქვედანაყოფმა განახორციელა).

ოპეკმა შეამცირა ნავთობის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე, რასაც ნავთობზე ფასის ზრდა და გლობალური ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა.

22 ოქტომბერი — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 338), რომელშიც დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ცეცხლი და შეესრულებინათ უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციის ყველა მოთხოვნა.

საბოლოოდ, ომამდელი სტატუს კვო აღდგა, თუმცა ისრაელმა ამას დიდი დანაკარგის ფასად მიაღწია.

11 ნოემბერი — დაიდო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. იმ პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი სამჯერ იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთში, რათა ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკების პროცესი წარმატებით დასრულებულიყო.

1974 — 18 იანვარს ეგვიპტესა და ისრაელს შორის გაფორმდა შეთანხმება პრინციპით: "ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ". ხელშეკრულების თანახმად, ისრაელის ჯარები 30 კმ-ით დაშორდნენ სუეცის არხს და დატოვეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მითლა-ჯიდის უღელტეხილების დასაელეთით მდებარე ტერიტორია სინაის ნახევარკუნძულზე, სამაგიეროდ, ისრაელმა შეინარჩუნა კონტროლი

ღაზის სექტორზე, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და გოლანის მაღლობებზე და, რაც მთავარია, გაჩნდა რეალური პერსპექტივა მშვიდობიანი, სტაბილური ურთიერთობა დამყარებულიყო არაბული სამყაროს ყველაზე გაელენიან ქვეყანასთან.

თებერვალი — ეგვიპტემ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა აშშ-თან (პრეზიდენტი ანვარ სადათი, რომელმაც 1970 წელს ნასერის ადგილი დაიკავა, თავიდანვე ცდილობდა თანდათან გამიჯვნოდა კრემლის ინტერესებს, 1974 წლიდან კი სრულიად აშკარა გახდა, რომ მან პროამერიკული კურსი აირჩია).

31 მაისი — ისრაელმა და სირიამ ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და გოლანის მაღლობებზე ორი ქვეყნის ძალებს შორის გაეროს "ცისფერი ხაზი" და "ბუფერული ზონა" შეიქმნა.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება ბრძოლის შეიარაღებულ მეთოდებთან ერთად მშვიდობიანი, პოლიტიკური აქციებიც გამოეყენებინა, რამაც შიდა დაპირისპირება გამოიწვია, თუმცა, ამის შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ორი რეზოლუცია (A/RES 3210, A/RES 3237), რომელშიც პგო დააფიქსირა, როგორც "პალესტინელი ხალხის წარმომადგენელი" და მას ასამბლეის სხდომებზე მეთვალყურის სტატუსით დასწრების უფლება მიანიჭა (იასერ არაფატი პირველად გამოვიდა გაეროში).

1977 — ისრაელის ხელისუფლებაში "ლიკუდის" მოსვლის შემდეგ ეგვიპტესთან კონტაქტები გახშირდა და 19 ნოემბერს ანვარ სადათი ისრაელის პარლამენტში სიტყვით გამოვიდა. სადათის ასეთმა ნაბიჯმა არაბთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. დეკემბერში რადიკალურად განწყობილი ქვეყნების ლიდერები, რომლებიც ე.წ. "უარყოფის ფრონტში" იყვნენ გაერთიანებული (სირია, ალჟირი, ლიბია, ერაყი, სამხრეთ იემენი და პგო), ლიბიაში შეიკრიბნენ და დაადგინეს, რომ "ყინავენ" დიპლომატიურ ურთიერთობას ეგვიპტესთან. საპასუხოდ, ქაირომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყნებთან და შეუჩერა ყოველგვარი დახმარება პგო-ს.

1978 — 17 სექტემბერს, კემპ დეივიდში, პრეზიდენტ კარტერის შუამავლობით, ანვარ სადათმა და მენახემ ბეგინმა ხელი მოაწერეს ორ ჩარჩოხელშეკრულებას: "ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისთვის" და "ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმებისთვის". პირველის თანახმად, ორივე მხარემ აღიარა, რომ მოლაპარაკებათა საფუძველი უნდა იყოს გაეროს 242-ე და 338-ე რეზოლუციები. გარდა ამისა, მათ მიიღეს გადაწყვეტილება ღაზის სექტორსა და იორდანეს დასავლეთ ნაპირზე

თვითმმართველობის დაწესების შესახებ. ჩარჩოხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ამისათვის საჭირო იქნება "დაიდოს დროებითი, არაუმეტეს 5 წლის ვადით მოქმედი შეთანხმებები... ამჟამად არსებულმა სამხედრო ადმინისტრაციამ უნდა დატოვოს ტერიტორია, როგორც კი აქაური მოსახლეობა აირჩევს სრული ავტონომიური უფლებების მქონე ხელისუფლებას. დროებითი შეთანხმებების მისაღწევად ამ პროცესში იორდანიაც ჩაერთვება... ისრაელის ჯარები გავლენ დასახლებებიდან და ისინი იქნებიან სპეციალურ უსაფრთხოების ზონებში. ტერიტორიებზე შეიქმნება ლოკალური პოლიცია, რომლის ფორმირებაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ იორდანიის მოქალაქეებმაც... როცა თვითმმართველი ხელისუფლება (ადმინისტრაციული საბჭო) უკვე არჩეული და უფლებამოსილი იქნება, დაიწყება გარდამავალი ხუთწლიანი ვადა. ამის შემდეგ მაქსიმუმ სამ წელიწადში დაიწყება მოლაპარაკება ღაზის სექტორისა და იორდანეს დასავლეთი ნაპირის საბოლოო სტატუსის გასარკვევად. საბოლოო სტატუსის განმსაზღვრელ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია და ღაზის სექტორისა და იორდანეს დასავლეთი ნაპირის მკვიდრთა არჩეული წარმომადგენლები".

მეორე ჩარჩოხელშეკრულებით კი დადგენილია, რომ საზღვარი ეგვიპტესა და ისრაელს შორის არის იგივე საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი ეგვიპტესა და პალესტინის მანდატით გათვალისწინებულ ტერიტორიას შორის. ამასთანავე, ისრაელის ჯარები სამ წელიწადში უნდა გაეიდნენ სინაის ნახევარკუნძულიდან და ისრაელის გემებს, საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ეძლევათ უფლება დაუბრკოლებლად იმოძრაონ სუეცის ყურისა და არხის, აგრეთვე, ტირანის სრუტისა და აქაბის ყურის გაელით.

ეგვიპტე-ისრაელს შორის მშვიდობის მიღწევისთვის ანვარ სადათსა და მენახემ ბეგინს ნობელის პრემია მიენიჭათ.

1979 — 26 მარტს ვაშინგტონში ოფიციალურად გაფორმდა ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულება. ამით დასრულდა ორ ქვეყანას შორის არსებული 30-წლიანი საომარი მდგომარეობა და მათ ერთმანეთთან სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად, სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერმა არაბულმა სახელმწიფომ ცნო ისრაელის სახელმწიფო, სამაგიეროდ, ეგვიპტე საბოლოოდ დამკვიდრდა სინაის ნახევარკუნძულზე (რომლის დემილიტარიზაცია 1982 წელს დასრულდა). ეგვიპტის მიერ ისრაელის აღიარებამ არაბთა აღშფოთება გამოიწვია და ის გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან (ეგვიპტის წევრობა არაბთა

ლიგაში აღდგა 1989 წელს, 1991 წელს კი ამ ორგანიზაციის ოფისი ისევ ქაიროში გადაიტანეს).

1981 — რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების სამხედროებმა მოახერხეს პრეზიდენტ სადათის მოკვლა, თუმცა, ამას არ მოჰყოლია რაიმე არსებითი ცვლილება ეგვიპტის პოლიტიკაში, რადგან შემდგომმა პრეზიდენტმა, ჰოსნი მუბარაქმა, წინამორბედის პროამერიკული კურსი გააგრძელა.

1982 — ისრაელი სამხრეთ ლიბანში შეიჭრა. ლიბანი მონაწილეობდა 1948-49 წლების ომში ისრაელის წინააღმდეგ და 1970 წლის "შავი სექტემბრის" შემდეგ იორდანიიდან გაძევებული პგო ლიბანში დამკვიდრდა, საიდანაც არაერთი ტერაქტი განახორციელა ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ. 5 ივლისს ლონდონში მოკლეს ისრაელის ელჩი და ისრაელმა მეორე დღესვე სრულმასშტაბიანი შეტევა წამოიწყო. 17 ივლისს დასავლეთ ბეირუთში მდებარე პგო-ის შტაბი უკვე გარშემორტყმული იყო "ცახალის" ტანკებით. 4 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუმცა ისრაელი მხოლოდ 19 აგვისტოს დათანხმდა პგო-ის ევაკუაციაზე ბეირუთიდან. 23 აგვისტოს ლიბანის პრეზიდენტად აირჩიეს ბაშირ ჟმაილი, რომელიც ისრაელის მიმართ დათმობების მომხრე იყო, თუმცა ის 14 სექტემბერს მაპმადიანებმა მოკლეს (ჟმაილის ადგილი მისმა ძმამ — ამინმა დაიკავა). 16 სექტემბერს ისრაელის ჯარები საბოქალაქო ომისგან დანგრეულ ბეირუთში შევიდნენ (იმ პერიოდში ლიბანში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რომელიც 10 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და 150 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ლიბანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან (1943წ.) აქ მოქმედებდა ე.წ. კონფესიონალიზმი, ანუ პოლიტიკური სისტემა რომელიც მოსახლეობის რელიგიურ დაყოფას ემყარება. ლიბანის საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მარონიტი ქრისტიანი — აღმოსაელური კათოლიციზმის მიმდევარი (სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანები ლიბანის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 35%-ია), პრემიერი — სუნიტი მაჰმადიანი, ხოლო პარლამენტის სპიკერი — შიიტი მაჰმადიანი. წარმატებულ ლიბანს 70-იან წლებამდე "ახლო აღმოსავლეთის შვეიცარიას" უწოდებდნენ, მაგრამ 1975 წელს პგო-ის მცდელობას, მოეკლა ქრისტიანთა ერთ-ერთი ლიდერი, დიდი შეტაკებები მოჰყვა. წლის ბოლოს მძიმე მდგომარეობაში მყოფმა პგო-დრუზების (შიიტური სექტაა) გაერთიანებამ სირიის პრეზიდენტს სთხოვა დახმარება. პფქტ ასადმა სირიაში მყოფი 3 ათასი პალესტინელი მეომარი გაგზავნა ლიბან-

ში, რამაც გადაარჩინა პგო და დაპირისპირების მასშტაბი უფრო გააფართოვა. სირიის ჯარები ლიბანში 1976 წელს შეიდნენ. მაისში საფრანგეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა ლიბანში სამშვიდობო მისიით ჯარების გაგზავნის შესახებ. სირიას ამის დაშვება არაფრით არ უნდოდა, ამიტომ მან თავის თავზე აიღო ქრისტიანული მოსახლეობის დაცვა და იძულებული გახდა დროებით ქრისტიანების მთავრობას მიმხრობოდა (ქრისტიანებთან სირიის ალიანსმა 2 წელიწადს გაძლო). 1 ივნისიდან სირიის ჯარებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს ლიბანი და ისინი იქ 2005 წლის მაისამდე დარჩნენ. ამ პერიოდში 4-მილიონიან ლიბანში მცხოვრებ სირიელთა რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია და დამასკომ ლიბანიდან ჯარები მხოლოდ "კედრების რევოლუციის" შემდეგ გაიყვანა, როცა ლიბანის პოპულარული ექსპრემიერის, რაფიკ ჰარირის მკვლელობამ მოსახლეობის მასობრივი პროტესტი გამოიწვია, რამაც აიძულა სირიის მოკავშირე მთავრობა გადამდგარიყო (გაეროს უშიშროების საბჭოს 2004 წელს უკვე მიღებული ჰქონდა 1559-ე რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა "უცხო ქვეყნის ჯარებს" დაეტოვებინათ ლიბანის ტერიტორია და ასევე ითვალისწინებდა "ლიბანურ და არალიბანურ არარეგულარულ ფორმირებათა განიარაღებასა და დაშლას").

ასე რომ, 1982 წელს ისრაელის სამხედრო ოპერაცია ლიბანში, სადაც სირიის ჯარები იმყოფებოდა, გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რამდენიმე შეტაკება მათ შორის მოხდა კიდეც, მაგრამ სირიამ თავი აარიდა ისრაელთან ფართომასშტაბიან დაპირისპირებას, რადგან იმ მომენტში დამასკო უფრო ქრისტიანებს თანაუგრძნობდა და არა პგო-ს, თანაც ირან-ერაყის ომი ახალი დაწყებული იყო და მას სხვა არაბული ქვეყნების დახმარების იმედი არ ჰქონდა (არაბული ქვეყნებიდან ირანს მხოლოდ სირია და ლიბია მიემხრო).

ისრაელმა მოახერხა პგო-ის განდევნა ლიბანიდან და 1985 წლის ივნისისთვის თავისი ჯარების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა დატოვა ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე 19 კმ-იან უსაფრთხოების ზონაში.

1983 — 17 მაისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯორჯ შულცის შუამავლობით, ისრაელსა და ლიბანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა დიპლომატიური ურთიერთობისა და ეკონომიკური კავშირების დამყარებას, აგრეთვე, გაეროს ეგიდით, საერთაშორისო სამშვიდობო ჯარების განლაგებას (ამერიკელი ჯარისკაცები, ფრანგებთან და იტალიელებთან ერთად, რამდენიმე თვე იმყოფებოდნენ ლიბანში, მაგრამ მათ მიმართ განხორციელებული ხშირი ტერაქტების გამო 1984 წლის თებერვალში გავიდნენ ლიბანიდან). 17 მაისის შეთანხ-

მებით, ლიბანი ხდებოდა მეორე მეზობელი ქვეყანა, რომელიც ცნობდა ისრაელს და მასთან მშვიდობიან ურთიერთობას დაამყარებდა, მაგრამ დოკუმენტის რატიფიკაცია ლიბანის პარლამენტში ვერ მოხერხდა და 1984 წელს ლიბანმა გააუქმა აღნიშნული შეთანხმება.

1987 — ღაზის სექტორში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაწილსა და იერუსალიმში პალესტინელმა არაბებმა დაიწყეს პირველი "ინტიფადა" (სახალხო აჯანყება), რაც გამოიხატებოდა ისრაელის საოკუპაციო რეჟიმისადმი სრულ დაუმორჩილებლობაში — საპროტესტო დემონსტრაციებით დაწყებული, ებრაელ ჯარისკაცებსა თუ მშვიდობიან მოქალაქეებზე შეირაღებული თავდასხმებით დამთავრებული. რეპრესიული მეთოდებით, ისრაელმა ნაწილობრივ ჩაახშო ეს მოძრაობა, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არ წყდებოდა (საერთაშორისო წითელი ჯვრის ინფორმაციით, 1990 წლისთვის მოკლული იყო 800 პალესტინელი, ხოლო 16 ათასი ციხეში იმყოფებოდა).

1988 — 31 ივლისს იორდანიის მეფე ჰუსეინმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას აღარ აქვს ტერიტორიული პრეტენზია მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმთან დაკავშირებით.

15 ნოემბერი — ალჟირში გამართულ სესიაზე პგო-ის ეროვნულმა საბჭომ "პალესტინის დამოუკიდებლობის დეკლარაცია" მიიღო და იერუსალიმი "პალესტინის სახელმწიფოს" დედაქალაქად გამოაცხადა. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში პგო-ის მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული გაეროს გენერალური ასამბლეის 181-ე რეზოლუცია პალესტინის ტერიტორიის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ, მაგრამ დეკლარაციაში არ არის ნახსენები უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია. იმავე წლის 14 დეკემბერს იასერ არაფატი იძულებული გახდა კონკრეტულად 242-ე და 338-ე რეზოლუციები ეღიარებინა და ეთქვა, რომ პგო აღარ ისახავს მიზნად ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას, არამედ მისი მიზანია, პალესტინის ტერიტორიაზე, ისრაელის გვერდით, არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება. არაფატმა ასევე დაადასტურა, რომ უარს ამბობს ტერორისტული მეთოდების გამოყენებაზე (1989 წლის 2 აპრილს პგო-მ ის "პალესტინის სახელმწიფოს" პრეზიდენტად აირჩია).

1990 — იასერ არაფატმა საჯაროდ მხარი დაუჭირა ერაყის შეჭრას კუვეიტში, რამაც სპარსეთის ყურის არაბ მონარქთა იმდენად დიდი აღშფოთება გამოიწვია, რომ მათ წლების მანძილზე შეუწყვიტეს ფინანსური დახმარება პგო-ს (აღსანიშნავია, რომ 1991 წელს 34 ქვეყნისგან შემდგარი ანტიერაყული კოალიციის მიერ ერაყზე შეტევას არაბული ქვეყნებიდან მიემხრნენ არა მხოლოდ ზემოხსენებული მონარქიები და

პროამერიკული ეგვიპტე, არამედ სირიაც).

10 სექტემბერი — ჰელსინკიში ვაშინგტონი და მოსკოვი შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად იმუშავებდნენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოსაგვარებლად და აქვე გადაწყდა მადრიდის კონფერენციის მოწვევა. სსრკ-ს უკვე საკმარისზე მეტი შიდა პრობლემები ჰქონდა, ამიტომ ის ვერც პალესტინის და ვერც სპარსეთის ყურის საკითხებში ვერ აქტიურობდა. ეს აშკარა იყო კრემლზე ორიენტირებული ძალებისთვისაც და ისინიც იძულებული იყვნენ საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია გაეზიარებინათ.

1991 — 30 ოქტომბერს, აშშ-ისა და სსრკ-ის ინიციატივით, მადრიდში გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ისრაელის, ლიბანისა და სირიის მთავრობის წარმომადგენლები, ასევე იორდანია-პალესტინის ერთობლივი დელეგაცია (იცხაკ შამირის მთავრობამ უარი თქვა პგო-ის დელეგაციასთან მოლაპარაკების გამართვაზე). სამდღიანი კონფერენცია დასრულდა მონაწილეთა შეთანხმებით, რომ მოლაპარაკების სამშვიდობო პროცესი გაგრძელდება შემდეგი პრინციპით: "მშვიდობა ტერიტორიების სანაცვლოდ".

1993 — 13 სექტემბერს ოსლოში, აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით, ისრაელის პრემიერ იცხაკ რაბინისა და იასერ არაფატის — "პალესტინელი ხალხის წარმომადგენლის" მიერ ხელმოწერილ იქნა "დროებითი თვითმმართველობის შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაცია" ანუ ოსლოს დეკლარაცია. ამ დოკუმენტის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პროცესი უნდა დაემყაროს გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციებს და პალესტინის დროებითი თვითმმართველობის შექმნა ღაზის სექტორსა და იორდანეს მარჯვენა ნაპირზე (სამარიასა და იუდეაში) სწორედ ამ კონტექსტში განიხილება. 1993 წლის შემოდგომაზე, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ იუდეის, სამარიისა და ღაზის სექტორის არაბული მოსახლეობის 68%, ასევე ებრაელთა 62% მხარს უჭერდა შეთანხმებას.

ოსლოს დეკლარაციით გათვალისწინებულია პირდაპირი, თავისუფალი არჩევნების გამართვა პალესტინის ზემოხსენებულ ტერიტორიებზე და ამ გზით დროებითი თვითმმართველობის ორგანოს — საბჭოს არჩევა, რომელიც 5 წლის განმავლობაში განახორციელებს ამ ტერიტორიების მართვას. მისი კომპეტენცია მოიცავს ეკონომიკურ, საგადასახადო, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურისა და საპოლიციო სფეროებს (საგარეო თავდაცვაზე პასუხისმგე-

ბლობა ისევე ისრაელს ეკისრება). დეკლარაციაში დაკონკრეტებულია ასევე საარჩევნო პროცესის ორგანიზების, რეგიონული განვითარებისა და ისრაელთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები.

ოსლოს დეკლარაციის თანახმად, ორი თვის ვადაში დაიდება სპეციალური შეთანხმება, რომლის ძალითაც, ისრაელის ჯარები მაქსიმუმ 4 თვეში დატოვებენ ღაზის სექტორსა და იერიქონის ზონას (იორდანეს მარჯვენა ნაპირის ნაწილი).

შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებულია მოლაპარაკებათა გაგრძელება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტად, როგორიცაა იერუსალიმის სტატუსი, დევნილთა დაბრუნება, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ებრაული დასახლებების პრობლემა.

1994 — 4 მაისს ეგვიპტეში ხელმოწერილ იქნა ღაზა-იერიქონის შეთანხმება, რომლის ძალით, ოსლოს დეკლარაციაში მოცემული გეგმის განხორციელება დაიწყო ღაზის სექტორსა და იერიქონის ზონაში. ამ ტერიტორიებზე პალესტინის ავტონომიისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯით "ჩაირთო" გარდამავალი ხუთწლიანი პერიოდი.

25 ივლისი — ვაშინგტონში, პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით, ისრაელის პრემიერ იცხაკ რაბინისა და იორდანიის მეფე ჰუსეინის მიერ ხელმოწერილ იქნა "ვაშინგტონის დეკლარაცია", რომელშიც აღნიშნულია, რომ ისინი იწყებენ მოლაპარაკებას "სამართლიანი და მყარი მშვიდობის" მისაღწევად. 26 ოქტომბერს ისრაელსა და იორდანიას შორის გაფორმდა სამშვიდობო შეთანხმება, რომლის თანახმად, მხარეებმა ცნეს ერთმანეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა, დაადგინეს საზღვრები, შეთანხმდნენ ყველა სადავო საკითხზე.

29 აგვისტო — ისრაელსა და პგო-ს შორის გაფორმდა "შეთანხმება ძალაუფლების სრული გადაცემისთვის მზადების შესახებ" და პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციას გადაეცა 5 სფეროზე კონტროლი: განათლება და კულტურა, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, საგადასახადო სისტემა და ტურიზმი.

იასერ არაფატს, იცხაკ რაბინსა და შიმონ პერესს (ისრაელის საგარეო მინისტრს) ნობელის პრემია მიენიჭათ.

1995 — 27 სექტემბერს, კაიროში დაიდო შუალედური შეთანხმება (ოსლო II), რომელშიც ჩამოყალიბდა დეტალური სქემა პალესტინის ავტონომიისთვის იუდეის, სამარიისა და ღაზის სექტორის ნაწილის, მათ შორის 6 ქალაქის გადასაცემად და არჩევითი ორგანოს — პალეს-

ტინის საბჭოს ასარჩევად.

4 ნოემბერი — თელ-ავივში მოკლეს იცხაკ რაბინი (ებრაელთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც ექვსდღიანი ომის დროს ისრაელის გენშტაბს მეთაურობდა). ეს იყო მთავრობის მეთაურის პირველი მკვლელობა ისრაელში. ებრაული უშიშროების სამსახური "შაბაკი" მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და როცა 24 წლის ებრაელმა სტუდენტმა, იგალ ამირმა, პრემიერის ახლო მანძილიდან მოკვლა მოახერხა, ეჭვი გაჩნდა, რომ რაბინი შეთქმულების მსხვერპლი გახდა (მით უფრო მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ამირის უახლოესი მეგობარი "შაბაკის" აგენტი იყო).

1996 — იანვარში პალესტინაში ჩატარდა პრეზიდენტისა და საკანონმდებლო საბჭოს არჩევნები, რომელიც იასერ არაფატისა და მისი პარტიის — "ფათჰის" გამარჯვებით დასრულდა.

მაისი — არჩევნები გაიმართა ისრაელშიც; მოკლული პრემიერის პარტია — "აოდა" დამარცხდა და ისრაელის პრემიერი გახდა "ლიკუდის" ლიდერი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა სამშვიდობო პროცესს. ისრაელსა და პგო-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს არ ცნობდნენ ისეთი რადიკალური ისლამური დაჯგუფებები, როგორიცაა: "ჰამასი" ან "ისლამური ჯიჰადი" და მათ ისრაელის ტერიტორიაზე ტერაქტების გახშირებით შეცვალეს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც, თავდაპირველად, პალესტინელებისადმი შედარებით დამთმობ პოზიციას ემხრობოდა.

1998 — 23 ოქტომბერს, ვაშინგტონში, პრეზიდენტ კლინტონის შუამაველობით, ისრაელის მთავრობისა და პგო-ის მიერ ხელმოწერილ იქნა "უაი რიივერ მემორანდუმი", რომელშიც კვირების მიხედვით გაიწერა პალესტინის ადმინისტრაციისთვის დარჩენილი ტერიტორიებისა და უფლებამოსილების გადაცემის საკითხები.

30 ნოემბერი — ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე 40 ქვეყანა შეთანხმდა, რომ პალესტინის ადმინისტრაციისადმი ფინანსური დახმარების ფონდს 3 მლრდ დოლარამდე გაზრდიან.

დეკემბერში პრეზიდენტი კლინტონი სიტყვით გამოვიდა პალესტინის საკანონმდებლო საბჭოში და დაესწრო კენჭისყრას, რომლის დროსაც საბჭომ მხარი დაუჭირა "პალესტინის ქარტიიდან" ისრაელის სახელმწიფოს განადგურებისკენ მიმართული პუნქტების ამოღებას.

1999 — მაისში გამართულ არჩევნებში "აოდამ" გაიმარჯვა და სამშვიდობო პროცესი დაჩქარდა.

15 დეკემბერი — ვაშინგტონში, პრეზიდენტ კლინტონის შუამავ-

ლობით, ერთმანეთს შეხვდნენ ისრაელის პრემიერი ეჰუდ ბარაქი და სირიის საგარეო მინისტრი ფარუქ ალ შარა.

2000 — 24 მაისს ისრაელმა დაასრულა ჯარების გაყვანა ლიბანიდან, რასაც მოითხოვდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1978 წელს მიღებული 425-ე რეზოლუცია (მანამდე გაეროს სპეციალური კომისიის მიერ განისაზღვრა ე.წ. "ცისფერი ხაზი", რომელსაც, ფაქტობრივად, ლიბან-ისრაელის საზღვრის ფუნქცია დაეკისრა და ისრაელმა სწორედ "ცისფერი ხაზის" სამხრეთით გადაიყვანა ჯარები).

11-25 ივლისი — კემპ დევიდში პრეზიდენტი კლინტონი უშუალოდ მონაწილეობდა ეჰუდ ბარაქსა და იასერ არაფატს შორის გამართულ მოლაპარაკებებში, მათ შორის, ყველაზე რთული საკითხების განხილვისას, კერძოდ, იერუსალიმის სტატუსი და პალესტინელი დევნილების დაბრუნება. ბარაქი თანახმა იყო ეცნო პალესტინის სახელმწიფო და მის დედაქალაქად აღმოსავლეთ იერუსალიმი, ასევე დათანხმდა დევნილებთან დაკავშირებით შექმნილიყო საერთაშორისო ფონდი, რომელიც კომპენსაციის საკითხს განიხილავდა, მაგრამ უარი თქვა, წინაპირობის სახით, პალესტინელთა ტერორისტული ორგანიზაციების განიარაღებამდე გამოეყვანა ჯარები 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. საბოლოოდ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მოგვიანებით კლინტონმა განაცხადა, რომ 2000 წელს არაფატმა „კოლოსალური ისტორიული შეცდომა" დაუშვა, რადგან დაიკარგა „საუკეთესო შანსი მოეახლოებინა პალესტინელთა ოცნების აღსრულება — პალესტინის სახელმწიფოს დაფუძნება და სამართლიანი, ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება".*

სექტემბერი — დაიწყო მეორე "ინტიფადა" (პალესტინელთა აჯანყება), რომლის საბაბი გახდა 28 სექტემბერს "ლიკუდის" ლიდერ არიელ შარონის ასვლა იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე "ტაძრის მთაზე". იუდეველებისთვის ესაა ყველაზე წმინდა ადგილი, მაჰმადიანთათვის კი ის მნიშვნელობით მხოლოდ მექასა და მედინას ჩამოუვარდება (აქ მდებარეობს ალ-აქსას და "კლდის გუმბათის" მეჩეთები). ფორმალურად, შარონს ჰქონდა ამის უფლება, რადგან გაეროს რეზოლუციებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არსებული შეთანხმებების თანახმად, იერუსალიმის წმინდა ადგილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა რელიგიის მიმდევარისთვის, თუმცა, რეალურად, 1967 წლამდე, სანამ იერუსალიმი მთლიანად ებრაელთა ხელში გადავიდოდა, არაბები ებრაელებს არა თუ "ტაძრის მთასთან", "გოლგოთის კლდესთან" მიახლოების უფლებასაც კი არ აძლევდნენ. მეორე "ინტიფადას" დასაწყის-

8. http://www.guardian.co.uk/world/2005/nov/14/usa.israel

შიეე ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ნოემბერი — პრეზიდენტ კლინტონის თხოვნით, ყოფილი სენატორი ჯორჯ მიტჩელი (რომელმაც 1999 წელს დიდი როლი შეასრულა ჩრ. ირლანდიის სამშვიდობო პროცესის წარმატებასა და "ბელფასტის შეთანხმების" ხელმოწერაში) სათაეში ჩაუდგა სპეციალურ კომისიას, რომელსაც დაევალა მიღწეული შეთანხმებების შეუსრულებლობის მიზეზთა შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

2001 — 7 მარტს გამართული არჩევნების შედეგად ისრაელის პრემიერი არიელ შარონი გახდა, სახელოვანი გენერალი, რომელიც 1983 წელს იძულებული გახდა გადამდგარიყო თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, რადგან ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ, გარკვეულწილად, მასაც დააკისრა პასუხისმგებლობა საბრა- შატილას სასაკლაოს გამო. 1982 წელს, როცა "ცახალის" ჯარები ბეირუთში შევიდნენ, მოხდა ერთ-ერთი გახმაურებული ხოცვა-ჟლეტა ლიბანის სამოქალაქო ომის ისტორიაში; საბრასა და შატილაში (ბეირუთის გარეუბნებში) განლაგებულ პალესტინელ დევნილთა ბანაკებზე თავდასხმისას ფალანგისტებმა — ლიბანელ ქრისტიანთა პოლიციის ქვედანაყოფებმა — 700-დან 1000-ზე მეტი ადამიანი მოკლეს. სავარაუდოდ, ისრაელის ჯარებმა არაფერი იღონეს ფალანგისტების შესაჩერებლად. იმ დროს შარონი ისრაელის თავდაცვის მინისტრის იყო და სასამართლოს გადაწყვეტილებით მას სამუდამოდ აეკრძალა ამ პოსტის დაკავება.

აპრილი — მიტჩელმა წარმოადგინა მოხსენება, რომლის თანახმად, სტაბილური მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია ძალადობის შეწყვეტა და მოლაპარაკებათა განახლება, მორატორიუმის გამოცხადება ებრაული დასახლებების მშენებლობაზე (ღაზის სექტორსა და იორდანეს მარჯვენა ნაპირზე), პალესტინელთა ტერიტორიების მიმართ ეკონომიკური შეზღუდვების გაუქმება, ისრაელის ჯარების მხრიდან მოპაკეხინებელი იარაღის გამოყენების ლიმიტიზაცია, პალესტინის ადმინისტრაციის მიერ აქტიური ღონისძიებების განხორციელება ისრაელის მოქალაქეებზე პალესტინელთა თავდასხმების აღსაკვეთად.

2001 — 1 ივნისს იელ-აეიეის ერთ-ერთ დისკოთეკაზე მომხდარი ტერაქტის შედეგად 21 მოზარდი დაიღუპა.

მიტჩელის რეკომენდაციების განსახორციელებლად პალესტინაში ჩაეიდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უფროსი ჯორჯ ტენეტი, რომელმაც მოქმედების კონკრეტული გეგმა შეიმუშავა. ტენეტი პალესტინის ადმინისტრაციისაგან მოითხოვდა: ა) "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" ყველა იმ მეომრის დაკავებას, რომელთა სია ისრაელმა

გადასცა ადმინისტრაციას, ბ) წამქეზებლური პროპაგანდის შეწყვეტას, გ) ტერაქტების ორგანიზების არდაშვებას, ტერაქტებთან დაკავშირებულ პირთა ან დაჯგუფებათა გამოელენას, დ) ისრაელში ტერაქტის მომწყობ პირთათვის თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმას, ე) უკანონო იარაღის სრულად ამოღებას. მოთხოვნები ისრაელისადმი: ა) ჯარების დაბრუნება "ინტიფადას" დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე, ბ) ტერაქტზე ან თავდასხმაზე საპასუხო მოქმედების დროს მაქსიმალური ძალისხმევა, რათა ამ დროს არ დაზარალდეს მშვიდობიან მოსახლეობა, გ) პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციათა არდაშვება, დ) პალესტინის ობიექტების წინააღმდეგ შეტევაზე უარის თქმა. მოთხოვნები ორივე მხარის მიმართ: ა) კოორდინაციის აღდგენა ორივე მხარის სპეცსამსახურებს შორის და აქტიური ერთობლივი საქმიანობა ტერაქტების აღსაკვეთად, ბ) ისრაელის არმიისა და პალესტინის ადმინისტრაციის ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი საკოორდინაციო შტაბების აღდგენა "ურთიერთშეხების ხაზზე", გ) ერთობლივი პატრულირების აღდგენა იმ გზებსა და ტერიტორიებზე, რომლებიც ორმაგ კონტროლს ექვემდებარებიან. ისრაელის მთავრობა და არაფატი, საბოლოოდ, დათანხმდნენ ტენეტის გეგმის შესრულებაზე.

26 სექტემბერი — შარონი და არაფატი შეთანხმდნენ სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებაზე. ოქტომბერში აშშ-მა "ჰამასი", "ისლამური ჯიჰადი" და "ჰეზბოლა" საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა.

2002 — 12 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES/1397), რომელშიც აღნიშნულია, რომ 242-ე და 338-ე რეზოლუციებიდან გამომდინარე, საბჭოს თვალთახედვით, პალესტინის რეგიონი "არის ადგილი, სადაც ორი სახელმწიფო, ისრაელი და პალესტინა, არსებობენ გვერდიგვერდ უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში"; ანუ ამ რეზოლუციაში პირველად არის დაკონკრეტებული "პალესტინის სახელმწიფოს" შექმნა.

იმავე რეზოლუციით, უშიშროების საბჭომ მოითხოვა ძალადობისა და ტერორის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

27 მარტი — ბეირუთში არაბული ქვეყნების ლიგამ მხარი დაუჭირა საუდის არაბეთის პრინცის აბდულას სამშვიდობო ინიციატივას, რომლის თანახმად, არაბული ქვეყნები თანხმდებოდნენ ეღიარებინათ ისრაელი და შეეწყვიტათ მასთან დაპირისპირება, თუ ისრაელი მთლიანად გაიყვანდა ჯარებს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან და გოლანის მაღლობიდან. ინიციატივა ეხებოდა ასევე იერუსალიმის სტატუსისა და

პალესტინელი დევნილების პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას.

მარტშიეე (ებრაული აღდგომის დღეებში) ისრაელის საკურორტო ქალაქ ნეთანიაში მომხდარი ტერაქტის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა და 140 დაშავდა. ეს იყო "ჰამასის" მიერ მოწყობილი ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი (2003 წლიდან 2004 წლამდე ამ ორგანიზაციამ 11 ტერაქტი განახორციელა, რასაც 144 ადამიანი ემსხვერპლა).

29 მარტი — შარონის მთავრობამ დაიწყო სპეცოპერაციის განხორციელება ("დამცავი კედელი"), რომელიც მიზნად ისახავდა, უპირველესად, ტერორისტული დაჯგუფებების ინფრასტრუქტურის განადგურებას იუდეასა და სამარიაში (იორდანეს მარჯვენა ნაპირი) და ტერორისტული ჯგუფების აქტივისტთა დაპატიმრებას. ოპერაცია დაიწყო რამალაში, "ცახალის" ქვედანაყოფებმა ალყაში მოაქციეს იქ მდებარე პალესტინის ადმინისტრაციის ყველა შენობა, გაჩხრიკეს თითოეული მათგანი (ისინი არ შეეიდნენ მხოლოდ ორ ოთახში, სადაც არაფატი იმყოფებოდა). მომდევნო დღეების განმავლობაში პალესტინის ლიდერი ასეთ მდგომარეობაში იყო, მას მხოლოდ საჭმელ-სასმელს აწვდიდნენ და მხოლოდ მობილური ტელეფონით ინარჩუნებდა გარე სამყაროსთან კავშირს. ისრაელის ჯარების განცხადებით, მათ უშუალოდ ადმინისტრაციის შენობებში დააკავეს რამდენიმე ტერორისტი, ამოიღეს უკანონო იარაღი და ყალბი ფულის საბეჭდი მანქანაც კი. ანალოგიური "წმენდა" ჩატარდა სხვა ქალაქებშიც. განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას წააწყდა "ცახალი" ჯენინში, რომელიც პალესტინური ექსტრემიზმის ცენტრად ითვლება. ორი კვირის განმავლობაში მოკლულ იქნა 200-მდე ტერორისტი, დააპატიმრეს 1413 პალესტინელი, აღმოაჩინეს და გაანადგურეს თვითნაკეთი ბომბების დამამზადებელი 5 მსხვილი ლაბორატორია და ტონობით ფეთქებადი ნივთიერება.

2003 — 30 აპრილს გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენელთაგან შემდგარმა ჯგუფმა (რომელსაც "კვარტეტი" უწოდეს) წარმოადგინა სამშვიდობო გეგმა — "საგზაო რუკა", რომელიც ითვალისწინებდა 2006 წლამდე, სამეტაპიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პალესტინის ადმინისტრაციისა და ისრაელის მიერ ყველა ძირითად საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შეთანხმებების თანმიმდევრულ მიღება-განხორციელებას და ამ გზით ღაზის სექტორსა და იორდანეს მარჯვენა ნაპირზე პალესტინის სახელმწიფოს დაფუძნებას. 1 მაისს მაჰმუდ აბასი გახდა პალესტინის ავტონომიის პირველი პრემიერ-მინისტრი.

17 მაისი — შარონმა და აბასმა ერთად განიხილეს "საგზაო რუკა".

19 აგვისტო — იერუსალიმში მომხდარმა აფეთქებამ 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ისრაელმა შეწყვიტა მოლაპარაკებები ადმინისტრაციასთან და პალესტინისგან "ცალმხრივი გამოყოფის" კონცეფციის ფარგლებში დაიწყო "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობა (შარონის აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებდა, პალესტინელებთან დიალოგის არარსებობის პირობებში, ღაზის სექტორიდან და სამარიიდან (იორდანეს მარჯვენა ნაპირი) ებრაული ჯარებისა და დასახლებების გაყვანას).

2004 — გაზაფხულზე, ისრაელის ავიაციამ წერტილოვანი დარტყმებით გაანადგურა "ჰამასის" სულიერი ლიდერები: აჰმედ იასინი და აბდელ აზიზ რანტისი.

6 ივნისი — ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა მხარი დაუჭირა "ცალმხრივი გამოყოფის" გეგმას, რომელიც 26 ოქტომბერს ქნესეტმაც დაამტკიცა.

11 ნოემბერს გარდაიცვალა იასერ არაფატი.

2005 — 9 იანვარს პალესტინელთა 62-მა პროცენტმა მაჰმუდ აბასი პრეზიდენტად აირჩია.

თებერვალი — ისრაელმა გაიყვანა ჯარები იორდანეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე 5 ქალაქიდან და ციხიდან გაათავისუფლა "ინტიფადის" 900 მონაწილე.

15 აგვისტოს დაიწყო და 23 სექტემბერს დასრულდა "ცალმხრივი გამოყოფის" გეგმის განხორციელება — ღაზის სექტორიდან ევაკუირებულ იქნა 21 და სამარიიდან 4 ებრაული დასახლება. ღაზის სექტორი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა, რომლის ფართობი სულ 363 კმ²-ია და აქ 1,5 მილიონი პალესტინელი ცხოვრობს (ებრაელ ახალმოსახლეთა რიცხვი 10 ათასზე ნაკლები იყო). 12 სექტემბერს ყველა ებრაელმა ჯარისკაცმა დატოვა ღაზის სექტორი, 23 სექტემბერს კი გაუქმდა ჯენინის მახლობლად მდებარე სამხედრო ბაზა "დოტანი". დეკემბერში შარონის ჯანმრთელობა გაუარესდა და ისრაელის პრემიერის პოსტი ეჰუდ ოლმერტმა დაიკავა.

2006 — 25 იანვარს გაიმართა პალესტინის ავტონომიის პარლამენტის არჩევნები, რომელშიც "ჰამასის" პოლიტიკურმა ბლოკმა — "ცვლილებები და რეფორმები" 132 ადგილიდან 74 მიიღო, პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის "ფათჰმა" კი მხოლოდ 45 ("ჰამასის" ძირითადი ელექტორატი ღაზის სექტორში ცხოვრობს, ხოლო "ფათჰის" — იორდანეს მარჯვენა ნაპირზე).

25 ივნისი — ღაზის სექტორიდან პალესტინელები თავს დაესხნენ ებრაელ სამხედროთა საგუშაგოს (ორი მოკლეს, ოთხი კი დაიჭრა, რომელთა-

გან ერთ-ერთი, კაპრალი შალითი, ტერორისტებმა თან წაიყვანეს).

28 ივნისი — დატყვევებული კაპრალის გამოსახსნელად, "ცახალმა" დაიწყო ოპერაცია "ზაფხულის წვიმები". ღაზის სექტორის ტერიტორიაზე გადასულმა ჯარებმა "ჰამასის" 64 წევრი დააკავეს, მათ შორის 8 მინისტრი (იანვრის არჩევნების შემდეგ პალესტინის ავტონომიის მთავრობა, ძირითადად, "ჰამასმა" დააკომპლექტა).

"ჰამასმა" და ავტონომიის მთავრობამ, კაპრალის გათავისუფლების სანაცვლოდ ისრაელისგან მოითხოვა 1000 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლება, მათ შორის, ყველა ქალისა და მოზარდის. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ისრაელის საგარეო მინისტრი მოსკოვს ეწვია და რუსეთის ხელისუფლებას სთხოვა დახმარება.

კრემლი არც მალავს თავის კავშირებს ამ ტერორისტულ ორგანიზაციასთან; იანვრის არჩევნებში "ჰამასის" გამარჯვების შემდეგ, მრავალმა არაბულმა ქვეყანამ დახმარება შეუჩერა პალესტინის ავტონომიას, პუტინმა კი "ჰამასის" პოლიტბიუროს უფროსი ჰალედ მაშალი თავისთან მიიწვია. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ "ჰამასმა" აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა ცნო. ამ ორგანიზაციის პროგრამა ითვალისწინებს ისრაელის სახელმწიფოს გაუქმებას და პალესტინის ტერიტორიაზე თეოკრატიული ისლამური სახელმწიფოს შექმნას. "ჰამასი" არ ცნობს ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის დადებულ შეთანხმებებს და უარს ამბობს თავისი მებრძოლების განიარაღებაზე. აღსანიშნავია, რომ "ჰამასის" პოლიტბიურო სირიაში მდებარეობს და ფინანსურ დახმარებას სწორედ ამ ქვეყნიდან და ირანიდან იღებს.

12 ივლისი — დილით ისრაელის ჩრდილო საზღვართან ლიბანის შიიტურმა ორგანიზაცია "ჰეზბოლამ" (რომელიც ასევე სირია-ირანის მხარდაჭერას ეყრდნობა და ვაშინგტონი ტერორისტულ ორგანიზაციებს მიაკუთვნებს), მოაწყო თავდასხმა ისრაელის სასაზღვრო პატრულზე. 8 სამხედრო დაიღუპა და სამი დაიჭრა, აქედან ორი ტყვედ წაიყვანეს ლიბანის ტერიტორიაზე (საბოლოოდ, "ჰეზბოლამ" მხოლოდ 2008 წელს ამ ორი ჯარისკაცის გვამი გადასცა ისრაელს 5 ლიბანელი პატიმრის გათავისუფლების სანაცვლოდ). ამ თავდასხმის შემდეგ "ჰეზბოლამ" ისრაელის მთავრობას გაცვლა შესთავაზა: ის გაათავისუფლებდა დაჭრილ ებრაელ ჯარისკაცებს, ხოლო მეორე ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასი" — კაპრალ გილად შალითს, სამაგიეროდ, ისრაელს ციხიდან უნდა გამოეშვა ათასზე მეტი პალესტინელი და ლიბანელი ტერორისტი და მათი თანამზრახველები. საპასუხოდ,

იმავე დღეს, "ცახალმა" სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე დაიწყო სპეცოპერაცია "ღირსეული შურისძიება", რომელიც ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. "ჰეზბოლას" მიერ ისრაელის მიმართულებით სარაკეტო დარტყმები განხორციელდა. სირიული და ირანული რაკეტების უმრავლესობა მეზობელი სირიიდან მიეწოდებოდა "ჰეზბოლას". შიიტები ლიბანის მუსულმანური მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ (40 %) და ისინი, ძირითადად, სამხრეთ და აღმოსავლეთ ლიბანში ცხოვრობენ. "ჰეზბოლა" ("ალაჰის პარტია") ლიბანის 128-კაციან პარლამენტში 23 ადგილს ფლობს.

აღსანიშნავია, რომ "ჰეზბოლას" მიერ განხორციელებულ თავდასხმამდე სულ რაღაც ორი თვით ადრე (17 მაისს) გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1680-ე რეზოლუცია, რომელიც "დაბეჯითებით მოუწოდებს" სირიის ხელისუფლებას გამოეხმაუროს ლიბანის თხოვნას, რათა დასრულდეს ორ ქვეყანას შორის საზღვრის დადგენა და ლიბანის მთავრობის მსგავსად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სირიიდან ლიბანში იარაღის უკანონო გადაზიდვის შესაჩერებლად. რეზოლუციის მე-6 პუნქტში კი უშიშროების საბჭო მიესალმება ლიბანის ეროვნული დიალოგის ფარგლებში პალესტინელი დევნილების განიარაღებაზე (6 თვის ვადაში) შეთანხმების მიღწევას, რაც საბოლოოდ უნდა დასრულდეს ყველა უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებათა განიარაღებით და ლიბანის მთავრობის მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებით.

ამ რეზოლუციის შესრულება, ბუნებრივია, "ჰეზბოლას" და მის მფარველებს ხელს არ აძლევდათ. სავარაუდოდ, 12 ივლისის თავდასხმის ერთ-ერთი მიზანი უკანონო დაჯგუფებათა განიარაღების პროცესის ჩაშლა იყო. ლიბანის მთავრობა აცხადებდა, რომ მან არაფერი იცოდა "ჰეზბოლას" თავდასხმის შესახებ. ეს უკანასკნელიც მთლიანად თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას, თუმცა ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ოლმერტმა განაცხადა: "ლიბანის მთავრობა, რომელშიც "ჰეზბოლაც" არის, ცდილობს დაარღვიოს რეგიონის სტაბილურობა. ლიბანი პასუხს აგებს მომხდარზე და მას მოუწევს გარკვეული საფასურის გადახდა". ოლმერტი "ჰეზბოლას" ქმედებებში ირანის კვალსაც ხედავდა. ისრაელის მოტივაცია ასეთი იყო: ვინაიდან ლიბანის მთავრობა სუსტია და არ შეუძლია თავისი ტერიტორიიდან ისრაელის მიმართ სარაკეტო თავდასხმების აღკვეთა, "ცახალი" იძულებულია თვითონ გაანადგუროს "ჰეზბოლას" სამხედრო ინფრასტრუქტურა, რათა ამ გზით უზრუნველყოს ისრაელის მოსახლეობის უსაფრთხოება. ისრაელის ჯარებმა ჩაკეტეს ლიბანის საჰაერო და საზღვაო სივრცე, დააზიანეს

აეროპორტების ასაფრენი ზოლები და ამის შემდეგ დაიწყეს საავიაციო დარტყმების განხორციელება "ჰეზბოლას" ცენტრებზე. ისრაელმა მოუწოდა სამხრეთ ლიბანის მოსახლეობას, განრიდებოდნენ საბრძოლო მოქმედებების ზონებს.

ოლმერტი მოითხოვდა: ა) ორი გატაცებული ჯარისკაცის დაბრუნებას, ბ) ისრაელზე სარაკეტო დარტყმების შეწყვეტას და გ) გაეროს უშიშროების საბჭოს 1559-ე რეზოლუციის (2004) შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს ლიბანის მთავრობის კონტროლს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და "უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებათა დაშლასა და განიარაღებას".

ლიბან-ისრაელის საზღვარზე 1978 წლიდან იმყოფებოდნენ გაეროს დროებითი ძალები (UNIFIL – UN Interim Force in Lebanon), თუმცა მათ მხოლოდ პატრულირებისა და მეთვალყურეობის მანდატი ჰქონდათ (გაეროს დამკვირვებლებს ფრანგი გენერალი ხელმძღვანელობდა).

15-17 ივლისი — პეტერბურგში შეკრებილმა "დიდი რვიანის" ლიდერებმა "ექსტრემისტებს" დააკისრეს პასუხისმგებლობა ვითარების ესკალაციის გამო და მოუწოდეს, ერთი მხრივ, "ჰეზბოლას" ორი ებრაელი ჯარისკაცის გათავისუფლებისკენ და, მეორე მხრივ, ისრაელს — მაქსიმალური თავშეკავებისკენ. ამ მოწოდების საპასუხოდ, "ჰეზბოლამ" ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ძლიერი სარაკეტო თავდასხმა ("გრადის" სისტემით) განახორციელა ისრაელზე. "ცახალის" ავიაციის რეაქციამ არ დააყოვნა — საბოლოოდ განადგურდა ელექტროსადგური ჯიეში, რომელიც სამხრეთ ლიბანს ელექტროენერგიით ამარაგებდა, დაიბომბა ძირითადი მაგისტრალები, ბეირუთის აეროპორტის განმეორებით დაბომბვას საწვავის რეზერვუარების აფეთქება მოჰყვა. ავიადარტყმებს გადაურჩა "ჰეზბოლას" ლიდერი შეიხი ჰასან ნასრალა, რომელმაც მოასწრო ლიბანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სირიის საზღვრისკენ გაქცევა. ლიბანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არავითარ ზომებს არ მიმართავს შეიხ ნასრალას წინააღმდეგ, რომელსაც "თაყვისი წვლილი აქვს შეტანილი ლიბანის გათავისუფლებაში".

18 ივლისი — ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ინიციატივას სამხრეთ ლიბანში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგების შესახებ. ისრაელი ითხოვდა, რომ ეს ყოფილიყო ნატოს ჯარი, რომელიც ნამდვილად შეძლებდა კონტროლის დამყარებას სამხრეთ ლიბანში. იწყება ბეირუთში მყოფი 20 ათასი უცხოელი მოქალაქის ევაკუაცია, რისთვისაც ხმელთაშუა ზღვაში შეიქმნა დროებითი საერთაშორისო ფლოტილ-

ია, რომელიც 20 ხომალდისგან შედგებოდა, მათ შორის 13 სამხედრო გემი იყო, თავიანთი შეეულმფრენებით (ევაკუაციის დროს ისრაელმა დროებით შეაჩერა ლიბანის საზღვაო ბლოკადა).

21 ივლისი — "ცახალმა" დაიწყო სახმელეთო ოპერაცია, რათა "ჰეზბოლას" მებრძოლები განედევნა მდინარე ლითანის ჩრდილოეთით და ამგვარად შეექმნა 30-კილომეტრიანი "ბუფერული ზონა" ლიბანის მოსაზღვრე ისრაელის დასახლებათა უსაფრთხოებისთვის. სირიის ინფორმაციის მინისტრმა განაცხადა, რომ თუ ისრაელი განაგრძობს წინსვლას ლიბანის ჩრდილოეთით, სირია იძულებული იქნება ჩაება კონფლიქტში.

23 ივლისი — ბეირუთში ჩავიდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი და კონფლიქტის მოგვარების თავისი გეგმა შესთავაზა ლიბანის მთავრობას. გეგმის თანახმად, მშვიდობის დასამყარებლად პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ლიბანის სამთავრობო ჯარების მიერ კონტროლის დამყარება სამხრეთ ლიბანში, რათა არ დაეშვა "ჰეზბოლას" მიერ ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა და ამით კონფლიქტის მუდმივი პროვოცირება. ლიბანის მთავრობამ არ მიიღო ეს გეგმა და მოითხოვა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა (ისრაელი უარს ამბობდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე იმ მოტივით, რომ ამ შემთხვევაში "ჰეზბოლას" მებრძოლები მაშინვე "თავს წამოწევდნენ").

24 ივლისი — ისრაელმა ჩრდილოეთ საზღვრიდან 4 კმ-ით დაშორებული ბინატ-ჯაბილის ("ჰეზბოლას" "დედაქალაქის") შტურმი დაიწყო.

25-26 ივლისი — ღამით, ისრაელის ავიაციამ დაბომბა ლიბანის ქალაქი ხიამი, რის შედეგადაც გაეროს დროებითი ძალების 4 დამკვირვებელი დაიღუპა. ამ ინციდენტს კოფი ანანის მკვეთრი განცხადებები მოჰყვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ "ჰეზბოლას" მებრძოლებს საცეცხლე წერტილი ჰქონდათ მოწყობილი ამ ქალაქში განლაგებული გაეროს სამეთვალყურეო პუნქტთან ახლოს და საავიაციო დარტყმა სწორედ ამ საცეცხლე წერტილის განადგურებლად იყო გამიზნული; გაირკვა ისიც, რომ ეს სამეთვალყურეო პუნქტი 20-ჯერ მაინც მოხვდა "ცახალის" საარტილერიო და საავიაციო დარტყმების ზონაში, აქედან 12-ჯერ ყუმბარა პუნქტიდან 100 მეტრზე ნაკლებ რადიუსში აფეთქდა, რის შესახებაც ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობა გაეროს წარმომადგენელთა მიერ არაერთხელ იქნა ინფორმირებული.

27 ივლისი — რომში გაიხსნა კონფერენცია, რომელიც ლიბანის კრიზისის მოგვარებას მიეძღვნა. მას ესწრებოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოსა (ჩინეთის გარდა) და ევროკავშირის დიდი ქვეყნები, ასევე

ლიბანი, ეგვიპტე, იორდანია და საუდის არაბეთი.

აშშ-მა კონფერენციის მონაწილეები დაითანხმა, რომ ისრაელისთვის კიდევ მიეცათ მცირე დრო ანტიტერორისტული ოპერაციის დასასრულებლად, მეორე მხრივ, საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა და რუსეთმა მიაღწიეს იმას, რომ სამხრეთ ლიბანში სამშვიდობო მისიით გაეროს და არა ნატოს ჯარები განლაგდებოდნენ (ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ნატოს ჯარების მომხრე ისრაელი იყო). საფრანგეთი თავის პოზიციას იმით ხსნიდა, რომ ნატო ახლო აღმოსავლეთში „დასავლეთის შეიარაღებულ ძალად" აღიქმებოდა.

ფაქტობრივად, ყველა აღიარებდა, რომ კონფლიქტი სირიისა და ირანის მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად ისახავდა ისრაელისადმი შეურიგებელი "ჰეზბოლას" "გადარჩენას", ამ ორგანიზაციის განიარაღების არდაშვებას, რასაც გაეროს 17 მაისის (S/RES 1680 (2006)) რეზოლუცია მოითხოვდა; მაგრამ ანალიტიკოსთა ერთი ჯგუფი ხაზს უსვამს ჯერ კიდევ პეტერბურგში, "დიდი რვიანის" სამიტზე პუტინის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ისრაელის ოპერაციას შორს მიმავალი მიზანი ჰქონდა და ორი ჯარისკაცის დაბრუნების სურვილით არ შემოიფარგლებოდა. პარიზი და მოსკოვი შიშობდნენ, რომ აშშ და ნატო "ჰეზბოლას" პროეკაციას სირიისა და ირანის "დასასჯელად" ან დასაშინებლად გამოიყენებდნენ. ამ ვერსიის თანახმად, სირიის პრეზიდენტისგან ვაშინგტონი მოითხოვდა ტერორისტული ჯგუფებისადმი დახმარების შეწყვეტას, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება-გამოყენებაზე უარის თქმას და, რაც მთავარია, ირანთან კავშირის გაწყვეტას. სანაცვლოდ, სირია მიიღებდა ინვესტიციებს მდიდარი არაბული ქვეყნებისგან, თავდაუსხმელობის გარანტიას ისრაელისგან, ხოლო პრეზიდენტი ბაშარ ასადი — მხარდაჭერას თეთრი სახლისგან. სწორედ ამიტომ კრემლისა და შირაკისთვის მთავარი იყო კონფლიქტი ლიბანის საზღვრებს არ გასცდენოდა და მასში სირია-ირანი არ ჩართულიყვნენ.

30 ივლისი — ისრაელის ავიაციამ დაბომბა "ჰეზბოლას" სარაკეტო დანადგარი სოფელ კანაში. ამ დროს ჩამოინგრა სამსართულიანი შენობა, რომლის სარდაფში მშვიდობიანი მოსახლეობა იმალებოდა. დაიღუპა 28 ადამიანი, აქედან 16 ბავშვი. "ჰუმან რაითს ვოჩმა" ისრაელს სამხედრო დანაშაულთა ჩადენაში დასდო ბრალი. ისრაელის მთავრობამ სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და განაცხადა, რომ კანა საბრძოლო მოქმედებათა ზონაში იყო და მოსახლეობა ინფორმირებული იყო ამის შესახებ. გარდა ამისა, ისრაელმა "ჰეზბოლა" დაადანაშაულა მშვიდობიანი მოსახლეობის "ცოცხალ ფარად" გამოყენებაში. "ცახალ-

ის" საავიაციო დარტყმები 48 საათით შეჩერდა. ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ დროის გასვლის შემდეგ ავიადარტყმები განახლდებოდა, სანამ ლიბანში საერთაშორისო ძალები არ განლაგდებოდნენ.

31 ივლისი — ბეირუთში მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა, რომლის მონაწილეები შეცვივდნენ ლიბანში გაეროს წარმომადგენლობის შენობაში, დაარბიეს იგი და ბოლოს დაწვეს. ლიბანის პრემიერმა ფუად სინიორამ განაცხადა, რომ ის არ მიიღებდა მონაწილეობას არანაირ მოლაპარაკებაში, სანამ ისრაელი დაუყოვნებლივ არ შეწყვეტდა ცეცხლს.

იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 1697-ე რეზოლუცია, რომელიც ძალადობის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისკენ მხოლოდ ზოგადი მოწოდებით შემოიფარგლება.

2 აგვისტო — ისრაელის არმია 6-7 კმ-ით წაიწია წინ ლიბანის ტერიტორიაზე (ლიბანში უკვე 10 ათასი ებრაელი ჯარისკაცი იმყოფებოდა). იმავე დღეს "ჰეზბოლამ" განახორციელა ისრაელის ტერიტორიის ყველაზე ძლიერი დაბომბვა (215 რაკეტა ერთ დღეში; დაბომბვების შედეგად კონფლიქტის განმავლობაში სამოცზე მეტი ებრაელი დაიღუპა და 500-მდე დაიჭრა).[9]

3 აგვისტო — მალაიზიაში გაიხსნა "ორგანიზაცია ისლამური კონფერენციის" საგანგებო სამიტი, რომელსაც ვიდეომიმართვით მიესალმა ლიბანის პრემიერი. მან განაცხადა, რომ იმ მოსენტისთვის დაღუპულ ლიბანელთა რიცხვმა 900-ს გადააჭარბა (აქედან მხოლოდ 80 იყო "ჰეზბოლას" მებრძოლი), დაიჭრა დაახლოებით 3200 ადამიანი, ამათგან ყოველი მესამე — ბავშვი (12 წლამდე ასაკის). სამიტის მონაწილე 57 ისლამური ქვეყანა მოითხოვდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას კონფლიქტის ზონაში და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების სასწრაფოდ შეყვანას. სამშვიდობო კონტინგენტში თავიანთი ჯარების გაგზავნაზე თანხმობა განაცხადეს თურქეთმა, ბანგლადეშმა, ინდონეზიამ და პაკისტანმა. დისკუსიის დროს ირანის პრეზიდენტმა "ებრაული სახელმწიფოს განადგურება" მოითხოვა.

ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ გაეროს ახალი კონტინგენტი, რომელიც ლიბანში განლაგდება, უნდა "დაკომპლექტდეს ნამდვილი ჯარისკაცებით და არა პენსიონრებით, რომლებიც სამხრეთ ლიბანში რამდენიმე თვით დასასვენებლად ჩამოდიოდნენ. ეს უნდა იყოს სამხედრო შენაერთი, რომელიც მზად იქნება შეასრულოს გაეროს რეზოლუცია".[10]

4 აგვისტო — „ჰეზბოლას" ლიდერი ლიბანის ტელევიზიით გამოვიდა და ისრაელს ცეცხლის შეწყვეტა შესთავაზა, წინააღმდეგ შემთხვევაში

9. http //news.bbc.co uk/hi/russian/news/newsid 5220000/5220148 stm
10. http://www.gorod.lv/novosti/33665-izrail

თელ-ავივის დაბომბვით დაემუქრა. საპასუხოდ, "ცახალის" ავიაციამ, საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ყველაზე მძლავრი საჰაერო შეტევა განახორციელა. კიდევ ერთხელ დაიბომბა ბეირუთი (პირველად, ქრისტიანთა კვარტლებიც), აეროპორტი და ოთხივე ხიდი, რომელიც ბეირუთს სირიისკენ მიმავალ მაგისტრალებთან აკავშირებდა.

ირანულმა ორგანიზაცია "ინტიფადის კონფერენციამ" პირველად დაადასტურა, რომ ისინი ნამდვილად აწვდიდნენ "ჰეზბოლას" შორეული რადიუსის რაკეტებს "ხილზალ-2"-ს.

6 აგვისტო — "ჰეზბოლამ" ხაიფას ჩრდილოეთით მდებარე ისრაელის თითქმის ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტი დაბომბა.

7 აგვისტო — ლიბანის მთავრობამ მიიღო შვიდპუნქტიანი გეგმა, რომელიც, სამხრეთ ლიბანში მთავრობის მიერ კონტროლის დამყარების მიზნით, აქ 15 000 ჯარისკაცის განლაგებას ითვალისწინებდა, მას შემდეგ, რაც ისრაელის ჯარები "ცისფერი ხაზის" სამხრეთით გადავიდოდნენ.

11 აგვისტო — "ცახალმა" ფართომასშტაბიანი ოპერაცია დაიწყო და სულ რამდენიმე საათში სამხრეთ ლიბანში მყოფი ჯარების რაოდენობა გასამმაგდა.

იმავე საღამოს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1701-ე რეზოლუცია, რომელიც აშშ-საფრანგეთის ერთობლივ პროექტს ეფუძნებოდა და 14 აგვისტოს 8 საათზე ლიბანში ცეცხლის შეწყვეტას ითვალისწინებდა. რეზოლუციაში ხაზგასმულია ლიბანის მთავრობის მიერ ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის გაკონტროლების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათა ლიბანის ტერიტორიაზე არ არსებობდეს უკანონო იარაღი და გაუქმდეს ყველა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება. რეზოლუციის თანახმად, სამხრეთ ლიბანში განლაგებული გაეროს ძროებითი ძალების რაოდენობა 15 ათასამდე გაიზარდა და მიენიჭათ უფლება "გამოეყენებინათ, მათი შეფასებით, ყველა აუცილებელი საშუალება" ძალადობის აღსაკვეთად და მანდატით დაკისრებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად (ამჟამად ლიბანის "ბუფერულ ზონაში" გაეროს მანდატით 12 410 სამხედრო იმყოფება 30 ქვეყნიდან, მათ შორის, 2 639 იტალიიდან, 1 459 საფრანგეთიდან და 1 148 ინდონეზიიდან). რეზოლუცია ავალდებულებდა ისრაელის ჯარებს, გაეროს კონტინგენტის განლაგების პარალელურად, დაეტოვებინა ლიბანის ტერიტორია. ისრაელის პრემიერი მიესალმა უშიშროების საბჭოს 1701-ე რეზოლუციას, რომლის განხორციელების შემდეგ "ჰეზბოლა' ვეღარ იქნება სახელმწიფო სახელმწიფოში".

14 აგვისტო — საომარი მოქმედებები შეწყდა.

2007 — ივნისში "ჰამასსა" და ავტონომიის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს (და მის პარტია "ფათჰს") შორის დაპირისპირება მასშტაბურ შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. საბოლოოდ, "ჰამასმა" სრული კონტროლი მოიპოვა ღაზის სექტორზე.

27 ივნისი — ინგლისის ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი გახდა "კვარტეტის" (გაერო, ევროკავშირი, აშშ, რუსეთი) წარმომადგენელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხში.

2008 — 20 ნოემბერს პალესტინის ადმინისტრაციის ინიციატივით ისრაელის გაზეთებში გამოქვეყნდა "არაბთა სამშვიდობო ინიციატივა" ანუ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელიც 57 არაბული და მაჰმადიანური ქვეყნის მიერ იქნა შემუშავებული და რომელიც ითვალისწინებდა ყველა ამ ქვეყნის მიერ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას იმ შემთხვევაში, თუ ისრაელი დაუბრუნდებოდა 1967 წლის ექვსდღიან ომამდე არსებულ საზღვრებს (არსებითად, ეს გეგმა იყო 2002 წელს საუდის არაბეთის პრინც აბდულას მიერ წარმოდგენილი პროექტის განახლებული ვარიანტი).

ისრაელის თავდაცვის მინისტრ ეჰუდ ბარაქის განცხადებით, შემოთავაზებული გეგმა შესაძლოა გამხდარიყო მოლაპარაკების საგანი (ისრაელში მრავლად არიან ექვსდღიან ომამდე არსებულ საზღვრებში დაბრუნების მომხრეები, მაგრამ პალესტინელი დევნილების დაბრუნების საკითხი და იერუსალიმის სტატუსი თვით ებრაელთა შორისაც მწვავე დაპირისპირებას იწვევს).

19 დეკემბერი — დასრულდა "ჰამასსა" და ისრაელს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არსებული შეთანხმების მოქმედების ვადა. "ჰამასმა" უარი თქვა შეთანხმების გაგრძელებაზე და 25 დეკემბერს რაკეტებით დაბომბა ისრაელის ტერიტორია.

27 დეკემბერი (2008) — ისრაელმა ღაზის სექტორში დაიწყო ოპერაცია "ჩამოსხმული ტყვია", რომელიც მიზნად ისახავდა "ჰამასის" ინფრასტრუქტურისა და ლიდერების განადგურებას (სარაკეტო დანადგარების, იარაღის საწყობების, საწვრთნელი ცენტრების და ა.შ.). 3 იანვრამდე ოპერაცია ძირითადად ხორციელდებოდა ავიაციის მეშვეობით. დაახლოებით 50-60 თვითმფრინავისა და შვეულმფრენის მიერ ყოველდღიურად 120-ზე მეტი გაფრენა ხორციელდებოდა (მთლიანად, ოპერაციის ფარგლებში, 2500-მდე გაფრენა შესრულდა).

ისრაელის ავიაციის შეტევას "ჰამასმა" ორი დღის განმავლობაში 150-მდე სარაკეტო დარტყმით უპასუხა. ღაზის სექტორის მომიჯნავე 40 კმ-იან ზონაში მდებარე ებრაულ ქალაქებსა და სოფლებში ისრაელის

მთავრობამ საგანგებო რეჟიმი შემოიღო.

30 დეკემბერი — ისრაელმა უარყო საფრანგეთის ინიციატივა 48 საათის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. საავიაციო იერიში ხორციელდებოდა "ჰამასის" ლიდერთა სახლებზეც, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციის რამდენიმე მეთაური (ოჯახის წევრებთან ერთად) განადგურდა.

2009 — 3 იანვარს დაიწყო "ჩამოსხმული ტყვიის" მეორე ეტაპი და ბრძოლაში "ცახალის" სახმელეთო ჯარები ჩაებნენ. ორი მიმართულებით განხორციელებული სწრაფი შეტევით ისინი ხმელთაშუა ზღვის ნაპირამდე განლაგდნენ, რითაც, ფაქტობრივად, სამ ნაწილად "გაყვეს" ღაზის სექტორის ტერიტორია.

ისრაელის მთავრობამ არ მიიღო კრემლის შეთავაზება "ჰამასთან" შუამავლობის შესახებ.

ცნობილი გახდა აშშ-ის სამშვიდობო ინიციატივის შესახებ, რომელსაც თეთრი სახლი ჯერ ეგვიპტესა და იორდანიასთან ათანხმებდა. ვაშინგტონის გეგმის თანახმად:

1) ორივე მხარე დაუყოვნებლივ წყვეტდა ცეცხლს, "ჰამასი" უარს ამბობდა ისრაელის ტერიტორიის დაბომბვაზე, ხოლო "ცახალის" სახმელეთო ნაწილები გამოდიოდნენ ღაზის სექტორიდან;

2) ღაზის სექტორისთვის იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების მიწოდების სრული შეწყვეტის მიღწევა;

3) საერთაშორისო სამხედრო ძალებისა და გაეროს დამკვირვებლების განლაგება რაფიახის სასაზღვრო პუნქტთან (ღაზის სექტორის საზღვარი ეგვიპტესთან);

4) ღაზის სექტორისკენ მიმავალი ყველა გზის გახსნა ჰუმანიტარული ტვირთისთვის;

5) პალესტინის პრეზიდენტის მაჰმუდ აბასის ძალაუფლების გაზრდა ღაზის სექტორში, მისი საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნა რაფიახის სასაზღვრო პუნქტში.

4 იანვარი — ისრაელის ტერიტორიაზე გაიხსნა სამხედრო ბანაკი, რომელშიც მოჰყავდათ დაკავებული მებრძოლები. ვინაიდან, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ისინი "უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა მებრძოლები" იყვნენ და არა სამხედრო ტყვეები, მათზე არ ვრცელდებოდა ჟენევის კონვენციის მოქმედება.

5 იანვარი — თელ-ავივში ჩავიდა ხავიერ სოლანა, ქაიროში კი საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ასევე "ჰამასის" დელეგაცია ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან მოსალაპარაკებლად.

6 იანვარი — საომარი მოქმედებების დროს, ჭურვი აფეთქდა გაეროს სკოლის გვერდით, რასაც რამდენიმე ათეული ადამიანის, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლე შეეწირა. ისრაელის არმიის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, სკოლაში მოთავსებული იყო იარაღის საწყობი, ხოლო სკოლის გვერდით — საცეცხლე წერტილი. მტკიცებულების სახით, ნაჩვენები იქნა ვიდეოფირი. ასოშეიტედ პრესის ცნობით, სკოლასთან დაღუპულთა შორის იყო "ჰამასის" ორი ცნობილი მებრძოლი. გაერომ გაათავისუფლა ისრაელი ბრალდებისაგან, რომ თითქოს "ცახალის" ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებიც სკოლაში ცდილობდნენ თავის შეფარებას. გაირკვა, რომ "ჰამასმა", სხვა ადგილას დაღუპულ ადამიანთა გვამების გამოყენებით, "ისრაელის ბარბაროსობის" ინსცენირება მოაწყო.

"ცახალმა", ჰუმანიტარული მიზნით, საომარი მოქმედებების ყოველდღიური სამსაათიანი შეჩერება შემოიღო. "ჰამასი" ამ პერიოდშიც აგრძელებდა ისრაელის ტერიტორიის დაბომბვას სხვადასხვა სახის, მათ შორის, "გრადის" რაკეტებით. ისრაელი აცხადებდა, რომ შეწყვეტდა ოპერაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეწყდებოდა მისი ტერიტორიის დაბომბვა და ეგვიპტე აიღებდა ვალდებულებას, სრულად აღეკვეთა იარაღის კონტრაბანდა ღაზის სექტორში. "ჰამასისთვის" განკუთვნილი იარაღი ირანიდან და სირიიდან ჯერ ეგვიპტეში ხვდებოდა ხოლო იქიდან, სპეციალურად გათხრილი გვირაბებით — ღაზის სექტორში ("ჩამოსხმული ტყვიის" განმავლობაში ისრაელის ჯარების მიერ 70-ზე მეტი ასეთი გვირაბი იქნა განადგურებული).

8 იანვარი — ლიბანის ტერიტორიიდან დაიბომბა ჩრდილოეთ ისრაელის ქალაქი ნაგარია. ლიბანის მთავრობამ კატეგორიულად დაგმო ეს ფაქტი და სასწრაფო გამოძიების შედეგად ტერაქტში ეჭვმიტანილი "ჰამასის" 7 აქტივისტი დააკავა. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის შემდეგ "ჰეზბოლამ" ვერ გაბედა მიხმარებოდა "ჰამასს".

ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ისრაელს პალესტინელთა გენოციდში დასდო ბრალი და მისი ელჩი გააძევა ქვეყნიდან.

გაეროს უშიშროების საბჭომ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა (S/RES 1860), მაგრამ ისრაელმა უარი თქვა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ამ მოთხოვნის შესრულებაზე.

ოპერაციის დაწყებიდან ისრაელის მიმართ გასროლილ იქნა 478 რაკეტა და 122 ნაღმი.

ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან შეხვედრისას გერმანიის საგარეო მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ ის-

რაელს აქვს "უდაეო უფლება დაიცვას თავისი მოქალაქეები სარაკეტო დარტყმებისგან" და რომ არ არსებობს ქვეყანა, რომელიც "მოითმენს მისი ტერიტორიის დაბომბვას. ისრაელს აქვს უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება".

12 იანვარი — "ცახალის" ჯარები უშუალოდ ქალაქ ღაზაში შევიდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ღაზის ელექტრომომარაგება 74%-ით უზრუნველყოფილი იყო, მაშინ როცა "ჩამოსხმული ტყვიის" დაწყებისას — მხოლოდ 40%-ით ("ცახალის" წარმომადგენლის პეტერ ლერნერის განცხადებით, ელექტროსისტემის გამართული მუშაობა არის "უშუალო შედეგი "ცახალის", პალესტინის ენერგეტიკული სამმართველოსა და "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლობის").

15 იანვარი — ისრაელის ავიადაბომბვის შედეგად დაიღუპა "ჰამასის" მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი საიდ სიამი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ და სირიასთან ძალზე დაახლოებულ ფიგურად ითვლებოდა. ამის შემდეგ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ეგვიპტესა და იორდანიას ისრაელთან ურთიერთობის გაწყვეტისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ "არაბთა სამშვიდობო ინიციატივა მოკვდა".

17 იანვარი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (A/RES/ES-10/18), რომელიც საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითვალისწინებდა. იმავე დღეს ისრაელის მთავრობამ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება 18 იანვრის 2 საათიდან ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ და რამდენიმე დღეში ჯარები გაიყვანა ღაზის სექტორიდან; საომარი მოქმედებები შეწყდა, თუმცა, "ჰამასის" რაკეტები დროდადრო თებერვლის ბოლომდე ფეთქდებოდა ისრაელის ტერიტორიაზე, რასაც ისრაელის ავიაცია "წერტილოვანი დარტყმებით" პასუხობდა.

18 იანვარი — ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ოლმერტმა სატელევიზიო მიმართვაში აღნიშნა: "უსაფრთხოების ყველა სტრუქტურის შეფასებით, "ჰამასმა" სერიოზული და გრძელვადიანი დანაკარგი განიცადა... "ჰამასი" არის ირანის სამხედრო წარმომადგენლობა ღაზის სექტორში. ამ ორგანიზაციას ირანი აფინანსებს; ირანი წვრთნის "ჰამასის" ტერორისტებს; ირანი აწვდის მას მოწინავე ტექნოლოგიის იარაღს. ირანი, რომელიც მიისწრაფის ჰეგემონიისკენ რეგიონში, შეეცადა გაემეორებინა ლიბანში "ჰეზბოლას" წარმატების მსგავსი რამ, ოღონდ ამჯერად ღაზის სექტორში".

"ჩამოსხმული ტყვიის" დასრულების შემდეგ "ჰამასის" ლიდერებმა პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი (აბუ-მაზენი)

ისრაელთან და აშშ-თან თანამშრომლობაში დააღანაშაულეს, კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრ საიდ სიამის დაღუპვასა და ღაზის ბლოკადაზე პასუხისმგებლობა მას დააკისრეს. გარდა ამისა, "პამასის" მტკიცებით, მაჰმუდ აბასისა და "ფათჰის" მომხრეები ისრაელის ჯარებს "პამასის" აქტივისტების ადგილსამყოფელს ატყობინებდნენ, იარაღის საწყობებისა და გვირაბების სქემებს აწვდიდნენ. აღსანიშნავია, რომ მაჰმუდ აბასს დისერტაცია მოსკოვში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში აქვს დაცული 1982 წელს, როცა ის, იასერ არაფატის უახლოესი თანამებრძოლი, ისრაელისადმი რადიკალურად იყო განწყობილი (1984 წელს მან გამოაქვეყნა თავისი დისერტაციის გაგრძელება, სამეცნიერო გამოკვლევა სახელწოდებით: "სიონიზმისა და ნაციზმის საიდუმლო კავშირები მეორე მსოფლიო ომის დროს", რომელშიც ამტკიცებდა, რომ სიონისტები თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან და 40-იან წლებში არა 6 ან 4 მილიონი, არამედ მხოლოდ მილიონამდე ებრაელი დაიღუპა; მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, მაჰმუდ აბასის მიმართება ისრაელისადმი თანდათან შეიცვალა და მისი პოზიცია გაცილებით უფრო რეალისტური და კონსტრუქციული გახდა).

საქართველოსთან მიმართება

პალესტინის კონფლიქტის შედარება საქართველოს კონფლიქტებთან მხოლოდ ცალკეულ, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი, რადგან თავისი არსით, სირთულითა და სიღრმით პალესტინის პრობლემა, რასაკვირველია, სულ სხვა "განზომილების" მოვლენაა.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულ ახლო აღმოსავლეთში, "ევრაზიის ბალკანეთად" წოდებულ ტერიტორიაზე დაიწყო მასშტაბური, ურთულესი პროცესი — თანამედროვე სახელმწიფოთა ჩამოყალიბება, რომელიც რამდენიმე ათწლეულია გრძელდება. არაბული ქვეყნების უმრავლესობის სახელმწიფოებრიობა სწორედ ამ პერიოდში აღდგა ან შეიქმნა, დადგინდა ამ ქვეყნების საზღვრები, მმართველობის ფორმები, დაფუძნდა მსხვილი ენერგოკომპანიები, დაიწყო ნაცთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების დიდი პროექტების განხორციელება. ყოველივე ეს მიმდინარეობდა მძაფრი დაპირისპირების, ომების, აჯანყებების, სახელმწიფო გადატრიალებების ფონზე. ამ პროცესში ჩართული იყო თითქმის ყველა გავლენიანი სახელმწიფო, რომლებიც თავიანთი ინ-

ტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ერთმანეთის ან აღგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური დოკუმენტები და ნორმები, არ არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაციათა უმრავლესობა (საკმარისია ითქვას, რომ 1947 წელს, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის გაჩაღებული ომის დროს გაერო მხოლოდ 2 წლის შექმნილი იყო).

მე-20 საუკუნეში პალესტინის კონფლიქტის აღმოცენება და თანდათანობითი განვითარება სწორედ ამ ურთულესი პროცესის ნაწილი იყო.

კონფლიქტის აღმოცენებისთვის ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა თავისთავად უნიკალურმა გარემოებამ — 19 საუკუნის შემდეგ ებრაელ ხალხს საშუალება მიეცა თავისი "ეროვნული სახლი" აღედგინა ("ბალფურის დეკლარაცია") პალესტინის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა ებრაელთა იმიგრაცია პალესტინაში, არაბთა უკმაყოფილება და ა.შ. ებრაელები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ იერუსალიმში "ზიმის" ("მეორეხარისხოვანი ადამიანის") სტატუსით, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ "ბალფურის დეკლარაციით" მიეცათ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა, ევროპიდან ჩასული ებრაელები, ბუნებრივია, "ზიმის" სტატუსს ვერ შეეგუებოდნენ, მათ სურდათ თავიანთ სამშობლოში, სახელმწიფოში თავისუფლად ეცხოვრათ. "ეროვნული სახლის" ცნებაში ებრაელები თავიდანვე სრულიად ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდნენ სახელმწიფოს, რასაც ვერ ვიტყვით პალესტინელი არაბების უმრავლესობაზე, რომლებიც ძნელად თუ წარმოიდგენდნენ, რომ სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პალესტინის ტერიტორიაზე უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ (იმ დროს ისინი ხომ ებრაელებზე 8-ჯერ უფრო მეტნი იყვნენ).

ხაზგასასმელია, რომ "ბალფურის დეკლარაციის" ან ფეისალ-ვეიცმანის შეთანხმების გაფორმებისას პალესტინაში გულისხმობდნენ დღევანდელი პალესტინისა და იორდანიის გაერთიანებულ ტერიტორიას და ერთა ლიგის მიერ ბრიტანეთისთვის გადაცემული მანდატი, თავდაპირველად, სწორედ ამ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. იმ პერიოდში არაბული სამყაროსთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო გლობალური პრობლემები, ვიდრე დღევანდელი პალესტინის პატარა ტერიტორიის კუთვნილების საკითხი, მით უფრო, რომ მაშინ ებრაული იმიგრაციის მასშტაბურ ხრდას თვით სიონისტებიც კი არ ელოდნენ. არაბებს, უპირველესად, სირიისა და ერაყის საკითხი უნდა გადაეწყვიტათ. (ზოგიერთი ებრაელი ისტორიკოსის აზრით, 1919 წლიდან საფრანგეთს რომ

ისეთივე დამთმობი პოლიტიკა ჰქონოდა სირიის მიმართ, როგორიც ბრიტანეთს — ერაყის მიმართ — რომელიც 1933 წელს, დამოუკიდებელი არაბული მონარქიის სახით, ერთა ლიგის წევრი გახდა, — პალესტინის პრობლემა, შესაძლოა, აღარც კი გაჩენილიყო).[11] მაგრამ 30-იან წლებში ებრაული იმიგრაციის სწრაფმა ზრდამ დემოგრაფიული ვითარების საგრძნობი შეცვლა გამოიწვია.

არაბებისგან განსხვავებით, ებრაელებმა თავიდანვე მკაფიოდ იცოდნენ რა სურდათ — ებრაული სახელმწიფოს შექმნა ისტორიული საშობლოს ანუ "პატარა პალესტინის" ტერიტორიაზე — და ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად მიიწევდნენ ამ მიზნისკენ. ისინი არ ერიდებოდნენ სირთულეებს; პალესტინაში ჩასული ებრაელი იმიგრანტების ნაწილი ნახევარუდაბნოებში ოაზისებს აშენებდა, ნაწილი კი ჭაობებს აშრობდა და იქ ახალ დასახლებებს აფუძნებდა. პრობლემას ქმნიდა ის, რომ, ერთი მხრივ, ებრაელები დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვერ შექმნიდნენ დიდი იმიგრაციის გარეშე (დავით ბენ-გურიონს უთქვამს: "სიონიზმი პალესტინაში იმიგრაციაა — სხვა არაფერი"), მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ დიდი იმიგრაცია აშინებდა პალესტინელ არაბებს, მით უფრო, რომ ჩამოსულები სხვა კულტურას მიეკუთვნებოდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ ამირა ფეისალის სიტყვები ებრაელებისა და არაბების ნათესაობისა და მსგავსების შესახებ, რაც სრული სიმართლეა მაშინდელი პალესტინელი ებრაელების მიმართ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს არც პილის კომისიის მოხსენება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ჩამოსული ებრაელები, ფაქტობრივად, ევროპულ კულტურას წარმოადგენდნენ, არაბები კი — აზიურს, რაც მათ ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას ართულებდა და რომ პალესტინის პრობლემას არა რასობრივ-ეთნიკური, არამედ "პოლიტიკური ხასიათი აქვს", რადგან ამ ორ ხალხს სურს ჰქონდეს თავისი სახელმწიფო პალესტინის ტერიტორიაზე. ამავე მოხსენებაში დაფიქსირებულია, რომ ებრაელების მასშტაბური იმიგრაცია ზრდიდა დაპირისპირების საფრთხეს და, შესაბამისად, პალესტინის ტერიტორიის ორ — არაბულ და ებრაულ ნაწილად გაყოფის აუცილებლობას.

პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა "ეროვნული სახლის" დაფუძნების შესახებ მსოფლიოში თავდაპირველად აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაციზმმა დაახლოებით 6 მილიონი ებრაელი იმსხვერპლა, საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია გამოიკვეთა. ებრაელთა გენოციდი იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განსაზღვრა გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობის მიერ პალესტინის გაყოფის გეგმის მხარდაჭერა.

11. http://www.zman.com/news/Article.aspx?articleID=58962

ებრაელები ითხოვდნენ მცირე ტერიტორიას, "ეროვნულ თავშესაფარს" თაეიანთ ისტორიულ სამშობლოში. იმიგრანტები არ თაკილობდნენ დასახლებას უდაბურ, აუთვისებელ მიწებზე. ეს ფაქტები იმდენად მრავლისმეტყველი იყო, რომ 1947 წელს ებრაული სახელმწიფოს დაფუძნებას გაეროს წევრი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ მისცა ხმა (33-მა 13-ის წინააღმდეგ). სსრკ-იც კი მომხრეთა შორის აღმოჩნდა, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რამდენად "მიესალმებოდა" კრემლი ისრაელის შექმნასა და არსებობას.

კრემლი შეეცადა დაახლოებით მსგავსი სქემა გაეთამაშებინა საქართველოში — თითქოს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრები ოსები და აფხაზები "ქართული ფაშიზმის" მსხვერპლნი არიან და რომ რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს მიმართ, ამ რეგიონების ოკუპაცია და მათი "დამოუკიდებლობის" აღიარება ოსებისა და აფხაზების "გენოციდისაგან" დაცვას ემსახურება. ეს "სიმართლე", გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, მხოლოდ ნიკარაგუის, ვენესუელისა და ნაურუს ხელისუფლებამ "დაიჯერა". (ვენესუელამ, მაგალითად, ამისთვის 2,2 მილიარდი დოლარის კრედიტი მიიღო კრემლისგან და რუსული სამხედრო ტექნიკა შეიძინა, ხოლო ნაურუმ — 50 მილიონი დოლარი). სინამდვილეში, კრემლის იმპერიული, დანაშაულებრივი პოლიტიკის მსხვერპლია მთლიანად საქართველო და მისი მოსახლეობა, ქართველების, აფხაზებისა და ოსების ჩათვლით. როცა კრემლმა 2008 წელს, საქართველოს წინააღმდეგ ჯერ სამხედრო აგრესია განახორციელა და შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, ფაქტობრივად, დაანაწევრა ანუ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობა" ცნო, ამით შეეცადა დაეკანონებინა ამ რეგიონებში განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგები.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელდა ეთნოწმენდა, "უპირატესად, ქართველების მიმართ", რაც დადასტურებულია ეუთოს 1994, 1996 და 1999 წლის სამიტთა რეზოლუციებში, ასევე ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის (მათიას იორშის ჯგუფის), ჰაიდი ტალიავინის კომისიისა (მისიის) და "ჰუმან რაითს ვოჩის" მოხსენებებში[12]. ხაზგასასმელია, რომ ეუთოში გადაწყვეტილება კონსენსუსის წესით მიიღება ანუ რუსეთს, როგორც ეუთოს წევრ სახელმწიფოს, თვითონ აქვს დადასტურებული აფხაზეთში ქართველების მიმართ ეთნოწმენდის განხორციელების ფაქტი.

თანამედროვე გაგებით, ეთნოწმენდა პალესტინაშიც განხორციელდა

12 HRW. Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, op. cit. p. 131

და მის მახლობლადაც: ერთი მხრივ, ებრაელებმა გაძოაძევეს არაბები და, მეორე მხრივ, მეზობელი არაბული ქვეყნებიდან არაბებმა გაძოაძევეს ებრაელები, მაგრამ მაშინ ეთნოწმენდის სამართლებრივი გაგება არ არსებობდა (ზოგადად ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის დროსაც გამოიყენებოდა, მაგრამ სამართლებრივი დატვირთვა 90-იან წლებში შეიძინა, როცა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (A/RES/47/121, 18.12.1992) ჩაიწერა, რომ სერბეთი და მონტენეგრო ბოსნიაში ახორციელებდნენ "ეთნიკურ წმენდას', რომელიც არის გენოციდის ფორმა" და შემდეგ გაეროს საერთაშორისო სართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა ბოსნია-ჰერცეგოვინის საჩივარი სერბეთ-მონტენეგროს წინააღმდეგ). გარდა ამისა, არსებობს თვით არაბი ლიდერების დოკუმენტურად დადასტურებული განცხადებები, რომლებშიც ისინი მოუწოდებენ პალესტინელ არაბებს დატოვონ დასახლებული პუნქტები და დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც ტერიტორია "გაიწმინდება ებრაელებისგან" (ასეთი მოწოდებები, ძირითადად, საომარი მოქმედებების დაწყებამდე გაისმოდა). სწორედ ამიტომ არის პალესტინასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი დევნილების დაბრუნება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პალესტინის ურთულესი, მრავალშრიანი, გლობალური კონტექსტით გარემოცული კონფლიქტისგან განსხვავებით, საქართველოს კონფლიქტი, მისი ისტორიისა და წარმომშობი ფაქტორების მხრივ, მარტივი კონფლიქტია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში კრემლი იძულებული გახდა ღიად გამოსულიყო "სცენაზე".

2008 წლის აგვისტოს ომმა გაშოაჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ერთადერთი რეალური წყარო არის კრემლი. სულ სხვა ვითარებაა პალესტინასთან დაკავშირებით, სადაც უახლესი ისტორიის ფარგლებში კონფლიქტი თითქმის საუკუნეა გრძელდება და ვერ დავასახელებთ ერთ ქვეყანას, რომელსაც შეიძლება დავაკისროთ პასუხისმგებლობა მის პროვოცირებასა და გაჭიანურებაზე.

ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულ წარსულში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. პირიქით, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა "მუჰაჯირობის" შედეგად მეფის რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, რელიგიური მოტივაციით, ფაქტობრივად, მთლიანად გაასახლა ჩერქეზები, მათი მონათესავე აფხაზები და

მათ ადგილას რუსები ჩამოასახლა, აფხაზური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება სწორედ ქართულ გარემოში მოხდა (აფხაზეთი მაშინ სოხუმის ოლქის სახით ქუთაისის გუბერნიის ანუ დასავლეთი საქართველოს ნაწილი იყო). იგივე ითქმის ოსურ ენასა და კულტურაზე, რომელიც გაცილებით უკეთ აქვთ შენარჩუნებული საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ვიდრე რუსეთში მდებარე "ჩრდილოეთ ოსეთის" მოსახლეობას.

დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა და არსებობს. 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა (მუხლი 107). 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ევროპული მასშტაბით, ეს იყო უპრეცედენტო თანაფარდობა ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობასა და სახელისუფლო ორგანოში მის წარმომადგენლობას შორის. სწორედ იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, სახელმწიფო სტატუსი ჰქონდა (ისტორიულ წარსულშიც მე-19 საუკუნემდე ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე, აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო). აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრი, აფხაზურ-რუსული ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

სწორედ ეს ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008

წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ეიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ კონტექსტში ორიოდე სიტყვით შეეხებით ენგურჰესთან დაკავშირებულ მემორანდუმს და ამის გამო ზოგიერთი ოპონენტის მიერ საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულებას "ოკუპანტებთან თანამშრომლობაში" (ენგურჰესის ნაწილს სწორედ ოკუპანტები აკონტროლებენ). საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას, ფაქტობრივად, ერთიანი ეკონომიკური სივრცე აქვთ. ავტონომიის ტერიტორიაზე ებრაული შეკელი მოქმედებს, ბუნებრივი აირითა და წყლით ღარიბის სექტორი და დასავლეთი ნაპირი ისრაელიდან მარაგდება. მეორე "ინტიფადის" დროს, როცა დასავლეთ ნაპირზე, რამალაში ისრაელმა დაიწყო სპეცოპერაცია, მან გარკვეული ტერიტორიების სრული ბლოკადა განახორციელა, შეუწყვიტა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებაც კი. 2006 წლიდან, მას შემდეგ, რაც "ჰამასმა" ღარიბის სექტორში ძალაუფლება აიღო, ისრაელი ისევ განაგრძობს ამ რეგიონის მომარაგებას, თუმცა "ჰამასი" ისრაელის, როგორც სახელმწიფოს განადგურების მომხრეა. 2009 წელს, "ჩამოსხმული ტყვიის" მიმდინარეობისას, ღარიბის სექტორის ელექტროენერგიით მომარაგება 40%-დან 75%-მდე გაიზარდა. აქ საუბარია ერთმანეთისადმი უკიდურესად დაპირისპირებულ ორ, ფაქტობრივად და გარკვეულწილად იურიდიულადაც, დამოუკიდებელ სახელმწიფოზე. აფხაზეთის შემთხვევაში კი ესაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია, რომელზეც საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ. ასე რომ, არის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია ჩვენიანი მოსახლეობისთვის და ასეთ დროს ქვეყნის ინტერესების ღალატსა და "ოკუპანტთან თანამშრომლობაში" დადანაშაულება იაფფასიანი ფსევდოპატრიოტული პროპაგანდაა, რომელიც შიდაპირისპირებისკენაა მიმართული და სწორედ ოკუპანტის

წისქვილზე ასხამს წყალს.

საქართველოს ხელისუფლების ასეთ კონსტრუქციულ, საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამის პოზიციას, კრემლი უპირისპირებს მხოლოდ აშკარა ძალადობაზე, საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფაზე დამყარებულ პოლიტიკას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რუსეთის პრეზიდენტი თვით მის მიერვე ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებსაც კი არ ასრულებს.

2008 წლის 12 აგვისტოს მედვედევმა ხელი მოაწერა პრეზიდენტ სარკოზის მიერ მომზადებულ 6 პუნქტიან შეთანხმებას, რომლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს "საერთაშორისო დისკუსიების დაწყებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფორმათა შესახებ"; და ამის შემდეგ მხოლოდ ორ კვირა იყო გასული (26.08.08), როცა რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობა" აღიარა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პალესტინის კონფლიქტის აღმოცენებისა და განვითარების დროს, თითქმის არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური დოკუმენტები და ნორმები, რომლებიც ამ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს მოაწესრიგებდა, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ პალესტინის კონფლიქტის პროცესში წამოჭრილ პრობლემათა სამართლებრივი განხილვისა და განზოგადების შედეგად ხდებოდა სათანადო სამართლებრივი ნორმების, დეფინიციების დადგენა-დაზუსტება.

პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით, რადგან 1993 და მით უფრო 2008 წლისთვის უკვე კარგა ხნის მიღებული იყო ყველა ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი და ნორმა, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობას აწესრიგებს (უპირველესად, გაეროს წესდება, 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ეუთოს 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი). 2008 წელს, როცა კრემლმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობა" ცნო, უკვე ათწლეულებია არსებობდა და არსებობს გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, არაერთი საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც მსგავსი ტიპის საქმეთა განსახილველად შესაბამისი სამართლებრივი ბაზაც აქვს და გამოცდილებაც. კრემლის დანაშაული სწორედ იმითომაა უპრეცედენტო, რომ მან 21-ე საუკუნეში ყველა ამ საერთაშორისო ნორმასა და ორგანიზაციას "გადააბიჯა" და იმედი აქვს, რომ დაუსჯელი დარჩება.

არაბთა და ებრაელთა შორის კონფლიქტის გამწვავების მოსურნეთა უმთავრესი საყრდენი გახდა ის ფაქტი, რომ არაბი ლიდერებისთვის მიუღებელი იყო პალესტინის ტერიტორიის თუნდაც ნახევრის დათმობა ებრაელებისთვის. სწორედ იმ არაბებს, რომელთაც არ ეთმობოდათ ჩამოსული ებრაელებისთვის პალესტინის მიწა, "მხსნელად" მოევლინა კრემლი და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სსრკ-მა უკვე ხმა მისცა გაეროს 181-ე რეზოლუციას ანუ პალესტინის ორად გაყოფას. ასეთ ვითარებაში პგო-ის აგრესიული კურსის მხარდაჭერა, ამ ორგანიზაციის დაფინანსება და იარაღით მომარაგება, ცხადია, ერთადერთ მიზანს — კონფლიქტის ესკალაციას ემსახურებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინასთან დაკავშირებული კონფლიქტების უმთავრესი სათავე რომ სწორედ კრემლი იყო, დადასტურდა 80-იანი წლების ბოლოს, როცა სსრკ-ის დასუსტების პარალელურად, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესი სწრაფად, წარმატებით განვითარდა.

ისტორიული და მორალური თვალსაზრისით, რთული გასაგებია იმ არაბების პოზიცია, რომლებსაც ებრაელებისთვის საერთოდ არ ემეტებათ სახელმწიფო პალესტინის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ნაცისტებმა ებრაელთა გენოციდი მოაწყვეს). და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში ისრაელზე გაცილებით უფრო დიდი, სულ მცირე, ოცი არაბული სახელმწიფო არსებობს. ამ ფაქტორის სიცხადე იმდენად აშკარაა, რომ მისი აღიარება 80-იანი წლებიდან არაფატსაც კი მოუწია (ისიც აშკარაა, რომ პგო უფრო ადრე გაუსწორებდა თვალს რეალობას, რომ არა სსრკ-ის გულუხვი დახმარება ტერორისტული საქმიანობისთვის).

კიდევ უფრო რთული გასაგებია იმ აფხაზების და ოსების პოზიცია, რომლებიც აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" "დამოუკიდებლობას" მოითხოვენ და თან თანახმა არიან, რომ რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, თანახმა არიან, რომ ორივე რეგიონი რუსეთმა, ფაქტობრივად, დანარჩენი საქართველოსადმი მტრულ დიდ სამხედრო ბაზად გადააქციოს; და ეს მაშინ, როცა მე-19 საუკუნეში სწორედ რუსეთმა გადაასახლა კავკასიიდან ჩერქეზები და მთლიანად გაანადგურა უბიხები. რუსეთის მოიმედეებს თვალწინ აქვთ ჩეჩნების გენოციდის ფაქტი, თუ როგორ ექცევა კრემლი მცირერიცხოვან, თავისუფლებისმოყვარე ხალხს, ან ბესლანის ტრაგედია, თუ როგორ "უფრთხილდება" იგი რუსეთის მოქალაქეების, მით უფრო, ბავშვების სიცოცხლეს. სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კრემლს რეალურად მხარს უჭერს აფხაზებისა და ოსების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ თავისი

პირადი კეთილდღეობა და პრივილეგიები აღელვებს და "დამოუკიდებლობა" რეალურად ამისთვის სჭირდება. ამ ჯგუფებს კრემლმა მისცა ძალაუფლება, ისინი უშუალოდ კრემლის სამხედრო ძალას, საოკუპაციო ჯარებს ეყრდნობიან და ფიზიკურად უსწორდებიან იმათ, ვინც გაბედავს და ქართველების მიმართ კეთილგანწყობას ღიად გამოხატავს.

ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის იმის მსგავსი პრობლემაც კი არ არსებობს, რომელიც არაბებსა და ევროპიდან იმიგრირებულ ებრაელებს შორის არსებობდა. ჩვენ ერთობლივი ცხოვრებისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს. ამასთანავე, აფხაზეთში ქართველები მუდამ უმრავლესობას შეადგენდნენ, რომ არაფერი ვთქვათ ე.წ. "სამხრეთ ოსეთზე", ისტორიული საქართველოს ცენტრალური პროვინციის (ქართლის) შუაგულში მდებარე ტერიტორიაზე. საქართველოში ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახია; 1989 წ. აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი (36,4%) ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. ანალოგიური ვითარებაა აფხაზების მიმართაც. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული ბარიერი.

აქამდე, ძირითადად, პალესტინისა და საქართველოს პრობლემათა ისტორიულ ასპექტებს ვეხებოდით, ახლა ვცადოთ თანამედროვე ეტაპზე არსებული პრობლემების შედარება.

საწყის ეტაპზე პალესტინის პრობლემის ყველაზე კონკრეტული და მწვავე გამოხატულება დაკავშირებული იყო იმიგრაციასთან. შემდეგ, როცა გაერომ გადაწყვიტა პალესტინის ორად გაყოფა და მეზობელი არაბული ქვეყნების თავდასხმები შეწყდა, პრობლემა გახდა უცხო ძალების მხარდაჭერით მოქმედი, არარელიგიური იდეოლოგიის მქონე, რადიკალური პგო და მისი ტერორისტული საქმიანობა (სსრკ-ის დასუსტების შემდეგ პგო-ის რადიკალიზმი, ბუნებრივია, ჩაცხრა).

თანამედროვე ეტაპზე პრობლემათა ორი ჯგუფი არსებობს, კერძოდ, გარე ძალებთან დაკავშირებული რადიკალური ისლამური დაჯგუფებები: "ჰამასი" და შიიტური "ჰეზბოლა" (რომელთა უკან, რეალურად, ირანი, სირია და ბოლო პერიოდში მომძლავრებული კრემლი დგას) და

მეორე — არა გარედან ხელოვნურად შექმნილი, არამედ ობიექტურად მართლაც რთულად მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა გადაჭრა მოლაპარაკებათა პროცესში დღემდე ვერ მოხერხდა: ა) იერუსალიმის სტატუსი, ბ) ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და გ) დევნილების დაბრუნება.

ამ ყველაფერს თუ შევაჯამებთ და, გარკვეულწილად, გავამარტივებთ, ვნახავთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პალესტინის ტერიტორიაზე არსებული "შიდა" პრობლემები (და არა, მაგალითად, ებრაელთა გენოციდი ევროპაში ან ისრაელის ომი ეგვიპტესთან), ძირითადად, ექვსი კონკრეტული ელემენტისგან შედგება:

1) იმიგრაცია;
2) პგო;
3) "ჰამასი" და "ჰეზბოლა";
4) იერუსალიმის სტატუსი;
5) ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები;
6) დევნილების დაბრუნება.

ამ ჩამონათვალის ფონზე იოლია პირობითი პარალელის გავლება საქართველოსა და პალესტინას შორის. პალესტინის ორად გაყოფის საკითხი არც კი წამოიჭრებოდა, რომ არა ებრაელთა იმიგრაცია (და მათი გენოციდი ფაშისტების მიერ), რომ არა ის ფაქტორი, რომ ისრაელის დაფუძნების შემთხვევაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული რამდენიმე მილიონი ებრაელიდან, საბოლოოდ, მილიონი მაინც ჩაეიდოდა ისტორიულ სამშობლოში (მით უფრო, ებრაელთა დევნის იმ პრეცედენტების ფონზე, რომლებიც არსებობდა ევროპაში). საქართველოში მსგავსი მასშტაბის იმიგრაციაზე საუბარიც კი ზედმეტია, რომ ამ საფუძველზე საქართველოს ტერიტორიის დანაწილებას რაიმე გამართლება მოეძებნოს (თუნდაც, მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთიდან გასახლებული "შუაჯარების" შთამომავალთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მასობრივად გადაწყვიტოს).

პგო-ის, "ჰამასის" ან "ჰეზბოლას" შეიარაღებულ შენაერთებთან ისრაელის ჯარებს კვირების, ზოგჯერ თვეების განძილზეც კი უწევდათ და უწევთ ბრძოლა.

2008 წლის აგვისტოში დადასტურდა, რომ კოკოითის ან ბაღაფშის ბანდებს ასეთი რამ არ შეუძლიათ (თუნდაც მხოლოდ მათი მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე). პალესტინელები მრავალრიცხოვანი არიან, ამიტომ "ჰამასის" ან "ჰეზბოლას" აგრესიულ რადიკალიზმს მო-

სახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში მხარდაჭერა აქვს და ამის ახსნა ასე თუ ისე შესაძლებელია, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცირერიცხოვანი მოსახლეობისგან (აფხაზებისგანაც და ოსებისგანაც) ასეთი რამ გამორიცხულია.

სრულიად ნათლად ჩანს, რომ საქართველოს შემთხვევაში პგო-ის, "პამასის" და "პეზბოლას" როლს უშუალოდ რუსეთის საოკუპაციო ჯარები ასრულებენ. ისრაელის პრემიერ ეჰუდ ოლმერტის სიტყვები რომ გავიხსენოთ, "პამასიც" და "პეზბოლაც", ფაქტობრივად, ირანის "სამხედრო წარმომადგენლობებია" ღაზის სექტორსა და ლიბანში ანუ ირანი ამ ტერორისტულ ორგანიზაციათა ხელით აკეთებს თავის "საქმეს". დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტომდე ბაღაფშისა და კოკოითის ბანდებთან დაკავშირებით და სწორედ აგვისტოს ომმა გამოააშკარავა მთელი მსოფლიოს დასანახად ის, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, — რეალური კონფლიქტი არის არა ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს, არამედ საქართველოსა და კრემლს შორის.

ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხად დღემდე რჩება იერუსალიმის სტატუსის პრობლემა, რომელიც ძირითადად განპირობებულია ამ ქალაქის უნიკალური ისტორიითა და სხვადასხვა ეთნიკურ-რელიგიურ ჯგუფთათვის მნიშვნელოვანი ისტორიულ-რელიგიური ძეგლების ძალიან ახლოს, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე განლაგებით (საკმარისია ითქვას, მაგალითად, "ტაძრის მთასთან" დაკავშირებული პრობლემები).

არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში მსგავსი სირთულეები არ არსებობს, მაგრამ აქ სხვა ტიპის პრობლემაა, კერძოდ, უძველესი ქრისტიანული ტაძრები და სხვა ქართული ძეგლები უმძიმეს მდგომარეობაშია და მოუვლელობის ან განზრახ მიყენებული დაზიანების გამო ნადგურდება. საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა იუნესკოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ ოკუპანტები სპეციალისტებსა თუ ქართველ სასულიერო პირებს ისტორიული ძეგლების ნახვის უფლებასაც კი არ აძლევენ.

ისრაელის მიერ უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციების მოთხოვნათა მთლიანად შესრულების ანუ 1967 წლის ექვსდღიანი ომის დროს ოკუპირებული ტერიტორიების (რომლებიც, გაეროს 1947 წლის გაყოფის გეგმის თანახმად, პალესტინის არაბულ სახელმწიფოს ექუთვნის) სრულად დათმობის საკითხი სხვა პრობლემურ საკითხებს

უკავშირდება. მაგალითად, 2000 წელს ისრაელის მთავრობა პრინციპულად თანახმა იყო შეესრულებინა უშიშროების საბჭოს ზემოხსენებული რეზოლუციები, ოღონდ ამ პრობლემას ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში განიხილავდა, პალესტინელთა შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღებისა და დევნილთა დაბრუნების პრობლემის პარალელურად. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი, უპირველესად, ისევ "ჰამასსა" და "ჰეზბოლას" უკავშირდება.

რაც შეეხება პალესტინელ დევნილებსა და ლტოლვილებს და მათ შედარებას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილ მოსახლეობასთან (რასაც ხშირად მიმართავენ რუსეთის ოფიციალური პირები), ამ საკითხზე ვრცლად შევჩერდებით.

1948 წლამდე პალესტინაში 1 230 000 არაბი ცხოვრობდა. აქედან 400 ათასი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ებრაული სახელმწიფოსთვის გამოიყო გაეროს 181-ე რეზოლუციით. 1948-49 წლების ომის დროს, სხვადასხვა მონაცემით, 600 ათასიდან 800 ათასამდე არაბმა დატოვა თავისი სახლ-კარი. დევნილებიდან 200 ათასი იორდანეს დასავლეთ ნაპირზე (იუდეა-სამარიაში) დასახლდა, რომელიც მაშინ იორდანიის მიერ იყო ოკუპირებული, 190 ათასი კი — ეგვიპტის მიერ ოკუპირებულ ღაზის სექტორში. ნაწილი — 160 ათასი ისრაელის ტერიტორიაზე დარჩა (ანუ იმ ხაზის იქით, რომელიც 1949 წლის ომის დასრულებისას დაფიქსირდა), ხოლო დაახლოებით 250 ათასი მეზობელ არაბულ ქვეყნებში დამკვიდრდა.

1967 წელს, ექვსდღიანი ომის დროს 300 000 არაბი გადასახლდა ღაზის სექტორიდან და იორდანეს დასავლეთ ნაპირიდან იორდანია-სირიაში. აქედან დაახლოებით ნახევარი იყვნენ ის დევნილები, რომლებმაც 1948 წელს დატოვეს ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები.

ებრაული ისტორიოგრაფიის თანახმად, პალესტინელთა მასობრივი წასვლა მშობლიური ადგილებიდან, უპირველესად, თვით არაბ ლიდერთა მოწოდებებით უნდა აიხსნას და მხოლოდ დევნილთა და ლტოლვილთა 25% შეიძლება ჩაითვალოს ისრაელის არმიის იძულების მსხვერპლად. არაბული ისტორიოგრაფია კი პირიქით, პალესტინელების წასვლის მთავარ ფაქტორად სწორედ იძულებას ასახელებს. ებრაელები ამბობენ, რომ 100 000 დევნილი ისრაელმა უკან დააბრუნა 1949 წლის შემდეგ. ებრაულ წყაროებში მოცემულია დოკუმენტურად დადასტურებული მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია არაბი ლიდერების მოწოდებები პალესტინელი არაბებისადმი, 2-3 კვირით დატოვონ სახლ-კარი, რათა "ისრაელზე გამარჯვების შემდეგ" ისევ დაბრუნდნენ. ასე მოხდა, მაგ-

ალითად, შარონის დაბლობის, ტვერიის, ცფატეს, ფაქტობრივად, დაცლა არაბული მოსახლეობისგან ჯერ კიდევ 1948 წლის მარტში (ომი 14 მაისს დაიწყო). ასევე იყო ხაიფას შემთხვევაშიც, როცა არაბმა ლიდერებმა ლამის მოღალატედ გამოაცხადეს ყველა, ვინც ქალაქს არ დატოვებდა და "დაბომბვას გაართულებდა". შესაბამისად, აქ მცხოვრები 62 ათასი არაბიდან მხოლოდ 5-6 ათასი დარჩა. ებრაული მონაცემებით, 300 ათასმა არაბმა ჯერ კიდევ 1948-49 წწ. ომამდე გაყიდა სახლკარი და პალესტინის შედარებით უსაფრთხო რაიონებში ან მეზობელ არაბულ ქვეყნებში გადასახლდა.

არაბი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ებრაელებს ჰქონდათ არაბებისგან პალესტინის "გაწმენდის" კონკრეტული გეგმა და ათწლეულების განმავლობაში ახორციელებდნენ მას. ამ ვერსიას ებრაელი ისტორიკოსი ილან პაპეც ეთანხმება. მისი არგუმენტაციის თანახმად, ისრაელმა 1967 წლის შემდეგ არ შეასრულა გაეროს რეზოლუციები დევნილთა შესახებ და არ მისცა მათ დაბრუნების საშუალება. ისრაელის სახელმწიფოს მიერ პალესტინელ დევნილთა ქონების კონფისკაცია მოხდა და მათ კომპენსაცია არ მიუღიათ. ამჟამად პალესტინის ფარგლებს გარეთ 2,5 მილიონი პალესტინელი ლტოლვილი ცხოვრობს.

1949 წლის დეკემბერში გაეროსთან შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის სააგენტო პალესტინელ დევნილთა დახმარებისა და დასაქმებისთვის (UNRWA). პალესტინელი ლტოლვილის შთამომავლობის მიმართ მოქმედებს ასეთი წესი — იმ შემთხვევაშიც, თუ ის პალესტინის გარეთ არის დაბადებული, მაინც ლტოლვილად ითვლება. ამით სარგებლობენ ლიბანსა და სირიაში და მათ მოქალაქეობას არ აძლევენ.

UNRWA-ს ინფორმაციით (2006), სულ 4 375 050 პალესტინელი იძულებით გადაადგილებული პირია, აქედან 700 000 დასავლეთ ნაპირზე, თითქმის მილიონი კი ღაზის სექტორში ცხოვრობს; 1 800 000 იორდანიაში, 435 000 — სირიაში, ხოლო 400 000 — ლიბანში. ანუ 1,5 მილიონ დევნილზე მეტი პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

დევნილების დაბრუნების საკითხი პირველად დაფიქსირებულია გაეროს გენასამბლეის 1948 წლის 11 დეკემბრის რეზოლუციაში (# 194 (III)). ისრაელმა მაშინ უარი თქვა ამ რეზოლუციის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ 600 000 პალესტინელი არაბის ადგილი დაიკავა 850 ათასამდე ებრაელმა, რომელთაც არაბული ქვეყნებიდან წამოსვლა მოუწიათ. ამ დევნილი ებრაელების საკითხი საგანგებოდაა წარმოჩენილი აშშ-ის კონგრესის # 185-ე (EH) რეზოლუციაში (1 აპრილი, 2008წ.). წარმომადგენელთა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ

ფაქტზე, რომ პალესტინელი დევნილებისგან განსხვავებით, ებრაელ დევნილთა შესახებ მსოფლიოში ნაკლებად არის ცნობილი (თუმცა ამ ებრაელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ის დევნის გამო კი არა, იდეური მოსაზრებების გამო დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში). რეზოლუციაში დამოწმებულია გაეროს კონფერენციის მიერ 1951 წელს მიღებული "დევნილის სტატუსის" დეფინიცია, ასევე 1957 წელს დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის (UNHCR) განმარტება, რომ არაბული ქვეყნებიდან გამოქცეული ებრაელები არიან ლტოლვილები და მათი საკითხი გაეროს ამ უწყების კომპეტენციას მიეკუთვნება. იქვე ხაზგასმულია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციაში (22.11.1967) არსებული ფრაზა: "დევნილთა პრობლემის სამართლიანი მოგვარება", ეხება, როგორც არაბ, ასევე ებრაელ დევნილებს, რასაც ადასტურებს სსრკ-ის წარმომადგენლის კუზნეცოვის წარუმატებელი მცდელობა რეზოლუციაში დაფიქსირებულიყო მხოლოდ "პალესტინელ დევნილთა" პრობლემა.

კონგრესის რეზოლუცია განმარტავს, რომ აშშ-ის თვალთახედვით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია ყველა დევნილის, მათ შორის, პალესტინელების, ებრაელების, ქრისტიანების თუ სხვათა ლეგიტიმური უფლებების თანაბრად დაცვის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ არაბთა სამშვიდობო ინიციატივა ანუ, ფაქტობრივად, საუდის არაბეთის სამშვიდობო ინიციატივა, რომელსაც არაბული ქვეყნების უმრავლესობა მიემხრო, ითვალისწინებს ისრაელის 1967 წლის ომამდე არსებულ საზღვრებში დაბრუნებას და ამ შემთხვევაში "დევნილების პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას" და არა მათ და მათ შთამომავალთა უპირობო დაბრუნებას ან მათთვის სრული კომპენსაციის გაცემას.

სრულიად სხვა ვითარებაა ქართველ დევნილებთან დაკავშირებით. ეუთოს რეზოლუციებში (1994, 1996, 1999წწ.) დაფიქსირებულია, რომ ისინი ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი არიან და გაეროს რეზოლუციებში ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული მათი უფლება დაბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარში, უფრო მეტიც, 2008 წლის აპრილისა და მაისის რეზოლუციებით (S/RES/1808, A/RES/62/249) გაეროს გენმდივანს ეთხოვა ოპერატიული გრაფიკის მომზადება აფხაზეთში მათი უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 9 სექტემბერს ანუ 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგაც, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, კრემლის მცდელობების მიუხედავად, მიიღო რეზოლუცია (A/RES/63/307, 48 — მომხრე, 19 —

წინააღმდეგი, 78-მა თავი შეიკავა), რომლითაც დაადასტურა გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ მანამდე მიღებულ რეზოლუციებში ჩამოყალიბებული პოზიცია. კერძოდ, რეზოლუციის თანახმად, "იძულებით ადგილნაცვალ პირებს, ლტოლვილებს და მათ შთამომავლებს, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, აქვთ უფლება დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით". რეზოლუციაში ხაზგასმულია აგრეთვე "დემოგრაფიული ვითარების ძალადობრივი გზით შეცვლის მიუღებლობა" და იძულებით ადგილნაცვალ პირთა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის დეკემბერში მიიღო კანონი ქონებრივი რესტიტუციის შესახებ, რომელიც ადასტურებს "თითოეული ადამიანის უფლებას საკუთრებასა და ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებზე, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა, რელიგიისა, მრწამსისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა და იღებს პასუხისმგებლობას, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989–1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა". კანონის მიზანი იყო ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში "კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია" (მაშინ კანონი ვერ ამოქმედდა კოკოითის მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგობის გამო, 2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდეგ კი მისი ამოქმედება, ცხადია, არარეალურია ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციამდე).

პალესტინელ დევნილებთან დაკავშირებით პრობლემას ართულებს ისიც, რომ მათი საცხოვრებლის დიდი ნაწილი დაიკავეს იმ ებრაელმა ლტოლვილებმა, რომლებიც 1948-49 წლებში გამოდევნეს არაბული ქვეყნებიდან. საქართველოში (აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში") ასეთი პრობლემა არ არსებობს. დევნილთა სახლების უმრავლესობა დღესაც ცარიელია ანუ ერთადერთ პრობლემას ქმნის რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელიც მთლიანად განაპირობებს დევნილთა პრობლემის მოუგვარებლობას.

როგორც ვხედავთ, პალესტინის პრობლემის შემადგენელი ექვსი ზემოხსენებული ელემენტიდან საქართველოს სინამდვილეში, ფაქტობრივად, არც ერთი არ მიესადაგება. ჩვენი ქვეყნის ყველა შიდაწინააღ-

მდეგობა საკმაოდ მარტივად გადაწყდება რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ.

პალესტინის კონფლიქტის ისტორია გვიჩვენებს, რომ მიუხედავად გავლენიანი ძალების მცდელობებისა, სულ უფრო გაეღვივებინათ კონფლიქტი, მართალია მტკივნეულად, მაგრამ ყველაფერი თანდათანობით მაინც იმ კალაპოტში ექცევა, რომელსაც საერთაშორისო სამართლი, მსოფლიო საზოგადოება უჭერს მხარს. რაც დრო გადის სულ უფრო მეტი ებრალი და პალესტინელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო გამოსავალი არის პალესტინის პრობლემის მოგვარება საერთაშორისო სამართლის ნორმათა, გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციათა შესაბამისად (ამ მხრივ ძალზე მრავალისმეტყველია იასერ არაფატის პოლიტიკური კურსის მეტამორფოზა; იგივე ითქმის მაჰმუდ აბასზეც, რომელიც წარსულში, როცა დისერტაციას იცავდა მოსკოვში, სიონიზმსა და ნაციზმს აიგივებდა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი ყველაზე კონსტრუქციულად განწყობილი პალესტინელი ლიდერია).

დარწმუნებული ვართ, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ, ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები აფხაზებისა და ოსების აბსოლუტური უმრავლესობაც ობიექტურ დასკვნებს გამოიტანს და საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

ქაშმირი (ინდოეთი)

ქაშმირი (ოფიციალურად, "ჯამუსა და ქაშმირის შტატი") ინდოეთის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილია და პაკისტანს, ჩინეთსა და ავღანეთს ესაზღვრება. შტატის სახელწოდება მომდინარეობს ქაშმირის ველიდან, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (აქვეა საზაფხულო დედაქალაქი სრინაგარი, საზამთრო დედაქალაქი ჯამუ კი უფრო სამხრეთითაა).

ფართობი — 224,7 კმ^2;

მოსახლეობა — 10 143 700;

რელიგიური შემადგენლობა — მუსლიმანები შეადგენენ შტატის მოსახლეობის დაახლოებით 67%-ს, ინდუსები — 30%-ს, სიქხები — 2%-ს და ბუდისტები — 1%-ს.

1901 წლის აღწერის თანახმად, ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ჯამუსა და ქაშმირის სამეფო შტატის (ფართობით ყველაზე დიდი შტატის) მთლიანი მოსახლეობის (2 905 578) უმრავლესობას მუსლიმანები შეადგენდნენ (74, 16%), ინდუსების რაოდენობა კი მხოლოდ 23,72% იყო (ინდუსები, მაშინაც, ძირითადად, შტატის სამხრეთ ნაწილში, ჯამუს პროვინციაში ცხოვრობდნენ). მუსლიმანები დიდ უმრავლესობას ქმნიდნენ ასევე შტატის ცენტრალურ რეგიონში — ქაშმირის ველზე — 95,6% (ინდუსები აქ მოსახლეობის 3,24%-ს შეადგენდნენ). 1941 წელს მაჰმადიანები ქაშმირის ველის მოსახლეობის 93,6 %-ს შეადგენდნენ, 2003 წელს — 95%-ს. იმავე 2003 წელს ჯამუს პროვინციის ტერიტორიაზე ინდუსების რაოდენობა 66%-ს აღწევდა, ხოლო მაჰმადიანების — 30%-ს. რაც შეეხება ბუდისტებს, ისინი, ძირითადად, ეთნიკურად ტიბეტელები არიან და ჯამუს აღმოსავლეთით, ტიბეტის (ჩინეთის) მოსაზღვრე ლადახის პროვინციაში ცხოვრობენ.[1]

მთლიანად ინდოეთის მოსახლეობის (1,189,914,000) რელიგიური შემადგენლობა ასეთია:

ინდუსები — 80,46%;

მუსლიმანები — 13,4%;

ქრისტიანები — 2,3%;

სიქხები — 1,87%;

ბუდისტები — 0,77%;

ჯაინიზმის მიმდევრები — 0,41%.

სხვადასხვა მონაცემით, ქაშმირის კონფლიქტის გამო, 50 წლის მანძილზე, დაახლოებით 390 ათასმა ქაშმირელმა ინდუსმა დატოვა თავისი

1 http://news.bbc.co.uk/2/shared/spl/hi/south_asia/03/kashmir_future/html/

სახლ-კარი.[2]

ოფიციალური ენები: ურდუ, ქაშმირი (ქაშმირული), დოგრი. სამიეე ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდო-ირანული შტოს ინდო-არიულ ჯგუფს მიეკუთვნება (ურდუ, ინგლისურთან ერთად, პაკისტანის ოფიციალური ენაა).

მართალია ქაშმირი, დე იურე, ინდოეთის შემადგენლობაშია, მაგრამ, ფაქტობრივად, ნიუ დელი აკონტროლებს მხოლოდ შტატის სამხრეთ ნახევარს (101,38 კმ²), რომელიც მოიცავს სამ რეგიონს: ქაშმირის ველს, ჯამუსა და ლადახს, პაკისტანი აკონტროლებს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს — "გილგით-ბალთისტანს" ან სხვაგვარად "ჩრდილოეთ არეს" (85,84 კმ²), ხოლო ჩინეთი — "აკსაი ჩინს" (37,5 კმ²), ტიბეტის მოსაზღვრე ყველაზე მაღალმთიან, უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც გეოგრაფიულად ტიბეტის პლატოს მიეკუთვნება.

ქაშმირი მოიცავს მდ. ინდის ხეობის ზედა ნაწილს. იგი ჩრდილოეთიდან უშუალოდ ესაზღვრება პანჯაბის ანუ "ხუთმდინარეთის" რეგიონს (მდინარეების ამ ხუთეულს მიეკუთვნება ინდი და მისი ოთხი შენაკადი, მათ შორის, ჯელუმი, რომელზეც მდებარეობს ქაშმირის დედაქალაქი სრინაგარი). პანჯაბი ამჟამად, ძირითადად, პაკისტანს ეკუთვნის, მისი აღმოსავლეთი ნაწილი კი — ინდოეთს. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში უშუალოდ პანჯაბის სამხრეთ ნაწილში და კიდევ უფრო სამხრეთით, სინდჰის რეგიონის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს "ინდის დაბლობის ცივილიზაციის" — ჰარაპასა და მოჰენჯო-დაროს დასახლებათა ნაშთები. ძვ.წ. დაახლოებით IV-III ათასწლეულის ეს დასახლებები უძველესი შუამდინარეთისა და ეგვიპტის თანამედროვე ცივილიზაციის ხალხს, ინდოეთ-პაკისტანის არიელებამდელ მოსახლეობას ეკუთვნოდა (არაერთი მეცნიერის აზრით, შორეულ წარსულში აქ და ასევე ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ძირითადად, შუმერების მონათესავე დრავიდები სახლობდნენ, რომლებიც, საბოლოოდ, მხოლოდ ინდოეთის სამხრეთში შემორჩნენ).

ძვ.წ. II ათასწლეულიდან თანამედროვე ავღანეთის, პაკისტანისა და ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთის ტერიტორია სწრაფად დაიკავეს არიელებმა (ინდო-ევროპულმა ტომებმა), რომლებიც მაშინ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ჰარაპასა და მოჰენჯო-დაროს ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი (არიელთა იმდროინდელ კულტურას "სასოფლო ცივილიზაციას" უწოდებენ, დამხვდურთა კულტურას კი — "საქალაქო ცივილიზაციას"). [3]

2. http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/z?c109:H.CON.RES.344:

3. საქ. მეც. აკადემია, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988, გვ. 435

თანამედროვე ინდოეთში დასახლებულ არიელთა უძველესი წერილობითი ძეგლები — ვედები (რელიგიური ტექსტები) ძ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. არიელთა ენა — ვედური სანსკრიტი ძალზე ახლოს არის ინდოევროპულ ენათა ოჯახის მეორე უძველეს წარმომადგენელთან — ძველსპარსულთან და "ავესტას" ენასთან. ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ ინდო-არიული (სანსკრიტის პირველწყარო) და ძველსპარსული დიალექტების დიფერენცირება მხოლოდ ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მოხდა (როგორც ცნობილია, არიელი მომდინარეობს სიტყვა "არია"-დან, რომელიც სანსკრიტზე "კეთილშობილს", "ერთგულს", ერთი და იმავე ეთნიკური ერთეულის წარმომადგენელს ნიშნავს და უპირისპირდება "დასა"-ს, რომელიც არაარიელს, "უცხოელს", ინდოეთის არიელებამდელ მოსახლეობას აღნიშნავდა; მოგვიანებით, იმავე სიტყვამ ("დასა") მონის მნიშვნელობაც შეიძინა, რადგან არიელთა პირველი მონები სწორედ "უცხოელები" — არიელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები გახდნენ).

VI-V სს. ძ.წ. — ქაშმირის კლანი მოხსენიებულია ამ პერიოდში შექმნილ ცნობილ ინდურ ეპიკურ პოემაში "მაჰაბჰარატა".

IV-V სს. ძ.წ. — ქაშმირის დასავლეთი ნაწილი სპარსეთისა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიათა ფარგლებში მოექცა.

IV-III სს. ძ.წ. — თითქმის მთელი თანამედროვე ინდოეთის ტერიტორია გააერთიანა მაურიების დინასტიის დამაარსებელმა ჩანდრაგუპტამ (რომლის ინტრონიზაცია მოხდა ქაშმირის მახლობლად, ამჟამად პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ ტაქსილაში).

250 წ. ძვ.წ. — ჩანდრაგუპტას შვილიშვილმა, ინდოეთის იმპერატორმა აშოკა დიდმა დააარსა ძველი სრინაგარი, ქალაქი, რომელიც დღევანდელი ქაშმირის დედაქალაქ სრინაგარისგან 5 კმ.-ის მოშორებით მდებარეობდა (აშოკა დიდმა ბუდიზმი მიიღო და თავისი პოლიტიკის მთავარ მიზნად, მსოფლიოს დაპყრობის ნაცვლად, კანონისა და ბუდიზმის პრინციპების გავრცელება გამოაცხადა). აღსანიშნავია, რომ რელიგიური ტენდენცია განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა ქაშმირში, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის განმავლობაში ჯერ ინდუიზმის, შემდეგ ბუდიზმის, მე-9 საუკუნიდან კი ინდუიზმის ერთ-ერთი სექტის — შაივიზმის ცენტრად იქცა.

II ს. ახ.წ. — დასავლეთი ქაშმირის ტერიტორია ბაქტრიელ ქუშანთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა (ავღანეთისა და პაკისტანის ძირითად ტერიტორიებთან და ასევე შუა აზიის სამხრეთ ნაწილთან ერთად).

III ს. — ქაშმირის მეფე გახდა გონანდა III, რომელმაც სათავე დაუდო გონანდიათა დინასტიის მმართველობას ქაშმირში. ძირითადად, სწორედ ამ დინასტიის წარმომადგენლები მართავდნენ ქაშმირს 724 წლამდე.

724 წ. — ქაშმირის მეფე გახდა ლალიტადიტია მუკტაპიდა, კარკოტას დინასტიიდან (ეს დინასტია ქშატრიების ანუ მებრძოლების, რაინდების ერთ-ერთი უძველესი გვარის — ნაგას კლანის შთამომავალი იყო). ქაშმირის ისტორიაში ინდუსი ლალიტადიტია მუკტაპიდა განსაკუთრებული ფიგურაა. მან არა მხოლოდ უპრეცედენტოდ განავრცო ქაშმირის სამეფო (მაშინ ამ სამეფოს ფარგლებში აღმოჩნდა თითქმის მთელი ჩრდილო ინდოეთი, ასევე ჩრდილო პაკისტანის, აღანეთისა და სამხრეთი შუა აზიის ტერიტორიები), არამედ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ყველა ძირითადი დარგის სწრაფ განვითარებაში. სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებას თან ერთვოდა ეკონომიკური წინსვლა, რაც, უპირველესად, წყალდიდობებისგან დამცავი სარწყავი არხების ფართო ქსელის შექმნას მოჰყვა. ამავე დროს, ლალიტადიტია დიდი ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი მწერალი და მისი მეფობის დროს (724-760) ხელოვნების სფეროშიც დაწინაურებულმა ქაშმირმა რეგიონის კულტურულ-რელიგიური ცენტრის ფუნქციაც კი იტვირთა.

855-883 — ქაშმირის მეფე ავანტივარმანმა დააარსა ქალაქი ავანტიპური და ცნობილი მზის ტაძარი (ეს ქალაქი მდებარეობდა სრინაგარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 30კმ.-ის მანძილზე).

XII ს. — დაიწყო მუსლიმანების შემოსევები ქაშმირში.

1322 — თურქულმა ტომებმა, ზუსკადურ ხანის მეთაურობით, ქაშმირი დაიპყრეს.

1338 — ქაშმირის მმართველი ოფიციალურად გახდა დედოფალი კოტა რანი, რომელიც წინა პერიოდშიც რეალურად განაგებდა სამეფოს და თურქების განდევნაც კი შეძლო. საბოლოოდ, კოტა რანი დამარცხდა შინამტრებთან ბრძოლაში და თავი მოიკლა. ქაშმირის ისტორიაში ის ცნობილია, როგორც უკანასკნელი ინდუსი მეფე.[4]

1349 — მირ-შაჰი გახდა ქაშმირის პირველი შაჰმადიანი მმართველი და მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ძირითადად, მისი მემკვიდრეები განაგებდნენ ქაშმირს.

1394-1416 — ქაშმირში ტაჯიკური სამეფო გვარის აღანელი პრინცი სიკანდერ ბუთშიყანი ბატონობდა. ეს პერიოდი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა არამაჰმადიანთათვის და მათი კულტურისთვის. სიკანდერის ბრძანებით, იმ პერიოდში თითქმის მთელი ადგილობრივი მოსახლეობა იძულებით გაამაჰმადიანეს. ბრაჰმანთა ნაწილმა თავი მოიკლა, ზოგი ქა-

4 http://koausa.org/Crown/history.html

შმირიდან გადაიხვეწა, ხოლო ზოგმა მაჰმადიანობა მიიღო. ამავე დროს, ინდუსთა მრავალი ტაძარი დაანგრიეს, ოქრო-ვერცხლის რელიგიური ქანდაკებები კი გადააღნეს და მათგან მონეტები ჩამოასხეს.

1526 — ქაშმირი თემურიდების იმპერიის ნაწილი გახდა (თემურლენგის მემკვიდრეების იმპერია მაშინ მოიცავდა თანამედროვე ერაყის, ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიათა ძირითად ნაწილს, ასევე კავკასიას).

1751 — თემურიდების მმართველობა ქაშმირში ავღანელთა ბატონობამ შეცვალა. ავღანელი ერის "მამის", ნადირ-შაჰის პუშტუნი სარდლის — აჰმად შაჰ დურანის მიერ 1747 წელს ყანდაჰარში დაფუძნებული იმპერია მოიცავდა ჩრდილო ირანის, ავღანეთის, პაკისტანისა და ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთის ტერიტორიებს (ქაშმირისა და აღმოსავლეთი პანჯაბის ჩათვლით).

1801 — რანჯიტ სინგჰი სიქჰების კლანთა ყველა სამხედრო გაერთიანებამ ("მისალ"-მა) მაჰარაჯად აღიარა (ეს ტიტული სანსკრიტზე "მეფეთ მეფეს" ნიშნავს). ასე შეიქმნა ქაშმირის მოსაზღვრე პანჯაბში სიქჰების პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო "სიქჰთა იმპერია", რომლის დედაქალაქი გახდა ლაჰორი (ამჟამად ლაჰორი სიდიდით პაკისტანის მეორე ქალაქია ყარაჩის შემდეგ). სიქჰიზმის რელიგია, რომელიც ინდუიზმის, ისლამისა და ჯაინიზმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, პანჯაბში XVI საუკუნეში აღმოცენდა (პანჯაბურად "სიქჰი" მოწაფეს ნიშნავს). XVII საუკუნეში, რელიგიური რეფორმის შედეგად, სიქჰიზმის მიმდევარმა პანჯაბელებმა, თავიანთი ერთიანობის გამოხატულებად, საერთო გვარი — სინგჰი აირჩიეს ("სინგჰი" სანსკრიტიდან მომდინარეობს, "ლომის" აღმნიშვნელი სიტყვიდან და ქშატრიების ანუ მეომრების კასტისთვის დამახასიათებელი ტიტული იყო, სიქჰები კი სწორედ ქშატრიების შთამომავლებად მიიჩნევენ თავიანთ თავს).

1819 — მაჰარაჯა რანჯიტ სინგჰმა ქაშმირი დაიკავა და იქ გამგებლად გულაბ სინგჰ დოგრა დანიშნა.

1845 — დაიწყო პირველი ომი ბრიტანეთის იმპერიასა და სიქჰებს შორის (საბოლოოდ, 1849 წელს, მეორე ომში სიქჰები დამარცხდნენ და ბრიტანელებმა პანჯაბი დაიკავეს).

1846 — 16 მარტს, პირველი ომის შემდეგ, მაჰარაჯ გულაბ სინგჰის მიერ ბრიტანეთის მთავრობისთვის 7 მილიონი რუპიის გადახდის შემდეგ, მასსა და "აღმოსავლეთ ინდოეთის ბრიტანულ კომპანიას" შორის (რომელიც ბრიტანეთის მთავრობის სახელით მოქმედებდა) გაფორმდა ამრიტსარის შეთანხმება და შეიქმნა "სამეფო შტატი ჯამუ და ქაშმირი", რომლის

საზღვრები შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად აღარ შეცვლილა.

1857 — ინდოელთა აჯანყების დროს, ქაშმირი ბრიტანეთს მიემხრო, რის შემდეგაც ეს რეგიონი უშუალოდ ბრიტანეთის იმპერატორს დაუქვემდებარეს.

1885 — დაფუძნდა "ინდოეთის ეროვნული კონგრესი" — ინდოეთის ყველაზე დიდი და გაცლენიანი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავდა ინდოეთის დამოუკიდებლობას.

1930 — 26 იანვარს ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

1931 — შეიხ მუჰამედ აბდულას მეთაურობით, შტატის ტერიტორიაზე გაიმართა მუსლიმანთა პირველი ორგანიზებული საპროტესტო გამოსვლები მაშინდელი მმართველის მაჰარაჯა პარი სინგჰის წინააღმდეგ.[5]

1932 — 16 ოქტომბერს, შეიხ აბდულას ინიციატივით, დაფუძნდა ჯამუსა და ქაშმირის შტატის პირველი პოლიტიკური გაერთიანება — "მუსლიმანთა კონფერენცია". პარტიის სახელწოდების მიუხედავად, შეიხი აბდულა აცხადებდა, რომ ეს პარტია ყველა ქაშმირელის უფლებათა დაცვასა და ქაშმირში დემოკრატიული არჩევნების გამართვას ისახავდა მიზნად.

1934 — მაჰარაჯა პარი სინგჰი, ერთგვარი კომპრომისის სახით, დათანხმდა შტატის 75-ადგილიანი დამფუძნებელი კრების (ასამბლეის) 33 წევრი პირდაპირი წესით აერჩიათ ქაშმირელებს, თუმცა, ვინაიდან ქალებსა და წერა-კითხვის არმცოდნე, ასევე ნაკლებშეძლებულ მამაკაცებს საარჩევნო ხმის უფლება არ ჰქონდათ, არჩევნებში პოტენციური ამომრჩევლის მხოლოდ 10% იღებდა მონაწილეობას. შესაბამისად, მაჰარაჯა სრულად ინარჩუნებდა რეალურ ძალაუფლებას.

1937 — შეიხ აბდულასა და ჯავაჰარლალ ნერუს (ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერის) დაახლოებას ხელი შეუწყო ბრიტანეთის მთავრობისადმი მათი ერთ-ერთი მოთხოვნის იდენტობამ — ორივე მოითხოვდა ინდოელებისა და ქაშმირელებისთვის ისეთსავე საარჩევნო ხმის უფლებას, როგორიც იყო მეტროპოლიაში — ბრიტანეთში.

---

5 აქ მოკლედ უნდა გავეხაზოთ შეიხ აბდულას ბიოგრაფია, რადგან ამ პიროვნებამ და მისმა მემკვიდრეებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ქაშმირის უახლეს ისტორიაში. შეიხ აბდულა, XVIII საუკუნეში გამაჰმადიანებული ქაშმირელი ფანდიტის შთამომავალი, სრინაგარის გარეუბანში დაიბადა და ახალგაზრდულ პირობებში ახრდილდა (თავდაპირველად, ქაშმირელ ფანდიტებს ქაშმირის ელიტის მკვიდრ ბრაჰმანებსა და მაჰა მემკვიდრეებს უწოდებდნენ; მოგვიანებით, ეს ტერმინი ყველა აქაურ ინდუსზე გავრცელდა). ფიზიკური გადატვირთულობის გამო, შეიხ აბდულას კუჭის დაავადების გადატანაც მოუწია, თუმცა ძალიან მოახერხა კარგი განათლების მიღება (ის იყო პირველი ქაშმირელი მუსლიმანი, რომელმაც ქალთა ბაკალავრის ხარისხი მიიღო). მოგვიანებით, მან ცოლად შეირთო აქმარ ჯანანი, რომლის ინგლისელი მამა ქაშმირში სასტუმროებით ქსელს ფლობდა. ამ ქორწინებამაც, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო შეიხ აბდულას ადრე უცნო აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში

1938 — აგვისტოში შეიხ აბდულამ გამოაქვეყნა "ახალი ქაშმირის" მანიფესტი, რომლითაც მოითხოვა ქაშმირის დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება. სექტემბერში კი ის 6 თვით დააპატიმრეს.

1939 — 29 თებერვალს შეიხ აბდულა გაათავისუფლეს და სრინაგარში მას ხალხმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყო.

11 ივნისი — "მუსლიმანთა კონფერენციას", ორგანიზაციის გენერალური საბჭოს დიდი უმრავლესობის თანხმობით, "ქაშმირისა და ჯამუს ეროვნული კონფერენცია" ეწოდა, რითაც ხაზგასმულ იქნა, რომ ეს იყო არა მხოლოდ ქაშმირელ მუსლიმანთა, არამედ ყველა ქაშმირელის ინტერესების დამცველი პოლიტიკური გაერთიანება (ასეთი ცვლილების ინიციატივა შეიხ აბდულას ეკუთვნოდა, რომელმაც ნერუს რჩევა გაითვალისწინა).

1940 — ლაჰორში, პანჯაბის დედაქალაქში, ინდოეთის მუსლიმანთა ლიგამ (დაფუძნდა 1906 წელს) მიიღო პაკისტანის დეკლარაცია, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება ბრიტანეთის ინდოეთის იმ რეგიონებისგან, სადაც მუსლიმანები უმრავლესობას ქმნიდნენ (ინდოეთის მაჰმადიანთა სახელმწიფოსთვის სახელწოდება "პაკისტანი" შემოთავაზებულ იქნა ჩოუდარი რაჰმათ ალის მიერ 1933 წელს და ის შედგებოდა მაჰმადიანური 4 რეგიონის დასახელებათა პირველი ასოებისგან: პანჯაბი, ავღანური პროვინცია (თანამედროვე პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი), ქაშმირი (Kashmir) და სინდჰი და ამ ასოებზე მე-5 ძირითადი რეგიონის — "ბალუჯისტანის" ბოლო ნაწილის დამატებით.

1946 — მაისში, შეიხ აბდულამ, მაჰარაჯა პარი სინგჰის გადადგომის მოთხოვნით, აქციები დაიწყო. ამის გამო ის დააპატიმრეს და 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა 16 თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

26 ივლისს მუსლიმანთა კონფერენციამ მიიღო "თავისუფალი ქაშმირის" ("Azad Kashmir") რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა მაჰარაჯას ავტორიტარული მმართველობის გაუქმება და ქაშმირის ტერიტორიაზე დამფუძნებელი ასამბლეის დემოკრატიული არჩევნების გამართვა.

1947 — 3 ივნისს ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის თანახმაა მიიღოს მუსლიმანთა გეგმა პაკისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

14-15 აგვისტო (1947) — ინდოეთი და პაკისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდნენ. ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ყოფილ 562 სამეფო შტატს უნდა აერჩია, თუ რომელ სახელმწიფოს მიერთებოდა: ინდოეთს თუ პაკისტანს. ქაშმირის შტატის

მაშინდელი მმართველი მაჰარაჯა ჰარი სინგჰი ყოყმანობდა; იგი თავად ინდუსი იყო, თუმცა შტატის მოსახლეობის უმრავლესობა (77%) — მაჰმადიანი. ინდური ვერსიით, პაკისტანის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მაჰარაჯას არჩევანში "დახმარებოდა" და მასზე ზემოქმედების მიზნით, ქაშმირის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფები შეაგზავნა, რამაც მუსლიმანთა აჯანყების პროვოცირება გამოიწვია. პაკისტანელთა ვერსიით კი, ქაშმირის შტატის ადგილობრივ მუსლიმანთა პროტესტი ინდუსი მაჰარაჯას სავარაუდო პროინდურმა არჩევანმა განაპირობა.

აგვისტოშივე დაიწყო პირველი შეტაკებები მაჰარაჯას ჯარებსა და მუსლიმანებს შორის.

25 ოქტომბერი — მაჰარაჯა სრინაგარიდან სამხრეთით, ძირითადად ინდუსებით დასახლებულ ჯამუში გაიქცა, რაც გამოწვეული იყო პაკისტანიდან ქაშმირში შეჭრილი მებრძოლების შეტევით და სრინაგართან მიახლოებით.

26 ოქტომბერი (1947) — მაჰარაჯა ჰარი სინგჰმა ხელი მოაწერა მიერთების შეთანხმებას, რომლის მე-7 პუნქტის მიხედვით, "ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც რაიმე ვალდებულება ინდოეთის მომავალი კონსტიტუციის აღიარებისა ან როგორც შეზღუდვა ჩემი თავისუფალი მოქმედების უფლებისა, მომავალი კონსტიტუციის საფუძველზე, დავდო ხელშეკრულება ინდოეთის მთავრობასთან".[6]

ამავე დროს, შეთანხმების თანახმად, ქაშმირი ინდოეთის ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა თავდაცვის, საგარეო პოლიტიკისა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საკითხებში (ქაშმირი იყო ერთადერთი შტატი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო და, მიუხედავად ამისა, მისმა მმართველმა ინდოეთთან გააფორმა მიერთების შეთანხმება). ინდურ წყაროებში ხაზგასმულია, რომ მსგავს შეთანხმებას ინდოეთის 500-ზე მეტი სამეფო შტატის მმართველმა მოაწერა ხელი და ქაშმირის ინდოეთთან მიერთება ინდოეთის მაშინდელმა გუბერნატორმა, ლორდმა მაუნთბეტენმაც დაადასტურა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაუნთბეტენმა იქვე დააფიქსირა: "მიერთების საკითხი უნდა გადაწყდეს შტატის ხალხის ნების შესაბამისად; ჩემი მთავრობის სურვილია, რომ როგორც კი აღდგება წესრიგი ქაშმირში და მის მიწას დატოვებენ შემოჭრილი ძალები, შტატის მიერთების საკითხი მოგვარდეს ხალხთან შეთანხმებით".[7]

27 ოქტომბერი — ინდოეთის ჯარები ქაშმირში შევიდნენ, რასაც აქ-

6 http://www.jammu-kashmir.com/documents/instrument_of_accession.html

7 http://www.timesofkabul.com/?p=337

ტიური საბრძოლო მოქმედებები მოჰყვა მათსა და მაჰმადიან შეიარაღებულ ჯგუფებს შორის (რომელთა ნაწილი პაკისტანიდან იყო შემოსული). ეს შეტაკებები ინდო-პაკისტანის პირველი ომის (1947-1948) დასაწყისად ითვლება.

30 ოქტომბერი — მაჰარაჯა ჰარი სინგჰმა, ლორდ მაუნთბეტენის თანხმობით, ქაშმირის დროებით პრემიერად პატიმრობიდან ახალგათავისუფლებული შეიხ აბდულა დანიშნა (ცხადია, ეს არ მოხდებოდა, რომ არა ჯავაჰარლალ ნერუსა და ინდოეთის სულიერი ლიდერის — მაჰათმა განდის "რეკომენდაციები", სწორედ ამიტომ, იმ პერიოდში პაკისტანის ხელისუფლება შეიხ აბდულას ინდოეთის "აგენტად" განიხილავდა და არ ცნობდა მას, როგორც ქაშმირის ლიდერს). შეიხმა აბდულამ, ადგილობრივ მოხალისეთა რაზმების დახმარებით, შეძლო მეტ-ნაკლებად წესრიგი დაემყარებინა სრინაგარში.

1 ნოემბერი (1947) — ინდოეთის გენერალურ გუბერნატორთან შეხვედრისას პაკისტანის გენერალურმა გუბერნატორმა მოჰამედ ალი ჯინაჰმა განაცხადა: "ქაშმირის მიერთება ინდოეთთან არ არის bona fide (სამართლიანი, კეთილსინდისიერი), რადგან ის თაღლითობასა და ძალადობას ეფუძნება".[8]

2 ნოემბერი — ინდოეთის მაშინდელმა პრემიერმა ჯავაჰარლალ ნერუმ, თავის რადიომიმართვაში საჯაროდ დააფიქსირა: "ჩვენ განვაცხადეთ, რომ ქაშმირის ბედი საბოლოოდ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს... და ამ პირობას არ და ვერ დავარღვევთ. ჩვენ მზად ვართ, როცა ქაშმირში მშვიდობა და კანონიერება დამყარდება, აქ გავმართოთ რეფერენდუმი გაეროს ეგიდით. ჩვენ გვსურს ხალხის ნებასთან მიმართება კეთილსინდისიერი და სამართლიანი იყოს და ჩვენ მივიღებთ ხალხის ვერდიქტს".[9]

1948 — იანვარში ნერუმ კონფლიქტის მოგვარებაში დახმარებისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა, რათა გაეროს აგრესორად გამოეცხადებინა პაკისტანი და ისლამაბადისგან მოეთხოვა შეიარაღებული ჯგუფების ქაშმირიდან გაყვანა. დელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ამ შეიარაღებული ჯგუფების გაყვანის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი ქაშმირში პლებისციტის ჩატარება. საპასუხოდ, ისლამაბადი ინდოეთს ადანაშაულებდა "დისკრედიტებული" მაჰარაჯას მხარდაჭერასა და მასთან "თაღლითობითა და ძალადობით" ინდოეთთან მიერთების ხელშეკრულების გაფორმებაში.

20 იანვარი (1948) — უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (# 39), რომლის საფუძველზე შეიქმნა "გაეროს კომისია ინდოეთისა და

8 http://www.timesofkabul.com/?p=337

9 [illegible]

პაკისტანისთვის" (UNCIP – Commission for India and Pakistan).

5 თებერვალი — გაეროს უშიშროების საბჭოში გამართულ შეხვედრაზე შეიხ აბდულამ პაკისტანის მაშინდელი ლიდერები პიტლერისა და გებელსის სულიერ მემკვიდრეებად შერაცხა. აბდულამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მან სთხოვა პაკისტანის ხელისუფლებას გარკვეული დრო მიეცა ქაშმირელთათვის, რათა მათ თავად გადაეწყვიტათ პაკისტანს მიერთებოდნენ თუ ინდოეთს (სწორედ ამიტომ ეროვნული კონფერენციის ლოზუნგი იმ პერიოდში გახდა "თავისუფლება მიერთებამდე"). აბდულას განმარტებით, ეს არ იყო იოლად გადასაწყვეტი საკითხი, რადგან იგი და მისი ორგანიზაცია (ეროვნული კონფერენცია) არ ეთანხმებოდნენ პოლიტიკურ პროცესებში რელიგიური ფაქტორის დომინირების პრინციპს და მის საფუძველზე მაჰმადიანებისა და ინდუსების ცალ-ცალკე ერად დაყოფას. აბდულას თანახმად, პაკისტანის ხელისუფლებასთან მისი ორგანიზაციის მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა მოსაზღვრე ტერიტორიიდან ქაშმირის სოფლებში შეიარაღებული ჯგუფები შეიჭრნენ, რომლებმაც "დახოცეს და გაიტაცეს ათასობით ადამიანი, უპირატესად, ინდუსები და სიქჰები, თუმცა მათ შორის მაჰმადიანებიც იყვნენ, გაძარცვეს ჩვენი საცხოვრებლები და დედაქალაქ სრინაგარს მიუახლოვდნენ... ამ ვითარებაში მაჰარაჯამ და ქაშმირელმა ხალხმა ითხოვა ინდოეთთან მიერთება".[10]

17 მარტი — შეიხმა აბდულამ ფიცი დადო, როგორც ქაშმირის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა.

21 აპრილი (1948) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (# 47), რომლის პირველ ნაწილში ("შეიარაღებისა და წესრიგის აღდგენა") ჩამოყალიბებულია მოთხოვნები ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობათა მიმართ, ხოლო მეორე ნაწილში ("პლებისციტი") — ქაშმირის ტერიტორიაზე პლებისციტის გამართვის პირობები (ამ პლებისციტს უნდა გადაეწყვიტა ჯამუსა და ქაშმირის შტატის "ინდოეთისადმი ან პაკისტანისადმი მიერთების საკითხი").[11]

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ პაკისტანის მთავრობამ "უნდა გაიყვანოს ჯამუსა და ქაშმირის შტატიდან ყველა პაკისტანელი, რომელიც საბრძოლველად ჩავიდა იქ და მომავალში აღკვეთოს ნებისმიერი მსგავსი მცდელობა, ისევე როგორც საბრძოლო მასალის შეტანა შტატის ტერიტორიაზე".[12]

10. http://www.jammu-kashmir.com/documents/abdullam48.html
11. http://www.kashmiri-cc.ca/un/sc21apr48.htm
12. იქვე

რეზოლუციაში ინდოეთის მთავრობის მიმართაც მსგავსი მოთხოვნაა დაფიქსირებული, ანუ დელისაც თანდათან უნდა გაეყვანა თავისი შეიარაღებები ქაშმირიდან და მინიმუმამდე დაეყვანა ჯარების რაოდენობა რეგიონში, ოღონდ ეს პროცესი დაიწყებოდა მას შემდეგ, რაც ყველა სხვა შეიარაღებული ჯგუფი დატოვებდა ქაშმირს. რეზოლუციის თანახმად, როგორც კი მიღწეული იქნებოდა სტაბილურობა, ინდოეთის მთავრობას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რათა შტატის ტერიტორიაზე გაეროს ეგიდით შექმნილიყო "პლებისციტის ადმინისტრაცია", რომელსაც გადაეცემოდა ყველა საჭირო უფლებამოსილება მიუკერძოებელი და სამართლიანი პლებისციტის ჩასატარებლად (ამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად გაეროს გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი კანდიდატურა უნდა დანიშნულიყო).

13 აგვისტო (1948) — გაეროს კომისიამ (UNCIP) მიიღო რეზოლუცია (დოკ. S/1100), რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს 47-ე რეზოლუციას ეფუძნებოდა და, ფაქტობრივად, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას წარმოადგენდა. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ჯამუსა და ქაშმირის შტატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე კონტროლი შეინარჩუნა პაკისტანმა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე კი — ინდოეთმა. მოგვიანებით, გაეროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებთან მოლაპარაკების პროცესში, ავსტრალიელმა მოსამართლემ ოუენ დიქსონმა, მართალია, პაკისტანს აგრესორი არ უწოდა, მაგრამ დაადასტურა, რომ ისლამაბადმა ორჯერ დაარღვია საერთაშორისო სამართალი, როცა, ჯერ 1947 წლის აგვისტოში, მისი ტერიტორიიდან შეიარაღებული ჯგუფები შეიჭრნენ ქაშმირში და შემდეგ, 1948 წლის მაისში, როცა პაკისტანის არმიის რეგულარულმა ქვედანაყოფებმა გააკეთეს იგივე.

1949 — 5 იანვარს გაეროს კომისიამ (UNCIP) მიიღო რეზოლუცია (დოკ. S/1196), რომელშიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ "ჯამუსა და ქაშმირის შტატის მიერთების საკითხი ინდოეთთან ან პაკისტანთან უნდა გადაწყდეს დემოკრატიული მეთოდით, თავისუფალი და მიუკერძოებელი პლებისციტის გზით". პლებისციტის გამართვის თარიღი უნდა დაენიშნა გაეროს კომისიას მას შემდეგ, რაც შესრულდებოდა მისივე 1948 წლის 13 აგვისტოს რეზოლუციით გათვალისწინებული პირობები (უპირველესად კი, პაკისტანის მიერ კონტროლირებადი ყველა შეიარაღებული დაჯგუფება მთლიანად დატოვებდა ქაშმირს).

26 ნოემბერი — ინდოეთის დამფუძნებელმა ასამბლეამ მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის 370-ე მუხლი ჯამუსა და ქაშმირის შტატს

ეხებოდა, სახელდობრ, ქაშმირის მიმართ, ინდოეთის პარლამენტს უფლება ეძლეოდა შეექმნა და გამოეყენებინა კანონები მხოლოდ თავდაცვის, საგარეო პოლიტიკისა და საკომუნიკაციო საკითხებთან დაკავშირებით (როგორც აღნიშნული იყო 1947 წლის მიერთების შეთანხმებაში), ხოლო ყველა სხვა სფეროში კანონის მისაღებად პარლამენტს შტატის მთავრობის თანხმობა ესაჭიროებოდა. ცალკე ასეთი მუხლის ჩაწერა კონსტიტუციაში გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ წინასწარი მოლაპარაკებისას, ქაშმირის შტატმა, ინდოეთის ყველა სხვა შტატისა და პროვინციისგან განსხვავებით, 1947 წლის მიერთების შეთანხმების მე-7 პუნქტის საფუძველზე, უარი თქვა ელიარებინა ინდოეთის კონსტიტუციის მოქმედება შტატის ტერიტორიაზე (ქაშმირს თავისი კონსტიტუციის მიღება სურდა). ასეთ ვითარებაში ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა ამგვარი ფორმით — კონსტიტუციაში ცალკე მუხლის ჩაწერით — დაეფიქსირებინა შტატის ინდოეთისადმი კუთვნილება და ქვეყნის კონსტიტუციის თუნდაც შეზღუდული იურისდიქცია ქაშმირზე.

1950 — 27 ოქტომბერს ჯამუსა და ქაშმირის ეროვნული კონფერენციის გენერალურმა საბჭომ დაგმო ქაშმირის კონფლიქტის მოგვარების გეგმა ("დიქსონის გეგმა"), რომელიც გაეროს წარმომადგენლის ოუენ დიქსონის მიერ იყო შემუშავებული და ითვალისწინებდა პაკისტანის მიერ ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიის გადაცემას პაკისტანისთვის, ლადახის (შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციის) დარჩენას ინდოეთის ფარგლებში, ჯამუს პროვინციის გაყოფას ამ ორ სახელმწიფოს შორის, ხოლო ქაშმირის ველის კუთვნილების გასარკვევად აქ პლებისციტის ჩატარებას (გაეროს მიერ მოწონებულ "დიქსონის გეგმას" პაკისტანი, საბოლოოდ, დაეთანხმა, მაგრამ ინდოეთისთვის ის მიუღებელი აღმოჩნდა).[13]

იმავე დღეს, ეროვნული კონფერენციის გენერალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა დამფუძნებელი ასამბლეის დემოკრატიული წესით არჩევას და ამ ასამბლეის მიერ "ჯამუსა და ქაშმირის შტატის მიერთების მომავალი ფორმის განსაზღვრას".[14]

გენერალური საბჭო დამფუძნებელი ასამბლეისთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას უკავშირებდა იმ ფაქტს, რომ ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგაც, კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, არანაირი რეალური ძვრა არ შეინიშნებოდა. ამგვარი ვითარება, შტატის სამომავლო პერსპექტივის გაურკვევლობა ქაშმირელთა მხარდ შეშფოთებას იწვევდა და სწორედ ამიტომ ეროვნული კონფერენციის გენერალურ-

13. http://www.parliament.uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf
14. http://www.kashmiri-cc.ca/un/sc30mar51.htm

მა საბჭომ, თავისი რეზოლუციით, "უმაღლეს ეროვნულ აღმასრულებელს" (შტატის დროებით მთავრობას) მოუწოდა, რათა ამ უკანასკნელს ჩაეტარებინა დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნები და შემდეგ ხალხის ნების გამომხატველ ასამბლეას გადაეწყვიტა ქაშმირის ბედი.

ეროვნული კონფერენციის ასეთ რეზოლუციას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა შტატის რელიგიურ უმცირესობათა მხრიდან. ჯამუს პროვინციის ინდუსთა პარტია პრაჯა პარიშადმა საპასუხო რეზოლუცია მიიღო, რომლის მიხედვით, ჯამუსა და ქაშმირის შტატის ინდოეთთან მიერთების საკითხი უკვე ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული იყო და ასეთ ვითარებაში დამფუძნებელი ასამბლეის მოწვევა და მის მიერ შტატის მიერთების საკითხზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, ფაქტობრივად, ქაშმირის დამოუკიდებლობისკენ ნაბიჯის გადადგმას ნიშნავდა.

1951 — 30 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციით (# 91), დაადასტურა 1948-1950 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოსა და კომისიის (UNCIP) მიერ მიღებულ რეზოლუციებში დაფიქსირებული პოზიცია, რომლის თანახმად, "ჯამუსა და ქაშმირის შტატის მომავალი უნდა გადაწყდეს დემოკრატიული მეთოდით, გაეროს ხელმძღვანელობით გამართული თავისუფალი და მიუკერძოებელი პლებისციტის გზით".[15] შესაბამისად, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ დამფუძნებელი ასამბლეა, რომელსაც ჯამუსა და ქაშმირის შტატის ტერიტორიის მხოლოდ სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილის მცხოვრებლები აირჩევდნენ, შტატის მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი ვერ იქნებოდა და პლებისციტის მაგიერობას ვერ გაწევდა. აქედან გამომდინარე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიხედვით, "დამფუძნებელი ასამბლეის ნებისმიერი ქმედება მიმართული მთლიანად ჯამუსა და ქაშმირის შტატის მიერთების მომავალი ფორმის დადგენისკენ ვერ განსაზღვრავს შტატის დისპოზიციას".[16] მაისი — შტატის დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ დამფუძნებელი ასამბლეა 100-წევრიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა 25 ადგილი პაკისტანის მიერ ოკუპირებული ტერიტორიისთვის გამოიყო (სადაც არჩევნები, ცხადია, ვერ ჩატარდებოდა), ამიტომ, რეალურად, ასამბლეაში 75 ადამიანი უნდა აერჩიათ. ამ 75-დან 43 ადგილი ქაშმირის პროვინციამ მიიღო, 30 — ჯამუმ, ორი დანარჩენი ადგილი კი — ლადახმა და ბალთისტანმა (ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთი რეგიონიდან გადმოხვეწილი დევნილები თავიანთ წარმომადგენლობას ითხოვდნენ ასამბლეაში, თუმცა მათ უარი ეთქვათ).

ქაშმირის ყველა მცხოვრებს, რომელიც 21 წლის ან უფროსი ასა-

15 http://www.kashmiri-cc.ca/un/sc30mar51.htm

16 იქვე

კის იყო, უფლება მიენიჭა ფარული კენჭისყრით აერჩია დამფუძნებელი ასამბლეის წევრი.

აგვისტო-სექტემბერი (1951) — ჯამუსა და ქაშმირის შტატის ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაიმართა დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნები, რომლის შედეგად 75-ვე ადგილი ეროვნულმა კონფერენციამ მოიპოვა. ზოგიერთი პარტიის მტკიცებით, ასეთი გამარჯვება განაპირობა ეროვნული კონფერენციისადმი ადმინისტრაციის აშკარა მხარდაჭერამ; მაგალითად, ჯამუს პროვინციის ინდუსთა პოლიტიკური გაერთიანება — "პრაჯა პარიშადი" აცხადებდა, რომ უმეტეს საარჩევნო ოლქში ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები უალტერნატივო იყვნენ, რადგან ოპოზიციურ კანდიდატურებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ.[17]

დამფუძნებელი ასამბლეის არჩევა ძალზე მომგებიანი სვლა იყო ეროვნული კონფერენციისთვის. მან დემოკრატიული გზით მიიღო ხალხის მანდატი; ერთი მხრივ, არჩევნები შტატის მთელ ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, შესაბამისად, მთელი შტატის მოსახლეობის ნებას ვერ გამოხატავდა, მაგრამ, მეორე მხრივ, არჩევნებში შტატის მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობდა და ამგვარად ასამბლეას საფუძვლიანი არგუმენტი გაუჩნდა იმისათვის, რომ პლებისციტის ანუ ხალხის ნების უშუალო გამოხატვის გარეშე განესაზღვრა შტატის მომავალი. ამასთანავე, ასამბლეა გახდა ქაშმირის "პოლიტიკური იდენტობის" კონკრეტული განსახიერება, ორგანო, რომლის მეშვეობითაც ეროვნული კონფერენცია აპირებდა ინდოეთის ფარგლებში დარჩენის მიუხედავად, დელისგან დისტანცირებას და შტატისთვის მაქსიმალურად შეუზღუდავი ავტონომიური სტატუსის დაკანონებას. ეროვნული კონფერენციის ლიდერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ასამბლეა იყო ერთადერთი ორგანო, რომელიც ქაშმირელი ხალხის ნებას გამოხატავდა, შესაბამისად, მხოლოდ მას ჰქონდა უფლებამოსილება, გადაეწყვიტა შტატის საბოლოო დისპოზიცია.

31 ოქტომბერი (1951) — გაიმართა ახალარჩეული ასამბლეის პირველი სხდომა.

5 ნოემბერი (1951) — ასამბლეას სიტყვით მიმართა პრემიერმა შეიხ აბდულამ და ხაზგასმით დააფიქსირა: "თქვენ ხართ სუვერენული ხელისუფლება ჯამუსა და ქაშმირის შტატში" და რასაც თქვენ გადაწყვეტთ — კანონის ძალას შეიძენს".[18]

შეიხ აბდულა ამტკიცებდა, რომ ასამბლეას ჰქონდა უფლება საბ-

17. http://www.kashmir-information.com/Article370/chapter4.html
18. იქვე

ოლოოდ განესაზღვრა შტატის მიერთების საკითხი (ინდოეთის მთავრობის ვერსიით, ასამბლეას ამის უფლება არ ჰქონდა თუნდაც იმიტომ, რომ თვით ასამბლეა ინდოეთის კონსტიტუციის საფუძველზე იყო შექმნილი, ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები კი ამტკიცებდნენ, რომ ასამბლეა შტატის დროებითი მთავრობის მიერ დაფუძნდა, ეს უკანასკნელი კი ქაშმირელმა ხალხმა "მემკვიდრეობით მიიღო" და არა ინდოეთის მთავრობისგან). შეიხ აბდულას პოზიციიდან ორი ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობდა:

1) ასამბლეა ინდოეთის კონსტიტუციისგან დამოუკიდებელი ხდებოდა, რადგან იძენდა ისეთ უფლებამოსილებას, რომელიც ამ კონსტიტუციით მისთვის არ იყო დელეგირებული;

2) მტკიცება იმის შესახებ, რომ ასამბლეას აქვს უფლება საბოლოოდ განსაზღვროს შტატის მიერთების საკითხი, ფაქტობრივად, გულისხმობდა ასამბლეის მიერ შტატის ინდოეთთან მიერთების შეთანხმების გაუქმებას ან ამის შესაძლებლობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინდოეთის კონსტიტუციის 370-ე მუხლიდან გამომდინარე, ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა შტატის ტერიტორიაზე, რის გამოც შტატთან სამართლებრივი დავა ინდოეთის მთავრობას სახიფათო პერსპექტივას უქადდა.

როგორც ითქვა, შეიხ აბდულა ასამბლეის პრეროგატივად მიიჩნევდა შტატის მიერთების საკითხის საბოლოოდ განსაზღვრას და თავის გამოსვლაში საგანგებოდ განიხილა მიერთებასთან დაკავშირებით არსებული სამი ალტერნატივა. მისი განმარტებით, სწორედ ასამბლეას უნდა აერჩია ქაშმირისთვის ყველაზე მისაღები გზა: ან ინდოეთთან კავშირის შენარჩუნება, ან პაკისტანთან მიერთება, ან კიდევ „მესამე ალტერნატივა" — დამოუკიდებლობა. პაკისტანისადმი მიმართება იმთავითვე გარკვეული იყო: შეიხ აბდულა მას აგრესორად, ჩამორჩენილ, ფეოდალურ და რეაქციულ სახელმწიფოდ მოიხსენიებდა. თანაც პაკისტანში უმთავრეს როლს რელიგიური ფაქტორი ასრულებდა, შესაბამისად, პაკისტანთან გაერთიანების შემთხვევაში, სხვა პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრებოდა ქაშმირში მცხოვრები მილიონზე მეტი არამუსლიმანის ბედი. რაც შეეხება ქაშმირის მოსახლეობის უმრავლესობის მაჰმადიანურ აღმსარებლობას და ამ მხრივ პაკისტანთან ქაშმირელთა სიახლოვეს, აბდულა აღნიშნავდა, რომ დასავლეთ პაკისტანში (აღმოსავლეთი პაკისტანი მაშინ ბანგლადეშს ერქვა) სულ 15 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობდა, ინდოეთში კი — 40 მილიონი. ამიტომ, მისი დასკვნით, თუ ვინმესთვის მთავარი იყო ბევრ მუსლიმანთან ერთად ყოფნა, ამ მხრივაც

ინდოეთი „ჯობდა“ პაკისტანს.

ასეთი პოზიციის მიუხედავად, აბდულა იმასაც აფიქსირებდა, რომ პაკისტანთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, შტატის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე (ქაშმირის გზები და მდინარეები, უპირატესად, სწორედ პაკისტანს უკავშირდება), აუცილებელი იყო ეკონომიკური განვითარებისთვის.

შეიხი აბდულა რეალისტურად აფასებდა ასევე ქაშმირის დამოუკიდებლობის პერსპექტივას. მან დამფუძნებელ ასამბლეას შეახსენა, რომ 1947 წლის 15 აგვისტოდან 22 ოქტომბრამდე შტატი დამოუკიდებელი იყო და ყველამ ნახა, თუ რა საფრთხეში აღმოჩნდა ქაშმირი. აბდულას თქმით, ცხადია, მიმზიდველი იყო აღმოსავლეთის შვეიცარიად ქაშმირის გადაქცევის იდეა, მაგრამ იმ გარემოცვაში, რომელშიც შტატი იმყოფებოდა, ასეთი მომავალი არარეალისტურად გამოიყურებოდა. სრულ დამოუკიდებლობაზე ორიენტაცია იმთავითვე ნიშნავდა შტატისთვის უსაფრთხოების პრობლემის გაჩენას, რომელიც მხოლოდ მისი ძალებით ნამდვილად გადაუჭრელი იყო (შესაბამისი სიძლიერის დამოუკიდებლობის გარანტორი ან გარანტორები კი არ არსებობდნენ).

ამ მომენტების გათვალისწინებით, ბუნებრივია, ყველაზე ოპტიმალური არჩევანი ინდოეთთან კავშირის შენარჩუნება იყო, მაგრამ გასარკვევი რჩებოდა ამ კავშირის ფორმა და შინაარსი.

შეიხ აბდულამ ასამბლეის წინაშე გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ გვეამაყება, რომ გვაქვს კავშირი ინდოეთთან“.[19] მან აღნიშნა, რომ ინდოეთის ანუ ფედერალური კავშირის კონსტიტუციის მიმართება ქაშმირისადმი განსაკუთრებული იყო და არსებითად განსხვავდებოდა სხვა შტატებისადმი დამოკიდებულებისაგან (როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ინდოეთის მაშინდელი კონსტიტუციის 370-ე მუხლი ძალაში ტოვებდა 1947 წლის მიერთების შეთანხმებას, რომლის თანახმად, დელის იურისდიქცია მხოლოდ შტატის თავდაცვის, საგარეო და კომუნიკაციის სფეროზე ვრცელდება, სხვა მხრივ კი ინდოეთის ცენტრალური ხელისუფლება ქაშმირის საშინაო საქმეებში არ ერეოდა).

მიერთების შეთანხმების ლეგიტიმურობა, შეიხ აბდულას თქმით, არც ერთი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლებისთვის ან დამოუკიდებელი ექსპერტისთვის საკამათო არ იყო. ინდოეთთან კავშირის შენარჩუნების ძირითად დადებით მხარეებად შეიხ აბდულა მიიჩნევდა ინდოეთის კონსტიტუციის დემოკრატიულობას, ფეოდალიზმისა და ავტოკრატიისკენ მიბრუნების საფრთხის არარსებობას, სეკულარიზმს ანუ რელიგიური სახელმწიფოს კონცეფციაზე უარის თქმას და ინდოეთის ეკონომი-

19. http://www.kashmir-information.com/Article370/chapter4.html

კურ-ინდუსტრიულ დაწინაურებულობას (თუნდაც იმავე პაკისტანთან შედარებით). ინდოეთთან კავშირის სუსტ მხარეთაგან შეიხ აბდულამ დაასახელა გეოგრაფიული დაბრკოლებები, რაც ართულებდა მიმოსვლას, ეკონომიკურ ურთიერთობას და ინდოეთში კომუნალიზმის გამარჯვების საფრთხე, ანუ თუ ინდოეთის მთავრობაში ისეთი ძალები მოვიდოდნენ, რომელთა პოლიტიკისთვის რელიგიურ ფაქტორს პრინციპული მნიშვნელობა ექნებოდა, რაც, ცხადია, ქაშმირის მოსახლეობის მუსლიმანი უმრავლესობისადმი დამოკიდებულებაშიც გამოვლინდებოდა.

სწორედ ამ მომენტებს ეფუძნებოდა შეიხ აბდულას პოზიცია, რომლის ძირითადი თავისებურება იყო, ერთი მხრივ, კავშირის და, მეორე მხრივ, დისტანციის შენარჩუნება ინდოეთთან, ანუ დელისთან ურთიერთობა მხოლოდ იმ დონეზე და იმ ხარისხით, რაც აუცილებელი იყო ქაშმირისთვის.

ქაშმირის დამფუძნებელი კრების სხდომებმა და შეიხ აბდულას გამოსვლამ ინდუსების უკმაყოფილება გამოიწვია. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ეროვნული კონფერენცია არამუსლიმან მომხრეებს კარგავდა, განსაკუთრებით ჯამუს პროვინციაში, სადაც, სანაცვლოდ, პრაჯა პარიშადი ძლიერდებოდა.

1952 — 15 იანვარს ქალაქ ჯამუში მდებარე უელსის პრინცის კოლეჯის სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს და ასეთი ფორმით გააპროტესტეს ინდოეთის ეროვნული დროშის ან შტატის დროშის ნაცვლად ეროვნული კონფერენციის პარტიული დროშის არსებობა კოლეჯის შენობის თავზე. ამ დემონსტრაციას მისი მონაწილე აქტიური სტუდენტების დასჯა მოჰყვა. საპასუხოდ, სტუდენტებმა შიმშილობის აქცია წამოიწყეს, რაც მხარდამჭერი დემონსტრაციებით და, საბოლოოდ, ქალაქ ჯამუში პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებებით დასრულდა. ჯამუს ავანყება, რომელიც 72 საათს გრძელდებოდა, არმიის გამოყენებით ჩაახშეს, რის შემდეგ პრაჯა პარიშადის მეთაურებიც დააპატიმრეს.

იმ პერიოდში ლადახის ბუდისტური პროვინციის მთავარმა ლამამ და დამფუძნებელი ასამბლეის წევრმა კაუშაკ ბაკულამ ერცელი მემორანდუმით მიმართა შეიხ აბდულას. მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ ლადახის ბუდისტური მოსახლეობა განსხვავდებოდა შტატის სხვა მცხოვრებთაგან როგორც რელიგიურად, ასევე ეთნიკურად, ენობრივად და კულტურულადაც, შესაბამისად, ლამას თვალსაზრისით, სამართლიანი იქნებოდა ლადახი ცალკე ფედერალურ ერთეულად დაფიქსირებულიყო შტატის შემადგენლობაში, თუკი ძალაში დარჩებოდა ქაშ-

მირის ინდოეთთან მიერთების შეთანხმება.

ჯამუს აჯანყებამ და ლადახის ლამას მემორანდუმმა ნათელყო, რომ ქაშმირის რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის (უპირველესად, ინდუსებისა და ბუდისტებისთვის) მიუღებელი აღმოჩნდა შტატის ის "პოლიტიკური იდენტობა", რომელიც ინდოეთის საკონსტიტუციო ჩარჩოებს სცდებოდა.

24 მარტი (1952) — ეროვნული კონფერენციის ერთ-ერთმა ლიდერმა, მირზა აფზალ ბეგმა დამფუძნებელ ასამბლეას წარუდგინა ჯამუსა და ქაშმირის შტატის ავტონომიის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა შტატის გარდაქმნას "ავტონომიურ რესპუბლიკად ინდოეთის კავშირის შემადგენლობაში".[20]

ამ ავტონომიურ წარმონაქმნს ეყოლებოდა ცალკე პრეზიდენტი და ეროვნული ასამბლეა; გარდა ამისა, ქაშმირს ექნებოდა თავისი მოქალაქეობა და მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემა.

მირზა ბეგის პროექტმა კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა სრინაგარსა და დელის, ასევე მუსლიმანებსა და შტატის რელიგიურ უმცირესობებს შორის. ინდუსები, სიქხები და ბუდისტები აცხადებდნენ, რომ შტატის ისეთ სუსტ კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, როგორიც გათვალისწინებული იყო ეროვნული კონფერენციის პროექტით, საბოლოოდ, ქაშმირის ინდოეთისგან გამოყოფა მოჰყვებოდა. მათი აზრით, არამუსლიმანები, ანუ დაახლოებით მილიონ 250 ათასი ადამიანი "მეორეხარისხოვან მოქალაქედ" იქცეოდა, თუკი ეროვნული კონფერენციის პროექტის შესაბამისად ქაშმირის ტერიტორიაზე ცალკე მოქალაქეობას შემოიღებდნენ (არამუსლიმანები ამტკიცებდნენ, რომ უკვე დაწყებული იყო მათი ყოველმხრივი შევიწროება, მაგალითად, გამოდევნა ადმინისტრაციული ორგანოებიდან და სასწავლებლებიდან).

აპრილი (1952) — თვის პირველ რიცხვებში ჯავაჰარლალ ნერუს წარმომადგენელი ქაშმირში შეხვდა რელიგიური უმცირესობებისა და ეროვნული კონფერენციის (ანუ შტატის ხელისუფლების) ლიდერებს. ამ უკანასკნელებს ინდოეთის პრემიერის ემისარმა, უპირველესად, პრაჯა პარიშადის ხელმძღვანელთა და ჯამუელ სტუდენტთა გათავისუფლება სთხოვა. შტატის მთავრობამ, მართალია, ეს თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ, ამავე დროს, დელი ქაშმირის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა.

10 აპრილს შეიხ აბდულამ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში მკვეთრად გააკრიტიკა ინდოეთის მთავრობა და „არარეალისტური" უწოდა დელის მოთხოვნას ინდოეთის საკონსტიტუციო სივრცეში ქაშმირის შტატის

20 http://www.kashmir-infonnation com/Article370/chapter4 html

უფრო მჭიდრო ინტეგრაციასთან დაკავშირებით. შეიხ აბდულას თქმით: "ისინი, რომელთა ლოზუნგია ქაშმირის სრულად ჩართვა ინდოეთის კონსტიტუციის ფარგლებში, ასუსტებენ შტატის კავშირს ინდოეთთან. ეს ის ხალხია, რომელიც ხოცავდა მუსლიმანებს ჯამუში. ასეთი ლოზუნგები, ბუნებრივია, ეჯვს აღძრავს მაჰმადიან მოსახლეობაში".[21]

25 აპრილს დამფუძნებელ ასამბლეაში გამოსვლისას შეიხ აბდულამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით დააფიქსირა, რომ ასამბლეას აქვს სრული უფლებამოსილება "განსაზღვროს შტატის საბოლოო დისპოზიცია მიერთების საკითხთან დაკავშირებით".[22]

ინდოეთის მთავრობისა და ეროვნული კონფერენციის წარმომადგენელთა შორის იმ პერიოდში გამართული მოლაპარაკებების ძირითადი თემა სწორედ უფლებამოსილებათა განსაზღვრა-გამიჯვნა იყო. დელი თანხმდებოდა მონარქიული მმართველობის სრულ გაუქმებას და მაჰარაჯას ნაცვლად შტატის პრეზიდენტის პოსტის შემოღებას (პრეზიდენტის არჩევის წესს დამფუძნებელი ასამბლეა განსაზღვრავდა). ინდოეთის მთავრობას დამთმობი პოზიცია ჰქონდა ასევე შტატის დროშასა და კონსტიტუციასთან დაკავშირებით, მაგრამ იმ პირობით, თუ ქაშმირის კონსტიტუციაში (რომელსაც დამფუძნებელი ასამბლეა შეიმუშავებდა), გაზიარებული იქნებოდა ინდოეთის კონსტიტუციის ის პუნქტები, რომლებიც ეხებოდა ინდოეთის მოქალაქეობას, შესაბამის ფუნდამენტურ უფლებებსა და საკონსტიტუციო გარანტიებს, შტატის ტერიტორიაზე ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქციას და ინდოეთის პრეზიდენტის უფლებამოსილებას საგანგებო მდგომარეობის დროს, აგრეთვე, კავშირის (ცენტრალური მთავრობის) და შტატის ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებას.

ეროვნული კონფერენციის ლიდერებისთვის ასეთი შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა. ისინი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ შტატის კონსტიტუციის მკაფიოდ დაკავშირებას ინდოეთის კონსტიტუციასთან და ამტკიცებდნენ, რომ შტატის სრული სუვერენიტეტი უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სცდებოდა ქაშმირის ინდოეთთან მიერთების შეთანხმებაში აღნიშნულ 3 სფეროს: თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა და კომუნიკაცია (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ფოსტა-ტელეგრაფი და ა.შ.). ეროვნული კონფერენციის წარმომადგენელთა აზრით, თუ ისინი მიიღებდნენ დელის პირობებს და შტატის კონსტიტუცია ინდოეთის კონსტიტუციის სტრუქტურაში გაერთიანდებოდა, ქაშმირი თავის "პოლიტიკურ იდენ-

21 http://www.kashmir-information.com/Article370/chapter4.html
22 http://www.kashmir-information.com/Article370/chapter4.html

ტობას" დაკარგავდა.

ივლისი (1952) — განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, საბოლოოდ, ნერუმ, შეიხ აბდულამ და მირზა ბეგმა შეძლეს პრინციპული უთანხმოების გადალახვა და დელის შეთანხმების შემუშავება. ამ უკანასკნელით გათვალისწინებული იყო რამდენიმე საკვანძო საკითხი:

1) სამეფო დინასტიის მმართველობა უქმდებოდა და მაჰარაჯას შეცვლიდა ასამბლეის მიერ არჩეული შტატის პრეზიდენტი, რომელსაც შემდეგ ცნობდა ინდოეთის პრეზიდენტი (მართალია, ქაშმირის მომავალი პრეზიდენტი ასამბლეას უნდა აერჩია, მაგრამ წინასწარი შეთანხმებით, ეს იქნებოდა იგივე კარან სინგჰი, ანუ შტატის კონსტიტუციით განსაზღვრული ვადით, ქაშმირის პირველი პრეზიდენტი გახდებოდა ყოფილი მაჰარაჯა).

2) მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით, შტატის კონსტიტუცია ინდოეთის კონსტიტუციას დაეყრდნობოდა, ოღონდ ორი გამონაკლისით: ა) შტატის კანონმდებლობა უფლებას იტოვებდა თავად განესაზღვრა შტატის მუდმივი მცხოვრების დაფიქსირების წესი და უფლება-მოვალეობანი უძრავი ქონებისა და თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, ბ) შტატის კონსტიტუციაში სპეციალური პირობები ჩაიწერებოდა შტატის იმ სუბიექტთა მიმართ, რომლებიც 1947 წელს პაკისტანში გადასახლდნენ და ქაშმირში დაბრუნებას აპირებდნენ მუდმივად საცხოვრებლად (ინდოეთის პარლამენტში დელის შეთანხმების განხილვისას ნერუმ განმარტა, რომ ეროვნული კონფერენციის მესვეურთათვის მოქალაქეობის საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომდინარეობდა მათი შიშიდან, უცხოელებს არ შეეძინათ შტატის ტერიტორიაზე ერცელი ფართობები და ქაშმირი კოლონიად არ გადაქცეულიყო);

3) ინდოეთის პრეზიდენტს ენიჭებოდა დამატებითი უფლებამოსილება შტატის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს (ომის, სამხედრო აგრესიის, შინაარეულობის შემთხვევაში), ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო შტატის მთავრობის თხოვნით ან მისი თანხმობით;

4) მართალია გარკვეული შენიშვნებით, მაგრამ შტატის მომავალ კონსტიტუციაში აღიარებული იქნებოდა ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქცია.

ქაშმირის მაჰმადიანი მოსახლეობის მიერ დელის შეთანხმება აღქმულ იქნა, როგორც დათმობა ინდოეთის მთავრობისადმი. შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდნენ ასევე დამფუძნებელ ასამბლეაში.

21 აგვისტო — ქაშმირის დამფუძნებელმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუ-

ცია, რომელიც მხოლოდ დელის შეთანხმების ერთ პუნქტს — მაჰარაჯას ინსტიტუტის გაუქმებასა და მის ნაცვლად, შტატის მეთაურის სახით, პრეზიდენტის არჩევას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ ქაშმირის დროებით მთავრობას, დელის შეთანხმებიდან გამომდინარე, სხვა რეზოლუციების ინიცირებაც უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ასე არ მოხდა; პირიქით, გარკვეული წყაროები ამტკიცებდნენ, რომ ნერუსთვის მიცემული პირობის მიუხედავად, შეიხ აბდულა ქაშმირის პრეზიდენტის პოსტზე, კარან სინგჰის ნაცვლად, პარიჯან პინდუს წარდგენას აპირებდა.

იმავე პერიოდში მკვეთრად დაიძაბა ვითარება ჯამუს პროვინციაში, სადაც ადგილობრივი არამაჰმადიანები (რომლებიც აქ უმრავლესობას ქმნიდნენ) დელის შეთანხმების გაუქმებას ითხოვდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა პარტია პრაჯა პარიშადი, რომლის მხარდამჭერი აქციები მთელი ინდოეთის მასშტაბით გაიმართა. ამ ორგანიზაციამ 8 მოთხოვნა გამოაქვეყნა, რომელთა თანახმად:

1) უნდა მომხდარიყო ჯამუსა და ქაშმირის შტატის სრული ინტეგრაცია ინდოეთის შემადგენლობაში;

2) შტატი სრულად უნდა მოქცეულიყო ინდოეთის საკონსტიტუციო სივრცეში;

3) შტატის ტერიტორიაზე ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო ყოველგვარი შენიშვნებისა თუ გამონაკლისების გარეშე;

4) უნდა გაუქმებულიყო ყოველგვარი საბაჟო ბარიერი შტატსა და დანარჩენ ინდოეთს შორის;

5) უფლებამოსილებათა გამიჯვნა შტატსა და კავშირს (ცენტრალურ ხელისუფლებას) შორის უნდა მომხდარიყო ინდოეთის კონსტიტუციის VII დამატების შესაბამისად (ისევე როგორც ინდოეთის სხვა შტატების შემთხვევაში იყო);

6) უნდა გამართულიყო შტატის ასამბლეის თავისუფალი და სამართლაინი არჩევნები;

7) უნდა შექმნილიყო მართლმსაჯულების მიუკერძოებელი სტრუქტურა, რომელიც გამოიძიებდა შტატის დროებითი მთავრობისადმი გამოთქმულ ბრალდებებს კორუფციასთან დაკავშირებით;

8) იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა შტატის მკაფიო ინტეგრაცია ინდოეთის შემადგენლობაში და მისი კავშირი ინდოეთთან ისევ მხოლოდ მიერთების შეთანხმებით შემოიფარგლებოდა, ჯამუს პროვინცია და ლადახი სრულად უნდა გაერთიანებულიყვნენ ინდოეთთან.

ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლებმა დაგმეს პრაჯა პარი-

შადის და ამ პარტიის მხარდამჭერი აქციები, როგორც "ინდუსთა კომუნალიზმის" გამოხატულება. კომუნალიზმი გულისხმობს საზოგადოების ორგანიზებას გარკვეული ჯგუფების, თემების მიხედვით; პაკისტანისა და ინდოეთის გაყოფა, ძირითადად, სწორედ ამ პრინციპის გამოყენებით, სახელდობრ, რელიგიური თემების მიხედვით მოხდა, ანუ შტატები, სადაც მაჰმადიანთა რიცხოვნობა ინდუსებს აღემატებოდა, პაკისტანს მიეკუთვნა, ხოლო სადაც ინდუსები ჭარბობდნენ — ინდოეთს. ქაშმირი იყო ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან, რასაც ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები უშუალოდ უკავშირებდნენ შტატის "პოლიტიკურ იდენტობას". ისინი აცხადებდნენ, რომ პრაჯა პარიშადი, ფაქტობრივად, შტატის ავტონომიას უპირისპირდებოდა ანუ ქაშმირის "პოლიტიკურ იდენტობის" განადგურებას ისახავდა მიზნად, რადგან სწორედ ავტონომია იყო შტატის ფარგლებში სეკულარიზმის შენარჩუნების ერთადერთი გარანტია.

ნოემბერი (1952) — თვის დასაწყისში პრაჯა პარიშადის ორი ლიდერი დააპატიმრეს, რასაც ჯამუს პროვინციაში ეითარების კიდევ უფრო დაძაბვა მოჰყვა. ნოემბერშივე, საბოლოოდ, დამფუძნებელმა ასამბლეამ კარან სინგჰი შტატის პრეზიდენტად აირჩია, თუმცა დელის შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა საკითხების მიმართულებით არანაირი ქმედება არ განუხორციელებია. ინდური ვერსიით, შეიხ აბდულამ ეროვნული კონფერენციის შესაბამის კომიტეტში წარადგინა კონსტიტუციის პროექტის გარკვეული ნაწილები, რომლებიც, არსებითად, დელის შეთანხმების პირობათა გაუქმებას და შტატის ისევე ინდური სამართლებრივ-პოლიტიკური სივრცის ზღვარზე დატოვებას გულისხმობდა. შეიხ აბდულამ დამფუძნებელი ასამბლეის საპროექტო კომიტეტთან (რომელიც შტატის კონსტიტუციის პროექტს ამუშავებდა) შექმნა სამართლის ექსპერტთა კომიტეტი მირზა ბეგის მეთაურობით და ამ კომიტეტში არც ერთი ინდუსი ან სიქჰი არ შეიყვანა.

1953 — მაისში ნერუ ჩავიდა სრინაგარში და შეიხ აბდულას არწმუნებდა, რომ ინდოეთის მთავრობა არ ცდილობდა ქაშმირის ავტონომიურობის გაუქმებას და შტატის საშინაო საქმეებში ჩარევას. თუმცა, ამავდროულად, ის არ დაუშვებდა ქაშმირის გამოყოფას ინდოეთისგან (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ნერუს ისიც კი უთქვამს შეიხ აბდულასთვის, რომ ის ამჯობინებდა პაკისტანისთვის გადაეცა ქაშმირი, ვიდრე ხელი შეეწყო შტატის დამოუკიდებლობისთვის და ამგვარად სრინაგარი ინდოეთისა და პაკისტანისთვის სახიფათო საერთაშორისო ინტრიგის ცენტრად ექცია). ნერუს ვიზიტმა ეროვნული კონფერენციის

ლიდერთა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

6 აგვისტო — ეროვნული კონფერენციის გენერალურმა მდივანმა მაულამა საიდ მასოდიმ განაცხადა, რომ 1947 წელს ქაშმირელების ერთსულოვანი წინააღმდეგობა პაკისტანის მიმართ განაპირობა ამ ქვეყნის მცდელობამ, ძალით ჩაეყენებინა ისინი ისეთ მდგომარეობაში, როგორში ყოფნაც მათ არ სურდათ; და თუ ინდოეთიც იმავეს შეეცდებოდა, ქაშმირელები "შესამე ალტერნატივისკენ" (დამოუკიდებლობისკენ) გადაიხრებოდნენ.[23]

9 აგვისტო (1953) — დილით, ქაშმირის პრეზიდენტმა კარან სინგჰმა, შეიხ აბდულა გაათავისუფლა თანამდებობიდან და შტატის პრემიერად ეროვნული კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი, ბახში გულამ მოჰამადი დანიშნა, რომელსაც მეორე დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება დაევალა (სექტემბერში ბახში მოჰამადმა ეროვნული კონფერენციის პრეზიდენტის პოსტზეც შეცვალა შეიხ აბდულა). იმ დღესვე შეიხ აბდულა, მირზა ბეგი და კიდევ რამდენიმე მათი უახლოესი თანამოაზრეც დააპატიმრეს. შეიხ აბდულა დაადანაშაულეს კორუმპირებულ და ავტორიტარულ მმართველობაში, ასევე მას ბრალი დასდეს ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებაში და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს (შეიხ აბდულა აცხადებდა, რომ ეს ყველაფერი ნერუს მითითებით მოხდა).

5 ოქტომბერი — დამფუძნებელმა ასამბლეამ დაამტკიცა ახალი დროებითი მთავრობა ბახში მოჰამადის მეთაურობით.

1954 — თებერვალსა და მაისში ჯერ ქაშმირის დამფუძნებელმა ასამბლეამ, ხოლო შემდეგ ინდოეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო ყველა საჭირო რეზოლუცია და დადგენილება, რომელიც ინდოეთის შემადგენლობაში შტატის ინტეგრაციას ითვალისწინებდა. დელის შეთანხმების ყველა ის სამართლებრივად არაორაზროვანი პოზიცია, რომლის მიღებასაც შეიხ აბდულა ეწინააღმდეგებოდა, დამფუძნებელმა ასამბლეამ დაამტკიცა.

1956 — 17 ნოემბერს დამფუძნებელმა ასამბლეამ დაასრულა შტატის კონსტიტუციის მიღების პროცედურა. ეს კონსტიტუცია ინდოეთის ძირითადი კანონის მიხედვით შეიქმნა და მასში ჯამუსა და ქაშმირის შტატის კავშირი დანარჩენ ინდოეთთან მკაფიოდ დაფიქსირდა, თუმცა მას მაინც მნიშვნელოვნად შეუნარჩუნდა ავტონომიური სტატუსი.

1957 — 24 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (# 122), რომელშიც 1951 წლის რეზოლუციის (# 91) მსგავსად ჩაიწერა, რომ ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არჩეული "დამფუძნებელი ასამბლეის ნებისმიერი ქმედება მიმართული მთლიანად

23 http //www kashmir-information com/Article370/chapter4 html

ჯამუსა და ქაშმირის შტატის ან მისი ნაწილის მიერთების მომავალი ფორმის დადგენისკენ ვერ განსაზღვრავს შტატის დისპოზიციას". [24]

26 იანვარი — ქაშმირის დამფუძნებელი ასამბლეა გაუქმდა და ქაშმირის კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

5-7 მარტი — გაიმართა ქაშმირის საკანონმდებლო ასამბლეის პირველი არჩევნები, რომელშიც 75 ადგილიდან 68 ეროვნულმა კონფერენციამ მოიპოვა.

1962 — 20 ოქტომბერს, ჩინეთისა და ინდოეთის საზღვრის ქაშმირის მონაკვეთზე, შეიარაღებული შეტაკებები მოხდა, რაც ერთთვიან კონფლიქტში გადაიზარდა. ანალიტიკოსთა აზრით, ეს იყო პეკინის ერთგვარი პასუხი დელის სამი წლის წინანდელ ქმედებებზე (1959 წელს, ტიბეტში აჯანყების დროს, ინდოეთმა 80 ათასამდე ტიბეტელი შეიფარა, მათ შორის, დალაი ლამაც). კონფლიქტი 4200 - 4300 მეტრის სიმაღლე მთებში მიმდინარეობდა და ჩინეთის გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ამ დროს დაიკავეს პეკინის ჯარებმა აკსაი ჩინის რეგიონი (ჯამუსა და ქაშმირის შტატის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის ფართობია 37,5 კმ^2) და სხვა მიმდებარე ტერიტორიებიც, თუმცა მას შემდეგ, რაც 20 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გაფორმდა, ჩინეთმა თავისი კონტროლი მხოლოდ აკსაი ჩინზე შეინარჩუნა.

1963 — პაკისტანმა და ჩინეთმა მიაღწიეს შეთანხმებას და ისლამაბადმა პეკინს დაუთმო ყარაყორამის ქედის აღმოსავლეთით მდებარე მაღალმთიანი ტერიტორია (აქ მდებარეობს მსოფლიოს მეორე უმაღლესი მწვერვალი K 2).

1964 — ინდოეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველა ბრალდება მოუხსნა შეიხ აბდულას და პატიმრობის ვადის ამოწურვამდე 4 თვით ადრე გაათავისუფლა. სრინაგარში ხალხმა მას უპრეცედენტო შეხვედრა მოუწყო. მოგვიანებით, ის ნერუმაც მიიღო და სთხოვა "ხიდის" როლი შეესრულებინა ინდოეთ-პაკისტანს შორის. იმავე წელს შეიხ აბდულა პაკისტანს ეწვია, სადაც ასევე განსაკუთრებულად შეხვდნენ.

1965 — მარტში ქაშმირის კონსტიტუცია შეიცვალა. კონსტიტუციის პირველ მუხლში ჩაიწერა: "შტატი არის და უნდა იყოს ინდოეთის შემადგენელი ნაწილი"; მე-5 მუხლის თანახმად კი, "შტატის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ ვრცელდება იმ საკითხებზე, რომელთა მიმართ, ინდოეთის კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტს აქვს უფლებამოსილება მიიღოს კანონები. ეს პირობები არ შეიძლება შეიცვალოს". ახალი კონსტიტუციით, შტატის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტი გაუქმდა და სხვა ინდური შტატების მს-

24 http://www.kashmiri-cc.ca/un/sc24jan57.htm

გავსად, ქაშმირშიც გუბერნატორისა და უფროსი (მთავარი) მინისტრის თანამდებობა შემოიღეს.

აპრილი (1965) — ინდოეთ-პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე შეიარაღებული შეტაკებები მოხდა.

აგვისტო-სექტემბერი — პაკისტანმა შეიარაღებული ჯგუფები შეაგზავნა ინდოეთის ტერიტორიაზე და შეტაკებები ისევ განახლდა. ინდოეთის ჯარებმა ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზი გადაკვეთეს. სექტემბერის დასაწყისში კი საომარი მოქმედებები ინდოეთ-პაკისტანის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის გასწვრივაც გაჩაღდა და ინდოეთმა პაკისტანის ერთ-ერთი ძირითადი ქალაქის — ლაჰორის აღება სცადა. 23 სექტემბერს ბრძოლები შეწყდა.

1966 — 10 იანვარს, ტაშკენტში, სსრკ-ის შუამავლობით, ინდოეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, მხარეებმა ჯარები დააბრუნეს ომამდელ პოზიციებზე.

1971 — ვითარება დაიძაბა აღმოსავლეთ პაკისტანში, იმავე აღმოსავლეთ ბენგალში, ანუ თანამედროვე ბანგლადეშში (დასავლეთი ბენგალი მაშინაც და ახლაც ინდოეთის შემადგენლობაშია). აღმოსავლეთ პაკისტანში 50-იანი წლების დასაწყისშიც იყო დიდი გამოსვლები სახელმწიფო ენის საკითხთან დაკავშირებით. იმ პერიოდში ადგილობრივ მცხოვრებთა უდიდესმა უმრავლესობამ (დაახლოებით 95% ბენგალი იყო) საბოლოოდ მიაღწია თავის მიზანს და ურდუსთან ანუ დასავლეთ პაკისტანელების ენასთან ერთად, მშობლიური ენაც (ბენგალი/ბანგლა) სახელმწიფო ენად გამოცხადდა (დღეს სწორედ ბენგალი არის ბანგლადეშის სახელმწიფო ენა). აღსანიშნავია, რომ 1950-იან წლებში პაკისტანი აზიაში აშშ-ის ერთ-ერთი საიმედო მოკავშირე გახდა და 1955 წელს დაფუძნებულ ბაღდადის პაქტს შეუერთდა. პაკისტანთან ერთად, ბაღდადის პაქტის ხელშეკრულების სახელმწიფოთა გაერთიანების, იმავე "ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის" ანუ CENTO-ს წევრები იყვნენ: ირანი, ერაყი, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი (CENTO, საბოლოოდ, 1979 წელს დაიშალა).

მარტი — ბენგალებმა დაიწყეს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ხოლო 27 რიცხვში ზიაურ რაჰმანმა, ბანგლადეშის მომავალმა პრეზიდენტმა (1977-1981), აღმოსავლეთი პაკისტანის დამოუკიდებლობა გამოაცხადა ბანგლადეშის სახელწოდებით. ამის შემდეგ ბანგლადეშში სამოქალაქო ომი დაიწყო, რომლის მასშტაბი თანდათან იზრდებოდა. ინდოეთმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი დამოუკიდებლობის მოძრაობას და გახსნა საზღვარი

აღმოსავლეთ პაკისტანთან, რის შედეგადაც დაახლოებით 10-მა მილიონმა ადამიანმა შეაფარა თავი ინდოეთის ტერიტორიას.

დეკემბერი (1971) — ინდოეთის ჯარებმა გადაკვეთეს აღმოსავლეთი პაკისტანის საზღვარი და 6 დეკემბერს მოწინააღმდეგის არმიის დაახლოებით 90 000-კაციანი ძირითადი დაჯგუფება ალყაში აღმოჩნდა. 16 დეკემბერს პაკისტანის ჯარები დანებდნენ (ეს დღე ბანგლადეშში ოფიციალურად აღინიშნება, როგორც გამარჯვების დღე), 1972 წლის 26 მარტს კი ბანგლადეში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა (ეს ფაქტი პაკისტანმა ოფიციალურად 1974 წელს ცნო).

1972 — 3 ივლისს ინდოეთის რესპუბლიკასა და პაკისტანს შორის გაფორმდა სიმლას შეთანხმება. მხარეებმა დააფიქსირეს, რომ ქაშმირის პრობლემას ორმხრივი მოლაპარაკების გზით მოაგვარებდნენ ან სხვა მშვიდობიანი საშუალებით, რომელზეც ორივე მხარე შეთანხმდებოდა. ამასთანავე, კონფლიქტის მოგვარებამდე, მხარეებმა გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ 1971 წლის 17 დეკემბრისთვის არსებული ცეცხლის შეწყვეტის ხაზი, როგორც "საკონტროლო ხაზი".

1974 — ინდოეთისა და ქაშმირის მთავრობებს შორის დაიდო შეიხ-ინდირას შეთანხმება (შეიხ აბდულასა და ინდირა განდის სახელთა მიხედვით), რომელშიც, ერთი მხრივ, ჩაიწერა, რომ ქაშმირში, როგორც ინდოეთის შემადგენელ ნაწილში, ინდოეთის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა აღეკვეთა იმ ჯგუფების აქტიურობა, რომლებიც ინდოეთის ტერიტორიულ მთლიანობას უქმნიდნენ საფრთხეს, მეორე მხრივ, იქვე დაფიქსირდა, რომ შტატის მმართველობაში ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ინდოეთის კონსტიტუციის 370-ე მუხლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო, ანუ მკაფიოდ განისაზღვრა ქაშმირის, მისი საკანონმდებლო ასამბლეისა და მთავრობის ავტონომიურობა.

1977 — 29 მაისს, ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში დაფუძნდა "ჯამუსა და ქაშმირის განმათავისუფლებელი ფრონტი" (ჯქგფ), რომლის მთავარი ლოზუნგი იყო ქაშმირის დამოუკიდებლობა (როგორც ინდოეთისგან, ასევე პაკისტანისგან). ჯქგფ აცხადებდა, რომ ეს იყო ნაციონალისტური და არა ისლამისტური მოძრაობა. მალე ბრიტანეთისა და მთლიანად ევროპის სხვა ქალაქებში, ასევე აშშ-სა და ახლო აღმოსავლეთში ამ ორგანიზაციის ფილიალები გაჩნდა. ჯქგფ-ის განშტოებები ჩამოყალიბდა ქაშმირშიც (1982 წელს, პაკისტანის მიერ კონტროლირებად, ტერიტორიაზე და 1987 წელს — ინდოეთის მიერ კონტროლირებად, სამხრეთ ნაწილში).

1978 — ინდოეთმა მიიღო ჯამუსა და ქაშმირის „სახალხო უს-

აყრთხოების აქტი", რომელსაც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათ მოუწოდეს ინდოეთის მთავრობას, გაეუქმებინა ეს აქტი, რომელიც საშუალებას იძლეოდა დაკავებული პირი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, დიდი ხნის განმავლობაში ჰყოლოდათ წინასწარ პატიმრობაში.

1984 — 13 აპრილს ინდოეთის არმიამ დაიკავა ქაშმირის "საკონტროლო ხაზის" უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილთან, ჩინეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე მდებარე სიაჩენის მყინვარის არე.

1986 — ქაშმირის მმართველმა ეროვნულმა კონფერენციამ მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა ინდოეთის კონგრესის პარტიასთან, რაც ქაშმირელთა ნაწილმა შტატის ღალატად აღიქვა.

1987 — ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაიმართა საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნები, რომელიც აღგილობრივი რადიკალურ-მაჰმადიანური პარტიებისა და ასევე, მაგალითად, "ჰუმან რაითს ვოჩის"[25] მტკიცებით, გაყალბდა და ისევ ეროვნულმა კონფერენციამ გაიმარჯვა შეიხ აბდულას ვაჟის, ფარუქ აბდულას მეთაურობით. რადიკალურად განწყობილმა ისლამურმა პარტიებმა თავიანთი სამხედრო დაჯგუფებების შექმნა დაიწყეს. ამას მოჰყვა საშთავრობო შენობების აფეთქება და თავდასხმების განხორციელება მთავრობის წარმომადგენლებზე.

აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების ბოლოდან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ქაშმირში. შეიხ აბდულასა და ეროვნული კონფერენციის ერთ-ერთი უმთავრესი ლოზუნგი იყო სეკულარიზმი და ქაშმირელთა ერთიანობა, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მიუხედავად (შეიხ აბდულას თვალსაზრისით, სწორედ ეს იყო ქაშმირის "პოლიტიკური იდენტობის" არსი); მოგვიანებით კი ქაშმირში მოქმედი აქტიური ჯგუფების ლოზუნგი თანდათან რადიკალურ-ისლამისტური გახდა, რასაც, უპირველესად, ავღანეთიდან გადმოსულ "მუჯაჰედინთა" გავლენას უკავშირებენ.[26]

1989 — ნოემბერში ქაშმირში დაიწყო მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, რომელთა მთავარი თემა შტატის ტერიტორიაზე ინდოეთის საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტირება და 1987 წლის არჩევნების გაყალბება იყო (მოგვიანებით ეს გამოსვლები ფართომასშტაბიან აჯანყებაში გადაიზარდა). ერთი თვის შემდეგ "ჯქგფ" მებრძოლებმა გაიტაცეს ინდოეთის პირველი მაჰმადიანი შინაგან საქმეთა მინისტრის, ქაშმირელი მოჰამედ საიდის ქალიშვილი, რომელიც "ჯქგფ"-ის 5 დაკავებული მებრძოლის გათავისუფლების შემდეგ დააბრუნეს.

25 http://www.hrw.org/reports/1999/kashmir/back.htm

26 http://news.bbc.co.uk/hi/english/static/in_depth/south_asia/2002/india_pakistan/timeline/1947.stm

1990 — 19 იანვარს ინდოეთის მთავრობამ პირდაპირი მმართველობა შემოიღო ქაშმირის ტერიტორიაზე, შესაბამისად, შეჩერდა შტატის საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის უფლებამოსილება. გუბერნატორად დაინიშნა ინდოეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი გენერალური დირექტორი. ამ დროიდან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა-დახვრეტის, უკანონო დაკავებებისა და დაკავებულთა დახოცვის, "გაუჩინარების", წამებისა თუ გაუპატიურების ფაქტები. საპასუხოდ, გახშირდა ისლამისტური შეიარაღებული ჯგუფების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები. ძალადობის მასშტაბის ზრდამ შტატის ცენტრალური ნაწილის — ქაშმირის ველის მოსახლეობას, განსაკუთრებით უმცირესობაში მყოფ ინდუსებს, გადასახლებისკენ უბიძგა. ხელისუფლების მხარდაჭერის პირობებში, დაახლოებით 100 ათასმა ინდუსმა დატოვა ქაშმირის ველი (უმრავლესობა ჯამუს დევნილთა ბანაკში დასახლდა).[27]

20 იანვარი — ქალაქ გაეაკადალში ინდოეთის ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან დემონსტრაციას, რასაც 30 ადამიანი ემსხვერპლა. აჯანყება ქაშმირის ძირითად ქალაქებს მოედო.

27 თებერვალი — ინდოეთის მთავრობამ გაეროს წარმომადგენლებს ქაშმირში ჩასვლის უფლება არ მისცა. მეორე დღეს კი, სრინაგარში, ხალხმრავალ დემონსტრაციას ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც 47 ადამიანი დაიღუპა.

2 მარტი — სრინაგარში ისევ დახვრიტეს დემონსტრაცია, რომელშიც დაახლოებით მილიონი ადამიანი მონაწილეობდა (დაიღუპა 40 დემონსტრანტი).[28]

5 ივლისი (1990) — ინდოეთის ხელისუფლების მიერ მიღებული "შეიარაღებული ძალების სპეციალური უფლებამოსილების აქტით", ინდოეთის შეიარაღებული სტრუქტურების წარმომადგენლებს უფლება მიეცათ, ქაშმირის გარკვეულ ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღი თითქმის შეუზღუდავად გამოეყენებინათ ნებისმიერი "საეჭვო პირის" წინააღმდეგ. ადამიანის დამცველმა ორგანიზაციებმა ქაშმირში მრავლად დააფიქსირეს ინდოეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევები, მათ შორის, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის, "გაუჩინარების", გაუპატიურებისა და წამების ფაქტები და დელის მოუწოდეს გაეუქმებინა ზემოხსენებული აქტი.

1991 — 11 ივნისს, სრინაგარის ერთ-ერთი ბაზრის ტერიტორიაზე, მანქანის საბურავის გასკდომის ხმით შეშინებულმა ინდოელმა ჯარის-

27. http://www.hrw.org/reports/1999/kashmir/back.htm
28. http://www.absoluteastronomy.com/topics/Timeline_of_the_Kashmir_conflict

კაცებმა უწესრიგო ცეცხლი გახსნეს, რასაც 32 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა (დაღუპულთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვებიც).

1992 — ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია "ემნისტი ინტერნეიშნლი" (Amnesty International) რეგულარულად აქვეყნებდა ინფორმაციას ქაშმირის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. ინდოეთის მთავრობამ ეს ორგანიზაციის ტენდენციური პოლიტიკის გამოხატულებად მიიჩნია და ნოემბრიდან "ემნისტი ინტერნეიშნლს" აუკრძალა შტატის ტერიტორიაზე შესვლა.

1993 — 9 მარტს დაფუძნდა "ყველა პარტიის ჰურიატ კონფერენცია" (შემოკლებით "პურიატ"-ი), რომელშიც გაერთიანდნენ ქაშმირის სეპარატისტულად განწყობილი პოლიტიკურ-რელიგიური ორგანიზაციები. შტატის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული "ჯამუსა და ქაშმირის განმათავისუფლებელი ფრონტისგან" ("ჯქგფ") განსხვავებით, მკვეთრად ისლამურ "ჰურიატს" პროპაკისტანური პოზიცია ჰქონდა და ისლამაბადის მხარდაჭერით სარგებლობდა.

10 აპრილს დაიწვა სრინაგარის სამხრეთი ნაწილის ცენტრი "ლალ ჩოუკ"-ი ("წითელი მოედანი"). ეს მოჰყვა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ იმ შენობის დაწვას, რომელიც წინა დღით დატოვეს ინდოეთის სასაზღვრო ჯარებმა. ხანძრის გაჩენის შემდეგ, მოედანზე ასზე მეტი ინდოელი ჯარისკაცი გამოჩნდა, მათ მეგაფონით გამოაცხადეს კომენდანტის საათი, ალყა შემოარტყეს მოედანს და იქ მყოფ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნეს. 125 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ახლო მდებარე სახლები კი დაიწვა.

1994 — 1-3 იენისს გამართული მოლაპარაკებები ინდოეთსა და პაკისტანს შორის უშედეგოდ დასრულდა. ისლამაბადის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პაკისტანი აღარ აპირებს მოლაპარაკებაში მონაწილეობას, სანამ ქაშმირში არ შეწყდება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები.

1995 — იანვარში ინდოეთმა უარყო მესამე მხარის მონაწილეობა პაკისტანთან მოლაპარაკების პროცესში.

9-11 მაისი — ასეულობით სახლი დაიწვა ქაშმირის ქალაქ ჩარარ შარიფში, სადაც ორი თვის განმავლობაში ალყაშემორტყმულ ისლამისტ ტერორისტებზე ინდოეთის ჯარებმა საბოლოო შეტევა განახორციელეს. ამ დროს დაიწვა ჩარარ შარიფის 650 წლის მაჰმადიანური მავზოლეუმი და იქვე მდებარე მეჩეთი (ჩარარ შარიფში მომხდარის გამო, შემდგომ დღეებში ქაშმირში ანტიინდური გამოსვლები გაიმართა).

20 იელისი — ქაშმირში უცხოელი ჟურნალისტები გაიტაცეს. საერ-

თაშორისო ორგანიზაცია "ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა", რომლის სათავო ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს, განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა რეპორტიორებს აშინებს.

ნოემბერი — ინდოეთის მთავრობამ, რომელსაც ქაშმირში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო ხშირად აკრიტიკებდნენ, აქტიური საინფორმაციო კამპანია წამოიწყო. ისლამაბადი დადანაშაულებულ იქნა ინდოეთის ტერიტორიაზე ტერორისტების შეგზავნასა და ამისათვის ნარკობიზნესიდან მიღებული თანხების გამოყენებაში.

23 დეკემბერი (1995) — "ჰურიატმა" გაეროს, "ისლამური კონფერენციის ორგანიზაციასა" და ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, შეეჩერებინათ ინდოეთის მიერ კონტროლირებადი ქაშმირის ტერიტორიაზე მიმდინარე ძალადობა.

1995 — ჯქგფ-ის ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედმა განშტოებამ, იასინ მალიქის მეთაურობით, უარი თქვა ქაშმირის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ძალადობრივ მეთოდებზე. ჯქგფ-ის ჩრდილო განშტოება, ამანულა ხანის მეთაურობით, არ დაეთანხმა ასეთ ნაბიჯს, რის გამოც ორგანიზაცია ორ ნაწილად გაიყო (2005 წელს ჯქგფ ისევ გაერთიანდა).

1996 — 13 მაისს ინდოეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნის საპარლამენტო არჩევნების ქაშმირში ორგანიზებისთვის დანიშნულმა აღგილობრივმა საჯარო მოხელეებმა 18-დღიანი გაფიცვა გამოაცხადეს (ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, გაფიცულთა რიცხი 1,5 მილიონს აღწევდა).[29] მიუხედავად ამისა, საბოლოოდ, ინდოეთის საპარლამენტო არჩევნები ქაშმირში მაინც ჩატარდა (აღგილობრიეთა ნაწილი თავისი ნებით მივიდა საარჩევნო უბნებში, ნაწილი კი იძულებით).[30]

8 ივნისი — "ჰურიატმა" უარყო დელის შეთავაზება, რომელიც ქაშმირისთვის ავტონომიის უფრო მაღალ ხარისხს გულისხმობდა.

2 აგვისტო — ინდოეთის ახალი პრემიერი დევე გოვდა ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომლის თანახმად, ქაშმირის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 3,25 მილიარდი რუპია გამოიყოფოდა. ეს ინიციატივა შტატის საკანონმდებლო ასამბლეის მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდებოდა.

16 სექტემბერი — ქაშმირის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, რასაც ხელი შეუწყო გოვდას ინიციატივამ და ორი დღით ადრე "ჰურიატის" ლიდერების დაპატიმრებამ. არჩევნების შემდეგ განახლდა ქაშმირის საკანონმდებლო ასამბლეის

29. http://www.timesofkabul.com/?p=337
30. http://www.hrw.org/reports/1999/kashmir/back.htm

მუშაობა, რომელიც 1990 წლის იანვარში შეჩერდა. მთავარი მინისტრის პოსტი ისევ ფარუქ აბდულამ დაიკავა.

1997 — 25 ივნისს, ისლამაბადში გამართულ მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის დასასრულს, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სალმან ჰაიდერმა განაცხადა, რომ პაკისტანთან მოლაპარაკების დროს არ განიხილება ინდოეთის მიერ კონტროლირებადი ქაშმირის სტატუსი და რომ საუბარი შეიძლება შეეხოს მხოლოდ პაკისტანის მიერ უკანონოდ ანექსირებულ ჩრდილო ქაშმირის ტერიტორიას.

12 ოქტომბერი — ინდოეთის სამხედროებმა სრინაგარის ცნობილ ჯამის მეჩეთში 3 საათიანი ჩხრეკა ჩაატარეს, რამაც საპროტესტო აქციების ახალი ტალღა გამოიწვია.

1998 — 25 იანვარს, სოფელ ვანდჰამაში 23 ქაშმირელი ინდუსი მოკლეს (სავარაუდოდ ისლამისტებმა).

17 აპრილი — სოფელ პრანკოტეში მუსლიმანმა ტერორისტებმა 26 მშვიდობიანი ინდუსი მოკლეს.

11-13 მაისი — ინდოეთმა 5 საცდელი ბირთვული აფეთქება განახორციელა.

28-30 მაისი — პაკისტანმა ინდოეთს 6 ანალოგიური აფეთქებით უპასუხა. იმ დღეებშივე ქაშმირის მთავარმა მინისტრმა ფარუქ აბდულამ აღნიშნა, რომ ინდოეთი დაიწყებს აქტიურ შეტევას "უცხოელი ტერორისტების" წინააღმდეგ და გააძევებს მათ შტატიდან.

6 ივნისი (1998) — გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია (S/RES 1172), რომლითაც დაგმო ინდოეთისა და პაკისტანის მიერ საცდელი ბირთვული აფეთქებების განხორციელება, რაც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობასა და სტაბილურობას და ორივე მხარისგან მოითხოვა ბირთვული აფეთქებების შეწყვეტა. რეზოლუციის თანახმად, უშიშროების საბჭო მოუწოდებს ინდოეთსა და პაკისტანს, განაახლონ ორმხრივი დიალოგი და ამ გზით მიაღწიონ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს ყველა სადავო საკითხთან დაკავშირებით (ქაშმირის ჩათვლით).

იმავე დღეს პაკისტანის პრემიერი, ნავაზ შარიფი, ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა, რომელიც გულისხმობდა ისლამაბადსა და ნიუ დელის შორის მოლაპარაკების დაწყებას, "ბირთვული შეჯიბრის" შეჩერებასა და საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობას ქაშმირის საკითხის მოგვარებაში.

29 აგვისტო — "ჯქგფ"-მა სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას მოუწოდა ქაშმირის კონფლიქტის მოგვარების პროცესში მონაწილეობისკენ.

2 სექტემბერი (1998) — მიუმხრობლობის მოძრაობამ (NAM) გამოაქვეყნა მოწოდება ქაშმირის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ. ნელსონ მანდელამ, რომელიც თავმჯდომარეობდა მოძრაობის მე-12 სამიტს, იმედი გამოთქვა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაიჭრებოდა. ინდოეთის მაშინდელმა პრემიერმა კი განაცხადა, რომ "მესამე მხარეებმა" თავი უნდა შეიკავონ ქაშმირის დავაში მონაწილეობისაგან.

1999 — 26 მაისს, ინდოეთის მიერ კონტროლირებად ქაშმირში შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო, რაც "საკონტროლო ხაზის" მეორე მხრიდან მებრძოლთა გადმოსვლამ გამოიწვია (დელი აშტკიცებდა, რომ მოჯაჰედინების რიცხვი 680-ს აღწევდა და კიდევ 400 მზად იყო "საკონტროლო ხაზი" გადმოეკვეთა). ინდოეთმა საავიაციო დარტყმები გაიმოყენა ქ. კარგილთან თავმოყრილი მოჯაჰედინების წინააღმდეგ, რომლებსაც პაკისტანის არმიაც ეხმარებოდა. ავიაციის გაღმოჩენის შემდეგ, პაკისტანმა საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა, თუმცა, საბედნიეროდ, ორთეიანი კონფლიქტი ინდოეთ-პაკისტანის მორიგ ფართომასშტაბიან ომში არ გადაზრდილა (ინდოეთმა დაახლოებით 500 სამხედრო დაკარგა, ისლამისტურმა დაჯგუფებებმა და პაკისტანმა კი 700-მდე მებრძოლი).[31]

იელისი — აშშ-ის პრეზიდენტმა კლინტონმა მხარეებს მშვიდობიანი მოლაპარაკებისკენ მოუწოდა. ნახევარი წლის შემდეგ მან ისევე ახსენა ქაშმირის პრობლემა და აღნიშნა, რომ ბენდიერი იქნებოდა შუამავლის როლი შეესრულებინა ინდოეთსა და პაკისტანს შორის, თუკი ასეთ შეთავაზებას მიიღებდა.

12 ოქტომბერი (1999) — უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, პაკისტანის ხელისუფლებაში გენერალი ფერეეზ მუშარაფი მოვიდა.

2000 — მაისში, ქაშმირის კონფლიქტთან დაკავშირებით, ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოხატა თავისი პოზიცია, რომლის თანახმად, პრობლემის მოგვარება უნდა ემყარებოდეს გაეროს უშიშროების რეზოლუციებს, ასევე სიმლას 1972 წლის შეთანხმებას (ანუ, უპირველეს ყოვლისა, ინდოეთი-პაკისტანის ორმხრივ დიალოგს) და მისაღები უნდა იყოს ქაშმირის ხალხისთვის.

1-2 აგვისტო — 24-საათიან პერიოდში, "საკონტროლო ხაზის" მახლობლად, 100-მდე მშვიდობიანი ქაშმირელი მოკლეს (ძირითადად ინდუსები).

ნოემბერი — სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა, სეიდ სალაჰუდინმა მუსლიმანურ ქვეყნებს მოუწოდა გაეწყვიტათ დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირი ინდოეთთან.

31 http://www.parliament.uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf

2001 — 1 იანვარს ქალაქ კიშტვარში მდებარე ხის ისტორიული მეჩეთი ლამია ხანძრის შედეგად განადგურდა. ქალაქის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ხანძარი მოკლე ჩართვამ გამოიწვია, თუმცა მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ხანძარის გაჩენასა და მის დროულად არჩაქრობაში პოლიციის ხელი ერია. მუსლიმანთა საპროტესტო გამოსვლები პოლიციასთან შეტაკებებითა და ქალაქში კომენდანტის საათის შემოღებით დასრულდა.

ოქტომბერი — შტატის საკანონმდებლო ასამბლეის შენობაზე ისლამისტთა თავდასხმისას 38 ადამიანი დაიღუპა. ქაშმირის მთავარმა მინისტრმა ფარუქ აბდულამ დელის მოუწოდა გაენადგურებინა ისლამისტთა საწვრთნელი ბანაკები, რომლებიც პაკისტანის მხარეს, საზღვართან იყო განლაგებული.[32]

ინდოეთის პრემიერმა ათულ ბეჰარი ვაჯპაიიმ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისადმი სპეციალურ წერილში განმარტა: "პაკისტანმა უნდა გაიგოს, რომ ინდოელი ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს".[33] იმ პერიოდში თეთრმა სახლმა საბანკო ანგარიშები "გაუყინა" ერთ-ერთ რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებას ("ჰარკათ ულ-მუჯაჰედინს") და იგი ტერორიტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა.

ორი თვის შემდეგ ანალოგიური თავდასხმა ინდოეთის პარლამენტზეც მოხდა, რასაც 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ინდოეთმა ტერაქტის ორგანიზებაში პაკისტანის სპეცსამსახურები დაადანაშაულა და ისლამაბადისგან ტერორისტული აქტის მოწყობაში ეჭვმიტანილი პირების (30 ადამიანის) გადაცემა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამ ყველაფერს ინდოეთსა და პაკისტანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოჰყვა. "საკონტროლო ხაზის" ორივე მხარეს თავმოყრილი ჯარების საერთო რაოდენობამ 1,2 მილიონს მიაღწია, თუმცა სათმარი მოქმედებები არ დაწყებულა.

2002 — ისევ გრძელდებოდა ძალადობა ინდოეთის მიერ კონტროლირებად ქაშმირში.

იანვარი — ინდოეთსა და პაკისტანს ოფიციალური ვიზიტით ეწვია აშშ-ის თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი. იმავე წელს ინდოეთმა, რამსფელდის რჩევის შესაბამისად, ისრაელისა და ამერიკისგან სპეციალური სარადარო სისტემა შეიძინა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა „საკონტროლო ხაზის" გადაკვეთის მყისიერი დაფიქსირება.

8 ოქტომბერი — ქაშმირის შტატის ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაიმართა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები,

32 http //news bbc co.uk/hi/english/static/in_depth/south_asia/2002/india_pakistan/timeline/1947.stm

33 http //www parliament uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf

რომელსაც სეპარატისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ძალადობრივ საპროტესტო აქციებსა და საპასუხო სადამსჯელო ოპერაციებს დაახლოებით 700 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმა ამ არჩევნებს „ფარსი“ უწოდა, თუმცა, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შეფასებით, 8 ოქტომბრის არჩევნები, მთლიანობაში, თავისუფალი და სამართლიანი იყო. არჩევნებზე მოსულთა რაოდენობა (46%) ბევრად აღემატებოდა წინა წლების მაჩვენებლებს (თუმცა, 46 პროცენტი საშუალო მაჩვენებელი იყო, ძირითადად მაპმადიანებით დასახლებული ქაშმირის ველის ტერიტორიაზე კი ამომრჩევლის პასიურობა დაფიქსირდა). ეროვნული კონფერენცია არჩევნებში დამარცხდა და შტატის ხელისუფლებაში სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და კონგრესის კოალიცია მოვიდა, რომელიც ისლამისტებისადმი უფრო დამთმობ კურსს ემხრობოდა. ქაშმირის ახალმა მთავარმა მინისტრმა მუფთი მოჰამედ საიდმა სეპარატისტთა რამდენიმე ლიდერი ციხიდან გაათავისუფლა და მისი ბრძანებით დაიწყეს ასეულობით დაკავებულის საქმის გადახედვა. ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ ვითარების გასაუმჯობესებლად პოლიციის სისტემის რეფორმას, სამხედროების მხრიდან ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოძიებას, დევნილი ინდუსების დაბრუნება თავიანთ სახლებში, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს და „ტერორიზმის პრევენციის აქტის“ გაუქმებას ან მისი მოქმედების შეჩერებას (ამ აქტით ნებადართული იყო 30-დღიანი წინასწარი პატიმრობა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე).

დეკემბერი — ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „საკონტროლო ხაზის“ მეორე მხრიდან ტერორისტების ინფილტრაცია თითქმის განახევრდა.[34]

2003 — 23-24 მარტს დაახლოებით 10-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი სრინაგარის სამხრეთით მდებარე სოფელ ნადიმარგში შეიჭრა, ადგილობრივი მშვიდობიანი ინდუსების ნაწილი მათი სახლებიდან გამოყარა, ჩაამწკრივა და დახვრიტა (24 ადამიანი დაიღუპა, მათგან 11 ქალი და 2 ბავშვი). ისლამაბადმა მომხდარი დაგმო, როგორც „ტერორიზმის საშინელი აქტი“.[35]

2 მაისი — ინდოეთსა და პაკისტანს შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა.

ივნისი — ინდოეთის მთავრობამ აღიარა, რომ 1989 წლიდან მოკლული იყო 144 ქაშმირელი მეამბოხე (დაკავების შემდეგ), ხოლო 3 931 —

34. http://www.parliament.uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf
35. იქვე

„უგზო-უკვლოდ გამქრალი“ (თუმცა, ადამიანის უფლებათა დამცველ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა მიხედვით, “გაუჩინარებულთა” რაოდენობა 8 ათასს აღწევდა). დაიწყო ამ საქმეების გამოძიება.

25 აგვისტო — ინდოეთის ყველაზე დიდ ქალაქსა (14-მილიონიანი მოსახლეობა) და უპირველეს ტურისტულ ცენტრ მუმბაიში დანაღმული ორი ავტომობილის აფეთქების შედეგად დაიღუპა 54 და დაშავდა 244 ადამიანი. ინდოეთის მთავრობამ აფეთქების ორგანიზებაში პაკისტანის პანჯაბში ბაზირებული „ლაშქარ-ე-ტაიბას“ (LeT) ტერორისტული დაჯგუფება დაადანაშაულა (სამი ეჭვმიტანილი მალევე დააკავეს და 2009 წელს მათ სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა).

2004 — 22 იანვარს ქაშმირის “ჰურიატის” ზომიერი ფრთის წარმომადგენლები, მაულანა აბას ანსარის მეთაურობით, ინდოეთის პრემიერის მოადგილეს, ლალ კრიშნა ადვანის შეხვდნენ და მხარეები შეთანხმდნენ, რომ დიალოგს გააგრძელებდნენ („ჰურიატის“ ასეთი ნაბიჯი ანალიტიკოსებმა იმ ფაქტის მკაფიო დადასტურებად მიიჩნიეს, რომ ქაშმირის მაჰმადიანთა უმრავლესობა აშკარად არ თანაუგრძნობდა რადიკალთა ბრძოლის შეიარაღებულ, ძალადობრივ მეთოდებს).

24 სექტემბერი — ნიუ იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის მიმდინარეობისას, ინდოეთის პრემიერი მანმოჰან სინგჰი და პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი ერთმანეთს შეხვდნენ.

2006 — 15 თებერვალს აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია (H.CON.RES. 344 IH), რომლის თანახმად, ქაშმირის უმცირესობის წარმომადგენლები — ინდუსები — „5 ათას წელიწადზე მეტია ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ“ და „1989 წლიდან დღემდე მათი რაოდენობა 400 ათასიდან 8 ათასამდე შემცირდა“.[36] რეზოლუციაში დაფიქსირებულია, რომ ისლამისტი მებრძოლების მიერ ინდუსების მიმართ განხორციელდა „ეთნიკური წმენდა“ და მკაცრად არის დაგმობილი ადამიანის უფლებათა დარღვევის მსგავსი ფაქტები.

30 აპრილი — ქაშმირში (ქალაქ დოდაში) ინდუსების მორიგი ხოცვა-ჟლეტა მოხდა.

2007 — სამჯჰაუტას მატარებლის აფეთქების შედეგად 67 ადამიანი დაიღუპა. ქაშმირის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სიმრავლიდან გამომდინარე, „ემნისტი ინტერნეიშნელმა“ და „ჰუმან რაითს ვოჩმა“ ინდოეთის მთავრობას კიდევ ერთხელ მოუწოდეს გაეუქმებინა „შეიარაღებულ ძალთა სპეციალური უფლებამოსილების აქტი“.

36. http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/z?c109:H.CON.RES.344

2008 — 12 აგვისტოს, ქაშმირის ქალაქ კიშტვარში მუსლიმანთა და ინდუსთა შეტაკებამ 28 ადამიანი იმსხვერპლა.

18 აგვისტო — პრეზიდენტი მუშარაფი გადადგა (იმ პერიოდში უკვე ძალზე ძლიერი იყო მოძრაობა მისი იმპიჩმენტის მოთხოვნით).

25 აგვისტო — მოახლოებული არჩევნების წინ დააკავეს ქაშმირის ყველა ისლამისტურ-სეპარატისტული პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი.

6 სექტემბერი — პაკისტანის საარჩევნო კოლეგიამ (შედგება სენატის, ეროვნული ასამბლეისა და 4 პროვინციის ასამბლეის წევრებისაგან) პრეზიდენტად აირჩია ასიფ ალი ზარდარი, 2007 წელს მოკლული ექსპრემიერის, ბენაზირ ბჰუტოს ქვრივი. ახალმა პრეზიდენტმა მისი პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინდოეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაასახელა.

26-29 ნოემბერი — ინდოეთის უდიდეს ქალაქ მუმბაის ორი საუკეთესო სასტუმრო სამი დღის განმავლობაში დაკავებული ჰქონდა ტერორისტთა ათკაციან ჯგუფს, რომლის წევრებიც განურჩევლად ესროდნენ ყველას, ვისაც დაინახავდნენ, სასტუმროების მახლობლად მყოფი გამვლელების ჩათვლით. 3 დღის განმავლობაში დაიღუპა 164 და დაიჭრა 308 ადამიანი (9 ტერორისტი მოკლეს, ერთი კი დააკავეს).

მოგვიანებით, ინდოეთის მთავრობამ ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობაც "ლაშქარ-ე-ტაიბას" დააკისრა და, სავარაუდოდ, პაკისტანის ტერიტორიაზე მყოფი კონკრეტული ეჭვმიტანილებიც დაასახელა.[37]

24 დეკემბერი (2008) — ქაშმირში საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნები გაიმართა, რომელშიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ამომრჩევლის რეკორდულმა რაოდენობამ — 62-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

30 დეკემბერი — საკანონმდებლო ასამბლეამ ეროვნული კონფერენციის წარმომადგენელი ომარ აბდულა (შეიხ აბდულას შვილიშვილი) ქაშმირის მთავარ მინისტრად აირჩია.

2009 — 6 მარტს ქალაქ ნოერათაში სამხედრო მანქანამ ორი ახალგაზრდა დემონსტრანტი იმსხვერპლა, როცა ეს უკანასკნელნი სეპარატისტთა ლიდერების დაკავებას აპროტესტებდნენ. ამ ფაქტს ქალაქში არეულობა და 4 დღით კომენდანტის საათის შემოღება მოჰყვა.

23 მარტი — გაეროს კომისარმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნავენთამ პილაიმ ინდოეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, რათა მას გაეუქმებინა „შეიარაღებულ ძალთა სპეციალური უფლე-

37 http //pib.nic in/release/release.asp?relid=45446
http://www.guardian.co.uk/world/2008/nov/28/mumbai-terror-attacks-india3

ბამოსილების აქტი", როგორც შეუსაბამო ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტებთან. პილაიმ ინდოეთის მთავრობას სთხოვა აგრეთვე ყურადღება გაემახვილებინა ქაშმირში ადამიანთა „გაუჩინარების" საქმეებზე.

20 აპრილი (2009) — ქაშმირელ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა საჯაღ ლონემ მონაწილეობა მიიღო ინდოეთის პარლამენტის ქვედა პალატის (Lok Sabha) არჩევნებში, თუმცა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა (გამარჯვება აქაც ეროვნული კონფერენციის წარმომადგენელმა მოიპოვა).

18 მაისი — ინდოეთის სპეცრაზმის მიერ განამართლების გარეშე სამოქალაქო პირის (მანსურ აჰმად ბეიღის) მოკვლამ მასობრივი ანტიინდური საპროტესტო აქციები გამოიწვია ქაშმირში.

8 ივლისი (2009) — პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ აღიარა, რომ ბევრი ქაშმირელი ისლამისტი მებრძოლი, რომელიც მისი ხელისუფლების საწინააღმდეგო ტერაქტებში მონაწილეობდა, პაკისტანში იყო გაწვრთნილი და ერთ დროს ქვეყნის „სტრატეგიულ აქტივადაც" კი ითვლებოდა ინდოეთთან დაპირისპირებაში.[38]

24 ივლისი — აშშ-ის მაღალჩინოსანმა ოფიცერმა მაიკლ მალენმა განაცხადა, რომ ავღანეთისა და ქაშმირის ტერიტორიაზე პაკისტანის მთავარი სადაზვერვო სააგენტოს (ISI) „ქაოსური აქტიურობა" შეინიშნება. მალენმა ისლამაბადს მოუწოდა აელაგმა სადაზვერვო სააგენტოს მსგავსი საქმიანობა.[39]

20 აგვისტო — ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა ინდოეთის მიერ კონტროლირებად ქაშმირში აღმოაჩინეს დაახლოებით 1500 დაუდგენელი პირის ერთობლივი საფლავი, რომელიც არსად იყო დაფიქსირებული.

2 ოქტომბერი — მსოფლიოს უდიდესმა მაჰმადიანურმა გაერთიანებამ — "ისლამური კონფერენციის ორგანიზაციამ" (OIC) საუდის არაბეთის წარმომადგენელი აირჩია პაკისტანსა და ინდოეთს შორის შუამავლის როლის შესასრულებლად, თუმცა ინდოეთის პრემიერმა მანმოჰან სინგჰმა მკაცრად განაცხადა, რომ "ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია" არ უნდა ჩაერიოს ინდოეთის საშინაო საქმეებში.

14 ოქტომბერი — ინდოეთმა გააკრიტიკა ჩინეთის აქტიურობა პაკისტანის მიერ კონტროლირებად ქაშმირში.

24 ნოემბერი (2009) — ევროკავშირის დელეგაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმად, ქაშმირი არის ინდოეთის შემადგენე-

38. http://www.absoluteastronomy.com/topics/Timeline_of_the_Kashmir_conflict

39 იქვე

ლი ნაწილი. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ოლოფ ლინდგრენმა დაადასტურა, რომ ეს არის ევროკავშირის პოზიცია. ამავდროულად, მისი განმარტებით, ქაშმირში აქტუალურია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები.

9 დეკემბერი — პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ აშშ-ს სთხოვა მედიატორობა ინდოეთთან მოლაპარაკების პროცესში.

11 დეკემბერი — პაკისტანის პრეზიდენტის თხოვნასთან დაკავშირებით, ვაშინგტონში განაცხადეს, რომ ქაშმირის პრობლემა უნდა გადაწყვიტონ ინდოეთმა და პაკისტანმა, ქაშმირელი ხალხის მონაწილეობით.

18 დეკემბერი — ინდოეთმა 30 ათასი ჯარისკაცით შეამცირა ქაშმირში განლაგებული სამხედრო კონტინგენტი. ასეთი მსხვილი შენაერთის გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან დიდი ხანია არ მომხდარა (სხვადასხვა ინფორმაციით, ქაშმირში რჩება 500-დან 700 ათასამდე ინდოელი სამხედრო).

22 დეკემბერი (2010) — ინდოეთის მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის დავა გამოიწვია ბანკის ერთ-ერთ დოკუმენტში ჯამუსა და ქაშმირის შტატის „სადავო ტერიტორიად" მოხსენიებამ.

2010 — 7 იანვარს, სრინაგარის ცენტრში (ზემოთ უკვე ნახსენები "ლალ ჩოუკ"-ის ტერიტორიაზე) 2 ისლამისტ მებრძოლსა და ინდოეთის უშიშროების ძალებს შორის ინტენსიური სროლა ატყდა. ალყაშემორტყმული ტერორისტების წინააღმდეგობა 22 საათს გაგრძელდა. ინდოეთის მთავრობის განცხადებით, ისინი "ლაშქარ-ე-ტაიბას" (LeT) წევრები იყვნენ.

8 ნოემბერი — ინდოეთში ვიზიტისას აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ თეთრი სახლისთვის მიუღებელია "ტერორისტთა უსაფრთხო თავშესაფრები" პაკისტანში და რომ ტერორისტები, რომლებმაც მოაწყვეს მუმბაის ტერაქტი (2008 წლის ნოემბერში), აუცილებლად უნდა წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე.[40]

მან მხარი დაუჭირა ასევე ინდოეთის შეყვანას გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსით (ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ პრეზიდენტ ობამას არაფერი უთქვამს გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების კონკრეტულ მექანიზმზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ასეთი ცვლილება და ამ განცხადებას ჩინეთისადმი გარკვეულ მინიშნებადაც აღიქვამენ).[41]

40. http://timesofindia.indiatimes.com/india/Obama-backs-India-for-UN-seat/articleshow/6891755.cms
41. http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2010/11/08/AR2010110800495_pf.html

საქართველოსთან მიმართება

ქაშმირისა და საქართველოს კონფლიქტებს შორის ურთიერთმიმართების განხილვა უნდა დავიწყოთ ორივე პრობლემის არსის მკაფიოდ წარმოჩენით.

ქაშმირის პრობლემა წამოიჭრა 1947 წელს, როცა შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ინდოეთი და პაკისტანი და ქაშმირის შტატი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, თუ რომელ მათგანს მიერთებოდა. მართალია, მაპარაჯა პარი სინგჰმა ინდოეთი აირჩია, მაგრამ პრობლემა ასე მარტივად არ ამოწურულა; სწორედ ამიტომ, მოგვიანებით, 1951 წელს, ქაშმირელთა ლიდერმა, შეიხ აბდულამ დამფუძნებელი ასამბლეის სხდომაზე საგანგებოდ გააანალიზა ქაშმირის არჩევანის საკითხი (იხ. გვ. 445). მან აღნიშნა, რომ შვეიცარიის მსგავსი დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, მიმზიდველი იყო ქაშმირისთვისაც, მაგრამ იქვე დასძინა, რომ იმ რეგიონში, იმ რეალობაში, შვეიცარიის მსგავსი პერსპექტივა სრულიად არარეალური იქნებოდა ქაშმირისთვის, რაც 1947 წელს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის ორთვიანმა პერიოდმაც დაადასტურა. საბოლოოდ, პაკისტანისა და ინდოეთის შედარების შემდეგ, შეიხ აბდულა დაასკვნის, რომ ინდოეთთან მიერთება, ფართო ავტონომიური უფლებებით, არის საუკეთესო არჩევანი ქაშმირის თვითმყოფადობისა და "პოლიტიკური იდენტობის" შესანარჩუნებლად (იდენტობის პრობლემას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ). როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, შეიხ აბდულამ და დამფუძნებელმა ასამბლეამ, არსებითად, მართებული გადაწყვეტილება მიიღეს (ინდოეთის მთავრობასთან ურთიერთობის დაძაბვა და გარკვეული გართულებები ქაშმირის ავტონომიურობის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებულ დავას მოჰყვა). ქაშმირის სრული დამოუკიდებლობის მომხრე გაერთიანებამ — "ჯამუსა და ქაშმირის განთავისუფლების ფრონტმა", რომელიც 1977 წელს დაარსდა, ვერა და ვერ შეძლო ქაშმირის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება. რაც შეეხება პაკისტანთან გაერთიანების მომხრეებს, ისინი ძირითადად მცირერიცხოვან რადიკალურ-ისლამისტურ დაჯგუფებებს წარმოადგენენ და ქაშმირელთა არჩევანზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ.

როგორ სურათს მივიღებთ, თუ საქართველოს კონფლიქტებსაც ასეთი კუთხით განვიხილავთ? უნდა ითქვას, რომ ზუსტად ანალოგიური არჩევანის წინაშე აფხაზები ან ოსები არასოდეს ყოფილან, თუმცა მათთან დაკავშირებით მსგავს არჩევანზე ნამდვილად შეიძლება საუბარი.

საუკუნეების განმავლობაში, როცა გარე ძალა (ბიზანტია, ოსმალე-

თი, მეფის რუსეთი და საბჭოთა იმპერია) აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორებას ცდილობდა, აფხაზების უმრავლესობა თავისი ეთნიკური და ისტორიულ-კულტურული იდენტობიდან გამომდინარე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულ უმრავლესობასთან ერთად, მთლიანი საქართველოს ან დასავლეთ ქართული სამეფოს, სამთავროსა თუ გუბერნიის შემადგენლობაში რჩებოდა (იხ. გვ. 111).

აფხაზეთის კონფლიქტის განხილვისას უკვე ითქვა, რომ ცარიზმი თავდაპირველად აფხაზების საერთოდ განადგურება-გაღასახლებას ისახავდა მიზნად, რაც ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა "მუჰაჯირობის", აფხაზთა "დამნაშავე მოსახლეობად" გამოცხადებისა და მათი მონათესავე უბიხების გენოციდის ფაქტით. მოგვიანებით, რუსეთის იმპერიამ აფხაზებს "დამნაშავე მოსახლეობის" სტატუსი მოუხსნა და, პირიქით, მათი წახალისება და ქართველების წინააღმდეგ წაქეზება დაიწყო. მიუხედავად ამისა, 1917-1919 წწ.-ში, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, როცა ცარიზმის აღდგენისა თუ საბჭოთა რუსეთის მომხრე ძალები თავდაუზოგავად ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოსგან, აფხაზების დიდმა ნაწილმა ისევ აფხაზეთის ქართულ უმრავლესობასთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას დაუჭირა მხარი, რაც მკაფიოდ დადასტურდა 1919 წელს, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამართული პირველი, საყოველთაო არჩევნების შედეგებით (იხ. გვ. 79).

ასეთმა რეალობამ კრემლი დაარწმუნა, რომ თუ არ შეცვლიდა თვით აფხაზურ იდენტობას, ანუ თუ თანდათან არ "წაშლიდა" აფხაზეთისა და აფხაზების რეალურ ისტორიულ მეხსიერებას, მათ რეალურ კულტურულ-რელიგიურ მემკვიდრეობას (რომელიც სისხლხორცეულად იყო შეზრდილი ქართულთან) და თუ ამ ყველაფერს არ ჩაანაცვლებდა რუსიფიცირებული, გაყალბებული, ანტიქართული სუროგატით, აფხაზებსა და ქართველებს შორის წინააღმდეგობას ვერ გააღვივებდა. "ახალი აფხაზის" შექმნის პროცესი მთლიანად შეესაბამებოდა საბჭოთა ეპოქაში "ჰომო სოვეტიკუსის" ჩამოყალიბების მასშტაბურ „ექსპერიმენტს". „ახალი აფხაზის" სპეციფიკური თავისებურება უნდა ყოფილიყო ხაზგასმული ანტიქართულობა, ანუ სიღრმისეულად, ეს ნიშნავდა უარის თქმას ნამდვილ აფხაზურ იდენტობაზეც, რადგან აფხაზი ეთნოსი, აფხაზური ენა და კულტურა სწორედ ქართულ ეთნოსთან, ქართულ კულტურასა და ენასთან ერთად, ქართულ გარემოში, ქართული სახელმწიფოს ფარგლებში იქმნებოდა და ვითარდებოდა. შესაბამისად, თუ კრემლი შეძლებდა აფხაზების უმრავლესობა მოეწყვიტა მათი ეთნიკური იდენტობის მასაზრდოებელი ისტორიული ფუძისგან და სანაცვლოდ საბჭოურ-რუსული

შენტალიტეტი ჩაენერგა მათთვის, მიზანი მიღწეული იქნებოდა — ქართველების წინააღმდეგ აფხაზების აჯანყება და შემდეგ აფხაზეთის "ჩამოჭრა" საქართველოსგან, კრემლს აღარ გაუჭირდებოდა (ანალოგიური საბჭოური პოლიტიკა გაგრძელდა სსრკ-ის დაშლის შემდეგაც; ამ კურსს აგრძელებს კრემლი ახლაც და სწორედ ამის შედეგია აფხაზეთში დარჩენილი ქართველების მუდმივი შეურაცხყოფა, მათი უფლებების უხეში დარღვევები, აფხაზეთში არსებული ქართული კულტურულ-რელიგიური ძეგლების დანგრევა-დამახინჯება; ეს ყველაფერი საქართველოს ამ რეგიონიდან ავტოქთონური ქართული მოსახლეობის სრულად გამოდევნასა და აფხაზეთში ქართული "კვალის წაშლის" პოლიტიკას ემსახურება).

კრემლის ამგვარმა გეგმაზომიერმა ქმედებებმა რომ, გარკვეულწილად, მართლაც მიაღწია მიზანს, აშკარად დასტურდება დღეს, როცა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს თვალწინ აქვთ ანტიქართული პოლიტიკის სავალალო შედეგები, აფხაზეთის რუსიფიკაცია, მთელი რეგიონის ტერიტორიის დიდ რუსულ სამხედრო ბაზად ჩამოყალიბების პროცესი, მეზობელ ჩრდილო კავკასიაში მცირერიცხოვანი ჩეჩნების გენოციდის პრეცედენტი, ბესლანის ტრაგედია და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც კრემლის ერთგულებას ამჯობინებენ. აქედან ჩანს, რომ ისინი უარს ამბობენ ნამდვილ აფხაზურ ეთნიკურ იდენტობაზე და ხელს უწყობენ კრემლის ასიმილაციურ პოლიტიკას, აფხაზი მოსახლეობის სრულ რუსიფიკაციას. ამ ადამიანების რეალური მიზანი პირადი კეთილდღეობის შენარჩუნებაა და "ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა" მხოლოდ ყალბი ლოზუნგია. დღეს უკვე სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე საუბარიც კი არარეალურია. ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ კრემლი საქართველოს ოკუპირებული რეგიონის — აფხაზეთის "მცოცავ ანექსიას" ახორციელებს, რაც არა მხოლოდ აფხაზეთის ეკოლოგიურ სისტემას ემუქრება კატასტროფით (იხ. გვ. 639), არამედ იგივე ხვედრი ელის ჯერ კიდევ შემორჩენილ აფხაზურ ენასა და კულტურას, აფხაზურ წეს-ჩვეულებებსა და ფასეულობებს.

ხაზგასასმელია, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, კრემლისადმი მლიქვნელობით, არა მხოლოდ საქართველოს უპირისპირდებიან, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. ისინი უარს ამბობენ შეასრულონ გაეროს გენერალური ასამბლეისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით გათვალისწინებული, თუნდაც მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის მოთხოვნები (იგულისხმება ეთნოწმენდის მსხვერპლთა — იძულებით გადაადგილე-

ბულ პირთა — თავიანთ სახლ-კარში დაბრუნების საკითხები).

მაგრამ ის რაც ითქვა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებზე, ბუნებრივია, არ ეხება აფხაზების უმრავლესობას. ამას ადასტურებს თუნდაც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რომელთა თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველებიდან რეფერენდუმზე მივიდა 61,27% და ამ ადამიანთა 97, 73% ანუ მთლიანად აფხაზეთის ელექტორატის 59,8% საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა (განსათვალისწინებელია, რომ 1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ქართველები მოსახლეობის 45,7% შეადგენდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აფხაზეთის ეთნიკურად არაქართული მოსახლეობაც ემხრობოდა, იხ. გე. 93-94). ამჟამად, მასშტაბური ოკუპაციისა და სრული ინფორმაციული იზოლაციის პირობებში მყოფ აფხაზ მოსახლეობას რეალური არჩევანის საშუალება არ ეძლევა, შესაბამისად, სოხუმის დღევანდელი საოკუპაციო რეჟიმი, რეალურად, კრემლის წარმომადგენელია და არა აფხაზების. დარწმუნებული ვართ, დეოკუპაციის შემდეგ, აფხაზებს მიეცემათ საშუალება ღირსეული ადამიანები აირჩიონ თავიანთ წარმომადგენლებად, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული აფხაზთა ეთნიკური იდენტობა და რომელთათვისაც ნამდვილად მნიშვნელოვანია საერთო ადამიანური ღირებულებები.

ამ ზოგადი, ძირეული პრობლემის წარმოჩენის შემდეგ, გადავიდეთ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაზე.

საქართველოში მომხდარ კონფლიქტებსა და ქაშმირის კონფლიქტს შორის, ერთი შეხედვით, აშკარა მსგავსებაა — ორივე შემთხვევაში საკვანძო ტერმინებია "დამოუკიდებლობა" და "გარე ფაქტორი". უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ:

1) საქართველოსა და ინდოეთის გარკვეულ რეგიონებში არსებობენ სეპარატისტები, რომელთა მიზანია ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფა;

2) ორივეგან კონფლიქტებში უდავოა გარე ძალის აქტიური მონაწილეობა.

არსებითად, მსგავსება მხოლოდ ამ ზედაპირული მეცნიერებით ამოიწურება. საკმარისია ოდნავ მაინც ჩაუღრმაედეთ ამ კონფლიქტებს და მკაფიოდ გამოჩნდება ძირეული განსხვავებები მათ შორის.

ქაშმირის პრობლემის წარმოშობა დაკავშირებულია, სულ მცირე, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისთვის უმნიშვნელოვანეს პროცესთან — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამოუკიდებელი ინდოეთისა და პაკისტანის თანამედროვე სახელმწიფოთა ჩამოყალიბებასთან. თუ გავითვალისწინებთ ამ რეგიონის მასშტაბს, აგრეთვე ინდოეთის ყართობსა და

მოსახლეობის რაოდენობას (მხოლოდ ჩინეთს ჩამორჩება რიცხოვნობით), ცხადი გახდება რაოდენ რთულ პროცესთან გვაქვს საქმე (ქაშმირი მოსახლეობით 2,2-ჯერ, ხოლო ტერიტორიით 3-ჯერ აღემატება მთლიანად საქართველოს, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და, მით უფრო, ცხინვალის რეგიონზე).

ხაზგასასმელია, რომ ქაშმირის კონფლიქტში დიდ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი და ისლამისტური მოძრაობა, რითაც ის უშუალოდ უკავშირდება ავღანეთ-პაკისტანისა და საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას (საკმარისია ითქვას, რომ XX საუკუნის ორი ზესახელმწიფოდან ერთი — სსრკ, 10-წლიანი ომის შემდეგ, იძულებული გახდა 1989 წელს გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან, მეორე ზესახელმწიფო კი, ანტიტერორისტული კოალიციის ძალებთან ერთად, უკვე თითქმის ასევე 10 წელიწადია ავღანეთში იმყოფება და მხოლოდ საგანგებო ძალისხმევის ხარჯზე ახერხებს თანდათანობით სტაბილურობის დამყარებას). ამავე დროს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქაშმირის პრობლემასთან, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით, გარკვეული კავშირი ჰქონდათ და აქვთ მსოფლიოს ძალზე გაავლენიან სახელმწიფოებსა თუ ალიანსებს: დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს, სსრკ-ს, ჩინეთს, CENTO-ს ("ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციას"), ICO-ს ("ისლამური კონფერენციის ორგანიზაციას").

საქართველოს კონფლიქტების შემთხვევაში სულ სხვა რეალობაა. უკანასკნელ წლამდე აქ ვითარების სრული ბატონ-პატრონი იყო კრემლი. კონფლიქტების მოშზადებას, პროვოცირებას, შესაბამისი ჯგუფების შეიარაღებას, მნიშვნელოვან სამხედრო შეტაკებებსა თუ მოლაპარაკებებს სწორედ კრემლი აკონტროლებდა (მხოლოდ მას შემდეგ, რაც დღევანდელი ხელისუფლება მოვიდა საქართველოში, დასავლეთი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ჩვენს ქვეყანას და მის პრობლემებს).

ქაშმირის კონფლიქტის მოგვარება, თეორიულადაც კი, დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ, არაოფიციალური ინფორმაციით, უკვე კარგა ხანია ორივე მხარე მზადაა გარკვეული კომპრომისისთვის, სახელდობრ, ინდოეთი თანახმაა "საკონტროლო ხაზი" საერთაშორისო საზღვრად აღიაროს, ანუ პაკისტანს დაუთმოს შტატის ჩრდილო ნაწილი და "აზად ქაშმირი" (პაკისტანის მოსაზღვრე უკიდურესი დასავლეთი "ზოლი"). მეორე მხრივ, პაკისტანიც თანახმაა, რომ ინდოეთს დარჩეს, ჯამუსა და ლადახის პროვინციები, სადაც, ძირითადად, ინდუსები და ბუდისტები ცხოვრობენ. შესაბამისად, მთავარი პრობლემა არის შტატის დასავლეთ-ცენტრალური ნაწილი — ქაშმირის ველი, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 95%

მაჰმადიანია. ინდოეთისთვის კატეგორიულად მიუღებელია პლებისციტის გამართვა შტატის მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ან ქაშმირის ველის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. ამ პოლიტიკური "ჩიხის" დასაძლევად მუშავდებოდა და მუშავდება რამდენიმე კომპრომისული ვარიანტი, მაგრამ შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ ხერხდება.[42]

ქაშმირის პრობლემის გადაჭრა გულისხმობს გავლენიანი, ძლიერი გარე თუ შინა ძალების ჩახლართულ პოლიტიკურ-რელიგიურ ინტერესებს შორის ურთიერთმისაღები ბალანსის მოძებნას, რაც თუნდაც მხოლოდ თეორიულ-სამართლებრივ დონეზე, შეუდარებლად უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე საქართველოს პრობლემის მოგვარება, რადგან თეორიულ-სამართლებრივ სიბრტყეზე (მით უფრო, 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ) საქართველოს საკითხი სრულიად თავისუფალია სირთულისა და გაურკვევლობისგან და, არსებითად, ერთადერთი პრობლემის — საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციის დაძლევაზე დადის, ანუ ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდება, თუკი შესრულდება 2008 წლის 12 აგვისტოს (სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის) შეთანხმების პირობები და რუსეთის ჯარები დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას.

ქაშმირის კონფლიქტის შესახებ საუბრისას, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იდენტობის პრობლემაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქაშმირის "პოლიტიკურ იდენტობას". ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ქაშმირის შტატისადმი, როგორც გარკვეული მთლიანობისადმი, მაგალითად, გაეროს პირველი წარმომადგენლის, ოუენ დიქსონის დამოკიდებულებას. 1950 წელს შემუშავებული "დიქსონის გეგმა" (რომელიც მოიწონა გაეროს უშიშროების საბჭომ) ეფუძნებოდა ავტორის პოზიციას, რომლის თანახმად, "ჯამუსა და ქაშმირის შტატი არ არის გეოგრაფიულად, ეკონომიკურად ან დემოგრაფიულად ერთიანი წარმონაქმნი. ეს არის ტერიტორიათა აგლომერატი, რომელიც მაჰარაჯას პოლიტიკური ძალაუფლებით შეიქმნა".[43]

ჯამუსა და ქაშმირის შტატის შესახებ ანალოგიური შეფასებაა დაფიქსირებული ბრიტანეთის თემთა პალატის 2004 წლის გამოკვლევაშიც: "შემადგენლობის მხრივ, ეს იყო რაღაც ხელოვნური და აქ მკაფიო იდენტობა ვერ ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, არაერთგვაროვანი, განსხვავებული წარმოშობისა და, მეორე მხრივ, იმპერიის პერიფერიაზე გაბატონებული ავტოკრატიული მმართველობის გამო".[44]

42 http://news.bbc.co.uk/2/shared/spl/hi/south_asia/03/kashmir_future/html/
43. http://www.parliament.uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf
44. იქვე

ფაქტია, რომ როგორც ეთნიკურად, ასევე რელიგიურ-კულტურულად, ეკონომიკურად და გეოგრაფიულადაც ქაშმირის შტატი არაერთგვაროვანი რეგიონებისგან შედგება. ასეთ ვითარებაში მისი მოსახლეობის გამაერთიანებელი ფუნქცია "პოლიტიკურ იდენტობას" დაეკისრა. ამ ცნებას სრულიად კონკრეტული შინაარსი ჰქონდა — ის გულისხმობდა შტატის ტერიტორიაზე რელიგიურ-თემობრივი პრინციპის უარყოფას და მის ნაცვლად, ფაქტობრივად, ეროვნული პრინციპის პრიორიტეტის აღიარებას (ზემოთ ითქვა, რომ სწორედ ამიტომ გადაერქვა შტატის პირველ პოლიტიკურ გაერთიანებას სახელწოდება და "ისლამური კონფერენცია" "ეროვნულ კონფერენციად" გადაკეთდა). ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები ამ გზით ცდილობდნენ მკაფიოდ დაეფიქსირებინათ, რომ შტატის მოსახლეობის რელიგიური არაერთგვაროვნების მიუხედავად, მაჰმადიანები, ინდუსები, სიქჰები თუ ბუდისტები ერთიან ნაციას წარმოადგენდნენ. სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ შეიხ აბდულა და მისი თანამოაზრეები შტატისთვის ცალკე მოქალაქეობის შემოღებას. ნაციონალობა, ეროვნება ამ შემთხვევაში ტერიტორიულ პრინციპს ემყარებოდა და არა ეთნიკურს (ეთნიკურ ერთობაზე საუბარი გამართლებული იქნებოდა მხოლოდ მუსლიმან და ინდუს ქაშმირელთა უმრავლესობის მიმართ, მაგრამ, მაგალითად, შტატის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ეთნიკური ტიბეტელები "გარიყული" აღმოჩნდებოდნენ). "ქაშმირელის" ნაციონალური იდენტობა გამომხატველი იქნებოდა ქაშმირის შტატის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის მოქალაქეობისა. რასაკვირველია, დელი ეწინააღმდეგებოდა ცალკე ასეთი მოქალაქეობის შემოღებას, რადგან რაკი ქაშმირი ინდოეთს შეუერთდა, შტატის მცხოვრებნი ინდოეთის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ, ანუ მათი ნაციონალური იდენტობა უნდა ყოფილიყო "ინდოელი" და არა "ქაშმირელი"; მაგრამ "ინდოელობა", როგორც ეროვნული იდენტობა, მიუღებელი იყო მრავალი მაჰმადიანი ქაშმირელისთვის, რადგან "ინდოელობას" მათთვის რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და ინდუსობასთან იგივდებოდა — ინდოეთი ხომ იმ სამეფო შტატების გაერთიანებით შეიქმნა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ინდუსები შეადგენდნენ (ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი ქაშმირის შტატი იყო).

აქ ორიოდე სიტყვით უფრო უნდა დავაკონკრეტოთ ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალობის ცნებათა შინაარსი. იდენტობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია. "სამოქალაქო" ან "დასავლური" კონცეფციის თანახმად (პირობითად მას ფრანგულსაც უწოდებენ, რაკი საფრანგეთის რევოლუციამ დაამ-

კვიდრა), ნაციონალური იდენტობა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ პრინციპს ეფუძნება ანუ გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირი არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე და, შესაბამისად, მისი ეროვნება (განურჩევლად რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა კუთვნილებისა) ამ სახელმწიფოდან გამომდინარეობს (მაგ., საფრანგეთის მოქალაქე არის ფრანგი, მექსიკის მოქალაქე — მექსიკელი და ა. შ.). ფრანგულის საპირისპიროდ, გერმანული კონცეფცია (აღმოსაველეთ ევროპული და აზიური ნაირსახეობების გამო, მას არადასაველურ კონცეფციადაც მოიხსენიებენ)[45] ნაციონალობის განმსაზღვრელ ფაქტორად ეთნიკურ წარმომაელობას მიიჩნევს და არა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულს. ამ კონცეფციის გერმანული წარმოშობა არც არის გასაკვირი, რადგან, "საერთოდ, გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერების მნიშვნელობაზე ყურადღება პირველად გერმანიაში, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაამახვილეს. ფილოსოფოსები ჰერდერი და ფიხტე ხაზს უსვამდნენ იმას, რასაც ისინი გერმანული კულტურის უნიკალურობისა და უპირატესობის საფუძვლად მიიჩნევდნენ, საფრანგეთის რეოლუციის იდეების საპირისპიროდ. ჰერდერს სწამდა, რომ ყოველ ერს გააჩნია Volksgeist ანუ "ეროვნული სული", რომელიც ამ ხალხებს შემოქმედებით მუხტს ანიჭებდა... მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი კულტურული ნაციონალიზმი იყო გერმანიაში, სადაც ის ხალხური ტრადიციების, მითებისა და ლეგენდების აღორძინებაში გამოიხატა"[46] (იმ პერიოდში გერმანია ჯერ კიდევ პასიური კულტურული ერთობა, "კულტურული ნაცია" იყო, რომელიც მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს იქცა პოლიტიკურ ერთობად — "სახელმწიფო ნაციად").

როგორც ვხედავთ, ნაციონალობის გერმანული კონცეფციის ცენტრში ეთნიკური ერთობა დგას, რომელიც ერთგვარ "ცოცხალ ორგანიზმად", "ზეოჯახად" აღიქმება და ინდივიდი არის მისი ნაწილი, ფრანგული კონცეფცია კი ხაზგასმით პიროვნების თავისუფლებასა და თანასწორობაზეა ორიენტირებული და ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობას შედარებით უფრო მექანიცისტურ, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ გაერთიანებას უპირისპირებს (ყველაზე ზოგადი განმარტებით, ნაცია "იმ ადამიანთა ერთობაა, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე კანონებსა და ინსტიტუციებს ემორჩილებიან").[47] თანამედროვე მსოფლიო ნაციონალობის სწორედ ფრანგულ კონცეფციას იზიარებს: "ისტორიული ტერიტორია, სამართლებრივ-პოლიტი-

45. ე. ღ. სმიტი, ნაციონალური იდენტობა, თბ. 2008, გვ.14
46. ე. ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ. 2004, გვ. 192
47. ე. ღ. სმიტი, ნაციონალური იდენტობა, თბ. 2008, გვ. 10

კური საზოგადოება და საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია — ყოველივე ეს არის ნაციის სტანდარტული, დასავლური მოდელის კომპონენტები", რომლებიც "უმთავრეს ელემენტებად რჩებიან, შესაძლოა, გარკვეული სახეცვლილებებით — ნაციონალური იდენტობის არადასავლური კონცეფციების უმრავლესობაშიც".[48]

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით, რა შეიძლება ითქვას საქართველოს ტერიტორიების მოსახლეობის ნაციონალური თუ ეთნიკური იდენტობის შესახებ? უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე საუბარს აზრი აქვს მხოლოდ აფხაზებთან დაკავშირებით, ე.წ. "სამხრეთ ოსეთელის" ცალკე ეროვნულ ან თუნდაც ეთნიკურ იდენტობად გამოყოფა კი, უბრალოდ, არასერიოზულია.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ პრინციპზე დამყარებული ნაციონალობა აფხაზებს ვერ ექნებათ, რადგან ცალკე სახელმწიფო არასოდეს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ (კრემლის, ორტეგა-ჩავესისა თუ ნაურუს მიერ "დამოუკიდებელ რესპუბლიკად" ცნობა არაფერს ნიშნავს და აფხაზეთის "მოქალაქეობის" დამადასტურებელი "პასპორტებიც", ცხადია, მხოლოდ ფარატინა ქაღალდებია). გარდა ამისა, აფხაზეთის "პასპორტების" მფლობელთა სულ მცირე 80%-ს რუსეთის პასპორტიც აქვს (საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მოსახლეობის "პასპორტიზაციის" — რუსეთის პასპორტების დარიგების უკანონობა ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული ევროკავშირის დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანუ ჰ. ტალიავინის კომისიის დასკვნაში). აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად არააფხაზები (მაგ., სომხები, რუსები) თავიანთ თავს აფხაზს, თუნდაც მხოლოდ "მოქალაქეობის" გაგებით, არ უწოდებენ (სამაგიეროდ, თავის თავს აფხაზს უწოდებს ათეულობით ათასი თურქეთის მოქალაქე, მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ "მუჰაჯირობის" დროს გადასახლებული ეთნიკური აფხაზების შთამომავლები). ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ თანამედროვე გაგებით, ანუ ფრანგული კონცეფციით, აფხაზის ნაციონალური იდენტობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ აფხაზების გამაერთიანებელი ფაქტორი არის ეთნიკური იდენტობა, რომელიც საერთო წარმომავლობას ემყარება; მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაშიც, იდენტიფიკაციის მცდელობისას სერიოზულ სიძნელეებს ვაწყდებით.

აფხაზეთის კონფლიქტის განხილვისას (იხ. გვ. 60,122) უკვე ითქვა, რომ, ერთი მხრივ, ჩერქეზები, ადიღები, ყაბარდოელები და აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები, კავკასიის ავტოქთონური, მონათესავე

48 ე. ღ. სმითი. ნაციონალური იდენტობა, თბ. 2008, გვ. 13

ტომების შთამომაელები ვართ; უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მართალია, აფხაზები, ლინგვისტური თვალსაზრისით, ჩრდილოეთ-ადიღეურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ ანთროპოლოგიურად დასავლელქართველებთან (მეგრელ-ლაზებთან) უფრო ახლოს არიან.[49]

ეს სრულიად ბუნებრივია თუ გავითვალისწინებთ, რომ მონათესავე ქართველები/მეგრელები და აფხაზები უკვე ათასწლეულების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და თანამედროვე აფხაზების 70%-ს ქართული (მეგრულ-ლაზური) გვარი აქვს. აფხაზეთში არ არსებობდა ქართული ოჯახი, რომელსაც აფხაზი ნათესავი არ ჰყავდა და პირიქით. აღსანიშნავია, რომ რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც ქართველებისა და აფხაზების ურთიერთგადამტერებას ისახავდა მიზნად, 1990-იანი წლების კონფლიქტამდე აფხაზეთში ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო.

აქედან გამომდინარე, აფხაზის იდენტობისთვის ეთნიკური ფაქტორიც ვერ გამოდგება მეტ-ნაკლებად საიმედო "საყრდენად", რადგან მეტისმეტად რთულია "ეთნიკური ზღვარის" გავლება თანამედროვე აფხაზსა და ქართველს (მეგრელ-ლაზს) შორის. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ეთნიკური ერთობის (ანუ "ეთნოსის", ფრანგული ტერმინოლოგიით) 6 ძირითად მახასიათებელს. ესენია:

1) კოლექტიური საკუთარი სახელი;
2) საერთო წინაპრის მითი;
3) ზიარი ისტორიული მეხსიერება;
4) საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი;
5) განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება;
6) სოლიდარობის გრძნობა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში".[50]

აფხაზეთის ისტორიის გათვალისწინებით, ექვსივე ეს პუნქტი მეტ-ნაკლებად პრობლემურ კითხვებს იწვევს და მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელი ხდება ქართული კონტექსტის გარეშე, რადგან ქართველებისგან განცალკევებით აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ (აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზებიც და ქართველებიც ხომ ავტოქთონური მოსახლეობა ვართ).

როგორც ერთგან უკვე აღვნიშნეთ (იხ. გვ. 125), აფხაზეთის დისტანცირება დანარჩენი საქართველოსგან ყოველთვის გარე ძალის აქტიური ქმედებებით იყო გამოწვეული (ბიზანტია, ოსმალეთი, შეფის რუსეთი, საბჭოთა რუსეთი, პოსტსაბჭოთა რუსეთი). ამასთანავე, როცა გარე ძალის გავლენა სუსტდებოდა, აფხაზურ-ქართული ერთობა ისევ

49. გ. ჯაიანის, აფხაზების ეთნოგენეზისის პრობლემა ქართველურ და ადიღეურ ენობრივ ჯგუფებთან ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე. თბ. 1963. Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. Краниологические исследования. М. 1974. ст.194

50. ჯ. დ. სმიტი. ნაციონალური იდენტობა. თბ. 2008. გვ. 27

რეალობად იქცეოდა ხოლმე. ეს ხდებოდა სწორედ განსაკუთრებული ეთნიკურ-ისტორიული ერთობის საფუძველზე. გარკვეული ბზარი ამ საფუძველს გაუჩნდა ოსმალებისა და ჩრდილოკავკასიელი ჩერქეზ-ადიღეელების შეძოტევის დროს, როცა თანდათან ეთნიკურ იდენტობას საფრთხე შეუქმნა რელიგიურმა, ისლამურმა იდენტობამ (საბოლოოდ, სწორედ ამ საფრთხეს მოჰყვა "მუჰაჯირობაც"). აფხაზების სამაგალითოდ დასჯის შემდეგ, ცარიზმმა თანდათან დაიწყო გაყალბებული ისტორიისა და მითების გავრცელება აფხაზეთში, რათა ქართველებისადმი მტრული ეთნიკური იდენტობა ჩაენერგა აფხაზებისთვის. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც დადასტურდა 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში ქართველებისა და აფხაზების ეთნიკურ-ისტორიული ერთობის აღდგენით. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ კრემლმა ახალი, საბჭოური მითები შეთხზა და გეგმაზომიერად დანერგა აფხაზეთში. ესაა თავიდან ბოლომდე გამოგონილი ფსევდოიდენტობა, რომლის ერთადერთი ფუნქციაა რეალური ეთნიკური იდენტობის ჩანაცვლება თუ "გადაფარვა".

სინამდვილეში, ისტორიული, ქართულთან შესისხლხორცებული აფხაზური ეთნიკური იდენტობისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული აფხაზური იდენტობის გარკვევა რთული პრობლემაა და სპეციალური საშეცნიერო კვლევის საგანია. აფხაზების მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს თავისი ნამდვილი ეთნიკური იდენტობა, მაგრამ კრემლის საოკუპაციო რეჟიმის, სრული საინფორმაციო ვაკუუმისა და უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური წნეხის პირობებში, ჯერჯერობით ისევ პასიურ მდგომარეობაში რჩება (მრავალმა მათგანმა კონფლიქტის დაწყებისას დატოვა აფხაზეთი და დღემდე არ დაბრუნებულა). აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების მეორე ნაწილს, რუსიფიკაციის გამო, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს თავისი ეთნიკური იდენტობა და მზადაა რუსეთის "იმპერიულ ოკეანეში" გაითქვიფოს. ეს ნაწილი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს და ნაკლებად ადარდებს აფხაზური კულტურის შენარჩუნება. შესაბამისად, ამ ფენის წარმომადგენელთათვის არაფერს ნიშნავს არც "მუჰაჯირობის" უმძიმესი პრეცედენტი, არც რუსეთის ახლანდელი ხელისუფლების წაქეზებით ამ ქვეყანაში ნეოფაშიზმის ლამის ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება და თითქმის ყოველ დღე რუსეთის სხვადასხვა ქალაქში სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი არარუსების (უმეტესად, კავკასიელების) მკვლელობებისა თუ ცემა-შეურაცხყოფის ფაქტები.

აფხაზების ცალკე ჯგუფს ქმნიან აფხაზეთის გარეთ, საქართველოს

სხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზები (მათი უმრავლესობა, კონფლიქტის დროს, 1990-იანი წლების დასაწყისში, აგრესიულმა სეპარატისტულმა ჯგუფებმა გამოდევნეს აფხაზეთიდან).

ცალ-ცალკე ჯგუფებად უნდა გამოიყოს ასევე დსთ-ის (ძირითადად, რუსეთის) ტერიტორიაზე დასახლებული აფხაზები და "შუპაჯირების" შთამომავლები, რომლებიც თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში სახლობენ. ამ უკანასკნელთა ეთნიკური იდენტობა ძალზე მჭიდროდ ებმის რელიგიურ იდენტობას და მათ ნაკლებად აქვთ შენარჩუნებული კავშირი თავიანთ ნამდვილ ისტორიულ-კულტურულ ძირებთან. თითოეულ ამ ჯგუფს თავისებური, მეტ-ნაკლებად განსხვავებული წარმოდგენა აქვს აფხაზურ ეთნიკურ იდენტობაზე და ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. აფხაზებისთვის (და, შესაბამისად, ქართველებისთვისაც) ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ კრიტიკულ პერიოდში, როგორშიც ამჟამად ვიმყოფებით.

სრულიად ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კრემლის საოკუპაციო ჯარების ყოფნა აფხაზეთის ტერიტორიაზე თანდათანობით განადგურებით ემუქრება აფხაზურ იდენტობას, აფხაზურ ენასა და კულტურას. ამიტომ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისთვის გულისხმობს არა მხოლოდ საერთო ადამიანური ღირებულებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, არამედ აფხაზებისა და ასევე ოსების (მთლიანად ოსების) ეთნიკური იდენტობისა და მათი კულტურის დაცვასაც

ეთნიკური იდენტობის პრობლემასთან ერთად აღსანიშნავია სამართლებრივი საკითხები, რომელთა განხილვა განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს ქაშმირისა და საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართებას.

ქაშმირის კონფლიქტის მონაწილეთა შესახებ უნდა ითქვას, რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ორივე მხარის პოზიცია, გარკვეულწილად, ანგარიშგასაწევ არგუმენტებს ემყარება.

მართალია, 1947 წელს პაკისტანის გენერალური გუბერნატორის მიერ ქაშმირის ინდოეთთან მიერთების "თაღლითობად და ძალადობად" გამოცხადება (იხ. გვ 440) ნაკლებად დამაჯერებელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ მიერთების შეთანხმების ხელმოწერამდე ქაშმირში პაკისტანიდან შეიარაღებული ჯგუფების შეჭრას და ქაშმირის მაშინდელი ძირითადი პოლიტიკური ძალის — ეროვნული კონფერენციის ლიდერის, შეიხ აბდულას დადებით პოზიციას მიერთების შეთანხმების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ისლამაბადის ოფიციალურ ვერსიას გარკვეულ დამაჯერებლობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ეყუძნე-

ბა გაერთის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს (# 47 და 51 (1948), #80 (1950)), რომელთა თანახმად, ქაშმირის საბოლოო დისპოზიცია უნდა განისაზღვროს ხალხის ნების შესაბამისად (იხ. გვ. 441). გაერთის კომისიის (UNCIP) 1948 წლის 13 აგვისტოსა და 1949 წლის 5 იანვრის რეზოლუციებში კი დაკონკრეტებულია, რომ ქაშმირელი ხალხის ნება ინდოეთთან ან პაკისტანთან მიერთების შესახებ, საბოლოოდ, უნდა გადაწყდეს "დემოკრატიული პროცედით, თავისუფალი და მიუკერძოებელი პლებისციტის მეშვეობით" (იხ. გვ. 442). ყველა ეს რეზოლუცია მიღებულია ინდოეთისა და პაკისტანის თანხმობით, მაგრამ, ისლამაბადის განცხადებით, ინდოეთი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა პლებისციტის გამართვას.[51] ხალხის ნების უშუალოდ გამოხატვას ოფიციალურად ქაშმირის ეროვნული კონფერენციაც მხარს უჭერდა, თუმცა, რეალურად, მასაც ერჩივნა, არა უშუალოდ ხალხს, არამედ თავად გადაეწყვიტა შტატის საბოლოო სტატუსი დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებში გამარჯვების გზით.

ცხადია, ქაშმირელთა მიერ არჩეულ დამფუძნებელ ასამბლეას გარკვეული ლეგიტიმურობა უდავოდ ჰქონდა, მაგრამ ამ ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებზე საუბრისას, ისლამაბადი, ბუნებრივია, იმოწმებს გაერთის უშიშროების საბჭოს 1951 და 1957 წლების რეზოლუციებს (# 91 და 122), რომლებშიც აღნიშნულია, რომ ჯამუსა და ქაშმირის შტატის ტერიტორიის მხოლოდ ერთ ნაწილზე არჩეულ დამფუძნებელ ასამბლეას ვერ ექნება უფლებამოსილება, მთელი შტატის საბოლოო დისპოზიცია განსაზღვროს. აქვე უნდა ითქვას, რომ გაერთის უშიშროების საბჭოს ზემოხსენებული რეზოლუცია (N# 122) მიღებულია 1957 წლის 24 იანვარს, ე.ი. მას შემდეგ, რაც ქაშმირის დამფუძნებელ ასამბლეას, შეიხ აბდულას დაპატიმრებიდან მესამე წელს (1956) უკვე დამტკიცებული ჰქონდა შტატის კონსტიტუცია, რომელიც ქაშმირს ერთმნიშვნელოვნად ინდოეთის შემადგენელ ნაწილად აცხადებდა.

პაკისტანის უდავოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტია ასევე მასობრივი გამოსვლები ქაშმირში და ინდოეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ შტატის ტერიტორიაზე ჩადენილი უამრავი ძალადობის ფაქტი, სახელდობრ, მშვიდობიან დემონსტრაციათა დახვრეტა, დაკავებულთა სიკვდილით დასჯა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ათასობით ადამიანის "გაუჩინარება", წამება, გაუპატირება და ასევე რელიგიურ-კულტურულ ძეგლთა დაზიანება-განადგურება (ისლამაბადის ოფიციალური ინფორმაციით, 1989 წლიდან დღემდე დაღუპულ ქაშმირელთა რიცხვი 90 ათასს აღწევს).[52]

51 http //www.mofa.gov.pk/Pages/Brief.htm

52 იქვე

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ინდოეთის ძალოვანთა მიერ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტები დადასტურებულია ავტორიტეტული, დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ (მაგ. "პუმან რაითს ვოჩი", "ემნისტი ინტერნეიშნლი").

მეორე მხრივ, რასაკვირველია, თავისი სიმართლე და არგუმენტაცია აქვს ინდოეთის ხელისუფლებასაც. 1972 წლის სიმლას ხელშეკრულების დადებამდე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან დაკავშირებით, დელის საკვანძო არგუმენტი იყო ის, რომ სწორედ პაკისტანმა არ შეასრულა თავისუფალი, სამართლიანი პლებისციტის გამართვისთვის აუცილებელი უპირველესი წინაპირობა — რომელიც თვით ამ რეზოლუციებშია დაფიქსირებული — არ გაიყვანა თავისი ჯარები ქაშმირის შტატის ჩრდილო რეგიონიდან. სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე, რაკი საერთაშორისო საზოგადოებამ, სახელდობრ, გაერომ ვერ უზრუნველყო მისივე რეზოლუციის აღსრულებისთვის აუცილებელი პირველი პირობის განხორციელება, ქაშმირელი ხალხის ნების ერთადერთი გამომხატველი გახდა დამფუძნებელი ასამბლეა (მართალია, ასამბლეის არჩევნები მთლიანად შტატის ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მასში შტატის მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობდა და იგი გაიმართა ქაშმირის ცენტრალურ და სამხრეთ, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში).

1972 წლიდან კი, სიმლას ხელშეკრულების დადების შემდეგ, დელი აცხადებს, რომ მანამდე მიღებულ შეთანხმებებსა და რეზოლუციებს (მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოსა და კომისიის რეზოლუციებს) ძალა დაეკარგათ, რადგან სიმლას ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებმა დაადგინეს ქაშმირის პრობლემის მოგვარება ორმხრივი მოლაპარაკების გზით.

ინდოეთის ხელისუფლების არგუმენტთა სასარგებლოდ ცხადად მეტყველებს ათწლეულების განმავლობაში ეროვნული კონფერენციისა და მისი ლიდერების გარკვეულწილად ცვალებადი, მაგრამ, არსებითად, მაინც პროინდური და არა პროპაკისტანური პოზიცია. ამ მხრივ, ბუნებრივია, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ 11-წლიანი პატიმრობისა და ინდოეთის ძალოვნების მიერ ქაშმირში ჩადენილ დანაშაულთა მიუხედავად, შეიხ აბდულა მაინც არ მიემხრო პაკისტანს და მისმა მემკვიდრეებმაც ანალოგიური არჩევანი გააკეთეს (ხაზგასასმელია, რომ 1996 წლის შემდეგ, ქაშმირის საკანონმდებლო ასამბლეის მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ არჩევნებში, სწორედ ეროვნული კონფერენცია და შეიხ აბდულას მემკვიდრეები იმარჯვებენ).

აუცილებელია ასევე იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ქაშმირში ეთნოწმენდა ინდუსების მიმართ განხორციელდა, რაც დაფიქსირებულია, მაგალითად, აშშ-ის კონგრესის მიერაც (იხ. გვ. 466).

სრულიად სხვა ვითარებაა საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით. აქ არ არსებობს რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სათუოს გახდიდა საქართველოს პოზიციას ძირეული საკითხების მიმართ (უპირველესად, საუბარია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებისა და აგრეთვე მათი საკუთრების უფლების შესახებ). ეუთოს, ევროსაბჭოს, გაეროს რეზოლუციებში არაერთხელ არის დადასტურებული (იხ. გვ. 29, 632, 638), რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა ეთნიკური წმენდა, უპირატესად, ქართველი მოსახლეობის მიმართ (გაეროს რეზოლუციის თანახმად, "დემოგრაფიული ვითარების ძალადობრივი გზით შეცვლა"). ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ,[53] ევროკავშირმა, დასავლეთის უმაღლესი რანგის წარმომადგენლებმა (მათ შორის, პილარი კლინტონმა და ჯოზე მანუელ ბაროზუმ) ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი არის ოკუპირებული და ისინი კრემლისგან პერმანენტულად მოითხოვენ რუსეთის პრეზიდენტის მიერვე ხელმოწერილი 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებას, ანუ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას. კრემლის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" "დამოუკიდებლობის" აღიარებას მხარი დაუჭირა მხოლოდ ორტეგა-ჩაევესის ოდიოზურმა დუეტმა და ნაურუმ (ისიც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ), სამაგიეროდ, გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს ათეულობით რეზოლუციაში მხარდაჭერილია საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ევროსაბჭომ კი თავისი რეზოლუციებით (# 1633, 03.10.2008, # 1647, 28.01.2008) პირდაპირ მოუწოდა კრემლს, "უკან გაიწვიოს" საქართველოს ოკუპირებული რეგიონების "დამოუკიდებლობის" აღიარება (აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" ცნობას კრემლი ჯერ კიდევ 1920-იან წლებში, საქართველოს ოკუპაციის შემდგომ პერიოდშიც ამზადებდა, თუმცა მაშინ ეს პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა, იხ. გვ. 84, 89). გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ეუთოს რეზოლუციებში ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული ეთნოწმენდის მსხვერპლთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და ასევე მათი საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის შესახებ.

ამ ქვეთავის გათვალისწინებით, უბრალოდ, ადგილი აღარ რჩება

53 http://www.nato-pa.int/default.asp?SHORTCUT=2245

ორჭოფობისთვის, როცა საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით, საუბარია სამართლებრივ შეფასებებზე ან ისტორიულ, თუ სხვა სახის სამართლიანობაზე. ხაზგასასმელია, რომ 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ, საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით, მეორე მხარეს, ანუ კრემლს არანაირი არგუმენტი აღარ დარჩა გარდა ერთისა — სამხედრო ძალისა, რომელიც განაგრძობს საქართველოს ორი რეგიონის უკანონო ოკუპაციას, რაც უკვე შეფასებული და დაგმობილია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

ქაშმირისა და საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ ამ ძირეული ფაქტორების განხილვის შემდეგ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან განმასხვავებელ მომენტზე:

1) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინდოეთის პოლიტიკაში თანდათან გაძლიერდა ტენდენცია ქაშმირის ავტონომიის შეზღუდვისკენ (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ინდოეთის მთავრობის კურსის ასეთ ცვლილებას ხელი შეუწყო ქაშმირის ეროვნული კონფერენციის ლიდერთა მიერ დელის 1952 წლის შეთანხმების პირობათა შეუსრულებლობამ). სწორედ ავტონომიის შეზღუდვისკენ მიმართული პოლიტიკის კულმინაცია იყო შეიხ აბდულას დაპატიმრება 1953 წელს.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა ავტონომიურ ერთეულებთან წარმოქმნილი სადავო საკითხები დიალოგის გზით გადაეწყვიტა და რომ არა კრემლის პირდაპირი, ჯერ პოლიტიკურ-სამართლებრივი და შემდეგ შეიარაღებული ჩართვა საქართველოს დაშლისკენ მიმართულ პროცესებში, ყველა პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს სრულ მხარდაჭერას საერთაშორისო მასშტაბით უპრეცედენტო კომპრომისისადმი მკაფიოდ ადასტურებს 1991 წლის 9 ივლისს მიღებული აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო ეთნიკურ უმცირესობას: მოსახლეობის 17,8 პროცენტი (აფხაზები) პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ 28 დეპუტატით, ხოლო 45,7 პროცენტი (ქართველები) — მხოლოდ 26 დეპუტატით. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი (სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი) — 11 დეპუტატით.

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეკოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი.

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დროს, 1919 წელს ჩატარდა აფხაზეთში პირველი საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნები, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში კი აფხაზეთი დაფიქსირებულია როგორც ავტონომიური ერთეული (იხ. გვ. 82).

რაც შეეხება ყოფილ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს", ხაზგასასმელია, რომ მისი გაუქმება 1990 წლის 11 დეკემბერს მოხდა, როცა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც მნიშვნელოვნად უზღუდავდა სამოქმედო სივრცეს საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას. საქმე ის არის, რომ, ერთი მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოური, კრემლის მიერ დანიშნული ხელისუფლება, კრემლის ინსტრუქციის შესაბამისად, ყოველმხრივ ამწვავებდა ვითარებას და, მეორე მხრივ, ისევ და ისევ კრემლის მიერ 1990 წლის 3 აპრილის მიღებული ახალი კანონი უშუალო საფრთხეს ქმნიდა საქართველოსგან ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ჩამოშორებისა და მისი პირდაპირ ცენტრისთვის (კრემლისთვის) დაქვემდებარებისთვის. იმ კონკრეტულ ვითარებაში, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას სხვა არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა, თუ არა ამგვარი სამართლებრივი ნაბიჯისა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა სამართლებრივ დონეზე დაეცვა; სწორედ ამგვარი იძულებითი პირობების გამო, მან გააუქმა "სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი" (რომელიც, უნდა გავიმეოროთ, ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულიად ხელოვნურად და უკანონოდ შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე 1922 წელს, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია განხორციელდა).

ავტონომიური წარმონაქმნებისა და ეთნიკური უმცირესობებისადმი აბსოლუტურად პოზიტიური, კონსტრუქციული მიმართება შეინარჩუნა და კიდევ უფრო ფართოდ წარმოაჩინა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, რასაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად შეშუშავებული სამშვიდობო, კომპრომისული ინიციატივები. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ არაერთგზის დაუჭირა მხარი ამ ინიციატივებს, კრემლის წინააღმდეგობის გამო, მათი განხორციელება დღემდე ვერ ხერხდება (ვრცლად იხ. გვ. 105-106, 155-159).

2) ქაშმირში ეთნოწმენდის მსხვერპლი არის შტატის უმცირესობა, ძირითადად, ინდუსი მოსახლეობა (თუმცა, მთლიანად ინდოეთში ინ-

ღუსები უმრავლესობაა).

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში — აფხაზეთში — საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე; აქ უმრავლესობის, ქართველების მიმართ განხორციელდა ეთნოწმენდა (ქართველები უმრავლესობაში იყვნენ როგორც აფხაზეთში, ასევე მთლიანად საქართველოში), რაც დადასტურებულია ეუთოს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ. ბუნებრივია, აფხაზეთის მოსახლეობის 17,8 პროცენტი, ანუ აფხაზები, თუნდაც მათ უმრავლესობას მიეღო მონაწილეობა ეთნიკურ წმენდაში, მათი მცირე რაოდენობისა და მწირი შეიარაღების გათვალისწინებით, ვერ შეძლებდნენ მოსახლეობის 45,7 პროცენტის, ანუ ქართველების, ფაქტობრივად, სრულად გაძოდევნას აფხაზეთიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ რეალურად არათუ ეთნოწმენდაში, არამედ ჩვეულებრივ საომარ მოქმედებებშიც კი აფხაზების ძალზე მცირე ნაწილი მონაწილეობდა და ეს უმძიმესი დანაშაული, ძირითადად, რუსეთის ჯარებმა განახორციელეს (ისევე როგორც 2008 წელს ე.წ. "სამხრეთ ოსეთში").

3) როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთი დამოუკიდებელი წყაროს მიერ დადასტურებულია ინდოეთის ჯარების მიერ ქაშმირელ მაჰმადიანთა მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტის, წლების განმავლობაში ათასობით პროტესტანტი შუსლიმანის "გაუჩინარების", წამებისა თუ გაუპატიურების ფაქტები; უნდა აღინიშნოს ასევე მაჰმადიანური რელიგიურ-კულტურული ძეგლების დაზიანება-დანგრევის შემთხვევები, რაც აღგილობრივი მოსახლეობის მძაფრ საპროტესტო რეაქციას იწვევდა.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მსგავსი დანაშაულები რუსულ-აფხაზური ან რუსულ-ოსური შეიარაღებული შენაერთების მიერ ხორციელდებოდა და ახლაც ხორციელდება ქართველებისა და ქართული რელიგიურ-კულტურული ძეგლების მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, აფხაზეთში, აქტიურ საომარ მოქმედებათა დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 1500 ეთნიკური ქართველი დაიღუპა, არ წყდება ასევე უკანონო დაკავების, პატიმრობის, წამების, გაუპატიურების თუ სხვაგვარი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები.

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები შეგნებულად ანადგურებენ ან ამახინჯებენ ქართულ რელიგიურ-კულტურულ ძეგლებს (აქის მკაფიო მაგალითია ბედიის X საუკუნის გაძარცული, ნახევრადდანგრეული ეკლესია და ახლახან თეთრად შელესილ-გადაღებილი და დამახინჯებული XI საუკუნის ილორის ეკლესია (შელესვა-გადაღებით დაფარეს ძველი ქართული წარწერები და ფრესკები).

4) მართალია, გარე ძალა ანუ პაკისტანი, ხან ფარულად, ხან კი

ღიად ერეოდა ქაშმირის კონფლიქტში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო თვალსაზრისით, ის გაცილებით სუსტი იყო და არის ინდოეთთან შედარებით (ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც 1971 წლის ომის შედეგი). მოგვიანებით პაკისტანი, ბირთვული შეიარაღების ხარჯზე, გარკვეულწილად, გაუთანაბრდა ინდოეთს, მაგრამ ამით ძალთა ბალანსი პრინციპულად არ შეცვლილა.

ამ მხრივ განსხვავება საქართველოს კონფლიქტებთან, ბუნებრივია, ყველასათვის ცხადია. 1990-იან წლებში რუსეთის ჯარები უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში, თუმცა, ოფიციალურად, მაშინ კრემლი ამას უარყოფდა, 2008 წლის აგვისტოში კი მან ღია, სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის არმია, გნებავთ, რაოდენობით, გნებავთ, შეიარაღებით, ცხადია, შეუდარებლად აღემატება საქართველოს ჯარებს (2008 წლის აგვისტოში, სამხედრო აგრესიის შესახებ საუბრისას, მსოფლიო მასმედიაში ხშირად გვხვდებოდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედარება გოლიათისა და ლაეითის ბრძოლის ბიბლიურ ამბავთან).

5) თაეისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქაშმირი არაერთხელ იყო დამოუკიდებელი სამეფო. მართალია, მისი საზღვრები იცვლებოდა და მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა მე-19 საუკუნეში შექმნილი შტატის საზღვრებისგან, მაგრამ, ფაქტია, რომ ქაშმირის სამეფოს ისტორიაში იყო დამოუკიდებლობის საუკუნოვანი პერიოდები.

იმაეეს ნამდეილად ვერ ვიტყეით საქართველოს ამჟამად ოკუპირებულ რეგიონებზე. ის ტერიტორია, რომელიც დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებშია, დამოუკიდებელი, მეტ-ნაკლებად მთლიანი სახელმწიფოებრიეი წარმონაქმნი არასოდეს ყოფილა, თუნდაც მხოლოდ დე ფაქტო (რომელიმე სახელმწიფოს მიერ მის აღიარებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია). ის ყოველთეის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი.

რაც შეეხება ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“, ამ კონტექსტში მისი ხსენება არასერიოზულიც კია, რადგან თეით ეს სტრუქტურა და სახელწოდება — "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" — 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თეით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით).

კვიპროსი

ტერიტორია — 9 251 კმ²; კვიპროსი, სიცილიისა და სარდინიის შემდეგ, სიდიდით, ხმელთაშუა ზღვის მესამე კუნძულია. აკროტირსა და დეკელიაში განლაგებულია დიდი ბრიტანეთის ორი საჰხედრო ბაზა. თვითგამოცხადებული "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა" აკონტროლებს კუნძულის მთლიანი ტერიტორიის 37 პროცენტს (3 423 კმ²).

მოსახლეობა — დაახლოებით 1 022 000, აქედან თითქმის 747 ათასი კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო 275 ათასი — ჩრდილოეთ კვიპროსზე. კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობიდან ნახევარზე მეტს, დაახლოებით, 150 ათას ადამიანს (1975 წლის შემდეგ თურქეთიდან იმიგრირებულებს და მათ შთამომავლებს) კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობა "არალეგალურად მცხოვრებ პირებს" უწოდებს.

ეთნიკური შემადგენლობა: 70% ბერძენი, 26% თურქი, 4% სხვა ეთნოსის წარმომადგენლები.

რელიგია — კვიპროსის რესპუბლიკაში მართლმადიდებლური ქრისტიანობა, საბერძნეთის მსგავსად, სახელმწიფო რელიგია და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ სარწმუნოების მიმდევარია. ჩრდილოეთ კვიპროსში, ძირითადად, სუნიტური ისლამია გავრცელებული.

ვალუტა — ევრო (ჩრდილო კვიპროსში — თურქული ლირა).

კვიპროსი გაეროს წევრია 1960 წლის 20 სექტემბრიდან.

კვიპროსზე პირველი დასახლებები ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-9 ათასწლეულიდან ჩნდება. ყველაზე ადრეულ არქეოლოგიურ შრეებში აღმოჩენილი ნიეთები ადასტურებს კვიპროსის თაღლაპირველ ნათესაობას კუნძულ კრეტის უძველეს ცივილიზაციასთან. გვიანი ბრინჯაოს ხანაში კი კვიპროსი ხეთების მცირეაზიური იმპერიის ნაწილი გახდა.

ძვ.წ. დაახლოებით 1400 წლიდან კუნძულზე ბერძნები გამოჩნდნენ და 4-5 საუკუნის შემდეგ კვიპროსი ბერძნულ კუნძულად იქცა.

ძვ.წ. მე-8 საუკუნიდან კვიპროსი ჯერ ასურეთის, ეგვიპტისა და სპარსეთის, შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემეოსის იმპერიების შემადგენლობაში იყო. ალექსანდრე მაკედონელის დროიდან კვიპროსი მთლიანად ელინისტურ სამყაროს ეკუთვნის. პტოლემეოსმა გააშენა ქალაქი-სახელმწიფოები და კვიპროსი ერთიან სტრუქტურად ჩამოაყალიბა.

ძვ.წ. 58 წელს კუნძული რომის იმპერიამ დაიკავა.

395 წ. — კვიპროსი ბიზანტიის ნაწილი გახდა და შემდგომში 8 საუ-

კუნის განმაელობაში აქ მართლმადიდებლური ქრისტიანობა იმდენად მყარად დამკვიდრდა, რომ ეს აღმსარებლობა, ბერძნულ ეთნიკურ კუთვნილებასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისთვის დღემდე რჩება თვითიდენტიფიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორად.

1191 — მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კვიპროსი ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა დაიპყრო და ერთი წლის შემდეგ ტამპლიერებს მიჰყიდა. ამ დროიდან კუნძულზე ოფიციალურ რელიგიად კათოლიციზმი ითელებოდა.

1489 — დასრულდა ვენეციის მიერ კუნძულის ანექსიის პროცესი, რომელიც XIV საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. ვენეციელებმა გააამაგრეს ნიქოზიის ციხე-სიმაგრე და ეს ქალაქი ხმელთაშუა ზღვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომერციულ ცენტრად აქციეს. ჯვაროსნებისა და ვენეციელების ბატონობის პერიოდში კვიპროსის ეკონომიკურად დაწინაურებულ ქალაქებში ჩამოყალიბდა აღგილობრივი, ბერძნულ-მართლმადიდებლური ტრადიციებისგან განსხვავებული, ევროპულ-კათოლიკური კულტურის მქონე ელიტა, რომლის ძირითად ნაწილს ევროპელი თავადაზნაურებისა და ვაჭრების შთამომაელები შეადგენდნენ.

1570 — კვიპროსმა ვეღარ გაუძლო ოსმალების 60 ათასკაციანი ლაშქრის შემოსევას და ოსმალეთის იმპერიის ნაწილად იქცა, თუმცა უკანასკნელი საკვანძო პორტის — ფამაგუსტას დამცველები კიდევ თითქმის ერთი წელიწადი ინარჩუნებდნენ ქალაქს. კვიპროსული წყაროების ცნობით, ნიქოზიის აღებისა და დარბევის დროს 20 ათასი ადამიანი მოკლეს, ამასთანავე, გაიძარცვა და დაინგრა ქალაქის ყველა ქრისტიანული ტაძარი. კუნძულის ევროპულ-კათოლიკური ელიტა, ფაქტობრივად, განადგურდა და მისი აღგილი ჩამოსახლებულმა ოსმალებმა დაიკავეს. ანტიკური ეპოქის შემდეგ კვიპროსის დემოგრაფიული სურათის მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ ამ დროიდან დაიწყო, თუმცა ბერძნები უმრავლესობას მაინც ინარჩუნებდნენ (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კუნძულის მთლიანი მოსახლეობის ორი მესამედი (დაახლოებით, 100 ათასი ადამიანი) ქრისტიანი, ანუ ძირითადად, ბერძენი იყო). ოსმალებმა გააუქმეს კუნძულზე მოქმედი ევროპულ-ფეოდალური მმართველობა და შემოიღეს მათთვის ჩვეული "მილეთის" სისტემა, რომელიც გულისხმობდა მოსახლეობის დაყოფას რელიგიური პრინციპით და რელიგურ ჯგუფთა გარკვეული თვითმმართველობის დაშვებას სასულიერო ფენის მეთაურობით. შესაბამისად, კუნძულის მკვიდრთა უმრავლესობის ინტერესების დაცვა მათთვის ავტორიტეტული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს

დაეკისრათ ანუ კვიპროსზე კათოლიციზმის 4 საუკუნოვანი დომინირება XVI საუკუნეში დასრულდა. ოსმალეთის ბატონობის პერიოდში კუნძულის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მძიმე პირობებში ცხოვრობდა. კვიპროსელები რამდენჯერმე აჯანყდნენ ოსმალეთის იმპერიისგან თავის დასაღწევად, მაგრამ მათი მცდელობები წარუმატებელი იყო.

1830 — ოსმალეთის წინააღმდეგ საბერძნეთის 9 წლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა და, ლონდონის კონვენციის შესაბამისად, საბერძნეთი დამოუკიდებელი გახდა. ამ დროიდან კვიპროსზე სულ უფრო ძლიერდებოდა "ენოზისის" ანუ საბერძნეთთან გაერთიანების იდეა (1821 წელს, საბერძნეთის ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერისთვის, სიკვდილით დასაჯეს კვიპროსის არქიეპისკოპოსი კვიპრიანე და სამი ეპისკოპოსი).

1878 — რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ ოსმალეთი დათანხმდა დიდი ბრიტანეთისთვის დაეთმო კუნძულის ადმინისტრაციული მმართველობა (და არა სუვერენიტეტი). სამაგიეროდ, სულთანმა გარანტია მიიღო ლონდონისგან, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, ინგლისი ოსმალეთს დაიცავდა, უპირველესად, კვიპროსზე განლაგებული ბაზის გამოყენებით.

1906 — დასრულდა კვიპროსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფამაგუსტას ახალი პორტის მშენებლობა, რომელიც სუეცის არხის მახლობლად მდებარე უმნიშვნელოვანესი საზღვაო პუნქტი გახდა. თავის მხრივ, ამ არხზე გადიოდა ბრიტანეთის ძირითადი "კოლონიური მარშრუტი", რომელიც მას ინდოეთთან აკავშირებდა.

1914 — პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ბრიტანეთმა კუნძულის ანექსია განახორციელა.

1915 — ლონდონმა საბერძნეთს შესთავაზა კვიპროსი იმ პირობით, თუ ეს ქვეყანა, ანტანტის მხარდასაჭერად, დაუყოვნებლივ ჩაებმებოდა ომში. საბერძნეთის მეფე კონსტანტინე I-მა, რომელიც წარმოშობით ერთ-ერთი გერმანული სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო და საბერძნეთში 1913-17 და 1920-22 წწ. მეფობდა, მაშინ უარი თქვა ასეთ შეთავაზებაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის არმიაში ბევრი კვიპროსელი იბრძოდა "ღერძის ქვეყნების" (გერმანია-ავსტრია-იტალია) და მათი მოკავშირე ოსმალეთის წინააღმდეგ.

1923 — ხელმოწერილ იქნა ლოზანის შეთანხმება, რომლის მიხედვით, თურქეთის ახალშექმნილი რესპუბლიკა უარს ამბობდა კვიპროსის მიმართ რაიმე პრეტენზიაზე.

1925 — კვიპროსი ბრიტანეთის "გვირგვინის კოლონიად" გამოცხადდა.

1940 — მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის არმიის ფარგლებში ჩამოყალიბდა "კვიპროსის პოლკი", რომელიც 30 ათასამდე საბჭოთა აერთიანებდა. კვიპროსელებს იმედი ჰქონდათ, რომ ბრიტანეთი ომის შემდეგ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა მათ, თუმცა, ასე არ მოხდა და 50-იანი წლებში კუნძულზე აქტიური განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო.

1950 — კვიპროსის ეკლესიამ და კუნძულის ბერძნულმა თემმა ჩაატარა რეფერენდუმი, რომელზეც ბერძენი კიპრიოტების 90-მა პროცენტმა საბერძნეთთან გაერთიანებას დაუჭირა მხარი, მაგრამ თურქმა კიპრიოტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამ რეფერენდუმს და ბრიტანეთის მთავრობამაც არ ცნო მისი შედეგები.

1955 — ახალშექმნილმა "კვიპროსელი მებრძოლების ეროვნულმა ორგანიზაციამ" ("ეოკა"-მ) შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა წამოიწყო საბერძნეთთან გაერთიანების ლოზუნგით. საპასუხოდ, კუნძულზე შეიქმნა თურქი კიპრიოტების გასაშხედროებული ორგანიზაცია "ვოლკანი", რომელიც "თაქსიმს" ანუ კვიპროსის გაყოფას ქადაგებდა ("თაქსიმ" თურქულად დაყოფას, დანაწილებას ნიშნავს). მალე ამ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო. ამავე დროს, თურქეთში დაფიქსირდა იქ მცხოვრები ბერძნების დარბევის ფაქტები.

1956 — ბრიტანეთის ხელისუფლებასა და "ენოზისის" მშვიდობიანი მოძრაობის ლიდერს, კვიპროსის არქიეპისკოპოს მაკარიოს მესამეს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა, რის შემდეგაც, არქიეპისკოპოსი და ასევე რამდენიმე ეპისკოპოსი ბრიტანელებმა ერთი წლით სეიშელის კუნძულებზე გადაასახლეს, ხოლო მათი მრავალი თანამებრძოლი დააპატიმრეს (იმ პერიოდში კვიპროსზე ბრიტანეთის ჯარების რიცხვი 30 ათასამდე გაიზარდა). თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად დაადანაშაულა საბერძნეთი კუნძულის ანექსიის მცდელობაში. ხანმოკლე შეირაღებული შეტაკებები და დაძაბული ვითარება კიდევ ორ წელიწადს გაგრძელდა.

1957 — ბრიტანეთის მთავრობამ არქიეპისკოპოს მაკარიოსს საბერძნეთში ცხოვრების უფლება მისცა (არქიეპისკოპოსი დაესწრო გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომასაც).

1958 — ამ დროისთვის კვიპროსზე უკვე სამოქალაქო ომის რეალური საფრთხე შეიქმნა და საშვიდობო მოლაპარაკებათა ორგანიზების პროცესში ამერიკის მთავრობაც ჩაერთო, რაც, საბოლოოდ, ერთიანი ბრიტანულ-ამერიკული პოზიციის შემუშავებით დასრულდა.

1959 — 11 თებერვალს ციურიხში შეიკრიბნენ დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და ხელმოწერილ იქნა წინასწარი ბერძნულ-თურქული შეთანხმება. 19 თებერვალს კი ლონდონში გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ზემოხსენებულ მინისტრებთან ერთად დაესწრნენ კვიპროსის ბერძნული და თურქული თემის წარგზავნილები, მათ შორის, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი. თავდაპირველად "ენოზისის" მომხრე მაკარიოსი იმ დროისთვის უკვე მიუიდა იმ დასკვნამდე, რომ საბერძნეთთან გაერთიანებისთვის ბრძოლას დიდი სისხლისღვრა მოჰყვებოდა, შესაბამისად, ამ საფრთხის (ან, კიდევ უარესი, კვიპროსის გახლეჩის) თავიდან აცილების ერთადერთი გზა, თუნდაც შეზღუდული დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტს "ციურიხ-ლონდონის შეთანხმებას" უწოდებენ და სწორედ ამ დოკუმენტით განისაზღვრა ის პირობები, რომლებიც კვიპროსისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას დაერთო. დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი შეთანხმდნენ, რომ ისინი იქნებიან კვიპროსის „დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების" გარანტორები და მათ, როგორც "ქვეყანა-გარანტორებს" უფლება აქვთ ჩაერიონ მის საშინაო საქმეებში ("შეთანხმება გარანტიების შესახებ"). ამავე დროს, სამივე სახელმწიფომ დააფიქსირა, რომ უარს ამბობს კვიპროსის ანექსიის ან მისი გაყოფის მცდელობაზე, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ამ პირობას დაარღვევს, დანარჩენებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ სამხედრო ძალა (სწორედ ეს უფლება გამოიყენა თურქეთმა 1974 წელს). შეთანხმების თანახმად, დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა თავისი სამხედრო ბაზები კუნძულზე, ასევე კვიპროსის საჰაერო სივრცისა და ტერიტორიული წყლების სამხედრო მიზნით გამოყენების უფლება. სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მაკარიოსს ნება დართეს კვიპროსზე დაბრუნებულიყო. 1 მარტს ის ნიქოზიაში ჩავიდა და 13 დეკემბერს ხმათა ორი მესამედით გაიმარჯვა კვიპროსის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში (ამასთანავე, ის დარჩა კვიპროსის არქიეპისკოპოსად).

1960 — 16 აგვისტოს, "ციურიხ-ლონდონის შეთანხმების" საფუძველზე, კვიპროსმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმავე წელს მიღებული კონსტიტუციით, კუნძულის ბერძნული თემი ირჩევდა წარმომადგენელთა პალატის 35 დეპუტატს, ხოლო თურქული — 15-ს. ორივე წარმომადგენლობას მიენიჭა საკანონმდებლო ვეტოს უფლება. თურქულ თემს გარანტირებული ჰქონდა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი და თანამდებობათა 30% სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოში

(მათ შორის არმიასა და პოლიციაში).

1961 — მაკარიოსი, აბდელ ნასერთან, ბროზ ტიტოსთან და ჯავაჰარლალ ნერუსთან ერთად ბელგრადში დაესწრო "მიუმხრობლობის მოძრაობის" (NAM) მეთაურთა შეკრებას, რამაც დასავლეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

1963 — პრეზიდენტმა მაკარიოსმა თურქულ თემს შესთავაზა 13 საკონსტიტუციო ცვლილება, რაც, მისი შეფასებით, ხელს შეუწყობდა თემთა ურთიერთდაახლოებას და სახელმწიფო სისტემის ეფექტიანობის გაზრდას. მაგრამ თურქმა კიპრიოტებმა მაკარიოსის პროექტში დაინახეს საფრთხე, რომელიც მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და გარანტიებს ემუქრებოდა; აქედან გამომდინარე, კვიპროსის ეთნიკურად თურქი ვიცე-პრეზიდენტი და მრავალი სახელმწიფო მოხელე გადადგა თანამდებობიდან. ამასთანავე, თურქმა კიპრიოტებმა მასობრივად დატოვეს ის დასახლებები, სადაც უმცირესობაში იყვნენ და კუნძულის ჩრდილო ნაწილში გადასახლდნენ. ამ პროცესის პარალელურად დაიწყო ორივე თემის წარმომადგენელთა საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც საბოლოოდ შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა.

1964 — 4 მარტს მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს 186-ე რეზოლუცია და ამ რეზოლუციის რეკომენდაციის შესაბამისად, 14 აპრილს, სისხლისღვრის შესაჩერებლად, კვიპროსზე გაეროს სამშვიდობო ჯარები განლაგდნენ, თუმცა, მყარი სტაბილიზაციის მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა. თურქეთის მთავრობა კუნძულზე ჯარების გადასხმას აპირებდა, მაგრამ აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა მკაცრად გააფრთხილა ანკარა, რომ ასეთი ნაბიჯი, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის ჩაბმასაც გამოიწვევდა კონფლიქტში და ასეთ შემთხვევაში, თურქეთს არ უნდა ჰქონოდა ამერიკის დახმარების იმედი. ამ გაფრთხილებამ სათანადოდ იმოქმედა თურქეთზე და კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია თავიდან იქნა აცილებული.

გაეროს სამშვიდობოები, ძირითადად, ცეცხლის შეწყვეტის "მწვანე ხაზის" გასწვრივ განლაგდნენ (ეს ბუფერული ზონა 1974 წლის ზაფხულიდან კუნძულის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს შორის ფაქტობრივ საზღვრად იქცა).

ამ პერიოდში აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა წარმოადგინა კვიპროსის პრობლემის მოგვარების გეგმა, რომელიც, ფაქტობრივად, საბერძნეთსა და თურქეთს შორის კუნძულის გაყოფა-გადანაწილებას ითვალისწინებდა. ბერძნულმა მხარემ აჩესონის გეგმა უმალვე უარყო, ანკარას თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია და არც აშშ-ბრი-

ტანეთი განიხილავდა ამ გეგმას რეალისტურ პროექტად.

1967 — საბერძნეთის ხელისუფლების სათავეში სამხედროები მოვიდნენ და მათ თანდათანობით დაიწყეს კვიპროსის მიერთების გეგმის განხორციელება.

28 დეკემბერს კვიპროსის თურქულმა თემმა გაეროს "შწვანე ხაზის" ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილზე "თურქული რესპუბლიკის დროებითი ადმინისტრაცია" ჩამოაყალიბა.

1968 — საპრეზიდენტო არჩევნებში მაკარიოსი ისევ კვიპროსის დამოუკიდებელი და მშვიდობიანი განვითარების პროგრამით გამოვიდა და დაახლოებით 221 ათასი ბერძენი კიპრიოტის მხარდაჭერა მიიღო; მის კონკურენტს კი, რომლის მთავარი სლოგანი საბერძნეთთან გაერთიანება იყო, მხოლოდ 9 ათასამდე მომხრე აღმოაჩნდა (დაახლოებით 16,5 ათასმა არც ერთს არ მისცა ხმა).

1971 — კვიპროსზე ფარულად დაბრუნდა "ეოკას" დამფუძნებელი გრივასი, რომელიც მაკარიოსს, "ენოზისის" პოლიტიკაზე უარის თქმის გამო, მოღალატეს უწოდებდა. იმავე პერიოდში კუნძულზე დაფუძნდა რამდენიმე გაზეთი, რომელიც აქტიურად ქადაგებდა "ენოზისის" იდეას.

ათენსა და ნიკოზიას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, როცა მაკარიოსის მთავრობის წევრმა საბერძნეთის ხუნტა გააკრიტიკა. ათენმა მაკარიოსს, ფაქტობრივად, ულტიმატუმით მიმართა და მინისტრთა კაბინეტის შეცვლა მოსთხოვა. პრეზიდენტ მაკარიოსის მხარდასაჭერად ნიკოზიაში მასობრივი მიტინგები გაიმართა, თუმცა, ვითარების გამწვავების თავიდან ასაცილებლად, მაკარიოსს მაინც მოუწია რამდენიმე მინისტრის დათმობა. კვიპროსის პრეზიდენტის პოზიციას ასუსტებდა კვიპროსის ეროვნული გვარდიის ოფიცერთა ნაწილის მხარდაჭერა ათენის ხუნტისადმი.

1972 — 2 მარტს კვიპროსის წმინდა სინოდის სხდომაზე მაკარიოსს დაუპირისპირდა სამი ეპისკოპოსი, რომლებიც პრეზიდენტის პოსტიდან მის გადადგომას ითხოვდა, იმ მოტივით, რომ უმაღლეს სასულიერო და საერო თანამდებობათა შეთავსება სჯულის კანონის დარღვევა იყო. მაკარიოსმა საპასუხო განცხადებაში "ამბოხებულ" ეპისკოპოსებს ბრალი დასდო გრივასთან გარიგებაში და განმარტა, რომ ისეთ ვითარებაში, როცა კვიპროსელი ბერძნების ეროვნული გადარჩენის საკითხი წყდებოდა, პრეზიდენტის პოსტის დაკავება არქიეპისკოპოსის უმძიმესი ვალდებულება იყო. ამის შემდეგ მაკარიოსმა, ეპისკოპოსთა პოზიციის შესასუსტებლად, ორი ახალი საეპისკოპოსო დააფუძნა.

1973 — 8 თებერვალს მაკარიოსი ისევ დიდი უმრავლესობით აირ-

ჩიეს კვიპროსის პრეზიდენტად.

7 მარტი — "ამბოხებულმა" ეპისკოპოსებმა წმინდა სინოდის სხდომა მოიწვიეს. მაკარიოსმა მათ მიერ მოწვეული სხდომა უკანონოდ გამოაცხადა. სამი ეპისკოპოსი შეიკრიბა და მაკარიოსი "განკვეთა" კვიპროსის ეკლესიიდან. საპასუხოდ, მაკარიოსმა მოიწვია უმაღლესი სინოდის შეკრება, რომელსაც 5-6 იულისს, ფაქტობრივად, ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი დაესწრო (საბერძნეთის საპატრიარქოს გარდა). უმაღლესმა სინოდმა მოუწოდა "ამბოხებულ" ეპისკოპოსებს დასწრებოდნენ ამ შეკრებას და იქ გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია. სამივე ეპისკოპოსმა უარი თქვა ამ მიწვევაზე, რის შემდეგაც 14 იულისს უმაღლესმა სინოდმა სასულიერო წოდება ჩამოართვა მათ.

1974 — 27 იანვარს გარდაიცვალა "ეოკას" მეთაური გრივასი. მის დაკრძალვას ათეულობით ათასი ადამიანი დაესწრო, რამაც ათენის ხუნტას "ენოზისის" განხორციელების იმედი გაუღვივა. მაკარიოსმა, კეთილი ნების ნიშნად, გრივასის დაპატიმრებული მომხრეების ამნისტია გამოაცხადა.

3 მაისი — მაკარიოსმა კვიპროსზე მყოფი საბერძნეთის ოფიცერთა კონკრეტული სია გაუგზავნა ათენს და ისინი კვიპროსის სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში დაადანაშაულა, 2 იულისს კი საბერძნეთის სამხედრო შენაერთების სრულად გაყვანა მოითხოვა.

15 იულისი (1974) — ათენის ხუნტის მხარდაჭერით, კვიპროსზე სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო. პრეზიდენტი მაკარიოსი მალტაზე გაიქცა (დეკემბერში იგი ისევ დაბრუნდა) და ძალაუფლება 8 ღღით ხელთ იგდეს ექსტრემისტულმა ძალებმა, რომლებმაც "ენოზისი" ანუ კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანება გამოაცხადეს. დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები ბერძენ და თურქ კიპრიოტთა დაჯგუფებებს შორის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ კვიპროსის მთავარეპისკოპოსად მაკარიოსის წინააღმდეგ "ამბოხებულ" ეპისკოპოსთა ლიდერი, გენადიოსი "დაინიშნა". კვიპროსის ხუნტას "ეოკას" წევრი ნიკოს სამფსონი მეთაურობდა (მოგვიანებით, დასაელური მედია სამფსონს, ავანტურისტული და ბნელი წარსულის გამო, "კვიპროსელ ალ კაპონეს" უწოდებდა, ხოლო პულიტცერის პრემიის მფლობელმა, ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეკ ანდერსონმა ისიც კი დაწერა, რომ სამფსონი წლების განმავლობაში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსგან იღებდა "ხელფასს").[1]

19 იულისი — მაკარიოსმა გაეროს უშიშროების საბჭოსადმი გაგზა-

1 http://www.absoluteastronomy.com/topics/Nikos_Sampson

ენილ მიმართულაში საბერძნეთი კვიპროსის წინააღმდეგ ინტერვენციაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ეს საფრთხეს უქმნიდა კვიპროსის როგორც თურქული, ასევე ბერძნული თემის წარმომადგენლებს.

20 ივლისი (1974) — თურქეთმა თურქი კიპრიოტების დასაცავად სამხედრო დესანტი გადასხა კუნძულზე და მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქები დაიკავა.

23 ივლისი — სამფსონის ხუნტამ დაკარგა ძალაუფლება, მას შემდეგ, რაც საბერძნეთში პრემიერად დაბრუნდა კონსტანტინოს კარამანლისი და ათენის ხუნტის ბატონობა დასრულდა. კვიპროსზე პრეზიდენტის ფუნქციების შესრულება, დროებით, პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ გლავკოს კლერიდისს დაეკისრა (პრეზიდენტი მაკარიოსი თავის პოსტზე დეკემბერში დაბრუნდა).

14 აგვისტო — თურქეთმა დაიწყო კვიპროსის ოკუპაციის მეორე ფაზა და მთლიანად დაიკავა 1964 წელს გაეროს მიერ დაფიქსირებული "მწვანე ხაზის" ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია. ამ პროცესს შეეწირა 3 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე, ათეულ ათასობით ბერძენი კიპრიოტი კი დევნილად იქცა. ამავე დროს, კუნძულის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებმა ათასობით თურქმა კიპრიოტმაც დატოვა სახლ-კარი და ჩრდილო ნაწილში გადასახლდა. ამ დროისთვის, თურქი კიპრიოტების რაოდენობა დაახლოებით 115 ათასი იყო, ხოლო კვიპროსის ბერძენი მოსახლეობა 505 ათასს აღემატებოდა.[2]

1974 — 16 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (# 3212 (XXIX)), რომლის თანახმად, ასამბლეა "დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ფორმირებას სასწრაფოდ დატოვონ კვიპროსის რესპუბლიკა". იმავე რეზოლუციაში დაფიქსირებულია, რომ "ყველა დევნილი უნდა დაბრუნდეს შინ უსაფრთხო პირობებში და დაინტერესებულმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად".

1975 — კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში თავმოყრილმა თურქმა კიპრიოტებმა "ჩრდილოეთი კვიპროსის თურქული ფედერაციის" შექმნის შესახებ გამოაცხადეს და პრეზიდენტად რაუფ დენქთაში აირჩიეს, რომელმაც 2005 წლამდე შეინარჩუნა ეს პოსტი. "თურქული ფედერაცია" ფორმალურად რჩებოდა კვიპროსის ერთიანი რესპუბლიკის შემადგენლობაში.

იმავე წელს დენქთაში და მაკარიოსი შეთანხმდნენ მოსახლეობის "გაცვლაზე". ამ შეთანხმების საფუძველზე, მაკარიოსის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს დენქთაშსა და კლერიდისს შორის დაიდო

2. http //news.bbc co.uk/2/hi/europe/1021835.stm

ჩასშეკრულება, რომლის თანახმად, 120 ათასი ბერძენი კიპრიოტი გადასახლდა ჩრდილოეთიდან სამხრეთში, ხოლო 70 ათასი თურქი კიპრიოტი, პირიქით, — სამხრეთიდან ჩრდილოეთში. თურქული მხარე ამტკიცებს, რომ მოსახლეობის "გაცვლა" ქონების გაცვლასაც გულისხმობდა, თუმცა სხვაობა 120 და 70 ათასს შორის თავისთავად მეტყველებს რეალობაზე, მით უფრო, რომ ბერძნული და დასავლური წყაროების მიხედვით, მთლიანად ჩრდილო კვიპროსიდან გადმოსახლებულთა რიცხვი 180 ათასს აღემატებოდა.

კვიპროსის ტერიტორიაზე შეჭრის გამო, აშშ-ის კონგრესმა სანქციები დააწესა თურქეთის მიმართ, მათ შორის ემბარგო შეიარაღებაზე.

1983 — რეაწლიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ თურქული ფედერაცია "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკად" (ჩკთრ) გადაკეთდა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც მხოლოდ თურქეთმა ცნო.

1990-იან წლებში გაერო აქტიურად ეძებდა ორად გაყოფილი კუნძულის გამთლიანების გზებს, მოუწოდებდა თურქეთს გაეყვანა ჯარების დიდი ნაწილი ჩრდილოეთი ნაწილიდან და ადასტურებდა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობა უკანონოა.

1992 — 12 აპრილს, გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის წინადადებით, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია # 750, რომელშიც დაფიქსირდა, რომ კვიპროსის პრობლემა უნდა ამოგვარდეს კვიპროსის სახელმწიფოს განუყოფელი სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობის, ასევე ერთიანი მოქალაქეობის შენარჩუნებით. კვიპროსის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ძლიერობა დაცული უნდა იყოს; ამასთანავე, კვიპროსის, როგორც ორზონიანი და ორნაწილიანი ფედერაციის შემადგენლობაში იქნება პოლიტიკურად თანასწორი ორი თემი. პრობლემის გადაჭრისას გამორიცხული უნდა იყოს კვიპროსის ნაწილობრივი ან მთლიანი გაერთიანება რომელიმე სახელმწიფოსთან, ასევე რაიმე ფორმით მისი გაყოფა ან სეცესია.

7 ოქტომბერი — კვიპროსზე მივლენილი ესპანელი პარლამენტარის, ალფონს კუკოს მოხსენების საფუძველზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია (# 1197, 1992), რომელიც სპეციალურად კვიპროსის მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდებოდა. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ თურქების იმიგრაცია კვიპროსზე განსაკუთრებით გაძლიერდა 1975-1977 წლებში და რომ, თურქ კიპრიოტთა ადმინისტრა-

ცია ყოველმხრივ ხელს უწყობდა ამ პროცესს, კერძოდ, შეღავათიან საცხოვრებელ პირობებს სთავაზობდა მიგრანტებს და კვიპროსის მოქალაქეობას ანიჭებდა მათ (რეკომენდაციის მიხედვით, 70-იანი წლების ბოლოს თურქ კიპრიოტთა სულ მცირე 10% სწორედ კუნძულზე ახალგადმოსახლებული თურქი იყო). ასეთი ვითარება, საპარლამენტო ასამბლეის შეფასებით, აძლიერებდა ბერძენი კიპრიოტების უნდობლობას თურქული თემის მიმართ და დამატებით დაბრკოლებას წარმოშობდა კვიპროსის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე. საპარლამენტო ასამბლეამ თავის რეკომენდაციაში მიმართა თურქ კიპრიოტთა ადმინისტრაციას, რათა მას ნატურალიზაციის კანონმდებლობა შეეცვალა ისე, რომ დემოგრაფიულ სტრუქტურაში ასეთი ძვრები შეჩერებულიყო (ბერძნული წყაროების მტკიცებით, ამჟამად, გადმოსახლებული თურქები და მათი შთამომავლები თურქ კიპრიოტთა ნახევარზე მეტს შეადგენენ).

1994 — მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (რომელიც დაფუძნებულია 1952 წელს ლუქსემბურგში და ამჟამად ევროკავშირის უმაღლეს სასამართლოს წარმოადგენს) დაადგინა, რომ საკაჭრო პროდუქცია, ხილისა და ბოსტნეულის ჩათვლით, თუ ის ევროკავშირში გაგზავნილი იქნებოდა ჩრდილოეთ კვიპროსის ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, ვერ ისარგებლებდა კვიპროსის რესპუბლიკისთვის განსაზღვრული შეღავათებით.

1996 — 18 დეკემბრს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქმეზე — „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში დღემდე რჩება ერთ-ერთ თვალსაჩინო და პოზიტიურ პრეცედენტად. კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქემ ტ. ლოიზიდუმ, რომელმაც 1974 წელს, თურქეთის მიერ ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ, საკუთარი ქონებით სარგებლობის უფლება დაკარგა, სასამართლო მოიგო და მოპასუხე თურქეთის რესპუბლიკა იძულებული გახდა მოსარჩელისთვის მიეყენებული ზარალი აენაზღაურებინა სოლიდური კომპენსაციით. ეს საქმე, მისი პრეცედენტული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად სრულ განხილვას საჭიროებს.

კვიპროსის მოქალაქე ტიტინა ლოიზიდუ ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში ფლობდა მიწის რამდენიმე ნაკვეთს. 1974 წლის ზაფხულიდან, მას შემდეგ რაც კუნძულის ტერიტორია, ფაქტობრივად, ბერძნულ და თურქულ ნაწილებად დაიყო, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მისთვის ხელმიუწვდომელი გახდა. ამის გამო მან ევროპულ სასამართლო-

ში უჩიოდა თურქეთის მთავრობას, რომელსაც თავისი არგუმენტები ჰქონდა, სახელდობრ: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოს არ უნდა განეხილა ლოიზიდუს საჩივარი, რადგან ევროკონვენციასთან მიერთების დეკლარაციაში (1990 წლის 22 იანვარი) თურქეთს დათქმული ჰქონდა, რომ იყენებდა კონვენციის 46-ე მუხლით სახელმწიფოებისათვის გადაცემულ უფლებას, შემოეზღუდა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ იმ ფაქტების განხილვით, რომლებიც სარატიფიკაციო სიგელის გადაცემის შემდეგ მოხდებოდა. რადგან ლოიზიდუს მიერ თავისი საკუთრებით სარგებლობის უფლების დაკარგვის ფაქტი მოხდა 1990 წლამდე გაცილებით ადრე — 1974 წელს, საერთაშორისო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, განეხილა მისი საჩივარი.

იანაც, თურქეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ვინაიდან ის ვერ ახორციელებდა უშუალო კონტროლს ჩრდილოეთ კვიპროსზე და მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა განმცხადებელზე, თურქეთს არ შეიძლებოდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა ლოიზიდუს უფლებათა დარღვევისთვის;

გარდა ამისა, თურქეთის მთავრობის განმარტებით, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში „საკუთრების დეპრივატიზაციის“ პროცესი დაიწყო 1974 წელს და შემდეგ, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (ჩკთრ) 1985 წლის 7 მაისის კონსტიტუციის 159 (1) მუხლის თანახმად, შეუქცევადი ექსპროპრიაციის ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობა აღნიშნავდა, რომ ჩკთრ არის დემოკრატიული და კონსტიტუციური სახელმწიფო, რომლის კონსტიტუცია მიღებულ იქნა რეფერენდუმის მეშვეობით. თურქეთის მთავრობის მტკიცებით, ეს სახელმწიფო შექმნეს კვიპროსელმა თურქებმა, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ადმინისტრაციული გარდაქმნების პროცესში იბრძოდნენ თვითგამორკვევისთვის. აქედან გამომდინარე, ჩკთრ-ი უფლებამოსილია თავისუფლად განახორციელოს საკანონმდებლო საქმიანობა.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა თურქეთის მთავრობის პოზიცია და დაიმოწმა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები (S/RES/#541 (1983), S/RES/#550 (1884)), რომელთა თანახმად, ჩკთრ-ის შექმნა უკანონოდ არის აღიარებული და რომლებიც მოუწოდებს მსოფლიო თანამეგობრობას არ ცნონ კვიპროსზე არც ერთი სხვა სახელმწიფო გარდა კვიპროსის რესპუბლიკისა. სასამართლო

ეყრდნობა ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1983 წლის ანალოგიურ რეზოლუციას იმის საილუსტრაციოდ, რომ სწორედ კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობა არის აღიარებული ლეგიტიმურად მთელ მსოფლიოში როგორც დიპლომატიურ, ასევე საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ მას არა აქვს უფლება კონვენციის მიზნებისთვის იურიდიული ძალის მქონედ განიხილოს ისეთი საამართლებრივი ნორმები, როგორიცაა ჩკთრ-ის კონსტიტუციის 159-ე მუხლი, რომელსაც ეყრდნობა თურქეთის მთავრობა.

სასამართლომ ასევე დააფიქსირა, რომ მან აღიარა კონვენციის დარღვევის განგრძობადი ხასიათი და სწორედ ამან განსაზღვრა კონვენციის ორგანოების უფლებამოსილების დროებითი ჩარჩოები. ამგვარად, აღნიშნული საქმე ეხება განგრძობადი ხასიათის შესაძლო დარღვევებს, თუ კონვენციის ოქმის 1-ლი მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, განმცხადებელი ჩაითვლება მიწის კანონიერ მესაკუთრედ (სასამართლომ სწორედ ლოიზიდუ მიიჩნია მიწის კანონიერ მფლობელად, რადგან ამასთან დაკავშირებით კვიპროსის კანონიერი მთავრობა თანმიმდევრულად აცხადებდა, რომ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში უძრავი ქონების მფლობელი კვიპროსელი ბერძნები, მათ შორის განმცხადებელიც, აგრძელებენ საკუთარი სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებას და მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვის საშუალება (ცხადია, სწორედ ამგვარ პოზიციაში იყო ქ-ნი ლოიზიდუ). ამიტომ განმცხადებელი არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრებაზე უფლებადაკარგულად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩკთრ-ის 1985 წ. კონსტიტუცია იძლევა ამის საფუძველს).

იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, სასამართლომ განმარტა, რომ არსებული სასამართლოს პრაქტიკაში, კონვენციის I მუხლის შესაბამისად, „იურისდიქცია" შეუზღუდავია კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული ტერიტორიებით. მონაწილე ქვეყანას პასუხისმგებლობა ერთნაირად ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა მისი ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას თუ უმოქმედობას მოსდევს გარკვეული შედეგები ქვეყნის ტერიტორიის გარეთ. პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო თურქეთის მთავრობის აღიარება, რომლის მიხედვით, საკუთრებაზე კონტროლი განმცხადებელმა დაკარგა თურქეთის ჯარების მიერ კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპირებისა და ამ ტერიტორიაზე ჩკთრ-ის შექმნის შედეგად. გარდა ამი-

სა, თურქეთის მთავრობა არც იმ ფაქტზე კამათობდა, რომ თურქულმა ძალებმა არაერთხელ შეუშალეს ხელი განმცხადებელს მის საკუთრებაძდე მიღწევაში (თუმცა, თურქეთის მთავრობამ სასამართლოს მიმდინარეობისას უარყო მოცემულ საქმესთან დაკავშირებით თურქეთის არსებითი პასუხისმგებლობა და ამტკიცებდა, რომ სამხედრო ნაწილები მოქმედებდნენ მხოლოდ დამოუკიდებელი და სუვერენული ჩკთრ-ის თანხმობითა და სახელით).

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ბუნებრივია, სრულიად აშკარად ჩანს პარალელები საქართველოს რეალობასთან, სახელდობრ, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

1990-იანი წლების მეორე ნახევარში რამდენჯერმე დაიწყო და ჩაიშალა მოლაპარაკებები კვიპროსის ბერძნულ და თურქულ მხარეებს შორის.

1998 — ევროკავშირმა კვიპროსი ამ გაერთიანების წევრობის კანდიდატი ქვეყნების სიაში შეიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაერთიანების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, კვიპროსისთვის, როგორც ტერიტორიული პრობლემების მქონე სახელმწიფოსთვის, ბრიუსელს უარი უნდა ეთქვა. უფრო მეტიც, 1959 წლის "ციურიხ-ლონდონის შეთანხმების" მიხედვით, კვიპროსს, "გარანტორი" ქვეყნების: საბერძნეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის თანხმობის გარეშე, არ ჰქონდა უფლება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო (თურქეთის პროტესტი, რომელიც აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია, სწორედ ამ ფაქტორებს ემყარებოდა).

2001 — ნოემბერში თურქეთი კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის ანექსიით დაიმუქრა, თუ კვიპროსის პრობლემის მოგვარებამდე მიიღებდნენ ამ რესპუბლიკას ევროკავშირში (იმ დროს კვიპროსზე განლაგებული იყო 35 ათასკაციანი თურქული სამხედრო კონტინგენტი, გაეროს "მწვანე ხაზის" ბუფერულ ზონას კი 2400 მშვიდობისმყოფელი იცავდა). ანკარა აცხადებდა, რომ ევროკავშირი და ბერძენი კიპრიოტები, ფაქტობრივად, ვაჭრობისა და საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის უფლებას არ აძლევენ თურქ კიპრიოტებს.

2002 — გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა წარმოადგინა კვიპროსის პრობლემის მოგვარების კომპლექსური გეგმა, რომელიც 1960 წლის კონსტიტუციისა და გაეროს 1992 წლის 750-ე რეზოლუციის გეზს მიჰყვებოდა და, არსებითად, 60-იანი წლების მოდელის თანამედროვე ორსუბიექტიან კონფედერაციად გარდაქმნას გულისხმობდა. თითოეული სუბიექტ-სახელმწიფო ანუ "კომპონენტ-სახელმწიფო"

(ბერძნული და თურქული) თანასწორუფლებიანი იქნებოდა. უნდა შექმნილიყო 6 კაციანი საპრეზიდენტო საბჭო, რომელიც როტაციის პრინციპით იმუშავებდა — საბჭოს წევრები ყოველი 10 თვის შემდეგ შეცვლიდნენ ერთმანეთს პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე (საპრეზიდენტო საბჭოში კუნძულის ბერძნულ და თურქულ თემთა წარმომადგენლობა მათი რაოდენობის პროპორციული ანუ, შესაბამისად, ორი — ერთზე უნდა ყოფილიყო). 9 წევრიან უმაღლეს სასამართლოში სამ-სამი წარმომადგენელი ეყოლებოდა თითოეულ თემს და დანარჩენი სამი წევრი უცხოელი იქნებოდა. გეგმაში არ იყო დაკონკრეტებული "მწვანე ხაზსა" და დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები (იგულისხმებოდა, რომ მათი განხილვა კონფლიქტის მოგვარების მეორე, საბოლოო ეტაპის მოლაპარაკებათა საგანი გახდებოდა).

ბერძენი კიპრიოტები ეჭვის თვალით უყურებდნენ ანანის გეგმას, რასაც რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა: გეგმაში "გაერთიანებული კვიპროსის ფედერაციის" შექმნა ისეთი ფორმით იყო დაფიქსირებული, რომ ბერძნული მხარის აზრით, ამ რესპუბლიკის "ახალი დაბადება" შესაძლოა გარკვეული დროის შემდეგ თურქულ მხარეს სეცესიისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების სამართლებრივი დასაბუთებისთვის გამოეყენებინა. ანანის გეგმა ითვალისწინებდა 1974 წლის შემდეგ კუნძულზე დასახლებული თურქებისა და მათი შთამომაელებისთვის კვიპროსის მოქალაქეობის მინიჭებას (ბერძნები ამ კატეგორიის დაახლოებით 150 ათას თურქ კიპრიოტს "არალეგალურად მცხოვრებ პირს" უწოდებენ), ასევე თურქეთსა და ჩრდილოეთ კვიპროსს შორის დადებული ხელშეკრულებების დაკანონებას, რის საფუძველზეც თურქეთს უფლება ეძლეოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეენარჩუნებინა სამხედრო კონტინგენტი, ხოლო მის სამხედრო სტრუქტურებს გამოეყენებინათ კუნძულის ნავსადგურები და მთლიანი საპაერო სივრცე. გეგმის თანახმად, თურქულ მხარეს ენიჭებოდა ვეტოს უფლება გაერთიანებულ მთავრობაში; ამავე დროს, ერთიანი კვიპროსის ყველა სტრუქტურა 95 პროცენტით ბერძნულ თემს უნდა დაეფინანსებინა. ბერძენი კიპრიოტებისთვის დაწესდებოდა გარკვეული შეზღუდვები ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე კერძო საკუთრების შეძენასთან დაკავშირებით, იმ დრომდე, სანამ კუნძულის ორივე ნაწილში ცხოვრების დონე მეტ-ნაკლებად არ გათანაბრდებოდა.

2003 — აპრილში კვიპროსის ჩრდილოეთის ნაწილის ადმინისტრაციამ, დროებით, ცალმხრივად გახსნა "მწვანე ხაზი" და ბერძენ კიპრიოტებს ჩრდილოეთით გადაადგილების საშუალება მისცა, რასაც საერ-

თაშორისო საზოგადოების დაღებითი გამოხმაურება მოჰყვა. რამდენიმე დღეში ანალოგიური ნაბიჯი კუნძულის ბერძნულმა მხარემაც გადადგა. ეს ყველაფერი უკავშირდებოდა კვიპროსის ევროკავშირში გაწევრების პროცესს. საბერძნეთი იშუქრებოდა, რომ ევროკავშირის გაფართოების ყველა პროექტს ვეტოს დაადებდა, თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად კვიპროსსაც არ "ჩასვამდნენ" სიაში. ბრიუსელის ოფიციალური მიწვევა ნიკოზიამ დეკემბერში მიიღო.

2004 — 24 აპრილს კვიპროსის ორივე ნაწილში გაიმართა კოფი ანანის გეგმის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებული რეფერენდუმი. თურქული მხარის 67% მიემხრო კოფი ანანის გეგმას, მაგრამ ბერძნების 75%-მა უარყო იგი.

1 მაისი — კვიპროსის რესპუბლიკა, აღმოსავლეთი ევროპის 9 ქვეყანასთან ერთად, ევროკავშირის წევრი გახდა. ბრიუსელმა ამ შემთხვევაში უგულებელყო ევროგაერთიანების წევრობის მოსურნე სახელმწიფოს ტერიტორიული პრობლემები და თავის შემადგენლობაში მიიღო დე იურე მთლიანად კუნძული, კვიპროსის რესპუბლიკა, და არა მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილი; რაც შეეხება ჩრდილოეთ კვიპროსს, ის მხოლოდ დე ფაქტო არსებობს. ამ კონტექსტში კარგად ჩანს, რომ როცა სახელმწიფო რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ერთიანდება, ეს ხდება იმ საზღვრებში, რომლებშიც აღნიშნული სახელმწიფო დაფიქსირებულია გაეროს მიერ; და ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფო დე ფაქტო სრულად ვერ აკონტროლებს თავის ტერიტორიას (ამ საკითხს ხაზგასმით აღვნიშნავთ, რადგან ნატოში საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით, ტერიტორიული პრობლემა სხვადასხვა ძალების მიერ დღემდე სახელდება გადაულახავ პრობლემად).

დეკემბერში ანკარა დათანხმდა, რომ აღიარებს კვიპროსის სამხრეთ ნაწილს, როგორც დე ფაქტო ევროკავშირის წევრს, 2005 წლის ოქტომბრამდე ანუ იმ დრომდე, როცა დაგეგმილი იყო თვითონ თურქეთის გაწევრებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა დაწყება.

2005 — 17 აპრილს რაუფ დენქთაში, რომელიც 30 წლის განმავლობაში მართავდა ჩრდილოეთ კვიპროსს, დამარცხდა არჩევნებში და მისი აღგილი უფრო კომპრომისულმა მეჰმეთ ალი ტალატმა დაიკავა.

2007 — იანვარ-მარტში ბერძენმა და თურქმა კიპრიოტებმა გაეროს ბუფერული ზონით გაყოფილ დედაქალაქ ნიკოზიაში, გამარტივებული წესებით დაიწყეს გადასვლა-გადმოსვლა ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში.

2008 — იანვარში კვიპროსის რესპუბლიკის ვალუტა გახდა ევრო.

თებერვალი — კვიპროსის საპრეზიდენტო არჩევნებში კომპრომისული პოზიციის მქონე დემეტრის ქრისტოფიასმა გაიმარჯვა, რომელსაც თურქი კიპრიოტების ახალარჩეულ ლიდერ მეჰმეთ ტალატთან პირადი, ახლო კონტაქტები აკავშირებს.

აპრილი (2008) — ნიქოზიაში სიმბოლურად გაიხსნა ლედრას ქუჩა, რომელიც 1964 წლის შემდეგ გადაკეტილი იყო. აღსანიშნავია, რომ ბარგის ღირებულება, რომლის გადატანის უფლებაც 2007 წელს მიენიჭათ ბერძენ და თურქ კიპრიოტებს გაეროს "მწვანე ხაზის" გადაკვეთისას, თავდაპირველი 135 ევროდან 260 ევრომდე გაიზარდა.

ამ დროიდან დაიწყო მოლაპარაკებათა პროცესი, რომლის აქტიურ 16-თვიან ფაზაში ქრისტოფიასი და ტალატი 60-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა წინადადებათა შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც სხვადასხვა ფერით აღინიშნა უკვე შეთანხმებული, პოტენციურად შეთანხმებადი და შეუთანხმებელი პოზიციები.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა თურქი კიპრიოტების თანხმობა ერთ-ერთ საკვანძო საკითხზე — ერთდროულ კენჭისყრაზე საპრეზიდენტო არჩევნებისას; ასევე შეთანხმდნენ თურქი კიპრიოტების კანდიდატთა კენჭისყრის დროს ბერძენი კიპრიოტებისთვის ხმათა გადამწყვეტი 20 პროცენტის მინიჭების თაობაზეც. მონაცვლეობითი პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სისტემის შემოღება ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა, თუმცა ბერძნები მოითხოვდნენ ბერძენ პრეზიდენტს 4-წლიანი ვადა ჰქონოდა, ხოლო თურქს — 2 წლიანი, თურქები კი 3 და 2 წლიან როტაციას ამჯობინებდნენ. ბერძნები მოითხოვდნენ 12-წევრიან ფედერალურ მთავრობას, რომელშიც ბერძნულ თემს 7 წევრი ეყოლებოდა, ხოლო თურქებს — 5. თურქი კიპრიოტების პროექტი ითვალისწინებდა 9-წევრიან მთავრობას 6 და 3 წევრის პროპორციით. თურქების პროექტით, პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ვეტოს უფლება ჰქონდათ. ამასთანავე, კანონები კვალიფიციური უმრავლესობით უნდა ყოფილიყო მიღებული, რაც, ფაქტობრივად, საკანონმდებლო ვეტოს ნიშნავდა.

ტალატის 10-პუნქტიანი პაკეტით, თურქულ თემს უფლება ეძლეოდა მესამე მხარესთან, უცხო სახელმწიფოსთანაც დაედო ხელშეკრულებები და დამცავ მექანიზმად შეთავაზებული იყო მთავარი პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის უფლება კვიპროსის საკონსტიტუციო სასამართლოში წარედგინა ასეთი ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლამდე. ტალატის წინადადებებში ხაზგასმული იყო, ერთი მხრივ, ერთიანი სუვერენიტეტის პრინციპი და, მეორე მხრივ, ორივე შემადგენელი თემის

"თანასწორი სტატუსი", რათა გამორიცხული ყოფილიყო ურთიერთდაქვემდებარება. თურქული მხარის ყველაზე რთულად განსახორციელებელი მოთხოვნა იყო გადაადგილების ე.წ. "ოთხი თავისუფლების" (ანუ ადამიანების, კაპიტალის, საქაჭრო პროდუქციისა და მომსახურების გადაადგილების თავისუფლების) უზრუნველყოფა, როგორც საბერძნეთის, ასევე თურქეთის მოქალაქეებისთვის.

მოლაპარაკებები 2010 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა, თუმცა საბოლოო შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა.

2009 — აპრილში ჩრდილოეთ კვიპროსის "პარლამენტში" მემარჯვენე "ნაციონალური ერიობის პარტიამ" გაიმარჯვა, რის შედეგადაც "პრეზიდენტ" მექმეთ ტალატის პოზიციები შესუსტდა. მიუხედავად ამისა, იმავე პერიოდში ევროპის პოლიტიკურ კვლევათა ცენტრის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა შემდეგი: კვიპროსის ორივე მხარის წარმომადგენელთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ კვიპროსის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონოდა კუნძულის ორივე მხარეს ცხოვრების, მუშაობის, საარჩევნო ხმის მიცემის, ბიზნესის დაწყებისა და თავისი რელიგიური რიტუალის შესრულების უფლება. იმავე გამოკითხვის თანახმად, ორივე მხარის სამი მეოთხედი მხარს უჭერდა ან მისაღებ კომპრომისად მიიჩნევდა ორზონიან და ორთემიან ფედერალურ მოდელს, ხოლო ორი შესამედი იმედოვნებდა, რომ ამ მოდელის საფუძველზე კვიპროსის პრობლემა მოლაპარაკების გზით მოგვარდებოდა.[3]

ასეთი შედეგებიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე მხარე მზადაა კომპრომისისთვის, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მათ შორის არსებულ ძირითად წინააღმდეგობათა დასაძლევად. ბერძენი კვიპრიოტების მთავარი მიზანია კუნძულის ერთიანობის შენარჩუნება, შესაბამისად, მათ სურთ რაც შეიძლება მეტი უფლებები ჰქონდეს ფედერალურ მთავრობას და ასევე მკაფიოდ დაფიქსირდეს, რომ "კვიპროსის ფედერაცია" იქნება არა ახალი სახელმწიფო, არამედ განახლებული, მაგრამ მაინც იგივე კვიპროსის რესპუბლიკა. თურქი კვიპრიოტები, პირიქით, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ფუნქცია შეუნარჩუნონ მომავალი ფედერაციის სუბიექტებს ("შემადგენელ სახელმწიფოებს"), რათა ამ გზით უზრუნველყონ თავიანთი თანასწორუფლებიანობა ბერძნულ ნაწილთან, როგორც თანასწორ დამფუძნებელთან. სხვა საკითხია, თუ რამდენად არის შესაძლებელი ასეთი ფედერაციის ორზონიანობა შეეთავსოს ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებს ადამიანების, კაპიტალის, საქაჭრო პროდუქციისა და მომსახურების

3 http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/turkey-cyprus/cyprus/pope-waiting-for-miracles-on-cyprus.aspx

თავისუფალი გადაადგილების შესახებ. ბერძენი კიპრიოტების სურვილია, ჰქონდეთ უფლება იცხოვრონ, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და შეიძინონ ქონება ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე. თურქ კიპრიოტებს კი აშინებთ ასეთი პერსპექტივა, რადგან ფიქრობენ, რომ უფრო მდიდარი ბერძნები იოლად შეძლებენ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული საუკეთესო ქონების დასაკუთრებას. თუმცა, მეორე მხრივ, თურქულ თემსაც სურს ისარგებლოს ცხოვრების უფრო მაღალი დონით, რომელიც შექმნილია სამხრეთში, მაგალითად, იქაური სამედიცინო თუ სხვა სახის მომსახურებით.

თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირში შესვლა, შესაბამისად, — კვიპროსის პრობლემის მოგვარება. ეს საკითხი დაბრკოლებას უქმნის ასევე თურქულ-ბერძნული ურთიერთობის ნორმალიზაციას, რაც ხელს შეუწყობდა ორივე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (საბერძნეთის სამხედრო დანახარჯები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროკავშირში). კვიპროსის პრობლემის მოგვარებით დაინტერესებული არიან ბერძენი კიპრიოტებიც, რომლებიც, მართალია, უკვე ევროკავშირში არიან და განვითარებული ეკონომიკური სისტემაც აქვთ, მაგრამ შემდგომი წინსვლისთვის სულ უფრო აუცილებელი ხდება მყარი სტაბილურობა, რაც შეუძლებელია გარანტირებულ იქნეს თურქეთთან ურთიერთობის სრული ნორმალიზაციის, ანუ ჩრდილოეთ კვიპროსის საკითხის გადაწყვეტის გარეშე.

2010 — აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში მემარცხენე მეპმეთ ტალატმა ხმათა 42,85 % მიიღო და მემარჯვენე "ნაციონალური ერთიობის პარტიის" კანდიდატ, დერვიშ ეროღლუსთან დამარცხდა (50,38%). ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეროღლუსთან მოლაპარაკება ბერძენი კიპრიოტებისთვის უფრო რთული იქნება.

საქართველოსთან მიმართება

გარკვეული მსგავსება საქართველოსა და კვიპროსის რეალობას შორის, ცხადია, არსებობს — ორივე შემთხვევაში აშკარაა მეზობელი დიდი სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და ეთნიკური წმენდის ფაქტები. მსგავსება განსაკუთრებით აშკარაა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებების მხრივ, რასაც ამას ნათლად ადასტურებს სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული ზემოხსენებული საქმე — "ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ" (იხ. გვ. 499).

ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს ძირითადი განმასხვავებელი შტრიხები კვიპროსისა და საქართველოს კონფლიქტებს შორის:

1) კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემთა ურთიერთდაპირისპირება შუასაუკუნეებიდან იწყება და ეს პროცესი მეოცე საუკუნეშიც გაგრძელდა; უფრო მეტიც, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა. აქედან გამომდინარე, 1960 წელს, კვიპროსის რესპუბლიკა შეიქმნა ფაქტობრივად გაყოფილი, ფრაგმენტირებული საზოგადოების დე იურე გაერთიანებით. მართალია, ბერძენი და თურქი კიპრიოტების ჯგუფები კუნძულის სამხრეთშიც ცხოვრობდნენ და ჩრდილოეთშიც, მაგრამ, არსებითად, ეს არ იყო ერთიანი საზოგადოება. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა მოხდა გარკვეული წინაპირობების საფუძველზე, გარეშე ძალების მოლაპარაკების შედეგად. კვიპროსის რესპუბლიკა, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო დაფუძნდა კონკრეტული სამმხრივი შეთანხმების ბაზაზე, რომლის თანახმად, თურქეთს, როგორც "ქვეყანა-გარანტორს", იმთავითვე ჰქონდა უფლება ჩარეულიყო კვიპროსის საშინაო საქმეებში, მათ შორის, გარკვეულ შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ, მსგავსი უფლება არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1990-იან წლებში აფხაზეთსა და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიის ნაწილზე რუსეთს სამშვიდობო მისიის შესრულება დაეკისრა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საბჭოთა კავშირის დაშლიდან კარგა ხნის შემდეგ. ეს მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციათა ეგიდით და ამ მისიის დაწყებისა თუ გაგრძელებისთვის აუცილებელი იყო საქართველოს თანხმობა, ხოლო შეწყვეტისთვის — მხოლოდ საქართველოს გადაწყვეტილება.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის

აღდგენისკენ კვიპროსისგან სრულიად განსხვავებული გზა გაიარა. ამ შემთხვევაში არ შევეხებით საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულის იმ მოვლენებს, რომლებიც 1921 წლამდე მოხდა და შემოვიფარგლებით მხოლოდ შემდგომი პერიოდით. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, კრემლმა დაიწყო საქართველოს დაშლის პროცესი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს, როგორც ერთიან მოკავშირე რესპუბლიკას (ფორმალურად მაინც) შენარჩუნებული ჰქონდა "სსრკ-დან თავისუფლად გასვლის უფლება" (თავი 8, მუხლი 72). შესაბამისად, საქართველო, როგორც ერთიანი რესპუბლიკა, დე იურეც და დე ფაქტოც არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ეს ფაქტი აღიარებული იყო, როგორც კრემლის, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ.

1988-1991 წლებში საქართველო, ბალტიის ქვეყნებთან ერთად, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკების ავანგარდში იყო. 1991 წელს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, 15 მოკავშირე რესპუბლიკის გარდაქმნას 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მათი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით, თვით რუსეთის ფედერაციამაც კი დაუჭირა მხარი და 1991 წლის 8 დეკემბერს, უკრაინასა და ბელორუსთან ერთად "ბელოვეჟსკის შეთანხმების" მიღებით, საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადა. ("პერესტროიკის" პერიოდში კრემლი ცდილობდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით შეენარჩუნებინა საბჭოთა იმპერია და მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლებისკენ სწრაფვის შესაჩერებლად აქტიურად იყენებდა ავტონომიური წარმონაქმნების "ბერკეტს", თუმცა ჩეჩნეთში, თათარსტანსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებში დაწყებულმა ცენტრიდანულმა პროცესებმა თვით რსფსრ-ის დაშლის საფრთხე რეალური გახადა და კრემლის ახალ "სამოკავშირეო" გეგმებს წერტილი დაუსვა, რაც ოფიციალურად სსრკ-ის პრეზიდენტ გორბაჩოვის გადადგომით დასრულდა 1991 წლის 25 დეკემბერს).

აშკარაა, რომ კვიპროსისა და საქართველოს დამოუკიდებლობას სრულიად განსხვავებული წინაისტორია ჰქონდა. კვიპროსის შემთხვევაში კონკრეტული რეალიებისა და მათი შედეგების დაფიქსირება მოხდა "ციურიხ-ლონდონის 1959" შეთანხმებაში, რომელმაც, არსებითად, განსაზღვრა დამოუკიდებელი კვიპროსის სტატუსისა და მისი შემდგომი განვითარების თავისებურება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საქართველოს შემთხვევაში ასეთი ხელშეკ-

რულება არ არსებობს. 1991 წლის დასასრულს, სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანას ისეთივე სასტარტო პოზიცია ჰქონდა, როგორიც, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს; მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივ დონეზე, აქ მიმდინარე პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენდა კრემლი, რისთვისაც აქტიურად იყენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ თავის სამხედრო ბაზებს. სწორედ კრემლის მიერ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და "ეთნოკონფლიქტების" პროვოცირების შედეგად საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვითარების შეცვლა დაიწყო პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა კრემლის გავლენა (საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის თვალსაზრისით). ამ დროიდან ქვეყანა რეალური დამოუკიდებლობის გზას დაადგა და ამიტომაც "დაიმსახურა" 2008 წლის აგვისტოს სადამსჯელო ინტერვენცია კრემლის მხრიდან. საქართველოსთვის მთავარ პრობლემად რჩება კრემლი, რომელიც უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ყოველნაირად თავს არიდებს მის მიერვე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

2) თავდაპირველად კვიპროსის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის იდეას, რეალურად, თვით ბერძნულ თემშიც კი არ ჰქონდა დიდი მხარდაჭერა. 1950 წელს გამართულ რეფერენდუმზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 10 წლით ადრე, ბერძენი კიპრიოტების 90-მა პროცენტმა საბერძნეთთან გაერთიანებას დაუჭირა მხარი. 50-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, ბერძენი კიპრიოტები და, უპირველესად, მათი ლიდერი, ეპისკოპოსი მაკარიოსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საბერძნეთთან გაერთიანება არარეალური იყო და ამ მიმართულებით ბრძოლის გაგრძელება კუნძულის გახლეჩას გამოიწვევდა. ამიტომ, კვიპროსის დამოუკიდებლობა თვით ბერძნული თემის მიერ მიღებულ იქნა, როგორც ერთგვარი "კომპრომისული" ვარიანტი. 70-იან წლებში, ათენის ხუნტის გავლენითა და აქტიურობით, "ენოზისის" იდეა მეტ-ნაკლებად ისევ პოპულარული გახდა ბერძენ კიპრიოტთა შორის; ანუ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის იდეას, არათუ მთლიანად კუნძულის მოსახლეობაში, არამედ თვით ბერძნულ თემშიც არ ჰქონდა სრული მხარდაჭერა.

ამ მხრივ, ცხადია, საქართველოსთან ვერანაირ პარალელს ვერ გავავლებთ. საქართველო საუკუნეების მანძილზე იბრძოდა სწორედ დამოუკიდებლობისთვის და არა რომელიმე სახელმწიფოსთან გაერთიანებისთვის. 1991 წელს ჩვენს ქვეყანაში გამართულ დამოუკიდე-

ბლობის რეფერენდუმზე, რომელიც მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართა, დამოუკიდებლობას ხმა მისცა 98,9 პროცენტმა (მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველის 90,3-მა პროცენტმა). აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, რაიმე "გაორებაზე" საუბარი უაზრობაა.

3) კვიპროსის ტერიტორიაზე "ციურიხ-ლონდონის შეთანხმებით" გათვალისწინებული სტატუს კვოს დარღვევა 1974 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ გამოიწვია; ხუნტის მიერ გამოცხადებული "ენოსისის" შედეგად, კვიპროსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, წყვეტდა არსებობას და საბერძნეთს უერთდებოდა. ასეთ ვითარებაში თურქეთს, როგორც კვიპროსის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ "გარანტორს", უფლება ჰქონდა ჯარები შეეყვანა კუნძულის ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ 1974 წლის 19 ივლისს, კვიპროსზე დაწყებული სახელმწიფო გადატრიალებიდან მეოთხე ღღეს, მაკარიოსმა გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა და საბერძნეთი კვიპროსის წინააღმდეგ ინტერვენციაში დაადანაშაულა; თანაც აღნიშნა, რომ ეს საფრთხეს უქმნიდა კვიპროსის ორიენ თემის წარმომადგენლებს; ანუ მაკარიოსმა "ციურიხ-ლონდონის შეთანხმების" დარღვევაზე პასუხისმგებლობა საბერძნეთს დააკისრა (თურქეთმა სწორედ ამის შემდეგ, 20 ივლისს დაიწყო სამხედრო ოპერაცია). 15 ივლისს, სახელმწიფო გადატრიალებისას დაწყებული სისხლისღვრა და მაკარიოსის მიმართვა რეალურ და საკმარის საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ თურქი კიპრიოტებისა და კვიპროსის სუვერენიტეტის დასაცავად თურქეთს სამხედრო დესანტი გადაესხა კუნძულზე (სხვა საკითხია, თურქეთის მიერ იმავე წლის აგვისტოში, კვიპროსის 8 ღღიანი ხუნტის დამარცხების შემდეგ, ოკუპაციის ახალი ფაზის დაწყება და გაეროს არაერთი რეზოლუციის მოთხოვნის მიუხედავად, თავისი ჯარების დატოვება კვიპროსში, ბერძენი კიპრიოტების გამოდევნა ჩრდილოეთი ნაწილიდან და საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევით ჩრდილოეთი კვიპროსის დამოუკიდებლობის ცნობა).

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სწორედ არეულობები, სახელმწიფო გადატრიალებები ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციისთვის და სწორედ ამიტომ მოაწყო კრემლმა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში; ამ გადატრიალების შემდეგ გაეხსნა მას სრულად "ხელ-ფეხი" საქართველოში კონფლიქტების გასაჩაღებლად. 1990-

ათი წლების დასაწყისში კრემლმა მოახერხა თავისი დანაშაულებრივი ხრახნები განეხორციელებინა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და "მშვიდობისმყოფელის" ანტითი შეენიღბა საქართველოს ოკუპაცია. მოგვიანებით, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ მიაღწია რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას საქართველოდან და უკვე რუსეთის "სამშვიდობოების" განულაც დღის წესრიგში დადგა, კრემლმა ისევ ნაცად ხერხს მიმართა — 2007 წლის ნოემბერში მასობრივი არეულობების პროვოცირებით შეეცადა სააკაშვილის ხელისუფლება დაემხო და ამის შემდეგ, "ქართული საფრთხისაგან" რუსეთის მოქალაქეთა დაცვის საბაბით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შემოჭრილიყო. მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა, საერთაშორისო არენაზე მოსკოვის დესტრუქციული როლი კონფლიქტების მოწესრიგებაში სულ უფრო აშკარავდებოდა. 2008 წლის 15 აპრილსა და 15 მაისს გაერომ მიიღო მნიშვნელოვანი რეზოლუციები. გაეროს უშიშროების საბჭოს 15 აპრილის რეზოლუცია მოუწოდებდა კონფლიქტის მხარეებს "დაუყოვნებლივ დაესრულებინათ მუშაობა შეთანხმებაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ და შეთანხმებაზე დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ"; ხოლო გაეროს გენერალური ასამბლეის 15 მაისის რეზოლუციაში (A/RES/62/249) აღნიშნულია, რომ გენერალური ასამბლეა, ეფუძნება რა ეუთოს ბუდაპეშტის (1994), ლისაბონისა (1996) და სტამბოლის (1999) სამიტების რეზოლუციებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზული ფაქტები აფხაზეთში (მათ შორის, "ეთნიკური წმენდა — ასეულობით ათასი ადამიანის განდევნა რეგიონის ტერიტორიიდან, რამაც გამოიწვია კონფლიქტამდე არსებული დემოგრაფიული კითარების შეცვლა"), კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა დევნილისა და მათ მემკვიდრეთა უფლებას შინ დაბრუნების შესახებ და მათ მიმართ აღიარებს საკუთრების უფლებას; მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს არ დაუშვან მათი მოქალაქეების მიერ რაიმე ქონების შეძენა აფხაზეთის ტერიტორიაზე დევნილთა უფლებების დარღვევით. გენერალური ასამბლეა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "აუცილებელია ოპერატიული გრაფიკის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სწრაფ, ნებაყოფლობით დაბრუნებას საკუთარ სახლში, აფხაზეთში".

აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იქნებოდა, კრემლს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრს, გაეროს ამ რეზოლუციების შესრულება მოეთხოვა საქართველოს ხელისუფლებისგან, მაგრამ, რეალურად,

სწორედ გაეროს ამ რეზოლუციათა განხორციელების არდაშვება იყო კრემლის უპირველესი მიზანი, სწორედ გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში აღნიშნული დევნილთა დაბრუნების "ოპერატიული გრაფიკი" აშინებდა მას და ამიტომაც დაიწყო საქართველოზე შეტევა აგვისტოში, რადგან ზემოხსენებულ გრაფიკზე მუშაობა სექტემბერში უნდა დაწყებულიყო.

კრემლისთვის აშკარა იყო, რომ თუ აქტიურად არ "იმოქმედებდა", აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლს დაკარგავდა. რაკი 2007 წლის ნოემბერში სახელმწიფო გადატრიალების სცენარი "ჩავარდა", კრემლი შეეცადა გაეთამაშებინა ჯერ "საქართველოს შეტევა სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ" და თითქოსდა მხოლოდ ამის პასუხად, "გენოციდისგან ოსი ხალხის გადასარჩენად", "სამხედრო ოპერაცია" დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე. საწყის ეტაპზე რუსეთის დეზინფორმაციული პროპაგანდის მეშვეობით კრემლმა მიაღწია კიდეც მიზანს და ბევრმა დაიჯერა რუსეთის ჯარების "კეთილშობილური მისია", მაგრამ მოგვიანებით სიმართლე მთელმა მსოფლიომ შეიტყო: ქართული ჯარების შესვლა ცხინვალში მიზნად ისახავდა როკის გვირაბის გაელით ჩვენს ტერიტორიაზე უკვე შემოჭრილი რუსეთის 58-ე არმიის შეჩერებას; და ამ არმიის რეალური მიზანი იყო არა ცხინვალის მოსახლეობის დაცვა ქართველი "აგრესორებისგან", არამედ თბილისის, მთელი საქართველოს ოკუპაცია, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა და მისი შეცვლა კრემლის ერთგული მარიონეტული რეჟიმით; პუტინ-მედვედევს მთლიანად ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია სურდათ და არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის. ამ კონტექსტში გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლებას არჩევანი არ ჰქონდა: თუ იგი ქართული სოფლების დაცვის მიზნით საპასუხო საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებდა, მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ხოლო თუ არ უპასუხებდა, მაშინ კოკოითის ბანდები (ცხადია, რუსეთის ჯარების დახმარებით) გამოდევნიდნენ ქართველ მოსახლეობას რეგიონიდან, კრემლი "მიუკერძოებელ პოზიციას" შეინარჩუნებდა და "ძლევამოსილ გამარჯვებას" მთლიანად "კოკოითის მთავრობას" მიაწერდა. მაგრამ ჩვენი მებრძოლების თავგანწირვამ სწორედ ასეთი "მანევრის" საშუალება არ მისცა კრემლს და რუსეთის არმია იძულებული გახდა ღიად ემოქმედა — უშუალოდ რუსეთის ჯარებმა განახორციელეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია; აქედან გამომდინარე, გამოაშკარავდა ე.წ. "ქართულ-ოსური" და "ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტების" რეალური არსი და პრობლემამ ყალბი სა-

ირტყიდან ("ეთნოკონფლიქტების" სიბრტყიდან) რეალურ სიბრტყეზე (პოლიტიკურ-სამართლებრივ სიბრტყეზე) გადაინაცვლა.

აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ კრემლმა გააფორმა ხელშეკრულებები ბაღაფშთან და კოკოითისთან, როგორც "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრეზიდენტებთან". საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ან ეკონომიკური აქტივობის გამართლების მიზნით, ამ ქვეყნის ოფიციალური პირები ხშირად საუბრობენ ზემოხსენებული "საერთაშორისო ხელშეკრულებებით" ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ასეც რომ იყოს და კრემლს ბაღაფშთან და კოკოითისთან მარილაც საერთაშორისო ხელშეკრულებები დაედო, მისი ქმედებები მაინც უკანონო იქნებოდა, რადგან გაეროს წესდების 103-ე მუხლის თანახმად,

"როცა გაეროს წევრის ვალდებულებები, რომლებიც გაეროს წესდებით არის გათვალისწინებული, ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის მიერ ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულულებებს, ასეთ შემთხვევაში უპირატესი ძალა აქვს გაეროს წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს." გაეროს წესდება (თავი I-ლი და მე-2) კი, უპირველესად, მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, აგრესიისა და მუქარის გამოუყენებლობას ავალდებულებს გაეროს წევრ ქვეყნებს.

4) თურქეთის მიერ კვიპროსის ჩრდილო ნაწილის ოკუპაციამ, საბოლოოდ, დაახლოებით 180 ათასი ბერძენი კიპრიოტი აიძულა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და სამხრეთში გადასახლებულიყო (ჩრდილოეთში გადასახლებული თურქი კიპრიოტების რაოდენობა კი 70 ათასს არ აღემატებოდა). თურქული მხარე მის მიერ ეთნიკური წმენდის განხორციელებას არ აღიარებს და ამის დამადასტურებელ არგუმენტად მოჰყავს დენქთაშ-მაკარიოსისა (1975 წ.) და დენქთაშ-კლერიდისის (1977 წ.) შეთანხმებები მოსახლეობის "გაცვლის" შესახებ. 180 და 70 ათასს შორის სხვაობა, ბუნებრივია, "გაცვლის" რეალურ ხასიათს ნათლად წარმოაჩენს, მაგრამ, მაინც, აღნიშნული ხელშეკრულებები რაღაც ფორმით, გარკვეულ არგუმენტს წარმოადგენს ეთნოწმენდის შედეგების აღმოფხვრასთან მიმართებაში.

საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ეთნოწმენდასთან დაკავშირებით, არანაირი, თუნდაც მსგავსი "გასამართლებელი" შეთანხმება არ არსებობს. აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდა, უპირატესად ქართველების მიმართ, დაფიქსირებულია ეუთოს სამიტთა 1994, 1996 და 1999 წლების რეზოლუციებში (ხაზგასასმელია, რომ ეუთოში

გადაწყვეტილებები კონსენსუსის წესით მიიღება, ანუ ქართველთა ეთნოწმენდის ფაქტი იმდენად აშკარა იყო, რომ კრემლმაც კი აღიარა). ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" ასევე ქართველების მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდას, მართალია, კრემლი არ აღიარებს, მაგრამ ეს ფაქტი არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადასტურა, მაგალითად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროკავშირის დამოუკიდებელმა, ფაქტების დამდგენმა საერთაშორისო მისიამ, იგივე პ. ტალიავინის კომისიამ ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მიმდინარე ეთნიკურ წმენდას ეხება" (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1633, 03.10.2008); "ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდისა და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც რუსეთის და დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების აღუკვეთაობას და დამნაშავეების დაუსჯელობას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1647, 28.01.2009); "ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს"(მ. იორშის განცხადებიდან[4]). "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც"[5].

5) ბერძენ და თურქ კიპრიოტებს შორის ურთიერთნდობის დეფიციტი განსაკვირი ნამდვილად არ არის, თუ გავითვალისწინებთ არა მხოლოდ ამ ორი თემის, არამედ, ზოგადად, ბერძნებისა და თურქების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების ისტორიას (ეს დაპირისპირება მოიცავს როგორც ეთნიკურ, ასევე რელიგიურ ფაქტორს). 1970-იან წლებში კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემებს შორის ათეულობით ათასი ადამიანის "გაცვლის" პრაქტიკა სწორედ მათ შორის შეუთავსებლობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. ამჟამად კუნძულზე დარჩენილია ერთადერთი

4. http //for-ua.com/news_print php?news=305384

5. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. I, The Conflict in Georgia in August 2008, P. 27

დასახლება — პილა, რომელიც მთლიანად ერთ-ერთ მხარეს (სამხრეთში, ქალაქ ლარნაკასთან) მდებარეობს და რომელშიც ბერძნები და თურქები ერთად ცხოვრობენ. ამ ქალაქში ხანდახან ერთობლივი სპორტული თამაშები კი იმართება, მაგრამ უხილავი ეთნო-რელიგიური გამყოფი "კედელი" იმდენად ძლიერია, რომ, მაგალითად, კაფეებიც კი "განაწილებულია" და შერეული ქორწინებები თითქმის არ არსებობს.

ევროპის პოლიტიკური კვლევების ცენტრის მიერ 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ ინტეგრაციისკენ მიმართულ თანამედროვე რეალობას ორივე თემის წარმომადგენლები კარგად აცნობიერებენ, მაგრამ სხვა მომენტებთან ერთად მათი პოზიციების დაახლოებას ხელს უშლის ისტორიული გამოცდილება, რომელიც, ძირითადად, მტრულ ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს.

ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური ისტორიული გამოცდილება სრულიად სხვაგვარია. ჩვენ ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. ასწლეულების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ებრძოდნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ჯარებს. XIX საუკუნეში, "შუაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ ქართველები დაუდგნენ გვერდით თაყვანთ კავკასიელ თანამოძმეებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სწორედ ქართული საზოგადო მოღვაწეები იმაღლებდნენ ხმას ამ ბარბაროსული ძალადობის წინააღმდეგ. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ენობრივი ან რელიგიურ-კულტურული ბარიერი. IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ანუ მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამდე) აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ასევე ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წ. აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი, ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. ხაზგასმით უნდა ითქვას,

რომ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ცალკე დასახლებებში კი არ ცხოვრობენ, ქართველებისგან იზოლირებულად, არამედ ქართველებთან ერთად და მათ მიმართ ეთნიკურ ნიადაგზე შეიწროების ან ჩაგვრის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი ოპტიმიზმი; მძიმე ისტორიული წარსულის მიუხედავად, ბერძენი და თურქი კიპრიოტები მაინც ახერხებენ საერთო ენის გამონახვას და საბოლოო შეთანხმებასთანაც კი ძალზე ახლოს იყვნენ. ამ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემათა მოგვარება ნაძლევილად არ იქნება რთული, თუ კრემლი შეასრულებს პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილ 12 აგვისტოს შეთანხმებას და განხორციელდება საქართველოს დეოკუპაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა უშუალოდ, რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე დავიწყოთ მოლაპარაკებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ აფხაზებთან და ოსებთან და მშვიდობიანად, ურთიერთკომპრომისების გზით გადავწყვიტოთ ყველა საკამათო საკითხი.

6) კვიპროსელი ბერძნების ძირითადი მოთხოვნაა არა მხოლოდ დეოკუპაცია, არამედ 1974 წლის შემდეგ ჩამოსახლებული თურქებისა და მათი შთამომავლების ისევ თურქეთში დაბრუნება. ეს არის, დაახლოებით, 150-160 ათასი ადამიანი და, სამართლებრივი თვალსაზრისით, ბუნებრივია, რთული იქნება, მაგალითად, თურქი მიგრანტების კვიპროსში დაბადებული შთამომავლების თურქეთში გასახლება ან მათთვის კვიპროსის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმა.

საქართველოს შემთხვევაში ასეთი პრობლემა არ არსებობს. არავის გასახლებას ქართული მხარე არ ითხოვს. ჩვენი მოთხოვნაა დეოკუპაცია და ეთნოწმენდის მსხვერპლთა დაბრუნება თავიანთ სახლ-კარში. ეს არ არის მხოლოდ "ისტორიულ სამართლიანობაზე" დამყარებული მოთხოვნა, ესაა, უპირველესად, საერთაშორისო სამართალის მოთხოვნა, რაც დადასტურებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს ათეულობით რეზოლუციებით.

7) კვიპროსის მიღება ევროკავშირში გარკვეულ ფაქტობრივ-პოლიტიკურ და სამართლებრივ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ევროგაერთიანების ხელშეკრულებებით ამ ორგანიზაციის წევრობაზე არ უნდა იფიქროს იმ ქვეყანამ, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს; თანაც, "ციურიხ-ლონდონის" ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ევროგაერთიანების წევრობისთვის კვიპროსს მართლაც ესაჭიროებოდა თურქეთის თანხმობა (დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის თანხმობას-

თან ერთად). ფაქტობრივად, ევროპამ, უმაღლესი ღირებულებებიდან გამომდინარე, თავალი დახუჭა გარკვეულ სამართლებრივ წინააღმდეგობებზე და კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშიროს წევრი გახდა.

საქართველო არანაირ შეღავათს არ ითხოვს. ჩვენი მოვითხოვთ მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებას, რაც ნიშნავს, უპირველესად, საერთაშორისო ორგანიზაციების: გაეროსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამის რეზოლუციათა განხორციელებას, ასევე, ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების რეალიზაციას ანუ რუსეთის საოკუპაციო ჯარების სრულად გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან.

8) თუ გავითვალისწინებთ კვიპროსის სამხრეთი ნაწილის დიდ ეკონომიკურ უპირატესობას ჩრდილოეთთან შედარებით და სწრაფი წინსვლის აშკარა პერსპექტივას, რომელიც ჩრდილოეთს გაუჩნდება კუნძულის რეალური გაერთიანების შედეგად, ერთი მხრივ, რთული ასახსნელია თურქული თემის "სიჯიუტე", მაგრამ, მეორე მხრივ, უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, თურქი კიპრიოტების სიფთხილეს მეტისმეტად გადაჭარბებულს ვერ ვუწოდებთ. მას შემდეგ, რაც კვიპროსი დამოუკიდებელი გახდა 1960 წელს, ბერძნული თემის მხრიდან ორჯერ განხორციელდა აქტიური ქმედებები და ორივე შემთხვევაში, ისედაც "თაედაცვით მდგომარეობაში" მყოფ თურქ კიპრიოტებს ჰქონდათ გარკვეული საფუძველი ეფიქრათ, რომ მათ მიმართ პოლიტიკურ-სამართლებრივი და შეიარაღებული შეტევა ხორციელდებოდა. იგულისხმება 1963 წლის 13 პუნქტიანი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი და 1974 წლის 8 ღღიანი ხუნტის პერიოდი ანუ ბერძნული თემის როგორც ექსტრემისტული, ასევე ზომიერი ძალები, ცხადია, სრულიად განსხვავებული ხარისხითა და მეთოდებით, მაგრამ ზოგადი ტენდენციის სახით, მაინც თურქული თემის უფლებების შეზღუდვაზე იყო ორიენტირებული.

საქართველოსთან დაკავშირებით ამ მხრივაც რთულია რაიმე პარალელის გავლება. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და იმავე წლის 9 ივლისს, მოლაპარაკების შედეგად, მიღებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი საარჩევნო კანონი, რომლის თანახმად, ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო: 28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %), 26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%) და 11 ადგილი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის

წარმომადგენლებს (მოსახლეობის 37%). ეროვნული უმცირესობის რაოდენობასა და მის წარმომადგენლობას შორის ასეთი თანაფარდობა ნამდვილად უპრეცედენტოა. იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენას, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზური თეატრი, ტელევიზია.

ეს ფაქტები მკაფიოდ ადასტურებს ქართული მხარის მიზანდასახულობას, რომ კრემლის მიერ ინსპირირებული პროვოკაციების მიუხედავად, თუნდაც ზედმეტი კომპრომისების გზით, როგორმე თავიდან აეცილებინა კონფლიქტი აფხაზეთში აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკაც სწორედ ამ ტრადიციას აგრძელებს, მაგალითად, 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) მოწონებული სამშვიდობო გეგმა ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა.

რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტს, აქ ვითარების დაძაბვა, კრემლის ბრძანებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ დაიწყო, როცა 1989 წლის 10 ნოემბერს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნისა" და ამ "რესპუბლიკის" ტერიტორიაზე "სახელმწიფო ენად ოსური ენის" გამოცხადების შესახებ. ეს გადაწყვეტილებები, ცხადია, უკანონო იყო, რადგან ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ავტონომიური

ოლქის სტატუსის შეცვლის უფლებამოსილება არ ჰქონდა (სწორედ "კანონთან შეუსაბამობის" საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 16 ნოემბერს გააუქმა ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები).

ამ კონტექსტში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის 3 აპრილს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან დაკავშირებით. ამ კანონის მესამე მუხლის თანახმად, თუ მოკავშირე რესპუბლიკა გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას, აღნიშნული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თითოეული ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ცალკე უნდა ჩატარებულიყო, ანუ "ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრკ-ში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე — თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება". პარალელურად კრემლი სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის ხელმოწერის უფლებასაც ავტონომიური წარმონაქმნებიც იღებდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ ნაბიჯებს ავალდებულებდა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას უქმნიდა საფრთხეს და, შესაბამისად, ვითარების შემდგომ გაუწვაევებას ემსახურებოდა.

1990 წლის 20 სექტემბერს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ისევ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება, ოღონდ, ამჯერად ოლქის "საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და ამ "რესპუბლიკის" "სახელმწიფო სუვერენიტეტიც" გამოაცხადა (მანამდე, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომაც მსგავსი ნაბიჯი გადადგა: ავტონომიური რესპუბლიკა "საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად" "გარდაქმნა", მისი "სახელმწიფო სუვერენიტეტიც" გამოაცხადა და სსრკ-ის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობაზეც სრული მზადყოფნა გამოხატა, როგორც "სსრკ-ის ერთ-ერთმა დამაარსებელმა რესპუბლიკამ" (საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ცხადია, ეს უკანონო გადაწყვეტილებები ბათილად გამოაცხადა)). მაგრამ "კანონთა ომი" ამით არ დასრულებულა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1990 წლის 16 ოქტომბერს დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებები, შექმნა "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი" და იმავე წლის 9 დეკემბრისთვის დანიშნა "რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1990 წლის 28 ოქტომბერს, სსრკ-ის ტერიტორიაზე პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებები; თუმცა ყველაზე მრავლისმეტყველი და მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 28 ნოემბრის გადაწყვეტილებები: "რესპუბლიკის" სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა დემოკრატიული და "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" სახელით მან ოფიციალურად მიმართა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყრილობას, რათა ამ უკანასკნელს "ეცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად" და "ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის უშუალო მონაწილედაც" გამოეცხადებინა.

ამ ქრონოლოგიიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება (როგორც კომუნისტური, ასევე დემოკრატიულად არჩეული) თავს არიდებდა ავტონომიური სტრუქტურების წარმონაქმნებთან დაპირისპირებას და მათ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი გაუქმებით კმაყოფილდებოდა, სანამ ეს სტრუქტურები ასე თუ ისე ითვალისწინებდნენ რეალობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვითარება შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალური საფრთხე გაჩნდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" თხოვნას და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ოლქის ტერიტორიას ფედერაციის სუბიექტად ცნობდა. ამ შემთხვევაში კრემლი ("საბჭოთა ფედერაცია") ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების "ლეგიტიმურ საფუძველზე" "ჩამოაჭრიდა" საქართველოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, იქ განალაგებდა თავისი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს და საქართველოს ხელისუფლება უძლიერეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან სსრკ-ის ჯარებთან დაპირისპირების რესურსები საქართველოს, ცხადია, არ ჰქონდა, მით უფრო იმ დროს. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ერთადერთი მექანიზმი საქართველოსთვის საბართლებრივი ბერკეტი იყო (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც

1991 წლის 9 აპრილს მოხდა). სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, სხვა გზა აღარ ჰქონდა და უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებით გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და, შესაბამისად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე აუტონომიური სტრუქტურის ორგანო, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილებები მიიღეს, "არჩეული" იყო საბჭოთა ეპოქაში (1985 წელს), ერთპარტიული სისტემის პირობებში, როცა თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარიც კი ზედმეტი იყო და ამ საბჭოების დეპუტატები კრემლიდან, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინიშნებოდნენ; ანუ ეს გადაწყვეტილებები კრემლის დაკვეთას წარმოადგენდა და არა ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

ასეთი პროვოკაციების მიუხედავად, კრემლმა მაინც ვერ მოახერხა მასშტაბური "ეთნოკონფლიქტის" პროვოცირება საქართველოში, სანამ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება არ მოაწყო და მის მიერ მთლიანად კონტროლირებად ქართულ, აფხაზურ თუ ოსურ კრიმინალურ-პოლიტიკურ ძალებს არ "გადასცა" ძალაუფლება, რის შემდეგაც აღარ გასჭირვებია საქართველოს "ჩაძირვა" "ეთნოკონფლიქტების", სისხლისღვრის, ძარცვისა და განუკითხაობის ქაოსში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ითლია კვიპროსისა და საქართველოს მაშინდელ რეალობათა ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის დანახვა — კვიპროსის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში "თავდაცვით პოზიციაში" უმცირესობა, თურქი კიპრიოტები იყვნენ, საქართველოში კი, პირიქით, თავდაცვის აუცილებლობა ქართველებს, საქართველოს ხელისუფლებას შეექმნა. აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ თავდასხმების ინიციატორები მხოლოდ ფორმალურად იყვნენ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" სტრუქტურები, სინამდვილეში ეს იყო კრემლის პოლიტიკურ-სამართლებრივ-სამხედრო თავდასხმა საქართველოზე, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობაზე.

აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პირველი პირების (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების): ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინის შეხვედრა, რომელიც დასრულდა მათ მიერ მოლაპარაკების ოქმის ხელმოწერით. ოქმის მესამე პუნქტში ვკითხულობთ: "რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან

საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას"[6]. ანუ ამ დოკუმენტით რუსეთმა რეალურად აღიარა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება "სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ" და საქართველოს ხელისუფლებას "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენა სთხოვა.

დასასრულ, მოკლედ შევეხებით გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წლის 1 ნოემბერს მიღებულ რეზოლუციას (# 3212 (XXIX)), რომლის თანახმად, ასამბლეა "დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ფორმირებას სასწრაფოდ დატოვონ კვიპროსის რესპუბლიკა" და აღნიშნავს, რომ "ყველა დევნილი უნდა დაბრუნდეს შინ უსაფრთხო პირობებში და დაინტერესებულმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად". საყურადღებოა, რომ დევნილების დაბრუნების უფლება პირველად ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში დაფიქსირდა (194-ე რეზოლუცია მიღებულ იქნა 1948 წელს პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით). აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, კრემლის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სწორედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდეც (A/RES/62/249, 15.05.2008) და ამ აგრესიის შემდეგაც (A/RES/63/307, 09.09.2009, A/RES/64/296) ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" "ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და მისი შთამომავლის უფლება დაბრუნების" შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციათა მიღების წესი (უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით, სადაც საბჭოს მუდმივ წევრებს, მათ შორის, რუსეთს, ვეტოს უფლება აქვთ), ვეტოს არ ითვალისწინებს და ამიტომ განსაკუთრებით ხელსაყრელია საქართველოსთვის. მართალია, გენერალური ასამბლეის რეზოლუციათა შესრულება სავალდებულო არ არის, მაგრამ მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის, მსოფლიო თანამეგობრობის მკაფიო პოზიციის ფორმირებისთვის.

---

6. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების კრებული. თბ. 2005. გვ. 68

ჩრდილო ირლანდია (დიდი ბრიტანეთი)

ფართობი — 13, 843 კმ² (კუნძულის მთლიანი ტერიტორიის 1/6). ჩრ. ირლანდიას ოლსტერსაც (Ulster) უწოდებენ, ირლანდიის ისტორიული ჩრდილოეთი პროვინციის სახელწოდებიდან გამომდინარე, თუმცა დღეანდელი ჩრდილო ირლანდია ოლსტერის 9 საგრაფოდან ექვსს აერთიანებს (კუნძული ისტორიულად ოთხ მხარედ იყოფოდა: სამხრეთი ნაწილი — მანსტერი (Munster), აღმოსავლეთი — ლენსტერი (Leinster), დასავლეთი — კონახტი (კონოტი) (Connacht, Connaught) და ოლსტერი.

მოსახლეობა – 1, 789 მილიონამდე (მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 1/3);

რელიგია — ქრისტიანობა. მოსახლეობის 46% პროტესტანტია, დაახლოებით 40% — კათოლიკე (პროტესტანტების უმრავლესობა იმ შოტლანდიელთა და ინგლისელთა შთამომავალია, რომლებიც XVII ს-ში გადმოსახლდნენ კუნძულზე).

ცენტრალური ქალაქი — ბელფასტი.

პირველი დასახლებები კუნძულ ირლანდიაზე, სავარაუდოდ, 8 ათასი წლის წინათ გაჩნდა. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებისთვის კელტებამდელი მოსახლეობა უკვე ასიმილირებული იყო უფრო გვიან გამოჩენილი კელტების მიერ.

432 — წმინდა პატრიკმა ქრისტიანობა გაავრცელა ირლანდიელთა შორის და მალე აქ ევროპული მასშტაბის მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრები ჩამოყალიბდა (უპირველესად, კუნძულ იონას მონასტერი), რის გამოც აღრეულ შუა საუკუნეებში ირლანდიას ზოგჯერ "წმინდანთა კუნძულადაც" კი მოიხსენიებდნენ.

VIII-IX სს. — ვიკინგები ხშირად არბევენ ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებს, მათ შორის, ირლანდიას და 839 წელს მათ აქ თავიანთი სამეფოც კი დააარსეს.

XI ს. — ირლანდიელებმა განდევნეს ვიკინგები, თუმცა მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის მეფე ჰენრი II-მ ისარგებლა ირლანდიელთა შიდა დაპირისპირებით და თითქმის მთლიანად დაიპყრო კუნძული (მაშინ ინგლისელებმა მხოლოდ ოლსტერის — მთიანი ჩრ. ირლანდიის დამორჩილება ვერ შეძლეს). ამის შემდეგ ინგლისურ-ირლანდიური დაპირისპირება, კიდევ 8 საუკუნე გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ინგლისის მიერ ირლანდიის დაპყრობას რომის პაპმაც დაუჭირა მხარი, რადგან ირლანდიის ქრისტიანობა კარგა ხანს მოწყვეტილი იყო რომს (რომის იმპერიის დამხობის შემდეგ) და თავის წიაღში კათოლი-

ციზმის ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებული თეოლოგიური ელემენტები წარმოშვა. მოგვიანებით ეს ელემენტები სწორედ ირლანდიიდან გავრცელდა გერმანიაში, რაც, საბოლოოდ, მარტინ ლუთერის პროტესტანტული რეფორმაციის ერთ-ერთ ფაქტორად იქცა.

XVI ს. — ინგლისმა გაწყვიტა კავშირი რომის პაპთან და დაფუძნდა ანგლიკანური ეკლესია. ამ დროიდან ირლანდიელების ერთგულებამ კათოლიციზმისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ეს აღმსარებლობა მათი ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი გახდა.

1541 — ინგლისის მეფე ჰენრი VIII ტიუდორმა თავი ირლანდიის მეფედაც გამოაცხადა, თუმცა ამ დროს ის ირლანდიის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს აკონტროლებდა. მოგვიანებით, ელისაბედ I-მა უფრო განავრცო ირლანდიაზე გავლენა, ჩვეულებად იქცა კათოლიკეთა და საეკლესიო მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა ინგლისელებისთვის.

1594 — ჩრ. ირლანდიელი გრაფების მეთაურობით დაიწყო დიდი აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა შექმნეს "ჩრდილოეთის ლიგა" და რამდენიმე ბრძოლა მოიგეს კიდეც. კრიტიკულ ვითარებაში ელისაბედმა ჯარების სარდალი შეცვალა და 1601 წელს პორტ კინსელთან ინგლისის არმიამ შეძლო აჯანყებულთა და მათ დასახმარებლად ჩამოსული ხუთიათასკაციანი ესპანური ლაშქრის დამარცხება. ამას მოჰყვა აჯანყების მონაწილეებისა და მომხრეების მასობრივი, სამაგალითო დასჯა, სოფლების გადაწვა, მიწების ჩამორთმევა. სწორედ ამ კამპანიის გაგრძელება იყო ანტიინგლისური ციტადელის — ოლსტერის 9 საგრაფოდან 6 საგრაფოს მიწების კონფისკაცია და აქ შოტლანდიელ და ინგლისელ კოლონისტთა ჩასახლება.

1607 — 14 სექტემბერს ირლანდიის უმაღლესი არისტოკრატიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (90-მდე ადამიანმა) უარი თქვა შეგუებოდა დამამცირებელ პირობებს და კათოლიკური ესპანეთ-საფრანგეთის დახმარების იმედით, კონტინენტზე გადასახლდა. "გრაფების გაქცევა" ირლანდიის ისტორიაში გელური (კელტური) მმართველობის დასასრულად ითვლება.

1641 — ირლანდიელებმა ისარგებლეს ინგლისში დაწყებული შიდა დაპირისპირებით პარლამენტსა და მეფე ჩარლზ I-ს შორის (1642 წელს ინგლისში პირველ სამოქალაქო ომი დაიწყო), ისევ აჯანყდნენ და "ირლანდიის კათოლიკეთა კონფედერაცია" შექმნეს. აჯანყების ორგანიზებაში სასულიერო ფენა აქტიურად მონაწილეობდა და მას კავშირი ჰქონდა, როგორც რომის პაპთან, ასევე საფრანგეთთან. მეფე ჩარლზის მეუღლე კათოლიკე ჰენრიეტა მარია ფრანგი პრინცესა იყო. ამ ფაქტმა

ხელი შეუწყო მეფესა და ირლანდიელებს შორის ზავის გაფორმებას 1643 წელს (1646 წელს მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაც დაიდო, თუმცა ჩარლზ სტიუარტი მეორე სამოქალაქო ომში დამარცხდა და 1649 წელს მას თავი მოჰკვეთეს).

1649 — ინგლისიდან გაქცეული როიალისტები.და "ირლანდიის კათოლიკეთა კონფედერაცია" მოკავშირეები გახდნენ, რაც საფრთხეს უქმნიდა რევოლუციურ ინგლისს და მის ლიდერს. ამიტომ ოლივერ კრომველი მრავალრიცხოვანი ჯარებით ამბოხებულ ირლანდიაში შეიჭრა და 9 თვეში თითქმის მთელი კუნძული დაიკავა. კრომველის წარმატებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ირლანდიელთა ნაწილმა უარი თქვა ინგლისელთა (თუნდაც როიალისტთა) გვერდით ბრძოლაზე და, რაც მთავარია, კრომველმა დაითანხმა პროტესტანტი როიალისტები კათოლიკეთა წინააღმდეგ დახმარებოდნენ მას. კრომველის ბრძანებით, კათოლიკე ღვთისმსახურებზე ნადირობა გამოცხადდა. მონარქიის მომხრე კათოლიკე ფეოდალები კუნძულიდან გადაიხვეწნენ და მათი მიწები პროტესტანტებისა (მათ შორის, როიალისტების) და კრომველის სამხედროების ხელში გადავიდა. 1641 წელს ირლანდიაში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, 1652 წელს კი მხოლოდ 850 ათასი, რომელთაგან 150 ათასი ახალგადმოსახლებული შოტლანდიელები და ინგლისელები იყვნენ.

1689 — ინგლისისა და შოტლანდიის მეფე გახდა უილიამ III (იგივე ვილჰელმ ორანელი /Orange-Nassau/, ნიდერლანდების პრინცი), რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა პროტესტანტიზმი ინგლისში. მისივე მეთაურობით, ირლანდიის პროტესტანტებმა 1690 წელს მდინარე ბოინთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს კათოლიკეთა ლაშქარი და ამ გამარჯვებას დღემდე აღნიშნავენ ჩრ. ირლანდიელი პროტესტანტები ("ორანჟისტთა ორდენის" ყოველწლიური საზეიმო მარშები ხშირად პოლიციასთან ან კათოლიკეებთან შეტაკებებით სრულდება).

1707 — ინგლის-შოტლანდიის სამეფოთა გაერთიანებით შეიქმნა დიდი ბრიტანეთის სამეფო.

1801 — გამოცხადდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დაფუძნების შესახებ, რის შემდეგაც ირლანდიის კოლონიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდა.

1846 — ინგლისმა გააუქმა "პურის კანონები", რამაც პურის გაიაფება გამოიწვია. შესაბამისად, მცირე საგლეხო ეჯარის ნაცვლად, მსხვილი სასაქონლე მეურნეობები განვითარდა. ამ პროცესმა და "კარტოფილის დაავადებამ" 1846-1849 წლებში ირლანდიაში დიდი შიმშილობა გამოიწვია, რასაც მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ემიგრი-

რებულთა რაოდენობა 1,5 მილიონამდე გაიზარდა. შედეგად, ირლანდიის მოსახლეობა 30%-ით შემცირდა. ეს ტენდენცია შემდგომ ათწლეულებშიც გაგრძელდა და თუ 1841 წელს კუნძულზე 8 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, 1901 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 4,5 მილიონი იყო.[1]

1916 — ირლანდიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით, დუბლინში დაიწყო "საველგომო აჯანყება" და მეამბოხეები თითქმის ერთი კვირა აკონტროლებდნენ ქალაქს. ლონდონს შეეშინდა, რომ ამ აჯანყებით გერმანია ისარგებლებდა და სასტიკად ჩაახშო იგი, მეთაურები კი სიკვდილით დასაჯა, რასაც ვითარების მხოლოდ დროებითი ჩაწყნარება მოჰყვა.

1919 — დაიწყო აჯანყება, რომელმაც კუნძულის დიდი ნაწილი მოიცვა. ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასა ("ირა") და ინგლისის ჯარებს შორის მასშტაბური საომარი შეტაკებები გაიმართა.

1920 — ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო „აქტი ირლანდიის მთავრობის შესახებ", რომლის თანახმად, ცალ-ცალკე უნდა შექმნილიყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ირლანდიის მმართველობის ორგანოები. ამავე აქტით განისაზღვრა ირლანდიის საბჭოს დაფუძნება, რომელსაც "ჩრდილო და სამხრეთ ირლანდიას შორის ურთიერთობის პარმონიზაცია" დაეკისრა და რომელიც სრულიად ირლანდიის ერთგვარ საათბირო-საკანონმდებლო ორგანოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. ირლანდიის საბჭოში 13-13 წევრი წარადგინა ჩრდილო და დანარჩენი ირლანდიის პარლამენტთა ქვედა პალატამ, 7-7 — ორივე პარლამენტის სენატმა, ხოლო 41-ე წევრი ანუ საბჭოს თავმჯდომარე — "ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტმა", ბრიტანეთის მეფის წარმომადგენელმა ირლანდიაში. ირლანდიის საბჭომ, რეალურად, მხოლოდ 1925 წლამდე იარსება (მოგვიანებით, 1973 წელს, განახლებული ფორმატით, საბჭომ ისევ დაიწყო მუშაობა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით).

1921 — ივნისში ფუნქციონირება დაიწყო ჩრდილო ირლანდიის პარლამენტმა, რომელსაც საკმაოდ ფართო უფლებამოსილება ჰქონდა და ბრიტანეთის პარლამენტისგან დამოუკიდებლად შეეძლო გადაწყვეტა. ფაქტობრივად, ყველა საკითხი, რომელიც არ ეხებოდა უმაღლესი სასამართლოს, ასევე თავდაცვის, საგარეო, სანაოსნო და კავშირგაბმულობის უწყებათა კომპეტენციას. რაც შეეხება სამხრეთ ირლანდიას, მას რეალურად არც უარსებია, რადგან რამდენიმე თვეში "ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო" შეიქმნა.

6 დეკემბერი (1921) — ბრიტანეთის მთავრობისა და "შინ ფეინის" ლიდერების მიერ ხელმოწერილ იქნა ანგლო-ირლანდიური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა, დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ფარგლებ-

1. http://www.libraryireland.com/articles/CensusIrelandDUM23-137/index.php

ში, დომინიონის სტატუსით (როგორიც ჰქონდა კანადას, ავსტრალიას და ახალ ზელანდიას), "ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს" დაფუძნებას კუნძულის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ ჩრ. ირლანდიას თავად უნდა გადაეწყვიტა, თავისუფალი ირლანდიის ნაწილი იქნებოდა თუ ინგლის-შოტლანდიასთან ერთად დარჩებოდა. შეთანხმება ძალაში უნდა შესულიყო ერთი წლის შემდეგ.[2]

1922 — 6 დეკემბერს, ანგლო-ირლანდიური შეთანხმების შესაბამისად, გამოცხადდა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო, მაგრამ ჩრ. ირლანდიის (ანუ ოლსტერის 6 საგრაფოს) პარლამენტმა ბრიტანეთის სამეფოში დარჩენა ამჯობინა. ოლსტერელმა კათოლიკეებმა შეიარაღებული გზით სცადეს დამოუკიდებელ ირლანდიასთან გაერთიანება, თუმცა უშედეგოდ ("იუნიონისტები" – ბრიტანეთთან ერთიანობის მომხრე პროტესტანტები — მაშინაც უმრავლესობას შეადგენდნენ).

1940 — მეორე მსოფლიო ომის დროს ირლანდია მკაცრად იცავდა ნეიტრალიტეტს. აღსანიშნავია, რომ 1945 წელს ირლანდიის პრეზიდენტი გერმანიის წარმომადგენელს ეწვია და მიუსამძიმრა ჰიტლერის სიკვდილის გამო. ბრიტანეთის წარმომადგენელმა დე ვალერას ეს ნაბიჯი შეაფასა, როგორც "არაკეთილგონიერული, მაგრამ მათემატიკურად თანმიმდევრული".

1948 — 21 დეკემბერს ირლანდიის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა "ირლანდიის რესპუბლიკის აქტს", რომელიც ძალაში შევიდა 1949 წლის აპრილს. ირლანდიამ სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გამოეცალა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობიდან (ირლანდია გაეროს წევრია 1955 წლიდან). აქტში აღნიშნულია, რომ ირლანდიის სახელმწიფო არის რესპუბლიკა და რომ საგარეო ურთიერთობებში ირლანდიის პრეზიდენტი წარმოადგენს ირლანდიას (და არა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მონარქი, როგორც მანამდე იყო). ამასთანავე, აქტის თანახმად, ჩრდილო ირლანდიამ მიიღო საკანონმდებლო გარანტია (ე.წ. "იუნიონისტთა ვეტო"), რომ დანარჩენ ირლანდიასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაერთიანდებოდა, თუ ბელფასტის პარლამენტი თვითონ, ოფიციალურად გამოთქვამდა ასეთ სურვილს.

1963 — ოლსტერის პრემიერად ტერენს ო'ნილის არჩევის შემდეგ ჩრდილო ირლანდიაში გაჩნდა დაპირისპირებულ მხარეთა დაახლოების ტენდენცია, რის წინააღმდეგაც აქტიურად გამოდიოდა გავლენიანი პროტესტანტული ორგანიზაცია "ორანჟისტთა ორდენი".

1968 — შეიქმნა "ჩრ. ირლანდიის სამოქალაქო უფლებათა ასოციაცია", რაც კათოლიკეთა გარკვეული ნაწილის პოზიციაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილების მაჩვენებელი იყო. ასოციაციამ შეიარაღებ-

2. http://www.nationalarchives.ie/topics/anglo_irish/dfaexhib2.html

ული მეთოდების ნაცვლად ახალი გზა აირჩია და ჩრ. ირლანდიაში მარტინ ლუთერ კინგის ამერიკული მოდელის მსგავსი მოძრაობა წამოიწყო. ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში, მთელი ყურადღება გაამახვილდა ოლსტერელ კათოლიკეთა უფლებების დარღვევებზე. ასოციაციამ დაიწყო მშვიდობიანი საპროტესტო აქციები ე.წ. "ექვსი მოთხოვნის" ერთიანი სლოგანით. ამ მოთხოვნების არსი იყო:

ა) ადგილობრივი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, მაგალითად, დემოკრატიული პრინციპის "ერთი ადამიანი, ერთი ხმა" განუხრელი განხორციელება (მაშინდელი მოძველებული საარჩევნო კანონი ერთგვარ ქონებრივ ცენზს აწესებდა და ძირითადად ბიზნესით დაკავებულ პროტესტანტებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა კათოლიკეებთან შედარებით);

ბ) საარჩევნო ოლქების საზღვრების სამართლიანად დადგენა, რაც ცალკეულ ტერიტორიებზე (მაგ. ქალაქ დერიში) დიდ გავლენას ახდენდა ადგილობრივ არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის გარკვევაზე;

გ) კათოლიკეების მიმართ დისკრიმინაციის გაუქმება დასაქმების სფეროში;

დ) საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფართის განაწილების სფეროში არსებული მიკერძოების (რელიგიური ნიშნით) აღმოფხვრა;

ე) "სპეციალური უფლებამოსილების აქტის" გაუქმება (ეს აქტი განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა შინაგან საქმეთა მინისტრს კონკრეტულად კათოლიკეთა მღელვარების "დასამშვიდებლად")

ვ) ოლსტერის სპეციალური პოლიციის (ე.წ. "B-specials") რეორგანიზაცია, რადგან ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მხოლოდ პროტესტანტებით იყო დაკომპლექტებული და მათ ძალოვან სტრუქტურას წარმოადგენდა.

ამ მოთხოვნების სამართლიანობა იმდენად აშკარა იყო, რომ მათ სწრაფად მოიპოვეს საზოგადოების მხარდაჭერა მთელ ბრიტანეთში. ამასთანავე, მშვიდობიანმა აქციებმა დადებითი საზოგადოებრივი აზრი შექმნა ოლსტერელ კათოლიკეთა შესახებ. საპასუხოდ, პროტესტანტებმაც გამართეს აქციები და დაიწყო ორმხრივი დემონსტრაციების ტალღა, რომელიც საბოლოოდ სერიოზული შეტაკებებითა და მსხვერპლით დასრულდა. ამ დროიდან იწყება ე.წ. არეულობის პერიოდი (The Troubles), რომელიც, ფაქტობრივად, 2000 წლამდე გაგრძელდა.

1969 — ოლსტერის მთავრობა, ლონდონის ზეწოლით, იძულებული გახდა კათოლიკეთა 6 მოთხოვნის უმრავლესობა დაეკმაყოფილებინა (თუმცა, ოლსტერის პოლიციის სისტემის რეორგანიზაცია რეალურად მხოლოდ 2001 წლიდან დაიწყო).

დეკემბერში "ოფიციალურ ირას" გამოეყო და ცალკე დაჯგუფებად ჩამოყალიბდა ჩრდილო ირლანდიური "დროებითი ირა" (Provisional IRA), რომლის სამოქმედო პრინციპი იყო შეიარაღებული ტერორის გამოყენება არა მხოლოდ თავდაცვის მიზნით (ფაქტობრივად, ეს იყო "შინ ფეინის" გასამხედროებული ფრთა). 1970 წლიდან ტერორისტულ აქტებს, ძირითადად, ისინი აწყობდნენ, რის გამოც, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა ტერაქტების კონტექსტში "ირა"-ს ახსენებდნენ, რეალურად, სწორედ მათ გულისხმობდნენ.

1972 — 30 იანვარი ჩრ. ირლანდიის ისტორიაში "სისხლიანი კვირადღის" სახელით შევიდა. ამ დღეს სამოქალაქო უფლებათა ასოციაციამ ქალაქ დერიში საპროტესტო მარში გამართა. მსვლელობის დროს ბრიტანეთის არმიის მედესანტეთა პოლკის ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც 13 დემონსტრანტი (მათგან 7 მოზარდი) ადგილზევე გარდაიცვალა და თოთხმეტი დაიჭრა. თვითმხილველები, მათ შორის ჟურნალისტები, ამტკიცებდნენ, რომ მსვლელობის მონაწილეებს იარაღი არ ჰქონდათ (5 მათგანი ზურგში იყო დაჭრილი). "სისხლიანი კვირადღე" დღემდე რჩება ჩრ. ირლანდიაში მომხდარ ერთ-ერთ ყველაზე ავადმოსაგონარ და შნიშვნელოვან ინციდენტად, რადგან მასში უშუალოდ ბრიტანეთის არმიის ჯარისკაცები მონაწილეობდნენ და არა რომელიმე გასამხედროებული დაჯგუფება, თანაც ეს მოხდა უამრავი ხალხისა და ჟურნალისტის თვალწინ და მსხვერპლი მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი იყვნენ და არა ტერორისტები (1998 წელს, ბელფასტის შეთანხმების ხელმოწერას მოჰყვა "სისხლიანი კვირადღის" მოვლენათა ხელახალი გამოძიება და 2000 წელს მოწმეთა მიერ ჩვენების საჯაროდ მიცემა, რაც 116 დღე გაგრძელდა და შედეგად 600-საათიანი ვიდეო მასალა მომზადდა; 2010 წლის 15 ივნისს კი, გამოძიების შედეგების ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა ქვეყნის სახელით მოიხადა ბოდიში ჩადენილი დანაშაულისთვის).

30 მარტი (1972) — ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული "ჩრდილო ირლანდიის აქტით", შეჩერდა ჩრ. ირლანდიის პარლამენტისა და გუბერნატორის საქმიანობა, რომელიც 1921 წლიდან არ შეწყვეტილა და ოლსტერის ტერიტორიაზე ლონდონის პირდაპირი მმართველობა დამყარდა (რომელიც 2000 წლამდე გრძელდებოდა). საკანონმდებლო ფუნქციები დროებით ბრიტანეთის პარლამენტს დაეკისრა, აღმასრულებელი კი ჩრდილო ირლანდიის საქმეთა მდივანს, რომელიც ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წევრი იყო.

21 ივნისი — ბელფასტში "ირა"-ს მიერ განხორციელდა ტერაქტი,

რომელიც "სისხლიანი პარასკევის" სახელით არის ცნობილი. სხვადასხვა ადგილას აფეთქდა 22 ბომბი, რის შედეგადაც 9 ადამიანი დაიღუპა და 130 დაიჭრა. აფეთქებების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე "ირა"-მ ადგილობრიეი მედიით გააერცელა გაფრთხილება ტერაქტის შესახებ (ბრიტანული წყაროები ამ ტერაქტის მთავარ ორგანიზატორად ჯერი ადამსს ასახელებენ და ამტკიცებენ, რომ ეს მოპყვა ლონდონსა და "ირა"-ს შორის საიდუმლო მოლაპარაკებათა ჩაშლას).

1973 — 8 მარტს გაიმართა "ჩრ. ირლანდიის სუვერენიტეტის რეფერენდუმი", რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ოლსტერის კუთვნილების საკითხი — დარჩებოდა ბრიტანეთთან თუ ირლანდიას შეუერთდებოდა. კათოლიკეებმა ბოიკოტი გამოაცხადეს იმ მოტივით, რომ რეფერენდუმის შედეგი წინასწარ იყო განსაზღვრული და "იუნიონისტებმა" დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს.

20 მარტი — ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა "თეთრი ფურცელი", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჩრ. ირლანდიის პარლამენტს, რომლის მოქმედება შეჩერდა 1972 წელს, შეცვლიდა 78-წევრიანი ასამბლეა, რომელიც "იუნიონისტ-პროტესტანტთა" და "ნაციონალისტ-კათოლიკეთა" პროპორციული წარმომადგენლობით უნდა არჩეულიყო. 3 მაისს ამოქმედდა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი "ჩრ. ირლანდიის ასამბლეის" შესახებ, რომელიც 20 მარტის "თეთრ ფურცელში" ჩამოყალიბებულ წინადადებათა რეალიზაციას ისახავდა მიზნად.

28 ივნისი (1973) — გაიმართა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის არჩევნები, რომელშიც "იუნიონისტებმა" და "ნაციონალისტთა" ნაწილმა მიიღო მონაწილეობა, "რესპუბლიკელებმა" ბოიკოტი გამოაცხადეს (ნაციონალისტთა რადიკალურ, ნახევრად გასამხედროებულ დაჯგუფებას ჩრ. ირლანდიაში "რესპუბლიკელებს" უწოდებენ, ხოლო "იუნიონისტთა" მსგავსი სტრუქტურის წარმომადგენლებს — "ლოიალისტებს").

18 ივლისს — ძალაში შევიდა "ჩრ. ირლანდიის საკონსტიტუციო აქტი", რომელმაც გააუქმა ჩრ. ირლანდიის პარლამენტი და გუბერნატორის პოსტი (რომელთა მუშაობა შეჩერებული იყო). საკანონმდებლო ფუნქცია დაეკისრა უკვე არჩეულ ასამბლეას, ხოლო აღმასრულებელი ორგანო უნდა ყოფილიყო ასამბლეის მიერ არჩეული "ჩრ. ირლანდიის მმართველობა", რომელშიც ასევე დაცული იქნებოდა "იუნიონისტთა" და "ნაციონალისტთა" პროპორციული წარმომადგენლობა.

ივლისშივე დააპატიმრეს ჯერი ადამსი, რომელიც ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, მაშინ ბელფასტში "ირა"-ს სამხედრო მეთაურიც იყო (თვითონ ადამსი ამტკიცებს, რომ ის არასოდეს ყოფილა "ირა"-ს წევრი).

9 დეკემბერი (1973) — სამდღიანი მოლაპარაკების შედეგად, ინგლისში, სანინგდეილში დაიდო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბრიტანეთისა და ირლანდიის პრემიერებმა და ჩრდილო ირლანდიის სამი დიდი პარტიის ლიდერმა (მათ შორის იყო კათოლიკეთა "სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიაც"). სწორედ ეს პარტიები შეადგენდა 28 იანისს არჩეულ ასამბლეაში უმრავლესობას (თუმცა "იუნიონისტებს" შორის დიდი განხეთქილება იყო და სანინგდეილის პროცესის მომხრეებს მხოლოდ მცირე უპირატესობა ჰქონდათ). სანინგდეილის ხელშეკრულების თანახმად, 1974 წლის 1 იანვრიდან დაფუძნდა ჩრ. ირლანდიის მმართველობა, რომელშიც გადანაწილდა ძალაუფლება "იუნიონისტებსა" და "ნაციონალისტებს" შორის, ასევე შეიქმნა ირლანდიის საბჭო, რომელსაც საერთო საკითხებთან დაკავშირებით ირლანდიის, ჩრ. ირლანდიისა და ბრიტანეთის მთავრობათა კოორდინაცია უნდა განეხორციელებინა, თუმცა, საბჭო იანისში დაიშალა, მას შემდეგ, რაც ის "იუნიონისტებმა" დატოვეს.

1974 — 14 მაისს ჩრ. ირლანდიის ასამბლეაში გაიმართა დებატები შეთანხმების შესახებ, რომელიც მოითხოვდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების გადანაწილების პოლიტიკისა და ირლანდიის საბჭოს საქმიანობის დაგმობას. ასამბლეის 78 წევრიდან ამ წინადადებას მხოლოდ 28 მიემხრო.[3]

15 მაისი — "ოლსტერის მუშათა საბჭომ" საერთო გაფიცვა გამოაცხადა. პროტესტი მიმართული იყო ჩრ. ირლანდიის მმართველობისა და ჩრ. ირლანდიის საბჭოს ანუ, ფაქტობრივად, მთლიანად სანინგდეილის პროცესის წინააღმდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, მუშათა საბჭოს უკან "იუნიონისტთა" რადიკალური, გასაშხედროებული ფრთა იდგა, რომელიც თავიდანვე უპირისპირდებოდა სანინგდეილის ხელშეკრულებას (ისევე, როგორც "რესპუბლიკელები"). გაფიცვას თან ახლდა გზების გადაკეტვა, ავტობუსების გატაცება, საწარმოებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა და ა. შ. რამდენიმე დღეში დაიწყო ტერაქტებიც. 17 მაისს დუბლინსა და მონაპენში ააფეთქეს ორი მანქანა, რამაც 33 ადამიანის დაღუპვა და ორასის დაჭრა გამოიწვია. 20 მაისს რადიკალმა "იუნიონისტებმა" მოკლეს ორი ძმა, კათოლიკეები, რომლებიც არ დაემორჩილნენ გაფიცვას და არ დახურეს თავიანთი ლუდის ბარი. საბოლოოდ, ორკვირიანი გაფიცვა ჩრ. ირლანდიის მმართველობის თავმჯდომარის ბრაიან ფოლკნერის გადადგომით დამთავრდა. შეჩერდა ჩრ. ირლანდიის ასამბლეისა და აღმასრულებელი მმართველობის, ასევე ირლანდიის საბჭოს მუშაობა ანუ სანინგდეილის პროცესი.

3 http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/northern_ireland/4072261.stm

21 ნოემბერს (1974) — ბირმინგემში "ირა"-მ განახორციელა ყველაზე დიდი ტერაქტი ბრიტანეთის ისტორიაში (თუ არ ჩავთვლით ისლამისტების მიერ მოწყობილ ტერაქტებს ლონდონის მეტროში 2005 წლის ივლისში), როცა ლუდის ბარში ორი ბომბის აფეთქების შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა და 182 დაიჭრა (ტერორისტებმა გაზეთ "ბირმინგემ პოსტის" რედაქციაში აფეთქებამდე 10 წუთით ადრე დარეკეს და დაასახელეს შენობა, რომელშიც ბომბი იყო).

1975 — არჩეულ იქნა საკონსტიტუციო კონვენტი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლო.

1980 — 27 ოქტომბერს მეიზის ციხის შვიდმა პატიმარმა, "ირა"-ს წევრებმა, შიმშილობა დაიწყეს. ისინი მოითხოვდნენ გასაჭირდროებულ ორგანიზაციათა პატიმრებისთვის "სპეციალური კატეგორიის სტატუსის" აღდგენას. 1976 წელს ლონდონმა გააუქმა ასეთი სტატუსი და ჩრ. ირლანდიაში ტერაქტებისთვის დაპატიმრებული პირები ჩვეულებრივ კრიმინალებს გაუთანაბრა. დეკემბერის პირველ რიცხვებში ერთ-ერთი მოშიმშილე (შონ მაკკენა) დროებით კომაში ჩავარდა და სიკვდილის პირას იყო. ბრიტანეთის მთავრობამ წარმოადგინა 30-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც მოშიმშილეთა მოთხოვნების ძირითად ნაწილს აკმაყოფილებდა. ამის შემდეგ, 18 დეკემბერს, შიმშილობის 53-ე დღეს, ბრენდან ჰიუზმა (მოშიმშილეთა ლიდერმა) მიიღო გადაწყვეტილება და შიმშილობა შეწყდა.

1981 — 1 მარტს 27 წლის პატიმარმა ბობი სენდსმა (მას 14 წელი ჰქონდა მისჯილი) ისევე დაიწყო შიმშილობა იმ მოტივით, რომ ბრიტანეთის მთავრობამ არ შეასრულა პირობა და მას ისევე აიძულებდნენ პატიმრების უნიფორმა ჩაეცვა. იმ დღეებში გარდაიცვალა ბრიტანეთის თემთა პალატის დეპუტატი ოლსტერის ერთ-ერთი ოლქიდან და 9 აპრილს დაინიშნა ოლქის ახალი არჩევნები. "ნაციონალისტებმა" თავიანთ კანდიდატად სწორედ ბობ სენდსი წარადგინეს და გაიმარჯვეს კიდეც. ამ მოვლენებმა დიდი ატეხა გამოიწვია. თემთა პალატაში სენდსის არჩევის შემდეგ ბრიტანეთის მთავრობას თითქოს უნდა დათმო, მაგრამ მარგარეტ თეტჩერის პოზიცია ურყევი იყო: "კრიმინალი არის კრიმინალი, ეს არ არის პოლიტიკური საკითხი".[4]

სენდსის პარალელურად სხვებიც შიმშილობდნენ, მაგრამ ისინი თანმიმდევრულად, გარკვეული შუალედის შემდეგ ერთვებოდნენ ამ პროცესში, რათა ის მაქსიმალურად გახანგრძლივებულიყო.

5 მაისი — შიმშილობის 66-ე დღეს სენდსი გარდაიცვალა. "რკინის ლედიმ" ამასთან დაკავშირებით განაცხადა: "ბატონი სენდსი იყო კრიმინალი. მან თავისი ნებით თქვა უარი თავის სიცოცხლეზე. ეს იყო

4 (http://newsvote.bbc.co.uk/mpapps/pagetools/print/news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/northern_ireland/4941866.stm)

მისი არჩევანი, მის ორგანიზაციას ასეთი არჩევანის უფლება არ მიუცია მისი მრავალრიცხოვანი მსხვერპლისთვის".[5]

სენდსის დაკრძალვას დაახლოებით 80 ათასი ადამიანი დაესწრო. ოქტომბრამდე მის გარდა კიდევ 9 მოშიმშილე დაიღუპა. 14 სექტემბერს თეტჩერმა შეცვალა სახელმწიფო მდივანი ჩრ. ირლანდიის საკითხებში. ახალდანიშნული ჯეიმს პრაიორი პატიმრებს შეხვდა და შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა. ამასთანავე, სულ უფრო მეტი მოშიმშილის ოჯახი ითხოვდა სამედიცინო პერსონალის ჩარევას პატიმართა მიერ შიმშილობის შესაწყვეტად. საბოლოოდ, შიმშილობა 3 ოქტომბერს, 217-ე დღეს დასრულდა. სამი დღის შემდეგ ჯეიმს პრაიორმა განაცხადა, რომ მთავრობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოშიმშილეთა მოთხოვნებს, მათ შორის, პატიმართა უნიფორმის ჩაცმის შესახებ. არსებითად, მოშიმშილეებმა ყველა საკითხზე თანხმობა მიიღეს გარდა ერთისა: ისინი მოითხოვდნენ მათი კატეგორიის პატიმრებს ჰქონოდათ უფლება არ შეესრულებინათ ციხის საშუშაო (1983 წელს მეიზის ციხიდან პატიმართა გაქცევის შემდეგ, ფაქტობრივად, ეს მოთხოვნაც შესრულდა, თუმცა, ბრიტანეთის მთავრობას ოფიციალურად ეს არსად დაუფიქსირებია).

1982 — არჩეულ იქნა საკონსტიტუციო ასამბლეა, რომელიც 1986 წელს დაიშალა.

ოლსტერში არეულობები 1969 წლიდან 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა, ტერაქტებსა და სისხლისმღვრელ შეტაკებებს ათასზე მეტი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

1985 — 15 ნოემბერს ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება. მარგარეტ თეტჩერისა და გარეტ ფიცჯერალდის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ "ჩრდილო ირლანდიის სტატუსის შეცვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ჩრ. ირლანდიის ხალხის უმრავლესობის თანხმობით" და რომ "ამჟამად ჩრ. ირლანდიის ხალხის უმრავლესობის სურვილია ჩრ. ირლანდიის არსებული სტატუსის შენარჩუნება". [6]

ხელშეკრულება ითვალისწინებდა "ანგლო-ირლანდიური სამთავრობათაშორისო კონფერენციის" დაფუძნებას, რომელსაც ექნებოდა მხოლოდ სათათბირო ფუნქცია, თუმცა კონფერენცია გააერთიანებდა ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობის ოფიციალურ პირებს და იგი განიხილავდა აქტუალურ პოლიტიკურ, სამართლებრივ და უსაფრთხოების საკითხებს. კონფერენციის მუდმივი სამდივნო განთავსდებოდა ბელფასტში.

5. (Provos The IRA & Sinn Fein, pp. 242–243.)
6. http://cain ulst.ac uk/events/aia/aiadoc.htm

ირლანდიის სენატმა 37 ხმით 16-ის წინააღმდეგ, მიიღო ანგლო-ირლანდიულ შეთანხმება. ხელშეკრულებას მხარი დაუჭირეს ბრიტანეთშიც, კონსერვატორებმა და ლეიბორისტებმაც და თემთა პალატამ დიდი უმრავლესობით დაამტკიცა იგი: 473 — მომხრე, წინააღმდეგი — 47. ამის შემდეგ ოლსტერელმა "იუნიონისტებმა" მასობრივად დატოვეს ბრიტანეთის თემთა პალატა. მათთვის მიუღებელი იყო ირლანდიის მთავრობის მონაწილეობა, თუნდაც მხოლოდ სათათბირო ხმით, ჩრ. ირლანდიის საქმეთა განხილვაში. ჩრ. ირლანდიელი "იუნიონისტების" ორივე ძირითადმა პარტიამ ("დემოკრატმა იუნიონისტებმა" და "ოლსტერის იუნიონისტთა პარტიამ") დაიწყო აქტიური საპროტესტო მოძრაობა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

23 ნოემბერი — ბელფასტის მერიასთან გამართა დიდი დემონსტრაცია (პრესაში დასახელდა 35 ათასიდან 200 ათასამდე) რომელზეც "დემოკრატი იუნიონისტების" ლიდერმა იან პეისლიმ განაცხადა: "სად პოულობენ თავშესაფარს ტერორისტები? ირლანდიის რესპუბლიკაში. და მაინც ქალბატონი თეტჩერი გვეუბნება, რომ ირლანდიას უნდა ჰქონდეს თავისი ხმა ჩვენს პროვინციაში. ჩვენ ვამბობთ, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს".[7]

ოლსტერის პროტესტანტთა უმრავლესობა შეთანხმების წინააღმდეგი იყო, კათოლიკეთა უმრავლესობა პირიქით, — მომხრე; თუმცა, "ირამ" და "შინ ფეინმაც" დაგმეს შეთანხმება. "შინ ფეინის" პრეზიდენტი ჯერი ადამსი აცხადებდა: "ირლანდიის გაყოფის ოფიციალური აღიარება არის კატასტროფა ნაციონალისტური პოზიციისთვის... ეს მეტისმეტად მძიმე რამაა დუბლინისთვის გადაცემულ უძლურ საკონსულტაციო როლთან შედარებით".[8]

მართალია, 1985 წლის ანგლო-ირლანდიულ შეთანხმებას იმ მომენტში არ მოჰყოლია კარდინალური ცვლილებები კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, მაგრამ რეალურად სწორედ ამ დროიდან დაიწყო ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობათა თანამშრომლობა ანუ სამშვიდობო პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელიც 12 წლის შემდეგ ბელფასტის შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. ანგლო-ირლანდიური ხელშეკრულებით ლონდონმა დაადასტურა ირლანდიის პირდაპირი ინტერესის ლეგიტიმურობა ჩრ. ირლანდიის საქმეებში და რადიკალ "იუნიონისტებს" დაანახვა, რომ მისთვის, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩრ. ირლანდიის პრობლემის მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი მხარდაჭერა.

7. Arwel Ellis Owen, The Anglo-Irish Agreement. The First Three Years (Cardiff. University of Wales Press, 1994) p 42
8. იქვე. p.37

1993 — 20 მარტს, ინგლისის ქალაქ ეერინგტონში, "ირა"-ს მიერ ორგანიზებულ აფეთქებას ორი ბავშვის დაღუპვა მოჰყვა.

24 აპრილს ლონდონში მომხდარმა აფეთქებამ კი ნგრევა გამოიწვია და ზარალმა 350 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწია.

27 მაისი — პირველად 1937 წლის შემდეგ, ირლანდიის პირველი პირი, პრეზიდენტი მერი რობინსონი ბუკინგემის სასახლეში ბრიტანეთის მონარქს შეხვდა.

23 ოქტომბერი (1993) — ბელფასტში მოხდა შანკილ როუდის ცნობილი აფეთქება, რომელსაც 10 ადამიანის, მათ შორის, ორი ბავშვისა და ერთი ამფეთქებლის სიცოცხლე შეეწირა. აფეთქება "ირა"-ს მიერ იყო მოწყობილი.

30 ოქტომბერი — დერის საგრაფოში (ოლსტერი), "ოლსტერის თავისუფლებისთვის მებრძოლებმა" ("ლოიალისტთა" ერთ-ერთმა დაჯგუფებამ) 7 ადამიანი მოკლა და 13 დაჭრა.

15 დეკემბერი — (1993) ბრიტანეთისა და ირლანდიის პრემიერთა მიერ ხელმოწერილ იქნა დაუნინგ სტრიტის დეკლარაცია, რომელშიც, ანგლო-ირლანდიური შეთანხმების მსგავსად, აღნიშნულია, რომ ირლანდიის გაერთიანება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოლსტერის მოსახლეობის უმრავლესობა თავად მოისურვებს ამას. ექსპერტთა შეფასებით, დეკლარაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან აქ პირველად დაფიქსირდა ე.წ. ირლანდიური განზომილება, ანუ ის პრინციპი, რომ კუნძულ ირლანდიის ხალხს, ჩრდილოეთელებსა და სამხრეთელებს, აქვთ ექსკლუზიური უფლება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები. ამასთანავე, დეკლარაციის მე-10 პუნქტი საშუალებას აძლევდა ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც უარს იტყოდა ძალადობაზე, მონაწილეობა მიეღო სამშვიდობო პროცესში (ეს, უპირველესად, "შინ ფეინს", "ირა"-ს პოლიტიკურ ფრთას ეხებოდა).

1994 — თებერვალში "შინ ფეინის" ლიდერი ჯერი ადამსი აშშ-ში ჩაიცვა, ერთი თვის შემდეგ კი პრეზიდენტმა კლინტონმა "ირა"-ს მოუწოდა უარი ეთქვა იარაღის გამოყენებაზე. ათწლეულების განმავლობაში, ირლანდიური წარმოშობის ამერიკელთა შემოწირულობები "ირა"-ს დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო (ირლანდიის პროცესებზე განსაკუთრებული გავლენა აქვს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის "კენედის ფრთას").

31 აგვისტო — "ირა"-მ განაცხადა, რომ "მთლიანად წყვეტს სამხედრო ოპერაციებს". [9]

13 ოქტომბერი — ანალოგიური ნაბიჯი გადადგა "ლოიალისტთა"

9 http://news.bbc.co.uk/2/hi/events/northern_ireland/history/69283.stm

გაერთიანებულმა სამხედრო შტაბმა.

9 დეკემბერი (1994) — პირველად 22-წლიანი შუალედის შემდეგ, გაიმართა "შინ ფეინისა" და ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთა ოფიციალური შეხვედრა.

1969-1994 წწ. ოლსტერში მომხდარ მასობრივ არეულობებს 3000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, აქედან 1855 სამოქალაქო პირი იყო, ხოლო 1123 — ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი.

1996 — ბრიტანეთის პრემიერი გახდა ტონი ბლერი, რის შემდეგაც სამშვიდობო პროცესმა ახალ საფეხურზე გადაინაცვლა. მას შემდეგ, რაც ტონი ბლერისა და "შინ ფეინის" მოლაპარაკება რეალური წინასწარი შეთანხმებით დასრულდა, მთლიანად ირლანდიის კუნძულზე დაიწყო სწრაფი ეკონომიკური აღმასვლის უპრეცედენტო პროცესი. ირლანდია იქცა ძირითად პლაცდარმად ამერიკული და კანადური კომპიუტერული კომპანიებისთვის ევროპული ბაზრის ასათვისებლად. უმსხვილესი ინვესტიციები სწორედ ინფორმატიკული (High-Tech) ბიზნესიდან მიიღო ირლანდიამ. ამ მხრივ, ცხადია, განსაკუთრებულია ამერიკის ირლანდიური დიასპორის როლი. სასოფლო ეკონომიკიდან ირლანდია, ინდუსტრიული ეტაპის გამოტოვებით, პირდაპირ "გადახტა" პოსტინდუსტრიულ, ინფორმატიკული ტექნოლოგიების ეკონომიკაზე. ირლანდიის მთლიანი შემოსავლის 37%, ექსპორტის 80% და დასაქმებულთა 28% მრეწველობაზე (ძირითადად, ინფორმატიკულ საწარმოებზე) მოდის. ინფორმატიკული ტექნოლოგიების, პრაქტიკულად, ყველა დიდი კომპანიის (Microsoft, Compaq, Dell, Intel, Panasonic, Corel, Symantec, Informix, Ericsson) ევროპულ ფილიალთა სათავო ოფისები სწორედ ამ კუნძულზეა განლაგებული. მინიმუმამდე დაიდა ინფლაცია და იმიგრაცია, მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობა (90-იანების დასაწყისში 20% იყო). ყოველივე ამას, მეორე მხრივ, მოჰყვა ფასების ზრდა (მაგ. დუბლინში ორსაძინებლიანი მოკრძალებული სახლი უკვე დაახლოებით 1 მილიონ დოლარად იყიდებოდა).

ანალოგიური პროცესი განვითარდა ჩრ. ირლანდიაში. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის დასაქმების ტემპი აქ ათჯერ აღემატებოდა საერთო ბრიტანულ მაჩვენებელს, სამრეწველო წარმოების ზრდა კი – 1,5 –ჯერ (90-იანი წლების მეორე ნახევარში 103 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა). ბოლო დროს გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის 70,8% კომპიუტერულ და სხვა მაღალტექნოლოგიურ ნაწარმზე მოდის, რადგან უცხოური (ძირითადად, ამერიკული) ინვესტიციები სწორედ ამ სფეროში ჩაიდო. გარდა ამისა, ჩრ. ირლანდიამ შეძლო ბრი-

ტანეთის შიდა ინვესტიციების 9%-ის მოზიდვა. ფაქტობრივად, შეწყდა იმიგრაცია და დაიწყო უკუპროცესი (70-იან წლებში ოლსტერიდან 100 000-მდე ირლანდიელი გადასახლდა, 80-იანებში იმიგრაცია შედარებით შემცირდა, თუმცა მაინც მაღალი იყო). საზღვარი ოლსტერსა და დანარჩენ ირლანდიას შორის, ფაქტობრივად, ღიაა ორივე მიმართულებით. ჩრ. ირლანდია ყოველწლიურად იღებს 3 მილიარდ ფუნტ სტერლინგს ცენტრალური ხელისუფლებისგან.

1997 — 26 აგვისტოს ბრიტანეთისა და ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობათა მიერ დაფუძნდა განიარაღების დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია (Independent International Commission of Decommissioning), რომლის თავმჯდომარეობა დაეკისრა კანადელ გენერალს (სამკაციანი კომისიის დანარჩენი ორი წევრი ფინეთისა და აშშ-ის წარმომადგენელი იყო, მოგვიანებით მათ თითო პროტესტანტი და კათოლიკე სასულიერო პირი დაემატა). კომისიას უნდა ეთანამშრომლა ორივე მთავრობასთან, მიეცა მათთვის საჭირო რჩევები და უშუალო მეთვალყურეობა გაეწია ჩრ. ირლანდიის უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ იარაღის, ტყვიაწამლისა და ფეთქებადი ნივთიერებების ჩაბარების პროცესისთვის; ასევე უნდა განეხორციელებინა სათანადო აღწერა და პროცესის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოედგინა შესაბამისი მოხსენება.[10]

განიარაღების პროცესი და მასში საერთაშორისო კომისიის მონაწილეობა დეტალურად გაიწერა "განიარაღების (ჩამოწერის) აქტში", რომელიც სექტემბერში მიიღო, ერთი მხრივ, ბრიტანეთის და, მეორე მხრივ, ირლანდიის რესპუბლიკის პარლამენტმა.

1998 — 10 აპრილს, ბელფასტში, ამერიკელი სანატორის ჯორჯ მიტჩელის შუამავლობით ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბრიტანეთისა და ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობებს, ასევე ჩრ. ირლანდიის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის. შეთანხმების ძირითადი პუნქტებია:

1) ოლსტერი რჩება ბრიტანეთის შემადგენლობაში;

2) ირლანდიის რესპუბლიკა უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე (ამ საკითხთან დაკავშირებით ირლანდიის კონსტიტუციაში მოგვიანებით შეიტანეს ე.წ. 19-ე შესწორება);

3) იქმნება ჩრ. ირლანდიის 108 წევრიანი ასამბლეა, რომელიც აირჩევა პროპორციული სისტემით და მის მიერ არჩეულ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მართავს ოლსტერს (ლონდონის კომპეტენციაში რჩებოდა მხოლოდ თავდაცვის, საგარეო და ფინანსური საკითხები);

10 http://cain.ulst.ac.uk/events/peace/docs/dec26897.htm

5) ასამბლეა აირჩევს 12-წევრიან აღმასრულებელ კომიტეტს. მინისტრთა აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობით იღებს;

6) ფუძნდება ჩრდილო-სამხრეთის (ჩრდილოეთ და დანარჩენი ირლანდიის) მინისტრთა საბჭო, რომელშიც შეელენ კუნძულის ორივე ნაწილის წარმომადგენლები. ამ საბჭოს კომპეტენცია მოიცავს მხოლოდ ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროს.

7) ჩამოყალიბდება ბრიტანულ-ირლანდიური საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან ირლანდიის რესპუბლიკის, ჩრ. ირლანდიისა და ბრიტანეთის მთავრობათა წარმომადგენლები;

8) შეიქმნება ახალი საპოლიციო აქტი, რომელიც მოიცავს, როგორც საკუთრივ პოლიციის სისტემის რეორგანიზაციის, ასევე მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

22 მაისი — გაიმართა რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა ხალხის მხარდაჭერა შეთანხმებისადმი; ჩრ. ირლანდიაში მას მიემხრო 71%, ხოლო ირლანდიის რესპუბლიკაში – 94%. შეთანხმების მხარდაჭერით ირლანდიის ამომრჩეველი დაეთანხმა ცნობილ მე-19 საკონსტიტუციო შესწორებას, რომელიც გულისხმობდა ირლანდიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე, მესამე და 29-ე მუხლის შეცვლას. ამ პუნქტებში აღნიშნული იყო, რომ ირლანდიის "ეროვნული ტერიტორია" მოიცავს მთელ კუნძულს და რომ ირლანდიელ ხალხს სურს ირლანდიის გამთლიანება; შესწორების შემდეგ დაზუსტდა, რომ გამთლიანება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ჩრ. ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ დემოკრატიულად გამოხატული თანხმობით. შესწორების თანახმად, ირლანდიის კუნძულზე დაბადებულ ნებისმიერ პირს აქვს უფლება იყოს ირლანდიელი ერის ნაწილი და ირლანდიის მოქალაქე (ამჟამად ჩრ. ირლანდიის მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტს ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეობაც აქვს).

3 ივნისი — ირლანდიის პარლამენტმა დაამტკიცა მე-19 შესწორება, თუმცა ირლანდიის მთავრობამ, სპეციალური სამართლებრივი მექანიზმით, მისი რეალური ამოქმედება შეაჩერა 2 დეკემბრამდე, სანამ ასამბლეამ ბრიტანეთის პარლამენტისგან ოფიციალურად არ მიიღო უფლებამოსილება.

იმავე დღეს (03.06.1998) შეიქმნა ჩრდილოეთ ირლანდიის დამოუკიდებელი საპოლიციო კომისია. რეაწევრიან კომისიას ქრისტოფერ პატენი, ჰონგ კონგის ყოფილი გუბერნატორი ხელმძღვანელობდა. კომისია რამდენიმე თვის მანძილზე აწყობდა შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. გაანალიზდა ათასობით მოქალაქის მიერ გამოგზავნილი წერ-

ილი და შემუშავდა 175 რეკომენდაცია, რომელთა დიდი ნაწილი 2001 წლიდან წარმატებით განხორციელდა.

25 ივნისი (1998) — გაიმართა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის არჩევნები, რომელშიც 28 ადგილი მოიპოვეს "ოლსტერის იუნიონისტებმა", "სოციალ-დემოკრატებმა და ლეიბორისტებმა" (ზომიერმა კათოლიკეებმა) — 24, "დემოკრატმა იუნიონისტებმა" (რადიკალმა პროტესტანტებმა) — 20 და "შინ ფეინმა" (რადიკალმა კათოლიკეებმა) – 18.

1 ივლის — პირველად შეიკრიბა ახალარჩეული ასამბლეა "ჩრდილოეან რეჟიმში", რადგან ფორმალური უფლებამოსილება მხოლოდ მომდევნო წლის დეკემბერში მიიღო.

მიუხედავად ასეთი წარმატებული სამშვიდობო პროცესისა, აგვისტოში ვერ იქნა თავიდან აცილებული სისხლისმღვრელი შეტაკება ქალაქ ომაში. დაიღუპა 29 და დაშავდა 200-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ბავშვები და მოხუცები; თუმცა, პროცესი მაინც არ შეჩერდა.

19 ნოემბერი (1998) — ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო ჩრდილო ირლანდიის აქტი, რომლითაც გაუქმდა 1920 წლის ირლანდიის მმართველობის აქტი, ჩრდილო ირლანდიის საკონსტიტუციო აქტის ნაწილი და ჩრ. ირლანდიაში შემოღებულ იქნა ახალი წესები ბელფასტის შეთანხმების, მთლიანად სამშვიდობო პროცესისა და ევროკავშირის ზოგადი სტანდარტების შესაბამისად. აქტით განისაზღვრა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო ზედამხედველობისთვის შექმნილი სასამართლო კომიტეტის, ადამიანის უფლებათა კომისიის, ასევე ჩრდილო-სამხრეთის მინისტრთა საბჭოსა და ბრიტანულ-ირლანდიური საბჭოს უფლებამოსილება. მაგალითად, ასამბლეას მიენიჭა უფლება ცვლილებები შეეტანა ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებულ ნებისმიერ აქტში, რომელიც ჩრ. ირლანდიის კანონმდებლობის კომპეტენციას არ სცდება.

1999 — 29 ნოემბერს "ჩრდილოეან რეჟიმში" მომუშავე ასამბლეამ აირჩია 12 წევრიანი მთავრობა. ამ გადაწყვეტილებით რეალურად განხორციელდა ძალაუფლების მშვიდობიანი გადანაწილება პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის — "იუნიონისტი" პრემიერის მთავრობაში განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრთა პოსტები "შინ ფეინის" წარმომადგენლებმა დაიკავეს.

2 დეკემბერი — ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩრ. ირლანდიის დევოლუციის შესახებ, ანუ ჩრ. ირლანდიის ასამბლეისთვის უფლებამოსილების ნაწილობრივი გადაცემის შესახებ (აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომ პერიოდში ლონდონმა ასამბლეის მუშაობა, სხ-

ვადასხვა დროით, ოთხჯერ შეაჩერა).

2000 — 11 თებერვალს ჩრდილო ირლანდიის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ბრიტანეთის მთავრობაში, პიტერ მენდელსონმა 30 მაისამდე შეაჩერა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის მუშაობა იმ მოტივით, რომ "ირა"-ს განიარაღების პროცესი არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობდა. "რესპუბლიკელები" და "ლოიალისტები" ერთმანეთს არ ენდობოდნენ, არც ბრიტანეთის მთავრობას. იყო შემთხვევები, როცა "ირა" უარს აცხადებდა იარაღის ჩაბარებაზე, თუმცა თანახმა იყო იარაღის სამალავის შესასვლელი საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის წევრთა თანდასწრებით დაელუქათ, მეორე მხარე კი კარის ჩაბეტონებას მოითხოვდა და ა.შ. გარდა ამისა, უკიდურესად გამწვაედა შიდადაპირისპირება გასამხედროებულ დაჯგუფებებს შორის. "ლოიალისტებისა" და "რესპუბლიკელების" რადიკალური ნაწილი თავისსავე მეთაურებსა და თანამებრძოლებს ღალატში ადანაშაულებდა. ამას მოჰყვა რამდენიმე შიდამკვლელობა. ექსპერტთა ვარაუდით, პროცესზე კონტროლის შესანარჩუნებლად დაჯგუფებათა ლიდერები იძულებული გახდნენ რადიკალი "მეამბოხეები" თვითონვე "მოეშორებინათ".

2001 — ნოემბერში დამოუკიდებელი საპოლიციო კომისიის (პატენის კომისიის) რეკომენდაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის სამსახური (Police Service of Northern Ireland - PSNI), რომელსაც წილად ხვდა უმძიმესი მემკვიდრეობა. ოლსტერის კათოლიკური უმცირესობისთვის პოლიცია ცალსახად აღიქმებოდა როგორც მტრული ძალა, რადგან პოლიციელების უდიდესი უმრავლესობა პროტესტანტი იყო (13 000 ოფიცრიდან მხოლოდ 8%-მდე იყო კათოლიკე). სწორედ ამიტომ, "ირა" განსაკუთრებული მონდომებით ებრძოდა პოლიციას. მოკლულ პოლიციელთა რიცხვი სამასს, ხოლო დაჭრილთა — 11 ათასს აღწევდა. ასეთი ვითარების კარდინალური შეცვლის მიზნით, 2001 წლიდან დაიწყო კათოლიკეთა მიზანმიმართული ჩაბმა განახლებულ პოლიციაში და დღეისათვის 7 500 ოფიცრიდან 23% კათოლიკეა, "ირას" წარმომადგენლები პოლიციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც კი გახდნენ. შედეგად, კათოლიკეთა 60% და პროტესტანტთა 70% ენდობა პოლიციას და დადებითად აფასებს მის საქმიანობას. ამგვარი წარმატების მიღწევა შესაძლებელი გახდა პოლიციის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებით (სამეთვალყურეო საბჭო, პოლიციის ომბუდსმენი), ამ სტრუქტურებში მხარეებს შორის პარიტეტის დაცვისა და პოლიციელთა საგანგებო შერჩევის წესის გამოყენებით (ეს ყოველივე დეტალურად იყო გაწერილი პატენის რეკომენდაციებში).

2002 — 4 ოქტომბერს დაიწყო ე. წ. სტორმონტგეითი ანუ სკანდალი, რომელიც პოლიციის მიერ ჩრ. ირლანდიის ასამბლეის შენობაში — სტორმონტში "ირა"-ს ჯაშუშური ქსელის გამოვლენამ გამოიწვია. დააკავეს ასამბლეაში "შინ ფეინის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დენის დონალდსონი და კიდევ ორი პირი. ამას მოჰყვა "იუნიონისტთა" პროტესტი და 14 ოქტომბერს ჩრ. ირლანდიის ასამბლეის მუშაობა შეჩერდა (მისი სრულად განახლება მხოლოდ 2007 წლის 7 მაისს მოხერხდა). მოგვიანებით, 2005 წლის 17 დეკემბერს, დონალდსონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში გადაიბირეს, 2002 წელსაც მათ დაქირავებულ აგენტად მუშაობდა და "ირა"-ს სასარგებლოდ სტორმონტში არანაირ ჯაშუშურ საქმიანობას არ ეწეოდა. მისი თქმით, სტორმონტგეითი ფიქცია, ბრიტანული სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი აფერა იყო (2006 წლის 4 აპრილს დონალდსონი მოკლეს).[11]

2003 — ნოემბერში "შინ ფეინის" ერთ-ერთმა ლიდერმა მარტინ მაკგინესმა აღიარა, რომ 70-იან წლებში "ირა"-ს მეთაურთა შორის იყო.

25 ნოემბერს ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობათა მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელის საფუძველზე 2004 წლის 7 იანვარს შეიქმნა მონიტორინგის დამოუკიდებელი კომისია. ამ კომისიას დაეკისრა:

1) გასამხედროებული ჯგუფების ნებისმიერი აქტივობის მეთვალყურეობა;

2) უსაფრთხოების მხრივ, ბრიტანეთის მთავრობის მიერ ვითარების ნორმალიზაციისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა მონიტორინგი;

3) ჩრ. ირლანდიის ასამბლეის პარტიათა ურთიერთბრალდებების შესწავლა, რომლებიც ძალადობის ხელშეწყობას ან ძალადობის აღსაკვეთად არასაკმარის ძალისხმევას ეხებოდა.

კომისიაში თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავდათ ჩრ. ირლანდიას, ბრიტანეთს და ირლანდიას, ხოლო მეოთხე წევრი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე იყო. წლების განმავლობაში კომისიამ 22 მოხსენება წარუდგინა ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობებს. "შინ ფეინმა" ოფიციალური განცხადებებით ეჭქვეშ დააყენა კომისიის მოხსენებებში წარმოდგენილი შეფასებები და კომისიის შემადგენლობას "აშკარად მიკერძოებული" უწოდა.

26 ნოემბერი (2003) — გაიმართა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის არჩევნები, რომელშიც "შინ ფეინი" მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა განიარაღებასთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო ასამბლეამ მუშაობა ვერ დაიწყო, რადგან "დემოკრატი იუნიონისტები" უარს აცხადებდნენ "იარაღიანი პარტიის" გვერდით ასამბლეაში შესვლაზე.

11 http://www.guardian.co.uk/uk/2005/dec/17/northernireland.northernireland

2005 — 28 ივლისს "ირა"-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ საბოლოოდ აბარებს მთელ მის არსენალს შესაბამის სტრუქტურებს.

26 სექტემბერი — განიარაღების საერთაშორისო დამოუკიდებელმა კომისიამ დაადასტურა "ირა"-ს განიარაღების ფაქტი. კომისიის მოხსენებაში დეტალურად არის აღნუსხული "ირა"-ს მიერ ჩაბარებული შეიარაღება (მათ შორის, სამი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება).

2006 — 8 მაისს ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო ჩრ. ირლანდიის აქტი, რომლიც ითვალისწინებდა ჩრ. ირლანდიის აღმასრულებელი ხელისუფლების აღდგენას, რაც პირველ საფეხურად განიხილებოდა ჩრ. ირლანდიაში ბრიტანეთის პირდაპირი მმართველობის გასაუქმებლად. ამ აქტის საფუძველზე 15 მაისს შეიკრიბა 2003 წელს არჩეული ასამბლეა, თუმცა უშედეგოდ, "დემოკრატი იუნიონისტები" და "შინ ფეინი" მაინც ვერ შეთანხმდნენ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაზე.

11-13 ოქტომბერს (2006) შოტლანდიის ქალაქ სენტ-ენდრიუსში გაიმართა მოლაპარაკებები ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავრობების, ასევე ჩრ. ირლანდიის ძირითად პარტიათა (მათ შორის, "დემოკრატ იუნიონისტთა" და "შინ ფეინის") წარმომადგენელთა მონაწილეობით, რაც სენტ-ენდრიუსის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. ხელშეკრულების მიხედვით, "შინ ფეინი" მთლიანად დათანხმდა ჩრ. ირლანდიის საპოლიციო სამსახურის შეცვლილ მოდელზე, საბოლოოდ გადაწყდა ასამბლეის მუშაობის აღდგენა და "დემოკრატი იუნიონისტები" დაეაბულდნენ აღმასრულებელ კომიტეტში "შინ ფეინთან" თანამშრომლობაზე.[12] ახალი აღმასრულებელი კომიტეტის შექმნა დაიგეგმა მომავალი წლის 26 მარტს, ასამბლეის არჩევნების შემდეგ.

26 ნოემბერს შეიკრიბა "გარდამავალი პერიოდის ასამბლეა", რათა მარტის არჩევნებამდე დარჩენილი დროში კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის გარკვეული საფუძველი მოემზადებინა, მაგრამ მისი მუშაობა ისევ შეწყდა, როცა რადიკალმა "იუნიონისტმა" მაიკლ სტოუნმა ბომბით სცადა სტორმონტის შენობაში შეღწევა.

2007 — 22 იანვარს ჩრ. ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენმა დაადასტურა, რომ წარსულში პოლიცია თანამონაწილეობდა "ლოიალისტების" მიერ ორგანიზებულ თორმეტ მკვლელობაში.

28 იანვარი — გაიმართა "შინ ფეინის" 900-კაციანი სპეციალური პარტიული კონფერენცია, რომელზეც პარტიის მმართველმა ჯგუფმა მიიღო უმრავლესობის მანდატი ახალი საპოლიციო მოდელისა და "დემოკრატ იუნიონისტებთან" ძალაუფლების გადანაწილების მხარდაჭერისთვის.

7 მარტი (2007) — გაიმართა ჩრ. ირლანდიის ასამბლეის არჩევნები,

12. http://www.niassembly.gov.uk/transitional/info_office/Act.pdf

რომელზეც I-II ადგილები "დემოკრატმა იუნიონისტებმა" (36 ადგილი) და "შინ ფეინმა" (26 ადგილი) მოიპოვეს.

25 მარტი (2007) — ჩრ. ირლანდიის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ბრიტანეთის მთავრობაში ხელი მოაწერა ჩრ. ირლანდიაში ლონდონის პირდაპირი მმართველობის შეწყვეტის აქტს.

10 მაისი — შეიქმნა ჩრ. ირლანდიის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის პირველი მინისტრი გახდა "დემოკრატ იუნიონისტთა" ლიდერი იან პეისლი, ხოლო მისი მოადგილე — "შინ ფეინის" ერთ-ერთი ლიდერი, წარსულში "ირა"-ს წევრი, მარტინ მაკგინესი. ამ დროიდან ჩრ. ირლანდიის საშშეიდობო პროცესის მთავარი ამოცანა გახდა პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მაქსიმალურად გათავისუფლება ლონდონის გავლენისაგან (ამ მიმართულებით საბოლოო ნაბიჯების გადადგმა 2010 წლის აპრილში იგეგმება).

2008 — 8 დეკემბერს მაიკლ სტოუნს (რადიკალ "იუნიონისტს") 16-წლიანი პატიმრობა მიესაჯა ჯერი ადამსისა და მარტინ მაკგინესის მკვლელობის მცდელობისთვის.

2009 — 7 მარტს ბელფასტის ახლოს, ანტრიმის საგრაფოში 2 ბრიტანელი ჯარისკაცი მოკლეს. პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო "რეალურმა ირამ" ("ირა"-ს ახალმა, უკონტროლო ფრთამ).

2010 — 6 იანვარს "ოლსტერის თავდაცვის ასოციაციამ" ("ოთა") განაცხადა, რომ მან დაასრულა განიარაღების პროცესი, რაც დაადასტურა განიარაღების საერთაშორისო დამოუკიდებელმა კომისიამ. "ოთა" არის "ლოიალისტთა" ყველაზე ძლიერი გასამხედროებული დაჯგუფება, რომლის ათასობით წევრი 1971 წლიდან 2001 წლამდე მონაწილეობდა ოთხასამდე მკვლელობაში, რომლებიც, ასოციაციის ლიდერთა თქმით, ემსახურებოდა ოლსტერის პროტესტანტთა თემის დაცვას "ირა"-ს ძალადობისგან.

4 თებერვალი — ორკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ, "დემოკრატ იუნიონისტთა" ლიდერმა განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება კათოლიკეებთან, უპირველესად, "შინ ფეინთან", საპოლიციო და მართლმსაჯულების სისტემის დეეოლუციასთან დაკავშირებით ("შინ ფეინი" მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება დაჩქარებულიყო ამ სფეროში ლონდონის მიერ ბელფასტისთვის ძალაუფლების გადაცემის პროცესი). მოლაპარაკების დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო "ორანჟისტთა ორდენის" ყოველწლიური საზეიმო მარში, რომელიც მე-17 საუკუნეში პროტესტანტების კათოლიკეებზე გამარჯვების აღსანიშნავად დღემდე იმართება და კათოლიკეთა კვარტალსაც გაივლის.

ისტორიული თვალსაზრისით, ჩრდილო ირლანდიის პრობლემასა და საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს შორის მსგავსება სრულიად აშკარაა — რომ არა ინგლისის (ირლანდიის შემთხვევაში) და კრემლის (საქართველოს შემთხვევაში) იმპერიული, დანაშაულებრივი ქმედებები, ეს პრობლემები საერთოდ არ იარსებებდა; ანუ, რომ არა ლონდონის მიერ XVII საუკუნეში თითქმის მთელი ოლსტერიდან ირლანდიელთა განდევნა და იქ პროტესტანტი შოტლანდიელებისა და ინგლისელების ჩასახლება და ამის შემდეგაც ირლანდიელთა მიმართ უსასტიკესი პოლიტიკის განხორციელება, ირლანდიის კუნძულზე დღეს ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო იარსებებდა.

ანალოგიურად, რომ არა მეფის რუსეთის მიერ XIX საუკუნეში ქართული სამეფოების დაპყრობა-გაუქმება, ხოლო 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, რომ არა 1991-1994 წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში ჯერ სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდეგ სამოქალაქო ომის ორგანიზება, რომ არა რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთში ეთნიკური წმენდის განხორციელება "უპირატესად, ქართველების მიმართ", როგორც აღნიშნულია ეუთოს 1994, 1996, 1999 წლების სამიტთა რეზოლუციებში (ხაზგასასმელია, რომ ამ რეზოლუციებს რუსეთიც დაეთანხმა, რადგან ეუთოში გადაწყვეტილებები კონსენსუსის წესით მიიღება), რომ არა 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და ამჯერად უკვე ცხინვალის რეგიონში ეთნიკური წმენდის განხორციელება (რაც დადასტურებულია ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფისა და "ჰიუმან რაითს ვოჩის" მოხსენებებში), რომ არა კრემლის მიერ ამ ტერიტორიებზე დანაშაულებრივი რეჟიმების ყოველმხრივი მხარდაჭერა, ამ რეგიონების "დამოუკიდებლობის" აღიარება და მათი ფაქტობრივი ანექსია, რომ არა ყოველივე ეს, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლება იოლად მოახერხებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან ნებისმიერი სადაო საკითხის მშვიდობიანად მოგვარებას, საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად.

ირლანდიისა და საქართველოს ისტორიულ წარსულს შორის ამ ზოგად მსგავსებასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რამდენიმე განმასხვავებელი ფაქტორი:

1) ოლსტერში ჩასახლებულ პროტესტანტებსა და მათ შთამომაე-

ლებს არასოდეს უცხოვრიათ ირლანდიის დამოუკიდებელი სამეფოს ან რესპუბლიკის შემადგენლობაში, ან თუნდაც დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, ოღონდ, ფაქტობრივად, ირლანდიელთა მმართველობის ქვეშ. რეალურად ისინი ყოველთვის უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ლონდონს და აქედან გამომდინარე, მათი ერთგვარი შიში დამოუკიდებელი ირლანდიის შემადგენლობაში რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობად გადაქცევასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად, გასაგებია.

საპირისპირო ვითარებაა აფხაზებთან და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" მცხოვრებ ოსებთან დაკავშირებით. ჩრ. ირლანდიელი პროტესტანტებისგან განსხვავებით, მათ პირიქით — არასოდეს უცხოვრიათ ქართული სამეფოს, სამთავროს, გუბერნიის ან რესპუბლიკის (თუნდაც, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის) ფარგლებს გარეთ;

2) ოლსტერის ტერიტორიაზე პროტესტანტთა ჩასახლების შემდეგ ისინი და მათი შთამომავლები რეგიონში ყოველთვის უმრავლესობაში იყვნენ კათოლიკეებთან შედარებით.

ამ მხრივაც, საპირისპირო ვითარებაა აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში". აფხაზეთში აფხაზები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ ქართველებთან შედარებით. ეს დემოგრაფიული სურათი შეიცვალა მხოლოდ 1993 წელს, მას შემდეგ, რაც აქ რუსეთის ჯარებისა და მათი თანმხლები ბანდების მიერ, ძირითადად, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა განხორციელდა. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, საკმარისია ითქვას, რომ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის" დედაქალაქში (ცხინვალში) ოსურმა მოსახლეობამ უმრავლესობას მიაღწია მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებში, საბჭოთა ხელისუფლების მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად (1922 წელს ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი).

3) ირლანდიელებსა და ჩრდილო ირლანდიელებს შორის გაუცხოების არსებობას ხელს უწყობს რელიგიური ფაქტორი, რომელიც ორიენ მხარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩრდილო ირლანდიაში მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის იდენტიფიკაციისთვის დღემდე ყველაზე საიმედო და ზუსტი მახასიათებელი არის რელიგიური კუთვნილება (პროტესტანტი, ძირითადად, გულისხმობს ირლანდიის გაერთიანების მოწინააღმდეგეს, კათოლიკე კი, პირიქით, — გაერთიანების მომხრეს).

საქართველოში გაუცხოების მსგავსი ბარიერი არ არსებობს. აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს ერთობლივი ცხოვრებისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს საქართველოში ათეულათასო-

ბით შერეული ქართულ-ოსური ოჯახია; 1989 წ. აღწერის მონაცემთა მიხედვით, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი (36,4%) ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. ანალოგიური ვითარებაა აფხაზების მიმართაც. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული ბარიერი.

დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა და არსებობს. 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა (მუხლი 107). 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი - ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ეროვნული უმცირესობის რაოდენობასა და მის წარმომადგენლობას შორის მსგავსი თანაფარდობის მოძებნა ევროპულ კონსტიტუციებშიც კი შეუძლებელია. იმავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი) აფხაზი უნდა ყოფილიყო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი ქართველი დაინიშნებოდა. 1991 წლიდან, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოცხადდა (მე-19 საუკუნემდე ანუ მეფის რუსეთის მიერ ანექსიამდე, აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო). აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტში, თეატრი, ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, თუმცა ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

ეს ტრადიცია გააგრძელა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ

(ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სოხუმის ძარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: ა) საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას (რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა), ბ) აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, გ) აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე, დ) რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და ე) საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, ვ) სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და ზ) საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

4) ოლსტერელი პროტესტანტისთვის დიდი ბრიტანეთი არის ღვიძლი სამშობლო, როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისითაც. შესაბამისად, მისთვის დიდ ბრიტანეთში ეთნიკურ-კულტურული ასიმილაციის პრობლემაზე საუბარი, უბრალოდ, უაზრობაა. პირიქით, ასეთ საფრთხეს ის ირლანდიის გაერთიანების შემთხვევაში თუ იგრძნობს.

სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია, ვთქვათ, ცხინვალელი ოსი და განსაკუთრებით აფხაზეთში მცხოვრები აფხაზი. ორივე კავკასიელია და მისთვის როგორც ეთნიკური, ასევე ისტორიული და კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, ბუნებრივია, საქართველო უფრო ახლობელია, ვიდრე რუსეთი. ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულ წარსულში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. პირიქით, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა "შუპაჯირობის" შედეგად მეფის რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, ფაქტობრივად, მთლიანად გაასახლა (რელიგიური მოტივით) ჩერქეზები, მათი მონათესავე აფხაზები და. მათ ადგილას რუსები ჩამოასახლა, აფხაზური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება სწორედ ქართულ გარემოში მოხდა (აფხაზეთი მაშინ სოხუმის ოლქის სახით ქუთაისის გუბერნიის ანუ დასავლეთი საქართველოს ნაწილი იყო). ანალოგიური ვითარებაა ოსურ ენასა და კულტურასთან დაკავშირებით, რომელიც გაცილებით უკეთ აქვთ შენარჩუნებული საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ვიდრე რუსეთში მდებარე "ჩრდილოეთ ოსეთის" მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, ეთნიკური ასიმილაციის მხრივაც, მათ, ცხადია, საფრთხე უფრო რუსეთისგან ელით და არა ქართველებისგან (აფხაზებს თვალწინ აქვთ მათი მონათესავე ჩერქეზებისა და უბიხების ბედი. ეს ხალხები სწორედ რუსეთის გადაჭარბებულმა "მფარველობამ",

ფაქტობრივად, ამოძირკვა მათი მშობლიური ჩრდილო კავკასიიდან).

5) ბრიტანეთისთვის ჩრ. ირლანდია თანდათან ძვირადღირებულ "თავის ტკივილად" იქცა, რომელიც ამდენ წვალებად არც კი ღირს. სამშვიდობო პროცესის ბოლო ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ირლანდიასთან ან "შინ ფეინთან" მოლაპარაკებებში ყველაზე დიდ სიჯიუტეს ოლსტერელი პროტესტანტები იჩენდნენ და არა ლონდონი. საქართველოს შემთხვევაში პირიქითაა, მთავარი დაბრკოლება კრემლი და მისი ჯარებია და არა აფხაზები ან ოსები, რომლებთანაც ქართველებს გასაყოფი არაფერი გვაქვს.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ ისტორიულ ფაქტორებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და ყველა სადავო საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა ჩრდილო ირლანდიის სამშვიდობო პროცესი. მას შემდეგ, რაც, ერთი მხრივ, "ირა"-ს შეუწყდა დაფინანსება აშშ-ის ირლანდიელებისგან, ხოლო მეორე მხრივ, შეჩერდა ბრიტანეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერა "ლოიალისტების" მიმართ და ამის პარალელურად დიდი ამერიკული ინვესტიციები ჩაიდო მთლიანად კუნძულის ეკონომიკაში, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტრეებული დაჯგუფებები და ლიდერები, მართალია, რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც იძულებული გახდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმებით შემოსაზღვრულ სამშვიდობო პროცესს მიმხრობოდნენ და ერთიანი მთავრობა შეექმნათ.

სავარაუდოდ, დაახლოებით მსგავსი ვითარება შეიქმნება საქართველოშიც, როცა კრემლი შეასრულებს მის მიერვე ხელმოწერილ 12 აგვისტოს 6 პუნქტიან შეთანხმებას და რუსეთის ჯარები დატოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას; ოღონდ, დარწმუნებული ვართ, ზემოთ ჩამოთვლილი განმასხვავებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენთან ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად წარიმართება, რადგან, ცხადია, საუკუნოვანი ძმობის აღდგენა უფრო იოლია, ვიდრე წარსულში მუდმივი მტრობის ფონზე, ურთიერთნდობის დამყარება და რეალური თანამშრომლობის დაწყება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჩრ. ირლანდიელთა გამოცდილება განიარაღების ურთიერთსანდო, საერთაშორისო მექანიზმთან დაკავშირებით, ასევე, დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლებისგან ერთიანი, ეფექტიანი საპოლიციო სისტემის შექმნის შესახებ.

ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ჩრ. ირლანდიის სწრაფი ეკონომიკური წინსვლის პრეცედენტი და მისი სასარგებლო, დიდი გაე-

ლენა სამშვიდობო პროცესზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2007 წელს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია-განვითარების კონკრეტული პროექტი — „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან“, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობასა და ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ბაზრის სპეციალური სეგმენტის შექმნას. პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო ამ სახელწოდების (“პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან”) ერთგვარ “საერთაშორისო ბრენდად” გადაქცევა, რაც ხელს შეუწყობდა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარებაში.

პროექტში დეტალურად არის გაწერილი მისი მიზნები, ამოცანები და იმპლემენტაციის სტრატეგია. მიმართულებების მიხედვით განხილულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად (1. სამართლებრივი, 2. ეკონომიკური, 3. ფინანსური, 4. სტრუქტურული, 5. საინფორმაციო-სარეკლამო, 6. უსაფრთხოება).

პროექტი ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის იყო გამიზნული, სადაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია იწყებოდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე (და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდამდე) ამ რეგიონში აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ხოლო ქართული და ოსური სოფლების გვერდიგვერდ არსებობა მოსახლეობის სრული რეინტეგრაციის საშუალებას იძლეოდა, ეკონომიკური თანამშრომლობის გზით.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი 6 პუნქტიანი (“სარკოზი-მედვედევი-საკაშვილის”) შეთანხმების მთლიანად შესრულება და რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაეცლებიან საქართველოს ტერიტორიიდან (მათ შორის, ე.წ. “სამხრეთ ოსეთიდან”), მას შემდეგ, რაც აქ განლაგდებიან ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და დაიწყება დევნილთა დაბრუნება თავიანთ სახლებში, ისევე შეიქმნება რეალური პირობები რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

სამხრეთი ტიროლი (იტალია)

იტალიის ავტონომიური პროვინცია (მიწა) სამხრეთი ტიროლი (იტალიურად ბოლცანო ან ალტო ადიჯე, გერმანულად ბოცენი ან ზუდტიროლი) არის ავტონომიური რეგიონის (ტრენტინო-ალტო ადიჯე/ზუდტიროლის) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მისი ცენტრალური ქალაქია ბოლცანო/ბოცენი. რეგიონის მეორე ავტონომიური პროვინცია (მიწა) არის ტრენტინო, რომლის ცენტრია ტრენტო (მთლიანად რეგიონის ცენტრიც ტრენტოა).

ფართობი — 7 400 კმ² (მეორე პროვინციის — ტრენტინოს ფართობია 6 214 კმ²);

მოსახლეობა — 500 030 (ტრენტინოში 522 ათასი ადამიანი ცხოვრობს);

ეთნიკური შემადგენლობა — ამ მაჩვენებლის გარკვევა მარტივია სამხრეთი ტიროლის ლინგვისტური მონაცემების გამოყენებით, რომელთა თანახმად, ავტონომიური რეგიონის მოსახლეობის 67 პროცენტისთვის მშობლიური ენა არის გერმანული (აუსტრო-ბავარიული დიალექტი), 25 პროცენტისთვის — იტალიური, 4,5 %-თვის — ლადინური (ეს არის ლათინურის ალპურ დიალექტზე აღმოცენებული რეტო-რომანული ენის ერთ-ერთი განშტოება), ხოლო 3,5 %-თვის — სხვადასხვა ენა (ტრენტინოში, პირიქით, იტალიურენოვანთა უმრავლესობაა — 79,5%).

სამხრეთ ტიროლს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება აუსტრიის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილო და აღმოსავლეთი ტიროლი, რომლებიც ტიროლის შტატის ფარგლებშია გაერთიანებული.

დღევანდელი სამხრეთი ტიროლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვის ხანის ადამიანის ნეშტი (მას "იოტცი" უწოდეს).

I ს. ძვ. წ. — მთლიანად ტიროლის ტერიტორია რომის იმპერიამ დაიკავა. იმ დროს იქ, ძირითადად, კელტები ცხოვრობდნენ.

V ს. ახ. წ. — რომის დამხობის შემდეგ ტიროლში გერმანული ტომები დასახლდნენ და იგი ოსტგოთების სამეფოს მიაკუთვნეს.

VI ს. — ოსტგოთები მონათესავე ლანგობარდებთან დამარცხდნენ და ამ უკანასკნელებმა ახალი სამეფო — ლანგობარდია (ლომბარდია) დააფუძნეს. ტიროლის სამხრეთი ნაწილი ლანგობარდიას შეუერთდა, ჩრდილოეთი კი ბავარიელებმა დაიპყრეს.

X ს. — ტიროლი, როგორც ტრენტოს საეპისკოპოსოს ნაწილი, ცენტრალური ევროპის გერმანული სამეფო-საპერცოგოების მსგავსად,

"წმინდა რომის იმპერიის" შემადგენლობაშია.

XIII ს. — გორიზიისა და ტიროლის გრაფმა, მაინჰარდ II-მ ტიროლი მთლიან სტრუქტურულ ერთეულად ჩამოაყალიბა.

1363 — ტიროლის საგრაფო ჰაბსბურგების სამეფოს შეუერთდა და 1918 წლამდე, თითქმის უწყვეტად, ავსტრიას (ავსტრია-უნგრეთის იმპერიას) ეკუთვნოდა.

1805 — ნაპოლეონის ტრიუმფალური წინსვლის პერიოდში ავსტრია იძულებული გახდა ტიროლი ბავარიის სამთავროსთვის დაეთმო.

1806 — ტიროლი, როგორც ბავარიის ნაწილი, ნაპოლეონის მიერ დაარსებული "იტალიის სამეფოს" შემადგენლობაში აღმოჩნდა.

1814 — ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით, ტიროლი ავსტრიას დაუბრუნდა.

1882 — იტალია ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მოკავშირე გახდა (თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ იტალიამ ავსტრიის ბატონობას მხოლოდ 1860-70-იან წლებში დააღწია თავი, აქ ანტიავსტრიული განწყობილება ჯერ კიდევ ძლიერი იყო).

1914 — პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში იტალია ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა; ამის სანაცვლოდ ავსტრია-უნგრეთი გარკვეულ ტერიტორიულ კომპენსაციასაც კი შეპირდა მას.

1915 — აპრილში, ანტანტასა და იტალიას შორის ხელმოწერილ იქნა ლონდონის პაქტი, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი დათანხმდა ჩაბმულიყო ომში ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და თურქეთის წინააღმდეგ, სანაცვლოდ კი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიის ნაწილი მიეღო, სახელდობრ, სამხრეთი ტიროლი, კიუსტენლანდი და დალმაცია, სადაც ეთნიკურ იტალიელთა დასახლებები იყო. 23 მაისს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.

1917-18 წლებში იტალიამ ორი წარუმატებელი შეტევა წამოიწყო აუსრტია-უნგრეთის წინააღმდეგ. ანტანტის საბოლოო გამარჯვებიდან გამომდინარე, 1918 წლის ნოემბერში იტალიელებმა მთლიანად ტიროლის ოკუპაცია განახორციელეს (ინსბრუკის ჩათვლით).

1919 — 10 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა სენ-ჟერმენის შეთანხმება და იტალიას მიეკუთვნა ალპების წყალგამყოფის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ანუ სამხრეთი ტიროლიც, დაახლოებით, 150 ათასი გერმანულენოვანი მოსახლეობით (შეთანხმების მიღებამდე სამხრეთ ტიროლელებმა პეტიციით მიმართეს აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს და დახმარება სთხოვეს მას, თუმცა, უშედეგოდ).

1920 — 10 ოქტომბერს იტალიამ სამხრეთი ტიროლის ანექსია ფორმ-

ალურადაც განახორციელა და იგი "ვენეცია ტრიდენტინას" გუბერნიას შეუერთა (ამით დასრულდა ერთწლიანი საომარი მოქმედებები სამხრეთ ტიროლში).

1921 — 24 აპრილს სამხრეთი ტიროლის ცენტრალურ ქალაქ ბოცენში (იტალიურად ბოლცანოში) ადგილობრიეთა მსვლელობით უნდა გახსნილიყო ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა-ბაზრობა. მათთვის ეს იყო მშობლიური, გერმანულ-ავსტრიული ზეიმი. იმ დღეს ახლო მდებარე იტალიური ქალაქებიდან ბოცენში ჩავიდა მაშინ ახალდაფუძნებული, მაგრამ უკვე საკმაოდ მომძლავრებული ფაშისტთა პარტიის 280-მდე აქტივისტი, მათ დახვდა 120 ადგილობრივი ფაშისტი და ხელკეტებით, პისტოლეტებითა თუ ხელყუმბარებით შეიარაღებულმა ამ ჯგუფმა ჩაშალა მსვლელობა. არეულობისა და ჩხუბის შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დაშავდა და ერთი ტიროლელი დაიღუპა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი იტალიელი ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა, თუმცა, ფაშისტთა პარტიის ლიდერი მუსოლინი დაემუქრა სამხრეთი ტიროლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, რომ 2000 კაცით ჩავიდოდა ბოცენში და ამის შემდეგ ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს.

1921 — 15 მაისს სამხრეთ ტიროლის ტერიტორიაზეც გაიმართა იტალიის პარლამენტის არჩევნები (ამის შემდეგ თავისუფალი არჩევნები აქ მხოლოდ 1948 წელს ჩატარდა). ხმათა თითქმის 90% მოიპოვა "გერმანულმა ასოციაციამ", რომლის 4 წარმომადგენელი იტალიის პარლამენტის წევრი გახდა.[1]

1922 – ფაშისტები იტალიის ხელისუფლებაში მოვიდნენ და ოქტომბერში გააუქმეს ყველა სპეციალური კანონი, რომელიც ეროვნული უმცირესობათა უფლებებს იცავდა. ამ დროიდან დაიწყო "იტალიზაციის" პროცესი. შეშუშავებულ იქნა ტოლომეის "23-პუნქტიანი პროგრამა", რომელიც სხვა ნორმებთან ერთად, ითვალისწინებდა სახელმწიფო დაწესებულებებში მხოლოდ იტალიური ენის გამოყენებას, გერმანული სკოლების უმრავლესობის დახურვას და სამხრეთი ტიროლის ტერიტორიაზე იტალიის სხვა რეგიონებიდან ეთნიკურ იტალიელთა ჩასახლების სტიმულირებას.

1925 — სამხრეთ ტიროლში ადგილობრიეთა მღვდელმა მიქაელ გამპერმა გახსნა პირველი "კატაკომბებშეულე" – არალეგალური სკოლა, სადაც ბავშვებს გერმანულ ენას ასწავლიდნენ.

1926 — ფაშისტებმა განხორციელეს მმართველობის ცენტრალიზაცია, რის შედეგადაც, ადგილობრივ დონეზეც მთავრობა ნიშნავდა რაიონისა თუ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელიც,

1. http://www.suedtirol.info/South Tyrol/South Tyrol Fact File/N-1085 0-en-History of South Tyrol.html

ფაქტობრივად, პროვინციის პრეფექტს (შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ანგარიშვალდებულ პირს) ექვემდებარებოდა.

1935 — ბოლცანოში გაიხსნა დიდი ინდუსტრიული ზონა, რასაც მოჰყვა ეთნიკურად იტალიელი მუშებისა და მათი ოჯახების მასობრივი ჩასახლება სამხრეთ ტიროლში. სწორედ "იტალიზაციისა" და ინდუსტრიალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ბოლცანოში ეთნიკურ იტალიელთა უმრავლესობა (ამჟამადაც ბოლცანოში 73% ეთნიკურად იტალიელია). ამას ადასტურებს სამხრეთ ტიროლის მოსახლეობის აღწერის შემდეგი მონაცემები:

1900 წელს რეგიონის მცხოვრებთა 88 პროცენტისთვის (დაახლოებით 200 ათასი) მშობლიური ენა იყო გერმანული, 3,6 % (8 182) — იტალიური, 4 % (9 090) — ლადინური და 4,4 % — სხვადასხვა ენა.

1921 წელს: 75,9 % — გერმანული, 10,6 % — იტალიური, 3,9 % — ლადინური, 9,6 % — სხვადასხვა.

1961 წელს: 62,2 % — გერმანული, 34,3 % — იტალიური, 3,4 % — ლადინური, 0,1 % — სხვადასხვა.

2001 წელს: 64,2 % — გერმანული, 24,8 % — იტალიური, 4 % — ლადინური, 7 % — სხვადასხვა. [2]

1939 — ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიის (ე.წ. „ანშლუსის") შემდეგ, ჰიტლერი და მუსოლინი შეთანხმდნენ, რომ სამხრეთი ტიროლის მოსახლეობისთვის მიეცათ არჩევანის უფლება: მათ შეეძლოთ გადასახლებულიყვნენ მეზობელ „გაფართოებულ" გერმანიაში ან დარჩენილიყვნენ და მიეღოთ "იტალიზაციის" პირობები. ასეთმა არჩევანმა სამხრეთ ტიროლელები ორ ნაწილად გაყო: დარჩენის მოსურნეებად ("მოღალატეებად") და გადასახლების მომხრეებად ("ნაცისტებად"). თუმცა, იმავე წლის სექტემბერში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და, ცხადია, ჰიტლერ-მუსოლინის "არჩევანის შეთანხმება" მხოლოდ ნაწილობრივ, საწყის ეტაპზე განხორციელდა.

1943 — შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა სიცილია დაიკავეს და მათმა ავიაციამ რომი დაბომბა, მუსოლინის უახლოესი გარემოცვის გაელესიან პირთა მეთაურობით დიქტატორი დაპატიმრებულ იქნა და იტალიამ ომი გამოუცხადა გერმანიას. საპასუხოდ, გერმანელებმა გაათავისუფლეს მუსოლინი და ჩრდილო იტალიაზე პირდაპირი კონტროლი დაამყარეს (ფორმალურად აქ არსებობდა იტალიის სოციალური რესპუბლიკა, მაგრამ მას ძალაუფლება არ გააჩნდა). შესაბამისად, სამხრეთ ტიროლიც, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, გერმანიის ჯარების ოკუპაციის ზონაში მოექცა. ამ პერიოდში ადგი-

2 http://www.european-journalists.eu/The%20South%20Tyrol%20Autonomy.pdf

ლობრივი გერმანულენოვანი მოსახლეობის ნაწილი ცდილობდა შური ეძია ეთნიკურ იტალიელებზე იძულებითი „იტალიზაციისთვის“, მაგრამ გერმანიის საოკუპაციო ჯარები მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ, რადგან ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ მუსოლინი და მისი მომხრე იტალიელები შეძლებდნენ ძალების კონცენტრაციას და მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას.[3]

1945 — მაისის პირველ რიცხვებში სამხრეთი ტიროლი ამერიკულმა სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს. მოკავშირეთა შეთანხმებით, სამხრეთი ტიროლი იტალიის შემადგენლობაში დარჩა. განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან, საიდანაც, ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, გერმანელი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა გერმანიაში გადასახლებულიყო, სამხრეთ ტიროლელ გერმანელებს ამის აუცილებლობა არ შექმნიათ.

1946 — გაფორმდა ე.წ. პარიზის შეთანხმება, რომელსაც ავსტრიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისა და იტალიის პრემიერის გვარებიდან გამომდინარე, გრუბერისა და დე გასპერის შეთანხმებასაც უწოდებენ. ხელშეკრულების თანახმად, აღიარებულ იქნა იტალიის გერმანული უმცირესობის უფლებები. შეიქმნა ახალი რეგიონი — ტრენტინო-ალტო ადიჯე/ტიროლერ ეჩლანდ (1972 წლიდან ტრენტინო-ალტო ადიჯე/ზუდტიროლ ეწოდება), რომლის ტერიტორიაზე ორივე: იტალიური და გერმანული ოფიციალურ ენად გამოცხადდა, შესაბამისად, ნებადართულ იქნა გერმანულენოვანი სკოლებიც. გერმანულენოვან მოსახლეობას უფლება მიეცა აღედგინა თავდაპირველი გვარები, რომლებიც “იტალიზაციის” დროს იძულებით გადაუკეთეს და შეთანხმებაში დაფიქსირდა, რომ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნისას დაცული იქნებოდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული პროპორცია. თუმცა, ახალშექმნილი რეგიონის ფარგლებში იტალიურენოვანი მოსახლეობა უმრავლესობაში იყო (ახლაც, მთლიანად რეგიონის მასშტაბით, ეთნიკური იტალიელები მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ). აქედან გამომდინარე, გერმანულენოვანმა უმცირესობამ თვითმმართველობის უფლება ვერ მოიპოვა. ამას მოჰყვა უკმაყოფილების ზრდა და „სამხრეთ ტიროლის განთავისუფლების“ ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელმაც რამდენიმე ტერაქტი განახორციელა. პირველ ეტაპზე ტერორისტული აქტების შედეგად მხოლოდ სახელმწიფო შენობები დაზიანდა, მაგრამ მეორე ეტაპზე ტერაქტმა 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (მათ შორის 15 პოლიციელისა და ორი ტერორისტის). ვითარების გართულების გამო, ტიროლის საკითხთან დაკავშირებით, ავსტრიისა

3. R. Steininger, South Tyrol: A Minority Conflict of the Twentieth Century, 2003

და იტალიის მთავრობათა შორის მოლაპარაკების პროცესში 1960 წლიდან გაეროც ჩაერთო.

1969 — იტალიისა და ავსტრიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრების: ალდო მოროსე და კურტ ვალდჰაიმის მიერ ხელმოწერილ იქნა ამ ქვეყნების მეორე ხელშეკრულება, რომელიც სამხრეთი ტიროლის პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებდა. შეთანხმებით განისაზღვრა რეგიონისა და სამხრეთი ტიროლის (ბოლცანო/ბოცენის პროვინციის) „ავტონომიური სტატუტის“ პირობები. მთავარი ის იყო, რომ ბოლცანოს პროვინცია, რომელშიც გერმანულენოვანი მოსახლეობა უმრავლესობას ქმნიდა, ადმინისტრაციულად გაიმიჯნა ტრენტინოს პროვინციისგან და მას საშუალება მიეცა თავის ფარგლებში ფართო უფლებების მქონე ავტონომია ჩამოეყალიბებინა. ავტონომიური პროვინციის საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილი გახდა მიიღოს კანონები, რომელთა საშუალებით ადგილობრივ დონეზე წარმართავს ეკონომიკურ-ფინანსური სისტემისა და პოლიციის მუშაობას, ასევე განათლების, კულტურისა და გარემოს დაცვის საკითხთა მოგვარებას.

ავტონომიური სტატუტის მიხედვით, რეგიონის პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩევა 2,5 წლის ვადით. ამასთანავე, თუ თავმჯდომარე არჩეულია პარლამენტის წევრთა იტალიურენოვანი ჯგუფიდან, მოადგილე აირჩევა გერმანულენოვანი ჯგუფიდან, და პირიქით. რეგიონის მთავრობის ხელმძღვანელს — პრეზიდენტს, მის მოადგილეებსა და მინისტრებს ასევე პარლამენტი ირჩევს თავისი წევრებიდან აბსოლუტური უმრავლესობით. პრეზიდენტის ორი მოადგილიდან ერთი იტალიურენოვანი ჯგუფიდან აირჩევა, მეორე — გერმანულენოვანიდან (ლადინური ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლობაც გარანტირებულია რეგიონულ მთავრობაში). რეგიონის მსგავსად, იმავე პრინციპით, ორივე პროვინციის პარლამენტი (ლანდტაგი) ირჩევს თითოეული მიწის ლანდტაგის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, ასევე მიწის (პროვინციის) პრეზიდენტს და მის მოადგილეებს. ლანდტაგის დათხოვნის უფლება აქვს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რისთვისაც ის გამოსცემს არგუმენტირებულ დეკრეტს, რომელსაც ერთვის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, სტატუტში აღნიშნულია: “სამხრეთი ტიროლის ტერიტორიაზე აქაურ მცხოვრებლებს, დასაქმების მხრივ, ენიჭებათ უპირატესობა, მიუხედავად მათი კუთვნილებისა რომელიმე ენობრივი ჯგუფის მიმართ” (მუხლი 10, ავტონომიური სტატუტი ავტონომიური რეგიონისა ტრენტინო-სამხრეთი ტიროლი და მიწებისა ტრენტინო

და სამხრეთი ტიროლი). სამხრეთი ტიროლის საშუალო სკოლებში აუცილებელ საგნებად იქნა შემოღებული ე.წ. "მეორე ენის" სწავლება (იტალიურენოვანი მოსწავლეებისთვის — გერმანულის, და პირიქით).

ხაზგასასმელია კიდევ ორი მომენტი: 1969 წლის შეთანხმებით თავიდანვე განისაზღვრა, რომ ბოლცანოს პროვინციას რჩება აკრეფილი გადასახადების 90% და მეორე — პროვინციისთვის მნიშვნელოვანი ყველა სამართლებრივი სადავო საკითხი პაგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს უნდა გადაეწყვეტა.

1972 — 1969 წელს ხელმოწერილი შეთანხმება ძალაში შევიდა და სამხრეთ ტიროლის ავტონომიურმა პროვინციამ ფუნქციონირება დაიწყო. რამდენიმე წლიწადში ცხადი გახდა, რომ სამხრეთი ტიროლის პრობლემის მოგვარება მართებული გეზით მიმდინარეობდა.

1992 — 18 ივნისს, ნიუ იორკში, გაეროს შენობის წინ იტალიასა და ავსტრიას შორის გაფორმდა 1969 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებათა საბოლოო პაკეტი.

2001 — ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა საშუალება მისცა მეზობელ წევრ-ქვეყნებს, ხელსაყრელი გეოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შეექმნათ ე.წ. ევრორეგიონები (დღეისათვის მათი რიცხვი 60-ზე მეტია). 2001 წელს დაფუძნდა ევრორეგიონი „ტიროლი-სამხრეთი ტიროლი-ტრენტინო", რომელმაც განსაკუთრებული სასაზღვრო რეჟიმისა და საბაჟო შეღავათების სისტემით, ეკონომიკური თვალსაზრისით, მთლიან რეგიონად ჩამოაყალიბა ავსტრიისა და იტალიის მოსაზღვრე რეგიონები: ტიროლის შტატი (ფართობი — 12 648 კმ², მოსახლეობა — 700 427) და ტრენტინო-ალტო ადაჯო/ზუდტიროლის ავტონომიური რეგიონი (იტალია). ამ ევრორეგიონის მოსახლეობის 62% გერმანულენოვანია, 37% კი — იტალიურენოვანი. [4]

ევრორეგიონის, როგორც სტრუქტურის მთავარი ფუნქციაა ევროკავშირის მეზობელ სახელმწიფოთა მოსაზღვრე რეგიონებს შორის კოოპერაციის უზრუნველყოფა, უპირველესად, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ეკონომიკა, საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, გარემოს დაცვა და განათლება (ევრორეგიონების შექმნის პროცესს გზა გაუხსნა ევროპის საბჭოს მიერ 1980 წელს "მადრიდის კონვენციის" მიღებამ, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მეზობელ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, მოსაზღვრე რეგიონებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას).[5]

4. http://www.europaregion.info/en/10.asp
5. http //www.europaregion.info/en/24.asp

ტიროლის ევრორეგიონის დაფუძნებას ჯერ კიდევ 1971 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა 1971 წელს ჩრდილო და აღმოსავლეთი ტიროლისა (ტიროლის შტატის, ავსტრია) და სამხრეთი ტიროლის (იტალია) ლანდტაგების წევრთა შეხვედრა გაიმართა ინსბრუკში (მანამდე ბოლო ასეთი შეხვედრა 57 წლის წინათ ჩატარდა, როცა მთლიანად ტიროლი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა). მოგვიანებით, 1991 წელს ანალოგიური შეხვედრა ისევ გაიმართა, ოღონდ, ამჯერად, მასში ავსტრიელ-იტალიელ ტიროლელებთან ერთად ტრენტინოს პროვინციის პარლამენტიც მონაწილეობდა. 1998 წელს სამივე პროვინციის პარლამენტთა კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მიღწეულ იქნა პირველადი შეთანხმება ევრორეგიონის შექმნისა და მის ფარგლებში მოსაზღვრე რეგიონების თანამშრომლობის შესახებ. 2001 წელს დაფუძნებულ ტიროლის ევრორეგიონს თავისი წარმომადგენლობა აქვს ბრიუსელში. სამივე პროვინციის მთავრობათა 2009 წლის გადაწყვეტილებით კი ამ ევრორეგიონის ოფისი ბოცენშიც/ბოლცანოშიც გაიხსნა და მისი ფუნქციაა ინტეგრაციის პროცესის კიდევ უფრო ხელშეწყობა სხვადასხვა დონეზე, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება ევრორეგიონის შემადგენელი სუბიექტებისთვის.

საქართველოსთან მიმართება

ნამდვილად რთულია რაიმე პარალელის გავლება სამხრეთ ტიროლსა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს შორის. საქართველოს შემთხვევაში, როგორც ისტორიული, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, ყველაფერი გარკვეულია: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის საქართველოს ძირძველი ტერიტორიები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების უხეში დარღვევით ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ და კრემლი ახორციელებს ამ ტერიტორიების "მცოცავ ანექსიას". აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნოწმენდა დაფიქსირებულია საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ (მათ შორის, ეუთოსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ). არსებობს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდეც და მის შემდეგ მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასეულ ათასობით დევნილის უფლებას უსაფრთხო დაბრუნების შესახებ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი მათი საკუთრების ხელშეუხებლობას; არსებობს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, რომლის თანახმად, რუსეთის ჯარები უნდა დაუბრუნდეს 2008 წლის 7 აგვისტომდე არსებულ მდგომარეობას, ანუ კრემლმა მთლიანად უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან შედარებით, "სამხრეთ ტიროლს" სულ სხვა ისტორია აქვს და მისი სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბებაც სულ სხვა ტიპის გარემოებებმა განსაზღვრა. მეორე მხრივ, სამხრეთ ტიროლსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთს" შორის, მათი სახელწოდებიდან და მდებარეობიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, თითქოს პირდაპირი პარალელი არსებობს, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; რეალურად კი მათ შორის აშკარაა ანტიპარალელები და მსგავსება მხოლოდ ზედაპირულ, სახელწოდების დონეზე რჩება.

განვიხილოთ განმასხვავებელი ფაქტორები:

1) სამხრეთ ტიროლის მიმართ იტალიის პრეტენზია, ფაქტობრივად, ემყარებოდა მხოლოდ რომის იმპერიის დროინდელ საზღვრებს და აღმოსავლეთ ალპების მაშინდელ გაყოფას რომაელებსა და გერმანულ ტომებს შორის (წყალგამყოფის ჩრდილოეთით გერმანელები სახლობდნენ, სამხრეთით — რომაელები). მაგრამ ასეთი სიტუაცია იყო V საუკუნემდე; ამის შემდეგ კი, დღემდე, ამ ტერიტორიაზე, ძირითადად, გერმანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. ამასთანავე, სამხრეთი ტიროლი მე-14 საუკუნიდან 6 ასწლეულის განმავლობაში ავსტრიას ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, 1919 წელს სამხრეთი ტიროლის მიკუთვნება იტალიისთვის, ფაქტობრივად, განაპირობა პირველ მსოფლიო ომში იტალიის ჩართვამ ანტანტის მხარეს და კონკრეტულმა პოლიტიკურ-ტერიტორიულმა გარიგებამ.

სრულიად განსხვავებული ისტორია აქვს ე.წ. "სამხრეთ ოსეთის". ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ცენტრალური პროვინციის — ქართლის შუაგულში მდებარეობს და ამ პროვინციის ძირითად ნაწილს — შიდა ქართლს ეკუთვნის. ის სულ 20-30 კილომეტრითაა დაშორებული საქართველოს ძველი და ახალი დედაქალაქებიდან (მცხეთიდან და თბილისიდან). აქ განლაგებული ისტორიული ძეგლები მხოლოდ ქართულია, რაც მკაფიოდ დასტურდება მათზე არსებული წარწერებითაც. ამ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ოსური დასახლებები

მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება (გვიან შუა საუკუნეებში საქართველო, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთი, თემურ-ლენგის, ირანისა და ოსმალეთის ხშირი, გამანადგურებელი თავდასხმების მსხვერპლი იყო, რამაც მოსახლეობის შემცირება და გარკვეული გადაადგილებები გამოიწვია; ძირითადად, სწორედ ამ პროცესმა მისცა საშუალება ოსებს თანდათანობით ჩამოსახლებულიყვნენ შიდა ქართლში). საყურადღებოა, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში მდებარე "ჩრდილოეთი ოსეთის" რესპუბლიკის ტერიტორიაზეც კი XIII საუკუნიდან დამკვიდრდნენ, მას შემდეგ, რაც მონღოლთა თავდასხმების გამო იძულებული გახდნენ იმიერკავკასიის დაბლობებიდან თანდათანობით სამხრეთით, კავკასიონის ხეობებში გადმოსახლებულიყვნენ.

უნდა ითქვას, რომ ე.წ. "სამხრეთი ოსეთი", ეს სტრუქტურა და თვით ტერმინი "სამხრეთი ოსეთი" 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რომლითაც აღიარა საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორიული საზღვრები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით).

სამხრეთი ტიროლი საუკუნეების განმავლობაში არ იყო იტალიის შემადგენლობაში, ცხინვალის რეგიონი კი ყოველთვის იყო, ან მთლიანი საქართველოს, ან ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ 1922 წელს შექმნილი ავტონომიური ოლქის ცენტრალურ ქალაქ ცხინვალში ოსებზე უფრო მეტნი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ებრაელები და სომხებიც: 1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი (დემოგრაფიული სურათის მკვეთრი შეცვლა აქ 1922 წლის შემდეგ დაიწყო).

2) სამხრეთი ტიროლის გერმანულენოვან და იტალიურენოვან მოსახლეობას შორის, არსებითად, არც ისტორიული და არც ნათესაური კავშირები არ არსებობდა, რადგან საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობდნენ.

საქართველოში საპირისპირო ვითარებაა, — აფხაზებსა და ქართველებს, ასევე ოსებსა და ქართველებს ერთობლივი წარსული გვაკავშირებს, რომელიც ასწლეულებს ითვლის.აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში, "შუპაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ

ქართველები დაუდგნენ გვერდით თავიანთ კავკასიელ თანამოძმეებს. ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწეები ხმას იმაღლებდნენ ამ ბარბაროსული ძალადობის წინააღმდეგ. ქართველების მფარველობა აფხაზების მიმართ ნამდვილად არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ნათესაობას და იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში ქართველები ტრადიციულად უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ და, თუნდაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, გარეშე მტერთან ბრძოლის ძირითადი სიმძიმის გადატანაც მათ უხდებოდათ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1990-იან წლებში, კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. იგივე შეიძლება ითქვას ოსების მიმართაც. არსებობს ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წ. აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში და მათ მიმართ შევიწროების ან ჩაგვრის ფაქტები არ მომხდარა. აფხაზი და ოსი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში; ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ენობრივი ან რელიგიურ-კულტურული ბარიერი. IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ანუ მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამდე), აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ასევე დამწერლობა ქართული იყო, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე.

3) XX საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც 1919 წელს სამხრეთი ტიროლი იტალიას მიაკუთვნეს, რომის ხელისუფლებამ დაიწყო "იტალიზაციის" და "ინდუსტრიალიზაციის" პოლიტიკის განხორციელება, რაც, რეალურად, გერმანულენოვანი მოსახლეობის შეცვლაში, მაგალითად, გერმანულენოვანი სკოლების დახურვასა და იტალიურენოვანი მოსახლეობის მასობრივ ჩასახლებაში გამოვლინდა. ამ პროცესებმა, რაღა თქმა უნდა, გერმანულენოვანი მოსახლეობის უკურეაქცია გამოიწვია, რასაც ვითარების დაძაბვა მოჰყვა.

საქართველოს შემთხვევაში საპირისპირო ფაქტებთან გვაქვს საქმე. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ეთნიკური უმცირესობებისადმი დამთმობი პოლიტიკით როგორმე არ დაეშვა კრემლის მიერ "ეთნოკონფლიქტების" პროვოცირება. ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს, 1918-1921 წლებში ასეთი პოლიტიკის

გამოხატულება იყო 1921 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის დაფიქსირება. ასეთივე დამთმობი კურსი გაგრძელდა 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ამას ადასტურებს, მაგალითად, 1991 წლის 9 იელისს, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას თანხმობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი საარჩევნო კანონის მიღება, რომლის თანახმად, ადგილების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობას დაეთმო: 28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %), 26 ადგილი — ქართველებს (მოსახლეობის 45,7%) და 11 ადგილი — სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს (მოსახლეობის 37%). ეროვნული უმცირესობის რაოდენობასა და მის წარმომადგენლობას შორის ასეთი თანაფარდობა ნამდვილად უპრეცედენტოა. იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტელევიზიაში, ს. ჯანბას სახელობის აფხაზური ეროვნული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სახელმწიფო მუზეუმი, სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, მწერალთა, კომპოზიტორთა, თეატრალურ მოღვაწეთა, არქიტექტორთა, კავშირების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქართველოს ფილიალები, სიმღერისა და ცეკვის ეროვნული სახელმწიფო ანსამბლი და ა. შ.

ეს ფაქტები მკაფიოდ ადასტურებს ქართული მხარის მიზანდასახულობას, რომ კრემლის მიერ ინსპირირებული პროვოკაციების მიუხედავად, თუნდაც ზედმეტი კომპრომისების გზით, როგორმე თავიდან აეცილებინა კონფლიქტი აფხაზეთში.

შემდგომშიც, პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკაც სწორედ ასეთი მიმართულებით გაგრძელდა; მაგალითად, 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს შესთავაზა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვე-

ტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო კანონზე და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) მოწონებული სამშვიდობო გეგმა ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა.

რაც შეეხება ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტს, აქ ვითარების დაძაბვა, კრემლის ბრძანებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ჯერ კიდევ 1989 წლის 10 ნოემბერს დაიწყო, როცა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნისა" და ამ "რესპუბლიკის" ტერიტორიაზე "სახელმწიფო ენად ოსური ენის" გამოცხადების შესახებ. ეს გადაწყვეტილებები, ცხადია, უკანონო იყო, რადგან ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლის უფლებამოსილება არ ჰქონდა.

ამ კონტექსტში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის 3 აპრილს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კანონი სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან დაკავშირებით. ამ კანონის მესამე მუხლის თანახმად, თუ მოკავშირე რესპუბლიკა გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას, აღნიშნული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თითოეული ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ცალკე უნდა ჩატარებულიყო ანუ "ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრკ-ში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე — თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება". პარალელურად, კრემლი სულ უფრო აქტიურად ალაპარაკდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის ხელმოწერის უფლებასაც ავტონომიური წარმონაქმნებიც იღებდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ ნაბიჯებს ავალდებულებდა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას უქმნიდა საფრთხეს და, შესაბამისად, ვითარების შემდგომ გაუწვაეებას ეშსახურებოდა.

1990 წლის 20 სექტემბერს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ისევ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება, ოღონდ, ამჯერად, ოლქის "საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და ამ "რესპუბლიკის" "სახელმწიფო სუვერენიტეტიც" გამო-

აცხადა (მანამდე, 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომაც მსგავსი ნაბიჯი გადადგა: ავტონომიური რესპუბლიკა "საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად" "გარდაქმნა" (საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ, ცხადია, ეს უკანონო გადაწყვეტილებები ბათილად გამოაცხადა). მაგრამ "კანონთა ომი" ამით არ დასრულებულა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1990 წლის 16 ოქტომბერს დაადასტურა 20 სექტემბრის გადაწყვეტილებები, შექმნა "სამხრეთი ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი" და იმავე წლის 9 დეკემბრისთვის დანიშნა "რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1990 წლის 28 ოქტომბერს, სსრკ-ის ტერიტორიაზე პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებები. თუმცა, ყველაზე მრავლისმეტყველი და მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 28 ნოემბერის გადაწყვეტილებები: "რესპუბლიკის" სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა "დემოკრატიული"; ასევე, "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" სახელით საბჭომ ოფიციალურად მიმართა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყრილობას, რათა ამ უკანასკნელს "ეცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად" და იგი "ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის უშუალო მონაწილედაც" გამოეცხადებინა.

ამ ქრონოლოგიიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება (როგორც კომუნისტური, ასევე დემოკრატიულად არჩეული) თავს არიდებდა ავტონომიური სტრუქტურების წარმონაქმნებთან დაპირისპირებას და მათ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი გაუქმებით კმაყოფილდებოდა, სანამ ეს სტრუქტურები ასე თუ ისე ითვალისწინებდნენ რეალობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვითარება შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალური საფრთხე გაჩნდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა "სამხრეთი ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" თხოვნას და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ოლქის ტერიტორიას ფედერაციის სუბიექტად ცნობდა. ამ შემთხვევაში "საბჭოთა ფედერაცია" ანუ კრემლი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების "ლეგიტიმურ საფუძველზე" "ჩამოაჭრიდა" საქართველოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, იქ განალაგებდა თავისი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს და საქართველოს ხელისუ-

ფლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან სსრკ-ის ჯარებთან დაპირისპირების რესურსები საქართველოს, ცხადია, არ ჰქონდა, მით უფრო იმ დროს. აქედან გამომდინარე, თაყვანცემა ერთადერთი მექანიზმი საქართველოსთვის სამართლებრივი ბერკეტი იყო (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც 1991 წლის 9 აპრილს მოხდა). სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა — უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებით გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და, შესაბამისად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოც.

ხაზგასასმელია, რომ ორივე ავტონომიური სტრუქტურის ორგანო, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილებები მიიღო, არჩეული იყო საბჭოთა ეპოქაში (1985 წელს), ერთპარტიული სისტემის პირობებში, როცა თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარიც კი ზედმეტი იყო და ამ საბჭოების დეპუტატები კრემლიდან, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინიშნებოდნენ; ანუ ეს გადაწყვეტილებები კრემლის დაკვეთას წარმოადგენდა და არა ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1991 წლის 23 მარტს ღაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პირველი პირების (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების): ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინის შეხვედრა, რომელიც დასრულდა მათ მიერ მოლაპარაკების ოქმის ხელმოწერით. ოქმის მესამე პუნქტში ვკითხულობთ: "რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას"[6]. ანუ ამ დოკუმენტით რუსეთმა რეალურად აღიარა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება "სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ" და საქართველოს ხელისუფლებას "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენა სთხოვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ვითარებას რეალურად არა აფხაზები ან ოსები, არამედ კრემლი აკონტროლებდა და აკონტროლებს, უპირველესად, თავისი სამხედრო დანაყოფების მეშვეობით, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგაც, ამა თუ იმ ფორმითა და სტატუსით, მუდმივად იქ არიან განლაგებული.

6. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზის კრებული. თბ. 2005. გვ. 68

ასე იყო 90-იან წლებში, ასე იყო 2008 წელს და ასეა ახლაც. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტრუქციული წინადადებები შესაბამის ეფექტს არ იძლევა, რადგან კრემლის მიზანი არის არა მშვიდობა, არამედ საქართველოს დაშლა, თანხმობის არდაშვება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. სწორედ ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას, რის შემდეგაც რეალურ პერსპექტივას შეიძენს პირდაპირი დიალოგი სოხუმთან და ცხინვალთან და ყველა სადავო საკითხი უმტკივნეულოდ მოგვარდება.

4) სამხრეთი ტიროლის ტერიტორიაზე იყო ძალადობის ფაქტები, "იტალიზაცია", "ინდუსტრიალიზაცია", ტერორისტული აქტები, მაგრამ ეთნიკური წმენდა არც ერთ მხარეს არ განუხორციელებია.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ამ მხრივაც სხვა ვითარებაა, რადგან აქ ეთნოწმენდა განხორციელდა. აფხაზეთში "უპირატესად ქართველების მიმართ" მოძხდარი ეთნოწმენდის ფაქტი დაფიქსირებულია ეუთოს 1994, 1996 და 1999 წწ. სამიტების რეზოლუციებში. 2008 წლის აგვისტოში ე.წ. "სამხრეთი ოსეთშიც" ქართველების მიმართ განხორციელდა ეთნოწმენდა, რაც დადასტურებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციასა და ევროკავშირის კომისიის მოხსენებაში ("ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება" (ევროსაბჭოს რეზოლუცია 1633, 02.10.2008). "ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს" (მ. იორშის განცხადებიდან[7]). "სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც"[8]).

5) ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება სამხრეთი ტიროლისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" ან აფხაზეთის პრობლემათა შორის არის გარეშე ძალის ფაქტორი. სამხრეთი ტიროლის საკითხის წარმატებით გადაწყვეტისთვის, არსებითად, საკმარისი აღმოჩნდა ადგილობრივი გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი მოსახლეობის უმრავლესო-

7. http://for-ua.com/news_print.php?news=305384

8. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. I, The Conflict in Georgia in August 2008, P. 27

ბის სამშვიდობო ნება, რადგან ასეთივე ნება ჰქონდათ იტალიისა და ავსტრიის მთავრობებს და ევროგაერთიანებას. სამხრეთი ტიროლის შემთხვევაში არ არსებობდა მესამე ძალა, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა კონფლიქტის გაღვივებით (მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურმა გერმანიამაც კი, ამ მხრივ, პოზიტიური როლი შეასრულა და არ დაუშვა ვითარების გამწვავება). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი მოსახლეობის ორივე ძირითად ეთნიკურ ჯგუფს რომი ან ვენა, ან რომელიმე სხვა ცენტრი ურთიერთმტრობისკენ კი არ უბიძგებდა, იარაღს კი არ აწვდიდა და არეულობის, სისხლისღერის პროვოცირებას კი არ ცდილობდა, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ კონსტრუქციულ როლს ასრულებდა და აქტიურ ნაბიჯებს დგამდა პრობლემურ საკითხთა გადასაწყვეტად.

1919 წლიდან, იტალიისთვის მიკუთვნების შემდეგ, "იტალიზაციის" პერიოდში, სამხრეთი ტიროლის გერმანულენოვანი მოსახლეობა ნამდვილად განიცდიდა დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც გაგრძელდა, მაგრამ 60-იან წლებში ვითარება თანდათან შეცვალა, 1972 წელს კი გერმანულენოვანმა მოსახლეობამ რეალური ავტონომია მიიღო და კონფლიქტის მოგვარების პროცესი სწრაფი ტემპით განვითარდა.

ამ ფონზე კიდევ უფრო აშკარად ჩანს განსხვავება სამხრეთ ტიროლსა და საქართველოს რეალობას შორის. აქ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მომხდარ სხვა კონფლიქტთა მსგავსად, კრემლი მიზანმიმართულად ახორციელებდა "ეთნოკონფლიქტების" პროვოცირებასა და "მართვადი ქაოსის" შექმნას, რათა ამ გზით ხელი შეეშალა დამოუკიდებლობისკენ "ურჩ" რესპუბლიკათა სწრაფვისთვის, კონფლიქტებით დაესუსტებინა ისინი და ბოლოს სრული კონტროლი აღედგინა მათზე. საქართველოს შემთხვევაში არსებობდა და არსებობს ძლიერი გარეშე ძალა — კრემლი, თავისი უზარმაზარი სამხედრო, ფინანსური, პროპაგანდისტული და აგენტურული რესურსებით, კრემლი, რომელიც გეგმაზომიერად მუშაობდა და მუშაობს საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ჩრდილო-ატლანტიკური არჩევანის წინააღმდეგ და ამ პროცესში მისი მთავარი იარაღი არის სწორედ "ეთნოკონფლიქტები". 2008 წლის აგვისტომდე კრემლი, ასე თუ ისე, ახერხებდა თავისი რეალური ზრახვების შენიღბვას და "მშვიდობისმყოფელის" სტატუსით იდგა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მაგრამ მას შემდეგ, რაც მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა რუსეთის "სამშ-

ვიდობო" მისიის საერთაშორისო, ნეიტრალური მისიით ჩანაცვლებისა და აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებისკენ, კრემლისთვის ცხადი გახდა, რომ აქტიური მოქმედების გარეშე მთლიანად საქართველოზე დაკარგავდა კონტროლს. სწორედ ამიტომ შეთხზულ იქნა ქართველების მიერ ოსების "გენოციდის" მითი და შემდეგ ოსებისა და "რუსეთის მოქალაქეების" "გადასარჩენად" საქართველოში რუსეთის არმიის შემოჭრა, რომლის მიზანი იყო მთლიანად ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა. საბედნიეროდ, ჩვენი მეომრების თავგანწირვისა და საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობის შედეგად კრემლის ეს გეგმა ბოლომდე ვერ განხორციელდა.

აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ტიროლში გერმანულენოვან და იტალიურენოვან მოსახლეობას (განსაკუთრებით 1930-იან წლებში, "ინდუსტრიალიზაციის" დროს ჩასახლებულთა) შორის იყო გარკვეული დაპირისპირება. ისინი განსხვავდებოდნენ ენით, ტრადიციებით, ეითარებას ამწვავებდა ასევე "იტალიზაციის" პერიოდის ინერცია, დისკრიმინაციის ფაქტები. მიუხედავად ამისა, იტალიისა და ავსტრიის მთავრობათა, ასევე ევროკავშირის კონსტრუქციული ქმედებებით მოხერხდა ამ დაპირისპირების თავიდან აცილება და მისი თანდათანობითი აღმოფხვრა.

საქართველოში აფხაზებსა და ქართველებს ან ოსებსა და ქართველებს შორის არ არსებობდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კონფლიქტი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბარიერი ენის ან ტრადიციების მხრივ, რადგან ჩვენ საუკუნეებია ერთად, ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით (იქნებოდა ეს სამეფო თუ რესპუბლიკა). ეს ართულებდა კრემლის ამოცანას, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ისტორიის გაყალბებით, პრიეილეგირებისა და რეპრესირების მეთოდების გამოყენებით, მიზანდასახულად ნერგავდა შუღლს ეთნოსებს შორის და ამზადებდა ნიადაგს "ეთნოკონფლიქტებისთვის". აღსანიშნავია, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად, მან მაინც ვერ მოახერხა დიდი სისხლისღვრის პროეცირება საქართველოში, სანამ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება არ მოაწყო. ამის შემდეგ, ხელისუფლებაში მოყვანილ სხვადასხვა ჯგურის პოლიტიკურ-კრიმინალურ დაჯგუფებებს რუსეთის სამხედრო ბაზებიდან გადაეცათ იარაღი და გაჩაღდა კრემლის მიერ კონტროლირებადი "ეთნოკონფლიქტები".

კრემლი 2007 წლის ნოემბერშიც სახელმწიფო გადატრიალებას გეგმაედა საქართველოში, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა "დემოკრატიული ოპოზიციის" გამოყენებით ვერ

განხორციელდა და, საბოლოოდ, 2008 წლის აგვისტოში იძულებული გახდა ღიად გამოჩენილიყო საომარ "ავანსცენაზე", სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოეწყო საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა, რეალურ მიზანს — სააკაშვილის დამხობას ვერც ამჯერად მიაღწია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოს კონფლიქტთა მოსაგვარებლად აუცილებელი წინაპირობა იყო და არის გარეშე ძალის — კრემლის დამანგრეველი ჩარევის ნეიტრალიზაცია. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების უპირველესი მოთხოვნაა რუსეთის მიერ 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულება და ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. ამის შემდეგ, როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში სტაბილური მშვიდობისა და ასეულ ათასობით დევნილის უსაფრთხო დაბრუნებისთვის საჭირო იქნება საერთაშორისო სამშვიდობო მისიის განხორციელება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტების, ასევე სამხედრო დანაშაულთა ორგანიზატორ-შემსრულებელთა დადგენისა და დასჯისთვის სამშვიდობო პროცესში უნდა ჩაერთოს საერთაშორისო სასამართლოები (სამხრეთი ტიროლის მსგავსად, მათი გამოყენება შესაძლებელია ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმის შესაქმნელად). სწორედ საერთაშორისო ინსტიტუტების, ევროკავშირის ჩარევით მოხერხდა სამხრეთი ტიროლის გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი, არსებითად, ერთმანეთისთვის უცხო ჯგუფების გაერთიანება, უფრო მეტიც, მთლიანად ისტორიული ტიროლის (ავსტრიის ტიროლის შტატის ჩათვლით) "ევრორეგიონად" გამთლიანება. ეს ფაქტი კიდევ ერთი დამაჯერებელი არგუმენტია, რომელიც ჩვენი პოზიციის რეალურობას ადასტურებს — საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მონაწილეობისა და რუსეთის ჯარების გასვლის შემთხვევაში, საუკუნეების მანძილზე ერთად მცხოვრებ, ერთმანეთის მონათესავე ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის ყველა პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ე.წ. "სამხრეთ ოსეთში", ისევე როგორც სამხრეთ ტიროლში საუკეთესო მოსავალს იძლევა ვაშლი და აქ ამ ხილის წარმოების დიდი ტრადიცია არსებობს; თუმცა, ამ მხრივ, სამხრეთ ტიროლს ვერ შეედრება (ყოველწლიურად ეს პროვინცია აწარმოებს 950 ათას ტონა ვაშლს და 370 ათას ლიტრ ვაშლის წვენს; ვაშლის ეს რაოდენობა არის მთლიანად იტალიის ვაშლის მოსავლის 50 %, ხოლო ევროკავშირის მასშტაბით — 12%).[9]

9. http://www.suedtirol.info/South_Tyrol/_doctype_RegionalSpecialities_Other_Apple_en,0,12652-en-Facts_and_figures.html

ცხინვალის რეგიონის ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, 2007 წელს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია-განვითარების კონკრეტული პროექტი — „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან“, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობასა და ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ბაზრის სპეციალური სეგმენტის შექმნას.

ჩვენი მიზანი იყო პროექტს "პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან" ერთგვარი საერთაშორისო ბრენდის სახე მიეღო და მის ფარგლებში წარმოებული პროდუქცია ექსპორტზეც გასულიყო. პროექტში მიმართულებების მიხედვით განხილულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელია მის განსახორციელებლად (1. სამართლებრივი; 2. ეკონომიკური; 3. ფინანსური; 4. სტრუქტურული; 5. საინფორმაციო-სარეკლამო; 6. უსაფრთხოება).

პროექტი ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის იყო გამიზნული, სადაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია იწყებოდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე (და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდამდე) ამ რეგიონში აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ხოლო ქართული და ოსური სოფლების გვერდიგვერდ არსებობა, მოსახლეობის სრული რეინტეგრაციის საშუალებას ძლეოდა ეკონომიკური თანამშრომლობის გზით.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი 6-პუნქტიანი ("სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის") შეთანხმების მთლიანად შესრულება და რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაეცლენ საქართველოს ტერიტორიიდან (მათ შორის, ე.წ. "სამხრეთ ოსეთიდან"), მას შემდეგ, რაც აქ განლაგდებიან ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და დაიწყება დევნილთა დაბრუნება თავიანთ სახლებში, ისევ შეიქმნება რეალური პირობები რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

ფართობი — 108,333 კმ².
მოსახლეობა — 16.77 მლნ. (1989).

1945 წლის მაისში ფაშისტური ხელისუფლების კაპიტულაციისა და აგვისტოში პოტსდამის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად გერმანია 4 საოკუპაციო ზონად დაიყო: აღმოსავლეთ ნაწილს სსრკ აკონტროლებდა, ხოლო დანარჩენ სამს — აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ანალოგიური პრინციპით, ბერლინიც ოთხ ნაწილად გაყვეს (ქალაქი მთლიანად საბჭოთა საოკუპაციო ზონის "ალყაში" იმყოფებოდა). აქედან გამომდინარე, იმ დროისათვის საერთოდ გერმანიის სახელმწიფოებრიობა, მისი, როგორც სახელმწიფოს სტატუსი გაურკვეველი იყო. გერმანიის ასეთი მდგომარეობა ოთხმა გამარჯვებულმა ქვეყანამ განსაზღვრა, ისევე როგორც შემდეგ ცალ-ცალკე გფრ-ის და გდრ-ის ჩამოყალიბება და ეს გადაწყვეტილებები გერმანელი ხალხის მონაწილეობის გარეშე იქნა მიღებული (1955 წელს ზაარლანდში მხოლოდ ლოკალური პლებისციტი გაიმართა ამ მხარის კუთვნილების გასარკვევად).

1945 — საბჭოთა საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე შეიქმნა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია გერმანიაში (არსებობდა საბჭოთა ჯარების გამოყვანამდე 31.08.1994).

1948 – 24 ივნისს საბჭოთა ჯარებმა დასავლეთ ბერლინის მიმართ ბლოკადა დააწესეს იმ საბაბით, რომ 1948 წლის 21 ივნისს დასავლეთ ზონებში, სსრკ-ის თანხმობის გარეშე, აშშ-მ, ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს ფულადი რეფორმა და მიმოქცევაში შემოიღეს ახალი გერმანული მარკა.

ამან დასაბამი დაუდო "ცივი ომის" ერთ-ერთ პირველ კრიზისს.

1948 — 1 სექტემბერს ბონში დაფუძნდა დასავლეთის ზონების საპარლამენტო საბჭო ახალი გერმანული კონსტიტუციის შესაქმნელად.

1949 — 8 მაისს საპარლამენტო საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, ხოლო 23 მაისს კონრად ადენაუერმა გამოაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ-ის) შექმნის შესახებ. ბონის კონსტიტუცია აგრძელებდა 1919 წლის ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციის დემოკრატიულ ტრადიციებს და მთლიანად გერმანიისთვის შეიქმნა, მისი ტერიტორიული მოწყობა, აგრეთვე სხვა საკითხები მთელ გერმანიას გულისხმობდა და არა მხოლოდ დასავლეთ გერმანიას.

1949 — 7 ოქტომბერს აღმოსავლეთ ზონაში შექმნილმა დროებითმა პარლამენტმა — სახალხო საბჭომ გამოაცხადა გერმანიის დემოკრატი-

ული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მიიღო ახალი კონსტიტუცია.

1953 — 17 ივნისს გდრ-ის ძირითად ინდუსტრიულ ცენტრებში გაფიცვა და საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო. ეკონომიკურ მოთხოვნებს მალე ასეთი ლოზუნგიც მოჰყვა: „სიკვდილი კომუნიზმს!" (აუცილებელია ითქვას, რომ იმ წლის 5 მარტს სტალინი მოკვდა და დიდი ცვლილებების იმედი სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა). საბჭოთა ჯარებმა, გდრ-ის „სახალხო პოლიციასთან" ერთად, ტანკების გამოყენებით, სასტიკად ჩაახშო გამოსვლები, რასაც დაახლოებით 100 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

1955 — გფრ ნატო-ს წევრი გახდა. საყურადღებოა, რომ იმ მომენტისთვის გერმანია 5 ნაწილად იყო გაყოფილი: გფრ, გდრ, აღმოსავლეთ ბერლინი, დასავლეთ ბერლინი და ზაარლანდი. ეს უკანასკნელი შუა საუკუნეებში ხან გერმანულ და ხან ფრანგულ სამეფოებს ეკუთვნოდა (ტერიტორია — 2 568 კმ², დღეისათვის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვერსალის ხელშეკრულებით, ზაარლანდის ქვანახშირის საბადოები 15 წლით საფრანგეთს გადაეცა და ამ ვადითვე აქ ფრანგული ადმინისტრაცია იმყოფებოდა, თუმცა 1935 წლის პლებისციტზე ელექტორატის 90%-მა გერმანიასთან გაერთიანებას დაუჭირა მხარი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს მხარე საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში მოექცა და ისევ ჩამოშორდა გერმანიას. 1952 წელის ჰელსინკის ოლიმპიადასა და 1954 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ზაარლანდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით მონაწილეობდა და გფრ-ის ეროვნულ ნაკრებთანაც მოუწია შეხვედრა, ანუ თითქოს გადაწყვეტილი იყო მისი ჩამოყალიბება ლუქსემბურგის მსგავს ჯუჯა სახელმწიფოდ (ამ ტიპის სახელმწიფოთა წარმოქმნის საკითხები ვრცლად არის განხილული 662-ე გვ.-ზე), მაგრამ 1955 წელს გამართული პლებისციტის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის 67,7% გფრ-თან შეერთების მომხრე იყო. 1956 წელს დაიდო საარის შეთანხმება და 1957 წლიდან ზაარლანდი ისევ გერმანიას დაუბრუნდა.

1956 — გდრ შეუერთდა ვარშავის ხელშეკრულებას.

1957 — დასავლეთ გერმანიის მთავრობამ, კონრად ადენაუერის მეთაურობით, დაიწყო „ჰალშტაინის დოქტრინის" განხორციელება, რომელიც 1955 წელს, გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის, ვალტერ ჰალშტაინის ინიციატივით შეიქმნა. "ჰალშტაინის დოქტრინის" თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა და მასთან დიპლომა-

ტიური ურთიერთობის დამყარება გფრ-ის მიერ განიხილებოდა "არა-მეგობრულ აქტად", რასაც მოჰყვებოდა ამ ქვეყნის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების დაწესება. უფრო კონკრეტულად ეს გულისხმობდა აღნიშნულ ქვეყანასთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტას (ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი თავიდანვე დაუშვეს სსრკ-ის მიმართ).[1]

1957 წელს გფრ-ის მთავრობამ პირველად დაადასტურა ამ დოქტრინისადმი ერთგულება, როცა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა იუგოსლავიასთან (მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ცნო გდრ). 1963 წელს ადენაუერის მთავრობამ იგივე ნაბიჯი გადადგა კუბის მიმართაც. "ჰალშტაინის დოქტრინა" ეფექტიანი აღმოჩნდა და ათი წლის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა გდრ-ის საერთაშორისო აღიარების შემაკავებელი ფაქტორის ფუნქციას (განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ გფრ-თან ეკონომიკური ურთიერთობის შენარჩუნებით). 1967 წლიდან გფრ-ის ხელისუფლებამ სსრკ-ის მიმართ დაშვებული გამონაკლისი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებზეც გაავრცელა: რუმინეთთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო იუგოსლავიასთან — აღადგინა. 1970 წელს გფრ-ის მთავრობამ მთლიანად უარი თქვა "ჰალშტაინის დოქტრინაზე", რადგან ამ დროიდან იწყება გფრ-ისა და გდრ-ის ურთიერთცნობის პროცესი, რომელიც 1973 წელს დასრულდა.

1958 — საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დასავლეთის სახელმწიფოები პოტსდამის 1945 წლის შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი აუქმებს ბერლინის საერთაშორისო სტატუსს, რადგან მთლიანად ბერლინი "გდრ-ის დედაქალაქია" (ყოველი მხრიდან გდრ-ის ტერიტორიით გარშემორტყმული დასავლეთი ბერლინი, ფაქტობრივად, ანკლავი იყო). ხრუშჩოვმა დასავლეთისგან მოითხოვა ექვსი თვის განმავლობაში ამ თემაზე მოლაპარაკების გამართვა (დასავლეთის სახელმწიფოებმა „ხრუშჩოვის ულტიმატუმი" უარყვეს).

1961 — კულმინაციას მიაღწია "ცივი ომის" ეპოქის ერთ-ერთმა ყველაზე მწვავე კრიზისმა, რომელიც 1958 წელს, ბერლინის სტატუსთან დაკავშირებული დავით დაიწყო. 50-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა, რომ გერმანიის დასავლეთი ნაწილი, აშშ-ის დახმარებით, უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთი — სსრკ-ის დახმარებით. აღმოსავლეთ ბერლინიდან ყოველდღიურად ათასობით ადამიანი გადადიოდა დასავლეთ ბერლინში (მთლიანად 1961 წელს გდრ-დან 207

1. История внешней политики СССР 1945-1980. Т. 2. 1980. ст.73

ათასი ადამიანი გაიქცა, აქედან მხოლოდ იელისში 30 ათასზე მეტი). სოციალისტური გერმანიის ხელისუფლება გფრ-ის მთავრობას „ხალხით ვაჭრობაში“ და კადრების „გადაბირებაში“ ადანაშაულებდა.[2]

5 აგვისტო — სოციალისტური ქვეყნების კომპარტიების გენერალური მდივნების შეხვედრაზე გდრ-მ მიიღო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების აუცილებელი თანხმობა დასავლეთ ბერლინსა და გფრ-თან საზღვრის დახურვის შესახებ (12 აგვისტოს შესაბამისი დადგენილება მიიღო გდრ-ის მინისტრთა საბჭომ). 1961 წლის 13 აგვისტოს დაიწყო ბერლინის კედლის აღმართვა (2 მეტრი სიმაღლის და თითქმის 45 კილომეტრი სიგრძის კედელი დასავლეთ ბერლინის მთლიანი პერიმეტრის (164 კმ.) თითქმის მესამედს მოიცავდა).

14 აგვისტო — ბრანდენბურგის კარიბჭესთან, ახალშექმნილ საზღვარზე ათეულობით ათასი ადამიანი მოგროვდა და მოითხოვდა დასავლეთ ბერლინში გადასვლას. საპასუხოდ, გდრ-ის მესაზღვრეებმა ისინი წყლის ჯავლის გამოყენებით დაშალეს.

28 ოქტომბერი — ამერიკელებმა სცადეს ბერლინის გამყოფი კედლის დანგრევა. ბრანდენბურგის კარიბჭისკენ დაიძრა კოლონა, რომელიც შედგებოდა სამი ჯიპის, ბულდოზერებისა და ათი ტანკისაგან. საბჭოთა ჯარებმა ჯიპები გამოატარეს, მაგრამ შემდეგ საზღვარი ისევ ჩაკეტეს. მიმდებარე ტერიტორიაზე წინასწარ უკვე თავმოყრილი იყო საბჭოთა ქვეითთა ბატალიონი და სატანკო პოლკი. 29 ოქტომბრის დილამდე საბჭოთა და ამერიკული ტანკები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. გარდა ამისა, საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა მთლიანად გადაკეტეს დასავლეთ ბერლინის აეროპორტი ტემპელჰოფი. დილით, ჯერ საბჭოთა, 20 წუთის შემდეგ კი ამერიკულმა ტანკებმაც უკან დაიხიეს და ბაზებს დაუბრუნდნენ. ამის შემდეგ ბერლინის კედელი — “ანტიფაშისტური დამცავი კედელი” კიდევ 28 წელი არსებობდა. გდრ-ის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, ბერლინის კედლის გადალახვის მცდელობისას სსრკ-ისა და გდრ-ის ჯარების მიერ 125 ადამიანი იქნა მოკლული. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, რეალურად 4-5-ჯერ მეტი ადამიანი დაიღუპა. მთლიანად გდრ-ის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით (ანუ გდრ-დან გაქცევის მცდელობისთვის) 75 ათასამდე ადამიანი გასამართლდა.

1963 — 26 ივნისს, დასავლეთ ბერლინში ყოფნისას პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ მასთან შესახვედრად მისულ ათასობით ბერლინელს ასე მიმართა: „... თავისუფლება განუყოფელია და როცა თუნდაც ერთი ადამიანი არის დამონებული, თავისუფალი ვერავინ იქნება... როცა ყველა გათა-

2. http://www.coldwar.ru/conflicts/berlin/berlin_wall.php

ეისუფლდება, დასავლეთ ბერლინელებს ნამდვილად გაუჭირდათ სიამაყის საგანი: თითქმის ოცი წელიწადია თქვენ უშუალოდ ფრონტის ხაზზე ცხოვრობთ... ყველა თავისუფალი ადამიანი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, დღეს დასავლეთ ბერლინის მოქალაქეა. ამიტომ მე, როგორც თავისუფალი ადამიანი, სიამაყით ვამბობ: მე ბერლინელი ვარ".[3]

აქვე უნდა ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის დროს ჯონ მაკკეინმა, იმ მომენტში აშშ-ის პრეზიდენტობის ერთერთმა კანდიდატმა, საქართველოს მხარდასაჭერად სწორედ კენედის ეს ცნობილი ფრაზა გამოიყენა; მან განაცხადა: "დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ."

1972 — ხელმოწერილ იქნა შეთანხმება გფრ-სა და გდრ-ს შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ.

1973 — სექტემბერში გფრ და გდრ გაეროს წევრები გახდნენ, 8 ნოემბერს კი მათ შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა (ამის შემდეგ დაიწყო გაეროს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ გდრ-ის ცნობის პროცესი).

1989 — 9 ნოემბერს, მასობრივი დემონსტრაციების შემდეგ, ხალხმა დაიწყო ბერლინის კედლის სტიქიური დანგრევა.

1990 — 18 მარტის პირველ თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვა "ალიანსმა გერმანიისთვის", რის შემდეგაც გდრ-ის ახალმა მთავრობამ დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანების საკითხებზე.

3 ოქტომბერს გდრ ოფიციალური შეუერთდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

საქართველოსთან მიმართება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნურად შექმნა, მისი საერთაშორისო აღიარებისთვის წლების მანძილზე ათასგვარი ხრიკების გამოყენება, საერთაშორისო საშართლის, საერთაშორისო სახოგადოების მოთხოვნების მუდმივი უგულებელყოფა, ერთიანი ქვეყნის, ერთიანი ქალაქის შიგნით მეზობლების, ნათესავების გამყოფი კედლის აღმართვა, ხალხის ნების ძალადობრივი ჩახშობა — ეს ყველაფერი თითქოს მეორდება დღეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სსრკ-ის ნაცვლად მისი სამართალმემკვიდრე — რუსეთის ფედერაცია აკეთებს იმავეს და ეს

3 http://news.bbc.co.uk/onthisday/hi/dates/stories/june/26/newsid_3379000/3379061.stm

ხლება არა გერმანიის, არამედ საქართველოს მიმართ.

ასეთი შედარება, ერთი მხრივ, სრულიად ბუნებრივია, თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს აშკარა განმასხვავებელი ფაქტორებიც. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ როგორც მსგავსებაზე, ასევე განსხვავებაზე და გამოვყოფთ რამდენიმე ძირითად მომენტს:

1) 1961 წელს კრემლმა ბერლინის კედელი (მაშინდელი საბჭოური პროპაგანდის თანახმად, "ანტიფაშისტური დამცავი კედელი") ააშენა დასავლეთ გერმანელი "ფაშისტებისგან" "პროგრესულად მოაზროვნე" აღმოსავლეთ გერმანელების "დასაცავად"; დღეს ენგურის გასწვრივ იგივე კრემლი ისევ კედელს აშენებს, ოღონდ ამჯერად ქართველი "ფაშისტებისაგან" აფხაზების "დასაცავად", ცხინვალის რეგიონში კი რუსეთის ჯარები იმავე "საფრთხისგან" ოსებს "იცავენ";

2) სსრკ-ს სურდა გერმანიის — ევროპის ცენტრალური სახელმწიფოს დაშლა, რათა დასუსტებული ევროპა შემდეგ მთლიანად "გადაესანსლა". მაგრამ ასეთ იმპერიალისტურ მიზანს, ცხადია, ღიად არ გამოაცხადებდა, პირიქით, ძლავრი საბჭოური იდეოლოგიური მანქანა ამ დანაშაულებრივი მიზნის "კეთილშობილური იდეებით" შესანიღბად შუშაობდა. კრემლი გფრ-ის მთავრობას ფაშისტების მემკვიდრედ აცხადებდა და "ნეოფაშიზმის" წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლის ლოზუნგით გერმანიის სახელმწიფოს შლიდა.

მსგავსი ვითარებაა საქართველოს შემთხვევაშიც — კრემლი "სააკაშვილის ფაშისტურ, ანტიდემოკრატიულ რეჟიმს" ათასგვარ საშინელებაში, ოსების გენოციდში ადანაშაულებს და მასთან ბრძოლის საბაბით საქართველოს სახელმწიფოს შლის, რათა ამ გზით სრული კონტროლი აღადგინოს კავკასიაზე და, აქედან გამომდინარე, კასპიის აუზის ენერგორესურსებზე;

3) სსრკ-ძა გერმანიის ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნა "საბჭოური სახელმწიფო" — გდრ, სადაც საკმარისზე მეტი ჯარი განალაგა. გფრ-ის მხრიდან აღმოსავლეთ გერმანიას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სსრკ "იცავდა" მას და თავგამოდებით ცდილობდა გდრ-ის საერთაშორისო აღიარებისთვის მიეღწია, რადგან აუცილებლად მიაჩნდა სამხედრო ძალით მოპოვებული წარმატება სამართლებრივადაც განემტკიცებინა და ამ გზით უკუპროცესის (გერმანიის გაერთიანების) შესაძლებლობა, ფაქტობრივად, გამოერიცხა.

მსგავსი ვითარებაა აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" შემთხვევაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე სსრკ-ის ჯარების ყოფნა მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ გამართლებული იყო, ხოლო საქართველოს შემთხვევაში რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნა სრულიად უსაფუძვლოა, უფრო მეტიც, ეს არღვევს რუსეთის პრეზიდენტის მიერვე ხელმოწერილ 2008 წლის 12 აგვისტოს 6 პუნქტიან შეთანხმებას;

4) 1945-1949 წლებში, როცა მოხდა გერმანიის ფაქტობრივი დაყოფა 5 ნაწილად, გერმანიის სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა — ქვეყანა განაწილებული იყო 4 ქვეყნის საოკუპაციო ზონებად და საბჭოთა საოკუპაციო ზონას ერთმნიშვნელოვნად არ ჰქონდა კოორდინაცია დანარჩენ ზონებთან. ფაქტობრივად, ეს იყო გერმანული სახელმწიფოებრიობის ვაკუუმის პერიოდი.

პრინციპულად განსხვავებული ვითარება იყო 1993 წლის საქართველოში, როცა კრემლმა თავისი სამხედრო ძალის გამოყენებით დე ფაქტო დაანაწევრა საქართველოს ტერიტორია, ისევე როგორც 2008 წელს, როცა რუსეთმა ღია სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და დე იურე ცნო საქართველოს დაყოფა. საქართველო 1992 წლის 31 ივლისიდან გაეროს წევრია (თუმცა, მისი დამოუკიდებლობა და საზღვრები გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობას 1992 წლის ზაფხულამდე უკვე აღიარებული ჰქონდა) და ამ დროიდან მაინც მისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ოფიციალურად ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის რუსეთმაც. კრემლი ამას ადასტურებდა ყველა საერთაშორისო დოკუმენტში, იქნებოდა ეს გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს თუ დსთ-ის დოკუმენტები. მით უფრო შეუსაბამო იქნებოდა რაიმე პარალელის გავლება 1945-1949 წლების გერმანიის სახელმწიფოებრივ სტატუსსა და 2008 წლის საქართველოს სახელმწიფოებრივ სტატუსს შორის, რადგან 1990-იანი წლებიდან 2008 წლამდე ზემოხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ უკვე მიღებული იყო სულ მცირე ათეულობით რეზოლუცია, რომლებშიც დადასტურებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ეთნოწმენდის შედეგად გამოდევნილი მოსახლეობის დაბრუნების უპირობო უფლება, დევნილთა საკუთრების ხელშეუხებლობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, კრემლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ანალოგიური რეზოლუცია 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგაც მიიღო (A/RES/63/307, 09.09.2009), რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოების ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილთა უფლებების მიმართ.

5) 1945-49 წლებში, გერმანიის გაყოფის პერიოდში, არ არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაციათა უმრავლესობა (გაერო ჯერ კიდევ ახ-

ალშექმნილი ორგანიზაცია იყო), არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუძემდებლური დოკუმენტები, როგორებიცაა 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ეუთოს 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი. შესაბამისად, იმ დროს არ არსებობდა საერთაშორისო მექანიზმები და საერთაშორისო გამოცდილება მსგავს პრობლემათა მოსაგვარებლად.

დღეს ყველაფერი ეს არსებობს. უკვე ათწლეულებია მუშაობს გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, არაერთი საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც მსგავსი ტიპის საქმეთა განსახილველად სათანადო სამართლებრივი ბაზაც აქვს და გამოცდილებაც. დღეს ტერიტორიული საკითხები ერთი ქვეყნის უნილატერალური გადაწყვეტილებით და მის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებით (ან თუნდაც 4 ქვეყნის შეთანხმებით) არ წყდება, ამისათვის საერთაშორისო სამართლის ნორმები, ხელშეკრულებები და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აპრობირებული დემოკრატიული მექანიზმები შეიქმნა. 21-ე საუკუნეში ასეთი პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია ხალხის ნების უგულებელყოფით, როგორც ეს მოხდა 1945-49 წლების გერმანიაში. დაუშვებელია, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება შეეგუოს გაეროს მიერ აღიარებული საზღვრების თვითნებურ შეცვლას, მასობრივ ეთნოწმენდას და შემდეგ ამ ეთნოწმენდის შედეგების დაკანონებას. კრემლის დანაშაული სწორედ იმითომაა უპრეცედენტო, რომ მან 21-ე საუკუნეში ყველა ფუნდამენტურ საერთაშორისო ნორმას, ყველა ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციას "გადააბიჯა" და იმედი აქვს, რომ დაუსჯელი დარჩება.

აქვე უნდა ითქვას, რომ კრემლის დაუსჯელობის სინდრომი შემთხვევითი არ არის. გერმანიის ფაშისტური რეჟიმი დაისაჯა იმ უმძიმეს დანაშაულთა გამო, რომელიც მან ჩაიდინა, მაგრამ არანაკლები დანაშაულები (მათ შორის, მაგალითად, "გოლოდომორი" 1930-იან წლებში, ჩეჩენ-ინგუშების გენოციდი 1940-იან წლებში, ან გენოციდი და ეთნოწმენდა ჩრდილო თუ სამხრეთ კავკასიაში 1990-იან წლებში,) აქვს ჩაღენილი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კრემლს, მაგრამ, ფაშისტებისგან განსხვავებით, მას ამ ყველაფერზე პასუხი დღემდე არ უგია. უფრო მეტიც, საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ძირითადად, დღესაც უცნობია ზემოხსენებული ტრაგიკული მოვლენები და მათთან დაკავშირებული შემაძრწუნებელი ფაქტები.

6) სსრკ-ის მიერ გერმანიის გაყოფა მოხდა მას შემდეგ, რაც 1941 წელს ფაშისტური გერმანია შეიჭრა სსრკ-ის ტერიტორიაზე და 4 წლიწადი მიმდინარეობდა ომი. გერმანიის ფაშისტური ხელისუფლება ნიუ-

რნბერგის პროცესზე გასამართლდა და დაუმტკიცდა უმძიმეს დანაშაულთა ჩადენა, მათ შორის დანაშაულები კაცობრიობის წინააღმ. სწორედ ამ ფაქტორებს იყენებდა სსრკ, როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამარჯვებული, როცა გაყო გერმანია ორ ნაწილად და ძოითხოვდა გდრ-ის საერთაშორისო აღიარებას. გერმანიის ერთიანობის მომხრე ძალებს, უპირველესად კი გფრ-ის მთავრობას, კრემლი წარმოაჩენდა, როგორც ფაშისტების მემკვიდრეებს და ფაშისტური გერმანიის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ფონზე ამ პროპაგანდისტულ "მანევრს" გარკვეული წარმატება ჰქონდა (გერმანიისგან ზაარლანდის ჩამოშორების მცდელობაც, ზოგადად, ამ ტენდენციის გამოხატულება იყო).

საქართველოსთან დაკავშირებით არც ერთი მსგავსი წინაპირობა არ არსებობს. პირიქით, აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" ქართველების ეთნიკური წმენდა მოხდა და ეს გააკეთეს რუსეთის ჯარებმა ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტულ რეჟიმებთან ერთად (აფხაზეთში, "უპირატესად ქართველების მიმართ" ეთნოწმენდა დადასტურებულია ეუთოს სამი სამიტის — 1994,1996,1999 წწ. რეზოლუციებში). ანუ გერმანიის "დასჯას" სსრკ-ის მიერ თუ ჰქონდა გარკვეული გამართლება, საქართველოს მიმართ სრულიად საპირისპირო ვითარებაა. აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეჟიმების შექმნით და მხარდაჭერით, შემდეგ მათი "დამოუკიდებლობის" ცნობით გამოაშკარაცდა, რომ კრემლი ეთნოწმენდის ორგანიზატორ-შემსრულებლების ინსპირატორი და მფარველია. სსრკ აცხადებდა, რომ გდრ-ში სოციალისტურ, "მომავლის სახელმწიფოს" აშენებდა და ბერლინის კედლით ფაშისტური გერმანიის მემკვიდრეთაგან იცავდა "პროგრესულ" გერმანიას. მაშინ, სოციალიზმისა და კომუნიზმის აღზევების პერიოდში, ამ პროპაგანდას გარკვეული დამაჯერებლობა ჰქონდა მსოფლიო საზოგადოებისთვის.

დღეს სხვა რეალობაა. 2008 წლის აგვისტოში კრემლი შეეცადა გაეთამაშებინა ქართველების მიერ ოსების "გენოციდის" ფარსი და ამით გაემართლებინა საქართველოში ინტერვენცია, თუმცა ევროსაბჭოს, "ჰიუმან რაითს ვოჩის", ევროკავშირის მიერ შექმნილი სპეციალური (პ. ტალიავინის) მისიის თანახმად, ოსების გენოციდი არა, მაგრამ ქართველების მიმართ ეთნოწმენდა კი ნამდვილად განხორციელდა ცხინვალის რეგიონში. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია კრემლის ძალადობაზე სულ სხვაგვარია და კრემლში შეთხზული ლეგენდებით მხოლოდ დანიელ ორტეგას ან უგო ჩავესის ყიდვა თუ მოხერხდება.

რაც შეეხება გენოციდს ან ეთნოწმენდას, უნდა ითქვას, რომ კა-

ცობრიობის წინაშე დანაშაულთა ჩადენის მხრივ, პუტინ-მედვედევის ხელისუფლება ფაშისტებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერზე შორს წავიდნენ. კრემლმა აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" ეთნოწმენდა განახორციელა, შემდეგ ამ ტერიტორიებზე "დამოუკიდებელი სახელმწიფოები" შექმნა და აღიარა კიდეც (ასეთი რამ ჰიტლერსაც კი არ გაუკეთებია).

1938 წლის 5 ოქტომბერს, ნახევრადოკუპირებული ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნებულმა ჰიტლერმა ბერლინში გამოსვლისას განაცხადა: "მე ახლახან ვიყავი განთავისუფლებულ რაიონებში... იქ მე ვნახე ზეიმი, ენთუზიაზმი და პირველად ვნახე ასეულობით ათასი ადამიანი სიხარულის ცრემლებით აღსავსე თვალებით... როდესაც დასავლეთში ბატონები ამტკიცებენ, რომ ჩეხების მიმართ უსამართლობა მოხდა, ამ ხალხმა თავისი თვალებით უნდა ნახოს რა მოხდა იქ სინამდვილეში. როგორ შეიძლება სიმართლის ასე გაყალბება! მე იქ ვნახე ნანგრევებად ქცეული მთელი სოფლები, ქალაქები."

ამ ტექსტში მხოლოდ ერთი სიტყვა რომ შევცვალოთ — ჩეხების ნაცვლად ქართველები რომ ჩავწეროთ — ჰიტლერის ნაცვლად პუტინის ან მედვედევის ფრაზას მივიღებთ. 2009 წლის 7 აგვისტოს, ცხინვალში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა: "როცა მე აქ ჩამოვედი, — ვნახე ადამიანების სახეები, ვნახე როგორია მათი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, როგორ ხვდებიან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს... ამ ემოციის გადმოცემა შეუძლებელია... ესაა მადლიერების გრძნობა და განცდა, რომ რუსეთმა დაიცვა ეს პატარა ხალხი. და ეს შეიძლება იგრძნო მხოლოდ უშუალო კონტაქტის დროს, როცა უშუალოდ ხვდები ქუჩაში გამოსულ მადლიერ, აცრემლებულ უბრალო ადამიანებს, თუმცა იმ ტრაგიკული ამბებიდან უკვე ერთი წელიწადია გასულია... მე არ მრცხვენია ამ პერიოდის გამო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ჩვენ ეს არჩევანი გავაკეთეთ — ვიმოქმედეთ პატიოსნად, პასუხისმგებლობით... და სიამოვნებს ეს ვინმეს თუ არა, ჩვენ განვავითარებთ სრულმასშტაბიან ურთიერთობას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან."[4]

ჰიტლერსა და პუტინ-მედვედევს შორის აშკარა "მენტალურ ნათესაობაზე" მეტყველებს ეს ციტატებიც: "გერმანია ან მსოფლიო სახელმწიფო გახდება, ან საერთოდ აღარ იარსებებს" (ჰიტლერი, 1925 წ., "ჩემი ბრძოლა", "მაინ კამფ"), "რუსეთი ან დიდი და მძლავრი იქნება, ან არსებობას შეწყვეტს" (ამ სიტყვებით მიმართა რუსეთის პრეზიდენტმა 2008 წლის სექტემბერში კრემლში შეკრებილ უმაღლეს ოფიცერთა კორპუსს);

7) არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სსრკ მაშინ იყო ზესახელმწიფო, რო-

4 http://www.kremlin.ru/news/5132

მელიც კონკურენციას უწევდა აშშ-ს. ორიდან ერთ-ერთი ზესახელმწიფოს — სსრკ-ის უხარმაზარმა გავლენამ და ძალდატანებამ განაპირობა გდრ-ის ცნობა 1973 წელს გფრ-ისა და დასავლეთის ქვეყნების მიერ. კრემლს ახლაც ანალოგიური მიზანი აქვს: ის ცდილობდა და ცდილობს საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანოს ისეთი ძალა, რომელიც მის დიქტატს დაემორჩილება და აღიარებს აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობას, მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს XX საუკუნის 70-იანი წლები არაა და რუსეთის შესაძლებლობები ნამდვილად ვერ შეედრება სსრკ-ის მაშინდელ შესაძლებლობებსა და გავლენას. ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ 2008 წლის იანვარში ნავთობის ფასი 150 დოლარი იყო და კრემლი იმედოვნებდა, რომ წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 200-250 დოლარს მიაღწევდა, ბუნებრივ აირს კი რეკორდული 450-500 დოლარის ნაცვლად კიდევ უფრო ძვირად — 1000 დოლარად გაყიდდა, მაგრამ სწორედ აგვისტოში ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნა დაიწყო და ბოლო პერიოდში 60-70 დოლარს შორის მერყეობს. ამიტომ კრემლის ძალისხმევა, როგორმე მიაღწიოს ე.წ. "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებას, უპერსპექტივოა (გდრ-ის აღიარებასაც კი 25 წელიწადი დასჭირდა).

8) მართალია, ბერლინის კედელმა 28 წელი გაძლო და ეს არ არის მცირე დრო, მაგრამ ისტორიამ დაადასტურა, რომ მიუხედავად ამდენი წვალებისა, ეს ერთი შეხედვით მტკიცე, რკინა-ბეტონის ნაგებობა თავიდანვე განწირული იყო დასანგრევად. ამის აშკარა წინაპირობა იყო ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთი გერმანია სსრკ-მა თავისსავე მსგავს ტოტალიტარულ ციხედ გადააქცია, საიდანაც ხალხი გარბოდა (როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მხოლოდ 1961 წელს 200 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა გდრ). დასავლეთი გერმანია კი, აშშ-ის აქტიური მხარდაჭერით, სწრაფად იშუშებდა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვეყანაზე მოწინავე მოდელს ქმნიდა. ბეტონის კედლით ამ ეკონომიკური წინსვლის, საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგობის, საერთაშორისო ნორმების მოქმედების "შეჩერება", ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების "დამალვა" იმთავითვე მცდარი, პრიმიტიული იდეა იყო. ტანკებით, ბეტონის კედლით სსრკ-მა მხოლოდ დროებით შეაფერხა გერმანიის გაერთიანების პროცესი. აშშ-ის ტანკებმა 1961 წელს უკან დაიხიეს და ვერ შეძლეს ბერლინის კედლის მშენებლობის შეჩერება, მაგრამ, როგორც ცნობილია, სწორედ აშშ-ის მშვიდობიანმა, მაგრამ აქტიურმა ძალისხმევამ განაპირობა მნიშვნელოვანწილად სსრკ-ის დაშლა.

ფართობი — 65 610 კმ² (აქედან 19 509 კმ2 ტამილ ილამა);

მოსახლეობა — 21,1 მილიონი (აქედან 3,6 მლნ. ტამილები);

ეთნიკური შემადგენლობა: სინჰალები – 75%, ტამილები – 17%, მაურები – 7%;

"ბიურგერები" (ევროპელების შთამომავლები) – 0,3%, ვედები (უძველესი მოსახლეობა) – 1,5 ათასამდე.

ყოველწლიურად კუნძულზე 1,5 მლნ ტურისტი ჩადის;

რელიგია: ბუდიზმი – 70% (ძირითადად სინგალები), ინდუიზმი – 15% (ძირითადად ტამილები), ქრისტიანობა – 8%, ისლამი – 7%.

კუნძულის უძველესი მოსახლეობა ავსტრალოიდურ რასას მიეკუთვნება. ძვ. წ. I ათასწლეულში, აქ დაიწყეს დასახლება ტამილებმა (დრავიდებმა) სამხრეთ ინდოეთიდან და სინჰალებმა (ინდო-ევროპელებმა) ჩრდილო ინდოეთიდან. მათ თავიანთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჰქონდათ, თუმცა უმრავლესობას სინჰალები შეადგენდნენ და საუკუნეების მანძილზე, ევროპელთა ოკუპაციამდე, კუნძულზე არსებული სამეფო სინჰალური იყო. ტამილები, ძირითადად, კუნძულის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ.

XVI ს. – კუნძულის სანაპირო ზოლი პორტუგალიელებმა დაიკავეს.

XVII ს. – პორტუგალიელები ჰოლანდიელებმა შეცვალეს.

1802 წ. — კუნძული ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა.

1948 – კუნძული, ცეილონის სახელწოდებით, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, თუმცა ბრიტანეთის დომინიონის სახით.

1972 – ცეილონი შრი-ლანკის რესპუბლიკად გარდაიქმნა და ამ სახელწოდებით გაწევრდა ბრიტანეთის თანამეგობრობაში.

სინჰალების თვითიდენტიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფაქტორი. მათთვის "სინჰალა დვიპა" (სინგთა კუნძული) და "ბუდჰა დვიპა" (ბუდიზმის კუნძული), ფაქტობრივად, იდენტური ცნებებია. ტამილთა თვითიდენტიფიკაცია კი რელიგიურზე მეტად ეთნიკურ ფაქტორს ემყარება.

ტამილების რაოდენობა კუნძულზე სწრაფად გაიზარდა ბრიტანელთა მმართველობის დროს. ინდოეთის საზოგადოების ტრადიციული კასტური დაყოფა ტამილებს უმდაბლეს საფეხურს მიაკუთვნებდა და ჩაის მოყვანის შრომატევად სამუშაოს, ძირითადად, სწორედ ისინი ასრულებდნენ. ინგლისელებმა, ჩაის წარმოების გაფართოების მიზნით, ტამილები მასობრივად გადმოასახლეს კუნძულზე სამხრეთ ინდოეთი-

დან, რომლის მოსახლეობას დღემდე თითქმის მთლიანად ტამილები შეადგენენ (დაახლოებით 70 მლნ).

1948 წლიდან, ინგლისელების წასვლის შემდეგ, სინჰალური ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა, ხელისუფლება აშკარად მხარს უჭერდა ბუდიზმს ინდუიზმის საპირისპიროდ (ტამილურ ენას 2300-წლიანი სალიტერატურო ისტორია აქვს და კლასიკურ ენად ითვლება). 60-იან წლებში ცეილონის მთავრობამ ინგლისელთა მიერ ჩამოსახლებული ტამილების შთამომავლებს მოქალაქეობა ჩამოართვა და ინდოეთში მათი დეპორტაცია დაიწყო. სინგალები თავს იმით იმართლებდნენ, რომ გარკვეული გაგებით უმცირესობაში ისინი არიან და არა ტამილები. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კუნძული დანარჩენ მსოფლიოს ტამილებით დასახლებული სამხრეთ ინდოეთის გაელით უკავშირდება, მატერიკის ეს ნაწილი დიდ გავლენას ახდენს კუნძულზე და აქაური მოსახლეობა თითქმის ხუთჯერ აღემატება სინჰალებს. მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის საპასუხოდ შეიქმნა "ტამილთა განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტი," რომელიც პროტესტის მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედებდა.

1976 - "ტამილთა განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტმა" პირველად მოითხოვა ტამილთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ("ტამილ ილამა" ტამილთა ქვეყანას ნიშნავს).

1978 – დაიწყო პოლიტიკური კონფლიქტი ტერიტორიათა გამიჯვნასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების გამო. ამ დროიდან გაჩნდა ტამილთა პირველი შეიარაღებული ჯგუფები.

1983 – "ტამილ ილამას გამათავისუფლებელმა ვეფხვებმა" პირველი ტერორისტული აქცია განახორციელეს – თავს დაესხნენ სინგალების სამხედრო მანქანას და 15-მდე ჯარისკაცი მოკლეს. ამას მოჰყვა ტამილთა სოფლების დარბევები სინგალების მიერ და საბოლოოდ სამოქალაქო ომი. იმ პერიოდში დაიღუპა დაახლოებით 500 ადამიანი, 300 ათასზე მეტი ტამილი დევნილად იქცა, ამათგან 100 ათასზე მეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა შრი-ლანკა (ძირითადად, სამხრეთ ინდოეთში გადავიდნენ). შრი-ლანკის არმია არ ერიდებოდა ტამილთა დასახლებების მთლიანად გადაწვა-განადგურებას, რაზეც ტამილები პარტიზანული ომითა და ტერაქტებით პასუხობდნენ. 1992 წელს ტამილმა ტერორისტთეითმკვლელმა ააფეთქა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი, 1993 წელს – შრი-ლანკას პრეზიდენტი რანასინგჰ პრემადასა. მანამდე, 1991 წელს სწორედ ტამილი ტერორისტების ორგანიზებული იყო ინდოეთის ექს-პრემიერის რაჯივ განდის მკვლელობა.

1987 – ინდოეთის პრემიერმა რაჯივ განდიმ შრი-ლანკაზე ინდოეთის სამშვიდობო ჯარები გადასხა, რათა, ერთი მხრივ, შეეჩერებინა შრი-ლანკას სამთავრობო ჯარების შეტევა ტამილებზე და, მეორე მხრივ, განეიარაღებინა "ტამილის ვეფხვები." მისია წარუმატებელი გამოდგა (ინდოელებს დაუპირისპირდნენ როგორც სინგალები, ასევე ტამილები) და 1989 წელს დასრულდა.

1997 – ამ დროიდან "ტამილის ვეფხვები" აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორისტული ორგანიზაციების სიაში იქნა შეტანილი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, "ვეფხვებს" ზურგს უმაგრებდნენ პაკისტანის სპეცსამსახურები (ინდოეთში დესტაბილიზაციის მისაღწევად). 2001 წლიდან, 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოში დაწყებული ანტიტერორისტული კამპანიის შედეგად, "ვეფხვების" დაფინანსება უცხოეთიდან მნიშვნელოვნად შემცირდა.

2002 – ნორვეგიის შუამდგომლობით გამართული მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას შრი-ლანკის მთავრობასა და "ტამილის ვეფხვებს" შორის (მათი რაოდენობა მაშინ დაახლოებით 10 ათასი იყო, დროებით ბანაკებში მცხოვრები ტამილელი დევნილების რიცხვი კი 800 ათასს აღწევდა). ტამილებს, დამოუკიდებლობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ფართო ავტონომიური უფლებები გაღაეცათ. ტამილების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მთლიანად შრი-ლანკის მთავრობაზეა დამოკიდებული ელექტროენერგიითა და წყლით მომარაგების, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მხრივ.

2005 – აგვისტოში მოკლეს შრი-ლანკის საგარეო საქმეთა მინისტრი (ეთნიკურად ტამილი), რომელიც ტამილთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მხარს არ უჭერდა.

იმავე წლის დეკემბერში სეპარატისტებმა ისევ დაიწყეს შეიარაღებული თავდასხმები და ტერაქტები.

2006 – თებერვალში დაწყებული მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა. ივლისში სეპარატისტებმა წყალსაცავის შლუზი გადაკეტეს, რის შედეგადაც 60 000 ადამიანი უწყლოდ დარჩა. მთავრობამ მასშტაბური შეტევა განახორციელა.

2007 – მოკლეს ტამილსელვანი, "ტამილის ვეფხვების" პოლიტიკური ფრთის ლიდერი, რის შემდეგაც მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შევიდა.

2008 – შრი-ლანკის მთავრობამ განაცხადა, რომ მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი არა აქვს, თუ "ტამილის ვეფხვების" განიარაღების პროცესი არ დაიწყებოდა.

აგვისტოში მთავრობა შეტევაზე გადავიდა სეპარატისტების წინააღმდეგ.

2009 – იანვარში სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს აშბოხებულთა დედაქალაქი კილინოჩი. 17 მაისს "ტამილის ვეფხვებმა" აღიარეს დამარცხება და შეწყვიტეს წინააღმდეგობა. მოკლულია "ვეფხვების" ლეგენდარული ლიდერი ველუპილაი პრაბხაკარანი, მისი ვაჟი და სხვა მეთაურები. კონფლიქტის ზონა 120 ათასზე მეტმა დევნილმა დატოვა.

"ემნისტი ინტერნეშენალის" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაცემებით, სამხედრო მოქმედებების დროს 7 ათასამდე უდანაშაულო სამოქალაქო პირი დაიღუპა. გაერო და ევროკავშირი დამოუკიდებელ გამოძიებას მოითხოვენ ორივე მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

დღემდე ამ კონფლიქტს დაახლოებით 100 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

საქართველოსთან მიმართება

ეს 30-წლიანი დაპირისპირება და მისი შედეგები ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. ფაქტია, რომ „ტამილის ვეფხვებმა", თავიანთი რადიკალური პოზიციით, რეალურად, გაწირეს თავიანთი ხალხი. 2002 წლის შეთანხმება მათ საშუალებას აძლევდა კონსტიტუციულ ჩარჩოებში მოექციათ თავიანთი მიზნები და რეალური პროგრესისთვის მიეღწიათ (მაგალითად, როგორც ეს მოხდა ჩრ. ირლანდიაში, „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" მიერ ძალადობაზე უარის თქმისა და იარაღის ჩაბარების შემდეგ). თავიანთი არარეალური მოთხოვნებით „ტამილის ვეფხვებმა" მეტს ვერაფერს მიაღწიეს დამატებითი სისხლისღვრისა და ნგრევის გარდა.

აშკარად გამოჩნდა, რომ მართებულია იმ ტამილების პოზიცია, რომლებიც არა რადიკალიზმსა და მტრობაზე, არამედ ზომიერ, რეალურ მოთხოვნებსა და ურთიერთთანამშრომლობაზე არიან ორიენტირებული. და ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ ასეთი პოზიცია შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას; თუ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ცალკეული ჯგუფების ნებასურვილზე იქნება დამოკიდებული, ეს დაუსრულებელ სისხლისღვრასა

და ქაოსამდე მიგვიყვანს.

კრემლი სწორედ იმიტომ უპირისპირდებოდა და უპირისპირდება საერთაშორისო სამართალს, რომ მას სურს სისხლისღვრისა და ქაოსის პროვოცირება საქართველოში. ბაღაფშისა და კოკოითის რეჟიმები კი გაუაზრებელი, საქართველოსადმი მტრული პოზიციით „ტამილის ვეფხვების“ როლს ასრულებენ.

მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ძირეული განსხვავება საქართველოსა და შრი-ლანკაში არსებულ კონფლიქტებს შორის: არძინბას, ბაღაფშისა თუ კოკოითის რეჟიმები კრემლის მიერ შეიქმნა და მთლიანად კრემლზეა დამოკიდებული ანუ საქართველოში ე.წ. „ეთნოკონფლიქტები“ თავიდან ბოლომდე კრემლის პროვოცირებულია. 2008 წლის აგვისტოში მსოფლიომ აშკარად დაინახა, რომ ესაა ომი კრემლსა და საქართველოს შორის. შრი-ლანკის შემთხვევაში კი კრემლის მსგავსი ძალა არ არსებობს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შრი-ლანკის წინააღმდეგ ცალმხრივი, თვითნებური სამხედრო აგრესია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობა არავის დაუწყია.

შრი-ლანკის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისტორიულად სინჰალების მიერ ტამილების ეთნიკურ-კასტური და რელიგიური დისკრიმინაცია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ კი ცალსახად უნდა ითქვას, რომ ესაა საუკუნოვანი ნათესაობა და ერთიანი საქართველოს ფარგლებში მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა; გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა უმრავლესობა მალე დარწმუნდება, რომ აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობის შენარჩუნება საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე გადის. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უდაოა, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული პრობლემები, შრი-ლანკისგან განსხვავებით, მშვიდობიანად მოგვარდება და ყველა სადავო საკითხი საერთაშორისო სამართალის შესაბამისად გადაწყდება.

ფართობი — 1 200 000 კმ²;

მოსახლეობა — 2,84 მლნ ტიბეტელი და 200 ათასი ჩინელი. ამავე დროს, ჩინეთის ტერიტორიაზე, ტიბეტის ავტონომიური რაიონის მომიჯნავე რაიონებში არის 4 ტიბეტური ავტონომიური ოლქი და მათი მოსახლეობის ჩათვლით ტიბეტელების მთლიანი რაოდენობა ჩინეთში 5,2 მილიონს აჭარბებს, ანუ ეთნიკური ტიბეტელების თითქმის ნახევარი ტიბეტის ავტონომიური რაიონის გარეთ ცხოვრობს, რადგან ისტორიული ტიბეტის მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე ავტონომიური რაიონის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა (დალაი ლამას მომხრე ტიბეტური წყაროების ინფორმაციით, ისტორიული ტიბეტის — "დიდი ტიბეტის" მთლიან ტერიტორიაზე დღეს ტიბეტელები დაახლოებით 42%-ია, ხოლო ჩინელები 53%).

რელიგია — ტიბეტელები ძირითადად ბუდისტები არიან, ჩინელები — კონფუციანელები.

VII ს. — ტიბეტი ერთიანი მმართველობის ქვეშ გაერთიანდა, თუმცა, გადმოცემის თანახმად, ტიბეტის სახელმწიფოს დაფუძნების თარიღად მიჩნეულია ძვ.წ. 127წ. VII-VIII საუკუნეებიდან აითვლიან ტიბეტური სალიტერატურო ენის ისტორიასაც (ტიბეტური ენა სინო-ტიბეტური ოჯახის ტიბეტურ-ბირმულ ქვეოჯახს მიეკუთვნება; სინო-ტიბეტური ოჯახი, მასზე მოლაპარაკეთა რაოდენობით, მხოლოდ ინდოევროპულ ოჯახს ჩამოუვარდება).

783 — დაიდო სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც ტიბეტური ინტერპრეტაციით, ემსახურებოდა ტიბეტისა და ჩინეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიის გამიჯვნას ანუ საზღვრის დადგენას, ჩინური ინტერპრეტაციით კი ეს იყო ურთიერთთანადგომის დამადასტურებელი სამოკავშირეო ხელშეკრულება (საერთოდ, ტიბეტთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს თუ მოვლენას ასეთი ორნაირი ინტერპრეტაცია ახლავს).

XIII ს. — მონღოლებმა ჯერ ჩინეთზე, შემდეგ კი ტიბეტზეც გაავრცელეს თავიანთი გავლენა, თუმცა ეს არ მომხდარა სამხედრო ძალის გამოყენებით. ტიბეტისა და მონღოლეთის განსაკუთრებულ ურთიერთდამოკიდებულებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ მონღოლეთის ოფიციალურ რელიგიად ბუდიზმი გამოცხადდა, ხოლო უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტად ტიბეტის სულიერი ლიდერი, რომელსაც ტიბეტის ტერიტორიაზე უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლებაც მიენიჭა.

1350 — მეფე ჟანგჩუბ გიალცენმა სასულიერო ფენას წაართვა პოლიტიკური ძალაუფლება, რის შედეგადაც დროებით შეწყდა მონღოლეთის გაელენა ტიბეტზე.

1642 — ტიბეტის სასულიერო ფენამ, მონღოლეთის მხარდაჭერით, აღიდგინა პოლიტიკური პრიორიტეტი ტიბეტის ტერიტორიაზე.

1644 — ტიბეტის სულიერი ლიდერი დალაი ლამა V, მფარველობის სანაცვლოდ, დათანხმდა ჩინეთის იმპერატორს გამხდარიყო მისი სულიერი ლიდერი. ტიბეტური ინტერპრეტაციით, ეს არ ნიშნავდა ტიბეტის ჩინეთისადმი დაქვემდებარებას, რადგან 1644 წელს ჩინეთი დაიპყრეს მანჯურებმა და ახალი, ცინ დინასტია, რომელიც ჩინეთს 1911 წლამდე მართავდა, ეთნიკურად მანჯურების იყო და არა ჰანების. ჩინური ტრადიციის თანახმად კი, ჰანები, მანჯურები და ტიბეტელებიც მხოლოდ განშტოებებია დიდი ჩინური ეროვნულ-კულტურული ერთობისა; 1911 წლიდან 1916 წლამდე, როცა მთავრობის მეთაურის ფუნქციას გენერალი იუან შიკაი ასრულებდა, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მონარქიული ჩინეთი გარდაიქმნა "ხუთი ერის რესპუბლიკად" და მაშინდელი ხუთფეროვანი დროშა ძირითადი ხუთი "ერის" — ჰანების, მანჯურების, მონღოლების, ტიბეტელებისა და მუსლიმანების ერთიანობას განასახიერებდა. ჩინეთში მცხოვრები მუსლიმების (დაახლოებით 35 მლნ.) თითქმის 60% ეთნიკურად ჩინელია — ჰუეი ჯგუფის თვითიდენტიფიკაცია რელიგიურ ფაქტორს ემყარება — დანარჩენები კი, ძირითადად, თურქმანი უიღურები არიან, რომლებიც სინძიანის ავტონომიურ რაიონში, ყოფილ აღმოსავლეთ თურქესტანში ცხოვრობენ.

XVIII ს. — ჩინეთის იმპერატორმა ოთხჯერ გაგზავნა ტიბეტში ჯარები, როცა დალაი ლამას ხელისუფლებას საფრთხე შეექმნა მონღოლებისა და ნეპალელი გურხების შემოსევებისგან, ასევე სამოქალაქო ომის დროს 1728 და 1751 წლებში). ამ პერიოდში ტიბეტის საშინაო საქმეებსაც კი, მნიშვნელოვანწილად, პეკინიდან დანიშნული ორი უმაღლესი ჩინოვნიკი განაგებდა, რომლებიც მუდმივად ლჰასაში იმყოფებოდნენ. ტიბეტური ინტერპრეტაციით, აღნიშნული ფაქტები ცინ დინასტიის — მანჯურიელი იმპერატორების — დროს ხდებოდა და ამიტომ ეს ჰანებისადმი, ჰანების ჩინეთისადმი ტიბეტის დაქვემდებარების არგუმენტად არ უნდა ჩაითვალოს.

1904 — დაიდო ლჰასას კონვენცია დიდ ბრიტანეთსა და ტიბეტს შორის. ამ ორმხრივი შეთანხმების მიუხედავად, ჩინეთის იმპერატორი პრეტენზიას აცხადებდა ტიბეტის საერთაშორისო კავშირების მართვაზე, რაც, გარკვეულწილად, დაადასტურეს ბრიტანეთისა და რუსეთის

მთავრობებმა, როცა 1907 წელს გააფორმებულ ურთიერთშეთანხმებაში პეკინის გავლენა ტიბეტზე "სიუზერენიტეტად" შეაფასეს.

1910 — პეკინი შეეცადა რეალურად აღედგინა თავისი გავლენა ტიბეტში და ლჰასაში ჯარები შეიყვანა.

1911 — ჩინეთში მოხდა რევოლუცია, ცინის დინასტიის მმართველობა დასრულდა, ამით ისარგებლეს ტიბეტელებმა და ჩინეთის ჯარები განდევნეს თავიანთი ტერიტორიიდან. ამ დროიდან 1949 წლამდე ჩინეთმა, ფაქტობრივად, მთლიანად დაკარგა გავლენა ტიბეტზე, განსაკუთრებით, 1916 წლის შემდეგ, როცა ჩინეთში სამოქალაქო ომი და ხანგრძლივი შინაარეულობის პერიოდი დაიწყო. ამის მიუხედავად, ჩინური ინტერპრეტაციით, 1911-1949 წწ. ტიბეტმა დე იურე დამოუკიდებლობას მაინც ვერ მიაღწია, რადგან იგი არ ცნო არც ერთა ლიგამ და არც რომელიმე სახელმწიფომ. ტიბეტური ინტერპრეტაციით, ამ პერიოდში ტიბეტი იყო დამოუკიდებელი, როგორც დე ფაქტო, ასევე დე იურე. მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა მონღოლეთთან, ნეპალთან, ბუტანთან და გარკვეულ დონეზე ბრიტანეთთან და ინდოეთთანაც. ტიბეტელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ როცა ნეპალმა 1949 წელს გაეროში განაცხადი შეიტანა გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მან თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად ტიბეტთან დადებული ხელშეკრულება და მასთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა დაიმოწმა.

1950 — 7 ოქტომბერს, ჩინეთში კომუნისტური ხელისუფლების დამყარებიდან (01.11.1949) თითქმის ერთი წლის თავზე, ჩინეთის არმიის 40-ათასიანი ქვედანაყოფი აღმოსავლეთ ტიბეტში შეიჭრა, რომელსაც მხოლოდ 8 ათასი ჯარისკაცი იცავდა და აქედან ნახევარი ორდღიან ბრძოლებში დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ტიბეტის ოკუპაციის შემდეგ ჩინელები შეჩერდნენ და ცენტრალური ტიბეტი, დედაქალაქ ლჰასას ჩათვლით, მხოლოდ 1951 წლის 9 სექტემბერს დაიკავეს (მას შემდეგ, რაც მაისში ხელმოწერილ იქნა „ჩვიდმეტპუნქტიანი შეთანხმება"). ტიბეტის მთავრობამ წერილით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, რათა გაერო ჩარეულიყო კონფლიქტის მოგვარებაში, თუმცა გენერალურმა ასამბლეამ ტიბეტის საკითხი მხოლოდ 1959 წელს განიხილა.

1951 — 23 მაისს ხელმოწერილ იქნა ე.წ. ჩვიდმეტპუნქტიანი შეთანხმება "ცენტრალურ სახალხო მთავრობასა და ტიბეტის ავტონომიურ მთავრობას შორის ტიბეტის მშვიდობიანი გათავისუფლების შესახებ". ხელშეკრულების თანახმად, პეკინის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა საგარეო და თავდაცვის საკითხები, მათ შორის, ჯარების

გადაადგილება ტიბეტის ტერიტორიაზე. მეორე მხრივ, აღიარებული იყო ტიბეტის პოლიტიკური და რელიგიური სისტემის, დალაი ლამას ხელისუფლების ლეგიტიმურობა, ტიბეტს ენიჭებოდა რეგიონული ავტონომიის სტატუსი და რეფორმები მხოლოდ ლჰასასთან შეთანხმებით, იძულების გარეშე უნდა განხორციელებულიყო. ჩინური ინტერპრეტაციით, პეკინში ჩასულ ტიბეტურ ხუთკაციან დელეგაციას სრული უფლებამოსილება ჰქონდა ხელი მოეწერა ასეთი დოკუმენტისთვის და დელეგაციის წევრების მიმართ არანაირი ძალდატანება არ ყოფილა. ტიბეტური ინტერპრეტაციით კი, დელეგაციის წევრებს არ ჰქონდათ ასეთი შეთანხმების ხელმოწერის კომპეტენცია. ამასთანავე, თითქმის ორი თვის განმავლობაში, ისინი უმძიმესი წნეხის ქვეშ ჰყავდათ და მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ დოკუმენტის ხელმოწერას, როცა პირდაპირი ულტიმატუმი წაუყენეს: ან ხელს მოაწერდნენ ამ შეთანხმებას, ან დაუყოვნებლივ დაიწყებოდა ლჰასას და ცენტრალური ტიბეტის ოკუპაცია და შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ. ტიბეტური ინტერპრეტაციით, ამავე ფაქტორის გამო, დალაი ლამამ მაშინვე არ გააპროტესტა პეკინის ასეთი მეთოდები და მაშინვე არ გამოაცხადა შეთანხმება უკანონოდ. უფრო მეტიც, 17 აგვისტოს იგი დაბრუნდა ლჰასაში, იმ იმედით, რომ უფრო ხელსაყრელ შეთანხმებას მიაღწევდა პეკინთან, მაგრამ 9 სექტემბერს ლჰასაში ჩინეთის ჯარები შეიდნენ, რამდენიმე დღეში ისინი უკვე სრულად აკონტროლებდნენ ტიბეტის ყველა მნიშვნელოვან ქალაქს და, ასეთ ვითარებაში, დალაი ლამამ, ბუნებრივია, დაკარგა ყოველგვარი შანსი განეახლებინა მოლაპარაკება და რაიმე შეეცვალა ჩვიდმეტპუნქტიან შეთანხმებაში.

1954 — ჩინეთის მთავრობის მიწვევით, დალაი ლამა პეკინს ესტუმრა. სახალხო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების გამო, "ჩვიდმეტპუნქტიანი შეთანხმება" ფორმალურად გაუქმდა და შეიქმნა "ტიბეტის ავტონომიური რაიონის მოსამზადებელი კომიტეტი", რომელსაც ტიბეტის ცენტრალური ადმინისტრაციის ფუნქცია დაეკისრა. კომიტეტის თავმჯდომარედ დალაი ლამა დაინიშნა.

1957-1959 — ტიბეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა პარტიზანული ომი. მცირე შეტაკებები დაიწყო ჯერ კიდევ 1956 წელს, როცა დასრულდა ტიბეტის ორი აღმოსავლური პროვინციის: ქხამისა და ამდოს (ქამდოს) დანაწევრება და სხვადასხვა მეზობელ რეგიონთან მიერთება. ამით გამოწვეულ უკმაყოფილებას დაემატა კომუნისტური რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური გართულებები, რაც, საბოლოოდ, ფართომასშტაბიან აჯანყებაში გადაიზარდა.

1959 — აჯანყების ჩახშობის მიზნით, ჩინეთის ხელისუფლებამ ტიბეტის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. აქტიურ შეიარაღებულ შეტაკებებს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; ამასთანავე, 80 ათასამდე ტიბეტელი იძულებული გახდა მეზობელ სახელმწიფოებში გახიზნულიყო. 17 მარტს დალაი ლამამაც ინდოეთს შეაფარა თავი. 28 მარტს ჩინეთის პრემიერმა გამოაქვეყნა დადგენილება ტიბეტის მთავრობის დათხოვნის შესახებ. ინდოეთის მაშინდელი პრემიერის, ჯავაჰარლალ ნერუს შუამავლობის შემდეგ, დალაი ლამა და ტიბეტის დევნილი მთავრობა ჩრდილო ინდოეთის პატარა ქალაქ დჰარამსალაში დაფუძნდა.

ტიბეტის აჯანყებამ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და 21 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (1353 (XIV)), რომელშიც აღიარებულია ტიბეტელი ხალხის უფლებების დაცვის აუცილებლობა და იქვე ნახსენებია ტიბეტის ავტონომიური სტატუსიც. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩინეთი გაეროს ერთ-ერთი დამფუძნებელია 1945 წლის 24 ოქტომბრიდან და, სულ მცირე, ამ დროიდან ტიბეტი საერთაშორისო დონეზე ჩინეთის შემადგენლობაში დაფიქსირდა (სხვა საქმეა, რამდენად აკონტროლებდა პეკინი მაშინ ტიბეტს დე ფაქტო). ასე რომ, ტიბეტი 1950 წლამდე, ანუ ოკუპაციამდე სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ იქნებოდა, რადგან ის, დე იურე, ჩინეთის ნაწილი იყო (1945 წლის შემდეგ მაინც, დანამდვილებით).

1961 — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ახალი რეზოლუცია (1723 (XVI)), რომელიც პეკინის მიმართ უფრო მკვეთრი ტონით გამოირჩევა და ტიბეტთან დაკავშირებით პირველად აფიქსირებს თვითგამორკვევის უფლებას: "გენერალური ასამბლეა საზეიმოდ იმეორებს მოწოდებას იმ პრაქტიკის შეწყვეტისკენ, რომელიც ტიბეტელ ხალხს ართმევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, თვითგამორკვევის უფლებას"; ტიბეტური ინტერპრეტაციით, ეს იმას ნიშნავს, რომ გაერომ ტიბეტს სრული დამოუკიდებლობის "სანქცია" მიანიჭა, თუმცა თვითგამორკვევის უფლება ნამდვილად არ ნიშნავს მაინცდამაინც სეცესიას (კოლონიური კონტექსტის გარეშე, თვითგამორკვევის უფლება ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებისთვის ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნის უფლებას გულისხმობს).

1965 — ჩინეთმა ოფიციალურად დააფუძნა ტიბეტის ავტონომიური რაიონი და ავტონომიური მთავრობა, რომელსაც გადაეცა რაიონის

მართვის უფლებამოსილება. ამავე წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ახალი რეზოლუცია (2079 (XX)) ტიბეტის შესახებ და მასში, არსებითად, 1961 წელს ჩამოყალიბებული პოზიცია გაიმეორა.

1987 — 70-იანი წლების დასასრულიდან, მას შემდეგ, რაც ჩინეთში ეკონომიკური რეფორმების პერიოდი დაიწყო, თანდათან გააქტიურდა დიალოგი დალაი ლამასა და ჩინეთის ხელისუფლებას შორის. ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელება იყო დალაი ლამას მიერ აშშ-ის კონგრესში, ადამიანის უფლებათა კომისიაში, ხუთპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის წარდგენა. გეგმის ძირითადი პუნქტებით გათვალისწინებული იყო:

1) ტიბეტის გამოცხადება "სამშვიდობო ზონად";

2) ჩინეთის მიერ მოსახლეობის ჩასახლება-გადასახლების პოლიტიკის შეჩერება, რაც საფრთხეს უქმნის ტიბეტელების, როგორც ეთნოსის არსებობას;

3) ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა ტიბეტის ხალხთან მიმართებაში;

4) ბუნებრივი გარემოს აღდგენა და დაცვა, ჩინეთის მიერ უარის თქმა ბირთვული იარაღის წარმოების პროცესში ტიბეტის ჩართვაზე და მის გამოყენებაზე ბირთვული ნარჩენების ნაგავსაყრელად;

5) ღია მოლაპარაკების გამართვა ტიბეტის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით.[1]

ჩინეთის ხელისუფლებამ უარყო დალაი ლამას ხუთპუნქტიანი გეგმა და ის სექტემბერში ლჰასაში მომხდარ არეულობაში დააბრალა.

1988 — დალაი ლამამ სტრასბურგში ევროპარლამენტის წევრებს გააცნო ხუთპუნქტიანი გეგმის ახალი, უფრო გაერცობილი ვარიანტი, რომლის თანახმად, დალაი ლამა ტიბეტისთვის რეალურ ავტონომიას მოითხოვდა. „სტრასბურგის წინადადებებში" კონკრეტული პირობებია ჩამოყალიბებული:

1) ჩინეთის ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ჩინელების ჩასახლება ტიბეტში;

2) ჩინეთის ხელისუფლების კომპეტენციაში დარჩეს ტიბეტის საგარეო პოლიტიკა, თუმცა, ვაჭრობის, ტურიზმის, განათლების, მეცნიერების, სპორტის, კულტურისა და რელიგიის სფეროში ტიბეტს, თავისი საგარეო საქმეთა ბიუროების მეშვეობით, უნდა ჰქონდეს არაპოლიტიკური აქტიურობის, სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობათა განვითარების საშუალება;

3) ტიბეტის მთავრობა უნდა არსებობდეს კონსტიტუციის ან ძირითადი კანონის საფუძველზე და მას უნდა ჰქონდეს უფლება გადაწყვიტოს

1. http://www.dalailama.com/messages/tibet/five-point-peace-plan

ყველა საკითხი, რომელიც ეხება ტიბეტსა და ტიბეტელებს;

4) ტიბეტის მთავრობამ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს ადამიანის უფლებათა დაცვის, განსაკუთრებით, რელიგიის თავისუფლების საკითხებს, რადგან ტიბეტელების ეროვნული იდენტურობის საფუძველი სწორედ რელიგიაა;

5) ტიბეტის ხელისუფლება უნდა შედგებოდეს ხალხის მიერ არჩეული აღმასრულებელი, ორპალატიანი საკანონმდებლო და დამოუკიდებელი სასამართლო შტოებისაგან;

6) ტიბეტის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა უნდა მოეწყოს ტიბეტელი ხალხის ნების შესაბამისად. ტიბეტის მთავრობამ საგანგებო კანონმდებლობა უნდა შეიმუშაოს ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ველური ბუნების დასაცავად. უნდა აიკრძალოს ბირთვული იარაღის წარმოება, გამოცდა და შენახვა; ტიბეტის მთავრობის მიზანი უნდა იყოს ტიბეტის ჩამოყალიბება პლანეტის უდიდეს ბუნებრივ ნაკრძალად;

7) უნდა გაიმართოს რეგიონული სამშვიდობო კონფერენცია, რომელზეც გამოცხადდება, რომ დემილიტარიზაციის გზით ტიბეტი ხდება მშვიდობის ნაკრძალი. ასეთი კონფერენციის ორგანიზებამდე, ჩინეთს აქვს უფლება შეინარჩუნოს მხოლოდ თავდაცვითი, შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი ტიბეტის ტერიტორიაზე.[2]

პეკინმა უარყო დალაი ლამას ეს ინიციატივაც და განაცხადა, რომ "სტრასბურგის წინადადებები" არ შეიძლება იქცეს მოლაპარაკების საფუძვლად.

1989 — მარტში 13 ბუდისტი ბერის მიერ დაწყებული მშვიდობიანი მსვლელობა სამართალდამცველებთან დიდ შეტაკებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც დაიღუპა 11 და დაიჭრა ასზე მეტი ადამიანი. 1959 წლის შემდეგ პირველად, ჩინეთის მთავრობამ ლჰასაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა (90-იანი წლების დასაწყისში პეკინსა და დჰარამსალას შორის დიალოგი ისევ განახლდა, თუმცა, მოლაპარაკებებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია).

იმავე წლის დეკემბერში დალაი ლამას ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში.

1998 — ჩინეთის პრეზიდენტმა ძიან ძემინმა პეკინში, პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის მზადაა დიალოგისთვის, თუ დალაი ლამა საჯაროდ აღიარებს ტიბეტს ჩინეთის განუყოფელ ნაწილად.

2002 — აშშ-ის კონგრესმა მიიღო "აქტი ტიბეტის მიმართ პოლიტიკის შესახებ" (Tibetan Policy Act). აქვე უნდა ითქვას, რომ ამერიკის

2. http //www dalailama com/messages/tibet/strasbourg-proposal-1988

კონგრესს მსგავსი შინაარსის დოკუმენტი ტაივანთან დაკავშირებითაც აქვს მიღებული 1979 წელს. "ტიბეტის აქტის" თანახმად, ამერიკა მხარს უჭერს ტიბეტში ეკონომიკის, ჯანდაცვის, განათლებისა და გარემოს დაცვის სისტემის განვითარებას, ტიბეტელების ცხოვრების დონის ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს მათი ავტონომიურობის ხარისხის გაზრდას. ამერიკის ხელისუფლებამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს პეკინსა და დალაი ლამას შორის დიალოგის ორგანიზებისთვის.

აქტში დაფიქსირებულია, რომ კონგრესის აღმასრულებელ კომისიას ჩინეთის საკითხებთან დაკავშირებით დაევალა ზემოხსენებული დიალოგის მისაღწევად საქმიანობის გააქტიურება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ტიბეტში ადამიანის უფლებების, ტიბეტის გამორჩეული კულტურულ-რელიგიური, ისტორიული და ლინგვისტური იდენტურობის დასაცავად (კონგრესის ეს 24-კაციანი კომისია 2000 წელს შეიქმნა ჩინეთში ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემათა მონიტორინგის მიზნით). "ტიბეტის აქტი" თეთრი სახლის უმაღლეს პირებს ავალდებულებს, რათა მათ ჩინეთის ხელისუფლებისგან მოითხოვონ:

ა) პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსის გამო დაპატიმრებულთა დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლება;

ბ) ხელი არ შეუწყონ ტიბეტელთა მიგრაციას ტიბეტიდან და, პირიქით, არატიბეტელთა ჩასახლებას ტიბეტში;

გ) ხელი არ შეუწყონ ტიბეტელთა საკუთრებაში არსებული მიწის ან ბუნებრივი რესურსების არატიბეტელთა ხელში გადასვლას.[3]

იმავე აქტის მიხედვით, ტიბეტის საკითხებთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების სპეციალური კოორდინატორის (რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ეგიდით მუშაობს) უპირველესი მიზანი უნდა იყოს ჩინეთის ხელისუფლებისა და დალაი ლამას დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე, ადამიანის უფლებებისა და ტიბეტის განსაკუთრებული რელიგიურ-კულტურული, ლინგვისტური და ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება.

2003 — "ტიბეტის აქტის" შესაბამისად, პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესს წარუდგინა მოხსენება გაწეული სამუშაოს შესახებ, რომელშიც დაფიქსირებულია აშშ-ის ადმინისტრაციის არაერთი მიმართვა-მოწოდება პეკინისადმი დალაი ლამასთან დიალოგის დაწყების შესახებ. ჩინეთის ხელისუფლებამ ეს მოხსენება, ფაქტობრივად, საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქვა, რადგან მხოლოდ პეკინს შეუძლია იყოს ტიბეტის რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გარანტი.

2006 — დალაი ლამა XIV კანადის საპატიო მოქალაქე გახდა.

3 http://www.savetibet.org/policy-center/tibetan-policy-act

2007 — ბუშმა პირადად დაათვალიერა დალაი ლამა კონგრესის ოქროს მედლით. ინტერვიუში, რომელიც მსოფლიოს უამრავ არხზე ღია ეთერით გადაიცემოდა, დალაი ლამამ განაცხადა, რომ ის მოითხოვს არა ტიბეტის გამოყოფას ჩინეთისაგან, არამედ ტიბეტის ავტონომიურობის ხარისხის ამაღლებას.

2008 — მარტში გაიმართა საპროტესტო აქციები, რასაც მილიციასთან შეტაკებები და მსხვერპლი მოჰყვა.

სექტემბერი — ჩინეთის სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა "თეთრი წიგნი", რომლის სახელწოდებაა: "ტიბეტური კულტურის დაცვა და განვითარება" (white paper ანუ თეთრი წიგნი ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოიყენება მთავრობის მიერ თავისი პოზიციისა და პოლიტიკის ფართოდ განმარტებისთვის). ჩინურ "თეთრ წიგნში" ერცლად არის მიმოხილული ტიბეტის პრობლემის ისტორიული და საქართლებრივი ასპექტები და აღნიშნულია, რომ 1950 წლის შემდეგ ტიბეტურ კულტურას არათუ გაქრობის საფრთხე არ ემუქრება, არამედ სულ უფრო სწრაფად ვითარდება და დიდ წარმატებას აღწევს.[4]

11 ნოემბერი — დალაი ლამას წარმომადგენელმა ჩინეთის მთავრობას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც სრულად არის ჩამოყალიბებული მისი ბოლოდროინდელი პოზიცია. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ 2002 წელს დაწყებული მოლაპარაკებების შედეგი რაუნდი საშუალებას იძლევა დაკონკრეტდეს ახალი წინადადებები ანუ "შუალედური გზა". ეს უკანასკნელი გულისხმობს უარის თქმას ჩინეთისგან გამოყოფაზე, სრულ დამოუკიდებლობაზე და ამის ნაცვლად ტიბეტელი ხალხის მიზნების განხორციელებას ჭეშმარიტი ავტონომიის ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პრინციპების დაცვით. მემორანდუმის თანახმად, "ჭეშმარიტი ავტონომიის" ძირითადი მოთხოვნებია:

1) ტიბეტელთა კულტურის, ენის, რელიგიის თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც გულისხმობს განათლების, კულტურის სფეროს, ასევე გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სისტემების შესაბამისი მიმართულებით განვითარებას;

2) მიგრაციის პრობლემის მოგვარება, რათა პანების მასობრივ ჩასახლებას ტიბეტელთა სრული ასიმილაცია არ მოჰყვეს (მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ტიბეტელები არ აპირებენ უკვე ჩასახლებული ჩინელების გაძევებას, ისინი ჩასახლების პროცესის შეჩერებას მოითხოვენ);

3) ერთიანი ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეულის დაფუძნება მთლიანად ჩინეთის ტიბეტელი მოსახლეობისთვის, რაც საშუალებას მისცემს ტიბეტელებს აირჩიონ თავიანთი ეროვნული კონგრესი, ჩამოაყ-

4. http://www.china.org.cn/government/news/2009-03/02/content_17359029_2.htm

ალიბონ ავტონომიური მთავრობა, რომლის უფლებამოსილება გათვალისწინებულია ჩინეთის კონსტიტუციით (ისტორიული ტიბეტის ტერიტორიათა ნაწილი ამჟამად ტიბეტის ავტონომიური რაიონის მეზობელ პროვინციათა საზღვრებშია მოქცეული). ასეთი ხელისუფლების არჩევის შემთხვევაში, ტიბეტის დევნილი მთავრობა შეწყვეტს არსებობას, რადგან მისი ფუნქცია ამოწურული იქნება. მემორანდუმის დასასრულ დადასტურებულია დალაი ლამას პოზიცია იმის შესახებ, რომ ის არასდეს დაიკავებს რაიმე ოფიციალურ პოსტს ტიბეტის მთავრობაში.[5]

საქართველოსთან მიმართება

ჩინეთისა და ტიბეტის მასშტაბები, რაღა თქმა უნდა, აშკარად განსხვავდება საქართველოს (შესაბამისად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის) მასშტაბისგან, მაგრამ სეპარატიზმის კონტექსტში მათი პრობლემების შედარებით ანალიზს გარკვეული საფუძველი ნამდვილად გააჩნია.

ისტორიული თვალსაზრისით, ტიბეტის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ ალბათ მართლაც აქვს გარკვეული საფუძველი, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით აფხაზეთის და, მით უფრო, ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" შესახებ. ტიბეტის ისტორიიდან გამომდინარე, უდავოა სამი მომენტი:

ა) ტიბეტის ტერიტორიაზე აუტოქთონურ მოსახლეობას ყოველთვის მხოლოდ ტიბეტელები შეადგენდნენ. მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები ტიბეტში მხოლოდ 1950 წლის ოკუპაციის შემდეგ შეინიშნება, როცა პეკინის მითითებით ჩინელების მასობრივი ჩასახლება დაიწყო;

ბ) ტიბეტელებსა და ჩინელებს შორის არ არსებობდა მჭიდრო ურთიერთკავშირი. მაღალმთიანი ტიბეტი, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, დანარჩენი სამყაროსგან განცალკევებული იყო და შეიძლება ითქვას, ერთგვარ "გეოგრაფიულ იზოლაციაში" იმყოფებოდა. ჩინელებისგან (პანებისგან) ტიბეტელები არა მხოლოდ ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით, არამედ რელიგიითაც განსხვავდებიან. ბუდიზმი მათთვის კონფუციანელი ჩინელებისგან გამმიჯნავი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ისტორიულად, ტიბეტელებსა და ჩინელებს

5 http://www.freetibet.org/about/memorandum-genuine-autonomy-tibetan-people

არც მჭიდრო თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, შესაბამისად, მათ შორის ნაციონალური კავშირებიც აშკარად სუსტია;

გ) თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ტიბეტს ჰქონდა პერიოდები, როდესაც ის, დე ფაქტო, მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო.

ახლა კი, ამ ძირითადი სამი მომენტის გათვალისწინებით, შევადაროთ, ერთი მხრივ, ტიბეტის და, მეორე მხრივ, აფხაზეთისა და ყოფილი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ისტორიული წარსული.

ა) "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი" — ეს სტრუქტურა და თვით ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით). აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური პროვინციის შუაგულში (დედაქალაქიდან 30-40 კმ-ის დაშორებით) ხელოვნურად შექმნილი ოლქის ტერიტორიაზე ავტოქთონურ მოსახლეობას, ბუნებრივია, ქართველები შეადგენენ და არა ოსები. ისტორიული თვალსაზრისით, ოსები ჩრდილო კავკასიაში მდებარე "ჩრდილოეთი ოსეთის" ტერიტორიაზეც კი ვერ ჩაითვლებიან ავტოქთონურ მოსახლეობად, რადგან ისინი აქ მხოლოდ XIII საუკუნიდან დამკვიდრდნენ, მას შემდეგ, რაც მონღოლების თავდასხმების გამო იძულებული გახდნენ იმიერკავკასიის ველებიდან თანდათანობით სამხრეთით, კავკასიონის ხეობებში გადმოსახლებულიყვნენ.

სხვა ვითარებაა აფხაზეთთან დაკავშირებით, სადაც ავტოქთონურ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, როგორც ქართველები, ასევე აფხაზები. თუმცა ეს უკანასკნელნი ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ.[6]

ბ) ტიბეტელებისა და ჩინელებისგან განსხვავებით, ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გააკავშირებს. არსებობს ათეულათასობით შერეული ქართულ-ოსური ოჯახი; 1989 წ. აღწერის თანახმად, მთლიანად საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ანუ 36,4% ცხოვრობდა ცხინვალის რეგიონში. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზების შესახებ. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქორწინებათა 41% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო. აფხაზი და ოსი მოსახლეობის <u>უდიდეს ნაწილს</u> მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ტერიტორი-

6. ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. გვ. 122

ული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ენობრივი ან რელიგიურ-კულტურული ბარიერი. IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ანუ მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამდე) აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო, ასევე დამწერლობის ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები აფხაზეთის ისტორიულ ძეგლებზე.

გ) 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი კრემლის მაშინდელმა ბინადრებმა სწორედ იმიტომ შექმნეს, რომ როცა საჭირო გახდებოდა, მათ შემკიდრეებს ეს „შენელებული მოქმედების ნაღმი" დამოუკიდებელი საქართველოს შუაგულში აეფეთქებინათ, როგორც ეს მოხდა კიდეც 90-იანი წლების დასაწყისსა და 2008 წლის აგვისტოში. ე. წ. „სამხრეთი ოსეთი" სწორედ ამ მიზნით შეიქმნა და ამ წარმონაქმნის წარსულში დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სახელმწიფოებრიობის თუნდაც ელემენტების ძიება ფუჭი საქმეა.

იმ ტერიტორიას, რომელსაც დღევანდელი აფხაზეთი მოიცავს, მეტ-ნაკლებად მთლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით არასოდეს უარსებია, თუნდაც მხოლოდ დე ფაქტო (რომელიმე სახელმწიფოს მიერ მის აღიარებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია). ის ყოველთვის იყო, ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს, სამთავროს ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი.

უდავოა, რომ 1911-1950 წლებში ტიბეტი დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ეს იყო რეალური და არა ფორმალური დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის მსგავსი ხარისხი აფხაზეთს, და მით უფრო ე.წ. „სამხრეთ ოსეთს", არასოდეს ჰქონია. მათი 15-16-წლიანი „დამოუკიდებლობა" მხოლოდ ფიქციაა. ეს ტერიტორიები ოკუპირებული იყო და არის რუსეთის ჯარების მიერ (2008 წლის აგვისტოს შემდეგ ისინი აქ ყოველგვარი "შეიღობისმყოფელის კომუფლაჟის" გარეშე დგანან). უფრო მეტიც, საქართველოს ორივე ეს რეგიონი, ფაქტობრივად, ანექსირებულია. რუსეთის ჯარების მიერ აქ განხორციელებული მასშტაბური ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში კრემლმა ჩაატარა უკანონო პასპორტიზაცია და აფხაზებისა და ოსების 80%-ზე მეტი რუსეთის მოქალაქედ გამოაცხადა (ძირითადად ქართველების მიმართ ეთნოწმენდის ფაქტები არაერთხელ დაფიქსირდა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ეუთოს მიერ 1994, 1996 და 1999 წლების რეზოლუციებში და ხაზგასასმელია, რომ ამ რეზოლუციებს რუსეთიც დაეთანხმა, რადგან ეუთოში გადაწყვეტილებები

კონსენსუსის წესით მიიღება). აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" მოქმედებდა და მოქმედებს რუსული ფული, რუსული კანონმდებლობა. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" მარიონეტული რეჟიმების უმაღლესი თანამდებობის პირები კრემლიდან ინიშნებიან და რუსეთის სხვადასვა რანგის ჩინოვნიკები არიან. სრულიად აშკარაა, რომ არანაირი დამოუკიდებელი აფხაზეთი და ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს და მათი „დამოუკიდებლობის" აღიარება არის ეთნოწმენდის შედეგების დაკანონების მცდელობა.

ისტორიულთან ერთად, სამართლებრივი თვალსაზრისითაც, ტიბეტის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გამოთქმულ არგუმენტებთან შედარებით სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო, მარიონეტული რეჟიმების ანუ, რეალურად, კრემლის არგუმენტები აშკარად უსუსური და ყალბია.

1950 წლის ოკუპაციის შემდეგ ათეულ ათასობით ტიბეტელი დაიღუპა აჯანყებებსა და რეპრესიებში. მხოლოდ 50-იან წლებში, 80 ათასზე მეტი ტიბეტელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი. იმავე 50-იან წლებში კომუნისტურ "კულტურულ რევოლუციას" ასეულობით ბუდისტური ტაძარი შეეწირა (80-იანი წლების შემდეგ, ჩინეთის ხელისუფლებამ მათი ნაწილი აღადგინა). დალაი ლამას არაერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1950 წლის შემდეგ პეკინის მიერ განხორციელებული დემოგრაფიული პოლიტიკის გამო, ტიბეტში ტიბეტელებისა და ჩინელების პროცენტული თანაფარდობა სწრაფად იცვლება ჩინელთა სასარგებლოდ. ტიბეტის ტერიტორია გამოყენებულია ბირთვული ნარჩენების ნაგაესაყრელად, რაც საფრთხეს უქმნის მის ეკოსისტემას. ტიბეტში მუდმივად ფიქსირდება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, უპირველესად, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით. მართალია, 50-იან წლებთან შედარებით ვითარება გაუმჯობესებულია, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა, რასაც ადასტურებს 1989 წელს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ლჰასაში და 2008 წლის გაზაფხულის არეულობები; და ასეთ პრობლემათა მიუხედავად, XXI საუკუნეში დალაი ლამამ გადაწყვიტა, საბოლოოდ, საჯაროდ ეთქვა უარი ტიბეტის სრული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე და მისი მოთხოვნა ჩინეთის კონსტიტუციის ჩარჩოებში ტიბეტის ავტონომიური უფლებების გაფართოებითღა შემოიფარგლება.

დალაი ლამას ასეთი არჩევანი განპირობებულია მისი სურვილით, მშვიდობიანად, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოგვარ-

ღეს ტიბეტისა და ტიბეტელების პრობლემები. ესაა თვითგამორკვევის პრინციპის რეალური განხორციელება ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპთან არა "შეჯახების", არამედ მასთან შეთანხმების გზით, რასაც მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციათა დასკვნით (ეუთო, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფი, "ჰუმან რაითს ვოჩი"), ეთნიკური წმენდის მსხვერპლი უპირატესად ქართველები არიან. ამ რეგიონებში განადგურდა, ქართული სოფლები და ეკლესიები თუ სხვა ისტორიული ძეგლები, ათწლეულების მანძილზე იზღუდებოდა და 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, პრაქტიკულად, აიკრძალა ქართული ენის სწავლება სკოლებში. ამავე დროს, დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს. 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა (მუხლი 107). 1991 წლიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთში მოქმედებდა ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების უმრავლესობა დაეთმო ეთნიკურ უმცირესობას:

28 ადგილი – აფხაზებს (მოსახლეობის 17,8 %);

26 ადგილი — ქართველებს (მოსახლეობის 45,7%);

11 ადგილი — სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ასეთი თანაფარდობა ეროვნული უმცირესობის რაოდენობასა და მის წარმომადგენლობას შორის უპრეცედენტოა და ანალოგი არ მოეძებნება ევროპულ კონსტიტუციებში. ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინაც სახელმწიფო ენას წარმოადგენდა (ქართულ ენასთან ერთად). აფხაზეთში არსებობდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზური თეატრი, ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს ასეთი მაღალი დონის პრივილეგიები არ ჰქონდა (ავტონომიური ოლქის და არა რესპუბლიკის სტატუსიდან გამომდინარე), მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა.

ამ ტრადიციის გაგრძელება იყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 28 მარტს სოხუმის მარიონეტული რეჟიმისთვის ახალი სამშვიდობო გეგმის შეთავაზება, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ წინადადებებს, კერძოდ, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებს, აფხაზების გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას და საზღვაო პორტებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებას, სამართალდამცავი უწყებებისა და საბაჟო სამსახურის თანდათანობით გაერთიანებას და საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილი და ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) მოწონებული ახალი სამშვიდობო გეგმა 2005 წლის დეკემბრიდან არსებობდა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები კატეგორიულად უარყოფენ მოლაპარაკებას საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის განსაზღვრასთან, დეცენტრალიზაციის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ისინი ყველაფერზე უარს ამბობენ, „არ აინტერესებთ" საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო საზოგადოება, რადგან რუსეთი, თავისი ჯარებით, ეკონომიკითა და უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანით, ისევ მათ გვერდითაა და ხელშეუხებლობის, ერთობლივად ჩადენილ დანაშაულთაგან, მათ შორის ეთნოწმენდის — კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისგან დაცვის გარანტიას აძლევს.

ამ კონტექსტში უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ხელისუფლება ხშირად ადანაშაულებს (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) დასავლეთს დალაი ლამას წაქეზებაში, ტიბეტის ტერიტორიაზე არეულობათა პროვოცირებაში. აშშ-ის კონგრესის მიერ 2002 წელს "ტიბეტის აქტის" მიღება პეკინის მიერ შეფასდა, როგორც ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტიბეტში ნამდვილად ირღვეოდა და ირღვევა ადამიანის უფლებები, ტიბეტელები ითხოვენ, რომ მათ თვითმყოფადობას, კულტურას, რელიგიას, ენას, ბუნებრივ გარემოს საფრთხე ემუქრება და მოითხოვენ რეალურ ავტონომიას, გარკვეულ

სფეროებში აუტონომიურობის ხარისხის გაზრდას. დასავლეთი, და უპირველესად აშშ, მათ მხარს უჭერს, რადგან ტიბეტელთა შეშფოთებას, გარკვეულწილად მაინც, რეალური საფუძველი აქვს.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ დასავლეთის რჩევასა და ძალისხმევას უკავშირდება დალაი ლამას მიერ "შუალედური გზის" არჩევა და ტიბეტის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, დასავლეთის, აშშ-ის მონაწილეობა ტიბეტის პრობლემის მოგვარებაში კონსტრუქციული, დადებითი ფაქტორია. რუსეთი კი სრულიად საპირისპირო როლს თამაშობს კავკასიაში. დასავლეთი მხარს უჭერს ტიბეტის არა გამოყოფას ჩინეთისგან, არამედ ამ რეგიონის უნიკალური ხალხის, კულტურის, ეკოსისტემის შენარჩუნებას, ტიბეტის ჩამოყალიბებას მშვიდობიან ნაკრძალად. კრემლი კი აფხაზებსა და ოსებს, მათ კულტურას კი არ უფრთხილდება, პირიქით, მათ სრულ რუსიფიკაციას და საქართველოს ამ ორი რეგიონის დიდ სამხედრო ბაზებად გადაქცევას ცდილობს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ამჟამად, მაქსიმუმ 50-60 ათასი აფხაზი და 20 ათასი ოსი ცხოვრობს. ამ 100 ათასი ადამიანის ასიმილაცია 140 მილიონიან რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ აფხაზების მონათესავე უბიხებისა და ჩერქეზების ხვედრს XIX საუკუნეში ან ჩეჩნების ფაქტობრივ გენოციდს XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. უბიხები დღეს აღარ არსებობენ, ჩერქეზები კი მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით შემორჩნენ ეთნიკურად გარუსებულ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. უნდა ითქვას, რომ სოჭი (და მთლიანად მიმდებარე რეგიონი), სადაც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაა დანიშნული, ისტორიულად, სწორედ უბიხებისა და ჩერქეზების სამკვიდრო მიწა იყო, მაგრამ დღეს იქ მათგან, პრაქტიკულად, აღარავინ შემორჩა. ასეთი პერსპექტივის ნაცვლად, 4,5 მილიონიანი საქართველო აფხაზებსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს სთავაზობს საერთაშორისო სახოგადოების მიერ მოწონებულ, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის ავტონომიურ თვითმმართველობას, რომელშიც მათი უფლებების დაცვის გარანტორი ევროსტრუქტურები იქნებიან (ამ სტრუქტურებს, ბუნებრივია, საქართველოზე ზემოქმედება უფრო იოლად შეუძლიათ, ვიდრე რუსეთზე). მაგრამ, ვიდრე ეს რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ, არც აფხაზებს და არც ოსებს, არ ეძლევათ საშუალება მიიღონ შეტ-ნაკლებად ობიექტური ინფორმაცია და გააკეთონ თავისუფალი არჩევანი.

ფართობი – 35 980 კმ² (შედ. მაგ., ჰოლანდიის ფართობი 41 526 კმ²-ია); ჩინეთის რესპუბლიკა, ტაივანის გარდა, კიდევ 80 კუნძულს მოიცავს (ტაივანი ჩინეთის ყველაზე დიდი კუნძულია);

მოსახლეობა – 23 მლნ. (სიმჭიდროვე – 700 ად. /კმ²-ზე); 98% - ჩინელი („ხანი"/„ჰანი"), 2% - „გაოშანი" (აბორიგენები, კუნძულის უძველესი მოსახლეობა, ლაპარაკობს ავსტრონეზიური ოჯახის ენაზე, რომელსაც ოფიციალური სტატუსი არა აქვს და ქრება);

ოფიციალური ენა – ჩინური;

დედაქალაქი – ტაიბეი;

1911 წ. 10 ოქტომბერი – ჩინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე (იმპერატორის ოჯახის წევრები აიძულეს უარი ეთქვათ ტახტზე და ჩინეთი გამოცხადდა კონსტიტუციურ რესპუბლიკად);

X ს. — პირველი ჩინური დასახლებები კუნძულზე;

XVI ს. – კუნძულზე მოვიდნენ პორტუგალიელები;

XVII ს. – ბრძოლა კუნძულისთვის (ხან ჰოლანდიელები იმარჯვებდნენ, ხან ესპანელები;)

1660-იან წლებში ორმა ჩინურმა დინასტიამ განდევნა ჰოლანდიელები და მერე ერთმანეთს დაერივნენ; 1680-იან წლებში მანჩუს დინასტიამ დაამარცხა მინი და კუნძული ჩინეთის რიგით პროვინციად აქცია (ფუძიანი), რის შემდეგაც კუნძულს ჩინური მოსახლეობის დიდი ნაკადი მიაწყდა.

1895-1945 წწ. – კუნძული დაპყრობილი ჰქონდა იაპონიას (1905 წელს კუნძულის ჩინელი მოსახლეობა – 3 მლნ.);

1943 – 1 დეკემბერს გამოქვეყნდა კაიროს დეკლარაცია (არსებითად, ეს იყო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ლიდერთა შეთანხმება), რომლის პირობები მოგვიანებით დაადასტურა პოტსდამის კონფერენციამ და კუნძული ტაივანი ჩინეთის რესპუბლიკას დაუბრუნდა. იმ დროისთვის ჩინეთში არსებობდა ორი ძლიერი პარტია, (თაყვანთი შეიარაღებული ძალებით): "გომინდანი" (ანუ ნაციონალური პარტია) – ხელისუფლებაში მყოფი, აშშ-ზე ორიენტირებული "ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული" პარტია და ჩინეთის კომპარტია; "10 ოქტომბრის შეთანხმების" (1945 წ.) თანახმად, მათ მშვიდობიანი, ერთიანი ძალისხმევით უნდა აეყვაეებინათ ჩინეთი.

1947 – ჩინეთის რესპუბლიკამ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ორი წლის შემდეგ მხოლოდ ტაივანის კონსტიტუციად იქცა და რომლის სამი ძირითადი

პრინციპია: ნაციონალიზმი, დემოკრატია და სახალხო კეთილდღეობა.

1947 – ტაივანზე მოხდა აჯანყება ომისშემდგომი პერიოდის პირველი გუბერნატორის (გენერალ ჩენ ის) წინააღმდეგ. ჩან კაიშის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1948 — 1949 წწ. დეკემბერ-იანვარი – სამწლიან სამოქალაქო ომში კომპარტიამ გაიმარჯვა და გენერალისიმუს ჩან კაიშის მთავრობა ტაივანზე გაიქცა; მას მიჰყვა 1,6 მილიონზე მეტი ჩინელი.

ამრიგად, მატერიკზე გაჩნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ) (რომელსაც კომპარტია წარმოადგენდა), ხოლო ჩინეთის რესპუბლიკამ (ჩს) (რომელსაც ჩან კაიშის მთავრობა წარმოადგენდა და რომელიც იყო გაეროს ერთ-ერთი დამფუძნებელი) არსებობა განაგრძო მხოლოდ ტაივანზე და მის მიმდებარე კუნძულებზე.

1950 – დაიწყო კორეის ომი. აშშ-ის მე-7 ფლოტმა კუნძულის ოკუპაცია განახორციელა (ჩან კაიშის ხელისუფლების დაცვის მიზნით).

1954 – ჩინეთის რესპუბლიკასა (ანუ ტაივანსა) და აშშ-ს შორის დაიდო "ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულება"; ფაქტობრივად, სწორედ აშშ-ის ოკუპაციისა და ამ ხელშეკრულების ხარჯზე მოახერხა კუნძულმა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა პეკინისგან.

1971 – გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ხმათა მცირე უპირატესობით, მიიღო გადაწყვეტილება ჩინეთის სახელმწიფოს წარმომადგენლად ეცნო "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის" (ანუ პეკინის) ხელისუფლება, შესაბამისად, "ჩინეთის რესპუბლიკის" (ანუ ტაივანის მთავრობის) დელეგაციას ჩამოერთვა ყველა უფლება გაეროში (რეზ. № 2758). მას შემდეგ ჩინეთის რესპუბლიკა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისთვის არსებობს მხოლოდ დე ფაქტო, თუმცა 20-მდე სახელმწიფო (ძირითადად, აფრიკა-აზიის პატარა ქვეყნები) დე იურეც ცნობს მას.

1972 – პრეზიდენტი ნიქსონი ჩინეთს ეწვია და ჩოუ ენლაისთან ერთად ხელი მოაწერა შანხაის კომუნიკეს (პირველი კომუნიკე), რითაც, ფაქტობრივად, ცნო ჩსრ-ისა და მისი ხელისუფლების კანონიერება ("ამერიკის მთავრობა არ ეწინააღმდეგება პოზიციას, რომლის თანახმად არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი და რომ ტაივანი არის ჩინეთის ნაწილი").

1975 – გარდაიცვალა ჩან კაიში, რომელმაც, აშშ-ის მხარდაჭერით, საფუძველი ჩაუყარა ტაივანის სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას (ჩან კაიშის ადგილი დაიკავა მისმა ვაჟმა – ძიან ცინგომ). ამჟამად ტაივანი მე-18 ადგილზეა ეკონომიკური მაჩვენებლებით და მე-12 ადგილზე — ვაჭრობის განვითარების მხრივ, ხოლო ელექტროსაქონლის წარმოე-

ბის სფეროში მხოლოდ აშშ-ს და იაპონიას ჩამორჩება.

1979 – 1 იანვარს აშშ-მ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ტაივანთან, გააუქმა "ერთიანი თავდაცვის ხელშეკრულება" და გაიყვანა თავისი ჯარები კუნძულიდან. ამასთანავე, ვაშინგტონმა ოფიციალურად ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ ხელმოწერილ ერთობლივ კომუნიკეში (მეორე კომუნიკე) აღნიშნულია: "აშშ ცნობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის ჩინეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება... და ტაივანი — ჩინეთის განუყოფელი ნაწილი". თუმცა, იმავე 1979 წლის 10 აპრილს ამერიკის კონგრესმა შიდასაკანონმდებლო დოკუმენტის სახით მიიღო "აქტი ტაივანთან ურთიერთობის შესახებ" (Taiwan Relations Act), რომელშიც აღნიშნულია, რომ აშშ დაუშვებლად მიიჩნევს ტაივანის საკითხის მოგვარებას ნებისმიერი ძალისმიერი მეთოდით, ეკონომიკური ბოიკოტისა და ემბარგოს ჩათვლით, რაც საფრთხეს შეუქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში. იქვე დაფიქსირებულია, რომ აშშ, ტაივანის უსაფრთხოების მიზნით, მიაწვდის მას თავდაცვითი ტიპის შეიარაღებას. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე აშშ დღემდე აგრძელებს იარაღის მიწოდებას ტაივანისთვის და კუნძულის ახლოს კრეისერების განლაგებასაც არ ერიდება, როცა ჩსრ, მუქარის მიზნით, სამხედრო მანევრებს ატარებს ტაივანის სანაპიროსთან (მაგალითად, როგორც ეს იყო "ტაივანის კრიზისის" დროს 1995-1996 წწ.). აშშ ინარჩუნებს უფლებას დაეხმაროს ტაივანს სამხედრო ძალით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პეკინი ღია აგრესიას განახორციელებს კუნძულის მიმართ და ეს აგრესია არ იქნება პროვოცირებული ტაივანის მიერ;

1 იანვარსვე (1979) ჩსრ-ის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმოქმედმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ტაივანელი თანამემამულეებისადმი. აქ ჩამოყალიბებული იყო "მშვიდობიანი გამთლიანების" პოლიტიკის (რომელიც ეფუძნება დოქტრინას: "ერთი ქვეყანა, ორი სისტემა") ძირითადი პრინციპები:

1. მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი. ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია. ცენტრალური ხელისუფლების ადგილსამყოფელი არის პეკინში;

2. ორი სისტემა თანაარსებობს ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში; სოციალისტური სისტემა მატერიკზე და კაპიტალისტური — ტაივანზე კვლავაც იარსებებს და განვითარდება პარალელურად;

3. ავტონომიურობის მაღალი ხარისხი. ქვეყნის გამთლიანების შემდეგ ტაივანს ექნება მაღალი ავტონომიური ხარისხი, როგორც განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ რეგიონს;

4. მშვიდობიანი მოლაპარაკება. ქვეყანა უნდა გამთლიანდეს მშვიდობიანი ურთიერთქმედებით, კონტაქტებისა და მოლაპარაკების მეშვეობით;

ასეთი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ კონფრონტაციული დამოკიდებულება პეკინსა და ტაიბეის შორის თანდათან შეიცვალა, გაჩნდა პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობის პრეცედენტები მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში.

1982 — ხელი მოეწერა აშშ-ჩინეთის მესამე კომუნიკეს ("17 აგვისტოს კომუნიკე"), რომელშიც განმარტებულია, რომ აშშ არ ისახავს მიზნად გაზარდოს ტაივანისთვის მიწოდებული შეიარაღების რაოდენობა, პირიქით, ვაშინგტონი მზადაა თანდათან შეამციროს მისი მოცულობა (თუმცა, ჩსრ-ის მედიის ინფორმაციით, მაგალითად, 1992 წლის სექტემბერში ამერიკამ 150 აეიაგამანადგურებელი (F-16) მიჰყიდა ტაივანს, 2008 წლის შემოდგომაზე ბუშის ადმინისტრაცია გეგმაედა 7 მლრდ დოლარის შეიარაღების მიყიდვას ტაივანისთვის და ეს საკითხი 2009 წლის 21 თებერვალს ჰ. კლინტონის ჩინეთში ვიზიტისას იქნა განხილული).

1986 – ოპოზიციურ პარტიას (დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას — დპპ) ოფიციალურად მიეცა საქმიანობის უფლება და კუნძულის მცხოვრებლებს ნება დართეს მოენახულებინათ მატერიკზე დარჩენილი ნათესავები. საერთოდ, დპპ-ს უფრო მკვეთრი პოზიცია აქვს პეკინის მიმართ და ტაივანის დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილებას უფრო მეტად ამჟღავნებს, ვიდრე "გომინდანი".

1987 – გაუქმდა სამხედრო მდგომარეობა, რომელიც 1949 წლიდან მოქმედებდა.

1991 — შეიქმნა არაოფიციალურ დონეზე მოქმედი ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია: "ტაივანის სრუტის მეშვეობით ურთიერთობათა განვითარების ასოციაცია" (მატერიკზე) და "ტაივანის სრუტის მეშვეობით ურთიერთგაცვლის ფონდი" (კუნძულზე). ამ ორგანიზაციათა მეშვეობით პეკინი და ტაიბეი ახორციელებენ სამუშაო კონტაქტებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

1992 — პონკონგში გაიმართა მოლაპარაკება ზემოხსენებულ ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის. მთავარი სადავო პრინციპის — "ერთი (ერთიანი) ჩინეთის" ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა შეთანხმება ("ერთი ჩინეთი — განსხვავებული მიდგომები"),

რომელსაც მოგვიანებით "1992 წლის კონსენსუსი" უწოდეს. ტაივანის ლიდერები ოფიციალურად აღიარებენ "ერთი ჩინეთის" პრინციპს, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ ამჟამად ესაა ორად "გაყოფილი ქვეყანა, რომელიც ორი სხვადასხვა მთავრობით იმართება".

1995 — ჩსრ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენმდივანმა ძიან ძემინმა წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა: "მისწრაფება ჩინეთის გამთლიანებისკენ", რომელშიც მატერიკისა და კუნძულის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად წარმოდგენილია 8 ძირითადი თეზისი:

1. მშვიდობიანი გამთლიანების უმთავრესი წინაპირობა არის განუხრელი დაცვა პრინციპისა — ერთი (ერთიანი) ჩინეთი. ჩინეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა არასოდეს არ უნდა დაირღვეს;

2. ტაივანთან არასამთავრობო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის მხარდაჭერა ერთიანი ჩინეთის პრინციპის დაცვით;

3. კონსულტაციები ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ ჯგუფის წარმომადგენლებთან გამთლიანების პროგრამის შესამუშავებლად;

4. გამთლიანების პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის დაუშვებლობა; აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში სუვერენიტეტის უზრუნველყოფა ნებისმიერი საშუალებით, ძალის გამოყენების ჩათვლით;

5. ტაივანის ეკონომიკური სისტემის უცვლელად შენარჩუნება;

6. ეროვნულ ტრადიციათა დაცვა. ჩინელი ხალხის ღრმად კულტურა გარკვეულ მოვალეობას აკისრებს ყველა ჩინელს და სწორედ ის უნდა იყოს მოლაპარაკების საფუძველი;

7. 21 მილიონი ტაივანელი — ჩინელია. ჩინეთი არის ტაივანელთა ცხოვრების წესის შენარჩუნების გარანტორი. ამ წესის დაცვა ევალება არა მარტო სახელმწიფო ორგანოებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებსაც, კომპარტიის ჩათვლით; ჩინეთის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება ტაივანელთა პოზიცია;

8. ღიაობა ოფიციალური თანამშრომლობისთვის. გაბედულება და გულწრფელობა გარდაქმნების პროცესში.

1997 — ტაივანის სრუტე პირველად გადაკვეთეს (1949 წლის შემდეგ) ჩინეთისა და ტაივანის ხომალდებმა (საკაჭრო ტვირთი გადაიტანეს მატერიკის პორტიდან კუნძულზე და პირიქით). სრუტის გავლით ტვირთის ტრანსპორტირების უფლება გადაეცათ 6 ტაივანურ და 5 ჩინურ კომპანიას. ორი წლის შემდეგ ტვირთბრუნვა უკვე 22,7 მლრდ დოლარი იყო, ტაივანელმა ბიზნესმენებმა 35 000 საბრუნველო საწარმო

გახსნეს მატერიკზე. 1997-1999 წწ. მთლიანად ტაივანურმა ინვესტიციამ ჩინურ ეკონომიკაში 30 მილიარდს მიაღწია.

იმავე წელს ტაივანის პრეზიდენტმა ლი დენჰუიმ ("გომინდანის" პარტიიდან), რომელიც ხან პეკინთან დაახლოებისკენ დგამდა ნაბიჯებს, ხან — პირიქით, პირველად გამოიყენა თეზისი: "ერთი გაყოფილი ჩინეთი" და პარალელი გააკეთა ღღემდე ორად გაყოფილ კორეასთან, ასევე წარსულში გაყოფილ გერმანიასა და ვიეტნამთან. საპასუხო რევერანსის სახით, ჩსრ-ის ლიდერმა ძიან ძემინმა, გაერთიანების შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შესთავაზა ტაივანის პრეზიდენტს. იმავე წელს ლი დენჰუიმ განმარტა, რომ "გაერთიანება შეუძლებელია, სანამ მატერიკზე არ შეიქმნება მრავალპარტიული სისტემა და ჩსრ არ ჩამოყალიბდება თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ".

2000 — ტაივანის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა (დემოკრატიული პროგრესული პარტიიდან) თავის საინაუგურაციო სიტყვაში ჩამოაყალიბა ე.წ. "ხუთი არას" დოქტრინა, რომლის თანახმად, თუ პეკინი არ გამოიყენებს სამხედრო ძალას ტაივანის წინააღმდეგ, ტაიბეი პირობას დებს:

1. არ გამოაცხადოს ტაივანის დამოუკიდებლობა;
2. არ შეცვალოს ქვეყნის სახელწოდება;
3. არ ჩაწეროს ჩინეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ექს-პრეზიდენტი დენჰუეის მიერ გამოთქმული პრინციპი: „განსაკუთრებული ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის" (იგულისხმება ჩინეთი და ტაივანი);
4. არ ჩაატარის რეფერენდუმი სტატუს კვოს შეცვლის მიზნით, დამოუკიდებლობის ან გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით;
5. არ შეცვალოს "ეროვნული გამთლიანებისკენ მიმართული კურსი" და არ გააუქმოს ეროვნული გამთლიანების საბჭო.

2005 — ჩსრ-ის პარლამენტმა მიიღო „კანონი სეპარატიზმის წინააღმდეგ", რომლითაც შეიქმნა კონკრეტული სამართლებრივი ბაზა ტაივანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისთვის.

2007 — გაეროს სამდივნომ არ მიიღო ტაივანის (ჩინეთის რესპუბლიკის) თხოვნა ამ ორგანიზაციაში წევრობის აღდგენის შესახებ. სამდივნოს უარი დაეფუძნა გენასამბლეის 1971 წლის რეზოლუციას, რომლის თანახმად, ჩინეთის ერთადერთი წარმომადგენელი გაეროში არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

2008 — იანვარში გამართულ ტაივანის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა პარტია "გომინდანმა" და 113 ადგილიდან 81 ადგილი (72%) დაიკავა (მანამდე ტაივანის პარლამენტში 225 დეპუტატს ირჩევდნენ).

22 მარტი — ტაივანზე გაიმართა რეფერენდუმი და საპრეზიდენტო არჩევნები. რეფერენდუმის შედეგად გაირკვა, რომ მხოლოდ 5,5 მილიონი ამომრჩეველი არის თანახმა კუნძული გახდეს გაეროს წევრი სახელწოდებით — "ტაივანი" (და არა "ჩინეთის რესპუბლიკა"). დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 8,5 მილიონი ხმა. ძრავალმა სახელმწიფომ (მათ შორის აშშ-მა) არ მოიწონა პროგრესული დემოკრატების ხელისუფლების მიერ ასეთი რეფერენდუმის ჩატარება, როგორც პეკინთან ურთიერთობაში დაძაბულობის გამომწვევი.

ტაივანის საპრეზიდენტო არჩევნებში კი გაიმარჯვა "გომინდანის" წარმომადგენელმა მა ინძიუმ. ამ ფაქტს მიესალმა პრეზიდენტი ბუში, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ განვაგრძობთ მჭიდრო არაოფიციალურ კავშირს ტაივანის ხალხთან კუნძულზე მოქმედი ამერიკული ინსტიტუტის მეშვეობით, ტაივანთან ურთიერთობის კანონის, ერთი ჩინეთის ცნობის პოლიტიკისა და ჩსრ-თან ხელმოწერილი სამი ერთობლივი კომუნიკეს შესაბამისად".

პრეზიდენტ მა ინძიუს დამთავრებული აქვს ჰარვარდი, რამდენიმე წლის წინ ორჯერ იყო არჩეული ტაიბეის მერად. მისი საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი სლოგანი იყო ურთიერთობათა დათბობა პეკინთან (რითაც ის მკვეთრად უპირისპირდებოდა ყოფილი პრეზიდენტის ჩენ შუიბიანის კურსს). მისი კონკურენტი, პროგრესული დემოკრატების პარტიიდან (იმავე ჩენ შუიბიანის პარტიიდან) აგრეთვე მიესალმებოდა პეკინთან დაახლოებას, ოღონდ შედარებით ნაკლები ენთუზიაზმით. ტაივანის ახალი პრეზიდენტის განცხადებით, მისი პარტიის "საბოლოო მიზანია ეროვნული გაერთიანება, მაგრამ პარტიას არ აქვს ამ პროცესის დროითი ჩარჩოები" და დიალოგი უნდა გაგრძელდეს "1992 წლის კონსენსუსის" საფუძველზე.

რუსეთის ფედერალური საბჭოს დსთ-თან ურთიერთობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვადიმ გუსტოვი 2008 წლის 13 მარტს ფედ. საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობს, რომ თუ რუსეთი ცნობს აფხაზეთის, ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ან დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას, ამით დაარღვევს ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებას, რომელიც აღიარებს ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების უცვლელობას. ამ კონტექსტში იგი აღნიშნავს, რომ რუსეთს შეუძლია ზემოხსენებული რეგიონების მიმართ გამოიყენოს აშშ-ის გამოცდილება ტაივანთან დაკავშირებით.

რა პარალელები შეიძლება მოიძებნოს "ტაივანის პრობლემასა" და საქართველოს კონფლიქტებს შორის?

მსგავსება — ვერც თბილისი და ვერც პეკინი სრულად ვერ აკონტროლებენ იმ ტერიტორიას, რომელიც დე იურე მათ ეკუთვნით (არსებითად, მსგავსება, ერთი მხრივ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, და მეორე მხრივ, ტაივანს შორის ამით ამოიწურება).

განსხვავებები:

1. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოხდა ეთნოწმენდა — დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ.

ტაივანში ასეთი არაფერი მომხდარა (მართალია, 1947 წელს კუნძულზე აჯანყების ჩახშობას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, მაგრამ ასეულობით ათასი ადამიანის მიმართ განხორციელებული ეთნოწმენდა სხვა კატეგორიის დანაშაულია).

2. ჩან კაიშის მთავრობა იყო ლეგიტიმური ხელისუფლება, ლეგიტიმური მემკვიდრე მანამდე არსებული ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფლების. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ჩან კაიშის მთავრობა წარმოადგენდა ჩინეთს გაეროში 26 წლის მანძილზე, ამ ორგანიზაციის დაფუძნებიდან ვიდრე 1971 წლამდე.

არძინბა-ბაღაფშის ან კოკოითის "მთავრობების" რაიმე ლეგიტიმურობაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან, ფაქტობრივად, ისინი არიან კრემლის მიერ დაგეგმილი ეთნოწმენდების შემსრულებლები;

3. როცა 1950 წელს აშშ-მა თავისი ჯარები განალაგა ტაივანზე ჩან კაიშის მთავრობის თანხმობით, ამავე მთავრობის დასაცავად, ვაშინგტონი ემყარებოდა სწორედ იმ ფაქტს, რომ ეს იყო ჩინეთის ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება იმ მომენტში. 1954 წელს "ერთიანი თავდაცვის ხელშეკრულებაც" აშშ-მა დადო ჩინეთის რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან.

2007 წლის 13 ივლისს პუტინის გადაწყვეტილებით კრემლი გამოვიდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმებიდან, 2008 წელს ცნო ე.წ. "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ახლა აცხადებს, რომ ბაღაფშისა და კოკოითის "მთავრობებთან" გაფორმებული "ხელშეკრულებების" საფუძველზე განალაგა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა საქართველოს ამ რეგიონებში.

თუ ამ კონტექსტში ერთმანეთს შევადარებთ ვაშინგტონისა და კრემ-

ლის პოლიტიკას, მკაფიოდ დაეინახათ განსხვავებას, — როცა აშშ ეხმარებოდა ჩან კაიშის მთავრობას, ვაშინგტონი სრულად იცავდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, რუსეთი კი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისკენ მიმართული ქმედებებით, აშკარად არღვევს საერთაშორისო ნორმებს.

4. 1949 წელს არალეგიტიმური, ძალადობრივი გზით ჩინეთის ხელისუფლებაში მოსული კომუნისტური რეჟიმის ლეგიტიმაციასა და საერთაშორისო თანამეგობრობაში მის თანდათანობით ინტეგრაციას გარკვეული დრო დასჭირდა (თანაც გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო "ცივი ომის", მკვეთრი იდეოლოგიური დაპირისპირების ეპოქა). 1971 წელს გაერომ ჩინეთის წარმომადგენლად აღიარა პეკინის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის) მთავრობა და ჩაბოართვა ეს უკანასკნელი "ტაივანის მთავრობას". ამის შემდეგ, ჯერ 1972 წელს, ნახევრად ოფიციალურად, ხოლო 1979 წელს ოფიციალურად, ვაშინგტონმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა პეკინთან და გააუქმა — ტაივანთან. ამავე დროს, გააუქმა "ერთიანი თავდაცვის შეთანხმება" ტაივანის მთავრობასთან და გაიყვანა თავისი ჯარები კუნძულიდან იმ დეკლარაციის ფონზე, რომლის თანახმად: "აშშ ცნობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის ჩინეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება... და ტაივანი — ჩინეთის განუყოფელი ნაწილი". დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისა და ტაივანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 1979 წელს ამერიკის კონგრესმა, შიდასაკანონმდებლო დოკუმენტის სახით, მიიღო "აქტი ტაივანთან ურთიერთობის შესახებ", რომელშიც აღნიშნულია, რომ აშშ დაუშვებლად მიიჩნევს ტაივანის საკითხის მოგვარებას ნებისმიერი ძალისმიერი მეთოდით, ეკონომიკური ბოიკოტისა და ემბარგოს ჩათვლით. იქვე დაფიქსირებულია, რომ აშშ ტაივანს მიაწვდის თავდაცვითი ტიპის შეიარაღებას. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე აშშ დღემდე აგრძელებს იარაღის მიწოდებას ტაივანისთვის.

ამ შემთხვევაშიც (ისევე როგორც მანამდე) აშშ-ის ქმედებები არ გასცილებია საერთაშორისო სამართლის ფარგლებს, რასაც, ცხადია, ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომლის საჰხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და რომლის საოკუპაციო ჯარების ყოფნა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ფეხქვეშ გათელვა.

5. არსებობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი: 90-იანი წლებიდან ტაივანის სრუტის ორივე მხარეს არსებული ჩინურ-ტაივანური

ფირმების რაოდენობამ ათასს გადააჭარბა და, ფაქტობრივად, უკვე შექმნილია ლეგალური ერთიანი ეკონომიკური სივრცე. ვითარდება რეალური, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, რომელსაც შეუძლია თანდათანობით ბოლო მოუღოს ყველა პრობლემას პეკინსა და ტაიბეის შორის.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კი არსებობს მხოლოდ არალეგალური ბიზნესი (ფულის გათეთრება, იარაღის, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ა.შ.), რომელიც, საერთაშორისო ნორმების დარღვევით, მთლიანად რუსეთის ხარჯზე და თბილისის გვერდის ავლით ვითარდება. საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა საერთაშორისო საშვიდობო ძალების განლაგება, რაც უზრუნველყოფს დევნილთა დაბრუნებასა და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოებას.

ჰონგ კონგი (ჩინეთი)

ფართობი — 1, 104 კმ²; ესაა „სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის" (special administrative region) ფართობი. აღნიშნული რეგიონი მოიცავს, როგორც უშუალოდ კუნძულ ჰონგ კონგს, ასევე ნახევარკუნძულ კოულუნსა და 200-ზე მეტ კუნძულს.

მოსახლეობა — 6,95 მლნ (2006), აქედან 98% ჩინელი და 300 ათასი უცხოელი;

ოფიციალური ენები: ჩინური და ინგლისური;

ჰონგ კონგი არის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უდიდესი საფინანსო-კომერციული ცენტრი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ ნიუ-იორკსა და ლონდონს ჩამოუვარდება.

ჰონგ კონგი მსოფლიოს უდიდესი საკონტეინერო პორტია და ტვირთბრუნვამ 400 მლრდ დოლარს მიაღწია (აშშ-თან საგაჭრო ურთიერთობის მოცულობა — 38 მლრდ $, ევროკავშირთან — 27 მლრდ $, ხოლო პირდაპირი იაპონური ინვესტიცია აქაურ ეკონომიკაში 12 მლრდ დოლარია). აქაური ახალი აეროპორტი უდიდესია აზიაში.

მთლიანი შიდა პროდუქტით, ერთ სულ მოსახლეზე (38 127$) ჰონგ კონგი 2006 წელს მე-6 ადგილზე იყო მსოფლიოში (დანიასა და შვეიცარიაზე წინ).

1839 – ჩინეთის იმპერატორმა აკრძალა ოპიუმის შეტანა ქვეყნის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა ბრიტანეთ-ჩინეთის პირველი „ოპიუმის ომი" (ბრიტანეთს შეჰქონდა ოპიუმი და ცდილობდა ამ გზით გაემოესწორებინა უარყოფითი საგაჭრო ბალანსი ჩინეთთან).

1841 — პირველი „ოპიუმის ომის" დროს ბრიტანელებმა პირველად დაიკავეს კუნძული ჰონგ კონგი.

1842 – ნანკინის შეთანხმების შედეგად კუნძულ ჰონგ კონგს ბრიტანეთი დაეპატრონა.

1860 – მეორე „ოპიუმის ომში" დამარცხების შემდეგ ჩინეთი იძულებული გახდა ბრიტანეთისთვის „სამუდამო მფლობელობაში" გადაეცა კუნძულ ჰონგ კონგის მოსაზღვრე ტერიტორია - ნახევარკუნძულ კოულუნის სამხრეთი ნაწილი.

1898 – პეკინის კონვენციით, ბრიტანეთს 99-წლიანი იჯარით გადაეცა ნახევარკუნძულ კოულუნის ჩრდილოეთი ნაწილი და მიმდებარე კუნძულები (ე.წ. „ახალი ტერიტორიები").

1941 — იაპონია თავს დაესხა ჰონგ კონგს და განდევნა ბრიტანულ-კანადური სამხედრო შენაერთები.

1945 — იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ბრიტანელები დაბრუნდნენ (იმამდე მოსახლეობა იყო 1,6 მლნ., 1945 წელს — 600 ათასი);

1949 — ჩინეთის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ ასეულობით ათასი ადამიანი მიაწყდა პონგ კონგს. კომუნისტური ჩინეთის იზოლაციის პერიოდში (1971 წლამდე) პონგ კონგი იყო ერთადერთი დასაკავშირებელი არხი პეკინსა და დასავლეთს შორის.

1984 — ჩინეთმა მიიღო კანონი ეროვნულ რაიონულ ავტონომიათა შესახებ. ჩინეთი უნიტარული სახელმწიფოა; 1998 წლისთვის ჩინეთში იყო 22 პროვინცია (23-ე არის ტაივანი), 5 ავტონომიური რაიონი და 30 ავტონომიური ოლქი. გარდა ამისა, 4 მუნიციპალური ერთეული, რომელიც ცენტრალური დანიშნულების ქალაქს შეესაბამება და 2 სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი: ჰონგ კონგი და მაკაო (პორტუგალიის ყოფილი კოლონია, ჩინეთს დაუბრუნდა 1999 წელს). ჩინეთში გაფანტულად ცხოვრობს 24 მილიონამდე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ტიბეტელები, მონღოლები და ა.შ.).

1984 — პეკინში ხელმოწერილ იქნა ერთობლივი ჩინურ-ბრიტანული დეკლარაცია, რომლის თანახმად, ბრიტანეთი დათანხმდა 1997 წლიდან, სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სახით, ჩინეთისთვის დაებრუნებინა ჰონგ კონგი (1898 წლის კონვენციით განსაზღვრული საიჯარო ვადის ამოწურვის გამო). იმავე დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ ჰონგ კონგს სულ მცირე 50 წლით შეუნარჩუნდება განსაკუთრებული რეგიონის სტატუსი.

1990 — დამტკიცებულ იქნა ჰონგ კონგის ძირითადი კანონი, რომელიც 1997 წლიდან ასრულებს მინიკონსტიტუციის როლს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონისთვის და რომლის პირველი ძირითადი პრინციპის თანახმად, „ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი". ჩინეთი აკონტროლებს ჰონგ კონგის თავდაცვის სისტემასა და საგარეო პოლიტიკას, ასევე აქვს ვეტოს უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის პოლიტიკურ სისტემას ეხება.

ამ დოკუმენტის თანახმად, ჰონგ კონგს აქვს თავისუფალი პორტის (პორტო-ფრანკოს) სტატუსი, დამოუკიდებელი საბაჟო-საფინანსო სისტემა (ჰონგ კონგის დოლარი), დამოუკიდებელი საბაჟო სისტემა (რომელიც ტერიტორიულ პრინციპს ემყარება ანუ 16%-იანი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მხოლოდ ადგილობრივი წყაროდან მიღებული შემოსავალი, თუმცა ოფშორული კომპანია ვალდებულია

წარმოადგინოს ფინანსური ანგარიში); ჰონგ კონგის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა დაფუძნებულია ბრიტანულ პრეცედენტულ სამართალზე. რეგიონს პყავს დამოუკიდებელი, 20 000 კაციანი, ერთერთი ყველაზე ეფექტიანი პოლიცია აზიაში. ჰონგ კონგის მთავრობას აქვს უფლება გააფორმოს ორმხრივი ეკონომიკური ან კულტურული საერთაშორისო ხელშეკრულებები. პეკინმა ძალაში დატოვა ჰონგ კონგის მიერ მესამე ქვეყნებთან დადებული 50-ზე მეტი ორმხრივი შეთანხმება ინვესტიციების დაცვის, სამართლებრივი მხარდაჭერის, დამნაშავეთა გადაცემის, საჰაერო მიმოსვლის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ. ჰონგ კონგზე ვრცელდება 200-ზე მეტი საერთაშორისო კონვენციის მოქმედება (ძირითადად, ვაჭრობასთან, გადასახადებთან, საკონსულოების მუშაობასთან, ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული კონვენციები).

ჰონგ კონგის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს აღმასრულებელი საბჭო. ამ ორგანოს მეთაურობს აღმასრულებელი მმართველი (Chief Executive), რომელსაც ირჩევს საარჩევნო კომიტეტი, ხოლო შემდეგ ამტკიცებს და ნიშნავს ჩინეთის ცენტრალური მთავრობა. აღმასრულებელი საბჭო კომპლექტდება აღმასრულებელი მმართველის მიერ.

800-კაციან საარჩევნო კომიტეტში 664 ადგილი ეთმობა ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლებს, 40 — რელიგიურ ორგანიზაციებს, დანარჩენი 96 კი — მთავრობის წარმომადგენლებს.

ჰონგ კონგის საკანონმდებლო ორგანო არის 60 კაციანი საკანონმდებლო საბჭო, რომლის ერთი ნახევარი აირჩევა ტერიტორიული პრინციპით (პირდაპირი არჩევნების გზით), ხოლო მეორე — ეკონომიკური სექტორის ყველა მნიშვნელოვანი დარგის წარმომადგენელთაგან.

ჰონგ კონგსა და აფხაზეთს ან ცხინვალის რეგიონს შორის რაიმე პარალელის გავლება მეტისმეტად რთულია, რადგან ჰონგ კონგის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ, ფაქტობრივად, არასოდეს გასცილებია ეკონომიკურ ფარგლებს. მას არასოდეს გამოუცხადებია პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არ ჩაუტარებია კანონიერი თუ უკანონო რეფერენდუმი ამ საკითხთან დაკავშირებით, არ მიუმართავს გაეროსთვის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რაიმე მოთხოვნით.

ჰონგ კონგის მთავრობა ცნობს პეკინის იურისდიქციას რეგიონის ტერიტორიაზე; ჰონგ კონგის მინიკონსტიტუციის პირველივე ძირითადი პრინციპის თანახმად, „ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი".

ჰონგ კონგის სტატუსის დასადგენად, 1997 წლამდე, ძირითადი დოკუმენტები იყო 1898 და 1984 წლების ჩინეთ-ბრიტანეთის კონვენციები. 1997 წლიდან მისი სტატუსი განსაზღვრულია 1990 წელს დამტკიცებული ძირითადი კანონით (მინიკონსტიტუციით).

ბრიტანეთს, ჩინეთისგან დამოუკიდებლად, რაიმე ცალმხრივი ნაბიჯი რეგიონის სტატუსის შეცვლის მიმართულებით არ გადაუდგამს. ბრიტანეთს არ უცდია ჰონგ კონგი ფაქტობრივად ემართა და ამავე დროს, ფორმალურად, „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" ეცნო იგი. რეგიონის გუბერნატორი ინიშნებოდა ბრიტანეთის მთავრობის მიერ; ანუ ლონდონი იცავდა „თამაშის წესებს" და საერთაშორისო ნორმები არ დაურღვევია.

სრულიად საპირისპირო დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს კრემლს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" მიმართ. მოსკოვი წლების მანძილზე, ამა თუ იმ ფორმით, ღიად თუ ფარულად არღვევდა მის მიერვე ხელმოწერილ შეთანხმებებს; თუმცა, 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისა და აფხაზეთ-„სამხრეთი ოსეთის" დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, მთელი მსოფლიოსთვის აშკარა გახდა, რომ კრემლისთვის, არათუ რომელიმე კონკრეტული ხელშეკრულების, არამედ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაც კი მისაღებია.

მოსკოვმა „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად" აღიარა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი", თუმცა, დე იურე საქართველოს კუთვნილი ეს ტერიტორიები რეალურად რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და ანექსირებული.

სეპარატიზმი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტები დღესაც მნიშვნელოვან მსოფლიო პრობლემად რჩება. ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში შედარებით მშვიდი ვითარებაა (ჩრ. ირლანდიური "ირა"-სა და ბასკური "ეტა"-ს არსებობის მიუხედავად). თუმცა ანალოგიური პრობლემები წარსულში აქაც ძალზე მწვავედ იდგა. დღევანდელი დასავლეთევროპული სიმშვიდე ხშირად სეპარატისტებს მცდარ ილუზიებს უქმნის. მაგალითად, აფხაზეთსა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში", როცა დამოუკიდებლობასა და სამომავლო პერსპექტივაზე საუბრობენ, ზოგჯერ ახსენებენ მონაკოს, ლიხტენშტაინს, ევროპის სხვა ჯუჯა სახელმწიფოებს და იმედოვნებენ, რომ სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმები, კრემლის დახმარებით, სწორედ ასეთ უზრუნველ სახელმწიფოებს ჩამოაყალიბებენ.

აქედან გამომდინარე, ალბათ, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოები, მათი წარმოქმნის ისტორია და დღევანდელი რეალობა.

ლუქსემბურგი ანუ "ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო"

მდებარეობა — ესაზღვრება ბელგიას, გერმანიასა და საფრანგეთს; ფართობი – 2 600 კმ² (ევროპის "ჯუჯა" სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდია);

მოსახლეობა — 440 000;

სახელმწიფო ენები: ლუქსემბურგული, გერმანული და ფრანგული (ლუქსემბურგულ ენასა და მეზობელი გერმანული პროვინციების გერმანულ დიალექტებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს);

უმრავლესობის რელიგია – კათოლიციზმი;

სახელმწიფო წყობა – კონსტიტუციური მონარქია;

გაეროს წევრი – 1945 წლიდან.

თანამედროვე ლუქსემბურგის ტერიტორია რომაელების შემდეგ ფრანკებმა დაიკავეს. აქ მდებარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე — ლისილინბურგი (გერმ. "პატარა ციხე"), რომლის საფუძველზეც მე-10 საუკუნიდან თანდათან ჩამოყალიბდა ლუქსემბურგი, როგორც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი (ჯერ საგრაფო, მე-14 საუკუნიდან — საჰერცოგო). აღნიშნული ციხე-სიმაგრე და მისი შემოგარენი ხშირად ხდებოდა მეზობელ დიდ სამეფოებსა თუ სამთავროებს შორის დავის საგანი და ტერიტორიულ გაცვლა-გარიგებათა ობიექტი. სხვადასხვა დროს იგი გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, ავს-

ტრიულ, პოლანდიურ სამეფოთა შემადგენლობაში იმყოფებოდა.

1814-1815 — ვენის კონგრესმა ლუქსემბურგი სამართავად გადასცა ნიდერლანდების მეფე ვილემ I-ს;

1839 — ლონდონის შეთანხმებით, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ნიდერლანდების სამეფოს მხოლოდ პირადად ვილემ I–თან დადებული უნიის საფუძველზე დაუკავშირდა;

1842 — ლუქსემბურგი შეუერთდა გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაციის საბაჟო კავშირს და იქ პრუსიის სამხედრო გარნიზონი ჩადგა;

1866 — გერმანული კონფედერაცია დაიშალა; პრუსიული გარნიზონის ყოფნა ლუქსემბურგში საფრანგეთის უკმაყოფილებას იწვევდა;

1867 — ლონდონის ხელშეკრულებით გამოცხადდა ლუქსემბურგის სრული დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი (პრუსიელები წავიდნენ); ქვეყნის მმართველ დინასტიად დამკვიდრდა პოლანდიელ ნასაუთა საგვარეულო;

1914 — ლუქსემბურგი ოკუპირებულ იქნა გერმანიის მიერ;

1919 — I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ლუქსემბურგს სურდა საფრანგეთთან ეკონომიკურ კავშირში შესვლა, მაგრამ საფრანგეთმა, ბელგიასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, უარყო ეს წინადადება და ლუქსემბურგს ბელგიასთან შეთანხმების დადებისკენ უბიძგა;

1940 — II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას გერმანიამ მეორედ დაარღვია ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტი და მისი ოკუპაცია განახორციელა;

1945 — აღდგა ლუქსემბურგის დამოუკიდებლობა.

ამჟამად ლუქსემბურგი არის ნატოს, ევროკავშირისა და ბენილუქსის წევრი სახელმწიფო. ესაა მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური ცენტრი. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი შემოსავლის წყაროა აგრეთვე საერთაშორისო ტურიზმი. ლუქსემბურგის მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში.

მონაკო

მდებარეობა — ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, ხმელეთით ესაზღვრება საფრანგეთს;

ფართობი — 1 950 კმ² (1861 წლამდე მონაკოს ტერიტორია 20-ჯერ მეტი იყო);

მოსახლეობა – 35 670 (აქედან 47% — ფრანგი, 17% — მონეგასკი, 17% — იტალიელი, 19% — სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები);

სახელმწიფო ენა — ფრანგული;

უმრავლესობის რელიგია – კათოლიციზმი;
სახელმწიფო წყობა — კონსტიტუციური მონარქია;
გაეროს წევრი — 1993 წლიდან.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მონაკოს ტერიტორია ხშირად იყო გუთებისა და არაბების თავდასხმის ობიექტი.

972 — პროვანსის გრაფ გილიომის მიერ არაბების განადგურების შემდეგ მონაკო გენუის რესპუბლიკის კოლონია გახდა;

1267 — გენუაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს მონაკოს ტერიტორია დაიკავა რომის პაპის მხარდამჭერთა რაზმმა ფრანჩესკო გრიმალდის მეთაურობით, რომელმაც იქ დიდი ციხესიმაგრე ააგო, თავისი მმართველობა დაამკვიდრა და საფუძველი ჩაუყარა გრიმალდების მონარქიას, რომელიც უკვე 700 წელია მართავს ქვეყანას;

1789 — მონაკო ოკუპირებულ იქნა რევოლუციური საფრანგეთის მიერ;

1814 — პარიზის ხელშეკრულებით მონაკოს დამოუკიდებლობა აღდგა;

1861 — მონაკო საფრანგეთის პროტექტორატი ხდება, ამ ქვეყნის ინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს და იცავს საფრანგეთი და მონაკომ თავისი საგარეო პოლიტიკა საფრანგეთს უნდა შეუთანხმოს, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური კი, როგორც წესი, საფრანგეთის მოქალაქეა.

იმავე 1861 წელს მონაკოსა და საფრანგეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი საფრანგეთს გადაეცა და 1/20-მდე შემცირდა, რამაც დიდად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა და შემდეგ (1865 წ.) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მონტე-კარლოში კაზინოს გახსნის შესახებ, რაც საზღვაო ტურიზმთან ერთად სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა;

1993 — მონაკო გაერო-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ლიხტენშტაინი

მდებარეობა — ესაზღვრება შვეიცარიასა და ავსტრიას.
ფართობი — 160 კმ²;
მოსახლეობა – 35.000;
სახელმწიფო ენა – გერმანული;
სახელმწიფო წყობა – კონსტიტუციური მონარქია;
უმრავლესობის რელიგია – კათოლიციზმი;
გაეროს წევრი — 1990 წლიდან.

რომის იმპერიის დაშლიდან 911 წლამდე ეს ტერიტორია ფრანკების,

კაროლინგების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, შემდეგ კი — "წმინდა რომის იმპერიის" შემადგენლობაში.

1507 — იმპერატორმა მაქსიმილიანმა ვადუცს (ლიხტენშტაინის დედაქალაქი) განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები მიანიჭა სუვერენიტეტისა და გადასახადების აკრეფის უფლების ჩათვლით. ეს უფლებები ავსტრიელ ლიხტენშტაინთა საგვარეულოს გადაეცა;

1712 — ვადუცი მიჰყიდეს ლიხტენშტაინის მთავარს;

1719 — ვადუცის და შელენბერგის ტერიტორიები გაერთიანდა ერთი სამთაეროს ფარგლებში და სწორედ აქედან იღებს სათავეს ლიხტენშტაინი, როგორც სახელმწიფო;

1815-1866 — ლიხტენშტაინი გერმანული კავშირის შემადგენლობაშია, ამავე დროს დინასტიის წარმომადგენლები ავსტრიის პარლამენტის ზედა პალატის მემკვიდრეობითი წევრები გახდნენ;

1866 — სამთაერომ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა;

1919 — პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლიხტენშტაინმა გაწყვიტა ხელშეკრულება ავსტრიასთან (ომის დროს ავსტრია-უნგრეთის მოკავშირე იყო) და შვეიცარიას დაუახლოვდა. ამ დროიდან ლიხტენშტაინის დიპლომატიურ და საკონსულო ინტერესებს საზღვარგარეთ შვეიცარია წარმოადგენს;

1921 — შვეიცარიასთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ვაჭრობისა და საფოსტო სამსახურის შესახებ, 1924 წელს შეიქმნა საბაჟო კავშირი და მას შემდეგ ლიხტენშტაინის ვალუტად შვეიცარული ფრანკი ითვლება.

1990— ლიხტენშტაინი გაეროს წევრი გახდა.

ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავლით (2004 წ. 50.000 აშშ დოლარი).

ანდორა

მდებარეობა — აღმოსავლეთ პირენეების სამხრეთი კალთები, ესპანეთსა და საფრანგეთს შორის;

ფართობი — 468 კმ²;

მოსახლეობა – 84 129 (აქედან ანდორელები 33%, ესპანელები – 45%, პორტუგალელები – 11%, ფრანგები – 7%);

სახელმწიფო ენა — კატალანური (იმავე ენაზე საუბრობენ კატალონიაშიც), ფაქტობრივად, იგივე უფლებები აქვს მინიჭებული ესპანურსა და ფრანგულს.

უმრაველესობის რელიგია — კათოლიციზმი.

სახელმწიფო წყობა — რესპუბლიკა (თუმცა, ფორმალურად სამთავრო);

გაეროს წევრი — 1993 წლიდან.

ანდორის სამთავროს დაარსების თარიღად ითვლება 805 წელი, როცა ადგილობრივი თემის მცხოვრებლებმა მტრის (არაბების) ზურგში მიმავალი გზა აჩვენეს ფრანკებს და ბრძოლის მოგების შემდეგ ლუდოვიკო პირველისგან თავისუფლების დიდი ქარტია მიიღეს.

1278 — ხელი მოეწერა ხელშეკრულებას (Act-Parsea) ესპანეთის ურხელის ეპისკოპოსსა და საფრანგეთის გრაფ დე ფუას შორის, რითაც ანდორაზე დაწესდა ორმაგი სიუზერენიტეტი; ანდორა ყოველწლიურ ფულად ხარკს უხდიდა თავის სიუზერენებს. გარკვეულწილად, ეს ხელშეკრულება დღემდე მოქმედებს; ურხელის ეპისკოპოსთა მემკვიდრეები დღესაც თანამმართველები არიან, ხოლო გრაფ დე ფუას როლის გამგრძელებლებად ჯერ ნავარის, შემდეგ საფრანგეთის მეფეები იყვნენ, ამჟამად კი საფრანგეთის პრეზიდენტები არიან. საფრანგეთის რევოლუციის დროს ანდორამ სრული დამოუკიდებლობა მიიღო, რადგან ახალმა, რევოლუციურმა ხელისუფლებამ ყველა ადრინდელი აქტი გააუქმა, მაგრამ 1806 წელს ანდორამ თხოვნით მიმართა ნაპოლეონს აღედგინა "აქტ-პარსეაჟი." იმპერატორი დათანხმდა და აღნიშნა: "ანდორა პოლიტიკური კურიოზია, რომელიც აუცილებლად უნდა შევინახოთ."

1993 წლის კონსტიტუციის თანახმად, ანდორას სამთავრო საპარლამენტო დემოკრატიას წარმოადგენს. სახელმწიფოს მეთაურებად კვლავაც ითვლებიან მთავარ-თანამმართველები საფრანგეთის პრეზიდენტი და ურხელის ეპისკოპოსი, რომლებიც ადგილზე თავიანთი ვიკარიუსების მიერ არიან წარმოდგენილნი. ეპისკოპოსის ვიკარიუსი ყოველ სამ წელიწადში იცვლება, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტს წარმოადგენს აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტის პრეფექტი.

1982 — შეიქმნა რესპუბლიკის პირველი მთავრობა;

სან-მარინო

მდებარეობა — აპენინის ნახევარკუნძული, ყოველი მხრიდან იტალია აკრავს.

ფართობი — 61,2 კმ^2;

მოსახლეობა – 29 119 (აქედან თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ ცხოვრობს);

სახელმწიფო ენა – იტალიური;

სახელმწიფო რელიგია – კათოლიციზმი;
სახელმწიფო წყობა – რესპუბლიკა;
გაეროს წევრი – 1992 წლიდან.

სან-მარინო მსოფლიოში დღეს არსებულ რესპუბლიკებს შორის უძველესად ითვლება. დაარსების ოფიციალური თარიღია 301 წ., როცა რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის პერიოდში მონტე-ტიტანოს მთებში შეხიზნულმა ქრისტიანულმა თემმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1600 წელს, თუმცა შემდეგ ის მრავალჯერ შეიცვალა.

სან-მარინოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნება სეპარატიზმად არასოდეს აღიქმებოდა. სან-მარინოელები იგივე იტალიელები არიან, მათი მშობლიური ენა იტალიურია, ისინიც კათოლიკეები არიან, ასე რომ, რაიმე ეთნიკურ-ეროვნული ან რელიგიური ფაქტორით განპირობებულ სეპარატისტულ მოძრაობაზე საუბარი სან-მარინოს კონტექსტში სრულიად უადგილოა.

ფაქტობრივი მასალის მცირე ანალიზი

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, რომ დასავლეთი ევროპის ჯუჯა სახელმწიფოები, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პირობითად შეიძლება დაიყოს, მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან ქვეყნებად. მაგალითად, ლუქსემბურგი ან მონაკო, მათი მდებარეობის ან სხვა ფაქტორის გამო, გარკვეულ პერიოდში მეზობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში მოექცნენ და არაერთხელ ყოფილან ოკუპირებული და ანექსირებული. მაგრამ, მაგალითად, სან-მარინოს ასეთი რამ არ განუცდია. საერთოდ, ამ უკანასკნელის ჩამოყალიბება შეიძლება ითქვას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის ისტორიულ-რელიგიურ ტრადიციას ემყარება. ესაა მაღალ მთებში, უძველესი რელიგიური თემის გარშემო დაფუძნებული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც ფართობითაც და მოსახლეობის რაოდენობითაც მეტისმეტად მცირეა იტალიისთვის. ამ ფაქტორების გამო, იტალიის სახელმწიფოსთვის რთულ პერიოდებშიც კი მტრულ ქვეყნებს არც უცდიათ სან-მარინოს გამოყენება თავიანთი მიზნებისთვის.

სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთი და ე.წ. "სამხრეთი ოსეთი" გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონებია (სულ მცირე, საქართველოსა და კავკასიის მასშტაბისთვის). ამიტომ, თუ საერთოდ შესაძლებელია რაიმე პარალელის გავლება ამ რეგიონებ-

სა და ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებს შორის, ამ სახელმწიფოთაგან "ნაკლებად მნიშვნელოვნები", სან-მარინო და ლიხტენშტაინი უნდა გამოვრიცხოთ. რჩება ანდორა, ლუქსემბურგი და მონაკო.

სამივე ეს პატარა ქვეყანა ორ დიდ სახელმწიფოს შორის მდებარეობს (ერთი მხრივ, საფრანგეთი და, მეორე მხრივ, შესაბამისად, ესპანეთი, გერმანია და იტალია). წარსულში ამ დიდ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები არცთუ იშვიათად ხდებოდა და ამ პროცესში ისინი, სხვადასხვა ფორმით, პატარა ქვეყნებსაც ითრევდნენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც საფრანგეთისთვის და არც დანარჩენი სამი სახელმწიფოსთვის ჯუჯა ქვეყნების ტერიტორიები (რომლებიც ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში რომელიმე დიდი ქვეყნის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდნენ სამთავროს, საგრაფოს თუ სხვა სტატუსით) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა. ამიტომაც, თუ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს საშხელრო უპირატესობა გამოკვეთილი არ იყო, მეტოქეთა დავა ხშირად "საყაიმო" შედეგით მთავრდებოდა: "არც შენ, არც მე", ანუ "ჯუჯა" ქვეყანა მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური გარემო კარდინალურად შეიცვალა. დიდ სახელმწიფოთა შორის ტრადიციული ომები წარსულს ჩაბარდა და ურთიერთთანამშრომლობის ეპოქა დამკვიდრდა; ინტერესთა დაპირისპირების პოლიტიკას საერთო ინტერესთა პოლიტიკა, ერთიანი ევროპის ინტეგრაციული პროცესი ჩაენაცვლა, რაც, უპირველესად, მცირე პრობლემებისა და უთანხმოებების დიდი, საერთო მიზნებისა და ინტერესების პოზიციიდან დანახვას გულისხმობს. ასეთი მიდგომის მზარდმა დომინირებამ და ევროკავშირის ჩამოყალიბებამ, ბუნებრივია, დიდი სახელმწიფოების დღის წესრიგიდან საერთოდ "წაშალა" "ჯუჯა" სახელმწიფოების გამო ისტორიულად არსებული უთანხმოებანი (თუკი იყო ასეთი რამ შემორჩენილი). დღეს ევროპის დემოკრატიული, დიდი ქვეყნებისგან წარმოუდგენელია ერთმანეთთან ურთიერთობის დაძაბვა "ჯუჯა" სახელმწიფოს ტერიტორიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე.

მცირე შენიშვნის სახით აქვე უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, კრემლს დღემდე აქვს გარკვეული პრობლემები იაპონიასთან სსრკ-ის მიერ 1945 წელს ოკუპირებული სამხრეთ კურილის ოთხი კუნძულის: იტურუპის (3 139 კმ²), კუნაშირის (1 490 კმ²), შიკოტანისა (225 კმ²) და ჰაბომაის გამო (ეს უკანასკნელი პატარა არქიპელაგია, რომლის ფართობი სულ 120 კმ²-ია). ოთხივეს საერთო ფართობი (ითქმის 5 000

კმ²) მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს — რუსეთის — ტერიტორიის მხოლოდ 0,03 პროცენტია (იაპონიისთვის — 1,23%). რუსეთი თანახმაა დაუბრუნოს იაპონიას მხოლოდ შიკოტანი და ჰაბომაი ანუ 345 კმ². ამ ფაქტებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ევროკავშირში დამკვიდრებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს არაფერი აქვს საერთო კრემლის იმპერიულ პოლიტიკასთან, რის გამოც რუსეთის მეზობლობა იმთავითვე განსაკუთრებულ რეალობას გულისხმობს.

ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებისგან სრულიად განსხვავებული ვითარებაა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში: აფხაზეთსა (8 432 კმ²) და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" (3 900 კმ²):

1) ორივე ეს რეგიონი საქართველოსთვის უმცირესი, უმნიშვნელო ტერიტორია კი არ არის, რომელსაც სხვა სახელმწიფოსთან "საეჭრო" დანიშნულება აქვს, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის მიწა-წყალია.

მათი ფართობი საქართველოს მთლიანი ტერიტორიის თითქმის მეხუთედია — 17,1% (შედარებისთვის, სამიგე "მნიშვნელოვანი" ჯუჯა სახელმწიფოს ტერიტორია, ერთად აღებული (5 000 კმ²), დასავლეთი ევროპის ზემოხსენებული დიდი სახელმწიფოებიდან ფართობით ყველაზე მცირეს — იტალიის ტერიტორიის (301 338 კმ²) მხოლოდ 1,6%-ია;

2) ამ რეგიონებს არასოდეს ჰქონიათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, ისინი ყოველთვის საქართველოს ერთიანი სამეფოს ან მისი შემკვიდრე სამეფოების თუ გუბერნიების შემადგენლობაში იყვნენ;

3) რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ეთნოწმენდის შედეგად ამ რეგიონების ასეულობით ათასი ადამიანი დღემდე დევნილია და თავის სახლ-კარში დაბრუნებას მოითხოვს;

4) რუსეთის ხელისუფლება მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უჩარმაჩარ სამხედრო ბაზებს აშენებს, რის შედეგადაც მთლიანად ეს რეგიონები, ფაქტობრივად, დიდ სამხედრო ბაზებად და მათ დანამატებად ჩამოყალიბდება.

5) ამ რეგიონების კუთვნილების საკითხი შუა საუკუნეების რომელიმე გარიგების ან ომის შედეგად კი არ არის გადაწყვეტილი, არამედ გაეროს მიერ, მთელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ აფხაზეთი და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" აღიარებულია საქართველოს შემადგენელ ნაწილად;

6) ამ რეგიონების "დამოუკიდებლობა" ცნო რუსეთმა, ქვეყანამ, რომელიც ამ ტერიტორიებზე ახლა სამხედრო ბაზებს აშენებს, ხოლო 2008 წლის 26 აგვისტომდე ათეულობით საერთაშორისო დოკუმენტში

(გაეროს, ეუთოს, დსთ-ის რეზოლუციები, დადგენილებები) უცვლელად აფიქსირებდა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიაა (მოგვიანებით, კრემლის მიერ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" "დამოუკიდებლობა" ცნო მხოლოდ დ. ორტეგას და უ. ჩავესის მარგინალურმა რეჟიმებმა, ასევე კუნძულ-სახელმწიფო ნაურუმ).

დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოების ეკონომიკური წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ სტაბილური, მშვიდობიანი, თანამშრომლობის სულისკვეთებით განმსჭვალული გარემოთი, რომელიც შეიქმნა დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. რომ არა მეზობელი ქვეყნების: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა, ცხადია, "ჯუჯა" სახელმწიფოები ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ.

აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთი ოსეთის" სეპარატისტებს კი იმედი აქვთ, რომ ასეთ გარემოს მათ კრემლი შეუქმნის; ის კრემლი, რომელმაც მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩეჩნების გენოციდი განახორციელა (დაიღუპა სულ მცირე 200 ათასი ჩეჩენი ანუ რესპუბლიკის ჩეჩენი მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი), ის კრემლი, რომელიც ცივილიზებული სამყაროს ლიდერთა შეფასებით, 21-ე საუკუნეში ისევ მე-19 საუკუნის კატეგორიებით აზროვნებს. ამას ნათლად ადასტურებს კრემლის მიერ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ფეხქვეშ გათელვა, მეზობელი ქვეყნის მიმართ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელება და გაეროს გენერალური ასამბლეისა თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციათა უგულებელყოფა. კრემლს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განლაგებით სურს სამხედრო-პოლიტიკური გავლენა შეინარჩუნოს ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში, მთლიანად კავკასიაში, რაც საშუალებას მისცემს კონტროლი დაამყაროს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ენერგომაგისტრალებზე. ამის შემდეგ ის შეძლებს გულდამშვიდებით განაგრძოს ევროპის ენერგოშანტაჟი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ პარალელების გავლება დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებსა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს შორის უპერსპექტივო საქმეა.

დასკვნის მაგიერ

ამგვარი წიგნის დაწერისკენ, უპირველესად, 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამ გვიბიძგა. მანამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით დომინირებდა თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ეს იყო ეთნოკონფლიქტები, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეიარაღებული დაპირისპირება, ხოლო კრემლი, როგორც საშუამავლო პროცესის მეტ-ნაკლებად ნეიტრალური შუამავალი, ძირითადად, დადებით როლს ასრულებდა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ასეთი თვალსაზრისი რეალობას არ შეესაბამებოდა, მაგრამ ჩვენ მიერ კრემლის დადანაშაულებას ამ კონფლიქტების პროვოცირება-მართვაში, საერთაშორისო საზოგადოება, როგორც წესი, სკეპტიკურად აღიქვამდა და საკუთარ შეცდომათა თუ დანაშაულთა სხვისთვის გადაბრალების მცდელობად მიიჩნევდა.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ჯარების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ კრემლი აიძულა ღიად გამოსულიყო საბრძოლო მოქმედებათა „ავანსცენაზე". ამრიგად, მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ეს არის არა ეთნიკური, ქართულ-ოსური ან ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არამედ პოლიტიკური კონფლიქტი კრემლსა და საქართველოს შორის და რომ ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტულ რეჟიმებს კრემლი მხოლოდ „პაიკებად" იყენებს დამოუკიდებელი, „ურჩი" საქართველოს დაშლა-დამორჩილებისთვის. ყველა ობიექტური დამკვირვებლისთვის აშკარა გახდა, რომ დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს წინსვლასა და ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ხელს უშლიან არა კრემლის მარიონეტები კოკოითი და ბალაფში ან მით უფრო ოსი და აფხაზი ხალხი, არამედ უშუალოდ კრემლი, რომელმაც ყველა ფუნდამენტური საერთაშორისო ნორმის დარღვევით ჯერ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და შემდეგ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" ცნო მისი ჯარების მიერ ოკუპირებული ეს ორი რეგიონი, სადაც უპირატესად ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა თვითონვე მოაწყო. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს, კავკასიის ან აღმოსავლეთი ევროპის პრობლემა, ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა; როცა XXI საუკუნეში ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს მიმართ სრულმასშტაბიან სამხედრო აგრესიას, მისი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია-ანექსიას და იქ ეთნიკურ წმენდას ახორციელებს,

ეს არის ფაშისტურ-კომუნისტური რეციდივი, გამოწვეული თანამედროვე საერთაშორისო ინსტიტუციებისა და საზოგადოებისათვის; ცივილიზებული სამყაროს უსაფრთხოებასა და ფუნდამენტურ ღირებულებებს უპირველეს საფრთხეს სწორედ ასეთი ფაქტები და მათ მიმართ საერთაშორისო საზოგადოების პასიური დამოკიდებულება უქმნიდა და ახლაც შეიძლება შეუქმნას. სამხედრო აგრესია და ეთნიკური წმენდა არც ჰიტლერისთვის და არც სტალინისთვის უცხო ნამდვილად არ იყო, მაგრამ მათაც კი არ გაუკეთებიათ ის, რაც კრემლის ახლანდელმა ბინადრებმა ჩაიდინეს — სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, იქ ეთნიკური წმენდის მოწყობა და შემდეგ ამ ტერიტორიების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარება.

სწორედ ამ დანაშაულის მასშტაბმა და მნიშვნელობამ გვაიძულა იქით, რომ იგი მაქსიმალურად ფართო საერთაშორისო კონტექსტში, სხვა კონფლიქტთა ფონზე განგვეხილა. ეს დაგვეხმარა, ერთი მხრივ, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც არსებობს მსგავს კონფლიქტებთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, გაგვეანალიზებინა და დაგვესახა საქართველოს კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული გზები, რომლებიც შესაძლოა გამოსადეგი გახდეს სხვა კონფლიქტთა მიმართაც.

1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე აშკარა გახდა, რომ კრემლის მთავარი იარაღი დამოუკიდებლობისკენ საქართველოს (და ამიერკავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის) სწრაფვის წინააღმდეგ სწორედ „ეთნოკონფლიქტების" პროვოცირება იყო. აქ განლაგებული სამხედრო ბაზების აქტიური გამოყენებით კრემლმა მთელი ამიერკავკასია ომის ცეცხლში გახვია და ამ რეგიონში თავისი ბატონობა აღადგინა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივამ მეტ-ნაკლებად რეალური კონტურები მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის შეიძინა (ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტზე ხელმოწერილ შეთანხმებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, რომლითაც გადაწყდა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაწყება).

ამიერკავკასიაში დასავლეთის თანდათანობითი გააქტიურების გათვალისწინებით, 2001-2002 წწ. ჩვენ შევიმუშავეთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროექტი, რომლის ძირითადი კომპონენტები იყო კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის „სამშვიდობოების"

ჩანაცვლება საერთაშორისო კონტინგენტით, სახელდობრ, ევროკავშირის სამხედრო-პოლიციური სტრუქტურით და ასევე საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუციების მაქსიმალური გამოყენება, რათა, ერთი მხრივ, გამოძიებული ყოფილიყო კონფლიქტის ზონებში მომხდარი დანაშაულები (ცხადია, უპირველესად, ეთნოწმენდის ფაქტები) და, მეორე მხრივ, სამართლებრივი მსჯელობა მისცემოდა კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დაცვის საკითხებს. ჩვენი პროექტი წარუდგინეთ მაშინდელ ხელისუფლებას, თუმცა, ამ ინიციატივას მთავრობის მხრიდან რამე გააქტიურება არ მოჰყოლია. მოგეხსენებით, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამ მიმართულებით ვითარება თანდათან გაუმჯობესდა. მუშაობა დაიწყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიამ, რომელიც საგანგებო ყურადღებას უთმობს სწორედ ამ მიმართულებებს. ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ კონფლიქტის სამართლებრივი ასპექტების აქცენტირებაა, რადგან, მხოლოდ სამართლიანი, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დამყარებული მშვიდობა შეიძლება იყოს მყარი და სტაბილური განვითარების საწინდარი, გარდა ამისა, საომარი ველისგან განსხვავებით, სამართლებრივ სიბრტყეზე კრემლის პოზიცია უსუსურია და აქ საქართველოს სამდვილად შეუძლია კრემლის დამარცხება.

საქართველოს კონფლიქტების სამართლებრივი მხარე დაკავშირებულია თანამედროვე კონფლიქტების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემასთან — სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ურთიერთშეთავსების საკითხთან. ამ პრობლემას საგანგებო ყურადღება ეთმობა ჯერ კიდევ 1992 წელს გაეროს მაშინდელი გენერალური მდივანის ბუტროს ბუტროს გალის მოხსენებაში „დღის წესრიგი მსოფლიოსთვის". მოხსენების თანახმად, გაეროს შექმნის შემდეგ გაჩაღებულ 100-ზე მეტ კონფლიქტს 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და გაჩნდა დაახლოებით ამდენივე იძულებით გადაადგილებული პირი, მათ შორის, 17 მილიონი ლტოლვილი. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების პრევენცია ან საწყის ეტაპზევე მათი მოგვარება უდიდეს მნიშვნელობას იძენს; მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა უპირველესად გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას ეკისრება და ამ მიზნის მიღწევის რთულ პროცესში საყრდენი „ქვაკუთხედი არის და უნდა იყოს სახელმწიფო; მისი ფუნდამენტური სუვერენიტეტისა და

ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა არის გადამწყვეტი ფაქტორი ნებისმიერი საერთო ინტერნაციონალური პროგრესისთვის". ამასთანავე, გენერალური მდივანი იქვე განმარტავს, რომ „აბსოლუტური და განსაკუთრებული სუვერენიტეტის დრო წარსულს ჩაბარდა, რაც სათანადოდ უნდა გაიაზრონ სახელმწიფოთა ლიდერებმა და სათანადოდ გააწონასწორონ საშინაო პოლიტიკით ნაკარნახევი აუცილებლობები და თანამედროვე, უპრეცედენტოდ ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოს მოთხოვნები". ამ მოთხოვნათა ნაწილია უმცირესობათა უფლებების დაცვა, რაც უკავშირდება ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ეს უკანასკნელი კი ხშირად გამოიყენება სეპარატისტულ-სეცესიონისტური მოთხოვნების გასამართლებლად. სწორედ ამიტომ, გენერალური მდივნის დასკვნით, დაუშვებელია, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა „არსებულ საერთაშორისო სისტემაში" და, მეორე მხრივ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, „ორივე ეს ძალზე ღირებული და მნიშვნელოვანი პრინციპი" ერთმანეთს „შეეჯახოს", დაუშვებელია, რომ „ამათ ერთმანეთის საპირისპიროდ იმუშაონ ... ჩვენი მუდმივი მოვალეობა უნდა იყოს მთლიანობის შენარჩუნება, სანამ არ იქნება მოძებნილი ყველასთვის გაწონასწორებული პოზიცია". ასეთი მიდგომა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარეობს, რადგან ხალხთა თვითგამორკვევის უფლების სეცესიასთან გაიგივება გადაუჭრელ პრობლემებს წარმოშობს მსოფლიოს წინაშე. დღეისათვის სულ 200-მდე სახელმწიფო არსებობს, ეთნოსთა (ხალხთა) რაოდენობა კი სულ მცირე 20-ჯერ მეტია. გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „თუ ყველა ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ჯგუფი სახელმწიფოებრიობის შექმნას მოისურვებს, მაშინ დაშლა-დაქუცმაცების პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდება და მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ყველასათვის კიდევ უფრო გართულდება".

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ურთიერთშეთავსების შესახებ საგანგებო რეზოლუცია მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2003 წლის 24 იანვარს (# 1334). ასამბლეა აღნიშნავს, რომ ევროპაში სხვადასხვა ინტენსივობის დაძაბულობის კერების არსებობა უპირატესად უკავშირდება მოუგვარებელ შინასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს და რომ ევროპის ქვეყნების ავტონომიური რეგიონების წარმატებული გამოცდილება შესაძლოა ერთგვარ მოდ-

ელად იქცეს ამ პრობლემათა გადასაწყვეტად (აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები რომ 2008 წლამდე მოგვარებულიყო, ბუნებრივია, კრემლს საბაბიც აღარ დარჩებოდა სამხედრო აგრესიისთვის, მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ, როგორც კი საერთაშორისო საზოგადოება ამ მიმართულებით გააქტიურდა (გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის 15 მაისს მიიღო რეზოლუცია (A/RES/62/249) აფხაზეთში ღეჭილთა დაბრუნების კონკრეტული გრაფიკის შედგენის შესახებ და დაიწყო გეგმების განხილვა საქართველოში რუსეთის „სამშვიდობო ჯარების" საერთაშორისო კონტინგენტით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით), კრემლმა მაშინვე აგვისტოს სამხედრო აგრესია წამოიწყო.

ევროსაბჭოს ზემოხსენებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუცია არ აღიარებს რეგიონის ცალმხრივად გამოყოფის უფლებას".[1]

უნდა ითქვას, რომ ეს რეზოლუცია მიღებულია ანდრეას გროსის 49-გვერდიანი მოხსენების საფუძველზე (დოკუმენტი #9824, 03.06.2003), რომელშიც ვრცლად არის განხილული ავტონომიურობის სამართლებრივი მექანიზმი, ევროპის წარმატებული ავტონომიური რეგიონების მაგალითები და ასევე რეგიონული კონფლიქტები (ამიერკავკასიის კონფლიქტების ჩათვლით). გროსის მოხსენების თანახმად: „თანამედროვე კონფლიქტების სამართლებრივი წყარო ხშირად ხდება დიქოტომია, რომელიც არსებობს სახელმწიფოს ურღვევობის პრინციპსა და იდენტობის პრინციპს შორის... ავტონომია საშუალებას იძლევა სახელმწიფოში არსებულმა უმცირესობის ჯგუფმა დაიცვას თავისი უფლებები, ამასთანავე, შეიქმნას მკაფიო გარანტიები სახელმწიფოს მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად".[2]

იქვე განმარტებულია, რომ „თვითგამორკვევა არ არის სეცესიის სინონიმი და მისი რეალიზაცია შესაძლებელია სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიის სტატუსით ან მსგავსი შეთანხმებით. გარდა ამისა, სეცესია მოითხოვს ორივე მხარის თანხმობას და თანაც, სეპარატისტთა მხრიდან, უნდა ასახავდეს მთლიანი მოსახლეობის და არა მხოლოდ ერთი ჯგუფის ნებას". აქვე დაძენთ, რომ სეცესიის შესახებ ასეთი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულია, რაც, კონკრეტულად, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით მკაფიოდ არის დაფიქსირებული ევროკავშირის საერთაშორისო მისიის ანუ ჰაიდი ტალიავინის კომისიის მოხსენებაშიც („სამხრეთ ოსეთი არ უნდა იქნეს

1 http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta03/ERES1334.htm

2. http://assembly.coe.int/Main.asp?link=http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc03/EDOC9824.htm

აღიარებული... ისევე, როგორც აფხაზეთი"). ამ უკანასკნელში ხაზგასმულია, რომ, როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, ორივე, არის „საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი". თვითგამორკვევის პრინციპი დაფიქსირებულია გაეროს წესდებასა (მუხლი 1 (2)) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 1). თვითგამორკვევის უფლება ამ დოკუმენტებში განმარტებულია, როგორც „ერთიანი ეროვნული ჯგუფის („ხალხის") უფლება თვითონ აირჩიოს პოლიტიკური ორგანიზაციისა და სხვა ჯგუფთან ურთიერთობის ფორმა". ასეთი არჩევანი ანუ პოლიტიკური ორგანიზების ფორმა შეიძლება იყოს: „დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს სახით, სხვა ჯგუფებთან დაკავშირება ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში, ან ავტონომია ან ასიმილაცია უნიტარულ (არაფედერაციულ) სახელმწიფოში". მეორე მხრივ, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიც გაეროს წესდებით არის აღიარებული (მუხლი 2 (4)); ასევე საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუნდამენტური დოკუმენტებით, როგორიცაა საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ გაეროს 1970 წლის დეკლარაცია და 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი. მისიის მოხსენების თანახმად, სახელმწიფოთა ცნობის პრაქტიკიდან გამომდინარე, „თუ არ ჩაეთვლით კოლონიურ კონტექსტს", ფაქტობრივად, არ ხდება სახელმწიფოს ნაწილის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამოუკიდებლობის უნილატერალური (ცალმხრივი) გამოცხადების საფუძველზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „1945 წლის შემდეგ გაეროს არ უღიარებია უნილატერალური სეცესიის შედეგად წარმოქმნილი არც ერთი სახელმწიფო, თუ ასეთ გადაწყვეტილებას ღიად ეწინააღმდეგებოდა ის სახელმწიფო, რომლისგანაც გამოყოფა მოხდა"[3]. (გარკვეულწილად, ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისად შესაძლოა მიეიჩნით კოსოვო, რომლის შესახებ ქვემოთაც ვისაუბრებთ, ხოლო სრულად ეს საკითხი განხილულია 351-ე გვ.-ზე).

საქართველოს კონფლიქტებისთვის სამართლებრივ ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აქ მოხდა ეთნიკური წმენდა (დანაშაული კაცობრიობის წინაშე) და ეს დაფიქსირებულია საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ. 1990-იან წლებში (1992-1994 წწ. და 1998 წ. განმეორებითი ეთნიკური წმენდა გალის რაიონში) აფხაზეთიდან გამოდევნილ იქნა, დაახლოებით, 354 ათასი ადამიანი, აქედან 240 ათასამდე ქართველი, 2008 წელს ზემო აფ-

3. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. II, 3.2 Self-determination and Secession.

ხაზეთიდან (კოდორის ხეობიდან) გამოდევნეს 1 821, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან და მიმდებარე რაიონებიდან — 136 ათასზე მეტი ადამიანი და ამ უკანასკნელთაგან 31 ათასი დღემდე დევნილია (იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია # 1633, 2008).

აფხაზეთში ქართველების მიმართ ეთნოწმენდის განხორციელება დაფიქსირებულია, უპირველესად, ეუთოს 1994, 1996 და 1999 წწ. სამიტების რეზოლუციებში. ბუდაპეშტის 1994 წლის რეზოლუციაში ეუთოს მონაწილე ქვეყნები გამოხატავენ „ღრმა შეშფოთებას „ეთნიკური წმენდის", უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივი გამოდევნისა და უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეთა შორის დიდი მსხვერპლის გამო" (ხაზგასასმელია, რომ ეუთო-ის წევრია რუსეთიც, ანუ ეთნოწმენდის ფაქტები იმდენად აშკარა იყო, რომ კრემლმაც კი ვერ დამალა და ვერ უარყო ისინი).[4]

ლისაბონის სამიტის 1996 წლის დოკუმენტშიც ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ ისინი „გმობენ "ეთნიკურ წმენდას", რომლის შედეგად ადგილი აქვს უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და იძულებით გამოდევნას აფხაზეთიდან. ასევე სეპარატისტების დესტრუქციულ ქმედებებს, რაც ხელს უშლის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას".[5]

სტამბოლის სამიტის 1999 წლის რეზოლუცია, ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტს ეფუძნება. 2008 წლის სამხედრო აგრესიისას ზემო აფხაზეთში (კოდორის ხეობაში) მომხდარი ქართველების ეთნოწმენდის ფაქტი დადასტურებულია ევროკავშირის ეგიდით შექმნილი დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების-დამდგენი მისიის ანუ ჰაიდი ტალიავინის კომისიის მოხსენებაში.

ცხინვალის რეგიონში მომხდარ ეთნოწმენდის ფაქტებზე ყურადღება გამახვილებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებსა და ასევე ევროკავშირის ზემოხსენებული საერთაშორისო მისიის დასკვნაში („ასამბლეა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ სანდო შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და "ბუფერულ ზონებში" მომხდარ ეთნიკურ წმენდას ეხება"; „ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში ისევე როგორც რუსეთისა და ღე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არაღკვეთას და დამნაშავეების არდასჯას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და პუ-

4 http://www.osce.org/documents/mcs/1994/12/4050_en.pdf
5 http://www.osce.org/documents/mcs/1996/12/4049_en.pdf

მანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს...“ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები: 1633, 02.10.2008, 1647, 28.01.2009). „ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აგრესიას ახორციელებს 21-ე საუკუნეში... სამხრეთ ოსეთში ნამდვილად მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც თვით ოსეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა. ამის მტკიცებულებები არსებობს“ (ძ. იორშის განცხადებიდან[6]). „სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და შემდეგაც“[7].

სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ჩვენ ვითხოვდით და ახლაც ვითხოვთ საერთაშორისო სასამართლო სტრუქტურათა აქტიურ ჩართვას კონფლიქტების დროს ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების პროცესში და დამნაშავეთა სათანადოდ დასჯას მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად (2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ კრემლის მიერ 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის გამო). ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალებრივი ბერკეტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვამხილოთ და საბოლოო ვახლვევინოთ კრემლს მის მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა გამო, როგორც ცალკეულ მოქალაქეთა, ასევე საქართველოს სახელმწიფოს წინაშე.

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, რუსეთის წინააღმდეგ უნდა გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები 2008 წლის აგვისტოს აგრესიისა და შემდგომი ოკუპაციის, აგრეთვე, 1990-იან წლებში კრემლის მიერ ორგანიზებული კონფლიქტების შედეგად ჩვენი ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის გამო.

აუცილებელია, რომ საქართველომ საერთაშორისო სასამართლოში წინაშე დასვას საკითხი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციასა და ამის შედეგად მიყენებულ ზარალზე რუსეთის პასუხისმგებელ პირთა გამოვლენის და მათ წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

საქართველოს აქტიურობა შესაძლოა წარიმართოს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

6 http://for-ua.com/news_print.php?news=305384

7. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Report 2009, Vol. I, The Conflict in Georgia in August 2008, P. 27

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
(სტრასბურგის სასამართლო);
2. გაეროს საერთაშორისო სასამართლო
(მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო — პაააგა);
3. საერთაშორისო ტრიბუნალი;
4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ჰაააგა);

პირველი ორი სასამართლო სახელმწიფოს მიმართ მოქმედებს, ხოლო მესამე და მეოთხე – ფიზიკურ პირთა მიმართ.

საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და, აქედან გამომდინარე, იგი ვერ უზრუნველყოფს იქ მცხოვრები მოქალაქეების უფლებათა დაცვას შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების მეშვეობით. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა არაერთი მცდელობისა, გაეუმჯობესებინათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა, იქ ღრმად უხეშად ირღვევა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ამიტომ ამ მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენის ყველაზე ეფექტიან საშუალებად გვეელინება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვა. ევროპულ სასამართლოში განხილული საქმეებიდან არაერთია ისეთი, რომელიც შეიძლება ორიენტირად გამოდგეს ჩვენი მოქალაქეების ინტერესთა დასაცავად.

საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება საშუალებას აძლევს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ პირს, დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სტრასბურგის ევროპულ სასამართლოს. თუმცა, არსებულ ვითარებაში, როდესაც ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევას სისტემატური და მასშტაბური ხასიათი აქვს, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხისადმი სისტემური, ერთიანი მიდგომა, რაც შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული დადგენილებების რეალიზაციით. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ევროპული სასამართლოსთვის მიმართვა არცთუ ისე ადვილი პროცედურაა და მოითხოვს მთელი რიგი აუცილებელი პირობების ხელმიწვდომით შესრულებას.

ჩვენი მოქალაქეების უფლებების აღდგენის მიზნით განხორციელდა საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლი“. ამ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე, მოხდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში

არსებული უძრავი ქონების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება. ფაქტობრივად, ეს ღონისძიება მიმართული იყო ამ ქონების „იურიდიული ფლობის“ დადგენისკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ევროპულ სასამართლოში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარჩელების გამყარებას.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანია საზოგადოებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუცია („საქართველო — რუსეთის ომის შედეგები“, #1633, 2008). რეზოლუციის 22.10-ე პუნქტში აღნიშნულია: „სრულად უნდა მოხდეს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ყველა საშუალების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოყენება, რათა გადაიჭრას კონფლიქტური ვითარების გამომწვევი ძირითადი პრობლემები.“

უნდა ითქვას, რომ კარგი იქნებოდა შესაბამის სტრუქტურებს ეს ინიციატივა საერთაშორისო სასამართლოთა მიმართულებით მუშაობის გააქტიურების შესახებ უფრო ადრე გაეთვალისწინებინათ. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო უკეთ ვიქნებოდით მომზადებული დღევანდელი ვითარებისთვის, როგორც მასალის მოძიების, ასევე სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მხრივ და უკეთ გამოვიყენებდით ხელსაყრელ გარემოებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის განსაკუთრებული ასპექტი სახელმწიფოთაშორისი საჩივრების შეტანის, მიღებისა და განხილვის გამოცდილებაა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, კონვენციასთან მიერთებულ სახელმწიფოს შეუძლია სასამართლოს გადასცეს სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. ეს საშუალება ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მრავალჯერ გამოიყენეს.

აღნიშნული საქმეებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“, რომლის განხილვის შედეგად გაჩნდა ახალი, მნიშვნელოვანი პრეცედენტი, ერთი სახელმწიფოს მიერ, მისი მოქალაქის უფლებათა დარღვევის გამო, მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგის სასამართლოში) სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ასევე ნიკარაგუას დავა შეერთებული შტატების მიმართ (საბოლოოდ, ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-მა უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, თუმცა, ნიკარაგუამ გამოითხოვა თავისი სარჩელი მანამ, სანამ განისაზღვრებოდა საკომპენსაციო თანხა).

ბუნებრივია, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ის საქმეები, რომლებიც კერძო პირთა მიერ უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ დაეის პრეცედენტებს ქმნიან. თითოეულ ასეთ საქმეს აქვს უაღრესად პრინციპული და საორიენტაციო მნიშვნელობა აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადასადგმელი ნაბიჯების თვალსაზრისით.

მაგალითად, აუცილებელია აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“. მრავალი წლის მანძილზე მიმდინარე სასამართლო პროცესმა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში შექმნა ერთ-ერთი თვალსაჩინო და პოზიტიური პრეცედენტი. კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქემ ტ. ლოიზიდუმ, რომელმაც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის თურქეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ საკუთარი ქონებით სარგებლობის უფლება დაკარგა, სასამართლო მოიგო და მოპასუხე თურქეთის რესპუბლიკა იძულებული გახდა მოსარჩელესთვის მიყენებული ზარალი აენაზღაურებინა სოლიდური კომპენსაციით (ეს საკითხი ვრცლად არის განხილული კვიპროსის კონფლიქტზე საუბრისას, იხ. გვ. 499).

უაღრესად მნიშვნელოვანია „ილაშკუსა და სხვების საქმე მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ“, რომლის შესახებ 2004 წლის 8 ივლისს ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოლდავეთის მოქალაქე ი. ილაშკუსა და მისი თანამებრძოლების მიმართ. ამ ქვეყანაში პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტისას დაირღვა ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების თითქმის ყველა ასპექტი. დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლების უკანონო სასამართლომ ილაშკუს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, ხოლო დანარჩენებს მრავალწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ისინი იმყოფებოდნენ რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე და საპყრობილეში განიცდიდნენ არაადამიანურ მოპყრობას. ილაშკუმ და მისმა ჯგუფმა საერთაშორისო თანამეგობრობისა და ადა-

მიანის უფლებების ევროპის სასამართლოს მეშვეობით მიაღწიეს თავისუფლებას და მიიღეს სოლიდური კომპენსაცია (ვრცლად ამ საქმის შესახებ იხ. გვ. 246).

ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლოს პალატამ 2005 წლის 24 თებერვალს გამოიტანა სამი დადგენილება რუსეთის ექვსი მოქალაქის („ხაშიევი და აკაევა რუსეთის წინააღმდეგ", „ისაევა, იუსუპოვა და ბაზაევა რუსეთის წინააღმდეგ", „ზარა ისაევა რუსეთის წინააღმდეგ") საჩივარზე.[8] სასამართლოზე განხილულ იქნა ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეთა მიმართ დარღვეული უფლებები და მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს, რომელმაც შესაბამისი კომპენსაცია გადაუხადა დაზარალებულებს.

ამ საქმეების ანალიზიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა 4 მომენტი:

1) მონაწილე სახელმწიფოების „იურისდიქცია" კონვენციის I მუხლის შესაბამისად, არ შემოიფარგლება ეროვნული სახელმწიფოების ტერიტორიით და ვრცელდება ისეთ ტერიტორიაზეც, სადაც მოცემულ სახელმწიფოს, ამა თუ იმ კანონიერი თუ უკანონო გზით მოპოვებული აქვს ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ასეთ ტერიტორიაზე ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს (მაგ., რუსეთს — დნესტრისპირეთში (მოლდოვაში), ან თურქეთს — ჩრდილო კვიპროსზე (კვიპროსის რესპუბლიკაში)). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო არის რუსეთი, რაც აღნიშნულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633-ე რეზოლუციაშიც /02.10.2008/: „ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს".

2) საერთო წესის თანახმად, სახელმწიფო შეიძლება მოპასუხე იყოს მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მის მიერ კონვენციის სავალდებულოდ აღიარების შემდგომ. ამიტომ, სტრასბურგის სასამართლო არ მიიღებს განსახილველად იმ განაცხადებს, რომლებიც კონვენციის რატიფიკაციამდე არსებულ ფაქტებს შეეხება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დარღვევას განგრძობითი ხასიათი აქვს ანუ როდესაც საქმე შეეხება განგრძობადი ხასიათის დარღვევას შესაბამისი საჩივარი ექვემდებარება ევროპული სასამართლოს განხილვას, თუ აღნიშნული

8. იხ. შ. ბალაბახია, კონფლიქტები, პროგნოზირება, თბ. 2007, გვ. 337-357

დარღვევა გრძელდებოდა პასუხისმგებელი სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების ჩაბარების შემდეგაც.

3) ჩეჩნეთის ომის დროს დაზარალებულ ეთნიკურად ჩეჩენ მოქალაქეთა საქმეებთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას, რომ სტრასბურგის სასამართლომ საგანგებო ყურადღება მიაქცია რუსეთის ჯარების მიერ გამოყენებული სამხედრო იარაღისა (მაგ., სხვადასხვა ნაირსახეობის ბომბების) და სამხედრო დარტყმების პროპორციულობას იმ საფრთხესთან, რომელიც მათ ემუქრებოდა, ასევე სამხედრო ძალის, მაგალითად, ავიაციის გამოყენების მასშტაბს დასახლებულ პუნქტებში ან მათ მახლობლად.

4) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ ზემოხსენებულ ვერდიქტებში, სადაც თურქეთი დადანაშაულებულია ბერძენ კვიპროსელთა საკუთრების ფუნდამენტური უფლებების დარღვევაში, ხოლო მისთვის დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ამ ობიექტებზე ტიტულების გაცემა აღიარებულია უკანონოდ, — მითითებულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვიპროსელ ბერძნებს არ დაუკარგავთ საკუთრება და ისინი მუდამ იყვნენ და რჩებიან ამ საკუთრების ერთადერთ კანონიერ მფლობელებად. აშკარაა, ეს ვითარება ზუსტად შეესაბამება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (უპირატესად, ქართველების) მდგომარეობას და მათ საკუთრებას. ეს დადასტურებულია გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის არაერთი რეზოლუციით, რომელიც მიღებულ იქნა 2008 წლამდე და ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით (A/RES/63/307, 09/09/2009, A/RES/64/296, 07.09.2010), რომლებიც მიღებულია 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ. ამ რეზოლუციათა თანახმად, გენერალური ასამბლეა:

„1) აღიარებს ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და მისი შთამომავლის უფლებას (განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა) დაბრუნდეს თავის სახლში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ჩათვლით;

2) ყურადღებას ამახვილებს იმ აუცილებლობაზე, რომ პატივცემულ იქნეს საქართველოში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებები და რომ მოქალაქეებმა თავი შეიკავონ ამ უფლებათა დარღვევით საკუთრების შეძენისგან;

3) აღასტურებს ძალის გამოყენებით დემოგრაფიულ ცვლილებათა მიუღებლობას;

ნ) ხაზგასმით აღნიშნავს საჭიროებას იმისა, რომ შემუშავდეს

გრაფიკი საქართველოს კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქვეყნა იძულებით გადაადგილებული პირის თავის სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და დაუბრკოლებელი დაბრუნებისათვის".

ამ კონტექსტში, ბუნებრივია, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ ასევე ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც კონფლიქტებისა და აგრესია-ოკუპაციის შედეგად საქართველოსადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ეხება. საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 2006 წლის 17 მარტს მიიღო დადგენილება „კონფლიქტებთან (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ", რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნა.

საქართველოს პარლამენტმა იმავე დღეს მიღებული მეორე დადგენილებით პრეზიდენტს სთხოვა „დაავალოს საქართველოს მთავრობას ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საქმეების მოშზადების მიზნით იურიდიული ფირმის შესარჩევად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება". აღნიშნული დადგენილებების მიღების ინიციატორი იყო პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია.

საპარლამენტო კომისია მიიჩნევს, რომ მიყენებულ მატერიალურ ზარალზე პასუხისმგებლობა იმ ქვეყანას ეკისრება, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს საქართველოს ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებს (რაც დადასტურებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზემოხსენებული 1633-ე /02.10.2008/ რეზოლუციით).

კომისიის თვალსაზრისით, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთისგან აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიყენებული ზარალისთვის სულ მცირე 35 მილიარდი აშშ დოლარი უნდა მოითხოვოს (ეს თანხა საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტს დაახლოებით 10-ჯერ აღემატება). აღნიშნული თანხა მოიცავს როგორც პირდაპირ მატერიალურ და ეკოლოგიურ ზარალს (მაგალითად, აფხაზეთიდან ათასობით ტონა ინერტული მასალის გატანას, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთლიანად შავი ზღვის ეკოსისტემას), ასევე იმ შემოსავალს, რომელიც საქართველოს უნდა მიეღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობიდან, რასაც ამჟამად რუსული კომპანიები სრულიად უკონტროლოდ ახორციელებენ.

ზარალის დაანგარიშება უმჯობესია დაიწყოთ ცალკეული დარგების მიხედვით და როცა ცალკეული, სათანადოდ დასაბუთებული სარჩელი მზად იქნება, არ უნდა გადაიდოთ მისი წარდგენა შესაბამის საერთაშორისო სასამართლოში. მაგალითად, 2005 წლის ნოემბრიდან ჩვენმა საპარლამენტო კომისიამ აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს კონფლიქტურ ზონებში რუსეთის საბანკო სექტორისა და ასევე ფიჭური კომპანიების უკანონო ფუნქციონირების წინააღმდეგ.

რუსეთის ფიჭურ კომპანიათა უკანონო ქმედებების გამო საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად 8-9 მილიონ დოლარს კარგავს. კომისიის აქტიურობას მოჰყვა გამოხმაურება არა მარტო ფიჭურ კომპანიათა, არამედ რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც და ამ საკითხმა მასმედიის ყურადღება მიიპყრო. ყოველივე ამის შემდეგ, იმ პერიოდში, აღნიშნულმა კომპანიებმა უარი თქვეს კონფლიქტის ზონებში მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაზე (საუბარი იყო დაახლოებით 40-50 მილიონ დოლარზე). ამ პროცესებს მოჰყვა ის, რომ რუსული კომპანია „ბილაინი" ლეგალურად შემოვიდა საქართველოს საკომუნიკაციო სივრცეში.

ანალოგიური ვითარებაა რუსეთის ფედერაციის კომერციულ ბანკებთან დაკავშირებითაც. ამჟამად აფხაზურ ბანკებთან საკორესპონდენციო ურთიერთობა გააჩნია რუსეთის 11 ბანკს, ხოლო აფხაზეთის ოფიციალური და კომერციული სტრუქტურები სარგებლობენ 33 რუსული ბანკის მომსახურებით.

მათი უკანონო საქმიანობა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებიდან, კერძოდ, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ნორმებიდან გამომდინარე, უნდა განიხილებოდეს, როგორც არალეგალურ სტრუქტურებთან ურთიერთობა. აშკარაა, რომ საბანკო სისტემის უკონტროლო საქმიანობა ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ფინანსურ მაქინაციებს, მათ შორის, „ფულის გათეთრებას", უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას, ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებას და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არ უნდა შეწყვიტოს თავისი ძალისხმევა იმ დრომდე, ვიდრე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF-ი), ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების ლეგალიზების საწინააღმდეგო ევრაზიული ჯგუფი (EAG), აშშ-ის დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია არ მოახდენენ შესაბამის რეაგირე-

ბას და არ დააფიქსირებენ თავის პოზიციას კონფლიქტურ ზონებში რუსული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებით.

აუცილებელია შესაბამისი მიმართვების გაგზავნა უცხოეთის ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებსა და აღიარებულ საფინანსო ცენტრებში (შვეიცარიის, ლიხტენშტაინის, ავსტრიის და ა.შ.), რათა ამ ორგანიზაციათა მიერ გაკონტროლდეს მათი ზედამხედველობის სფეროში მყოფი საბანკო დაწესებულებათა საკორესპონდენციო ურთიერთობები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ ბანკებთან.

შესაბამისი შეტყობინებითა და თხოვნით უნდა მივმართოთ „სვიფტისა" და საერთაშორისო გადარიცხვების სხვა სისტემების (მაგ. „ტელექსის", „ვიზა ინტერნეიშენალის", „მასტერ ქარდის") სათავო ოფისებს, რომ მათ არ ჩართონ თავიანთ ქსელსა და ცნობარებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ბანკები, როგორც არალეგალური სტრუქტურები.

უნდა შევეცადოთ, აგრეთვე, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე რუსეთის ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები შეტანილ იქნენ იმ საკრედიტო ორგანიზაციათა საერთაშორისო „შავ სიაში", რომელთაც აკრძალული აქვთ აშშ-ისა და ევროკავშირის ყველა წამყვან ბანკთან თანამშრომლობა.

საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს კიდევ უფრო აქტიური მუშაობა მართებთ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიისა და პარლამენტის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ (23.10.2008). ამჟამად არსებობს საკმარისი სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ მოვითხოვოთ კონფლიქტურ ზონებში უკანონოდ მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სამართლებრივი დევნა და ამ მიზნით დავიწყოთ საერთაშორისო სასამართლოებისადმი მიმართვა. ეს საშუალებას მოგვცემს, სულ მცირე, შევზღუდოთ არალეგალურად მოქმედ პირთა გადაადგილება, მათ მიერ საბანკო ანგარიშების გამოყენება ანუ ხელი შევუშალოთ მათი უკანონო ბიზნესის განვითარებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

აუცილებელია საქართველოს მთავრობის შესაბამისმა სტრუქტურებმა განაგრძონ აქტიური კოორდინირებული მუშაობა, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო ფრენის გამო სათანადოდ სანქციები დაეკისროთ ასეთი უკანონო ქმედების ჩამდენ ავიაკომპანიას. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICAO) მუშაობა არ უნდა შეჩერდეს არც იმ მიმართულებით, რომელიც ეხება რუსეთისთვის ხმის უფლების შეჩერებას, ვინაიდან, კრემლმა, ICAO-ს წესდების დარღვევით, სოხუმის

(ბაბუშერის) აეროპორტს საკუთარი საიდენტიფიკაციო კოდი მიანიჭა.

რუსეთის ფედერაციისგან შესაძლო პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა აგრეთვე საქართველოს მთავრობის (უპირველესად, საგარეო საქმეთა სამინისტროს) მიერ შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები იმ მიზნით, რომ, საქართველოს საზღვაო აკვატორიის აფხაზეთის მონაკვეთზე, ევროკავშირის ეგიდით, განხორციელდეს საერთაშორისო მონიტორინგი.

2006 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია გამოეიდა ინიციატივით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც მუშაობა უნდა წარმართოს ბალტიის ქვეყნებთან, უკრაინასთან, პოლონეთთან და თურქეთთან, როგორც მეზობელ ქვეყანასთან და სხვა სახელმწიფოებთან, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის აღიარების მიზნით.

ბალტიელებთან მუშაობის სურვილი განპირობებულია მათი აქტიური ბრძოლით XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ამ ქვეყნების ოკუპაციის აღიარებისთვის.

უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს მიერ 2008 წელი „გოლოდომორის" წლად გამოცხადდა. 2007 წელს მან მოუწოდა, უპირველესად, დასავლეთის ქვეყნებსა და გაერის აღიარონ საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკრაინაში 1932-1933 წლებში ორგანიზებული შიმშილობა და რეპრესიები უკრაინელი ხალხის გენოციდად. ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პერიოდში უკრაინის პოზიცია, სავარაუდოდ, შესუსტდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მოლდაველთის ახალი ხელისუფლება აქტიურობს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება პოლონეთს, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მან მოითხოვა ინტერნირებულ პოლონელ ოფიცერთა კატინის ტყეში დახვრეტის ოფიციალური ვერსიის გადასინჯვა. 2005 წლის 16 აპრილს პოლონეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ მოუწოდა რუსეთს 1940 წელს პოლონელთა მასობრივი მკვლელობების კატორბრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად აღიარებისკენ.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 14 იანვარს მოლდაველთშიც შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის დადგენაზე მუშაობს და ზარალის სავარაუდო ოდენობა 28 მლრდ დოლარად შეაფასა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური კომისია არსებობს ბალტიის სამივე ქვეყანაში და მათი გაანგარიშებით, საბჭოთა რეჟიმის მიერ ამ რესპუბლიკებისთვის მიყენებული ზარა-

ლის ოდენობა 20 მლრდ დოლარიდან 50 მლრდ-მდე მერყეობს.

საინტერესოა, რომ აეღანეთის ხელისუფლებაც განიხილავს რუსეთისაგან კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას ქვეყნის ათწლიანი ოკუპაციის გამო, რომელიც 1979 წლის 27 დეკემბერს აეღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრით დაიწყო.

ყველა ამ ქვეყანას აერთიანებს სამართლიანობის დადგენის სურვილი და შესაბამისი საერთაშორისო სანქციების მოთხოვნა, რასაც კრემლი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ყოველნაირად ეწინააღმდეგება. ხაზგასასმელია, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრეტენზიები უშუალოდ რუსეთს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარ მოვლენებს უკავშირდება.

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ უფრო დიდი აქტუალობა შესძინა აღნიშნულ საკითხს და ზემოხსენებულ ქვეყნებთან ამ სფეროშიც უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მოითხოვა.

რაც შეეხება კონფლიქტების დროს ჩადენილ დანაშაულთა გამო ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობას, ცნობილია, რომ გენოციდის დანაშაულს, ისევე როგორც დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულებსა და აგრესიის დანაშაულს, ითვალისწინებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. ზემოთ უკვე ითქვა, რომ გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია არა სახელმწიფოების, არამედ ფიზიკური პირების გასამართლება, რომლებმაც ჩაიდინეს რომელიმე ზემოდასახელებული დანაშაული. სასამართლოს იურისდიქციის განხორციელება შეუძლია ორ შემთხვევაში:

1) თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი წესდების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეა; და

2) თუ დანაშაული ჩადენილია წესდების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

აქედან გამომდინარე, მართალია, რუსეთი არ არის რომის წესდების მონაწილე სახელმწიფო, მაგრამ მე-2 პუნქტის გათვალისწინებით სასამართლოს იურისდიქცია მაინც შეიძლება გავრცელდეს რუსეთის მოქალაქეზე, რომელმაც დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, რადგან 2003 წლიდან საქართველო არის რომის წესდების მონაწილე სახელმწიფო.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჩადენილ დანაშაულებს

და მათ გამო ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს შეგვიძლია დაეუკავშიროთ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის მოთხოვნაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე არსებობს მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, საქართველოს სახელმწიფომ მაინც უნდა დააყენოს საკითხი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის თაობაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ სასამართლოს წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, წესდება კი 2002 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. სწორედ აღნიშნულ თარიღამდე საქართველოს ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარ დანაშაულთა მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის იდეა. ამ ტრიბუნალის იურისდიქცია, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების მსგავსად, შემოფარგლული იქნება კონკრეტული ტერიტორიითა და დროის მონაკვეთით. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ტრიბუნალის შექმნის შემთხვევაში მისი იურისდიქცია უნდა გავრცელდეს 1991 წლიდან დღემდე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ასეთი ტრიბუნალები დაფუძნდა 1990-იან წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიასა და რუანდაში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით (1993 და 1994 წწ.). გასათვალისწინებელია აგრეთვე 2003 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ბუნდესტაგის დელეგაციის მაშინდელი მეთაურის რუდოლფ ბინდინგის ინიციატივა ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით გაეროს საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ. სწორედ ამ ინიციატივის შედეგად, 2003 წელს ევროპის საბჭომ მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს ჩეჩნეთში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის თხოვნით. თუმცა, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩეჩნეთთან დაკავშირებით ტრიბუნალის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება იმთავითვე არარეალურად მოიაზრებოდა, რადგან რუსეთი ამ საბჭოს წევრია და მას ვეტოს უფლება აქვს. რუსეთმა მართლაც მოახერხა უშიშროების საბჭოში ამ საკითხის „ჩაგდება", იმ საბაბით, რომ ჩეჩნეთის პრობლემა მისი „საშინაო საქმეა", მაგრამ საქართველოს მიმართ მსგავსი არგუმენტი მას ვერ ექნება. ამრიგად, საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის საკითხი შეიძლება დაისვას როგორც „პირდაპირი გზით", ანუ უშუალოდ გაეროში, აგრეთვე, „შემოვლითი გზით" — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მეშვეობით.

ყოველივე ზემოთქმული ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ 2008

წლის სამხედრო აგრესიის შედეგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკა ჩიხში მოექცა და მას მხოლოდ დანიელ ორტეგას ან უგო ჩაესის მარგინალურ რეჟიმთა მხარდაჭერის იმედი თუ შეიძლება ჰქონდეს, ისიც მილიარდობით დოლარის სანაცვლოდ. სამართლებრივ სიბრტყეზე საქართველოს კრემლთან ბრძოლა, არსებითად, უკვე მოგებული აქვს. ამას ადასტურებენ ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, გაერო, რომლის გენერალური ასამბლეის 2008-2009-2010 წლების რეზოლუციებზე (A/RES/62/249,) A/RES/63/307, A/RES/64/296) ზემოთ უკვე ვისაუბრეთ; ხაზგასასმელია ასევე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633-ე და 1647-ე რეზოლუციები (02.10.2008, 28.01.2009), რომლებშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საერთაშორისო საზოგადოების პრინციპული პოზიცია საქართველო-კრემლის დაპირისპირების შესახებ:

„7. ასამბლეა გმობს ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში ისევე როგორც რუსეთის და დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ აღნიშნული ფაქტების არაღიარებას და დამნაშავეების არდასჯას. ასამბლეა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მის მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკისრება რუსეთს...

9.3. მოუწოდებს რუსეთის სრულად და უპირობოდ შეასრულოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, უკან გაიწვიოს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარება, შეასრულოს ევროპის კავშირის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელიც უფლებას აძლევს ეუთოსა და ევროპის კავშირის მონიტორებს შევიდნენ სამხრეთ ოსეთში, საქართველო და აფხაზეთში, საქართველო; და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით იმუშაონ ახალი სამშვიდობო ფორმატისა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბებაზე";[9]

აქვე უნდა გავიხსენოთ ევროკავშირის საერთაშორისო მისიის მოხსენება, რომელშიც გაქარწყლებულია რუსეთის ყველა ბრალდება ქართული მხარის მიმართ და დადასტურებულია ქართველი მოსახლეობის ეთნოწმენდის ფაქტები. ამრიგად, აშკარაა, რომ საქართველოსთან დაპირისპირებაში, სამართლებრივად, კრემლი „გაკოტრებულია" და მას ერთადერთი გზა რჩება — შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს (სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის) შეთანხმება და ევროსაბჭოს საპარ-

9 http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta09/eres1647.htm

ლამენტო ასამბლეის ზემოხსენებულ რეზოლუციათა მოთხოვნები, ანუ გაიყვანოს თავისი საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და გააუქმოს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარების გადაწყვეტილება. სწორედ ასეთი სამართლებრივი მდგომარეობის პოლიტიკურ სიბრტყეზე გადასატანად და მის რეალურად განსახორციელებლად აუცილებელია მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ძალისხმევა საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუციათა მონაწილეობით.

ამ კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს, რომ, ხშირად, კონფლიქტების მოსაგვარებლად მხოლოდ სამართლებრივი მხარის თუნდაც სრულად გარკვევა და ბოლომდე მიყვანა არ კმარა. მაგალითად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის 29 ნოემბრის მოხსენებაში, მისი ავტორი, დევიდ ატკინსონი აღნიშნავს, რომ ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად „მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს განაჩენი საკმარისი ვერ იქნება. კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს დემოკრატიულ დილემასაც, ორიენ ქვეყნის ხელისუფლებათა კომპრომისული გადაწყვეტილებები არ უნდა უპირისპირდებოდეს საზოგადოებრივ აზრს. ამჟამად არსებული საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს მზად საკვანძო საკითხებზე კომპრომისისთვის".[10]

საზოგადოებრივი აზრისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის არა მხოლოდ სამართლებრივ ასპექტს, არამედ კონფლიქტის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ „ისტორიულ სამართლიანობას". იმავე ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, უცხოელი ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ „ისტორია მნიშვნელოვანი ფაქტორია და ორივე ერისთვის მტკივნეული ისტორიული მოვლენები ფართოდ გამოიყენება ეთნიკური სიძულვილის, ძალადობისა და ტერიტორიებზე პრეტენზიის გასამართლებლად".[11]

სწორედ ამიტომაა, რომ კრემლი ათწლეულებია ცდილობს გააყალბოს საქართველოს, განსაკუთრებით კი მისი რეგიონების: აფხაზეთისა და შიდა ქართლის ისტორია და ამ მიმართულებით თავის პროპაგანდისტულ მანქანას სრული დატვირთვით ამუშაებს. „კრემლის ისტორიკოსების" მიერ შეთხზული მითები ისტორიულად „დამოუკიდებელი აფხაზეთის" ან ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" შესახებ სწორედ ამ პროპაგანდის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, აუცილებელია ამ ფსევდომეცნიერების დროული მხილება და მათი „აღმოჩენებისა" თუ

10. http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10364.htm
11. იქვე

„თეორიების" სიყალბის გამოაშკარავება. ამიტომ კრებულში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული ისტორიაზე. სწორედ ისტორიული ფაქტები და მათი ანალიზი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კრემლის მიერ საქართველოსგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩამოშორების მცდელობა არის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების, არამედ ასევე „ისტორიული სამართლიანობის" ფეხქვეშ გათელვა. ცხადია, „ისტორიული სამართლიანობის" განსაზღვრა კონკრეტული კონფლიქტის მიმართ ბევრად უფრო რთული საქმეა, ვიდრე მისი განხილვა საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად, მაგრამ საქართველოს კონფლიქტები ამ მხრივ გამონაკლისია, რადგან ამ შემთხვევაში, „ისტორიული სამართლიანობის" გარკვევაც საკმაოდ იოლია (როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი არსით, ეს ერთიანი, მარტივი კონფლიქტია კრემლსა და საქართველოს შორის და, არსებითად, მთლიანად კრემლის ხარჯზე არსებობს). საქართველოს შემთხვევაში ისტორიული ფაქტები იმდენად მკაფიო და ცრაელისმეტყველია, რომ, მათი გაოვალისწინებით, „ისტორიული სამართლიანობა", შეიძლება ითქვას, თავისთავად ამოდის „ზედაპირზე".

ანტიკური წყაროები და არქეოლოგიური მასალა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ პირველი სახელმწიფო, რომელსაც მიეკუთვნებოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, იყო კოლხეთის (კოლხიდის) სამეფო, რომელიც, მოიცავდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, კავკასიონის ქედის უკიდურესი დასავლეთიდან სამხრეთით, პონტოს მთების აღმოსავლეთი ნაწილის კალთების ჩათვლით (აღმოსავლეთით კოლხიდა ლიხის ქედამდე ერცელდებოდა ანუ კოლხიდის ძირითადი ნაწილი არის ახლანდელი დასავლეთი საქართველო). კოლხიდა შემდეგ ლაზიკამ შეცვალა. აფხაზეთის ტერიტორიის ლაზიკის საზღვრებში არსებობაზე ნათლად მეტყველებს ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმი „ძველი ლაზიკა" (Vetus Lazica), რომელიც თანამედროვე ტუაფსესთან მდებარეობდა. VI საუკუნეში აფხაზეთის სამთავრო (და არა სამეფო), ლაზიკის ნაცვლად, უშუალოდ ბიზანტიას დაექვემდებარა. VIII საუკუნეში აფხაზეთი და ლაზიკა (ეგრისი) ისევ გაერთიანდა, ოღონდ, ამჯერად, „აფხაზური" დინასტიის პრიორიტეტით და ამავე საუკუნის ბოლოდან ხელახლა გაერთიანებულ ლაზიკას „აფხაზთა" სამეფოს უწოდებენ (ან ეგრისს). X საუკუნეში აფხაზეთის (დასავლეთი საქართველოს), ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მეფე ხდება ბაგრატ III (დედით „აფხაზური" დინასტიის გამგრძელებელი) ანუ საქართველო ერთიანდება ბაგრატიონთა დინასტიის (სამხრეთ-დასავლეთი

საქართველოს) პრიორიტეტით. XV საუკუნის ბოლო პერიოდამდე აფხაზეთის საერისთაო XI საუკუნის დამდეგს გაერთიანებული ქართული სამეფოს ნაწილია. XV საუკუნის დასასრულს, საქართველოს დაშლის შემდეგ, აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია, თუმცა, რეალურად, ის უფრო დადიანს ექვემდებარება, რადგან თანამედროვე აფხაზეთის ძირითადი, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ფარგლებშია (იმდროინდელ ევროპულ რუკებზე, სოხუმთან, დაფიქსირებულია „მეგრელთა პორტი"). XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთი (მაჰმადიან და წარმართ ჩერქეზ-ადიღეელთა ჯგუფებთან ერთად) ჩრდილო-დასავლეთიდან თანდათან იკავებს აფხაზეთს და ამ საუკუნის ბოლოს ენგურამდე აფართოებს სამთავროს საზღვრებს. ფაქტობრივად, ოსმალეთს დაქვემდებარებული აფხაზეთის სამთავრო ასეთ მდგომარეობაში იყო XIX საუკუნის დასაწყისამდე (თუმცა, იმერეთის სამეფოსა და დადიანებს აფხაზეთის სამთავროს ფლობის პრეტენზიაზე უარი არ განუცხადებიათ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე არსებით გავლენასაც ინარჩუნებდნენ). XIX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა, თუმცა 1880 წლამდე აფხაზეთი იყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლის ასპარეზი და, რეალურად, აქ სამთავრო, როგორც ტერიტორიული ან, მით უფრო, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა. 1864 წელს დე ფაქტო არარსებული აფხაზეთის სამთავრო ფორმალურადაც გაუქმდა და მისი დიდი ნაწილი ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა). 1917 წლის შემოდგომიდან (რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ), 1918 წლის 26 მაისამდე, აფხაზეთის ტერიტორია იმყოფებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის (მთავრობის) იურისდიქციის ქვეშ. 1818 წლის 26 მაისიდან 1921 წლის მარტამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია (1920 წლიდან ავტონომიის სტატუსით). 1921 წლის მარტიდან 1991 წლის 25 დეკემბრამდე, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, ოკუპირებული და ფაქტობრივად ანექსირებულია საბჭოთა რუსეთის მიერ (საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საბჭოთა სამართლით (მაგ. სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციითაც), აფხაზეთის სსრ და 1931 წლიდან, ასსრ იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი). სსრკ-ის დაშლის შემდეგ დე იურე არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა, ფაქტობრივად კი, ოკუპირებული და ანექსირებული რუსეთის ფედერაციის მიერ.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას,

რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიები წარმონაქმნის (სამთავროს) სახით აფხაზეთი არსებობდა მხოლოდ VI-VII საუკუნეებში, ბიზანტიის ვასალის სახით, მაგრამ ამ დროს აფხაზეთის სამთავრო თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა (მდ. კელასურამდე). აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სამთავრო გაერთიანდა შემდეგ სრულიად უმტკივნეულოდ დანარჩენ ეგრის-ლაზიკასთან. ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მთლიანად თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ყოველთვის იყო ერთიანი საქართველოს ან რომელიმე ქართული სახელმწიფოებრიები წარმონაქმნის შემადგენლობაში.

მეორე საკითხი, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების გარკვევა, შედარებით უფრო რთულია, მაგრამ არც იმდენად, რომ სერიოზული პოლემიკის საგნად იქცეს. ანტიკური წყაროების, არქეოლოგიური მასალისა და ტოპონიმიკის შესწავლა ნათელყოფს, რომ ამ ტერიტორიაზე ავტოქთონურ მოსახლეობას წარმოადგენენ ერთმანეთის მონათესავე კავკასიელი ხალხები, ქართველები (ძირითადად, მეგრელ-ლაზები და სვანები) და აფხაზები. ეს სრულიად ბუნებრიად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ უძველესი დროიდანვე სწორედ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე მიწებს მოიცავდა ის „სასახლერო ზონა", რომელიც ქართულ/კოლხური და ჩერქეზ-ადიღეური ტომების სამფლობელოებს შორის მდებარეობდა. სწორედ ერთმანეთის მონათესავე ეს ტომები ქმნიდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობას.

ეს უდავო ფაქტია ამ სფეროში კომპეტენტური და მეტ-ნაკლებად ობიექტური ისტორიკოსებისთვის.

რაც შეეხება აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, სხვადასხვა მონაცემისა და მათი ანალიზის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1992-1993 წლების კონფლიქტის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარ ეთნიკურ წმენდამდე ქართველები ყოველთვის ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ (ამ საკითხის დეტალური განხილვა იხ. გვ. 115).

ამავე დროს გასათვალისწინებელია ანთროპოლოგთა დასკვნები, რომელთა თანახმად, უდავოა, რომ, ერთი მხრივ, ჩერქეზები, ადიღეელები, ყაბარდოელები და აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები

კავკასიის ავტოქთონური, მონათესავე ტომების შთამომავლები ვარ; უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მართალია, აფხაზები, ლინგვისტური თვალსაზრისით, ჩრდილოეთ-ადიღეურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ ანთროპოლოგიურად დასავლელქართველებთან (მეგრელ-ლაზებთან) უფრო ახლოს არიან (იხ. გვ. 122). ეს არც არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ, რომ მონათესავე მეგრელ/ქართველები და აფხაზები უკვე ათასწლეულების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და თანამედროვე აფხაზების 70%-ს ქართული (მეგრულ-ლაზური) გვარი აქვს. აფხაზეთში არ არსებობდა ქართული ოჯახი, რომელსაც აფხაზი ნათესავი არ ჰყავდა და პირიქით. აღსანიშნავია, რომ რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც ქართველებისა და აფხაზების ურთიერთგადამტერებას ისახავდა მიზნად (ცარიზმის შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა დაიწყო მას შემდეგ, რაც იმპერიამ „დამნაშავე მოსახლეობის" სტატუსი მოუხსნა აფხაზებს), 1990-იანი წლების კონფლიქტამდე აფხაზეთში ქორწინებათა 40% შერეული, ქართულ-აფხაზური იყო.

აფხაზეთის ენობრივ-რელიგიურ-კულტურული სფეროს საკითხების განხილვასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ აფხაზეთი, სულიერ-კულტურული თვალსაზრისითაც, საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ამ მხრივ ხაზგასასმელია, რომ შუა საუკუნეებში ეკლესია არა მარტო რელიგიურ, არამედ უმიშნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა და როცა სწორედ „აფხაზი" მეფეების დროს დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაქვემდებარებიდან გამოვიდა და მცხეთის საკათალიკოსოს შეუერთდა, ეს არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სახელმწიფოებრივ-კულტურული ნაბიჯი იყო. ბერძნულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ჩაენაცვლა ქართული, ბერძნულ ენას — ქართული (როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო დონეზე), აშენდა ქართული ტაძრები, ქართული წარწერებით, გაუქმდა ბერძნული საეპისკოპოსო ფოთსა და გუდავაში და დაფუძნდა ქართული საეკლესიო ცენტრები: მარტვილში (ჭყონდიდი), მოქვსა და ბედიაში.

რაც შეეხება ქართველების მიერ აფხაზური ენისა და კულტურის შეზღუდვას, ამის შესახებ ამომწურავად თქვა ღირსეულმა აფხაზმა პატრიოტმა, აწ განსვენებულმა ლორიკ მარშანიამ: „სწორედ საქართველოსთან კავშირით შეინარჩუნა აფხაზეთმა ეთნოისტორიული სივრცე, თავისი სახე. არც ერთ ყოფილ საბჭოთა ავტონომიას არ ჰქონდა ისეთ დონეზე განვითარებული ეროვნული ეკონომიკა, სოციალური სფერო, ენა, ლიტერატურა, მეცნიერება, კულტურა, კადრების მომზადება, რო-

გორიც აფხაზეთს. აფხაზეთი იყო ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა ყოფილ სსრკ-ში, რომლის კონსტიტუცია შეიცავდა მუხლს სახელმწიფო ენის — აფხაზურის შესახებ".[12]

აფხაზეთთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების შეჯამებასა და მთლიანობაში გააზრებას, ერთ დასკვნამდე მივყავართ:

საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთმიმართებაში მკაფიოდ ჩანს ერთი ტენდენცია — ამა თუ იმ ფორმით აფხაზეთის (ისევე როგორც საქართველოს რომელიმე სხვა კუთხის) დისტანცირება დანარჩენი საქართველოსგან ყოველთვის გარე ძალას უკავშირდება, ეს არის არა აფხაზეთის მოსახლეობის (ან თუნდაც მხოლოდ აფხაზების) უმრავლესობის შინაგანი მისწრაფების გამოხატულება, არამედ. გარედან ინსპირირებული, მთლიანად გარე ფაქტორის ზემოქმედების ინტენსიობაზე დამოკიდებული პროცესი. ასე იყო VI-VII სს.-ში, როცა ბიზანტიის გავლენით აფხაზეთის სამთავრო სულ უფრო დამოუკიდებელი გახდა ეგრისისგან (ლაზიკისგან) და ბოლოს ბიზანტიამ ის უშუალოდ დაიქვემდებარა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ როგორც კი გარე ძალის — ბიზანტიის ზემოქმედება შესუსტდა, აფხაზეთის სამთავროს აფხაზმა მმართველებმა ისევ ლაზიკასთან (ეგრისთან) დაახლოება დაიწყეს, რაც, საბოლოოდ, მათი გაერთიანებით დასრულდა (ამ პროცესის უმტკივნეულოდ განვითარება აშკარად ადასტურებს, რომ ის აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებასაც შეესაბამებოდა). ხაზგასასმელია ასევე, რომ ეს მოხდა აფხაზი მმართველების დომინირებით და ამას ეგრისში რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედრია ანუ აშკარაა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ძალზე მჭიდრო ნათესაური კავშირები არსებობდა, სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ასეთი სწრაფი, უპრობლემო და სრული გაერთიანება. გარე ძალის მიერ აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან ჩამოშორებისა და ამ ძალის შესუსტების შემდეგ აფხაზეთის ისევ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების ეს ზოგადი სქემა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების შემთხვევაშიც განმეორდა. ოსმალეთის, და მასთან დაკავშირებული მაჰმადიანი ჩრდილოკავკასიელების გავლენა, ცხადია, გაცილებით უფრო ძლიერი და მძიმე იყო, ვიდრე ბიზანტიის. ზემოთ საგანგებოდ აღინიშნა რელიგიური ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აფხაზთა შორის ისლამის გავრცელებამ და აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის მიერ შეეიწროებულ-გამოდევნილი მაჰმადიანი და წარმართი ჩერქეზადიღეელთა ნაწილის ჩამოსახლებამ, რასაკვირველია, აფხაზებსა და

12. Л. Маршания, Абхазия, Тб. 2006, ст. 108

ქართველებს შორის არსებული ისტორიულ-ნათესაური მჭიდრო კავშირები, გარკვეულწილად, შეასუსტა. ეს დასტურდება იმ ლაშქრობებითაც, რომლებსაც აწყობდნენ, ერთი მხრივ, ოსმალები, ჩრდილოკავკასიელები და მაჰმადიანი აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები და ქრისტიანი აფხაზები ერთმანეთის წინააღმდეგ. ცხადია, შუა საუკუნეებში შინაფეოდალური ლაშქრობები ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ხშირად ხდებოდა მთლიანად ქართველებით დასახლებულ სამთავროთა შორისაც, მაგრამ XVIII ს.-ში აფხაზეთის ან მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე გამართულ შეტაკებებს „ზედმეტ“ სიმწვავეს გარე ძალა — ოსმალეთი და მასთან დაკავშირებული რელიგიურ-პოლიტიკური ფაქტორი სძენდა (იმ დროისათვის ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს არაერთ კუთხეში). XIX საუკუნიდან თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო და, სახელდობრ, აფხაზეთიც, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ერთ-ერთ საბრძოლო არენად იქცა. აფხაზეთის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ოსმალეთში გადასახლებით რუსეთმა, არსებითად, გაანეიტრალა ოსმალური ფაქტორი აფხაზეთში. და როგორც კი ოსმალეთის ძლიერი ზემოქმედება შეწყდა, აფხაზების ქართული ორიენტაცია ისევ გამოიკვეთა და დაიწყო შესუსტებული ქართულ-აფხაზური კავშირების ინტენსიური განახლება (ეს სულისკვეთება მკაფიოდ არის დაფიქსირებული აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურობის 1870 წლის მოხსენებით ბარათში, იხ. გვ. 72). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში დარჩენილი ქრისტიან ან ნაკლებად რადიკალ მაჰმადიან და წარმართ აფხაზებს შეეძლოთ ქართული ორიენტაცია რუსულით შეეცვალათ, მაგრამ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, დედით ქართველი მიხეილ შარვაშიძისა და მისი ვაჟის, დედით ასევე ქართველის, გიორგი შარვაშიძის ცხოვრების გზა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი „პერსონიფიცირებული“ დადასტურებაა „მუჰაჯირობის“ შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციის (გიორგი შარვაშიძის პოლიტიკური მრწამსი მკაფიოდ ჩანს მის ქართულ ლექსებში, რომელთაგან ერთ-ერთში („მამულს“) ეკითხულობთ: „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, / ჰოი, მამულო, სინათლეს გვისპობს...“[13] გიორგი შარვაშიძისთვის აფხაზეთი და საქართველო განუყოფელი ცნებები იყო, იგი XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის) მხარდამხარ იდგა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიჭაბუკის წლებში თვით იმპერიის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესთან

13. გ.შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ქუთაისი, 2006 გვ. 109

(ალექსანდრე III) დაახლოებულმა გიორგიმ დემონსტრაციულად უარი თქვა ფლიგელ-ადიუტანტობაზე — უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, რომელიც იმპერატორისგან ჰქონდა მიღებული).

„მოჰაჯირობის“ — „ეთნიკური კატასტროფის“ შემდეგ, აფხაზების სწორედ ამ თაობამ გადაარჩინა თავისი ეთნოსი ფიზიკური განადგურებისგან და უახლოესი ნათესაების — ქართველების აქტიური თანადგომით შეინარჩუნა აფხაზური იდენტობა, ენა და კულტურა. აფხაზეთში რუსეთის მომძლავრების შემდეგ, ბუნებრივია, იზრდებოდა იმის შესაძლებლობა, რომ აფხაზების, განსაკუთრებით, ქრისტიანი აფხაზების ქართული ორიენტაცია რუსულით ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც, უპირველესად, აიხსნება მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური მჭიდრო ურთიერთკავშირებით და ასევე „მუჰაჯირობით“. ეს ტრაგედია, ცხადია, დიდ როლს ასრულებდა რუსეთისადმი აფხაზების აშკარად მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. იმპერიას კარგად მოეხსენებოდა ეს ფაქტი, ამიტომაც არ უხსნიდა 30 წლის განმავლობაში აფხაზებს „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსს და კაზაკების ჩასახლებით აფხაზების „რუსულ მასაში გათქვეფას“ გეგმავდა. თუმცა, XX საუკუნიდან იმპერიამ გადაწყვიტა აფხაზების გამოყენება თანდათან მომძლავრებული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ახალი ტენდენციის გამოხატულება იყო აფხაზებისთვის „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსის მოხსნა და ასევე ლ.ვორონოვის ანტიქართული ბროშურის („აფხაზეთი საქართველო არ არის“, 1907) გამოცემა-გავრცელება აფხაზეთში. ცხადია, კაზაკების ჩასახლება ისევე გაგრძელდა, მაგრამ აფხაზების შევიწროების ნაცვლად იწყება მათ მიმართ „ლმობიერი“ და „წამახალისებელი“ პოლიტიკის განხორციელება. მიზანი ბანალურია — „დაყავი და იბატონე“ ანუ აფხაზების არა ფიზიკურად განადგურება (განსხვავებით ჩერქეზებისგან), არამედ მათი გარუსება და ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად გამოყენება დამოუკიდებლობისკენ ქართველთა სწრაფვის წინააღმდეგ (ქართველებს უნდა „შეგვეგნო“, რომ თუ თავისუფლებისთვის ბრძოლას არ შევწყვეტდით, — აფხაზეთს საერთოდ დაკარგავდით). რუსეთის იმპერიის ასეთმა „მანევრმა“ არ გაამართლა, რაც ცხადად დადასტურდა 1916 წელს „აფხაზთა თხოვნით“ (იხ. გვ. 74) და 1919 წელს აფხაზეთში გამართული პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგებით. აშკარა გახდა, რომ რუსეთის იმპერიამ ვერ შეძლო აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციის შეცვლა. ეს ფაქტი, რასაკვირველია, კარგად დაინახეს ბოლშევიკ-კომუნისტებმა და 1921 წლის დასაწყისი-

დანვე, საქართველოს დაპყრობისთანავე დაიწყეს „ურჩი“ საქართველოს დასჯა და მისი დამოუკიდებლობის შესაძლო აღდგენის საწინააღმდეგოდ „ნაღმების“ მომზადება. სწორედ კრემლის ამ „მუშაობის“ შედეგი იყო 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთს „დამოუკიდებელი“ სსრ-ის და 1922 წელს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნა.

უნდა ითქვას, რომ 30-იანი წლებისთვის, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ, იმპერიის მასშტაბით, უკვე საიმედო, სტაბილური კონტროლი დაამყარა და კავკასიაში თურქეთთან დაპირისპირების საფრთხეც მოიხსნა, კრემლმა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების დაპყრობისთვის დაიწყო მზადება. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო სიმშვიდე კავკასიაში, სადაც მდებარეობდა საბჭოთა კავშირისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ბაქოს ნავთობი. ამდენად, საჭირო იყო საქართველოს, როგორც კავკასიის საკვანძო რესპუბლიკის მხარდაჭერაც. ამას უკავშირდება აფხაზეთის სსრ-ის ისევ საქართველოს ავტონომიად გაფორმება, ასევე გარკვეული დათმობები ქართული კულტურის მიმართულებით (მაგ. შესაძლებელი გახდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დაბეჭდვა, მაშინ როცა მანამდე, ილიას ხსენებაც კი სახიფათო იყო).

„კრემლის ისტორიკოსები“ აცხადებენ, რომ აფხაზეთის სსრ-ის ავტონომიად გადაკეთება სტალინის მოთხოვნის გამო მოხდა. რასაკვირველია, ეს, რეალურად, კრემლის ინსტრუქცია იყო, ისევე როგორც სწორედ კრემლის ინსტრუქციის (და არა აფხაზეთის მოსახლეობის ნების) შესაბამისად, „აფხაზეთის რევკომის“ მიერ 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სსრ-ის შექმნა-გამოცხადება. იგივე უნდა ითქვას „აფხაზეთის საბჭოების“ II ყრილობის მიერ 1925 წლის „კონსტიტუციის“ მიღების შესახებაც.

ცხადია, არასერიოზულობა იქნება, თუ ამ ფაქტებს სტალინის ეთნიკურ წარმომავლობას დავუკავშირებთ, როგორც ამას „კრემლის ისტორიკოსები“ დაუღალავად იმეორებენ. ასეთ პრიმიტიულ ლოგიკას სრულ აბსურდამდე მიეყავართ — გამოდის რომ 1921 წელს სტალინს „დააჩუქა“, რომ ეთნიკურად ქართველი იყო და თავისი ეთნიკური საშობლოს დაქუცმაცება დაიწყო: ჯერ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის სსრ შექმნა, შემდეგ კი — საქართველოს შუაგულში ე.წ. „სამხრეთი ოსეთი“ და მის დედაქალაქად ცხინვალი დაადგინა, სადაც მაშინ ოსებზე ბევრად უფრო მეტნი იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ ებრაელებიც და სომხებიც (1 436 ქართველი, 1 651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი); თავისი წარმომავლობა სტალინს არც მაშინ გახსენებია, როცა 20-30-იან წლებში ქართველ თავადაზნაურობასა

და ინტელიგენციას ანადგურებდა, მაგრამ ზუსტად 1931 წელს უცებ „გაახსენდა" თავისი ქართველობა და აფხაზეთი ისევ საქართველოს ავტონომიად აქცია, როგორც ეს დამოუკიდებელი საქართველოს დროს იყო (მაგრამ, როგორც ჩანს 1921 წელს საქართველოსთვის „ჩამოჭრილი" სხვა ტერიტორიების დაბრუნება მაინც დაავიწყდა). ასე თუ ვიმსჯელეთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთი ბოლშევიკი ბელადების მიზანი, როგორებიც იყვნენ მაგ., წარმოშობით ებრაელი ლევ ტროცკი ან პოლონელი ფელიქს ძერჟინსკი საბჭოთა იმპერიის გაძლიერება კი არ იყო, არამედ ებრაელებზე ან პოლონელებზე ზრუნვა. ვისაც ასეთი ახსნა მაინცდამაინც დამაჯერებლად არ მოეჩვენება, შევახსენებთ, რომ სწორედ 20-იან წლებში, სწორედ კრემლის და პირადად სტალინის პოზიცია არაერთხელ შეიცვალა მთიანი ყარაბაღის, ნახჭევანისა და ზანგეზურის კუთვნილების, სტატუსისა თუ საზღვრების საკითხთან დაკავშირებით (იხ. გვ. 181-183). უდავოა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღებოდა არა სტალინის ან რომელიმე სხვა ბოლშევიკ-კომუნისტის ეთნიკური სენტიმენტების საფუძველზე, არამედ საბჭოთა იმპერიის (და არა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის) ინტერესებიდან, იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე.

დიახ, ეთნიკურად ქართველი იყო სტალინი და მან გადაასახლა ქართველების მონათესავე ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) მეორე მსოფლიო ომის დროს შუა აზიაში, ეთნიკურად გერმანული წარმოშობის იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II (ჰოლშტაინ-გოტორფი), რომელმაც ჩერქეზები, ადიღეელები, უბიხები და აფხაზები, გადაასახლა, ეთნიკურად ასევე გერმანელი იყო რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II (სოფია აუგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი), რომელმაც მე-18 საუკუნის დასასრულს აყარა მშობლიური ადგილებიდან ზაპოროჟიელი კაზაკები და ყუბანში ჩაასახლა (ამ დროს დაარსდა ეკატერინოდარი ანუ დღევანდელი კრასნოდარი), რითაც დაიწყო ჩრდილოეთიდან ჩერქეზ-ადიღეელთა შევიწროების პროცესი; ამ მოვლენების, ბელადებისა თუ იმპერატორების შესახებ საუბრისას მთავარი მათი ეთნიკური წარმომავლობა კი არ არის, არამედ ის, რომ ეს ადამიანები, განურჩევლად მათი ეროვნებისა, იმპერიას, რუსეთის (საბჭოთა) იმპერიას ემსახურებოდნენ და სწორედ იმპერიული მიზნების შესაბამისად მოქმედებდნენ, ხოლო დემოგრაფიული ექსპანსია რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი მეთოდი იყო.

მართალია, აფხაზეთის სსრ ავტონომიურ სსრ-დ გადაკეთდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ კრემლმა აფხაზი სეპარატისტე-

ბი გაწირა ან დაიცვა. იდეოლოგიზაციის მოყვარულმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა დაიწყეს ანტიქართული იდეოლოგიის „მეცნიერული“ დამუშავება და შემდეგ გავრცელება აფხაზებს შორის. მათი მიზანი იყო აფხაზების უმრავლესობის ქართული ორიენტაციის შეცვლა საბჭოურ-რუსული ორიენტაციით ანუ აფხაზების გეგმაზომიერი რუსიფიკაცია ძლიერი ანტიქართული აქცენტით. ამ პროცესში კი აუცილებელი იყო რეალური ისტორიის გაყალბება-დამახინჯება. ასე გაჩნდა „მეცნიერული თეორიები“ მაგ. ფინიკიური დამწერლობის „აფხაზური ფესვების“ შესახებ (არადა, აფხაზური ანბანის შექმნის მცდელობები, რუსული და ქართული გრაფიკის გამოყენებით, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება), „აღმოაჩინეს“, რომ შუა საუკუნეების ამიერკავკასიის უდიდესი სახელმწიფო ქართული სამეფო კი არ ყოფილა, არამედ აფხაზური, რომ აფხაზების მთაყარი მტრები ქართველები ყოფილან, რადგან სწორედ მათ წაართვეს აფხაზებს სახელმწიფო, ძველი დიდება, მიწა, ენა — ყველაფერი. ამ აბსურდული „თეორიებისა“ თუ მითების დამკვიდრებისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა „მუჰაჯირობის“ ტრაგედიის უკანა პლანზე გადაწევას და მის ნაცვლად უფრო გვიანდელი, ახალი და, რაც მთავარია, ქართველების მიერ მოწყობილი აფხაზების „ეთნიკური კატასტროფის“ გამოგონებასა და გავრცელებას. ჩანაცვლების სქემა მარტივია: „მუჰაჯირობა“ ცარიზმმა, მეფის რუსეთმა ჩაიდინა, ჩვენ, ბოლშევიკ-კომუნისტებმა კი ცარიზმი დავამხეთ, ჩვენ ახალ, საბჭოთა ქვეყანას ვაშენებთ; „მუჰაჯირობის“ შემდეგ აფხაზები ისევ მრავალრიცხოვანი გახდით (111 780), მაგრამ 1918-1921 წლებში თქვენი ისტორიული მტრების — ქართველების „საოკუპაციო რეჟიმმა“ ახალი „ეთნიკური კატასტროფა“ მოგიწყოთ. ჩვენ, ბოლშევიკ-კომუნისტებმა დავამხეთ დამოუკიდებელი საქართველო, თქვენ გაგათავისუფლეთ და აფხაზეთის სსრ შეგიქმენით, დამოუკიდებლობა მოგანიჭეთ. სტალინის „პიროვნების კულტის“ მხილების შემდეგ მითის გაგრძელებაც შეითხზა: აფხაზეთის ასსრ-დ გადაკეთება თქვენი მფარველი კრემლის ბრალი კი არ იყო, არამედ ისევ და ისევ ქართველების, თქვენ ქართველმა სტალინმა გაღალატათ და ქართველმა ბერიამ ჩამოგისახლათ „ათეულობით ათასი“ ქართველი, თორემ კრემლი ისევ თქვენს გვერდითაა და თუ „კარგად მოიქცევით“ ჩვენი დახმარებით ქართველებს აფხაზეთიდან გაყრით და დამოუკიდებლობასაც მიიღებთ. სწორედ ამ მითის საბოლოო, „მეცნიერულად დასაბუთებული“ ვერსია იყო 1988 წლის ცნობილი „აფხაზური წერილი“, რომლის ანტიქართული პათოსი დიამეტრულად უპირისპირდებოდა აფხაზეთისა და სამურზაყანოს თა-

ვადაზნაურობის 1870 წლის მოხსენებითი ბარათისა და 1916 წლის „აფხაზთა თხოვნის“ სულისკვეთებისგან (იხ. გვ. 72, 74, 114). ანუ კრემლმა 70-წლიან საბჭოურ პერიოდში მოახერხა აფხაზების ნაწილში „ანტიქართული ბირთვის“ შექმნა (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „იდეოლოგიურ დამუშავებას“ თან ერთვოდა აფხაზების სამსახურებრივი დაწინაურება და მატერიალური ხელშეწყობა ეთნიკური ნიშნით, რის გამოც აფხაზობა პრივილეგიასთან გაიგივდა). თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკის მიუხედავად, კრემლმა მაინც ვერ მიაღწია მიზანს, ვერ შეძლო ქართულ-აფხაზური ნათესაურ-ისტორიული კავშირების განადგურება, აფხაზების უმრავლესობის სეპარატისტებად გადაქცევა და მათი ჩაბმა ანტიქართულ ბრძოლაში (ამას ადასტურებს 1991 წლის რეფერენდუმის შედეგები და აფხაზების ძალზე პასიური მონაწილეობა კონფლიქტში). სწორედ ამიტომ, 1992-1993 წლებში კრემლმა ჩრდილოკავკასიელების ფაქტორი „ჩართო“ და მათ მონაწილეობას მაქსიმალურად ფართოდ აშუქებდა მასმედიის საშუალებით, რათა მიჩქმალულიყო „მთავარი გმირის“ — რუსეთის ჯარების გადამწყვეტი როლი საომარ მოქმედებებში.

ისტორიული მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ქართველებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-ნათესაური უახლოესი კავშირები ყოველთვის უძლებდა გარე ძალის ზემოქმედებას (ბიზანტია, ოსმალეთი, ცარიზმი, სსრკ) და როგორც კი გარე ძალის უარყოფითი გავლენა სუსტდებოდა, მაშინვე სწრაფად ვითარდება კავშირების აღდგენა-განმტკიცების პროცესი და პრობლემები უმტკივნეულოდ გვარდება. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ათასწლეულოვან ერთობას და გამოცდილებას ნეოკომუნისტურ-ფაშისტური რეციდივი ბევრს ვერაფერს დააკლებს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის ჯარების მიერ არის ერთადერთი გადამწყვეტი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, ცხადია, ისტორიული მასალის ანალიზის საჭიროება არც კი არსებობს, იმდენად აშკარაა ამ მიწის ისტორიული კუთვნილების საკითხი. აშკარაა, რომ ცხინვალის რეგიონი ყოველთვის საქართველოს ცენტრალური პროვინციის (შიდა ქართლის) ნაწილი იყო და ამ ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობა მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება, ისიც უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში (თუმცა, ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა, ურთიერთთანამშრომლობა საუკუნეებს ითვლის). 1833 წელს მთლიანად საქართველოში 19 324 ოსი

ცხოვრობდა[14]. რაც შეეხება ცხინვალს, 1886 წლის აღწერის თანახმად, ამ ქალაქში, არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა (მონაცემებში დაფიქსირებულია ცხინვალში მცხოვრებთა ოჯახები თავიანთი გვარ-სახელებით). „კრემლის ისტორიკოსებისგან" განსხვავებით, საბედნიეროდ, რუსეთშიც არიან ობიექტური მეცნიერები, რომელთათვისაც კრემლის დანაშაულებრივი პოლიტიკის დანახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი სერგეი არუთუნოვი ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ ამბობს: „ახლა რუკას შეხედეთ. ინგუშეთი. ის პურის საჭერივითაა და თითქოს მას ნახევარწრეზე, კბილებით მოაგლიჯეს ნაწილი. იგივე ითქმის საქართველოზე... მასაც თითქოს კბილებით მოაგლიჯეს სამხრეთი ოსეთი. ეს თავის დროზე ორჯონიკიძემ გააკეთა, როცა ხელოვნურად შექმნა სამხრეთი ოსეთი. შემდეგ ის ოსეთი გახდა. თავდაპირველად კი არანაირი ოსეთი ეს არ იყო. ეს იყო, უბრალოდ, შიდა ქართლი, სამაჩაბლო. ეს იყო შიდა საქართველო"[15]. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ისტორიულ-სამართლებრივი უსამართლობა კარგად ესმის ცნობილ ოს მეცნიერ ვასილ აბაევს: „კავკასიონის მთავარი ქედი არის ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის და მისი შეცელისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას მოჰყვება კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის... უპირველესად, უნდა შეწყდეს ყოველგვარი საუბარი საქართველოსგან სამხრეთი ოსეთის ჩამოშორების შესახებ. საქართველოს არც ერთი მთავრობა ასეთ რამეს არ დათანხმდება და მართალიც იქნება, რადგან ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას".[16]

ვ. აბაევის პოზიცია არის ოსი ხალხის ნამდვილი პატრიოტის პოზიცია, რომლისთვისაც ცხადია, რომ ოსური იდენტობის, ენისა და კულტურის შენარჩუნებაში საქართველომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და კვლავაც უნდა შეასრულოს, რუსეთში კი ოსებს თავიანთი ეროვნული იერსახის დაკარგვა და სრული რუსიფიკაცია ემუქრება. უცხოელებიც აფიქსირებენ, რომ „სხვადასხვა თვალსაზრისით, სამხრეთი ოსეთი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდა ჩრდილო ოსეთს ეთნიკური იდენტურობის აქცენტირების მხრივ. ეს დასტურდება როგორც ოსური ენის, ასევე ოსური სამფეროვანი დროშის გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც პირველად სწორედ სამხრეთ ოსეთში გამოჩნდა".[17]

14. რ. თოფჩიშვილი. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. თბ. 2009. გვ. 75
15. «Эхо Москвы». 2008.12.09.
16. «Независимая Газета». 1992. 22.01
17 http://www.caucasus.dk/chapter4.htm

ამ კონტექსტში ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1988 წლამდე ჩრ. ოსეთში ოსური სკოლა არ იყო, საქართველოში კი 97 სკოლაში სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1988 წელს, საკავშირო გაზეთ „პრავდაში" წერდა ჩრდილო ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ა. გალაზოვი: „მე გულწრფელად მეცოდება ჩემი ეროვნების ახალგაზრდები... როცა ისინი თავიანთ სახლშიც კი ხელოვნურად გრძნობენ თავს ოსური კულტურის ელემენტარული უცოდინრობის გამო. მაგალითად, ეროვნული ახალგაზრდობა მოწყვეტილია მშობლიურ ენას. გასულ წლამდე ჩრდილო ოსეთში არ არსებობდა არც ერთი სკოლა, სადაც სწავლება ოსურ ენაზე იქნებოდა".[18]

თუ ვინმეს დღესაც სჯერა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია და „მცოცავი ანექსია" მარილაც მცირერიცხოვანი ერებისადმი ან იქ მცხოვრები თანამემამულეებისადმი კეთილშობილური „მფარველობის" სურვილით არის ნასაზრდოები, შევახსენებთ, რომ ჰიტლერის „მფარველობა" სუდეტელი და სილეზიელი გერმანელებისადმი, საბოლოოდ, მაშინდელი ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ოკუპაციით დასრულდა. შევახსენებთ ასევე, რომ ვლადიმერ პუტინი სწორედ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხის მიმართ უსასტიკესი „მეორე ომის" წყალობით გახდა რუსეთის პრეზიდენტი, უფრო ზუსტად კი, ამ ომის, მართლაც, კომუნისტურ-ფაშისტური მეთოდებით განახლებისა და ჩეჩნების გენოციდის წყალობით (1994 წელს დაწყებული ჩეჩნეთის ომის შედეგად 200 ათასამდე ჩეჩენი დაიღუპა ანუ რესპუბლიკის ჩეჩენი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი). უშუალოდ პუტინის სახელს უკავშირდება ასევე „ნორდოსტისა" და ბესლანის ტრაგედიები. ეს უკანასკნელი აშკარა დემონსტრირებაა იმისა, თუ რაოდენ ძვირფასია პუტინისთვის ეთნიკური ოსების (თანაც, ბავშვების) სიცოცხლე. როცა 2004 წელს რუსეთის ჯარებმა ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანში შტურმით, მძიმე სამხედრო შეიარაღების გამოყენებით, აიღეს ტერორისტთა ჯგუფის მიერ დაკავებული საშუალო სკოლის შენობა, იქ დაახლოებით 780 ბავშვი იმყოფებოდა, ეთნიკურად, ძირითადად, ოსები; მათგან 186 დაიღუპა, ასეულობით კი დაიჭრა და დასახიჩრდა. თანამემამულეებზე პუტინის „მზრუნველობის" ნიმუშია ასევე სამხედრო წყალქვეშა ნავ „კურსკის" დაღუპვასთან დაკავშირებული ტრაგედია. მაშინ დასავლეთის ქვეყნებმა „კურსკის" ეკიპაჟის გადასარჩენად დახმარება შესთავაზეს პუტინს, მაგრამ მან „სამხედრო საიდუმლოს" შენახვის მოტივით უარი თქვა ამ დახმარებაზე, რითაც სასიკვდილოდ გაწირა მთელი ეკიპაჟი.

18. «Правда», 1988. 11.11.

ეს ყველაფერი არის საბჭოთა უშიშროების სამსახურის მენტალიტეტის გამოხატულება, იმ მენტალიტეტის, რომელიც ტოტალიტარული იმპერიის დაშლას „ისტორიულ კატასტროფად" აღიქვამს. ეს არის მენტალიტეტი, რომელიც ორიენტირებულია არა ცივილიზებული სამყაროს ღირებულებებზე, არამედ ძალადობაზე, „ჯუნგლის კანონებზე". სწორედ ამიტომ აღიზიანებს მას დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს წარმატებები, სწორედ ამიტომ ეძებდა და ეძებს საბაბს საქართველოს სრული ოკუპაციისთვის, რომ ბოლო მოუღოს ამ პატარა ქვეყანას, და მისი სახით, თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმანს კრემლის „ახლო საზღვარგარეთში".

უნდა ითქვას, რომ პუტინი „ღირსეულად" აგრძელებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროინდელი „მზრუნველობის" ტრადიციებს მცირერიცხოვანი, თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ერების მიმართ. საკმარისია აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში თითქმის მთელი ჩერქეზი ხალხი (აფხაზების უახლოესი ნათესავები), ასეულობით ათასი ადამიანი გაასახლეს დასავლეთ იმიერკავკასიიდან, ნაწილი კი გაანადგურეს (შემდეგ ამ ტერიტორიაზე რუსი კოლონისტები ჩამოასახლეს). დღეს ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ სოჭთან, ჩერქეზების ხოცვა-ჟლეტის ადგილას, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი მშენებლობა მიმდინარეობს (რასაც აპროტესტებენ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ჩერქეზთა სათვისტომოები).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს წიგნის ძირითადი დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს სრული დეოკუპაცია და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეესაბამება როგორც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, ასევე „ისტორიულ სამართლიანობას".

ერთი მხრივ, სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის კონფლიქტთა გაცნობა-განხილვამ და, მეორე მხრივ, ამ გამოცდილების გაზიარება ხელს გვიწყობს გავაანალიზოთ და დავსახოთ რეალური გზები ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისა და მისი გამთლიანება-რეინტეგრაციისთვის.

როგორც სამართლებრივი, ასევე ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის, პოსტსაბჭოთა სივრცის ორი, დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტის შესწავლა. მათი ისტორიისა და მიმდინარეობის ანალიზი მკაფიოდ ადასტურებს კრემლის გადამწყვეტ როლს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ყველა კონფლიქტის გაჩაღება-

მართალია. ამ მხრივ საგულისხმოა სომხურ-აზერბაიჯანული ომის ერთერთი თვითმხილველის, ამერიკელი რეპორტიორის თომას გოლტცის ერთი ფრაზა მისი „აზერბაიჯანული დღიურიდან". სწორედ კრემლის კვალთან დაკავშირებით ის ფიგურალურად ამბობს, რომ, მართალია, კრემლის (რუსული) „ავტომატის პოვნა, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდის, რთულია, მაგრამ აქ ყველგან მასრებია მიმოფანტული".[19]

ამ „მასრებს" თვითმხილველები, კავკასიელთა დიდი ნაწილი და ასეთ საკითხებში ჩახედული სპეციალისტები თავიდანვე ხედავდნენ, მაგრამ კრემლის საინფორმაციო საშუალებებთან და ტერორთან ბრძოლა იოლი არ არის (გავიხსენოთ, რამდენი დამოუკიდებელი ჟურნალისტის მკვლელობა ან რამდენი ტელეარხისა და გაზეთის დახურვა-„მოთვინიერება" ედება ბრალად კრემლს); მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთის ყურადღება, უპირველესად, ყოფილი იუგოსლავიისა და ქუვეით-ერაყში მიმდინარე მოვლენებზე იყო კონცენტრირებული.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც, დასავლეთმა ამიერკავკასია, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთს დაუთმო და კრემლმა ამ რესპუბლიკების გასაბჭოება-დამორჩილება თუ მათი საზღვრების გადაკეთება-გადმოკეთება მისთვის ჩვეული ცინიზმითა და დამთრგუნველი სისასტიკით განახორციელა. ყარაბაღის კონფლიქტის განხილვისას აღნიშნულია, თუ როგორ ხდებოდა ყარაბაღისა და ნახჭევანის ავტონომიურ წარმონაქმნთა „ქალალდზე" გადაცემა-გადმოცემა ან საზღვრების „შესწორება". მსგავს მეთოდებს იყენებდა კრემლი საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც, დაწყებული მოლდოვადან და დამთავრებული შუა აზიით. კრემლმა მოლდოვას წაართვა ბუჯაკის რეგიონი — გასასვლელი შავ ზღვაზე, სამაგიეროდ, მისცა დნესტრისპირეთი, რომელიც უკრაინას „ჩამოაჭრა", ჩრდილო კავკასიაში ცალ-ცალკე შექმნეს ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკები (არადა, ერთი მხრივ, ჩერქეზები და ყაბარდოელები და, მეორე მხრივ, ყარაჩაელები და ბალყარები უახლოესი ნათესავები არიან). იმავე მხაკვრული სქემით „დადგინდა" საზღვრები შუა აზიის რესპუბლიკებს შორის. სწორედ ანალოგიური მეთოდებით შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქიც საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ კრემლის მიზანი მაშინაც და შემდეგაც იყო არა პრობლემათა მოგვარება, არა „ისტორიული სამართლიანობის" პრინციპის ან ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების რეალური დაცვა, არამედ, პირიქით, ტერიტორიების გადაცემა-გადმო-

19. Thomas Goltz, Azerbaijan Diary: A Rogue Reporter's Adventures in an Oil-rich, War-torn Post-Soviet Republic. New York: ME Sharpe, 1998

ცემითა თუ ეთნიკური ჯგუფების გადასახლება-გადმოსახლებით ნიადაგის მოშზადება კონფლიქტისთვის ანუ „საიმედო ბერკეტის" შექმნა იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე რესპუბლიკა ან ეთნოსი გაბედავდა და კრემლის მიმართ „ურჩობას" განიზრახავდა. უზარმაზარი რუსეთის იმპერია ხომ სწორედ ბოლშევიკ-კომუნისტთა თვალწინ დაიშალა, მათ ნახეს თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ ხალხთა სწრაფვის ძალა და სწორედ ამიტომ იმპერიის აღდგენა-განახლებისას ისინი შეეცადნენ ბევრად უფრო მეტი და ძლიერი „ნაღმი" ჩაედოთ საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა, პოტენციურად „ურჩ" რეგიონში, უპირველესად კი, ამიერკავკასიაში. ამ „ნაღმების" აფეთქება იყო აუცილებელი კომპონენტი კრემლის გეგმაში, რომელიც სისხლისღვრისა და „მართვადი ქაოსისა" და „ეთნოკონფლიქტის" პროვოცირების შემდეგ, საბჭოთა (რუსეთის) ჯარების აქტიური მოქმედებითა და „ურჩი" ძალის სამაგალითო დასჯით „გვირგვინდებოდა" (ასეთია ის მენტალიტეტი, რომლითაც შეიქმნა საბჭოთა იმპერია და რომელიც ცდილობს XXI საუკუნეში ისევ იმავე მეთოდებით, ისევ ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევის გზით აღადგინოს „ბოროტების იმპერია").

სამართლებრივი თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ საერთაშორისო საზოგადოება, უპირველესად კი ევროსაბჭო, ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაშიც საუკეთესო გამოსავლად რეგიონისთვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭების კარგად აპრობირებულ ევროპულ მოდელს მიიჩნევს.

მსგავსებასთან ერთად, წიგნში გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი განმასხვავებელი შტრიხი საქართველოს კონფლიქტებსა და ამიერკავკასიის მეორე მწვავე, დიდ პრობლემას შორის. ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიული წინაპირობები წარმოჩენილია იმ მასშტაბური, ეპოქალური პროცესის ფონზე, რომელიც მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (იმპერიების რღვევა, მათ ადგილას ბოლშევიკური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის წარმოქმნა, ასევე ახლო აღმოსავლეთში ახალ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება). ნაჩვენებია, აგრეთვე, თანამედროვე დიდი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთა ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით და სწორედ ამ კონტექსტში ხაზგასმულია საქართველოს კონფლიქტების არსობრივი სიმარტივე სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებასთან შედარებით.

კრებულში აღნიშნულია, რომ ყარაბაღის კონფლიქტს ორივე მხარის მოქალაქეთა დიდი ნაწილი სომხურ-თურქული მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების გაგრძელებად აღიქვამს, ხოლო ქართველებს, აფხა-

ზებსა და ოსებს შორის განსხვავებული ისტორიული ტრადიცია არსებობს. ჩვენ ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულ წარსულში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა. პირიქით, აფხაზური და ოსური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება სწორედ ქართულ გარემოში მოხდა.

ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტთა განმასხვავებელ ნიშნებზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების დროს მოხდა ორივე ეთნოსის წარმომადგენელთა „მასობრივი იძულებითი გადაადგილება", ეთნიკური აზერბაიჯანელები გამოდევნეს სომხეთიდან, ხოლო ეთნიკური სომხები აზერბაიჯანის იმ ტერიტორიებიდან, რომელსაც დღეს ბაქო აკონტროლებს.

საქართველოში მომხდარი კონფლიქტების დროს კი ადამიანთა მასობრივი იძულებითი გადაადგილება საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ პირდაპირ არის შეფასებული როგორც „ეთნიკური წმენდა" და, რაც მთავარია, ეს იყო ცალმხრივი და არა ორმხრივი პროცესი, რადგან ეთნოწმენდის მსხვერპლი, უპირატესად, ქართული მოსახლეობა იყო (ყარაბაღის კონფლიქტის სრული განხილვა, იხ. გვ. 162). როგორც ზემოთ აღინიშნა, დნესტრისპირეთის კონფლიქტიც, უპირველესად, იმით იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ, ამიერკავკასიის მსგავსად, აქაც აშკარად ჩანს კრემლის მთავარი როლი კონფლიქტის გაჩაღება-ძართვაში და ამ პროცესში რუსეთის ჯარების (მე-14 არმიის) უშუალო, გადამწყვეტი მონაწილეობა. აქაც, კრემლმა უკვე აპრობირებული სქემით გააღვივა კონფლიქტი: ჯერ ავტონომიურ წარმონაქმნთა უფლებების გაფართოების მოთხოვნები აშკარა სეპარატისტული ქვეტექსტით (ე.წ. სამხრეთი ოსეთის მსგავსად, საბაბის ფუნქცია აქაც სახელმწიფო ენის საკითხმა შეასრულა), შემდეგ „კანონთა ომი", მცირე შეტაკებები და ბოლოს აქტიური საბრძოლო მოქმედებები რუსეთის ჯარების ჩართვით.

ხაზგასმულია, რომ, თავისი არსით, დნესტრისპირეთის კონფლიქტი მარტივი კონფლიქტია და ამ მხრივ ის, „ტიპოლოგიურად", საქართველოს კონფლიქტების მსგავსია; ორივეგან, სამშვიდობო პროცესის წარმატებით განვითარების ძირითადი და, რეალურად, ერთადერთი შემაჩერებელი ფაქტორი არის კრემლის იმპერიალისტური პოზიცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული მისი ჯარები.

ამავდროულად, წიგნში აღნიშნულია, რომ საქართველოს ოკუპირე-

ბული რეგიონებისგან განსხვავებით, დნესტრისპირეთი მხოლოდ 1940 წელს მოექცა მოლდოვას საზღვრებში და რომ კონფლიქტის დროს აქ არ მომხდარა ეთნოწმენდა (ვრცლად დნესტრისპირეთის კონფლიქტთან დაკავშირებული ეს და სხვა საკითხები იხ. გვ. 263).

პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტების შემდეგ წიგნში ცალ-ცალკე, საგანგებოდ არის განხილული ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარი ორი კონფლიქტი: ბოსნია-ჰერცეგოვინა და კოსოვო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა მკაფიოდ წარმოგვეჩინა ის საერთაშორისო მექანიზმი და მისი შემუშავება-გამოყენების პროცესი, რომლითაც საერთაშორისო საზოგადოებამ აქ შეაჩერა ეთნოწმენდა, გენოციდი და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალის მეშვეობით გამოიძია კონფლიქტების დროს მომხდარი უმძიმესი დანაშაულები.

ბოსნია-ჰერცეგოვინისა და კოსოვოს მაგალითები მით უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ ნიჰილისტური მენტალიტეტის იმ ნაირსახეობას, რომელიც საქართველოში მომხდარი ეთნოწმენდისა და მისი შედეგებისადმი შეგუებას ქადაგებს „ურთიერთძალადობის ახალი აფეთქების" თავიდან აცილების საბაბით.[20] (არადა, საუბარია ფართომასშტაბიან ეთნიკურ წმენდაზე — კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე — ეთნიკური ნიშნით, ასეულობით ათასი ადამიანის იძულებით გამოდევნაზე თავისი სახლ-კარიდან, რასაც თან ახლდა მკვლელობები, წამება და სხვა უმძიმესი დანაშაულობანი). აუცილებელია ითქვას, რომ სწორედ ასეთი შემგუებლური დამოკიდებულება უხსნის გზას შემდგომ ძალადობებს, რადგან მოძალადეს დაუსჯელობის იმედი აქვს და დანაშაულის დაუსჯელობა უბიძგებს სხვასაც ასეთი ქმედების ჩადენისკენ.

ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ერთი „ცნობილი პოლიტიკოსის" სიტყვები: „მე ახლახან ვიყავი განთავისუფლებულ რაიონებში... იქ მე ვნახე ზეიმი, ენთუზიაზმი და პირველად ვნახე ასეულობით ათასი ადამიანი სიხარულის ცრემლებით აღსავსე თვალებით... როდესაც დასავლეთში ბატონები ამტკიცებენ, რომ ქართველების მიმართ უსამართლობა მოხდა, ამ ხალხმა თავისი თვალებით უნდა ნახოს რა მოხდა იქ სინამდვილეში. როგორ შეიძლება სიმართლის ასე გაყალბება! მე იქ ვნახე ნანგრევებად ქცეული მთელი სოფლები, ქალაქები." მკითხველი ალბათ ფიქრობს, რომ ეს ადამიანების ტრაგედიით გულმოკლული, რომელიმე „კეთილშობილი პოლიტიკოსის" სიტყვებია, მაგ., ვ. პუტინის, როცა ის „ქართველი ოკუპანტებისგან" „გათავისუფლებული" ცხ-

20. Сергей Маркедонов, «Возвращение невозможно», http://www.polit.ru/author/2010/09/15/abhaz.html

ინვალიდან დაბრუნდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ჰიტლერის სიტყვებია, რომლებიც მან 1938 წლის 5 ოქტომბერს, ნახევაროკუპირებული ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნების შემდეგ წარმოთქვა. ჩვენ მხოლოდ ერთი სიტყვა შევცვალეთ — ჩეხების ნაცვლად, ქართველები ჩავწერეთ. ამ გამოსვლაში ჰიტლერი საუბრობს სუდეტის ოლქის გერმანულ სოფლებზე და „ეთნოკონფლიქტის" დროს, ჩეხებთან შეტაკებებისას, სუდეტელი გერმანელების დანგრეულ სოფლებსა და ქალაქებზე. ჰიტლერმა მაშინ, სწორედ სუდეტელი გერმანელების დაცვის საბაბით, ჩეხოსლოვაკიის ამ ტერიტორიის ოკუპაცია განახორციელა, რაზეც მიუნხენის ხელშეკრულებით დასავლეთისგან, ფაქტობრივად, თანხმობა მიიღო (მიუნხენიდან დაბრუნებულ ჩემბერლენს, ბრიტანეთის მაშინდელ პრემიერს, ლონდონში ოვაციები მოუწყვეს, როგორც „მშვიდობის მომტანს", მიუნხენის ხელშეკრულების აქტიურ მოწინააღმდეგე ჩერჩილს კი იმ დროს „ომის გამჩაღებელს" უწოდებდნენ).

მოგვიანებით საქვეყნოდ გამოაშკარავდა, რომ სუდეტის ოლქის გერმანული მოსახლეობის ლიდერი კონრად ჰენლაინი ბერლინიდან იღებდა ინსტრუქციებს და მისი ამოცანა იყო ისეთი მოთხოვნების წაყენება ჩეხოსლოვაკიის მთავრობისთვის, რომელთა დაკმაყოფილება პრაჰას, უბრალოდ, არ შეეძლო; ანუ ჰიტლერი საბაბს ეძებდა სუდეტის ოკუპაციისთვის და იქაური „ეთნოკონფლიქტი" მისი პირდაპირი „შვილთა" იყო. სუდეტის ოკუპაციისადმი შემგუებლურმა დამოკიდებულებამ „წაახალისა" ჰიტლერი და სტალინი, „ძმურად" გაეყოთ პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, მთელი აღმოსავლეთი ევროპა, რასაც, საბოლოოდ, მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა. სწორედ ყველაფერისადმი შემგუებლური დამოკიდებულება იწვევს ცივილიზებული საზოგადოების ღირებულებათა კრიზისს, რადგან უმძიმესი დანაშაულის დაუსჯელობასაც კი ურიგდება და ამით „მწვანე შუქს" უნთებს ყველა ჯურის მოძალადეს. ასეთი ნიჰილისტური ლოგიკა, თითქოს პირდაპირ არ ქადაგებს ძალადობას, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ეს უარესია, რადგან თავისი გულგრილობით ძირს უთხრის ცივილიზებული მსოფლიოს ფუნდამენტურ ღირებულებებს, ამ ღირებულებების ერთადერთი ალტერნატივა კი არის „ჯუნგლის კანონი" ანუ ძალადობა (საშუალოდ, კრეშლი 21-ე საუკუნეშიც სწორედ ძალადობას აბკვიდრებს, როგორც უმთავრეს ღირებულებას და ღღესაც „საბჭოთა იმპერიის" აღორძინებას ცდილობს; ამ პროცესში მას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფაშიზმი განსამართლდა, მაგრამ საბჭოთა კომუნიზმი — არა, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა კარგად იციან, რომ ნაციზმი და საბჭოთა კომუნიზმი

„ტყუპი ძმები" არიან და სწორედ ამ ქვეყნების ინიციატივით მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ „ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმების" დამგმობი რეზოლუციები (# 1096 (1996), # 1481 (2006). აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია, საქართველოს საზოგადოებრიე მაუწყებელთან (ტელევიზის პირველ არხთან) და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროექტს „ოკუპაცია", რომელიც დოკუმენტური ფილმების სახით წარმოაჩენს კრემლის მიერ სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ოკუპაციას შორის არსებულ პარალელებს).

საბედნიეროდ, საერთაშორისო საზოგადოებას კარგად ესმის ყველაფრისადმი შემგუებლური იდეოლოგიისგან მომდინარე დამანგრეველი საფრთხე, რასაც ადასტურებს, თუნდაც, გაეროს გენერალური ასამბლეის 2010 წლის 7 სექტემბრის კენჭისყრის შედეგებიც, როცა ასამბლეამ, კრემლის აქტიურ მცდელობათა მიუხედავად, თავისი რეზოლუციით (A/RES/64/296), დაგმო „დემოგრაფიული ვითარების ძალადობით შეცვლა" და დაადასტურა ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება (იხ. გვ. 638).

უახლოეს წარსულში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემგუებლური იდეოლოგიის პრინციპული, კატეგორიული უარყოფის დემონსტრაცია იყო 1990-იან წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები.

1993 წლის 22 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარ სამხედრო დანაშაულთა გამოსაძიებლად საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ. ამასთანავე, 1993-1994 წლებში გაეროს იმავე სტრუქტურის მიერ მიღებული რეზოლუციებისა (# 816, 836, 838, 958) და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, ნატოს დაეკისრა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პროცესის შეჩერება. მას შემდეგ, რაც ნატოს საჰაერო დარტყმების შედეგად ძალადობა შეწყდა, დეიტონის ხელშეკრულებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების (S/RES/1031, 1034,1035 (1995)) თანახმად, ბოსნია-ჰერცეგოვინაში განლაგდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა დაუბრუნდა თავის სახლ-კარს.

გარდა ამისა, საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ გამოძიებულ იქნა ომის დროს ჩადენილი დანაშაულები (2008 წლისთვის საერთაშორისო

სასამართლოთა მიერ უმძიმეს სამხედრო დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულ იქნა 45 სერბი, 12 ხორვატი და 4 მაჰმადიანი). უნდა ითქვას, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სერბები და ხორვატები ამხილეს უმძიმეს სამხედრო დანაშაულთა სისტემატურ, ორგანიზებულ ჩადენაში, ბოშნიაკები (ბოსნიელი მუსლიმები) კი — ინდივიდუალურ შემთხვევებში. სერბებს ბრალი დასდეს გენოციდისა და ეთნიკური წმენდის განხორციელებაში, ხორვატებს — ეთნიკურ წმენდაში, ბოშნიაკებს — ჟენევის კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევაში.[21]

ასეთი დიფერენცირება განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან ზოგიერთები ცდილობენ უგულებელყონ საქართველოს კონფლიქტების დროს ჩადენილ დანაშაულთა შორის არსებული განსხვავებანი და ერთმანეთთან გააიგივონ ერთეულების მიერ ჩადენილი დანაშაულები მასშტაბურ ეთნოწმენდასთან.

1998-1999 წწ.-ში, ბოსნია-ჰერცეგოვინის მსგავსად განვითარდა მოვლენები კოსოვოშიც. ხაზგასასმელია, რომ როცა მილოშევიჩის რეჟიმმა, გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთი რეზოლუციის მიუხედავად, მაინც არ შეწყვიტა კოსოვოელი ალბანელების ეთნოწმენდა, ნატომ საავიაციო, წერტილოვანი დარტყმებით დაბომბა ბელგრადში მდებარე იუგოსლავიის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, ასევე მილოშევიჩის სოციალისტური პარტიის ოფისი (ამ უკანასკნელის დაბომბვასთან დაკავშირებით ჟურნალისტის შეკითხვაზე პრეზიდენტ კლინტონის პასუხი ასეთი იყო: „ტანკები და ჯარისკაცები იქ (კოსოვოში) არიან იმიტომ, რომ მათ იქ წასვლა უბრძანეს იმ ადამიანებმა, რომელთაც სჯერათ ეთნიკური წმენდის. და ამიტომ უსამართლობა იქნება ამ კონფლიქტში მიზანში რომ არ იყოს ამოღებული სარდლობაც. სწორედ ამიტომ დაიბომბა, მაგალითად, სოციალისტური პარტიის ბელგრადის ოფისიც").

მას შემდეგ, რაც 1999 წლის 10 ივნისს მილოშევიჩის რეჟიმმა დაიწყო ჯარების გაყვანა კოსოვოდან და გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია, კოსოვოში განლაგდნენ საერთაშორისო ძალები და საწყის ორ კვირაში 415 900 ლტოლვილი დაბრუნდა თავის სახლ-კარში). აგვისტოსთვის კი იძულებით გადაადგილებულ პირთა 90% უკვე დაბრუნებული იყო კოსოვოში (მათი საერთო რაოდენობა 850 ათასზე მეტი იყო).

ბოსნია-ჰერცეგოვინისა და კოსოვოს მაგალითები მკაფიოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მიერ შე-

21. Institute for War and Peace Reporting,Tribunal Update: Briefly Noted (TU No398, 18 March 2005

მუშაებულია კონკრეტული მექანიზმი ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოსაფხვრელად, სახელდობრ, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ჯარების გასვლა კონფლიქტის ზონიდან, ამ ტერიტორიაზე საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება და შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. რაც შეეხება კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულებს, საერთაშორისო სასამართლო სტრუქტურები იძიებენ ამ საქმეებს, ხდება კონკრეტულ დამნაშავეთა დადგენა, მათი დაკავება და წარდგენა საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. ანუ, არსებითად, მთელი სქემა სრულად არის ჩამოყალიბებული და არაერთხელ აპრობირებულიც (ცხადია, სულაც არ არის საჭირო, ყველა შემთხვევაში, მაინცდამაინც, ნატოს ავიაციის ჩართვა, ყოფილ იუგოსლავიაში ასეთი აუცილებლობა გაჩნდა იმის გამო, რომ არ წყდებოდა გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტები და ამ პროცესის შესაჩერებლად სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობდა). საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდის პროცესი, ძირითადად, დასრულებულია (გამონაკლისია გალისა და ახალგორის რაიონების გარკვეული ქართული სოფლები). ამიტომ აქ ნატოს ავიაციის გამოყენების ალბათობა ნაკლებად არსებობს. კრემლს სხვა რამის ეშინია; მისთვის ზემოხსენებული საერთაშორისო სქემის ამოქმედება იქნება ყველაზე მძიმე რამ, რადგან ამ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც მას მოუწევს, არის 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის შეთანხმების შესრულება და თავისი ჯარების სრულად გაყვანა საქართველოდან, მათ შორის, აფხაზეთიდან და ე.წ. „სამხრეთი ოსეთიდან" (კრემლის ბინადართა საბჭოური მენტალიტეტისთვის ამის წარმოდგენაც კი სრულ კატასტროფას ნიშნავს). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ აქ განლაგდებიან საერთაშორისო სამშვიდობო ძალები (მაგ., ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურის ქვედანაყოფები) და დაიწყება იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება.

აქვე ხაზგასასმელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს უცდია ქართული მხარის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა მიჩქმალვა, პირიქით, ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ საერთაშორისო სასამართლო სტრუქტურის მიერ კონფლიქტის დროს მომხდარ დანაშაულთა გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აფხაზების ეთნიკური წმენდა ქართულ მხარეს არ ჩაუდენია (რასაც ადასტურებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის, ეუთოს

1994, 1996 და 1999 წწ.-ის სამიტთა დოკუმენტები).

ჩვენ მიერ კოსოვოს კონფლიქტის ცალკე განხილვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ბუნებრივია, იყო დასავლეთის მრავალი სახელმწიფოს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა, ანუ ე.წ. „კოსოვოს პრეცედენტი". კრებულში დეტალურად არის მოცემული საქართველოს კონფლიქტების მიმართება, მსგავსება-განსხვავებები კოსოვოს კონფლიქტთან.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, უპირველესად, კოსოვოელი ალბანელებისადმი განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას უკავშირდება; ესაა ერთგვარი მხარდაჭერა ეთნოწმენდის მსხვერპლთა მიმართ და მათი უსაფრთხოების გარანტიის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯი (სამართლებრივი თვალსაზრისით, ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, გარკვეული საფუძველი შეუქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციამ). კრემლის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად" აღიარება კი, პირიქით, ეთნოწმენდის, ამ დანაშაულის ჩამდენთა პირდაპირი წახალისება და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების სრული უგულებელყოფაა ანუ ეს არის გამოწვევა მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის. სწორედ ასე აღიქვამს კრემლის ქმედებებს საერთაშორისო საზოგადოება და არ ცნობს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" "დამოუკიდებლობას" (გამონაკლისია მხოლოდ დანიელ ორტეგა, უგო ჩავესი და ნაურუს ხელისუფლება, თუმცა მათაც კი, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებლობა" კრემლისგან მიღებული გარკვეული თანხის სანაცვლოდ ცნეს).

აქვე მოკლედ შევეხებით სხვა ძირითად განმასხვავებელ ფაქტორებს. დავიწყოთ ისტორიული მომენტებით:

1) 1980-იანი წლების ბოლოს, იმ პირობებში, როცა კოსოვოს მოსახლეობის თითქმის 90% ეთნიკურად ალბანელი იყო, სერბიის ხელისუფლების მიერ ამ ავტონომიური მხარის უფლებების შეზღუდვის ერთადერთი „არგუმენტი" მხოლოდ „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა შეიძლებოდა ყოფილიყო. სერბების „სიმართლე" ემყარებოდა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ კოსოვო იყო „ძველი სერბიის" ნაწილი და XII-XVIII საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობას ნამდვილად სერბები შეადგენდნენ (ეს ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დასასრულს).

მაგრამ ალბანელ კოსოვარებსაც ჰქონდათ თავიანთი „ისტორიული სიმართლე". ისინი აცხადებდნენ, რომ კოსოვოს მიწა ისტორიულად,

სლავების მოსვლამდე, მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ და რომ სწორედ „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა იყო კოსოვოში მათი დაბრუნება-დამკვიდრება და სერბიისგან დამოუკიდებლობის მიღწევა.

საქართველოს შემთხვევაში ასეთი „გაორებული" „ისტორიული სიმართლისთვის" არანაირი საფუძველი არ არსებობს. ისტორიული წარსულიდან, საქართველოს მეზობლად აგრესიული იმპერიების არსებობის ფაქტიდან გამომდინარე, ისე მოხდა, რომ მე-20 საუკუნეში საქართველოს თავისი ისტორიული ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი შემორჩა (ისტორიზმის პრინციპს რომ ბრმად მივყვეთ, „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენის მოტივით, საქართველოს შეუძლია ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს ზოგიერთ მეზობელს, მაგალითად, რუსეთს). მთლიანად დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოქთონური მოსახლეობა ვართ ქართველები, ხოლო აფხაზეთში ავტოქთონები არიან ასევე აფხაზებიც. იმავეს ვერ ვიტყვით ცხინვალის რეგიონის ოსებზე, რომელთა ძირითადი ნაწილი მხოლოდ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამკვიდრდა ამ რეგიონში.

2) კოსოვოს რთული წარსულიდან გამომდინარე, იყო პერიოდები, როცა ამ მიწა-წყალზე ხან ალბანელები (და მათი სავარაუდო წინაპარი ილირიელები) იყვნენ უმრავლესობაში, ხან კი — სერბები. თუნდაც მხოლოდ მე-20 საუკუნის მოვლენები რომ განვიხილოთ, I და II მსოფლიო ომში დაპირისპირებულ ძალთა წარმატება-წარუმატებლობიდან გამომდინარე (სერბები და ალბანელები, ძირითადად, სხვადასხვა მხარეს იბრძოდნენ), კოსოვოში არაერთხელ მოხდა ის, რასაც დღეს ეთნიკური წმენდის კვალიფიკაცია ეძლევა. შესაბამისად, ძალადობრივი გზით იცვლებოდა დემოგრაფიული ვითარებაც.

საქართველოს, უფრო ზუსტად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიაში ასეთი ფაქტები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით 1990-იან წლებსა და 2008 წლის აგვისტოს აგრესიას. შეუძლებელია დასახელდეს ისტორიული პერიოდი, როცა, მაგალითად, აფხაზეთში ქართველები უმცირესობაში იყვნენ. რაც შეეხება ე.წ. „სამხრეთ ოსეთს" ეს იყო მთლიანად რუსულ-საბჭოური „პროექტი" და აქ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსების ინტენსიური ჩამოსახლება რუსეთიდან სრულიად მიზანდასახულად ხორციელდებოდა, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე თანდათანობით ოსური უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად.

3) კოსოველი ალბანელები და სერბები ერთმანეთისგან განსხ-

ვავდებიან, როგორც ეთნიკურად, ასევე რელიგიურადაც, უკანასკნელი 4-5 საუკუნის განმავლობაში მათ, ფაქტობრივად, არ უცხოურიათ ურთიერთთანადგომის, ურთიერთთანაშრომლობის ატმოსფეროში, პირიქით, როგორც წესი, სისხლისმღვრელ კონფლიქტებში ისინი დაპირისპირებულ მხარეთა გვერდიგვერდ იბრძოდნენ.

ფაქტია, რომ მე-20 საუკუნეში სერბებმა ორჯერ რუსეთის (შეფის რუსეთისა და სსრკ-ს) და ერთხელ ანტანტის დახმარებით დაიბრუნეს კოსოვო და იქაურ ალბანელებს სასტიკად გაუსწორდნენ. 1915 და 1941 წლებში, პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას, პირიქით, კოსოვარებმა გამოიჩინეს სისასტიკე კოსოვოელი სერბების მიმართ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის მათი „ისტორიული უნდობლობა" ერთმანეთის მიმართ.

სერბებისა და ალბანელებისგან განსხვავებით, ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის ასეთი დაპირისპირება არასოდეს ყოფილა. ჩვენ ერთობლივი ცხოვრების, ბრძოლისა და თანაშრომლობის მრავალსაუკუნოვანი წარსული გვაკავშირებს. XIX საუკუნეში, „მუსაჯირობის" დროს, როცა რუსეთმა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნამდვილი გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო ჩერქეზებს და მათ მონათესავე უბიხებსა და აფხაზებს, სწორედ ქართველები დაუდგნენ გვერდით თავიანთ კავკასიელ თანამოძმეებს, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ქართველების მფარველობა აფხაზების მიმართ სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ნათესაობას და იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში ქართველები ტრადიციულად უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ და, თუნდაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, გარეშე მტერთან ბრძოლის ძირითადი სიმძიმის გადატანაც მათ უხდებოდათ (მსგავსია ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიაც).

4) კოსოვოს ისტორიულ წარსულში იყო პერიოდები, როცა ის ნამდვილად არ იყო სერბეთის შემადგენლობაში.

იმ ტერიტორიას, რომელსაც დღევანდელი აფხაზეთი მოიცავს, მჭიდროდ მთლიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით არასოდეს უარსებია და ის ყოველთვის იყო ან მთლიანი საქართველოს, ან რომელიმე ქართული სამეფოს ან გუბერნიის შემადგენელი ნაწილი და ამ ტერიტორიაზე ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ.

რაც შეეხება ე.წ. „სამხრეთ ოსეთს", უნდა ითქვას, რომ ეს სტრუქტურა 1922 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპა-

ცია და ფაქტობრივი ანექსია (მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმაც ცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით).

5) ბელგრადისა და კოსოვოელი ალბანელების ურთიერთდამოკიდებულებაში იმედისმომცემი პრეცედენტი შექმნა ბროზ ტიტომ, როცა 1974 წლის კონსტიტუციით კოსოვოს ფართო ავტონომიური უფლებები მიანიჭა, მაგრამ 1980-იანი წლების ბოლოს კოსოვარები დარწმუნდნენ, რომ ბელგრადი ისევ მათი დათრგუნვის გზას დაადგა. 80-იან წლებში მილოშევიჩის მიერ იუგოსლავიაში დაწყებული „პერესტროიკის" მთავარი ნიშანი იყო სერბული ნაციონალიზმი. ეთნიკური პრობლემების აქტუალიზაციას თვით ბელგრადი უჭერდა მხარს, რადგან „ისტორიულ უსამართლობად" მიიჩნეოდა 1974 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ „დამთმობ კურსს" ფედერაციის სუბიექტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. 1989 წლის მარტში სერბეთის სკუპშჩინის მიერ ფედერალური დაქვემდებარების კოსოვოს ავტონომიური რეგიონის „შეერთება" და მისი უფლებამოსილების შეზღუდვა (რასაც მოჰყვა, სულ მცირე, ათეულობით ათასი კოსოვოელი ალბანელის მიერ სამსახურის დაკარგვა) ერთგვარი „რევანშის" მცდელობა იყო, რომელმაც კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა კონფლიქტის გამწვავების პროცესში.

90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ მილოშევიჩის რეჟიმს თანამშრომლობასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება არ შეეძლო არათუ ისტორიულად დაპირისპირებულ ალბანელებთან, არამედ ეთნიკურად უახლოეს თანამოძმეებთან: ბოსნიელ მუსლიმანებთან, ხორვატებთან, სლოვენებთან და ბოლოს ჩერნოგორიელებთანაც კი. კოსოვოელმა ალბანელებმა ბოსნიის ომის მაგალითზე ნახეს, რომ დამოუკიდებელი სერბიის (სერბია-ჩერნოგორიის ფედერაციის) ხელისუფლება და შეიარაღებული შენაერთები მზად არიან სასაკლაო მოუწყონ თავიანთ უახლოეს ნათესავებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მაჰმადიანები არიან. ალბანეთში ამტყდარმა სამოქალაქო ომმა და ხშირმა შინადაპირისპირებამ, ბუნებრივია, შეასუსტა კოსოვოელ ალბანელთა სწრაფვა ალბანეთთან გაერთიანებისკენ, ეს იყო ერთგვარი შანსი ბელგრადისთვის, მაგრამ მილოშევიჩს მხოლოდ იძულების ბერკეტის გამოყენება ეხერხებოდა, მხოლოდ სამხედრო ძალით აპირებდა კოსოვოს შენარჩუნებას.

სრულიად სხვა ვითარება იყო საქართველოში. 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შედეგად 9 ივ-

ლისს მიღებულ იქნა ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც განისაზღვრა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ადგილების გადანაწილება ეთნიკური პრინციპით. აფხაზებს, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 17,8%-ს შეადგენდნენ დაეთმოთ 28 ადგილი, ხოლო ქართველებს, რეგიონის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს (45,7%) — მხოლოდ 26 ადგილი (11 ადგილი შეხედათ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს).

ევროპული მასშტაბით, შეუძლებელია მოიძებნოს მსგავსი თანაფარდობა ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობასა და ავტონომიის სახელისუფლო ორგანოში მის წარმომადგენლობას შორის. იმ პერიოდში მიღებული კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი) უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი (საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი, აფხაზეთში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფუნქციონირებდა აფხაზური სკოლები, აფხაზური სექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზური თეატრი, ტელევიზია. ცხინვალის რეგიონს, ავტონომიური ოლქის სტატუსიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლები უფლებები ჰქონდა, მაგრამ ოსური ენა და კულტურა აქ არანაირ შეზღუდვას არ განიცდიდა).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ყოველთვის ცდილობდა მისი დამოკიდებულება აფხაზებისა თუ სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ კონსტრუქციული ყოფილიყო.

ჯერ კიდევ 1919 წლის 13 თებერვალს სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობის ხელშეწყობით, აფხაზეთში გაიმართა პირველი, საყოველთაო არჩევნები. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა "დებულება აფხაზეთის ავტონომიის მმართველობის შესახებ და იმავე დღეს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლში დაფიქსირდა ავტონომიური მმართველობა აფხაზეთში.

სწორედ ასეთი ტრადიცია გააგრძელა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2005 წელს წარადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოს მიერ (ანუ რუსეთის მიერაც) იქნა მოწონებული. შემდეგაც, ფაქტობრივად, ყოველწლიურად საქართველოს ხელისუფლება

სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივით გამოდიოდა კონფლიქტების მოსაგვარებლად და ამ ინიციატივებს საერთაშორისო საზოგადოებაც მხარს უჭერდა. მაგ., 2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს ახალი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა, რომელიც ითვალისწინებდა, მაგალითად, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომელსაც ეროვნებით აფხაზი დაიკავებდა, ამ გეგმით აფხაზებს გარანტირებული ექნებოდათ წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, ასევე ვეტოს უფლება აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონთან დაკავშირებით, აგრეთვე, საერთაშორისო გარანტიები აფხაზეთის შეუზღუდავი ავტონომიისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვითარებას, რეალურად არა აფხაზები ან ოსები, არამედ კრემლი აკონტროლებდა და აკონტროლებს, უპირველესად, თავისი სამხედრო დანაყოფების მეშვეობით, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგაც, ამა თუ იმ ფორმითა და სტატუსით, მუდმივად იქ არიან განლაგებული. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტრუქციული წინადადებები შესაბამის ეფექტს არ იძლევა, რადგან კრემლის მიზანი არის არა მშვიდობა, არამედ საქართველოს დაშლა, თანხმობის არდაშვება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. სწორედ ამიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას, რის შემდეგაც რეალურ პერსპექტივას შეიძენს პირდაპირი დიალოგი სოხუმთან და ცხინვალთან და ყველა საკამათო საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგაც ერთგულია საერთაშორისო სამართლის პრინციპების და აგრძელებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების კურსს. მისი მიზანია 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების მიღწევა, საქართველოს ორივე რეგიონის დეოკუპაცია, ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლებისა და საპოლიციო კონტინგენტის განლაგება და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება. ნდობის აღდგენისა და პირდაპირი დიალოგის მიმართულებით, კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად შემუშავებულია სახელმწიფო სტრატეგია და სპეციალური სამოქმედო გეგმა.

6) 1990-იან წლებში მთელი ცივილიზებული მსოფლიო, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპა, ზეიმობდა საბჭოთა იმპერიის დაშლას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ყოველნაირად ცდილობდნენ

კრემლისგან დისტანცირებას და ევროპულ თუ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. სრულიად საპირისპირო კურსი ჰქონდა მილოშევიჩის რეჟიმს, რომელიც კრემლის დახმარებას იმედით დაუპირისპირდა დასავლეთს, ნატოს და სწორედ კრემლის მფარველობის იმედით განახორციელა ფართომასშტაბიანი ეთნოწმენდა როგორც ბოსნიაში, ასევე კოსოვოში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნები მხარს უჭერდნენ იუგოსლავიის (სერბია-ჩერნოგორიის ფედერაციის) სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას (1991 წლის 18 ოქტომბერს აშშ-მა, ევროკავშირმა და სსრკ-მა ერთობლივი განცხადებით დაადასტურეს ეუთოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, "ევერი ქვეყნები არასოდეს ცნობენ გარე ან შიდა საზღვრების ცვლილებას, რომელიც ძალის გამოყენებითაა მიღწეული"). მათი ასეთი პოზიცია მკაფიოდ არის დაფიქსირებული გაეროს შესაბამის რეზოლუციებში (S/RES 1199, S/RES 1244), მაგრამ მილოშევიჩის ხელისუფლებას მაინც იმთავითვე უკიდურესად ანტიდასავლური პოზიცია ჰქონდა.

კრემლის ღირებულებები და მეთოდები (რომლებიც იმ დროს უკვე მკაფიოდ ჩანდა მცირერიცხოვანი ჩეჩენი ერის გენოციდის ან აფხაზეთში მოწყობილი ეთნოწმენდის მაგალითზე), უფრო ახლობელი აღმოჩნდა მილოშევიჩისთვის, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ის ზოგადადამიანური ფასეულობები, რომელთაც ეფუძნება საერთაშორისო სამართლი და რომელთა თანახმად, გენოციდი და ეთნოწმენდა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

ამ კონტექსტში სრულიად აშკარაა პრინციპული განსხვავება მილოშევიჩის იუგოსლავიასა და საქართველოს შორის. დამოუკიდებელი საქართველო, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობასთან ერთად, სწორედ ზემოხსენებულ ზოგადადამიანურ ღირებულებათა ერთგულია; მისი პოლიტიკური ორიენტაცია სწორედ ამ ფუნდამენტურ არჩევანს ემყარება და, ბუნებრივია, სწორედ აქედან გამომდინარე, დღემდე კომუნისტურ-ფაშისტური იდეოლოგიისა და მეთოდების მიმდევარი კრემლის მუდმივი სამიზნეა. 1990-იან წლებშიც და 2008 წლის აგვისტოშიც, კონკრეტულ პოლიტიკურ ამოცანებთან ერთად, კრემლის მიზანი იყო სამაგალითოდ დაესაჯა თავისუფლებისთვის, ზოგადადამიანური ღირებულებისთვის მებრძოლი საქართველო. კრემლის ინტერპრეტაციით, საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ „საფრთხეს უქმნის რუსეთს", მაგრამ სინამდვილეში საქართველოს „ურჩობა" სახიფათო პრეცედენტს ქმნის არა რუ-

სეთისთვის, არამედ პუტინ-მედვედევის რეჟიმისთვის. თავისუფლებისთვის, ზოგადადამიანური ღირებულებებისთვის ბრძოლის მაგალითი გადამდებია და თანაც ყველა კეთილი ნების ადამიანში მხარდაჭერის სურვილს აღძრავს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აგვისტოს ომის დროს, 12 აგვისტოს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, თბილისში ჩამოფრინდნენ პოლონეთის, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების პრეზიდენტები, აქ იყვნენ ასევე სხვა დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები და იმ კრიტიკულ ვითარებაში ყველანი ქართველი ხალხის, საქართველოს გვერდით დადგნენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მილოშევიჩის რეჟიმს მხოლოდ კრემლი უჭერდა მხარს და ბელგრადი, მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, სრულ იზოლაციაში მოექცა; საქართველოს გვერდით კი, პირიქით, მთელი საერთაშორისო საზოგადოება დგას, რადგან ჩვენი მოითხოვნები ეფუძნება, უპირველესად, ზოგადადამიანურ ღირებულებებსა და საერთაშორისო სამართალს.

7) 1980-იანი წლების დასასრულ კოსოვოს სტატუსის შეცვლის პრეცედენტი ბელგრადმა დაუშვა, ბელგრადმა გადადგა უკანონო ნაბიჯები, როცა კოსოვოს 1974 წლის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები შეუზღუდა და, ფაქტობრივად, ფედერალური დაქვემდებარების ავტონომიური მხარე (რომელსაც ვეტოს უფლება ჰქონდა ფედერალურ დონეზეც კი) სერბიის რესპუბლიკის შემადგენლობაში „დააბრუნა", რისთვისაც, სრულიად უკანონოდ, კოსოვოს ასამბლეის ყალბი „თანხმობაც" გამოიყენა.

საქართველოში პირიქით მოხდა. კრემლის მიერ მართულმა სახელისუფლებო ჯგუფებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ცალმხრივად, პროვოკაციულად შეცვალეს ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსი. ეს იყო არა აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის, ან თუნდაც ზემოხსენებული ჯგუფების გადაწყვეტილება, არამედ კრემლის „პასუხი" საქართველოს სწრაფვაზე დამოუკიდებლობისკენ (რაც საქვეყნოდ გამოჩნდა 1989 წლის 9 აპრილს და შემდგომ პერიოდში).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება (როგორც კომუნისტური, ასევე დემოკრატიულად არჩეული) თავს არიდებდა ავტონომიური სტრუქტურების წარმონაქმნებთან დაპირისპირებას და მათ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი გაუქმებით კმაყოფილდებოდა, სანამ ეს სტრუქტურები ასე თუ ისე ითვალისწინებდნენ რეალობას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვითარება შეიცვალა მხ-

ოლოდ მას შემდეგ, რაც რეალური საფრთხე გაჩნდა, რომ კრემლი დააკმაყოფილებდა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" თხოვნას და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ოლქის ტერიტორიას ფედერაციის სუბიექტად ცნობდა. ამ შემთხვევაში „საბჭოთა ფედერაცია" ანუ კრემლი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების „ლეგიტიმურ საფუძველზე" „ჩამოაჭრიდა" საქართველოს ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, იქ განალაგებდა თავისი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს და საქართველოს ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან სსრკ-ის ჯარებთან დაპირისპირების რესურსები საქართველოს, ცხადია, არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, თავდაცვის ერთადერთი მექანიზმი საქართველოსთვის სამართლებრივი ბერკეტი იყო (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც 1991 წლის 9 აპრილს მოხდა). სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, სხვა გზა აღარ ჰქონდა და უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებით გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", და შესაბამისად, ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოც.

აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პირველი პირების (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების): ზ. გამსახურდიასა და ბ. ელცინის შეხვედრა, რომელიც დასრულდა მათ მიერ მოლაპარაკების ოქმის ხელმოწერით. ოქმის მესამე პუნქტში ვკითხულობთ: „რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას"[22]. ანუ ამ დოკუმენტით რუსეთმა რეალურად აღიარა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ" და საქართველოს ხელისუფლებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენა სთხოვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც აფხაზეთის, ასევე ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" ავტონომიურ სტრუქტურათა საკანონმდებლო ორგანოები, რომლებმაც ზემოხსენებული გადაწყვეტილებები მიიღეს, „არჩეული" იყო საბჭოთა ეპოქაში (1985 წელს), ერთპარტიული სისტემის პირობებში, როცა თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე

22. რუსეთის ფედერაცია საქართველოში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტის კრებული. თბ. 2005. გვ. 68

საუბარიც კი ზედმეტი იყო და ამ საბჭოების დეპუტატები კრემლიდან, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინიშნებოდნენ; ანუ ეს გადაწყვეტილებები კრემლის დაკვეთას წარმოადგენდა და არა ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

8) სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, ერთი მხრივ, კოსოვოს და, მეორე მხრივ, აფხაზეთისა და ე.წ „სამხრეთი ოსეთის" „დამოუკიდებლობის" აღიარების წინაპირობები და მოტივაცია.

გაეროს მონაცემებით, მილოშევიჩის რეჟიმის მიერ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის შედეგად მხოლოდ 1999 წლის დასაწყისში 850 000 კოსოვოელი ალბანელი გახდა იძულებული მიეტოვებინა სახლ-კარი და კოსოვოდან გადახვეწილიყო. იმავე წელს ნატოსა და გაეროს აქტიური ჩარევის შედეგად, კოსოვოში გენოციდი და ეთნოწმენდა შეჩერდა. მხარის ტერიტორიაზე დროებითი მმართველობის განხორციელება გაეროს იკისრა, ნატოს ჯარების მეშვეობით შეიქმნა უსაფრთხოების გარანტიები ალბანელი ლტოლვილების შინ დასაბრუნებლად (მხოლოდ ორ კვირაში 400 000 ლტოლვილი დაბრუნდა).

ხაზგასასმელია, რომ სწორედ ლტოლვილების უდიდესი უმრავლესობის დაბრუნების შემდეგ, 2004 წელს, გაეროს უშუალო მეთვალყურეობით, კოსოვოში ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და სწორედ ამ პარლამენტმა გამოაცხადა 2008 წლის 17 თებერვალს კი კოსოვოს დამოუკიდებლობა.

აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდის შედეგად კონფლიქტამდელი მოსახლეობის 46%, 240 000-მდე ქართველი დევნილად იქცა. აქედან ოფიციალურად, გაეროს ეგიდით დაბრუნებული და დარეგისტრირებულია მხოლოდ 312 ქართველი. 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა (აქედან 31 ათასი დღემდე დევნილად რჩება). ამ დევნილთა უმრავლესობა ქართველია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობისადმი სოლიდარობა ნიშნავს ეთნოწმენდის მსხვერპლთა (მათი უსაფრთხოების) მხარდაჭერას, ხოლო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის მომხრენი ეთნოწმენდის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს უცხადებენ მხარდაჭერას, მით უფრო, რომ ეს არის ფსევდოდამოუკიდებლობა, რეალურად კი კრემლი ახორციელებს საქართველოს ამ რეგიონების „მცოცავ ანექსიას".

9) სერბეთსა და კოსოვოში უცხო ქვეყნის ჯარები არ იდგნენ, რაც

მნიშვნელოვნად ზღუდავდა გარე ძალების გავლენას კონფლიქტზე. ასეთ ვითარებაში მასობრივ არეულობებისა და შეიარაღებულ დაჯგუფებათა შეტაკებების აღკვეთა მილოშევიჩის ხელისუფლებისთვის, ცხადია, უფრო გაადვილებული იყო, მით უფრო, რომ 1991 წლიდან, ბელგრადი, ფაქტობრივად, უშუალოდ მართავდა კოსოვოს. ასეთ პირობებში არსებობს შესაძლებლობა ექსტრემისტული, დესტრუქციული ძალების მარგინალიზაციისთვის და საზოგადოების ზომიერი, კონსტრუქციულად განწყობილი ნაწილის გააქტიურებისთვის, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გამოაშკარავდა, მილოშევიჩის ხელისუფლება თავად იყო მომხრე ყველაზე ექსტრემისტული და დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენებისა (გენოციდისა და ეთნოწმენდის), შესაბამისად, კოსოვოელი ალბანელებისა და სერბების ურთიერდამოკიდებულება უკიდურესი რადიკალიზაციის გზით წარიმართა, რამაც დიდი გასაქანი მისცა საზოგადოების იმ ძალებს, რომელთათვისაც, მაგალითად, ეთნოწმენდა მისაღები გზა იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში პრინციპულად განსხვავებული რეალობა არსებობდა. აქ კრემლს ჰქონდა 4 დიდი ბაზა და კიდევ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული ათეულობით მსხვილი სამხედრო ობიექტი. ასეთ ვითარებაში კრემლისთვის რთული არ იყო ქართული პოლიტიკური სპექტრის ნაწილის გამოყენებით შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირება საქართველოში და ამ დაპირისპირების „სამოქალაქო ომად" წარმოჩენა. 1991 წელს, პრეზიდენტ გამსახურდიას დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ადგილების ყველაზე მეტი რაოდენობის დათმობა უმცირესობაში მყოფი აფხაზებისთვის აშკარად ადასტურებს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კონსტრუქციულ პოზიციას და ვითარების რადიკალიზაციისადმი წინააღმდეგობის ნებას. ასეთი ხელისუფლება, ცხადია, მისაღები ვერ იქნებოდა იმპერიული კრემლისთვის. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ე.წ. „თბილისის ომი" რეალურად იყო კრემლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მიზნად ისახავდა თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველოს სამაგალითოდ დასჯას, მის დანაწევრებას, და შესაბამისად, მისი სახელმწიფოებრიობის საერთოდ გაუქმებას.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაფერს „ზაკეო" — ამიერკავკასიაში კრემლის სამხედრო შტაბი განაგებდა. მათ საქართველოში შექმნეს "მართვადი ქაოსი" და არეულობის დროს

ციხეებიდან გამოუშვეს ქართველი, აფხაზი, ოსი თუ სხვა ეროვნების კრიმინალები, მიაწოდეს იარაღი და საშუალება მისცეს გაეძარცვათ, დაერბიათ მშვიდობიანი მოსახლეობა, რამაც განუკითხაობის, სასტიკი ძალადობის, სისხლისღერის „აგორებისთვის" აუცილებელი პრეცედენტები შექმნა. ასეთი „ფონის", ასეთი დამნაშავეების დაწინაურების, მათთვის რეალური ძალაუფლების გადაცემისა და ხელისუფლების სათავეში მოყვანის გარეშე, ე.წ. „ქართულ-აფხაზური" ან „ქართულ-ოსური" „ეთნოკონფლიქტები" ვერ განხორციელდებოდა. ამგვარმა „კომუფლაჟმა" 90-იან წლებში კრემლს საშუალება მისცა „ნეიტრალური მშვიდობისმყოფლის" სტატუსით დარჩენილიყო საქართველოში.

2008 წლის აგვისტოს ომმა კი კრემლი ამ ნიღბის გარეშე დატოვა და მთელი მსოფლიოს დასანახად გამოააშკარავა ის, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, — რეალური კონფლიქტი არის არა ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს, არამედ საქართველოსა და კრემლს შორის.

სამართლებრივი თვალსაზრისით, იმ პრობლემასთან შედარებით, რომლის წინაშეც იდგა საერთაშორისო საზოგადოება კოსოვოს კონფლიქტის დროს, საქართველო-კრემლის დაპირისპირება გაცილებით მარტივი მოსაგვარებელია, რადგან საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება კრემლისგან, უპირველესად, მოითხოვს თვით პრეზიდენტ მედვედევის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების შესრულებას, ანუ რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. სხვა საქმეა, რომ ფაქტობრივი განხორციელების მხრივ ძალზე რთულია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა დაცვა და საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებების (მაგ. გაეროს, ევროსაბჭოს რეზოლუციათა) შესრულება აიძულო იმ ადამიანებს, რომლებიც 21-ე საუკუნეში ისევ კომუნისტურ-ფაშისტური მენტალიტეტისა და მეთოდების ერთგული არიან.

არსებობს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოსა და კოსოვოში მომხდარ კონფლიქტებს შორის, მაგრამ მათი აქ განხილვა შორს წაგვიყვანს (იხ. გვ. 342).

კრებულში დიდი ადგილი დავუთმეთ პალესტინის კონფლიქტს, რადგან ზემოხსენებული საერთაშორისო სამშვიდობო მექანიზმების შემუშავება, არსებითად, სწორედ ამ კონფლიქტის მოგვარების მცდელობისას დაიწყო (მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური დოკუმენტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა უმრავლესობა, საკმარისია ითქვას, რომ 1947 წელს, ის-

რაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის გაჩაღებული ომის დროს გაერო მხოლოდ 2 წლის შექმნილი იყო).

პალესტინის კონფლიქტის შედარება საქართველოს კონფლიქტებთან, ცხადია, სწორედ ასეთ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი, რადგან თავისი არსით, სირთულითა და სიღრმით პალესტინის პრობლემა, რასაკვირველია, სულ სხვა „განზომილების" მოვლენაა (პირველი მსოფლიო ომის დასასრულ ახლო აღმოსავლეთში, „ევრაზიის ბალკანეთად" წოდებულ ტერიტორიაზე დაიწყო მასშტაბური, ურთულესი პროცესი — თანამედროვე სახელმწიფოთა ჩამოყალიბება, რომელიც რამდენიმე ათწლეულია გრძელდება).

1947 წლის 29 ნოემბერს პალესტინის პრობლემის შესახებ ისტორიული გადაწყვეტილება გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო (რომლის 181-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა პალესტინის გაყოფას ორ: ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ). ამ მექანიზმმა საქართველოს მიმართაც წარმატებით იმუშავა, როცა რუსეთის დესტრუქციული პოზიციის გამო, 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ შეუძლებელი გახდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი რეზოლუციები საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით. კრემლის თაეგამოდებული მცდელობების მიუხედავად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2009 და 2010 წლებში მიიღო რეზოლუციები (A/RES/63/307, 09/09/2009, A/RES/64/296, 07.09.2010), რომელთა თანახმად, გენერალური ასამბლეა:

„1) აღიარებს ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და მისი შთამომავლის უფლებას (განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა) დაბრუნდეს თავის სახლში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით;

2) ყურადღებას ამახვილებს იმ აუცილებლობაზე, რომ პატიჟცემულ იქნეს საქართველოში კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებები და რომ მოქალაქეებმა თავი შეიკავონ ამ უფლებათა დარღვევით საკუთრების შეძენისგან;

3) ადასტურებს ძალის გამოყენებით დემოგრაფიულ ცვლილებათა მიუღებლობას;

6) ხაზგასმით აღნიშნავს საჭიროებას იმისა, რომ შემუშავდეს გრაფიკი საქართველოს კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და დაუბრკოლებელი დაბრუნებისათვის".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, იძულებით გადაადგილებულ

პირთა თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება და მათი ქონებრივი უფლებების განსაზღვრაც პირველად სწორედ პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით მოხდა.

დევნილებისა და ლტოლვილების დაბრუნების საკითხი პირველად დაფიქსირებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1948 წლის 11 დეკემბრის რეზოლუციაში (# 194 (III)). ისრაელმა მაშინ უარი თქვა ამ რეზოლუციის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ 600 000 პალესტინელი არაბის ადგილი დაიკავა 850 ათასამდე ებრაელმა, რომელთაც არაბული ქვეყნებიდან წამოსვლა მოუწიათ. ამ დევნილი ებრაელების საკითხი საგანგებოდაა წარმოჩენილი აშშ-ის კონგრესის # 185-ე (EH) რეზოლუციაში (1 აპრილი, 2008წ.). წარმომადგენელთა პალატამ ყურადღება გამახვილებულა იმ ფაქტზე, რომ პალესტინელი დევნილებისგან განსხვავებით, ებრაელ დევნილთა შესახებ მსოფლიოში ნაკლებად არის ცნობილი (თუმცა ამ ებრაელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ის დევნის გამო კი არა, იდეური მოსაზრებების გამო დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში). რეზოლუციაში დამოწმებულია გაეროს კონფერენციის მიერ 1951 წელს მიღებული „დევნილის სტატუსის" დეფინიცია, ასევე 1957 წელს დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის (UNHCR) განმარტება, რომ არაბული ქვეყნებიდან გამოქცეული ებრაელები არიან ლტოლვილები და მათი საკითხი გაეროს ამ უწყების კომპეტენციას მიეკუთვნება. იქვე ხაზგასმულია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციაში (22.11.1967) არსებული ფრაზა: „დევნილთა პრობლემის სამართლიანი მოგვარება", ეხება, როგორც პალესტინელ (არაბ), ასევე ებრაელ დევნილებს, რასაც ადასტურებს სსრკ-ის წარმომადგენლის კუზნეცოვის წარუმატებელი მცდელობა რეზოლუციაში დაფიქსირებულიყო მხოლოდ „პალესტინელ დევნილთა" პრობლემა.

კონგრესის რეზოლუცია განმარტავს, რომ აშშ-ის თვალთახედვით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარება შეუძლებელია ყველა დევნილის, მათ შორის, პალესტინელების, ებრაელების, ქრისტიანების თუ სხვათა ლეგიტიმური უფლებების თანაბრად დაცვის გარეშე (აღსანიშნავია, რომ არაბთა სამშვიდობო ინიციატივა ანუ, ფაქტობრივად, საუდის არაბეთის სამშვიდობო ინიციატივა, რომელსაც არაბული ქვეყნების უმრავლესობა მიემხრო, ითვალისწინებს ისრაელის 1967 წლის ომამდე არსებულ საზღვრებში დაბრუნებას და ამ შემთხვევაში „დევნილების პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას" და არა მათ და მათ შთამომავალთა უპირობო დაბრუნებას ან მათთვის სრული კომპენსაციის გაცემას).

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე გაგებით, ეთნოწმენდა პალესტინაშიც განხორციელდა და მის მახლობლადაც: ერთი მხრივ, ებრაელებმა გამოაძევეს არაბები და, მეორე მხრივ, მეზობელი არაბული ქვეყნებიდან არაბებმა გამოაძევეს ებრაელები, მაგრამ მაშინ ეთნოწმენდის სამართლებრივი გაგება არ არსებობდა (ზოგადად ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის დროსაც გამოიყენებოდა, მაგრამ სამართლებრივი დატვირთვა 90-იან წლებში შეიძინა, როცა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში A/RES/47/121 (18.12.1992) ჩაიწერა, რომ სერბეთი და მონტენეგრო ბოსნიაში ახორციელებდნენ „ეთნიკურ წმენდას', რომელიც არის გენოციდის ფორმა" და შემდეგ გაეროს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა ბოსნია-ჰერცეგოვინის საჩივარი სერბეთ-მონტენეგროს წინააღმდეგ). გარდა ამისა, არსებობს თვით არაბი ლიდერების დოკუმენტურად დადასტურებული განცხადებები, რომლებშიც ისინი მოუწოდებენ პალესტინელ არაბებს დატოვონ დასახლებული პუნქტები და დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც ტერიტორია „გაიწმინდება ებრაელებისგან" (ასეთი მოწოდებები, ძირითადად, საომარი მოქმედებების დაწყებამდე გაისმოდა). სწორედ ამიტომ არის პალესტინასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი დევნილების დაბრუნება.

სრულიად სხვა ვითარებაა საქართველოს კონფლიქტების შედეგად გაჩენილ დევნილებთან და ლტოლვილებთან დაკავშირებით. ეუთოს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა თუ ევროკავშირის საერთაშორისო მისიის მოხსენებასა თუ რეზოლუციებში დაფიქსირებულია, რომ ისინი სწორედ ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი არიან. გაეროს რეზოლუციებში ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული მათი უფლება დაბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარში, უფრო მეტიც, 2008, 2009 და 2010 წლების რეზოლუციებით (S/RES/1808, A/RES/62/249, A/RES/63/307, A/RES/64/296) გაეროს გენმდივანს ეთხოვა გრაფიკის მომზადება მათი უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად (პალესტინელ დევნილებთან დაკავშირებით პრობლემას ართულებს ისიც, რომ მათი საცხოვრებლის დიდი ნაწილი დაიკავეს იმ ებრაელმა ლტოლვილებმა, რომლებიც 1948-49 წლებში გამოდევნეს არაბული ქვეყნებიდან. საქართველოში, აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში", ასეთი პრობლემა არ არსებობს, რადგან დევნილთა სახლების უმრავლესობა დღესაც ცარიელია ანუ ერთადერთ პრობლემას ქმნის რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელიც მთლიანად განაპირობებს დევნილთა პრობლემის მოუგვარებლობას).

პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელთა „ეროვნული სახლის" (1917

წლის „ბალფურის დეკლარაციის" ფორმულირება) დაფუძნების შესახებ მსოფლიოში თავდაპირველად აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაციზმმა დაახლოებით 6 მილიონი ებრაელი იმსხვერპლა, საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია გამოიკვეთა. ებრაელთა გენოციდი იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განსაზღვრა გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობის მიერ პალესტინის გაყოფის გეგმის მხარდაჭერა. ებრაელები ითხოვდნენ მცირე ტერიტორიას, „ეროვნულ თავშესაფარს" თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. იმიგრანტები არ თაკილობდნენ დასახლებას უდაბურ, აუთვისებელ მიწებზე. ეს ფაქტები იმდენად მრავლისმეტყველი იყო, რომ 1947 წელს ებრაული სახელმწიფოს დაფუძნებას გაეროს წევრი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ მისცა ხმა (33-მა 13-ის წინააღმდეგ).

ამ ფონზე მკაფიოდ ჩანს საქართველოსადმი კრემლის დამოკიდებულების „სამართლიანობა". 1990-იან წლებსა და 2008 წელს, რუსეთის ჯარების უშუალო მონაწილეობით, საქართველოს ორ რეგიონში მოხდა, უპირატესად, ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. და იმის ნაცვლად, რომ კრემლს, საერთაშორისო ორგანიზაციათა რეზოლუციების შესაბამისად, დაეგმო ეთნოწმენდის ფაქტები, მან ეს რეგიონები „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარა, რასაც შეუძლებელია სხვაგვარი შეფასება მიეცეს, თუ არა ეთნიკური წმენდის პირდაპირი წახალისება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი; მას შემდეგ, რაც გაერომ გადაწყვიტა პალესტინის ორად გაყოფა და მეზობელი არბული ქვეყნების თავდასხმები შეწყდა, პრობლემა გახდა უცხო ძალების მხარდაჭერით მოქმედი, არარელიგიური იდეოლოგიის მქონე, რადიკალური პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (პგო) და მისი ტერორისტული საქმიანობა (სსრკ-ის დასუსტების შემდეგ პგო-ის რადიკალიზმი, ბუნებრივია, ჩაცხრა). თანამედროვე ეტაპზე მწვავე პრობლემებს ძირითადად ქმნიან გარე ძალებთან დაკავშირებული რადიკალური ისლამური დაჯგუფებები: „ჰამასი" და შიიტური „ჰეზბოლა" (რომელთა უკან, რეალურად, ირანი, სირია და ბოლო პერიოდში მომძლავრებული კრემლი დგას).

პგო-ის, „ჰამასის" ან „ჰეზბოლას" შეიარაღებულ შენაერთებთან ისრაელის ჯარებს კვირების, ზოგჯერ თვეების მანძილზეც კი უწევდათ და უწევთ ბრძოლა.

2008 წლის აგვისტოში დადასტურდა, რომ კოკოითის ან ბაღაფშის ბანდებს ასეთი რამ არ შეუძლიათ (თუნდაც მხოლოდ მათი მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე). პალესტინელები მრავალრიცხოვანი

არიან, ამიტომ „ჰამასის" ან „ჰეზბოლას" აგრესიულ რადიკალიზმს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში მხარდაჭერა აქვს და ამის ახსნა ასე თუ ისე შეიძლება, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცირერიცხოვანი მოსახლეობისგან (აფხაზებისგანაც და ოსებისგანაც) ასეთი რამ გამორიცხულია. აშკარაა, რომ საქართველოს შემთხვევაში პგო-ის, „ჰამასის" და „ჰეზბოლას" როლს უშუალოდ რუსეთის საოკუპაციო ჯარები ასრულებენ. ისრაელის პრემიერ ეჰუდ ოლმერტის სიტყვები რომ გავიხსენოთ, „ჰამასიც" და „ჰეზბოლაც", ფაქტობრივად, ირანის „სამხედრო წარმომადგენლობებია" ღაზას სექტორსა და ლიბანში ანუ ირანი ამ ტერორისტულ ორგანიზაციათა ხელით აკეთებს თავის „საქმეს". დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტომდე ბაღაფშისა და კოკოითის ბანდებთან დაკავშირებით და სწორედ აგვისტოს ომმა გამოააშკარაა მთელი მსოფლიოს დასანახად ის, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი იყო, — რეალური კონფლიქტი არის არა ქართველებსა და ოსებს ან ქართველებსა და აფხაზებს, არამედ საქართველოსა და კრემლს შორის.

პალესტინის კონფლიქტის ისტორია გვიჩვენებს, რომ მიუხედავად გაელენიანი ძალების მცდელობებისა, სულ უფრო გაეღვივებინათ კონფლიქტი, მართალია მტკივნეულად, მაგრამ ყველაფერი თანდათანობით მაინც იმ კალაპოტში ექცევა, რომელსაც საერთაშორისო სამართლი, მსოფლიო საზოგადოება უჭერს მხარს. რაც დრო გადის სულ უფრო მეტი ებრალი და პალესტინელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო გამოსავალი არის პალესტინის პრობლემის მოგვარება საერთაშორისო სამართლის ნორმათა, გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციათა შესაბამისად (ამ მხრივ ძალზე მრავლისმეტყველია იასერ არაფატის პოლიტიკური კურსის მეტამორფოზა; იგივე ითქმის მაჰმუდ აბასზეც, რომელიც წარსულში, როცა დისერტაციას იცავდა მოსკოვში, სიონიზმსა და ნაციზმს აიგივებდა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი ყველაზე კონსტრუქციულად განწყობილი პალესტინელი ლიდერია).

დარწმუნებული ვართ, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ, ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები აფხაზებისა და ოსების აბსოლუტური უმრავლესობაც ობიექტურ დასკვნებს გამოიტანს და საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად მოგვარდება.

ჩვენი ასეთი „თავდაჯერებულობა" უშუალოდ უკავშირდება აფხაზებისა და ოსების ეთნიკური იდენტობის საკითხს. ზოგადად, ეთნიკური

და ეროვნული იდენტობის პრობლემა და მისი კონკრეტული გამოვლინებები წიგნში საგანგებოდ არის განხილული ქაშმირისა და საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართების კონტექსტში.

ქაშმირის პრობლემა წამოიჭრა 1947 წელს, როცა შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ინდოეთი და პაკისტანი. აქედან გამომდინარე, ქაშმირის შტატი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, თუ რომელ მათგანს მიერთებოდა. მართალია, მაჰარაჯა ჰარი სინგჰმა ინდოეთი აირჩია, მაგრამ პრობლემა ასე მარტივად არ ამოიწურა; სწორედ ამიტომ, მოგეიანებით, 1951 წელს, ქაშმირელთა ლიდერმა, შეიხ აბდულამ დამფუძნებელი ასამბლეის სხდომაზე საგანგებოდ გააანალიზა ქაშმირის არჩევანის საკითხი (იხ. გვ. 446). მან აღნიშნა, რომ შვეიცარიის მსგავსი დამოუკიდებლობლობა, ბუნებრივია, მიმზიდველი იყო ქაშმირისთვისაც, მაგრამ იქვე დასძინა, რომ იმ რეგიონში, იმ ვითარებაში, შვეიცარიის მსგავსი პერსპექტივა სრულიად არარეალური იქნებოდა ქაშმირისთვის, რაც 1947 წელს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის ორთვიანმა პერიოდმაც დაადასტურა. საბოლოოდ, პაკისტანისა და ინდოეთის შედარების შემდეგ, შეიხ აბდულა დაასკვნის, რომ ინდოეთთან მიერთება, ფართო ავტონომიური უფლებებით, არის საუკეთესო არჩევანი ქაშმირის თვითმყოფადობისა და „პოლიტიკური იდენტობის" შესანარჩუნებლად. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, შეიხ აბდულამ და დამფუძნებელმა ასამბლეამ, არსებითად, მართებული გადაწყვეტილება მიიღეს. ქაშმირის სრული დამოუკიდებლობის მომხრე გაერთიანებამ — „ჯამუსა და ქაშმირის განთავისუფლების ფრონტმა", რომელიც 1977 წელს დაარსდა, ვერა და ვერ შეძლო ქაშმირის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება (რაც შეეხება პაკისტანთან გაერთიანების მომხრეებს, ისინი ძირითადად მცირერიცხოვან რადიკალურ-ისლამისტურ დაჯგუფებებს წარმოადგენენ და ქაშმირელთა არჩევანზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ).

წიგნში სწორედ ამ ფონზე არის წარმოჩენილი აფხაზების ეთნიკური იდენტობის პრობლემა.

საუკუნეების განმავლობაში, როცა გარე ძალა (ბიზანტია, ოსმალეთი, მეფის რუსეთი და საბჭოთა იმპერია) აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორებას ცდილობდა, აფხაზების უმრავლესობა თავისი ეთნიკური იდენტობისა და უახლოესი ისტორიულ-კულტურული კავშირებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულ უმრავლესობასთან ერთად, მთლიანი საქართველოს ან დასავლეთ ქართული სამეფოსა თუ გუბერნიის შემადგენლობაში რჩებოდა (იხ. გვ. 111).

აფხაზეთის კონფლიქტის განხილვისას უკვე ითქვა, რომ ცარიზმი, თავდაპირველად, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, აფხაზების საერთოდ განადგურება-გადასახლებას ისახავდა მიზნად, რაც ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა „მუჰაჯირობის", აფხაზთა „დამნაშავე მოსახლეობად" გამოცხადებისა და მათი მონაიესავე უბიჩების გენოციდის ფაქტით. მოგვიანებით, რუსეთის იმპერიამ აფხაზებს „დამნაშაეე მოსახლეობის" სტატუსი მოუხსნა და, პირიქით, მათი წახალისება და ქართველების წინააღმდეგ წაქეზება დაიწყო. მიუხედავად ამისა, 1917-1919 წწ.-ში, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, როცა ცარიზმის აღდგენისა თუ საბჭოთა რუსეთის მომხრე ძალები თავდაუზოგავად ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოსგან, აფხაზების დიდმა ნაწილმა ისევ უახლოეს ნათესავებთან, აფხაზეთის ქართულ უმრავლესობასთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას დაუჭირა მხარი, რაც მკაფიოდ დადასტურდა 1919 წელს, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამართული პირველი, საყოველთაო არჩევნების შედეგებით (იხ. გვ. 79).

ასეთმა რეალობამ კრემლი დაარწმუნა, რომ თუ არ შეცვლიდა თვით აფხაზურ ეთნიკურ იდენტობას, ანუ თუ თანდათან არ „წაშლიდა" აფხაზეთისა და აფხაზების რეალურ ისტორიულ მეხსიერებას, მათ რეალურ ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ მემკვიდრეობას (რომელიც სისხლხორცეულად იყო შეზრდილი ქართულთან) და თუ ამ ყველაფერს არ ჩაანაცვლებდა რუსიფიცირებული, გაყალბებული, ანტიქართული სუროგატით, აფხაზებსა და ქართველებს შორის წინააღმდეგობას ვერ გააღვიეებდა. „ახალი აფხაზის" შექმნის პროცესი მთლიანად შეესაბამებოდა საბჭოთა ეპოქაში „ჰომო სოვეტიკუსის" ჩამოყალიბების მასშტაბურ ექსპერიმენტს. „ახალი აფხაზის" სპეციფიკური თაეისებურება უნდა ყოფილიყო ხაზგასმული ანტიქარიულობა, ანუ საღრმისეულად, ეს ნიშნაედა უარის თქმას ნამდვილ აფხაზურ ეთნიკურ იდენტობაზეც, რადგან აფხაზი ეთნოსი, აფხაზური ენა და კულტურა სწორედ ქართულ ეთნოსთან, ქართულ კულტურასა და ენასთან ერთად, ქართულ გარემოში, ქართული სახელმწიფოს ფარგლებში იქმნებოდა და ვითარდებოდა. შესაბამისად, თუ კრემლი შეძლებდა აფხაზების უმრავლესობა მოეწყვიტა მათი ეთნიკური იდენტობის მასაზრდოებელი ისტორიულ-კულტურული ფუძისგან და სანაცვლოდ საბჭოურ-რუსული მენტალიტეტი ჩაენერგა მათთეის, მიზანი მიღწეული იქნებოდა — ქართველების წინააღმდეგ აფხაზების აჯანყება და შემდეგ აფხაზეთის „ჩამოჭრა" საქართველოსგან, კრემლს აღარ გაუჭირდებოდა (იგივე საბჭოური პოლიტიკა გაგრძელდა

სსრკ-ის დაშლის შემდეგაც; ამ კურსს აგრძელებს კრემლი ახლაც და სწორედ ამის შედეგია აფხაზეთში დარჩენილი ქართველების მუდმივი შეიწროება, მათი უფლებების უხეში დარღვევები, აფხაზეთში არსებული ქართული კულტურულ-რელიგიური ძეგლების დანგრევა-დამახინჯება; ეს ყველაფერი საქართველოს ამ რეგიონიდან ავტოქთონური ქართული მოსახლეობის სრულად გამოდევნასა და აფხაზეთში ქართული „კვალის წაშლის" პოლიტიკას ემსახურება).

კრემლის ამგვარმა გეგმაზომიერმა ქმედებებმა რომ, გარკვეულწილად, მართლაც მიაღწია მიზანს, აშკარად დასტურდება დღეს, როცა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს თვალწინ აქვთ ანტიქართული პოლიტიკის სავალალო შედეგები, აფხაზეთის რუსიფიკაცია, მთელი რეგიონის ტერიტორიის დიდ რუსულ სამხედრო ბაზად ჩამოყალიბების პროცესი, მეზობელ ჩრდილო კავკასიაში მცირერიცხოვანი ჩეჩნების გენოციდის პრეცედენტი, ბესლანის ტრაგედია და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც კრემლის ერთგულებას ამჯობინებენ. აქედან ჩანს, რომ ისინი უარს აბობენ ნამდვილ აფხაზურ ეთნიკურ იდენტობაზე და ხელს უწყობენ კრემლის ასიმილაციურ პოლიტიკას, აფხაზი მოსახლეობის სრულ რუსიფიკაციას. ამ ადამიანების რეალური მიზანი პირადი კეთილდღეობის შენარჩუნებაა და „ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა" მხოლოდ ყალბი ლოზუნგია. დღეს უკვე სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე საუბარიც კი არარეალურია. ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ კრემლი საქართველოს ოკუპირებული რეგიონის — აფხაზეთის „მცოცავ ანექსიას" ახორციელებს, რაც არა მხოლოდ აფხაზეთის ეკოლოგიურ სისტემას ემუქრება კატასტროფით, არამედ იგივე ხვედრი ელის ჯერ კიდევ შემორჩენილ აფხაზურ ენასა და კულტურას, აფხაზურ წეს-ჩვეულებებსა და ფასეულობებს.

ხაზგასასმელია, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, კრემლისადმი მლიქვნელობით, არა მხოლოდ საქართველოს უპირისპირდებიან, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. ისინი უარს აბობენ შეასრულონ გაეროს გენერალური ასამბლეისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით გათვალისწინებული, თუნდაც მხოლოდ პუმანიტარული ხასიათის მოთხოვნები (იგულისხმება ეთნოწმენდის მსხვერპლთა — იძულებით გადაადგილებულ პირთა — თავიანთ სახლ-კარში დაბრუნების საკითხები).

მაგრამ ის რაც ითქვა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებზე, ბუნებრივია, არ ეხება აფხაზების უმრავლესობას. ამას ადასტურებს თუნდაც

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რომელთა თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველებიდან რეფერენდუმზე მივიდა 61,27% და ამ ადამიანთა 97, 73% ანუ მთლიანად აფხაზეთის ელექტორატის 59,8% საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა (გასათვალისწინებელია, რომ 1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ქართველები მოსახლეობის 45,7% შეადგენდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აფხაზეთის ეთნიკურად არაქართული მოსახლეობაც ემხრობოდა). ამჟამად, მასშტაბური ოკუპაციისა და სრული ინფორმაციული იზოლაციის პირობებში მყოფ აფხაზ მოსახლეობას რეალური არჩევანის საშუალება არ ეძლევა, შესაბამისად, სოხუმის დღევანდელი საოკუპაციო რეჟიმი, რეალურად, კრემლის წარმომადგენელია და არა აფხაზების. დარწმუნებული ვართ, დეოკუაციის შემდეგ, აფხაზებს მიეცემათ საშუალება ღირსეული ადამიანები აირჩიონ თავიანთ წარმომადგენლებად, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ეთნიკური იდენტობა და რომელთათვისაც ნამდვილად მნიშვნელოვანია საერთო ადამიანური ღირებულებები.

ქაშმირის კონფლიქტი ეროვნული და ეთნიკური იდენტობის საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებას მოითხოვს და ამ გზით შესაძლებელია ასევე საქართველოს კონფლიქტების ერთ-ერთი სიღრმისეული ასპექტის წარმოჩენაც.

ქაშმირის ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შტატის „პოლიტიკურ იდენტობას". ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ქაშმირის შტატისადმი, როგორც გარკვეული მთლიანობისადმი, მაგალითად, გაეროს პირველი წარმომადგენლის, ოუენ დიქსონის მიმართებას. 1950 წელს შემუშავებული „დიქსონის გეგმა" (რომელიც მოიწონა გაეროს უშიშროების საბჭომ) ეფუძნებოდა ავტორის პოზიციას, რომლის თანახმად, „ჯამუსა და ქაშმირის შტატი არ არის გეოგრაფიულად, ეკონომიკურად ან დემოგრაფიულად ერთიანი წარმონაქმნი. ეს არის ტერიტორიათა აგლომერატი, რომელიც მაპარაჯას პოლიტიკური ძალაუფლებით შეიქმნა".[23] ჯამუსა და ქაშმირის შტატის შესახებ ანალოგიური შეფასებაა დაფიქსირებული ბრიტანეთის თემთა პალატის 2004 წლის გამოკვლევაშიც: „შემადგენლობის მხრივ, ეს იყო რაღაც ხელოვნური და აქ მკაფიო იდენტობა ვერ ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, არაერთგვაროვანი, განსხვავებული წარმოშობისა და, მეორე მხრივ, იმპერიის პერიფერიაზე გაბატონებული ავტოკრატიული მმართველობის გამო".[24]

23. http://www.parliament.uk/documents/commons/lib/research/rp2004/rp04-028.pdf
24. იქვე

ფაქტია, რომ როგორც ეთნიკურად, ასევე რელიგიურ-კულტურულად, ეკონომიკურად და გეოგრაფიულადაც ქაშმირის შტატი არაერთგვაროვანი რეგიონებისგან შედგება. ასეთ ვითარებაში მისი მოსახლეობის გამაერთიანებელი ფუნქცია „პოლიტიკურ იდენტობას" დაეკისრა. ამ ცნებას სრულიად კონკრეტული შინაარსი ჰქონდა — ის გულისხმობდა შტატის ტერიტორიაზე რელიგიურ-თემობრივი პრინციპის უარყოფას და მის ნაცვლად, ფაქტობრივად, ეროვნული პრინციპის პრიორიტეტის აღიარებას (შტატის პირველი პოლიტიკური გაერთიანება — „ისლამური კონფერენცია" სწორედ ამიტომ გადაკეთდა „ეროვნულ კონფერენციად"). ეროვნული კონფერენციის წარმომადგენლები ამ გზით ცდილობდნენ მკაფიოდ დაეფიქსირებინათ, რომ შტატის მოსახლეობის რელიგიური არაერთგვაროვნების მიუხედავად, მაჰმადიანები, ინდუსები, სიქჰები თუ ბუდისტები ერთიან ნაციას წარმოადგენდნენ. სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ შეიხ აბდულა და მისი თანამოაზრეები შტატისთვის ცალკე მოქალაქეობის შემოღებას. ნაციონალობა, ეროვნება ამ შემთხვევაში ტერიტორიულ პრინციპს ემყარებოდა და არა ეთნიკურს (ეთნიკურ ერთობაზე საუბარი გამართლებული იქნებოდა მხოლოდ მუსლიმან და ინდუს ქაშმირელთა უმრავლესობის მიმართ, მაგრამ, მაგალითად, შტატის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ეთნიკური ტიბეტელები „გარიყული" აღმოჩნდებოდნენ). „ქაშმირელის" ნაციონალური იდენტობა გამომხატველი იქნებოდა ქაშმირის შტატის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის მოქალაქეობის. რასაკვირველია, დელი ეწინააღმდეგებოდა ცალკე ასეთი მოქალაქეობის შემოღებას, რადგან რაკი ქაშმირი ინდოეთს შეუერთდა, შტატის მცხოვრებნი ინდოეთის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ, ანუ მათი ნაციონალური იდენტობა უნდა ყოფილიყო „ინდოელი" და არა „ქაშმირელი"; მაგრამ „ინდოელობა", როგორც ეროვნული იდენტობა, მიუღებელი იყო მრავალი მაჰმადიანი ქაშმირელისთვის, რადგან „ინდოელობას" მათთვის რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და ინდუსობასთან იგივდებოდა — ინდოეთი ხომ იმ სამეფო შტატების გაერთიანებით შეიქმნა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ინდუსები შეადგენდნენ (ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი ქაშმირის შტატი იყო).

აქ ორიოდე სიტყვით უფრო უნდა დავაკონკრეტოთ ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალობის ცნებათა შინაარსი. იდენტობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია. „სამოქალაქო", ანუ „დასაელური" კონცეფციის თანახმად (პირობითად მას ფრანგულსაც უწოდებენ, რაკი საფრანგეთის რევოლუციამ დაამკვიდრა), ნაციონალური იდენტობა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ

პრინციპს ეფუძნება ანუ გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირი არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე და, შესაბამისად, მისი ეროვნება (განურჩევლად რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა კუთვნილებისა) ამ სახელმწიფოდან გამომდინარეობს (მაგ., საფრანგეთის მოქალაქე არის ფრანგი, მექსიკის მოქალაქე — მექსიკელი და ა. შ.). ფრანგულის საპირისპიროდ, გერმანული კონცეფცია (აღმოსავლეთ ევროპული და აზიური ნაირსახეობების გამო, მას არაღასავლურ კონცეფციადაც მოიხსენიებენ)[25] ნაციონალობის განმსაზღვრელ ფაქტორად ეთნიკურ წარმომავლობას მიიჩნევს და არა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულს. ნაციონალობის გერმანული კონცეფციის ცენტრში ეთნიკური ერთობა დგას, რომელიც ერთგარ „ცოცხალ ორგანიზმად", „ხეოჯახად" აღიქმება და ინდივიდი არის მისი ნაწილი, ფრანგული კონცეფცია კი ხაზგასმით პიროვნების თავისუფლებასა და თანასწორობაზეა ორიენტირებული და ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობას შედარებით უფრო მექანიცისტურ, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ გაერთიანებას უპირისპირებს. თანამედროვე მსოფლიო ნაციონალობის სწორედ ფრანგულ კონცეფციას იზიარებს: „ისტორიული ტერიტორია, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება და საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია — ყოველივე ეს არის ნაციის სტანდარტული, დასავლური მოდელის კომპონენტები", რომლებიც „უმთავრეს ელემენტებად რჩებიან, შესაძლოა, გარკვეული სახეცვლილებებით — ნაციონალური იდენტობის არადასავლური კონცეფციების უმრავლესობაშიც".[26]

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით, საქართველოსთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე საუბარს აზრი აქვს მხოლოდ აფხაზებთან დაკავშირებით, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ცალკე ეროვნულ ან თუნდაც ეთნიკურ იდენტობად გამოყოფა კი, უბრალოდ, არასერიოზულია.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ პრინციპზე დამყარებული ნაციონალობა აფხაზებს ვერ ექნებათ, რადგან ცალკე სახელმწიფო არასოდეს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ (კრემლის, ორტეგა-ჩაველასა თუ ნაურუს მიერ „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" ცნობა არაფერს ნიშნავს და აფხაზეთის „მოქალაქეობის" დამადასტურებელი „პასპორტებიც", ცხადია, მხოლოდ ფარატინა ქაღალდებია). გარდა ამისა, აფხაზეთის „პასპორტების" მფლობელთა სულ მცირე 80%-ს რუსეთის პასპორტიც აქვს (საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მოსახლეობის „პასპორტიზაციის" — რუსეთის პასპორტების დარიგების უკანონობა

25. ე. დ. სმიტი. ნაციონალური იდენტობა, თბ. 2008, გვ. 14
26. იქვე, გვ. 13

ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული ევროკავშირის დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანუ პ. ტალიავინის კომისიის დასკვნაში). აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად არააფხაზები (მაგ., სომხები, რუსები) თავიანთ თავს აფხაზს, თუნდაც მხოლოდ „მოქალაქეობის" გაგებით, არ უწოდებენ (სამაგიეროდ, თავის თავს აფხაზს უწოდებს ათეულობით ათასი თურქეთის მოქალაქე, მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ „მუჰაჯირობის" დროს გადასახლებული ეთნიკური აფხაზების შთამომავლები). ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ თანამედროვე გაგებით, ანუ ფრანგული კონცეფციით, აფხაზის ნაციონალური იდენტობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ აფხაზების გამაერთიანებელი ფაქტორი არის ეთნიკური იდენტობა, რომელიც საერთო წარმომავლობას ემყარება; მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაშიც, იდენტიფიკაციის მცდელობისას სერიოზულ სიძნელეებს ვაწყდებით.

აფხაზეთის კონფლიქტის განხილვისას (იხ. გვ. 59-60) უკვე ითქვა, რომ, ერთი მხრივ, ჩერქეზები, ადიღები, ყაბარდოელები და აფხაზები და, მეორე მხრივ, ქართველები, კავკასიის ავტოქთონური, მონათესავე ტომების შთამომავლები ვართ; უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მართალია, აფხაზები, ლინგვისტური თვალსაზრისით, ჩერქეზულ-ადიღეურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ ანთროპოლოგიურად დასაველელქართველებთან (მეგრელ-ლაზებთან) უფრო ახლოს არიან.[27]

ეს სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მონათესავე ქართველები/მეგრელები და აფხაზები უკვე ათასწლეულების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და თანამედროვე აფხაზების 70%-ს ქართული (მეგრულ-ლაზური) გვარი აქვს.

აქედან გამომდინარე, აფხაზის იდენტობისთვის ეთნიკური ფაქტორიც ვერ გამოდგება მეტ-ნაკლებად საიმედო „საყრდენად", რადგან მეტისმეტად რთულია „ეთნიკური ზღვარის" გავლება თანამედროვე აფხაზსა და ქართველს (მეგრელ-ლაზს) შორის. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ეთნიკური ერთობის (ანუ „ეთნის", ფრანგული ტერმინოლოგიით) 6 ძირითად მახასიათებელს. ესენია:

1) კოლექტიური საკუთარი სახელი;

2) საერთო წინაპრის მითი;

3) ზიარი ისტორიული მეხსიერება;

4) საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი;

27. გ. ჯაბერიძე, აფხაზების ეთნიკურობა ქართველური და ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე, თბ. 1963. Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. Краниологические исследования, М. 1974, ст.194.

5) განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება;

6) სოლიდარობის გრძნობა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში".[28]

აფხაზეთის ისტორიის გათვალისწინებით, ექსპერტი ეს პუნქტი მეტ-ნაკლებად პრობლემურ კითხვებს იწვევს და მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელი ხდება ქართული კონტექსტის გარეშე, რადგან ქართველებისგან განცალკევებით აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ (აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზებიც და ქართველებიც ხომ ავტოქთონური მოსახლეობა ვართ).

როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზეთის დისტანცირება დანარჩენი საქართველოსგან მუდამ გარე ძალის აქტიური ქმედებებით იყო გამოწვეული (ბიზანტია, ოსმალეთი, მეფის რუსეთი, საბჭოთა რუსეთი, პოსტსაბჭოთა რუსეთი). ამასთანავე, როცა გარე ძალის გაელენა სუსტდებოდა, აფხაზურ-ქართული ერთობა ყოველთვის უმტკივნეულოდ „ხორცდებოდა" და ისევ რეალობად იქცეოდა. ეს ხდებოდა სწორედ განსაკუთრებული ეთნიკურ-ისტორიულ-კულტურული ერთობის საფუძველზე. გარკვეული ბზარი ამ საფუძველს გაუჩნდა ოსმალებისა და ჩრდილო-კავკასიელი ჩერქეზ-ადიღეელების შემოტევის დროს (XVI-XVII სს.), როცა თანდათან ეთნიკურ იდენტობას საფრთხე შეუქმნა რელიგიურმა, ისლამურმა იდენტობამ (საბოლოოდ, სწორედ ამ საფრთხეს მოჰყვა „შაპაჟირობაც"). აფხაზების სამაგალითოდ დასჯის შემდეგ, ცარიზმმა თანდათან დაიწყო გაყალბებული ისტორიისა და მითების გავრცელება აფხაზეთში, რათა ქართველებისადმი მტრული ეთნიკური იდენტობა ჩაენერგა აფხაზებისთვის. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც დაღასტურდა 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში ქართველებისა და აფხაზების ეთნიკურ-ისტორიული ერთობის აღდგენით. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ფატობრიეი ანექსიის შემდეგ კრემლმა ახალი, საბჭოური მითები შეთხზა და გეგმაზომიერად დანერგა აფხაზეთში. ესაა თავიდან ბოლომდე გამოგონილი ფსევდოიდენტობა, რომლის ერთადერთი ფუნქციაა რეალური ეთნიკური იდენტობის ჩანაცვლება თუ „გადაფარვა".

სინამდვილეში, ისტორიული, ქართულთან შესისხლხორცებული აფხაზური ეთნიკური იდენტობისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული აფხაზური იდენტობის გარკვევა რთული პრობლემაა და სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგანია. აფხაზების მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს თავისი ნამდვილი ეთნიკური იდენტობა, მაგრამ კრემლის საოკუპაციო რეჟიმის, სრული საინფორმაციო ვაკუუმისა და უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური წნეხის პირობებში, ჯერჯერობით

28. ე. ღ. სხირტლაძე, ნაციონალური იდენტობა, თბ. 2008, გვ. 27

ისევ პასიურ მდგომარეობაში რჩება (მრავალმა მათგანმა კონფლიქტის დაწყებისას დატოვა აფხაზეთი და დღემდე არ დაბრუნებულა). აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების მეორე ნაწილს, რუსიფიკაციის გამო, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს თავისი ეთნიკური იდენტობა და მზადაა რუსეთის „იმპერიულ ოკეანეში" გაითქვიფოს. ეს ნაწილი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს და ნაკლებად ადარდებს აფხაზური ეთნოსისა და კულტურის შენარჩუნება. შესაბამისად, ამ ფენის წარმომადგენელთათვის არაფერს ნიშნავს არც „მუჰაჯირობის" უმძიმესი პრეცედენტი, არც რუსეთის ახლანდელი ხელისუფლების წაქეზებით ამ ქვეყანაში ნეოფაშიზმის ლამის ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება და თითქმის ყოველ დღე რუსეთის სხვადასხვა ქალაქში სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი არარუსების (უმეტესად, კავკასიელების) მკვლელობებისა თუ ცემა-შეურაცხყოფის ფაქტები.

აფხაზების ცალკე ჯგუფს ქმნიან აფხაზეთის გარეთ, საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზები (მათი უმრავლესობა, კონფლიქტის დროს, 1990-იანი წლების დასაწყისში, აგრესიულმა სეპარატისტულმა ჯგუფებმა გამოდევნეს აფხაზეთიდან).

ცალ-ცალკე ჯგუფებად უნდა გამოიყოს ასევე დსთ-ის (ძირითადად, რუსეთის) ტერიტორიაზე დასახლებული აფხაზები და „მოჰაჯირების" შთამომავლები, რომლებიც თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში სახლობენ. ამ უკანასკნელთა ეთნიკური იდენტობა ძალზე მჭიდროდ ებმის რელიგიურ იდენტობას და მათ ნაკლებად აქვთ შენარჩუნებული კავშირი თავიანთ ნამდვილ ისტორიულ-კულტურულ ძირებთან. თითოეულ ამ ჯგუფს თავისებური, მეტ-ნაკლებად განსხვავებული წარმოდგენა აქვს აფხაზურ ეთნიკურ იდენტობაზე და ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. აფხაზებისთვის (და, შესაბამისად, ქართველებისთვისაც) ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ კრიტიკულ პერიოდში, როგორშიც ამჟამად ვიმყოფებით.

სრულიად ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კრემლის საოკუპაციო ჯარების ყოფნა აფხაზეთის ტერიტორიაზე თანდათანობით განადგურებით ემუქრება აფხაზურ იდენტობას, აფხაზურ ენასა და კულტურას. ამიტომ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისთვის გულისხმობს არა მხოლოდ საერთო ადამიანური ღირებულებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, არამედ აფხაზებისა და ასევე ოსების (მთლიანად ოსების) ეთნიკური იდენტობისა და მათი კულტურის დაცვასაც.

საქართველოს კონფლიქტების კონტექსტში მეტ-ნაკლებად ხშირად ახსენებენ კვიპროსის კონფლიქტს, რომლის გარკვეული ასპექტები ჩვენთვისაც საყურადღებოა, უპირველესად, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებთან, მათ საკუთრებასთან დაკავშირებული მსგავსი სამართლებრივი საკითხებიდან გამომდინარე (ზემოთ უკვე ვისაუბრეთ საერთაშორისო სასამართლოებში განხილულ ისეთ პრეცედენტულ საქმეთა შესახებ, როგორიცაა, მაგ., „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ" ან „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ", იხ. გვ. 499).

აღნიშნულ სამართლებრივ ასპექტებთან ერთად, რომლებიც ამ კონფლიქტების გარკვეულ მსგავსებაზე მეტყველებს, კრებულში ხაზგასამულია ის არსებითი განსხვავებები, რომლებიც კვიპროსისა და საქართველოს რეალობებს შორის არსებობს: კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემთა ურთიერთდაპირისპირება შუა საუკუნეებიდან იწყება და ეს პროცესი XX საუკუნეშიც გაგრძელდა; უფრო მეტიც, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა. აქედან გამომდინარე, 1960 წელს, კვიპროსის რესპუბლიკა შეიქმნა, ფაქტობრივად, გაყოფილი, ფრაგმენტირებული საზოგადოების დე იურე გაერთიანებით. მართალია, ბერძენი და თურქი კიპრიოტების ჯგუფები კუნძულის სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ, არსებითად, ეს არ იყო ერთიანი საზოგადოება. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა მოხდა გარკვეული წინაპირობების საფუძველზე, გარეშე ძალების მოლაპარაკების შედეგად. კვიპროსის რესპუბლიკა, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო დაფუძნდა კონკრეტული სამმხრივი შეთანხმების ბაზაზე („ციურიხ-ლონდონის შეთანხმება"), რომლის თანახმად, თურქეთს, როგორც „ქვეყანა-გარანტორს" იმთავითვე ჰქონდა უფლება ჩარეულიყო კვიპროსის საშინაო საქმეებში, მათ შორის, გარკვეულ შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ, მსგავსი უფლება არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1990-იან წლებში აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ნაწილზე რუსეთს სამშვიდობო მისიის შესრულება დაეკისრა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საბჭოთა კავშირის დაშლიდან კარგა ხნის შემდეგ. ეს მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციათა ეგიდით და ამ მისიის დაწყებისა თუ გაგრძელებისთვის აუცილებელი იყო საქართველოს თანხმობა, ხოლო შეწყვეტისთვის — მხოლოდ საქართველოს გადაწყვეტილება.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენისკენ კვიპროსისგან სრულიად განსხვავებული გზა გაიარა. ამ შემთხვევაში არ შეეხებით საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულის იმ მოვლენებს, რომლებიც 1921 წლამდე მოხდა და შემოვიფარგლებით მხოლოდ შემდგომი პერიოდით. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, კრემლმა დაიწყო საქართველოს დაშლის პროცესი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს, როგორც ერთიან მოკავშირე რესპუბლიკას, ფორმალურად მაინც, შენარჩუნებული ჰქონდა „სსრკ-დან თავისუფლად გასვლის უფლება" (თავი 8, მუხლი 72). შესაბამისად, საქართველო, როგორც ერთიანი რესპუბლიკა დე იურეც და დე ფაქტოც არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ეს ფაქტი აღიარებული იყო, როგორც კრემლის, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ.

1988-1991 წლებში საქართველო, ბალტიის ქვეყნებთან ერთად, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკების ავანგარდში იყო. 1991 წელს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, 15 მოკავშირე რესპუბლიკის გარდაქმნას 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მათი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით, თვით რუსეთის ფედერაციამაც კი დაუჭირა მხარი და 1991 წლის 8 დეკემბერს, უკრაინასა და ბელორუსთან ერთად „ბელოვეჟის შეთანხმების" მიღებით, საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადა აშკარაა, რომ კვიპროსისა და საქართველოს დამოუკიდებლობას სრულიად განსხვავებული წინაისტორია ჰქონდა. კვიპროსის შემთხვევაში კონკრეტული რეალიებისა და მათი შედეგების დაფიქსირება მოხდა „ციურიხ-ლონდონის შეთანხმებაში", რომელმაც, არსებითად, განსაზღვრა დამოუკიდებელი კვიპროსის სტატუსისა და მისი შემდგომი განვითარების თავისებურება. საქართველოს შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. (სრულად კვიპროსის და საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართების შესახებ, იხ. გვ. 508).

აქვე უნდა ითქვას, რომ XXI საუკუნეში, საერთაშორისო ძალისხმევით, კვიპროსზეც კი მოხერხდა 1964 წლიდან არსებული გაეროს „მწვანე ხაზის" გახსნა კუნძულის ორივე მხარის მცხოვრებთათვის. ამ კონტექსტში თავისთავად სრულ ანაქრონიზმად, თითქმის დაუჯერებლადაც კი ჟღერს, რომ 21-ე საუკუნეშივე ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არათუ „მწვანე ხაზს", არამედ გამყოფ უზარმაზარ ბეტონის კედელს აშენებს, რათა ამ გზით შემოსაზღვროს მეზობელი ქვეყნის კუთვნილი ის რეგიონები,

რომლებიც სამხედრო აგრესიის შედეგად დაიკავა, იქ ეთნიკური წმენდა მოაწყო და შემდეგ ეს ოკუპირებული ტერიტორიები „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად" აღიარა. ეს ფაქტები (ეთნოწმენდის გამოკლებით) ძალაუნებურად მოგვაგონებს ნახევარი საუკუნის წინანდელ, იმავე კრემლის მიერ განხორციელებულ ცნობილ ძალადობრივ აქციას — „ბერლინის კედლის" აღმართვას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნურად შექმნა, მისი საერთაშორისო აღიარებისთვის წლების მანძილზე ათასგვარი ხრიკების გამოყენება, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნების მუდმივი უგულებელყოფა, ერთიანი ქვეყნის, ერთიანი ქალაქის შიგნით მეზობლების, ნათესავების გამყოფი კედლის აღმართვა, ხალხის ნების ძალადობრივი ჩახშობა — ეს ყველაფერი თითქოს მეორდება დღეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სსრკ-ის ნაცვლად მისი სამართალმემკვიდრე — რუსეთის ფედერაცია აკეთებს იმავეს და ეს ხდება არა გერმანიის, არამედ საქართველოს მიმართ.

ასეთი შედარება, ერთი მხრივ, სრულიად ბუნებრივია, თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს აშკარა განმასხვავებელი ფაქტორებიც. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ როგორც მსგავსებაზე, ასევე განსხვავებაზე და გამოვყოფთ რამდენიმე ძირითად მომენტს:

1) 1961 წელს კრემლმა ბერლინის კედელი (მაშინდელი საბჭოური პროპაგანდის თანახმად, „ანტიფაშისტური დამცავი კედელი") ააშენა დასავლეთ გერმანელი „ფაშისტებისგან" „პროგრესულად მოაზროვნე" აღმოსავლეთ გერმანელების „დასაცავად"; დღეს ენგურის გასწვრივ იგივე კრემლი ისევ კედელს აშენებს, ოღონდ ამჯერად ქართველი "ფაშისტებისაგან" აფხაზების „დასაცავად", ცხინვალის რეგიონში კი რუსეთის ჯარები იმავე „საფრთხისგან" ოსებს „იცავენ";

2) სსრკ-ს სურდა გერმანიის — ევროპის ცენტრალური სახელმწიფოს დაშლა, რათა დასუსტებული ევროპა შემდეგ მილიანად „გადაესანსლა". მაგრამ ასეთ იმპერიალისტურ მიზანს, ცხადია, ღიად არ გამოაცხადებდა, პირიქით, მძლავრი საბჭოური იდეოლოგიური მანქანა ამ დანაშაულებრივი მიზნის „კეთილშობილური იდეებით" შესანიღბად მუშაობდა. კრემლი გურ-ის მთავრობას ფაშისტების მემკვიდრედ აცხადებდა და „ნეოფაშიზმის" წინააღმდეგ საბრალიანი ბრძოლის ლოზუნგით გერმანიის სახელმწიფოს შლიდა.

მსგავსი ვითარებაა საქართველოს შემთხვევაშიც — კრემლი „სააკაშვილის ფაშისტურ, ანტიდემოკრატიულ რეჟიმს" ათასგვარ საშინელებაში, ოსების გენოციდში დანაშაულებს და მასთან ბრძოლის საბაბით

საქართველოს სახელმწიფოს შლის, რათა ამ გზით სრული კონტროლი აღადგინოს კავკასიაზე და, აქედან გამომდინარე, კასპიის აუზის ენერგორესურსებზე;

3) სსრკ-მა გერმანიის ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნა „საბჭოური სახელმწიფო" — გდრ, სადაც საკმარისზე მეტი ჯარი განალაგა. გფრ-ის მხრიდან აღმოსაველეთ გერმანიას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სსრკ „იცავდა" მას და თავგამოღებით ცდილობდა გდრ-ის საერთაშორისო აღიარებისთვის მიეღწია, რადგან აუცილებლად მიაჩნდა სამხედრო ძალით მოპოვებული წარმატება სამართლებრივადაც განემტკიცებინა და ამ გზით უკუპროცესის (გერმანიის გამთლიანების) შესაძლებლობა, ფაქტობრივად, გამოერიცხა.

მსგავსი ვითარებაა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" შემთხვევაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, აღმოსაველეთ გერმანიის ტერიტორიაზე სსრკ-ის ჯარების ყოფნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართლებული იყო, ხოლო საქართველოს შემთხვევაში რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნა სრულიად უსაფუძვლოა, უფრო მეტიც, ეს არღვევს რუსეთის პრეზიდენტის მიერვე ხელმოწერილ 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიან შეთანხმებას;

4) 1945-1949 წლებში, როცა მოხდა გერმანიის ფაქტობრივი დაყოფა 5 ნაწილად, გერმანიის სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა — ქვეყანა განაწილებული იყო 4 ქვეყნის საოკუპაციო ზონებად და საბჭოთა საოკუპაციო ზონას ერთმნიშვნელოვნად არ ჰქონდა კოორდინაცია დანარჩენ ზონებთან. ფაქტობრივად, ეს იყო გერმანული სახელმწიფოებრიობის ვაკუუმის პერიოდი.

პრინციპულად განსხვავებული ვითარება იყო 1993 წლის საქართველოში, როცა კრემლმა თავისი სამხედრო ძალის გამოყენებით დე ფაქტო დაანაწევრა საქართველოს ტერიტორია, ისევე როგორც 2008 წელს, როცა რუსეთმა ღია სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და დე იურე ცნო საქართველოს დაყოფა. საქართველო 1992 წლის 31 იანვრიდან გაეროს წევრია (თუმცა, მისი დამოუკიდებლობა და საზღვრები გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობას 1992 წლის ზაფხულამდე უკვე აღიარებული ჰქონდა) და ამ დროიდან მაინც მისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ოფიციალურად ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის რუსეთმაც. კრემლი ამას აღასტურებდა ყველა საერთაშორისო დოკუმენტში, იქნებოდა ეს გაე-

როს, ეუთოს, ევროსაბჭოს თუ დსთ-ის დოკუმენტები. მით უფრო შეუსაბამო იქნებოდა რაიმე პარალელის გავლება 1945-1949 წლების გერმანიის სახელმწიფოებრივ სტატუსსა და 2008 წლის საქართველოს სახელმწიფოებრივ სტატუსს შორის, რადგან 1990-იანი წლებიდან 2008 წლამდე ზემოხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ უკვე მიღებული იყო სულ მცირე ათეულობით რეზოლუცია, რომლებშიც დადასტურებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ეთნოწმენდის შედეგად გამოდევნილი მოსახლეობის დაბრუნების უპირობო უფლება, დევნილთა საკუთრების ხელშეუხებლობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, კრემლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ანალოგიური რეზოლუცია 2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგაც მიიღო (A/RES/63/307, 09.09.2009), რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოების ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილთა უფლებების მიმართ (სრულად გდრ-თან დაკავშირებული საკითხები, იხ. გვ. 571).

მართალია, "ბერლინის კედელმა" 28 წელი გაძლო და ეს არ არის მცირე დრო, მაგრამ ისტორიამ დაადასტურა, რომ მიუხედავად ამდენი წვალებისა, ეს ერთი შეხედვით მტკიცე, რკინა-ბეტონის ნაგებობა თავიდანვე განწირული იყო დასანგრევად, რადგან ბეტონის კედლით შეუძლებელია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის, საერთაშორისო სამართლის ნორმათა მოქმედების „შეჩერება". ბეტონის კედლით კრემლმა მხოლოდ დროებით შეაჩერა გერმანიის გამთლიანების პროცესი, დარწმუნებული ვართ, ის, საბოლოოდ, ვერც საქართველოს გამთლიანებას აღუდგება წინ.

ჩრდილო ირლანდიის კონფლიქტის განხილვა ჩვენთვის, უპირველესად, მნიშვნელოვანი იყო სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით. ისტორიული თვალსაზრისით, ცხადია, ჩრდილო ირლანდიის პრობლემასა და საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს შორის მსგავსება სრულიად აშკარაა — რომ არა ინგლისის (ირლანდიის შემთხვევაში) და კრემლის (საქართველოს შემთხვევაში) იმპერიული, დანაშაულებრივი ქმედებები, ეს პრობლემები საერთოდ არ იარსებებდა (ირლანდიისა და საქართველოს წარსულის ამ ზოგადი მსგავსების მიუხედავად, მათ შორის რამდენიმე პრინციპული განსხვავება არსებობს, იხ. გვ. 545), მაგრამ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ისტორიულ ფაქტორებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და ყველა სადავო საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების

შესაბამისად უნდა გადაწყდეს. სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა ჩრდილო ირლანდიის სამშვიდობო პროცესი. მას შემდეგ, რაც, ერთი მხრივ, „ირა"-ს შეუწყდა დაფინანსება აშშ-ის ირლანდიელებისგან, ხოლო მეორე მხრივ, შეჩერდა ბრიტანეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერა „ლოიალისტების" მიმართ და ამის პარალელურად დიდი ამერიკული ინვესტიციები ჩაიდო მთლიანად კუნძულის ეკონომიკაში, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული დაჯგუფებები და ლიდერები, მართალია, რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც იძულებული გახდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმებით შემოსაზღვრულ სამშვიდობო პროცესს მიმხრობოდნენ და ერთიანი მთავრობა შეექმნათ.

საყარაულოდ, დაახლოებით მსგავსი ვითარება შეიქმნება საქართველოშიც, როცა კრემლი შეასრულებს მის მიერვე ხელმოწერილ 12 აგვისტოს 6 პუნქტიან შეთანხმებას და რუსეთის ჯარები დატოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას; ოღონდ, დარწმუნებული ვართ, ზემოთ ჩამოთვლილი განმასხვავებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენთან ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად წარიმართება, რადგან, ცხადია, საუკუნოვანი ძმობის აღდგენა უფრო იოლია, ვიდრე წარსულში მუდმივი მტრობის ფონზე, ურთიერთნდობის დამყარება და რეალური თანამშრომლობის დაწყება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჩრ. ირლანდიელთა გამოცდილება განიარაღების ურთიერთსანდო, საერთაშორისო მექანიზმთან დაკავშირებით, ასევე, დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლებისგან ერთიანი, ეფექტიანი საპოლიციო სისტემის შექმნის შესახებ.

ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ჩრ. ირლანდიის სწრაფი ეკონომიკური წინსვლის პრეცედენტი და მისი სასარგებლო, დიდი გავლენა სამშვიდობო პროცესზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2007 წელს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ შეიმუშავა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროექტი — „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან", რომელიც კონფლიქტის ზონის როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობის ერთობლივი საქმიანობის, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. შესაძლებელი იყო „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან" გადაგვექცია ერთგვარ „საერთაშორისო ბრენდად", რაც ხელს შეუწყობდა სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარებაში. დარწმუნებული ვართ, საქართველოს დეოკუპაციის პროცესის

პარალელურად ამ პროექტის რეალიზაციაც დაიწყება.

კონფლიქტების მოგვარების პროცესში, სწორედ ეკონომიკური ასპექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო სამხრეთი ტიროლის გამოცდილების შესწავლა.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან შედარებით, „სამხრეთ ტიროლს" სულ სხვა ისტორია აქვს და მისი სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბებაც სულ სხვა ტიპის გარემოებებმა განსაზღვრა, ამიტომ სამხრეთ ტიროლსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს" შორის მსგავსება, არსებითად, მხოლოდ მათი სახელწოდებითა და მთიანი რელიეფით შემოიფარგლება. ამ კონტექსტში საკმარისია ითქვას თუნდაც მხოლოდ გარე ძალის ზემოქმედების მხრივ არსებული განსხვავება აღნიშნულ კონფლიქტებს შორის.

სამხრეთი ტიროლის საკითხის წარმატებით გადასაწყვეტად საკმარისი აღმოჩნდა ადგილობრივი გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი მოსახლეობის უმრავლესობის სამშვიდობო ნება, რადგან ასეთივე ნება ჰქონდათ იტალიისა და ავსტრიის მთავრობებსა და ევროგაერთიანებას. სამხრეთი ტიროლის შემთხვევაში არ არსებობდა მესამე, გარე ძალა, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა კონფლიქტის გაღვივებით (მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტურმა გერმანიამაც კი, ამ მხრივ, პოზიტიური როლი შეასრულა და არ დაუშვა ვითარების გამწვავება). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი მოსახლეობის ორივე ძირითად ეთნიკურ ჯგუფს რომი ან ვენა, ან რომელიმე სხვა ცენტრი ურთიერთმტრობისკენ კი არ უბიძგებდა, იარაღს კი არ აწვდიდა და არეულობის, სისხლისღვრის პროვოცირებას კი არ ცდილობდა, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ კონსტრუქციულ როლს ასრულებდა და აქტიურ ნაბიჯებს დგამდა პრობლემურ საკითხთა გადასაწყვეტად (სხვა ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორები, იხ. გვ. 559).

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოს კონფლიქტთა მოსაგვარებლად აუცილებელი წინაპირობა იყო და არის გარე ძალის — კრემლის დამანგრეველი ჩარევის ნეიტრალიზაცია. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების უპირველესი მოთხოვნაა რუსეთის მიერ 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულება და ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. ამის შემდეგ, როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში სტაბილური მშვიდობისა და ასეულ ათასობით დევნილის უსაფრთხო დაბრუნებისთვის საჭირო იქნება საერთაშორისო სამშვიდობო მისიის განხორციელება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტების, ასევე

სამხედრო დანაშაულთა ორგანიზატორ-შემსრულებელთა დადგენისა და დასჯისთვის სამშვიდობო პროცესში უნდა ჩაერთოს საერთაშორისო სასამართლოები (სამხრეთი ტიროლის მსგავსად, მათი გამოყენება შესაძლებელია ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმის შესაქმნელად). სწორედ საერთაშორისო ინსტიტუტების, ევროკავშირის ჩარევით მოხერხდა სამხრეთი ტიროლის გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი, არსებითად, ერთმანეთისთვის უცხო ჯგუფების გაერთიანება, უფრო მეტიც, მთლიანად ისტორიული ტიროლის (ავსტრიის ტიროლის შტატის ჩათვლით) „ევრორეგიონად" გამთლიანება. ეს ფაქტი კიდევ ერთი დამაჯერებელი არგუმენტია, რომელიც ჩვენი პოზიციის რეალურობას ადასტურებს —/საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მონაწილეობისა და რუსეთის ჯარების გასვლის შემთხვევაში, საუკუნეების მანძილზე ერთად მცხოვრებ, ერთმანეთის მონათესავე ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის ყველა პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში", ისევე როგორც სამხრეთ ტიროლში საუკეთესო მოსავალს იძლევა ვაშლი და აქ ამ ხილის წარმოების დიდი ტრადიცია არსებობს, თუმცა, ამ მხრივ, სამხრეთ ტიროლს ვერ შეედრება.

ცხინვალის რეგიონის ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, 2007 წელს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ წარმოადგინა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია-განვითარების კონკრეტული პროექტი — „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან", რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის შემოსავლების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობასა და ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ბაზრის სპეციალური სეგმენტის შექმნას.

ჩვენი მიზანი იყო პროექტს „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან" ერთგვარი საერთაშორისო ბრენდის სახე მიეღო და მის ფარგლებში წარმოებული პროდუქცია ექსპორტზეც გასულიყო. პროექტში მიმართულებების მიხედვით განხილულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესრულება აუცილებელია მის განსახორციელებლად (1. სამართლებრივი; 2. ეკონომიკური; 3. ფინანსური; 4. სტრუქტურული; 5. საინფორმაციო-სარეკლამო; 6. უსაფრთხოება).

პროექტი ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის იყო გამიზნული, სადაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით რე-

აბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია იწყებოდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიამდე (და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ეთნოწმენდამდე) ამ რეგიონში აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ხოლო ქართული და ოსური სოფლების გვერდიგვერდ არსებობა მოსახლეობის სრული რეინტეგრაციის საშუალებას იძლეოდა, ეკონომიკური თანამშრომლობის გზით.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი 6 პუნქტიანი („სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის") შეთანხმების მთლიანად შესრულება და რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაევლენ საქართველოს ტერიტორიიდან (მათ შორის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან"), მას შემდეგ, რაც აქ განლაგდებიან ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და დაიწყება დევნილთა დაბრუნება თავიანთ სახლებში, ისევე შეიქმნება რეალური პირობები რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

კონფლიქტის მოგვარების პროცესში, განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როცა დეოკუპაციის პრობლემა უკვე მოგვარებულია (ან ასეთი პრობლემის არარსებობის შემთხვევაში) ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობა ნათლად ჩანს, ერთი მხრივ, ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ, ტაივანისა და პონგ კონგის ურთიერთმიმართების მაგალითზე. ეს ურთიერთმიმართება ყურადღებას იქცევს ასევე პეკინის თანმიმდევრული, აუჩქარებელი კურსით აღნიშნულ რეგიონებზე კონტროლის აღდგენის მიმართულებით. აქვე უნდა ითქვას, რომ 2010 წლის 23 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს ხელისუფლების სწორედ „მოთმინებასა და სიმშვიდეზე" გააკეთა ყურადღება, როცა კრემლის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი შეთანხმების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შესახებ საუბრობდა და ამ კონტექსტში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის პანს-იორგ პაბერის მიერ საქართველოს პოლიტიკის პოზიტიური შეფასება გაიხსენა („კონსტრუქციული ცალმხრივობა").

ტაივანისა და პონგ კონგის პეკინთან დაახლოების ზღარდ ტენდენციას დიდად შეუწყო ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებამ, ერთობლივი ფირმების შექმნამ, რითაც მოხერხდა ლეგალური, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა; და აქ აუცილებელია აღინიშნოს გარე ძალის პოზიტიური მონაწილეობა ამ პროცესში.

ჩანგასასმელია, რომ ბრიტანეთს, ჩინეთისგან დამოუკიდებლად, რაიმე ცალმხრივი ნაბიჯი პონგ კონგის სტატუსის შეცვლის მიმართულებით არ გადაუდგამს. ბრიტანეთს არ უცდია ეს რეგიონი ფაქტობრივად ემართა და ამავე დროს, ფორმალურად, „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" ეცნო; ანუ ლონდონი იცავდა „თამაშის წესებს" და საერთაშორისო ნორმები არ დაურღვევია.

იგივე უნდა ითქვას აშშ-ის როლზე პეკინი-ტაიბეის ურთიერთობის კონტექსტში. როცა 1950 წელს აშშ-მა თავისი ჯარები განალაგა ტაივანზე ჩან კაიშის მთავრობის თანხმობით, ამავე მთავრობის დასაცავად, ვაშინგტონი ემყარებოდა სწორედ იმ ფაქტს, რომ ეს იყო ჩინეთის ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება იმ მომენტში. 1954 წელს „ერთიანი თავდაცვის ხელშეკრულებაც" აშშ-მა დადო ჩინეთის რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან. მას შემდეგ, რაც გაერომ 1971 წელს ჩინეთის წარმომადგენლად აღიარა პეკინის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის) მთავრობა და ჩამოართვა ეს უფლება „ტაივანის მთავრობას", აშშ-მა დაიწყო თავისი დამოკიდებულების გადახედვა ჩან კაიშის მთავრობის მიმართ. ჯერ, 1972 წელს ნახევრად ოფიციალურად, ხოლო 1979 წელს ოფიციალურად, ვაშინგტონმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა პეკინთან და გააუქმა — ტაივანთან. ამავე დროს, გააუქმა „ერთიანი თავდაცვის შეთანხმება" ტაივანის მთავრობასთან და გაიყვანა თავისი ჯარები კუნძულიდან იმ დეკლარაციის ფონზე, რომლის თანახმად: „აშშ ცნობს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის ჩინეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება... და ტაივანი — ჩინეთის განუყოფელი ნაწილი". დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისა და ტაივანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 1979 წელს ამერიკის კონგრესმა შიდასაკანონმდებლო დოკუმენტის სახით მიიღო „აქტი ტაივანთან ურთიერთობის შესახებ", რომელშიც აღნიშნულია, რომ აშშ დაუშვებლად მიიჩნევს ტაივანის საკითხის მოგვარებას ნებისმიერი ძალისმიერი მეთოდით, ეკონომიკური ბოიკოტისა და ემბარგოს ჩათვლით. იქვე დაფიქსირებულია, რომ აშშ ტაივანს მიაწვდის თავდაცვითი ტიპის შეიარაღებას. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე აშშ დღემდე აგრძელებს იარაღის მიწოდებას ტაივანისთვის.

ამ ფონზე თუ ერთმანეთს შევადარებთ ვაშინგტონისა და კრემლის პოლიტიკას, მკაფიოდ დავინახავთ განსხვავებას, — როცა აშშ ეხმარებოდა ჩან კაიშის მთავრობას, ვაშინგტონი სრულად იცავდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, რუსეთი კი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისკენ მიმართული

ქმედებებით, აშკარად არღვევს საერთაშორისო ნორმებს (ამ და სხვა განმასხვავებელი ფაქტორების შესახებ, იხ. გვ. 610).

ჰონგ კონგისა და ტაივანისადმი, შესაბამისად, ბრიტანეთისა და ამერიკის მიმართებისგან განსხვავებით (რომელიც არ სცილდება სერთაშორისო სამართლის ფარგლებს), მოსკოვმა „დამოუკიდებელ რესპუბლიკებად" აღიარა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთი ოსეთი", თუმცა, დე იურე საქართველოს კუთვნილი ეს ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და, ფაქტობრივად, ანექსირებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ეკონომიკურ სფეროშიც, ბრიტანეთისა და აშშ-ის ურთიერთობა ჰონგ კონგსა და ტაივანთან მთლიანად კანონიერ საფუძველს ემყარება, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კი არსებობს მხოლოდ არალეგალური ბიზნესი, მათ შორის, ფულის გათეთრება, იარაღის, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ა.შ. ეს ყველაფერი საერთაშორისო ნორმების დარღვევით, მთლიანად რუსეთის ხარჯზე და თბილისის გვერდის ავლით ხორციელდება.

ჩინეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ტაივანისა და ჰონგ კონგის ურთიერთობაში გარე ძალის (აშშ-ისა და ბრიტანეთის) პოზიტიური მონაწილეობის ერთგვარ ანალოგიად შეიძლება შეფასდეს დასავლეთის აქტიურობა ტიბეტის პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

ტიბეტში მუდმივად ფიქსირდება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, უპირველესად, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით. ტიბეტის ტერიტორია გამოყენებულია ბირთვული ნარჩენების ნაგავსაყრელად, რაც საფრთხეს უქმნის მის ეკოსისტემას. მართალია, 50-იან წლებთან შედარებით ვითარება გაუმჯობესებულია, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა, რასაც ადასტურებს 1989 წელს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ლჰასაში და 2008 წლის გაზაფხულის არეულობები. და ასეთ პრობლემათა მიუხედავად, XXI საუკუნეში დალაი ლამამ გადაწყვიტა საბოლოოდ, საჯაროდ უარი ეთქვა ტიბეტის სრული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე და მისი მოთხოვნა ჩინეთის კონსტიტუციის ჩარჩოებში ტიბეტის ავტონომიური უფლებების გაფართოებით შემოიფარგლება.

დალაი ლამას ასეთი არჩევანი განპირობებულია მისი სურვილით, მშვიდობიანად, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოგვარდეს ტიბეტისა და ტიბეტელების პრობლემები. ესაა თვითგამორკვევის პრინციპის რეალური განხორციელება ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპთან არა „შეჯახების", არამედ მასთან შეთანხმების გზით, რასაც მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება.

აქ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ დასავლეთის რჩევასა და ძალისხმევას უკავშირდება დალაი ლამას მიერ „შუალედური გზის" არჩევა და ტიბეტის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, დასავლეთის, აშშ-ის მონაწილეობა ტიბეტის პრობლემის მოგვარებაში კონსტრუქციული, დადებითი ფაქტორია. ამ ფონზე აშკარად ჩანს, რომ რუსეთი სრულიად საპირისპირო როლს ასრულებს კავკასიაში. დასავლეთი მხარს უჭერს ტიბეტის არა გამოყოფას ჩინეთისგან, არამედ ამ რეგიონის უნიკალური ხალხის, კულტურის, ეკოსისტემის შენარჩუნებას, ტიბეტის ჩამოყალიბებას მშვიდობიან ნაკრძალად. კრემლი კი აფხაზებსა და ოსებს, მათ კულტურას კი არ უფრთხილდება, პირიქით, მათ სრულ რუსიფიკაციას და საქართველოს ამ ორი რეგიონის დიდ სამხედრო ბაზებად გადაქცევას ცდილობს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ამჟამად მაქსიმუმ 50-60 ათასი აფხაზი და 20 ათასი ოსი ცხოვრობს. ასეთი რაოდენობის მოსახლეობის ასიმილაცია 140-მილიონიან რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ აფხაზების მონათესავე უბიხებისა და ჩერქეზების ხვედრს XIX საუკუნეში ან ჩეჩნების ფაქტობრივ გენოციდს XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. ასეთი პერსპექტივის ნაცვლად, 4,5 მილიონიანი საქართველო აფხაზებსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს სთავაზობს საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწონებულ, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის ავტონომიურ თვითმმართველობას, რომელშიც მათი უფლებების დაცვის გარანტორი ევროსტრუქტურები იქნებიან (ამ სტრუქტურებს, ბუნებრივია, საქართველოზე ზემოქმედება უფრო იოლად შეუძლიათ, ვიდრე რუსეთზე). მაგრამ, ვიდრე ეს რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ, არც აფხაზებს და არც ოსებს არ ეძლევათ საშუალება მიიღონ მეტ-ნაკლებად ობიექტური ინფორმაცია და გააკეთონ თავისუფალი არჩევანი (ტიბეტის პრობლემის საკვანძო საკითხების განხილვა და მათი მიმართება საქართველოს კონფლიქტებთან, იხ. გვ. 587).

XXI საუკუნეში პეკინისა და ჩინეთის ზემოხსენებული სამი რეგიონის სპეციფიკური ურთიერთმიმართების პოზიტიური მიმართულებით განვითარების ფონზე საყურადღებოა შრი-ლანკის კონფლიქტის ერთგვარი „კვანძის გახსნა" 2008-2009 წწ.-ში, როცა სამთავრობო ჯარებმა, ფაქტობრივად, გაანადგურეს „ტამილის ვეფხვების" ძირითადი დაჯგუფებები (6 თვის მონაკვეთში დაიღუპა დაახლოებით 7 ათასი უდანაშაულო ადამიანი და კონფლიქტის ზონა 120 ათასმა დევნილმა დატოვა). ეს 30-წლიანი დაპირისპირება და მისი შედეგები ჩვენთვისაც

განსათვალისწინებელია. ფაქტია, რომ „ტამილის ვეფხვებმა“, თავიანთი რადიკალური პოზიციით, რეალურად, გაწირეს თავიანთი ხალხი. 2002 წლის შეთანხმება მათ საშუალებას აძლევდა კონსტრუქციულ ჩარჩოებში მოექციათ თავიანთი მიზნები და რეალური პროგრესისთვის მიეღწიათ (მაგალითად, როგორც ეს მოხდა ჩრ. ირლანდიაში, „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ მიერ ძალადობაზე უარის თქმისა და იარაღის ჩაბარების შემდეგ). თავიანთი არარეალური მოთხოვნებით „ტამილის ვეფხვებმა“ უფრო მეტს ვერაფერს მიაღწიეს დამატებითი სისხლისღვრისა და ნგრევის გარდა. აშკარად გამოჩნდა, რომ მართებულია იმ ტამილების პოზიცია, რომლებიც არა რადიკალიზმსა და მტრობაზე, არამედ ზომიერ, რეალურ მოთხოვნებსა და ურთიერთთანამშრომლობაზე არიან ორიენტირებული. და ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ ასეთი პოზიცია შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას: თუ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ცალკეული ჯგუფების ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული, ეს დაუსრულებელ სისხლისღვრასა და ქაოსამდე მიგვიყვანს. კრემლი სწორედ იმიტომ უპირისპირდებოდა და უპირისპირდება საერთაშორისო სამართალს, რომ მას სურს სისხლისღვრისა და ქაოსის პროვოცირება საქართველოში. ბაღაფშისა და კოკოითის რეჟიმები კი გაუაზრებელი, საქართველოსადმი მტრული პოზიციით „ტამილის ვეფხვების“ როლს ასრულებენ.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ძირეული განსხვავება საქართველოსა და შრი-ლანკაში არსებულ კონფლიქტებს შორის: ბაღაფშისა თუ კოკოითის საოკუპაციო რეჟიმები კრემლის მიერ შეიქმნა და მთლიანად კრემლზეა დამოკიდებული ანუ საქართველოში ე.წ. „ეთნოკონფლიქტები“ თავიდან ბოლომდე კრემლის პროვოცირებულია. შრი-ლანკის შემთხვევაში კი კრემლის მსგავსი ძალა არ არსებობს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შრი-ლანკის წინააღმდეგ ცალმხრივი სამხედრო აგრესია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობა არავის დაუწყია.

შრი-ლანკის შემთხვევაში განსათვალისწინებელია ასევე სინგალების მიერ, ისტორიულად, ტამილების ეთნიკურ-კასტური და რელიგიური დისკრიმინაცია. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ კი ცალსახად უნდა ითქვას, რომ ესაა საუკუნოვანი ნათესაობა და ერთიანი საქართველოს ფარგლებში მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, მალე ყველა დარწმუნდება, რომ აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობის შენარ-

ჩუნება სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე გადის (ერცლად შრი-ლანკის კონფლიქტის შესახებ, იხ. გვ. 582).

სეპარატიზმი და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტები დღესაც მნიშვნელოვან მსოფლიო პრობლემად რჩება. ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში შედარებით მშვიდი ვითარებაა, თუმცა ანალოგიური პრობლემები წარსულში აქაც ძალზე მწვავედ იდგა. დღევანდელი დასავლეთევროპული სიმშვიდე ხშირად სეპარატისტებს მცდარ ილუზიებს უქმნის. მაგალითად, აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში", როცა დამოუკიდებლობასა და სამომავლო პერსპექტივაზე საუბრობენ, ზოგჯერ ახსენებენ მონაკოს, ლიხტენშტაინს, ევროპის სხვა ჯუჯა სახელმწიფოებს და იმედოვნებენ, რომ სოხუმისა და ცხინვალის უკანონო რეჟიმები, კრემლის დახმარებით, სწორედ ასეთ უზრუნველ სახელმწიფოებს ჩამოაყალიბებენ. აქედან გამომდინარე, კრებულში მოკლედ არის მიმოხილული ევროპის ჯუჯა სახელმწიფოები, მათი წარმოქმნის ისტორია და დღევანდელი რეალობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური გარემო კარდინალურად შეიცვალა. ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებასა და ომებს საერთო ინტერესთა პოლიტიკა, ერთიანი ევროპის ინტეგრაციული პროცესი ჩაენაცვლა, რაც, უპირველესად, მცირე პრობლემებისა და უთანხმოებების დიდი, საერთო მიზნებისა და ინტერესების პოზიციიდან დანახვას გულისხმობს. ასეთი მიდგომის მზარდმა დომინირებამ და ევროკავშირის ჩამოყალიბებამ, ბუნებრივია, დიდი სახელმწიფოების დღის წესრიგიდან საერთოდ „წაშალა" „ჯუჯა" სახელმწიფოების გამო ისტორიულად არსებული უთანხმოებანი (თუკი იყო ასეთი რამ შემორჩენილი). დღეს ევროპის დემოკრატიული, დიდი ქვეყნებისგან წარმოუდგენელია ერთმანეთთან ურთიერთობის დაძაბვა „ჯუჯა" სახელმწიფოს ტერიტორიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე (მცირე შენიშვნის სახით საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, კრემლს დღემდე აქვს გარკვეული პრობლემები იაპონიასთან სსრკ-ის მიერ 1945 წელს ოკუპირებული სამხრეთ კურილიის ოთხი კუნძულის გამო, რომელთა საერთო ფართობი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს — რუსეთის ტერიტორიის მხოლოდ 0,03 პროცენტს წარმოადგენს).

თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტის გათვალისწინებით, საკამათო არ უნდა იყოს დიამეტრული განსხვავება ევროკავშირის ქვეყნებისა და კრემლის მიმართებებს შორის. შესაბამისად, რთულია რაიმე ანალოგიის დანახვა ამჟამად კრემლის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ორ რეგიონსა (აფხაზეთი — 8 432 კმ², ცხინვალის რეგიონი — 3 900 კმ²) და ევროპის

ჯუჯა სახელმწიფოებს შორის (ძირითადი განმასხვავებელი ისტორიული და სამართლებრივი შტრიხების შესახებ, იხ. გვ. 622).

დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოების ეკონომიკური წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ სტაბილური, მშვიდობიანი, თანამშრომლობის სულისკვეთებით განმსჭვალული გარემოთი, რომელიც შეიქმნა დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. რომ არა მეზობელი ქვეყნების: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა, ცხადია, „ჯუჯა" სახელმწიფოები ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ.

აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტებს კი იმედი აქვთ, რომ ასეთ გარემოს მათ კრემლი შეუქმნის; ის კრემლი, რომელმაც XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩეჩნების გენოციდი განახორციელა (დაიღუპა სულ მცირე 200 ათასი ჩეჩენი ანუ რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი), ის კრემლი, რომელიც ცივილიზებული სამყაროს ლიდერთა შეფასებით XXI საუკუნეში ისევ XIX საუკუნის კატეგორიებით აზროვნებს. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ კრემლი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს დაუპირისპირდა და მეზობელი ქვეყნის მიმართ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა. მას აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განლაგებით სურს სამხედრო-პოლიტიკური გაელენა შეინარჩუნოს ამიერკავკასიის შაიხზღვისპირეთში და მთლიანად კავკასიაში. ასე რომ, პარალელების გაელება დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებსა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს შორის უპერსპექტივო საქმეა.

ზემოთ განხილული კონფლიქტების საფუძველზე მკაფიოდ ჩანს, რომ მათი მოგვარების მექანიზმი, უწინარესად, საერთაშორისო სამართალს ემყარება, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტთა სწორედ სამართლებრივ ასპექტებს. თანამედროვე კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სამართლებრივი პრობლემა დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის ორი ფუნდამენტური პრინციპის: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ურთიერთშეთავსებასთან. როგორც გაერო, ასევე ევროპის საბჭო დაუშვებლად მიიჩნევს ამ პრინციპთა ურთიერთდაპირისპირებას ანუ თვითგამორკვევის უფლების სეცესიასთან გაიგივებას და ცალმხრივად გამოცხადებული „დამოუკიდებლობის" აღიარებას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ რეზოლუციაში (#

1334), რომელშიც, ევროპის წარმატებული ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით, თვითგამორკვევის საუკეთესო ფორმად მიჩნეულია ყართო უფლებების მქონე ავტონომია არსებული სახელმწიფოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ეთნიკური იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობას.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ამ მხრივ დაუშვეს რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა და აშშ-მა, არის კოსოვო, რასაც თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს. როდესაც კონფლიქტის დროს ხდება გენოციდი ან ეთნიკური წმენდა – დანაშაული კაცობრიობის წინაშე — ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირდება ამ პროცესის შეჩერებასა და მისი შედეგების აღმოფხვრაზე. მილოშევიჩის რეჟიმის მიერ თითქმის მილიონი კოსოველი ალბანელის მიმართ განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ საერთაშორისო საზოგადოება აიძულა უპრეცედენტო ქმედებები განეხორციელებინა ამ მასშტაბური დანაშაულის შესაჩერებლად. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ კონტექსტს, კოსოვოს თითქმის მთელი ალბანური მოსახლეობის ეთნოწმენდას უკავშირდება დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა (რის სამართლებრივ საფუძველსაც, ფაქტობრივად, იძლეოდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუცია (1999)).

საქართველოს შემთხვევაში კი პირიქით მოხდა; აქ კრემლმა ეთნიკური წმენდა წაახალისა, როცა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარა საქართველოს ორი რეგიონი (აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთი ოსეთი"), რომლებიც მის მიერვე არის ოკუპირებული და სადაც 1990-იან წლებსა და 2008 წელს ეთნიკური წმენდა განახორციელდა (უპირატესად, ქართული მოსახლეობის მიმართ). ანუ თუ კოსოვოში დასავლეთმა ეთნოწმენდის მსხვერპლს დაუჭირა მხარი, საქართველოს შემთხვევაში კრემლმა არა მსხვერპლს, არამედ ეთნოწმენდის მომწყობ-შემსრულებლები „დააჯილდოვა" „დამოუკიდებლობით" (ამ ორ მოვლენას შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებაზე მეტყველებს საერთაშორისო საზოგადოების რეაქციაც — კრემლის აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხოლოდ დანიელ ორტეგა, უგო ჩავესი და ნაურუს ხელისუფლება მიემხრნენ, თანაც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ).

კონფლიქტების, მათ შორის, უკვე მოგვარების ფაზაში მყოფი კონფლიქტების გამოცდილება ადასტურებს, რომ სამართლებრივ ასპექტთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე კონფლიქტის ისტორიული მხარის გათ-

ვალისწინება, რადგან ხშირად სწორედ „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენა არის ის ლოზუნგი, რომელიც რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს კონფლიქტის ამა თუ იმ მხარეს.

ჩვენ საგანგებოდ დიდი ადგილი დავუთმეთ საქართველოს კონფლიქტების ისტორიული ასპექტების განხილვას, რათა მკაფიოდ გვეჩვენებინა, რომ საქართველოსგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „ჩამოჭრა" არა მარტო საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპთა ფეხქვეშ გათელვაა, არამედ ეს ნიშნავს ასევე ისტორიული ფაქტების, ისტორიულად არსებული საზღვრების, ტრადიციებისა და ნათესაური კავშირების სრულ უგულებელყოფას.

ამრიგად, კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდის განხორციელება, ხოლო შემდეგ ამ რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" ცნობა, უარყოფს როგორც სამართლებრივ ნორმებს, ასევე ისტორიულ რეალობებს და ერთადერთ ანგარიშგასაწევ ღირებულებად ძალადობას, სამხედრო ძალას აღიარებს (ამ მხრივ კრემლის დღევანდელი ბინადრები ფაშიზმისა და საბჭოთა კომუნიზმის ლიდერთა უშუალო მენტალური მემკვიდრეები არიან). ასეთი მენტალიტეტის აღორძინება არის გამოწვევა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საერთოდ ცივილიზებული სამყაროსთვის, რადგან ეს ემუქრება საერთაშორისო უსაფრთხოების მთელ სისტემას, ამგვარი ქმედებები ძირს უთხრის ფუნდამენტურ საერთაშორისო ღირებულებებს და მათ ადგილას ძალადობას, „ჯუნგლის კანონს" ამკვიდრებს. ეთნიკური წმენდის ან კონფლიქტების დროს ჩადენილ სხვა დანაშაულთა ორგანიზატორ-შემსრულებლების დაუსჯელობა ქმნის უაღრესად საშიშ პრეცედენტს და ხელს უწყობს ძალადობის კიდევ უფრო გავრცელებას.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, უბრალოდ, უფლება არ გვაქვს შეეგუოთ კრემლის დანაშაულებრივ, იმპერიალისტურ პოლიტიკას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეთნოწმენდის ფაქტების გამოძიება საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუციების მიერ და დამნაშავეთა დასჯა (მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა) მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ იმ ღირებულებითი ფუნდამენტისთვის, რომელსაც ემყარება თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება და უსაფრთხოების სისტემა და რომელსაც ემუქრება ძალადობრივი, ფაშისტურ-ნეოკომუნისტური პოლიტიკის ახალი ტალღა დღევანდელი კრემლის სახით. თუ კრემლი შეძლებს სამხედრო აგრესიისა და ეთნიკური წმენდის შედეგთა დაკანონებას,

